IV

შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

თბილისი
2023

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად

ტომი გამოსაცემად მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით პროექტის „ქართული ევროპეიზმის სათავეებთან – ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის ოთხტომეულის გამოსაცემად მომზადება“ (FR-19-7480) – ფარგლებში

ალექსანდრე ორბელიანი

თხზულებანი

ტომი IV

მემუარები
საგვარეულო გადმოცემები
ავტობიოგრაფიული თხზულებები

თბილისი
2023

სარედაქციო კოლეგია

მაია არველაძე
ჯულიეტა გაბოძე
ნინო ვახანია
ელისაბედ ზარდიაშვილი
როსტომ ჩხეიძე (მთავარი რედაქტორი)
მაია ცერცვაძე
თამაზ ჯოლოგუა

ტომის რედაქტორი

ჯულიეტა გაბოძე

ტომი გამოსაცემად მოამზადეს, სამეცნიერო აპარატი, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს **როსტომ ჩხეიძემ** და **ნინო ვახანიამ**

ტექნიკური რედაქტორი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნიკოლოზ ჟღენტი

ISBN 978-9941-9865-3-6 (ალექსანდრე ორბელიანი. თხზულებანი)

ISBN 978-9941-9865-7-4 (IV ტომი)

© შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი(2023)

დაბეჭდილია

გამომცემლობა
სამშობლო

თბილისი, რობაქიძის 7; ფოტ.: 551 95 31 90

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.
უცნობი მხატვარი

169

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
S:1643; S:1659/ა

სარჩევი

[1834-1869

ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა.....7-519
წიგნი მშობელთან
(საქართველოს მეფის ირაკლის ასულს თეკლას).....57-524
ჭეშმარიტი სიყვარული.....138-529
ცოტა ჩემი გამოცდილებანი.....297-537
ჩემი რუსეთიდგან მოსვლის შემდეგ.....310-538
ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი.....312-539
ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან
ჯამბაკურიან-ორბელიანი.....325-544
გიჟი აღალუა.....330-545
ორბელიანთ ამბავი.....330-546
ჩემი ქალი მარიამ (ყმაწვილობისას მაიკო.).....334-546
ახლა პუპლია.....362-549
ჩვენი ძველი სახლეულობანი.....364-549
ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი.....375-550

უთარიღოები

ჩემი მშობლები.....501-558
ჩემნი მშობელნი.....503-559
მამიჩემის მოსამსახურეები.....507-560
ჩემი სახლის წინაპარნი.....509-560
მხოლოდ ჩემი სახლის წინაპარნი.....511-562
[სულხან ყოფილი საბა].....512-562
[პაპიჩემის მამას...].....513-563

ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა

მოვიდა ის დღე, რომელსაცა მოველოდი, და დაფარულნი სულთქმანი მესმოდა, ჩვენს სახლში მისგან რომლითაცა ვცხოვრებ. –

– ჩემო ს..., დღეს უნდა განვიყარნეთ, და გამშორდე? მითხრა ჩემმა ე....

დიახ მწუხარების შეუმცნევლად, მაგრამ იმის სიტყვის ამოძახებაზე რამდენიმე აკანკალებული ასონი სწორეთ ვერ გამოსთქო. ამ სიტყვასთან მიველ; განგებ ჩამოსხმულსავით, სპეტაკთა ხელებზე, მრავლობით ზედ დავკოცნე. – ვცდილობდი, მწუხარება არ გამამეჩინა. *რაოდენ შეიძლებოდა, ვითომც ვმხიარულობდი და სასარგებლოდ ვერა ვხედავდი, რომელ მეც მძიმე მწუხარებანი გამემრავლებინა. მრავალნი გასამხიარულებელნი მაგალითნი და სანუგეშო სიტყვანი ვუთხარ, მაგრამ არა, გული სრულებით მეწყვლებოდა.*

როდესაც ვგრძნობდი, რომ ვერ მოვითმენდი, განვეშორებოდი; გულსა გავიმაგრებდი და სასისხარულოს ალერსითა ისევ მივიდოდი და ტრფიალებას დავუწყებდი, ეგება მწუხარებისაგან გამამეყვანა. ამ დროს ჩვენ ორნი ჩვენს საკუთარს ოთახში ვიყავით. *ვითომ ორნივ ვმხიარულობდით, მაგრამ ორნივ ერთმანეთის გულსა ცხადად ვგრძნობდით ვითარ გვერღვეოდა და ერთმანეთს კი არ ვამცნევინებდით.* მაგრამ ამდროსვე მწუხარებამ დასძალა. თვალნი ცრემლითა აემსო, – მე თუმცა კიდევ არა ვიმცნევდი, ამისთვის, რომ რაც მოსასვლელი არის, მოვა და დაბრუნება აღარ შეიძლება. *ამისთვის გაჭირებაში სიმხნე უნდა და არა შიში.* ამასათანვე ჩემმა ე. . . . მაღლა აიხედა. და მინაზებულის ხმითა დაიძახა. ღმერთო! შენი ნებისამებრ აღსრულდეს, მაგრამ ჩემი გულიკი იკვლის.

ეს ხმა საშინელი რაღაც იყო ჩემთვის დაცემულება. არ ვიცოდი, როგორღა მოვქცეოდი; ერთიანი ფიქრი მამიხდა, ხანჯალი ამეღო, და იმის წინ გული გამეგმირა, მაგრამ ისევ გონება შემოვიკრიბე, და გაჯავრებით ვუთხარ. „ჩემო ს. . . . ე. . . . გთხოვ მოთმინებით იმყოფებოდე, – ხომ კარგად იცი სოფლის ვითარება, რომ ამა სოფელში – ორივ არის: ბედნიერება და უბედურება, თუ ბედნიერებისათვის იმხიარულებს ადამიანი? უბედურებაც იმისი ამხანაგია, ამისთვის გევედრები მოთმინებით ღმერთს! მადლობა შევწიროთ.“

– შესაბრალისის სულთქმით მითხრა. „რას ანბობ? ჩემმა გულმა როგორღა უნდა მოითმინოს, ავდენი ჩემი მაცოცხლებელი სიყვარული, მარადის თვალწინ მქონდეს წარმოდგენილი? და მას ვჭვრეტდე?“ – ამასთანვე მწარე ცრემლი გადმოსცვივდა და მოუთმენელი ქვითინი ამოუშო.

მე უბედურმან ველარ მოვითმინე, იმის წინ დავეცი; მისნი ნაზნი ხელნი ავიღე, ჩემს გულზე დავიწყე, და ორნივ გამწარებული ვტიროდით. თუ მე ნება მიმეცა, ვგონებ, სამგლოვიაროსა ზარსა ამოუშვებდა, მაგრამ როგორც იყო, გული გავიმაგრე და თვალები მოვწმინდე. – მერე ვუთხარ. „ჩემო ე.... კარგათ იცი, თუ შინაურებმა შეიტყეს ჩვენი მწუხარება, ისინიც შეწუხდებიან. ამისთვის გთხოვ მოთმინებით იყო, – მასკვან მითხრა, ჭეშმარიტად მართლა ამბობ; – ბატოიშვილმა რომ შეიტყოს ჩვენი მწუხარება, ისიც დიდათ შეწუხდება, და იმის მწუხარება ჩემთვის უფრო საშინელი იქნება.

მე უმწუხარობის პირობა გამოვართვი, და განვეშორე.

მე საქმეები მქონდა და მას საქმეს მივმართე, მაგრამ გული კი მეტად დაუმშვიდებლად მქონდა, ამაობაში სადილი მოიტანეს. ბატოიშვილი დედაც ზალაში გამობძანდა, ჩვენი სახლობა ნათესავებითურთ ერთათ სტოლის სადილზე დავსხედით. მართლა რომ ყველანი ერთიანათ ვმხიარულობდით, მხოლოდ ჩემს მეგობარს თავადს პავლე თუმანოვს დიდი შეწუხებული სახე ჰქონდა და არც იცოდა, სად იყო ანუ რას შვრებოდა. აი, ჭეშმარიტი და მართალი ჩემი მეგობარი! არამცთუ ცფიერობა რაიმე ყოფილიყო, არამედ დიდს საქმესა შინა მყვანდა გამოცდილი, რომ ჩემი მეგობრობის სიყვარულისათვის ჰქონდა შემოწირული თავი. რაოდენ შეიძლებოდა ჩვენგან, დიახ მხიარულად გავატარეთ სადილი. ის რომ ავიღევით, მე ქირის დროშკა მოვატანინე და მარტოკა გავისეირნე იქა, სადაც ჩემი გულის მოოხება მეგულვებოდა.

პირველად ჩვენ წალკოტში მივედი და მის აუზის თავზე ავედი. მწვანეს მოლსა ზედა დავეგდე აქეთ-იქით წალკოტის მიმოყურებელი; ყოველი წარსული სიამოვნე თვალთა წინა წარმომიდგა და ვთქვი.

ეს წალკოტი იგი არის, რომელსაცა შინა ჩემის მეგობრებით სიხარულით დროს რომ გავატარებდი. „შენ წალკოტო, რაოდენჯერმე უნდა მოგიგონო და შენთვის ვიტირო“.

ოდესაც მაისის თვე დადგებოდა, მაშინ ჩემნი მეგობარნი მოვიდოდნენ და მეტყოდნენ, აბა დღეს ბაღში უნდა შევექცეთ.

მეცა მხიარულობის და მხიარულთა მეგობრების მოყვარე საჩქაროთა გავიდოდით, რომ მისი სანატრელი ჰაერი არა დაგვეკარგა. სადაც საუცხოვოთ გაფოთვლილი კაკალი იდგა, მის ქვეშ მწვანესა ზედა გავეყრებოდით და მის სასიცოცხლოს ჰაერს ვსულდგმულებდით. უკან ესე ყვავილიანი მთა წამოგვადგებოდა, სასიამოვნოს სუნთა მფრქვეველი, წინ ესე გაფოთვლილნი სხვადასხვა ხეხილნი შრიალებდნენ ვაზებითურთ და ჩვენ წინა მცირედი წმინდა წყალი მოწანწკარებდა საწყურისა ხმით.

ოდესაც სადილის დრო მოვიდოდა, მაშინ მკვირცხლნი მოსამსახურენი სადილს გაგვიმშვენიერებდნენ და ჩვენც ლაზათით მგოსნებითურთ შემოვუსხდებოდით და დავიწყებდით შექცევასა. როდესაც სასუფევლიდგან გამოსული წითელი ბუნებითი გულის საფუძველი ძარღვებთა შორის შტოებს რომ გაიდგამდა, სულსა ისრად რომ მოხვდებოდა ტვინსა სტუმრად რომ ეწვეოდა და მისგნით ჭკუასა რომ გამორეკდა, მაშინ ტვინი სიგიჟით რომ აღივსებოდა. მეყვსეულად ქუდთა გავტეხდით და საფეთქელთა ზედა რომ მოვიქცევდით ხოლმე. შემდეგ ერთი რომელიმე ამხანაგთაგანი აზარფეშას რომ აღივსებდა და დაიძახებდა. სადღეგძელო არს მისი, ვინც საყვარელი არს ვისი. ამა ხმასა ზედა ასეთი სიმხიარულე და სიხარული შეიქნებოდა, რომე ვგონებ ესე სიხარული პირველს ხარისხის სიხარულსა ზედა იყო აღწევნილი. რაოდენჯერმე უნდა მოგიგონო შენ სიხარულო და მარად მოგიგონო.

ესე აუზის თავი ვითარ უნდა დავივიწყო.

მე მახსოვს ესე. არაერთხელ, არამედ აღურაცხველად.

ოდესაცა საღამოთი და საამოთი მოიფინებოდა ქვეყანა, მაშინ მე და ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი ამოვიდოდით აქა და მაისის მწვანესა ზედა დავსხდებოდით.

აღმოსავლეთით სრული მორთული მთოვარე თვისის დაწყნარებულის თვისებითა აღმოდიოდა და სასურველსა ბნელსა სინათლესა ზედა გადმოგვაფენდა.

დიანას ვარსკვლავი სატრფიალოს მკრთოლვარებით სიყვარულსა ზედა გადმოგვცემდა და სხვა ვარსკვლავნი სანატრელად ზედა დაგვბჭყვიალებდნენ.

ნიავნი მიმოფიფინებით სხვადასხვა სიამესა ზედა გვაბნევდნენ;

აბა დრონო, ვითარ უნდა დაგივიწყო. რაოდენჯერმე უნდა მოვიგონო და ვითარ მოგიგონო.

ამ ადგილს ნახევარი საათი დავყავ, წარსულთა დროთა დიადის სურვილითა მოვიგონებდი. შემდეგ ყოველი იგი ჩემი სიამოვნე ცრემლით მოვითქვი. მასკვან ამ ადგილს უკანასკნელად გამოვესალმე. როდესაც ავდექ წამოსასვლელად, მერეთ წალკოტიდგან გარეთ გამოველ და მთაწმინდის მხარეს მონასტრის წალკოტისაკენ წავედი. ოდესაც მას წალკოტს დავუახლოვდი, დროშკა მოშორვებით დავაგდე, მე ქვევითი მივედი იქ, სადაც სულ პირველად ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი მენახა და პირველი მისი სურვილი სადაც დამელია.

იყო სამხრეთით კერძო მწვანოვან ყვავილიანი მთა, წინ მინდორი დაჩითულსავით გაშლოდა, ამ მთის ძირში იგი წალკოტი სინაზის გაფურჩქვნილებითა განისვენებდა. წალკოტს ღობე ევლო და ამ ღობის ძირში გარედან ერთი პატარა ვარდის ბუჩქი იდგა, რომელიცა ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი! პირველად ამა ბუჩქთან მენახა. მაგრამ რომელსამე წყეულსა იგი ბუჩქი ამოეღო და წაეღო. რომელსაცა უანგარიშო გმობა დავუწყე. მის ბუჩქის ადგილი ვიპოვნე, ზედ წამოვწექ, მაღლა ავიხედე და ვთქვი.

აი განუზომელი და დაუსრულებელი სივრცე! აი ურიცხვნი დიდნი ძლიერნი ნივთიერებანი ჰაერსა ზედა რიგზედ მიმომცურავნი! ხოლო შენ მიუწვდომელისაგან ქმნილნი!...

ვინ არა განცვიფრდეს შენსა დიდებულებასა და ვინ ფიქრით არ დაიკარგოს შენსა საკვირველებასა შინა!

კიდევ შენგნით საკურველი დაბადებულება, რომელსაცა მისსა ქმნილებასა შინა ჩემი გონება მეკარგების. ესე იგი? ვინ? ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი!

ოჰ, ღმერთო, ვითარ შევიმსუბუქო ესე ჩემი სურვილი? მხოლოდ ესე მაქვს ნუგეშად, რომელ ამა ჩემსა განხურვებულსა სიყვარულსა მივცემ ცენსურასა შიდა დასაბეჭდათ, რათა ყოველთ წაიკითხონ ესე ჩემი ვაება, და ოდეს სცნობენ ჩემსა სურვილსა, მაშინ მათ ვეტყვი, აი, სიყვარული აგეთი უნდა მეთქი.

ღმერთო!

უკეთუ იგი, ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი გასაჩენელი იყო

ქვეყანასა ზედა, მაშა მე რათღა დავიბადე. და უკეთუ მე დავიბადე, მაშა იგი რათღა გაჩნდა. უკეთუ ორნივ დავიბადენით, მაშა ჩვენს გულთა შინა ურთიერთა სიყვარული რათღა დაიბადა. უკეთუ სიყვარული დაიბადა, მაშასადამე ფეხები რატომ არ დამემტვრა, რომ ამ ადგილს არ მოვსულიყავ და იგი სულ არ მენახა, – მაშინ როდესაც რომ ახლა ჩემი გული მისის მოშორვებით მარადის უნდა მეწყვლებოდეს.

თუმცა ესრეთ ვლაპარაკობ და ვყბედობ, გარნა შენვე სინანულით გევედრები უხილავო ძლიერებაო, რომელ ჩემსა ლაყბობასა ნუ შეისმენ და ჩემის სულიდგან მისს სიყვარულს ნუ აღმოფხვრი, რომელიცა არს დაბეჭდილი ჩემს გულსა ზედა.

რასაკვირველია, რომელთაც ცივი და გრილი გული აქვთ, იგინი ჩემსა წერასა ზედა სიცილს დაიწყებენ და ზოგნი განსჯასა შინა შევლენ, ზოგნი სულ მასხრათ ამიგდებენ, რომელთაცა ანაბანა არ ესმით, მაგრამ მე კი არას ვინაღვლი. – იცინე მოცინარო, და განსაჯე მსაჯულო, – ამ ჩემს გულსა ზედა რაც დაწერილია, ვერ ამოფხეკ, თუნდა შენი ფილოსოფია სრულებით დაასრულო.

ამას კი გეტყვი, უკეთუ ჩემს გულსა სრულად გრძნობდე, მაშინ სხვარიგად იტყვი.

დამეხსენით, ისევ ამა სიყვარულსა შინა მოვკვდე და ამა სიყვარულმავე დამმარხოს, მასკვან შენ რაც გინდოდეს, ისა თქვი.

მშვიდობით ჩემო ცხოვრების განმაახლებელო ადგილო და ახლა გამამწარებელო, მშვიდობით.

მრავალი ამისთანა სურვილი ამოვსთქვი, რომელიც თქვენის შეწუხებისათვის აღარ მოვიხსენე და შემდეგ წამოველ.

ჩვენს სახლსა შინა მოველ და ვნახე, რომ ყოველი მზათ იყო. მაღლა ამოველ და ჩემს ოთახში შეველ.

ჩემმა ცოლის ძმამ მითხრა, გასტინაში ერთი ყმაწვილი კაცი, ნიჟეგოროდსკის დრაგუნსკის პრაპორშიკი შენ გელისო.

მე მაშინვე მივხვდი, ვინც იქნებოდა, და ვკითხე, რომელსაც მე მივყავარ, უთუოთ ის იქნება?

– არ ვიცი, მე ეს აფიცარი არ მინახავს და ვერ ვიცნობ, ვინ არისო

– მაშ, შენს გაზდას, ჰკითხე, რა გვარია.

გამოვიდა, მცირეს ხანს უკან ისევ შემოვიდა და მითხრა. ასე თქო, კნიაზს უთხარ, რომ მინიცკი თქვენ გელისო.

– აკი გითხარ, რომ ჩემი წამყვანელი აფიცარი იქნება მეთქი.

საჩქაროთ გამოველ და ბოდიში მოვიხადე, უკაცრაოდ ალექსანდრ ოსიფიჩ.

დავსხედით, ლაპარაკი დავიწყეთ. მასკვან მითხრა, ერთი საწყალი დაჭრილი ყმაწვილი კაცი არის სამხედროს სამსახურიდგანა, გადამდგარი პორუჩიკი და რომელს ღუბერნიას და ქალაქს თქვენა ხართ დანიშნული, ის გადამდგარი იქაური მცხოვრები არის და ახლა ის დიდის ვედრებით ითხოვს, რომ ჩვენ თან წავიყვანოთ?

მე სიხარულით თანახმა შევიქენ. ცოტას ხანს იჯდა, მერე ადგა წასასვლელად და მითხრა:

ამაობაში დაღამდა და საღამო ჟამზე, ჩემი წამყვანი აფიცარი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– „რა დროს წავიდეთ ამაღამ?“

– „სულ მზათ ვართ მეთქი?“

– რაც ბარგი გვქონდა, ბრიჩკაში ჩავალაგებინეთ, და ცხენების შებმის მეტი აღარა აკლდარა ბრიჩკას.

– „მაშ ამაღამ მეცხრეს საათზე მობძანდით ჩემთან და აქედგან წავიდეთ მეთქი.“

თანხმობის თავი დამიკრა, გატრიალდა და წავიდა. მეც ჩემს ე.... შევედი, – მივედი და მშვენიერს თვალებზე ვაკოცე. – მცირეხანს უკან, ბატოიშვილი დედა; ჩემი სიმამრი, ჩემი სიდედრი ჩემის ცოლის ძმითა, ჩემი უნცროსი ძმა, ჩემი მეგობარი – პავლე თუმანოვი, – ჩემი ნათესავები, და დახავსებული მოხუცებულობისაგან ჩემი გამზდელი ჩვენთან შემოვიდნენ. – დავსხედით, და ლაღობა დავიწყევით. საკვირველი იყო, ყველანი ვმხიარულობდით. ვგონებ მიზეზი ეს იყო, რომ ბატოიშვილმა დედამ ადრევე ბძანა. „თუ შეწუხებულს ვნახამ ვისმე, ჩემი მკვლელი იქნებაო.“

მცირე ხანი გამოვიდა, ბიჭი შემოვიდა და მითხრა.

– სოფლიდგან თქვენი თათრები გიახლნენ და თქვენი ნახვა სურთო.

– ვინ არიან მეთქი?

– ერთი სოფლის ქემხა გახლავთ, მეორე მოხუცებული აჰმადა და მესამე თქვენი მოსამსახურე ყურბანაო.

ავდექ და რომელს სახლშიაც ისინი იყვნენ, იქ გამოველ. – იმათ დაბლა თავი დამიკრეს, – მიველ და სკამზე დავჯექი, მერეთ მოვი-

კითხე. – იმათ მადლობა მითხრეს, მასკვან მკითხეს, როდის მიბძანდებითო.

– ამ ღამეს მეთქი.

ჯერ ქემხა მოვიდა ჩემთან, გადამეხვია და ცრემლით გამამესალმა. მასკვან მოხუცებული აჰმადა მოვიდა, კისერზე გადამეხვია, აქეთ იქით მაკოცა და ცრემლით მითხრა, მე მოხუცებული ვარ, ან კიდევ გნახავ, და ან სულ აღარა. შემდეგ ჩემი მოსამსახურე ყურბანა მოვიდა, დაიჩოქა, მუხლებზე მამეხვია, თავისი სამსახური მწარეს ცრემლით მოსთქო და მითხრა, მე უშენოდ რადღა მინდა სიცოცხლე, ვისღა ვუყურო, ვისღა ვეტრფიალო, ჩემი ცხოვრების ცეცხლი ახლა განქრა. – ისინი იქითკენ იდგნენ და მწარედ ქვითინებდნენ.

მე მათ ნებას არ ვაძლევდი ტირილისას და გულს უმაგრებდი.

ჩემმა ყურბანამ მითხრა, ჩემო ბატონო, ჩემო მფარველო, ამთენი შენი სიყვარული ვინ უნდა მოითმინოს. შენ ხომ ჩვენი ბატონი არ იყავი. მიწაზე დაეცა, ფეხებზე კოცნა დამიწყო მწარეთ მტირალმან. – თუმცა ჩემი გული ამასა ზედა იგლიჯებოდა, მაგრამ კიდევ მოვითმინე და დავამშვიდე ესენი. შემდეგ ვუთხარ, ბატოიშვილმა არ შეიტყოს, თორემ ავათ მოგეპყრობათ მეთქი. დავაჩუმე ესენი, მერეთ დავითხოვე და წავიდნენ.

მეც გამოველ და ბატოიშვილთანვე მინდოდა შევსულიყავ; საწყალი მოხუცებული ჩემი გამზდელი ზალაში დამხვდა. მოვიდა, გადამეხვია, თვალებზე, ლოყებზე დამკოცნა, მერეთ გულზე მიმიკრა და საცოდავის ცრემლით მითხრა. ეს ეს არის ჩემი თვალები უკანასკნელად გიყურებენ შენ. – მე დამარხვას შენგნით მოველოდი, მაგრამ ჩემი უბედურების გამო, ესეც აღარ მეღირსება. მშვიდობით შვილო. – მაგრად მიმიკრა გულზე და შესაბრალისის ქვითინით განმეშორა. –

მე ყოველი მისი ჭირნახული ანუ სიამოვნე სრულებით წარმომიდგა და ასეთმა მწუხარებამ მამიცო, რომ უთუოთ მეგონა, გულს შემამეყრება მეთქი. მაგრამ კიდევ გული გავიმაგრე და შეუმცნევლად სიცილით ისევ შეველ, სადაც პირველად ვიყავ.

პატარახანს უკან ჩემი მამიდაშვილი, თ˜ა თადია ჩოლოყოვი, სოფლიდგან ჩამოვიდა, შეწუხებული გადამეხვია, და მრავლობით დამკოცნა.

მკითხა – როდის მიხვალო? –

– ამაღამა მეთქი.

კიდევ ხუმრობის სიცილს მოვყევით. შემდეგ დავსხედით და ლაპარაკი დავიწყევით, ამაობაში კიდეც დაღამდა. –

გოსტინის ოთახში ფეხების შრიალის ხმა შეიქნა.

ჩემი უნცროსი ძმა შემოვიდა და მითხრა მინიცკი მოვიდაო[1]. ავდექ, და გამოველ. –

მინიცკი ჩემთან მოვიდა, ერთი ყმაწვილი კაცი მოიყვანა და მითხრა, მე რომ გითხარით, ეს ის არის. გთხოვთ, იცნობდეთო.

მეც მას ხელი გამოვართვი და ვთხოვე ახლო მცნობობა,– იმანაც ეგრეთვე მთხოვა.

– მასკვან ვთხოვე, თუ უკაცრავად არ ვიყო, გთხოვთ, თქვენი ვინაობა მაცნობოთ.

– მე ვარ გადამდგარი პორუჩიკი გვარათ კაროვინი და სახელი ნიკალაი ადრეიჩი მქვიანო.

– მერეთ ვუთხარ, ვიმედოვნებ, რომ მხიარულად წავიდეთ მეთქი. – ისიც სიხარულით დამპირდა. დავსხედით და სხვადასხვა ლაპარაკი დავიწყევით. შემდეგ მინიცკიმ მითხრა, დრო არის, წავიდეთ, ცხენები ფოშტიდგან მოიყვანესო.

– ალექსანდრ ოსიფიჩ, გთხოვთ მოითმინოთ. ჯერ ჩაი დავლიოთ, მასკვან ვახშამიც კარქა ვჭამოთ და ვახშამთ უკან წავიდეთმეთქი.

– თქვენი ნება იყოსო.

მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, ჩაი დავლიეთ, ნახევარ საათს უკან ვახშამი მოიტანეს. – რომელნიცა ყველანი ზალაში გამოვიდნენ და მე ისევ ჩემს ე. . . . შევედი.

ჩემი ბედნიერების ვარსკვლავმა მთხოვა, რაც ამ სახლში ხატები ასვენია, ყველას თაყვანი ეც და ემთხვიეო.

მე სწრაფად აღვასრულე ესრეთ. და ჩვენს სახლში რაც ხატები იყო, ყოველთ გულმხურვალედ თაყვანი ვეცი და ვემთხვიე. – მასკვან ჩემს ბედნიერების ვარსკვლავთან მივედი და დივანსა ზედა გვერდით დავუჯექ.

დივანზე ერთი მუთაქა იდო. ის მუთაქა ჩემმა ბედნიერების ვარსკვლავმა შუაზე დადო. ჩვენ იმაზე აქეთ იქით მკლავებით დავ-

[1] ჩემი წამყვანი აფიცარი. –

ეყუდენით და პირდაპირ პირები ასე ახლოს გვქონდა, რომ სამი თითი არ გაიმართებოდა ჩვენს პირებსა შორის. აქ აღარ ვიცი რა უნდა ვთქო.

ორნივ სრულად ვგრძნობდით უკანასკნელსა ჟამსა. ორნივ უკანასკნელის სურვილით ერთმანეთს გადავეხვიენით. ხან მაგრად მაგრად გულებს მივაკრევდით, ხან თვალთა თვალებსა ზედა დავაყრიდით, ხან ტუჩებსა ერთმანეთსა განვართხმიდით და უკანასკნელსა ნეტარებას ერთმანეთის სულებიდგან აღმოვიღებდით და გულებსა ზედა დავასხევდით. მაშინ იყო ჩვენი სიკვდილისა და სიცოცხლის წამი.

და მინამ ისინი ვახშამს აიღებდნენ; მე და ჩემი ე. . . . უკანასკნელად *ვტრფიალებდით*, ვესამლებოდით ერთმანეთსა საშინელის მწუხარებით. ვახშამი რომ აიღეს, – ყველანი ჩვენთან შემოვიდნენ, ბატოიშვილის გარდა.

– მე ვკითხე – „მერამთენე საათი არის? მეთქი?“

– მითხრეს მეთერთმეტე საათი არისო.

მცირეს ხანს იდგნენ ჩვენთანა და მერე გავიდნენ. – მე ვიგრძენ, რომ დრო მოვიდა წამოსვლისა.

ჩემს ე. . . . გადავეხვიე, და ვაკოცე, შეიტყო უკანასკნელი განყრის გადახვევა იყო, მაშინვე გადამეხვია, გულზე მიმიკრა, და მითხრა, აქვე შენთან მამკალ, და შენის ხელებით დამმარხე. *მე უშენოდ ვერ მოვითმენ და ვერ გავუძლებო.*

ვნახე მეტი მწუხარება განმრავლდებოდა, ამისთვის გულმაგრა ვუთხარ. „ეხლა რო არ მივდივარ.“

– მაშ როდის მიხვალ?

– გათენებისასამეთქი. –

– მეტათ იამა, და მრავალი მადლობა მითხრა. –

მინუტნახევარი აღარ გამოვიდა, წამოვდექ, და ვუთხარ, აბა ერთი შემამხედე; – რომელმანცა შემამხედა, – და მე ჩემს თვალებს ვუთხარ. – თვალნო ჩემნო, ესესარი უკანასკნელის ამის ჭვრეტით გაძეღ, და წამსვე განეშორე.

ჩემთა თვალთა მხედველობა, მისთა თვალთა მხედველობისა შიგან განუწონე, და მისი თვალთა მხედველობა, ამა ჩემთა თვალთა მხედველობასა შიგან განმეწონა, და მე ასე მეგონა, ურთიერთთა მაღნიზნი, გულსა ზედა გადაგვეხვია მეთქი. რაოდენსამე მინუტსა

ერთმანეთსა თვალთა შევცქეროდით. – ჟამი რომ მოვიდა ჩემი აქ-ეთკენ წამოსვლა, მყისვე გამოვტრიალდი, ერთი მხოლოდ ეს კიდევ დავიძახე: მშვიდობით! და მეორეს ოთახში გამოველ.

ამ მეორეს ოთახში მესმოდა მოსაწყვლელი ქვითინი იმ ოთახი-დგან, სადაც პირველად მე ვიყავ. ესე ტირილი ვიცან, რომ ჩემი ე. . . . ტიროდა.

ამ წუთს ერთი ღვთიანი ადამიანი არავინ არ გამოჩნდა, ამ ჩემს გულსა ზედა მახვილი დაეცათ, და ის ცრემლი ჩემს გულსა ზედა დამყრიყო, რომ ჩემს უკანასკნელს სულთქმას მისის ცრემლისათ-ვის ეჭვრიტა. ვითარი ბედნიერი ვიქნებოდი.

დაუყოვნებლივ გამოველ, რომ ის მოსაწყვლელი ხმა აღარ გამეგონა, დედაჩემთან და ბატოიშვილთან შევედი ზალის გვერ-დით ოთახში, სადაც თვითონ ბძანდებოდა, რომელმაცა გვერდით დამისო და მაგრის სიტყვით მიბძანა.

– „წადი შვილო, ღვთისთვის მიმიბარებიხარ. უბედურებას ნუ გაუტყდები. ამისთვის, რომ ქვეყანაზე ბევრი უბედურნი არიან და ერთი ჩვენი სახლიც იყოს. ამ ცოტას ხანში მეც გამამისტუმრებენ კალუღისაკენ, რომელიცა განსვენებულის გულით მივდივარ; თუ შენ ჩემი შვილი ხარ, შენც ჩემსავით მაგრა იყავი და უბედურე-ბას ნუ გაუტყდები. კარგი, ადეგ წადი; ღმერთი იყოს შენი შემწე.“ ამასთანვე ავდეგ და საჩქაროთ გამოველ.

როდესაც ზალის წინ ოთახში გამოველ, ამ ოთახსა მარჯვენა მხარეს კარები ჰქონდა, ეს კარები ღია დამხვდა. კარების წინ სხვა ოთახი იყო, სადაცა ბატოიშვილი დედა ბძანდებოდა. ამ ღია კარე-ბის წინ იმ ოთახს კედელში თახჩა ჰქონდა დატანებული და ღვთისმ-შობლის ხატები ესვენა. ბატოიშვილს დედას ამა ხატებისათვის წმინდა სანთლები ჩამოემწკრიებინა. მათ ხატებთა შევხედე, რომ გაბწყინებულნი ესვენნენ. – პირჯვარი გამოვისახე და დაბლა თაყ-ვანი ვეც.

ბატოიშვილის დედიჩემის მშობლიური, გონიერებითი ჩემდამო ალერსი ტრფიალება და სიყვარული ყოველივე ჩემ წინ გამოსახ-ული დავინახე, და ერთიანი ფიქრი მამივიდა, რომ მინდოდა, მას ოთახსა შინა შევარდნილიყავ, დედაჩემს მუხლებსა ზედა მოვხ-ვევიყავ. უკანასკნელის სავალალოს ცრემლით გამოვსალმებიყავ, მაგრამ წამსვე ესე ფიქრი განვაგდე. ამისთვის ჩემს თავს ვუთხარ,

თავო ჩემო, ნუ ლაყბობ, საითკენაც მიდიხარ, ისევ იქითკენ გასწიე. – ეს კი ჩემთვისა ვთქვი.

ბატოიშვილო დედაო, ნეტავ ერთი კიდევ მეღირსოს შენი ნახვა და მასუკან თუნდა მოვკვდე, აღარას ვინაღვლიმეთქი.

ეს სიტყვა რომ ვთქვი, ამ ოთახში ვიღამაც ტირილი დაიწყო. ჩემმა უნცროსმა ძმამ მყისვე ხმა ჩააკმენდინა მას მტირალსა და გაჯავრებულმა უთხრა. ღმერთს ვფიცავ, რომელიც იტირებს, პირში სილას შემოვკრავო. ამ სიტყვაზე ყველამ გაიცინეს. და მეც სიცილით კარზე გამოველ. ბატოიშვილმა დედამ გალერიის ფანჯარა გააღო, ფანჯარაში გამოიხედა. – დიახ კასკასით იცინოდა. მე ჩემთვის ვთქვი. – პირათ იცინი, მაგრამ ეგ შენი გული ვინ იცის, რავდენის მახვილებით ივსება.

კარზე რომ გამოველ, მოხუცებულნი ჩემი სიმამრ სიდედრი, ჩემის პატარა ცოლისძმითა, ჩემი უნცროსი ძმა, ჩემი მეგობარი პავლე, ჩემი ნათესავნი, ჩემი კეთილის მყოფნი და ჩვენი ერთობით კერძობანი, ესენი სულ თან გამამყვნენ. ყველას მოვხედე, ქუდი მოვიხადე და თავის დაკვრით დავიძახე – მშვიდობით! და კიბე ზე ძირს ჩამოველ.

რაც ქალები იყვნენ, სულ იქ მაღლა დარჩნენ. კაცები სულ ქვემოთ ჩამამყვნენ. ადრევ ყველას პირობა გამოვართვი, რომ კოცნით არ გამოვესალმები, თვინიერ ცარიელის სიტყვის მეტი სხვა გამოსალმება არ იყოს მეთქი. ამისთვის არავის არ ვკოცნიდი.

დიახ წვიმიანი წყვდიადი და მოელვარე ჭექიანი ღამე იყო, ასე რომ ახლოს ერთმანეთსა უსინათლოთ ვერ დაინახავდნენ, თუ არ გაიელვებდა, მაგრამ ამდენი ანთებული სანთლები და ფარნები დაჰქონდათ მაღლა თუ ქვემოთ, რომ თითქმის დღესავით ჰჩანდა. ერთი კიდევ აქ გამოვეთხოვე ყოველთ და ალაყაფის კარებში გამოველ.

მაგრამ ასეთი ელვაჭექა იყო და ასეთი თქეში წვიმა მოდიოდა, რომ საშინელება იყო. შინაურები ჩვეულებისამებრ ამბობდენ „მშვიდობიანი მგზავრობა ექნება და ღვთის მოწყალებითაც ჩქარა დააბრუნებენ, ამისთვის, რომ თვითონ ზეცა მოასწავებს.“

ამ ჰაერის საშინელებას არა დავდიერა და მოაჯირზე ყველას გამოვეთხოვე. გამოვტრიალდი, კიბე ჩამოვირბინე, ეზო გამოვიარე, ალაყაფის კარში გამოვედი და ბრიჩკაში ჩავჯექი. ჩემი ჭეშმარიტი

მეგობარი თ˜ა პავლე თუმანოვი მოვიდა ჩემთან და მწარეს ტირილით მითხრა. – „საყვარელო მეგობარო ალექსანდრე. მე ვგრძნობ, შენ მშვიდობით დაგაბრუნებენ, მაგრამ მე ცოცხალი აღარ დაგხვდები, ამისთვის გთხოვ, ერთი უკანასკნელად მაკოცნინე პირზე, რომ საუკუნო გამოსალმება იყოს.“ *შევხედე, ამისი სიყრმითი მეგობრობა, ვიდრე აქამომდე სრულად თვალთ წინა წარმომიდგა და ასეთმა სიმწრითმა მწუხარებამან მამიცო, რომ ამა ზეცისა დანატეხი თავსა ზედა დამდის მეთქი. თუმცა მინდოდა, გადავხვევიყავ და ტირილით გამოვსალმებიყავ, მაგრამ კიდევ მოვითმინე და ვუთხარ, გთხოვ, მოთმინებით იყო, მეგობარო.* მე სიტყვის თქმა ვეღარ მოვასწარ, რომ მოხუცებული ჩემი სიმამრი თ˜ა დავით ბარათოვი მოვიდა ტირილით და თავის თავზედაც ეს აზრი დაამტკიცა. *მე მაშინვე ჩემი სიმამრი, ჩემი სიდედრი, ჩემი ცოლისძმა და ამათი სიყვარული ყოველივე მომაგონდა და უფრო ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი! და ახლა თვალები ცრემლით აღმემსო, მაგრამ წამსვე იგი ცრემლი უკუვე ვიყარე და სიცილს მოვყევ.* მასკვან ჩემი მამიდაშვილი თ˜ა თადია ჩოლოყოვი ტირილითვე მოვიდა და თავის თავზედაც ეგრეთვე დაამტკიცა. *შეწუხებულმა მთხოვა, რომ მეკოცნა, თუმცა მე ნება არ მივეცი, მაგარამ მისი ნათესაობითი სიყვარული და ერთგულება სრულად მომაგონდა და ესრეთ შევწუხდი, რომ გაშტერებული დავრჩი, არ ვიცოდი, რა მექნა. ჩემ ცოლშვილებსაც ვეღარ ვაკოცე, თვინიერ ჩემი ცოლის გარდა.* მაგრამ მე მაინც არავის არ გამოვესალმე, ამიტომ, რომ ბატოიშვილმა დედამ ადრითვე მიბძანა; „კოცნით გამოსამლება უწინდელს დროში არ იცოდნენ და ნურცარავის შენ გამოესამლები ჩემო ალექსანდრეო.“ ამისთვის დედიჩემის ბძანება აღვასრულე, რომ ჩემ ცოლშვილებსაც ვეღარ ვაკოცე უკანასკნელად. –

შემდეგ ჩვენს გალერის შევხედე, – ჩემნი კეთილის მყოფნი, ჩემნი ნათესავნი, ჩემი სამი პატარა შვილები ხელში ეჭირათ და ესენი სულ ერთათ შეწუხებულნი გადმომდგარნი მიყურებდნენ, მაგრამ ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი! არა ჰჩანდა, სად იყო. მაშინვე ვიგრძენ, რომ იმ ოთახშივე დარჩა მტირალი. – აქ ვეღარას ვიტყვი. შენ წამკითხველო, თვით წარმოიდგინე, ვითარი მწუხარება მმართებდა. მაგრამ მერწმუნე, გული ასე გავიკაჟე, რომელ სრულებით არ შევიმჩნიე მწუხარება.

აქ ჩემს გვერდით ჩვენი მოსამსახურენი გარსა მამადგნენ გულხელდაკრეფილი და შეწუხებით მიყურებდნენ.

მიკვირს, რამდენს მწუხარებას ვუყურებდი, რატო გულს არ შემამეყარა, მაგრამ ჩემი იმედი ჩვენი ხელმწიფის სამაგალითო მოწყალებანი იყო.

საჩქაროთ ავედი წამოფარებულს ბრიჩკაში, უკან გადავჯექ. აქეთ გადმოვხედე, ჩემი უნცროსი ძმა დავინახე. თუმცა შეწუხებული სახე ჰქონდა, მაგრამ განგებ იცინოდა, მხიარულობდა,– მე ასე მიამა ეს, რომ დიდი ნუგეში მამეცა.

ბრიჩკაში ჩემთან ჩაჯდა ჩემი წამყვანი აფიცარი, პორუჩიკი მინიცკი. ერთი გადამდგარი აფიცარიც წავიყვანეთ ორენბურღამდისინ და ერთი საკუთარი ჩემი ბიჭიც გამამატანეს ჩემ მოსამსახურეთ. –

მინიცკი ჩემ გვერდით დაჯდა, ჩვენს პირდაპირ წინა კაროვინი დაჯდა და კოზლაზე იემშიკის გვერდით ჩემი სარქისა ბიჭი მოუჯდა, რომელიცა თან წამოგვყვა.

ერთი ესლა დავიძახე. მშვიდობით! და ქუდის მოხდით ვთქვი.

ყოველთა უმდაბლესადა გთხოვთ, რომ ნუ შესწუხდებით და იემშიკმაც ცხენები სწრაფად გააქანა.

ჩვენი მოსამსახურე თათუ და ჩემი რძლის მოსამსახურენი ანთებულის ფარნებით, ცხენებით თან გამოგვყვნენ და ბრიჩკას წინ მიუძღოდნენ.

ამა ქალაქსა შინა ბრიჩკა სწრაფად მირბოდა. ბრიჩკას დიშლაზე პატარა იემშიკის ზარი ება და ამ ზარის წანგის წუნგის ხმასა ესე ქუჩები მოეცო.

კაროვინმა იკითხა, დღეს რამთენია ამ თვის რიცხვი და ანუ მერამდენე საათი არის.

მე მწუხარებით პასუხის მიგება არ შემეძლო და მინიცკიმა უთხრა. მართლა კარგათ მომაგონე, ნიკალაი ანდრეიჩ, გთხოვთ დაისწავლოთ დღევანდელი დღე, ჩვენი ტფილისის ქალაქიდგან გამოსვლაო.

იმან ჰკითხა, დღეს რამდენი რიცხვი არის?

– 1834-ი წელი, ივლისის 17-ი დღე, შუადღიდგან მეთერთმეტე საათი არის.

იმან უთხრა, ეგრე იყოსო და მერეთ დაჩუმდნენ.

ქალაქი ესე სწრაფად გავირბინეთ და ვერის ზასტავაზე რომ მივედით, ყარაულმა ატკრიტი ლისტი მოითხოვა. მინიცკიმ თავისი სახელი განუცხადა და დაუყოვნებლივ გაგვიშვეს. ამა ზასტავას რომ გავსცილდით, თვალთ ცრემლი მამერია და ჩემს გულში ვთქვი. „მშვიდობით საყვარელო მშობელო დედავ ბატოიშვილო! ჩემო მოხუცებულო სიმამრ-სიდედრო, ჩემო ცოლისძმაო, ჩემნო ძმებნო, ჩემო რძალო და ჩემო ძმისწულო, ჩემო საუკუნოვო ერთგულო მეგობარო პავლევ, ჩემნო კეთილისმყოფნო, ჩემნო ნათესავნო და უნამეტნავესად შენ, ჩემო სიცოცხლეო, ჩემო კატინო და საწყალნო ჩემნო წვრილნო შვილნო, მშვიდობით!. იქნება ვეღარ მეღირსოს თქვენი ნახვა.

ოდესაცა საშინელსა მას დღესა ზეცისა საყვირისა ზარნი სრულის ქვეყნით უანგარიშოთა რიცხვით, მკვდრეთით აღდგომილთა სულთა ერთად შეჰკრებენ ქვეყნის საყდართა ზედა განკითხვად, რომელსაცა ძალნი ცათანი თანა მოჰფრინდებიან და განკრძალვით ემონებიან, ნუთუ მაშინ გნახოთ და აქ აღარ.

ახ, ნეტავ მაცნობა, ეხლა ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი რას ფიქრობს, მე ის მტირალი დაუტევე. იქნება, კიდევ სტიროდეს. ესრეთ ვფიქრობდი და ბრიჩკა ზარის ცემით სწრაფად მირბიოდა.

ოდესაც გაიელვებდა, ჩემი ბედნიერების ვარსკვლავსა ელვით გამომკრთომარსა დავინეხევდი, ოდესცა ცა ზრიალით ქუხილსა განაგრძელებდა, მაშინ მის ტირილისა ხმა ყურთა მესმოდა და ოდეს ცვარი ზეცისა დამესხმოდენ, მაშინ მისის ცრემლი გულსა ზედა მებნეოდა.

რაწამს ბრიჩკაში ჩავსხედით, მაშინ ჭექა დაწყნარდა და აღარც წვიმა მოდიოდა. ბრიჩკაში რომ გავსწორდით, ერთი ესღა დავიძახე, მშვიდობით! და იემშიკმა ბრიჩკა გააქანა და დუგაზე დაკიდებულმა ზარებმა წკრიალი დაიწყეს.

ბრიჩკა დაუყოვნებლივ მირბიოდა, ცაცა ელვა შუქისაგან დასცხრა და აღარც წვიმა მოდიოდა. მხოლოდ დიახ ბნელი ღამე იყო, ამისთვის ფარნები ეგრეთვე წინ მიგვიძღოდნენ. როდესაც დიღმის ვიწროებსა გავცილდით, აქ ჩვენი მოსამსახურენი დავითხოვე, რომელნიცა ფარნებით მოგვდევდნენ. იგინი ცხენებიდგან გადახდნენ, მოვიდნენ, ხელი მთხოვეს საკოცნელათ, მე მათ ხელი არ მივეცი, ისე, სიტყვით გამოვესალმეთ და ჩვენებიანთთან მოკითხვა დავაბ-

არე. მათ თავი დამიკრეს და წავიდნენ.

ჩვენ ჩევნს გზასა შევუდექით, მაგრამ ესე გზა დიახ ტალახიანი იყო, ასე რომ, ნახევარს ადლზე მიარღვევდა ბრიჩკის თვალი. აქ ცხენებმა ველარ იმუშავეს, ნაბიჯის სიარულით წავიდნენ. მინამ დილმის მინდორს გავივლიდიდთ, მანამდისინ ცხენები დაგვიცვივდნენ. იემშიკმა გვითხრა, ცხენები სულ დადგნენო. ჩვენ ბრიჩკა დავაყენებინეთ, ცხენები გამოვაშვებინეთ და ჩვენ ბრიჩკაშივე დავიძინეთ.

ოდეს 18-ის ივლისის ალიონმა ზეცასა შინა აიწია, მე მაშინვე გამამეღვიძა და ჩლუჩვნას მოვყევ, ვითომც ეგება ჩემმა ამხანაგებმაც გაიღვიძონმეთქი.

იმათაც გამოიღვიძეს, საჩქაროთ ბრიჩკა შევაბმევინეთ და საჩქაროთვე წავედით. მცხეთის ვიწროებსა შინა შევედით. მე კიდევ დიახ მწუხარებამან შემიპყრა და უკანა ბრიჩკაზე გადავესვენე.

მინიცკიმ მითხრა. კნიაზო, აბა პირდაპირ შეხედე.

– აბა, რა არის?

– აი მცხეთის ეკლესიის გუმბათი გამოჩნდა.

პირდაპირ შევხედე. ეკლესიის გუმბათი დავინახე. მაშინვე ქუდი მოვიხადე, დაბლა თაყვენი ვეცი. ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი მომაგონდა, ერთათ რომ ვიყავით მას ეკლესიასა შინა და სვეტიცხოველს თაყვანი ვეცით.

კარზე რომ გამოვედით, მაშინ ჩემმა ბედნიერების ვარსკვლავმა სატრფიალოს სიცილით მითხრა, მე იცი ღმერთს რა ვთხოვეო.

ღმერთო, ჩემს ქმარს შენ მოგაბარებ, რომ სხვა არავინ არ შეუყვარდეს ჩემ გარდაო.

მე გამეცინა, ხელი გამოვართვი, იმის ხელი ჩემს გულსა ზედა დავიწყე და ვუთხარ, ამ გულს ენდე მეთქი, მასკვან მრავლობით ვაკოცე იმის ხელებსა.

კიდევ ამ ბრიჩკასა შინა ვთქვი, მერწმუნე, მე შენს მეტს არავის არ შევიყვარებ და მარადის შენით ვიცოცხლებ.

ამა ფიქრსა შინა ვიყავ და კიდეც მივედით მის ეკლესიის სოფელსა შინა. ამა სოფლისათვის უნდა გადაგვეარა და ჩვენს გზაზედვე უნდა წავსულიყავით. ოდეს ამა ეკლესიასა დავუპირდაპირდით, კიდევ ქუდი მოვიხადე, თაყვანი ვეც და ვთხოვე, შენ გევედრები უფალო, ჩემი საქმე კეთილად წარმართო. გავიარეთ, წავედით და

ღართისკარსა შევედით. მიმავლობაში ერთი ურემი დავინახე ჩვენ-ზედ კარგად წინ, გზიდგან მარჯვენა მხარეზე. გადასულიყვნენ, ხარები გამოეშოთ და ესე პირუტყვნი მწვანესა ზედა ბალახს სძოვდნენ. როდესაც ურემს დავუპირდაპირდით, ერთი საშუალო ხნის დედაკაცი ურემს გვერდით უჯდა; შევხედე, ჩემი პატარა შვილის, დათიკას ძიძა იყო, რომელსაცა ძუძუ გავაშვებიეთ და ქართლში მიდიოდა თავის სახლსა შინა. ბრიჩკა დავაყენებინე.

დავუძახე.

– თინათინა ძიძავ, შენა ხარ? და ასეთი სიხარულით დავუძახე, მეგონა ჩემ დათიკას გადავძახე მეთქი.

წამსვე მიცნა, წამოვარდა, მოვიდა, ორი მუხლით ჩემ წინ დაიჩოქა: შესაბრალისად დაიწყო ტირილი. მე საჩქაროთ ჯიბიდგან ორი მინანთული ამოვიღე, მივეცი. მინდოდა, მეკითხა რამე, მაგრამ ასე საზაროდ დაიწყო მოთქმითი ქვითინი, რომ მე მეტის მწუხარებით ვეღარ მოვითმინე, სწრაფად ბრიჩკა გავარეკინე, კიდევ მისი საცოდავი ღრიალი დიახ შორს მესმოდა და ცხენები უფრო ჩქარა გავარეკინე, რომ მისი ტირილი აღარ გამეგონა. მივედით და ღართისკარის ფოშტაში გადავხტით.

მეფოსტეები შემოგვეგებნენ, ბრიჩკის ცხენები საჩქაროთ გამოუშვეს. მინიცკიმ ფოშტის ნაჩალნიკს ჩაიდანი აადუღებინა. რაღა განვაგრძელო, თეთრის ნემეცის პურით ჩაი დავლიეთ. ასე მიამა ესე ცხელ ცხელი ჩაი, რომ თითქმის გავმხიარულდი. მესამე სტაქანს დავუწყე სმა და ნახევრობამდისინ რომ დავლიე, ამ დროს ეკიპაჟის ხმა შემოგვესმა. მცირედი ხანი აღარ გამოვიდა, ეს ეკიპაჟი ჩვენს ახლოს მოიტანეს. შიგ ვიღაებიც ისხდნენ. შევხედე, ჩემი მეგობარი, თ˜ა ალექსანდრე სუმბათოვი, თავის ცოლი სოფიო თავისი პატარა შვილი გიორგითი, რომელიც არის ჩემი ნათლული, ესენი ერთის მოახლით ჩვენს ახლოს გადახდნენ და ჩვენთან მოვიდნენ.

მე დანახვისვე უმალ წამოვხტი, წინ მივეგებე, სხვადასხვის ლაპარაკით გამოვიყვანე ერთს გაფოთვლილს მუხის ქვეშ მწვანეს ბალახსა ზედა, სადაც გაშლილი ხალიჩა იყო, მას ზედა დავსხი და მეც გვერდით დავუჯექ.

მითხრეს, თუმცა ქალაქიდგან გამოისწრაფე, მაგრამ აი მოგეწიენითო.

მე მადლობა გადვიხადე. მასკვან მინიცკი, კოროვინი გავაცან.

ისინიც ჩვენთან დასხდნენ და ეგრეთვე ლაპარაკი დავიწყევით.

მინიცკიმ ჰკითხა.

– საითკენ მიბძნდებით?

მან უპასუხა.

– ჩემი შვილი ცოტათ შეუძლოთ შეიქნა, სოფელში მიგვყავს ჰავის გამოსაცვლელათა.

– რომელს ადგილს მიგყავთ?

– გორის უეზდში, სოფელს ქვიშხეთს; სადაც ჩემი მეუღლის ბებია დგას, მასთან მიგვყავს, დიახ კარგი ადგილი არის.

ჩაის დალევა ვთხოვე მათ, რომელთაცა მითხრეს. კარგი იქნება.

შემდეგ ჩაი ვუთავაზე და ჩაი რომ დალიეს, ჩემმა მეგობარმა საუცხოვო საუზმე მოატანინა, მას კარგად შევექეცით. ოდეს წითელმა ღვინომ ტვინი გაგვიცხელა, მინიცკიმ სტაქანი აიმსო, ჩემი სადღეგძელო სავსე სტაქანი სრულად დაცალა, ეგრეთვე ყოველთ დალიეს. მეც სამადლობელო დავლიე. მერეთ მინიცკიმ მჭრელი დანა აიღო, მას მუხისა ხესა ზედა ასე გამოსჭრა. – 18 – 7-ს/18-ს – 34-ს. მასკვანა თქო, ესე კნიაზის სახსოვრათ იყოს. მე მადლობა გადვიხადე. შემდეგ ავდექ, მას გამოჭრილსა სამჯერ ზედაზედ ვაკოცე და კიდეც ავდექით წამოსასვლელად.

ბრიჩკა ექვსცხენშებმული მოიტანეს; მე საათი ვნახე, რომ პირველისა ნახევარი იყო. მინიცკის ვკითხე, ტფილისის ქალაქიდგან აქამდისინ რამდენი ვერსტი არის მეთქი?

იმან მარშრუტი ამოიღო გულზე საკიდებლის წიგნიდგან, გაშალა და მითხრა. 27-ი ვერსტი არის. მერეთ მოვტრიალდი და მათ გამოსალმება ვთხოვე.

იგინი მწუხარით გამამესალმნენ. მასკვან ჩემი ნათლული ავიყვანე, მრავალი ვაკოცე და შემდეგ ბრიჩკაში ჩავსხედით. უკანასკნელად თავი დავუკარით და გავსწიეთ.

ბრიჩკას ცხენები ესრეთ ჩქარა მიარბენინებდნენ, რომ თვალთა წინწკლები გვცვიოდა. მე კიდევ მწუხარებამ შემიპყრა და ეგრეთვე დაღონებული მივესვენე უკანას ბრიჩკის ფრთასა ზედა; არ ვიცოდი, ჰაერსა ზედა მივდიოდი თუ ქვეყანასა ზედა. თავი მოწყვეტილსავით მარჯვენა მხარეზე გადვიგდე და გულიდგან სამძიმო ოხვრანი აღმომვარდა და აღმომვარდა.

ცხენებმა დაუსვენებლივ ირბინეს დუშეთის შუაგზამდისინ.

როდესაც შუაგზამდინ მივედით, აღმართიანი გზა შეუდგებოდა. აქ ცხენებმა ველარ იმუშავეს და ნაბიჯის სიარულით წავედით. დუშეთამდისინ რას ყოფით მივედით და ტრახტირში გადავხდით. ფოშტა ამ დუშეთშივე იყო.

მინიცკიმ მითხრა, 24 ვერსტი ღართისკარიდგან ძლივს არ გამოვიარეთო. რაღა გავაგძელო.

ტრახტირში ერთი საათი დავყავით, სამოვარი ავადუღებინეთ, თეთრის პურით ჩაი დავლიეთ, სამხარს შევექეცით, მერეთ ფოშტიდგან ცხენები მოიყვანეს, ბრიჩკაში შეაბეს და აგრეთვე ჩვენ გზას შევუდექით. იყო საღამო ჟამი, ესე დუშეთის აღმართი თვალ ნათლივ ავიარეთ. როდესაც პირიქით ანანურის ხეობაში გადავედით, აქ სრულებით დაღამდა. თუმცა მოწმენდილი ვარსკვლაებიანი ღამე იყო, მაგრამ დიდათ ბნელოდა, გარნა იემშიკი ესრეთ მიარბენინებდა ბრიჩკას ამ ცუდ გზაზე, რომ ეტყობოდა, არაერთგზივ გაეარა ამა გზასა ზედა. მიგვიყვანა და ანანურის ფოშტაში გადაგვახდინა.

მე ფოშტის სახლში შეველ, საათი ამოვიღე, ვნახე, რომ მეცხრისა სამი რუბი იყო გასული. მინიცკის ვკითხე. დუშეთიდგან აქამდისინ რავდენი ვერსტია მეთქი?

– თერთმეტვერსტნახევარი არისო. 11 $^1/_2$.

ამა ანანურში ფოშტის ცხენები საჩქაროდ შევაბმევინეთ. ფოშტიდგან ერთი ცხენიანი ყაზახი თან წავიყვანეთ წინ განსაძღომლად, რომ სწორე გზაზე ეტარებინა ბრიჩკა. მე ბალიში უკან გადვიდე, დასაძინებლად ზედ გადავწექ.

ბრიჩკა ჩახჩახით და ზარის ცემით დიახ ჩქარა მირბოდა, ნახევარი საათი თითქმის არ გვივლია, რომ ბრიჩკა როგორღაც ძირს ჩავარდა, ცხენები სრულებით დადგნენ. იემშიკმა დაიძახა ბრიჩკას წინა მარჯვენა თვალი გატყდაო. ჩვენ საჩქაროთ გადავხედით. ტალკვესით აბედს ცეცხლი მოვუკიდეთ, აბედიდგან წუმწუმა ავანთევით, წუმწუმიდგან კვესი ავანთევით, ბრიჩკის თვალი გავშინჯეთ, რომ ლუკმა ლუკმა იყო დალეწილი. ჩემი ამხანაგები და ჩემი ბიჭი დიდად შეწუხდნენ. – მე კი დიდათ მიამა, ამისთვის, რომ ეს ბრიჩკა ჯერ ბარგით სავსე გვქონდა, მასკვან იემშიკით ხუთნი ვისხედით. ამისთვის ყოველთვის ფიქრი მქონდა, რომ უთუოთ გატყდებოდა და იქნება, ასეთს ადგილს გატეხილიყო, რომ უბედ-

ურობა რამ შეგვმთხვევიყო, მაგრამ ასე ბედნიერად რო გატყდა, მე ღმერთს მადლობაც შევწირე.

მე ამათ გასამხიარულებლად ჩემ ბიჭს რუსულათ ვუთხარ, თუ მაგისთანა ვეება არა მჯდარიყავ, არ გატყდებოდა მეთქი. და ისინი ამით ცოტათ გავაცინე.

– ჩემმა ბიჭმა ქართულათ მითხრა, თუმცა ბრიჩკა გაგვიტყდა, მაგრამ ჩემი თავი მოსაწონათა მაქვსო.

– მე ვკითხე. როგორა?

– ასე, რომ ნიკალაი ანდრეიჩზე და მაგის ბარგზე, ორსავეზე მე უფრო მძიმე ვარო.

მე გამეცინა. მათ რუსულად ვუთარგმნე. იმათაც დიახ ბევრი იცინეს.

მინიცკიმა თქო, სიცილის დრო არ არის. მიბრუნდა და ყაზახს უთხრა, ეხლავ ცხენის ჭენებით საჩქაროთ ანანურის ფოშტაშივე მიდი, ფოშტის ნაჩალნიკს უთხარი, რომ ორი პერეკლადნა დაუყოვნებლივ გამოგზავნოს.

ყაზახი დიახ მსწრაფლად წავიდა და ჩვენ დაღონებულთ ძილი მოგვერია. მინიცკიმ და კაროვინმა ქვემოთ ხალიჩა გაშალეს, ზედ წამოწვნენ და შინელები ზედ დაიხურეს. მე ბრიჩკაშივე დავწექი. იემშიკი ყარაულათ დავაყენეთ. ჩემი ბიჭი ბრიჩკას გვერდით მიუწვა. – ესრეთ დავწექით და დავიძინეთ.

მცირეს ხანს უკან ძილში ვიღასიც ხვრინვა მომესმა. გავიღვიძე, თვალი გადავავლე, ვნახე, იემშიკი ხვრინავდა. თუმცა მისი გამოღვიძება მინდოდა, მაგრამ ასეთს გულიანს ძილსა შინა იყო, რომ მძინარე გავუშვი და მე მის მაგიერათ ყარაულობა დავიწყე.

ზეცისა სამყარო დაწნდებოდა ვითა სიმღვრივიდგან. – ვარსკვლავნი სინათლესა ჰკარგევდნენ ნელიად და წყნარად, – და ზეცისა სფერა, ბუდიდგან გამოსეინობდა გარეთ.

თუმცა სამწუხარო გულის პირი გადაეხდებოდა ცასა, მაგრამ ნაცვლად ამისა, სამხიარულო ციაგი მიეფინებოდა გადაღეღილს გულსა ზედა, და ბწყინვალედ მკრთოლვარებდა, მარაოსაც იქნევდა სხვისა და სხვის ნეტარებით.

19-ი ივლისი, სრულად გათენდებოდა, და ყოველი საგანი კარგათ დაინახებოდა. მიმოვიხედე, – ვნახე; ოთხსავ მხარეს შიგ შესასვლელნი სხვა და სხვა ვიწრო ხეობანი, რომლებსაცა დიდნი და

დიდნი მთანი ზედ დაჰყურებდნენ, ტყით შემოსილნი, და მისნი ფოთოლნი უცხოთ და უცხოთ შრიალებდნენ, სმენის მომტაცველნი.

ამა მთების წვერებზე განბნეულნი სხვა და სხვა ფიგურა ღრუბლები მიმოენქრეოდნენ ხან აქ, ხან იქ დაგებითა.

მარჯვნივ მხარეს ტყეში, ვიღაც მთიელი მოჰყვა ძახილს. – ბერუაააავ, ბერუაააავ, ეეი! ბერუავ! არ გესმის ცხვარი აქეთ გამორეკე საძოვრათა; აქ კარგი ნამიანი ბალახი არის.

დიახ მაღლა იძახა, და ეს მთებიც ოთხსავ მხარეს ხმასა აძლევდნენ, მაგრამ არავინ არ გაეხმაურა და გაჯავრებით დაიძახა. აბაიმე! აბაიმე! არ გესმის, ბიჭო ბერუავ! ცხვარი გამორეკე, შე ძაღლის გაგდებულო.

იმის ძახილზე მაღლა ავხედე. ზეცაში სინათლესა თვისი შარავანდედი ტაატითა ამოჰქონდა, მაღალთ სპეტაქთ თოვლიანთა ბორცვებთა ზედა, და ნელიად ბრწყინვალებას მთებსა, ზედა გადმოავლებდა.

ამ დროს მთისა ჩიტნი, ტყიდგან, უცხოს საწყლად წივწივებდნენ, *მსგავსად ფორტეპიანისა,* ზილის სიმისამებრ, და ესე მათი ხმა უფრო სმენას დამიტკბობდა, ვიდრე შეზავებული საკრავი მსმენოდა. – რა შეედაროს კარგსა, და მშვენიერსა ბუნებასა, ახ! პატარაო სასუფეველო.

ოდეს კარგათ გათენდა, მზემან თვისი ელვარება ქვეყანასა ზედა გადმოშალა, მაშინ ჩემნი ამხანაგნიც ძილისაგან ადგნენ. მთის დილის ცივი ჰაერი უეცრად მოხვდათ და ზმორება დაიწყეს, საჩქაროთ ჩემ ბიჭს და იემშიკს ცეცხლი აანთებინეს, – სწრაფათ ჩაი გააკეთეს, სამსამი სტაქანი ცხელცხელი ჩაი ზედაზედ დავლიეთ, – როდესაც გული გამიცხელა, ავდექი, არც ციოდა, და არც ცხელოდა, და სასიცოცხლო ჰაერი კი მრავალს სულდგმულობას განმიახლებდა.

მცირე ხანი აღარ გამოვიდა, შორით ზარის ხმა მოგვესმა, მე და იემშიკს ნინი, ევი, ეკა დეტი მაი; ესე ხმები მოგვესმა, მაშინვე შევიტყევით, ჩვენი პერეკლადნები მოდიოდა, მაგრამ ტყე წინ ეფარებოდა, და ჯერ არ გამოჩენილიყვნენ. – აღარ გამოვიდა, რომ გამოჩნდენ, – ოდეს დაგვინახეს, მსწრაფად ცხენები გამოაქციეს, მოვიდნენ, და ჩვენ წინ ორი პერეკლადნა დააყენეს.

რაც ბარიჩკაში ბარგი გვქონდა, სულ ამოვალაგეთ, და პერ-

ეკლადნებში გადავალაგეთ.

რომელიც კარგი პერეკლადნა იყო, მე და მინიცკი ჩავსხედით, და რომელიც იმაზე მდარე იყო, კაროვინი, და ჩემი ბიჭი ჩასხდნენ. –

მინიცკიმ ჩემი გატეხილი ბრიჩკა ანანურის ფოშტის ნაჩალნიკს ჩააბარა, რომელიცა იგი ნაჩალნიკი მათ პერეკლადნას თან მოჰყვა მინიცკის დაბარებით. და უთხრა ეს ბრიჩკა შენთვის მამიბარებია, მინამ მე დავბრუნდებოდე. შენის ფოშტის სარაიაში დადგიო. –

ამა ხეობასა შუა მომდინარეს არაგვი მკვირცხლად მომდინარეობდა; მაღლის ხმისა შუილითა. მას მდინარეს გაღმა გამოღმა, საუცხოვო მაღალი აშლილი თხელი ჭალანი. იგი მდინარე თეთრის გოჩქოჩინე მათ შუაზე ჩამოურბიოდა, თეთრთა წინწკალთა მსროლელი.

მარცხნივ მხარეს მთის ძირში, საურმე შარა მისდევდა, მას შარასა ზედა, ჩვენი პერეკლადნები, ზარის ცემით მირბიოდნენ, რომელსაცა ამა შარასა ეწოდებოდა ფოშტის გზა.

მაგთენი გზა არღარა გაგვივლიარა, რომ ამ წყალის პირსა ზედა, მრავალნი მიმომსვლელნი მოხევენი ვნახეთ. მარცხენა მხარზე ბარჯი გაედოთ, და მარჯვენა ხელში წვრილი წკეპლა ეჭირათ. – ამას წკეპლას მდინარეში თან მიყოლით მიმორევდენ და მასკვან ისევ ამოიღებდნენ.

ჩვენ მათს ახლოს მივედით და ყურება დავუწყეთ.

ერთმა თეთრწვერა მოხუცებულმა კაცმა თქო. ღმერთო! და ამ მგზავრების ბედოვო. ამ სიტყვაზე, თავისი წვრილი წკეპლა მდინარეს ჩაუტარა.

უეცრათ ეს კაცი შედგა, ბარჯი მარჯვნივ მოიმარჯვა. მას წკეპლის ადგილს, – მსწრაფლ შიგ შთაახალა. – ვნახეთ, რომ ერთი დიდი ორაგული წყალმა ზევით ამოაგდო.

იგი მოხუცებული ზედ გადააწვა, ამოიღო, და რიყეზე გადმოაგდო. ორაგულმა ფართხალი დაიწყო, წელში დაჭრილმა.

მოხუცებულმა, იგი ორაგული აიღო, მოიტანა, და ჩვენ გვითხრა, თქვენ კარგს ვისმე გევხართ, გევედრებით, თქვენ ძღვნად მიირთოთო.

მე ერთი ოქრო ამოვიღე, და სამაგიეროდ ვუთავაზე, მაგრამ არ გამამართო, და მითხრა, ჩემთვის სირცხვილი არის, რომ მე გამოგართო.

მე უფულოდ არ ვართმევდი, მაგრამ არ მამეშვა, და მითხრა ღმერთი! გადღეგძელებს და უფალი შეგეწევა, მიირთვიო. – მოიტანა, ჩემ წინ პერეკლადნაში დააგდო, – თვითონ თავი დამიკრა, და საჩქაროთ თევზის ნადირობასავე შეუდგა.

ჩვენ ეს ორაგული ჩემს ბიჭს დიდს თეთრს ხელცახოცში გავახვევინეთ, პერეკლადნაში ჩაიდეს, და ჩვენ გზასვე გავემართენით.

ამა ხეობაებსა თვალი მიმოვავლე, გაღმა გამოღმა მოხევენი, გვარ გვარობით ცხოვრობდნენ, – რომელთაცა ამა მოხევეთა ეწოდებათ მთიულნი. –

ამა გზასა კიდევ ტრფიალებამან თვისის ქამანდით შემიპყრა და თვისი ძლიერი ჯაჭვი ჩემს საცოდავს გულსა ზედან მაგრად მოუჭირა, ასე რომელ ძარღვებთა შორის სისხლმა ჩქეფა დაიწყო, მაგრამ კიდევ მოთმინება ტრფიალებასთანა შუამდგომლად შემოვიდა და გული შეკრულობისაგან მცირედ განათავისუფლა. ეს ლაპარაკი რაღა განვაგრძელო. თვით წამკითხველმა წარმოიდგინონ, რომელ ჩემ სუსტსა გულსა ზედან ორი მახვილი ნივთისა. პირველი მშვენიერება და მეორე სურვილი.

ესე ლაპარაკი რაღა განვაგრძელო. წამკითხველო, წარმოიდგინე მე ფრიად სუსტი გული მაქვს და ამისთვის ნუ მიკიჟინებ.

ოდეს ჩემ თვალთ მშვენიერება ნახეს, მაშინვე მისი მოსაწონი სისრულე გონებასა წარუდგინეს, – გონებამ განუჩრეკლად მისი გამოხატულება შეჰკრიბა და სურვილად შეადგინა, – მეყვსეულად ესე სურვილი გულსა შესტყორცა, და ჩემს გულსა ზედან რაღაც ასოებად დაასხა. – მეც ეს ასოები წავიკითხე ესრეთ, – ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი! – ამა თვითო ასომ თვისი საკუთარი ფესვნი აგებულობასა შინა განიდგა და მაშ მეცა ვითარ არა მიყვარდეს, ესრე, ვითარცა ვწერ.

გზასა ზედა, ჩვენი პერეკლადნები დაუყოვნად მირბიოდნენ, ესრეთისა ყოფითა, 21-ი ვერსტი გავიარეთ, და ფასანაურის ფოშტაში მივედით. – იქ მეფოშტებმა, ორი პერეკლადნა საჩქაროთ მოგვიმზადეს. ჩვენი ბარგი მათ პერეკლადნებში გადავაწყევით; – პირველისავე რიგით შთავსხედით, – ეგრეთისავე სირბილითა გავწიეთ, და კაიშაურის მთის ძირში მივედით, რომელსაცა ეწოდება ქვეშეთი. – ამ ქვეშეთიდგან, ვიდრე მთის წვერამდე, ვგონებ ოთხასი საჟენი სიმაღლე უნდა ჰქონდეს, რომელსაცა საურმე გზა შეუდგე-

ბის. ოდეს მთის წვერზე ავდიოდით, მაშინ კაიშაურამდისინ სწორეს ვაკეს ზედა უნდა წავსულიყავით, – თუმცა ზოგიერთს ადგილს აღმართიანი და ქვიანი გზა მოგვხვდებოდა, მაგრამ ამ ადგილების მიხედვით შეიძლება რომ ვაკედ ვუწოდოთ.

მე მინიცკიმ მთხოვა, – თქვენ ადრითვე მთაზედ ადით, იქ მოგვიცადეთ, მინამ პერეკლადნებს ამოვიტანდეთო. – თუმცა მე არა ვშვრებოდი, *მინდოდა, მეც მივშველებოდი, მაგრამ არ მამეშვა და მითხრა, დიდათ გთხოვ, პოჟოლუსტა კნიაზოვო.*

ჩემი ყუთიდგან ჩემ ბიჭს დურბინდი ამოვაღებინე, გამოვართვი და მთის წვერსა ზედა ავედი. მასკვან მივტრიალდი, გადაბმულს ტიტველა მთებს ყურება დაუწყე. *სხვა გაბნეული დიდრონი მთები ვიხილე, რომელიცა ოთხივ მხრის მთები სრულიად გავჩხრიკე.*

ეს მთა არის მთებსა შორის სხვადასხვა წვრილი ბილიკები, შეუვალი და რომლებიცა ბევრი ასეთს გადმოკიდებულს ფრიალოზე იყო გატანილი, რომ ორი კაცი ერთათ ვერ გაივლიდა, და მოხევენი მათზე თამამათ მოდიოდნენ, საიდგანაც გადმოხედვაც ძნელი იყო, არამც თუ ზედ სიარული. დიდრონი ქედი ჩრდილოეთისაკენ გაწვენილი, ზედ ქედებითა, კორდებით, ბორცვებითა მოსხმული, სხვადასხვა ფრიალოთა გადმოკიდებული სხვათა და სხვის სახედ; – ჰაერსა შინა აღმართული. და ზოგიერთსა მთებს შორის ყანანი ფიფინებდნენ. სვავნიცა, გაფართოებულით ფრთებითა დაჰფრინვიდნენ მთიდგან მთაზე.

მარჯვნივ მთის ფრიალოსა ზედა, ერთი რაღაც ყარალთი დავინახე, რომელიცა ძნელად გაირჩევოდა, რაი იყო. დურბინდში გავხედე, ვნახე, დაიარაღებული მთიელი კაცი მთის წვერთა ზედან მიმომსვლელი, და ამაყად ქედითი ქედზე მიმოიხედებოდა, – ეს კაცი ერთს ღელესა შიგა ჩავიდა, წაკაკვით რაღასაც მიპარვა დაუწყო, ანაზდად შედგა, მარჯვენა მუხლი დაიჩოქა და თოფი მაღლა გაუნიშნა. – თოფით ბოლი გამოვარდა, და მიფარებულის კლდიდგან, თეთრათ რაღაც გადმოგორდა, – მცირედ შემდეგ მთის მოცემით, მისი თოფის ხმაც მოისმა, იგი კაცი საჩქაროთ გაექანა, ის მოკლული ცხოველი გადააბრუნ გადმოაბრუნა, ვცან, რომ ჯიხვი კი იყო. მან მონადირემ, იგი საბრალო, მიფარებით სხვა ღელესა შინა გადაათრია, და შემდეგ აღარ გამოჩნდა. – მე მისი სამწვადე, და მის ყანწით წითელი კახური ღვინო მომაგონდა, და ვთქვი, ახ!

ღმერთო, ერთი კიდევ მაღირსე, რომ საქართველოს მწვანესა ზედა ყანწით ღვინო დამელიოს.

მე ამ ადგილზე ვიდექი და მიმოვიხედებოდი. ერთს უდიდესს ბუნებას რომ დავინახევდი, ამაზე უკეთესი აღარ მეგონებოდა, და მინდოდა მოუცილებლად მისთვის მეყურებინა, მაგრამ, როდესაცა სხვას შევხედავდი, უფრო უდიდესს და უკეთესს ბუნებას დავინახევდი. მინდოდა ხან ერთისათვის და მეორესათვის მეყურებინა. ასე ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, ღრმა ხეობაებით მორთული;

ჩემს ამა ტრიალსა შინა, ჩვენი პერეკლადნები ამოვიდნენ, და იქ ჩემთან მოვიდნენ.

სწორეთ უნდა ვთქო, მე მათი ამოსვლა დიდათ მეწყინა, და ჩემთვისა ვთქვი, ნეტავი ამ პერეკლადნებს თვლები დამტვრევიყო, და ჯერ არ ამოსულიყვნენ, რომ ბუნების ყურებით გავმძღარიყავმეთქი.

თუმცა შევწუხდი, მაგრამ საჩქაროთ პერეკლადნებშივე შთავსხედით, გავწიეთ, შუადღის დროს კაიშაურის ფოშტაში მივედით, რომელიცა ფასანაურიდგან, 19-ი ვერსტი არის.

მინიცკიმ მითხრა, ამ ფოშტაში ერთს საათს დავყოფთ, და თუ გინდათ, ეს ორაგული მოვახარშვინოთო.

– დიახ კარგი იქნება მეთქი.

ჩემ ბიჭს ის ორაგული, ცივათ გავაკეთებინეთ. ჩვენც ერთს კარგს ადგილსა ზედა ხალიჩა გავაშლევინეთ, ზედ დავსხედით, სუფრა წინ გავიშალეთ, ის ორაგული ცივ ცივათ ამოვაყრევინეთ, მოვატანინეთ, და სიამოვნით შექცევა დავუწყევით;

ზედ კახური ღვინო დავასხით და დავასხით. – ავდენი ვსვით, რომ ზომას გადავაცილეთ. თვისი ძალი გვაგრძნობინა ღვინომ და გოგრა გაგვიცხელა. მაშინვე გავმხიარულდით და სხვა და სხვის ლაპარაკით სიცილი დავიწყევით. – ამ დროს მე ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი მამაგონდა და ესრეთმა მწუხარებამან მამიცო, რომ მეგონა, ესე მთები თავსა ზედა დამეცნენ მეთქი. ღვინით ძალადატანებულმა ვეღარ მოვითმინე, მსწრაფლად წამოვდექ, ერთს მიფარებულს ადგილს მივედი და შესაბრალისად ტირილი დავიწყე. – ოდეს გული მოვიოხე, შემდეგ თვალნი კარგად გავიმშრალე და მერე ჩემს ამხანაგთანავე სიცილით მივედი, ვითომც ვმხიარულობდი.

ამაობაში ფოშტიდგან უნაგირიანი ცხენები მოასხეს. მე მიზეზი ვკითხე უნაგირიანის ცხენების მოყვანისა? მეფოშტემ მითხრა, პერეკლადნით ძნელი მთიანი გ ზები არის გადასასვლელი და სჯობს ცხენებით გადახვიდეთო.

მინიცკიმ მოუწონა და მას ეთანხმა. ჩვენ რაც ბარგი გვქონდა, სულ ერთიანათ ცხენებს აჰკიდეს, ჩვენც უნაგირიანი ცხენები მოგვგვერეს, შევსხედით და გავემართენით.

მინიცკიმ მითხრა, მე წინ წავალ და ფოშტაში ცხენებს მოვამზადებინებ, მინამ თქვენ მოხვალთო.

თქვენი ნება არის მეთქი და ამ სიტყვასთან ცხენი გაქუსლა. წავიდა.

მე და კაროვინი ამ ჩვენ ბარგსა წინ გავუძეხით, ნაბიჯის სიარულით წამოვედით. ესრეთისა სიარულით ნახევარს საათზე კარგა მოშორვებით გავსცილდით ფოშტას.

კაიშაურიდგან ნახევარ საათის გზა რომ შევიარეთ, აქედგან აღმართიანი გზა შეუდგებოდა მთაზე გადასასვლელი.

ამ გადასასვლელს მარჯვნივ მხარეს მთაზე დიდნი და მაღალნი მთანი მოსდგომოდნენ, ჰაერსა შინა დაყუდებული! კლდეები და მწვანეთი შემოსილი! სხვასა და სხვის სახედ წამომდგარნი! – მას გადასასვლელს მთის მოხევენი, უწოდებენ. „ჯვართა ვაკეს“ რომელსა ზედაცა მთის წვერზე დიდი და მაღალი თლილი ქვის ჯვარი არის დასვენებული. მინამ აქ ჯვართან მივალთ, ჯერ სხვა ვთქოთ, ოდეს მთას შევუდექით და ამის მესამედი ნაწილი გზა გავიარეთ, აქ ღრმა ღრანტის ფრიალო ნაწილზე მივადექით და მის გზაზე შევდეგით, მას ფრიალოს რომ გადავხედე, ვნახე, მარცხენას მხარეს საშინელი ჩაყუდებული ღრმა ღრანტე იყო. მის ღრანტის ხეობასა შორის იგი მკვირცხლი არაგვი სწრაფის სირბილითა თავს მიიკლავდა. და მისი მიმჩქეფარე ხმა ლამაზათა ღუღუნებდა. ამ ღრანტის ხეობის გაღმა გამოღმა, არაგვის ნაპირზე მოხევენი სცხოვრებდნენ, მამაპაპის წესისამებრ.

მას ერთიანს გაბმულს მთის წვერზე გადავავლე თვალი. მთას შევხედე. მთის წვერზე ზედა ეკლესია დავინახე, რომელსაცა მოხევენი ლომისას უწოდებენ. ესე ეკლესია წმინდა (სახელი) ზედა არის აშენებული. თუმცა პირველად კაიშაურის მთიდგანვე დავინახე იგი ეკლესია და ვიდრე მთას გადავივლიდით, ყოველის გ ზიდგანვე

ჰჩანდა, მაგრამ ამ ადგილიდან უფრო მშვენივრად იხილვება. ამისთვის აქ ვამჯობინე მოხსენიება.

ღუდის მთის ადგილი აღარ მახსომს, ამისთვის აღარ მოვიხსენე.

სრულიად ამ მთების გაღმით თუ გამოღმით მის ეკლესიიდგან და მის პირისპირ სრულიად უტყეო, ტიტველნი მთანი დაიწყობა ჩრდილოეთისკენ, რომ ერთ ხესაც ველარ იპოვის კაცი და ეკლესიის ქვევით მხარეს სულ გაბმული ტყიანი მთები დაიწყობა.

ოდეს ჯვარის ვაკის მთის ძირში მივედით, მარჯვნივ მხარეს, დაყუდებულს მთის წვერზე *შევხედე და რაღაც თეთრად გაბნეული დავინახე. საჩქაროთ ცხენიდგან გადავხე და დურბინდში გავიხედე. ვნახე,* ცხვარი საუცხოვოს ბალახსა ძოვდენ. არვედის გვერდით, ერთი თოფზე დაყუდებული მწყემსი, მომაღლოს ქედზე იდგა და ამაყად მიმოიყურებოდა. ამდროს მწყემსმა თოფი მოიმარჯვა და ცხვრისაკენ გაექანა. – მე დურბინდი მას მივადევნე, – ვნახე, რომ მგელსა ცხვარი მოეტაცნა და მას მიარბენინებდა. მწყემსმა სირბილი არ მოშალა, და ისე შესტყორცა თოფი. – მგელმან ცხვარი გააგდო, და თვითონ გვერდზე წაიქცა. მწყემსი მივიდა და წაქცეულს მგელს თავზე დაადგა, მერეთ ქუდი მოიხადა, და პირიქითკენ ვიღასაც უქნევდა.

მაგთენი ხანი არა გამოვიდარა, მას მთის წვერზე ერთი დაიარაღებული სხვა კაცი ამოვიდა და ძაღლები უკან ამოჰყვნენ. მას კაცს დავაცქერდი, რომ ერთი მოკლული სხვა მგელი ზურგზე ეკიდა – მოიხსნა და იმ მგელს გვერდზე დაუგდო. – ძაღლები გარსა შემოეხვივნენ, და წამოცქვიტებული ზედ დაადგნენ. მცირეს ხანს კიდევ ვუყურე, მასკვან ცხენზე შევჯექ, და მთის გზას შევუდექ. –

ზაფხულის მთის ცივი ჰაერი, მას არესა განსვენებით ჩამოსწოლოდა. თუმცა მზესა თვისი ცხელი სხივი მას ადგილსა ზედა გადმოეფლო, მაგრამ არა ისე ძრიელი, რომ მთის ცივი ჰაერი გაეხურებინა.

და სიოც წყნარის წიწინებით მიმოიარებოდა ხანდაზმულობითა, რომელსაცა კეთილსა და წარჩინებულსა ჰაერს ატრიალებდა მას ბუნებაზე. –

შუა მთის გზაზე რო ავედით, აქ საუცხოვო წყარო გამოსდიოდა, და მისი მოწანწკარე ხმა სიამოვნით ისმოდა. *ყურთა შიგან რაღასაც რამ სიტკბოებას მაწვეთებდა. მაშინ მე ჩემი ბედნიერების*

ვარსკვლავი მომაგონდა, რომელ წყალის პირზე საღამოთი ჯდომა გვიყვარდა და ჩვენს ტრფიალებას რომ მოვითხრობდით. აქ ესრეთი სიყვარული შემომერტყა, რომ ცხენზე ველარ დავდექი, – უნაგირიდგან გადმოვეშვი, გულშეწუხებული ძირსა გადმოვვარდი, მაგრამ წამსვე გული გავიმაგრე, საჩქაროთ ზეზე წამოვხტი, თვალნი ცრემლით ამემსო და ეს კი დავიძახე: ოჰ! ღმერთო, შენ გევედრები, ჩემი საწყალი ცოლშვილი კიდევ ჩქარა მაჩვენო, რომ ჩვენ წალკოტშივე შევქცეულიყვეთ.

ჩემი ესე ყოფა ვერავინ ვერ შემამცნია, მეც შეუმცნევლად მას წყაროსა ზედა დავეწაფე და მით მოვსულიარდი.

1. სოლომონ დოდაშვილის უკანასკნელი ჟამი უნდა ჩაიწეროს ბატონიშვილ დედაჩემთან წიგნი რომ არის ალექსანდროვკიდგან, იმაში.

2. ბიდარას ხეობაში ზვავს რომ დაუტანია კაცი.

3. გვერდძნელიდან ზვავს რომ შემოუგდია კაცივე.

ცხენიდგან გადავხე და წყაროს წყალი დავლიე, მასკვან ცხენზე შავჯექი, და ჯვარი ვაკეზე ავედი, სადაც ჯვარი არის დასვენებული.

ცხენიდგან გადავხე და ჯვარს თაყვანი ვეცი. მერეთ მიმოვიხედე, აქედგან მშვენიერნი სანახავნი იხილვებოდა, სხვა და სხვა ხეობანი, და სხვა და სხვა საკურველი ბუნებანი. შემდგომ ლომისის ეკლესიას მივხედე; ქუდი მოვიხადე, თაყვანი ვეც და შევევედრე. „შენი თაყვანის ცემა მაღირსე, რომ ორენბურღიდგან მშვიდობით დავბრუნებულიყო მეთქი.“

ამ ადგილს მაგთენი ხანი აღარა დავყავითრა, ჩვენს გზასავე გავემართენით. ეს გზა აღმოსავლეთისაკენ მობრუნდა, და თავქვე ხეობაში ჩაემართა დაღმართათ, რომელშიაც წყნარის სიარულით მივიდოდით.

ამ ხეობაში უდიდესნი და უმაღლესნი მწვანოვან, კლდიანი და ტიტველნი, გაბმულნი მთანი წარმოსდგომოდა, საკურველებითავე. –

ამ გზასა ზედა მჟავე წყარონი, ამოჩუხჩუხებდნენ, მზგავსად შადრევნისა და მის დამაჭრულსა ზედა დავეწაფებოდი, რომელსაცა ეტყობოდა, აგებულების გასაწმენდელი რამ იყო.

16-ი ვერსტი ესრეთითა სიარულითა ვიარეთ და საღამოს ჟამსა

კოპის ფოშტაში მივედით.

მინიცკი გამოგვეგება და მითხრა, რა უცხოს დროს მოხვედით, ჩაი მზათა მაქვსო.

მე კარგის მადით გადავხე, და ფოშტის ნაჩალნიკთან შევედი; რომელმაცა სიყვარულით მიმიღო. – დივანზე დაგვსხა, და კარგის თეთრის პურით ჩაი დაგვალევინა. – შემდგომ მინიცკიმ, მეფოშტეებს პერეკლადნები შეაბმევინა, და მე მითხრა, ახლა გადასასვლელი გზა აღარა გვაქვს რა, სულ სწორე გზაზე წავალთ, მაგრამ ხვალ დიდს ქვიანსა გზაზე უნდა ვიაროთო. ამდროს ფოშტის ნაჩალნიკი შემოვიდა და გვითხრა, პერეკლადნები მზათ არის. –

ჩვენ გარეთ გამოვედით, ფოშტის ნაჩალნიკს გამოვესამლენით, – პირველისავე რიგით ჩავსხედით, და გავემართენით. – ორი ვერსტი არ გამოგვევლო, ასეთმან ნისლმან მოიცო ეს ადგილები; – სიღამეც ზედ დაერთო, და ასე დაბნელდა, რომ აღარა დაინახებოდარა, მაგრამ წინ ორი ცხენიანი ფოშტის ყაზახები მიგვიძღოდნენ, რომელთაცა კარგათ იცოდნენ გზა, ამისთვის დაუყოვნად მივიდოდით. ესრეთითა სიარულითა ორს საათზე სტეფანწმინდის ფოშტაში გადავხტით.

– კაროვინმა იკითხა, კოპიდგან აქამდისინ რამთენი ვერსტი არისო? –

– მინიცკიმ უთხრა, თექვსმეტვერს ნახევარიო. –

თუმცა გვინდოდა, იმ ღამესვე წავსულიყავით, მაგრამ დიდი წვიმა დაიწყო, ამისთვის იმ ღამეს იქ დავრჩით.

ჩემ ბიჭს სამოვარი ავადუღებინეთ და მეორეთ დავლიეთ ჩაი. მერეთ ვახშამს შევექეცით, და მასკვან ძილად მივწექით.

20-ს ივლისის დილამ რომ ირიჟრაჟა, მე გამეღვიძა, და ჩემი ამხანაგებიც გავაღვიძე. მინამ ჩაის დავლევდით, პერეკლადნებიც მზათ იდგა კარზე ჩვენის ბარგით ჩაწყობილი. – ჩაი რომ გავათავეთ, კარზე გამოვედით, მიმოვიხედე, ასეთი დახურვილი ბურუსი ჩამოწოლილიყო, რომ სრულებით აღარა ჩანდარა. *რომელიცა მე დიდის მოთმინებით მოველოდი, აქა საკვირველთა, განსაშტერებელთა და განსაცვიფრებელთა ბუნებაებისა ნახვასა, გარნა ესე მოლოდინება გამიცუდდა.*

მე გაჯავრებულის გულით მივედი და პერეკლადნაში ჩავეგდე. მინიცკიც ჩემს გვერდით დაჯდა, ისინიც მეორეს პერეკლადნაში

ჩასხდნენ. იემშიკმა ნუ ნუს დაძახებით პერეკლადნები ჩრდილოეთის მხრისკენ გამოაქანა.

ოდეს სტეფანწმინდას ორ ვერსტამდისინ რომ გავცდით, აქ თავდაღმართიანი გზა მოგვხვდა. თავდაღმართზე ჩავედით, და თერგის მდინარეს პირს მივადეგით. *თუმცა აქ მინდოდა მომეხსენებინა ეს მდინარე, მაგრამ მინიცკიმ მითხრა, ეს რა არის, თქვენ დარიელას ხიდთან ნახავთ, ვითარის საკვირველებით მჩქეფარებს. ამისთვის აღარ მოვიხსენიე. – ამას კი ვიტყვი, როდესაც მას მდინარეს ზედ წავადექით, ეს მდინარე მღვრიედ მოსჩქეფდა და როდესაც დავინახე, განკვირვებამან შემიპყრა.* რომელსა ზედაცა მდინარის ნაპირზე მივიდოდით. და ცუდი გზის გამო პერეკლადნები წყნარა მიდიოდნენ. დახურვილი ბურუსი ეგრეთვე ჩამოწოლილიყო, და წვრილსა წვიმასაც ზედ გვცვარამდა.

ამა ბურუსსა შინა მივიარებოდით და ათს ნაბიჯს იქით აღარა ჩანდა რა.

მე ვერ მოვითმენ, უკეთუ ცოტაც არა ვთქვი მის მდინარისა.

თუმცა იგი მდინარე ბურუსისა გამო აღარა ჩნდა, მაგრამ მისი ხმა ასე გრგვინვასავით იძახდა, რომ მე და მინიცკი ერთათ ვისხედით და ერთმანეთის ყვირილით ლაპარაკი აღარ გვესმოდა. ესრეთისა წყნარის სიარულითა დარიელას მივედით. ამდროს ნისლმა ცოტათ მაღლა აიწია, არა სრულად, რომ სრული ბუნება გამოჩენილიყო, მაგრამ მდინარეკი სრულებით გამოჩნდა. პერეკლადნით გადავხე, ქედზე გადავდექ, და მის მომდინარეობას ყურება დავუწყე.

ცოტათ მოდიდებული მდინარე იგი და ამღვრეული; ცოტათ სამხრეთით მომდინარე, ჩრდილოეთისაკენ მიმდინარეობდა, რომელშიაც მაღლის მთების გადმოცვივნული დიდრონი კლდენი შიგ ეყარა და გამალებული მდინარე ზედ გადარბიოდა.

მისი გამოქანებული წყალი ქვას რომ შემოვარდებოდა, მის თავსა ზედა ასეთს ტალღას შეისროდა; მისი ასროლილი წყალი მაღლა ტოტებად გაიბნეოდა, გაბნეული ტოტებიდგან, მისნი გაკეთებულნი წინწკალნი, უფრო მაღლა ტრიალებდნენ, წინწკლებიდგან კიდევ სხვა, გაცრილსავით წინწკალებით კეთდებოდნენ, უფრო მაღლა შესროლილი.

აქნეული იგი ტალღა ქვაზედ რომ გადმოვარდებოდა; გაგიჟებ-

ული იქიდგან გაექანებოდა, და სხვას მეორეს ქვასა ზედა შევარდებოდა გაცოფებით.

ზოგიერთს ქვაზე ასე დაეცემოდა ტალღა, რომ ზედ გადაასქდებოდა და ქვას სულ გამოაჩენდა. და ზოგს ქვის თავსა ზედა ყაინარს გაიკეთებდა და ზედ დასტრიალებდა. მოკლედა ვთქო, სხვისა და სხვის სახეთ მიინჩქრეოდა იგი მდინარე, რომ ერთი მეორესა არ ემზგავსებოდა მისი ღადონი.

ესე შეუპოვარი მდინარე ქვეფთა ზედა მიმდინარეობდა, თვალშეუსწრებლად საშინელის გრგვინვითა და თამამად მირბიოდა. –

კარგა ხანი ვიდექ და ხიდზე განცვიფრებული ვუყურებდი.

– შემდეგ მინიცკი მოვიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყურში ჩამძახა. „დრო არის, წავიდეთ.“

გამოვტრიალდი. პერეკლადნაში ჩავსხედით და ჩვენს გზასვე გავემართენით. – ცუდი გზის გამო პერეკლადნები წყნარა მოდიოდნენ. ესრეთითა სიარულითა თექვსმეტ ვერსტნახევარი გავიარეთ, და მეთერთმეტე საათზე ლარსის ფოშტაში მივედით, – ამ ფოშტაში ცხვრის ხორცი ვიშოვნეთ; საჩქაროთ ჩემ ბიჭს მწვადები გავაკეთებინეთ. მას კარგად მივაძეღით, და ზედ ღვინო ჩავღლიეთ. როდესაც ტვინი გაგვიცხელდა, პერეკლადნები შევაბმევინეთ, ღვინით შექეიფებული, შიგ ჩავსხედით და იემშიკმაც დაიძახა. „ახლაკი კარგი გზა არის.“ და ამ სიტყვასთან გაგვაქანა. –

მე ჩემი მშობლის ქვეყნიდგან წაყვანილი და სახლეულობისაგან მოშორებული; მწარეთ შეწუხებული პერეკლადნაში მივეგდე, და საჩქაროთ დამეძინა. –

კარგახანი მეძინა, და შემდეგ მინიცკიმ გამაღვიძა. „კნიაზო გაიღვიძე, ლადიკავკაზის ქალაქში მივედით.“

მე სწრაფად წამოვდექ; ლადიკავკაზის ციხის კარების ახლოს მივსულიყავით, და ცასაც ასე მოეწმინდა, რომ მცირედი ნისლი არსად აღარ იყო. იემშიკმა ციხის კარებთან მიგვიყვანა, და კარებთან დააყენა პერეკლადნა.

ციხის კარების ყარაულის უნდერ–ოფიცარი გამოვიდა, მინიცკიმ თავის ჩინი და გვარი განუცხა. უნდერ–ოფიცერმან ციხის კარი გაგვიღო, და ჩვენც ქალაქში შევედით. –[1]

[1] მინამ მინიცკი თავის სახელს განუცხადებდა, – მე უკან შემოვიხედე, ყაზიბე-

ქალაქსა ამას, თხრილი ევლო, შიგ ქალაქი იყო აშენებული, რომ-ლისაცა მდებარეობა მოსაწონელი იყო. მინიცკიმ იემშიკს უთხრა, ტრახტირში ჩამოგვახდინეო. – იემშიკმა ერთის ქუჩისაკენ გაატრი-ალა პერეკლადნა და ერთის სახლის კარებთან დააყენა. – მის სახ-ლიდგან ერთი უცხოდ ჩაცმული ყმაწვილი კაცი გამოვიდა და გვითხრა, მობძანდით, ოთახი მზათა მაქვს. –

ჩვენ გადავხედით, მის ოთახსა შინა შეგვიყვანა. –

მე ერთს დაფენილს კანაფიაზე წამოვწექ, და მინიცკის ვკითხე – ლარსიდგან ამ ქალაქამდისინ რამთენი ვერსტია? –

– 25-ი ვერსტი არისო.

მე აღარა ვუპასუხერა, მეორეს მახარეზე გადავტრიალდი და ჩემთვისა ვთქვი. „მშვიდობით ჩემო ბედნიერების ვარსკვლაო! რამ-თენი წელიწადები უნდა გავიდეს, რომ ვეღარა გნახო, იქნება, რომ საუკუნოთაც ვერა გნახო, მშვიდობით!“

მასკვან მინიცკიმა თქო ქალაქის კამენდანტთან უნდა წავიდეო, მასთან წავიდა. მინამ ის მივიდოდა, მანამდისინ ჩვენ ჩაი მზათ დავახვედრეთ. –

როდესაც მოვიდა, შევხედე და როგორღაც მხიარული სახე ჰქონდა. –

მე იმან კითხვა აღარ დამაცალა, და გვითხრა, მე თქვენთვის არ მითქომს, და ეხლაკი გეტყვითო.

– ჩვენა ვკითხეთ – რაანბავიაო?

– იმან გვითხრა, ჩვენ ფოშტას უნდა გავყოლიყავით, და ეკატ-ირინეგრადამდისინ ტაატით წავსულიყავით, მაგრამ კამენდატს მე ყოველი გარემოება ვაცნობე და ახლა ცამეტი ცხენოსანი ყაზახნი მოგვცა, და ამ ნახევარ საათზე უნდა წავიდეთო.

– კაროვინმა ჰკითხა – როგორ! აქ ფოშტა ჩქარა არ დადის?

– მერეთ მინიცკიმ უთხრა, ეკატირინეგრადამდისინ, ჩერქესნი კიდევ ავკაცობენ, და ფოშტა ქვევითს ჯარს თურმე დააქვს, ერ-თის ზარბაზნით. მაგრამ ჩვენ ცამეტი ყაზახით ფიქრი არა გვაქვს, კამენდატის რწმუნებითაო.

მასკვან ჩაი მოვთხოვეთ და პურით დავლიეთ, შემდეგ პერ-

გის მაღალი მყინვარი მთა დავინახე, თეთრათ მკრთოლვარე, და ვთქვი ღმერთო! მაღირსე კიდევ იმის ძირში გამეაროს, და მისი საკვირველი; დამოკიდებული ბუნე-ბანი მენახოს. მერეთ ქალაქისკენ გადვიხედე.

ეკლადნები მოიტანეს და ცამეტი ყაზახნი თან მოჰყვნენ. ჩვენც პერეკლადნებში ჩავსხედით, და გავსწიეთ. ოთხი თუ ხუთი ვერსტი არ გაგვივლია, რომ სრულებით დაღამდა.

ესე ყაზახნი გარსა შემოგვერტყნენ, და ჩორთის სიარულით ხუთს რუბზე, 16-ი ვერსტი გავირბინეთ, და არხონის ფოშტაში მივედით. – იმ ღამეს იქ დავყავით.

მეორეს დილის; ივლისის 21-ის ალიონმა რომ აიწია, ჩვენ გაგვეღვიძა, პერეკლადნები შევაბმევინეთ, შიგ ჩავსხედით, გავწიეთ, და მინამ კარგათ გათენდებოდა, 16-ი ვერსტ 1/2-ი გავირბინეთ, და არდონსკის ფოშტაში მივედით. – იქ პურით ჩაი დავლიეთ. –

მასკვან პერეკლადნები მოვატანინეთ, შიგ ჩავსხედით, – გავსწიეთ. ცხრასრუბზე 21-ი ვერსტი გავირბინეთ, და ჯიბულაის ფოშტაში მივედით.

აქ სამ საათამდისინ დავყავით. ქათამი ვიშოვნეთ, სუფათ გავაკეთებინეთ, მას კარგად შევექეცი, შემდეგ ცოტათ დავიძინეთ, მასკვან გავიღვიძეთ, და პერეკლადნები მზათ დაგვხვდა, – შიგ ჩავსხედით, გავსწიეთ, ორ საათზე 23-ი ვერსტი გავირბინეთ, და პრიშიბის ფოშტაში მივედით. –

ამ ფოშტაში ჩაი დავლიეთ, და კარგახანიც დავყავით, კიდეც დაღამდა. მერეთ პერეკლადნები მოგვიტანეს, შიგ ჩავსხედით, ყაზახნი ეგრეთვე გარსა შემოგვერტყნენ, წავედით; – ხუთს რუბზე 15-ი ვერსტი გავირბინეთ, და ეკატერინეგრადის ქალაქის კარახტინში მივედით. –

მინიცკიმ ყაზახები დაითხოვა და წამკითხველმა იქნება იფიქროს, რომ ლადიკავკაზიდგან ეს ცამეტი ყაზახნი არა ყოველს ფოშტაში იცვლებოდნენ. არა, ჩემო ხელმწიფეო, ესე ყაზახნი ყოველს ფოშტაში იცვლებოდნენ.

იმ ღამეს კარახტინსა შინა განვისვენეთ, ოდეს 22-ი ივლისი გათენდა, – მის კარახტინის ზედამდეგი მოვიდა, – ჩვენ რაც ნივთნი გვქონდა, სულ ერთიანათ შეგვიმოწმა, – მერეთ პერეკლადნებშივე შთავაწყევით, – ჩვენ შიგ ჩავსხედით, გავსწიეთ და ეკატერინეგრადის დამოჟნაში მივედით, – კუალად მედამოჟნემ, რაც ნივთი გვქონდა, სულ გაგვჩხრიკა, შემდეგ გაჩხრეკისა, – წავედით, და ამა ქალაქსა ნაპირსა ზედა ფოშტა იყო, იმ ფოშტაში მივედით, – მეფოშტეებმა ორი პერეკლადნები დაუყოვნებლივ შეგვიბეს.

– მე მინიცკიმ მითხრა, კნიაზო; ახლა ამას იქით დიახ სწრაფად წავალთო!

– მე მიზეზი ვკითხე – მსწრაფლად წასვლისა?

– იმან მითხრა, პირველი, რომ შიში არარის, და ყაზახნი არ დაგვჭირდება, და მეორე – ამას იქით ასეთი კარგი გზა არის, რომ გზაზეთ არამცთუ დიდრონი მთები, არამედ წვრილი კენჭებიც არა ჰყრია, ამისთანა კარგი ადგილები არის და ამასკი გთხოვთ, ფოშტითი ფოშტამდისინ საათი დანიშნული გქონდეთ; რაოდენს რაოდენობაზე მივალთო. –

– დიახ კარგი იქნება მეთქი.

პერეკლადნები წინ მოგვიტანეს, ჩვენ მასში ჩავსხედით. – იემშიკმა ცხენებს მათრახი გადაჰკრა და გაგვაქანა.

მე საათი ვნახე და მეცხრისა ნახევარი იყო. –

სამი ვერსტი რომ გაგვარბენინა, მაშინ ცხენებს რაც ძალი ჰქოდათ, მათის სრულის ძალით გააქცია, ასე რომ თვალთა წინწკლები გადმოგვიცვივდა და ესრეთისა სირბილითა, არახლადნის ფოშტაში მიგვიყვანა. –

მე საათი ვნახე, რომ 18-ი ვერსტი ორმოცდა ათს მინუტზე გაერბინა. – სწორეთ უნდა ვთქო, მე დიდათ გამიკვირდა.

ფოშტის ნაჩალნიკი გამოვიდა, – და მინიცკიმ ფიცხლად დაუძახა, ეხლავ პერეკლადნები კურიერის ცხენებით შეაბიო. –

მან უარი უთხრა. –

მინიცკი გაჯავრდა. –

მან მისი ჯავრობა არად მიიჩნია და უთხრა მრავალთ მგზავრებთ გაუვლიათ და ათათი საათი დაუყვიათ, ეგრეთვე თქვენ მოიცდითო. –

– მინიცკიმ ჰკითხა – რათა?

– ცხენები სულ მგზავრთა წაიყვანეს.

– ნუ მატყუილებო.

– იმან უთხრა, არა, მერწმუნეო. –

მასკვან მინიცკი გაჯავრდა, – ბაშფორთი ამოიღო, უჩვენა, – და უთხრა ხედავ! უმაღლესის ბძანების ბაშფორთი მაქვსო.

იმან რომ დახედა ამა ბაშფორთს, – მყისვე გაექანა, და საუცხოვო კურიელის ცხენებით ორი პერეკლადნები სწრაფათ შეგვიბა.

მე ამ იემშიკს სიცილით ვუთხარ, – იმ იემშიკმა სწორეთ ორმოცს მინუტზე მოგვიყვანა. –

– ეს იემშიკი მამიბრუნდა, და მითხრა, ბარინ ნავოტკს მამცემ, რომ 14-ი ვერსტი ნახევარ საათზე, გაგარბეინოთო.

– დიახ მოგცემ მეთქი.

– აბა ჩაბძანდით. –

მან ცხენები ერთ ვერსამდისინ, ჩორთით წაიყვანა, და მასკვან დაიძახა, აბა წითელო ცხენებო, ბარინი ნავოტკას გვაძლევსო. – მოგლიჯა ცხენები, და ასე გაგვაქანა, რომ რიგიანათ ველარა დავინახეთრა, – მცირეხანი არ გამოვიდა, რომ სალდათსკის ფოშტაში მიგვიყვანა. – მე საათი ამოვიღე. ვნახე, რომ 14-ი ვერსტი, სწორეთ 26-ს მინუტზე გამოგვარბენინა.

მე მართლა დიდათ გამიკვირდა, და ერთი რუბლი ვაჩუქე. –

ჩვენი მეორე პერეკლადნა ათს მინუტს შემდეგ მოვიდა. –

ამ ფოშტაშიაც; პერეკლადნები დიახ სწრაფათ შეგვიბეს, და ეგრეთვე სწრაფად გავსწიეთ. ასე რომ 20-ი ვერსტი, 35-ს მინუტზე გაგვარბენინეს, და პავლოვსკის ფოშტაში მიგვიყვანეს. –

ამა პავლოვსკიდგანაც სწრაფათ გვარბენინეს, ასე რომ 25-ი ვერსტი 55-ს მინუტზე გაგვარბენინეს, და იაგორსკის ქალაქში შეგვატარეს, და მის ფოშტაში გადაგვახდინეს. –

თუმცა ფოშტის ნაჩალნიკმა პერეკლადნები დაგვიმზადა, მაგრამ მინიცკიმ უთხრა, – ჩვენ ტრახტირში წავალთ და მინამ იქიდგან მოვიდეთ, პერეკლადნები მზათ იყოსო. –

ჩვენ ტრახტირისაკენ წავედით, – ტრახტირი შუა ქალაქსა შინა თურმე იყო და რას ყოფით ვიპოვნეთ.

მას ტრახტირსა შინა კარგახანი დავყავით, ჯერ ჩაი დავლიეთ, მასკვან სადილი ვიგემე, მერეთ ყავა დავლიეთ, შემდეგ პერეკლადნები იქვე მოვატანინე, – ტრახტირის პატრონს გამოვესამლეთ, – და პირველსავე სირბილით გავსწიეთ. –

13-ი ვერსტი ნახევარ საათზე გაგვარბენინა და ალექსანდრიას ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფად წავედით, ასე რომ ორ საათზე 38-ი ვერსტი გავირბინეთ, და საბლიის ფოშტაში მივედით.

თუმცა აქედგანაც დიახ სწრაფად გავსწიეთ, მაგრამ შუა გზაზე დაგვიღამდა, და სიბნელისა გამო ისე სწრაფათ ველარ ვიარეთ, მაინც 27-ი ვერსტი ორ საათზე გავირბინეთ, და ალექსანდროვის ქალაქის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც დაუყოვნებლივ წავედით. მე პერეკლადნაში ერთს გვერდზე წამოვწექ და დავიძინე. ეგრეთვე მინიცკიმ დაიძინა და ადრით იემშიკს უთხრა, ფოშტაში რომ მიგვიყვანო, მე გამაღვიძეო. მე დიახ კარგახანი მეძინა, შემდეგ მინიცკიმ გამაღვიძა და მითხრა, გაიღვიძეთ, ფოშტაში მივედითო. –

საჩქაროთ პერეკლადნებიდგან გადავხედით, და ფოშტაში შევედით. –

საათი ვნახე, რომ 18 1/2 ვერსტი საათნახევარზე გამოგვერბინა, – და ვალინოვსკის ფოშტაში მოვსულიყავით. –

მე კაროვინს ვკითხე – თქვენ როგორ მოთავსდით პერეკლადნაში, ან გეძინათ თუ არა?

– დიახ კარგათ მოვთავსდით, და კარგათაც გვეძინაო. – მასკვან მე მკითხა – თქვენ როგორღა მოთავსდით?

– ჩვენც დიახ კარგათ მოვთავსდით, და კარგათაც გვეძინა.

ამა ფოშტასა შინა პურით ჩაი დავლიეთ, მერეთ ვახშამი ვჭამეთ და ამაობაში კარგახანი დავყავით. – კარგათ რომ დავისვენეთ, მასკვან პერეკლადნებში ჩავსხედით, გავსწიეთ, და მინამ გათენდა, ახალს სერგეევკის ფოშტაში მივედით.

მე საათი ვნახე, რომ 14-ი ვერსტი ორსაათნახევარზე გამოგვერბინა. – ამ გზაზედ ჩვენ დიახ გულით გვეძინა და ვგონებ, რომ იემშიკს შემთხვევა მიეცა და ტაატით წამოსულიყო, მაგრამ დიდის ფიცით გვარწმუნებდა, რომ ცხენებს დაოთხებულს ვერეკებოდიო. –

ჩვენ მას არ ვუჯერებდით და მინიცკიმ უთხრა, – კარგათ იცი, როგორის ბძანებით მოვდივარო. –

ის კიდევ ფიცამდა. რაღა გავაგძელო, 23-ი ივლისი ამ ფოშტაში გაგვითენდა.

– მინიცკიმ მითხრა, თუ გინდათ ჩაი დავლიოთო?

– ბარემ სტავროპოლამდისინ მოვითმინოთ მეთქი.

პერეკლადნები მოგვიტანეს, – ჩავსხედით, და ესრეთ სირბილით გავსწიეთ, რომ 24-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და ბეშპაგირის ფოშტაში მივედით.

ამა ფოშტიდგანაც დიახ სწრაფათ ვირბინეთ და სტავროპოლის ქალაქსა შინა შევიარეთ.

მე საათი ვნახე, რომ 30-ი ვერსტი ერთს საათზე და ათ მინუტზე გამოგვერებინა.

მივედით და შუა ქალაქსა შინა ფოშტა იყო, მას ფოშტაში გადავხედით.

ესე ქალაქი მომაღლოს ადგილსა ზედა იდგა, და კავკაზიის მთებსა პირისპირ სჭვრეტდა, რომელიცა მის ქალაქის მდებიარობა მომეწონა. –

იმ დღესა და იმ ღამეს მას ქალაქსა შინა დავყავით, – და ჩვენ დიახ კარგათ დავისვენეთ. ოდეს 24-ი ივლისი გათენდა, მაშინვე პერეკლადნები მოგვიტანეს ჩვენ ადრითვე პურით ჩაი დაგველია, – ჩავსხედით, გავსწიეთ, და 32-ი ვერსტი 7-ს რუბზე გავირბინეთ, და მოსკოვკაიას ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ.

18-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ და დონსკოის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც სწრაფათ გავსწიეთ, 20-ი ვერსტი 50-ს მინუტზე გავირბინეთ, და ბეზოპასნოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც საჩქაროთ წავედით, 25-ი ვერსტი 66-ს მინუტზე გავირბინეთ და პრეგრადნის ფოშტაში მივედით. – ამა ფოშტასა შინა სადილი ვიგემეთ და კარგა ხანიც დავყავით. – შემდეგ გავსწიეთ, 17-ი ვერსტი 40-ს მინუტზე გავირბინეთ და კალოდიზნის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც მეყვსეულად გავისწრაფეთ, 13-ი ვერსტი 25-ს მინუტზე გავარბეინეთ და კალალის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც ეგრეთვე ვირბინეთ, 15-ი ვერსტი ნახევარ საათზე გავირბინეთ და რასიპნის ფოშტაში მივედით.

ამა ფოშტიდგანაც ვირბინეთ, 24-ი ვერსტი 56-ს მინუტზე გავირბინეთ, და პესჩანა კოპნაიას ფოშტაში მივედით. – აქ სრულებით დაგვაღამდა, – ჩვენ ჩაი მოვითხოვეთ და თეთრის პურით კარგის მადით დავლიეთ, – კარგათ რომ გავძეღით და ცოტაც დავისვენეთ, მაშინვე პერეკლადნები მოვატანინეთ, ჩაუვხედით, საჩქაროთ გავსწიეთ, – 27 1/2 ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ, და სრედნი იაგარლიკის ფოშტაში მივედით. –

ჩვენ დღე ყოველთვის გვეღვიძა და ღამე, ფოშტითი ფოშტამდისინ გვეძინა და ფოშტაში რომ მივიდოდით, იქ უნდა გაგვეღვიძა, – პირველის პერეკლადნებიდგან; ჩვენი ბარგი უნდა ამოგველაგა და ახალს შებმულს პერეკლადნებში ჩაგველაგებინა, – და ეგრეთვე

საათი უნდა გამეჩხრიკა, რაოდენს დროზე მოვიდოდით.

ამა ფოშტიდგანაც გავსწიეთ, – 19-ი ვერსტი ორს საათზე გავიარეთ და ნიჟნი იაგარლიკს მივედით. –

აქედგანაც გავსწიეთ, 26-ი ვერსტი სამს საათზე გავიარეთ და მეჩეთინსკის ფოშტაში მივედით. – მინამ მინიცკი პერეკლადნებს შეაბმევინებდა, 25-ი ივლისი კიდეც გათენდა. –

– მე ვთქვი, მაინც ხო გათენდა, ბარემ ჩაი დავლიოთ და კუჭ-გამაგრებული წავიდეთ მეთქი.

იმათაც დიდათ იამათ, – საჩქაროთ ჩაი გავაკეთებინეთ და თეთრის პურით დიახ ლაზათით დავლიეთ, და მასკვან თითო, რომით ფუნჯი გადავკარით. –

მუცელს ბოწკინტი რომ შევუდგით, და გოგრა რომის ალით რომ აღვავსევით. – მაშინვე პერეკლადნებში ჩავსხედით, – გახურებულთ ესრეთ ჩქარათ გავსწიეთ, რომ 28-ა ვერსტრი ერთს საათზე გავირბინეთ, და კაღალინცკის ფოშტაში მივედით.

ჩემს დღეში მე პერეკლადნაში ჯდომის უჩვევარმან დიდათ მამშალა, ასე რომ თითქმის აღარ შემეძლო პერეკლადნით წასვლა. – და მე დიდათ დაღონებული ვიყავი.

ამ ფოშტის ზედამდეგმან მითხრა, რატომ დაღონებულხართო. –

მე ჩემი გარემოება ვუთხარი.

– იმან მითხრა, აქ მე ერთი კარგი ბრიჩკა მაქვს, თუ გინდათ იყიდეთო.

მე დიადათ მიამა და წაგვიყვანა მის ბრიჩკის სანახავათ. –

ეს ბრიჩკა დიახ კარგი ბრიჩკა იყო. – შევევაჭრეთ, – და რვაას რუბლ ასიგნაციათ დაგვიფასა. – სწორეთ უნდა ვთქო, ორას რუბლ ასიგნაციათ არა ღირდა, მაგრამ ვინ დასდევდა დაწვლილებით ვაჭრობას. –

იმან პატიოსანის სვინიდისით 700-ი ასიგნაციათ დამითმო. –

მე დიდის სიხარულით და მადლობით ამ ფასათ გამოვართვი.

ამა ბრიჩკას დიშლა არა ჰქონდა ზედ გაკეთებული და ზოგიერთი რაღაც გასაკეთებელი ჰქონდა, – მინამ ბრიჩკას დიშლას გაუკეთებდნენ და დასაკლისებს შეუსრულებდნენ, მანამდისინ სწორეთ ექვსი საათი გავიდა. – და სადილობის დროც მოვიდა. სადილიც ამ ფოშტაშივე ვიგემეთ, – სადილს უკან, – რაც ბარგი გვქონდა, სულ ერთიანათ მას ბრიჩკაში გადმოვაწყევით, – ჩვენ

ოთხნივ პირველის ბრიჩკის რიგით ჩავსხედით, – ექვს ცხენშებ-მულიანი ბრიჩკა, – სწრაფათ გაექანა, – ესრეთ, რომ 26-ი ვერსტი ერთს საათზე გაგვარბენინა, და ბატაისკაის ფოშტაში გადავხედ-ით.

აქედგანაც დიახ დაუყოვნებლივ წავედით, და 19-ი ვერსტი რომ გავირბინეთ, დუნაის მდინარის პირზე ჩავედით. – მის გაღმის პირსა, მომაღლოს ადგილსა ზედა ქალაქი აქსაი მდგომარეობდა. – შორით მიმავალთ მოეწონებათ მის ქალაქის ადგილი, ამისთვის, რომ დიახ შორსა ჰსჩანდა იგი ქალაქი.

ამა დუნაისა ზედა ხიდი იყო გადებული, – და ჩვენი ბრიჩკა დიახ ფთხილათ გავიტანეთ.

მინამ მას ქალაქსა შინა შევედით, სრულებით დაგვიღამდა. –

მინიცკიმ მთხოვა, თქვენ აქ მოიცადეთ, მე და კაროვინი წავალთ, – ზუთხისშვილს, და წითელ დონსკოის ღვინოს ვიყიდითო. –

მე ბრიჩკით ამ შუა ქალაქში დავრჩი, და ისინი ქვეითი, დუნაის პირზე მეთევზეებთან ჩავიდნენ. –

ნახევარ საათს უკან, მოვიდნენ და ახლად დაჭერილი ორი ცო-ცხალი ზუთხის შვილი მოიტანეს.

მინიცკიმ მითხრა, აი ეს ზუთხის შვილები, აი ეს დანსკოის ღვი-ნო, და აი კიდევ საზანთროები, და აი ნესვებიო. –

მე დიდათ მიამა. – ისინი სულ ბრიჩკაში ჩავიწყევით. –

ჩვენც ჩვენის რიგით ჩავსხედით, გავსწიეთ, 7-ი ვერსტი კიდევ გავირბინეთ, და ამ ფოშტაში გვითხრეს, ხვალ მთაზე უნდა გადიარ-ოთო. – ზმეიკოვკას ფოშტაში მივედით.

იმ ღამეს საუცხოვოთ შევექეცით ასე, რომ კიდეც დავთვერით და იმ ფოშტაშივე დავიძინეთ. –

26-ი ივლისი რომ გათენდა, – ბრიჩკაში ჩავსხედით, – გავსწიეთ, 21-ი ვერსტი 45-ს მინუტზე გაგვარბენინა, ნოვოჩერქასკის ქალაქში შევიარეთ, და შუა ქალაქსა შინა, ტრახტირში გადავხედით. –

მე ესე ქალაქი დიახ მამეწონა, საუცხოვოს პლანზედ იყო აშენ-ებული და კარგი მდებიარობაცა ჰქონდა. –

იმ დღეს და იმ ღამეს ამ ქალაქსა შინა განვისვენეთ, – 27-ი ივლი-სი რომ გათენდა, მე მინდოდა წასვლა, მაგრამ მინიცკიმ მითხრა, საღამომდის აქ ვიყვნეთ, და საღამო ჟამზე წავიდეთო.

იმ დღეს საღამომდისინ იქვე დავყავით, – საღამოს ჟამზე ფოშ-

ტიდგან ცხენები მოასხეს, – ბრიჩკა მოგვიმზადეს, – ჩვენ შიგ ჩავსხედით, – გავსწიეთ, შუა გზასა ზედა სრულებით დაგვიღამდა, – 30-ი ვერსტი ორს საათზე გავირბინეთ, და კოსტანტინოვსკაიას ფოშტაში მივედით. – აქედგანაც დიახ დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 26-ი ვერსტი ცხრას რუბზე გავირბინეთ, და ალხოვსკაის ფოშტაში მივედით. – იმ ღამეს ამ ფოშტაშივე დავყავით. –

28-ა ივლისი რომ გათენდა, – ჩაი მოვატანინეთ, და კაის თეთრის პურით დავლიეთ, შემდეგ ბრიჩკაში ჩავსხედით, წავედით, – 24 ვერსტი საათნახევარზე გავირბინეთ და დანეცკაიას ფოშტაში მივედით.

ამა ფოშტიდგანაც საჩქაროთ წავედით, – 31-ი ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ და ლაპატინსკის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში სადილი ვიგემეთ, – შემდეგ გავსწიეთ. – 23-ი ვერსტი საათნახევარზე გავირბინეთ, და მიშკოვსკაიას ფოშტაში მივირბინეთ. –

აქედგანაც სწრაფად წავედით, – 28-ა ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ, და კუმშატსკაიას ფოშტაში გადავხედით. –

ამა ფოშტიდგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 27-ი ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ, და კოტლუბატსკაიას ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც მეყვსეულად წავედით, 33-ი ვერსტი 2-ს საათს 1/2-ზე გავირბინეთ, და ახდილატიევის ფოშტაში მივედით. –

ამ ფოშტაში პურით ჩაი დავლიეთ, და კიდეც დაგვიღამდა. – შემდეგ გავსწიეთ, 31-ი ვერსტი ორსაათს ნახევარზე გავარბენინეთ, და კაბილინსკის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც სწრაფთ წავედით, – 28-ა ვერსტი 3-ს საათზე გავიარეთ, და ნიჟნი ზერსკაის ფოშტაში მივედით. –

ჩვენ შევნიშნეთ, ოდეს გვეძინა ხოლმე, მაშინ დიახ წყნარათ ერეკებოდნენ ცხენებსა, მინიცკი დიდათ ჯავრობდა, მაგრამ იემშიკნი ეფიცებოდნენ ჩქარათ სიარულისას.

ამ ფოშტიდგანაც საჩქაროთ გავსწიეთ, – 27-ი ვერსტი სამს საათზე გავიარეთ და გრუშოვის ბალკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 33-ი ვერსტი სამს საათს ნახევარზე გავიარეთ და გოლუბინსკის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში 29-ა ივლისი გაგვითენდა. – აქვე პურით ჩაი დავლიეთ, – შემდეგ გავსწიეთ, – 36-ი ვერსტი 2-ს საათს და ნახევარზე გავირბინეთ, და ილმენსკის ფოშტაში მივირბინეთ. –

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 42-ი ვერსტი 3-ს საათზე გავირბინეთ და გრაჩოვსკაიას ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 21-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და დუბოვკის ფოშტაში მივედით. აქ სადილი ვიგემეთ, – მერეთ ჩავსხედით, – გავსწიეთ, – 24-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და პრიზაპადნოის ფოშტაში მივირბინეთ. –

ამ ფოშტიდგანა საჩქაროთ გავსწიეთ, 18-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და პრალეიტსკის ფოშტაში მივედით. –

აქდგანაც გავისწრაფეთ, – 16-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ, და ბალიკლის ფოშტაში მივირბინეთ. – აქედგანაც სწრაფათ ჭენებით გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და კარავანსკის ფოშტაში მივირბინეთ. – ამ ფოშტაში დაგვიღამდა, – აქვე პურით ჩაი დავლიეთ, და ვახშამიც აქვე ვჭამეთ. –

უკეთუ ფოშტაში ხორცსა, ანუ ქათამს ვიშოვნიდით, მას ცივათ, ანუ სუფათ, ჩემს ბიჭსა გავაკეთებინებდით და უკეთუ ვერ ვიშოვნიდით, ყველსა და პურზე გადვივლიდით და წამოღებულს წითელ ღვინოს ზედ დავასხამდით. –

ჩვენი ვახშამი აღვიღევით, შემდეგ ბრიჩკაში ჩავსხედით, გავსწიეთ, – 26-ი ვერსტი სამს საათზე გავიარეთ და ბელაიგლინკას ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტასა შინა მე ცოტათ უქეიფოთ შევიქენ და იმ ღამეს აქვე დავდეგით. –

ოდეს 30-ი ივლისი გათენდა, მე სრულებით კარგათ ვიყავ. – პურით ჩაი დავლიეთ, 32 ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ და კამიშინის ქალაქის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც მეყვსეულად გავსწიეთ, – 25-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და პავლენსკაიას ფოშტაში მივედით. –

ამ ფოშტიდგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 21-ი ვერსტი 50-ს მინუტზე გავირბინეთ, და გრეზნუხას ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში სადილი ვიგემეთ. –

სადილს უკან კუალად ჩავსხედით, გავსწიეთ, 24-ი ვერსტი 1-ს საათზე გავარბენინეთ, და კამენსკის ფოშტაში მივირბინეთ. –

აქედგანაც საჩქაროთ წავედით, 31-ი ვერსტი 2-ს საათზე გავირბინეთ, და უსტზალეინაის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც გავსწიეთ, 23-ი ვერსტი 50-ს მინუტზე გავირბინეთ და ტალოვკის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში დაგვიღამდა. – აქვე

პურით ჩაი დავლიეთ და ვახშამიც აქვე ვიგემეთ. – შემდეგ გავსწიეთ და ასეთი ბნელი ღამე დაგვიდგა, რომ გზა აღარა ჰსჩნდა. –

აქ იემშიკმა გზა დაჰკარგა და აქეთ იქით ხეტებით 30-ი ვერსტი; გათენებისას პაბოჩნი მიოდის ფოშტაში მიგვიყვანა. –

აქედგან დიახ სწრაფათ წავედით, 26-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და მინამ 31-ი ივლისი კარგათ გათენდებოდა, – სარატოვის ქალაქში შევიარეთ, – და შუა ქალაქის ტრახტირსა შინა გადავხედით.

ესე ქალაქი დიახ კარგი და საუცხოვო ქალაქი იყო, რომელსაცა მდინარე ვოლგა წინ ჩამოუდიოდა, ესე ქალაქი დიდათ მამეწყო და ყოვლის შემკულებით სავსე იყო.

ამა ქალაქსა შინა ხუთი დღე დავყავით, მას მდინარესა ზედა ლოტკებით შევექეცით, და ამ სარატოვში ყოვლის სიამოვნით აღვივსენით. ბრიჩკასაც გაკეთება უნდოდა და კარგათ გავაკეთებინეთ. – ოდეს, 5-ი აგვისტო გათენდა, – და მეათე საათი დაიწყო. – მაშინვე ბრიჩკაში ჩავსხედით, – გავსწიეთ, 24-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და კლესჩოვკას ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, 29-ა ვერსტი ერთს საათზე და ათმინუტზე გავირბინეთ, და იელიშანსკის ფოშტაში მივედით. –

ამა ფოშტიდგანაც საჩქაროთ გავსწიეთ, – 26-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და სინოდსკოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, – 34-ი ვერსტი ორს საათზე გავირბინეთ, და კლუჩის ფოშტაში გადავხედით.

ამა ფოშტიდგანაც სწრაფად წავედით, 26-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და ვოლსკის ქალაქის ფოშტაში გადავხედით, – აქ სრულებით დაგვიღამდა. – და აქვე ვივახშმეთ. – შემდეგ გავსწიეთ, – 29-ა ვერსტი სამს საათზე გავირბინეთ, და შიროკი ბურიესაკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც გავსწიეთ, – 29-ა ვერსტი სამსაათს ნახევარზე გავირბინეთ, და ალექსიევკის ფოშტაში მივედით.

ამა ფოშტიდგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი სამსაათს ნახევარზე გავიარეთ და ხვოლინსკის ქალაქში მივედით, – სადაც 6-ი აგვისტო გაგვითენდა, – აქვე პურით ჩაი დავლიეთ. – შემდეგ გავსწიეთ, – 27-ი ვერსტი ერთს საათზე და ხუთ მინუტზე გავირბი-

ნეთ და ფეოდოროვკას ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც გავსწიეთ, – 27-ი ვერსტი ერთს საათზე და ათს მინუტზე გავირბინეთ, და ნაინოვკას ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფათ წავედით, – 24-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და სიზრანის ქალაქში მივედით. – ამ ქალაქში კარგა ხანი დავყავით. – სადილიც აქვე ვიგემეთ.

სადილს უკან გავსწიეთ, 26-ი ვერსტი ორსაათს ნახევარზე გავიარეთ და ბაშლი იკატიჩის ფოშტაში მივედით, ამ გზაზე დიახ ცუდი ცხენები შეგვხვდნენ, ამისთვის ნელა ვიარეთ, – აქვე დაღამდა. ესე ღამე ამავ ფოშტაშივე დავყავით.

ოდეს 7-ი აგვისტო გათენდა, – მაშინვე პურით ჩაი დავლიეთ, – შემდეგ გავსწიეთ, და ვოლგის მდინარესა პირსა ზედა ჩავედით. – აქ დიდი ლოტკა მოგვიმზადეს, ჩემი ბრიჩკა შიგ იმ ლოტკაში გადაიტანეს, – ცხენებიც შიგ ჩააყენეს, – ჩვენც მას ლოტკაში ჩავსხედით, – ერთი აფრა აუშვეს, ქარმან იგი აფრა გაშალა და აფრამ ეს ლოტკა სწრაფათ გაღმა გაიტანა. –

ჩვენ მდინარის პირსა ზედა გადავხედით, – ჩემი ბარიჩკაც გადვიტანეთ, – ცხენები შევაბით, ჩვენც შიგ ჩავსხედით, – გავსწიეთ, – ბაშლიკაიჩიდგან, მალი იკასტიჩამდისინ ათი ვერსტი იყო და ერთსაათზე ძლივ მივედით, –

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, – 15-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და მილნოეს სოფელში მივედით.

ამ სოფლიდგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 25-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და კატერინოვკას სოფელში მივედით. – ჩემი დაღალვის გამო ამ სოფელშივე დავიღამეთ; –

კარგათ რომ დავისვენეთ და საღამოჟამი მოვიდა, მაშინვე პურით ჩაი დავლით, აქვე ვივახშმეთ, – შემდეგ გავსწიეთ, – 20-ი ვერსტი სამ საათზე გავიარეთ, და ღორნის სოფელში მივედით. –

აქედგანაც დიახ წყნარა წავედით, ასე რომ 8-ა აგვისტო სრულებით რომ გაგვითენდა, – ვოსკრესენსკოის სოფელში მივედი და 20-ი ვერსტი გავიარეთ.

აქედგანკი დიახ სწრაფათ წავედით, – 12-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავიარეთ და სამარის ქალაქსა შინა მივედით.

ამ ქალაქში საღამოჟამამდისინ დავყავით, – დიახ დავისვენეთ და რაც შეიძლებოდა კარგათაც შევექეცით. –

საღამოჟამზე გავსწიეთ, – 27-ის ვერსტი ორსაათს ნახევარზე გავირბინეთ, და ალექსეევსკის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც ვირბინეთ, – 30-ი ვერსტი 2-ს საათზე და სამს რუბზე გავირბინეთ და მოჩინსკის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც გავისწრაფეთ, – 33-ი ვერსტი სამს საათზე გავირ-ბინეთ, – რომელიც გზაზე 9-ა აგვისტო გაგვითენდა, და ფეოდორ-ოვკას ფოშტაში მივედით. – აქვე ვიჩაიეთ და ვისაუზმეთ, – შემდეგ გავსწიეთ, 25-ი ვერსტი, ერთს საათზე გავირბინეთ და ბორსკაის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც გავსწიეთ, – 34-ი ვერსტი ორს საათზე გავირბინეთ და მოიკანავინკას ფოშტაში მივედით. –

ესე ფოშტა ერთს გადამდგარს პოლკოვნიკს ეჭირა და ამ ფოშ-ტასთან ერთი პატარა სოფელი იყო, რომელიცა მისივე იყო.

ამ სოფლის თავსა ზედა საუცხოვო სახლი ედგა, და იგი იმაში ცხოვრებდა. –

მინიცკი მას პოლკოვნიკთან ცხენების სათხოვრათ წავიდა. –

მცირეხანი აღარგამოვიდა, რომ თვით იგი მოხუცებული პოლკოვნიკი მოვიდა და დიდის თხოვნით მთხოვა, რომ მის სახლში მივსულიყავ. –

მე გაცნობა ვთხოვე და ვკითხე თავისი გვარი.

– მან მითხრა, მე გადამდგარი პოლკოვნიკი ვარ, სახელათ ივან ივანიჩი და გვარი ხრისტი.

მეც ჩემი გვარი და სახელი განუცხადე, მაგრამ უარი ვუთხარ მიუსვლელობისა.

იგი არ მამეშო და დიდის თხოვნით წამიყვანა, – ეგრეთვე კარო-ვინი წამოიყვანა.

მიგვიყვანა, თავის სახლში შეგვიწვია და თავის ცოლშვილი გაგვაცნო. –

ამის ერთი შვილიც გადამდგარი იყო სამხედროს სამსახუ-რიდგან. თურმე კაროვინი და ის ერთს პოლკში ყოფილიყვნენ. –

კაროვინმა რომ დაინახა, დაიძახა, ახ! ნიკალაი ივანიჩ. – იმანაც, ახ! ნიკოლაი ანდრეიჩ, და ერთმანეთი დაჰკოცნეს.

რაღა გავავრცელო, – იმ დღეს და იმ ღამეს არ გამოგვიშვეს, დიახ კარგათ დაგვხვდნენ, სხვათა შორის ყოვლის სიკეთილით სავსენი იყვნენ. –

ოდეს 10-ი აგვისტო გაგვითენდა, – ჩვენ დიახ მადლობით განვშორდით, – გავსწიეთ, – 16-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ და ბუზულუკის ქალაქში მივედით.

აქედგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 29, ერთს საათზე გავირბინეთ და პოღრომნაის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც საჩქაროთ გავსწიეთ, 17-ი ვერსტი 35-ს მინუტზე გავირბინეთ და ტოტსკაის ფოშტაში მივედით. – აქავე ვისადილეთ და კარგახანიც დავყავით, შემდეგ გავსწიეთ, – 29-ა ვერსტი საათნახევარზე გავირბინეთ და სარაჩინსკაის ფოშტაში მივედით, აქვე დაგვიღამდა, – აქვე პურით ჩაი დავლიეთ და გავსწიეთ. – 21-ი ვერსტი ორსაათზე გავიარეთ და ვარაბიოვსკოი უმოდის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც წავედით, – 26-ი ვერსტი სამსაათნახევარზე გავიარეთ და ნოვო სერგიევსკაის ფოშტაში მივედით. – აქვე 11-ი აგვისტო გაგვითენდა. აქვე პურით ჩაი დავლიეთ, – შემდეგ გავსწიეთ, 24-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და პოლტავსკის ფოშტაში მივედით. –

ამ ფოშტიდგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 20-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ და პერევალოტსკაის ფოშტაში მივედით, – აქვე ვისადილეთ, – შემდეგ გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი 50-ს მინუტზე გავირბინეთ, და ტატისჩევის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც მეყვსეულათ გავსწიეთ, – 35-ი ვერსტი, 2-ს საათზე და ათმინუტზე გავირბინეთ და ჩერნარეჩინსკაის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, 28-ა ვერსტი საათ ნახევარზე გავირბინეთ და კარგათ რომ დაგვაღამდა, ორენბურღის ქალაქსა შინა შევიარეთ, – მივედით, და ტრახტირსა შინა გადავხედით. –

მეორეს დღეს მინიცკიმ მუნდერი ფორმით ჩაიცო, – და მთავრობასთან წავიდა გამოსაცხადებლად. – კაროვინიც თავის დის საძებნელად წავიდა. –

ორსაათს უკან მინიცკი სიხარულით მოვიდა, და მითხრა. –

– შტაბნაჩალნიკი რაკასოვსკი ვნახე, – რომელიც მასთან წიგნები მქონდა, სულერთიანათ წაიკითხა, და მერწმუნე კნიაზო, რომ ყოველი შენი გარემოება, დიახ კარგათ მოხდებაო. –

– მე ვკითხე – სადა ვარ დანიშნული, რაკასოვსკიმ თქო თუ არა?

– ვერხნის ურალსკში 9-ს ლინეინის ბატალიონიში ხართ დანიშნული. –

– კვალად ვკითხე – აქაური მთავარმართებელი სადარის?

– კასპიის ზღვის გაღმა, ახალის ალექსანდროვსკის ციხის სანახავათ წასულა, და ჩილაევიც თან წაუყვანია.

მე ჩილაევის აქ უმყოფლობა დიდათ მეწყინა, ამისთვის, რომ დედიჩემის მცნობი იყო. –

– მასკვან ვკითხე – აქაურის მთავარმართებელის ჩინი და გვარი განმიცხადე?

– ღენერალლეიტენანტი და ღენერალადუტანტია, სახელად ვასილი ალექსეიჩი ჰქვიან, გვარათ პეროვსკი, და ხელმწიფისა საყვარელი არის. შემდეგ მითხრა, შტაბნაჩალნიკმა დაგიბარათ ხვალ. მაგ ქართულის ტანისამოსით უნდა წაგიყვანოვო. –

– მე ვუთხარ, მგონია. ურიგო იყოს.

– არა, არაფერია. და მაინც დღეს თქვენი სამუნდირე მივცეთ შესაკერათ, და შემდეგ მუნდირით გამოცხადდითო.

ერთი ურია დავიბარეთ, რომელმანცა ჩემი მუნდირის გაწყობილობა იტვირთა, ამ სამ დღეზე მოგართმევთო, – და წავიდა.

იმ დღის საღამო ჟამზე კაროვინი მოვიდა და თავის დის შეყრა ილაპარაკა, – იმ ღამესვე არ გავუშვი და ერთს ოთახსა შინა დავიძინეთ სამთავე.

მეორეს დღის მეთერთმეტე საათზე, ქართულის ტანისამოსით მინიცკი და მე წავედით და შტაბნაჩალნიკი რაკასოვსკი ვნახე. – რომელმანცა დიახ კარგათ მიმიღო და მითხრა, მინამ კორპუსნის კომანდერი არ მოვიდეს, მანამდისინ, – ვერხნის ურალსკს ნუ წახვალთო. –

მე მადლობა გადვიხადე. – და პატარახანს უკან წამოველ.

ორ დღეს უკან ლინეინის ბატალიონის პრაპორშიკის მუნდირები ჩავიცვი. – წავედი შტაბნაჩალნიკთან, დევიზიონის კამანდერთან და ბრიღადნის კომანდერთან გამოვცხადდი, – რომელთაცა დიახ პატივით მიმიღეს. – მეც მათის მადლობით ჩემს ოთახსა შინა მოვედი.

– მინიცკიმ და კაროვინმა მკითხეს, როგორ მიგიღესო?

– დიახ პატივით და სიყვარულით მიმიღესმეთქი.

შემდეგ ამისა, აქაურნი მოსამსახურე ადუტანტები, პოლიც-

მეისტარი, და კიდევ სხვა კეთილშობილები გავიცან. –

17-ს აგვისტოს მინიცკი დიდის მწუხარებით გამამესამლა, და საქართველოსაკენ წამოვიდა, – რომელთაც ჩემიანებს ყოველთ წიგნი მივსწერე, და ჩემი მშვიდობით ყოფნა და ჩემი გარემოება, ყოველი განუცხადე. –

ჩემს ბედნიერების ვარსკვლავს კი! სატრფიალო წიგნი მივსწერე, – ცრემლის დენით.

ოდეს მინიცკი გამეყარა, – მე ორენბურღის პოლიცმეისტრის ძმამ, ლინეინის ბატალიონის უნკერ ფეოდორ სჩერბაჩევმან მთხოვა, რომ იმასთან ერთათ დავმდგარვიყავ. –

მე დიდათ მიამა, ამისთვის, რომ კარგი და კეთილი ყმაწვილი კაცი იყო. –

ჩემი ბარგი მის სახლსა შინა გადავატანინე და მასთან დავდეგ. –

ერთს დღეს დამატარა, ეს ქალაქი სრულებით მაჩვენა. – დიახ მამეწონა.

ამ ქალაქს დიახ მაღალი და განიერი მიწის გალავანი ევლო და შიგ ეს ქალაქი უცხოს პლანით იყო აშენებული. – წინ სამხრეთით ურალის მდინარე ჩამოუდიოდა და ამის გაღმა პირზე საუცხოვო ჭალა, მწვანედ გაფენილიყო, სხვადასხვა ბესეტკებით და პატარა გზებით დაყოფილი. – მე ამ ქალაქის მდებიარობა მართლად მამეწონა. –

ამ ქალაქსა შინა ვიმყოფებოდი და ორ-სამ დღეში ერთხელ შტაბ-ნაჩალნიკს ვნახამდი ხოლმე. – და ეგრეთვე სხვებთან დავდიოდი.

2-ს სეკტენბერის დილას, მე და ახლად მცნობი ერთი უცხო კეთლშობილი აფიცერი ფრინვლების სანადიროთ წავედით. –

საღამომდისინ მრავალი იხვი და სხვა ფრინვლები დავხოცეთ. –

შინ რომ შევედი, ჩემი ბიჭი მომეგება და მითხრა, – თქვენთან ერთი ადუტანტი იყო; – შინ რომ არ იყავით, მითხრა ალექსანდრეს მოახსენე ჩილაევი შენთან იყო და გთხოვათ, ჩემთან მობძანდეთქო. – ამ დროს კაროვინი მოვიდა, და მითხრა კორპუსნის კომანდერი პეროვსკი მოვიდაო. – ამ დროს კიდევ ჩერბაჩოვი გარედგან შემოვიდა, და იმანაც ეს მითხრა.

მე საჩქაროთ სერთუკი ჩავიცვი, წავედი და ჩემი ჩილაევი ვნახე. –

რამწამს დამინახა, დიდათ იამა, მოვიდა, გადამეხვია, და რაოდენჯერმე დამკოცნა. – შემდეგ დავსხედით და ლაპარაკი დავიწ-

ყევით. – თავის ძმების და თავის სახლის ანბავი მკითხა?

მე იმათი მშვიდობიანობა ვუანბე. მასკვან ბატოიშვილის დედი ჩემის წიგნი მივეცი, რომელმაცა გულმოდგინეთ წაიკითხა და მერე გულმტკივნეულად მითხრა. – ნურაფერზე ნუ შეწუხდები, დიახ პატიოსანი და კეთილი ვორ. კომ. *[მთავარმართებელი]* გვყავს და ხელმწიფისა საყვარელი ხომ. – რასაკვირველია არის. ამისთვის იმედი მაქვს დიდათ შეგეწევა. გარდა ამისა, კორპუსნის კამანდერმა ახალ ალექსანდროვსკის ციხეში დამნიშნა ნაჩალნიკათ და უთუოთ თქვენც თან წაგიყვანთ. ახლა მითხარით, რომელს ბატალიონში ხართ დანიშნული?

– ვერხნი ურალსკის, 9-ს ბატალიონში პრაპორშიკათ. –

დაღონდა და მასკვან მითხრა.

– ბევრს ნუღარას იფიქრებ, რომ უთუოთ თან უნდა წაგიყვანო. –

– შტაბნაჩალნიკთან რომ მოილაპარაკოთ, დიახ კარგი იქნება, ამისთვის, რომ დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემს ბედში.

– დიახ კარგი იქნება. –

ერთ მემამულიშვილებმა – სხვადასხვა ლაპარაკით ერთს საათამდისინ ვისიამოვნეთ, მერეთ ავდექ და წამოველ.

მეორეს დღეს მეთორმეტე საათზე მივედი და მითხრა, წადი, მოემზადე, შტაბნაჩალნიკთანაც ვიყავი და კორპუსნის კომანდერმა კიდეც დაგნიშნაო. –

მე წამოველ და რაც მესაჭიროებოდა, მოვიმზადე. წინა დღეს ჩემს მცნობებთ ყველას გამოვესამლე და ამის მეორე დღეს ჩემს ამხანაგსაც გამოვეთხოვე და მწუხარებით გავიყარენით. საღამო ჟამზე ბრიჩკაში ჩავჯექი და სერგეი გაბრიილიჩს ჩილაევსა ავედევნე.

11-ს სეკტენბერს, შუადღიდგან მეექვსეს საათზე, მე ჩემს ბრიჩკაში, სერგეი გაბრიილიჩი თავის კარანდასში ჩავსხედით, გავსწიეთ, 28-ა ვერსტი ორს საათზე გავირბინეთ და ჩერნორეჩინსკაის ფოშტაში მივედით, – აქვე ჩაი დავლიეთ და ვახშამიც აქვე ვჭამეთ, – შემდეგ ჩავსხედით, გავსწიეთ, 35-ი ვერსტი სამს საათზე გავირბინეთ და ტატისჩევის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, 30-ი ვერსტი ორსაათს ნახევარზე გავირბინეთ, 20-ი ვერსტი საათნახევარზე გავირბინეთ, და რაზსინაის ფოშტაში მივედით, ამ ფოშტიდგანაც გავსწიეთ, – 16-ი

ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და მუხრანსკის ფოშტაში მივედ-ით. –

აქედგანაც დიახ სწრაფათ გავსწიეთ, მაგრამ შუა გზაზე გაგვი-თენდა და 16-ი ვერსტი გზაც კიდევ სამს რუბზე გავარბენინეთ და სტუდენოის ფოშტაში მივედით. – აქავ პურით ჩაი დავლიეთ, შემდეგ გავსწიეთ, 15-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ და კლიდელინსკოის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც გავსწიეთ, – 25-ი ვერსტი ერთს საათზე გა-ვირბინეთ და იტეცკის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც ჩქარა გავსწიეთ, – 16-ი ვერსტი 40-ს მინუტზე გავირბინეთ, და კირსანოვსკოის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში ვისადილეთ, – შემდეგ გავსწიეთ, – 14-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ, და გენვარსკოის ფოშტაში მივედით. – ამ გენვარსკო-ის ფოშტის გზაზე დიახ დიდი წვიმა მოგვივიდა და დიადი ჭექა იყო და საშინელნი ღრუბელნი აქეთ იქით მიმოენქრეოდა.

აქედგანაც დიახ დაუყოვნებლივ გავსწიეთ, 22-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და გნილოვსკოის ფოშტაში მივედით, ამ ფოშ-ტაში დაგვიღამდა. –

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ, და ურალსკის ქალაქში შევიარეთ. – მივედით და პოლკოვნიკის პაკატელოვის სახლში გადავხედით, – რომელიც ურალთ ყაზახების ატამანი არის. –

პოლკოვნიკმა დიახ კარგათ მიგვიღო, სერგეი გაბრიილიჩმა, რეკამანდიცია მიყო.

მან ორი დღე არ გაგვიშო, დიდის პატივით და სიყვარულით დრო გაგვატარებინა. –

ოდეს 15-ი სეკტენბერი გათენდა. – ჩვენ დიახ მადლობით გამ-ოვესალმენით. – ჩავსხედით, გავსწიეთ, 12-ი ვერსტი 25-ს მინუტზე გავირბინეთ და კულლო ოზეროტსკში მივედით.

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი ერთს საათზე გა-ვირბინეთ, და ჩერნეგონსკოის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც სწრაფათ წავედით, – 22-ი ვერსტი ერთს საა-თზე გავირბინეთ, და კოშურალსკოის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც დიახ საჩქაროთ გავსწიეთ, 22-ი ვერსტი, 55-ს მინუტ-ზე გავირბინეთ, და ბუდარინსკოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დიახ საჩქაროთ წავედით, – 22-ი ვერსტი, ერთს საათზე გავირბინეთ, და ბოიხაროვსკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც გავსწიეთ, – 15-ი ვერსტი 27-ს მინუტზე გავირბინეთ და ლბისჩევის ფოშტაში მივედით. აქედგანაც გავსწიეთ, 15 ვერსტ 1/2-ი ნახევარს საათზე გავირბინეთ, და <u>გორიაჩინსკოის</u> ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანა საჩქაროთ გავსწიეთ, – 15-ი ვერსტი 26-ს მინუტზე გავირბინეთ, და კარშინსკოის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაშივე დავიღამეთ, აქვე ვიჩაიეთ და კიდევ ვივახშმეთ. შემდეგ გავსწიეთ. 18-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და კარშინსკოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, 16-ი ვერსტ 1/2-ი სამს რუბზე გავირბინეთ, და სახარნის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, 12-ი ვერსტი ერთს საათზე გავიარეთ და კალინოვსკოის ფოშტაში მივედით. – აქ ცუდი ცხენები შეგვხვდა და დიახ წყნარა გვატარა.

აქედგანაც გავსწიეთ, 16-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, და ლებიჟინსკოის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც სწრაფათ გავსწიეთ, ათი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ და ანტონოვსკის ფოშტაში მივედით. ამ ფოშტაშივე 16-ი სეკტენბერი გავითენეთ. – აქვე პურით ჩაი დავლიეთ, – შემდეგ გავსწიეთ. – 12-ი ვერსტი 26-ს მინუტზე გავირბინეთ და კრულლოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც ვირბინეთ, 10-ი ვერსტი 25-ს მინუტზე გავირბინეთ და კოტელინკოის ფოშტაში მივედით. –

ამ ფოშტიდგანაც ვირბინეთ, 18-ი ვერსტი ნახევარს საათზე და 5-ს მინუტზე გავირბინეთ, – და კალმიკოვსკის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში ვისადილეთ. შემდეგ გავსწიეთ, – 15 ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ და კრასნოიარსკოის ფოშტაში მივედით. აქედგანაც ვირბინეთ, – 17-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ, ხარკინსკოის ფოშტაში მივედით. აქედგანაც სწრაფად გავსწიეთ, 14-ი ვერსტი ნახევარ საათზე გავირბინეთ, და ინდერსკის გორის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც გავიქეცით, 17-ი ვერსტი 37-ს მინუტზე გავირბინეთ, და გრებენსჩიკოვის ფოშტაში მივედით. –

აქედგანაც დიახ დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 14-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ, და კულაღინოვის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დიახ სწრაფათ გავსწიეთ, 12-ი ვერსტი 28-ს მინუტზე გავირბინეთ, და არლოვსკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, 14-ი ვერსტი ნახევარს საათზე გავირბინეთ და ზელენოვსკოის ფოშტაში მივედით. – ამ ფოშტაში დაგვიღამდა, აქვე ვიჩაიეთ, და კიდეც ვივახშმეთ. –

შემდეგ გავსწიეთ, 16-ი ვერსტი სამს რუბზე გავირბინეთ და ტოპლევს ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დიახ ჩქარა გავსწიეთ, – 12-ი ვერსტი ნახევარსაათზე და 4-ს მინუტზე გავირბინეთ და კარმანოვსკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 12-ი ვერსტი ერთს საათზე გავირბინეთ და ბაქსაევსკის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც სწრაფათ გავსწიეთ, – 12-ი ვერსტი ერთსაათზე, და 15-ს მინუტზე გავიარეთ, და ემანხალინსკის ფოშტაში მივედით.

ამ ფოშტიდგანაც საჩქაროთ გავსწიეთ, – 22-ი ვერსტი საათნახევარზე გავირბინეთ, და სარაჩინოვსკის ფოშტაში მივედით, – რომელიც 17-ი სეკტენბერი აქვე გაგვითენდა და აქვე პურით ჩაი დავლიეთ. კარგახანი რა დავყავით, შემდეგ გავსწიეთ, 11-ი ვერსტი 28-ს მინუტზე გავირბინეთ, და მეორეს სარაჩინსკოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც დაუყოვნებლივ გავსწიეთ, – 9-ი ვერსტი 22-ს მინუტზე გავირბინეთ, და რედუტსკოის ფოშტაში მივედით.

აქედგანაც საჩქაროთ გავსწიეთ, – 12-ი ვერსტი ნახევარ საათზე გავირბინეთ, და კანდაუროვსკოის ფოშტაში მივედით. აქედგანაც საჩქაროთ გავიქეცით, 16-ი ვერსტი, 38-ს მინუტზე გავირბინეთ, და შუადღის დროს გურიევის ქალაქში შევედით.

წიგნი მშობელთან
საქართველოს მეფის ირაკლის ასულს თეკლას

გადაგდებული თქვენი შვილი ჩემს ამბავს გიამბობთ, როგორი მოგზაურობა შემემთხუა ამ ჩემის შორის გზითა.

მაგრამ ჩემი გულის და სულის მწუხარებისას აღარას გაგიხსენებთ, ვითარ იწყლოდა გული და სული თქვენის მოშორვებით. გრძნობისას ვერას გაგიხსენებთ, ვითარ გრძნობდა თქვენსას და მამულის მოშორვებას. ამისთვის სამჯობინარო მაქვს, სხვას მოვყვე. გრძნობისა არა განვავრცელო [მოვიხსენიო] რა.

თუმცა არ შემიძლიან, ყოველი საგანი რაოდენიცა ვნახე, ნამდვილად გამოვხატო, მაგრამ მაინც რაოდენ შევიძელ, ეგოდენ აღვწერე და უმდაბლესად მოგართვი უუსაყვარლეს მშობელს ჩემსა.

ქ. ტფილისს რომ განვშორდით, საბურთალოს მინდორზე გამოვედით, ავდარს ასე წაეხდინა გზები რომ გათენებამდისინ 12-ი ვერსტი ძლივს გამოვიარეთ და შარაგზაზე დავდექით ცხენების დასასვენებლად შუა დიღმის მინდორში. მინამ მზე ამოვიდოდა, გამეღვიძა და თვალი მიმოვავლე ამ მინდორსა.

ეს მინდორი ბევრჯველ მინახამს, მაგრამ ასე არ გამიჩხრეკია.

მინდორი ეს ათასი დღიური უნდა იყოს, იქნება მე ვცდებოდე მომატებულნაკლები იყოს მარამ ეს შედომილება არა იქნება რა.

მინდორი ეს კალოსავით არის მოყვანილი, რომელიცა ბევრჯველ გინახამსთ. აღმოსავლეთით ამ მინდორსა მტკვარი ჩამოუდის და სამსა სხვა მხარესა მაღალი მთები და მოდაბლო გორები აქვს მოვლებული.

უგანათლებულესო მშობელო! აი ძველის ივერიანელების და ივერიის გულში შესავალი მაგარი კარები! ამ მინდვრიდგან ჩრდილოეთის მხარეს შესავალი გზა, ვიწრო და მაგარი ხეობა წავა, რომელშიაც მდინარე მტკვარი ჩამოივლის. დასავლეთისაკენ, და დასავლეთ ჩრდილოეთისაკენ ამ მინდორსა, დიდი მაღალი და გძელი ხეობებით სამსე მთები მობია ერთიერთმანეთზედ გადაბმული და ასეთი მაგარი მხარე არის ესა, რომ ვერა ძლიერება მტრისა ვერ უნდა შესვლიყოთ ქართუელებსა საქართუელოში აქეთის მხრიდგან, თუ სცოდნოდათ ამის გამაგრება. აღმოსავლეთისაკენ მტკვარგაღმა ხომ რაღა მოგახსენოთ, როგორი მაგარი დიდი განოლილი ტყიანი მთა მოაბია, ეგრეთ შეუვალი მაგარი, საიდგანაც

სამხრეთის მხრიდგან ამ მინდორსა უფრო ადვილი შემოსასვლელი აქვს და სიმაგრეთ მოდაბლო გორები უძევს ჩავლებული დიღმის სოფლიდგან მტკვრამდინ. ვინ იცის ამ მინდორზე რავდენი ბრძოლა ყოფილა!..... რავდენის ვაჟკაცების ძვლები დამიწებულა აქ, რომ მძლავრსა მტერსა მოუნდომებია, ამ მინდვრიდგან შეუვიდნენ ქართუელებსა, შუა გულს საქართუელოში, სადაც ქართუელების ძალა შეუპოვრად მდგარან ზურგ მიყრდნობით მინდვრის თავში და მთის ძირში საქართუელოს დასაცველად: აქ იქნებოდა მტრებისაგან ერთმანეთის ბღვერა, ძახილი, კივილი, თხლეშა, გლეჯა, კვლა, მოწყვეტა, მოსპობა და წყაროებრ სისხლის დენა!... საწყალს ქართუელებს რა არ გადახედიათ და თავიანთის მამულისთვის, რა გამოცდილება არ მიუღიათ გარეშე კაცთაგან? *მათს მწუხარებას ენა ვერ გამოსთქვამს! გონება ვერ წარმოიდგენს! და კალამი ხომ ვერას აღწერს!* მაგრამ მაინც ქართუელებს თავის სახელი არაოდეს არ დაუკარგავთ და თავიანთ კაცობა მარადის უდიდებიათ!

ქართუელებს რამთენი მაგარი ადგილები ჰქონიათ, სადაც მტერი სრულიად უნდა მოეწყლათ, არამცთუ საქართუელოში შემოეშოთ, მაგრამ მაშინ არც სტრატეღია და არც ტაკტიკა ყოფილა, რომ ყოველი პლანით ეკვლიათ და ანგარიშით მოქცეულიყვნენ. მხოლოდ მაშინ, მტრის შემოსვლის გაგონებაზე, შეიყრებოდა ჯარი და მხნეობის მიმდობნი არა მძლავრსა ჯარსა არა დაერიდებოდნენ; თუ დამარცხდებოდნენ არ გამოუდგებოდნენ, რომ სამძღვრამდისინ მაინც ჩაჰყოლიყვნენ და დასასრულზე რიგიანი შერიგება მოეხდინათ. თუ დამარცხდებოდნენ, მაშინვე სიმაგრეში შეიხიზნებოდნენ და ველარ მოიფიქრებდნენ, რომ მცირედი ჯარით ყოველს ვიწროს და მაგარს ადგილებში დახვედრიყვნენ და უეცრათ მტერი ეწყლათ. ისტორიით ვიცით, საქართუელოში, რომელიც კარგი მეფე გამოსულა, საკურველი საქმეები უქნია, გარეშე სხვა მამულებიც შეუძინია გარდა საქართუელოსი. ასეთი კაცნი ყოფილან, რომ იმათგან მეფე რას არ შეიძლებდა თუ სცოდნოდა მოხმარება. ვახტანგ გორგასლანს მივხედოთ ქართუელებით, ვითარი საკურველი საქმეები ჰქმნა! დავით აღმაშენებელს განვცვიფრდეთ, მტრისაგან გაოხრებული საქართუელო ქართუელებით ვითარ ააყვავა და სხვანი... იმ უებროს დედაკაცსა თაყვანი ვცეთ მოწიწებით ყოველმა ქართუელებმა, რომ თამარ მეფამ ვითარი დიდი სახელი მოიპოვა

ქართუელებით! *აქ ცხადათ ვხედავთ იგი ცოტა ივერიანელები როგორი საკურველი კაცნი ყოფილან! და გარეშე ხალხზედა ვითარი წარმატება მიუღიათ!..* და დასასრულ, სანატრელმა და დაუვიწყარმა მამათქვენმა მეფემ ირაკლიმ, იმ მცირედის ქართველებით ვითარ განითქვა დიდება ყოველს ქვეყანასა და მარადის ვითარ აქებდიან თავის ქართუელებით იმას! აქ ცხადად ვხედავთ, ის ძუელი ქართუელები ვითარი საკურველი კაცნი ყოფილან და გარეშე ხალხზედ ვითარი წარმატება მიუღიათ, მაშინ როდესაც რომ კაცი ჰყოლიათ!

მაღლა მზე რომ ამოვიდა, ბრიჩკა შევაბით და გავსწიეთ. მცირედი წავიარეთ, ვიწროს ხეობაში შევედით, რომლებშიაც მტკვარი ჩამოივლის. ჩვენი წინაპარნი, ამ ხეობის დასაწყის გზისათვის ამბობენ, რომ ზევით მთაში დევები ცხოვრობდენო, ერთი იმათგანი ჩამოვიდა, კლდეზე დაიჩოქა, იქიდგან გადაეწაფა, მტკვრის წყალი დალია, და როდისაც აღიმართა, დახედავდა რომ იმის მუხლს კლდე გაერღვიაო. თუმცა ეს ზღაპართ სიტყვაობა არის, მაგრამ დღევანდლამდინ იმ გზას. „დევის ნამუხლს“ უძახიან. სჯობს სწორეთ გავარჩიოთ რაისათვის უძახიან დევის ნამუხლად.

იმ ხეობის დასაწყისი გზა, მეტად მაგარი და ვიწრო შესავალი გზა არის; სამხრეთის მხრიდგან ამ ვიწროსა გზასა დიდი ფრიალო მთა წამორქვენილსავით ადგას და ჩრდილოეთის მხრისაკენ, იმას გზას კარგათ ქვევით ძირში, მტკვარი გამოევლება, მაგარს კლდეზე მომდინარე საიდგანაც ფრიალოდ გადაჰყურებს ეს გზა, იმ მიმჩქეფარეს მტკვარსა. ეს გზა დიდი კლდიანი ადგილი ყოფილა, რომელსაცა შემძლეს კაცსა ვისმეს გაუკეთებია და ერთი საურმე გზა ძლივს გაურღვევია. მაშინ ამაზედ უთქუამთ. „ის კაცი სწორეთ დევია, რომ ამისთანა დიდი კლდე გაარღვია და საურმე გზა გააკეთაო.“ შემდეგ ეს სიტყვა დევის ნამუხლად გაკეთებულა. მგონია ეს ასე უნდა იყოს? –

ახლა მცხეთის ქალაქისთვისა ვთქუათ და კიდევ სხვა.

ზოგი იტყვის მცხეთის ქალაქი მცხეთოსმა დააფუძნაო და ზოგნი იტყვიან პირველად მესხნი მოვიდნენ და იმათი სახელი მცხეთად გაკეთდაო. არცერთს ამას, მე უარს არა ვყოფ, მაგრამ მეც ჩემს აზრს ვიტყვი რაისათვის უწოდებიათ მცხეთა თავდაპირუელ. რომელიც რომ თავდაპირუელ კაცი მოსულა ჩავარდნილს ცხელს მთის

ძირში, მაშინ მგონია ადგილობის და ჰაერის მიხედვით, დაერქმიათ: ცხელმთა და ბოლოს გაკეთებულიყოს: მცხეთა? – ეს ჩემი შენიშვნა არავინ უნდა ითაკილოს – უნდა კარგმა გამომძიებელმა, ღრმათ გამოიძიოს. რადგან ძველად, ჩვენში ჩვეულობა ყოფილა, რომ სადაც ახლად დადგებოდნენ და შენობას ჩამოაგდებდენ, რაც იმ ადგილს თვისება ჰქონდა, იმ ადგილის თვისების სახელს უწოდებდენ, მაგრამ ზოგიერთსა შეცვლით, სახელს გაუკეთებდენ. *ვინაიდგან გლეხური ლაპარაკი უფრო სხვაგვარი მდაბალი ლაპარაკი არის თავადების ლაპარაკთან.* ვითარცა: სოფელი მუხრანი. ამ სოფელს მუხრანი კი არ უნდა ერქუას, მუხნარი უნდა ერქუას, ამისთვის რომ დიდი მუხებიანი ადგილი გაუკაფამთ; იმ მუხებიანს ადგილზე სოფელი გაუკეთებიათ და დაურქმევიათ, მუხნარის მაგიერათ მუხრანი. ვითარცა: სოფელი ავჭალა[1]; ამისათვისკი სწორე სახელი დაურქმევიათ იმ ადგილზე წვრილმანიანი ჭალა ყოფილა ნადირებით სავსე და ამის გამო იმისათვის დაურქმევიათ: ავჭალა; რომლებიცა სულ ერთიან საქართველოს სოფლები და ქალაქები, ადგილის თვისებისამებრ წოდებულა იმათი სახელი სწორეთ ასე. იქნება ასეც იყო, რომ როდისაც მესხნი იქ დასახლდნენ პირველათა, იქ შენობა იყო და ერქუა: მცხეთა. ცხელმთიდგან გაკეთებული? – ეს მეორე ფაკტით ცნობილი რომ არარის, ამისთვის ეს მართალი არ გვეგონება. მაგრამ: მცხეთოსმა რომ პირველათ მცხეთა გააკეთაო. ეს რა თქმა არის? – ის მცხეთოსი თუ რომ მართლა მცხეთოსი არ იყო? – უთუოთ ქართუელი იქნებოდა ვინმე იმის დამაფუძნებელი, რომელსაცა ადგილობის მიხედვითა უთქუამს: ცხელმთა და ბოლოს დარქმევია: მცხეთა? –

ვითარცა ტფილისი, აბანოების თბილის წყალის მიზეზით დაურქმევიათ ტფილისი და კიდევ სხვანი. ისე მცხეთა უნდა იყოს.

თავისდროზედ მცხეთა, დიდი და მშვენიერი ქალაქი ყოფილა. კარგი მატემატიკი რომ იყოს, შეიტყობს რამდენი მცხოვრები მდგარა, თუმცა ნამდვილად და სწორეთ ვერ აღრიცხავს, მაგრამ ცოტას შეცდომილებას მოახდენს. სივრცე უნდა აღრიცხოს, რაოდენს ადგილზე მდგარან და იქიდგან შეიტყობს.

მაგრამ ადგილიც უნდა გაჩხრიკოს, დიდი კაცები სად იდგებოდ-

[1] ეს მუხრანი და ავჭალა იმისთვის მოვიხსენე, რომ მცხეთაზე უფრო მახლობლად არის.

ნენ, მოქალაქეები სადა და მდაბალი ხალხნი რას ადგილას და ამათ ყოველთა თავთავისი ადგილი რაერთი მოუნდებოდათ. ქალაქი ესე ნარეკვავიდან დაწყებული მდინარე არაგვის მოახლოვოდ [...]რაოდენ სივრცეზე მდგარან, მაგრამ საჭიროდ არა ვრაცხ ამისთვის, რომ მრავალთ იციან [...]

ამ ქალაქსა ერთი სავაჭრო ადგილი ჰქონია, სახელათ ქულბაქი, *სადაც დანიშნულს დღეზე მთელი ივერიანელები იქ შეიყრებოდნენ და ყოველი სავაჭრო იქ გაიყიდებოდა, ივაჭრებოდა სყიდვით თუ გასყიდვით.* მდებარებს დევის ნამუხლართან დიღმის მინდორში მტკვრის მოახლოვოდ, რომელსაცა ახლა ჰქვიან ნაქულბაქევი, ესე იგი: ნაბაზრალი.

მინამ ეს ქალაქი მცხეთა სრულიად აჰყვავებული იყო, სხვა ქალაქი მეტოქეთ არა ჰყვანდა, მეფეებს თავიანთი სვეტი იქ დაფუძნებული ჰქონდათ, მინამდისინ ივერიაც სრულიად აჰყვავებული და ბედნიერი იყო და არც გარეშე მძლავთა მტერთაგან ეშინოდათ. როდისაც ვახტანგ გორგასლანმა შენობა დაუწყო ტფილისს, მაშინ ივერიის მეფეებს მკვიდრი სვეტი მოეშალათ დედაქალაქსა შინა, ხან სად ჰქონდათ ცხოვრება და ხან სადა. თვით ვახტანგ გორგასლანცა ცხოვრობდა უჯარმასა. ამის გამო მცხეთა შემცირდა და ვეღარც ტფილისი გააშენეს რიგიანათ. ივერიანელებსაც და თვით მეფეებსაც მცხეთის ქალაქზე ჰქონდათ გული. რომ იგი არ დამდაბლებულიყო. ქალაქ ტფილისისა ხომ სრულებით არას ინაღვლიდნენ; იყო სადმე თუ არა, სრულებით არ იცოდნენ. მხნე, გონიერს და ვაჟკაცს მხედარს ენა რომ მოსჭრან და თვალები დასთხარონ, იგი შეიძლებსღა რასმე? ისე დედაქალაქის წახდენა და დამდაბლება არის ხალხისთვის. თამამათ ვიტყვი, თუ დედაქალაქი არ დამდაბლებულიყო, ივერიანელებისათვის დედაქალაქი არ მოეშალა ვახტანგ გორგასლანსა, ვერაოდეს არ მიიტაცებოდა და ივერია უფრო წარმატებაში იქნებოდა მაინც, რაც უნდა ძალა დასტანებოდა მტრისაგან.

ვახტანგ გორგასლანის განძრახვისამებ, ის ქალაქი მცხეთა ახლა გამქრალია, ესე იგი ერთს პატარა სოფლათ გადაქცეული, ქალაქ ტფილისის შენობის გამო რომ პირველად იმან დაიწყო ტფილისის აშენება, რომელსაცა აღმოსავლეთის მხარეს მდინარე არაგვი ჩამოუდის, სამხრეთით მტკვარი და ორი ესე მდინარენი იმ მცხეთის

სოფლის ბოლოს ირევიან ერთმანეთში.

კარგა მზემ რომ ამოიარა, მცხეთას მივედით და სვეტიცხოვლის ეკლესიის გალავნის კარების წინ გადავხტით. გალავანი შევიარეთ, მღვდელს ეკლესიის კარები გავაღებინეთ და ვრცელს ეკლესიაში შევედით.

სვეტიცხოვლის კვართის საუფლოს წინ პარაკლისი ვახდევინე მღვდელსა. შემდეგ პარაკლისისა, სადაც წმინდა მირონის ადგილია, იმის წინ დავემხე *შუბლი იმის ნიშნის პირზე დავდე მტვერში და ჩემს გულში ამას ვიტყოდი ცრემლით*: გულმხურვალეს ცრემლით, ამ სიტყვით ჩუმათ. „იესო ქრისტეე ძეო მღთისაო! ჩვენთვის ჯუარსცმულო, *მიიღე ტანჯვა ძნელი და ჯვარზე წამება, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება მოგენიჭებინა ერისათვის და იგი სარწმუნოება არს ზეციური კეთილი რჯული, საიდგანაც გადმოიტანე და უქადაგე ერსა, ამისთვის მტარვალთ მიგიყვანეს და ჯვარზე გაცვეს შენ* – ჩუენის კეთილის სარწმუნოების მოსანიჭად. მაშინ როდესაც რომ შენს ტანისამოსზე წილი განიგდეს და განგებითა კვართი შენი ერგო ქართუელებსა, *ივერიანელს, სახელით ელიოზს*, სადაც ამ სვეტის ძირში დაფლულია ის, *საიდგანაც მის კვართიდგან წმინდა მირონი ამოდიოდა ამ ადგილზე* და სადაც ეხლა შუბლი მიძევს ძეო მღთისაო მამისაო! შენ გევედრები, *უცხოებიდგან მოსვლა მაღირსო და სვეტიცხოვლისა ამის თაყვანის ცემა*, შენი ქართუელები შეიწყალო და შენი მოწყალება მოიღო უბედურებზე, თუნდა მე ათას მთას იქით ვიყო გადაგდებული.“

კვართის საუფლოს სვეტიდგან მამი თქვენის მეფე ირაკლის საფლავთან მივედი, გულმტკივნეულად იმას თაყვანი ვეცა და გულითადის სურვილით ვემთხვიე. *დიდათ შესაწუხებელი არის, რომ ნამდვილათ და სწორეთ ვერავინ ვერ იცნობს მეფე ირაკლის. მეფე ირაკლი დიდი ისტორიის ღირსი ბძანდება... და დიდ კაცებთა შორის ადგილი აქვს იმას, აღირიცხოს!* მერე უბედურს თქვენი ძმის მეფის გიორგის საფლავს. უბედური მეთქი, მაგრამ მეფე ირაკლიც კი ასე.

ამ ვრცელს ეკლესიაში თვალი მოვავლე, ერთი მარმარილოს საფლავის ქვა ვნახე ჩაზნექილი და დამტვრეული იყო ანბიონის ცოტა მოშორვებით; ღვდელსა ვკითხე იმის დამტვრეულობის მიზეზი, რომელმაცა ამოიოხრა და მასუკან მითხრა.

– „აი, საქართველოში რა საშინელი დრო ყოფილა! როდისაც

გაღმამხრის კახეთი გალეკებულა, მაშინ რამთენიმე გალეკებულნი ქართველნი წამოსულან, ამ განძრახვით აქაური მხრის ხალხნიც მიიზიდონ; ამ დიდს ეკლესიაში რომ შემოსულან, ერთს იმადგანს მოუნდომებია ამ ქვის ამოღება, რომ ოსმალოს დიდკაცს მიართოს ფეშქაშით. ხელი დაუვლიათ გადასაბრუნებლათ; რამთენიც ცდილან, ვერ გადაუბრუნებიათ, ამაზედ ერთს გაჯავრებულს დიდი ქვა შემოუტანია, დაუცია და ასე დაუმტვრევია როგორც ეხლა ხედავთო.“ რომელმაცა იმ მღვდელზე მეც ნაკლებ აღარ ამოვიოხრე. *და გულმტკივნეულმა ვკითხე.*

–ეს საფლავი ვისი უნდა იყოს?

–წარწერა არ ჩანს, ვისი უნდა იყოს, ამისთვის, რომ მეტათ ძველია, მაგრამ როგორც გამიგონია, მგონია, მეფის ვისიმე უნდა იყოს.

გაღმამხრის კახეთის გალეკების დროს, დიდი საშინელება ყოფილა საქართველოში, რომელმაცა თქვენ უფრო კარგათ იცით ჩემო უგანათლებულესო მშობელო, მაგრამ როდესაც ყმაწვილს კაცს მეფეს ირაკლის თავი ეცნა და ის საშინელება დაენახა საქართველოზე, მაშინვე თავგადადებული ამხედრებულიყო, ლეკნი გაერეკა, კახეთი ისევ გაექრისტიანებინა, საქართველოსათვის თავისუფლება მიეცა და შემდგომ დიდს ანტონი ქათალიკოზს ვრცელი ესე ეკლესია ისევ გაეპატიოსნებინა, ლეკების და გალეკებულის ქართველებისაგან, საჯინიბოდ შეცვლილი და ცხენების ნეხვით სავსე. რომელშიაც ქრისტიანობის სარწმუნოება აღედგინა ისევ. *ყოველი უწმინდურება მოესპო, ტრაპეზით და კანკელით მოერთო, სარწმუნოება ისევ ისე განეახლებინა მას ვრცელს და მაღალს ეკლესიაში, როგორც ადრითვე. თუ დაწვრილებით აღვწერო ქ. ტფილისიდგან მცხეთამდისინ რაც ძველათ შემთხვეული გარემოებანი მომხდარა, მეტათ გაგძელდება. ამისთვის საერთოთ ვიტყვი და მოკლეთ.*

საქართველოში ერთი ნაბიჯი ადგილი არარის, რომ ღირს სახსოვარს ისტორიას არ ეკუთვნოდეს! საითკენაც კაცმა მიიხედ–მოიხედოს, ყოველს ადგილზე საკურველი ამბავი მომხდარა! სიმწარე, თუ სიხარული!

ეს სვეტიცხოვლის, კვართი საუფლოს ეკლესია დიახ დიდი არის, სივრცით და სიმაღლითაც, მაგრამ ძველს დროებში უფრო ბევრით დიდი ყოფილა ახლანდელს ეკლესიაზე; სიგანითაც, სიგძითაც და სიმაღლითაც, მაგრამ ჩინგისხანი რომ შემოსულა იმას შეუმუსრავს

და საფუძვლამდისინ დაუყვანია.

შემდეგ საქართუელოს პირველმა ალექსანდრე მეფემ ასე გაა-კეთებინა, როგორც ეხლა ვხედამთ.

უკანასკნელად სვეტიცხოველს თაყვანი ვეცი, მერე დაღონებუ-ლი გამოვტრიალდი და წამოველ. მაგთენი ხანი არა გამოვიდა რა, ბრიჩკამ საჩქაროთ მიგვიყვანა ღართის კარში, სადაც ცხენების გამოსაცვლელი ფოშტა არის. იმის წინ ბრიჩკიდგან გადავხტით და კარგს ფოშტის სახლში შევედით. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა თავადი ალექსანდრე სუმბათოვი და იმისი ცოლი სოფიო მოვიდნენ ქ. ტფილისიდგან და მითხრეს.

– „შენ ხომ წუხელის წამოხუელ, მაგრამ აი ჩუენც როგორ ჩქარა მოგეწიენით, მაშინ როდესაც რომ დღეს მზე რომ ამოვიდა მაშინ გამოვედით ქალაქიდგან.“

ჩვენ როგორიც ძნელი გზა შეგვემთხვა და ან როგორ ძნელად მოვდიოდით, ყველა უანბე. მასუკან ფოშტის ცოტა ქვევით დაბლა ჭალა არის, იმის ერთს ხის ძირში სადილს გიახელით, სადილს უკან ყველანი დაიფანტნენ და მე და სოფიო დავრჩით რომელმაცა მითხრა.

– „მე თქვენი ცოლის ეკატერინესი სამრიგათა ვარ მადლობელი, პირველი ამითი, რომ დიდათ უყვარვარ და მეცა იმისთანა სიყვარ-ული მაქვს იმისი; თითქმის უფრო მეტათაც მიყვარს მე ისა. მეორე ამითი რომ ჩემი ნების ქმარი შემრთო, რომელსაცა დიდის სურვილ-ით უყვარვარ და ეგრეთვე მე ის. და მესამე ამითი რომ თქვენ ჩვე-ნი მეგობარი ძმა ბძანდებით. ამის ნიშნათ ჩემს ფირუზის ხელთას მოგართმევთ ურთიერთის ჩვენის ძმობისას.“ თავის მშვენიერის სპეტაკის ხელის შუათითიდგან გამოიღო და მე ნეკზე გამიკეთა. ის ხელები და ჩემი ეკატერინეს ხელები, ერთგუარი ხელები იყო ორივესი, ერთი ფერი თეთრი და თანა სწორე ტოლებიც. მე და იმის ქმარი ბევრჯველ გაუჩხრეკდით ორსავ ხელებს, ბოლოს მე ჩემს ეკატერინეს გადუკოცნდი და ის თავის სოფიოსა.

მე მადლობა გადვიხადე და შემდეგ უთხარ.

– მე დიდათ მოხარული ვარ სრული ბედნიერი ბძანდებით თქვენს ქმართან. ეკატერინეს სიყვარულს რომ ამბობთ, საკვირ-ველი არარის, ამისთვის რომ ჯერ იმის მიზეზით მოხდა თქვენი ცოლქმრობა და მერე თქვენი ქმარი, იმის ბებიის ძმის შვილი არის ე. ი. ეკატირინესი, მესამე, თქვენი უფროსი შვილი გიორგი ჩემი

ნათლულია, და ამ მიზეზებით, რასაკვრელია დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ჩუენა.“ აქ გაწყვიტა ლაპარაკი და მასუკან სხვა დაიწყო დაღონებით. – „თუმცა დიდათ მინდოდა, წუხელის მეც თქვენსა ვყოფილიყავ, მაგრამ ეკატერინეს საცოდაობას მოვერიდე. ეკატერინეს მნარეთ შეწუხებულს რომ ვნახამდი, ტირილით მოვკვდებოდი.“ ამ სიტყვასთან მსხვილი ცრემლები გადმოყარა, მშვენიერის ჭროღას თვალებიდგან, მშვენიერს მრგვალს თეთრს პირზე და ამასთან უნდა რაღაც ეთქუა, მაგრამ მე აღარ დავაცალე.

– „ჩემო დაო სოფიო. კარგი მოხდა იქ არ იყავ. მე როგორც კაცი, გული გავირკინე, მაგრამ ეკატერინეკი ვაებაში იყო. კარგი მოხდა იქ არ იყავ ჩემო დაო.“

– „ვიცი, ვიცი აგრე იქნებოდა.“ იმან მითხრა და მასუკან კიდევ გადმოყარა მსხვილი ცრემლი თუალებიდგან. ბოლოს როცა მოიმშრალა, ასე მითხრა შეიწროებილის გულით.

– „ხშირათ ვიქნები მე ეკატერინესთან; ყოვლის ღონით ვეცდები იმის სიამოვნეს დაკმაყოფილებას.“ მე ამისთვის დავალებითი მადლობა განუცხადე. ამ დროს სოფიოს ქმარი მოვიდა და გვკითხა. რას ლაპარაკობთო? სოფიომ ყველა უანბო. ამაზედ ალექსანდრე ცრემლით გადამეხვია.

– „ახ, საყვარელო ძმაო ალექსანდრე! სანამ პირში სული მიდგას, არც შენ და არც ეკატერინეს არ დაგივიწყებთ. ეხლაც შენის გულისათვის წამოველ, კიდევ მენახე ღართის კარის ფოშტაში, თორემ ერთს კვირას უკან ვემზადებოდით სოფლისაკენ წამოსვლას.“ ამ ლაპარაკში, ცხენებშებმული ბრიჩკა მოიტანეს და ჩვენ წინ დააყენეს.

ჩემო მშობელო ბატოიშვილო დედავ! რადგან თქვენგნით ნაბძანები მქონდა, კოცნით ნურავის გამოესამლებიო, ამისთვის მხოლოდ თავიდაუკარ და სიტყვით გამოვესალმე. მერე უკან ბრიჩკაში ჩავჯექი თქვენებურის გარკინებულის გულით დედავ! როგორიც მაგალითი თქვენ მე მაჩვენეთ, სწორეთ იმისთანა გულით, მაგრამ ალექსანდრე და სოფიო კი ცრემლით იღვრებოდნენ.

ბრიჩკა სწრაფათ მოაბრუნეს შარაგზაზედ და შემდგომ რუსეთისკენ მივრბიოდით კურიელის ცხენებითა, რომლებსაცა იემშიკი დასძახოდა შოლტნის ქნევით ზედა: ნუნუუუ, პაშოლ, – პაშოლ სკარეი. და სხუანი...

ეს ღართისკარის ფოშტა ის ადგილი გახლავსთ, ოდესმე თარხან დიდმოურავმან საქართველოს მეფეს რომ უმუხანათა, ყიზილბასში ჩავიდა, ყიზილბაშის ხელმწიფეს მძლავრი ჯარი გამოსთხოვა. „წავალ, მთელს საქართველოს მცხოვრებთ ავყრი, ყიზილბასში გადმოვასახლებო და თუ არ დამმორჩილდებიან, სულერთიან მუსრს გავავლეფო.“ ამ განძრახვით დიდი ჯარი გამოატანა, მოვიდა და ამ არემარეში ჩამოხტა. ამ ამბის გამგონენი მთელი საქართველოს მცხოვრებნი აიყარნენ და ჩვეულებისამებრ სიმაგრეებში შევიდნენ.

საკვირველი არის. თუ საქართველოს შვილები ხელს აიღებენ საქართველოზე და მტერს მიეყრდნობოდნენ, მაშინ უხილავი ძლიერება ჰფარავდა საქართველოს და თუ საქართველოს შვილებს ძლიერება ჰქონდათ, მაშინ უხილავსა ძალასა ხელი აღებული ჰქონდა საქართველოზე. ამასა ზედა ბევრი დამტკიცება მაქვს, მაგრამ მეტათ გავრცელდება ლაპარაკი, ამისათვის ეს უკანასკნელი ვიკმაროთ მის დიდმოურავისა ამბავი.

დიდმოურავი ჯარით რომ შემოვიდა, მაშინვე საქართველოს მცხოვრებნი დაიმალნენ. მიკვირს, რისთვის იმალებოდნენ? მაშინ, როდესაც რომ, რაც მოურავს ყიზილბაშის ჯარი ჰყვანდა, ერთი ორათ უფრო ბევრი მოიკრიფებოდა მთებში და საქართველოში ყიზილბაშზე უფრო ვაჟკაცნი და უფრო ომის მონადინენი, რომელთაცა ქართველებმაც კარგათ იცოდნენ, მაგრამ რიგიანი მოთავე რომ არა ჰყვანდათ, ამისთვის ქართველებმაც აღარა დასდიესრა. და ან უთავოთ ფეხებმა რა უნდა ქნას. აჰა, ძლიერება ჰქონდათ ქართველებსა, მაგრამ უხილავმა ძალამ გონება დაუხშა. ხელი აღებული რომ ჰქონდათ, ამისათვის გონება დაეხშათ და ახლა, როდესაც რომ საქართველოს შვილები მფარველად აღარ ჰყვანდა საქართველოს, მასკვან უხილავი ძალა შეიქნა საქართველოს მფარველად. საღამო ჟამზე დიდმოურავი კარავში რომ შევიდა და მოსვენებას მიეცა, მაშინვე სრულის გონიერებით იფიქრა. დიდმოურავი თუმცა გათათრებული იყო და ამით მეორეთ ამხედრდა საქართველოზე, მაგრამ ამ დროს ღმერთმა სხვა ფიქრი მიანიჭა.

– ღმერთო ჩემო! მიკვირს, რასა ვშვრები და ან რა განმიძრახავს. საქართველოს ქრისტიანნი შვილები უნდა ავყარო! და თუ არ დამმორჩილდნენ უნდა კიდეც მოვსრა! მე ვინა ვარ, თუ არ იმათსავით საქართველოს შვილი და ან იმათსავით ქრისტიანი? – ჩვენ ქართ-

ველების მაგიერათ ვინ მამიყვანია, რომ ეს მაჰმადიანნი საქართველოში დავასახლო და მე საძაგელმა ჩვენი მშობელი მამული უცხო თესლთ მივცე? რისთვის? მეფის მცირეს სამდურავისათვის, რომ ჩვენს მშობელს მამულში სხვანი დასახლდნენ და ჩვენ მაგიერათ უცხო თესლნი დღესასწაულობდნენ საქართველოში? ოჰ, გულით და სულით მდაბალო დიდმოურაო! ვინ გეძახის დიდს მოურავს შენა? ახლა ერთის უკანასკნელის მენახირობის ღირსიც აღარა ხარ, არამცთუ მოურაობის, რომ ყიზილბაშთ ემსახურები და იმათ სასიამოვნოს და სასარგებლოს საქმეს შვრები? ღმერთო! მამიტევე შეცთომილება, რომ ჩემს მშობელს მამულს ვყიდი, მაგრამ თუ აწვე არ დავიფარო ან ეხლავ არ გამოვიხსნა, შუა ჯოჯოხეთიც ცოტა იყოს ჩემთვის.

ამასთანავე დიდმოურავმა თავის საკუთარი შინაყმანი გაისტუმრა საიდუმლოთ საქართველოს დიდკაცებთან; ამათ მეფე მოიბირეს, სწრაფათ საქართველოს ჯარები შემოიკრიბეს, ყიზილბაშებს მოუხდნენ, დიდმოურავიც ამათ მოემხრო და ასე გაწყვიტეს ყიზილბაშის ჯარი ამ არემარეში, რომ მოანბეც ველარ გავიდა. ამით დიდმოურავმა ისეთი ადრინდელზე უფრო დიდი კაცობის სახელი მოიპოვა, ვითარცა იცით! და მამული გამოიხსნა თავის მიერ დანთქმისაგან.

მინამ მზე ჩავიდოდა, დუშეთში მივედით, მინამ ჩაის დავლევდით, მზე სრულებით ჩავიდა, შემდეგ გავსწიეთ, მინამ კარგა დაღამდებოდა ანანურს მივედით. ანანურის ამბავი ხომ ცხადია, ქსნის ერისთავს და არაგვის ერისთავს ერთმანეთში რა მოუხდათ? –

ქსნის ერისთავმა მაგიერისათვის მეტათ და დიდათ გადაახდევინა არაგვის ერისთვიანთ. ასე უწყალოთ არ უნდა გამოემეტებინა ერთის ქალის შეურაცხყოფისათვის. პირველად ჯერ მეფე ჰყვანდათ, უნდა იმისათვის ეცნობებინათ და თუ იმას სამართალი არა მიეცა რა, მაშინ ერთი ორათ მიეგოთ მაგიერი, რომელიცა ბევრს შემთხვევას იპოვიდა და არა ასე უწყალოთ მოჰქცეოდნენ, მაგრამ მაშინ ფეოდალიზმი ასე განძლიერებული იყო, რომ რაც უნდოდათ, იმას შვრებოდნენ. ქსნის ერისთვიანთ მარტო არაგვის ერისთვიანთ არ უყვეს ამისთანა უწყალოება. ამითი ლეკებმა საქართველოს ყოველი გზები და ადგილები კარგად ისწავლეს; ამაზედ შემოეჩვივნენ და საქართველოს ოხრება დაუწყეს. რომელნიცა შემდეგ

თვითონაც დიდათ ინანდნენ ლეკების მოყვანას, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. გაუფრთხილებლად მუშამ ჭურჭელი გატეხა და რაც შიგ წმინდა წყალი იდგა, სულ დაღვარა. სანატრელმა მეფე ირაკლიმ, ქართლის და სომხითის მეფობაც რომ მიიღო, ქართლის და სომხითის თავადებს თვალი შემოავლო. ნახა, რომ ვერც სიყვარულით მოიბირა იგინი და ვერც წყალობით, რაც ძალა ჰქონდათ, კიდევ ის უნდა ჰქონიყოთ და რაც ექნათ, კიდევ ის მოინდომეს. ჯერ მეფე ირაკლიმ განიძრახა, ძლიერებით მოექცია იგინი, მაგრამ საქმეს დახედა, რომ არ შეიძლებოდა. ამისთვის ხელოვნობა იხმარა. ჯერ საიდუმლოთ კაცები შეუჩინა და ერთმანეთში სამდურავი ჩამოუგდო, მასკვან ერთიერთმანეთზე დააჩივლა თავისთან, მერე ერთს წაართმევდა ყმასა და მამულს, ანუ ხელობას, რაც კი ჰქონდათ და მეორეს მისცემდა. ამაზედ წაეკიდნენ და ერთმანეთს აღარ მიენდვნენ და ამისათვის ყველამ მეფეს მომართა. ამის გამო მეფე ირაკლი მათზე სრული ბძანებელი შეიქნა და თავის ნების ქვეშა დაიმორჩილა.

აქ ანანურში ვახშამი ვიგემეთ, ვახშმის შემდეგ ბრიჩკაში ჩავსხედით და გავსწიეთ. თან ერთი ცხენიანი ყაზახი წავიმძღვარეთ წინ, რომ ბნელი ღამე იყო და გზა არ შეეშალა იემშიკსა. ნახევარ საათის გზა არ გამოგვევლო, ბრიჩკის უკან, მარჯვენა თვალი დაილეწა, რომელიცა არცმაგთენი მაგარი ჩემი ხუთთუმნიანი ბრიჩკა იყო და არც კარგა მოდიდო, რომ იემშიკით, ჩვენ ხუთნი, ჩვენი ბარგით ერთათ ეზიდა. თუმცა შევწუხდით მაგრამ რაღა გაეწყობოდა. მინიცკიმ საჩქაროთ ყაზახი დააბრუნა და ორი ფოშტის პოვოსკები დაიბარა; პოვოსკების მომლოდინეთ, მივწექით და თავი ძილს მივეცით.

ალიონმა რომ აიწია, წამოვჯექ და ზეცას შევხედე.

ზეცისა სამყარო დაწყდებოდა, ვარსკვლავნი სინათლესა ჰკარგევდენ და ზეცისა სფერა ბუდიდგან გამოიხედებოდა. თუმცა ზეცას, თალხი გულისპირი გადაეხდებოდა, მაგრამ ნაცვლად ამისა სამხიარულო ციაგი მიეფინებოდა და დილის მარაოსა უგერებდა ქვეყანასა. ამ სასიცოცხლოს ჰაერისა ჟამსა კიდეც გათენდა და ყოველი საგანი დავინახე, შიგ შესასვლელი დიდი ვიწრო ხეობა, რომელსაცა აქეთ იქით დიდრონი მთები წამოსდგომოდნენ ტყით შემოსილი და ფოთოლნი ლამაზათა შრიალებდენ წყნარის ნიავითა,

სადაც ტყის ჩიტები ჭიკჭიკობდენ საამოთა. მარჯვენა მხარეს ტყეში, ვიღამაც მთიელმა ძახილი შექნა.

– „ბერუაააავ, ბერუაააავ. ეეეი ბერუაააავ. არ გესმიიის? ვაჟობერუავ სად დამეკარგეე? ცამ ჩაგყლაპა თუ ქვეყანამ ბერუაააავ? – აბაიმე. ბიჭო ბერუაააავ. დაგწყევლოს ღმერთმა ბერუაააავ. მგელმა შეგჭამა თუ დათვმა ბერუაააავ. ეხლა რომ ჩამივარდე თავს მოგჭრი შე ძაღლის ნაყოლო ბერუაააავ. იალბუზის ეშმაკმა წაგიღოს რომ აღარ გამოჩნდე ბერუაააავ.“ იმის ყვირილს მთებიც იმას ხმას აძლევდნენ და მოთმინებისაგან გასული დაჩუმდა.

ამდროს ჩემა ამხანაგებმაც გაიღვიძეს, ჩაიდნისათვის ცეცხლი ავანთებინეთ ჩემს მოსამსახურეს, რომლებსაცა დილისაგან ცოტა შეციებულთ მეტათ გვიამა ცხელი ჩაი. ჩაი რომ დავლიეთ, მზე ამოვიდა, ფოშტიდგანაც ორი პოვოსკები მოგვივიდა და თან ფოშტის ზედამდეგი მოჰყვა. რაც ბარგი ბრიჩკაში გვქონდა, ორ პოვოსკაში გადავაწყევით; გატეხილი ბრიჩკა მინიცკიმ ფოშტის ზედამდეგსა ჩააბარა და ამასთან მეც ფული მივეცი რომ ქ. ტფილისში უნდა გაესტუმრებინა. შემდეგ მე და მინიცკი ერთს პოვოსკაში ჩავსხედით, გადამდგარი პორუჩიკი კაროვნი და ჩემი მოსამსახურე მეორეში; გავსწიეთ, და ახლა უფრო სუბუქად ვირბინეთ. აქამდისინ ერთი პატარა ბრიჩკის დიშლაზე შებმულის ზარის წკარაწკურით მოცული იყო ის ხეობა, და ახლა ორი პოვოსკის ზარების ხმიანობამ, უფრო მოიცო ის ხეობა.

მაგთენი გზა არა გაგვივლიარა; ავდრის გამო მკვირცხლ მომღვრიოს არაგვის პირზე, დადიოდნენ რამთენიმე მთიულები და ბარჯებით ორაგულსა ნადირობდენ.[1] ერთს თეთრს წვერას, მარჯვენა მხარზე შუბი გაედო და სამთითიანი რკინა ბოლოზედ ჰქონდა გაკეთებული, რომელსაცა ჰქვიან ბარჯი. მარცხენას ხელით გძელი წკეპლა ეჭირა; რომელს წყალში და ადგილას ორაგული ეგულვებოდა, ის წკეპლა, იმ წყალში ჩამოუტარა და თვითონაც თან მიჰყვა მაგრამ ამდროს არ შეხვდა. მასუკან ჩვენ რომ დაგვინახა, დაიძახა – „ღმერთო! იმ მგზავრების ბედო.“ ამ სიტყვასთანვე გამოეკიტა და კარგა შორს მიჰყვა. ერთს პატარა მორევთან რომ ჩავი-

[1] მთიულებმა იციან, ზაფხულში რომ არაგვი აიმღვრევა ავდრისგამო, ჩამოვლენ და ორაგულს ინადირებენ. რადგან სიმღვრივის გამო ვეღარ ხედავს ორაგული, ამისთვის უფრო ადვილად იჭერენ.

და, უეცრად შედგა და წკეპლა გააჩერა. ამდროს ბარჯი მოიმარჯვა წკეპლის პირდაპირ მორევში დასცა და ორაგული ზევით ამოაგდო. წკეპლა და ბარჯი ხმელზე გადმოყარა; თვითონ ორაგულს გადააწვა და ვეება ორაგული წყალიდგან გამოიყვანა. ჩვენ პოვოსკა დავაყენებინეთ, ჩემი მოსამსახურე გავგზავნე და იმ თეთრ წვერიანს კაცსა ჩვენთან მოვატანინეთ ორაგული. მინამ ჩვენთან მოვიდოდნენ, რაღასაც ელაპარაკებოდა ჩემს მოსამსახურეს ის თეთრწვერა და გვანდა რომ ჰკითხამდა რასმე?

ორაგული ჩვენთან მოიტანა, წინ დაგვიგდო და ფორთხანი შექნა, დავხედეთ, წელი ჰქონდა ჩაპობილი. მე ქისა ამოვიღე, მინდოდა ორი მანათი მიმეცა, მაგრამ ამაყის სიტყვით მკითხა.

– „ქისა“ რად გინდა შენი კვნესამე?“

– „ორი მანათი მინდა მოქცე მეთქი.“

თავი გაიქნია და დაღონებით მითხრა.

– „აბაიმე. შენ მეფე ერეკლეს ქალის შვილი იყო და ფული გამოგართო? – ღმერთს რათ მიწყრომებ შენი კვნესამე?“ ამ სიტყვასთან თავი დამიკრა, გატრიალდა; თვალებზე ხელი მიიფარა და სწრაფათ წავიდა. რამთენიც უძახე დაბრუნებულიყო, მაგრამ უფრო და უფრო გასწია. „შენი სახელი მაინც მითხარ. ვინახარ მეთქი?“ მაგრამ ვერც სახელი ვათქმევინე ვინ იყო.

თუმცა ორაგული ჩემს მოსამსახურეს თან წამოვაღებინე, მაგრამ იმ კაცის ქცევამ შემაწუხა და ვნაღლობდი ჩუენის ქვეყნისათვის. ცოტა გზა რომ გამოვირბინეთ დაღონებულმა, ხეობას ცოტა გაშლილი ველი იყო, ზოგიერთი მოხევენი იმაზედ ცხოვრობდენ, საიდგანაც იმათი სახლები გადმოკიდებულსა გვანდა და თვითონაც სახლებს წინ რომ ისხდნენ, ასე გვეგონა დიდრონი ფრინველები არისო.

სწორესა და შარა გზაზე ჩვენი პოვოსკები სწრაფათ მორბიოდნენ. ასეთისა სიარულით არსად არ შევდექით და ფასანაურის ფოშტაში გადავხტით. აქ მინიცკიმ პოვოსკები ჩქარა მოამზადებინა, ჩვენც საჩქაროთ ბარგი გადავაწყეთ შიგა, მერე ზედ დავსხედით ბარგზე და ეგრეთისავე სირბილით გამოვსწიეთ ხეობაში, სწორედ გზაზედვე და კაიშაურის მთის ძირში მივედით, რომელსაცა ჰქვიან ქვეშეთი. მინიცკიმ მითხრა.

– „მინამ სხვა ცხენებს ვიქირავებდე, მინამ პოვოსკებს მაღლა

ამოვატანინებდე, თქვენ წყნარწყნარა ქვეითი ადით და ზევით მამიცადეთ.“ თუმცა მე არა ვშვრებოდი: მეც მოგეშველებით მეთქი. მაგრამ არაქნა. მასუკან ჩემს მოსამსახურეს ჩამადნიდგან დურბინდი ამოვაღებინე, გამოვართვი და ამ დაჰკიდებულსავით გზის თავზედ ავედი. მგონია ასი ან *ორას* საჟენი მეტი სიმაღლე ჰქონდეს, ქვეიდგან თავამდისინ ამ აღმართიანს გზასა? – დავჯექ და ცოტა რომ დავისვენე, მერე ავდექ. დასავლეთ ჩრდილოეთისაკენ პირი მივმართე და მიმოვიხედე.

ამ ხეობას აქ დააწყდა ტყიანი ხეობა, და ამას იქით, მარჯვენას მხარეს, დიდნი და უდიდესნი მწვანოვანი მთები დაიწყება, ერთი ერთმანეთზედ ფრიალოებით მობმულები და ჩრდილოეთისა მხრისაკენ გაწვენილ გაგძელებული, რომელშიაც რამთენიმე წვრილი ბილიკები შეივლიდა, რომლებზედა მთიულები თამამათა დადიოდნენ, საიდგანაც გადმოხედვაც ძნელი იყო უცხო კაცისაგან, არამც თუ ზედ სიარული ამ მთებს შორის, საუცხოვო მწვანე ყანები ფიფინებდნენ ნიავის შემწეობით, სადაც მთის წვერებზე თვალი რომ მოვავლე, ერთს კლდის ძირში, ერთი რაღაც საგანი დავინახე, საიდგანაც დურბინდში გავიხედე, რომელმაცა ერთმა კაცმა დაიჩოქა და თოფი მაღლა გაუნიშნა, ამ დროს კიდეც გავარდა და მაღლა კლდიდგან რაღაც ცხოველი გადმოვარდა მოთეთრო და იმ კაცის მახლობლად კლდეში ჩამოვარდა. ის მოთეთრო ცხოველი, მგონია ჯიხვი იყო? მთიელი მონადირე გაექანა და ისიც იმ მომაღლოს კლდეის შუაში შევიდა, რომელმაცა აქ მე დურბინდს თავი დავანებე და მაღლა შევხედე. დიდრონი გაფართოებული სვავები მაღლა ჰაერში მიფრინავდნენ სამხრეთისკენ და მიეშურებოდნენ. ეტყობოდათ ველზე სადმე მძოვრს ხედავდნენ. შემდეგ აღმოსავლეთისკენ რა მოვბრუნდი და წინ გადმოვიხედე.

ჩვენ რომ ხეობაში მოვდიოდით, იმის შორის არაგვი მოდიოდა და დიდრონს ქვებზედ მიმომტვრევით და მიმოკლაკვნით მირბიოდა გძელსა ხეობაში. ეს მდინარე ქვეშეთთან ჩამოირბენს დასავლეთის მხრისაკენ, რომელზედაც შარაგზის ხიდი არის გადებული, რაზედაც ჩვენი პოვოსკები გამოვარბეინეთ და ქვეშეთში მოვედით, სადაც საქართველოს მიკიტნები სამიკიტნოს ჰყიდნენ; მგზავრებსაც ცხენებს და ხარებს აქირავებდნენ ეკიპაჟის მაღლა ასატანათ, როგორც ამის ზევითა ვთქვი. მერე მიმოვიხედე და ყურება დავიწყე.

ერთს უდიდესს ბორცვს რომ დავინახამდი, იმაზე უკეთესი აღარ მეგონა და მინდოდა მოუცილებლად იმისთვის მეყურებინა, მაგრამ როდესაც სხვას შევხედავდი, უფრო უდიდეს და უკეთეს რომ დავინახავდი, ხან ერთს შევხედავდი, ხან მეორესა, არვიცოდი რომლისათვის უფრო უნდა მეყურებინა, ასე ერთი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ, ღრმა ხეობით შემკობილი და პონორამად სანახავი, საიდგანაც ხან დურბინდით ვიყურებოდი და ხან ისე. ამდროს ჩვენი პოვოსკებიც ამოვიდნენ და ჩემს მახლობლად დააყენეს. ჩვენც მაგთენი ხანი აღარ დავდეგით, ნაქირავი ცხენები რომ დააბრუნა მინიცკიმ, ჩავსხედით და გავემართენით.

ეს გზა, გძელს ვაკე აღმართათ შეივლიდა, რომელზედაც ისე სწრაფათ ვეღარ მოარბენდნენ პოვოსკებსა, როგორათაც ქვემოთ, ამისთვის რომ ოღროჩოღრო ქვებიანი გზა იყო. მაინც შუადღის დროს, კაიშაურში მივედით და ფოშტაში გადავხტით. კარგათ მოშიებულებმა ორაგული ცივათ მოვახარშვინეთ ჩემს ბიჭსა და ძალიან კარგათ მადიანათ შევექეცით, მაგრამ ჩემს ყელში აგრე რიგიანათ ვეღარ მიდიოდა; რამდენიც ჩუენს ქუეყანას ვშორდებოდი, ანუ ჩემსა თავისიანებსა და მეტად ჩემს კატინას ანუ ჩემს შვილებსა, იმთენი გული ხავსდებოდა მწუხარებით.

რაღა უნდა ვთქვა ბატოიშვილო დედავ! თქვენგნით ბძანება მაქვს: უბედურობაში არ გატყდეო. ეჰ, ამის შემდგომ რაღა უნდა მოგახსენოთ, სადილს უკან, ფოშტიდგან უნაგირიანი ცხენები მოაყვანინა მინიცკიმ, ამისთვის რომ ძნელი გადმოსასვლელი მთის გზა იყო და პოვოსკები ადვილად ვერ გადმოივლიდნენ. სამს ცხენზე ბარგი ავაკიდებინეთ, დანარჩენზე ჩვენ შევსხედით, გავსწიეთ და პირი ჩრდილოეთისაკენ მივმართეთ.

კაიშაურიდგან მცირედი გზა რომ წავიარეთ, აღმართიანი გზა შეუდგებოდა მთაზე გადმოსასვლელი, საიდგანაც ამის მარჯვნივ მხარეს, დიდნი და მაღალნი მთანი მოსდგომოდნენ ჰაერში აყუდებულები, ცოტა კლდიანები სულერთიან მწვანით შემოსილი: სხვადასხვითა სახით წამომდგარი!... რომელსაცა იმ ერთიანს გადმოსასვლელს მთასა უწოდებენ მოხევენი ანუ მთიულები: „ღუდის მთას.“ და გადმოსასვლელს მთის თავზედ რომ ავალთ, „ჯვართ ვაკესა“.[1] რისთვის უწოდებენ, ჯვართ ვაკესა, შემდგომ ვიტყვი,

[1] საქართუელოს მხარეს, იმ ხეობის მცხოვრებს ჰქვიანთ: მთიულები. და პირაქეთ

მარამ მინამ ჯვართ ვაკეზე ავიდოდეთ, სხვა დავიწყოთ.

როდისაცა იმ მთას შეუდექით, მის ცოტა გზა რომ გავიარეთ, ღრმას ღრანტიანს ფრიალოს ნაპირს რომ მივედით და მერე იმის გზაზედ დავადექით, იმას: გვერდძნელს[1] უძახიან.

იმის ფრიალოს რომ გადავხედე მარცხნივ მხარეს; სიღრმით მეტი დიდი იყო ჩაყუდებულსავით, რომელშიაც იმ ღრანტიანს ხეობაში, ის არაგვი, მკვირცხლად-სწრაფათ მიიკლავდა თავსა, საქართუელოს უბნისაკენ, სადაც და იმისი მიმჩქეფარე ხმიანობა ძლივ გვესმოდა იქ ზევითა, ასეთი ღრანტე არის იმის სიღრმე. იმ ღრანტიანს ხეობაში, გაღმა და გამოღმა არაგვისა ნაპირებზე დგანან ის მთიულნი, რომლებიცა მამა პაპის ადგილებზე, მამაპაპის წესისამებრ, იქ ცხოვრებენ შვილნი, ძენი ძეებისა. ის იმათი სახლები, როგორც დიდი მფრინველები, ისე პატარათა ჩანდა ზევიდგან, საიდგანაც დავყურებდით.

იმ ღრანტიანის გვერდძნელისა გზიდგან. აქედგან იმ ჯვართვაკისაკენ წავედით და ცოტახნის შემდეგ, იმის მაღალს თავზედ აღმართად ავედით, სადაც იმის წვერზედ, შარაგზის მარცხენას მხარეს, დიდის მთისა მოახლოვოდ თითქმის იმის ძირში ასასვლელი გორაკია, რომელსაზედაც მაღალი თლილი ქვისა ჯვარი დასვენებულია ერმალოვის დროსა იქაურის ნაჩალნიკის დავით ქანანოვისაგან. იმ გორაკას ძირში, ცხენებიდგან ჩამოვხტით და იმაზედ ისე ავიარეთ ქვევითებ ძნელად, სადაც ზევით კიდეც გვითქომს, რომელმაცა იმის ჯვარსა თაყვანი ვეც, გულმხურვალედ. მასუკან მინიცკიმ მითხრა.

– „თქვენ პატარახან აქ მოიცადეთ, აქედგან ბუნების ჭვრეტით ისიამოვნეთ, მინამ მე დავწინაურდები, კოპის ფოშტაში ჩავალ და პოვოსკებს მოვამზადებინებ თქვენ ჩამოსვლამდინ.“

მართლა რომ კარგი სანახავი არის იქიდგან: უცხო და დიდრონი მთები ჰაერში აღმართულები! საიდგანაც აქეთ-იქით იმ ჯვართვაკიდგან, სასიამოვნო ხეობანი მოჩანს, დასავლეთისაკენ: მთიულეთისა. და აღმოსავლეთისაკენ: მოხევებისა, რომლებიცა ორივ ესე გვარი ხალხი არის ქართუელები.

იმ ჯვართან ანუ ჯვართ ვაკეზე, მთის ზაფხულის ცივიგრილის

ლადიკავკაზის მხარეს: მოხევენი.

[1] ასე უწოდებენ იმ გზას: გვერდძნელს.

ჰაერითა, არ იყო რომ არ გვციოდა, ცოტათ მაინც, სადაც მზის სხივი ძლივღა მოქმედებდა იმ მთაზედ. ზევით რომ ვთქვი: ჯვართ ვაკისა ამბავს შემდეგ ვიტყვი მეთქი. აი ახლა გავიგონოთ.

სადღაც რუსულს წიგნში წამიკითხავს, ახლანდელს ჯვარზე სხვა ჯვარი ყოფილა ადრე დასვენებული და ასე ეწერა იმის თხზულებაში. „დიდმა პეტრემ დაასვენებინაო.“ რა ვიცი საიდგან როგორ? – ან რათ და ან რისთვის? მართალია ქართლის ცხოვრება ამაზედ არას ამბობს, მაგრამ ჩემის აზრით მეკი ასე მგონია, რომ რადგან იმ ჯვართვაკიდგან, იმის პირდაპირ სამხრეთისკენ, არაგვგაღმა მთაზედ ეკლესია არის წმინდის გიორგისა, რომლებიცა იქაურნი და თვით საქართუელოს ხალხიც იმის ხატის სასწაულის გამო იმ ეკლესიას უწოდებენ: ლომისად. იმისთვის იმ ჯვართ ვაკის გორაკაზე; იმ მოხევეთა, იქ ნიში იმისთვის დაუდვიათ პატარა ჯვარი, რომ როგორც ძუელად საქართუელოს ჩუეულება არის; იმ ეკლესიის დღესასწაულში, ის მოხევენი რომ წამოვიდოდნენ თავის სოფლებიდგან და იქიდგან პირველად ლომისის ეკლესიას დაინახამდნენ; იქიდგან იმას თაყვანს სცემდნენ და შეევედრებოდენ. ეს მე მგონია ასე იყოს? – თორემ პეტრე პირველი საიდგან რაო? –

იმ გორაკზე ცოტა ვაკეც არის და როდისაც ძუელ დროს მოხევე მცხოვრებნი იქ ნიშის ჯვარსა დაასვენებდნენ, მაშინ იმას იმ გორაკსა დაარქმევდნენ: ჯვართვაკესა. ამისთვის რომ იქ ჯვარიც ესვენებოდა და ვაკეც არის. მე ეს ასე მგონია და მართალიც უნდა იყოს ესა, რომლისაცა იმ ეკლესიის დღესასწაული რომ მოვა ხოლმე, მთელი მთიულეთი და მოხევენი იქ მივლენ წინადღით, სადაც იმ ღამეს და მეორე დღის სადილსუკანობამდისინ, იმ ეკლესიის დღესასწაული არის კაცისა და დედაკაცებისა. ბევრმა იციან რომ იმ ეკლესიის დღესასწაულის სწორზედ წავლენ ხოლმე იმის თაყვანის საცემლათ.

იმ ჯვართ ვაკის გორაკზე ვიდექ და მიმოვიხედებოდი. იმ ადგილიდგან იმის გარემო ბუნება მშვენიერი და საკვირველი სანახავი არის!

თუ შესაძლებელი ყოფილიყო, სულსა, გულსა, გონებას, ცნობას და გრძნობას ჩემსას მას გორაკზე დავაგდებდი და ხორცი ჩემი სადაც უნდა, თრეულიყო, მაგრამ ისევ სჯობია დაუნანებლივ ბედს დამორჩილდეს კაცი და რაც შეგემთხვას, მისთვის ხმა აღარ

ამოიღოს. როგორათაც რუსთაველი ამბობს: –„რაცა ბედმა შენმა მოქცეს, დასჯერდი და მას უბნობდი.“

რუსთაველის თხზულება ვეფხვისტყაოსანი რა კარგი რამ არის! როგორათაც გამოჩენილმა მხატვარმა ჩინებული დიდი ყვავილი დახატოს და იგი ყვავილი ასეთს მრავლის ნათელის და სხვადასხვის თალხის ფეროვნებით იყოს შეხამებული, რომ იმ ყვავილში ბევრი საკვირველება იყოს! ბევრი მშვენიერება! ბევრი საუცხოება! ბევრი კმაყოფილება! ბევრი სიამოვნება! ბევრი სიხარული! ბევრი გონება! ბევრი აზრი! ბევრი გული! ბევრი სული! ბევრი გრძნობა! და მის ყვავილის ყურება ადამიანს არ მოსწყინდეს, იგი რუსთაველის თხზულება მას განსაცვიფრებელს ყვავილს ემზგავსება?..

ბოლოს სამხრეთისკენ მქონდა პირი და ვიყურებოდი. იმის მარცხენას მხარეს, ერთს მაღალს მწვანოვანს მთაზე დურბინდით გავარჩიე, რომ ცხვარი ბალახს სძოვდა, აქა იქ ახალს მოლსა სწინწკნიდნენ. არვედის ცოტა მოშორებით, ერთს პატარას კლდეზე ერთი შეიარაღებული მთიული მწყემსი იდგა თოფზე დაბჯენილი ამაყათა, ამდროს თოფი მოიმარჯვა და ცხვრისაკენ გაექანა, ამ დროსვე მგელი ცხვარში დაერია, მგელმა ცხვარი ცხვრებიდგან გაიტანა და სირბილით მოარბენინებდა მთისა ზურგზე, რომელმაცა იმ მთიელმა მწყემსმა მაშინათვე მგელსა წაუჩოქა და მყისვე იმის თოფი გავარდა. მგელმა ცხუარი პირიდგან გამოუშო და თვითონ იქვე გადაიქცა მთაზედ. მწყემსმა თოფი მხარზე გადიკიდა, ფეხის აუჩქარად წამოვიდა, მოკლულს მგელს თავს დაადგა, მერე მგელს წამოჰკრა ფეხი და ცოტა იქით გადააგდო, შემდეგ დაჯდა და ყურება დაიწყო აქეთ იქით. პატარა ხანი გამოვიდა, პირიქიდგან მეორე მწყემსი ამოვიდა რამთენიმე ძაღლებითა, მოვიდა და ამხანაგს თავს დაადგა. იმ ძაღლებმა მკვდარი მგელი რომ დაინახეს, მოვიდნენ, დასუნეს რამდენჯერმე, მაგრამ პირიკი აღარ შეახეს, სადაც მცირე ხანი კიდევ ვიყავ, მერე გამოვწიე და წამოველ პირაქეთ ვიწროს ხეობაში დაღონებით, ჩრდილოეთის მხრისაკენ მთის ძირში, სადაც გზას ზევით, მეფის ირაკლისაგანა დაყენებულია იქაური მთიული კომლეული ბიდარაშვილი და ამის გამო იმ ხეობას სადაც მოვდიოდით ჰქვიან. „ბიდარა.“ მეფეს ირაკლის იმისათვის დაუყენებია ის კომლეული იმ ადგილზე, რომ ზამთრისაგან გაჭირებულს მგზავრსა მიეშველოს და თავის სახლში შეიხიზნოს,

რომლებსაცა ერთი მგზავრი მოგვეწია ჩუენ, გვითხრა: გამარჯვება. მეც: გაგიმარჯის მეთქი. მერე ვკითხე.

– „ვინ ხარ ძმაო?“

– „მოხევევარ აქაური.“ იმან მითხრა.

– „სად ყოფილხარ და სად მიხუალ.“

– „კაიშაურს ვიყავ, საქმე მქონდა. ახლა შინ მივდივარ.“

– „მითხარ კაცო, აქ ზამთარი დიდი იცის?“

– დიდი იცის. ბევრჯველ ასეთს თოვლს ბარდნის, რომ თითო თოვლი ხელის გულის ტოლა არის. ერთს საათზე ასე შეჰკრავს მთასა, გავლა აღარ შეიძლება. ნამეტურად დიდ ქარის ქროლას რომ მოჰყვება, ასე გეგონებათ ქვეყანა იქცევავო! იმდროს თუ მოასწრო ვისმე, შენი მტერი, რაც მოუვა იმას. ამ ზამთარში ერთი ოსი მოდიოდა ურმით ჯვართ ვაკისა მთაზე, ამდროს ქარს დაეწყო ქროლა და თოვლიც თურმე წამოვიდა. მაშინავე ის ოსი და ურემიც თავის ხარებით წაეხვია თოვლსა. როდისაც რომ ქარი დაწყნარებულიყო და ხეობის ხალხი მოსულიყვნენ გზის გასახსნელად, უეცრათ იქ ეპოვათ თოვლში წახვეული ის დამხრჩვალი ოსი თავის ურმით ხარებითა. ერთი ხომ არა, ბევრი ამბებია, აქ მომხდარი იმისთანა არეულს დროს ამ გზებზედა, ნამეტურად მთებიდგან, რომ თოვლის ზვავი იწმინდება და ჩამოდის, მაშინ უფრო ბევრი განსაცდელი არის. აი ერთს ამბავსა მოგახსენებთ. ეს ხუთი თუ ექვსი წელიწადი არის, თოვლისაგან იყო გზა შეკრული და ხალხი გამოგვგზავნეს გზა გაგვეხსნა. დაფანტული აქა იქ მუშაობით ხალხი თოვლს ვწმენდდით გზიდგან. ერთს ადგილსა ექვსი კაცი ედგნენ მწკრივათ და ნიჩბებით თოვლსა ხვეტდენ გზისგამოსაჩენათ, ამდროს ზევით მთიდგან, იმ ექვს კაცზე ზვავი წამოვიდა. დაინახეს, რომ იმათზე მოდის და გაექცნენ, მაგრამ ვეღარ წაუვიდნენ და ქვეშ დაიტანა. ჩვენ გვეგონა, დაიღუპებოდნენ, დიდი ზვავი გადააწვათ იმათ და ვეღარ ვიაზრეთ სად ვინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ დროს ვნახეთ, ერთმა კაცმა ნიჩბის ტარი ამოყო თოვლიდგან და ზედ ქუდი ჩამოეცო ნიშნათ: აქა ვარო. მაშინ გავექანეთ, საიდგანაც სამი კაცი ცოცხალ-მკვდარი ამოვიღეთ და სამიკი ვეღარ. ვინ იცის სად გადიტანა დიდმა თოვლმა ხევში. ვეცადეთ და არ იქნა ვერ ვიპოვეთ ის საწყალნი ზაფხულამდინ – ზაფხულშიკი, თოვლმა დნობა რომ დაიწყო, მაშინ ქვემოთ ხევის ძირში დავინახეთ სამი მკვდარი,

საიდგანაც წავიღეთ თავიანთი სახლისკენ. ამის გარდა, კიდევ გეტყვით ორს ამბავს, გამიგონეთ. თქვენ რომ წეღან ღრანტის პირზე გადადექით და არაგვს მდინარესა დაჰყურებდით ქვემოთ. ერთს გაზაფხულს, როდისაც ზვავი ჯერ არ იყო ჩამოსული, ამ დროს იმ გზაზედ იქაური ერთი კაცი მოდიოდა, არაყდალეული; უთხრეს: ნუ მიხუალო, დღეს ზვავი უნდა ჩამოვიდესო. მაგრამ იმან ზვავს არ დასდია, გასწია და გაეშურა: გაუსწრაფა. პატარა რომ წაიარა, ამ დროს მოსქდა ზევიდგან ზვავი და სალასავით სწორე ჩამოცურდა. კაცმა რომ დაინახა, ვეღარ გაუსწროფს, გაექანა და იმ ჩამოცურებულს ზვავზე აიჭრა: ეგება იქით გადვიდეო. მაგრამ განიერი დიდი იყო, ვერ გადუსწრო. ამ დროს კიდეც ჩამოვიდა ღრანტეს პირზე და მინამ ზვავი ღრანტიანსა ხეობაში წავიდოდა, კაცმა ლომისის ეკლესია დაინახა გაღმა მთაზედ და შესძახა გულმხურვალეთ: წმინდაო გიორგიო, ამ საშინელს განსაცდელისაგან გამამიხსენო. თურმე ის ზვავი მაგრა ყოფილიყო გაყინული და სალასავით ბრუნვით ქვე წავიდა და მინამ ზვავი ძირზე ხეობაში ჩავიდოდა, ორჯერ თურმე შეუწუხდა გული კაცსა და ორჯელ გონს მოვიდა. მესამეთ რომ შეუწუხდა, ამ დროს ზვავი ძირს დაეცა და რამთენსამე ნაგლეჯათ დაიბნია. ვენაცვალე ჩუენს ლომისას წმინდა გიორგის, იმის სასწაულით კაცი თოვლზედ ყოფილიყო რბილათ, ძირს დაეცა, საიდგანაც გამოვიდა და იქ მოახლოვოდ მთიულები იდგნენ; იმათთან რომ მისულიყო, იმათ ეკითხათ.

– „კაცო მაგ ზვავში რა გინდოდა? –“

იმასაც ყველა ეთქვა კანკალი შიშით. მაშინათვე წაეყვანათ, ლომისის წმინდა გიორგისკენ, სადაც პარაკლისი გადიხადეს და მადლობდენ იმის სასწაულსა.

კიდევ ზვავის ჩამოსვლის დროს ერთს გაზაფხულზე ამ ბიდარის ხეობაში ერთი მთიული მოდიოდა და სახლისკენ მიეშურებოდა, საქმე ჰქონდა; ეგებაო ზვავს როგორმე გაუსწროვო. მაგრამ იმ მარცხენას მაღალის მთიდგან, დიდი ზვავი წამოვიდა, აგერ ვიწრო ხეობაში (ხელით დაგვანახა ის ადგილი.) და მაშინვე დაიტანა ის საწყალი. ეგონათ: ესესარის ზვავმა მოკლა ის კაციო, სულით ხორცით დაიკარგაო. მაგრამ თოვლმა დნობა რომ დაიწყო, რამთენიმე მიდიოდა იმ გზაზე, სადაც ზვავს ის დაეტანა; იმ თოვლიდგან იმის ქვეშ, რაღაც ყვირილი გაეგონათ, ამოთხარეს და ის კაციკი

ამოიღეს იქიდგან, მთელი უვნებელი. ყველამ ჰკითხეს: კაცო რათ იყავ მაგ ზვავებშიო. – იმან უთხრა: ჩქარი საქმე მქონდა, სახლში მივეშურებოდი, გაუსწრობ ზვავსა მეთქი. ამ დროს ზვავი მოსქდა და ამ ხევში ჩამამაგდო, ვთქვი, ესესარის მოვკვდიმეთქი, მაგრამ ღმერთი კაცს რომ დაიფარამს, ასე გამოიხსნის, შევხედე ამ ხევზედ, გაყინული ზვავის თოვლი ზედ დააწვა და ოთახსავით მე შიგ ჩავრჩი. ჩემი სიცოცხლისთვის ღმერთსა ვმადლე, მაგრამ ვთქვი, ვინ გამიყვანს აქედანა? ვწუხდი ამაზედ. მერე ხანჯლით თხრა დაუწყე თოვლსა, გავალ სადმე მეთქი. ამდროს თოვლის თხრაში, ერთს დიდს მკვდარს დათვსა მივადექ და ვთქვი. ღმერთმა ჩემს საზდოდ მამცა, რომ თოვლის ზვავს გადმოუტანია დიდი დათვი მეთქი. მივყავ ხელი და წვრილწვრილათა ვჭამდი იმის ხორცსა. ბევრჯველ მიდიოდმოდიოდნენ მგზავრნი ამ ზვავზედ, ვუყვიროდი იმათ, მაგრამ არ ესმოდათ, ახლა ღმერთს ვმადლი გაიგონეთ. და აქედგან ამამიღეთ. გმადლობთ ჩემის გამოხსნისთვის.

რა დროს ანუ რა დღეს დაეტანა, ანგარიში ნახეს, რომ ერთი თვე მეტი ყოფილიყო, იმ თოვლის ოთახში სადაც დათვის ხორცით გამოიზდებოდა თურმე.

მასუკან მე ვკითხე.

– „ეგ მართალი, მაგრამ არ შეეძლო, თოვლი გაეკაფა ხანჯლით და იქიდგან დახსნილიყო ისა? –“

– „არა, არ შეეძლო გაყინული თოვლი გაეკაფა, თუნდა შესძლებოდა, საიდგან გავიდოდა? – აქეთიქით გძელი ხევი სავსე იყო დიდის თოვლით და ის ოთახი იმ თოვლისა, პატარა ყოფილიყო. მეტი ღონე რაღა ჰქონდა, მოეთმინა ზაფხულამდენ: თოვლი დადნებაო, მაშინ გავალ, მანამდისინ ამ დათვის ხორცი მეყოფაო. ბოლოს როდესაც თავის სახლში მისულიყო, იმის ცოლშვილებსა სახლიდგან გამოეგდოთ: შენ ეშმაკი იქნებიო, თორემ ჩვენი კაცი ზვავმა დაიტანა, მოკვდებოდა ის საწყალი. წადი, დაიკარგე შე ეშმაკო. რამთენი შეეფიცა, მაგრამ მაინც კიდევ არ შაეშოთ, მინამ მოწმეები არ მივიდნენ, თურმე აღარ იჯერებდნენ. მასუკან კი დიდი სიხარული შესდგომოდათ.“

ამის ხეობაში თავქვე მივიდოდით აღმოსავლეთის მხრისაკენ და გზაზედ მჟავე წყაროები ამოსჩქეფდა, რომლებსაცა მაჭრის გემო ჰქონდათ, პირსა გვიხუხამდა, რომ დავლევდით ხოლმე და ტანშიაც

გამკრა ორჯელათ.

ხეობა ეს ვიწრო ხეობაა. პირველათ დიდრონი მთები რომ ვნახე კაიშაურის ხეობაში, ის დიდრონი მთები, ამ დიდრონს მთებსა მოაბია, მაგრამ ჯვართ ვაკიდგან ეს მთები, აღმოსავლეთის მხრისაკენ შემოუბრუნდება და აღმოსავლეთისაკენ წავა გაწვენილი ხეობაებითა გაყოფილი ჯვარედინათ.

იმ ხეობას და იმის მთებსა ვუყურებდი სიამოვნით, სადაც კიდეც დაბინდდა და კოპის ფოშტასაც დავახლოვდით, მოვიხედე და ის მოანბე მთიული მოვიკითხე, მინდოდა ზოგიერთი იქაური ამბავი კიდევ მეკითხა, მაგრამ მითხრეს: უკან დარჩაო. ამაში კიდეც დაგვაღამდა და მცირე ხანის უკან კოპის ფოშტაშიაც ჩამოვედით.

ამ ფოშტაში ჩაი რომ დავლიეთ, შემდგომ პოვოსკები მოიტანეს, შიგ ჩავსხედით და გასწიეს, რაც შეეძლოთ ჩქარა, პოვოსკების ზარებისა წკარაწკურით.

ბნელი ღამის გამო, ორი ყაზახი გაიმძღვარა მინიცკიმ წინ, საიდგანაც ორსაათზე, სტეფანწმინდის ფოშტაში გადავხტით. თუმცა იმ ღამესვე წასვლა მოინდომა მინიცკიმ, მაგრამ კარგი წვიმა წამოვიდა და ამიტომ დავრჩით იქვე. სადაც ჩუენის მცირეს ვახშმის შემდეგ, მივწექით და დავიძინეთ პახოტურათ შინლებს ქვეშ, ტყავის დივნებზე. მაგრამ ჩემი ძილი, ტანჯვა იყო: ვშორდებოდი მშობელს მამულს, ჩემს სასურველს მშობელს მამულს, მასუკან ჩემიანებს და მერეთ ჩემს კატინას... „კარგი, და მე მწუხარებავ, მოვკვდე მამულისთვის, ნუ ვინაღვლი თავსა.“

20-ს ივლისისა დღემ რა ინათლა, მაშინათვე გამეღვიძა, რომელმაცა ჩემი ამხანაგებიც გავაღვიძე, სადაც ამ დროს ჩემი მოსამსახურე შემოვიდა, მეც ვკითხე: დარი როგორია? –”

– „წვრილი წვიმა მოდის, ნისლიც ჩამოწოლილა.“

ჩვენ პირი დაგვეღრიჯა, ხმა ვეღარ ამოვიღეთ, ბოლოს მინიცკიმ ჩაის გაკეთება უთხრა დაღონებით. ჩაი რომ დავლიეთ, პოვოსკები მოიტანეს და ჩუენც კარზე გამოვედით. როგორც ჩემმა მოსამსახურემ თქვა, სწორეთ იმისთანა ნისლი იყო, რაშიაც დაღონებით ჩავსხედით და გავსწიეთ კიდევ ჩქარა.

სტეფანწმინდას რომ გავცილდით,[1] ვაკე თავდაღმართის

[1] ჩემ ყმაწვილ კაცობაში ერთის მოხევის მთიულისაგან გამიგონია, რომ სტეფანწმიდის დასავლეთის მხრითა, ზევით შორსა მთაში, გამოქვაბული კლდეია, რომ-

გზაზედ დავადექით ჩრდილოეთის მხრისაკენ, რაზედაც პოვოსკე-ბი თამამათ მორბოდნენ. ამ გზას ჩავცილდით, თერგის მდინარეს მივადექით, რომლებიცა იმის პირზე მივიდოდით, ცუდი გზის გამო, ახლა წყნარა, სადაც ბურუსი იდგა და წვიმასაც სცრიდა ნელიად. თუმცა მდინარე იმ ბურუსისა გამო აღარა ჩნდა, მაგრამ იმის ხმაუ-რობა ასე გრგვინვით იყო, რომ მე და მინიცკი ერთათ ვისხედით და ჩვენი ყვირილი ლაპარაკი ძლივს გვესმოდა. ასე წყნარის სიარუ-ლით დარიელას ჩამოვედით დაღმართს გზაზედ, სადაც თექვსმე-ტის წლისამ ვახტანგ გორგასლანმა ომის უნახავმა გაიმარჯვა ძლიერს ბაყათარზე, მოკლა ჯერ ის და მასუკან იმის ოსეთისა ჯარი დაამარცხა. ამ დროს ნისლიც აიყარა, არა ისე, რომ სრული ბუნება გამოჩენილიყო, მაგრამ თერგის მდინარეკი სრულად ჩანდა. პოვო-სკიდგან გადავხტი, მივედი და ხიდიდგან გადავხედე იმ მდინარეს, რომელიცა ცოტა მოდიდებულიყო და ამღვრეული მოდიოდა, სამხ-რეთი მხრიდგან, ჩრდილოეთის მხრისაკენ მიმდინარე, რომელშიაც მაღალის მთიდგან, თავის თავათ ჩამოგორებული, დიდრონი კლდ-ის ქვები შიგ ეყარა, რაზედაც გამალებული მდინარე გადირბენდა იმ ლოდებზე. იმის გამოქანებული წყალი ლოდიდგან ლოდს, ანუ ქვიდგან ქვაზედ რომ ავარდებოდა, იმის თავზედ ასეთს ტალღას შეისროდა, იმის ასროლილი წყალი, მაღლა ტოტებათ იყოფოდა, საიდგანაც გაყოფილი ტოტების გაკეთებული წინწკლები, უფრო მაღლა ტრიალებდნენ გაბნევითა და სხვა კიდევ სხვა წინწკლე-ბი გაცრილსავით კეთდებოდა, უფრო მაღლა შესროლილი, ან თუ შეტყორცილი. ასე ქვებიდგან ქვებსა გადასჩქეფდა, გადარევით გი-ჟურათა თერგი ისა.

მთელი ეს თერგი სხვისა და სხვის სახეთ დუღდა აღქაფებით და ამ სახითა ხეობაში მირბიოდა დიახ ჩქარა, თვითონ ჩქარი, რო-მელსაცა იმ მკვირცხლს თერგსა, ძლივს ვასწრობდი თუალსა იმის

ლიდგანაც ჩამოკიდებული არის განწყვეტილი ჯაჭვი კარგა მაღლა. შიგ იმ მაღაროში მითამ თეთრათ რაღაც ჩანდეს და ამბობენო: მამა აბრაამის კარავი არის და კარავში უფალი იესო ქრისტეს აკვანი იდგეს.

იმისგანა ესეც გამიგონია. იმ მხარესვე მთაში, გახეთქილი დიდი ყინული იყოს დაუდნობელი, რომელსაცა იმის ქვეშა წყალი გასდიოდეს და იმ ყინულზედ თეთრი დიდრონი ცხოველი მატლები ისხდეს. იმ მატლისგან ერთი მატლი ცხელს წყალში რომ ჩააგდონ, მაშინვე ის მატლი დადნებოდეს და იმ ცხელსა წყალს გაჰყინამდეს. არვიცი როგორ დავიჯერო ესა? –

სისწრაფესა. აქ კვდებოდა ჩემი გული, აქ დაიხშო კარი ჩემი – ჩემი სამშობლო მამულისა.

კიდევ-კიდევ მოხველ მწურახებავ ჩემთან? – კარგი, კარგი წადი, ასე უთხარ ჩემიანებს ჩემი, ნამეტნავად ჩემს ცხოვრებას სიცოცხლესა, თავის დახრით, გულზედ დაკიდებით: წაიყვანეს დაკარგესთქო. აღარ გამოვუშვით ხანი, ჩვენს გზასვე გავუდექით, მაგრამ ქვებიანი გზის გამო წყნარა მოვდიოდით, რომლებიცა ამისთანა სიარულით ლარსში ძლივს მივედით მეთერთმეტე საათზე და იმის ფოშტის წინ გადმოვხტით.

იმ ფოშტაში ცხვარის ხორცი ვაყიდვინეთ, იყვნენ იქა ქართველები; ჩემს ბიჭსაც კარგი მწვადის შეწვა ვუთხარ, რომელსაცა შევექეცით და ვსვით ღვინო, მაგრამ უკანასკნელი დარჩენილი ერთი ბუთლიკა და ისიც დავლიეთ.

ამის შემდგომ ლარსის ფოშტას რომ გავსცილდით, იემშიკმა დაიძახა. – „ამას იქით კარგი გზაა.“ დაჰკრა ცხენებს შოლტი: ნუნუს, ძახილითა და სირბილით წაგვიყვანა. მე ბალიშზე თავი მივდე და ძილს მივე ფიქრი. ძილში რომ ვიყავ, მინიცკიმ გამაღვიძა.

– „კნიაზო, გაიღვიძეთ ლადიკავკაზის ქალაქს დავახლოვდით.“ მეც წამოვჯექ.

უკან ხეობას გამოცილებული ვიყავით, წინ თვალუწდომი მინდორი გვედო, ქალაქზედაც მახლობლად მოვედით, სადაც აღარც წვიმა მოდიოდა, სრულებით მოეწმინდა. ამას იქით ქ. ორენბურღამდისინ აღარა არისრა დასაწერი, მხოლოდ თუალუწდომი მინდორი და მინდორი, შიგ სოფლები–ქალაქები, რომლებსაცა მდინარენი ჩამოუდის თევზიანი. ეს რუსეთი ვრცელი, დიდი ვრცელი არის!.. ხალხსიმრავლე ბევრი, რომლებიცა ერთს მთავარს ხელმწიფესა მორჩილებენ – ასე მორჩილებენ, რომ თავს გასწირვენ იმისთვის... თურმე ამისთანა ხალხის მორჩილებას ძალა მიუცია ხელმწიფობისათვისა და ამისგან გაძლიერებულა ეს რუსეთი დიდათ!..

გავრცელებით აღარას დავწერ ამის მეტს, რომ ლადიკავკაზის ტრახტირში გადავხტით; მაგთენი ხანი აღარა დავიგვიანეთრა, ჩაი დავლიეთ, პოვოსკები მოიტანეს და თან ცამეტი ყაზახი მოჰყვა, ამისთვის, რომ თუ ფოშტისათვის მოგვეცადა, რამთენიმე დღე უნდა გველოდინა, რომ უშიშრად წავსულიყავით. ამისთვის მინიცკის ცამეტი ყაზახი მოეთხოვა კომენდატისთვის, რომელსა-

ცა მინიცკის თხოვა აღესრულებინა და დაუყოვნად მოეცა ჩვენის უშიშრად წასვლისათვის. უფრო ჩემი საჩქაროთ წაყვანისათვის.

როდისაც ლადიკავკაზის ქალაქს გამოვცილდით და თვალუწვდომს სწორეს მინდორზე გამოვედით, მარცხნივ მივიხედე. მყინვარე მთა დავინახე (მომატებული სახელი რომ დაარქვეს ეხლა „ყაზიბეგის მთა“) და მისი გაბმული ბორცვები! ჩემთვისა ვთქვი ეს ორიოდ სიტყვა.

„ახლა სრულადა ვგრძნობ ჩემის სულის მწარედ შეიწროებას! რამთენი გულსასიკვდინო მწუხარება დამრჩა ამა მთების იქით! თვითონ შენ კავკაზო! ასე გგონია ადვილად გაგეყარო და ჩემი სრული გრძნობა შენ ძირში არ დავაგდო? სადაც უნდა ვიყო, შენ მოგიგონებ და შენთვის ავტირდები მწარეთ...! ამ სიტყვასთან ღაპაღუპით გადმომცვივდა ცრემლი და ჩავკიდე თავი დაბლა. მინიცკიმაც შემამცნია და ისიც შეწუხდა ჩემთვის. ქ. ტფილისიდგან ამ მოკლე გზამდისინ სრულად დავმეგობრდით და გული გაუერთეთ ერთმანეთსა.

კავკაზიდგან დაუსრულებელს მინდორზე ვირბინეთ სწრაფი ფოშტის ცხენებითა ქა. ორენბურღამდისინ, რომელთაცა უწვიმრო დღეები მოგვცა ღმერთმა და ამის გამო კარგი გზები იყო. დატკეცილ გზებზე ფრინველივით უფრო მოვრბიოდით.

ქ. ორენბურღამდისინ და იმას იქითაც ეგრეთვე დიდრონს მინდვრებს ამბობენ, მაგრამ მას რუსეთის თვალუწვდომს სწორე მინდვრებზე მშვენიერი ქალაქები არის, ლამაზის, მშვენიერის პლანის შენობითა და სოფლების ქუჩები ეგრეთისავე პლანით არის გასწორებული, მაგრამ რაც შენობა ვნახე სოფლებში, სულ ხის შენობა იყო და უმრავლესი სახლების ბანები სულ თივით ვნახე დაფარებული. ზაფხულის დილის სინათლესთანვე აანთებენ ფეჩებს და სადილ–ვახშმის საჭმელს მაშინ მოხარშავენ, რადგანაც დილის ნოტიოა დადებული, თორემ როდისაც მზე დაადგება და სოფლის სახლების ბანებს გააფიცხებს, ველარც კი აანთებენ ფეჩებს, ამისთვის, რომ მცირის ნაპერწკლისა ეშინიანთ; ფეჩის სასულიდგან ბანზე არ გადმოარდეს და ცეცხლი არ წაეკიდოს, რომელიცა ხშირი მაგალითები არის ცეცხლის მცირის ნაპერწკლიდგან და ამისთვის ყველანი გაფრთხილებული არიან.

დაუყოვნათ მაშინათვე ლადიკავკაზიდგან რომ გამოვედით, საქა-

რთუელოს მხარეს მოვხედე, ამდროს მყინვარე მთა კავკაზისა (ყაზიბეგი) დავინახე და ცრემლები გადმამცვივდა, ვეღარ შევიმაგრე.

აქ დავსუსტდი დედავ ბატოიშვილო, თქუენი დარიგება ვეღარ შევძელ, მამიტევე ღმერთი გადღეგძელებს.

თქვენი უძლური ძე ა. ორბელიანი.

ჩემო მაცოცხლებელო კატინო!

თუ გსურს ქ. ტფილისიდგან რომ გამოველ, ჩუენი მგზავრობისა შეიტყო რამ, ბატოიშვილს დედასთან მოწერილსა ჩემგნით წიგნში წაიკითხავ. ამას თავი დავანებოთ, ახლა ამას გეტყვი, კატო! მოგშორდი, – მოგშორდი იქნება საუკუნოდ, მაგრამ ჩემი სული შენთან რჩება შენმა გაზდამ. ჩუენს მშობელს საქართუელოს ხომ აღარ ეშვება ჩემი გონება. ჩემი სული შენთან იყოს შენიჭირიმე, ნუ გაუშვებ ნურსად, ემანდ შენს გულისპირში შეინახე საცოდავი და ჩემი გონებაკი ჩვენს მამულსა მიეც, მანდ იყოს მაგ უბედურს ჩვენს მამულში, სადაც იმას ყური უგდე, მაგ ბედკრულის მამულიდგან არ გავიდეს არსად. კარგათ ფხიზლად იყავ ამაებზედ ჩემო, ჩემო!.. ეჰ სხუა რა გითხრა? – თუ მე მოვყვე შენს სიყვარულს და ჩუენს მშობელს მამულზედ, ბევრი მოვა, – ბევრი, ძალიან ბევრი... ამიტომ ამას გავათავებ და სხვას დავიწყობ ჩემს ამბავსა, როგორ კარგათ მიღებული ვიქმენ აქ ორენბურღს, ვიცი გიამება, იტყვი: ჰო, ესეც კარგი ნუგეშია მისთვისო.

ქ. ორენბურღს რომ დავახლოვდით, პირველი ღამე იყო 11-ი აგვისტოსი, სადაც სრული მთვარე ანათებდა მოწმენდილის ზეციდგან. მინიცკიმ შემამხედა და კმაყოფილის სიტყვით მითხრა.

– „კნიაზო, ახლა ახლოსა ვართ ორენბურღზე, ამ ნახევარ საათზე მივალთ.“ იმან რომ კმაყოფილებით მითხრა; მე უკმაყოფილოთ ვუპასუხე.

– „დიდათ მოხარული ვარ, ჩემი გძელი გზა დასრულდება, მაგრამ მიკვირს, **ამტოლა ქვეყანა აქვს რუსეთს, სხვას ცოტას რაღათ ეჭიდება?“**

– „ამიტომ, რომ კეთილმდგომარეობა და მშვიდობა მიანიჭოს ხალხსა.“

– „არა, რადგან კაცის გულს შემატების საზღვარი არა აქვს დასრულებისა, ამისთვის არც რუსეთი დაიძრახება, თორემ თუ ეს ასე არ იყოს, **მაშ ჩვენი მემკვიდრე მეფეები რათ ამოხოცა რუსეთმა? მაშინ როდესაც რომ, ჩვენი მეფის სახლს რომ დამოყვრებულიყო რუსეთის სახლობა, უფრო კარგი იქნებოდა**, მინამ ღერმანიის კაროლების მოყვრობასა."

მაშინ ჩინებული კეთილმდგომარეობაც იქნებოდა საქართველოში. გარდა ამისა ჩვენის მეფობისაგან უფრო მეტი სარგებლობა ექნებოდა რუსეთს, მინამ მარტო მფლობელობით.

ჩემი ეს ლაპარაკი იმას არ იამა, ამაზედ იმან ხმა არ გამცა და დავჩუმდით ორნივ. მაინც ყოველთვის ასეა, თუ ოდესმე საქართველოსთვის ხმასა ამოვიღებთ ქართველები, მაშინვე რუსები ხმასა ჩაგვაკმენდინებენ ხოლმე, რაც არ მოეწონებათ იმათ ჩუენი.

მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, პატარა ლამაზ ქალაქს ორენბურღში შევიარეთ და ჩამოვხტით ერთს ტრახტირში. ამ ქალაქსა თხრილი ახვევია გარსა სიმაგრეთა,[1] მაგრამ სამხრეთის მხრით ღია არის და მდინარე ურალი წინ ჩამოუდის. კარგა ქვემოთ დაბლა, საიდგანაც ურალს გაღმა ჭალა არის რამთენიმე ხეივნებით დაყოფილი, ზაფხულში შესაქცევი ორენბურღის მცხოვრებთათვის, სადაც უქმე დღეში მუზიკას უკვრენ, რომლებიცა ქალნი კაცნი ერთათ სეირნობენ.

მეორე დილა გათენდა, იქაურს ნაჩალნიკ-შტაბთან წავიდა მინიცკი, კაროვინმაც თავის დის საძებნელად გასწია და იქიდგან რომ მოვიდა მინიცკი, თვითკმაყოფილებით მითხრა.

– „კნიაზო, მამილოცავს ყოველი თქვენი საქმე კარგათ წავა, აგრე ქართულის ტანისამოსით დაგიბარათ ნაჩალნიკშტაბმა ეხლავ, რომელმაცა ესეც მითხრა: უნდა შევეწივნეთ და როგორც იყოს გამოვიხსნათო." მე ესე მიამა. გარდა ამისა, იმანვე დაიწყო. „ყოველს აქაურს ნაჩალნიკებთანაც ვიყავი და ისინიც თქვენი მასიამოვნებელი იქნებიან." ესეც მიამა. მასუკან ვოენი ღუბერნატორისა ვკითხე. იმან რაღა გითხრათ მეთქი?

– „ვოენი ღუბერნატორი პეროვსკი, ახალს ალექსანდროვკაში

[1] თხრილი ეს დიდსა ეკატირინას მოუვლია ქალაქისთვის, რადგან მაშინ ყირღიზები ეცემოდნენ რუსებს, რომლებიცა ახლა მშვიდობაში შემოსულან, მაგრამ ალაჩუხებშიკი დგანან კიდევ და შინიდგან ბინაზედა გადადიან გადაცვლითა.

წასულა კასპიის ზღვის გაღმა, სადაც ციხეს აშენებენ ეხლა იმის სანახავათ. მე ამასაც გეტყვით, რომ პეროვსკი და ხელმწიფე ერთათ შეზდილნი ყოფილან სიყმაწვილით; იმის დიდი საყვარელიც არის თურმე და ამისთვის დიდსა შემწეობას მოელოდეთ იმისგან.“ ესეც რასაკვრელია მიამა.

– „სახელათ რა ჰქვიან პეროვსკის?“

– „ვასილი ალექსეიჩ.“ იმან მითხრა.

– „ნეტა მითხრა, პეროვსკის ადუტანტი ჩილაევი სად იქნება?“

– „ისიც ვიკითხე! პეროვსკის წაჰყოლია და იქნება იქაც დარჩეს კამენდატათ.“ ასე მითხრეს. მე ეს არ მიამა, ამისთვის რომ ჯერ ქართველი კარგი კაცისშვილი იყო, და მასკვან ბატოიშვილი დედისჩემის წიგნი მქონდა იმასთან.

როდისაც ორენბურღის კორპუსის კომანდერის[1], ნაჩალნიკშტაბმა კაბინეტში მიგვიღო და ლამაზ გაწყობილს ოთახში შემიყვანა ლაქიამ, რა შავხედე ნაჩალნიკშტაბს, მაშინათვე მამაგონდა, რომ მთავარმართებელს პასკევიჩთან იყო სამსახურში საქართუელოს, სადაც ხშირათ შემხვდებოდა იმის ნახუა, რომელმაცა იმანაც მიცნა. თუმცა ერთმანეთის ცნობა არა გვქონდა, მაგრამ მაინც მახლობელს მცნობსავით დამხვდა სიამოვნით. ბატოიშვილის დედი ჩემის ამბავი მკითხა, ჩემი ცოლშვილებისა და ჩემი გარემოებაც. მეც ვუანბე დაწვრილებით. კიდევ მცირე უბნობის შემდეგ, სიამოვნით შემამხედა და მითხრა.

– „თუმცა უმაღლესის ნებით, თქუენ ვერხნი ურალსკში[2] ხართ დანიშნული, მეცხრეს ლინეინის ბატალიონში, მაგრამ მინამ ახალის ალექსანდროვკიდგან კორპუსნის კომანდერი არ მოვიდეს, მანამდისინ აქ იყავით.“ მე მადლობის თავი დავუკარი. როდისაც წამოსასვლელად ავდექ იმან მთხოვა, ხშირათ მევლო იმასთან, რომელიცა მეც კმაყოფილი წამოვედი.

ამის მესამის დღის დილაზე, ლინეინის ბატალიონის მუნდირი ჩავიცვი აფიცრისა იქაური მკერვალის შეკერილი ურიისა, რომელიცა ასე წაველ, ჯერ პირველათ ნაჩალნიკშტაბ რაკასოვსკისთან, მასუკან დევიზიონი კამანდერ ჟემჩუჟნიკოვთან, მერე ბრიღადნი

[1] პეროვსკის ორივ ღირსება ჰქონდა. ვოენი ღუბერნატორობისა და ორენბურღის კორპუსის კომანდერობისა. –

[2] ორენბურღზე ვერხნი ურალსკი 500-ი ვერსტი ზევით არის.

კამანდერს სტელიხთან და ბოლოს კამენდატთან, რომლებმაცა ყველამ პატივით მიმიღეს.

ამ დღეს მინიცკი პოლიცმეისტერთან წასულიყო, საიდგანაც ლაქია მამივიდა: „სადილათ ნუღარ მამიცდიო.“

მეც კაროვინი მინდა დამეჭირა, სადილათ აღარ გამეშო, მაგრამ მითხრა: ამთენი წელიწადების უნახავი ვარ ჩემის დისა და შეწუხდება თუ არ წავალო.

მე მაშინვე სიამოვნის ღიმილით ხელი გამოვართვი და უთხარ.

– ეხლა ჩემ სიამოვნეს თქვენი დის სიამოვნე მირჩევნია. გთხოვთ, ყოვლის ღონით იმის სიამოვნეს ეცადოთ.

დავრჩი მარტო, რომელიცა სადილსუკან, მცირედ დავიძინე, შემდეგ ძილისა, ტანისამოსი რომ ჩავიცვი, დავჯექ, გაღებულს ფანჯარაში ყურება დავიწყე. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, მინიცკი შემოვიდა და რამთენიმე კეთილშობილები შემოჰყვნენ. მოიყვანა, ყველანი გამაცნო. იმათ შორის პოლიცმეისტერიც გავიცან. დავსხედით და კარგახანი მოვიუბნეთ, ამდროს ერთი უნკერი შემოვიდა, მინიცკიმ ისევ გამაცნო.

– „ეს აქაურის პოლიცმეისტრის, ამათი ძმა არის.“ მე ხელი გამოვართვი და დავსხედით ერთათ. რა ყველანი წავიდნენ წამოვიდნენ, მინიცკიმ პოლიცმეისტრის ძმა არ გაუშო, სთხოვა, მცირეს ხანს ჩვენთან დარჩენილიყო, რომელიცა დარჩა. მომეწონა, უცხო პატიოსანი კეთილშობილი ყმაწვილი კაცი, რომლებიცა მაშინვე ძმასავით დავახლოვდით, რომელსაცა ვთხოვე ხშირათ ევლო ჩემთან მინამ ვერხნი-ურალსკს წავიდოდე.

17-ი აგვისტო რომ გათენდა, მინიცკიმ ბარგი ჩაალაგებინა; სადილი კიდევ ერთათ ვიგემეთ, სადილს უკან მწუხარებით გავიყარენით და საქართველოსაკენ გამოსწია, – გამოსწია, მაგრამ მე ერთიან წამამიღო ჩემო სიცოცხლეო კატინოჯან!

ამის მეორე დილას პოლიცმეისტარის ძმა, უნკერი სჩერბაჩევი შემოვიდა ჩემთან, მარტო უამხანაგოთ რომ მნახა, მთხოვა, იმასთან ერთათ დამდგარვიყავ, რომელიც სიამოვნით გადავედი ჩემის მცირეს ბარგით, სადაც ვიყავ იმასთან და უცხოთ ვატარებდით დროებს. რაც ორენბურღში კარგი საზოგადოება იყო, უფროსი ერთი გავიცან; ყველამ კარგათ მიმიღეს, კაცთა და ქალებმაც და სიყვარულით მექცეოდნენ ყველანი. კვირაში ორჯელ ნაჩალ-

ნიკ-შტაბთან მივიდოდი სანახავათ და ბევრჯველ სადილათაც, რომელიცა ალერსით და სიამოვნით მიმიღებდა ხოლმე. ორენ-ბურღის საზოგადოებას არ უნდოდათ მოწყინებისთვისა მიმეცა თავი. *ნამეტნავად ქალნი უფრო ისურვებდნენ, მაგრამ გული ჩემი საითკენაც ყოფილა, მაინც კიდევ იქითკენ იყო და თვალები ჩემი იქითკენ იყურებოდა.* მე იმათი დიდი მადლობელი დავრჩი, ესეთი მადლობელი, რომ საუკუნოთ დამავალა ორენბურღის საზოგა-დოებამ. მაგრამ გული ჩემი საითკენაც ყოფილიყო, კიდევ იქითკენ გაიწევდა და თვალები ჩემი იქით იყურებოდა, რომელიცა ხშირათ წარმოვსთქვამდი ამა რუსთაველის ლექსსა.

„ღმერთო! ღმერთო გეაჯები რომელი ჰფლობ ქვენაზესა,
შენ დაბადე მიჯნურობა შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მამაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა!
ნუ ამოფხვრი სიყვარულსა მისგან ჩემთვის დანათესსა.”

.....

ერთს საღამოზე რამთენიმე ყმაწვილი კაცი იყო ჩემთან და ვა-ტარებდით დროსა სხვისადასხვის ლაპარაკით, ვახშმის შემდეგ სამმა პირობა დავდევით, რომ ხვალ სანადიროთ წავიდეთო. მე ჩემს ამხანაგს თოფიარაღი გამოვართვი და წავედით მეორეს დღეს.

სამ ცხენებ შებმულს, ერთს თავდაუხურავს გძელს ჩასაჯდომ-ში დავხსედით აქეთიქით გძელს ფიცარზე, რომელიცა ამ ახლოს დროს მოუგონიათ ეს საჯდომი და სახელათ დაურქმევიათ კარან-დასი. ამისთანა კარანდასის მომგონი, მგონია პირველათ, ციმბირში სადღაც ყოფილა და იმის მამგონს, გვარათ კარანდასოვი[1] რქმევია?

ჩავსხედით, ქალაქს გარეთ თვალუწდომს სწორეს მინდორზე გავედით, სადაც ჭაობიანი ადგილები არის, დავიარეთ და ჩვიდმე-ტი იხვი მოვკალით. გამარჯვებული გამოვბრუნდით მზის ჩასვლის-დროსა და ბინდზე თავთავის სახლებთან გადავხტით.

შინ რომ შეველ, ჩემი ბიჭი მომეგება ამ სიტყვით. – „თქვენთან ერთი ადუტანტი იყო, შინ რომ არ იყავით, მითხრა: ალექსანდრეს

[1] იქ ორენბურღში ასე თქუეს, რომ იმ კარანდასოვს, ის კარანდასი შემთხვევით მოეგონოს. გძელს დროგზე იჯდა თურმე, ნახა ისე ძალიან არ ანჯღევს და მითამ აქედგან შამოეღოს, თავის გვარის სახელი კარანდასოვ, ბოლოს კარანდასი გა-კეთებულიყოს? – ეხლა იმ ჩასაჯდომსა საზოგადოთ უძახიან, ტარანტასი.

უთხარი, ჩილაევი[1] თქვენთან იყო და გთხოვსთ ჩემთან მობძანდეთქო.“ ამდროს კაროვინი შემოვიდა და პეროვსკის მოსვლა პირველათ იმან მითხრა.

მე სერთუკი საჩქაროთ გადავიცვი ტანზედ და წავედი ჩქარა, რამწამს ჩილაევმა დამინახა, მაშინათვე მომეგება, მომეხვია და რამდენჯერ გადამკოცნა. შემდეგ დამსო თავის გვერდით და ლაპარაკს შევუდექით. ყველა, ყველა ვუანბე და ბოლოდროს ბატოიშვილის დედი ჩემის წიგნი მივე, რომელმაცა გულმოდგინედ წაიკითხა და მერე გულმტკივნეულმა მითხრა.

– „ნურაფერზედ ნუ შეწუხდებით, დიახ პატიოსანი და კეთილი კორპუსნის კამანდერი გვყავს, ხელმწიფის საყვარელი ხომ რასაკვრელია, ამისთვის იმედი მაქვს შეგეწევათ. ახლა მითხარით რომელს ბატალიონში ხართ დანიშნული?“

– „ვერხნი ურალსკს, 9 ბატალიონში პრაპორშიკათ.“

მეტათ დაღონდა და მასუკან მითხრა.

– „მე ახლა, კორპუსნის კამანდერმა, ახალს ალექსანდროვსკის ციხეში დამნიშნა ნაჩალნიკათ და უთუოთ თქვენც წაგიყვანთ თანა. ნურას ფერზედ ნუღარ იფიქრებთ, უთუოთ უნდა წამოხვიდეთ. თუმცა ცუდი ადგილია ახალი ალექსანდროვკა, მაგრამ მაინც ჩემთან გირჩევნიათ, მინამ ვერხნი ურალსკის. თქვენ ჩემთან ძმასავით იქნებით და ვერხნიურალსკის ბატალიონში, უბრალოს აფიცრათ.“

– „ჯოჯოხეთშიაც საამოა ჩემი თქვენთან ყოფნა, არამცთუ ახალ ალექსანდროვსკის ციხეში.“

– „უთუოთ, უთუოთ თან წაგიყვანთ, თორემ ვერხნი ურალსკში უპატრონოთ იქნებით.“

– „უცხო და კეთილი საქმეა ეგ სურვილი თქვენი, მაგრამ ნაჩალნიკშტაბს რაკასოვსკისთან რომ მოილაპარაკოთ, დიახ კარგი იქნება, ამისთვის რომ დიდი მონაწილეობა მიიღო იმან ჩემზედ და ბევრი კარგი უნდა ჩემთვის.“

– „დიახ კარგი იქნება, ამაღამვე ვნახამ მე იმას.“

ერთ მემამულისშვილებმა, ერთ საათამდინ კიდევ ვისიამოვნეთ სხვისა და სხვის ლაპარაკით, მერე ავდექ და გამოვეთხოვე. ჩილაევიც ნაჩალნიკშტაბისაკენ წავიდა.

მეორე დილაზედ, ნაჩალნიკშტაბის ვესტავოი მამივიდა, დავე-

[1] ქართულათ: ჭილაშვილი. დუშელი აზნაურშვილები არიან.

ბარებინე, წაველ, მითხრა.

– „ჩილაევმა თქვენი სურვილი მიანბო, თუმცა ეგ სურვილი თქვენი მამწონს, მაგრამ ესკი უნდა გითხრათ, რომ საშინელი გაუძლებელი ადგილია, ამისთვის მეშინიან ავათ არ გახდეთ და ვნება არა შეგემთხვათრა?“

– „სწორე მოგახსენოთ, მე ჩილაევს კარგად ვიცნობ იქვე საქართუელოში, სადაც უნდა ვიყო იმასთანა, – იმასთან ჩემთვის კარგი იქნება.“

– „ვიცი კნიაზო, მეც ვიცი რასაკვრელია. თქვენთვის კარგი იქნება იმასთან. რადგან თქვენი სურვილი უთუოთ აგრე არის, კარგი აგრე იყოს, მაგრამ მინამ მე კორპუსნის კომანდერთან არ წარგადგენთ, ჯერ ვერას ვეტყვი მე იმას, ამისთვის ხვალ დილით მეათე საათზედ მოდით კრპუსნის კომანდერთან, სადაც ყველანი იქნებიან ფორმით და იმათ შორის თქვენც წარგადგენთ ხვალვე, სადილათ მოდით ჩემთან და ამბავსაც გეტყვით რასაც თქვენზე მოვილაპარაკებთ მე და კორპუსნის კომანდერი.“

ავდექ მადლობითა და იქიდგან ჩილაევთან მოველ, რომელსაცა ყველა ვუთხარ. ისიც მოემზადა, ჩემზედ უთხრას რამე პეროვსკის. როგორც მითხრა, მეორეს დილაზედა წაველ სრულის აფიცრის ფორმით, კორპუსის კომანდერის სასახლისაკენ, სადაც კიდეც შეყრილიყვნენ იმის ზალაში, იქაური საზოგადო ჩინოვნიკნი და პეროვსკის გამოსვლას ელოდნენ. რადგანც ლინეინის ბატალიონის პრაპორშიკათ ვიყავი, წაველ და ერთს კუთხეში დავდექ, საიდგანაც ვუყურებდი იქაურს საზოგადოებას, ვინცკი ჩემი მცნობნი იყვნენ, მოვიდნენ, და ხელი გამამართვეს ალერსიანის ლაპარაკით. პატარა ხანს უკან ნაჩალნიკშტაბიც შემოვიდა ზალაში, ყველას თავი რომ დაუკრა და ზოგთ გაელაპარაკა, შემდეგ თვალი გადმოავლო და კუთხეში დამინახა. ჩემკენ წამოვიდა, ჩილაევიც თან წამოიყვანა, მოვიდა და ღიმილით მითხრა.

– „უცხო, კარგი ადგილი ამოგირჩევიათ, ვასილი ალექსეიჩი, ყველას რომ ჩამოუვლის, ბოლოს აქ თქვენთან მოვა და უფრო გამოგკითხავსთ თქვენს ამბავს.“

მე ამის ფიქრი სულ არა მქონდა, მაგრამ ზდილობა მოითხოვდა, მეც ეს მეთქვა.

– „როდისაც ორენბურღში მოველ, როგორც ვხედავ, ჩემი ბედი

კიდევ ჩემკენ არის და ის ჩემი კარგი ბედი თქუენგნით არის. აქ კუთხეშიაც კი არ დამაგდეთ, აქაც მიპოვნეთ. რასაც ვამბობ არა პირსათნოთ, დაგარწმუნებთ ამას პლატონ ივანიჩ.“ სიამოვნით გაიღიმა და წავიდა შორსა.

ათი მინუტი არ გასულა, კორპუსის კომანდერი პეროვსკი ზალაში გამოვიდა, საშუალო ტანის კაცი, მხარ–ბეჭგანიერი, მრგვალი პირისახე ჰქონდა, თმანი ქერა და ეტყობა, რომ გონიერი პატიოსანი გულის კაცი უნდა ყოფილიყო, თან კეთილიც. ცოტა სქელ ულვაშზე ხელის გადასმითა გამოვიდა, რომელმაცა ყოველს მხარეს მოიხედა, თან უკრავდა თავსა ყველას შესაფერად და თან მოვიდოდა გალაპარაკებით, ზოგთან რასა და ზოგთან რას. ეტყობოდა, რომ ამაყიც უნდა ყოფილიყო.

ყველას რომ ჩამოუარა, ბოლოს სადაც მე ვიდექი, იქ მოვიდა იმ კუთხესთან, მოვიდა და თან ნაჩალნიკშტაბიც მოჰყვა. მოვიდა და მჭრელი ჭროღას თვალებით, ჩამამხედა თვალებში. მეც შევხედე შეუკდიმათ, რომელმაცა ამ დროს ნაჩალნიკმა შტაბმა, დაბლის ხმით მოახსენა. – „თქვენო აღმატებულებავ, გუშინ ქაღალდები რომ მოგართვით და პირათაც მოგახსენეთ, ეს ის კნიაზი ორბელიანია.“

ამაყისა სახით შემამხედა და კეთილის ხმითა მკითხა.

– „თქვენ პირველათ იმსახურებოდით სადმე?“ –

– „მეშვიდეს კარაბინერნის პოლკში, რომელიცა ყმაწვილობითვე შეველ იქა.“

– „რაოდენი ხანი იმსახურეთ სამხედროს სამსახურში?“

– „შვიდ წლამდისინ.“

– „მასუკან მიზეზი რა იყო თქვენი სამსახურიდგან გამოსვლა?“

ჩემი სამხედრო სამსახურიდგან გამოსვლის მიზეზი, თუმცა შენი სიყვარული იყო კატო, ეს შენც კარგათ იცი, მაგრამ რადგან ჩემ გადადგომის არზაში მოხსენებული მქონდა სახლის გარემოება, ამისთვის ვუპასუხე.

– „ჩემი სახლის გარემოება ითხოვდა, სამსახური დამეტევებინა.“

– „შემდეგ სამხედრო სამსახურისა აღარსად გიმსახურიათ?“

– „სპარსეთის კამპანიაში, მეც მონაწილე ვიყავ, მაგრამ ამდროებში ჩვენი ტფილისის უეზდის კეთილშობილთ წინამძღომელი გარდიცვალა და რადგან მე იმის კანდიდატათ ვიყავ აღრჩევაში

საზოგადოებისაგან, იმისი ადგილი მე მამცა. შემდეგ სოვეტნიკათ ამამარჩიეს ისპოლნიტელის ექსპედიციაში, სადაც უკანასკნელამდის იქ ვიმსახურებოდი.“

– „იმედი მექნება, კარგათ იმსახურებთ.“

– „ვეცდები რაც შემიძლიან.“

– „ცოლშვილიანი ხომ არა ხართ თქვენ?“

მე უნებურად ამოვიოხრე და მასუკან ვუპასუხე.

– „დიახ თქვენო აღმატებულებავ.“

– „რათ დაგიგდიათ საქართველოში? თქვენ სანუგეშოთ უნდა წამოგეყვანათ ისინი.“

– „ჩვენი სახლის გარემოება არ ითხოვდა თქვენო აღმატებულებავ.“

– „მე მგონია უფრო ამისათვის, რომ უფრო ჩქარა დაგაბრუნონ საქართუელოში?“

ასე მართალი თქვა, რომ ხმა აღარ ამოვიღე. მაშინ პეროვსკი გატრიალდა და სხვა მხარეს წავიდა.

მეც მაგთენი ხანი აღარა მოვიცადერა, შინათკენ წამოველ, სადაც ჩემი ამხანაგი ფეოდორ ნიკაილაიჩი სჩერბაჩევი შინ დამხვდა და ყოველი ვუთხარ, იმან მიპასუხა.

– „იმედი მაქვს, ამას იქით, თქვენი საქმე კარგათ მოვა და ჩქარაც დაბრუნდეთ შინათკენ.“

– „ეგ რომ აგრე მოხდეს, რა კარგი იქნება ფეოდორ ნიკალაიჩ.“

– „უთუოთ გქონდეთ იმედი.“ იმან მითხრა.

შუადღიდგან ორი საათი რომ სრულდებოდა, ნაჩალნიკ შტაბთან წაველ.

როდისაც კაბინეთში სკამზედ დავჯექ, კმაყოფილებით მითხრა.

– „თქვენი სურვილი ვაცნობე ვასილი ალექსეიჩს, ახალს ალექსანდროვკაში თქვენი სამსახურის მოწადინეობა, დიდათ მოეწონა, ამისთვის რომ ამ ახლო ხანებში დაიწყეს აქ ციხის გაკეთება, სადაც თქვენთვის სასარგებლო იქნება თქვენი სამსახური იქა, იმ ციხეში იმსახუროთ დროებითა, მაშინ ვასილ ალექსეიჩს, კარგი მიზეზი ექნება თქუენი შეწევნისა და თქუენზედაც დიდი მონაწილეობა მიიღო იმან. ახლა იმან იცის და განკარგულებაც მოვახდინეთ თქვენი ახალ ალექსანდროვკაში წასვლა. ღმერთი იყოს თქვენი შემწე.“

მე მადლობა განვუცხადე გულითადი.

ამის მესამეს დღეს ჩემი მცნობები დავიარე, ყველას გამოვესალმე, ჩემს ამხანაგს ხომ რასაკვრელია და საღამო–ჟამზედ ჩემის ბრიჩკით[1] ავედევნე უკან, ჩემს ახალს ნაჩალნიკსა.

კასპიის ზღვიდგან გასვლა.

წარსრულს სეკტენბრის თვესა, რიცხვსა თერთმეტსა. –

შუადღიდგან მეექვსეს სათზე გამოვლეთ ორენბურღის ქალაქი; აქედგან დამოკიდებული გზა, ვიდრე გურიევის ქალაქამდე, სწრაფის ფოშტის ცხენების გამოცვლით გამოვარბენინეთ, 17-ს სეკტენბერის შუადღის ჟამს, შემოვლეთ ქალაქი გურიევი და სოტნიკი ნაზაროვის სახლში გადავხედით.

ამ სახლიდგან ერთი ყმაწვილი დედაკაცი ეზოში გამოგვეგება; სიმაღლით ჰაეროვანი, პირმრგვალი, შავთვალწარბა, ცხვირსაშუალო, ტუჩბალახიანი, შავგვრემანი და ტანათ სქელი. საუცხოვო ჭრელი თალხის ჩითის კაბა ტანზე ეცვა და დაბლონდვილი თეთრი ჩეფჩიკი თავსა ეხურა, საიდგანაც თმანი გიშრათ გამოიბზინებოდენ; რომელმაცა სიამოვნით მიგვიღო და თავის სახლსა შეგვიწვია ბოდიში მოიხადა თვისის მეუღლის შინ უმყოფლობისათვის; ქ. ასტრახანს წასულიყო საჭიროებისათვის, ჩემი რეკამანდაციისა და რაოდენიმე ხანის შემდეგ ყაზახისა ურადნიკი მოვიდა, ნაჩალნიკთან გამოცხადდა და მოახსენა.

– „ურალის წყალზე სუდნა თქვენ გელით, რას გვიბძანებ?“

ბძანების მიმცემმა უთხრა.

– კარგი, თვით მე მოვალ იმის სანახავათ.

ბძანების აღმასრულებელი გატრიალდა, წავიდა.

სადილისა და ყავისა შემდეგ, მე და სერგეი გაბრიილიჩი დავრჩით და ვლაპარაკობდით. ლაპარაკში ისე უფიქრელათ ვკითხე.

– „ამ სახლის პატრონის მცნობი უნდა იყვნეთ?“

– „ამასწინათ კორპუსნის კომანდერი აქ იყო ჩამომხდარი, მაშინ გავიცანი.” – ამ ლაპარაკში ავდოთი ფეოდოროვნა ისევ შემოვიდა და მაცნობა, რომ ჩემთვის ოთახი მაღლა ატაჟაში მოემზადებინა, მე თანხმობის მადლობა გადვიხადე.

---

[1] დონის ქალაქს ჩერქესკში რომ გამოვიარეთ, ეს ბრიჩკა მაშინ ვიყიდე სამოცდაათმანათ თეთრ ფულათ. –

ერთს საათს უკან გამოველ, მოვინდომე ჩემ დანიშნულს ოთახში ასვლა, კარზე ყაზახის კაპიტანი დამხვდა, მითხრა.

– „გთხოვთ მაცნობოთ, აქ ვინ არის ჩამომხდარი?

– „კორპუსნი კომანდირის ადუტანტი ჩილაევი“.

– „რათ მოვიდა?“

– „ახალს ალექსანდროვკაში მიდის ნაჩალნიკათ“.

– „რა ჰქვიან?“

– „სერგეი გაბრიილიჩი.“

– „თქვენ ვიღა ხართ?“

– „იმის პოჩინენი ჩინოვნიკი.“

გვანდა ხანგრძლივ ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ მე განვეშორე და ჩემს დანიშნულს ოთახში აველ. ჩემს მოსამსახურეს ქვეშაგები გაეშალა ჩემთვის, მე მეტათ მიამა და ვთქვი.

„კურთხეულ ხარ შენ განსვენებაო და გიხაროდენ მცონარებაო.“ – ზედ მოწყვეტილსავით მივეგდე. მცირედი რომ მოვისვენე, ავდექ და თვალი მოვავლე ამ ოთახსა. აღმოსავლეთის მხარეს კარი ება, ის გავაღე, წინ გალერეა ჰქონდა და იმაზედ გაველ. ვნახე, ამ სახლსა და სრულიად ქალაქს, ურალი წინ ჩამოუვლიდა; გაღმა და გამოღმა მწვანოვანი თვალუწდომი სწორე მინდორნი მოჰფენოდენ და შუაში ეს მდინარე კანკლედა მოდინდეობდა. მეხუთე საათამდისინ აქ დავყავი და ამათის ჭვრეტით ვსიამოვნობდი.

მეხუთე საათის დაწყების დროს, სერგეი გაბრიილიჩთან ჩამოველ, რამწამ დამინახა, მოვიდა და კმაყოფილების სახით მითხრა.

– „ყოველი განკარგულება მოვახდინე და ახლა მზათა ვართ წასასვლელათ.”

– „მაშ რას ველით, არ მივდივართ?“

– „ზუდოსტია. (ესე იგი ჩვენთვის წინაღმდეგი ქარი.)“

მზე ჩასასვლელათ მოემზადა და მე გამოვეთხოვე, სუდნა მენახა.

მოტრიალდა, მითხრა.

– „ქალაქის ბოლოსა დგას, აქედგან ვერსტ ნახევარი იქნება. თუ გინდა კასნოით წადი?“

მე მიამა და ურალის პირზე ჩაველ.

კასნოი წყალის პირზე იდგა. რვა დანიჩბულის ყაზახებით, ოთხი ერთს მხარეს ისხდნენ და ოთხი მეორესა მხარეს.

ეს კასნოი ნავის მაგვარია, მაგრამ ასე დიდი იყო, სამას პუდსა თურმე იტვირთავდა, ერთი იალქანი ჰქონდა, ორი აფრებითა გაწყობილი. ამ კასნოის თავსა, ერთი პატარა ზარბაზანი ეკრა და ეს მიმომცურავი ნავი, ზღვაში თამამად თურმე სცურავდა, ბძანებაც ჰქონდათ, ჩვენ სუდნასთან გამოჰყოლიყო.

მენავემ რომ დამინახა, გძელი ფიცარი იმას ხიდათ მიადგა, მე იმასზედ აველ და უკან ტახტზე ჩამოვჯექ.

მენავემ ნავი მიატრიალა და მომსმელთ ნიჩბები ერთ პირათ მოუსვეს.

ასი საჟენი არ გაგვივლია, სუდნა გამოჩნდა, რომელმაცა თვალი ვეღარ მოაშორეს. ჩემს დღეში არ მენახა და რაღაც ფანტაზიად მეჩვენებოდა, ის სუდნა თვალუწდომსა წყალზედ. მოკლეთ გითხრა ჩემო კატო! ეს ზღვის შემამკობელი სულერთიან გავჩხრიკე და წამოველ. მაშინ მოგზაური ქარი ჰქროდა, მენავემ მთხოვა აფრა გაეშალათ. მე ნება მივეცი, მეყვსეულად ერთი თეთრი აფრა გაიშალა და ნავი გამოაქანა, სადაც ჩქარა მოველ ბინაზედ.

სერგეი გაბრიილიჩმა კითხვა დამიწყო. მე ქება ვთქვი სუდნისა და კასნოისა, ამასთან ვთქვი.

– „ნეტავ ჩქარა წავიდეთ, მეშურვება ზღვა ვნახო მეთქი.“

იმან გაცინებით მითხრა.

– „თუმცა გესწრაფება ზღვის ნახვა, მაგრამ ასე შეგაწუხებს თავბრუსხვევა და პირიდგან ზიდილი, რომ წყევლო“.

მე კასკასით გავიცინე და ვუთხარ.

– „უთუოთ ქალაჩუნა გგონივართ?“

– „ვაჟკაცობაზე ხომ არ არის დამოკიდებული.“ მე სიტყვა აღარ შევასრულებინე და ვუპასუხე.

– „ამ ჩემ თავს მოვიჭრი, თუ მართლა ეგ შემემთხვა“.

– „აი, მე ხომ მითქომს, და თუ მე მაშინ ბევრი არ ვიცინო და ნახავ?“

მე სრულებით გავუტრიზავე, მაგრამ იმან კიდევ მითხრა.

– „მე ვიცი, რაც მოგივა, მაგრამ წინათვე დარიგება მამიცია, თაბრუც დაგესხმის და პირითაც ზიდილი მოგივა, მაგრამ ნურც შეგეშინდება და ნურც შეწუხდები, ზღვის და ხომალდის წესი პირუელათ ისე არის, მინამ შეეჩვევი. მეც პირველად ისე მამივიდა, მაგრამ როცა გადამივარდა, ავდენი ვიცინე, სიცილით ვეღარ დავდეგ.“

მე არ ვუჯერებდი და სასაცილოთ ვართმევდი.

17-მა და 18-მა სეკტენბერმა, წინააღმდეგი ქარი ჰქროლა, 19-ს რიცხვსაც ეგრეთ გვეგონა, მაგრამ ამ უკანასკნელმა რიცხვმა, შუადღის დრომ რომ მოატანა, ქარი ჩავარდა, ასე რომ მცირედი სიო აღარ სისინებდა. ორ საათს უკან ჰაერმა რყევა შექნა და ნიავმა ფოფინი დაიწყო. ყაზახის ურადნიკი მოიჭრა და ნაჩალნიკს მოახსენა.

– „ნორდოსტი ჰქრის.“ ესე იგი (ჩვენთვის[1] მოგზაური ქარი.)

ბძანების მიმცემმა უთხრა, სუდნა ზღვაში შეეცურვებინათ თვრამეტ ვერსტამდისინ და იქ ღუზაზე დაეყენებინათ.

მე მესწრაფებოდა წასვლა, მაგრამ ნაჩალნიკსა კიდევ საქმეები ჰქონდა, ამაობაში კარგახანი გავიდა. როდისაც საქმისაგან მოიცალა, ავდოთი ფეოდოროვნას გამოვეთხოვენით და კასნოიში ჩავსხედით.

წყალის პირზე შევხედე, რამდენიმე დედაკაცები იდგნენ თავიანთის წვრილი შვილებითა, რომლებიცა ზოგნი ცრემლეოდენ, ზოგნი მშვიდობით იძახდენ და ზოგნი ხელაპყრობით ღმერთს ევედრებოდენ.

მე იმათი ვინაობა ვიკითხე.

მენავეებმა მიპასუხეს – „ჩვენი ცოლ-შვილები და ნათესავები არიან.“

მე ვეღარ შევძელ, რომ მძიმე ოხვრა არ ამამეშო და დაფარულად ცრემლი არ გადმამეყარა. მოკლეთ გითხრა, უკანასკნელად გამოეთხოვნენ და დაიძახეს. „მშვიდობით, მშვიდობით“ და კიდეც განვშორდით. მე თავი დაბლა დამეკიდა და მოწყვეტილსავით მქონდა ისე.

ნავმა წყალი შეარღვია, მდინარესა შეცურდა და პირი ზღვისაკენ გამართა. მე ბალიში მარჯვენას მხარეს დავიდე, ზედ წამოვწექ, წყალის შრიალს ყურს ვუგდებდი და გონება ჩემი კარგათ იცი სად იქნებოდა იმ დროს?..

ერთხელ როდისმე ჩვენ სოფელს კაზრეთში ვიყავი, იმის წყაროს თავზე ვიჯექი და იმის წანწკარს ყურს ვუგდებდი. იყო მშვენიერი საღამო ჟამი. ამ დროს, ვიღასიც ფეხის ხმა შემომესმა, შევიხედე, ვნახე, რომ ჩვენი სოფლის კაცი იყო და წიგნს მაძლევდა. გამო-

[1] ზუდოსტ, ნორდოსტ ქარის სახელები არის და სხუანი კიდევ.

ვართვი და კითხვა დავუწყე, რომელშიაც ეწერა.

„ჩემო ს... სულსა ჩემსა ველარ მოუთმენია უშენობა, გევედრები ჩქარა წამოხვიდე და ნუღარ დაიგვიანებ.

შენი ე...“

წაკითხვისა უმალ წამოვხტი, ჩემი დილიბოზის წითელი ცხენი შევაკაზმვინე, ზედ მოვევლე და ტფილისის ქალაქამდისინ ცხენ დაუსვენებელი ჩამოვიჭერ. ჩვენი[1] სახლის ეზოში გადავხე, ცხენი მოსამსახურესა მივეცი და მე გალერეას ავედი. ზალის ფანჯარაში რომ შევიხედე, ვნახე ჩემი ე... თავის მშობლებს შუაში უჯექ და ვახშამს შეექცეოდით. ჩემსა ე... გეტყობოდა დიდათ სწუხდი. რამწამს დაგინახე, ტრფიალებამ ამიტაცა, მაგრამ გული დავიმშვიდე; მოვედი და მორიდებით კარი შემოვაღე, შენ რომ შემოიხედე და თვალი შემამასწარ, გინდოდა წამომხტარიყავ, მაგრამ განიშნე არ ამდგარიყავ, ამასთანვე გავაღე კარი და შემოველ. შეგვექნა სიხარული. ჩემო ე... შენ ჩემს მხარეს გადმოხვედი, სპეტაკი ხელები გამოგართვი და ბევრი ვაკოცე შენს მშვენიერს ხელებს ბევრის სიამოვნით.

მერეთ დავსხედით და მოვიუბნეთ, საათი ვნახე, რომ სამოცი ვერსი, ოთხს საათზე გამომერბინა, რომელმაცა ყურში მიჩურჩულე.

– „ჩემო ს... კარგია ჩვენი საწოლისაკენ წავიდეთ.“ მე სიხარულით წამოვდექ, მარჯვენა მკლავი გითავაზე. შენ ალვის შტოებრივი მკლავი მკლავში გამიგდე, მშობელთ გამოვეთხოვენით და ჩვენს საწოლში შევედით.

ჩემო ე...ო, შენ დივანზე დაჯექ და მეც გვერდით დამისი, მასუკან საწყლად ამოიოხრე, მარცხენა მკლავი მხარზე გადამხვიე, თავი გულზე გადმომიდგე და მწუხარებიანს სულთქმით ჩამსუნთქამდი გულში. მე გაშტერებული დავრჩი და ვერ შამეტყო, რისთვის მწუხარებდი? –

ერთი საცოდავათ ამოიკვნესე და მასუკან მითხარ.

– „ახ, ჩემო ს... რომ იცოდე, ამ ჩემს გულსა და სულსა როგორც უყვარხარ, მერწმუნე არც ერთს მინუტსა არ მამშორდები.“ რამთენი ამგვარი ცხადი ამბებია ჩემი შენთან, ახლა მხოლოდ ფიქრით უნდა ვიყო შენთან.

---

[1] ჩვენი სახლი და ჩემი სიმამრის სახლი მეზობლათ არის ერთმანეთთან. ჩემი ე... მაშინ თავის მშობლებთან იყო. –

ამ დროს და ამ ფიქრში რომ ვიყავი, თოფის ხმა შემომესმა, შემოვიხედე, სერგეი გაბრიილიჩს დაცლილი თოფი ხელში ეჭირა და მდინარის მხარეს რაღასაც უყურებდა. მე შემომხედა და შეკდიმებით მითხრა.

– „შორს ისხდენ ის ბატები, თორემ ერთერთს მოვკლავდიო.“

მე გავიცინე და ვუთხარ.

„არა, ის ბატები დაჭრილები წავიდნენ საჩივლელად თქვენზედ.“ მაგრამ ჩემთვისა ვთქვი.

„ნეტავ ეს ჩემი ფიქრი არ მოგეშალა, იმ ბატებსა ეს მერჩივნა მეთქი.“

ვიცინოდით და შევექცეოდით, ამაოებაში.

კიდევ ფიქრმა წამიღო, – კიდევ შენმა კატო და რამდენი რაები მაგონდება შენთან... ჩვენი მშობლის მამულისა ხომ რაღა გითხრა?.. ამას ახლა თავი დავანებოთ, ამას მოვყვეთ კიდევ.

ჩვენი ნავი თავის ცხვირსა წყალსა ახვედრებდა, უკან პიდლის წყალი ორკაპად გაიპობოდა და ბოლოს ორად გაიგძელებდა. ხანდისხან გადაექან გადმოექანებოდა აკვანისავით და წყალსა შემოგვაჭყაპუნებდა. ასე და ამ სახით მიცურავდა ნავი შებერვილი აფრით, ჩვენის სუდნისაკენ.

იმგრგვლივ მოვიხედე.

გაღმა და გამოღმა სხვა არა იხილვებოდარა, თვინიერ აშლილი ლელის მეტი, რომელიცა ნიავი უხილავსა ფრთებსა მათზე იქნევდა და ეს ნორჩნი მოწიწებით, ვითა თავსა დაგვიკრავდენ.

ბინდმა დასაღონებელი ფარდა მზესა შეუფინა, სხვა თალხი ზეწარი ქვეყანასა გადმოშალა და ჩვენც ქალაქი მიგვეფარა თვალით.

ამ წყალიდგან ისმოდა იხვთა ყიყინისა ხმები, მცირე ხანი რომ გამოვიდა, ვნახეთ, მარჯვნივ წყალის პირზე იხვნი დაცურავდნენ; როდისაცა დაგვინახეს, აფრინდენ და ჩვენ მხარეს გამოსწიეს, სერგეი გაბრიილიჩმა თოფი მოიმზადა, მე კი ვუკიჟინე.

– „ვაი, იმ იხვების ბრალი.“

ამის მეტი არა მითხრარა.

– „ვნახოთო.“

ამ სიტყვასთანვე, მარჯვენა მუხლი დაიჩოქა და მარცხენა წინ დაიდგა, იხვებმაც ჩვენ მახლობლად მოატანეს, ამან გაუნიშნა, იხვნი დაგვიპირდაპირდნენ. თოფი გავარდა და წინ მიმფრინავი იხვი,

თავქვე ტრიალით წამოვიდა. მენავემ ნავი გაატრიალა, მე სიცილით ვუთხარ.

– „ნუ გეგონებათ, რომ მოგეკლათ, უთუოთ თაბრუ დაეხვეოდა.“

– „ხომ იცინი და ვნახოთო.“

იხვი თავგადაგდებული წყალში ეგდო, მენავემ ნავი ახლოს მიიტანა და საბრალო იხვი წყალით ამოიღო, ვნახეთ რომ სამი საფანტი თავში ჰქონდა მოხვედრებული და ოთხი ტანში. სერგეი გაბრიილიჩმა გაოცებით მითხრა.

– „ოლოლო, ოლოლო.“

– „ტერტერამ უღელი რომ გადააგდო და კურდღელი მოკლა, თქვენც ისე მოგივიდათ მეთქი.“ როგორც ქართუელები ისე ვიყავით გულგაშლილები ერთმანეთთან.

– „შენ ხომ აგრე ამბობ და ამაღამ კარგს ვახშამსა შევექცევით ჩვენს სუდნაში.“

მე იხვის სურვილით პირი ჩავიმტკბარუნე და სერგეი გაბრიილიჩმა მხიარულის სიტყვით დაიძახა.

– „ოჰ, იხვის სიყვარულით პირს წყალი მოუვიდა.“

მივდიოდით ხან ლაღობით, ხან სხვისა და სხვის ლაპარაკით და ხან დაფიქრებით.

ჩემი მოსამსახურე ჩვენს მახლობლად იჯდა და ერთს მენავესა ჰკითხა.

– „პოჟოლუსტა სკაჟი, ეტოი სუდნოი კაკოია?“ და ხელებით ნიშნება დაუწყო, მითამ როგორია, ანუ რამტოლაა?

ჯერ მენავე ვერ მიხვდა და გაცეტებული უყურებდა, მერე მიხვდა და დაიძახა.

– „და და და, პონიალ, პონიალ. აი ამისთანა არის. სიგძე ოცი ადლი (არშინი.) ექნება, სიგანე ექვსი, სიმაღლე ხუთი. თავი და ბოლო მრგვლათა აქვს მოყვანილი, ერთი დიდი ოთახი თავის მხარესა აქვს, მეორე პატარა ოთახი რულოსთან[1] არის დივნით გაწყობილი და ორი პატარა ფანჯარა აქეთ იქით გვერდებზედ აქვს დატანებული. ეს ოთახი აფიცრებისა არის. შუა სუდნის თავზე, ერთი დიდი იალქანი ახვია აქეთ იქით დათოკილ კბილიანი; მეორე იმაზე ბევრით პატარა იალქანი, პატარა ოთახის თავს ასვია. ეს იალქნები თოკებით არის მოვლებული და აფრებით მოსხმული, თავთავის

[1] რულო. ქართულათ არის პიდალი.

ადგილს და თავის სახელებით. სიღრმეს წყალში ხუთს ფუტზე დგას და ფერით ბნელი არის. ჩემმა ბიჭმა მენავეს ლაპარაკი ვერ გაიგონა და ჰკითხა.

– „კაკოია?“

– აკი გითხარ. –

ჩემმა მოსამსახურემ ყურზე ხელი დაიდო, მერე აიღო და ის ხელი აქეთ იქით გაუქნია. მენავე მიხვდა და უკმაყოფილოს სიტყვით უთხრა.

– „ეკატი ბუსურმანინ, დახატული ხომალდი მაინც არ გინახავს?“

ჩვენ გულმოდგინეთ ყურს ვუგდებდით და იმათ ბოლოს ლაპარაკზე მაღლა გაგვეცინა.

კეთილ სასიამოვნო ნიავი იცემებოდა, აფრა ფრიალებდა, ნავით გარღვეული წყალი ხანდისხან შეითამაშებდა და წვრილსა წინწკალებსა გადმოგვაყრიდა. ასე მონარნარეობით მისცურავდა ნავი და რომელიმე მენავე ზღვაში თევზების ნადირობის ანბავს უანბობდა თავის ამხანაგებს. მე იმას სრულებით ყურს არ ვუგდებდი და სხვას ვფიქრობდი.

ის რომ ამის ლაპარაკში იყო, ამ დროს ერთმა მენავემ დაიძახა.

„აი ზღვა?“

ზღვის ნახვის მოწადინე წამოვდექი, სადაც პატარა ზარბაზანი იყო, იქ მივედი და გადვიხედე. ვნახე, რომ ვარსკვლავებიანსა ღამეს სიბნელე ზედ გადაეშალა, წყალი ლურჯათ მოჩანდა და მეგონა: წმინდა ჰაერი აყუდია ზღვაზედ მეთქი. პირველათ წინ გავიხედე, მერე მარჯვნივ და მარცხნივ მოვიხედე, მაგრამ ვერა დავინახერა, თვინიერ წყალის და ცის სამყაროს მეტი, რომლებიცა ერთმანეთში იყვნენ გართხმულები. შემდეგ უკან მოვიხედე, ურალის აქეთ იქით ნაპირები კიდევ ცოტათ ჩანდა ვარსკვლავებიანსა სიბნელეში.

ჩემს ადგილსვე მოველ და ბალიშზე მივდე თავი, წამოვწექი, კიდევ მაინც იმრგვლივ მოვიხედე, სრულიადი წყალი გარს გვერტყა და ეს ნავი ამოსულსა რასმე გვანდა წყალის უფსკრულითა. ამ დროს წინ მდგომელმა ყარაულმა დაიძახა.

„ჩვენი სუდნის ანთებული ფარანი ჩანს.“

შიგნით ზღუდე ერთი ახლათ ამოსულსავითა ვარსკვლავი დავინახე, ვკითხე.

– „აბა ფარანი?“

იმ სინათლეზე ხელი მიიღო.

– „აი თქვენო ბრწყინვალებავ.“

– „აქედგან რავდენი ვერსტი იქნება?“

– „მგონია რვა ვერსტამდისინ იყოს კიდევ.“

ამ დროს არ ვიცი რა ჰაერი მამხვდა, თავიდგან ფეხების თითებამდე ის ასეთმა ჟრუანტელმა დამიარა, რომ სრული აგებულება შემიძრწოლა, რომელიცა მაშინვე ბალიშზე მივწექი და საბანი თავზე წავიფარე.

როდისაც ტფილისის ქალაქიდგან გამოსვლას ვაპირებდი, ჩემს ე... ვთხოვე, „რადგანაც უნდა განგშორდე, ამისთვის შენის პატრეტით ნუ დამაგდებ და ჩემს სანუგეშოთ გამომიგზავნე.“ პირობა მომცა, მინამ დანიშნულს ადგილს მივსულიყავ, იქ უნდა დამხვედროდა. მე ამისთვის მადლობა გადვუხადე და ბუდეშურთა ხელთა დავკოცნე.

თქვენო უგანათლებულესობავ, ვგონებ, ჩემის ყბედობით შეგაწუხეთ, მაგრამ გთხოვთ მომითმინოთ.

მე რომ ორენბურღის ქალაქში მოვედი, მესამეს დღეს ფოშტაში მიველ, ფოშტის გამგეს ვკითხე.

– „საქართველოს ტფილისის ქალაქიდგან წიგნი ხომ არა მოსულარა ჩემს სახელზე?“

ქაღალდებსა და საქმეში მოძებნა, მაგრამ არა მოსულიყორა, მე დაღონებული წამოვედი.

აგვისტოსა 11-ს მოველ, ქ. ორენბურღსა და 11-ს სეკდენბერსა გამოვედით იქიდგანა და ასე გაშინჯე, უკანასკნელად ბრიჩკაში რომ ჩავჯექი, მაშინაც მიველ და ჩემს სახელზე წიგნი ვკითხე, მაგრამ კიდევ ცარიელი დავბრუნდი.

რას გადაგვეკიდენით? არ მოსულა, არა და არა. ამ პასუხით დამაბრუნეს.

რაღა გითხრა, ვწუხდი ძალიან, გზაზედ და ზღვაშიაც, საბან დაფარებული თავზე. ამ დროს უეცრათა გულზედ ხელი მოვისვი და ოთხკუთხიანი ხელისგულის ტოლა ფიცარიკი გულზე მეკიდა. სანთელი ავანთებინე, ვნახე, რომ შენი პატრეთი კიყო, მე სიხარულმა ამიტაცა და იმას დავუწყე ტრფიალება.

სერგეი გაბრიილიჩმა კითხვა დამიწყო.

მე სახე დავანახვე და ყოველი ვუთხარ.

– „მართლა ანბობ თუ ტყუი? მგონია თან წამოიღებდი მაგ სახესა და ახლა იგონებ?“

მე დარწმუნებით დავაჯერებინე შინიდგან წამოუღებლობა, იმანაც ზოგი ერთი დამტკიცებები მოიტანა შეძლებისა.

თუმცა მსურდა გრძნობა ჩემი დამეფარა, მაგრამ გულმა ვეღარ მოითმინა. ის შენი პატრეთი ჩემ წინ დავისვენე: ხან ვეტრფიალებოდი და ხან განცვიფრებული ვუყურებდი. სერგეი გაბრიილიჩი ასე რომ მხედვიდა, თურმე სწყინდა. ანაზდად ხელი წამოავლო პატრეთს, ზღვაში გადააგდო და გაჯავრებულის სიტყვით მითხრა.

– „ის პატრეთი დაიღუპოს, შენს სიკვდილსა ის სჯობია.

– „უიმისოთ რადღა მინდა სიცოცხლე მე.“ ამ სიტყვასთან წამოვხტი და ზღვაში გადავვარდი. მინამ მე ზღვა დამძირავდა, ვიღამაც საყელოში ხელი მტაცა და ჩემი ამოყვანა მოინდომა. მე ჩემ თავსა არ ვაძლევდი, ის იქითკენ მეწეოდა. შემოვიხედე, კასნოიდგან ყაზახები მეხვეოდენ და ნაჩალნიკი ფიცხლად უბძანებდა ჩემს ამოყვანას. მოვიხედე და ვედრებით ვთხოვე ზღვაში დავეგდეთ, მაგრამ ჩემი თხოვა არ ესმოდათ და ნაჩალნიკი კიდევ უბძანებდა სწრაფად ამოყვანას ჩემსას. მეც რაოდენ შევძელ, არ ვაძლევდი თავსა, ისინი იქითკენ მეწეოდენ, მე აქეთ ვიწევდი და ვიძახდი „თუ აქედგან ცოცხალს ამომიყვანთ, თავს მოვიკლავ მეთქი.“ არ იქნა, არ ესმოდათ ჩემი თხოვა, ისინი უფრო მეკიდებოდენ და მეც ვუძალიანდებოდი რაც შემეძლო.

ამ დროს ერთი ძახილის ხმა გავიგონე და წამოვხტი, მეორე უფრო მაღალი გავიგონე.

წარმოიდგინე ნამძინარევი, ჩემთვის ეს სიზმარი? მაშინვე თოფს ხელი წამოვავლე, პირდაპირ გავიხედე, ჩვენ მოშორებით, შავი რაღაც დავინახე. *ზღაპართსიტყვაობის წიგნში ყარამანიანში წამიკითხავს, რომ ყარამანს საშინელნი მხეცნი შემოხვდნენ ზღვაში. ის მამაგონდა და კიდეც დავამტკიცე, უთუოთ მხეცის ყვირილი არის მეთქი.* უფრო დაბლა გავიხედე, ვნახე ჩვენი ნავი იმაზედ მივიდა, შევხედე ვიცანი, რომ ჩვენი სუდნა იყო. შეძახილისა მიზეზს ვერ მივხვდი და ვიკითხე.

მენავეებმა მითხრეს.

– „რადგან ჩვენ იალქანზე ფარანი არა გვქონდა აშვებული, იმ

მესუდნეებს ჩვენი მიმავლობა აღარ ჰგონებიათ და იმათაც აუხსნიათ. ახლა დაგვინახეს, გვიცნეს და თავის მხარეს გვეძახიან.“

მე არ შევიმცნიე, მითამ ის თოფი უბრალოდ ავიღე, მაგრამ ცოტათკი შემრცხვა.

ჩვენი ნავი სუდნაზედ ასე ახლოს მიიტანეს, თანასწორად ზედ მიაკრეს; სუდნიდგანაც თოკის კიბე გადმოუშვეს, რაზედაცა ავედით და რაც ბარგი გვქონდა, ისიც ავატანინეთ. როდისაც ჩვენს ოთახში ჩავედით ჩვენ, მე დივანზე წამოვწექი და ვთქვი.

„ვიშ, ამაღამ რა საუცხოვოთ დავიძინეფ.“

სერგეი გაბრიილიჩმა.

„ვიშ, ამაღამ რამდენს ვიცინებ.“

– „ძალიან გინდათ, რომ იცინოთ, მაგრამ თქვენის გულისად არ გავხდები.“

ჩემს ბიჭს ქვეშაგები მოვატანინე და ჩემ კრაოტზე გავაშლევინე. სერგეი გაბრიილიჩმაც მეორეს მხარეს გააშლევინა. მასუკან პალუბზე ამოვედით. (ქართულად არვიცი პალუბს რა ჰქვიან, თუნდა ჭერი დავარქოთ). ნაჩალნიკმა სამი დიდრონი ანთებული ფარნები ამოატანინა; პატარა ოთახის თავზე რულს ახლოს კანპასი იდგა, ერთი იმ კანპასთან დაადგმევინეს და ორი ფარანი სხვა საჭიროებისათვის დაჰქონდათ. კანპაზს გვერდით ერთი გამოცდილი მატროსი უჯდა და იმ რულის ღერძის თავები ხელში ეჭირა.

სერგეი გაბრიილიჩმა სამოარის დადგმა უთხრა და ამასთან უთხრა, ღუზა მოეღოთ და აფრები გაეშალათ. მორჩილი მატროსები ბძანების აღსრულებას შეუდგნენ. ჯერ ღუზა ამოიღეს და თავის ადგილს დაჰკიდეს, მასუკან შეიქნა თოკების გაწევა, გამოწევა და დაწევა.

შევხედეთ, ვნახეთ, რომ იალქნებზე თეთრი აფრები მოესხა, რომელიცა მოკმაზულს პატარძალსავითა მოირთო სუდნა; ზღვა დაუყოვნად გაარღვია და კანპაზიკი ყოლაუზათ გაუძღვა. ის მატროსი კანპაზთან რომ იჯდა, იმ კანპაზედ დაჰყურებდა; რულის ღერძის თოკები აქეთ იქით მიჰქონდ მოჰქონდა, ღერძი მისკენ ტრიალებდა და სუდნას დახედნილს ცხენსავითა მიაბრუნ მოაბრუნებდა.

როდისაც სუდნა გაიმართა, თვისსა გზასა გაუდგა, ნაჩალნიკი თავის ოთახშივე ჩავიდა და მე ისევ ზევით დავრჩი, რომელიცა ხან კანპაზსა დავყურებდი, რომლისაგანაცა სუდნა, იმის ძალით გზა-

სა ჰპოვებდა, ხან სუდნასა მოვავლებდი თვალსა, ხან მოჩადრულსა იალქნებსა *გულსა გადავატრფობდი, რომელიცა საქართველოს კეკლუცთა ქალთა წამამიდგენდა* და ხან ზღვისკენ მიმოვიხედებოდი სატრფიალოს თვალებითა, ამდროს ერთი მატროსი დავინახე მოაჯირზედ გადამდგარიყო, გძელი თოკი ეჭირა, თოკის წვერზე ერთი დიდი ტყვია ება და მითი ზომდა ზღვის სიღრმესა.

პირველათ კასნოიში რომ ვისხედით, ის კასნოი აფრა აშვებული თან მოგვდევდა და იმისი აფრა, ფანოსსავით ანათებდა ანთებულის სანთლისაგან.

ეს ჩვენი სუდნა შეურყეველად მისცურავდა, ასე რომა მცირედ ვგძნობდი იმის რყევას.

როდისაც სუდნა გაიმართა, შუადღიდგან მეათე საათის ნახევარი იყო; სადაც მე ვიჯექი, იმ ადგილსა სამი რუბი დავყავ და სიამოვნით ვუყურებდი აქეთ იქით, აქ ვიღაცა გამელაპარაკა.

– „მობძანდი, ჩაი მიირთვით.“ ჩაველ ოთახში სერგეი გაბრილიჩთან. ჩაი რომ დავლიე, ისევ მაღლა ამოვედი და იმავ ადგილს დავჯექ.

მერულე მატროსმა მთხოვა.

– „გთხოვთ საათი დანიშნოთ, მინდა უზლა ზღვაში გადავაგდო, ერთს მინუტზე რამთენს უზლას წავალთ.“

მატროსებმა წვლილკანაფი დახვეული, ერთი ფირფიტა მოიტანეს, კანაფის წვერზე, მუშტის ტოლა ხე ჰქონდა მობმული, მე საათი დავნიშნე, იმათ უზლა გადააგდეს ზღვაში და წვრილი კანაფის იონღარი თან მიუშვეს. როდისაც მინუტი შესრულდა, კანაფი ამოსწიეს, ზომით ნასკვები ჰქონდა, ის ნასკვები დაუთვალეს და მინუტში 7-ს ნასკვს მივიდოდით, ესე იგი 7-ს უზლასა. იანგარიშეს, რომ საათში 7-ს ვერსტსა მივდიოდით, ნელიადის ქარით.

მე მცირეს ხანს კიდევ ვიჯექი იმ ადგილსა მასუკან ოთახში ჩავედი, რომელიცა სერგეი გაბრიილიჩი წამოწოლილი ფრანციცულს[1] წიგნსა კითხულობდა, მე იმას აღარა ვუთხარრა, დასაძინებლადა მივწექ.

სერგეი გაბრიილიჩმა მკითხა.

– „ვახშამს არა სჭამ?“

– „არა, არა მშიან მეთქი.“

[1] კარგათ იცოდა ფრანციცული.

– „მეც შენი გამოჯავრებული არასა ვჭამ.“ ბიჭს სანთელი გავატაინეთ და ძილს თავი მივეცით.

მე დიახ გულის ძილში ვიყავ, ამ დროს ამისთანა ძილში გულმა შფოთვა დამიწყო, წამოვჯექ და ვხედამდი, რომ სერგეი გაბრიილიჩის სიტყვა აღმისრულდა.

სერგეი გაბრიილიჩმა სიცილით.

– „ოჰ, მამილოცავს.“

მე კარგახანი მასლოკინა, ის კიდევა თავის კრაოტზედ კასკასებდა. რა სლოკინი გადმივარდა, ბალიშზე მივესვენე და მაღლა რომ შევიხედე, ვნახე ეს ოთახი ტრიალებდა, მე საჩქაროთ საბანი წავიფარე და ძილს თავი მივეცი, ძილში რაღაც დიდი ხმები შემომესმა, გავიღვიძე, ეს სუდნა, ადიოდა, გადადიოდა და დადიოდა გადაქან გადმოქანებითა.

მე ქანების მიზეზი ვიკითხე.

სერგეი გაბრიილიჩმა მითხრა.

– „თუმცა მოგზაური ქარი მოჰქრის, მაგრამ დიდი ქარი ადგა და ზღვამ ღელვა დაიწყო.“

ყური მივუგდე, ქარი შხუოდა, ზღვა ღრინამდა და ორი ესე გაერთებული ხმა ძალიანი იყო. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, სუდნა გვერდზე მოიქცა და ჩემი მხრის ფანჯარაში წყალმა შემოათხლაშუნა. სერგეი გაბრიილიჩმა თქუა. „მეცხრე ზვირთი[1] დაეძგერა ჩუენს სუდნასა.“

მოვინდომე მაღლა ავსულიყავ, ზღვისა ღელვისათვის მეყურებინა. კრაოტისგან ძირს რომ ჩამოვედი, სუდნა გვერდზე გადმოქანდა, წყალმა ფანჯარაში შემოაშხაპუნა, მე მაშინვე წავიქეცი და კიდევ სლოკინს მამაყოლა პირიდგანა.

სერგეი გაბრიილიჩმა კიდევ სიცილი აიტეხა.

მე რაღა მეთქმებოდა, პირველად ჩემ თავს ვექადოდი, ახლა ამყოფით რომ შევიქენი, სირცხვილისგან თავი დივანს ქვეშ შევიტანე და იქ ვასლოკინე კარგათ. როგორათაც ჩვენში არის თქმული: „ბატკნები ყარახაჩზე[2] გავისტუმრე.“ ახლა ისე იყო ჩემი საქმე. სლოკინი რომ გადმივარდა, ცოტა მოვისვენე და ჩემს ქვეშაგებზე მივწექ ისევ.

---

[1] მეცხრე ზვირთი, ნავების შემაწუხებელი არის.

[2] ყარახაჩი კარგი ცხვრების საძოვარი მთა არის ჩვენი, ორბელიანებისა.

მოკლეთ გითხრა, ეს კასპის ზღუა ასე აგვიღელდა, რომ მცირეს ბურთსავითა თამაშობას მოაყოლა სუდნას, რომელმაცა მეტის მღელვარებისაგან, კრაოტიდგან ძირს გადმოგვყარა და ზედსაგები დაგვაყარა თავზე. სასაცილო ეს იყო, ხანდისხან წამოვიწევდი, ქვეშაგებიდგან გამოსვლა მწადდა; ნახავდით, ხან საბანი, ხან ქეჩა, ხან ხალიჩა და ხან ზეწარი პირბადესავითა მქონდა თავზე და პირზე ჩამოფარებული ხოლმე. ამდროს ერთიანი ზვირთი დაეძგერებოდა, სუდნა გვერდზე მოიქცეოდა და მაშინვე გამაგორებდა. ასე გამიჭირდა, რომ ცხრაჯერ ბატკნები გავგზავნე ყარაჩაის მთაზედ. ამ ჩემს ყოფაში სერგეი გაბრიილიჩი კი იცინოდა, კასკასებდა. მე მეტათ დასუსტებული შევეხვეწე.

– „თუ ღმერთი გწამს სერგეი გაბრიილიჩ შემიბრალე.“

– „სწორეთ მითხარ, როგორ მოგწონს?“ სიცილით მითხრა.

– „ღმერთმა ზღვაც დასწყევლოს და ვისაც ზღვაში სიარული მოუგონია ისიც.“

კიდევ სიცილს მოჰყვა და კასკასსა.

ამაზედ მე ცოტათ უკმაყოფილოს სიტყვით ვუთხარ.

– „ახ, სერგეი გაბრიილიჩ, ნეტავი ხუთი წლის სიცოცხლე დამკლებოდა და თქვენი გულისათკი კარგად გავმხდარიყავ.“ ამ სიტყვაზედ უფრო გაიცინა, მე ასე გავჯავრდი, რომ სიმხნე მამეცა და ვუთხარ.

– „მაგ სიცილს თუ თავს არ დაანებებთ.“ შევფიცე. „ეხლავ, თავს ზღვაში გადვიგდებმეთქი.“

უფრო და უფრო აიტეხა სიცილი და მე ასე გავფიცხდი, რომ ზღვაში გადავარდნა მოვინდომე.

– „ხომ არა გჯერათ, მაშ თუ არ გადავარდე და ნახავთ?“ –

კიდევ სიცილით მითხრა.

– „აი შენ ნუ მამიკვდე, შენ ზღვაში ვერ გადავარდე.“

– „მართლა?“

– „აბა თუ კაცი ხარ?“

– „თქვენი ნათქვამი ვიყო, თუ არ გადავვარდე.“ ამ სიტყვასთან წამოვხტი; წამსვე წავიქეც და სუდნამ აქეთ იქით მიმაგორა.

მაღალის სიცილით თავის გიორგი ბიჭს დაუძახა, საჩქაროთ შემოსულიყო, რომ სანთელი აენთო, გიორგიმ სანთელი აანთო, მაგრამ ბობღით შემოიტანა, როდისაც წამოდგა, შანდალი უნდა და-

ედგა, სუნდნა გადაგვერდავდა, სანთლით ზედ გადმამაწვა; სანთელი გაქრა და უფალმა გიორგიმ ჩემ თავზედ გამოგზავნა ბატკნები ყარაჩაის მაგივრათ. კიდევ კარგი, რომ თავზე საბნის წაფარება მოვასწარ, თორემ საზარელი და გასვრილი შევიქნებოდი.

მე რომ ის ვნახე, პატარა ნუგეში მამეცა და ვიცინე ს. გაბრიილიჩმა ხომ რასაკვრელია. გიორგი, სლოკინით და ვაებით მაღლა აბობღდა.

ეს ღამე ამ ყოფით ამ ოთახში გავატარე, გარიჟრაჟის დროს ორს მატროსსა დაუძახა ნაჩალნიკმა და ჩემი აყვანა უთხრა მაღლა. მატროსებმა ხელი მომკრეს, ორსავ მხრებში შემომისხდენ და მაღლა ამიყვანეს. როდისაც გახსნილი ჰაერი მამხდვა, მოვსულიერდი. მატროსებმა ერთს კარგს ადგილს დამსვეს და თვითონ ჩემი ქვეშაგების ამოსატანათ გაეშურნენ. ქვეშაგები რომ ამოიტანეს, მე საბანი მამაგონდა და იმისი გაწმენდა ვუთხარ. იმათ მითხრეს.

– „თქვენს საბანს გაწმედა აღარ ეჭირება, მაგრამ თქვენს ახლოსკი წაეხდინა.“

შევხედე, სასაცილოთ მიგდებდენ და პლუტობით მეუბნებოდენ.

ჩემ ქვეშაგებამდისინ ძლივს მივედი, ასე დაოსებული ვიყავ ბატკნების გარეკითა, თავი მოაჯირისაკენ მივდე ბალიშზედ და მოწყვეტილსავით დავეგდე ქვეშეგებში.

საბანი გავშინჯე, წმიდათ იყო, მერეთ გადავტრიალდი, მარცხენა ხელი ყბას ქვეშ ამოვიდე და გონება განსვენებას მივეცი.

თუმცა ისევ ისე ირყეოდა სუდნა, მაგრამ განსხვავებით, ამისთვის, რომ აქ გახსნილი ჰაერი შემწეობდა, მეორე, ჭერზე ისე არ ექანებოდა სუდნა, როგორც ქვემოთ ოთახში, ნამეტნავათ შუა იალქნთან, სადაც მე ვიწექი, დიახ შვებით ირყეოდა. მატროსებმაც მითხრეს: „ქვემოთ ოთახში რომ არ ჩასულიყავით, აქ ისე არ შეგაწუხებდათო.“

როდისაც გონებამ განისვენა, ზღვის ზრიალმა მოიტაცა ჩემი ფიქრი, მე საბან ქვეშ მწოლსა, ზღვის მღელვარება ყურთა სმენას მეტკბო, ქარი ჩემზედ მირბიოდა, ცოტათაც გრილათ ვიყავ ტანში და მაშინვე დამეძინა დიახ კარგათ.

ამ მოსვენებულს ძილში რომ ვიყავი, სერგეი გაბრიილიჩმა გამაღვიძა, როდისაც თვალი ავახილე, მზეს შევხედე, მაღლა იყო ამოსული და ჰაერი უცხოთ ციალებდა.

მთელი ეს ზღვა თეთრათ დუღდა, ღადოებით ზვირთებითა და ღელამდა ასე, მობერილის ქარისშხალით.

აფუტკვნილი წყალი გარსა გვერტყა, სრულიადი ეს ზღვა დიდრონ გორებათ გადაქცეულიყო და სუდნაც იმათზე მიყელყელაობდა.

ჩვენი კასნოი, ჩვენს სიახლოვეს მოსცურავდა, მაგრამ ერთი ზვირთი მაღლა რომ აიტანდა და სხვას დაბალს ტალღაზე გადიტანდა, ზვირთებს შუა სრულად დაიფარებოდა და მინამ სხვა ზვირთი აიტანდა ზევით, მეგონა: დაიღუპამეთქი. ძალიან დიდიკი არა, მაგრამ კარგი ქარიშხალი იყო, ასე რომ მხოლოდ იალქნის წვერის აფრა, რომელსაცა ჰქვიან: ბრანტოფ. შუა იალქანზედ გაეშალათ და მარტო იმ პატარა აფრით, ის სუდნა აჩქარებით მიცურავდა, რომელზედაც ხანდისხან მცირე ღადოს წყალი ამოვარდებოდა ზევით, ჭერზე დაიფანტებოდა და საჩქაროთ მოაჯირის მილებში ირბენდა.

სერგეი გაბრიილიჩმა მეკანპასე მატროსს უთხრა, იალქნის კიბეზე ასულიყო და იალქნის წვერზე მოჰქცეოდა. მაშინვე თოკის კიბეზე ასე შეირბინა, როგორათაც სახლის კიბეზე და იალქნის წვერთან ერთი კაპი იყო, იმ კაპზე მარჯვენა ფეხი შედგა და მარჯვენა ხელი იალქნის წვერს მოჰკიდა. ეს ყელმოღერებული მატროსი იალქნის წვერზედ მიკრულსავით იყო, რომელიცა ოთხსავ მხარეს გადასდევდა აქეთ იქით და იალქნის წვერი სწორეთ წელამდისინ ადგა, ასე მაღლა იყო კიდევ იმაზედ ასული. იქ ხუთ მინუტს იდგა და მასუკან ჩამოირბინა.

– „რათ აგზავნეთ?“ მე ვკითხე.

– „შენს საჩვენებლათ“ იმან მითხრა.

– „წყალში რომ გადავარდნილიყო?“

– „სრულებით ეჭვი არა მქონდა, ამისთვის რომ განსწავლულები არიან. სწორეთ რომ გადავარდნილიყო, ანუ დამხრჩვალიყო, საკვირველი რა არის? – კაცი ადრე მოკვდეს ანუ გვიან, სულ ერთია. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, უთუოთ უნდა დავიხოცნეთ. ეხლა ეს სუდნა წვრილათ რომ დაილეწოს, მე ჩემს სიკვდილს ასეთის დამშვიდებულის გულით შევხედავ, არცკი შევიმცნევ, ვიხრჩობი თუ ცოცხალი ვარ.“

– „დიახ მართალია, მაგრამ უდროოთ სიკვდილი, შესაწუხებელი არის.“

– „ამისთვის რომ სიკვდილისა გეშინიან.“

– „მე სიკვდილისა სულ არ მეშინიან, მაგრამ სწორეთ ვიტყვი, ჯერ არ მინდა მოვკვდე. მინდა კიდევ ვიცოცხლო, ეგება ჩვენს ქვყანას ვარგო რამე.“

ამ სიტყვაზედ ღრმათ დაფიქრდა. ხმა არ გამცა.

ბოლოს ვიღამაც დაიძახა. „შეხედეთ ამ პალუბზე, რა ანბავი არის?“ წამოვჯექ, ვნახე რომ ჩემსავით უცხოები, ზოგი პირქვე ეგდო, ზოგი თავ წაღებული დაჩოქილები იყვნენ და ზოგი მოაჯირზედ მისვენებული, რომლებიცა ზოგი იფურთხებოდა, ზოგი ბატკნებს ერეკებოდნენ და სხვისა და სხვის სახით იყო ყველა. მეორეს მხარეს გადვიხედე, ჩემმა ბიჭმა თავი გადაიღო მოაჯირზედ ზღვისაკენ და ბატკნები გადალალა იქით. მე ესენი ასე სასაცილოთ დავინახე, სიცილი ამივარდა. ავდენი ვიცინე, რომ სიცილი ვეღარ დავაყენე; ამით დაღალულსა ძილი მამერია და ძალიან კარგათ დამეძინა. ორ საათამდისინ განსვენებით მძინებოდა. როცა გავიღვიძე, ვიგრძენ, რომ სრულებით კარგათ ვიყავ. ზღვაც დამცხრალიყო, აღარც ისეთი ქარი ჰქროდა და აფრებიც სულ ერთიან ფრიალებდნენ იალქნებზედ. მე ეს მიამა, საჩქაროთ ავდექ და ჩემ ბიჭსა დავუძახე.

– „როგორ იყავ მეთქი?“

– „რაღა როგორ ვიყავ, დედის ხსენისაგან დავიცალე.“

– „ახლა როგორ ხარ?“

– „ახლა კარგათა ვარ.“

პირსაბანი ბოხჩა და წყალი მოვატანინე, მოაჯირზე გადავდექი და პირი დავიბანე. მე რომ პირის ბანას მოვრჩი, სერგეი გაბრიილიჩი ოთახითგან ამოვიდა და დაიძახა.

– „ოჰ გაცოცხლდი? – აკი გითხარ ბევრს იცინებ და კარგათაც შეიქნები მეთქი?“ მერე მიტრიალდა, ბიჭს ჩაის მოტანა უთხრა.

ჩვენ სუდნის თავთან გადავსხედით ზღვისაკენ, სადაიდგანაც ორის რითიმე ვსიამოვნობდით ჩვენ. პირველი ზღვის ბუნების მშვენიერებითა და მეორე ცხელცხელის ჩაითა. ჩაი რომ გავათავეთ, აგებულება გაგვიცხელა, მერეთ მოსამსახურეს იხვის მოწვა უთხრა ნაჩალნიკმა.

ერთი პატარა ფეჩი, პატარა ოთახის თავსა იყო აგებული მარჯვნივ მხარეს ზღვისაკენ. ეს ფეჩი ორათ იყო გაყოფილი, ერთში

სამი სალდათის პური გამოცხვებოდა, მეორეში ორი მოდიდოს ქვაბებითა საჭმელი მოიხარშებოდა, რომელიცა გაფრთხილებით შიგ ცეცხლი აანთეს, რაშიაც იხვი მოწვეს მოდიდოს ტაფით და ჩვენც გემრიელათ შევექეცით იმ იხვს. თანაც ცხვრის სამწვადეები გვქონდა წამოღებული და ხის შანფურები, რომელიცა ისიც საჩქაროთ ავაშიშხინებინეთ და მცვრიანი მწვადი მოგვიტანეს ცხელცხელათ. როდისაც იმის სუნი გვეცა, პირში წყალი მოგვივიდა. რომ არ გაციებულიყო ანუ იმის გემრიელი ცვარი არ დაგვეკარგა, საჩქაროთ ერთმანეთსა შევუთალეთ და ის ცხელი მწვადი თავის გემრიელის ცვარით, გემრიელად შევექეცით. ზედაც სოტერნის ღვინო ვასხით, გულის გამამხიარულებელი და მწუხარების ფიქრის დამკარგავი. ბოლოს ეს ღარიბი სადილი ავიღეთ, დღეც მშვიდობიანი დაგვიდგა და კეთილის ქარით სუდნა კარგათ მისცურვიდა თავის სწორეს გზაზედ ზღვაში, სადაც ზოგიერთი მეთევზეთა სუდნა შეგვხვდა ასტარხნისა, რომლებმაცა ერთი დიდი ჯამი ახალი ხიზილალა გვითავაზეს, ჩვენც გავსცილდით მადრიელი იმათ.

მივდიოდით სხვა და სხვის ლაპარაკით და ხან მდუმარეობით. როდისაც მეთევზენი თვალთა მიგვეფარნენ, აღარც სხვები შეგვხვდნენ, მოვიხედე, ზღვის[1] ძაღლები ამოჰყოფდნენ თავსა და ისევ ჩქარათ წყალში დაიმალებოდნენ. ამ დღეს ასე მშვიდობით მივიდოდით, ბოლოს ღამის სიბნელემ მოიცო ზღვა და ვარსკვლავნი ცაში კაშკაშებდნენ. აქ სუდნისა დგომა უთხრა ნაჩალნიკმა და მასუკან მე.

– „ამაღამ, ჩუენ აქ დავდგეთ ასე ნელა, ნელა რომ მივიდეთ, უფრო კარგი არის, ის მე ვიცი რათაც.“

მორჩილმა მატროსებმა სუდნა ღუზაზედ დააბეს, კასნოიც ჩვენ მახლობლად დადგა. ამ ღამეს ვიყავით, მეორეს დღის ალიონმა, რომ მაღლა აიწია, მე ავდექი, სუდნის წინ თავზე დავჯექ და შენ გიგონებდი ჩემო სიცოცხლეო კატო! ახ, რამთენი ამისთანა კარგი გათენების დრონი მაგონდება შენთან, სულ ერთმანეთზედ უკეთესი.....

შენი ჭირიმე მამიტევე, ვეღარ გავაგრძელეფ მომატებულათა, რამთენიც მე ვიტყვი შენს სიყვარულს, ცეცხლსავითა რაღაც მეკიდება. მინდა გავუფრთხილდე ჩემს თავს, ეგება კიდევ გნახო შენა,

[1] ტულენ.

იმედი მაქვს კიდევ მოვეხვივნეთ ერთმანეთსა, კიდევ ჩვენის გიჟურისა სიყვარულით.

ამ ფიქრით მოცული მე, გაფრიალებული აფრა მომხვდა, მცირედი მიკლდა, რომ ზღვაში არ გადავვარდი, საჩქაროთ შემოვიქეცე, სერგეი გაბრიილიჩთან ჩავე ქვემოთ. შემატყო, რომ დაფანტული ვიყავ და სხვისა და სხვის ლაპარაკით გამამიხსნა. ბოლოს მითხრა.

– „როგორი დღე არის?“

– „უცხო დღეა და მზეც მაღლა არის ამოსული.“

საათი ნახა მერვე საათი იყო.

ეს დღე კარგათ გავატარეთ, რაც შეიძლებოდა ისე.

მოვიდა საღამო, ამ დროს დიდ სახედ ჩავიდა მზე ზღვაში წითლათ და ჰაერი გაკვეცილსავით იყო ზღვაზედ.

ზეცას ავლებოდა მზის სინათლე და ზღვას მოეფინებოდა თალხი ბნელი ღამე, მობჭყვიალე ვარსკვლაებიანი.

ამ დროს მე მაღლა მოაჯირთან ვიდექი, სერგეი გაბრიილიჩი მოვიდა და მითხრა.

– „სჯობია ამაღამაც აქ დავდგეთ, ნუღარ ვივლით. თუ რომ ეს ქარი არ მოიშალა, ხვალ უთუოთ ალექსანდროვკაში მივალთ.“

– „თქვენი ნება არის მეთქი.“

მატროსებს სუდნის დაყენება უთხრა, რომლებმაცა ჯერ აფრები იალქნებისა მოხსნეს, მერე ღუზა ზღვაში გადააგდეს და მეორეს ღამესაც აქ ვიდექით. მე ჩემს ქვეშეგებში გულის ძილში ვიყავ ტანით გაუხდელი, რომ ამ დროს ვიღამაც გამაღვიძა. წამოვჯექ, სერგეი გაბრიილიჩი თავს მადგა.

– „ამდენი ძილი იქნება? მეცხრე საათია?“

მზეს შევხედე, მაღლა იყო ამოსული. მითხრა.

– „მამილოცავს, თითქმის კაიდაკის ყურეში ვართ, ალექსანდროვკის ციხე კარგათა ჩანს მაღლობზედ.“ წამოვდექი, ერთიანი, თანასწორი მაღლობი, უქედო მთა ზღვის მახლობლათ ბნელათ მოსჩანდა.

იქით, თვალუწვდომი მინდორი დავინახე და ვიკითხე? –

მატროსებმა მითხრეს.

– „ბუზაჩის მინდორია ისა და იმ მინდორში ყირგიზები დგანან ალაჩუხებში.“ მერე სერგეი გაბრიილიჩმა მითხრა.

– „ადეგ, კასნოით დავწინაურდეთ და ზღვის ნაპირზე ადრე მი-

ვიდეთო.“

კასნოი სუდნის გვერდზე მოიტანეს და იმაში გადავსხედით, კასნოის წვერის აფრაც გაუშალეს იალქანსა, ამასთან მატროსებმა ნიჩბებიც მოუსვეს და ასე სწრაფათ წაიყვანეს, რომ ერთი ორათ ცურვა მოუმატა სუდნაზედ. ოც ვერსამდინ კიდევ გავირბინეთ, სადაც მარჯვნივ მხარეს ვიწროთ იყო ჩავარდნილი ის ზღვა, რომელმაცა შთავარდნილობისა მიზეზი ვკითხე მატროსებსა.

მატროსებმა მითხრეს.

– „თუმცა იმ ადგილიდგან იანგარიშება კაიდაკის ყურედ, სადაც თქვენ ჩასხეთით კასნოიში, მაგრამ სწორე კაიდაკის ყურე, ეს ზღვა არის. ახლა რომ იკითხავთ თქვენ.“

– „ამ კაიდაკის სიგძე და სიგანე რა ერთია?“

– „სამასი ვერსტი სიგძე ექნება. სიგანეცა ადგილს ოცდაათი და ადგილს თხუთმეტი.“

ამაობაში ალექსანდროვკის ზღვის ნაპირზედ მიაცურეს ნავი და იმის პირზედ გადავხტით. ეს ჩვენი ცურვა ბედნიერი იყო, მხოლოდ იმ ერთს ღამეს ზღვის ღელვა მოგვიხდა, სხვა სულ კეთილად ვიარეთ. ასე რომ ხუთასი ვერსტი ორმოცდა ორს საათზე მოვირბინეთ და გადავხტით ზღვის ნაპირზედ.

ალექსანდროვკიდგან ნაჩალნიკს ცხენი მოუვიდა, ზედ შეჯდა და მე მითხრა.

– „აქ მოიცა, ცხენს ეხლავე გამოვგზავნი შენთვის.“

მინამ ცხენი მოვიდოდა, მანამდისინ ამ ადგილებს ვჩხრეკდი.

ალექსანდროვკის ციხე იდგა შუა მომაღლოს სწორეს ადგილზედ, ზღვის მხარეს, პირი ზღვისკენ მომართული, რომელიცა ზღვასა დაჰყურებდა ზევიდგან. როგორც მე მგონია, ამ ციხესა, ნახევარ ვერსის სიმაღლე უნდა ჰქონდეს ზღვიდგან, პირისპირ რომ გაიზომოს ისე მაღლა ამ ციხიდგან. მთა ძირამდისინ დაღმართათ ჩამოივლის ზღვის პირამდინ ორი ვერსი, ანუ მეტნაკლები, ხევებითა, მაგრამ ეს ადგილი სრულიად უნაყოფო მწირი იყო, ჩვენის სოლოლაკის მთასავითა.

ამ დროს ჩვენი სუდნაც მოაცურეს ზღვის პირზედ, სადაც ღუზაზედ დააყენეს, მეც ამ დროს ცხენი მამივიდა ზევით ციხიდგან, რომელზედაც შევჯექ და წამოველ. მცირედი რომ გავიარე, უკან მოვიხედე, ერთი ცხენიანი ყაზახი მამდევდა უკან, იმას ვკითხე.

– “ზღვის პირიდგან ციხემდისინ რავდენი ვერსტი უნდა იყოს?”

– „ამბობენ: სამი ვერსტი იქნებაო.“

– „სულერთიან ეს ადგილი როგორია?“

– „თქვენო ბრწყინვალებავ, ეს ადგილი დაწყევლილი არის.“

– „როგორ თუ დაწყევლილი?“

– მაისის თვეს აქეთ ღრუბლიანი დღეები არ გვინახავს, არამც თუ წვიმა მოსულიყოს. ძალიან სიცხეც იცის აქა. ამის გარდა მოუწყვეტელი ქარი ჰქრის, აი, როგორც ხედამთ ასე, და ხშირათ დიდი ქარიშხალიც.[1] იქნება თვეში ერთხელ ძლივ ჩავარდეს, ისიც ერთს საათსა.

– „ეს ხევები რომ ჩამოსდევს, ამაში ნაყოფიერება იცის რამე? – “

– „ამ ხევებს რომ ხედავთ, ზოგიერთში წყაროები არის, ისიც ასეთი მლაშე, რომ უცხო ადამიანი ორს თვეს ვერ შეეჩვევა.“

– „მაშ რასა სვამთ?“

– „ჰუ, მაშ რასა სვამთ? – თქვენო ბრწყინვალებავ, მაშ რა ვქნათ თუ არ დავლიოთ, რომ სხვა კარგი წყალი არ არის აქ არსად?“

– „კიდევ, რა არის აქ?“

– „რაღა, რა არის: გველით, მორიელით, ღრიანკალით და სხვა მიწისმძრომით სავსე არის ეს კლდეები.“

– „რა და რა ფრინველი იცის აქა?“

– „ამ კაიდაკის ყურეში იცის: ყოველი გვარის იხვი, ვარხვი, წითელი ბატი და სხვა. აქ ხმელზედაც არის, ტრედი, გვრიტი, კაკაბი, მწყერი, ტოროლა და სხვა და სხვა ჭრელი ჩიტი. ძერა და სვავიც მკვიდრობს აქა.“

– „ნადირიც იცის რამე თუ არა?“

– „ზოგიერთს კლდიანს სიმაგრეებში ჰგვარობს: ჯიხვი, გარეული თხა, მშველი,[2] (საიგავ.) კურდღელი, მელა, ტურა და სხვა. ასე გაშინჯეთ, რომ გარეული ცხენებიც ჰგვარობს აქა ამ ადგილების მოახლოვოდ.“

– „ამ ციხის მოახლოვოთ ყირგიზები ცხოვრებენ თუ არა?“

– „დიახ ცხოვრებენ თქვენო ბრწყინვალებავ.“

–„ რა გვარი ცხოვრება აქვთ?“

---

[1] ურაგანი, ქარიშხალათ ვთარგმნე.

[2] მე რომ ეს მოკლული ვნახე, უფრო ჯერანსა ჰგავს და ყირგიზებიც ამას უძახიან: საიგავ. თვითონ ყაზახებიც.

– „ამ გვარი ცხოვრება აქვთ, ზამთარ ზაფხულ ალაჩუხებში დგანან, მაგრამ სამს და ორს აულზე[1] მომატებული, ერთს ადგილს ვერ თავსდებიან, ამიტომ უფროსი ერთი თავთავისთვის ცხოვრებს, სამსა და ოთხს ვერსზე ერთმანეთზე.“

– „ხვნა და თესვა აქვთ თუ არა?“

– „ამათ ხვნა თესვისა არა იციან რა.“

– „მაშ რით ცხოვრებენ?”

– „აქლემებით, ცხენებით, ცხვრებით, და თხებითა.“

მე აღარ დამცალდა, დაწვრილებით მეკითხა იმათი ამბავი. ამ დროს ერთი ცხენიანი ყაზახის აფიცარი მოგვეწია, რომელმაცა თან წაიყვანა და ჭენებით წავიდნენ ციხისაკენ ჩქარა.

მე მარტოკა მივიდოდი და იმის მიდამოს ადგილებსა ვჩხრეკდი. სადაც გზაზედ მოვიდოდი, მთისა ძირამდისინ მინდვრად მოდიოდა. ამ დროს რაღაც ხმიანობა შემომესმა, მარჯვნივ მოვიხედე, ერთის ხევიდგან ოთხი დათოფიანებული ყირგიზები ამოვიდნენ და ცხენები ჩემკენ გამოქუსლეს. მე დავიდასტურე: უთუოთ ჩემ სასიკვდილოდ მოაჭენებენ ცხენებს მეთქი. მაშინვე ცხენიდგან გადავხე, საფრათ დავიყენე წინა და ტყვიით გატენილი თოფი მოვიმზადე, მაგრამ ყირღიზებმა რაღასაც ტრიალი დაუწყეს და თოფს რაღასაც ესროდენ; შევხედე, ერთს მელასა ეხვეოდნენ, ზედ ყიჟინას სცემდნენ. მაგრამ საბრალო მელამ გზა იპოვნა და ჩემის მხრისაკენა გამოსწია; მე საჩქაროთ ცხენზე შევჯექ და მელას გადვეგებე წინა. რა რომ მელამ დამინახა, მთის მხრისაკენ შეუხვია და გასწია რაც შეეძლო, მაგრამ რომელს ცხენზედაც მე ვიჯექი, იმას მელა ვეღარ წაუვიდა; ოცდა ათს ნაბიჯზე რომ მივუახლოვდი, თოფი მოვიმარჯვე და შევსტყორცე განიშნული. თოფის გავარდნასთან მელა რამთენჯერმე დატრიალდა და გულაღმა გადაიქცა. მიველ, ზედ დავხედე, ვნახე, მარჯვენა მხარში ტყვია ქონდა მოხვედრილი, ამ დროს ყირღიზებიც მოვიდნენ და თავს დამადგნენ, ბოლოს როდისაც ნატყვიარი ნახეს, შემამხედეს და დაუწყეს გაკვირვებით თავს ქვნევა. თან მეტყოდნენ ხშირათ: ბერექალა, ბერექალა. მე ის მელა იმათ მივეცი და ჩემს გზაზედ გამოვსწიე.

ყირგიზებსა რომ განვშორდი, ნახევარ ვერსტი გავიარე, კიდეც მოველ მთის ძირში და დავადექი მთის მაღლობს გზაზედ. შუა

[1] აულს კომლეულს უწოდებენ ყირგიზები.

მთაზედ რომ ამოველ, ცხენი მოვაბრუნე აქეთიქით მიმოხედვით, სადაც მთის ძირიდგან შუა მთამდი, კლდის დიდრონი ქვები იყო ერთიერთმანეთზე დაწყობილსავითა, მაგრამ ურიგოთა და ტოლმეტი, აქეთ იქით გზის მოახლოვოდ, რომლებზედაც ჯოჯოები და ხვლიკები მიმორბოდნენ. აქედგან უფრო კარგათ ჩანდა ალექსანდროვსკის გარემო ადგილები, კაიდაკის ყურე უფრო კიდევ კარგათ, სადაც ამის მიდამოს ადგილებში ბევრი ბორცვი იყო, განგებ მიმობნეულსავით და ზოგიერთს ადგილს დაბალი ბალახიც ჩანდა, მცირეს ველით, ცხელის მზისგან მოფშვნეტილი. ეტყობოდა, რომ გაზაფხულზე მწვანე ბალახი უნდა ყოფილიყო იმ პატარას ხევის ველებში. დაბლა უნაყოფო მინდორზედაც პატარა გორაკები მოფენილი იყო, ისინიც უნაყოფო და ქვემოთი ეს მინდორი თავის გორაკებით, სრულიად თიხის ფერად ჩანდა, რომ ბალახი არსად არ ეტყობოდა, რომელიცა ერთიანი ეს ბუნება დიახ დაჩაგრული იყო, ასე რომ მხიარულს ადამიანს რომ ენახა, სევდა მოიცავდა. ბუნებასა ამას კარგახანი ვუყურებდი, – ვუყურებდი, მაგრამ ჩემს სევდიანს გულსა რაღა ეს უნდოდა? – წამოვედი, მაგრამ დაღრეჯილი, დახავსული.

როდესაც იმის მაღლობს თავზედ აველ, ავშნიანი თვალუწდომი სწორე მინდორი დავინახე, რაზედაც არაფერს მაღლობს ადგილზედ, თვალი არსად არ მიდგებოდა, თვინიერ მხოლოდ ციხეზედ, საიდგანაც ზღვასა დაჰყურებდა ქვემოთ, ორს ვერსზედ ზღვის პირამდინ, რომელმაცა ცხენი მარჯვნივ მოვაბრუნე და ციხისკენ წაველ. ცოტა გზა რომ გავიარე, ციხეს შეველ და ძველის ნაჩალნიკის სახლთან გადავხტი, სადაც სერგეი გაბრიილიჩი სრული ნაჩალნიკი და ციხის ბძანებელი შეიქნა, რომელსაცა ძმასავით ვუყვარვარ ამ მწირს ხრიოკს და გადმოვარდნილს ადგილში, ეს ჩემთვის დიდი ნუგეშია. დავრჩით აქა, ცა ქვეყანას რომ დაეცეს, ჩვენ ვერაფერს ვერ გავიგებთ, ასე მოშორებულია ქვეყნისაგან, დაწყევლილი ღვთისაგან ეს ადგილი. იქნება იმისთანა დრო მოვიდეს, რომ ეს ადგილიც იყოს ქვეყანათა? – აქ ვინ მოგვიკითხამს ჩვენა, თუ არ საჭირო საქმისთვისა, რომლებიცა სრული ზამთრის სამზადისით ვიმყოფებით აქა. ეს ის არის: წადით, ან ქვეყანა სრულად ჩვენი უნდა იყოს მთელი აზიისა, ან არადა ჩაიკალით თავი ემანდ, ამ სოფლის ჯოჯოხეთშიაო. ამას ეუბნება რუსეთი რუსებსა.

თქვენო უგანათლებულესობავ, ეს კი დამავიწყდა, ვერ მოგახსენეთ, ასე შემიყვარდა ნავსა შინა ჯდომა და ზღვასა ზედა სიარული, რომ ყოველთვის მსურს და მონატრე ვარ, ნავსა შინა ვჯდე და ღადოთა ზედა მიმოვექანებოდე.

ჩემო სიცოცხლეო კატინოჯან!

როდისაც ციხის საქმე დავასრულეთ, მე ჩვეულებად მივიღე, უქმე დღე რომ მოვა, თუ სამსახურს არას ვასრულებ, სადილს უკან ზღვის პირზედ დავსეინობ. ესეც ერთი რაღაც ნუგეშია ჩემთვის. ჩემი ჩუეულებისამებრ, ერთს კვირას საღამოჟამს, ზღვის ნაპირზე დავიარებოდი. ფიქრმა ერთ გორაზე ამიყვანა, ერთსა ქვაზე დავჯექ, რომელსაცა ზღვის მცირედი მღელვარება ყურთა სმენას მეტკბო. ზღვის ნაპირზე მოვიხედე, ის იყო ერთი სუდნა მოსულიყო ახლად და ზღვის ნაპირზე ერყეოდა მცირეს მღელვარებით. ამ დროს ზღვიდგან დიდი შეკრული ღრუბელი წამოვიდა, ხმელზე გადმოვიდა, მე მინდოდა, რომ გამამესწრა, მაგრამ მაშინათვე ეს ადგილები დაჰფარა და მეც გავეხვიე იმ ღრუბელში, სადაც ათს ნაბიჯზე იქით, აღარა გამოჩნდარა. დავრჩი იმ გორაზედ, იმ ქვაზედ, იმ ღრუბელში, რომელიცა ეს ღრუბელი საუცხოვოს წმინდას ცვარსა სცრიდა და ჩემს გულსაც დიდი სევდა მოერია რაღაც.

მე ვინ მაგონდება აქა ჩემო კატო? – განა იცი, – იცი განა? – ჯერ მამული და მასუკან შენა. მამული ამ გვარათ, რომ იმის უბედური სვენი, ათასობით მამულის შვილით ლეწამს მიწაზედა უსამართლოთ, რომელიცა დიახ ძნელი არის ჩემთვის ესა და შენ ჩემო კატო, შენი მოშორება დამაღონებს, დამასევდებს და ავათ მხდის შენი სიყვარული!

ამდროს ჩემო კატო, ოთხი დიდი სვავი, რა ვიცი საიდგან გაჩნდნენ. ჩემზედ ფრენა იწყეს ტრიალებით და ყრიყინი შექნეს, ეტყობოდათ, უნდა შევეჭამე, მაგრამ ვერ გაბედეს იმ მზარავთ მფრინველებმა. იმ დროს მე ასეთსა გულზე ვიყავ, თავს მივცემდი შესაჭმელად იმათ, თუ რომ გაებედათ.

მცირედისა ხანის შემდეგ, ის შეკრული ღრუბელი გადიყარა მობერვილის ქარისაგან, ორბებიც თავის ქვეყნისაკენ გაეშურნენ. სადაც იმ დროს მე ვიჯექი, ერთი იმის ახლოს სხვა გორაკი იყო, რომელზედაც ერთი ქალი იჯდა, თეთრის ჩადრით წამოსხმული, თე-

თრი ხელცახოცი პირზე მიეფარა და ტიროდა საცოდავად. მე გაკვირვებამ ამიტანა, მაგრამ გრძნობამ რაღაც მითხრა და ჩემთვის ვთქვი: საცოდავი, ასე მწარედ რომ ქვითინებს, ის ვინ უნდა იყოს? – ან აქ ამ ჯოჯოხეთს ადგილებში ვინ მოიყვანა, რომელი ჩადგა იმის ცოდვაში? ღმერთო დაიფარე. მასუკან ვთქვი: გავალ ვნახამ, შევიტყობ ვინ არის? – გაველ და იმის წინ მორიდებით მიველ; მეგონა რომ ხელცახოცს მოიხსნიდა პირიდგან და მეტყოდა რასმე, მაგრამ ხელცახოცი არ მოიხსნა და არცარა მითხრა. არამც თუ მითხრა – გული უფრო ამოუჯდა და ტიროდა საწყლად. ბოლოს განკრძალვით ვკითხე.

– „მოწყალეო ხელმწიფავ, გთხოვთ მაცნობოთ ვინა ხართ თქუენ? – ან რა უნდა იყოს თქვენი ცრემლის მიზეზი?“

ხმა არ გამცა და ტიროდა ეგრეთ.

– გევედრებით მიბძანოთ რამე? – მეორეთ ვკითხე.

ხმა არ გამცა; კიდევ უფრო ატირდა. დიდათ ვწუხდი, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი, რომელსაცა ჩემი სიმწარე დამავიწყდა და მეც იმასთან ავტირდი, ისე როგორც ის ტიროდა. ვტიროდით და ვქვითინებით, არ ვიციკი რათა? – ბოლო დროს გული გავიმაგრე, ვუთხარ.

– „თუმცა ჩემგნით შეიძლება, მომატებით თქვენი შეწუხებაა, მაგრამ ეგრე მწუხარეს რომ გხედავთ, მინდა თქვენი შევიტყო რამე, იქნება გარგოთ რამე.“

კიდევ მაინც ხმა არ გამცა, მე ამაზედ გაჯავრებით და ფიცით ვუთხარ.

– „თუ რომ არას მეტყვით, თავს მოვიკლავ ჭეშმარიტად და თქვენ შეიქნებით ჩემი სიკვდილის მიზეზი.“

მაშინ ყური ჩემკენ გადმოიღო, ეტყობოდა კიდევ უნდა მეთქვა რამე, მაგრამ პირზედ ხელცახოცი კვლავ ეფარა. ვკითხე.

– „იქნება მშობლებისთვის იყოთ აგრე?“

არცკი შეიმცნია.

– „იქნება შვილებისთვის ტირით თქუენა?“

სრულებით არა თქვარა.

– „მაშ ვისთვის ხართ აგრე გულმოწყლული?“

ამ სიტყვაზე სულთქმა აღმოუშო ასეთი, რომ მეგონა, დამეცა რამ თავზედ. მოვინდომე კიდევ მეკითხა რამე, მაგრამ ვერ გავბედე

და დავფიქრდი. მასუკან ჩემთვისა ვთქვი: არა, უნდა ვკითხო უთუ-ოთ.

– „ნუ თუ ქ?“... ამ ასოსზე მეტი ვერა ვთქვირა და დავფიქრ-დი ეგრეთ. შემდგომ კიდევ ჩემთვისა ვთქვი. „ახლა უთუოთ უნდა გავბედო.“

– „მოწყალეო ხელმწიფავ, მე თქვენ უნდა გკითხოთ რამე, იმედი მაქვს, სწორეთ მეტყვით.“

უფრო ახლოს მოიტანა ყური ჩემკენ.

– „თქვენ, მგონია.“ მე აღარ დამაცალა მეთქვა; კიდეც შემატყო, რომ კითხვას ვეღარ შევიძლები და ჩემს აკანკალებულს სიტყვაზე მარჯვენა ხელის შუა თითი დამანახვა.

– „ახ, შენა ხარ ჩემო კატინო? გევედრები, ეგ ჩადრი გადიწიო და შენი სახე დამანახო.“ ვეხვეწე, მაგრამ არ ისმინა ჩემი ხვეწნა. შემ-დეგ დაჩოქებით ვთხოვე.

– „არა, არ ისმენ ჩემს ვედრებას? – არ გეწყალვის ჩემი გული, რომელიცა საუკუნოდ შენი არის?“ – ვეხვეწებოდი და ვევედრებო-დი, მაგრამ არ ესმოდა, კიდევ მოჰყვა ტირილს. მე კიდევ განკვირ-ვებამ ამიტანა გულში ასე. „ეს მარჯვენა ხელი და იმის მშვენიერი თითნი ჩემი კატოსია, ამ შუა თითზე ეს ბეჭიდი, ჩემს მიცემულს ბეჭედსა გავს, მაგრამ ხმას რომ არა მცემს, იქნება ვცდებოდე, ის არ იყოს?“ ვიყავ ამ ფიქრით და გაშტერებული შევყურებდი. ბო-ლოს მოვინდომე ჩადრი გადმეწია, მაგრამ მაინც ვერ გავბედე, იმის შეწუხებას მოვერიდე. ამ დროს სრული მთვარე წარმამიდგა ღრუბ-ლიდგან გამომკრთალი. თავი ჩემკენ გადმოაგდო და საამოს ღიმ-ილით შემამხედა.

„ღმერთო ჩემო ვისა ვხედავ! ჩემი კატო.“ მაგრამ ჩემს თვალებს აღარ ვუჯერებდი და ვამბობდი ჩემთვის.

„იქნება მე შევიშალე? თუმცა თავი რიგზედ აღარ ხურამს, მოშ-ლილი აქვს, მაგრამ ნამდვილი თვითან ის არის, რომლისაგანაც სიცოცხლე მაქვს.“ ვიყა ასე და ვეღარა მეთქვა რა, დარწმუნებით დავამტკიცე: უთუოთ შევიშალე მეთქი. მერე იმან ხელცახოცით ცრემლი მოიწმინდა თვალებიდგან და მასკვან შემამხედა ამ სი-ტყვით.

– „განა ვეღარ მიცნობ ჩემო სანდრო? “ –

– „მე მგონია მოჩვენება იყო ეხლა შენა?“

ამოოხვრით მითხრა.

– „ეგ კი არა, ეხლა შენ გაცივდი ჩემზედ“.

– „რათა, რისთვის კატო?“

– „სარატოვში მითხრეს, ის ვიღაც რომ იყო დედაკაცი შენთან, ის ლამაზი, რატო მე არ მოგაგონდი მაშინ? – მეორეთ რომ ორენბურღში მოხველ, იქაც მითხრეს, ის ლამაზი დედაკაცი ვიღა იყო შენთან? – ჩემაგიერი იმათ მოეხვიე განა? – არა სანდრო ნუ შეგრცხვება, ვიცი ეხლა საჭიროა შენთვის, ეგებ გული გაირთო და დაჰკარგო სევდა მწუხარება შენი. მომიტევებია შენმა სიცოცხლემა. ვიცი, დარწმუნებული ვარ, ჩემი სიყვარული არ ამოვა შენის გულისაგან, მაგ უბრალოს შენის დროს გატარებით. ეს ჩემი თქმა საყვედური არ გეგონოს, არ გეწყინოს, გეთაყვანოს ჩემი თავი, მე და შენ ხომ ყველას ვეუბნებით ერთმანეთსა, არ ვმალავთ ერთმანეთთან არაფერსა? ეგ რომ ჩემთან ახლოს შეგმთხვეოდა, მოვკვდებოდი, შორს კი არაფერი, ჩემო სანდრო. აბა ახლა მოჩვენებას რომ აბრალებ, მოჩვენება არის შენი კატო?“

– „მაშ ვინ მოგიყვანა ჩემო კატო აქა? – “

– „ორენბურღის ქალაქიდგან შენ რომ წიგნი მოგეწერა ჩემთვის, შენი ალექსანდროვისკენ წამოსვლა, უშენობა ვეღარ მოვითმინე, ჩვენი სამი შვილით მოვემზადე და საჩქაროთ სარატოვიდგან ორენბურღში მოველ, წამოვედი. იქიდგან ქ. გურიევსა, იქ ზღვის პირიდგან სუდნა მოდიოდა აქეთ, რითაც წამოვედი და ეს ერთი საათია აქ მოვედი აგერ იმ სუდნითა, რომელმაცა მე შენ დაგინახე აქეთ მოხვიდოდი. თუმცა მინდოდა უეცრათ შეგხვედროდი, მაგრამ შემეშინდა, ვიცი არ მოელოდი ჩემს მოსვლას, ისე უცებ ჩემის ნახვით არა დაგმართოდა რა, ამისთვის ამ გორაზედ ამოვედი, გხედავდი რომ აქეთკენ მოხვიდოდი და აი დაგხვდი ისე, რომ შესაკრთობი არ ვიყავი შენთვის. მე სრულად ვგრძნობ ჩემო სანდრო, ვითარი სიყვარული გაქვს ჩემი! ამ ჩემს გულზედ ეგრეთვე დაბეჭდილი სიყვარული არის შენი, – შენმა სიცოცხლემა!“

– „დიახ, დიახ, ვიცი ჩემო კატო, შენც გიყვარვარ და არ ვიცი ვითარ გადვიხადო ეგ მადლობა, მაგრამ აბა სად არიან ჩვენი შვილნი, ის სულები ჩვენი?“ – ორი ხელით ჩადრიდგანა ერთი პატარა ყმაწვილი მამცა ხელში.

„ჩემი დარიკოა.“ დავიძახე და დავისვი ჩემს მუხლზედ.

მეორე ყმაწვილი კიდევ ისე მამცა.

„ჩემი დათიკა.“ ისიც იმის გვერდით დავსვი.

მესამე ყმაწვილი კიდევ მამცა.

„ჩემი პატარა მაიკოა.“ და ისიც ჩემს მეორეს მუხლზე დავსვი.

„მოდით ჩემთან, ჩემნო სასურველნო, მოდით, გამაბედნიერეთ ცოლშვილობის სიყვარულით. ჩემნო სიცოცხლენო ჩემო შვილნო, მოდით ყელზედ გადამეხვიენით, შვილობრივის სიყვარულით დავტკბე. და შენ ჩემო სიცოცხლეო, ჩემო ეკატირინა, მოდი ჩემთან, მოდი შენს მეუღლესთან, შენს საუკუნოს მეგობართან, რომელსაცა გული, სული შენთვისა მაქვს შეწირული.“

ჩემი ხელნი გავშალე, მინდოდა ყველას მოვხვეოდი, გულს მიმეკრა ყველა. რა რომ გადვეხვიე, ამ დროს ხელები სველის ქვიდგან ჩამამისხლტა და გორაზე ჩამოვგორდი, უკან მოვიხედე, ერთი დიდი მოთეთრო ქვა, წამოვიდა ჩემზედ დასაცემათ, მაგრამ მოვასწარი, წამოვხტი საჩქაროთა, რომელსაცა გვერდზე გამიარა და რახრახით ქვემოთ მიწაზედ, დაეცა. მაშინათვე გული ამიშფოთდა, გონება რიგზედ აღარ მქონდა და წამოველ, რაც შამეძლო ჩქარა.

მინამ ციხეში ამოვედი, სულ დაბნელდა, ნისლმაც უფრო დააბნელა და წყვდიადი ღამე მოხდა.

ამ ღამესა ამ ფიქრით ჩემს ოთახში მიმოვიხედებოდი. ამ დროს ვილაცის ტირილი შემომესმა; ყური დაუგდე, ჩემს ეკატერინეს ტირილს გვანდა. მე მეყვსეულად მივმართე მას ტირილსა; თუმცა ხან აქ და ხან იქ წავიქცეოდი სისწრაფის გამო, მაგრამ საჩქაროთვე წამოვხტებოდი და მივეშურებოდი. ტირილს რომ დაუახლოვდი, ვნახე, ერთის სახლის კედლის ძირში ერთი შალმოხვეული ქალი იჯდა და საწყლად სტიროდა, რომელსაცა გავეხმაურე.

– ჩემო ეკატერინე, რად სტირი?

იმან შემამტირა და რუსულათ მითხრა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემი ქმარი რაღაზედაც გამიჯავრდა, გამამაგდო და ვახშამი აღარ მაჭამა (ეს დედაკაცი არათუ ცოლი იყო იმ კაცისა, ვისიც მითხრა, არამედ ზედშესრულად ჰყვანდა).

– მაგაზე ტირი?

– დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ.

მე გაჯავრებული გამოვტრიალდი და წამოველ. მცირედ გამოვიარე, ერთის მხრიდგან სხვა რაღაც ძახილი მომესმა. ყური დაუგ-

დე. ვცან, ჩემი ეკატერინე ჩემს სახელს იძახდა და თავისკენ მიხმობდა. მაშინვე გავექანე; კარგა შორი ადგილი რომ გავიარე, იმის ხმა აღარ მომესმა. ამ დროს ვიღამაც დამიყვირა. „კტო იდიოტ.“ მე იმის დაყვირებაზე შევკრთი და ხმა ვერ გავეცი. მეორე უფრო მაღლა დამიყვირა. „კტო იდიოტ, თქვი თორემ მოგკლავ“.

– სალდათ, სალდათ მეთქი.

– შენ იძახდი ჩემს სახელსა?

– არა, მე თქვენთვის არ დამიძახნია, თქვენო ბრწყინვალებავ.

– მე ჩესავოი გახლავარ და სიგნალს გავწევ ხოლმე.

თუმცა გამოვტრიალდი და წამოველ, მაგრამ ჩემ თავის გმობა დაუწყე ავდენის არეულობისათვის. გზაზე რომ მოვდიოდი, ერთი ვიღაც ქალი დამხვდა. გავეხმაურე, ხმა არ გამცა. დავაცქერდი, ვცან ჩემი ეკატერინე კი იყო. – „ახ, ჩემო კატინო!“ ამ სიტყვასთანავე გადავეხვიე და გულზე მივიკარ.

იმან მითხრა.

– თქვენო ბრწყინვალებავ, უკაცრაოდ, ვისაც ეძებთ, ის არ გახლავარ.

შევხედე, რომ ჩვენს მზარეულს ვეხვეოდი და გულზე მაგრა მიმეკრა. მართლა ასე შემცხვა, მწუხარებით ვეღარ დავდექი და ჩემ ოთახში შევირბინე.

ჩემს ოთახში რომ შევედი და კრაოტზე დავჯექ, ჩემი ბიჭი შემოვიდა, უნდა მეთქო რამე, ვეღარ ვუთხარ და მაშინვე გული შემიწუხდა და შემდგომკი აღარ ვიცი რაღა მოხდა? – როდესაც სრულათ უკეთ შევიქენი: ჯერ ღთისაგან, მასუკან დოხტურის კარგის წამლობითა, ჩემი ეს ანბავი, ყველა წვლილად ვუთხარ ჩემს ნაჩალნიკს ჩილიაევსა, რომელმაცა მიპასუხა.

– „ეგენი სულ ბელიგარიაჩკისა[1], იმის სენი არის. კიდევ კარგი, მთისა ძირში არ შეგემთხვა გულშემოყრა, თორემ იქვე მოკვდებოდი, ვიღა გიპოვიდა იმ ღამესა? – “

თქვენო უგანათლებულესო მშობელო თეკლა!

უკანასკნელს მინუტებში, მე რომ შინიდან გამომგზავრებას ვაპირებდი, თქვენ ხომ თქვენს საწოლში იმყოფებოდით და მე თქვენ

[1] არ ვიცი რა სნეულობა უნდა იყოს ბელიგარიაჩკა, რომელიცა გიჟსავითა შეიქნება? – ბელიგარიაჩქა, ქართულათ: თეთრი სახადი.

რძალთან ვიყავი, რომელთაცა ჩვენი გაყრა ასე იყო მაშინ, ზოგიერთებს სურდათ შეეტყოთ ანუ ენახათ როგორ გავიყარენით მე თქვენი რძალი. რომელიცა ორნი მხოლოდ საწოლში ვიმყოფებოდით, ჩვენი ესე განშორებული დრო რაღა მოგახსენოთ, ვითარის მწუხარებით იყო.. მხოლოდ ამას გიამბობთ მცირეს.

აი, შეიტყოთ შეინჭიმე, როგორ მარტივად გავეყარე. მაგრამ თუ მე ჩემი კატინა ადრეთვე არ მომეტყუილებინა, ხვალ დილით ვაპირებ წასვლასა მეთქი, მეტის მწუხარებით ველარ მოითმენდა მას გაყრის მინუტსა და საშინელს სავალალოს ცრემლს ამოუშვებდა. მეც იმას ავყვებოდი და ვაება გამრავლდებოდა. ამისთვის წამოსვლა რომ დავაპირე, წამოვდექ და ჩემს ეკატერინეს ვუთხარ.

– აბა, ერთი შემამხედე. შემამხედა და მე ჩემს თვალებს ვუთხარი ჩემთვის. „თვალნო ჩემნო, ეს ეს არი, უკანასკნელად ამის ჭვრეტით განსძეხი და წამსვე განეშორე.“

ჩემთა თვალთა მხედველობა მისთა თვალთა მხედველობასა შიგან გამოეწონა და ორთავ ასე გვეგონა, რომ ურთიერთის სულები ერთმანეთს გადაეხვიაო. რაოდენსამე მინუტსა ერთმანეთსა თვალთა შევცქეროდით და როდესაც მინუტი მოვიდა ჩემი აქეთკენ წამოსვლისა, ანაზდად გამოვტრიალდი და ერთი ესღა დავიძახე. „მშვიდობით!“ და მეორეს კარში გამოველ.

მეორეს ოთახსა მესმოდა მოსაწყვლელი ქვითინი იმ ოთახიდგან, სადაც პირველად მე ვიყავ. ეს ტირილი ვიცან. ჩემი ეკატერინე ტიროდა.

ამწუთს ერთი ღვთიანი ადამიანი როგორ არავინ არ გამოჩნდა, ჩემს გულსა ზედა მახვილი დაეცათ და ის ცრემლი ჩემს გულზე დამყრიყო, რომ ჩემს უკანასკნელს სულთქმას იმის ცრემლისთვის ეჭვრიტა. ახ, ვითარ ბედნიერი ვიქნებოდი!

ასე იყო ჩემი ყოფა, ჩემო კატო! არა დავაგდერა, ყველა აღგიწერე ჩემი. ახლა ამის შემდგომ სხვა იქნება, მაგრამ შენთან აღარ, ისე ცალკე წაიკითხავ. მანამ მშვიდობით. ნუ დამაგდებ შენის წიგნით, ჩემთვის დიდი ნუგეშია შენმა მზემა.

შენი ალექსანდრე.

25-სა ნოემბერსა 1834-ს წელსა.
ახალის ალექსანდროვკის ციხიდგანა.

ახლა სხვა დავიწყოთ.

როდისაც სრული ნაჩალნიკობა მიიღო სერგეი გაბრიილიჩმა და იმისი მოადგილე წამოვიდა ალექსანდროვკადგან[1], ერთს დილას მოადრევოდ დაიარა ციხე და მეც თავისთან დამატარა. რომელსაცა ბევრი გაკეთება უნდოდა, რაოდენ შეიძლება, რომლებიცა შევუდექით და დავიწყევით მუშაობა, დიახ ჩქარაც შევასრულეთ.

ამის შემდგომ მე ძალიან ავათ გავხდი, როგორც ზევით მითქვამს, ისე. ბოლოს თუმცა უკეთ შევიქენ, მაგრამ რიგიანათ ვეღარ ვიყავ, მთელი ზამთარი ზერაქვერათ გავატარე. სერგეი გაბრიილიჩი ძალიან სწუხდა ჩემთვის და ძალიან ყურსაც მიგდებდა.

ამ ქვეყნისა რაღა გითხრა? – ეს ქვეყანა სრულებით გაცალკევებული არის სწორე ქვეყნებზედა და გადავარდნილსავით რაღაც, რომელსაცა გურიევისა ქალაქს და ამას შუა უძევს ხუთასი ვერსტი კასპიის ზღვა, სადაც შენობა არსად არის, ზოგიერთი ყირღიზების აულისა ანუ ალაჩუხის მეტი და დასასრულ შვიდას ვერსამდისინ გზას ამბობენ ხივის ქვეყნამდისინ.

არ ვიცი, აქ ციხე როგორ გააკეთეს, ამისთანა საშინელს ადგილში? –

ზამთრის ყინვა ისე ძლიერ არ იცის აქ. მაგრამ ტერმომეტრმა ზოგჯერ ოცს გრადუსამდინ აიწია და ამდროს კარგათ ციოდა. ამ ყინვისთვის ვიღა ინაღვლიდა, მაგრამ დაუწყნარებელი ქარი რომ ჰქროდა, ხშირათ ქარიშხალიც, ეს ძნელია, ეს აწუხებს მეტათ კაცსა, სადაც დიდებულსა თოვლსა ხვეტს და მიაქვს არეულათ.

იმის წყალი ხომ პირუტყვსაც არ დაელევა, არამც კაცსა. წარმოიდგინე, იმის წყაროს წყალი, ერთი შამპანსკის ბუთლიკა დაადუღეს ცეცხლზე, საიდგანაც სამი მისხალი კირი დადგა. აბა ვინც იმ წყალს დალევს, რა კეთილი დაემართება? – აი ჩვენ ვსომდით იმას და არც კარგი მოგვივიდა. იქ სულ ასეთია იმის წყაროები, მდინარეკი იქ არ არის.

ეს ადგილი მეტი გაუძლებელი ადგილია, ზევითაც ვთქვი ესა, ამასთან ჰაერიც დიდი სავნებელი. ზაფხულს თურმე ციებცხელებაც იცის, რომელიცა მე არ ვიყავი ამ დროს, ასე მითხრეს და ზამთარში სკორბუტია ძლიერ, იმისი კი მოწამე ვარ. ხუთასი კაცის

[1] ეს ციხე ბოლოს გააუქმეს და მანგიშლაკს გადიტანეს, რადგან გაუძლებელი ადგილი იყო ყოვლისფრითა ალექსანდროვკისა ციხე.

ატრიადიდგან[1], ერთი არავინ გადავურჩით, რომ არ გვჭირებოდა ეს სკორბუტი, ზოგს მომატებულათ და ზოგს ნაკლებ. ვინც კი მომატებულათ ავათ გახდებოდა, ჯერ ღრძილები დაუსივდებოდა, მერე ღრძილებიდგან ფეხებში ჩავიდოდა ის სიმსივნე და მასუკან გულში ავიდოდა, რომელიცა კიდეც მოკვდებოდა. ზოგს კი სუბუქათ გაგვიარა, მხოლოდ ღრძილებისა სიმსივნითა.

ერთი ჩინოვნიკი არ მომკვდარა, უფრო სალდათები და ყაზახნი დაიხოცნენ. უფრო იმიტომ, რომ იმათ ისეთი სასმელ საჭმელი და ის წამლები არა ჰქონდა, როგორც ჩინოვნიკებს ჩვენა. კიდევ კარგი დოხტურს მობიცს[2], თავისი საკუთარი კარგი სხვადა სხვა წამლები წამოეღო, მაგრამ რა იქნებოდა, დიახ ცოტა, რომელიცა იზოგავდა ნაჩალნიკისათვის და ჩვენ ჩინოვნიკებისთვის. ჩინოვნიკები სადილ ვახშმათ სულ იქ ნაჩალნიკთან იყვნენ, მაგრამ მაგთენი არა იყორა იმის სტოლი ხოლმე, სამი რიგი საჭმელი ძლივს, ისიც ხანდისხან წვნიანი რამ და კიდევ სხვა. მე არ მახსომს ტკბილი რამე ყოფილიყოს იმის სტოლზედ. ისიც ფთხილათ იყო, შუა ზამთარში არ დაგვკვლებოდა, თორემ ძალიან ხელგაშლილი პურადი კაცი არის ნაჩალნიკი, როგორც შვენის ჩვენს ქართველსა, სწორეთ ისეთია. თუ რომ მართლა ასე ფთხილათ არ ყოფილიყო, ცარიელს პურზე დავრჩებოდით, ამისთვის რომ ზღვა შეიკრა ზამთრის სქელის ყინულითა და მდიდარი ყირღიზები აღარ იყვნენ ციხის გარშემო, რომ იმათაგან ცხვრები მოგვევაჭრა, ფარჩეფისა და საწვრიმალოზედ, რომლებიცა გაგვიცვლიდნენ ხოლმე. ყირღიზებთან ეს ვაჭრობა არის: აქლემი, ცხვარი, ცხენი და საქონელი, მეტი სხვა სულ არაფერი. მინამ კიდევ ზღვა გახსნილი იყო, იმედი რამ გვქონდა ამბავისა ხმელეთიდგან, ერთხელ კიდეც მოგვივიდა, მაგრამ როცა შეიკრა, სულ იმედი გადაგვიწყდა. ვიყავით იმ ვაებიანს იმ უდაბურს ადგილს, მითამ ვატარებდით დროსა, მაგრამ ჯერ ქვეყნის მოშორებისაგან და მასუკან იმის ბუნების გამო მოწყენილობა უფრო ბევრი გვქონდა. ბევრჯველ ვიტყოდით ჩვენ.

„ნეტა რა ანბავი უნდა იყოს ქვეყანაზე? იქნება იქ საკვირველი

[1] ეს ატრიადი შედგებოდა: ნაჩალნიკი ჩილაევი, იმის პერევოჩიკი, ორი ჩვენ ლინეინის ბატალიონის აფიცრები, ორი აფიცარი კიდევ ყაზახისა და რამთენიმე უნკრები. ერთი უნკერი კავალსკი მწერლათ ჰყვანდა ნაჩალნიკსა. ეს იყო პალიაკი, 1831-ს წლის საქმისათვის გამოგზავნილი.

[2] ამ მობიცს შემდგომ დოხტური სკაჩკოვი იყო და მობიცის ადრე ადარაცკი.

მოხდა რამე, ჩვენ არა ვიცოდეთრა?“ აი ჩვენი ნუგეშის მცემელი სიტყვა ეს იყო, სხვა არსაიდგან არაფერი. ვიყავით კარგახანი ასე, რომელიცა ხმელზედ გურიევამდისინ 700-ს ვერსს გზას ამბობენ და ზღვაზედ ხომ ვიცით ზევით, რაერთია.

ატრიადსაც ჰქონდა ცხვრის სალანინა, (დამარილებული ხორცი) რომლებიცა იმას სჭამდნენ და ზედ იმ წყალს სომდნენ, ხანდისხანაც არაყს დაალევინებდნენ, მაგრამ რას უზამდა იმათ ის მცირედი შემწეობა იმ ადგილში? –

ზრუნვა დიდი ჰქონდა ნაჩალნიკს ატრიადისა, მაგრამ არსაიდგან გზა არ იყო, რომ სხვა ქვეყნიდგან მოეშველათ რამე, ატრიადის სიმრთელისთვის. ზრუნვა ჰქონდა ნაჩალნიკსა, მაგრამ იმის ზრუნვა უფრო მწუხარებას გვანდა, მინამ საშუალობა მოეპოვა. საშუალობა ამისთვის, რომ არსაიდგან ღონე აღარ იყო არაფრისა, ასე შევიკარით და დავემწყვდით იმ ადგილში.

ბოლოს ესეც გამოგვიჩნდა, რომ პური უნდა დაგვკლებოდა იმ ზამთარში, ამიტომ რომ ძველმა ნაჩალნიკმა კა... მოატყუა ჩილაევი წინააღმდეგობის გამო, მითამ ზაფხულამდინ პური იყოს იქა, მაგრამ ბოლოს ეს გამოჩნდა.

ნაჩალნიკი ჩილაევი იმაზედ აყაყანდა და ჯავრობდა ძალიან, მაგრამ გულისმოსვენებით იყო აუჩქარებლათა, რომელმაცა მაშინათვე თავის მწერალი კავალსკი და ერთი ყირგიზი ორუმბაი, რომელმაც რუსული იცოდა, გამოგზავნა ხმელზედ ორენბურღში წერილებით, ვოენი ღუბერნატორს პეროვსკისთან, პური მოაშველონ. *მეც სიხარულით გამოვატანე თქვენთან წიგნი, რომელიც კალულაში მოგერთოთ და მეორეც ჩემს ეკატერინას მოვწერე ქ. ტფილისში, ყოვლის სიყვარულით სავსე წიგნი!* მაშინ როდესაც რომ თოვლი მოდიოდა ქარით, გამოგზავნა, მაგრამ გზაზედ ძალიან ეშინოდა, რომ არ დაეხოცათ ყირღიზებსა. ანუ თოვლსა არ დაეხრჩო. ეს გაბედვა უღონობის ღონემ უყო.

ერთხელ ვსხედვართ მე და ნაჩალნიკი, რომელიცა მხიარულად მელაპარაკება რაღაებსაც და მეც გაუხუმრე.

– „სერ. გაბრ. ხუმრობთ, მაგრამ თუ პური დროზედ არ მოვიდა, რა ვქნათ? – “

გაიცინა და მერე თქუა.

– „ეგ ადრევე მიფიქრია, ნახევარის ატრიადითა წავალ, სადაცა

იქნება დავეცემი; ყირგიზების ბევრ ცხუარს მოვიტაცებ, ესეც ჩვენი პროვიანტი.“

– „უცხენო ყაზახებით ხომ ვერ წახვალთ და თქვენი საჭირო ცხრა ცხენი კი ცოტა არის, რომლებსაცა იმათ ძლივს ინახავთ, ამისთანა მწირს ადგილში? –“

– „ქვეითის ჯარით წავალ, სულ ერთია.“

– „ეგ ხომ აგრე, მაგრამ კავალსკისა მეშინიან, ამ თოვლს ქარში არ დაიხრჩოს სადმე? –“

– „რა ვიცი? – ყირღიზულად კარგათ თბილად ჩავაცვი და მგონია ფიქრი აღარ ჰქონდეს? – “[1]

მეორე პერევოჩიკი, გვარათ გრიგორევი ერთხელ ჩემთან შემოვიდა სხვა და სხვას ლაპარაკში, უცნაური ამბავი თქვა გასაგონათ ყურის მისაპყრობი, მაგრამ საამოთ კიარა. არაფერი. აი ამბავი ის, რომელმაცა ყირღიზების ამბავი ყველა კარგათ იცის.

„ორი ძმები ყირღიზები და ერთი ბაშკირი[2] მოდიოდნენ ყირღიზების აულიდგან ორენბურღში, იყო ზამთრის პირი და მინდვრათ მოდიოდნენ. ამ დროს აუქროლდათ ქარიშხალი, თოვლმა ძალიან აურია, რომლებმაცა ვეღარ დაინახეს ვერაფერი, სრულად. გზა დაკარგეს და მინდორში დაეხეტებოდნენ, არ იცოდნენ, სად და რომელს მხარეს მიდიოდნენ. ამ დროს არეულობამა უარესათ მოუმატა, გაგძელდა ეს არეული ქარიშხალი, თითქმის ოთხი თვე იქროლა ასე მოუწყვეტლათ. იმათ სიარულში გავიდა ათიოდ დღე, საჭმელი იმათ პირს არ ენახა, გაუჭირდათ შიმშილითა, აქ ცხენების კუდებიდგან

[1] ცხენის ტყავი ხალათურათ არის შეკერილი, ბეწვი გარედგან აქვს საჩენზე და შიგნითი პირი სარჩულით არის გადაკრული, რომელთაცა ამის ქვემოდგან კიდევ სხვა თულუფი აცვიათ და შალვლადაც ამის ტყავსა ჩაიცომენ და საშინელს თოვლიან ქარიშხალში წავლენ და არადროს არ დაერიდებიან ხოლმე არა მგზავრსა. აი ის ლაპარაკი: ყირღიზს არა უშავსრა, რაც უნდა დიდი თოვლი და რაც უნდა დიდი ქარისაგან არეულობა იყოს, ყირღიზს არ ეშინიან და ვინც იმასთან არის უცხო კაცი, იმასაც და თავის თავსაც მშვიდობით გადაარჩენს, თუ თავიანთებური თბილი ტყავის ჩასაცმელი აქვთ და თავზედაც შაქრისებური ქუდი ხურამთ, არაოდეს არ შეეშინდება ყირღიზს, იმ მოხვეწილს მინდორში და იმისთანა არეულობაში.

[2] თუმცა, ბაშკირები გაყოფილი არიან ყირღიზებზე, მაგრამ მაინც ერთი ჩამომავლობისანი უნდა იყვნენ, ამისთვის რომ სახე ერთი აქვთ, ტანისამოსი ერთგვარი აცვიათ, და ენასაც ერთგვარსვე ლაპარაკობენ წამხდარს თათრულს ენას, მაგრამ ბაშკირები ამითი უფრო სხვანი არიან ყირღიზებზე, რომ ზამთარში სახლებში ცხოვრებენ და ზაფხულში მინდვრად გავლენ და ალაჩუხებში დგანან. ზამთრით სახლებში რომ დგანან, ის რუსებს უსწავლებიათ დრო და ჟამის გამო.

სისხლი გამოუშვეს, ის მოწოვეს,[1] იმითი გაიმაგრეს თავი და კიდევ წამოვიდნენ. ამ ყოფით როგორც იყო, კიდევ რვა დღე მოდიოდნენ, მაგრამ დიდათ გაუჭირდათ შიმშილით. მეტი ღონე რომ აღარ ჰქონდათ, ერთი ცხენი დაკლეს. რაც უნდოდათ, იმის ხორცი ჭამეს და სხვას, რასაც მოერივნენ, წამოიღეს, წამოვიდნენ, მაგრამ მაინც ვერ გაიგეს გზა. მოკლეთა ვთქვათ, ის ცხენებიც თითვეულად დაკლეს, ისე ჭამეს, ისე წამოიღეს, როგორათაც იმ პირველის ცხენის ხორცი, მაგრამ მაინც არა ეშველათ რა, გზა ვერ გაიტანეს საშინელი ქარიშხალის და არეულის თოვლის გამო. ბოლოს ძალიან რომ გაუჭირდათ შიმშილით, იმ ორთა ძმათა ყირღიზებმა, ის ბაშკირი მოკლეს; იმის ხორცი ჭამეს და თანაც წამოიღეს, მაგრამ მაინც არა გაეწყოთ რა, კიდევ ისეთი არეული დრო იყო, რომლებსაცა კიდევ გაუჭირდათ შიმშილით, იქამდისინ, რომ ის ყირღიზი ძმები, ერთმანეთს აუმტერდნენ, რომელიცა ის ერთი დაეშურა, მიეპარა თავის ძმასა და მძინარე მოკლა. გაძღა იმის ხორცით და იმისივე საგძლის ხორცით წამოვიდა. ამასთან ის ძლიერი ქარი დადგა, ასე ჰგონია, განგებ და იმ ძმისა მკვლელმა, ორენბურღის გზა იპოვა, მოვიდა იქ, სადაც ყუელა იმის პირით გავიგონე, როგორც ყოფილიყო. მე არ ვუჯერებდი, მაგრამ მან თავისი ძმის ხელი, უბიდგან ამოიღო და სიმწარით დაიძახა ტირილითა: ნუღარც ახლა დაიჯერებთ, აი ჩემის ძმის ხელი.“ აქ დასრულდა ეს ანბავი, თქმული პერევოჩიკისა, მაგრამ არ მიამა მე ამისი გაგონება; პირი დამეღრიჯა და ხმა ვეღარ ამოვიღე კარგა ხანი. შემდგომ გონებაზე მოველ, ვკითხე.

– „მაშ ცხენებმა იმთენი შიმშილი როგორ მოითმინეს, იმ დიდს თოვლში, იმისთანა ქარიშხალის დროსა?“

– „იმათი ცხენები და საქონელი ისე არის დაჩვეული შიმშილში და სიცივეში, როგორც თვითონ ყირღიზები. ჩემი თვალით ვნახე დიდის ყინვის დროსა, ძროხამ ხბო მოიგო გარეთ მინდორს იმ ყინვას თოვლში; ძროხამ მაშინათვე თავისი ხბო ქვეშ ამოიდო და თვითონ ზედ გადააწვა. მინამ თავის მუცლის სისველე ჰქონდა, არ გაუშო

[1] ყირღიზებს შიმშილით რომ გაუჭირდებათ, ასე იციან თურმე, რომლებსაცა ბევრი ამისთანა მაგალითები მოუხდებათ ხოლმე, ნამეტნავად ერთიერთმანეთზე ბარანტადრომ წავლენ, (ესე იგი სათუოდ) ოთხას და ხუთას ვერსს ერთმანეთზე და საჭმელს რომ ვეღარ იშოვნიან ორი კვირა მეტი, მაშინ თავიანთის ცხენების კუდებიდგან სისხლს გამოუშვებენ წოვნას და რამთენსამე დღეს ამით მოიკვლენ თავიანთ შიმშილსა.

და როდისაც წმინდათ გაულოკა ენით, თვითონ ადგა და ხბოც ფეხზე დადგა, რომელზედაც ყინვამ ვეღარ იმოქმედა, ხბო სრულებით კარგათ დარჩა უვნებელი. შემდგომ ძროხამ თოვლი ფეხით თხარა და ბალახი ჭამა იმთენი, რომ გაძღა. ისე იმათი ცხენებია, იმათთვისა ის სიცივე, სრულებით არაფერი არის.“

რაც რომ ყირღიზები მე გავჩხრიკე, სწორეთ მეც ასე დავინახე ის ქოჩარი მინდვრის ხალხი.[1]

გარდა ამაებისა, იმათ სარწმუნოება მაჰმადიანთი აქვთ, მაგრამ სწორეთ კი არ უჭირავთ. ყირღიზი ლოცვის დროსა ჯერ წრეს შემოივლებს გარსა და მასუკან შიგ ილოცავს. მეორე, იმათი სახე კალმუხისა არის. მესამე, დედაკაცი კაცს არ ემალება, ვინც რომ უნდა იყოს. მეოთხე, დედაკაცებს და კაცებსა თითქმის ერთგვარათ აცვიათ ტანთა და შაქარსავით წოწოლა ქუდებიც ერთი არის. მეხუთე, სულ ცხენებით, აქლემებით დაიარებიან, ქვევითნათ კი ზარმაცობენ. მეექვსე, ვაჟკაცობით სულ არ ვარგებულან, ცხენზე კი ყირღიზი ტანტალს ბევრს აიტანს, იმდონს სიარულსა ძნელათ შესძლებს ვინმე. მეშვიდე, იმათი ყოფაქცევა ბრიყვულია, კაცისა და დედაკაცისაც. მერვე, პურს არ სჭამენ, იმათი სამუდამო საჭმელი, უფრო ცივათ გაკეთებული ხორცი: ცხვრისა, ცხენისა, აქლემ–კოზაკისა, ანუ საქონლისა. სასმელათაც ცხენის მჟავე რძე აქვთ, რომელსაცა ჰქვიან: ყუმიზ. მითხრეს, მითამ იმ ყუმიზის დედა ბევრსა, ათასის წლისა კიდევ მეტი ჰქონდეს. სწორეთ მე ვერ დავამტკიცებ ამას, მართალია თუ არა? – რაც რომ მითხრეს, იმასა ვწერ, ვინც პირველათ იმას დალევს, სულ არ იამება, ბოლო დროს კი მართლა კარგი სასმელია, ნამეტნავად, ვინც რომ კარგათ გააკეთებს. მეცხრე, სტუმართ მოყვარულები არიან. მეათე, იმათი აქიმობა სხვისა და სხვის ოინებით და ძახილით არის, მითამ ეშმაკს აგდებს ავანტყოფობისაგან, მაგრამ ბევრი იმათი ავანტყოფი ასეთის სასოებით მიიღებს იმ ოინებს, რომ ავანტყოფი კარგათ შეიქნება. მეთერთმეტე, ღარიბი ყირღიზები მეტი შესაბრალისნია. ჩემი თვალით ვნახე, ცხვარის ძვლებსა ჰკრეფდნენ ციხის გარეშემო, ეს მიჰქონდათ თავის ღარიბს ალაჩუხებში, იმას კარგათ მოხარშავდნენ და იმის გამოხარშულს წვენსა სომდნენ ხოლმე. ეს იმათი სარჩო იყო და ძღებოდნენ კიდეც, ყოველს დღესა მონაკრეფის ძვლებით,

[1] ქოჩარი თათრული სიტყვაა და შესაბამი სიტყვაც არის ჩვენი.

ჩვენი სამზარეულოსი და სალდათების კუხნებიდგან გადაყრილი.

ერთს იმათგანს ყირღიზს ვკითხე.

– „რუსები რომ აქ არ იყვნენ, რით რჩებოდით მეთქი?“

– „სადაც სარჩოს მქონე ყირღიზები დგანან, იმათ მახლობლათ ვდგევართ ხომ და იმათის ნასუფრალის ძვლებით ვრჩებით, მაგრამ ახლა რუსებისაგან უფრო ბევრს ძვლებს ვშოვობთ და კარგათაც ვძღებით.“

რა დროსაც გაზაფხულის ჰაერი შევიდა ზამთარში, თავიანთის წესისამებრ ყირღიზები, ბინებიდგან აიყარნენ; წყნარაწყნარა წამოვიდნენ თავიანთის ალაჩუხებით და კარგ სიცხემდისინ რუსეთის სამძღვრამდისინ მოაწიეს. ესე იგი, ათასზე და ათასხუთას ვერსზე თუ კიდევაც მეტი არა, თავიანთის აქლემ-ცხენებ-ცხვრებით და საქონლით, რომლებიცა რუსებს გაუცვლიან ამ პირუტყვთა, ნამეტნავად ცხვრებსა,[1] თავიანთის საჭიროებისთვის, ფარჩაფურჩაზედა, კვალად საწვრიმალოზედა და სპილენძსაც გაიტანენ ქვაბ ტაფებსა, ანუ ჭურჭლებს, სადაც იქვე პურის ფქვილსაც იყიდიან, კიდევ გაცვლით. ჯერ კი ფული არ მუშაობს ყირღიზებში, რომლებიცა იმ ფქვილს ადუღებულს წყალში ხსნიან, ბევრს ხომ არა, ცოცოტას და დალევენ ისე, როგორათაც ჩვენ ვსომთ ღვინოს. ამას ჰქვიან ყირღიზულათ: ბალამიკ. ამას უფრო ზამთარში სმენ, რადგან მაშინ ჭაკი ცხენი არ იწველის; ზაფხულშიკი სულ ყუმიზსა. ამის დედა ყოველთვის აქვთ. როდესაც კიდევ შემოდგომის პირი, ახლა იქით იმ რუსეთის სამძღვრიდგან იყრებიან, წყნარა ნელა ისევ მივლენ, იმ პირველს ზამთრის ადგილებში, უფრო ცოტათ თბილა. ასე ამ წესითა, ხან ქვემოდგან ზევით წავლენ რუსეთისკენ და ხან იქიდგანა ქვემოთ ჩავლენ. ცხოვრება ყირღიზისა, აი ასე არის. არც ჩვენ დავრჩით უყირღიზოთ, აქაც მოვიდნენ აქ ციხისგარეთ ვაჭრობის ცვლა გაიმართა, ჩვენ ერთი აქლემი, ცხენიც გამოვართვით, მომატებულათა ცხვრები, ეს უფრო საჭირო იყო ჩვენთვის, რომლებმაცა ჩვენც იმათ მივეცით მაგიერი ესა: პურის ფქვილი სალდათური, პატარა უბრალო სარკეები, ნემსი ქინძისთავი, სათითე და კიდევ სხვები საწვრიმალო. ამასთან ფარჩაფურჩა მდარე. ეს ვივაჭრეთ აფიცრებმა, ნაჩალნიკის ბძანებითა სულერთიან ატრიადისთვის, მაგრამ იქ იმთენი შემძლებელი ყირღიზები არ მოვიდ-

[1] უფრო ეს ბევრია ყირღიზებში.

ნენ, თუ მოვიდნენ, დიაღ ცოტა, ამიტომ რომ ციხიდგან ცოტას რასმე გაიტანდნენ, იმათ ეს იცოდნენ კარგათ, ამიტომა დიდი ძალი და მდიდარი ყირღიზები, რუსეთისკენ გაიმართნენ შორით მინდვრიდგან და ბოლოდროს ციხიდგანაც იქით გაემგზავრნენ. ეს ნასყიდი ჩვენი, კარგახანი გვეყოფოდა ჩვენა და შემდგომ უფრო ადვილათ ვიძოვდით იმ ზაფხულის სათიბში. მართლაც ასე იყო, მოდიოდნენ ყირღიზები და მოგვყიდნენ ცხვრებსა, რაც საჭირო იყო ჩვენთვის. მოდიოდნენ შიგნით მინდვრიდგან, არც მდიდარნი, მაგრამ ჰო კიდევ ჰქონდათ რამე. ისინი მოდიოდნენ, ვინც მინდორში დარჩნენ, რუსეთისკენ არ წავიდნენ.

როდესაც ყირღიზი ორუმბაი და კავალსკი გაისტუმრა ნაჩალნიკმა, ერთ თვეს უკან ორუმბაი ისევ მოვიდა ალექსანდროვკაში გურიევიდგანა და წიგნები მოგვიტანა ფოშტით მოსული გურიევში. ზღვა რომ შეკრულიყო ყინულითა, იქ იყო დარჩენილი ის წიგნები, რომელთაცა დიდათ გავიხარეთ.

ბატოიშვილის დედიჩემის წიგნმა, ბევრი, ბევრი სიამოვნე მამცა, მაგრამ ბოლოდროსკი შემაწუხა. სიამოვნე მამცა იმითი, რომ მშვიდობით იმყოფება; მწუხარება ამიტომ, რომ აი, რა ვთქვი ცრემლით:

„არ ვიცი დედა ჩემი, იმ ცივის ჰაერში ქ. კალუღაში, როგორ გასძლებს? მინამ მე იმის ვნებას გავიგონებ, ღმერთსა ვთხოვ, რომ ჩემი სული მიიბაროს.“

ჩემი ეკატირინეს წიგნებიც ოთხი ერთათ მამივიდა, ყოვლის სიყვარულიანის სურვილითა სავსე და მწარე ცრემლიანი, რომელსაცა უნებურათ მეც იმისთანა ცრემლი გადმამცვივდა, რა ვქნა ვეღარ შევიმაგრე და ვტიროდი კარგახანი, უძლური და მცირე სული. თავის პატრეთისა მოეწერა – „მოვინდომე ჩემი სახე მხატვარს დაეხატა, ის პატრეთი მანდ მოგსვლოდა, მაგრამ შენმა ნათესავებმა ასე მითხრეს: პატრეთის გაგზავნა, ავათა გვაქვს დაცდილიო. მე არ ვიცი საიდგან რა დაუცდიათ, მაგრამ დავუჯერე. მაინც შენთანა ვარ, შენ წინ ვდგევარ განუშორათ და შენ ჩემთან ჩემო სანდრო.“

ასე თუმცა ჩვენი პატარა შვილების კარგა მყოფობა მოეწერა, მაგრამ თან ესეცა დაეტანა: დათიკა შეუძლებლობს და ავათ მყავს ძალიანო. გული ამიშფოთდა, იმთენი დახოცილი ჩვენი შვილები მამაგონდა და იმ დათიკოსიც იმედი გადამიწყდა.

ბოლოს სერგეი გაბრიილიჩთან გამოვედი, ვუთხარ ყველა, რო-

მელმაცა ნუგეში მცა. მასუკან ორუმბაის დააძახებინა, შემოვიდა და დაუწყო კითხუა.

– „აქედგან რამთენსა დღეზე მიხვედით თქვენ გურიევსა?“

– „ათ დღეზედ, მაგრამ დღე და ღამეც ვიარეთ.“

– „მერე კავალსკიმ შესძლო?“

– „ძალიან ძნელათ.“

– „როგორი დღეები დაგიდგათ აქედგან?“

– „პირველი დღე ცუდი და მასუკან დიახ კარგი.“

– „საჭმელი ხომ არ დაგაკლდათ?“

– „რაც აქედგან საჭმელი წავიღეთ, ხუთ დღეზე შევჭამეთ, მაგრამ გზაზედ ყირღიზების აულები მოდიოდნენ, იმათ ვართმევდით ხოლმე, ცხენისას და ცხვრის ხორცსა.“

– „მერე კავალსკი, კარგათ სჭამდა ცხენის ხორცსა?“

– „უცხოთ და კარგათ, როდისაც მოშივდებოდა.“

– „გურიევს ბევრი ხანი მოიცადა კავალსკიმა?“

– „გურიევს რომ მივედით, მაშინვე თქვენი წიგნი მიუტანა იქაურს ნაჩალნიკს, დაუყოვნად პოვოსკა მოატანინა, შიგ ჩაჯდა და სწრაფათ გასწია, რომელმაცა თქვენი წიგნებიც, სულ ერთიან თან წაიღო.“

– „მაშ კავალსკიმ წიგნი არ მომწერა?“

– „დიახ მოგწერათ.“ ამოიღო, მოსცა. წაკითხვის შემდეგ.

– „შენ რამთენი ხანიღა დაგიგვიანდა გურიევს?“

– „ხუთი დღე, ამისთვის რომ გურიევის ნაჩალნიკი ფოშტას მოელოდა, როდისაც მოვიდა, მაშინვე გამამისტუმრა და პარკით წიგნები გამამატანა თქვენთან, რომელიცა წეღან მოგართვით.“

– „გურიევიდგან რამთენი დღე იარე აქამდისინ?“

– „ორი კვირა.“

– „რათა, რა მიზეზმა დაგაგვიანა?“

– „ერთი კვირა დიახ კარგი დღეები დამიდგა, მასკვან დიდი ქარები დაიწყო, თანაც თოვლი, რომელიცა წყნარა წყნარა მოვიდოდი და გზას ძლივს ვიგებდი, ნამეტნავად ერთს დღესა, სულ ვეღარა გავიგერა, საშინელი არეულობის გამო. მეტათ რომ შევწუხდი იმ თოვლის ქარისაგან, მივედი და ერთს დაბლობს ადგილში ჩავწექი. მაშინვე ქარმა თოვლი გადმაფარა ზედა და მინამ საშინელი არეული თოვლიქარი იყო, შიგ ვიწექი თოვლის ქვეშა.“

– „მერე ბევრი ხანი იწექი თოვლის ქვეშა?“

– „ერთი დღე და ღამე.“

– „მიკვირს, როგორ გასძელი?“

– „ბევრი იმისთანა დროები შეგვემთხვევა ყირღიზებსა და რამთენსამე დღესა, თოვლის ქვეშ ვწევართ.“

– „თოვლს ქვეშ რომ იწექი, სულს საიდგან იბრუნებდი?“

– „მათრახის ტარი ცხვირთან და ტუჩებთან მეჭირა; სასულეს ვიკეთებდი და იქიდგან ვიბრუნებდი სულსა.“

– „მაშ შენი ცხენი სადღა იყო იმ დროს?“

– „ყირღიზების ცხენები დაჩვეული არის. როდისაც იმისთანა შემთხვევა მოგვიხდება ხოლმე, ჩვენს გარეშემო ტრიალებენ; ფეხის ფრჩხილით თოვლსა სთხრიან, პირით ბალახს იღებენ და იმასა საჭმენ.“

– „თოვლის ქვეშ რომ დარჩებით, არაგცივათ?“

– „არც ცივა და არც თბილა.“

– „არეულობის დაწყნარებას, როგორღა შეიტყოფთ?“

– „კარგათ გვესმის იმისი ხმა. როდესაც დაწყნარდება, წამოვდგებით, ტანისამოსს ხელით გავიბერტყამთ, ცხენზე შევჯდებით და ჩვენს გზასა წავალთ.“

– „მაშ ახლაკი წადი, პური ჭამე, მე ვიცი რომ გეშიება?“

– „არა, აგრე რიგათ არა მშიან, რომ მოთმენა არ შემეძლოს.„

– „მე ვიცი, რომ დღეს მშიერი იქნები შენ?“

ორუმბაიმ გაიცინა და მასუკან მოახსენა.

– „არამცთუ დღესა, მთელი ერთი კვირა იქნება, არა მიჭამიარა.“

– „როგორ, მართლა?“

– „მართლა მოგახსენებ. ერთი კვირა აულებზე მოვიდოდი, იქ ვჭამდი, მასუკან თოვლი ქარი რომ დაიწყო, არეულობისა გამო, ვეღარ გავიტანე, აქამდისინ მშიერი ვარ.“

– „მერე აულები არსად იყვნენ, იქ გეჭამა?“

– „არა, აღარ შემხვდა, არსად იყვნენ.“

– „მაშ კიდევ შეგიძლიან, შიმშილი მოითმინო?“

– „ოთხიოდე დღე კიდევ.“

სერგეი გაბრიილიჩმა მზარეულს დააძახებინა, უბძანა, რომ ურუმბაისათვის ერთი ცხვარი მიეცა, როგორც უნდა, ისე გაეკეთებინა თავისთვის.[1]

---

[1] ბევრი ყირღიზი თურმე სანაძლეოზედ თვითო ცხვარს შესჭამს. იმას ეძახიან:

სერგეი გაბრიილიჩმა რამთენიმე ორენბურღიდან წამოყვანილი ყირღიზები გაისტუმრა და შორ მინდვრიდგან ყირღიზები მოაყვანინა დასამეგობრებლად, რომელნიცა კარგის საჩუქრებით გაისტუმრა და ყველანი დაემეგობრნენ.

ამ დროებში ამისთანა ზამთარი რომ შეიმუსრა, იმისთანა უსიამოვნო ბუნებაზე ზამთარი მოკვდა და გაზაფხული გვეწვია. ზღვამაც ყინული ჩაიდნო და მცირე ხომალდებმა ზედ სიარული დაიწყეს თეთრი აფრებით. თუმცა ქარიშხალი კიდევ და კიდევ ჰქროდა, მაგრამ იმას ვიღა დასდევდა. ამისთვის ჯიანჭველებსავით კარზედ გამოვხედეთ და ზღვას ტრფიალება დავუწყეთ ყველამ. ნამეტნავად მე...

იმ ზამთარში ის სკორბუტი დაგვერია და როგორათაც ზევითა ვთქვი, არ გადვურჩით არვინა, მაგრამ ჩვენ კი სუბუქათ გაგვიარა, მხოლოდ ღრძილების სიმსივნითა, როგორც ზევით ითქვა.

ჩვენ ჩინოვნიკებს კი არაფერი, კარგის წამლობით და რიგიანის საჭმლით, იმ სენისგან მოვრჩით, მაგრამ სალდათ–ყაზახები შესაბრალისი იყვნენ. ხუთასის კაციდგან ბევრი დაიხოცა, მგონია ასამდინ, სწორეთკი არ მახსომს. გამოგზავნილი სალდათი პალიაკებიც ბევრი იყვნენ,[1] ისინიც კარგა დაიხოცნენ. ის საწყალნი არ ნაღვლობდნენ სიკვდილისთვის, თითქმის უხაროდათ კიდეც. იმათზედ რა ვთქვა რაღა?..

ისინიცა ისე იყვნენ ჩემსავითა თავის მამულიდგან განდევნილი 1831-ს წელსა, როგორც მე ჩემი მამულისათვის. ამისა მაყურებელს, ჩემი გული მტკივნეულად იყო იმათთვისა.

იმთენის მსხვერპლის გამო, ბოლოს წესად დასდეს, რომ ექვს თვეში ერთხელ გამოცვალონ ის ატრიადი და კიდეც ცვლა დაუწყეს, ერთი გაზაფხულზე და მეორე შემოდგომას, მინამ მანგიშლაკზე გადიტანდნენ ციხეს.

იმისთანას დაღონებულს დროსა, იმ ზამთარში ჩვენი დიდი შექცევა ის იყო, რომ ნაჩალნიკთან ვიყავით სადილვახშმათ აფიცრები, ჩვენის დოხტურითა და სხვისა და სხვის ლაპარაკით ვატარებდით დროებას. მეტათ უფრო დოხტურთან, კარგს კაცთან, კარგს მსწავლულთან და საუცხოვოს მოლაპარაკესთან, თორემ აფი-

---

ბათირ. ჩუენებურათ გმირი. გამოჩენილს ვაჟკაცსაც ამას უძახიან.

[1] 1831-ს წლისთვის პოლშიდგან.

ცარებთან მაგთენი არაფერი. იმათთან უფრო სამსახურზედ, ანუ ამ გვარებზედ; დოხტურ მობიცთან კი ყველაფერზედ, რაც გნებავდათ. *ახ კარგი აქიმი იყო და კარგი ჭკვიანი მოლაპარაკე, მაგრამ ისიც იმ კარგ სიტყვებს გადაჰყლაპავდა და შესაბრალისად დაღონდებოდა.*

ჩვენი ნაჩალნიკი ყოვლის ღონით ცდილობდა, რომ ჩვენ როგორმე დროები გაგვეტარა კარგათ, ანუ მხიარულად, მაგრამ იმ საშინელს ბუნებას, მასუკან იმთენს ავანტყოფებს და მომაკვდავებს რომ მოვხედავდით, ყოველი სიამოვნე ჩაკვდებოდა ჩვენს გულში და მაშინვე სევდა მოგვიცავდა. მეორეც ეს იყო ჩვენი დროების გატარება, რომ ნაჩალნიკს ცოტაოდენი რუსული წიგნები წამოეღო თანა და იმას ვკითხულობდით ხოლმე, რომელთაცა თითო რუსული წიგნი, მგონია სამჯერ მაინც გადვიკითხეთ. ის კი უფრო ფრანციცულს წიგნებს კითხულობდა, ბევრიც ჰქონდა თანა.

ერთს დილაზე ადრიან დაიძახეს. სუდნა მოჩანს და გურიევის მხრიდგან მოდისო. მე და სერგეი გაბრიილიჩი, ესე იგი ნაჩალნიკი, გამოვედით, თავთავის დურბინდში გავიხედეთ. გავარჩიეთ და ვნახეთ, რომ სამოც ვერსზე მოჩანდა, მოგზაურის სწრაფი ქარით საჩქაროთ მოცურავდა სრულის ასხმულის აფრებითა. უნამეტნავესი ჩვენი სასიამოვნო ამბავი ეს იყო ხოლმე, როდესაც ჩვენსკენ მომცურავს სუდნას დავინახამდით, ამისთვის, რომ ქვეყნის ამბავს და წერილებს მოველოდით, მაგრამ დიახ იშვიათად მოგვდიოდა ესრეთი სუდნა და ამბავი. მომცურავს სუდნას კარგა ხანი ვუყურეთ და შემდგომ შინ შემოვედით.

ამაში ერთს დილაზე დაიძახეს. – „კავალსკის ჩუენთვის პროვიანტი მოაქვს ყინულზედ.“

ყველანი სიხარულით გამოვცვივდით, მე და ნაჩალნიკმა თავთავის დურბინდებში გავიხედეთ, ვნახეთ, რომ გურიევის მხრიდგან, უფრო ზღვის ნაპირის მახლობლათ, გაბმულს სქელს ყინულზედ, დიდი გძელი ქარავანი მოდიოდი, მარხილებზე დადებული პროვიანტი ცხენებ შებმულები, რომლებსაცა მე და ნაჩალნიკსა უფრო მომატებით გვიამა ეს, ამიტომ, რომ წინა ღამეს ნაჩალნიკმა საიდუმლოთ მითხრა: „თუ ამ სამს დღეში პროვიანტი არ მოვიდა, მეტი ღონე აღარ არის, უნდა ყირღიზების ცხვრები მოვიტაცო, სადაც იყოს იქიდგან. ჯერ კი ეს საიდუმლოთ გქონდეს შენა.“

მოვიდნენ და მოვიღევით პროვიანტი. ჩვენს გასაკვირად ძველს ნაჩალნიკს წამოელო პეროვსკის ბძანებითა და კავალსკიც იმას მოჰყვა თანა, რომელიცა ძველი ნაჩალნიკი ისევ გატრიალდა საჩქაროთ იმავ მარხილებით და წავიდა გურიევის ქალაქისკენ, სადაც მანძილ მანძილ თივა ქერი ცხენებისთვის, ყაზახებს მოეტანათ სამზადისი, იმავ გზაზედ ყინულზედა გურიევის ქალაქამდინ. კარგი სქელი ყინული დაეჭირა ზღვას, ზღვისა ნაპირიდგან შიგნით ზღვაში მგონია ასი ვერსი კიდევ მეტი, ასე გაბმით გუერიევის ქალაქამდინ, რაზედაც ის ქარავანი მოდიოდა. აქ ცოტათ გავიმაგრეთ თავი, კიდევ რაღაებიც მოგვივიდა, კანფეტი და ხილი, ამასთან გაზეთები წასაკითხის წიგნებით, რომლებმაცა ცოტათ ვინუგეშეთ, მაგრამ მაგთენათ არაფრათა. ის ადგილი, ის ჰაერი და ის წყალი, მეტათ გვჩაგრავდა.

გავატარეთ როგორც იყო ის ზამთარი, ბოლოს, როცა ზღვა გაიხსნა და ყინული აღარ იყო, მგონია აპრილის გასულს? ამ დროს ყაზახების ნავი გაჩნდა გურიევის ქალაქიდგან და ანბები მოგვიტანა, ამასთან მოწერილი წიგნებიც. გვიამა და გავიხარეთ; უღიმარი ჩვენი პირი, ახლა ღიმღიმს მოჰყვა.

ხანი რამე კიდევ რომ გამოვიდა, ერთს დილაზე დაიძახეს გარეთ: „გურიევის მხრიდგან ზღვაში სუდნა მოდის.“

კიდევ დურბინდებით გავარჩიეთ, რომ სამოცს ვერსზე, ჩვენკენ სუდნა მოცურავდა, მოგზაურის ქარით კარგა ჩქარა, ასხმულის აფრებითა. რასაკვრელია ესეც გვიამა. იმ მომცურავს სუდნას კარგახანი ვუყურებდით ცნობის ნდომით, გვსურდა ჩქარა შეგვეტყო რამე? –

შუადღის დროზედ ზღვის პირიდგან ყაზახი ამოვიდა და ნაჩალნიკს მოახსენა.

– „გურიევიდგან წამოსული სუდნა, ეხლა ზღვის პირს მოდგა და თქვენი მაგიერი ახალი ნაჩალნიკი მოიყვანა თანა, თქვენს გამოსაცვლელად.“

– „რა ჩინი აქვს და ან რა გვარია?“

– „პოდპოლკოვნიკი ლიხაშოსტოვი.“

ნაჩალნიკი მე მამიბრუნდა და კმაყოფილის სიტყვით მითხრა.

– „როგორც ვასილი ალექსეიჩი დამპირდა: გაზაფხულზე გამოქცვლიო. სწორეთ ისე ამისრულა, მაგრამ თუ შენ მაგიერი აფიცარი

ეხლა აქ არ არის, როდისაც ორენბურღში მივალ, ნაჩალნიკ-შტაბს აღარ მოვასვენებ და ჩქარაც გამოვაგზავნინებ შენს მაგიერსა.“

მე მადლობა ვუთხარ.

შემდგომ კიდევ მითხრა.

– „მაგრამ მანამდისინ ლიხაშოსტოვი ამოვიდეს აქა, მანამ დოხტურ მობიცთან უნდა გადახვიდე და იმასთან დადგე.“ ახლა დოხტურ მობიცს.

– „მე თქვენ ამას ჩაგაბარებთ, თქვენ იცით და ამან.“

– „სარწმუნო იყავით თქვენ მაგაზედ. მაგრამ თუნდა თქვენ არ გეთქოთ ჩემთვის, მაინც მე და ამას, დიდათ გვიყვარს ერთმანეთი.“

დაუყოვნად ჩემი ბარგი გადაზიდეს მობიცთან და მეც დავედევნე უკან, ერთათ დოხტურითა, რომელმაცა გზაზედ მითხრა.

– „მე იმ ლიხაშოსტოვს დიახ კარგად ვიცნოფ. ის არის მკაცრი ნაჩალნიკი და მართალი. ის არის კეთილი და პატიოსანი. იმედი მაქვს დრო მივიცე იმასთან, რომ ბევრი კარგი ვუთხრა თქვენზე და არც ტყუილს ვეტყვი.“

მე იმას ხელი გამოვართვი მადლობისა და მაგრათ მოვუჭირე.

რა მცირედი ხანი გამოვიდა, ახალი ნაჩალნიკიც ამოვიდა ზღვის პირიდგან ციხეში, რომელსაცა დოხტური მობიცი მუნდირით მიეგება წინა, ცხენით გადამხტარსა და ერთათ შეიარეს სახლში. მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, მეც იმათ დავებარებინე, რომელიცა დაუყოვნად წავედი. შესვლის უმალ, ჩილაევმა ხელი დამიჭირა, მიმიყვანა და წამოსადეგ კაცსა ჩამაბარა, ახალს ნაჩალნიკსა. იმან ხელი გამამართო და აღუთქვა: სერგეი გაბრიილიჩ, დაგარწმუნებთ, რომ მე ამისთვისა ვიქნები, როგორც თქვენ იყავით ამისთვისა.

უსერგეი გაბრიილიჩოთ, რომელსაცა ჩემს მეგობრათ ვსახავდი, ახლა დავრჩი უიმისოთ და შევწუხდი ძალიან. როდისაც ზღვის პირზედ გამეყარა და კასნოით გაემართა, გულმკვდარსავით წამოვედი ზევით ციხისაკენ და მაღლიდგან კარგახანი ვუყურებდი იმის ნავსა. ამ დროს უცებ დედა ჩემი ბატოიშვილი მამაგონდა, რომელმაცა მაშინათვე დავიძახე: წარვედ, დაიკარგე მოკლე სულობაო. და წამოველ მოსვენებულისა გულით.

ვიცი, ბევრი კარგი ეთქვა დოხტურს ნაჩალნიკისთვისა ჩემზე, რომელმაცა კარგათ შემითვისა, სადილვახშმათაც იმასთან ვიყავ განუყრელად, ერთათ დოხტურითა.

ერთს დილაზედ, იქ იმასთან ვიყავ, რომელიცა დიდათ სწუხდა, რიგიანი ჩინოვნიკი არავინ არა ჰყვანდა, რომ იმას შესწევნოდა. თუმცა კიდევ უღონოთა ვიყავ, მაგრამ ისე შეწუხებული რომ ვნახე, ვუთხარ: „დღესვე კარგამყოფობისა რაპორტს მოგცემთ და როგორც თქვენ გინდოდეთ, ისე მომიხმარეთ.“ დიდათ იამა და მადლობა მითხრა.

მართლა ამის შემდგომ, თავი აღარ დამიზოგავს, ვემსახურე, რაც შემეძლო ჩემის ღონით, რომელიცა დიდი მადრიელი იყო ჩემი. ასე კარგათ და ერთგულად რომ მნახა, ადუტანტათ დამაყენა; ამასაც ვუსრულებდი კარგათ და სხუებსაც. ამით იმის გულმა მოისვენა, ახლა სრულათ უჯავრელათ იყო, რომელმაცა ძალიან შემიყვარა და პატივსა მცემდა, რაც დოხტურს ჩემი ეთქვა ნაჩალნიკთან, იმის სიტყვაც გავამართლე და ეს კიდევ უფრო მიამებოდა.

როდისაც რომ კარგათ დავახლოვდი და მოსვენებით იყო ნაჩალნიკი, ამ დროს ორენბურღიდგან ბძანება მოუვიდა ჩემზე, საიდგანაც ჩემი მაგიერი აფიცერი მოვიდა პროპორშიკი ვოლმერი (პალიაკი) და მე დავებარებინეთ.

სწორეთ თქმა სჯობს გულახდით, რომ რაოდენ მიამა იმ ადგილიდგან მოშორება, ეგოდენათ სწუხდა ნაჩალნიკი ჩემს მოშორებას, ამისთვის რომ ის მოსული პროპორშიკი 1831-ის წლისთვის გამოგზავნილი ყოფილიყო პოლშიდგან, რომელიცა ბევრად უკეთესი იყო სამსახურში ჩემზედ, მაგრამ პალიაკი რომ იყო, არ იამა ნაჩალნიკსა იმის მოსვლა, როგორც რუსსა ის პალიაკი, ანუ პალიაკებსა როგორც რუსნი ეჯავრებათ. ამაზედ ბევრი ვიცინეთ მე და დოხტურმა.[1] მეც ხომ გამოგზავნილი ვიყავ, მაგრამ არა, იმ ორგვართა როგორც ერთმანეთი ეჯავრებათ, იმისთანა სიძულვილი არ იქნება.

იმ ვოლმერმა სხვა სალდათების კამანდა მოიყვანა ავანტყოფების გამოსაცვლელათ და ყაზახების გამოცვლასაც მოელოდნენ, ამის გამო წამოსვლას დავეშურენით მე და ერთი აფიცარი ჩვენის ავანტყოფების კამანდითა, რომელსაცა ჩვენს ნაჩალნიკს გამოვესალმენით, და ეგრეთვე ჩვენს დოხტურსა. მე კი ძალიან ვწუხდი იმათ მოშორებას; ისე კარგათ რომ ვიყავი ნაჩალნიკისაგან ანუ დოხტურისაგან მიღებული; იმათი კარგი მამაგონდა, ამან შემაწუხა და იმათაც ცრემლი მოუვიდათ თვალებში. ეგრეთ ჩვენს დოხტურსა.

[1] ნემეცი იყო დოხტურ მობიც.

ალექსანდროვკის (კასპიის) ზღვის პირიდგან ვიდრე შუა ზღვამდისინ რაც აღვწერე, პირველშივე წაიკითხავდით მას ჭეშმარიტ მოთხრობაში. რომელიცა ზოგიერთი თქვენც კარგად იცით ჩემო უგანათლებულესო მშობელო! ჩემი ცოლქმრობის ამბავი. თუმცა მას მოთხრობაში სხვა ზედ ვლაპარაკობ, მაგრამ პირდაპირ ჩემზედ რომ დამეწერა, უფრო სასიამოვნო არ იქნებოდა, ამისთვის სხვა ზედ დავიწყე ლაპარაკი, ვითომც იგი სხვა იყო და მე კი აღვწერე.

სუდნა ზღვაში შევაცურეთ და პირი გურიევისკენ გავმართეთ, მაგრამ 7-ს ივნისს შუა ზღვაში ასეთი ღელვა მოგვიხდა, რომ ცოტას გვიკლდა, არ დავიღუპეით. რომელიცა ჩემს მოთხრობაში აღწერილი მაქვს იგი ღელვა მას ჭეშმარიტ მოთხრობაში და მშვიდობითვე გადარჩომა.

ჭეშმარიტი სიყვარული

ე. გაიგონე.

ჯერ ეს უნდა ვთქუა, რომ მგონია საჭირო აღარ იყოს, ახალი ციხის ალექსანდროვკისა რამე აღიწეროს, რადგან ჩემი წიგნებით წვლილად იცი. ახლა მხოლოდ გთხოვ, რომა ესეც გაიგონო.

ახალს ალექსანდროვკაში, როგორც ვთქვი, ახლა ნაჩალნიკობს პოდპოლკოვნიკი ლიხაშოსტოვი, რომელიცა კასპიის ზღვის ცამეტ სუდნასაც ის ბძანებლობს და ესე სუდნანი ალექსანდროვკის ზღვის ნაპირზე ერყევიან და საითკენაც საჭიროება ითხოვს, იმ პოდპოლკოვნიკის ბძანებლობით მოქმედებენ ის სუდნანი.

თუმცა მხედრობა და სუდნა პოდპორუჩიკს კ... ჩააბარა, მაგრამ უხუცეს მატროს, კამანდის უნდეროფიცერს მოუწოდა და გვითხრა:

– „რადგანაც პოდპორუჩიკი კ... აპირებდა წასვლას ქ. ურალსკს თავის ბატალიონში, ამისთვის არ შეიძლებოდა, რომ იმისთვის არ ჩამებარებინა სუდნა და კამანდა, ამისთვის, რომ უფროსი ის არის, მაგრამ მე დარწმუნებით ვიცი, მინამ ბატალიონში გამოცხადდება, სიმთვრალისაგან თავს ვერ აიღებს. მასკვან ჩემზედ ხელი მოაშვირა და თქო. –„ამისთვის ამას (პრაპორშიკს ორბელიანს) დამორჩილდით, როგორც ამან გიბძანოთ, ისე მოიქეცით“. მერე მე მომიტრიალდა.

– „მე თქვენგნით ვიმედოვნებ, რომ თქვენ თანამდებობას არ დაივიწყებთ. და როდისაც გურიევის ნავთსადგურზედ დააყენოთ სუდნა, მაშინ როგორც უნდა, ისე განაგოს უფალმა პოდპორუჩიკმა.“ მე აღსრულების თავი დავუკარ.

უფალი პოდპოლკოვნიკის სიტყვა დიახ ჭეშმარიტი იყო.

რაღა გავაგძელო, მას სუდნაშივე იმყოფებოდა ერთი ფერჩამკრთალი თ˜ ა ვინმე ა... ო...

პოდპოლკოვნიკმა ლ... ახალის ალექსანდროვკიდგან მხედრობა გამოისტუმრა ერთის კარგის სუდნით, რომელმაცა პოდპორუჩიკს კილხინს ჩააბარა მხედრობა, ქალაქს გურიევს მიეყვანა, მაგრამ შემდეგ მე დამრჩა იმ მხედრობის და სუდნის ბძანებლობა, რადგან ავათ გახდა ისა.

მეც ასე გავეწყე სუდნაში ჯდომას ზღვაზედ სიარულს, რომ ყოველთვის მონატრე ვარ, *მღელვარე იყოს*, ზღვაში ვიყო და მე ნუ-

შასა ანუ დრომინში მჯდომელს თავის ღადოებზე მიმაქანებდეს.

მაშ, გთხოვ, წარსულის 7-ის ივნისის მღელვარეობა გამიგონო, ვითარ ზრიალებდა კასპიის ზღვა და კიდევ სხვა ამბავი.

1835-ს წელსა. 1-ს ივნისის საღამოჟამზედ.

ახალის ალექსანდროვკის ზღვისა ნაპირიდგან გავშალეთ სუდნის აფრები და მოკლეთა ვთქუა, რომ დაუდგრომელი ჰაერის გამო ხან ჩამოვხსნიდით აფრებს, რომელნიცა სუდნას ღუზასა დავაბამდით და ხან ისევ შევფენდით. ასეთის ტაატისა სიარულით ვაცურეთ სუდნა, ორასი ვერსტი რას ყოფით გამოვიარეთ და 5-ს ივნისს, შუადღის დროს კიდევ ღუზა ჩავაგდევით და ორს საჟენს სიღრმეზე დავდექით.

მცირე ხანს უკან ასეთი მოწმენდილი ჰაერი ჩამოწვა, რომ მცირედი სიო არსაიდგან არა სისინებდა: სრულიადი ზღვა, თვალუწდომ სწორე მინდორსავით გარს შემოგვერტყა, რომელიცა ჰაერისა და წყალის მეტი სხვა აღარა იხილვებოდა რა, თვინიერ გადმომზერი პირისპირი მზე ცხელს შარავანდედს ზედ გადმოგვცემდა, ამისთვის დამყუდროებული ზღვა უცხოთ კრიალებდა და ჩვენი შეურყეველი სუდნა მედიდურად იდგა ზღუაზედ.

რომელიცა ერთი ვინმე იყო იქა, დიახ ფერჩამკრთალი, შეწუხებულის სახით. სახელათ ერქო ა... იმან იკითხა:

– „ჩემს მოსამსახურეს თაბრუ კიდევ ესხმის?“

მატროსთ უპასუხეს.

– „დიახ, კიდევ ესხმის *თქვენო ბრწყინვალებავ* და კრაოტზე *უგრძნობელსავით* გდია“.

ამის გამო იმ ა... ერთი მატროსი ემსახურებოდა, სახელათ პეტრუშკა.

– „პეტრუშკი, პეტრუში“ ა... დაიძახა.

საჩქაროთ ქუდმოხდილი იმის წინ გამოიჭიმა და ჰკითხა. – რა გნებავთ?

– „წადი, პირსაბანი ბოხჩა ამოიტანე, პირი დავიბანო.“

გატრიალდა, ოთახში ჩავიდა და პირსაბანი ბოხჩა ამოიტანა. ის ა... სუდნის მოაჯირზე გადადგა და საპნით ხელების ბანა დაიწყო. როდესაც საპნის ქაფით თითებს ისრესდა, უეცრად მარჯვენას შუათითიდგან ოქროს ხელთა წასძვრა და ზღვაზედ დასაცემად წავიდა. ის ა... ბეჭედს გადაეწოდა, უნდოდა, ჰაერში დაეჭირა, მა-

გრამ ვეღარ დასწვდა და ბეჭედი წყალზე დაეცა, რომელიცა ისიც თან გადაჰყვა მინამ იმას ზღვა დასძირავდა. სადაც ბეჭედი დაეცა, ზედ მარჯვენა ხელი დასცა და ხელში რაღაც დაიჭირა.

თუმცა ტანისამოსი წყალმა დაუმძიმა, მაგრამ ოთხნი მატროსნი სწრაფად გადაეშველნენ და საჩქაროთ ხელში აიყვანეს, რომ წყალს აღარ დაანდეს.

სუდნის მოაჯირზედ გადადგნენ, ვინც ზევით იყვნენ, ზოგნი თავს გადაუდებდენ, ზოგნი ისწავლებოდენ, როგორ ამოიყუანონ, *როგორ მოქცეულიყვნენ მიმშველებელნი მატროსნი* ზოგმა თოკის კიბე საჩქაროთ გადუშვეს, რომელზედაც გაფთხილებით ამოიყუანეს. იმ ა... მუჭი რომ გაშალა, *რომელშიაც ბეჭედი ეგულვებოდა, დაგვანახუა, მაგრამ თვითონვე რომ დახედა, წამსვე მკვდრის ფერი დაედო.* ფერი ეკრთო სახეზე. მატროსებმა ჰკითხეს: –*„თქვენო ბწყინვალებავ, ეგრე ჩქარა როგორ გაყვითლდით? რა დაგემართათ?*

– „ფერი რად გეკრთოთ სახეზედ?“

იქნება, *ვგონებ*, შენც ბეჭედი გეგონა, დამუჭვილი ხელი რომ ამოიტანა? – ნაცვლად ბეჭდისა ერთი პატარა ზღვის სადაფი კი იყო.

მეტის მწუხარებით ხმა არავის გასცა, მიტრიალდა, ხელი იალქნის თავს გადაავლო და იმ ადგილსვე ყურება დაუწყო, სადაც ბეჭედი დაეცა.

[მე მივედი და მწუხარების მიზეზი ვკითხე. იმან მითხრა].

ერთი ვინმე მივიდა და მწუხარების მიზეზი ჰკითხა. იმან უთხრა.

– „რათ გინდათ შეიტყოთ?“ *[მე მეტათ გადავეკიდე]*

ის მაინც არ მოეშო, უნდა მითხრათო. იმან გაჯავრებულის სახით უთხრა.

– „რას გადამეკიდენით? ის ხელთა ჩემგან ძნელი დასათმობი იყო ამისთვის, რომ ზოგთ თითო რისამე სურვილი ექნებათ და იმის სურვილი მაქვს, რომელიცა იმავ სიყრმიდგანვე აქამომდე დიდათ მიყვარს“.

მაშ იქნება მე განსაკიცხი ვიყო, რომ ჩემი საუკუნო მეგობარი გულითადის სიყუარულით ასე მიყუარდეს?

იმის ამისთანას უმზგავსოს პასუხზე საჩქაროთ მოშორდა *[განვეშორე]* და აღარა უთხრა რა. მაგრამ *ჩემთვის კი ესრეთ განვსაჯე: უთუოთ ამას ძლიერი სიყვარული უნდა ჰქონდეს ვისიმე.*

ამთენის ყმაწვილკაცების ოხვრას ვინ უნდა გაუძლოს? *რისთვის ან რათა? მაგრამ რა ქნან საწყალთ; სიყვარულისაგან შემსჭვალული არიან და სიყვარული სწყლავთ.*

თუმცა ზოგიერთ ყმაწვილკაცებს მოუხდებათ ამგვარები, *რაც უნდათ ტყუილად იცელქონ, ყოველივე მოუხდებათ.* მაგრამ ზოგიერთისა მოხუცებულებისაგან მიკვირს, რათ სულთქმენ და ან რათ კვნესენ, რომელთაცა მაგთენი სისხლი აღარა აქუთ? *რომელთაცა ბურნუთისგან ცხვირი გამოსტენვიათ და იმისი გემოვნება ტუჩებზე რომ ჩამოსდით, რომელთაცა სისხლი დამდორებიათ, რომელთაცა სურვილი გამოსწურვიათ, რომელთაცა აღარც წადილი აქვთ, აღარც სული და აღარც გული და კიდევ სხვანი. რომელთაცა გული გაჰყინვიათ და სული ჩაჰქრობიათ.* ის საწყალნი წარსულისთვის რომ ოხვრიდნენ, შეეფერებათ, მაგრამ არა, მითამ ახლა ისინიც სიყუარულში არიან. ამისთანა მოხუცებულებსა არშიყობას რომ ამცნევდეთ, ჰოუ, როგორ იკლაკნებიან და ანუ ჭკვას ძალას როგორ ატანენ! *არ უხდებათ და არც შეეფერებათ. ჩემს რჩევას ხომ არავინ გაიგონებს, არამცთუ დაიჯერებდენ? მაშ, ვისაც იამებათ, იმათ სასიამოვნოდ სიყვარულის გრძნობას წარმოვთქომ.*

ერთს რომელსამე შეკრებილებაში ერთიმეორის მომწონე რომ იყვნენ, ისინი მოსურნენი იქნებიან, დრო იპოვონ, იმათ დაიწყონ ტკბილი საუბარი. *რომ მიიცენ დამატკბობელი ნეტარება.* მინამ ამ შემთხვევას მიიცემენ, იმათი გაპარებული თვალების მხედველობა ერთმანეთს ეკაფებიან და თვალების გაქანებულს ხაიათსა ურთიერთსა აგებულებაში ჩაუგდებენ, რომელნიცა დაძაფნულსა სიცოცხლეს ერთმანეთს გამოაცლიან და თავიანთ აგებულებაში სიამოვნით, ნაზათ, ნარნარად, წყნარად და მოწიწებით შთაიქცევენ. *როდესაც ერთმანეთს თვალებს გაუშტერებენ, ერთმანეთის თვალებიდგან სიამოვნეს სწოვენ და მოეზიდებიან, რომელიცა ცხადათ ესმით გულთა თვისთა სწრაფად ძგერა. სახე მათი ხან უწითლდებათ და ხან გაუყვითლდებათ, მრავალფერად ეცვლებათ.* რომლებმაც იმ დროს იმათ აღარ იციან სად არიან, რას შვრებიან ასე მოიტაცებს სიყუარული იმათ. ბოლოს, როდესაც შემთხვევას მიიცემენ და დაიწყებენ საუბარსა, არა ბულბულთ სტვენა, არა მშვენიერთა ჩიტთა ჭიკჭიკი, არა არფთა ხმობა და არა მგოსანთ გალობანი ვერ დაატკბობს იმათ სასმენელსა, როგორც თავიანთი საუბარი.

უკუეთუ მათ გულში იჯდება ვინმე, იგი ცხადათ დაინახავს მათ გულის ჩალხების მოქმედებას, თორემ გამოთქმა შეუძლებელია. უბნობისა დროსა ისინი რაღასაც სიცოცხლის კმაყოფილებასა გამოაცლიან და ერთმანეთსავე მისცემენ. ვითა რაითმე სძღებიან და კიდევ სწყურდებათ. მაშინ მათი გული, ვინ იცის, რამდენი უხილავი კმაყოფილების წყარო, სიამოვნით გაებანებათ და გაუბზინდებათ. ოდეს განშორდებიან, ვითომც ყოვლის კმაყოფილებით აღივსებიან, მაგრამ ოდეს შინ მივლენ, ვითომც და აკლია რამე ანუ დაუკარგამთ, ამისთვის იმათი გული იმ კმაყოფილების წყაროთი იქნება ისე მშვენივრად გაბანილ-გაწმენდილი, რომ სარკეს სიწმიდეს შეედრება.

ორი პლატონიზმი რომ იყვნენ ერთს შეკრებილობაში, ისინი მძებნელი იქნებიან, შემთხვევა იპოვნონ, ერთმანეთს უპერჩატო ხელები მაინც მიაკარონ. როდისაც ის ხელი ხელს მოხვდა, მაშინ ერთმანეთის აგებულებიდგან დამდნარსავით რაღასაც სიამოვნეს გამოსწოვენ და ფიცხლად ის სიამოვნე ერთი მეორეს გულზედ გადაევლებათ, მასუკან ძარღვებში გადავა, მერეთ ტვინსა მოხვდებათ და ბოლოს როგორც ჩალხი, ეგრეთ დაიწყებს ტრიალს იმათ აგებულებაში.

ესე სიამოვნება იმათ ტანში დაიწყებს ტრიალს, აღარ ენდომებათ, ერთმანეთს განაშორონ ხელნი და იმათი სული, მის სიამოვნის ძალით, ვინ იცის, რავდენის სიხარულით აეთახთახებათ ან რავდენის სიმხიარულებით შეემოსებათ.

და უკეთუ ესე პლატონიზები ერთს ოთახში იქნებიან დამწყვდეულნი და ერთმანეთს გადაეხვევიან, წამსვე მაგნიტებრი ჟრუანტელი მიმოსიარულს დაიწყებს იმათ აგებულებასა შინა და ყოველს გვამის ნაწილს ეგონებათ, ეს ეს არის, სრულებით დავდნებითო. როდესაც ბაგეთ გაუერთებენ და ერთმანეთს აღმოზიდებენ. ბაგეთ ძაფები რაღასაც მოჰკრეფენ გულის აუზიდგან და იგრძნობენ, ვითომც უკვდავების წყარო ერთმანეთის ბაგეებიდგან აღმოჰქონდეთ საუკუნოს ცხოვრებისათვის. რომელთაცა აღარ ეგონებათ, სიკვდილიღა იყოს სადმე ანუ სიკვდილი იმათ უზამდეს რასმე, ესრეთ ძალად იგრძნობენ თავის სიამოვნებას. გარნა ოდეს განშორდებიან, დიახ ვაებით გაიყრებიან, მაგრამ როცა სულს განისვენებენ, მრავლად გამხიარულდებიან და მრავალს ფუფუნებასა შინა

დასტკბებიან, რადგანაც მიიღებენ სავსეს ნეტარებას.

იმათ იმისი სიყვარული რომ მოხვდება, იმისი ვნება ასე მოედებათ გულსა, იმავ წამსვე წუალებაში შეიყუანს იმათ და ტანჯუას დაუწყებს. მაშინ სული ვითა ღაღადებს თავის მწუხარეობას და ვითა ჩივის თავის წამებასა. გარნა სანუგეშოდ ეძებს ზმანება ღვიძლების შესამსუბუქებელს რასმე, საშუალობა იპოვნოს რაიმე, რომ სიყვარულის მიზეზს მისცეს სული და გული მოწყლულებისაგან გამოიხსნას. შემდეგ ეს ზმანება მოიტაცებს, მიიყვანს და იმის მიზეზს იმას შთაძახებს: მაშინ გონება მასთან იშვებს, გული სიხარულებს, სრული აგებულება განისვენებს და სურს, საუკუნოდ აღარ მოშორდეს. თუ ამ ზმანებასა დაუშლის რამე, ეგონება, სიყუარული წამართუესო. მაშინ უნებურად ამოიოხრებს, მერე სულთქმას დაიწყებს და ბოლოს ასე ამოიკვნესებს, გულის მოწყვეტა ეგონება. *ამასთანავე ასეთი მოუთმენელი და გამწარებული მწუხარება მიესევა, რომ უნდა განიღვიძოს თავი თვისი.* ამ დროს აღგზნებულის გონებითა თავის გარეშემო იყურება და აღარ იცის რა ქნას: მართლა მოიწყლას თავი თუ ჯერ არა. როდესაც გონება დაუმშვიდდება, სისხლი ღელვისგან დაუწყნარდება და სრულს გონებას შემოიკრებს, მაშინ მომავლისათვის იმედიანობს და ფიქრობს: რა ვქნა, როგორ მოხდება ჩემი ამბავიო? ამ იმედის მიმღები მისი წარმოდგენით ხეტებას დაიწყებს, მას მისდევს. არ იცის, სად ანუ რომელს მხარეს მიდის. – ასეთის სიყვარულით შემსჭვალული იქნება ის, მაგრამ მაინც ფთხილობს, არავინ შეამცნიოს და როდესაც მცნობი შეხვდება ვინმე, დიახ კარგის მცნობობით დაუწყებს ლაპარაკს, მითამ იმან სულ არა იცის რა, რომელიცა თავის სახეს კი აღარა ჰკითხავს, ყოველს სულის საიდუმლოს იმის სახეზე ამოიკითხება.

ეს *მიმომხეტებელი* შეყუარებული სადაც მშვენიერს ბუნებას ნახავს, მაზედ განისვენებს და ბევრს გულის საშვებელსა რასმე იფიქრებს, მაგრამ სულ ამაოდ შეექნება, მერე მწუხარებით თავის სახლისაკენ წამოვა, ეგება, თავისი მწუხარება შინ მაინც მოიქარვოს. მომავლობაში ის რომ შეხვდეს, ვისთვისაც სული აქვს შეწირული, ეცდება, თავისი ვნება დაჰფაროს, მაგრამ როგორ? რომელსაცა გონება აერევა, გული ძგერას დაუწყებს, სული ფრიალს შეიქნს, მუხლები აუკანკალდება და სახეს მკვდრის ფერი დაედება, მაშინ თავსა იწყევლის გაჩენისათვის, მაგრამ რა ჰქნას? თუ შეძლოს, რომ

გულით განიშოროს ისა, აბა როგორ იქნება? როდესაც პირველათ უნახავს ისა, იმის გამოქანებული სახის სიყვარული ასე დასძგერებია, რომ წამსვე თითვეული ასოები ზედ გაჰფენია და თვითეულთა ასოთა თავთავისი ფესვები გაუდგამთ ყოველს ძარღვში. მაშ, როგორღა ამოიღოს მისი სახე? მე ვერავინ ვერ დამარწმუნებს, თუ ძლიერად უყვარს ვისმე ვინა, იმისი სიყვარული გულიდგანღა ამოიღოს?

სიყვარული ერთი რაღაც მკვიდრობს, *ბძანებლობს* ადამიანის გულში, რომელიცა არც დაინახება და არც შეიპყრობა. *მხოლოდ იმის სული აღეგ ზნება, გული აღეჩქეფება და გონება განცვიფრდება.*

როდესაც მცირედ გიყვარს ვინმე, გულსა რაღაც გიღელავს. – როდესაც საშუალოდ გიყვარს, გულსა რაღაც გიძგერავს და როდესაც სრული და ნამდვილი სიყვარული მოგეცემა, მაშინვე იგრძნობ, გულსა რაღაც აღეჩქეფა და ეს აღჩქეფილი გულზე გადმოედინება. *ასე გეგონება, შიგ აღარა დარჩაო.* გულიდგან ყოველს გვამის ნაწილსა მოუვლის ჟრუანტელად, მაგრამ ისევ უკანვე მოიტანს სული, წაიღებს და მასზე ასე გადაავლებს, რომელიც შეგყვარებია, რომ გეგონება, ჩემი აგებულება იმის აგებულებას გაუერთდაო.

თუ რომ სრული და ნამდვილი სიყვარული მოგვიხდება ვისმეს, შენ დარწმუნებით იცოდე, სხვას მეორეს ვეღარ შეიყვარებ. *ამისთვის, რომ გადმოდენილი შეიძლებაღა აიკრიფოს?*

რო იცოდეთ, რა დაუფასებელი საუნჯეა ნამდვილი სიყვარული! რაც უნდა გულმღრძო, ანუ მტარვალი, ანუ საშინელი, ბოროტი ადამიანი იყოს, თუ მას ნამდვილი სიყვარული მიეცა, ასე დაამშვიდებს და ასე გააკეთილებს, რომ მარადის ესურვება, ყოველს ადამიანს ეთავაზოს და ასიამოვნოს.

კიდევ უნდა ვთქო, რომ შეყვარება ერთი იქნება და არა ბევრი. თუ რომ ერთი უყვარს, იმისი სიყვარული გულზე დაბეჭდილი ექნება, – იმისთვის გონებას მოაცლის, მას სატრფიალოდ წარმოიდგენს, გული მის საპყრობილედ ექნება, სული მის მსხვერპლად განემზადება და მისის სიყვარულით იცოცხლებს. ეს სიყვარული იგი არის, რომ საუკუნოდ ორთა იცხოვრონ და ერთმანეთის სიყვარულით დასტკბენ. ჩვენც მივუწერთ მათ: „აი ნამდვილნი ცოლ-ქმარნი!“ – ზოგნი შეიყვარებენ მოწონებით, მრავალს დროს მას ეფიფინებიან და როდესაც წამსა მიიღებენ, გული აუცრუვდე-

ბათ და სხვას შეუდგებიან. ამას ვუწოდებ მე *ორჩოფეხულს*, ზედ-შესრულსა და არა სიყვარულსა. მაგალითათ ჩვენში იციან: „ერთ საჭმელზე უკეთეს სხვა საჭმელს რომ ნახავ, განა მოგინდებაო?“ – თუ ეს უგვანი მაგალითი იცის, ეს რატომ აღარ იცის, რომ სახლი ცოლ-ქმარისაგან დაიფუშება? ასე რომ, თუ მეუღლენი მეუღლეობის წესსა ვერ აღასრულებენ და სხვას ვიღაცას გამოუდგებიან, მაშინვე *ორჩოფეხულის*, ზედშესრულის ფიქრი შეიპყრობს მათ, რომლებიცა არ დაზოგვენ თავის საცხოვრებელ ფულსა, არც მოასვენებენ თავსა, აღარც სახლისათვის ინაღვლიან, აღარც შვილებისათვის იზრუნვენ და ვეღარც სახლეულობის სიტკბოებით იშვებენ, მაშინ იმათ შვილებს ყოველი საჭიროება დააკლდებათ. აბა ამის პასუხი მომცენ, ვიღამ იზრუნოს იმათთვისა თუ არ მეუღლეთა? *ვკითხამ და მითხრან.* ცოლ-ქმრობის წესსა მკვიდრი მაგარი ხასიათი უნდა ჰქონდესთ. ვინიცობა არის, თუ უგვანსა საქმესა სდევენ, დღეს გაუტყდებათ სტაქანი, ხვალ ბუთლიკა, ზეგ გრაფინკა, მაზეგ ჭურჭელი დაემტვრევათ, მერე სახლს კარები ჩამოუვარდებათ, მასუკან სახლს გვერდი ჩამოექცევა და შემდეგ სახლი დაეფუშებათ. სახლის პატრონი ცოლსა ჰკითხავს. „ეს რა ანბავია? რატო სახლს ყურს არ უგდებდი, რომ ასე გაგვიფოლიაქდა?“ თუმცა ცოლი თავის მართლებას დაიწყებს, მაგრამ სახლს კი აღარა ეშველება რა: როდესაც მთიდან კლდე გადმოვარდება, მასზედ ვეღარ მიეკვრის, ისე მეუღლეობის თანამდებობა არის, თუ რომ მეუღლენი თავის თანამდებობასა ვერ აღასრულებენ, კლდის ნაგლეჯსავით დაიფანტება მათი სიყვარული და სახლის გარემოება.

თუნდა ესეც მოვიხსენიოთ, რომლისაგანაც წარმოდგება *ორჩოფეხული*, ზედშესრული?

ა. ჩაგონებისაგან, ბ. მიბაძვისაგან და გ. თავის თავის მშვენიერების გამოხატულობით ასე, რომ ზოგთ თავის სახის მშვენიერება უკვირთ და ზოგთა თავის გონებისა.

გარნა ამათი მიზეზი რა უნდა იყოს? ვგონებ, სულქარიანობა. არა ყველაზე ვლაპარაკობ ამას, არამედ ზოგიერთს ადამიანებსა ზედა.

ჩაგონება ეს არის: ერთი რომ *ორჩოფეხულის*, ზედშესრულის საქმეში იქნება და სხვას ხედვიდეს უმანკოსა ვისმე, რასაკვირველია, მისთვის ეშურვება მისი ანგელოზებრივი სული, ამისთ-

ვის ეცდება, სხვისა და სხვის ჩაგონებით მოიზიდოს ისა და თავის მეგობრათ შეითვისოს. მიბაძვა ამისაგან არის, უნცროსი რომ ხედავდეს უფროსის ქცევასა, რასაკვირველია, იმის ქცევას ჩვეულებად მიიღებს და თვითონაც ისე მოიქცევა, როგორც უფროსი. მშვენიერებასა აქვს მაღალი ფიქრის წარმოდგენა(!) ის სად მოისურვებს თავის ჩინებულებასა, თუ არ *ორჩოფეხულში*, ზედშესრულებაში? *გონების მშვენიერებაცა ამისგან არის, სიყრმით მიღებულს ზედშესრულის ჩვეულებასა რომ არა ექნება რა შემწედ, ამისთვის ჭკვას ძალას დაატანს, ამით გამოიჩინოს თავის თვისისა ნიშანი. და სხვა საგანნი კიდევ არიან, რომელთაცა ზედა ლაპარაკი კიდევ განგრძელდება, ამისთვის ესე შემოკლებული ვიკმაროთ და ვრცლად კი გავიგონოთ.*

თუნდ ესეცა ვთქუათ.

ამ *ორჩოფეხულს*, ზედშესრულს რამთენი ნიშნები აქვს?

ა. თავის მოწონება, ბ. ამპარტავნება, გ. კეკელაობა, დ. არშიყობა, ე. ტრფიალება, ვ. ჩვეულება, ზ. სიმხურვალე, ეი. ბოროტი, თ. უწყალოება, და ი. სიკვდილი.

როდესაც ჩაგონებული ანუ მიბაძვით დაჩვეული, ანუ მშვენიერების მაჩვენებელი და ანუ გონების გამომჩინებელი ნახავს *ორჩოფეხსა* ზედშესრულსა, მაშინვე *წარსული დაავიწყდება*... თავს მოაწონებს. თუ შემთხვევაც მიეცემა და ისიც აჩვენებს ნიშანსა? ამპარტავნობით კეკელაობას დაიწყებს და მასკვან ცხადადაც აჩვენებს არშიყობას. კარგათ ვიცით: არშიყობიდგან *უთუოდ უგვანი საქმე* ტრფიალება წარმოდგება, ტრფიალებიდგან ჩვეულება, ჩვეულებიდგან *უთუოთ გარყვნილება* სიმხურვალე, სიმხურვალისგან ბოროტი და ბოროტიდგან უწყალოება და უწყალოებიდგან სიკვდილი, რომელსაცა ერთს ჭეშმარიტს და მართალს შემთხვეულობასა ვიტყვი, არა იმის სახელს, ვისგან და ანუ სადა.

ერთი ქმრიანი დედაკაცი დიახ სიმხურვალის მოყვარული იყო. იმისმა ქმარმა ყოველივე იცოდა და ყოველთვის ურჩევდა დატევებას, რომელსაცა დიდათ სწყინდა ქმრისაგან დარიგება და ამისთვის სურდა, თავისუფლად ემუშავა. *რომელმაც* იპოვა *საშუალება* დრო, ერთს აქიმს გაუარშიყდა, მისცა გული, მერეთ სთხოვა შხამი და მით მოკლა ქმარი.

გარნა ეს კი აღარ ვიცით, ღმერთი რა არის და მისი საკვირველე-

ბანი როგორ მოქმედებენ?

ის დედაკაცი ერთს წელიწადზე ასე შეიშალა, რომ ჯაჭვით იყო დაბმული და მხეცურის ხმით იძახდა: „მე ვარ მკვლელი და მე მოვკალი!“

ის აქიმი კი იქ წაბრძანდა, სადაც მკვლელნი განისვენებენ.

მე ხომ იმაზე არ ვლაპარაკობ, თავის მოწონება თავის პატიოსნებისათვის არ უყვარდეს ანუ ამპარტავნება ამბიციისათვის? ანუ კეკელაობა სიწმინდის ტანადობისათვის? ანუ არშიყობა ერთის საუკუნოს საგნისათვის ანუ ტრფიალება ერთგულებისათვის? ანუ ბოროტი კეთილისათვის? ანუ ჩვეულება განსვენებისათვის? ანუ უწყალოება მშვიდობისათვის? და ანუ სიკვდილი სიმართლისათვის? არამედ წახდენილს ბუნების თვისებაზე ვლაპარაკობ, იმას ვებაასები. *ტრფიალებას რომელიცა ღირსება აქვს, იმას ვამბობ.* მაგრამ სიმხურვალეს *გარყვნილებას* ზევით ამ საგნებში ვერ მოვიხსენიებ, ამისთვის, რომ ბედნიერების ჩრჩილი არის იგი.

აი, რა ვთქუა? –

როდესაც ძალუმათ ერთმანეთი მოეწონოთ: ჯერ პირველად უნდა განსაჯონ, შეუძლიანთ მეუღლეობის თანამდებობის აღსრულება თუ არა? თუ რომ შეუძლიანთ, გული და სული ერთმანეთს უნდა გაუერთონ სიტკბოებით, რომ იმათი მეგობრობა საუკუნოდ სუფევდეს. თუ ეს შეუძლებლად მიიღონ, არცერთი რომ არ ჩავარდნენ ცოლქმრობის ვალში, ისა სჯობია, ნურც არავის ეგონება, დასაძრახავნი იყვნენ ისინი ამისთვის, რომ ცოლქმრობის ვალი დიდი თანამდებობა არის.

ნეტავ ჭეშმარიტი ცოლქმრობის თანამდებობის აღსრულებას რა ღირსება აქვს?

იცით, ცოლქმრობა რა არის?

ეს არის, რომ ცოლ-ქმარნი ჭეშმარიტ თანამდებობასა აღასრულებენ, რაც რიგია. იმათი ცხოვრება სისუფთავეა. იქ არის; სიყვარული, *სასულიერო ან სამოქალაქო* მეგობრობა, დატკბობა, განსვენება, *საშვებელი* განცხრომა, მხიარულება, სიხარული, სიცოცხლე და სულ ერთიანათა ვთქუა, რასაც ადამიანი კარგს კეთილსა წარმოიდგენს, სულერთიანათ კარგს ცოლქმრობაში იპოება. მაშასადამე, ნამდვილი ცოლ-ქმრობისთანა ქვეყანაზედ სხვა უკეთესი არა იქნება რა.

თუ ქმრიანს ქალსა და ცოლიანს კაცსა სხვა ვინმე მოეწონოს და ერთმანეთს არშიყობა დაუწყონ, იმათ უნდა წარმოიდგინონ, რას ფიქრობენ ანუ რას შვრებიან. შენ მოარშიყე მეუღლეო, როდესაც ეარშიყები ვისმე, შემდეგ რას სვინდისით ეხვევი შენს საუკუნოს მეგობარსა მეუღლესა? ანუ რას გულით ეტრფიალები? რომელთაცა ღვთის ტრაპეზს წინ აღგითქვავთ ერთმანეთისათვის სულის შეწირვით სიყვარული?... თუ გრძნობდე, ამა სოფლის ჯოჯოხეთი არის.

მითხარ შენ, მოარშიყე მეუღლეო?

როდესაც არშიყობიდგან შემოიქცევი შინ, შენი წვრილი შვილები რომ მოგეგებებიან, ხელში აიყვანო და გულში ჩაიკრა, მითხარ, რას სულით ჩაიტკბობ ანუ რას სიტყვით ეტრფიალები იმათ? რომელსაცა მაგათ წინ ვიღასაც ევლებოდი? – აქ კიდევ ბევრია სათქმელი, მაგრამ ამით გავათავე, მოვრჩი.

რაოდენიც მოგეწონებათ, ვნახოთ და ყველას გაუარშიყდეთ, ღმერთმა შენს მტერსაც ნუ მისცეს იგი ამისთვის, რომ გული თავს კლდეზე გადაგვაგდებინებს. გული ზღვის მსგავსი არის და ზღვის უფსკრულებასავით ღრმა. ოდეს მოვიწონოთ ვინმე, წამსვე უფსკრულებაში უნდა დავიღუპოთ და არა აღვაშფოთოთ.

ზეციურნო და საცოდავო ქალებო, ნუ ენდობით პირსათნოთა კაცთა, რომელთაცა გაქებენ და სიყვარულს გარწმუნებენ; თქვენ მე დამიჯერეთ, ცარიელი ქარი არის იმათი ქება და რწმუნება. უნდათ, თქვენი თავიდგან გვირგვინი აგხადონ და თავის თავზე დაიმსხვრიონ.

მზეს და იმის სისტემის პლანეტებს მივხედოთ და ჩვენთვისა ვთქოთ:

„აი ჩვენთვის მაგალითი სიყვარული დაუწესებია ღმერთსა!“

როგორათაც საყვარელნი ერთმანეთს აძლევდნენ გულით ცხოვრებასა სულის შემწეობით, ისე მზე და პლანეტანი არიან. თავის წერტილიდგან გადმომზერელი. მზე გამოსცემს სხივსა და სხივი სიცხოველესა, ზედაც გადასცურვენ მზის სისტემის პლანეტანი და მზეს გარშემო ეხვევიან. რომელნიცა მზე პლანეტებით სცხოვრობს და პლანეტანი მზითა, ესრეთ რომელ მზის გამოცემული შარავანდედი მოსწოვს პლანეტების ძალთა, რომელნიცა იქმნებიან ჰაერად. დახვეწილსა უუწმინდესსა ცივსა სინედლესა თვით

მიიზიდავს თვისის სიმხურვალის განსაგრილებლად და მსხვილს სინედლესა პლანეტებზე გადააბნევს ნაყოფიერების აღმოსაცენად. აი ასე უყვართ და ასე ერთმანეთით სცხოვრებენ.

ახ! მოვა დრო, რომ პლანეტანი მზესა შინა ჩაჰქრებიან!.. და მზე დაუსრულებელსა შინა განჰქრება!!!

ნუ ვიშიშვით; ის დაუსრულებელი ასეთი რამ სინათლე იქნება, რომ ნეტარება, განსვენება, სიამოვნე, სიხარული, სიმხიარულე, სიყვარული, ტრფიალება, განცვიფრება და კიდევ სხვა ამისთანანი სულ ცხადად დაინახებიან იმ სინათლესა შინა, რომელიცა არს სასუფეველი, რომლითაცა სულნი უმდიდრესის, უძვირფასესის და უმაღლესის ხარისხის ფუფუნებით განცხრებიან და მის სასუფევლის ნეკტარით აღივსებიან. მაგრამ მინამდისინ მზე დაუსრულებელსა შინა არა განჰქრება, მანამდისინ ჩვენი სული მზის პლანეტების სიმრგვლით გარეთ ვერა გავა, მხოლოდ ღვთის საკურველს დაწესებულებათა ცხადათ იხილავს; მისით ინუგეშებს და მისის დიდებით განკვირვებულ იქნება. იქამდისინ ვინ იცის, რამთენი მილიონი წელიწადები გავა?

რაოდენიმე დიდნი მდინარენი მომდინარებენ და ეს მდინარენი ერთათ იკრიბებიან ერთს განვრცელებულს ადგილზე, რომლებიცა შეადგენენ ზღუასა *არსად მომჩქეფარე მდინარე მრავალს ყურეებით მოხვეული, მრავალს ჭალაკებით მოფენილი, სხვათა და სხვათა მფრინველით სავსენი და ზღვისა ძალებით მოდებული, რომელიცა: ხშირად ყვირის, მაღლად იძახის, აღწევნილადა ღაღადებს, შესაძრწუნებლად ზრიალებს, საშიშრადა ღრიალებს* და იმისი გაჭირვეულებული ღადონი არაიშვიათად მუსვრენ: ნუშათა, კოპანოთა, კარაპანთა, ქულასინთა, კარაფინათა და სხვა ნავთა. ამას უწოდებენ კასპიის ზღვას. *თუმცა ესე დიდად დაუდგრომელი და მოუსვენებელი არის, გარნა ხანდისხან ასეთის ჰაერით მოირთვის ხოლმე, რომ მისი ჰაერის სისუფთავე განსაკვირვებელი არის. ხოლო ნამდვილ უცნობელი არის, იმაში ჩამდინარე...* მაგრამ აქამომდისინ ვერავის ვერ შეუტყვია, სად იღუპებიან იმთენი მდინარენი ანუ სადა აქუს გასავალი?

შეწუხებული ა... სუდნიდგან ზღუასა დაჰყურებდა და საშუალებას ეძებდა, ჩავარდნილი ხელთა როგორმე ამოეღო. *გარნა ამაოდ*

ხადიდა ყოველსა იმედსა. იმ ა... მატროსები ასე დაღონებულს რომ უყურებდნენ, თავიანთვის ამბობდნენ.

სუდნის პალუბზე მდგომარენი მატროსნი გაშტერებულნი უყურებდნენ, მაგრამ არა რომელს ვერ გაებედა, რომ ეკითხა ზღვაში გადავარდნის მიზეზი და მწუხარებით ერთმანეთს ეუბნებოდნენ.

„რატომ ასეა ჩვენი კნ. [*კნიაზი*] და ან რათ არის შეწუხებული?“ პეტრუშკა მივიდა და ჰკითხა.

– „თქვენო ბ., [*ბრწყინვალებავ,*] გნებავთ, გამოსაცვლელი ტანისამოსი მოგართოთ, სველი ხართ?“

იმან დაღონებით მოხედა და უთხრა.

– „კარგი იქნება“.

პეტრუშკამ ტანისამოსი მოუტანა, იმანაც საჩქაროთ გამოიცვალა, მაგრამ ისევ მიტრიალდა და იმ ადგილსვე დახედა, სადაც ბეჭედი დაეცა და თავისთვის ამბობდა.

– „მე შენგნით განშორებულს მქონდა ნუგეშათ ხელთა შენი ჩემს ამ უცხოებაში ჩემი მწუხარების განსაქარვებლად და იყო ჩემი კარგი *მხიარული* ამხანაგი, *და არასდროს არა ვნაღვლობდი, რომ მე უცხოებაში ვიმყოფები და არცა უბედურობასა ვჩიოდი, რადგანაც* რომელიცა შენის ყმაწვილობის სახსოვარსა *მოუცილებლად* ზედ დავტრფოდი ყოველთვისა. ახლა ეს ხელთა ზღვაში დამეღუპა. როგორ დაგთმო ხელთავ? ან ამ ზღვის უფსკრულებაში უნდა დავინთქა ან არადა, ჩემ შუა თითზე კიდევ დაგინახო“.

ეს ლაპარაკი მწუხარებით წარმოთქო, მერე დაღონებული მოაჯირზე გადაწვა და ღრმას ფიქრში წავიდა. *საგონებელში რასმე შთავარდა, რომელიცა იმის ფიქრი ძნელად გამოსათქმელი არის, მხოლოდ ჩვენმა გულმა უნდა იგრძნას მისი აზრი.* ამ ყოფით საღამომდინ უსმელ უჭმელი ერთს ადგილს იჯდა და ზღვაზედ დაჰყურებდა. როდესაც ზღუაზე სიბნელე გადაეფარა, სულერთიან ზღვა წმიდა თალხის სინათლით მოიფინა და ოქროთ მოფენილმა ცამ კაშკაში დაიწყო, ამ დროს დახვეწილი ჰაერი ცივად გადმოვიდა ჩუენზედ, მაგრამ ასეთი დასუსტებული ჰაერი იყო, რომ *მეგონა, ქუეშაგებში ჩავარდნილს, დაჭლექებულს ნაზ ქალსავითა საუკუნოდ ვეღარ აღდგებოდა. ზღვის ზოდიაქს თავის საპყრობილესა შინა დაემწყვდია.* ერთი ბეწო სიო არსაიდან არა სისინებდა.

[*მაინც კიდევ ვერ მოვითმინე, რომ იმისთვის კიდევ არ მეკითხა და ნამდვილი არ შემეტყო.*] ამ დროს კიდევ მივიდა იმასთან და ჰკითხა.

– „გთხოვთ, არ გეწყინოთ და მითხრათ, ერთის ბეჭდისათვის აგრე როგორა ხართ შეწუხებული?“

[*იმას უნებურნი სულთქმანი ზედაზედ აღმოსცვივდნენ და თავის მწუხარების მიზეზი მითხრა.*] იმან უცებ ამოიოხრა და მერე უთხრა, რომ თავის მეუღლისაგან ჰქონდა ხელთა სახსოვრად.

– „დიახ მცირეს რაზედმე ყოფილხართ შეწუხებული. შეიძლება, იმისთანა ბეჭედი კიდევ გააკეთებინოთ?“ *გაღიმებით უთხრა.*

– *„თქვენ თუმცა ჭეშმარიტად ამბობთ, მაგრამ*

– „თუ თავის შესაწყენად არ მიიღებთ, ჩემს დაწვლილებით ამბავს გიამბობთ. *ისტორიას სულ უკლებლივ გიამბობთ, საიდგან და ან როგორ იყო? თუმცა თქმა არ მინდა, მაგრამ ასე მოხდა, უთუოთ უნდა გიამბოთ,* რათაც ვწუხვარ იმ ბეჭდისათვის“, მწუხარებით უპასუხა.

[*მე დიახ გულმოდგინეთ ვთხოვე, რომ ეთქო. მან ხელი გამომართო, თავის გვერდით დამისო და მოჰყვა.*]

გაიგონე.

ვ.

„ჯერ ეს უნდა გითხრათ, ტფილისს ქალაქს როგორი მდებიარობა აქვს და მასკვან ჩემს ამბავს გიამბობთ“.

„თუმცა ამ ქალაქის მცხოვრებნი გაშლილს ადგილზე სცხოვრობენ, მაგრამ თანასწორ მინდორად არ ითქმის. ამისთვის, რომ ბრუნდეთ და ურიგოთ არის მოყვანილი. *დასავლეთის ქალაქის დასაწყისიდგან ვიდრე აღმოსავლეთის მდინარის მტკვრამდისინ დიახ დაღმართი ჩამოევლება, თუმცა სამხრეთიდგან უფრო დაღმართი დამოევლება...* ამ ქალაქს სამხრეთის კერძო უნაყოფო მთა აქვს მოყუდებული, რომელსაცა სამხრეთის ქალაქის მცხოვრებნი ზედ მიჰკვრიან და მისწყვდევიან. დასავლეთისაკენ ნახევარმთვარისებური მთა წამოადგება, შიგადაშიგ ბალახოვანი ადგილი და კლდე, სადაც შუა მთაზედ პატარა წმიდის დავითგარეჯის მონასტერი არის. *უცხოდა სჩანს, თეთრად მოჰკრიალებს, როგორცათა ქალაქის გულის პირში გარჭმული მარგალიტის ქინძისთავი*[1] როდე-

[1] *სადაც უცხო გრიბოედოვი არის მიღებული და ეს მთაწმიდა, წმიდის დავით გარეჯის სახელზედ არის აღშენებული.*

საც საღამო შეიქნება და მნახველი შეხედავს, ეგონება, ფარგალში გამოწვრთილსა ჰგავსო ეს მთა. სადაც სამხრეთისა და დასავლეთის მთების ბოლოები დააწყდებათ, იქ ერთმანეთს შეერთდებიან მობურვილსავით და უმზეოს დილაზედ რომ შეხედოთ შორიდგან, ასე გეგონებათ, ეშმაკების საცხოვრებელი არისო. სადაც მთები ერთმანეთს შეერთებიან, იმ მთების ძირების მოახლოვო ბაღები არის მოფენილი და ბაღებს ქვევით ქალაქი დაიწყება. თუმცა ჩრდილოეთისაკენ მთიანი ადგილი არ არის, მაგრამ კავკაზიის ამფიტიატრები ასეთის სახით დაინახება ქალაქიდგან იმ შიგნითს ხეობაში, მართლათ მოსაწონად. *მგრძნობელი გული იგრძნობს, ვითომც საკურველს ლამაზს ქედებზედ დასეინობდეს და მის სიცოცხლის ჰაერს ჰყლაპავდეს და სულთქმიდეს.* რომლებსაცა აღმოსავლეთის ქალაქის მცხოვრებთ ჩამოუდით წინა: *მორბინარე, მომჩქეფარე, მომღიმარე, მომბზინარე, ალმასთმბნევარე* მოკამკამე წმინდა მტკვარი, ქვიანს რიყეზედ მიმოკლაკვნით, თამაშობით მისეინობს. *მართლა დენილობით მოთამაშობს, ეს მდინარე, მშვენიერმა ქალმა გაშლილს და თეთრს მხრებზედ გადმოშლილს თმაზედ რომ სავარცხელი ჩამოივლოს, იმას მიემზგავსება.*

ის დაბადებულება, ის ქალები რა საუცხოვო კარგი რამ არიან! [*რა საუცხოო დაბადებულება არის ქალი*!] არა, რომ არ ვიცით!

– ქვეყნის შემამკობელნი და იმისი უძვირფასესი საუნჯენი, – ის ბუნების მშვენებელნი და იმათზედ მიმობნეული ყვავილნი! ჰაერსა ზედა უწმიდესი მასულდგმულებელნი, ის მზის სხივსა ზედა მაცხუნებელნი, ის დილისა სიხარულნი, ის დღესა ზედა განცხრომანი, ის საღამოსა ზედა უკეთესი მანუგეშებელი, ის ზეფირსა ზედა მონარნარენი, ის გასაშტერებელი ნეტარებანი და სხუანი... იგი ბულბულთა ზედა მომსტვინარენი, იგი ვარდებთა ზედა ნაზ საყნოსველნი, იგი საზოგადოდათვის მახარობელნი, იგი მწუხარეთათვის გამამხიარულებელნი, იგი სნეულთათვის სალბუნებელნი, იგი სულთქმანი, იგი უკვდავებანი!..“

ის ა... ვე ამბობდა.

„ახლა ეს ქალაქი შუაზე გავყოთ. *მაგრამ არა დაწვლილებით სათქმელად, ამისთვის, რომ ლაპარაკი განგრძელდება.* ნახევარი ქალაქი სამხრეთისკენ დავაგდოთ და მეორე ნახევარი ჩრდილოეთისაკენ, სადაც ამ შუა ქალაქის აღმოსავლეთის მტკვრის ნაპირზე

ჩვენი ორატაჟიანი სახლები იყო მაშინ, სადაც ჩვენ ვიდექით. თუმცა ეს სახლები მიწისა იყო, მაგრამ დიახ მაღალ ქვიტკირის საძირკველზე იდგა, *ასე რომ, ვგონებ, ათი ადლი სიმაღლე ექნებოდა ამ საძირკველსა.* რომელსაცა მომდინარე მტკვარი ძირში გამოევლებოდა და გამოელაღლაღდებოდა."

„მოწყალეო ხელმწიფევ, თუმცა ეს სახლები დიახ მძიმეთ გამოვთქვი, ორატაჟიანი არის-მეთქი, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენს გვარიშვილობას არ ეკადრებოდა, იქ ვმდგარიყავით." *და რადგანაც მე სიცრუით ლაპარაკი მეჯავრება, ამისთვის, არ შემიძლიან, რომ სწორე და მართალი არა ვთქო.*

„ამ სახლების ქვემოთი ერთიანი ატაჟა თავლათ იყო გაკეთებული, სადაც ცხენები იდგნენ და ზევითი ატაჟა კი ორ წვრილ სახლებათ იყო გაყოფილი, რომელშიაც ჩემი მშობელნი ცხოვრებდნენ. აი ასე იყო სახლის შენობა".

ახლა გარეშემო სახლების დაწყობილობა გითხრათ. უცხოთ დაწყობილსა ამა სახლსა მოაჯირი ჰქონდა, გარეთ ნახევარს მოვლებული, რომელიცა მტკვრისკენ და მარჯვენას ეზოსკენ გადაკიდებული, რომლიდგანაც ორსავ სახლში შეივლიდა კარები. სხვა აღარ მახსოვს, თორემ წვრილათ გიამბობდით. მაგრამ რაც შეეფერებოდა ამ სახლს, თავის ურიგო დაწყობილობა კიდევ ჰქონდა. ამისთვის, რომ ჩემი ყურადღება მხოლოდ იმ თავლის სუნსა ჰქონდა მიღებული (მოცული) და სხვას არა სახლის დაწყობილობას. ეს ამისთვის ასე მახსოვს. მაგრამ ესეც კი უნდა გითხრათ, რომ ამ სახლებს ქირით ვქირაობდით და თვე და თვე ფულს ვაძლევდით.

აქ მე ვკითხე.

– „მიკვირს, სადაც უნდა მდგარიყავით, არ შეგეძლოთ, რიგიანათ დაგეწყოთ სახლის გაწყობილება?"

იმან ჩაიღიმა და მასუკან მითხრა.

„ეგ ჩვენი ქართველების უთაურობა არის, ცხოვრების მადლი ჯერ ღმერთს ჩვენთვის არ მოუცია."

ის ა... ვე ამბობდა.

„ახლა ეს ლაპარაკი გავათაოთ და სხვა ლაპარაკი დავიწყოთ".

„როგორც მე სიზმარსავით მახსოვს, ერთს დილას ადრიანათ გამეღვიძა, მაშინვე ჩავიცვი და კარზე გაველ, ვნახე, დაბურვილი ნისლი მიმოერყეოდა. ასე დაეფარა ბუნება, რომ ორმოცს ნაბიჯს

იქით აღარა დაინახებოდა რა. მცირედი ნიავი[1] ქვეიდგან იცემებოდა და ერთიანი ის ნისლი აფრააშვებულს ხომალდსავით წყნარად მირბიოდა, მაგრამ ხანდისხან სადმე გაიხსნებოდა და ორკეცი ნისლი რომელსამე სახლს გარს შემოევლებოდა და სხვას იქით შეერთდებოდა და ერთიანათვე მიჰქროდა. ეს უფიგურო ნისლი ამ ყოფით დასეირნობდა წმინდა ცვარის მბნეველი შავნაბად წამოსხმული კაცები მიმოსიარულობდენ საქმისათვის, რომელთაცა წმინდა წინწკლები ზედ ნაბადზე დასდიოდათ და დაუხეთქელად ზედ დაჰკრიალებდენ."

„რომელიმე ლამაზი მოახლე ბნელს ტალახზე წყნარად მიაბიჯებდა, ჩითის კაბის კალთა ფეხების კოჭებამდისინ მაღლა აეწია და მწვანე ქოშებში ჩადგმული ტიტველა ფეხები ასე უჩნდა ბნელს ტალახზე, მითამ თეთრი ჩლუქები სცმოდა და თეთრს კოჭებზედ თეთრის ძაფით მორთული შეიდიში უცხოთ დაჰყვაოდა. *რომ ენახა ვისმე, სიამოვნის ნერწყვით პირს და ყელს ჩაიმტკბარუნებდა.* ამ დროს ერთი ყმაწვილი კაცი, მოსამსახურე კარზე გამოვიდა და ის მოახლე რომ დაინახა, დაიძახა. – „ოჰ, ამ დაწყევლილს რა თეთრი ფეხები აქვს, დაიწოს შენი თეთრი ფეხები." მოახლემ დიახ გაჯავრებულის გულით უთხრა. – „იი! მეხი კი დაგეცა, რას თავს იციებ და მიჰქარამ; ბატონი არ მამიკვდება, ბატონს მოვახსენებ მაგ შენს ლაყბობასა". მოსამსახურემ შიშის სიამოვნით მოახლეს თვალებში შეჰღიმა და საჩქაროთ განეშორა, რომ არავის არ შეემცნია."

„ამა ნისლიდგან რომლისამე მხრიდგან ისმოდა მაღალი ლაპარაკი. – „დასწყევლა ღმერთმა, ამ დროთ კაცი ვარ და ამ ქალაქზე ამისთანა ჩამოწოლილი ნისლი არ მინახავს."

„მეორე ხმა უპასუხებდა. ღმერთს რათ აწყენ, ხომ იცი, რომ ღმერთმა უფრო კარგად იცის ყველაფერი."

„პირველივე ხმა. ეგ მართალია, მაგრამ ამ ავდრის მიზეზით დღეს ბაზარში ვეღარ ჩავალ *რომ საჭირო საქმე მქონდა* და საწყალმა ჩემმა წვრილმა შვილებმა *დიდათ შემაწუხეს.* შიმშილით ტირილი დაიწყეს, რომ ნაყიდი პური აღარ მქონდა. არ ვიცი, რა ვქნა ამ ავდრის მიზეზით?"

„მეორე ხმა. შე დალოცვილო, ორს პურს როგორ ვერ ისესხებდი

[1] როდესაც აღმოსავლეთ სამხრეთის ჰაერი რყევას დაიწყებს, მაშინვე ცრიანტელიანი დრო მოხდება და აქაური მცხოვრებნი ამას უწოდებენ: ქვენა ქარი.

მეზობლისაგან?“

„პირველი ხმა. რა ვქნა, ქუჩის მეზობლები სულ შევაჯერე, მაგრამ ჯერ გამომცხვარი არავის არა ჰქონდა.“

„მეორე ხმა. მაშ რასა იქ, აბა ცას ხელს ხომ ვერ მოაფარებ და ამ ავდარს ვერ დაიჭერ?“

„პირველი ხმა. პატარას კიდევ მოვიცდი ეგება გამოიდაროს“.

„მეორე ხმა. რომ არ გამოიდაროს?“

„პირველი ხმა. მეტი ღონე რომ არ მექნება, ჩემ შვილებს მშივრებს ხომ არ დავხოც. ცოტას კიდევ მოვიცდი და თუ არ გამოიდარებს, მაშინ წავალ ბაზარში.“

„მეორე ხმა. სწორეთა თქვი, ძმაო; მე მგონია, უფრო გეზარება და მიზეზებს იგონებ? ეხლა მეც რის ყოფით წყალზე ჩამოველ, რომ მეტათ მეზარებოდა.“

„პირველი ხმა. რისთვის ჩამოხველ?“

„მეორე ხმა. რას ამბობ? წუხანდელს აქეთ ჩემს ხიზანს წყალი არ დაულევიათ და წუხელის გათენებამდისინ ჩემი ხუთი წლის ბიჭი იძახდა.–„ვაიმე, წანი მინდა, მამავ, წანი დამანევინე,– დედალო, ლა ვქნა, წანი მწუნიან.“

„პირველი ხმა. შე უღმერთო, მერე არ შეგბრალდათ?“

„მეორე ხმა. რა ვქნათ, ძმაო, დიდათ გვებრალებოდა, მაგრამ ძილს ვერ ავუდექით.“

„პირველი ხმა. მაშ საწყალი გათენებამდისინ ხომ დაიტანჯებოდა?“

„მეორე ხმა. საწყალმა გარიჟრაჟამდისინ ბატკანსავით იბღავლა და როცა გარიჟრაჟდა, ჩემი ცოლი წამოდგა, ყუთიდგან ორი ვაშლი ამოიღო, მიუტანა, ტირილით შვილს გადაეხვია და ცრემლით ხვეწნა დაუწყო, დაჩუმებულიყო. შვილმა რომ დედა დაინახა, ყელზედ მოეხვია, გულზედ თავი გადაუგდო და გულამოჯდომით ატირდა. ამ ყოფით დედა-შვილი გენახა, იმათი ყოფით დაიწვებოდი. მე რომ ესა ვნახე, მეც ვეღარ შევიმაგრე ცრემლი, გული მწარეთ ამიდუღდა და ცრემლი ღაპაღუპით გადმომცვივდა. მაშინვე წამოვდექი, მიველ და ორივე რას ყოფით დავაჩუმე.“. მერეთ ამანვე პირველს მოლაპარაკეს ჰკითხა. –„ნეტავ მითხრა, ამ დილით სად მიხვალ?“

„პირველმა ხმამ უპასუხა. რახანია, ჩემი თორმეტი წლის ქალი წყალზე გამოვგზავნე. არ ვიცი, ხომ არა აუტყდა რა, აქამდისინ არ-

სად არა ჩანს. კიდევ კარგი, შორს არა ვდგევარ წყალზე, თორემ ამ ტალახის და ამ ავდრის მიზეზით შორს რომ მქონიყო სახლი, სწორე გითხრა, არ გამოვიდოდი.“ ამ სიტყვასთან ამანვე დაიძახა. – აი ჩემი პატარა ქალიც მოდის. – „შვილო, აქამდისინ სად იყავ?“ ქალმა დაღალულის და სუსტის ხმით უპასუხა. –„რა ვქნა, მამავ, დიდი ტალახია, ძლივს მოვდივარ და ქოშიც ტალახში მრჩება.“

„რაოდენიმე დაჩუმების შემდეგ ამ პირველმა მოლაპარაკემვე დაიძახა. ეს კი ვერ გითხარი, გუშინ დილით კარზე რომ გამოველ და ქუჩის ბოლოში მივედი, იქ ქისით ფული ვიპოვნე. გავხსენ, ვნახე, თორმეტი მინანთული კი ეყარა, სულ მანათები და გუშინდელს აქეთ ჯიბეში მიყრია. არ ვიცი ვისია და ან რომლის საწყლის კაცის იქნება? აი ძმაო, შენც გიჩვენებ. მაიტა, ხელი გამოშალე. ამასთანავე თვლას მოჰყვა. ერთი, ორი, სამი და თორმეტამდინ რომ დათვალა, მასუკან თქო. სწორე გითხრა, ძმაო, ღარიბი ვარ, ჩემთვის ეს ფული კარგი შემწე არის, მაგრამ ჩემი სვინიდისი უფრო ძვირათ მიღირს.“

მეორე ხმამ. რატომ ქუჩაში არ დაატარე, იქნება ქუჩელებს დაეკარგოთ?

პირველმა ხმამ. სუყველას ვკითხე, მაგრამ ყველამ უარი თქვეს. ჩვენი არ არისო.

მეორე ხმამ. იმ დღეს მე ტყიდგან მოვდიოდი და ვირით შეშა მომქონდა შინაურობისთვის. ქალაქს დავუახლოვდი. იქ ერთი ცხენიანი მოქალაქე დასეირნობდა. მე რომ დამისწორდა, ცხენი გაქუსლა და უნდოდა, გაეჭენებინა. ცხენმა სამი ოთხი კამარა რომ გადითამაშა, ის საწყალი ცხენზე ვეღარ დადგა, გადმოვარდა და დედამიწაზე ასე დაეცა ფეხებაშვერილი, გულაღმა, რომ მეგონა, გასქდებოდა-მეთქი. ცხენი იქვე დადგა ფეხმოუცვლელი. მე რომ ეს ვნახე, საჩქაროთ გავექანე, მივედი, რისყოფით წამოვაყენე, ასე სტკენოდა მარჯვენა ბეჭი. მე კიჟინობა დავუწყე. „ტო, ყაიმ ბრნე რატომ არ ქენი-მეთქი და აბა რა შენი საქმე არის ამისთანა ცხენზე ჯდომა, შენ ერთს ჯაგლაგზე უნდა იჯდე და იმითი დასეინობდე?“ მერე იმან მითხრა. – „ვა, დოჭამია ქართველო, როგორ თუ არ არისა, ამა ცხენში თხუთმეტი თუმანი მიმიცემია.“ მე გამეცინა და ვუთხარ. „შე პოიავ, თხუთმეტ თუმნათ მეტად გიღირს ეს ცხენი, მაგრამ შენი მხედრობა ორ ფულათაც არა ღირს.“ მასუკან ტანისამოსი გავუწმინდე, ცხენზე რისყოფით შევსვი და ასი ნაბიჯი არ გაეარა,

წინ როგორღაც დავიხედე და ვნახე იმ გადმოვარდნის ადგილზე ერთი ალმასის ბეჭედი ეგდო. საჩქაროთ ავიღე, იმ მოქალაქესვე მივეწიე და ვკითხე, შენი ხომ არ არის-მეთქი. დაიძახა. – „ვაი, ვაიმე, თითიდგანა უცება გამძრობია. გუშინა ათი თუმანი მიმეცა და ჩემისა ნიშნობისათვისა მეყიდნა. წინა ღამა დაკარგული არ შეიქნა?“ მაშინვე გამამართო, მარჯვენა შუა თითზე წამაიცო და წავიდა. ასე გაშინჯე, ერთი ღმერთმა გიშველაც არ მითხრა, არამცთუ ეჩუქებინა რამე. სწორე გითხრა, ძმაო, ყოველდღე მე ჩემი ვირით შეშა მამაქვს ტყიდგან, იმას ვყიდი და ამ წვითა და დაგვით ჩემ ცოლ-შვილსა ვკვებამ, მაგრამ მე კი უფრო მდიდარი ვარ იმ მოქალაქეზედ.

იმან რომ ეს გაათავა, ორთავ ერთად დაიძახეს. – „ააა, მარტირუზას გაგიმარჯოს, მარტირუზ, ამ დილით სად მიხვალ?“

მარტირუზამ. არისასი ხორბალი მიმყავს გასარეცხათა და ანა თქვენა აქ რათ დამდგარხართ?

იმ ორთ ყველა უანბეს. მარტირუზამ ფულის პოვნა და ალმასის ბეჭდის ამბავი რომ გაიგონა, დაიძახა. – ვა! აბა გიჟო ქართველებო? შინ *ფერდები გიხმებათ*, მშივრები იხოცებით და თქვენი გიჟური ამპარტავნებანი კიდევა არა დაგიშლიათა?

იმ ორთ. რა ვქნათ, დიახ საჭირო არის ჩვენთვის, მაგრამ, აბა, სირცხვილი არ არის მარტირუზ, ან ჩვენ სინდისს რა ვუთხრათ და ან კაცს როგორ ეკადრება ამგვარი საქმე?

მარტირუზამ. ახ, არ იქნება, სვინიდისები ამ მტკვარის წყალში გდია.

იმ ორთ დიახ მაღლა გაიცინეს.

მარტირუზამ. – „აბა, ერთი ხელში მამეცით ეგ ქისით ფული, ერთი მაინცა დავხედო და მაგის სიმძიმე ხელშია მაინც დავიჭირო.“

პირველმა ხმამ. – აჰა, ჩემო მარტირუზ.

მარტირუზამ. ახ, შენი გამჩენისა ჭირიმე ვერცხლო, რა კარგი რამა ხართ. ნეტავი ოცი ათასი თუმანი ამისთანა ჩემსა ხელშია ეყაროს. ოხ! რა კარგი რამა იქნება? – აჰა, ძმაო, შენია ნაპოვნი ქისითა ფულია, შენთვისვე მომიცემია, მაგრამ ჩემი სული კი თანა გამოჰყვა მაგა ფულსა. ერთი ესა სწორეთა მაინც მითხარი, ძმაო. ანა შენმა ცოლმა რა გითხრა მაგისა პოვნისთვისა?

პირველმა ხმამ. ისიც დიდათ შეწუხდა და ანბობდა, ვინ იცის, რომლის ღარიბისა იქნება? მაშინვე ისიც საკითხველად წავიდა, მა-

გრამ არავინ არ გამოჩნდა.

პირველმა ხმამ. რასაკვირველია, გეცოდინება, რომ ეს ქალაქი სამ ნაწილზედ მეტი, სულ სომხები არის და ესეც ხომ გეცოდინება: ასეთი ქართველის ქუჩა არ არის, რომ სამი და ოთხი კომლი სომეხი იმ ქუჩაში არ იდგეს, არ იქნება? მაგრამ იმ ჩვენს ქუჩაში არცერთი სომეხი არ დგას.

მარტირუზამ. ვაიმე! ვაიმე! – გეთაყვანე, ძმაო, ერთი კიდევა მამეცი ეგა ქისით ფული, რომ ერთი კიდევა ხელში დავიჭირო.

პირველმა ხმამ. აჰა, მარტირუზ, ეგ ხარბი თვალი გაიძღე. ამ სიტყვისთანავე რაღაც ჭიდილის და კვნესის ხმა მოისმა და ერთმანეთის გინება.

ჩვენს ნახევარ მხრის სახლსა მოაჯირი ჰქონდა მოვლებული სამხრეთისკენ, რომელიც ეზოს დაჰყურებდა აღმოსავლეთისკენ მტკვარსა. ზედ იმაზე შემოვირბინე და დასასრულს მოაჯირის ხარიხაზე გადავეყუდე. მინდოდა, იმათის ჩხუბისათვის მეყურებინა. *მეგონა, კარგათ დავინახავდი იმათ ჩხუბსა, ამისთვის, რომ ჩასავალსა გ ზა ზედ ჩხუბობდნენ.* მარცხენა გვერდზე რომ შემოვიხედე, ნისლის გამო ძლივს ჩანდა. საჩქაროთ *უკანვე შემოვირბინე. დასავლეთის მხარეს კიბე ჰქონდა მოდგმული ამ მოაჯირს და ზედ ჩამოვირბინე, მარჯვენა მხრის ათი ნაბიჯი...* ეზო გავირბინე, ალაყაფის კარებში გავედი, რომლებიც ამ კარებთან ჩხუბობდენ. ამასთან ჩვენი მოსამსახურენიც თან გამომყვნენ. ვნახეთ, რომ ის ორი ქართველი იმ მარტირუზას ეჭიდებოდენ და ჯიბიდგან რაღასაც ართმევდნენ. მარტირუზა იძახდა. „ვა, თქვე მხეცო ქართველებო, ჩემი ფული არის, რათა მართმევთ?“ ქართველები იძახდენ. –„შე უსვინდისო სომეხო, სირცხვილი არ არის შენთვის, ტყუილს ანბობ და იგონებ?“ იმათ მოშორებით თორმეტი წლის ქალი იდგა გულხელდაკრეფილი, რომელსაც მშვენიერის მოჟუჟუნეს შავის თვალებიდგან უსიტყვო და დაფარული მარგალიტური ცრემლი დასისხლებულს ლოყებზე ჩამოევლებოდა და თეთრსა გულზე ეცვარებოდა. საცოდავის თვალებით მამას შეჰყურებდა. არ იცოდა, რა უნდა ექნა. ამაობაში პოლიციის რუსის დესეტნიკები მოსცვივდენ და სამნივ წაიყვანეს. იმ საწყალმა ქალმა მამას კალთა დაუჭირა და ტირილით უთხრა. „მამავ, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, სად მიჰყევხართ? მეც შენთან წამოვალ და შენთანვე მომკალი.“ მამა შვილს მოუტრიალდა და

გულდარღვევით უთხრა. – „შვილო, აქ მოიცადე, ეხლავე მოვალ. ხომ იცი, პოლიცია შორს არ არი?“. ამასთან გატრიალდა და ქალი თავის სამსეს კოკაზედ ჩამოჯდა საწყლად მტირალი.

გულლმობიერს და მგრძნობელს რომ ენახა ვისმე, ასე ეგონებოდა, ბუნებაც ამა მშვენიერებასთან ტირის და ცრემლს აბნევსო.

„რაც ჩვენი მოსამსახურენი იყვნენ, სულ იმათ თან გაჰყვნენ და მე ჩემმა მოხუცებულმა ლალამ ხელში ამიყვანა, ნახევარ თავისი ნაბადი ზედ მამახვია, ფეხმოუცვლელად იქვე დადგა და იმ ქალს ეხვეწებოდა, დაჩუმებულიყო, მაგრამ ამაო იყო იმის ხვეწნა, ასე გულამოჯდომილი ტიროდა. კარგა ხნის გასვლის შემდეგ ის სომეხი მოვიდა, თავისი არისის ხორბლიანი თაბახი თავზე შემოიდგა და *სადღესასწაულოს სახით*, დაფარულის ღიმილით სწრაფად წავიდა, რომ ხმა არავის არ გასცა. ამის შემდეგ *მაგთენი ხანი არა გამოვიდა რა*, *რომ* ის ქართველები მოვიდნენ და რაღასაც მობუტბუტებდნენ. ქალმა მამა რომ დაინახა, მაშინვე გაექანა, ყელზედ გადაეხვია და სიხარულით კოცნა დაუწყო, მამამაც სიამოვნით აკოცა. თვალები მოსწმინდა თეთრის ხამის ხელსახოცით, მასკვან ქალის კოკა თვითონ შემოიდგა მხარზე. მერეთ იმ ორთ ქართველებმა ქუდები მოიხადეს, ქუდაშვერით ზეცას შეხედეს და მოსაწყვლელის ხმით დაიძახეს. „ახ, ამ ქალაქის სომხებო, ღმერთმა ამოგაგდოთ. *რომ თქვენი სინსილა აღარ იხსენებოდეს.* ამასთანავე გატრიალდნენ და წავიდნენ. ჩვენი მოსამსახურენიც მოვიდნენ და იმათგანმა ერთმა დაიწყო ლაპარაკი, რომელსაც ერქო ოთარა. „ჩვენ იმათ რომ გავყევით, მე გზაზედ ვიფიქრე, მოდი, დავწინაურდები და პოლიციაში ადრე მივალ, ვნახო, როგორ გადაწყდება ამათი სამართალი-მეთქი? პოლიციაში მივედი, იქ სამი მოვაჭრე მოქალაქეები იყვნენ და რაღაც საქმე ჰქონდათ. მაგდენი ხანი აღარა გამოვიდა რა, ის მოჩხუბრები მოიყვანეს და თავთავისად ყაყანებდენ; მოქალაქეებმა ისინი რომ დაინახეს, მივიდნენ, დესეტნიკებს ხვეწნა დაუწყეს: „ჯერ პოლიციაში ნუ შეატყობინებთ, მინამ ამათ არ გამოჰკითხოთ“. თუმცა დესეტნიკები არა შვებოდენ, მაგრამ ერთმა მოქალაქემ ჯიბიდგან რაღაც ამოიღო და ერთს დესეტნიკს რაღაც მისცა ხელში, რომ ჩემის მეტმა ვერავინ ვერ დაინახა. დესეტნიკები მაშინვე თანახმა შეიქნენ და მოქალაქეებმა მოჩხუბრებს კითხვა დაუწყეს. მოჩხუბრებმა თავთავისი ლაპარაკი რომ გაათავეს, ერთი

მოქალაქე მივიდა, მოჩხუბარს სომეხს ჩუმად დაუწყო ლაპარაკი და რაღასაც არიგებდა. სხვა მოქალაქეებმა ყაყანი შექნეს ტყუილად და იმ ქართველებს მითამ გამართლება დაუწყეს, რომ დამრიგებელის მოქალაქისაგან დარიგება არავის არ შეემცნია და ყველას ფიქრი იმათ ყაყანმა მოიტაცა ჩემი ფიქრის მეტი. ლაპარაკი რომ გაათავა, მაშინვე გამოტრიალდა, პოლიციაში შევიდა და სხვა მოქალაქეებიც თან შეჰყვნენ. ათი მინუტი არ გამოვიდა, ორი სომეხი პერეოჩიკები კარზე გამოვიდნენ. *იმათთან მოვიდნენ და კითხვა დაუწყეს.* ქართველებმა ლაპარაკი რომ გაათავეს, მასკვან მოჩხუბარს სომეხს გაჯავრებულის გულით კითხეს. სომეხმა თქო. „ესენი ყველას მართალს ამბობენ, მაგრამა მე რომა ჯიბეშია ფული ჩავიდე, ის კი ხუმრობითა იყო და გაცინებისთვისა ვქენი. და აი ისა ქისითა ფული აქა მაქვსა.“ ჯიბიდგან ქისა ამოიღო და უფროსს პერეოჩიკს მისცა, პერეოჩიკმა ჯიბიდგან ფული ამოიღო და თვლას მოჰყვა. თვლა რომ გაათავა, ერთი მანათი გადაასხლიტა და იმ სომეხს ხელის გაპარებით ასე მისცა, რომ ვერავინ ვერ შეამცნია ჩემის მეტმა და იმანაც ქურდულად ჯიბეში ჩაიდო. მერე პერეოჩიკები იმ ქართველს მოუტრიალდენ, რომელსაცა ფული ეპოვნა და გაჯავრებით უთხრეს. „შენ როგორ გაბედე, გუშინ ფული იპოვნე და მაშინვე პოლიციაში არ გამოაცხადე? არ იცი, ამისთვის პოდსუდში მიეცემი და საუკუნოთ ციმბირში დაიკარგები?“ იმ ქართველს სუდის ხსენებაზე მკვდრის ფერი დაედო სახეზე. პერეოჩიკებმა შიში რომ შეამცნიეს, მაშინვე იმ სომეხს მოუტრიალდენ და უთხრეს. „ტო, დუნ გნა“. ის მეარისე სომეხი გამოტრიალდა და საჩქაროთ წამოვიდა. იმ საწყალმა ქართველებმა ეს რომ ნახეს, პერეოჩიკებს ხვეწნა დაუწყეს, ამ მწუხარებისგან გამომიხსენიო. პერეოჩიკებმა ასე გაუძნელეს, რომ ცა ქვეყანას შემოახეთქეს და ბევრი შეუძლებლობა უთხრეს, მაგრამ ორ თუნგ ღვინოზე თანახმა შეიქნენ და იმ ღარიბს ვალათ დასდეს. პერეოჩიკებმა ორი თუნგი ღვინის დაპირება რომ გაიგონეს, სიხარულით უთხრეს. „ახლა შენ ნურაფერზე ნუღარ იშიშვი, ამ ფულს პოლიციაში ნაპოვნად გამოვაცხადებთ და ახლა შეგიძლიანთ უშიშრათ წახვიდეთ.“ *ჩვენზე ეჭვი აღარა გქონდესთ რა.* ის ქართველები მხიარულათ გამოტრიალდენ და წამოვიდნენ. მე კიდევ იქ ვიცადე, მინდოდა, იმათი სწორე შემეტყო რამე: ვნახოთ, პოლიციაში გამოაცხადებენ თუ არა? ეს ჩვენი მოსამსახურეები არ

გამოვუშვი და შევეხვეწე, აქ მომიცადეთ, ეხლავ გამოვალ-მეთქი და ამასთანავე პერეოჩიკებს შევყევ პოლიციის სამწერლოში. სამწერლოში რომ შევიდნენ, ის მოქალაქეები მოეგებნენ და კითხვა დაუწყეს. პერეოჩიკებმა სიცილით უთხრეს. „ის ვირი ქართველები ისე შევაშინეთ და ასე დავთესეთ, რომ პირაქეთ, ორი თუნგი ღვინო გამოვართვით და პირობა მოქვცეს, ხვალ დილით მოგიტანთო.“ მერე ქისიდგან ფული წამოყარეს და სიცილით გაიყვეს. სამი მინანთული ერთმა პერეოჩიკმა აიღო, სამი მინანთული მეორემა და ხუთი მინანთული სამმა მოქალაქემ გაიყვეს. მე იმათ მაგიერა ასე შემრცხვა, შუბლზე ოფლი მეწურებოდა. ანაზდად ფიქრი მამივიდა: „მოდი, ამათი ავკაცობა, რაც ვნახე, სულერთიანათ პოლიციაში გამოვაცხადებ-მეთქი?“ მაგრამ სირცხვილმა და სინდისმა არ გამიშო. მაშინვე გამოვტრიალდი და წამოველ.[1]

ჩემმა მოხუცებულმა ლალამ სულ არათქო რა, მაგრამ ასეთი ამოიოხრა, რომ გულის მოწყვეტა გეგონებოდათ. არაერთგზის ზოგთ ქართველთაგან გამიგონია, რომ ტფილისის ქალაქის სომხებთანა დიდი ერთობა მქონდეს, ამისთვის, რომ ჩემი სამი შვილი

---

[1] ამის მეორე დღის დილაზე მამაჩემი ერთს დიდს სომხის თავადიშვილთან ყოფილიყო, სადაც სხვა სომხის დიდრონი კაცებიც იქ ყოფილიყვნენ, ამ დროს პოლიციის პერეოჩიკი შემოსულიყო და სხვათა ლაპარაკსა შორის ეთქო იმ ქართველების და იმ სომხის ამბავი, რომელთაცა ქართველებზე ეცინათ. თუმცა მამაჩემი სომხურათ არ ლაპარაკობდა, მაგრამ აზრი კი ესმოდა. როდესაც პერეოჩიკს ლაპარაკი გაეთავებინა, მასკვან მამაჩემს ჩამოეთვალა. –„ აი შენ, პოლიციის პერეოჩიკმა რა და რა თქვი და ამ დიდრონმა კაცებმაც ჩვენ ქართველებზე იცინეს. ახლა ჩემი რიგი არის, ვთქო. საქართველოს სომხები, აი, როგორი არიან. პირველი, როდესაც გიჭირთ, ადამიანს ფეხქვეშ ექნებით და როდისაც თქვენსას მიიღებთ, იმისი კეთილი დაგავიწყდებათ და ვინიცობა არის, თუ იმისთანა საქმე რამ შეგემთხვათ, იმას მოჰკლავთ, რომელმაცა გამოგიხსნათ. მერე, დიდრონს კაცსა ესათნოებით და მცირეზე დღესასწაულობთ. მესამე, თქვენს ერთს მშობელს ძმასა არ გაუმეგობრდებით, თუ იქ სარგებლობას არას ხედავდეთ. მეოთხე, თქვენს უსამართლო შეძინებისათვის საყდარში შეხვალთ, ტრაპეზზე ხელს დაადებთ, ტყუილათ დაიფიცავთ და მასუკან იცინებთ.“
ამ უკანასკნელს სიტყვასთანავე გამოტრიალებულიყო და წამოსულიყო. როდისაც შინ მოვიდა, მე ბატოიშვილს დედას კალთაში ვუჯექ და გულზე მიყრდნობილი ვეჭირე. მაგოდენი ხანი აღარა გამოვიდა რა, თვით ის სახლის პატრონი მ... ბ... მოვიდა, სადაც მამა ყოფილიყო. ყოველივე ყოფილი იმანვე უანბო ბატოიშვილს დედას დიახ დამდაბლებულის გულით, მასუკან ბოდიში მოიხადა და მამას უთხრა. – „გთხოვთ, დაუტეოთ და ნუღარ ჯავრობთ. მერწმუნეთ, ის პერეოჩიკი ჩემი სახლიდგან დავითხოვე.“ მერეთ მამა მიუბრუნდა და უკმაყოფილოს სიტყვით უთხრა. „არამცთუ ერთხელ, ათასჯერაც რომ დაითხოვოთ, მაგითი საქართველოს სომხები თვისებას და ხასიათს ვერ გაიკეთებთ“.

სომხებთაგან იყოს მონათლული და მე სომეხთ შვილებს ვნათლევდე. სწორეთ ვიტყვი. მე საქართველოს სომხებსა პატივსა ვცემ. ამისთვის, რომ არიან საქმის მიმხვედრნი, არიან მცდელნი და საქმის მომხერხებელნი და არიან ერთ თანხმანი, მაგრამ იმათი თვისება და ხასიათი? ჩემი მკვლელი არის.

„ჯერ ისევ კარზე იდგნენ ჩვენი მასამსახურეები, რომ იმ სომეხს არისის ხორბალი გაერეცხა და წყალიდგან მოდიოდა; როდისაც დაგვიახლოვდა, სიცილით და ყვედრებით დაიძახა. „ხიდქვეშ ქართველებო, ჰეე, წეღანა ქართველებსა რა უყავით ჩვენა სომხებმა!“ ამ სიტყვაზე ჩვენი მოსამსახურეები გაჯავრდნენ, მკვირცხლად სომეხს მისწვდნენ, თაბახი გამოგლიჯეს და სხუებმა დაიძახეს. ასწიეთ ეს უსვინდისო სომეხი და წყალში გადავაგდოთო. *მაშინვე, სწრაფათ* წამოავლეს და წყალისაკენ წაიღეს. სომეხმა ეს რომ ნახა, ასე მოიკატუნა თავი, ცრემლები გადმოყარა და გულამოჯდომით ხვეწნა დაუწყო. ჩვენ მოსამსახურეებს შებრალდათ და მაშინვე გაუშვეს. თავის თაბახი თავზე შემოიდგა და სასწრაფოთ წავიდა. ჩემმა მოხუცებულმა ლალამ სომხის შიშზე ბევრი იცინა. მასუკან გამოტრიალდნენ და ალაყაფის კარებში შევიდნენ. მე ხელშივე აყვანილი ვყვანდი ჩემს ლალასა. თუმცა ვეხვეწებოდი, გამიშვი-მეთქი, მაგრამ არ გამიშო. მოაჯირის კიბის პირდაპირ სამზარეულო იყო. იმ სამზარეულოში შევიდნენ და რაღასაც ხუმრობდნენ. ერთმა მოსამსახურეთაგანმა თქო. – „ღმერთმა ადღეგძელოს ეს ჩვენი ბატონი, იმის მოწყალება არა გვაკლია რა, მაგრამ დღეს საუზმე არ მიჭამია.“ მეორე მხრიდგან მეკუჭნავე გიორგიმ წამოიძახა. „მე ხომ ვიცი, გიგოლი, შენი მუცლის გვრემა რაც არის? წამოდი, წავიდეთ, ძმებო, ბატონი თავის მოწყალებას არ დაგვიშლის და არც გაგვიწყრება.“ გამოტრიალდენ და სამზარეულოდგან გამოვიდნენ. სამზარეულოს მარჯვენა გვერდზე საკუჭნაოში შევიდნენ, ფარდაგები ძირს გაიშალეს; ჯერ ჩემი ლალა დაჯდა და მე მარჯვენა მუხლზე დამისო. მასკვან ყველანი გარს შემოუსხდნენ ჩემს ლალას. მეკუჭნავემ კიდობნიდგან პურები ამოიღო და ყველას ნახევარი პური მისცა, მერე ერთი თუნგი წითელი ღვინო ჩამოასხა ტიკიდგანა. მოიტანა, შუაზე დადგა და ვერცხლის თასი ზედ დააფარა და თვითონაც ერთს ადგილს ჩაჯდა. ჩემმა ლალამ თქო. „გიორგი, კარგი მასპინძელი ხარ, მაგრამ ყველი რომ არა გაქვს, ეს

კი არ ეკადრება შენს მეკუჭნაობას“. მეკუჭნავე კარზე გავარდა, მაგთენი ხანი არა გამოვიდარა, ერთი ვეება ნაჭერი ყველი შემოიტანა, ლუკმა-ლუკმათ დასჭრა და ყველას თითო ნაჭერი მისცა. ჩემმა ლალამ ჰკითხა. – „სწორეთა თქვი, გიორგი, ეს ყველი სად იშოვნე?“

მეკუჭნავემ. „შე დალოცვილო და კურთხეულო, შენ ხილი ჭამე, ხეს რათ კითხულობ.“

ჩემმა ლალამ. „მაინც სად იშოვნე?“

მეკუჭნავემ. ჩვენს გვერდით გამოვართვი.

ჩემმა ლალამ. ამ საკუჭნაოს გვერდით ნაისახარ გამდელი რომ დგას, იმას გამოართვი?

მეკუჭნავემ. იქით, ლომისახარს გამოვართვი.

ჩემმა ლალამ. მე რამთენჯერმე დამკოცნა და მასუკან თქო. „აი ამ ჩემი პატარა ბატონის გამდელი არის, ღმერთმა უშველოს, კარგი დედაკაცია. “

მეორე მხრიდგან ერთმა მამიჩემის საყვარელმა და ჭაღარიანმა მოსამსახურემ დაიძახა: შე დალოცვილო ბერელავ, რა დროს ლაპარაკი არის? მე შიმშილით პირწყალი მამდის. ღმერთი ახსენე და ეგ პური გატეხე, ჩვენ შენ გიყურებთ.

ჩემმა ლალამ. ოჰ, ძმაო სოლომან, მგონია, მუცელი წაგიხდა. ამასთანავე თქო. ღმერთო დიდო! შენ დაგვლოცე და შენ მოწყალებას ნუ მოგვაკლებ!. პირში ლუკმა ჩაიდო, სხვანიც ამას შეუდგნენ და წლაპაწლუპს მოჰყვნენ. რამდენისამე ლუკმის შემდეგ მეკუჭნავემ სამსე თასით ღვინო მიუტანა ჩემს ლალას. ჩემმა ლალამ გამოართო, პირჯვარი დაიწერა და თქო. „დიდება ღმერთსა! ღმერთო, ადღეგრძელე ჩვენი ბატოიშვილი მეფის ირაკლის ქალი თეკლა და ჩვენი ბატონი ვახტანგ ყაფლანიშვილი და თქვენც გაგიმარჯოთ.“ ყველამ თავის დაკვრით. ღმერთმა შენც გაგიმარჯოს. მინამ ღვინოს დალევდა ჩემი ლალა, მეკუჭნავემ ლუკმა აიღო და შეჭამა. ღვინო რომ შესო, დაცლილი თასი ფჩხილზე დაიკრა და მასუკან დაიძახა. „ასე მტერი დაეცალოს ჩვენს ბატონებს. ღმერთო, შენ მოეც ჩვენს ბატონებს კარგი მოსავალი. მართლა რომ კარგი ღვინო არის და თავის გვერდით ერთს ხნიანს მოსამსახურეს თასი კალთაში ჩაუგდო და უთხრა. „ნინიას გაგიმარჯოს. ბიჭო, რას მოგიწყენია და ან თავპირი რას ჩამოგიშვია? ასე გგონია, შენი კოჭებიდგან გამო-

დიოდეს ეს ღვინო.“

ნინიამ მხიარულის ხმით დაიძახა. ღმერთმა შენც გაგიმარჯოს. ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც შენზე მხიარულათ არ იყოსო.

ღვინო ორჯელ თუ სამჯერ დაუსვენებლივ ჩამოირიგეს; მეც მეხვეწებოდენ პურის ჭამას და ღვინის დალევას, მაგრამ არცერთი არ ვქენ, ამისთვის, რომ ჩაის ველოდი. ღვინომ ტვინი რომ გაუცხელათ, უნამეტნავესად გამხიარულდენ და ლაღობას მოჰყვენენ. ლაღობა რომ გაათავეს, პური და ყველიც აღარ ჰქონდათ და უკანასკნელი ღვინოც ჩამოიწრიტეს.

ჩემმა ლალამ თქვა.

– „აღარც პური გვაქვს, აღარც ყველი და აღარც ღვინო. მაშ, მინამ ჩვენი ბატონები გაიღვიძებდნენ, მანამდისინ გიამბობთ რასმე.“

ყველამ ერთხმათ დაიძახეს.

თუ ღმერთი გწამს, ბერელავ, თქვი რამე.

ჩემი მოხუცებული მოჰყვა.

გაიგონე.

ა. – „მე ახლა მოხუცებული ვარ, *სამოცდაცხრამეტის წლის კაცი ვარ და მეოთხმოცე წელში ვდგავარ.* მაგრამ ხომ ხედავთ, როგორ კიდევ ჭარმაგათა ვარ? მე შვიდის წლისა ვიყავი, როდესაც მამაჩემს მე ობლათ დავრჩი და დიდმა ბატონმა მოსამსახურეთ შემიყუანა თავის სახლში. დიდი ბატონის დიმიტრისათვის მიმსახურია, იმის შვილის ვახტანგისათვის მიმსახურია, რომელიც ამის მამა ბძანდება, ჩვენი ახლანდელი ბატონი და ახლა ამ პატარა ბიჭს ვემსახურები. მე ჩემი ერთგული სამსახურები რომ მოგითვალოთ ამათი სახლისა, ბევრი ლაპარაკი მოვა და გაგძელდება კიდეც. ამიტომ მოკლეთ ვიტყვი, რაზედაც დავიწყებ ლაპარაკსა.

მეფე ირაკლი ინდოეთს ბძანდებოდა ნადირშასთან ქართული ჯარით, დიდი ბატონიც თან ახლდა და მეც იმას ვახლდი. რაღა გითხრათ ქართველთ ვაჟკაცობა, რომ ნადირშა გაკვირვებული იყო. სადაც ბატონი მეფე წაბძანდებოდა და ან ომში იქნებოდა, ჩემი დიდი ბატონიც იმას ახლდა ხოლმე და მეც მოუშორებლივ ჩემ ბატონთან ვიყავი. ამ ჩემი ბატონის შთამომავლობანი, რომელიც მე ვიცი, სულ ომში, მტრის ხელით იხოცებიან. ელიზბარ ეშკაღაბაში ყოფილიყო, ომში მოეკლათ, ელიზბარის შვილი, ჩემი დიდი ბატონი ჩემთან მოუკლავსთ და ეხლანდელი ჩემის ბატონის ეჭვიცა მაქვს,

რომ ჩემთან არ მოკლან, ამისთვის, რომ ამათ დიდი ვაჟკაცობა მოსდგამთ.

ამათი სახლი დიდათ დაცემული იყო, ასე რომ ლუკმა პური ენატრებოდათ, ამისთვის, რომ სომხითის აოხრების შემდეგ ამათ მამული აღარ დარჩათ შენათ და ჩემი დიდი ბატონი წვითა და დაგვით ჰკვებავდა თავის ცოლშვილსა.

როდესაც ჩემი დიდი ბატონი მოკლეს ლეკებმა საგურამოში ლევან ბატოიშვილთან, თერთმეტი წლისა დარჩა ჩვენი ბატონი ვახტანგ სიღარიბეში, *ყოვლის შეუწევნელობით* ორის უნცროსის ძმითა და ორის დითა, მაგრამ ღმერთმა საუკუნოს ცხოვრებაში განუსვენოს მეფეს ირაკლის, თვითონ ის შეიქნა მათი მზრუნველი. როდისაც თექვსმეტი წლისა შეიქნა ჩვენი ბატონი ვახტანგ და ცხენზე შეჯდა, ასეთს ომში არ დაესწრა ბატონს მეფესთანა, რომ ლეკის თავი არ მოერთმევინა, არ იქნებოდა. ბატონ მეფეს დიდათ მოსწონდა და ყოველთვის ხალათს აძლევდა. ასე გაშინჯეთ, ამ ყმაწვილმა კაცმა ასე გამოიჩინა თავი, როგორც ვაჟკაცობითა, ისე ჭკვითა და გონებითა, რომ ქართლ-კახეთის თვადაზნაურობას დიდათ შეაყვარა თავი, რომელმაცა თავის ყმაწვილობით თავის ორი დები კარგს ოჯახებში მისცა და ქორწილი გადაუხადა ორთავ კარგი.

მეფე გიორგიც დიდათ სწყალობდა. როდესაც ოცდაორის წლისა შესრულდა, ბატონმა მეფემ საგარეჯოს მოურაობა მისცა დიდის ერთგულობისათვის. თავის დის, ეკატერინეს შემწეობით საგარეჯოს მოურაობაც იშოვა.[1]

---

[1] *თავის სიკვდილის წინა წელიწადს უბოძა საგარეჯოს მოურაობა ამ სიტყვით. – „თუმცა საგარეჯოს მოურაობას გაძლევ, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ გიმტკიცებ ამისთვის, რომ მინამ კარგათ არ გამოიცდები მაგ საქმეში, ჯერ კიდევ თ˜ა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელ ზე უნდა ისაქმო და იმის სახელ ზედ აღსრულებდე მოურაობას და როდისაც კარგათ გამოიცდები, მაშინ სრულად დაგიმტკიცებ და წყალობის წერილსაც მოგცემ“. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც ვექილი იყო, საგარეჯოს მოურავი, ჯამასპი ჩოლოყაშვილი რომ გარდაიცვალა, იმის პატარა შვილის თადიასი და როცა გაიზდებოდა, მაშინ თადიას მისცემდნენ, ვინაიდგან ამის სახლს ეკუთვნოდა საგარეჯოს მოურაობა, მაგრამ ჯამასპი მოურავის მეუღლემ, ყმაწვილმა ქალმა ეკატერინემ სთხოვა მეფეს ირაკლის, ჩემი ძმა, ვახტანგ ორბელიანი დააყენე ჩემი შვილის თადიას ვექილადაო და ამისთვის უბოძა საგარეჯოს მოურაობა, მაგრამ ცარიელი სიტყვით, ისე, როგორც ზევით ითქვა, მხოლოდ ცარიელი სიტყვის ბძანებით აღასრულებ საგარეჯოს მოურაობას, მაგრამ როდისაც მეფე ირაკლი გარდაიცვალა, მეფე გიორგიმ წერილით დაუმტკიცა და მინამ თადია კარგად*

რაც ლეკები იქით მხარეს სცემდენ, ასე მალე შეაშინა, რომ ლეკის კვალი ვეღარ ვნახევით, არამცთუ ჩაფაულიღა მოეტაცნათ. შემოდგომა იყო. საგარეჯოდგან თავის დას ეკატერინესთან გადმოვიდა ყარაბულახზე. ერთი კვირა რო გავიდა, ერთს დილაზე, ბატონი მზვარეში შეექცეოდა, ამ დროს ხაშმიდგან კაცი მოიჭრა და ბატონს მოახსენა. „დღეს, გათენებისას ერთი ბაირახის ლეკი დაესხა და ნახევარი ხაშმის საქონელი მოიტაცეს. ეს არის, სამგორის მინდორს მიატანეს და ხაშმის ნაცვალმა თქვენთან გამამგზავნა. ღმერთი გადღეგძელებსთ, გვიშველე რამე? ამ დროს ეს ჩვენი ბატონი ცეცხლის ალსავით წამოხტა და დაიძახა...

ეს ლაპარაკი რაღა გაგიგძელოთ? ბატოიშვილის გიორგის შუამდგომლობით მეფე ირაკლიმ თავის ქალს თეკლაზედა დანიშნა და შემთხვევისა გამო საგარეჯოს მოურაობაც მისცა ჩვენი ბატონის დის, ეკატერინეს ქმრის სიკვდილისა შემდგომ, რომელიცა იყო მოურავი საგარეჯოსი და რომელსაცა დარჩა პატარა თადია ორის პატარა დითა. მინამ თადია გაიზდებოდა, ჩუენი ბატონი ვახტანგ უნდა ყოფილიყო მოურავათ იქა. ჩუენმა ბატონმა ვახტანგმა იქით მხარეს ასე გამოიჩინა თავი, რომ თითქმის იქით მხარეს ლეკმა ვეღარ გაიარა იმის შიშით. ამ დროებში შემოდგომის პირში თავის დას ეკატერინესთან მივიდა ყარაბულახს საგარეჯოდგან, რომელიცა ახლოს არის და იქ დაჰყო რამთენიმე ხანი თავის დასთან, სადაც მოდიოდნენ გარეჯელნი და იქ უწყვეტდა სამართალსა.

სამი თუ ოთხი დღე გამოვიდა, ერთს დილაზედ ხაშმიდგან კაცი მოიჭრა, ამ დროს ჩუენი ბატონი ვახტანგ მზუარეში იყო და აჩქარებით მოახსენა.

– „დღეს გათენებისას ერთი ბაირახის ლეკი დაგუესხა, ნახევარ ხაშმის საქონელი მოიტაცეს მინდვრიდგან და ეხლა ისინი შუა სამგორის მინდორში უნდა იყვნენ, ასე ჩქარა მიერეკებოდნენო, რომელმაცა ხაშმის ნაცუალმა გამამგზავნა იქიდგან, მოგახსენო.“ მაშინვე ჩუენი ბატონი წამოხტა და დაიძახა. –„წადი, ნაცვალს უთხარ, იმისი მდევარი ჩემთვის საჭირო არ არის, მე ეხლავ დავაყრევინებ.“ ის კაცი გაიქცა და წავიდა. მასუკან მე მამიტრიალდა. „ბერელავ, ჩემი ზერდაგი ცხენი ახლავ გამოაყვანინე“. იმ წამს თოფიარაღი ზედ გადიგდო და მეც შეკაზმული ცხენი საჩქაროთ

გაიზდებოდა, მამაჩემი მოურაობდა საგარეჯოს.

მოვართვი, რომელზედაც მოევლო და გაქუსლა. ერთი მე გავყევი, მეორე პატარძეულის ნაცვალი, მესამე საგარეჯოსი და მეოთხე თვით ყარაბულახის ნაცვალი. ასე გაშინჯეთ, ასე გავეშურენით იმ მზვრიდგანვე, რომ თავის დას ეკატერინეს არც კი შეატყობინა. თუმცა ბატონ ყმით ჩვენ ხუთნი ვიყავით, მაგრამ ძაღლებსავით ვღრინამდით, ჩქარა მოვწეოდით. [*როდისაც სამგორის მინდორში ავედით, ვნახეთ, რომ ყარაიაზის მინდვრის გორებთან კი მიატანეს ლეკთა; მაშინვე ცხენები დავაყენეთ, ბატონმა დურბინდში გაიხედა და თქუა. „ერთი ბაირახის კაცნი არიან და ბაირახი გაშლილი მიაქვთ. რაც საქონელი მოუტაცნიათ, სულ წინ მიუდით ათ ცხენოსნიან კაცსა და დანარჩენი ჯარი უკან ჩამოსდგომია. ეტყობა, ამ ჯარის ბელადი კარგ ბელადსა ჰგავს.“ დურბინდი ჯიბეშივე ჩაიდო და ცხენები გავქუსლეთ. მაგთენი არა გაგვირბენია რა, რომ ის ლეკები ყარაიაზის გორებს მიეფარნენ.*] როდისაც სამგორის მინდვრის პირში მივედით, იქ ბატონი ცხენიდგან გადახტა, ჯერ სამგორის მინდორი დაათუალიერა, მასუკან დურბინდში გაიხედა და თქუა: იმ ერთმა ბაირახის ლეკებმა ყარაიაზის გორებს მიატანეს და საქონელი პირიქით გადარეკეს. პატარა ხანს უკან კიდევ: „აღარ ჩანან, მიეფარნენ. პატარა ხანს კიდევ მოვიცადოთ და ისე წავიდეთ, რომ გული გულს დაიდონ, მდევარი აღარ მისდევს იმათ. იმედი მაქუს, თავიანთი ყარაული ასე დაარწმუნებს და ამისი იმედიცა მაქუს, რომ ისინი იქვე გადახტებიან დასასვენებლად, იმიტომ, რომ იქ კარგი ბალახი იცის, თორემ იმ უბალახო ყარაიაზის მინდორს ვეღარ გაუდგებიან ისე შორსა, ამისთვის, რომ წუხანდელს აქეთ ცხენები მშივრები ეყოლებათ და დაღალულიც. მგონია, ის ლეკები მთელი ღამე ივლიდნენ, აგერ აიქ უდაბნების ყელებიდგან წამოსული დაფარულს ადგილებში, რომ არავის ენახა დღე ისინი, რომ გათენებისას დაჰკრან სადმე. უთუოთ ასე იქნება და კიდევ მოვიცადოთ აქ.“

ყარაიაზის გორებს როდესაც დავუახლოვდით, იქ ცხენებიდგან გადავხედით, მოსართავები გავუმაგრეთ და ზედვე შევსხედით ჩვენი ცხენებისთვის რომ შეგეხედათ, ამას იტყოდით, მასკვლავებს ეთამაშებიანო.

პატარძეულის ნაცვალს უბძანა ბატონმა. „წადი, ამ ჩვენს პირდაპირ გორაზე გადახედე, ნახე, ის ჯარი რა იქნა?“ ნაცვალი ცხენიდგან

გადახტა და ყარაბულახის ნაცვალს მისცა, თვითონ თოფი მოიმზადა და ქვეითი ავიდა გორაზე. ამ გორიდგან იქით რომ გადაეფარა, კარგა ხანი არ მოვიდა. სწორე გითხრა, ჩვენ იმისთვის შევწუხდით და ტორტმანი დავიწყევით. ამ დროს ამ გორაზედვე გადმოვიდა და ორი შეკაზმული ცხენები მოასხა, ერთი ლურჯი და მეორე წითელი. თავის თოფის გარდა, სხვა ორი თოფი ყელზედა ჰქონდა ჩამოკიდებული. ჩვენ გაგვიკვირდა და კითხვა დაუწყევით. იმანა თქუა: ამ გორაზე რომ ავედი, ვნახე, ამის ძირში ორ ლეკს ეძინა, ეს თოფები გვერდით ეწყოთ და ეს ცხენებიც ავშრეებითა სძოვდენ იმათ გუერდით. მე ფეხაპარვით ეს თოფები ასე მოვპარე, ვერა გაიგეს რა და მგონია, ბუზით მთვრალსაც ჰგვანდნენ. იქიდგან სხვას გორაზედ შევდექი და ჩუმათ გადავათვალიერე. ასე უფიქრელათ არის ის ჯარი, რომ მდევრის მოწევისა სულ არ ეშინიანთ. ამიტომ მოტაცებულს საქონელსა სამი კაცი აძოვებს ჯარზე კარგა მოშორვებით. სტვირით და ლეკურის თამაშობით შეექცევიან. რომელს გორიდგან მე დავზვერე, იმ გორიდგან ორასი თუ სამასი ნაბიჯი უნდა იყოს, სადაც ჯარი არის ჩამოხდომილი. იქიდგან რომ შემოვტრიალდი, პალოებზე დაბმული ცხენები ავხსენ და აი ჩემო ბატონო, თქვენთვის მამირთმევიაო.“ ბატონმა უთხრა. – „ეგ ცხენები და თოფები შენთვის მიჩუქებია. თუ ღვთის მოწყალებით და მშვიდობით გადვურჩით, კარგს ხალათსაც ჩაგაცმევ.“ პატარძეულის ნაცვალმა ბუტულაშვილმა კალთაზე აკოცა. მასუკან ჩვენ მოგვიტრიალდა და გვითხრა. „ამან თავისი იშოვნა და სირცხვილი არ არის, ჩვენ ცარიელი დავრჩეთო.“ ჩვენ გაფიცხებულთ თოფების ფალიებს წამალი გამოვუცვალეთ, ის ცხენები იქ დავაბით და საომრათ მოვემზადენით, მაგრამ ბატონმა თქუა. „სჯობია, ის მძინარე კაცები დავიჭიროთ, ჯარის ამბავი გამოვკითხოთ.“ მე განგება ვთქვი, ვნახოთ, ბუტულაშვილი რას იტყოდა. – „ნაცვალო, რატო ის ძაღლები იქვე არ დახოცე, რომ ახლა თავში საცემი გაგვიხადე?“ ის მამიტრიალდა და მითხრა. „ბერელავ, მე ხომ ვიცი, მაგას ხუმრობით ამბობ და მე კი სწორეთ ვიტყვი, რომ ვაჟკაცს როგორ ეკადრება, მძინარე კაცი მოკლას.“ მე მხარზე დაკვრით ვუთხარ. „ნაცვალო, ნუ ჯავრობ. მე გამოსაცდელად გითხარ.“ ნაცვალმა ჩაიცინა და აღარა სთქო რა. მერე ქუევითი წავუძეხით *ჯილავწაყრილს* ცხენებს, გორას გადავედით და მძინარე ლეკებს თავზე დავადექით. საგარეჯოს ნა-

ცვალმა ორსავ ფეხი წაჰკრა, მაგრამ ისე ეძინათ, ძლივ გაიღვიძეს. თვალი რომ აახილეს, ნამძინარევთ თავისი ამხანაგები ვეგონეთ და ლეკურათ რაღაც თქვეს. ყარაბულახის ნაცვალმა კარგათ იცოდა ლეკური და ამან იმათ რაღაც უთხრა. ამის სიტყვაზე ასე შეიქნენ, გაშტერებულნი დარჩნენ. მაშინვე გავექანენით და ორსავ ხელები შევუკარით. ავაყენეთ და ჩვენს ბინაზე გადმოვიყვანეთ. მინამ გადმოვივლიდით, ბატონმა ყარაბულახის ნაცვალს ჰკითხა. „ან ამ ლეკებმა რა თქვეს და ან შენ რა უთხარი.“ ნაცვალმა თქუა. „ამათ თავისი ამხანაგები ვეგონეთ და ამბობდენ, პატარა მოგვასვენეთ, ეს ორი დღე და ღამეა, სულ ჩვენ ვყარაულობთ და აქ მდევარი არ გამოგვიდგებაო. ამის პასუხათ ვუთხარ მე. რას გაგიჟებულხართ, ეს საგარეჯოს მოურავია და თქვენ რას ამბობთ-მეთქი. ამ სიტყვაზე თვითონ თქვენა ნახეთ, როგორ შეიქნენ.“ როდისაც ბინაზე გადმოვედით, ყარაბულახის ნაცვალი გორაზე აგზავნა ბატონმა და თვითონ თათრულად კითხვა დაუწყო. თუმცა ლეკებმა თათრული იცოდენ, მაგრამ ქართულსაც ლაპარაკობდენ. ერთმა ლეკმა ბატონს მოახსენა. „ვალაჰი, მოურავო ვახტანგ და რჯულის მადლმა, კარგი ვაჟკაცი და პურადი ხარ და შენს ვაჟკაცობას ჩვენში ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ გულში კი სიკვდილი სულ ყამიეჭოა. *კბილში ფრჩხილი ამოიკრა და თქვა. ამტოლა შიში ჩვენ გულში არ არის.* ბარემ უბძანე, დაგვხოცონ.“ ამ ფიცხს კაცს, რომელსაც ვიცნობთ, რომ თავის მოწინააღმდეგისაგან მცირედი მაღალი სიტყვა ცეცხლსავით აანთებს, მაგრამ ლეკისაგან დიდათ მოეწონა და გულის დამშვიდებით უთხრა. „მე რასაც გკითხავ, ის მითხარი, მე სიკვდილს არ გეუბნები.“

კაცსა ფიცხსა თან დიდსულოვნებაც უნდა ჰქონდეს, თორემ სულ სიფიცხით ვერას შეიმატებს.

იმ ლეკმაც დიახ დამშვიდებით უთხრა. – „ვალაჰი, მოურაო, ჩვენ სულ არას ვიტყვით და ჩვენ ჯარს არ ვუღალატებთ, თუნდა ტყავები დაგვაძრო.“ ბატონი ფრინველსავით წამოვარდა, ორისავ ხელ-ფეხი მაგრა შეგვაკვრევინა და იმათ ცხენების პალოებზე ასე გამოგვაბმევინა დაშარტულები, რომ მოძრაობა აღარ ჰქონდათ. მაშინვე ბატონი და ჩუენა ცხენებზე გადავსხედით, ჩოხების კალთები შევიკეცეთ, ქუდები შუბლქვეშ შევიტეხეთ და თოფ-იარაღები მოვიმარჯვეთ. ბატონი მოგვიტრიალდა და გვითხრა. „ხომ კარგათ იცით მამაპაპის

ჩვეულობა, ერთის მეტს თოფს არ გასცლიან მტერზე. თუმცა ესენი ბევრნი არიან, მაგრამ თქვენ მე მხარი შემინახეთ და როგორც მე მოვიქცე, ისე თქვენ მამყევით. მასკვან მე ვიციო. თუ ბატონი მეფე ირაკლი შეიტყობს, რომ მეორეთ დაგვიტენია თოფები, დიდათ ეწყინება. ამისთვის იმის წყენას მოვერიდნეთ, თუნდა სულ დავიხოცნეთ.“ ჩვენ ომის ნდომით *ფურცელსავით ვთრდოდით*, ვკანკალებდით და არა ვუთხარით რა. შეგვატყო, რაც გვეწადა, რომელმაცა გვითხრა. „იმედი მაქვს ღვთითა, ასე დავამარცხო ისინი, რომ თვალი აღარ ავახამხამებინოთ.“ ამ ჩვენი ბატონის სახე რომ გენახათ, ასე იტყოდით, *სისხლი გადმოსდისო*, ალმული ასდის სახეზედაო, მაგრამ დიახ დამშვიდებით იყო. ქედზე რომ ავედით, ვნახეთ სამი ცხენიანი ლეკები გამოდგნენ იქით მეორე გორაზედ. *რომელზედაც ბუტულაშვილი იდგა ყარაულად.* რა რომ იმათ დაგვინახეს ჩვენა, ცხენები გაატრიალეს და ყვირილით ჩააჭენეს ქვემოთ. ჩვენც სწრაფად ცხენები გავქუსლეთ, იმ ქედიდგან შავხედეთ, ვნახეთ, რომ ის ჯარი აყრილიყო და კარგის რიგით მიდიოდნენ ტყვე საქონლით წაყრილი წინ. ჩვენ რომ იმათ დაგვინახეს, რამთენიმე კაცი იმათის დასტიდგან გამოერჩივნენ და თოფები შემოგვტყორცნეს. ბატონმა დაიძახა. „აი თქვენი ჭირიმე ბიჭებო, აბა ახლა მამყევით.“ ცხენებდაწკეპილები ხუთნივ თანასწორედ წავედით და იმ დასტიდგან გამოსული ლეკები იქვე შევრეკეთ. სხვა თორმეტამდე ლეკები გამოგვეგებნენ და თოფები შემოგვტყორცნეს, მაგრამ როდესაც ადამიანს ღმერთი ჰფარამს, ყოველთვის წარემართება. მინამ ჩვენ იმათ არ დავუახლოვდით, მანამდისინ არ ვესროლეთ და ისინიც ერთს ადგილს ცხენებს ატრიალებდენ. ათ ნაბიჯზე რომ დავუახლოვდით, თოფები მოვიმარჯვეთ და ხუთთავ ერთად შევტყორცნეთ. ღმერთი ნუ გაგიწყრეთ, იმათ ცხენის ტრიალმა ვერა უშველა რა, მაშინვე თვითო ლეკი ჩამოვაგდეთ. საჩქაროთ თოფები ყელზე გადვიგდეთ და დამბაჩები მოვიმზადეთ.

ამ ჩემი ლალის ლაპარაკზე ჩვენი მოსამსახურეები სულ ტოკავდენ, ასე გეგონებოდათ, ესენი ომობენო. ასეთის ყურადღებით ესმოდათ ჩემი ლალის ლაპარაკი.

ჩემი ლალავე ამბობდა. ის ლეკები ასე შეიშალნენ, რომ არ იცოდენ, რა უნდა ექნათ. დამბაჩებმაც თითო ლეკი რომ ინაცვალეს, დამბაჩები მხრებზე გადვიგდეთ, ხმლებს მოვუსვით ხელი და დიდ დასტას შევუტიეთ. აქ ბატონმა დაიძახა. „დედა შეერთოს ცო-

ლათ, ვინც უსიკვდილოთ გამობრუნდეს.“

თავგადადებული კაცი რას არ შეიძლებს? თუ მეომარმა სასიკვდილოდ გადადო თავი, უთუოთ მტერსა დაამარცხებს. გაქცევით სიკვდილს როგორ წაუვა?

ამასთანავე დასტას მივუხდით, რომელმაცა ტორტმანი შექნა გასაქცევათ და რამდენიმე კაცები კიდეც გაიქცნენ. ერთი შავგვრემანი კაცი იყო, დიდ, შავ თვალებს აელვარებდა და საუცხოვოს შავსა ცხენზე იჯდა საუცხოვო იარაღით მორთული, რომელიცა დასტის კაცსა უტრიალებდა და ძალიან უყვიროდა, რომ არ გაქცეულიყვნენ, მაგრამ იმის ძახილი სულ აღარავის ესმოდა.

როდესაც ადამიანზე ღმერთი თავის საფარველს აჰყრის, იქ ცდა აღარა იქნება რა. ღმერთმა ნაპალიონი საკურველსა ბორცვის თავზედ აიყვანა, მაგრამ როდესაც დრო მოვიდა, იქიდანვე ასე გადმოაგდო, რომ *თავის მფარველობა აღარსად აღარ მისცა და ბოლოს* ელენეს კუნძულში მივიდა მწარეს მწუხარებით და იქვე დაფლეს საცოდავი. უხილავმა ძალმა ასე იცის და ისეც. რათაც ასე შვრება, კიდევ იმან იცის, რისთვის?..

იმ შავგვრემანმა კაცმა დაბრუნება რომ ვერავისი შეიძლო, ხმალს ხელი მოისო და მარტოკა შემოგვიტია, მაგრამ ბატონი ასეთი ძახილით მიუხდა, რომ წამსვე მოშალა, ხმალი მხარში გადაჰკრა და ცხენიდგან გადმოაგდო. დასტის კაცთ იმის გადმოარდნა რომ ნახეს, მაშინვე გაიფანტენ; ჩვენც შიგ გავერიენით და სულერთიან გავაქციეთ, ასე რომ ვინ წინ და ვინ უკან. *კუდით ქვა ვასროლინეთ* აბა ჩვენ ცხენებს ის ცხენიანი ლეკები როგორ წაუვიდოდნენ? – ის მოტაცებული ნახირი დავაყრევინეთ და მასუკან ერთმანეთსა დავუძახეთ. „აბა, ვინ უფრო ხელს გამოვიღებთ?“ *შევარდენი გუნდს მტრედში რომ გაერიოს, იმას ვგვანდით. ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ. თვითონ თქვენ მიცნობთ, რომ ტყუილი ლაპარაკი ასე მეჯავრება, ჩემი მკვლელი არის. ადამიანი სწორეთ არის დაბადებული, სწორეთ უნდა დაბერდეს და სწორეთვე მოკვდეს. ეს არის კანონი გულისა.* დაიჯერეთ, რომ ბატონმა და ჩვენ ოცდაშვიდი ლეკი ჩამოვყარეთ მარტო ხმლით, რომ სხვა იარაღები არ გვიხმარია. თერთმეტმა ლეკებმა კი თოფიარაღები გადაყარეს და ტყვეთ მოქვცეს თავი. სხვა გაქცეულებზე ხელი ავიღევით, ამისთვის, რომ დამარცხებული ლეკის ჯარი ვეღარ დაბრუნდება,

რაც უნდა დიდი ჯარი იყოს, გაიქცევა და უკან აღარ მოიხედავს. ის ლეკები ხელებშეკრულები ქვეითი გამოვყარეთ და წამოვედით. დაყრევინებულს საქონელს მოვადეგით, რომელშიაც ექვსი ხაშმური ტყვეები იყვნენ ხელებშეკრული, ისინიც განვათავისუფლეთ, ლეკების თოფ იარაღები მივეცით, იმათ ცხენებზევე შევსხით და გამოვწიეთ. რაც საქონელი იყო, ერთათ მოვაგროვეთ, წინ გამოვიყარეთ და პირველს ბინაზე გადმოვედით. მინამ ბატონი ცხენიდგან გადახდებოდა, მე და პატარძეულის ნაცვალს გვიბძანა. „ეს ხაშმური ბიჭები წაასხით, იმ ნაომარს ადგილს გადადით, რაც დაჭერილი ლეკები იყოს, ისინი წამოასხით და მკვდრებს კი თავები დასჭერით, ხურჯინებში ჩააწყევით და აქ გადმოიტანეთ. ამის გარდა, იმათი ცხენები ან იმათი დარჩენილი იყოს რამე, ისინიც აქ მოაგროვეთ. ჩვენ ნაომარს ადგილს გადავედით, იმ ადრინდელს ტყვეებს გარდა, ცამეტს დაჭრილს ლეკებს იარაღები ავყარეთ, ხელები შევუკარით და ხაშმელ ბიჭებს გამოვატანეთ. იმ ცამეტში ის შავგვრემანი ლეკიც მხარში დაჭრილი გამოვგზავნეთ. ოცდახუთს მკვდარს ლეკს კი თავები დავსჭერით, იმათი იარაღები სულ შემოვძარცვეთ და ან რაც ცხენები იყო დარჩენილი, ისინიც ერთად მოვაგროვეთ და სულერთიანათ ესენი ბატონთან მოვიტანეთ. ბატონი მე მამიბრუნდა და მითხრა. „ბერელავ, ეს შავგვრემანი ლეკი იცი, ვინ არი?“– მე მოვახსენე. – „ვინ გახლავ შეინჭიმე?“ – „ბელაქნელი აჰმად ბელადი არის, სამოცდაათი რჩეულის კაცით წამოსულა დოუთალაბათ, რომ უთუოთ ხაშმის საქონელს მოვიტაცებო, მაგრამ ეს კარგი ბელადი კი ჩვენს მახეში გაება. ამ ყარაულებს აგინებს, რომლებიც ადრე დავიჭირეთ, რომ ამათის იმედით ყოფილან. გუშინ ბინდისას მონასტრის ყელებიდგან წამოსულან, გათენებისას ეს ექვსი ხაშმური ბიჭი ხაშმის პირში დაუჭერიათ, იქიდგან გამობრუნებულან, იორის მდინარის გამოღმა ნახირი მოუტაცნიათ და წამოსულან. ჩემი სახელი რომ ვუთხარ, დიდათ იამა და ბევრი კარგი მითხრა.

ნახეთ? დაღისტნელნი ასე გათამამებულნი იყვნენ უწინდელს დროში საქართველოზე, ტყეში აღარ კადრულობდენ ჩამოხდომას და ჩაფაულმოტაცებული ყარაიაზის მინდორში განისვენებდენ. ნახეთ? დაღისტნელნი ასე გაამპარტავნებულნი იყვნენ საქართველოზე, რომ წინ სოფლებს აღარ კადრულობდენ, წაეხდინათ და შუა საქართველოში იყო აღოხრება.

რასაკვირველია, ჩემი ბატონის კაიკაცობა მიამებოდა.[1] იმ ბელადმა სთხოვა ბატონს, მკლავები მაგრა შეკრული მაქვს და მიბძანეთ, ცოტათი მომიშონო. ბატონმა არამცთუ მოაშვებინა, სრულებით გაუხსნევინა, ის ბელადი წამოდგა და ბატონს მუხლზე აკოცა და უთხრა. ვალაჰი მოურავო, კარგი კაცი ხარ, მაგრამ ჩემს კაცობასაც უნდა ენდოვო. მაგთენი ხანი არა გამოვიდა რა, შუა სამგორის მინდორში ერთი დასტა გამოჩნდა. ჩვენ კიდევ ლეკები გვეგონენ და შევშფოთდით. ბელადმა თქუა. „სჯულის მადლმა, მე ხომ ლეკი ვარ, მაგრამ თქვენთან სისხლს დავღვრი, ამიტომ, რომ ჩემს კაცობას ენდენითო.“ განვიძრახეთ, ათამდინ საქონელი დაგვეხოცა, საფრათ გარშემო მოგვეწყო და უსიკვდილოთ არა მიგვეცა რა, მაგრამ ბატონმა დურბინდში რომ გაიხედა, თქუა. „ისინი ჩვენი მდევრის კაცნი არიან და მგონია ასამდისინ კაცი უნდა იყოს.“ ერთს ცხენის გამოსაჭენებელზე რომ დაგვახლოვდენ, ვნახეთ ხაშმის წინამძღვარი თავისის კუნკულით, თავისის ხუთის ბერით და ორის ღვდელით დათოფიარაღებულნი იყვნენ თავის საწინამძღვროს კაცებითა. ამ დროს ერთმა დათოფიარაღებულმა ლამაზმა ყმაწვილმა კაცმა ცხენი გამოიგდო, თოფი მხრიდგან გადმოიღო და ბატონს მოუხდა,. ჯერ ვერ ვიცანით და ვთქვით. „ეს მშვენი ყმაწვილი კაცი ვინ უნდა იყოს?“ მინამ ბატონს თავს არ დაადგა, მანამდისინ ვერ ვიცანით. შევხედეთ, ჩვენი ბატონის და ეკატერინე კი იყო. აბა რაღა გითხრათ ჩვენი სიხარული? ბატონი გიჟსავით წამოვარდა, თავის და ცხენიდგან გადმოიღო, რომ ჩამოხდომა აღარ დააცალა და ერთმანეთს სიხარულის ცრემლით გადაეხვივნენ. მასუკან წინამძღვარს მიეგება და ხელზე ემთხვია. ამასთან ასეთი სიხარული შეიქნა, ენა ვერ გამოსთქომს. მერეთ ბალახზე ნაბდები გავაშლევინეთ; ბატონები და უფროსი კაცები ზედ დავსხედით, ჯარისკაცები კი თავს დაგვადგნენ. რაც გადაგვხედოდა, ბატონმა სულ მე მათქმევინა, წინამძღვარმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა გულმხურვალეს ცრემლით და ბატონს მრავალი მადლობა უთხრა. ამასთანავე

[1] ეს ამბავი ყოფილა, აღამამადხანი მეორედ კიდევ რომ წამოვიდა საქართუელოზე და მოკლეს, იმის შემდგომ. იმ დროს მამაჩემი ჯერ ნამდვილი მოურავი არ ყოფილა საგარეჯოსი, მაგრამ მართუელობა ჰქონია თავის დის, ეკატერინეს თხოვით და როდისაც ნამდვილი მოურავი იყო იმისი, ერთი მაშინაც გაუმარჯვნია ლეკებზე, რომლისაცა მეფე გიორგის წიგნი არის ჩუენს სახლში ამაზედ, მამაჩემთან მოწერილი.

ბატონის და გატრიალდა, იმ დანარჩენს ლეკებს ხელები დაუხსნევინა, რომელიც დაჭრილები იყვნენ. წყლულებზე მალამო შემოახვევინა და ის დახოცილი ლეკები სულ დავმარხეთ. აბა რაღა გითხრათ? ის ტყვეები სულ მე გამამატანეს ორმოცის კაცით ბატონ მეფეს ირაკლისთან და თვითონ ყარაბულახსვე წავიდნენ. მე ტყვეები ქალაქის პირში რომ მოვიყვანე, კიდეც დაღამდა და მეორეს დილაზე მეფეს ირაკლის მივართვი. მეფეს ასე იამა, რომ თავის დიდრონ კაცებში დაიძახა. „ვახტანგ ორბელიანმა დიახ ბევრი ერთგულება გამოიჩინა, როგორც ჩემი, ისე მამულის და ამისთვის ვმადლობ იმას საქუეყნოთა.“ მასუკან ლეკები მოასხმევინა და აყვედრა. „სირცხვილი არ არის თქვენთვის, ამთენს ავაზაკობას არ იშლით. თუმცა თქვენ ლეკები ხართ, მაგრამ კავკაზიის ერნი და ქართველები სულ ერთნი და ერთნი ძმანი არიან და თქვენ კი თქვენის ძმის სისხლა სომთო?“ დიახ მრავალი ელაპარაკა ჭკვიანათ და გონიერათ. ასე რომ, ერთმა ხმა ვერ ამოიღო, ასე ასვინდისა.

ბატონმა ლეკები შეკდიმებული და შეწუხებული რომ ნახა, ხალათები უბოძა, ყოველი დანაშაული მიუტევა და თავის ქვეყანაშივე დაითხოვა. მაგრამ ერთს წელიწადზე შევიტყვეთ, რომ იმ აჰმად ბელადს ქიზიყიდგან საქონელი მოეტაცა. ბატონი დიდათ ეფერებოდა ლეკებს, მაგრამ ისინი კი თავისას არ იშლიდნენ. ბატონს მეფეს უნდოდა, ეგება ლეკებს დაეშალათ თავიანთი ცუდკაცობა და ამისთვის წყალობას აძლევდა, და არ უნდოდა, რომ საუკუნო სისხლი ჩამოეგდო ქართველებში და ლეკებში, თორემ ბატონს, როგორც რიგი იყო, ისე რომ მოენდომებინა, რასაც უნდოდა, იმას უზამდა ლეკებს. ამისთვის დღეს ხვალობით მაყურებელი იყო ბატონი მეფე ირაკლი ლეკებისა, ეგება დაეშალათ, მაგრამ ისინი კი თავისას არ იშლიდნენ.

მეორე დღეს ბატონმა მეფემ ჩვენი ბატონი ჩამოაყვანინა და თავის ქალს თეკლაზე დანიშნა. მაგრამ მეფე ირაკლიმ მაგთენი ხანი ვეღარ იცოცხლა; თელავში წავიდა და იქ გარდაიცვალა და ჩვენი ბატონი უიმედო დარჩა. როდისაც ბატოიშვილი გიორგი გამეფდა, იმანაც მოწყალებით მიიღო და იმანაც აღუთქვა: „ჩემს დას თეკლას შენვე მოქცემ, მაგრამ უნდა მოითმინო.“ მაგრამ აღარც ამ მეფეს დასცალდა და ისიც გარდაიცვალა. ამის გარდაცვალების შემდეგ დარეჯან დედოფალმაც დიახ მოწყალებით მიიღო, რომელმაცა თა-

ვის ქალს თეკლას და ჩვენს ბატონს დედოფალმა ჯვარი დასწერა და ქორწილი გადიხადა.

„ამან რომ ეს გაათავა, თავი დაბლა ჩაჰკიდა და რაღასაც ფიქრობდა. მერეთ მაღლა აიღო და მძიმე აღმოკვნესითა თქო. –„აი უწინდელი ქართველები სულ ამისთანა კაცები იყვნენ და ახლა?..“

ამ სიტყვისთანავე აღარა თქო რა და აქ ლაპარაკი გაწყვიტა.

ჩვენმა მოსამსახურეებმა ბევრი მადლობა უთხრეს და მოემზადნენ, ამდგარიყვნენ. ამ დროს კარები შემოაღეს და ვიღამაც თავი შემოყო, შევხედეთ, ჩაის გამკეთებელი ივანე იყო, რომელმაცა დაიძახა.

– „თქვენ დიახ კარგათ შეექცევით, მაგრამ გამდელმა პირშაქარა ვარდისახარმა ბატონებს მოახსენა, მოსამსახურეები კარშეკეტილს საკუჭნაოში თქვენ ღვინოს სმენ და შეექცევიანო.“

მოსამსახურეებმა ჰკითხეს:

– „ბატონებმა რა უბძანეს?“

– „ბატოიშვილმაც და ბატონმაც უთხრეს, რომ ისინიც ისეთი ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, ბატონებიო.“

მოსამსახურეებმა ერთხმათ დაიძახეს–„ღმერთმა ბატოიშვილიც ადღეგძელოს და ჩვენი ბატონიც. მართლა, რომ ორივ კარგი ბატონები გვყავსო.“

მერეთ ივანე მე მომიტრიალდა. – „ბატონები გიბძანებენ, ჩაის გელიანო.“

მე საჩქაროთ ავდექ, ათს ფეხიან კიბეზე ავირბინე და აქეთ ოთახში შეველ, სადაც ჩაის აკეთებდენ და სადაც ჩემი მშობელნი არ იყვნენ. რაწამს სახლში ფეხი შევდგი, ვიღამაც დაიძახა.

„სანდრო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი“. მინამ მოვტრიალდებოდი, რაღაც შრიალი მომესმა, ამასთანავე ხელში ამიყვანა და სიყვარულით კოცნა დამიწყო. შევხედე, ახალი სოფლიდგან მოსული ჩემი მამიდაშვილი მაკა[1] იყო. მე ყმაწვილობის გამო ხილის თხოვნა დავუწყე. მასკვან იმან მითხრა.

– „შენ გენაცვალოს შენი მამიდაშვილი. აგერ შენი სიძე იმ ოთახში არის ბიძაჩემთან და იმას აქუს შენთვის კაკა. წამო, წავიდეთ ჩემო სანდრო.“

– „ეჰ, არ წამოვალ, წადი, აქ მამიტანე.“

– „იი, უხიაკო, არ იქნება, უნდა წაგიყვანო.“

[1] ნათლობის სახელი მარიამ.

– „მამასა და დედას მზემ, არ წამოვალ.“

– „წავალ, ბიძაჩემს ვეტყვი, სანდრო არ მოდის-მეთქი.“

– „წადი, უთხარ, მე მამა არ გამიჯავრდება.“

– „არ იქნება, უთუოთ უნდა წაგიყვანო.“

– „იი, არ წამოვალ.“ ამ დროს უკანიდგან ვიღაც გადამეხვია, რაოდენჯერმე დამკოცნა და მასუკან მითხრა.

– „აბა, სად წამიხვალ შე პლუტო, რომ ჩემთან არ მოდიხარ?“ შევხედე, ამ ჩემი მამიდაშვილის ქმარი ივანე იყო, რომელიცა მეუბნებოდა.

– „სირცხვილი არ არის, ეხლა თითქმის ვაჟიკაცი ხარ და კიდევ ყმაწვილსავით იქცევი. შენ რომ ეხლა ცოლი გყვანდეს, შვილი გეყოლება.“

„ეჰ, დამეხსენით, რა გინდათ?“

მერე ჩემმა მამიდაშვილმა თქუა. – დახედე, შვიდი წლის ვაჟიკაცი არის და როგორ უხიაკობს? ეხლა ყმაწვილობის სახელს, სანდროს კი აღარ უნდა გეძახოდენ, ამას იქით ალექსანდრე უნდა დაგიძახონ ხოლმე. ამისთვის, რომ თქვენს სახლში შენა ხარ უფროსი შვილი და ამიტომ გმართებს, კარგათ მოიქცე.“

მეორე მხრიდგან ჩემმა სიძემა თქუა. – „შენის გულისათვის ჩამოვედით დღეს სოფლიდგან, ცოლი უნდა შეგრთოთ და შენ კიდევ ყმაწვილსავით იქცევი? სირცხვილია, ჩემო ლამაზო სანდრო, *ან როგორ გეკადრება მამისა და დედიშენის შვილსა* ეგეთი უხიაკობა.“ მე ცოლის ხსენება დიდათ გამიკვირდა და ყურება დავუწყე, მერე მაღლა დავიძახე.

– „ვაიმე, მამავ, რა უნდა სიძეს და მაკასა?“

ჩემმა მშობლებმა რომ ჩემი ხმა გაიგონეს, საჩქაროთ გამოვიდნენ და კითხვა დამიწყეს. მინამ მე ვიტყოდი რასმე, სიძემ ყველა უთხრა. მამამ გაჯავრებით მითხრა.

– „სანდრო, სანდრო, სირცხვილი არ არის, აგრე ურიგოთ იქცევი?“ მასუკან თავის დისწულს მიუბრუნდა – „ჩემო დისწულო, ეგ ჩვენი სანდრო წამოიყვანე, რომ არსად არ გაუშო, თორემ იქნება ამ ავდრის მიზეზით გაცივდეს.“ *და ჩვენი საქმეც სჯობს, რომ ეხლავ მოვილაპარაკოთ.* მაშინვე გატრიალდენ, მტკვრის მხარეს ოთახისკენვე წავიდნენ და მე ჩემმა მადაშვილმა ხელში აყვანილი თან წამიყვანა. მე, მშობლების მორჩილმა, ისე გავკმინდე ხმა, გა-

ნაბულს ხოხობს დავემსგავსე. ოთახში შევიდნენ, მივიდნენ და თავ თავის რიგზე დასხდნენ. მე ჩემმა მამიდაშვილმა კალთაში ჩამისო და ხელების მოხვევით გულზე მიმიკრა. თუმცა ამ სახლების დაწყობილობა ურიგოთ იყო, მაგრამ ასეთის ყიზილბაშურის საფენით იყო დაფენილი, თვალი უკეთესს ვერ ნახავდა.

მერეთ მამამ უთხრა სიძეს. –„ ჩემო სიძევ ივანე, წეღან რაღაც საქმე უნდა გეთქო, *ჩვენი სანდროს დანიშვნისა*, მაგრამ აღარ დაგვცალდა. ახლა შეგვიძლიან მოვილაპარაკოთ.

სიძემ.

„ამ ოთხი დღის წინათ კახეთიდგან წიგნი ხომ მოგწერეთ ჩუენი მშვიდობისა, სადაც მე და ჩემი ცოლი გახლდით ნათესავებში ორი კვირა მეტი, გუშინწინ ყარაბულახს გიახელით თქუენს დას და დისწულს, ჩემს ცოლის ძმას თადიასთან, სადაც ჩემი დედიდაშვილის ქმრის, დავით ბარათაშვილის წიგნი დამხვდა, რომლებიცა იმ წიგნის გამოისობით წუხელის ჩამოვედით ქალაქში და ეხლა ამ დილაზედ აქ გიახელით თქუენთან. ის წიგნი აქა მაქუს და თუ თქვენი ნება იქნება, წაიკითხეთ?“

მამამ. დიახ კარგი იქნება. სიძემ წიგნი ამოიღო უბიდგან, მამას მისცა და მამამაც ხმამაღლათ წაიკითხა.

გაიგონე.

ტ.

– „საყვარელო ძმაო ივანე,

ხომ კარგათ იცი, ჩვენსა და ვახტანგ ორბელიანის სახლში ნათესაობა არის ძველათ. მე და ვახტანგს პირობა გვაქვს, თუ მიზეზი მოგვეცა, უთუოთ უნდა დავმოყვრდეთ. ესეც ხომ კარგათ იცი, ჩემ შვილებში და ვახტანგის შვილებში მეოთხე ნათესაობაა. ამისთვის ჩემი ორი წლის ქალი ეკატერინე დიახ კარგათ ერგება ვახტანგის შვილს სანდროს. იმ დღეს შენ დედიდაშვილს, ჩემ ცოლს ბარბარეს სადღაც ენახა ის ყმაწვილი და მას აქეთ იმ ყმაწვილის ტრფიალია ის. ამისთვის გთხოვ, ძმაო, ჩვენი და ვახტანგის მოყვრობა აახდინო და ნათესაობა გაგვიახლო.

შენი სიძე და ძმა დავით ბარათოვი.

ქ. ტფილისით.“[1]

[1] ის წიგნი 1826-ს წლამდისინ მქონდა და მასკვან არ ვიცი, სად დავკარგე.

მამამ რომ კითხვა გაათავა, ყველამ თავები ჩაჰკიდეს და რაღაცაც ფიქრობდენ. მასუკან ბატოიშვილმა დედამ მაღლა აიხედა და დაწყნარებულის სიტყვითა თქო.

– „ჭეშმარიტად დავით ბარათაშვილის მოყვრობა დასაწუნარი არ არის, მაგრამ, აბა, ყმაწვილების დანიშვნა როგორ იქნება? ბოლოს იქნება მოხდეს რამე, სამდურავი გამოგვიხდეს ჩვენსა და დავითის სახლში?“

მასკვან მამამა თქო.

– „რა ვქნა, არც მე გავერევი, ამისთვის, რომ ცოლქმრობის ვალი დიდი თანამდებობა არის.“

მერეთ ჩემმა მამიდაშვილმა თქო.

– „დიახ მართლს ბძანებთ ბიძიავ, მაგრამ თვითონ დავითი რომ ითხოვს, ამისას რას იტყვით?“

იქიდგან სიძემ დაიძახა.

– „ამას იტყვის, აი ვახტანგმა მოყვრათ დამიწუნა და არ მიკადრაო.“ მასუკან დედას მიუბრუნდა. *ამათ ეს ლაპარაკი ერთგვარად წარმოთქვეს და დამშვიდებით. შემდეგ სიძემ დიახ გულმოდგინეთ დაიძახა.*

– „თქვენ მზეს ვფიცავ, ბატოიშვილო, ასე მინდა თქვენში მოყვრობა მოხდეს, რომ მეტი არ იქნება. დავითი და იმის ცოლი ბარბარე მეტათ კარგი და კეთილი ადამიანები არიან. ამას გარდა, ძველათ მოყვრობაცა გაქვთ, ამისთვის ახსენეთ ღმერთი და თანახმა შეიქენით, ძველი მოყვრობა კიდევ გაიახლეთ. ნურც მამაპაპის ჩვეულობას დავკარგავთ, რომ ყმაწვილები არ დაინიშნონ.“

მამამ წელი წინ წამოიწია და მაგრის სიტყვითა თქო.

– „ჩემო სიძე იოვანე, აბა რა ვქნა? თუ სხვისი ქალი ყოფილიყო ვისიმე, ჭეშმარიტად, არც კი გათქმევინებდი. ვინ იცის, ყმაწვილების დანიშვნას რა მოსდევს. ახლა სულ სხვა დროა, მაგრამ დავითი და იმისი ცოლი ბარბარე ასე მიყვარან, როგორც ჩემი დაძმანი და ესეც, რომ ძველად ნათესაობა გვაქვს. ამისთვის მე კი ვერას ვიტყვი და ახლა ამ ჩემი ბატოიშვილის ნება არის.“

ბატოიშვილი დედა სიყვარულიანი სახით მიუბრუნდა მამას და უთხრა.

– თქვენ ნუ მამიკვდები, არც მე შემიძლიან თქვენი წინააღმდეგი, როგორც თქვენ ინებებთ, ჩემი სასიამოვნო ის არის.

„რაღას ვაგძელებ. დიახ კარგა ხანი ეთავაზებოდენ ერთმანეთს *ჩემი მშობელნი* თავთავისი აზრი ეთქოთ და იმ აზრის თანახმა შექნულიყვნენ, მაგრამ არცერთმა არა თქო.“ *ამისთვის, ორნივ გაფთხილებულნი იყვნენ, არამცთუ წინააღმდეგოსას, ერთმანეთთან არც კი დაილპარაკებდნენ მომაღლოთ.*

„ამათი გადუწყვეტელი ლაპარაკი ისე დარჩა, შემდეგ აღარა თქვეს რა. სიძე უკმაყოფილოს სახით წამოდგა, ხმა არავის გასცა და სადღაც წავიდა. საღამოჟამისას მე მოაჯირზე დავხტოდი და ვთამაშობდი.“

„დიახ უცხო საღამოჟამი იყო. მოწმენდილი ცა მშვენივრად კამკამებდა, ნედლი სიო მიმოერყეოდა. ამ დროს კიბეზე წვერჭაღარა კაცი ამოვიდა, მე ხელში ამიყვანა, კოცნა დამიწყო და ხელში აყვანილი ჩემ დედმამასთან შემიყვნა. როდისაც შინ შევიდა, მე ძირს დამსო, ორივ ხელების დიდრონი თითები სარტყელში ჩაირჭო, კარების ცოტა აქედან დაბლა თავი დაუკრა და მოახსენა“.

–„დავით ბარათოვმა და იმის მეუღლე ბარბარემ უმდაბლესად მოკითხვა მოგახსენესთ და გთხოვენ, ხვალ სადილათ ეწვივნეთ.“

„მამამ და ბატოიშვილმა დედამ მაღლა გაიცინეს და მერე თქვეს. – „ეს უთუოთ ჩვენი სიძის საქმე არის.“

„რასაკვირველია, თანახმა შეიქნენ და უთხრეს. –გოგიავ, დავითს და ბარბარეს მოახსენე, ხვალ მხიარულათ და სიხარულით მოვალთ თქუენთან-თქო.“

„გოგია რომ წავიდა, ჩვენი სიძე შემოვიდა და სიცილს მოჰყვა. მამამ და დედამაც ბევრი იცინეს. სიძე მივიდა, თავის ცოლს გვერდით მოუჯდა და მასუკან სიცილით და საყვედურსავითა თქო.

– „აბა, ახლაც ნუ ეთანხმებით?“

– „*მიკვირს, შვიდი წლის ყმაწვილს როგორ დაგხსომდათ ყოველი?*“

– „*სრულებით საკვირველი არ არის, ამისთვის, რომ ყმაწვილს ასეთი ხსოვა მქონდა, რომ თორმეტის წლის ყმაწვილს ასეთი ხსოვა არ ექნება, როგორიც შვიდი წლისას მე მქონდა. და ესეც, რომ ყმაწვილს ნამეტნავად თავისი გარემოება უფრო დაახსოვდება. ნამეტნავათ ჩემი გარემოება უფრო დამახსოვდებოდა ამისთვის, რომ ეს გარემოება გულზე დაბეჭდილსავით დამესო, ყოველი წვლილათ მახსოვს.*“

იმ ა.... ისევ დაიწყო.

თუ ჩემი გარემოება სულ დაწვლილებით გიამბო, მეტათ გაგძელდება. ამისათვის სჯობია, რომ მოკლეთ გითხრა.

„მეორეს დღის შუადღისას ჩემნი მშობელნი, ჩვენი სიძე და ამის ცოლი ქვეითები წავიდნენ, ის მასპინძლები შორს არ იდგნენ ჩვენზე და მე წინ გამიმძღვარეს. ჩვენ ალაყაფის კარებს რომ გავედით, ბატონის მეიდანი გავიარეთ, იქ ერთს ეზოს კარებს მივადექი, რომლიდგანაც ერთი უცხო წამოსადეგი კაცი და ერთი ამის თანამიმდევარი ქალი გამოგვეგებნენ. ესენი იყვნენ თვით ის დავით ბარათოვი და ამის მეუღლე ბარბარე.“

„ორნივ მხარენი დიახ სიყვარულით შეიყარნენ. მაშინვე მე სიძემ ამიყვანა, თავის ნათესავს ბარბარეს ხელში მიმცა და მხიარულის სიცილით უთხრა.

– „აი შენი სიძე.“

„იმან დიახ სურვილით გულზე მიმიკრა და ტრფიალებით კოცნა დამიწყო. ეგრეთვე იმისმა ქმარმა.“

„ჩემი დედმამა ჩინებულს სახლში შეიწვიეს, ესეც ისე უთაურათ იყო დაწყობილი, როგორც ჩვენი სახლები. ყველა თავთავის ადგილას რომ დასხდნენ, ამ დროს ჩვენმა სიძე მუჯასამ ქოლიხანაწაკრული ერთი პატარა პირისფერკაბიანი ქალი გამოიყვანა მეორეს ოთახიდგან, რომელსაცა პირი მასკვალებრ უბზინავდა და შავთვალწარბნი გიშრულად უციალებდა. მოიყვანა, მე ხელში მომცა და მითხრა.

– „სანდრო, აი შენი ცოლი კატინა.“

„არ ვიცი, რა იყო? მაშინვე გადავეხვიენით ერთმანეთსა და ერთმანეთს კოცნა დაუწყეთ? ან მე რა ვიყავი და ან ის რა იყო, მაგრამ სული სულს იცნობს, გული გულს.“

აქ ლაპარაკი გაწყვიტა ა... თავი დაბლა ჩაჰკიდა და გონებადაკარგულსავით შეიქნა.

[*მე მინდოდა, რომ კიდევ მეკითხა, მაგრამ იმისი ფიქრი ვერ მოუშალე და იმისი უნებურნი ძლიერნი ოხვრანი გულს მიგლეჯდენ და მერღვეოდა.*]

როდისაც შუაღამე გადავიდა, მოსაწყვლელი ხმა ისმოდა იმ ა... რომელიცა მოაჯირზე გადამჯდარი ამას ამბობდა.

„არა, ჩემო ეკ... მე უშენოთ არ მინდა, ამ წუთს სოფელში დავეხ-

ეტებოდე. შენ კიდევ ცოცხალი ხარ და მე კიდევ ვიმედოვნებ შენი სიყვარულით დავტკბე, მაგრამ როდისაც მნახამ, შენგან მოცემულს ხელთას ხომ მოიკითხავ? მე მაშინ რა უნდა ვთქო? ნეტავი მითხრა, რათ ვიცი ცურვა, თუ ამისთანას გაჭირებაში არ გამოვიყენებ?“

ამ სიტყვასთანავე გიჟსავით წამოვარდა, ტანისამოსი გაიძრო და იმის პირდაპირ ზღვაში გადავარდა, სადაც ბეჭედი დაეცა. დიახ კარგა ხანი იყო დაღუპვილი, შემდეგ მაღლა ამოცურდა და მატროსებს დაუძახა, მიშველებოდენ. მატროსებმა საჩქაროთ ამოიყვანეს. ამოვიდა ის ა... და მხიარულის სიცილითა თქო.

„ღმერთი თავის საკუთარს მართალს საქონელს კაცს არ დაუკარგავს. *თუ თვითონ არ დაკარგავს. იმ ვინმემ კითხვა დაუწყო ა... ტანისამოსი რომ ჩაიცო, მასკვან უთხრა.*

ისევ ამბობდა.

„ზღვის ძირზედ რომ დავეშვი, დიახ კარგა ხანი ვეძებდი ამ ხელთას, რომელიც აი შუათითზე მაცვია, მაგრამ ვერას ცდით ვერ ვიპოვნე. ამაობაში მე სული შემიგუბდა და მინდოდა, ამოვცურებულიყავ. მეორეს მხარეს მოვტრიალდი და დედამიწაზე ხელი მოვუსვი; უეცრათ ხელისგული ზედ დავაფარე და მაშინვე ვიცან, ჩემი ხელთა იყო. საჩქაროთ ავიღე და თითზე შემოვიცვი.“

როდისაც 6–მან ივლისმა თავისი ფრთანი გაშალა და ლაჟვარდულს ზოდიქზე ბნელი წმინდა კამკამება მოეფინა და ზღვა დამყუდროებული განისვენებდა, ამ დროს მე გამეღვიძა, რომელმაცა ეს დასახულებანი ვიხილე, მაშინვე უნებურნი სულთქმანი აღმომცვივდენ. ფიქრი ჩემი ვინ იცის, სად და სად დაიკარგა. მცირე ხანი აღარ გამოვიდა რა, მატროსთ უხუცესი მოვიდა და მითხრა.

– „თქვენო ბწყინვალებავ, მოგზაურმა ნიავმა დაგვბერა და რას გვიბძანებ?“

– „ეხლავ ღუზა ამოიღევით და აფრები გაშალეთ.“

სუდნა მოკმაზულს პატარძალსავით გურიევის ქალაქისკენ გავმართეთ და გავემგზავრენით. ნახევარ საათს შემდეგ საშუალოზედ ცოტათ მამატებულმა ქარმა ქროლა დაიწყო და ზღვამ მღელვარება შექმნა. მე ამისთანა მღელვარე დიდათ მიყვარს. დიახ უცხო სახენი იხილვებიან ზღვაზე და ზვირთნი შვენივრად მიმოენ-

ქრევიან. ამ დროს ის ა... სუდნის წინა ცხვირზე იჯდა და ზღვას ეტრფიალებოდა და თავის ნათქომ ლექსზე დაბლის ხმით მღეროდა.

„მიმზიდა სოფელმა ყარიბობასა,
გარნა სახე შენი ვით ვცე თმობასა?
სავანედ გულს ვიმყოფ, შენად სამკვიდროდ,
ვსულდგმულობ შენგნით, ყოველს წამს და დროდ.
დავეხარბი ტრფობას, ტრფობითვე მშვრალი,
ჩაუქრობლად მცვივა სულთქმისა ალი.
სული ჩემი დასწვეთს გულზე სიყვარულს,
ნაზსა, უცხოს, წმიდას, უზადოსა სრულს.
გემღერები სახეს, ანგელოზებრივს,
მონარნარეს ედემს, მომფრინარობრივს.“

აფრააშვებული სუდნა ზღვას მიარღვევდა და ყელმოღერებული მისცურავდა. ამ ყოფით შუადღემდისინ ვიარეთ, მაგრამ შემდეგ ასე ჩავარდა ქარი, მცირედი სიო არსაიდგან აღარ სისინებდა. მე გაჯავრებული მივწექ, მშიერ მწყურვალმა ასე დავიძინე, ფეხი არ გამიქნევია, მაგრამ სიზმარში ასეთს მუთანჯის ფლავს შევექცეოდი, ეხლაც პირი ჩავიმტკბარუნე იმის გემოთი, რომელმაცა სამი სინი ფლავი ასე შევჭამე, ჩემთან მყოფს არავის არ ვუთავაზე, მაგრამ კიდევ კი მშიოდა. როდესაც გამამეღვიძა, მზეს შევხედე.

მზე ჩასასვლელათ მომზადებულიყო და ბურვილის ჰაერიდგან ასე გამონათდა, ზარბაზნიდგან გამოვარდნილს ცეცხლსა გვანდა. მატროსები ერთმანეთს ეუბნებოდენ. –„ამაღამ საშინელი არეულობა უნდა მოხდესო.“ მე მატროსებს ზღვის სიღრმე ვკითხე და ხუთს საჟენს სიღრმეზე დგომა მითხრეს.[1] მერეთ ჩაი მამიტანეს და კარგის სუხრით ხუთი სტაქანი დავლიე და მუცელს მაგარი ბოწკინტი შევუდგი.

როდესაც ბინდმან დასაღონებელი ზეწარი ზღვაზე გადმოავლო და კაშკაშიანს ცაზე ვარსკვლავთ ბჭყვრიალი დაიწყეს, აღმოსავლეთის ნიავმა ფოფინი დაიწყო, რომელიცა ჩვენი წინააღმდეგი იყო. ამისთვის კიდე ღუზაზე დაბმული უნდა ყოფილიყო სუდნა და მოგზაურის ქარისათვის გვეყურებინა.

[1] ხუთი საჟენი სიღრმე ამ სუდნისთვის დიახ ღრმა არის მაშინ, როდესაც რომ საშინელი არეულობა მოხდება, ამისთვის, რომ პატარა სუდნით მივცურავდით.

ამ ნიავმა შუაღამემდისინ ერთ რიგად იქროლა და შუაღამის ათი მინუტი აღარ გასულა, ერთიანი რაღაც გრიალი მოგვესმა. წინ ყარაულმა მატროსმა დაიძახა. „საშინელი პალასა მოჰქრისო.“[1] აბა ახლა შენ წარმოიდგინე ჩემი სუდნის ნაჩალნიკობა. ჩემ დღეში მე ზღვისა არა ვიცი რა, არამცთუ იმისი დაწყობილობა, მაგრამ რაც შამეტყო ან წამეკითხა და ან მენახა, ისე ვკამანდობდი და ჩემს ბძანებას აღსრულებდნენ.

წინ მოყარაულესაგან ეს რომ გავიგონე, დავიძახე.

– „ყველანი თავთავის ადგილას დადექით.“ ამ დროს მოგრიალე ურაგანი ასე დაეძგერა სუდნას, ხის ფურცლებსავით შეთრთოლდა, მაშინვე ღუზა მოგლიჯა და შორს გაგვაქანა. მინამ მეორეს ღუზას ჩავაგდებინებდი, ცოტათ დაყუჩდა ქარი და მეორეს ღუზაზე დაება სუდნა. ამასთანავე მეორე გრიალი მოგვესმა და კიდეც შემოუბერა, ასე რომ სუდნამ ტორტმანი დაიწყო, გვეგონა, დასაშლელათ ტორტმანებსო. ესეც მეორე ღუზიდგან მოგლიჯა და კიდევ გაგვაქანა. მე უკანასკნელი ღუზა სწრაფათ ჩავაგდებინე, რომელიცა მკვიდრად დაება, მაგრამ კიდევ ურაგანს მოველოდით და თითქმის თავი გავსწირეთ დასაღუპავათ.

თუმცა დიდათ მხნეთ ვიქცეოდი და ყველას ვამხნევებდი და ვითომც არაფრად არ მივიჩნევდი, მაგრამ ცოტა გული მიკანკალებდა.

მატროსები ასე ცქვიტათ ტრიალებდენ, რომ ქორწილში ეგონათ თავი.

ამას ტრაბახში ნუ ჩამომართმევ, ასეთი გულით ვუყურებდი სიკვდილს, რომ სიცოცხლეს და სიკვდილს ერთად დავცინოდი.

ურაგანის მომლოდინეებმა ვეღარ გავიგონეთ მისი ღრიალი, მაგრამ ასეთმა შტორმმა[2] დაიწყო ქროლა, მართლა საშინელი რამ იყო. ესე ბეესაბი ზღვა ასე გაჭირვეულდა და ასე აღელდა, რომ მისი გაგიჟებული და შეუპოვარი ზვირთები საცოდავს სუდნას ევლებოდენ და შუაში მომწყვდეულსა შესაბრალისად ხუთევდენ, რომ რიგიანათ ღადოებზე ვეღარ თამაშობდა, ასე ძლიერ ეხეთქებოდნენ ზედ. *და ნატეხსავით ზედ ასქდებოდნენ.* ხანდისხან უღადო და უზვირთო შტორმი ისე გადააქანებდა სუდნას, წყალსა

[1] ურაგანს აქ პალასას უძახიან.
[2] შტორმი საშინელი ქარია, მაგრამ ერთრიგათა ჰქრის.

მოაჯირით ამოიღებდა და პალუბზედ გადმოაქცევდა, რომლისაცა გადაბრუნება მეგონა ხოლმე. ეს მოუწყვეტელი ქარიშხალი და საცოდავის სუდნის ქანება საათნახევრამდისინ განგრძელდა. ამ საშინელების დროს წინ მოყარაულე მატროსმა დაიძახა. „გურიევის მხარეს ცეცხლის სინათლესავით რაღაც გამოჩნდა, მაგრამ ცეცხლის ალი სულ არა ჩანს და ეტყობა, გურიევზედ ახლოსა ვართ.“ ყველას გონება იმ ხმამ მოიტაცა და ყველამ მხიარულათ მივხედეთ.

ჰაერი ცეცხლის ელვარებით იყო მორთული და თვითონ ცეცხლი სულ არა ჩანდა. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, იმ შუა სინათლიდგან ცეცხლის ნაღვერდალსავით რაღაც ამონათდა, მცირე ხანი კიდევ რომ გამოვიდა, უფრო მაღლა ამოვიდა, კიდევ უფრო აღმოიწია, ზოგმა თქუა. „გურიევში რაღაც იწვის.“ ზოგმა თქუა. „აფრაშვებული სუდნა მოსცურავს და აფრიდგან სანთლების სინათლე ჩანს.“ ზოგმა თქუა. „ზღვაში სუდნა იწვის და იმის სინათლე არის.“ ყუელას ჩუენი გონება იმ სინათლემ მოიტაცა, *ადრიდგანვე ვიცოდი მე, რაც იყო, ამისთვის დავიძახე. –თქვენს თანამდებობას ნუ დაივიწყებთ! ის მთვარეა და მეტი არაფერი. მცირედი ხანი აღარა გამოვიდა რა, სამ ნაწილ მილეულმა მთვარემ თავისი ბნელი სიბნელე ზღვასა ზედა გადმოაფინა და ჩვენზე შემოტეული ღადოები კარგათ დაინახებოდა და გაირჩეოდა ხოლმე.* მაგრამ ამ დროს კიდეც დავინახეთ მესამედი გაწითლებული მთუარე. იმის წითელს სინათლეში ზღუასა და იმის ღელვის ღადოებსა კარგად ვარჩევდით. ამასთანავე დასავლეთის მხარეს ბნელი შავი ღრუბლები წამოვიდნენ, რომელშიაც მიმოკლაკნული ელვანი ეხვეოდენ და ძლიერი *ასათახთახებელნი* ჭექანი *ზღვასა ზედა დაგრგვინარებდა*, ხშირათ ისმოდა იქიდგანა. ჩვენზე ახლოს უდიდესს სვეტსავითა რაღაც ტრიალებდა ზღუაზე, *რომელსაცა ჰაერისათვის მიებჯინა თავი*, რომლისგანაცა *საღონარი გრგვინვანი გამოხდებოდა,* გრიალის ხმა მოდიოდა და მატროსნი უშიშრათ იძახოდნენ.

„სიფონ, სიფონ.“

ეს სიფონი ჩუენს დანთქმას მოასწავებდა. არ დავიტრაბახებ, სწორე ვიტყვი, რომ მე განსვენებულის გულით ვიყავ, მაგრამ ვინც კი სუდნაში ისხდნენ, ისინი კი შემბრალდნენ, ის დაღონებული სალდათები, ქვემოთ კაიუტში იმათი სახე რომ დავინახე სანთელზე, მაშინვე ამოვვარდი პალუბზე და დავემხე გულმხურვალედ ამ სიტყვით.

– „დედაო მღთისაო! შენ დაგვიფარე და ამ საშინელებისაგან გამოგვიხსენ!

მკვდარს ადამიანს რა ძალი უნდა ჰქონდეს, რომ იმას ვთხოვდეთ და ვევედრებოდეთ რასმე? მაგრამ არა, როგორც ჩვენ ვხედავთ ყოვლადძლიერის ძალის დაწყობილობათ, რომელნიცა მოძრავნი არიან ცათა შინა და იმის დაწესებულებანი დაგვიმტკიცებენ იმის არსებობას; ისე იმის შინაგანის საიდუმლო რადღა უნდა გვქონდეს საფიქრებლად, რანი უნდა იყოს იმის წმინდა და ვრცელს ფურცელში, რომელსა ეწოდების სავანე?– უკეთუ მან შეიძლო და ყოველი ნივთნი სამყაროში რიგ ზედ დააწესა, მაშინ იმას რატომ აღარ შეიძლებდა, რომ ჩვენი თვალით უჩინარი შეექმნა რაიმე თავის შინაგანის დიდებისათვის.

როგორათაც ჩვენ კარგს შენობას ვჭვრეტდეთ და გვინდოდეს შინაგანის შენობის ნახვა, მინამ შიგ არ შევალთ, ხომ ველარას დავინახავთ?– ისე ყოვლის დამბადებელის ძალი არის. ჩვენ იმის გარეგანთა დაწყობილობათა ვჭვრეტთ და შინაგანისა არა ვიცით რა. ნურც არავის ეგონება, მინამ ადამიანის თესლი მკვიდრობს, რომ გონებამ გამოიჩინოს იმის შინაგანი საიდუმლო.

რადგანაც ღმერთმა აუარებელი სოფელნი დაადგინა ცათა შინა, ჩვენ ესე დამტკიცებისათვის უნდა გვქონდეს, რომ უთუოთ ასეთი ცხოველი უნდა შეექმნა, რომელსაცა თვით ის ღმერთი! გრძნობით ეცნა; რომელნიცა აი ვიცნობთ და ვხედავთ იმის საკვირველებათა. თუ რომ ამისთანა მაღალი გონება მოქვცა, ქვეყნის დამბადებელს ვიცნობთ, ქვეყნის კმაყოფილებით ვცხოვრებთ და ძლიერთა მხეცთა ვუფლებთ, მაშა ის საუკუნოდ არა დაგვკარგავდა ჩვენ. ამისთვის აქ გადაწყვეტით, დამტკიცებით ვთქოთ და ღრმას საგონებელში შთავიდეთ, რომ უთუოთ სული ჩვენი იხილავს იმის შინაგანსა საკურველებასა და კეთილს ადამიანის სულს იმ უფლებას მისცემს, სასწაული გამოაჩენინოს. ამისთვის, რომ თვით ის ღმერთი! კეთილად არის აღშენებული.

ყურადღებით რომ ვჩრეკდეთ ყოველსა, ამა სოფელში მრავალს სასწაულს ვიხილავთ.

რა არსება არის სული?

სული არის წმინდა და უწმინდესი იფრიფანა ცხოვრება, ყოვლად შემძლებელის გამოსულთქმული ძალი, შთადენილი ადამიანის აგებულებაში და განრთხმული ყოველს ნაწილსა შორის, რომელიცა

იგი სული იმ ღვთაებრივის დამოკიდებულობით სუფევს საუკუნოდ.

კაცი ღვთის რაღაც ფერფლი არის.

უკეთუ მან შეადგინა ომეოპატი; იმისი ერთი წვეთი რაოდენსამე წვეთათ განიყოფება, რომელსაცა დასასრული არ აქუს და იმისი დაუსრულებელი უკანასკნელი წვეთი მოქმედებს ავანტყოფთა ზედა, მაშა ღვთაებრივსა ძალსა არა შეეძლო, თავისი უხილავი ცხოვრება ადამიანისათვის გადმოეცა, რომ ის ცხოვრება საუკუნოდ მოკვდავი არა ყოფილიყო? რომელსაც ეწოდება სული?

კიდევ ამას ვიტყვი. იმ შინაგანის ღვთაებისა!... ცხოვრება არავინ არ ვიცით. ყველანი სხვას განვსჯით.

ამ დროს უფრო მეტმა ქარმა ქროლა დაიწყო, ასე რომ სუდნის ცალცალკე თავებმა და თვით იალქანმა თვით ასეთი *ზარი და მოსაწყვლელი ხმა* აუშვეს, რომ გეგონებოდათ, *დაბურვილს ტყიდგან* ბუკების ცემა არისო.

„ბუნებაო, რაღა ეხლა გააღე კარი ეგე, რომლისაგანაც გამოჰქრის ეს საშინელი ქარიშხალი, რომ ამ ბეერაბის კასპიისაგან განვთავისუფლებულ ვიყავით და ქვეყანაზე მშვიდობით გადავმხტარიყავით“. *იქნება თვით შენ ჩემზე დღესასწაულობ, ამა აღრენილმა თავის გაცოფიანებულს დორბლებში შთამნთქას?*

„განგებაო, თვითონ შენ კარგათ იცი, მე შენი რაღაც მტვერი ვარ. რათ გინდივარ დავინთქა, ამ უდროოთ სოფელს მოვაკლდე? აბა რათ გინდა, ჩემის ცოლისა და წვრილის შვილებისაგან მოვისპო?“ *აბა რათ გინდა, რომელმანმე ნიანგმა შთანმთქას, რომელსაცა ერთ ლუკმათ არც კი ვეყოფი?*

„ზღვაო, გახსოვს? – მაშინ, როდისაც რომ შენს პირზედ ტრფობით აღვსილი დავდიოდი ხოლმე, უნებურნი სულთქმანი რომ აღმომცვიოდა? – უნებურნი გულის სატკივარნი ჩემი ცრემლი შენს წყალზე რომ დაედინებოდა?“

ამით ვნუგეშებდი. მე მაშინ ვიტყოდი, რომ იქნება, ამა ღადოებმა ესე ცრემლი წაიღონ და ჩემს ე... ნახულს წყალს შეერთდეს და შეერიოს? რადგანაც ტფილისის ქალაქს წინ ჩამოუდის მტკვრის მდინარე და და ამ მდინარეს დაჰყურებს ე...და რასაკვირველია, ხშირათ ნახავს ის ე... ამისთვის, რომ ტფილისის ქალაქში ცხოვრობს. და მტკვრის მდინარე კასპიის ზღვაში შთაერევა? ამისთვის

ამით ნუგეშობდა ის ა... და ამას ამბობდა.

„შენ იყავ ჩემ ნუგეშათ, ზღვაო, შენ იყავ ჩემი დროების განმატარებელი, შენ იყავ ჩემი მწუხარეობის მონაწილე და შენ იყავ იმ უდაბურს ადგილს ჩემ ჭეშმარიტ მეგობრათა. მშვიდობით ზღვაო და კიდევ მშვიდობით. ეს ეს არის, საუკუნოდ ვეღარ გნახავ. თუ შენი წყალი დაილეოდეს, ერთი კარგათ დაგეწაფები, შენი გემოვნება სახსოვრათ მაინც ჩავიტანო.“

„ახ, თავო ჩემო, რაებს ლაპარაკობ და რაებს როტავ? – ასე როგორ მოუძლურდი და ასე როგორ იშიშვი, სიკვდილისა გეშინიან? – ფუ, როგორ არ გეთაკილება?“

„შენ რა არ გამოგიცდია? სიხარული მრავლობით მიგიღია ბევრი... და სიყვარულში ხომ გიფუფუნია, *მასშიგან განცხრომილხარ* ყოვლის სიტკბოებით... სიმწარეში და მწუხარებაში ხომ რასაკვირველია. ერთის სიტყვით, ამ სოფლის ცხოვრებანი ყველა მიმიღია, ავი თუ კარგი. მაშ რაღა გინდა თაო ჩემო, კიდევ? *იქით გადასულხარ შენ, ალექსანდრე და შენ შენი სრულებით მიგიღია და მოგცემია.* – თუმცა კიდევ დროები მაქვს ამ სოფელში ცხოვრებისა, მაგრამ ამ ჩემს ოცდათორმეტ წელიწადში ყველა გამოვცადე. რაღა გინდა უბედურო კიდევ? – ახ, სად არის ის დრო, როდისაც ოცდაორის წლისა იყავი *შენ ალექსანდრე*? თაო ჩემო?“

„ეხლა დღე რომ იყოს, რავდენს საუცხოვოს სახეს ვნახავ ამ ზღვის ქედებზე? “ *რავდენის ტრფიალებით ავივსები*?

„შენი აღრეულობა მე განმაკვირვებს, მე შემაძრწუნებს და ვინ იცის, რავდენის კმაყოფილებით ავივსები შენით? – რავდენი დროები უნდა გავიდეს, ამისთანა სახე ვეღარ ვნახო.“

„ეს მთოვარე, ამ სახითა ამოსული, ეს ძლიერი ქარიშხალი, ამ ზღვის გაჭირვეულებული მღელვარება და ამის ღრიალი!– ეს მოჭექარე და მოელვარე შავი ღრუბლები, ეს მოგრიალე და ჰაერში აღმართული წყალის სვეტი, ამ სუდნის შესაბრალისი ქანება, ამის თოკების და ამ იალქნის ზარავარდნილი ხმები, და იგრძენი გულო, რა სახესა შეესწარი, რომელიცა მეორეთ მოსვლისა ამბავსა ჰგავს და საყვირთა ცემის ხმებსა.“

ამისთანა საკვირველი ბუნებისა ნაზავი სადღა უნდა ვიხილო?

„ზღვაო, ზღვაო ჭირვეულო, აი მე მხნეთ მივეგებები ამ შენს ზვირთებს.“

ნუღარ ჰყოვნი და ჩამთქას. ეგება ესე განხურვებული გული მაგა შენმა ღადოებმა განმიგრილოს.

ის ა.. დიახ დამშვიდებულის სახით უყურებდა იმის აღრეულობასა და დამშვიდებულის სიტყვებით ამაებსა ამბობდა.

ადამიანი სიკვდილში რომ შთავარდეს, იქ დიახ დამშვიდებით უნდა იყოს და უშიშრათ.

ეს დაუვიწყარი მღელვარება ამ ღამესა, ამ საცოდავს ერთს ნაფოტსა გარს ერტყნენ, მაგრამ სუდნის სიმკვიდრე და სიკეთე დიდს იმედს გვაძლევდა.

რაც კამანდანი იყვნენ, სულ ყოველთ თაბრუ დაეხვათ, რომელიცა ქვემოთის დიდი ოთახიდგან ზევით ვეღარ ამოვიდნენ და ზევითი კარებები დავაფარებინე, რომ ღადოები ზევით ამოდიოდნენ.

ღადოების წყალი ზევით ამოვარდნილი რამდენსამე ნაკადულათ იფანტებოდა და მილებში *ვიწროებს გაივლიდა. ასე გაშინჯეთ, ზოგთ მატროსთ თაბრუ დაეხვათ მეტის ქანებითა, რომელნიცა ზღვაში არიან აღზრდილნი.* ჩქარა გაირბენდა. თუმც ვმხნეობდი და თავს ვიმაგრებდი, მაგრამ ჰა, ქანცი კი აღარა მქონდა.[1]

რაღა განვაგრძელო, ამ განწირულების დროს, წინ მოყარაულე მატროსმა დაიძახა მოსაწყვლელის ხმითა.

– „დრეიფიტ, დრეიფიტ.“[2]

მატროსები ძალიან მარდათ იყვნენ, მაგრამ მაინც ეშინოდათ და რიგიანი ფერი აღარ ჰქონდათ აღარც ერთსა სახეზედ.

მე წიგნებში წამეკითხა, რომ ხომალდის ნაჩალნიკი ამისთანა შემთხვევებში მაგრა უნდა იყოს და გული არ წაუხდეს. მითამ მეც იმათ მივბაძე, მხნეობა გამოვიჩინე და არად ვიმცნევდი იმ ზღვის ღელვას, რომელმაცა შეუპოვრად დავიძახე.

– „ნუ გეშინინთ, ის ტიფონი (ტაიფუნი) დასავლეთისაკენ არის და ჩვენ სამხრეთისაკენ მიგვათრევს.“ მაგრამ ეს ტიფონი ასე ახლოს ტრიალებდა ჩვენზე, რომ მგონია ერთი ვერსტი აღარ იქნე-

---

[1] მე რომ ალექსანდროვკიდან ვაპირებდი წამოსვლას, ჩემმა კარგმა მცნობმა და კარგმა დოხტურმა მობიცმა ერთი პატარა მინით კაპლი მამცა და მითხრა. „ვინიცობა არის, თუ დიდი ქანების გამო თაბრუ დაგეხვიათ, რამთენიმე ამის კაპლი შაქრით მიიღეთ და მაშინვე უკუგეყრებათ ის თაბრუს ხვევა. თუმცა დიდს შემწეობას მაძლევდა ის კაპლი, მაგრამ მეტი ქანების გამო ვეღარც ამან მიშველა.

[2] დრეიფიტ ის არის, რომ ქარი ღუზას ვეღარ მოგლეჯს და ისე თრევას დაუწყებს სუდნას.

ბოდა იქამდისინ. კიდევ სხუა ჩვენი უბედურება, რომ ძალიანის ქარიშხალით ზოგიერთმა სუდნის თოკებმა ვეღარ შესძლეს და იალქანებზედ ჩამოწყდა. *სრულებით ჩამოწყდნენ, მხოლოდ კიბეების მეტი და იალქანმა რყევა დაიწყო და აქეთ-იქით მიმოეხლებოდა.* ქვემო ოთახიდგან გვიყვიროდენ. „სუდნაში წყალი ჟონამს და ცოცოტა წყალი შემოდის.“

ხანდისხან ასეთს ზვირთსა აიღებდა ქარი, რომ დედამიწა სრულებით გამოჩნდებოდა, სუდნას მიწაზე დაახლიდა, მაგარამ მაშინვე სხვა მეორე ზვირთი დაეძგერებოდა და ისევ აიტაცებდა სუდნას. ვიყავით ამ საშინელებაში ჩაცვივნული და ყოველთვის ამას ველოდით: აი ეხლა და აი ეხლა დავიღუპებითო.

აბა რა ვთქო? უკეთუ სულ დაწვრილებით აღმეწერა ესე ქანება, მეტათ განგრძელდებოდა, ამისთვის, რაოდენ შევძელ, მოკლეთ გამოვსთქვი.

ამ დროს და ამ ამბავში სუდნის წინა ცხვირიდგან ასეთი ღადო ამოვარდა, იალქნის ქვეშ ვიდექი და იმ გამოქანებულმა ღადომ წამაქცია და წყალმა ზედ გადმომლახა. უამისოთაც ლაზარესავით დასველებული ვიყავი. მე მეტის თავბრუდახვევით ვეღარ შევიძელ ბძანებლობა და ბატკნებს რეკა დაუწყე. მატროსების უხუცესმა უსლონცოვმა და ერთმა სხვა მატროსმა მიმიტანეს, სამზარეულოს გვერდით დამაწვინეს და ჩემი ხალიჩა ტანზედ წამამაფარეს. რას ყოფით მე თავი ავიღე და უსლონცოვს უთხარ.

– „მინამ მოვსულიერდებოდე, შენ იცი. *და ამ სამხედრო სალდათებმა.* შენთვის მამიბარებია სუდნის ბძანებლობა. მაგრამ ახლავ იალქნები დააჭრევინე, ამისთვის, რომ ამის მეტი ღონე აღარა გვაქვს.

– „დიახ კარგი იქნება, თქვენო ბრწყინვალებავ.“ საჩქაროთ გატრიალდა.

ამ ამბებში ის ჩემი უფროსი აფიცარი ქვემოთ ოთახში ძალიან ავათ იყო და ძალიანი სიცხე ჰქონდა, გულის რევა უფრო თურმე აწუხებდა. *რომლებსაცა მატროსებს ჩავგ ზავნიდი იმის და კამანდის ამბის შესატყობად.*

რასაკვირველია, მე ამთენთ ადამიანთ მოვალეს და სუდნის ბძანებელს როგორ უნდა მამესვენა, მაგრამ საკურველი იყო, რამწამს სამზარეულოს ძირზედ თავი მივდე, დასველებული ტანისა-

მოსი ვეღარ ვიგრძენ, მაშინვე ასე დამეძინა, რომ ბანგდალეულს ვგვანდი, რომელმაცა შესანიშნავი სიზმარი ვნახე.

რასაკვირველია, კარგა ხანი მეძინებოდა და რომელმაცა საკურველი სიზმარი ვნახე. აი ის სიზმარი.

სადღაც, ერთს დიდს, ფანჯრიანს სახლში შეველ. პირდაპირ კედელში კარები იყო დატანებული. მიველ, ის კარები გავაღე და შიგნით შეველ. მივიხედ-მოვიხედე, ვნახე, ერთი პატარა ოთახი იყო. რამთენიც ვეცადე, რომ ისევ გამოვსულიყავ, მაგრამ ვერას ცდით ვეღარ გამოვედი. პირდაპირ შევხედე, ვნახე, შემოსულს კარებისა წინ სხვა კარები იყო კედელშივე დატანებული, სრულიად ნიგვზისა, ლაქით მოელვარე. იმ კარებთან მიველ. ვცდილობდი, გამეღო, მაგრამ ვერას ცდით ვერ გავაღე. მასუკან რაზას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერც რაზა ვუპოვნე. დაბლა რომ დავიხედე, შუა კარების ნაპირზე, პტყელი რკინის კლიდე ვნახე კარების პირში დატანებული და იმითი იყო დაკეტილი. დიახ ბევრი ვაცოდილე, გამეღო, მაგრამ ვერას ცდით ვერ გავაღე. ძალიან შევწუხდი და მეგონა, აქედგან ვეღარ გავიდოდი. ამ მწუხარებაში როგორღაც მარცხნივ მოვიხედე, ერთს დაბალს კრაოტზე ერთი შავ ჩაცმული, შავქათიბიანი დედაკაცი ზედა და გაკვირვებით ვთქვი: ჩემი შემოსვლის დროს აქ რომ არ იყო ეს დედაკაცი, ახლა ვინ შემოიყვანა-მეთქი. როდისაც შემამხედა, მაშინვე წამოდგა. შევხედე, საშუალო ხნის დედაკაცი იყო, მოშაო თუალებიანი, თხელი გაყოფილი მოშაო წარბი ჰქონდა, პატარა სუფთა ცხვირი და უცხო მოთეთროს პირმრგუალის სახით მხიარულად მიყურებდა. იმის წამოდგომაზე მე სამი-ოთხი ნაბიჯი გადავდგი წინ, იქიდგან ის მომეგება და ამ დროს მეც ეს ვთხოვე. – დედაშვილობას, თუ იცოდე, ამ ოთახიდგან გამიყვანე და განმათავისუფლე-მეთქი.“ იმან მარჯვენას ხელით გძელი რკინის გასაღები მომცა და მითხრა. – „აი ამით ის კარები გააღე.“ მაშინვე გამოვართვი, მიველ, იმ ნიგვზის კარების კლიტეს ჩავუგდე. რამწამს გადავატრიალე, კლიტემ წკატანი მოიღო და კარები თავისთავათ გაიღო, რომელიცა სიხარულით გამოვედი და მინდოდა, გარედგან როგორმე დამეკეტა, მაგრამ ვეღარაფრით ვეღარ დავკეტე, ისე მიგულვილი დარჩა. შემდეგ მარჯვნით მოვტრიალდი, ერთი ვიწრო ტალანი იყო, წინ კედელი არა ჰქონდა და გახსნილი ჰაერი სრულად ჩანდა, რომელსაცა კიდეც გამამეღვიძა.

როდესაც ავიხედე, მზე მაღლა იყო ამოსული, უნიავო ზღვა ასე დამყუდროებული იყო, რომ სწორე მინდორსავით გარს გვერტყა, მაგრამ სრულებით ამღვრეული იყო დიდი მღელვარების გამო. მე იმედგადაწყვეტილმა, ეს რომ ვანახე, დიდათ მიამა, მაგრამ ახალი ნამძინარევი არ ვიჯერებდი და ჩემთვის ვფიქრობდი. – „იქნება, იმ ზღვაში დავიღუპენით და ჩემი სული ამას ხედავს სადმე-მეთქი?“ – ამას რომ ვფიქრობდი, მატროსების უხუცესი მოვიდა და მხიარულის სახით მშვიდობის რაპორტი სიტყვით მითხრა. მე გიჟსავით წამოვარდი, ხმა არავის არ გავეცი, საჩქაროთ ოთახში ჩავირბინე, აბგიდან ჩემი პატარა ღვთისმშობლის ხატი ამოვიღე, ერთს კარგს ადგილას დავასვენე, წინ წმინდა სანთელი ავუნთე და მადლობის თაყვანი ვეცი გულმხურვალეს ცრემლის სიტყვებით. მასუკან მაღლა ამოვედი, სუდნას თვალი მოვავლე, ვნახე, ასე გაწყობილი იყო, როგორც პირველათ მენახა. მე ამისთვის მადლობა ვუთხარი მატროსების უხუცესს და მერეთ კითხვა დავუწყე.

იმან მითხრა.

– „საკურველი იყო, თქვენ რომ დაგაწვინეთ, ხუთი თუ ექვსი ცული არ დაგვიკრამს იმ დიდის იალქნისათვის, ის საშინელი ქარი მაშინვე ჩავარდა.“

– „ის წვრილი ღუზები ამოაღებინე თუ არა?“

– „დიახ, ამოვაღებინე, თქვენო ბწყინვალებავ, მაგრამ ორსავ ოროლი კბილი ჰქონდა მოტეხილი. ეს ახალი სუდნაც ასე შეირყა, თუ კიდევ მღელვარება მოგვიხდა,უთუოთ დავიღუპებით.“

– „ნუ სწუხარ, აღარ მოგვიხდება.“ ამაში ჩემი ტანისამოსი თუმცა გამშრალიყო, მაგრამ მაინც კიდევ ტენი ჰქონდა და სხუა მშრალი ჩავიცვი.

ჯერ მე ოცდაცამეტის წლისა არავარ შესრულებული, რომ რა არა გამამიცდია და რა არა გადამხედია? ხუთი წლიდგან, ვიდრე აქამომდე, უბედურება თანა მდევს და შემდეგ არ ვიცი ჩემი გარემოება, როგორ დასრულდება:

ა. ვგონებ ხუთი წლისა ვიქნებოდი, მაშინ, როდესაც რომ მუხრანიანთ სახლში ვიდექით, ერთს დილაზე კარზე ვთამაშობდი და თამაშობით დაღალული სამხრეთ დასავლეთის მხრის გალავნის კედელ ქვეშ დავჯექი და მინდოდა დამესვენა, რომელიცა ეს კედელი დიახ ძველი იყო. ამ დროს კედელი გადმოიქცა და საკურველი

იყო, ჩემს გარშემო ასე გადმოცვივდა, რომ მე შუაში მომწყვდეულსავით დავრჩი და გაშტერებული ვიყურებოდი, რომ მშვიდობით როგორ გადურჩი. –

ბ. თავად იოანეს ძის, ლუარსაბ ორბელიანის ქორწილი იყო თ˜ა იოვანე ბექთაბეგოვის დიდს დარბაზში, სადაც აუარებელნი სტუმრები იყვნენ. შუაღამისას სახლის დაწვა დაიძახეს, ეს დუნდგო ხალხი, ერთს ქუჩისაკენ გამოსასვლელს კარებს დაეძგერნენ, რომელიცა მას კარებთან ვიდექი, მაშინვე წამაქციეს და ამთენმა ხალხმა გაუკითხავათ ჩემზედ სვლა დაიწყეს, რომელმაცა წამსვე გონება დავკარგე, შემდეგ თვალნი აღვახილე ექვსის წლის ყმაწვილმა და ვნახე, რომ ჩემ მშობელს დედას კალთაში უწექ, მამა თავს მადგა და ორნივ მწარის ცრემლით დამტიროდენ. ჩემი გამომხსნელი იყო თ˜ა იოსებ გიორგის ძე მელიქოვი (რომელიცა იმის მოვალე ვარ). მასუკან შევიტყევით, რომ სახლის დაწვა სიცრუით დაეძახათ, ამისთვის, რომ რამთენიმე მოქალაქე შეთქმულიყვნენ და ხალხის აშლის დროს, სათამაშოს სტოლებს მიხვეოდნენ, ასუნასის და ბიდურის ფულები ეტაცათ, მერეთ იანგარიშეს, ათას ხუთასი თუმანი მეტი დაიკარგა. მამიჩემის ორასი ოქროც იქ შთაინთქა. თუმცა შემთქმელნი იპოვნეს, მაგრამ სირცხვილის გამო დაჰფარეს. ოჰ! უსვინდისო საქართველოს სომხებნო. –

გ. კედლის მისადგმელი კიბე, რასაკვირველია, ვიცით ქართველებმა. ეზოში მისადგმელს კიბეზე იყო ჩამობმული თოკი, რომელსაცა შვიდის წლისა, სიყმაწვილის გამო მას თოკს ვეთამაშებოდი, ზედ ვეფოფინებოდი. როგორღაც თოკი გადმოვზიდე, კიბე აღიმართა, მე ველარ გაუსწარ და კისერზე ასე დამეცა, რომ მაშინვე გულს შემამეყარა. როდესაც მოსურიელდი, შევხედე, რომ ჩემ გამდელს კალთაში უწექ; ჩემნი მშობელნი გვერდ მისხდენ და აქიმი სასუნებელს წამალს მასუნებინებდა.

დ. რვის წლის ყმაწვილი კრივის საყურებლად წაველ, რომელთაცა ჩემ მშობელთ არ გამოვეთხოვე, ავლაბარში რომ გაველ, იქ ჩემი მარიამა ძიძა დამხვდა და თავის სახლისაკენ წამიყვანა, როდისაც შინ შევედით, მე მარტო დამაგდო და თვითონ ხილის საყიდლათ წავიდა. ამ დროს, ეს დაძველებული სახლი სრულიად ჩამოწვა. მე აღმოსავლეთის მარჯვენა მხრის კუთხეში დავრჩი და ნახე ჩემი ბედნიერება, რომ რომელს მხარესაც მე დავრჩი, იმ ჭერის ბოლოე-

ბი არ ჩამოვარდა და კუთხეში მოკუნტული ვიყავი. მაშინვე ქალაქ-ის ხალხთ ჭერი აიღეს და მე მშვიდობით ამამიყვანეს. საწყალი ჩემი ძიძა თმა გაწეწილი, ლოყებ გლეჯით და საცოდავის ტირილით ზედ გადამეხვია.

ე. ამ შემთხვევის შემდეგ ერთი კვირა აღარ გამოსულა, რომ ქუ-ჩაში ვთამაშობდი, ამდროს ჯილავ დაყრილს ცხენს ვიღაც მოაჭენ-ებდა, მე მას ვერ გაუსწარ და ქვეშ მამიტანა, რომელსაცა ცნობა მიმეღო. ოდეს გონებაზე მოვეგე, ვნახე, რომ ქვეშაგებში ვიწექი, ჩემი მშობელნი გვერდ მისხდნენ და ცრემლით ერთმანეთს ეუბნე-ბოდენ: „ეს ჩვენი შვილი უბედურობის ეტლზედ არის დაბადებუ-ლი“. –

ვ. მე ცხრის წლის ყმაწვილს, ჩემი პატარა ძმა დიმიტრი ხელში მეჭირა და ეზოში დამყავდა. ამ დროს მოსამსახურეთ თივა გამოი-ტანეს, ჭიაკოკონა აანთეს და ზედ ევლებოდენ. მე აღგზნებულს ცეცხლთან მივედი და ზედ დავყურებდი. ამ დროს თაბრუ დამეხ-ვა, მას აღგზნებულ ცეცხლში ჩავარდი და ჩემი ძმაც შიგ ჩავიტანე. მე წამსვე გონება დავკარგე, როდესაც მოვსურიელდი, ვნახე რომ კიდევ ჩემ ქვეშეგებში ვიწექი და მშობელნი გვერდთ მისხდენ. მაშ-ინვე მე ჩემი ძმა მოვიკითხე. ჩემი ძმა ხელში აყვანილი შემოიყვანეს და იცინოდა. როდისაც ეს შემემთხვა, შუა დიდ მარხვის ოთხშაფა-თის ღამე იყო (ჩვენში კუდიანების ღამეს რომ უძახიან). –

ზ. ამის შემდეგ ქ. ტფილისს დიდი ჭირი გაჩნდა, რომელთაცა ერთა შორის შერყეულობა იყო. ერთს დღეს, მე მშობელთ შეუტყო-ბრად ავლაბარში გაველ და სიცელქის გამო მარტო დავიარებო-დი, კუალად ჩემი უბედურობის გამო გული შემიწუხდა და მაშინვე წავიქეცი, როდისაც თვალნი ავახილე, ვნახე, რომ ჭირიანი კაცების გვერდით ვიწექი (როდისაც ტფილისს ჭირი გაჩნდა, არამც თუ ჭირიანებს, მცირეთ ავათ ვინმე რომ გახდებოდა, ისიც ჭირიანებთ შორის მოემწყვდიათ და ქალაქს გარეთ ერეკებოდნენ). მე რომ წაქცეული ვენახეთ, ამ დროს პოლიციის რუსის დესეტნიკებს ჭირ-იანები თურმე მოჰქონდათ ურმით, მაშინვე მე ავეწიეთ და ურემ-ში ჩავეგდეთ, მე რომ ეს ვნახე, მაშინვე ტირილი დავიწყე, მაგრამ ვინ გამიკითხავდა?! ქალაქს გარეთ რომ გაგვიტანეს, იქ რაღაც მოთანამდებე თ˜ა დავით ეგნატის ძე თუმანოვი დამხვდა. მე რომ შემამხედა, მაშინვე მიცნა და ურმიდგან გადმომაყვანინა. მე ყოვე-

ლივე უთხარი, ჩემ დედმამას შეუტყობრად სიარული და გულის შეწუხება. ორი დესეტნიკი გამამატანა და შინ გამამგზავნა. ჩემი დედმამისაგან დიადი რისხვა მივიღე. საკურველი იყო, არც მე გავხდი ავათ და არც შინაურნი. როდისაც უხილავი ძლიერება ჰფარავს ადამიანს, ყოვლის საშინელებისაგან გამოიხსნის. –

ᲩᲐ.

გაიგონე.

ი.

ივლისის რვასა დღესა სუდნა ჩვენი სრულის აფრებით მისცურავდა გურიევის ქალაქისკენ, რომელსაცა ეჭვი აღარ მქონდა, ზღვის არეულობა კიდევ მომხდარიყო, *ვინიცობა არის, თუ ღმერთი! გასწყრებოდა ჩვენს ცოდასა და კიდევ ეგრეთივე აღრეულობა, მღელვარება მოგვხდომოდა, როგორათაც მეშვიდე ივლისსა შეგვემთხვა, ღმერთმა! შენს მტერსაც ნუ მისცეს; ამისთვის, რომ აუცილებელი დაღუპა იქნებოდა ჩვენი. ამისთვის ღვთის! მიმდომთ აღარ გვეშინოდა აღარ გვქონდა ფიქრი ზღვის აღშფოთება კიდევ ყოფილიყო* მაგრამ საღამოჟამზედ ქარი დადგა და სუდნა ისევ ღუზაზე *დავაბით*, დავაყუდეთ. *[მინამ ვახშამს ვიგემებდით, მანამდისინ იმან და იმ ა... დაიწყო თავისი ამბავი, მაგრამ სუდნის წინა ცხვირზე გადამჯდომელმა ასე მოჰყვა თავის ამბავს ა...]* მინამ ყველანი ვახშამს ვჭამდით, მე და ის ა... სუდნის წინა ცხვირზედ ვისხედით, რომელიცა კიდევ მოჰყვა თავის ამბავს.

– „ჩვენმა მშობლებმა და ჩვენმა ნათესავებმა ასე გადახვეული რომ გვნახეს მე და ის ქალი, ბევრი იცინეს. ჩვენი სიძე ივანე მოვიდა ჩვენთან, პატარა ქალი ხელიდგან გამომართო, მე ეს დიდათ მეწყინა, პატარა ქალმაც ტირილი დაიწყო და ჩემკენვე გამოიწია, მოსულიყო. მე რომ ნამტირალევი დავინახე, მივედი და დავაჩუმე. იმან მასუკან ხელი დამიჭირა, მეორე ოთახისკენ წავიდა და მეც თან წამიყვანა. ამაზე უფრო ბევრი სიცილი აუტყდათ ყველას. *მაგრამ კიდეც ყველას უკვირდა ყმაწვილებისგან, ნამეტნავად პირველისვე ნახვასთანავე ესრეთ რომ შევეთვისენით და რომ ესრეთის სიყვარულით შევიყარენით.*

მიმიყვანა, ტახტზე დაჯდა, მეც გვერდით დამისო. მერეთ წამოდგა, ერთი პატარა ყუთი მომიტანა და მითხრა.

– „ეს ჩემი კუკების ყუთი ალის. ერთს კუკას შენ გაჩუქებ. მე რომ გაცუქე, შენც უნდა მაცუქო“. ამასთან ამაიღო და ერთი კუკა მამცა. *სახსოვარსავით მაჩუქა და ჩემგნითაც ეგრეთვე ითხოვდა.* შემდეგ მეფე დედოფლობა ვითამაშეთ, კუკების ქორწილი გადვიხადეთ. ამაობაში ჩვენი მშობლები, ჩვენი ნათესავები ჩვენთან შემოვიდნენ და იმათში ერთმა ნათესავმა დაიძახა.

– „აი, ბატოიშვილო, ეხლავ სწავლობენ, ქორწილი როგორც უნდა გადიხადონ.“

მინამ ისინი იტყოდენ რასმე, მანამდისინ პატარა ქალმა უპასუხა.

– „მამიდა ბაბალე, ლა გინდა, დაგვეხსენი.“

მამიდა ბარბარემ. –„კატინო, ეგ პატარა ბიჭი რა არის შენი?“

პატარა კატინამ. ჩემი სანდლოა.

ყველამ გაიცინეს.

მასუკან მე მკითხეს. – „სანდრო, ეგ პატარა ქალი რა არის შენი?“. მე ასე შემრცხვა, ხმა ვერ ამოვიღე. მერე პატარა კატინამ მე მითხრა.

– „სანდლო, ასე უთხალი, ჩემი კატინა ალის-თქო.“

ამაზე უფრო ბევრი იცინეს. შემდგომ ყუელამ.

– „ღმერთმა ინებოს, რომ ეს ორივ ბედნიერები იყვნენ.“

„საუცხოვოს ყიზილბაშურის საფენით მოფენილს იმავ სახლშივე ისხდნენ ჩამწკრიებულნი თავთავის რიგზე ყუელანი და სადილს ელოდნენ. ჩვენ ორნი ყმაწვილები დედაჩემს ბატოიშვილს გვერდით ვუსხედით, რომელიც ხშირათ გვიალერსებდა. ამაობაში სადილის შემკულება მოიტანეს: ვერცხლის სურები, სხვადასხვა ღვინოები, ვერცხლის აზარფეშები, ვერცხლის თასები, ვერცხლის ჩარექები, ვერცხლის სამარილეები და საუცხოვო ყალანქრის სუფრები. ესენი სულ დახატულს ხონჩებზე ეწყო. მერე თითბრის ტაშტი და თითბრის ალთაფა მოიტანეს, რომელმაცა საუცხოვოთ ჩაცმულმა მოსამსახურემ, ყიზილბაშურ აბრეშუმ ჭრელწინდიანმა საფენზე გადაიარა, ბატოიშვილიდგან ყველას რიგით ხელები დაგვაბანინა დაჩოქილმა და ეგრეთვე ჩაცმულს სხვა მოსამსახურეს თეთრი ხელსახოცები ეჭირა რიგზე დაკეცილი და თითო ხელსახოცს იმას მიართმევდა, ვინც ხელს დაიბანდა. ხელის დაბანის შემდეგ სუფრები გაშალეს. მასუკან თეთრტარიანი დანა-ჩანგლები და თითო ვერცხ-

ლის კოვზი თვითეულად დაუწყეს წინ. *მერეთ როგორც ვიცით, ისე გაამხიარულეს სადილი და სუცხოვოს საქსონის თეფშებით და მათლაფებით არაიშვიათად იცვლებოდა ახალ-ახალი საჭმელი.* რაღა გავაგძელო, სადილი გამხიარულდა თავის რიგის სადღეგძელოებით და სხუა და სხვის მართებულის ლაპარაკით. მგონია, ათი თუ თორმეტი რიგი სხვადასხვა საჭმელები მოგვიტანეს და ყველას წინ ჩაუმწკრიეს. *შეიქნა სიმხიარულე და სხვადასხვა მოსწრობილი ხუმრობა გამრავლდა.* ცოტა ვთქუა, მგონია, სამ საათამდინ გაგრძელდა ის სადილი, ასე რომ, პატარა კატინამ ველარ მოითმინა იმთენი ხანი ჯდომა და ჩემ მუხლზე წამამიწუა და ტკბილად ჩაიძინა."

თუმცა უშლიდნენ, მაგრამ ბატოიშვილმა დედამ არ მოუშალა ასე წოლა და საწყალმა ასე ტკბილად დაიძინა ჩემს მუხლზე, რომ უკეთესი ძილი არ იქნებოდა.

ასე ტკბილად ნამძინარევი რომ ნახა ის პატარა ქალი თავისმა მამამ, წამოდგა, ჩემის მუხლიდგან აიყვანა და მეორეს ოთახში გაიყვანა. მე მეწყინა. როდისაც სადილი აიღეს, ხელი დაიბანეს, შევხედეთ, ის პატარა ქალი ჩვენთანვე გამოვიდა და ახალი ნამძინარევი ასე წითლად ჰყუაოდა, მაისის დილის ვარდს გუანდა. ჩემთან მოვიდა, პირველს ადგილსავე დაჯდა, რომელთაცა ყველამ ალერსი დაუწყეს, ზოგმა რა უთხრა და ზოგმა რა. უცხოს მოტიტინარეს ენით ისიც ყუელას პასუხს აძლევდა. ამაობაში ყავაც დალიეს. ყავის შემდეგ კაცები მეორე ოთახში გავიდნენ, ქალები იმ ოთახშივე თავთავის მუთაქაზე წამოწვნენ და მოსვენებით დაიძინეს. საათნახევრისა თუ ერთი საათის ძილის შემდგომ კაცები ყაბახის მეიდნისაკენ წავიდნენ სასეირნოთ, ქალები თავთავისად დასხდნენ და მშვენიერის სიტყვით საუბრობა დაიწყეს. მე და ჩემი კატინა ცალკეს ოთახში ვიყავით და კუკებს ვთამაშობდით. ამ ყოფით ბინდამდისიმ გავატარეთ. ბინდისას კაცები ისევ მოვიდნენ და სულერთიან იქვე შევიყარენით, სადაც სადილი ვიგემეთ. ამ დროს ჩაიც მოიტანეს, ჩაი რომ დავლიეთ, ჩემმა და კატინას მშობლებმა პირობა დადეს ჩვენის ცოლქმრობისა, რომელთაცა ერთმანეთს გვაკოცნინეს და ყუელამ გულმოდგინეთ დაგვლოცეს ორნივ. მაგრამ როდისაც ჩემი მშობლები შინ წამოვიდნენ, პატარა კატინა უკან გამამეტირა. „მე სანდროსთან წავალო." მაშინვე ერთმა მოახლემ სახლში შეარბენინა *ისე მტირალი. სხვები კი, ამის მნახველნი სუყველანი იცინოდ-*

ნენ. მე კი ცოტათ ამამიჯდა გული, რომელთაცა ჩემმა მშობლებმა დამაჩუმეს და სიცილით დამიყვავეს.

მეორეს დღის დილაზე ჩაის ვსომდით, შევხედეთ, ჩვენი მოყვრების მოახლემ პატარა ქალი კატინა შემოიყვანა და ჩემ მშობლებს მოახსენა.

– „თითქმის წუხელის გათენებამდისინ არ დაუძინია. სულ იძახოდა. სანდროსთან წამიყვანეთო.“ ჩემმა მშობლებმა სიამოვნით ბევრი იცინეს, ბატოიშვილმა დედამ თავის კალთაში ჩაისო, მერეთ, მე რომ კატინამ შემამხედა, ასეთი სახე გაუკეთდა, იტყოდით, სიხარული გადაეფინაო.

მინამ ქალაქ ტფილისში ვიყავით, მე და ჩემი კატინა ყოველ დღე ერთმანეთს ვხედავდით. ხან ის ჩემთან იყო და ხან მე იმასთან. ამ დროებში მე შკოლაში მიმაბარეს, მაგრამ საღამოზედ მაინც კიდევ ვნახამდით ერთმანეთს. ამაობაში ის ქალი შვიდის წლისა შესრულდა. ამ დროს მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო და ის ქალი ერთს პატიოსანს, ძველებურად გაზრდილს აზნაურიშვილის ქვრივს მიაბარეს შეგირდათ, რომელსაცა სამღთო წერილს ასწავლიდნენ და მეც ამ დროს შკოლაში დავდიოდი რუსულ ქართულისა სასწავლებლად, მაგრამ საღამოჟამზე, შინ რომ მოვიდოდით, მაინც კიდევ ვნახამდით ერთმანეთს.

რაღა გავაგძელო. ასე შევიზარდენით ერთათ. მინამ შვიდი წლისა შესრულდებოდა ის ქალი, დღე არ გამოვიდოდა, რომ ერთმანეთი არ გვენახა. მხოლოდ თვინიერ თუ რომ ან სოფელში წასვლა არ გაგვყრიდა, ყოველდღე ერთათ ვიყავით ალერსით და სიყვარულით. პირველი ჩვენი ნახვა გადარევით და კოცნის გადახვევით იყო ხოლმე; და ჩვენი მშობლები უფრო ამისთვის არ გვიშლიდნენ ერთათ ყოფნას და სიყვარულს, რომ ყოველს ჩვენს სიყვარულს უფრო ყმაწვილობას მიაჩემებდნენ.

ერთს დილაზე, შკოლაში რომ მივიდოდი, იმ ქუჩაში ის პატარა კატინა დამხვდა ერთის თავის დედის მოახლითა, რომელიცა ისიც შეგირდათ მიჰყუანდა. ჩვენ ჩვეულებრივ ერთმანეთს გადავეხვივენით და ერთმანეთს ვაკოცეთ, მაგრამ მკაცრ მოახლეს არ იამა ასეთი ჩვენი თამამობა და გაჯავრებით გვითხრა.

– „ახლა ხომ ყმაწვილები აღარა ხართ, რომ კიდევ ყმაწვილებსავით იქცევით. აქამდისინ კიდევ შეგეფერებოდათ ერთმანეთთან

თამაშობა, ახლა კი აღარ შეგეფერებათ.“

გაჯავრებულმა მოახლემ იმედისეულმა მოჰკრა ხელი ქალსა და საჩქაროთ წაიყვანა. კატინამ ტირილი დაიწყო, მეც ამამიჯდა გული, მაგრამ გზაზედ ჩემმა ლალამ ბევრი დარიგება მითხრა.

როდესაც საღამოზე შინ მოვედი, ჩემ მშობლებს გამოვეთხოვე, ჩვენ მოყვრებთან წავსულიყავ, რომელთაცა ნება მამცეს. როდისაც მიველ, თუმცა სიყვარულით და ალერსით მიმიღეს, მაგრამ ჩემი კატინა კი აღარ მაჩვენეს.

იმ შეჩვენებულს მოახლეს ერთიათათ მიეტანა ჩვენი ქუჩის შეყრის ამბავი და იმთენთან ესეც ეთქუა.

– „როგორ გეკადრებათ, რომ მთელი ქვეყანა თქვენ ორს დიდკაცის სახლებზე იცინიან. ორს უსუსურს ყმაწვილებს ამისთანა თამამობის ნებას აძლევთ, რომ სირცხვილით თავი მოგეჭრათ ქვეყანაში?“

მართლა, პატარა კატინას მშობლებს ეფიქრათ, ჩვენი, ქართველების წესით, თუ ერთაჭამა არ ექნათ ჩვენთვის, აღარ უნდა გვენახა ერთმანეთი. მაშინ, როდესაც რომ ერთაჭამამდისინ ბევრი დროები იყო. მინამ სრული წლისა არ შევიქნებოდით, მინამდისინ ერთაჭამას ვერ გადაგვიხდიდნენ. ამისთვის ჩემი მშობლებიც თანახმანი შეიქნენ, რომ მე და ჩემი კატინა იმ დრომდისინ ვეღარ ვნახავდით ერთმანეთსა. მე ამაზედ წელმოწყვეტილსავით შევიქენი.

ისის იყო, ვეღარც ვნახე და ვეღარცრა გავიგონე რა ჩემი კატინას ამბავი, ასე დაამწყვდიეს.

იმის ნახვით სრულიად უიმედო დავრჩი. სიყმაწვილემ იმოქმედა, რომ სრულებით დავივიწყე და აღარც ჩუენს მოყვრებთან გავიარე.

გავიდა თვეები, გავიდა წელიწადები და ამ დროებში ბევრმა ამბებმაც გაიარა. როდისაც ჩვენი მოყვრები დედაჩემთან მოვიდოდნენ, პატარა ქალს აღარ მოიყვანდნენ ჩვენთან და როდისაც დედაჩემი იმათთან წავიდოდა, აღარც მე წამიყვანდა. ასე დავშორდი ჩემს კატინას და დამავიწყდა კიდეც. ბოლოს მე 1817-ს წელსა, დეკემბრის თვეს, მეშვიდეს კარაბინერის პოლკის სამხედროს სამსახურში შევედი დედიჩემის ნებითა, სადაც 1819-ს წელსა პრაპორშიკობის ჩინი მამივიდა. მაშინ მე ჩვიდმეტის წლისა ვიყავი და ჩვენმა პოლკოვნიკმა ტფილისის ქალაქში მამიყვანა პირველს

ბატალიონში, რომელიცა ყარაულში დავიარებოდი. ერთს საღამო ჟამს ქალაქის ერთს რომელსამე ქუჩაში მივიდოდი. ამ დროს ერთს სახლის ფიცრულზე ერთი ლამაზი ქალი გამოვიდა და ბოძის მოფარებით ყურება დამიწყო, მაგრამ იმან ჩემი ყურადღება ვერ მოიტაცა და სრულებით არა დავდიე რა.

ამის მეორე დილაზე დიახ ადრე გამეღვიძა, ჯერ სინათლე არ იყო ამოსული, მაგრამ მაგთენი ხანი აღარა უკლდა რა გათენებას. რამთენი ვეცადე, დილის ძილით მესიამოვნა, მაგრამ მომჩქეფარე მტკვრის შუილმა აღარ დამაძინა. ამაობაში კიდეც ინათლა და ავდექი, დილის ცისკრით მაინც მესიამოვნა. ფიცრულზე გაველ და სკამზე დავჯექი, მტკვრის ნაპირზე მომცურავი ნავტიკი დავინახე ჩვენს სახლზედ მოახლოვოდ და ზედ ერთი ნიჩბიანი ყმაწვილი კაცი იჯდა და ერთი ლამაზი ქართველა გვერდით უჯდა, რომლებიცა მხიარულებითა ერთმანეთს შეღიმებდნენ და ერთმანეთს დაბლის ხმითა რაღასაც ელაპარაკებოდნენ. მტკვრის გაღმა რიყეზე ქართული ურმები მორახრახებდა და ზედ მეხრე გაჭიანურებულის ხმით ოროველას იძახოდა. რიყეს იქით ფრიალო გაშლილი კლდის მთა წამოადგება, რომელსაც ეწოდება ავლაბარი, საიდგანაც ზურნისა და დაბდაბის ხმა ისმოდა და სიმხიარულის ყიჟინა.

ამ გაზაფხულის ჰაერი ასეთი დახვეწილი ჰაერი იყო, უწმინდესი აღარა იქნება რა. ამ დროს აღმოსავლეთის კეთილ სასიამოვნო კარი გაიღო და დიდებული სინათლე თავის დისკოთი თავის საყდარზედ ამოვიდა, საიდგანაც იმის სხივნი ქუეყანასა მოეფინა.

ბუნების ჭვრეტით დავიღალე, მასუკან მოსამსახურეს დავუძახე და აბანოს იარაღი მოვამზადებინე. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, აბანოსკენ მივდიოდი, რომელიცა ჩემი საყვარელი მელიქიანთ აბანო იყო, ამიტომ, რომ იქ ერთი ნელთბილი წყალი არის და სულ იმ წყალში ვბანაობდი ხოლმე.

მივედი და მეაბანოვეს ვკითხე: – „მე რომ აუზში ვბანაობ, ის აუზი ხალვათია თუ არა?“

– „დიახ ხალვათი გახლავსთ, მაგრამ მეორეს ნახევარს აბანოში ქალები არიან.“

– „მე ხომ იმათ არას დავუშლი, იმ ჩემს საყვარელს აუზში რომ ვიბანაო?“

– „არას დაუშლით, სულ არაფერსა.“

ამ აბანოს დაწყობილობა ასე იყო.

ერთს დიდ თაღის სახლს რამთენიმე ოთახები აქვს დატანებული. ამ სახლს იქით პატარა გძელი ტალანი გაივლის. ტალანს იქით ერთი დიდი თაღის სახლი არის, რომელშიაც ერთი დიდი აუზი ცხელის წყლით იმსება. ეს აუზი უფრო უბრალო ხალხის საბანებლად არის. ამის მარჯვენა გვერდით სხვა საუცხოვო არის და მარცხნივ მეორე პატარა აბანოა, რომელშიაც ჩემი საყვარელი წყალი არის, მაგრამ ამ პატარა აბანოს და იქით საუცხოვოს აბანოს შუა, სადაც ხალხის აბანოა, ორსავ აქედგან აქვს შესავალი კარები.

მინამ მე ტანთ გავიხდიდი, შევხედე, ერთი წითელპერანგა მოახლე გამოვიდა პირველს დიდ თაღის სახლში და თავიანთი მოსამსახურე რაღაზედაც დასაქმა. მე მეაბანოეს დავუძახე. ვუთხარი: – „თუ ეს აბანო ყორუღათ აქუთ, ამ აბანოში აღარ ვიბანებ და სხვაგან წავალ?“

– „დიახ ყორუღათა აქვთ, მაგრამ მარცხენას პატარა აბანოში არავინ არა ბანაობს და ცარიელი გახლავს.“

– „სწორე გითხრა, მე არ მინდა, ჩემი გულისათვის შეწუხდეს ვინმე.“

– „მაშ თუ გნებავთ, წავალ, იმ მოახლეს დავეკითხები ერთი, სათამდისინ გითავაზონ ის პატარა აბანო?“

– „დიახ კარგი იქნება.“

მოახლედგან მოვიდა, მითხრა: – „ჩემ ქალბატონს რაღა შევატყობინო, დიახ სიამოვნით უთავაზებსო.“

მე რომ ჩემს დანიშნულს აბანოში მივიდოდი, იმის გარეთ დიდ აბანოში ის მოახლე დამხვდა ქოლიხანაწაკრული, რომელმაც ზრდილობიანად თავი დამიკრა. მე მხოლოდ ფუტიანს დიდათ შემრცხვა, მაგრამ უნებურად მეც თავი დავუკარ და საჩქაროთ აბანოში შევედი, სავსე აუზში ჩავჯექი. ბანების შემდეგ აუზიდგან გადმოველ, ტახტზე დავჯექი აუზის პირდაპირ და მექისეს ველოდი. ამ დროს უკან, კარებისკენ შემოვიხედე, ერთი, კარებში ჩამდგარი, ტანთგახდილი, მხოლოდ ფუტიანი მშვენიერი ქალი დავინახე. მაშინვე წამოვხტი და იმისაკენ გავექანე, მაგრამ ის პირმორიდებით წავიდა თავის აბანოსკენ და მეც ამ დროს მივაძახე:

– „კარგი, თავს ნუღარ იმალავთ, გიცანით.“

ამ სიტყვასთან შემოღიმებით შემამხედა და ხელი ამიქნია,

იმისკენ აღარ წავსულიყავი. მერე კარგახანი დადგა და ერთმანეთს შევყურებდით. მასუკან გატრიალდა და თავის აბანოში შევიდა.

იმის მრგვალს, თეთრს პირსა წაბლისფერი თვალწარბნი ასე დაშვენოდა, თვალი უკეთესს ვერას ნახევდა. იმისი მომბზინვარე და გძელი გაშლილი წაბლისფერი თმანი განსპეტაკებულს მხრებზე მღელვარებდა საგანგებოთ. იმის მკერდებზე ასეთი თეთრი მტრედები ასხდნენ, რომ იმათზე მომკვდარიყო ვინმე, თავს ბედნიერად მიითვლიდა. იმის აღნაგულს ტანადობაზე და ეგრეთვე იმის შეუდარებელს სითეთრეზე იუპიტერი რომ გადმოხდომილიყო და სული ზედ დაემსხვერპლა, კიდევ ცოტა იყო.

იმისი თეთრ სპეტაკი და ლამაზად მოყვანილი მშვენიერი ფეხები გამოკვეთილს ალბატროსსა უგვანდა, თავის სწორეს უცხოს ცერებითა, თავის ცოტა მოხრილი შეწყობილის თითებითა, მაგრამ ცერები ცოტა გძელი ჰქონდა სხვა თითებზე, რომლებიც ერთმანეთზე გაწყობილი, ასე ამშვენებდა, რომ განგებ გამოწვრთილსა უგვანდა. ნამეტნავად უკან ქუსლებიდგან წინ თითებამდისინ თვალი რომ გადავავლე, ცოტას მომსუქნოს და მოწვრილოს ფეხებზე, თავის მოლურჯოს წვრილს ძარღვებზე და პირისფერ მომრგლო ფრჩხილებზე, ასე მეგონა, ჩინებულს ხელოსანსა შეუმზადებია იმისთანა მშვენიერი და განგებ სანახავი ფეხები-მეთქი. მაგრამ იმისმა იმისთანა მშვენიერებამ და იმთენმა იმის საუცხოვებამ ჩემი გული ვერ შეარყია და განსვენებულის გულით წამოველ აბანოდგან.

ამ დროს მოსამსახურემ ლაპარაკი გააწყვეტინა იმ ა... და გვითხრა.

– „ვახშამი მზათ გახლავთ. არ მიირთმევთ?“

– „დიახ კარგი იქნება.“ ამისთვის იმ ა... მომავლისთვის დააგდო ის ანბავი.

ვახშმის შემდეგ ძილად მივწექით და მთვარის ამოსვლის დროს ის ა... ადგა და იმ მთოვარეს დაუწყო ლაპარაკი ასე *მას სუდნის ცხვირზედ გადამჯდომელმავე.*

„მთოვარეო, გახსოვს ის წალკოტი? იმ წალკოტში ოთხკუთხიანი თალარი, რომელზედაც ვაზნი გადახვეოდენ? ზედ ხავერდული ფოთლები რომ დაჰფოფინობდენ? იმ თალარის გარშემო ვარდ-ზამბახნი და სხვა ყვავილნი შეხამებით რომ ჰყვაოდენ? წინ ნაკადულში წმინდა წყალი რომ მოწანწკარებდა? იმის პირზე ნუშის

ხე რომ ერხეოდა და ზედ საყანი მოჭიკჭიკობდენ? ზეფირ ძაფნით ფოთლებზედ რომ ჰგრიალებდა? თალარში მე და ჩემი ე... წვრილი შვილებითურთ რომ შევექცეოდით? იმ პატარებს რომ ვეთამაშებოდით და ისინიც ხანდისხან ყვავილთ მოსწყვეტდენ და მშობლებს გვესროდენ ხოლმე?“

„შენ მთოვარეო, მაშინ სრულის ელვარებით ჩვენზედ დაკაშკაშობდი. ახლა შენ იმ წალკოტს ზედ დაჰყურებ; იქნება ეხლა ჩემი ე... თავის წვრილშვილებით იმ წალკოტში იყვნენ და დედაშვილობრივის სიყვარულით მათ ეალერსებოდეს? *შენც მათის ჭვრეტით სიამოვნებდე?* ახ, ნეტავი მეც ამ დროს მათთან ვიყო.“

ჩემო ე... გახსოვს, ერთს საღამოზე გარეთ გალერეას კრესლებზე რომ ვისხედით. იმ დროს შენ *ვენერას* ბრწყინვალეს ვარსკვლავზე ხელი რომ მიიღე და მითხარ:

– „მართლა ეს ვარსკვლავი სამართლიანად გიყვარს შენ. ჭეშმარიტად საყვარელიც არის. ჩემო ს... გთხოვ, სადაც იმყოფებოდე, ყოველ საღამოს *ამ ვარსკვლავს ჭვრეტდე*, ამ ვარსკვლავზე მომიგონებდე ხოლმე. “

ჩემო ე... მგონია, წინათგრძნობამ გათქმევინა. მე შენგნით შორს ქვეყანაში უბედური უნდა ვყოფილიყავ და ეს ვარსკვლავი შენი სახსოვარი ყოფილიყო ჩემი – ჩემს ნუგეშად. *ეს ვარსკვლავი სახსოვრად მქონოდა ამისთვის, რომ შენმა სულმა იგრძნო, მე შენგნით განტოლვით რომ უბედურებაში მივეცემოდი და ჩემს ნუგეშად ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო.*

ჩემო ე... შენგნით მოცემულსა სახსოვარსა ამას მარადის საღამოთი ჭვრეტით ვეტრფიალები და ვინ იცის მე და შენი რავდენი სიამოვნების და სიხარულის დროებს წარმამიდგენს ხოლმე... მაგრამ ოდეს ღრუბლით მოიცავს ზედა, მაშინ მე მკვდარსა ვგევარ ხოლმე ამისთვის, რომ ეს ვარსკვლავი აღარ იხილვება და მწარეს დაღონებას მივეცემი.

აქ ლაპარაკი გაწყვიტა ა...მ და ღრმას საგონებელში ჩავარდა. მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, მატროსთ უხუცესი მოვიდა და მითხრა:

– „თქვენო ბრწყინვალებავ, იმედი უნდა გვქონდეს, სადაც არის მოგზაური ნიავი დაგვბერავს.“

– „ღმერთმა ინებოს, ამთენი აფრების ჩამოხსნისაგან გვიხსნას.“

მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა, *მცირეს ხანს შემდეგ მართლა რომ* აფრებაშლილი სუდნა მისცურვიდა და გათენების წმინდა ჰაერი გვიხაროდა.

აქ ა...მვე დაიწყო მბობა.

გაიგონე.

რ.

აბანოს მეორე დილაზე რომ გამეღვიძა, მზე მაღლა იყო ამოსული და მბზინვარე ჰაერი მიმოირყეოდა მოსისინეს ნიავითა. ოდეს საათს დავხედე, ცხრა საათის გასული ისარი დავინახე, რომ მეათე საათის დაწყებაზე გადაჰყურებდა. საბანი გადვიხადე, წამოვჯექ და

ჩემს ტიტველ ფეხებზე დავიხედე. მაშინვე ერთიანათ წამოვიძახე. „ნეტავ მითხრა, გუშინ აბანოში ქალი რომ ვნახე, ის ფეხები ვინ მოაბა ჩემი ფეხების მაგიერ-მეთქი“. ვუყურებდი ჩემს ფეხებს და მიკვირდა იმისთანა გუანება. მაგრამ ხანდისხან ვიტყოდი. „ნეტა, რას ვანბობ, იმის მშვენიერს ფეხებს რათ მეგვანება ჩემი ფეხები?“ მაგრამ მასკვან ვიტყოდი. „არა, სწორეთ გვანდეს, რა გასაკვირველია. თუ დედათ ბუნებას მისცა ღმერთმა მშვენიერების ღირსება, თვალტანადობით თუ ფეხებით ჩვენ კაცშიაც რატომ არ უნდა იყოს ამისთანა ღირსება, ღვთისაგან ბოძებული?“ კარგა ხანი ვუყურებდი ჩემს ფეხებს და ვუალერსებდი, მასკვან განკვირვებული ვიყავ მსგავსებისათვის. ღმერთმა იცის, ყოველივე მის მიერ მოხდება და რაისთვისაცა იქმს, იგი მანვე იცის.

მოსამსახურეს დავუძახე.

მოსამსახურე შემოვიდა, ერთი დაბეჭდილი პაკეთი მამცა და მითხრა.

– „ერთმა მოსამსახურემ მოიტანა ეს წიგნი და დიახ ფთხილად მამცა, მეც თქვენ საიდუმლოთ მოგართოთ.“ აი, რა ეწერა.

„მოწყალეო ხელმწიფევ, თ˜ა ალექსანდრე.

„როდემდისინ უნდა მოითმინოს ჩემმა გულმა თქვენი ავდენი სიყვარული? არამცთუ დაგინახევდეთ და მაშინ აღმეგზნებოდეს სურვილი? არამედ ყოველთვის უყვარს გულსა ჩემსა თქვენი წაბლისფერი დაბზინებული ქოჩორი, ეგ ლამაზი თეთრი შუბლი, ეგ მოშაო გაყოფილი წვრილი წარბი, ეგ ყოველთვის მოცინარე მილულებული წაბლისფერი თვალები, თეთრწითელი ეგ ლოყები, დაფერილს რძეს რომგავს, უცხოთ მოყვანილი საშუალო ეგე ცხ-

ვირი, ეგ ვარდისფერი ბალახთ ბაგეები. ახ, ვითარ მოვითმინო. თეთრსა მრგვალსა სახეს გარწმუნებთ, რომ ზედ შემოვეტრფი. მოხდენილი თქვენი ტანადობა ყოველთვის თვალწინ მიდგას. არ ვიცი, ავდენს სულთქმას ვინ... მიკვირს როგორ არა ჰგრძნობთ ჩემსა სიყვარულსა? სადაც გნახავთ, თვალმოუშორებლივ თქუენ შემოგყურებთ, თქუენ შემოგტრფით და თქვენ კი თვალს მარიდებთ. არ ვიცი, მაგარი გული გქონიათ?“

„გუშინ აბანოში ვიყავი, სავსეს აუზის პირზე ვიჯექი, ლულიდგან ჩამოჩხრიალებულსა წყალსა ყურსა ვუგდებდი და თქვენ მოგიგონებდით. ვნატრობდი, თქვენც იქ ყოფილიყავით და აუზის პირზე გვეტრფიალა. ამ დროს ჩემი მოახლე შემოვარდა და თქვენი აბანოში მოსვლა მითხრა, მე არ ვიჯერებდი, მაგრამ ფიცით დამარწმუნა. მასუკან მოახლეს ვკითხე თქვენი სად ყოფნა. მოახლემ მითხრა, იქით აბანოში შემოვიდაო. აბა იფიქრეთ ჩემი სიხარული? სწორე გითხრათ, მე ვეღარ მოვითმინე; ავდეგ, მოველ და იმ კარებიდგან შემოვიხედე, სადაც თქვენ იყავით. გნახეთ, ახ, რა გნახეთ! სრულიად ტანი გახდილი, მხოლოდ ფუტით. ლულის პირდაპირ ტახტზე იჯექით და თავგადაგდებული რაღასაც ფიქრობდით. მე დიახ კარგახანი ვუყურე თქვენსა ტანის სისპეტაკესა და სისუფთესა, რომ თქვენი ტანის სითეთრე განსაკვირებლად მქონდა. ნეტავი მითხრათ, რათ გინდათ ეგ სითეთრე, რომ ჩემს გულსა თქვენის სავსეს გულიდგან და მრგვალის ყელიდგან უკვდავებას არ ასმევთ და ჩემს დაალებულს გულსა არ გაანელებთ? სწორე გითხრათ, მე მაშინ განვიძრახე, თამამად შემოვსულიყავ და თვენსა შეუდარებელსა სითეთრესა და მშვენიერებას გადავხვეოდი, მაგრამ დედათ ბუნების სირცხვილმა არ გამამიშო. შემდეგ კარებისკენ შემოიხედეთ და თვალი შემომასწარით. რაწამს დამინახეთ, მაშინვე ჩემკენ გამოექანეთ, მაგრამ უკაცრაოდ, მე გაგასწარით. მე რომ ჩემ აბანოს კარებში შესვლა დავაპირე, მხოლოდ თქვენგნით ეს სიტყვა გავიგონე: კარგი, თავს ნუღარ იმალავთ, გიცანით.“

„მოწყალეო ხელმწიფევ, აი, რახან მიცანით, ამისთვის მეც ვერ დაგიმალავთ ჩემსა სიყვარულსა, რომ არ გაცნობოთ. ვიცი, დღეს საღამოზე ნიშნობაში მოხვალთ და მაშინ სრულიად მიცნობთ, ვინცა ვარ.“

თქვენი უმორჩილესი მონა .....

ამ წიგნის ამბავი ხომ გაიგონეთ და შემდეგ ამ წიგნის დასრულების დროს კვლავად ვიტყვი, ეს წერილი ვითარ დარჩა აქამომდე ჩემთან.

სიტყვით სიტყვამდის არის გადაწერილი ეს წიგნი იმ მოწერილის წიგნიდგან.

რამთენიმე მინუტის შემდეგ *ისევ ჩვენი ქვეშაგებიდან რომ ავდექი და ხალათი ჩავიცვი*, სხვა მოსამსახურე შემოვიდა და მითხრა.

– „ლ...კაცი გახლავთ და ამაღამ თავის ძმის დ... ნიშნობაში გთხოვსთ მობძანდეთ“.

მე ამ ნიშნობას წვრილად აღგიწერდით, სად და როგორ, მაგრამ არ შეიძლება. სომხისა იყო ანუ ქართველის, არც ეს ითქმის, ამისთვის, რომ იმ ქალის ვინაობა გამოცხადდება და იმის ოჯახის სახელისთვის კარგი არ იქნება.

ამისთვის მოკლეთ თქმა ვიკმაროთ, როგორც შევძლებ, ისე ვიტყვი. ამასაც სიბნელეში დავტოვებ. ჩვენის აზრისამებრ, ასე ბნელში იყოს ისა, ასე ვამჯობინეთ.

მე რომ ნიშნობაში მივედი, სულერთიანათ სტუმრები კიდეც შეყრილიყვნენ, ქალნი და კაცნი ევროპიულს გვარზედ ერთმანეთში არეულნი. ჩემი წადილი იმ ქალის ნახვა იყო, მაგრამ ვერსად ვერ დავინახე. როდისაც ზალიდგან მეორეს ოთახში ვაპირებდი შესვლას, ამ დროს ჩემ წინ გაიარა იმ ქალმა და საზოგადოებასა შორის ვერ დამინახა. ერთი ყმაწვილი კაცი მისდევდა და მიელაპარაკებოდა, მაგრამ ის ქალი თითქმის არც კი აძლევდა პასუხს. როდისაც იმ ოთახში შევიდა, მივიდა და კარებმოფარებით სკამზე დაჯდა. მეც მივედი, იმათ მოფარებით აქეთ მხრის კარებთან დავდექი, მითამ ზალაში მყოფთ ყურება დავუწყე, მაგრამ იმათ ყურს ვუგდებდი, ვნახოთ, რას იტყოდნენ.

ყმაწვილმა კაცმა ჰკითხა. – მიკვირს, რათა ხართ მოწყენილი, თქვენც მხიარულების მონაწილე არ შეიქნებით?

ქალმა ცივათ უპასუხა. – თუ შეიძლებთ და თქვენს დას დაუძახებთ, დიდი მადლობელი ვიქნები.

მაშინვე გამოვიდა და ერთს ყმაწვილს ქალს უთხრა, იმ ქალთან შესულიყო. ეს ქალი რომ შევიდა და მინამ ყმაწვილი კაცი კიდევ შევიდოდა, მანამდისინ იმ პირველმა ქალმა უთხრა.

– „თუ გიყვარვარ და ან ჩემი მეგობრობა გინდა, მაგ შენ ძმას მამარჩინე, რა ვქნა, არ მიყვარს და რას წყალში ჩავვარდე?“

– „ეხლავ, შენ ნუ მამიკვდებიო.“ სწრაფათ გამოვიდა. სადაც მე ვიდექი, სწორეთ იმ ადგილს შეხვდა თავის ძმასა, რაღაც უთხრა ყურში და იმ ყმაწვილმა კაცმა ხმამომაღლოდ უპასუხა, მაგრამ დაღონებულის სიტყვით.

– „მერწმუნე, რომ აღარას ვიფიქრებ იმაზე, ძალად სიყვარულს მე იმას არ ვთხოვ.“ ამ სიტყვასთანავე გატრიალდა და საზოგადოობაში დაიფარა. ქალი როგორღაც ჩემკენ მოტრიალდა. მეც მძიმედ დავუკარ თავი. ამისთვის, რომ ჩემი ნათესავი იყო და კარგი მცნობიც. როდისაც შემამხედა, მითამ გაჯავრებით მითხრა.

– „მე შენთან ბევრი საქმე მაქვს. აქამდისინ არ ვიცოდი და დღეს ჩემმა მეგობარმა მითხრა, როგორი მწვალებელი ყოფილხარ შენ იმისი.“

– „მე არ ვიცი, თქვენი მეგობარი ვინ არის“.

– „აბა აქ შემოდი.“ როდისაც იმ ოთახში შემიყვანა, იმ ქალს დაუძახა.

– „ნეტავ მითხრა, რას დაფიქრებულხარ? აბა აქეთ შემოიხედე.“

როდისაც შემოიხედა და დამინახა, უეცრათ დაიძახა. – ახ! და მაშინვე გაწითლდა. კიდევ კარგი, იმ დროს იმ ოთახში არავინ არ იყო, თორემ შევრცხვებოდით. როდისაც გული დაიმშვიდა, *იმ გაწითლებულმა ქალმა* თავის მეგობარს რაღაც უთხრა ყურში და მასუკან ზალაში გავიდა. ის რომ იქითკენ წავიდა, ჩემი ნათესავი მოვიდა და მითხრა.

„ხომ კარგათ იცი, როგორც უყვარხარ მაგ ქალსა? ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, ეხლავ გასწიე ამ ნიშნობიდგან და ამა და ამ ქუჩაში მოიცადე. ერთის თავის საკუთარის მოახლით და თავის ერთგულის მოსამსახურით გამოივლის. იქ დახვდი და მასუკან თქვენ იცით.“ ამ სიტყვასთან გატრიალდა და საჩქაროთ წავიდა.

მე არ ვიცი, რა უნდა მექნა, ისე გაოგნებულივით დავრჩი. სიზმრიდგან გამოღვიძებულსავით თავი ავიღე. სახლის პატრონი და იმის ცოლი მოვიდნენ ჩემთან და ალერსით მითხრეს.

– „აქამდის სად იყავით, არა ჩანდით?“

მე ბოდიში მოვიხადე მიუსვლელობისთვის. ჩემგნით რომ წავიდნენ, მეც ჩემს გზაზე გავეშურე და იმ ქუჩაში ველოდი, სადაც

დამინიშნეს. ამ დროს ფარნის შუქმა შემოანათა. *[ქუჩაში ფარანმა შემოანათა და კიდეც დამიახლოვდა, რომელთანაც კიდეც მივედი და მშვიდობა მივართვი. მაშინვე მოსამსახურეს ფარანი გააქრობინა და ჩვენ მკლავებგაბმული ბნელში წავედით. მაშინვე მკლავი ვუთავაზე, რომელმაცა ათრთოლებით გამიგდო მკლავი მკლავში და შეშინებულის სიტყვით ესრეთ მითხრა.] ჩემის დანახვის* უმალ ფარანი გააქრობინა მოსამსახურეს. ამაში მეც მივედი, ჩემი მკლავი ვუთავაზე. თავის მკლავი მკლავში გამიგდო და წამოვედით, მაგრამ შეშინებით დამიწყო ლაპარაკი.

– „არ ვიცი ჩემი მშობლები როგორ დავწყევლო, მოხუცებულს კაცსა მიმცეს ცოლათ; არა, მე იმათ არ დავწყევლი, გავს, ღვთის ნება ასე იყო და ასე მოხდა, რომ შენ უნდა შემყვარებოდი. *ოღონდ ჩემი დედმამანი მშვიდობით იყვნენ და მე რაც უნდა მამივიდეს. ახ, ნეტავი არ მენახე?* თუმცა ჩემი ქმარი არ მიყვარდა, მაგრამ ერთგული კი ვიყავი. *როდისაც შენ გნახე, ერთგულობაც დამავიწყდა და ჩემი თავიც. ახლა მე ბევრს ნუღარ მელაპარაკები, რომ გაცეცხლებულის სიყვარულით მიყვარხარ.* მგონია გეცოდინება, რომ ჩემი ქმარი ამ დღეებში სხვაგან წავიდა და იქ კარგა ხანი დარჩება? შეგიძლიან ყოველ ღამე ჩემთან იარო, როდისაც თავისუფლათ იყო.“

– „მე დიახ სიხარულით ვივლი, მაგრამ შენს სახლში მოახლეებმა და მოსამსახურეებმა რომ შეიტყონ?“

– „მე შენ გარწმუნებ, ვერავინ შეიტყობს ამ ორის მეტი და ესენი ასეთი ჩემი ერთგულები არიან, ჩემი გულისათვის სიცოცხლეს გასწირავენ.“

მასუკან ლაპარაკი გადაასხვაფერა და მითხრა. – „ეს კი დამავიწყდა, ვერ გითხარი. როდისაც ნიშნობიდგან წამოსვლა მოვინდომე, სახლის პატრონნი და ჩემი ნათესავები არ მიშვებდენ, მაგრამ ავანტყოფობა მოვიგონე.“ *რომ ავათ ვარ-მეთქი და რას ყოფით დავეხწიე.*

რასაც მეუბნებოდა, იმის სიტყვა ერთი ერთმანეთს არ ეთანხმებოდა, არეულობით მელაპარაკებოდა, დიდი შიში ეტყობოდა, მაგრამ მეც გამოუცდელი 17-ის წლისამ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი და მეც არეულობით ველაპარაკებოდი. *რაღაცა სტანჯავდა, რომელსაცა დამშვიდებულის სიტყვით დავუყვავე, შემდეგ ვუთხარ.*

– „მიკვირს, რიღას გეშინიან, რომ ძლივღა ლაპარაკობ?“

ბოლოს იმან მითხრა.

– „ახ, რომ იცოდეთ, რა ძნელია ქმრის ღალატი და იმის ნაცვლად სხვას ვაძლევ გულსა? ამასთან საცოდავათ დაიწყო ტირილი. მე ასე შემაწუხა იმისმა მწუხარებამ, რომ სანანულად გამიხდა ეს ამბავი.

მასუკან როდისაც ცრემლი მოიწმინდა, გულმტკივნეულის სიტყვით მითხრა.

– „მე შენ ერთს რასმე გთხოვ, პატიოსანი პირობა მამეცი, ჩემ თხოვას აღასრულებ?“

– „რა უნდა იყოს მაგისთანა, მე უარი გითხრა? მიკვირს აგრე რათ მეუბნები? მიბძანე შენი ჭირიმე და მეც სიხარულით აღვასრულებ.

– „მაგ სიტყვისთვის ჯერ ლალანს ფერს ტუჩებზე გაკოცო და მასუკან გეტყვი.“

– „აი ჩემი თხოვა ეს არის. როგორათაც დაძმასა, ისე გვიყვარდეს ერთმანეთი და ჩემს პატიოსნებას ნუ შეურაცხჰყოფ?“ მე დიდის პირობით აღვუთქვი. *ამისათვის სიყვარულით დამეწება ტუჩებზე. ასე ძლიერად, რომ გვეგონა, ტუჩებს ერთმანეთს აღმოვგლეჯდით.*

ამ ჩვენს ლაპარაკში ჩვენზე ცოტათ მოშორებით მოდიოდნენ მოახლე და მოსამსახურე, რომ ჩვენს ლაპარაკს ისინი ვერ გაიგონებდნენ. მაგთენი აღარა გამოვიდა რა, უცხოს მორთულს სახლში მიმიწვიეს, მაგრამ დიახ ფარულად.

და მართლა, ასე რიგად შემიყვანეს, რომ ვერა ადამიანმა ვერ მნახა. აი ასე.

ქალმა მითხრა, რომ ქუჩაში მომეცადა; კარგახნის მოცდის შემდეგ მოახლე გამოვიდა და მითხრა, რომ მოახლეებიც და მოსამსახურეებიც სულერთიანათ ვახშამს სჭამენ; ეხლა დიახ კარგი დრო გაქვთ, რომ შემოხვიდეთ, ამისთვის, რომ ქალბატონმა შეუძლებლობა მოიგონა და ამისთვის ყველანი ვახშმის საჭმელად ჩამოვიდნენ ქვემოთ სახლებში, რომ ერთი ადამიანი აღარავინ აღარ დარჩა იმ ზევით სახლებში.“ ჩემი შესვლის დროს მოახლეს უთხრა ქალმა, რომ ზევით ამოსასვლელი კარებები სულერთიანათ დაეკეტა და მასკვან მე მითხრა. – „ახლა სულ ფიქრი აღარა მაქვს, რომ გნახოს ვინმემ, ამისთვის, რომ მოახლეები და სულერთიანათ მოსამსახურეებიც ქვემოთ სახლებში წვანან და მე ამ ერთის ჩემის მოახლით აქა ვწევარ.

ჯერ ჩაი დავლიეთ უცხოს ვერცხლის შემკულობით, მასუკან

მურაბას შევექეცით და მერე მცირედი ვახშამი ვიგემეთ. ვახშმის შემდეგ მოახლეს უბძანა, საწოლში ქვეშაგები მოემზადებინა. ბოლოს შემოვიდა და მოახსენა: მზად გახლავსო.

იმან რომ ეს თქუა, ქალმა მოახლეს ხელით ანიშნა, გასულიყო და როდისაც ორნი დავრჩით, მითხრა.

– „ნება მამეცი, მე გაგხადო ტანთა.“ თუმცა ნებას არ ვაძლევდი, მაგრამ არ მამეშვა. ტანისამოსი გამხადა, შემდეგ ხალათი გამომიტანა და მითხრა.

– „როდისაც საწოლიდგან დაგიძახო, მაშინ შემოდი ჩემთან.“ ამ სიტყვასთან გატრიალდა და საწოლში შევიდა. მე დორზედ წამოწოლილი განსვენებულის გულით ველოდი, როდის დამიძახებდა. ამაობაში მიწვევის ხმა მამესმა და საჩქაროთ შევირბინე. უცხოთ იყო მოფენილი ის ოთახი და მხატვრობით შემკობილი. ერთს ვერცხლის შანდალში წმინდა სანთელი ენთო და ერთს მოფარებით თახჩაში იდგა. დიახ მშვენიერი ფარჩის ქვეშაგები ეგო უტახტოს ოთახში და ერთი დიდი სარკე კედელზე ეკიდა სწორეთ ქვეშაგების პირდაპირ. თვით ამ ფარჩის ქვეშაგებში ის ქალი იწვა მინაზებული *მისვენებული დაოსებულსავით და ხანდისხან ნელიად აღმოიქშენდა.* და მე საამოთა მიყურებდა, მაგრამ გასაშტერებლად მქონდა და მიკვირს, ასე უსურვილოდ რად ვიყავ, რომ რაღასაც დიდს ნათესაობას ვგრძნობდი მე იმისას?–როდისაც ერთმანეთს გადავეხვიენით და ისე გადახვეულები დავწექით, მაშინვე ასე ტკბილად დაგვეძინა ორთავეს, რომ უტკბილესი და უნეტარესი მოსვენებული ძილი აღარ იქნება. როდისაც გათენდა და გაგვეღვიძა, ისევ ისე ვიწექით, შემდეგ წამოდგა და გაკეთებული თავისი თმის მსგავსი დალალები მოიტანა და ჩემს თავზე ისე წყობით გამიკეთა, როგორც თვითონ ჰქონდა. მერეთ რაგვარი ქოლიხანაც იმ ქალზე თავზე ეკრა, სწორეთ იმგვარი ქოლიხანა მოიტანა და როგორც იმას ეკრა, მეც ისე შემამაკრა. მეც ყუელაში ვმორჩილებდი. *რაც უნდა ეთქო, უთუოთ ის უნდა აღმესრულებინა.* შემდეგ რაგვარი წითელი ყანაოზის პერანგი იმას ეცო, იმის ფერი ყანაოზის პერანგი მოიტანა და ჩემი პერანგის მაგიერად ჩამაცო. მერეთ პერანგი წელამდისინ გადამხადა და თვითონაც გადაიხადა, მასუკან გადახვეულები ისე მივწექით ბალიშზედ და წელამდისინ ბალიში დავიფარეთ. ერთი საუკეთესო ბაღდადის ხელსახოციც თავზე დავიფარეთ და ასე შევითვისენით,

რომ წყალი არ გაივლიდა ჩვენ შუაში. არ ვიცოდი, რას შვრებოდა და ან რათ უნდოდა?

როდისაც მორჩა და სულ გავიკეთეთ, თავის ერთგულს მოახლეს დაუძახა და როდისაც შემოდიოდა, ქალმა ჰკითხა. – „აბა შენი ქალბატონი იცანი, რომელია.“

მოახლემ ბევრიხანი გვიყურა და მასუკან დაიძახა.

– „ჭეშმარიტად არ ვიცი, რომელი არის. თუ მარჯვენას ხელი დავადო, იქნება ეს არ იყოს და თუ მარცხენასა და, იქნება არც ეს იყოს? რა ვქნა, ორნივ ტოლათ წვანან. ორთავ ტანის სიწვლილე ერთმანეთს უგავთ. ორთავ მკლავების სიწვლილე ერთივე აქვთ? მოიცადეთ, ჩემს ქალბატონს მოფუნჩულს ლამაზს და სპეტაკს ხელებზე და მომრგვლოს ფრჩხილებზე ვიცნობ. აბა, ხელების თითები ერთმანეთში გაუყარეთ. ქალმა ხელი მტაცა ხელში და თითები გამიყარა.

– „ახ, ღმერთო ჩემო, ხელებიც საკურველად უგავთ ერთმანეთსა, რომ გარჩევა არ იქნება და ტანის სითეთრე ხომ არ ვიცი, რომელი უფრო თეთრი არის? ასე ტოლი და ასე ერთფერი სითეთრე როგორ აქვთ? თქუეინჭიმე, პატარა კიდევ მოიცადეთ, ხელსახოცს ნუ გადაიხდით, უთუოთ მშვენიერს ფეხებზე ვიცნობ ჩემს ქალბატონს.“

ფეხებიდგან საბანი გადაგვხადა. ფეხებზედაც ბევრი ხანი გვიყურა და მასუკან დაიძახა.

– „ჭეშმარიტად, ვერც ფეხებზე მიცვნია ქალბატონი, ფეხებსაც ერთფერი სითეთრე აქვთ და გუანებითაც ასე გიგავთ ერთმანეთსა, რომ გარჩევა არ იქნება. *ასე ერთმანეთის მზგავსი ფეხები ჩემს დღეში არ მინახავს.* პატარა კიდევ მოიცადეთ. ფეხების სიგძეზე და სიწვლილეზე ვიცნობ ჩემს ქალბატონსა.“ თავის მტკაველით ხან მე გამიზომა ფეხების სიგძე და ხან თავის ქალბატონსა, მაგრამ ორივეს ფეხები თანასწორე გვქონდა. მასუკან ძაფით ფეხის სიმგრგვლე გაგვიზომა სამ ადგილასა, ჯერ თითების სადრეკთან, მასუკან შუაგულზე და შემდეგ ფეხის სადრეკთან, მაგრამ სამს ადგილსვე თანასწორე მოგვივიდა, რომ ერთი ბეწო მომატებულ-ნაკლები არა გვქონდა ერთმანეთზე. *ესე იგი ხუთი ვერშოკის სიგანე და ექვსი ვერშოკი ფეხების მრგვლივ სიგანე. მომატებულ-ნაკლები რომ ვერ გაარჩია, მასკვან დაიძახა. წინ თითების სადრეკთან ოთხი ვერშოკი,*

შუაგულზე ოთხი ვერშოკი და ნახევარი, ქუსლის სადრეკთან ექვსი ვერშოკი და ერთი ვერშოკის მეშვიდედი. ვერ ვიჯერებ, მაგრამ ადგილზე რომ გავზომეთ ძაფით, სწორეთ თანასწორე მოგვივიდა.

– „კარგი, ხელსახოცი აიხადეთ, ვერ გიცანით“. მერე გვითხრა.

ხელსახოცი ავიხადეთ და დალალებიანს მე რომ შემომხედა და მასუკან თავის ქალბატონს შეხედა, უეცრად დაიძახა.

– „ახა ღმერთო! სახეც ასე უგავთ ერთმანეთსა, რომ ერთი დედმამის ნაშობსა გვანან“. „*ბევრნი ერთმანეთის მზგავსნი მინახვანან, მაგარმ როგორც თქვენ ერთმანეთს გევხართ, ასეთი არავინ მინახავს?*“

ჩვენ არ ვიჯერებდით, მაგრამ სარკესთან რომ მივედით და ორთავ ერთათ ჩავიხედეთ, არაფრისთანა ცვლილება ჩვენში არა იყო რა, ასე ვგვანდით ერთმანეთსა. თითქმის სიმაღლითაც ტოლები ვიყავით. სიმაღლეც რომ გავზომეთ, მხოლოდ ერთი თითი მე მაღალი ვიყავი იმ ქალზედა.

ახლა უფრო მოკლეთ დავიწყოთ ეს ამბავი. თუმცა მე ის ქალი მიყვარდა, მაგრამ არა ვნების სიყვარულით, რომ უთმინო სატანჯავი სიყვარული მქონიყო და უიმისოდ ვერ გამეძლო.

ჩემი იმ ქალთან სიყვარული რაღაც დიდი ნათესაური სიყვარული იყო და არა გულის შერყეული. ის ქალიც ჩემს სიყვარულს ისე ჰგრძნობდა, როგორათაც მე იმისას. როდისაც ერთი ერთმანეთს ვეტყოდით რასმე, ჩვენი ლაპარაკი სულ დაძმობის ხსენებით იყო და არა საარშიყოს სიტყვით.

გავიდა ცოტა დროები და ამ ცოტა დროებში თითქმის ყოველღამ იმ ქალთან დავიარებოდი, თუ სამსახურს არას ვასრულებდი და ან საჭირო საქმე არ შემემთხვეოდა.

გაირა ერთმა თვემ, განვლო მეორემ და განვლო მესამემაც. ჩვენი სიყვარული, როგორათაც ზევითაც ვთქვი... ვერავინ ვერ შემოიტანა ეჭვი ჩემი იმასთან სიარულისა.

ასე გაფთხილებით მივიდოდი ხოლმე, რომ ეჭვი ვერავინ ვერ შემოიტანა. აი როგორ დავიარებოდი.

იმ ქალმა თავის უბრალო ძველი ტანისამოსი მამცა და მითხრა, „როცა ჩემთან დააპირო წამოსვლა, ეს ჩემი ტანისამოსი ჩაიცვი და ამით მოდი ხოლმე. თუ ჩვენი მოსამსახურეთაგანი დაგხუდეს, ამ ჩემი ერთგული მოახლის სახელი უთხარი, იმასთან მივდივარ-თქო

და მაშინვე შემოგიშვებენ.“

იმ პირველ ღამის მეორეს დღის დილაზე იმ ქალთან რომ ვიყავი, ის თავის ტანისამოსი მოატანინა თავის მოახლეს და მე მითხრა.

– „აბა ჩაიცვი“. როდისაც ჩავიცვი, სწორეთ ჩემს ტანზე შეკერილსა გვანდა. მოახლის გვარად უბრალოთ დამხურა თავი, უბრალოს ხელსახოცით პირი ამიძაფა თვალებამდის. ფეხებიდგან წითელი წუღები გაიხადა და მითხრა ჩაიცვიო. როდისაც ჩავიცვი, წუღებიც ასე გამამადგა, ჩემს ფეხებზე შეკერილსა გვანდა. *რომელმაც მრავლობით დამკოცნა, ხან თვალებზე, ხან ლოყებზე, ხან ტუჩებზე და მერე მასკვან* მითხრა.

– „იჰ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ძმაო. რომ ჩემი ტანისამოსი და ფეხთსაცმელი სულ გამოგადგა“. მერეთ თავის მწვანე ქოშები მამცა, შემდეგ თავის თეთრი ჩადრი ორკეცად წამამასხა და მოახლეს უთხრა, გავეცილებინე.

მასკვან მე ქალსა ვკითხე.

– „ეგ დიახ კარგი, მაგრამ წუხელის მოსამსახურეები და მოახლეები ხომ გნახამდნენ, რომ ერთის მოსამსახურით და ერთის მოახლით მოხვედი. ეხლა მე რომ გასულს მნახვენ, რას იტყვიან?ამას არ იტყვიან, რომ ეს წუხელის ჩვენს ქალბატონს არ მოჰყოლიაო? საიდგან შემოვიდა და ან ვინ უნდა იყოს?“

– „როდისაც მოვედი, არც ეზოში და არც ფიცრულზე არავინ დამხვდა და სახლებში რომ შევედით, იქ ხომ სულ არავინ არ იყო. როცა სახლებში შევედით, მაშინვე შეუძლებლობა მოვიგონე და ძილად მიწოლა, რომ ჩემს მოახლეს ყველანი დაეთხოვა. და აბა რაღას ეჭვი გაქვს?“

მოახლეს ვუთხარ მე, რომ ჩემი ტანისამოსი, გახვეული რაიმეში, იმ ი... მოსამსახურისათვის გამოეტანებინა, რომელიც წინა ღამით მოგვდევდა და შორიახლოს მამყოლიყო, რომელთაცა ესრეთ აღასრულეს.

მოახლე კარებამდისინ მამყვა. იქ რამთენიმე მოსამსახურეები დაგვხვდნენ. მე რომ თვალებზე შემამხედეს, მოახლეს ჰკითხეს ჩემი ვინაობა. მოახლემ უთხრა, ჩემი დეიდაშვილი არის, ახალი სოფლიდგან ჩამოსულიო. „...*და კერვას სწავლობს. წუხელის ქალბატონი ნიშნობიდგან რომ მოვიდოდა, ზედ იმ გზაზედ გამოვიარეთ, სადაც ეს ოსტატს აბარია, რომელიცა შევტრიალდი და თან წამოვიყვანე.*

ახლა ამას იქით ღამე ჩემთან იქნება და დღე ოსტატთან ივლის.“ იმათ გაცინებით უთხრეს.

– „ოჰო! კარგი დედიდაშვილი გყოლია. შენ მაგიერ რომ ეგ შენი დედიდაშვილი მზითევში მოჰყოლოდა ქალბატონსა, უფრო კარგი იქნებოდა?“ მე ასე საჩქაროთ გამოვწიე, რომ მოახლეს პასუხი ვეღარ გავიგონე, რა უთხრა. კარგა ქუჩის გზა რომ გამოვიარე, იმ ქალის ერთგული მოსამსახურე ნაბადიანი, ნაბადქვეშ ჩემი აფიცრული ტანისამოსი ეჭირა და შორიახლოს მომდევდა. მეც წავედი და გარეთუბანს ჩვენს ბახში აფიცრის ჩემი ტანისამოსი ჩავიცვი დაბურვილს ვაზებში. *რომ არა სულიერი არავინ იყო იქა.* აფიცრის ტანისამოსის ცმაში იმ მოსამსახურეს ვკითხე – „ასეთი ერთგული რათა ხარ შენი ქალბატონისა-მეთქი?“

– „მზითევში მოყოლილი გახლავართო.“

მოსამსახურე რომ გავიტუმრე, ერთი იმერელი გვყვანდა მებაღეთ, რომელსაცა დიდი ერთგულება ჰქონდა ჩემი, ის ქალური ტანისამოსი იმას მივაბარე და ვუთხარ, არავისთვის არ გამოეჩინა.

მე ამ ამბავში ორი ბინა მქონდა, ერთი ჩვენი სახლი და მეორე კუკია, სადაც ჩვენი ბატალიონი იდგა. *შინ მკითხამდნენ, სად ყოფილხარ, მოსამსახურეც ასე მყვანდა დარიგებული, თუ ეკითხათ, ეთქო კუკიას სძინამსო. და თუ ბატალიონში ეკითხათ, უნდა ეთქო, შინ სძინამსოდა მე ხომ რასაკვირველია, ასე ვიტყოდი.* ამისთვის ეჭვი არავის არა ჰქონდა, სად ვიყავი და ან სად დავდიოდი. თუ ბატალიონში მკითხამდნენ, შინ ვიყავი მეთქი და თუ შინ მკითხამდნენ, ბატალიონში ვიყავი მეთქი. მაგრამ საღამო ჟამს რომ მოატანდა, თუ სამსახურში არ ვიყავ და ან სადმე წავიდოდი, მებაღის ოთახში ჩავიცომდი იმ ქალურს ტანისამოსს. *მებაღე დარიგებული მყვანდა, რომ კილოკავათაც არავისთვის გაეხსენებინა ეს ჩემი ამბავი.* როდისაც ქალის სახლის კარებზე მივიდოდი, ყოველთვის ის ერთგული მოახლე კარებზე მელოდა, რომელიც სიხარულით მამეგებებოდა საჩქაროთ თავის ოთახში ამიყვანდა მაღლა. *მაშინვე მარინეს სახელს დამიძახებდა... არა იქ შემიწვევდა, სადაც ქალბატონი იყო, არამედ თავის პატარა ოთახში შემიყვანდა თავის ქალბატონის გვერდით რომ იყო.* ვახშმის დრომდინ სხვა მოახლეებს ნება ჰქონდათ, იმ მოახლესთან ყოფილიყვნენ და როცა ვახშმის დრო მოვიდოდა, ყველანი ქვევით ჩავიდოდნენ. იმ მოახლეებს

დიახ დიდათ მოვწონდი და ვიღასაც მამზგავსებდნენ, მაგრამ ვერ მოეგონებინათ. იქნება თავის ქალბატონსაც მამზგავსებდნენ, მაგრამ ცხადათ ვერ ეთქოთ. იქნება, ქალბატონს ეწყინოს, რომ ეს უბრალო იმას მივამსგავსეთო. როდისაც მელაპარაკებოდნენ, რაოდენ შევიძლებდი, ქალურის ხმით მივუგებდი პასუხს და დიახ მოკლეთ. მაგრამ იქიდგან ის მოახლე თითქმის არ დამაცლიდა, მეთქო რამე და ჩემ მაგიერად მიუგებდა პასუხს.

ვიყავით ასეთ სიამოვნებასა და განცხრომაში. ბევრს კმაყოფილებაში გამოვიარეთ მე და იმ ქალმა და დაძმობრივს სიყვარულს ქვეშ ვტკბებოდით ორნივ.

ეს ქალი თავის მცნობთ და ნათესავთ თუ არ დღისით, ღამე აღარავის აღარ უშვებდა, ამ მიზეზით, რომ ვითომც ჩემი ქმარი შეიტყობს და ღამე ჩემთან სტუმრების სიარული არ იამებაო. მაგრამ განძრახვა სხვა იყო. ამისთვის რაკი დაბინდდებოდა, აღარავინ აღარ დაიარებოდა ხოლმე, მაგრამ ერთს უცნაურობას კი ვიტყვი.

ერთ საღამოზე მოახლეს ოთახში ვიჯექი და სხვა მოახლეებიც იქ ისხდნენ. ამ დროს იმ ქალის საწოლში დიდის ძახილით ელვასავით ვიღაც შემოვარდა. შევხედე, იმ ქალის მეგობარი და ჩემი ნათესავი იყო, რომელმაც ნიშნობიდგან გამომისტუმრა. *დიახ ხმაურობა დაიწყო, ლაპარაკი...* იმ დროს ქალმა ჩუმათ რაღაც უთხრა და ლაპარაკი დაიდაბლეს. ბოლოს შევიტყე, რომ ასე ეთქუა. – „თუ ღმერთი გწამს, დაბლა ილაპარაკე, იმ ჩემი მოახლის ოთახში ამ სახლის მოახლეები სხედან და არა *წამოროშორა*, წარმოსთქორა.“

ვახშმის დრო რომ მოვიდა, ქალბატონი გამოვიდა, რომელმაცა თავი მოვარიდე და თავის მოახლეს უთხრა.

– „ეს მოახლეები სულ დაითხოვე, ვახშმის საჭმელად ჩავიდნენ ქვევით და შენ მარტო გვემსახურე, ნუღარავის ნუღარ გარჯი ვახშმის მოტანაზე. როცა მოამზადო, შეგვატყობინე; მე და ჩემი სტუმარი გამოვალთ დიდ სახლში და ვახშამზე დავსხდებით. იმის მოახლეს და მოსამსახურესაც უთხარი, შინ წავიდნენ, ამაღამ აღარ გამოვუშვებ. მაინც ხომ ქმარი შინ არა ჰყავს, სოფელშია და ამაღამ ერთათ გავატარებთ დროს-თქო.“ *დამარტოებულნი.*

მოახლეები წამოდგნენ ღამემშვიდობის თქმით, დაბლა დაუკრეს თავი და გასვლა დააპირეს. ქალბატონმაც ალერსით შეღიმა და თავის საწოლში შეიარა. მოახლეები კარებში რომ გადიოდნენ. იმათ-

განმა ერთმა თქუა და სხვანიც დაეთანხმნენ.

– „ღმერთმა ადღეგძელოს ჩვენი ქალბატონი, როგორი კარგი ადამიანია და კეთილი ბძანდება. არავინ არ უნდა შეაწუხოს. თავის მოახლეს უთხრა, შენ მოგვიტანე ვახშამი, არავინ არ გასარჯოვო. ღმერთმა ადღეგძელოს და მრავალი წელი სიცოცხლე მისცეს.“

როდისაც ვახშამი მოამზადა იმ მოახლემ და ზევით ამოსატანი აღარა იყო რა, ამოსასვლელი კარები დაკეტა, ჰაერის მეტი არა გაივლიდა რა. ამ დროს ქალბატონი ჩემთან შემოვიდა და მოახლეს უთხრა.

– „რაგვარი ტანისამოსი მე მაცვია და როგორც მე მხურავს თავი, სწორეთ ასე დახურე ამას თავი და ტანისამოსიც ასე ჩააცვი.“ ამ სიტყვასთან სხვას ოთახში შეირბინა.

მოახლემ ჯერ ოთახის კარები მირაზა, უეცრად ჩემი ნათესავი არ გამოსულიყო, სადაც მე ვიყავი. მასუკან თავის ქალბატონსავით ჩამაცო და თავიც ისე დამხურა. როდისაც მორჩა, ქალბატონთან შევიდა, თვითონ იქ დარჩა და ქალბატონი ჩემთან გამოვიდა, რომელმაცა მითხრა.

– „ადეგ, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, იმ შენს ნათესავთან შედი, მაგრამ ნურც თავს დაუკრამ და ნურც ხმას გასცემ. მიდი და დორზე წამოწექი. რაც გითხრას, ხმას ნუ გასცემ, მერე ადექ, აქვე გამოდი, რომ მაინც ხმა არ გასცე.“

შევედი და დორზე წამოვწექ. ჩემმა ნათესავმა მკითხა.

– „სწორეთ მითხარი... ჩემი ნათესავი მართლა მოვა თუ ხუმრობით მითხარი?“

მე თვალებში შევხედე, ხმა არ გავეცი და თავი ჩავღუნე.

– „რატო არ მეუბნები?“

მე ისე შევხედე და მასუკან ოთახს მიმოვავლე თვალები.

– „ნეტავ მითხრა, ხომ არ დამუნჯდი?“

მე შევხედე და მაშინვე მოვარიდე თვალი.

– „შენ ნუ მამიკვდები, თუ არ მეტყვი, ეხლავ შინ წავალ.“

მოახლემ ჩემ მაგიერათ ლაპარაკი დაუწყო. ამ დროს ავდექი და საჩქაროთ გამოველ. ქალმა მითხრა, ორნივ ერთათ შევიდეთ, ხმის გაუცემათ ერთათ გადვიდეთ და ოთახის თავზე ერთათ დავსხდეთ. როგორც მითხრა, ისე შევედით, ოთახის თავზე დავსხედით. მოახლემაც სანთელი მოიტანა, ჩვენ წინ დაგვიდგა და ჩემს ნათესავს

ჰკითხა.

– „აბა იცანით თქვენი ნათესავი და ან თქვენი მეგობარი რომელია?“

ჩემმა ნათესავმა კარგახანი გვიყურა და მასუკან დაიძახა.

– „ეშმაკობა ხომ არა არის რა? ასე ნამზგავსები ჩემ დღეში არავინ არ მინახავს.

ჩვენ გაგვეცინა. ძლივს ხმაზედ მიხვდა ვინ ვინა ვართ, რომელსაცა დიდათ უკვირდა.

– „ნეტავ მითხრა, რათ უნდა აგრე ერთმანეთს გვანდეთ? მიკვირს, რომ კაცურს ტანისამოსში ვერ შეგამცნიე, რომ ამასა გვანდი?“

– „მაგისთვის მე რა მოგახსენო? არც მე მეგონა, მაგრამ ახლა ასე გამოჩნდა.“

აბა რაღა უნდა ვთქო? უცხოთ და სიმხიარულით გავატარეთ დრო. მაგრამ ხანდისხან მე და ის ქალი რომ დავჩუმდებოდით, ჩემი ნათესავი შეგვეხვეწებოდა. – „ღვთის გულისათვის, ნუ დაჩუმდებით ხოლმე, ვეღარ მიცვნიხართ, რომელი ვინა ხართ. ვახშმის შემდეგ ჩემს ნათესავსაც ჩვენ გვერდით გაუშლევინეთ ქვეშაგები, რომ დაეჯერებინა, ჩვენში სხვა სიყვარული არა იყო რა, თვინიერ დაძმობის მეტი, რომელიცა სარწმუნო შეიქნა და სწორეთ დააჯერა გული.

გასაშტერებელი ყმაწვილური ხასიათი ჰქონდა იმ ქალსა.

ადრევეცა ვთქვი ჩემი იმ ქალთან კმაყოფილება, მაგრამ ორჯელ ზედიზედ დიდი უსიამოვნო საქმე შეგვემთხვა.

ერთს საღამოზე აბანოში წავედით მე და ის ქალი და მე ქალურის ტანისამოსით ვიყავი. ერთგულის მოახლის და მოსამსახურის მეტსა სხვას ვის წავიყვანდით. დაყორუღებულს ადრინდელს ნათქომს აბანოში შევედით მე და ის ქალი და ორნივ ერთათ სამსეს აუზში ჩავსხედით გადახვეულები. ამ დროს არ ვიცი საიდგან, სამი გალოთებული ბიჭები შემოვიდნენ, წამოგვეტანნენ და დაიძახეს. – „ოჰ, ეს ფუტიანი ქალები რა მშვენიერები და თეთრები არიანო.“. ორნივ აუზიდგან გადმოვცვივდით, მაგრამ ქალს სირცხვილით გული დაუსუსტდა და აუზის გვერდით ჩაჯდა. გაჯავრებულმა ერთს ბიჭს ასეთი სილა შემოვკარ ყბაში, რომ კედელზე თავი მიაწყვიტა და სხვებს დავუძახე.

– „ბატოიშვილის დედიჩემის თეკლას მზემა, თუ ეხლავ არ დაი-

კარგებით, ხვალ ციხეში დაგასხმევინებთ.“

შემამხედეს და კაცად მიცნეს. ბატოიშვილი დედიჩემის ხსენებაც რომ გაიგონეს, მაშინვე გატრიალდენ და საჩქაროთ წავიდნენ. მე გამოვტრიალდი, ქალი მოვაბრუნე.

მაგთენი ხანი აღარ მოვიცადეთ და საჩქაროთ წამოვედით შინა. ჯერ მაშინ საქირავებელი ბირჟის დროშკები არ იყო და ქვევითი წამოვედით.

იმ ღამეს იმ ქალთან ვიყავი და მეორე დღეს ის ქალი, მე მოახლესავით ჩაცმული და თვალებამდისინ ხელსახოცახვეული, იმის მოახლე და მოსამსახურე, ეს ოთხნი წავედით და ერთ-ერთს გარეთუბნის მივარდნილს ბახში შევედით და მებაღეს ფული ვაჩუქეთ, *მოსამსახურის ხელით*, რომ საღამომდინ ნება გვქონდეს შექცევისა. იყო მშვენიერი მზიანი დღე და კარგად ცხელოდა.

საუცხოვო საფენი თავის მუთაქით მოსამსახურეს მოატანინა თავის სახლიდგან იმ ქალმა. ერთს გაფუტკვნილს ვაზებიანს მწვანოვანს ადგილს საფენი გავშალეთ და ზედ დავსხედით. სადილს რომ დავუწყეთ ჭამა, მოსამსახურეს უთხრა ქალმა.

– „ახლავ წადი და ჩვენ მაგიერ (ჩემზე ხელი მოიღო) ამათ ნათესავს სთხოვე, ორნივ ბახში გახლავართ და თქვენც აქ გამობძანდით-თქო, მაგრამ სხვა არავინ არ გამოიყოლოს შენის მეტი. *მგონია, ადვილი საცნობია, ვინც იქნებოდა ეს ნათესავი.*

მოსამსახურე წავიდა და ჩვენც სადილს მოვრჩით. სადილს უკან მოახლეს მუთაქა მოატანინა, საფენის თავთან დაადებინა და მე ღიმილით მითხრა.

– „შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ჩემო ძმაო,რაც გითხრა, დამიჯერე.“

– „დიდის სიხარულით, შენ ნუ მოკვდები, ჩემო დაო.“

– „მაშ, ტანისამოსი გაიხადე, მხოლოდ პერანგით და ქოლიხანით იყავ.“ აღვუსრულე. ქოლიხანაც რომ შემოვიკარ თავზე და გაკეთებული დალალები ტიტველა მხრებზე გადმოვიყარე, გადამეხვია და მხრებზე კოცნა დამიწყო. მასუკან ფეხებზე ხელი მომკრა და ფეხებიდგან წუღები გამაძრო. ფეხებზე რომ შემამხედა, უეცრათ ხელი მტაცა, მარჯვენა ფეხი აიტაცა და ტკბილად კოცნა დაუწყო. ჭეშმარიტად, დიდათ მცხვენოდა, მაგრამ რადგანაც აღვუთქვი, უნდა დავმორჩილებულიყავ. ამ ტრფიალების შემდეგ მითხრა.

– „პატარა მოიცადე. როგორც ახლა შენ მე გამაგიჟე შენის

საუცხოვებითა, თუ მეც ისე ვერ გაგაგიჟო, დაინახამ?“

წამოდგა და მოფარებით ღრმას ვაზებში შევიდა. მცირე ხანს უკან ფოთლის შრიალი გავიგონე და ამასთან ჩემებური ქოლიხანაწაკრული, წითელ ყანაოზპერანგიანი, ოქრომკედმორთულიანი, შეიდიშით განსპეტაკებული თეთრი ფეხები მოჰქონდა მწვანეს მოლზე დიახ უცხოს მოხდენილობით და მბზინვარე დალალები სამსეს ბროლის მკერდზე მიმოეღელვოდა. ოო! ეს ნიშანი სურვილის ამღგზნებარი ცეცხლი არის, მაგრამ სულ სხვას ვგრძნობდი, ყმაწვილურს სიამოვნესა და ისიც ეგრეთვე. როგორც ყმაწვილები, მე აქედან და ის იქიდან ერთმანეთს შევექანენით, *გიჟსავით* გადახვეულები გაშლილ ვარდის ძირში გადვიქეცით მწვანეს მოლზე *ტკბილის სიყვარულით ვეხვეოდით ერთმანეთსა* და ერთმანეთს ვეუბნებოდით გულისწმინდით. – „ძმაო! და დაო!“ ამ დროს ვიღასიც ხმა გავიგონეთ – „აბა, სად არიან?“ ჩემი ნათესავი იყო. თუმცა მე შევკრთი, მაგრამ იმ ქალმა მითხრა.

– „თუ გიყვარვარ, როგორც ხარ, აგრე იყავი, ხომ კარგათ იცი, როგორ უყვარხარ შენ იმასა და ჩვენი ერთობის მიზეზიც, ხომ იცი, რომ ის არის.“

ამასთან ხელი მომკიდა, მივედით, ვარდებს შუა საფენზე წამოვწექით, თავი მუთაქაზე მივდევით, პირები მახლობლათ დავაწყევით ერთმანეთთან პირდაპირ, ოთხი ხელების თითები ერთმანეთში გავუყარეთ და გულები მახლობლათ დავიჭირეთ. ფეხები ერთმანეთზე შევაწყევით და ამ მდგომარეობით თვალები დავხუჭეთ. ზევიდგანაც ნუშის ხის ფოთლები გვიჩრდილობდა.

ქალბატონისაგან ადრითვე დარიგებული იყო მოახლე, რა უნდა ექნა და ამ დროს კიდეც მოვიდნენ, მაგრამ მოახლემ გაფთხილებით მოიყვანა, „სძინამთო“. *მოიყვანა, ჩვენს მახლობლათ დააყენა და* დაბალის ხმით ჰკითხა

– „აბა გაარჩიეთ, ან თქვენი ნათესავი და ან თქვენი მეგობარი რომელია?“

კარგა ხანი გვიყურა და მასუკან გაკვირვებით დაიძახა ხმამოდაბლოთ.

– „ოჰ, ამ მშვენიერებს და ერთმანეთის მზგავსებს, რა მოხდენილ-ნაზის სიტკბოებით სძინავთ. ვინ იტყვის, რაღაც ღვთიური ნათესაობა არ იყო ამათში?სახე მზგავსი, სახის ნაკვეთობა მზგავ-

სი, განსპეტაკებული სითეთრე მზგავსი, მრგვალი ყელის მოყვანილობა მზგავსი, ხელები და ხელების თითები მზგავსი, ერთფერი წითელი პერანგებიც რომ აცვიათ და წითელი შეიდიშის ოქრომკედის ყვავილები როგორ უხდებათ თეთრ მზგავს კოჭებს. მშვენიერი ფეხების და ფეხების თითების სიმზგავსე ხომ სულერთია. დიდ ხარ შენ უფალო და საკვირველ არიან საქმენი შენი! ამ სიტყვაზე ორთავ გაგვეცინა და ქალმა მიატანა.

– „განა გიკვირს? მეც აგრე გაკვირვებული ვარ, მაგრამ ვერა გამიგიარა, რა არის?“ მასუკან უთხრა. –„მე ვიცი, ახალი სადილნაჭამი იქნები? ჩვენ როგორც ვართ, ასე დავიძინებთ და შენც ჩემს გვერდით წამოწექი. მასუკან ავდგეთ და კარგათ შევექცეთ.“

„ეხლა ეს არის, სადილი გავათავე და მაშინვე აქეთკენ წამოველ. კარგათა თქვი, მაინც მეძინება და მეც შენთან წამოვწვები.“ ზურგის მხარეს მუთაქაზე წამოუწვა და ძილს თავი მივეცით სამთავ.

სიტკბოს ძილში რაღაც შრიალის ხმა შემომესმა ბალახიდგან, თავი წამოვწიე, ვნახე, საშინელი გველი აიმართა და ქალზე შემოვარდნა დააპირა, მაშინვე ქალს ხელი მოვკარ, ჩემკენ გადმოვიგორე და სწრაფად წინ გადვუხტი. ამაში ქალებმაც გამოიღვიძეს, შემოიხედეს და ეს სახე რომ დაინახეს, ორთავ საშინლად დაიყვირეს. ამ დროს გველი შემომვარდა და ჩემს გაფრიალებულს პერანგს მისწვდა და ამით დამიფარა ღმერთმა. არ ვიცი როგორ იყო, მეც თავში მივწვდი, კისერში ხელი ვტაცე, მაგრა მოვუჭირე და გველის თავი ხელის გარეთ დამრჩა. გველმა პირი დააღრინა და ენის ისარს აქეთ-იქით აცოდვილებდა, მაგრამ მე იმის კისერი ასე მეჭირა და ასე მოვუჭირე ორივ ხელები, რომ თვალები გამოსაცვენად მოემზადა. ისიც კანჭებზე მომეხვია და შარვალსავით ასე გამეხიდა, დიდათ შემაწუხა. რაც ძალი და ღონე მქონდა, მე კისერში ვეჭიდებოდი და ის ფეხებსა მხუთამდა. ქალები შორიახლოს იდგნენ და ცრემლით იბანებოდნენ, არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ. ამ დროს არც მოახლე იყო და არც მოსამსახურე. მოვხედე და ორთავ ვუთხარი. „ნუ გეშინიანთ. სტოლის დანა მომიტანეთ.“ საჩქაროთ გაექანნენ და მომირბენინეს. მარცხენას ხელით მაგრა დავუჭირე კისერი, მარჯვენა ხელით კისრის სახსარში გადავუსვი დანა და კისერი გადავჭერ. გველმა ბოლოს დაიწყო აქეთ-იქით წყვეტა, მეც აღარ მოვეშვი, მინამ სრულებით არ მოვჭერი თავი. თავი ძირს

ჩამოვარდა და ტანი იქით გადავტყორცნე. ორთავ ქალებმა საპონი და წყალი მომიტანეს და უცერემონიოთ ხელები დამაბანინეს. მასუკან მიმიყვანეს, მუთაქაზე თავი მივდე; ერთი აქეთ წამამიწვა, მეორე იქით, გულიდგან პერანგი გადამწიეს, ერთ მკერდზე ერთმა დამიწყო კოცნა და მეორემ მეორეზე. როდისაც გული დავიმშვიდე, მკითხეს და მეც გველის ვუამბე იმათ. ჩემმა დამ პერანგი გადაიწია, თავის მკერდი მოიტანა, ჩემს მკერდზე დააყრდნო და სიყვარულით თქუა: – „ეს თეთრი სავსე გული მაგ თეთრ სავსე გულსა ეკუთვნის საუკუნოთ.“ მასუკან თავის მეგობარს უთხრა სიამოვნით.

– „ხედავ, ჩემო მეგობარო, ეს ჩვენი სავსე თეთრი მკერდები როგორ გაწყობილია ერთმანეთში და როგორ ლამაზად გამოკრთიან ერთათ და როგორ აშვენებენ ერთმანეთსა. ახლა უნდა იცოდე, რა სიამოვნით სძგერენ ერთმანეთსა ეს ჩვენი მკერდების ძარღვები და ან ჩვენი გულების სისხლი როგორ კმაყოფილებით მოქმედებენ? – ჩემო მეგობარო, ახლა გკითხავ ეს სპეტაკი თეთრი წმინდა გულები ღირსნი არიან, ერთმანეთი უყვარდეთ? “

– „ოჰ, ეს საუცხოვო სანახავი, როგორ ღირსნი არ არიან?“

– „მაშ მოიტა ეგ შენი ლამაზი, შავთვალიანი პირისახე ამ ჩვენს მკერდებს შუა შემოიტანე და რაერთი ხანიც გინდა, ისიამოვნე ტკბილის კოცნით. თუნდა მე წარმამიდგინე ამ შენს ნათესავად და თუნდა ეს შენს მეგობრად. რომელსაც იფიქრებ, ორნივ ერთი მზგავსები ვართ.“

მოიტანა თავისი ლამაზი და ცოტათ მოგამხდრო პირისახე, მკერდებს შუა ჩაგვიდო, ხან ჩემს მკერდს დაუწყო ტკბილად კოცნა და ხან იმისას. ჩვენც ხან ერთმანეთს ვეტრფიალებოდით და ხან ჩემს ნათესავს ვუალერსებდით. *ამ ამბავში ჩაგვეძინა.* ამ მდგომარეობით კარგა ხანი ვისიამოვნეთ, შემდეგ მოახლე მოვიდა და სამნივ ერთად წამოვდექით. ქალებმა მოახლეს უამბეს გველის ამბავი. მოახლემ გაკვირვებით დაიძახა. – „ჭეშმარიტად ღმერთს დაუფარავხართ.“. მასუკან თავმოჭრილის გველის სანახავათ მივიდა, დახედასთანავე დაიძახა. –„ოჰ, რამტოლა გველი ყოფილა“ (ადლნახევარი იქნებოდა ჩვენი გაზანდრისა და თავის შესაფერი სიმსხოც ჰქონდა).

საღამომდისინ უცხოთ შევექეცით და საღამოზე ჩემი დის სახლში მოვედით. იმ ღამეს სამნივ ერთათ ვიყავით და მეორე დღეს

ჩვეულებრივ გამამისტუმრეს.

ამის შემდგომ მაგთენი ხანი აღარა გავიდა რა, ქმარი მოუვიდა და მე გზა დამეხუთა, იმათ ქუჩაში აღარ გავიარე, არამცთუ იმ ქალთან მივსულიყავ. ერთს დილაზე იმ ქალის წიგნი მამივიდა. „დღეს ჩემი ქმარი სადილათ სხვაგან არის დაპატიჟებული და შუადღის დროს მოდი, მითამ ჩემ ქმართან საქმისთვის მოსულხართო.“ *მივსულიყავი და იმის ქმარი მეკითხა, ვითომც საქმისთვის მინდოდა, რომელიც ის ქალი იმ დროს ფიცრულზე იქნებოდა და მასკვან იმან იცოდა.*

სწორეთ შუადღის დროს მივედი. ამ დროს ის ქალი ფიცრულზე იდგა, მელოდა. მე რომ მოსამსახურეებს სახლის პატრონი ვკითხე, იმ ქალმა გადმამძახა.

– „თუ საქმე გაქვთ რამ, აქ ამობძანდით, მე მითხარით და მე ჩემს ქმარს ვეტყვი.“

რასაკვირველია, მე საჩქაროთ ავირბინე. როდისაც დიდს სახლში შემიყვანა, *სულ არავინ არ იყო იქა*, მითხრა.

– „ნეტავ, ადრე მოსულიყავ? რახანია ჩემი ქმარი წავიდა.“ ამასთან ერთმანეთს გადავეხვიენით და რამდენიმე მინუტი ასე შეხვეულები ვიყავით. უეცრად ამ ქალის ქმარმა კარები გააღო და ჩვენთან შემოვიდა. გადახვეულები რომ დაგვინახა, ანაზდად *რამდენსამე სეკუნდს* შედგა, მასუკან გაანჩხლებულმა ხმალს ხელი სტაცა, კედელზე დაკიდებულსა. ამ დროს ქალიც ხანჯალს მისწვდა, ამოიღო და ქმარს *სასიკვდილო გაჯავრებით* შეუტია, მაგრამ მე მაშინვე მივწვდი, ქალი უკან გადმოვაგდე, რომელიცა წაიქცა. მინამ ქალი ადგებოდა, ამოღებულხმლიანს *მკერდგამოჭიმული* მივეგებე და ვუთხარ.

– „ამ ქალს არაფრისთანა ბრალი არა აქვს რა, აი მე დამკარი და შემცოდე მე ვარ.“ ეს რომ ვუთხარი, უბედურს ქალს გულს შემოეყარა. ქმარმა ჩემზე წამოღებული ხმლიანი ხელი ჰაერში დაიჭირა და თავჩაკიდებით რაღასაც ფიქრობდა. გვანდა, სიანჩხლისაგან გულს იმშვიდებდა. გული რომ დაიმშვიდა, თავი აიღო და შემამხედა, მიცნა და განცვიფრებით დაიძახა.

– „ოჰ, ღმერთო, რასა ვხედავ!“

ამასთან ხმალი შორს გასტყორცნა და ეგრეთი ხმითვე დაიძახა.

– „ალექსანდრე, შენა ხარ?“

მე განსვენებულის გულით მივუგე.

– „დიახ, მე ვარ.“ მე ვუთხარი.

– „ვახტანგ ორბელიანის შვილი?“

– „დიახ, სწორეთ მე ვარ.“

– „ოჰ, ღმერთო, დედამიწას ნუ გახეთქ და ნუ ჩაგვიტან შიგა.“

ამ სიტყვაზე გაშტერებით შევხედე, არ ვიცი, რა თქმა იყო ესა? შემდეგ დამშვიდებით მითხრა.

– „ალექსანდრე, რაც მოხდა, შენსა და ამ ქალს შორის დარჩეს. გთხოვ, ნურავის ნუ ეტყვი, ჩვენში იყოს.“

იმისი ამისთანა დიდსულოვნობა რომ ვნახე, ღვთისმშობლის ხატი ავიღე და იმაზე შევფიცე, რომ მე იმისი ცოლი დაძმობის სიყვარულით მიყვარდა და არა აუგათა. ეს ჩემი დარწმუნება დიდათ იამა, ასე რომ მეტი აღარ იქნება. *მეგონა, ზეციდგან რაიმე სიხარული მიენიჭა-მეთქი.* მასუკან სიამოვით მითხრა.

– „გთხოვთ შემეწიოთ, რომ ჩემი ცოლი მოვასურიელოთ, მართალი შენი და.“

როდისაც მოვასურიელეთ და თვალი გაახილა, პირველი იმისი სიტყვა ეს იყო.

– „ახ, ძმაო ალექსანდრე“ და თვალი ისევ დახუჭა. ქმარმა სიამოვნით შესძახა.

– „თ... შენი ძმა ალექსანდრე კარგათ არის და აქ შენთან არის ეხლა.“ ეს რომ გაიგონა, მცირედ და მცირედ გონებაზე მოვიდა. *გაიკვირვა, რომ ასეთი დაშოშმანულება მომხდარიყო და არა სისხლის დანთხევა.* მერე დიახ დიდათ იამა, რომ მშვიდობა მომხდარიყო. ბოლოს იმისმა ქმარმა მითხრა.

– „ალექსანდრე, მე ახლა სტუმრათ მეშურვება წასვლა და ხვალ სადილათ ჩემთან მოდით, ყველას გეტყვით, რაც ვიცი.“ ქალმა ეს *ქმრისაგან ასეთი ალერსის სიტყვა* რომ გაიგონა, სიხარულით შემამხედა, მეც დაბლა თავი დავუკარ ორთავ და ჩემის ბედის მადრიელი წამოველ შინ, მაგრამ იმ დღეს და იმ ღამეს სულ იმას ვფიქრობდი, რა უნდა ეთქუა იმ ქალის ქმარსა ჩემთვის? *ჯერ ისა ვთქოთ, როგორ მოგვასწრო იმ ქალის ქმარმა?* ბოლოს შევიტყე, რომ იმ სტუმრობაში მამულებზე რაღაც ბაასი მომხდარიყო და იმ ქალის ქმარს ვერ დაერწმუნებინა წინააღმდეგი მობაასე. მასუკან გაჯავრებით ეთქუა.

– „ეს ჩემი სიტყვა ხომ არა გჯერათ. თუ ეხლავ არ მოვიტანო მაგ მამულის სიგელი დაინახამთ?“ საჩქაროთ ცხენით წამოსულიყო, ცხენი მეჯინიბისათვის მიეცა და თითონ ზევით ამოსულიყო, სადაც ჩვენ ორნი ვიყავით ერთათ. *ეჭვი არა გვქონდა მე და იმის ცოლსა, რომ ესრეთი უეცრება შეგვემთხვეოდა.*

ამის მეორე დღეს შუადღის დროს მივედი იმათთან. მინამ ისინი სადილს მოითხოვდენ, მე და სახლის პატრონი თავისი ცოლით სხვადასხვას ამბავს ვლაპარაკობდით.

შევხედეთ, ერთი საუცხოვო ყმაწვილი კაცი შემოვიდა. შალვარში ჩამჯდარი, წელში დამბაჩაგარჭმული, ხმლიანი და ჩახაბარნიანი. გადვიდა, სახლის პატრონს და იმის ცოლს ტკბილად აკოცა ხელზე, რომელთაცა სყვარულით დაჭკოცნეს და ალერსი დაუწყეს. სახლის პატრონი გ... ჩემკენ მოტრიალდა და მასკვან მითხრა.

– „ეს ჩემი შვილი გახლავთ; სოფლიდგან ჩამოვიდა ჩვენ სანახავად.“ მერეთ თავის შვილს მიუბრუნდა.

– „ეს ბძანდება ვახტანგ ორბელიანის და ბატოიშვილის თეკლეს შვილი“. რომელიცა წამოდგა და მძიმეთ დამიკრა თავი. მეც ეგრეთვე თავის დაკვრით გადავუხადე, მაგრამ გაშტერებულსავით დავრჩი, რომ ხმა ველარ ამოვიღე, ამისთვის, რომ ვფიქრობდი, ეს ვაჟიკაცი ამ ქალის შვილი როგორ იქნება-მეთქი. სახლის პატრონმა გ... შემატყო, რასაც ვფიქრობდი და მითხრა.

– „ეს ჩემი შვილი ი... პირველის ჩემის ცოლისგან არის ნაყოლი. პირველი ჩემი ცოლი დიდი ხანია, გარდაიცვალა და ეს ქალი ჩემი მეორე ცოლი გახლავთ.“

სადილისა და ყავის შემდეგ, *სახლის პატრონმა თავის შვილი გაგზავნა რაღაც საქმეზე.* როდესაც ჩვენ სამნი მარტო დავრჩით, ესე იგი სახლის პატრონი, იმის ცოლი თ... და მე, სახლის პატრონი მოჰყვა კრიალოსნის ჩაგდებით:

– „აი, მე თქვენთვის რა უნდა მეთქუა.“

მე და იმისმა ცოლმა ყურადღებით ყურება დავუწყეთ.

ერთი კარგი კაცის და იმის ცოლის ქორწილის შემდეგ ხუთი წელი გავიდა, შვილი არ მიეცათ. ეგონათ, უშვილონი ვართო და ამისთვის დიდათ მწუხარებდნენ. *იმათი მე ახლო ნათესავი და ეგრეთვე ახლო მეგობარი* ვიყავი, რომელთაცა ჩემთან დამალული არა ჰქონდათ რა. იმათ ერთი მშვენიერი მოახლე ჰყვანდათ. ერთი

დიდი კაცის შვილი და კარგი ყმაწვილი კაცი *ეარშიყებოდა*, ეწყობოდა. იმ მოახლის ბატონებმა კარგათ იცოდნენ, მაგრამ არას დასდევდენ. ის საწყალი მოახლე დაორსულდა და ოთხ თვეს უკან ორსულობის მუცელი შეამცნიეს იმის ბატონებმა.

ერთ დილაზე იმ ჩემ მეგობრებთან მივედი. იმათი პირველი სიტყვა ჩემთან ეს იყო: „დიახ უცხო საქმე მოგვიგონია, რომ ღმერთი შვილს მოგვცემს.“ მე ვკთხე: როგორ, საიდგან? იმათ მითხრეს: – „წუხელის ჩვენს მოახლეს ვკითხეთ, რომელმაცა გულის წმინდით აღიარა, რომ სწორეთ ორსულათ არის იმ ყმაწვილის კაცისაგან. ჩვენ დავარიგეთ, რომ თავისი ორსულობისა არავის არა უთხრას რა და ვინიცობა არის და ჰკითხოს ვინმემ, ასე უთხრას, არ იცის, რის სნეულობით არის ავათ. ამ ახლოხანებში განვიძრახეთ, რომ სოფელში წავიდეთ და იქიდგან ჩვენს ნათესავებში წიგნები მივწეროთ, მითამ ჩემი ცოლი ორსულათ არის. როდისაც ის ჩვენი მოახლე დაწვება, იმის შვილს ამ ჩემის ცოლის ნაყოლათ დავარქმევ და ჩვენის შვილის მაგიერათ გავზდით.“

იმ ქალის თ... ქმარმა იმათი ამბავი რომ გაათავა, მასუკან კიდევ ასე მოჰყუა.

მართლა, როდისაც სოფელში წავიდნენ, თავის ნათესავებში წიგნი მიეწერათ თავის ცოლის ორსულობისა და ტანიც ორსულ დედაკაცსავით ეკეთებინა იმის ცოლსა, რომელსაცა ამით კერძობა დაეჯერებინა, მითამ სწორეთ ორსულათ არის.

მოახლის დაწოლის დრო რომ მოვიდა, მე მაშინ იმათთან სოფელში ვიყავი. ერთი ქვრივი დედაკაცი იყო სოფელში, ყოვლისფრით უნათესაო და ერთი შვილის პატრონი, რომელიცა ბებიობდა და ორსული მოახლე იმას მისცეს, *დიახ გაფთხილების დარიგებით, ვითომც იმ მოახლეს წყალმანკი სჭირდა*, მითამ ის მოახლე ავათ იყო და ის ბებია მოუვლიდა იმას, მაგრამ განძრახვა კი ეს იყო.

ერთს დილაადრიან მოვიდა ის ბებია და ცოლქმართ ჩუმათ მოახსენა, წუხელის თქვენი მოახლე დაწვა და ქალი ეყოლაო. ქალმა, ჩემი მეგობრის ცოლმა, ქვეშაგები გააშლევინა, მითამ მასაც მუცელი ასტკივდა. როდისაც ის დღე გავიდა და შუაღამე მოვიდა, ბებიამ მოახლის ნაყოლი ქალი მოარბენინა და მითამ აშობა. ასე რომ ვერავინ ვერ მიხვდა იმ ამბავსა. *მაშინ, როდესაც იმ სახლში არავინ არ იყო, ბებიამ დაიძახა, მამილოცავს, ქალბატონი დიახ ად-*

ვილად განთავისუფლდა და მშვენიერი ქალი ეყოლა.

რაღა მოგახსენოთ იმათი სახლის სიხარული! სახლის პატრონმა თავის ნათესავებთან ცხენიანი კაცები გაგზავნა და ყველას აცნობა, ჩემი ცოლი დაწვა და ღმერთმა ქალი მოგვცაო. მაგრამ ის საწყალი მოახლე მშობიარობაზედ რაღაც სნეულება დაემართა და ორს თვეზე თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა. იმის სიკვდილის დროს ბატონი და ქალბატონი წავიდნენ თავის მოახლის სანახავათ, რომელსაცა ცრემლით ეთხოვნა, ჩემს ქალს უპატრონეთ და თქვენს სადღეგძელოთ გაზარდეთო. ამ უკანასკნელს სიტყვასთან სულიც ამოსვლოდა. იმის ბატონი და ქალბატონი რომ მოვიდნენ შინა, თვალებზე ეტყობოდათ, ბევრი ეტირათ თავის მოახლისთვის.

როდისაც ერთი წლის შეიქნა ის ქალი, უმშვენიერესი ყმაწვილი არა მინახამს რა. *იმ ჩემ მეგობართ მართლა ასე უყვარდათ, რომ ნამდვილ შვილთან არ გამოარჩევდნენ.* ერთს წელიწადზე იმ ჩემი ნათესავის ცოლი მართლა დაორსულდა და ცხრა თვეზედ ვაჟი ეყოლა და შემდგომ ორი ქალიც, მაგრამ იმ მოახლის ქალი ასე უყვარდათ, შვილებში არ არჩევდნენ და თითქმის უნამეტნავესი ყურადღება იმ მოახლის ქალზე ჰქონდათ.

როდისაც თორმეტი წლისა შეიქნა იმ მოახლის ქალი, ვინც ნახა, გაშტერებულნი იყვნენ იმ ქალის შვენებაზე. ამ დროს მე ცოლი მამიკვდა და დავქვრივდი. ჩემი ცოლის სიკვდილის შემდეგ სამი წელიწადი რომ გავიდა, იმ ჩემმა მეგობრებმა მირჩიეს, ცოლი შემერთო. მე რადგან კაცი ვიყავი და სიძვის ცოდოში არ მინდოდა, გავრეულიყავი, ამისთვის დავმორჩილდი და იმათვე ვკითხე. ვისაც ისინი შემრთავდნენ, მეც თანახმა შევიქნებოდი.

აქ ლაპარაკი გაწყვიტა იმ ქალის ქმარმა და მე მკითხა:

– „იცით, იმ ჩემი ნათესავების მოახლის მოარშიყე ყმაწვილი კაცი ვინ იყო და ან იცით იმ მოახლის ქალი ვინ არის?“

მასკვან იმანვე დაიძახა.

– „იმ მოახლეს რომ ეწყობოდა, მამათქვენი ვახტანგ იყო და იმათი ქალი აი ეს ჩემი ცოლი გახლავთ. და მგონია, ეს ჩემი ცოლი თქვენი დაი იქნება?“

ზევით რომ ვთქვი, ცხადათ ვერ ვიტყვი-მეთქი მას ქალის ვინაობასა-მეთქი, აი ამისათვის, ამ მიზეზისათვის დავფარე, რომ ბუში ცოლად სახლისათვის სათაკილო არის საქართველოში.

აბა რაღა გითხრათ, ჩვენი სიხარული სულ წვლილათ რომ გიამ-ბოთ, ლაპარაკი გაგძელდება. ის ქალი ჩემზედ ორწელიწადნახ-ევრით უფროსი იყო. *მაშინ ყოფილიყო დაბადებული ის ქალი, რო-დისაც რომ მამაჩემი დედაჩემზედ ჯვარდაწერილი არ ყოფილიყო.*

მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, *რომ სოფელში წავიდნენ ჩემი და და იმის წლით ხნიანი ქმარი, მაგრამ ორს თვეზე ისევ ჩამოვი-და იმ ჩემი დის ქმარი და ჩემთან მოკითხვის კაცი გამოეგზავნა და ეთხოვნა, რომ იმასთან მივსულიყავ. ეს დრო იყო საღამო ჟამი (კარგა დაღამებული), კაცი რომ მომივიდა. მე მაშინვე დიახ სიხ-არულით გავექანე, რომ ჩემს საყვარელს დას ვნახამ-მეთქი, მაგრამ როდისაც იმ სახლში შევედი, სადაც მეგულვებოდნენ, ვნახე ერთი სანთელი კუთხეში ენთო და ერთიანი სამგლოვიაროს ტირილის ხმა გავიგონე, რომ ვიღამაც შემამტირა.*

ჩვენი ბატალიონი იმერეთისაკენ გაისტუმრეს მთისა არეუ-ლობის მიზეზით და მეც იმათში გამგზავნეს. როდისაც იმერეთი დამშვიდდა და ჩვენი ბატალიონი ისევ ქ. ტფილისში მოვიდა, იმ საღამოზე ჩემი დის სანახავათ გავეშურე და სიხარულით სახლ-ში შევედი. მეგონა, ჩემი და წამოხტებოდა და გადამეხვეოდა. ნა-ცვლად ამისა, იმისმა ქმარმა შემამტირა. სწორეს მიზეზს მე ვერ მივხვდი, რა ანბავი იყო, მაგრამ რომ დავაცქერდი, ჩემი დის ქმარი, შავებჩაცმული, თავის ცოლსა ტიროდა და ჩემს საყვარელს დასა. ეს ხმა ჩემთვის საზარო ხმა იყო. ბევრი ბევრეული ვიტირეთ მე და ჩემი დის ქმარმა და როდისაც ცრემლი მოვიწმინდეთ, მიზეზი ვკითხე ჩემი დის სიკვდილისა. *საწყალი სოფელში მიმავლობის დროსა გზაზე გაციებულიყო და მინამ თავიანთ სოფელში ასული-ყვნენ, მძიმეთ შექმნილიყო ავათ, ასე რომ ხუთ დღეზე საშინელის ანთებისაგან გარდაცვალებულიყო თურმე საწყალი.*

ერთს ავდრის დღეს გაციებულიყო და საშინელის სათლიჟამით ავათ შექნილიყო, რომელთაცა მკურნალებსა ვეღარ მოერჩინათ და სული ანგელოზებისთვის მიეცა. საწყალი და უბედური თავის მძიმე ავანტყოფობაში თურმე სულ მე მიგონებდა და ცრემლით იტყო-და: ახ, ჩემო საყვარელო ძმაო, ნეტავ ამ ჩემს უკანასკნელს დროში ერთი კიდევ მენახე და ჩემს უბედურ თვალებს ერთი კიდევ შემო-ეხედა შენთვის.

საყვარელო ჩემო დაო თ... ბევრნი იტყვიან, შენ უბედური იყო.

არა, შენ უბედური არა ხარ. ეხლა შენ ღვთის დიდებაში სიხარულობ და ანგელოზებსა შორის სასუფეველში განსცხრები. მშვიდობით ჩემო საყვარელო დაო და კიდევ მშვიდობით. სანამ ცოცხალი ვარ, შენი დაძმობრივი სიყვარული მე არ დამავიწყდება და ეგრეთვე შენი ანგელოზებრივი კეთილი გული საუკუნოდ შენს სახსოვრად მექნება.

გაიგონე.

ი.

1820-ს გაზაფხულზე ჩვენი ბატალიონი გაემგზავრა იმერეთის დასამშვიდებლად. როდისაც მშვიდობა მოხდა იმერეთში, შემდეგ ისევ შემოვიქეცით, ისევ მოვიდა ჩვენი ბატალიონი ქ. ტფილისში შემოდგომაზე.

მე და იმ ქალის დაძმობის ამბავი ხომ გავიგონეთ. ახლა სხვას ამბავს დავიწყებ ჩემსას, მაგრამ ნურცერთს ეგოისტობაში ნუ ჩამომართმევთ. რასაც ვამბობ, სულ მართალი არის.

ერთს საღამო ჟამზე თ˜ა გ... თ... კაცი მომივიდა და ეთხოვნა, სხვა თქვენი პოლკოვნიკი ლ... დაპატიჟებული მყავს და თქვენც მეწვიეთო.

ჩემი პოლკოვნიკი ლ... თითქმის საქართველოში გაზრდილი იყო, ქართული ენა კარგათ იცოდა და ქართველებიც დიდათ უყვარდა, *ეგრეთვე ქართველებსაც ის დიდათ უყვარდათ.* კარგი და კეთილი კაციც იყო.

მეორეს დღეს ევროპიულს გაწყობილს სახლში ვიყავით და ევროპიულს საჭმელებს ვიგემებდით. ამისთვის, რომ ეს თ˜ა თ სრულიად ევროპიულს გვარზე ცხოვრობდა, სადაც სიმხიარულე და მოსწრობილი ხუმრობები ბევრი იყო. ამ თ... ერთი გასათხოვარი დისწული ჰყვანდა ს... , მაგრამ ამ სადილზე არ იყო, რომლებიცა იმის სტუმრები იმ ქალს *საქებარის ენით* ხშირად ახსენებდენ და მგონია, უფრო მე მასმენდენ, რომ იმის მშვენიერების დაღი დამ-მჩნეოდა, მაგრამ მე სრულებით არ ვიმცნევდი. სადილის დას-რულების დროს, როდისაც კახელმა წითელოსანმა ჭაბუკმა *მო-ლაღლაღემ მომწითლო მომღიმარმა ღვინომ* ტვინი გაუცხელათ, ლაპარაკში ერთმა ჯ... მკითხა:

– „ალექსანდრე, ახლა ხომ ვაჟიკაცი ხარ და მიკვირს, რატო ცოლს არ ირთავ?“

ამ სიტყვაზე ყველამ ყურება დამიწყეს. მე ასე შემრცხვა, რომ გავწითლდი. ხმა ვეღარ ამოვიღე. ჩემაგიერათ ერთმა უპასუხა ღიმილითა.

– „რახანია ეს დანიშნული არის.“

– „ვიზედ?“ ყველამ ჰკითხა.

– „დავით ბარათოვის ქალზე.“

ყველამ კასკასით გაიცინეს. მე ასე შემრცხვა და ასე გავჯავრდი გულში, რომ კინაღამ სადილიდგან ავდეგ და წამოველ, მაგრამ რასყოფით მოვითმინე. *თვალებში სისხლით სავსემ და გულგაღვერდლებულმა მოვითმინე.*

ყველამ შემატყეს, რაც სახე გამიხდა, ამისთვის სხვადასხვა ლაპარაკი დაიწყეს და სხვარიგათ გადაასხვაფერეს.

რამდენიმე დღე რომ გავიდა, ერთმა ჩემმა ახლო ნათესავმა თავის სახლში სადილის შემდეგ მითხრა, სადაც ჩვენ ორნი ვიყავით:

– „მიკვირს, დავით ბარათოვის ქალს რად ირთავ?“

ამასთან მოჰყუა და ამთენი ჭორი მიანბო იმ ქალისა, რომ მცხვენიან, აქ მოვიხსენიო. მე თუმცა არ ვუჯერებდი, მაგრამ არც დაუჯერებლობა იქნებოდა, ამისთვის, რომ ჩემი მახლობელი ნათესავი იყო და კარგი მცნობიც.

ამის მეორე დღეს ჩემმა ერთმა მახლობელმა და დიდკაცმაც დამიმტკიცა იმ ჩემი ნათესავის სიტყუა და იმისი ჭორი. ამის შემდეგ რამდენიმე ჩემი მახლობლებისაგანაც კიდევ ისე გავიგონე. გარდა ამისა, თვითონ დავით ბარათაშვილის მახლობლებისაგანაც გავიგონე ეგრეთივე ჭორი. რაღა განვაგრძელო, იქამდისინ მიმიყვანეს მე, ყმაწვილი კაცი, რომ საზიზღრად შეიქნენ ჩემთვის ისინი. არამცთუ დავით ბარათაშვილის ქალი, სულერთიანათ საქალობაც. როდისაც დავით ბარათაშვილი შამომხვდებოდა სადმე, მაშინვე თავს მოვარიდებდი, ასე მეჯავრებოდა. ერთხელ, ერთს ადგილს დ. ბ. მოვიდა ჩემთან და ალერსით ლაპარაკი დამიწყო. მე ასე მეთაკილა იმის ლაპარაკი და ასე მეწყინა, მოვტრიალდი და სხვა მხარეს გადავედი. იმას ეს ჩემი უზდელობა და სიბრიყვე არამცთუ ეწყინა, სრულიად არად ჩამაგდო რა და სიცილით გატრიალდა. *იმ პატივცემულს კაცსაც დიაღ ეწყინა ეს ჩემგან და მაშინვე შეიტყო, რომ იგი უსიამოვნო იყო ჩემთვის.*

თქვენ, ყმაწვილო კაცებო, როდისაც გიყვარდეთ ვინმე და გინ-

დოდეთ იმაზედ ჯვარი დაიწეროთ, გთხოვთ, მეჭორეებს ნუ აჰყვებით, თუნდა თქვენი მახლობელნი იყვნენ. როდისაც ჭორი გითხრან რამე, გონების გახედვით გაჩხრიკეთ და მასუკან ისე მოიქეცით, თორემ, თუ მეჭორეებს აჰყევით, თავს კლდეზე გადაგაგდებინებენ. ერთრიგათ მე გასამტყუნარი არა ვარ ამისთვის, რომ ჩვენ მოყვრებთან აღარ დავიარებოდი და იმ ქალს ვეღარ ვხედავდი. მაშ, რა უნდა მექნა, თუ იმ მეჭორეებისათვის არ დამეჯერებინა? ნამეტნავად, ჩემიანებისთვის? *ეს კიდევ ცოტა არის.*

გარდა ამისა, ჩემზედ მოგონებული აუგები არაერთსა, რამდენსამე წაეღოთ და ამთენი ჭორი ეთქოთ დავით ბარათაშვილის და იმის სახლობისთვის, რომ არცერთი არ ითქმის აქა. დავით ბარათაშვილს თუმცა არ დაეჯერებინა, მაგრამ ერთხელ თავის სახლობაში ეთქუა.

– „მე ხომ იმ ყმაწვილკაცზე არა მჯერა ამთენი ურიგო ლაპარაკი, მაგრამ იმ დღეს ერთს ადგილს იმასთან სალაპარაკოთ მივედი, პირი მამარიდა და სხვა მხარეს გადავიდა“. *სწორე გითხრა, ეს კი დიახ საწყენი იყო ჩემთვის.*

თურმე რა იყო და რა ამბავი? *ამის ქვემოთ მოვიხსენებ.*

იმ თ˜ა თ... თავის დისწული ს... ჩემთვის უნდოდა ცოლათ. დიდი დამოკიდებულებაც ჰყუანდა და მდიდარიც იყო. ყოვლის მხრით საშუალება იპოვნა, *ჯერ სამდურავი ჩამოეგდო დავით ბარათაშვილში და ჩემში და მასკვან ისე ემოქმედა, რომელმაცა კიდეც შეიძლო,* რომ ჩვენში და დავით ბარათაშვილში სამდურავი ჩამოეგდო. რაც დავით ბარათაშვილის და ჩვენი მახლობელნი იყვნენ, იმათგანი ბევრი მიებირა და რაც უნდოდა, იმას ალაპარაკებდა.[1]

ამასთან მე თ˜ა თ... დამიახლოვა. დიახ ხშირად დავდიოდი იმასთან, სადაც სადილვახშმათაც დავრჩებოდი იქა. ნამეტნავად იმისი მშვენიერი და პატიოსანი ცოლი მ... რომ მთხოვდა ხოლმე, აბა, პატივი როგორ არ უნდა მეცა? ჩემი რამთენ რიგად ნათესავი იყო და ჩუენი სახლის დიდი პატივისმცემელიც, მაგრამ საკურველი იყო, ისე ხშირათ ვიყავი თ˜ა თ... იმის დისწული ს... ვერსად ვერა ვნახე და ვერც თვალი სადმე მოვკარ. *საკურველი იყო, რომ არამცთუ თ˜ა თ... დისწული სოფო, როდისაც იქ ვიყავ, რომ ჩემთან შემოეყვანათ,*

[1] დიდი კაცის შვილის ოჯახებს ასე ღირსეულად აფასებდენ უწინ და ამისთვის უნდოდა თ˜ა თ... რომ თავის დისწული ს... მოეცა ჩემთვის.

არამედ ასე დახშული იყო, რომ თვალიც ვერსად მოვკარი. ღვთის წინაშე, არც მე ვათვალიერებდი და არც არაფერი გულში მქონდა.

ერთს დილაზე ჩემ პოლკოვნიკ ლ... მივედი, სახლში მარტო იყო. სხვადასხვის ლაპარაკის შემდეგ დიახ ჭკვიანურის ჩაგონებით მითხრა, თ˜ა თ... დისწული სოფიო შემერთო ცოლათ, რომელმაცა უეცრად და უნებურათ პირობა მივეცი. ეს ამბები დედაჩემმა ბატოიშვილმა არა იცოდა რა. *არც მე და დავით ბარათოვის სამდურავი* და არც არა ზემოხსენებული ჭორები. *ის კი იცოდა, რომ მე თ˜ა თ... ხშირად დავდიოდი, მაგრამ რომელიც თვითონ მე მოვახსენებდი ხოლმე, მაგრამ არაოდეს არ მიშლიდა, ამისთვის, რომ იმ თ˜ა თ... ცოლი ჩვენი ცოტა შორს ნათესავი იყო.*

ჩემს პოლკოვნიკს პირობა რომ მივეცი, მასუკან მითხრა.

– „მაშ, დღესვე მოციქული მიუგზავნე დედაშენს, ნება მოქცეს, ის ქალი შეირთო.“

მე თანხმობის თავი დავუკარ და წამოველ, მაგრამ გზაზე რაღაც მეუბნებოდა. „გცხვენოდეს ალექსანდრე, იმ პირველს შენს დანიშნულს კატინას უშვებ და სხვას ირთავ.“

შინ მოვედი. ღვთიური დედაკაცი დედიდაჩემი ანასტასია ბატოიშვილი გავიხმაურე და ვთხოვე, თავის დასთან ეშუამდგომლა, *დედაჩემთან, რომ მსურველი ვარ* თ˜ა თ... დისწული სოფიო ცოლად შემერთო.

დიახ დაწყნარებულის კეთილის გულით მკითხა.

– „ალექსანდრე, მიზეზი რა არის, პირველს შენს დანიშნულს უშვებ და სხვას ირთავ?“

– „მიზეზი არ შემიძლია მოგახსენოთ, შეინჭიმე.“ *ამისთვის, რომ სათქმელი არა არის.*

– „შენმა გაზდამ, თუ გაგიგონია რამე, სულ სიცრუე იქნება. დავით ბარათოვი და იმის *სულერთიან* სახლობა დიახ პატიოსნები არიან.“

ვერას ჩაგონებით რომ ვერ დამაჯერებინა, მასუკან მითხრა.

– „ჩემ დას ვეტყვი, რასაც მეუბნები, მაგრამ ვიცი, დიდათ ეწყინება.“ ამ უკანასკნელს სიტყვასთან უკმაყოფილოდ გატრიალდა და წავიდა.

მცირე ხანს უკან დედაჩემთან მიმიწოდეს. როდისაც შევედი, ვნახე, დორზე მისვენებით მედიდურად იჯდა და ბრძნულისა სი-

ტყვით მიბძანა, იმის მახლობლად დავმჯდარვიყავ. შემდეგ ეგრეთისავე სახით მითხრა.

– „რაც ჩემის დის ბატოიშვილისათვის დაგებარებინა, სულ წვლილად მიბძანა და ყოველივე ვცან, *ზოგიერთის უგვანის ადამიანების აზრი.* მე შენ დამიჯერე, ნურავის სიტყვას ნუ აჰყვები, ჩემოდენათ კეთილი არავის არ უნდა შენთვის. მე შენი მშობელი ვარ და სხვანი სხვანი არიან. ჩემისთანათ გული არავის არ შესტკივა შენთვის.“ მასკვან ალერსით მითხრა. –„შენმა გაზდამ, მე შენს პირველს დანიშნულს კარგათ ვიცნობ, გუშინაც ანჩისხატში ვნახე, ასე მომეწონა, რომ რამდენიმე ხანი თვალი ვეღარ მოვაშორე. წირვის შემდეგ ჩემთან მოვაყვანინე და რამდენჯერმე დავკოცნე. შენმა გაზდამ, ასე გაკეთებულა, რომ უკეთესი ქალი აღარ უნდა. მე დღეს საღამო ჟამზე იმ ჩემს მოყვრებს შევუთვლი, ამ დღეებში მადლი გადიხადონ და ჯვარის წერაც ჩქარა მოხდება.“

– „შეინჭიმე, რაც გნებავთ, მიბძანეთ, გამზადებული ვიქნები თქვენის მონებისა, მაგრამ არ შემიძლიან დავით ბარათაშვილის ქალი შევირთო.“

ამ ჩემს თქმაზე სახე გამოიცვალა და ბძანების სიტყვით მითხრა.

– „მე შენის ცოლის შერთვისას არასა გკითხავ, ამისთვის, რომ მე დაჭეშმარიტებით ვიცი, ის ქალი *როგორც* გაგაბედნიერებს შენა. უთუოთ ჩემი ნება უნდა იყოს და ასეც უნდა მოხდეს.“

– „ბატოიშვილო დედავ, როგორც გინდათ დამსაჯეთ და ეგ კი არ შემიძლიან.“

არას ჩაგონებით და ვერას ბძანებით ვერ დამიმორჩილა ბატოიშვილმა დედამ. მეორეს მხრით, დედიდა ანასტასია ბატოიშვილიც დიახ ბევრს მელაპარაკა, მაგრამ არ იქნა, ჩემი გონება ვეღარ მიიხარეს. შემდეგ ბატოიშვილმა დედამ მიბძანა, რომ თ˜ა თ... სახლში აღარ გამევლო, *აღმიკრძალა იმასთან სიარული*, რომელმაცა ეს კი აღვუსრულე და მართლა რომ აღარ გავიარე.

ეს ანბავი *სახალხოთ* საზოგადოთ გამოვიდა და უფრო დამატებით მიმოსთქმიდენ ამ ამბავსა.

რაღა უნდა ვთქუა. ორთავ მხარეს გამოიდვეს თავი, იმ თ˜ა თ... თავის დამოკიდებულებით, რომ იმის დისწული შემერთო და მეორე მხრით, ბატოიშვილი დედა არა შვრებოდა. იყო მისვლა, მოსვლა, ლაპარაკი, მითქმამოთქმა, ჭორები და რაც შეიძლებოდა ცდა, რომ

დედაჩემი დაეყოლათ, მაგრამ ვერას ცდით ვერ შეიძლეს.

ამაობაში ერთი საუცხოვო ყმაწვილი კაცი სიძეთ აუჩინეს დავით ბარათოვს, მაგრამ დედაჩემმა რომ შეიტყო ეს ანბავი, ჩვენი სიძე თ˜ა ივანე მელიქოვი[1] გაუგზავნა და შეუთვალა.

– „თუ თქვენი ქალი მიგიციათ ვისთვისმე, საუკუნოთ თქვენი სახლის მტერი შევიქნები. თქვენი ქალი ეკატერინე ჩემი შვილის ალექსანდრეს ცოლია და არავისი სხვისა.“

მასუკან სიძემ მხიარულის სიტყვით მოახსენა.

– „მაგაზე თქვენ თავს ნუ იწყენთ. ის ქალი ანბობს და ღმერთს ჰფიცავს. „თუ ჩემი დანიშნული მე არ შემირთავს და სხვას შეირთავს, მასუკან მე ვიცი...“

ეს სტყვა მე საეჭვოდ მივიღე და ასე გავიგონე, მითამ ჩემს სასიამოვნოდ ამბობდა. *რომელიცა იმისი თქმა არ მამეწონა.* მერე ბატოიშვილი დედა მე მამიბრუნდა და უკმაყოფილოს სიტყვით მიბძანა.

– „გესმის, ალექსანდრე?“

მე თავი ჩავღუნე და ხმა არ ამოვიღე.

ბატოიშვილი დედა ისევ სიძეს მიუბრუნდა და უთხრა.

– „მაინც რასაც გეუბნები რომ უთხრა, დიახ კარგი იქნება.“

– „ბატონი ბძანდები, შეინჭიმე.“

ამასთანავე წავიდა. მცირეს ხანს შემდეგ ისევ მოვიდა და მოახსენა.

– „თქვენი მორჩილნი და თქვენი ბძანების აღმასრულებელნი გახლავან შეინჭიმე.“

მასუკან ბატოიშვილმა დედამ ჰკითხა.

– „ის ქალი სადა ჰყავს შენს ნათესავებს? ჩვენი მოახლეები ამბობენ, თავის დედმამასთან აღარ არისო?“

– „ეს სამი წელიწადი იქნება, თავის მამიდას ბარბარესა ჰყავს და მამიდა ზრდის. დღეც და ღამეც იმასთან არის, რომ არსად არ უშვებს და როდესაც იმის დედმამას ქალის ნახვა მოუნდებათ, იქ წავლენ და იქ ნახვენ.“

სიძეს სიტყვა სულ ტყუილი მეგონა და ჩემთვისა ვთქვი. „ჩემი გულისათვის ამბობს-მეთქი.“

ჩემი პოლკოვნიკისა ხომ რაღა გითხრათ? გამოიდო თავი, უთუ-

[1] თუ გახსოვთ, წარსულში ითქვა ეს სახელი?

ოთ თ˜ა თ... დისწული შემერთო. *რომელიცა ხშირად მიბარებდა თავისთან და ხშირად მეუბნებოდა: – „თუ დავით ბარათოვის ქალი შეგირთავს, საუკუნოდ მე და შენი გადაწყდება.“* არაერთგზის ბატოიშვილ დედაჩემთანაც მოვიდა და გულმოდგინედ სთხოვა, ნება მოეცა თ... დისწულის შერთვისა, მაგრამ ყოველთვის უარს ეუბნებოდა. ამაობაში მე პოლკში წავედი. *ზოგიერთნი თ... დამოკიდებულთაგან გამაცილეს და გ ზასა გაყრის დროს კვალად პირობა გამომართვეს, რომ უთუოთ თ... დისწული შემერთო.*

ტფილისის ქალაქიდგან არაიშვიათათ მომდიოდა პოლკში წიგნი, *წიგნს არ მივიღებდი, რომ თაბახი არა ყოფილიყო* და ყოველი წიგნი ჭორებით სამსე იყო ხოლმე. მიკვირს, ამდენ ჭორებს როგორ იგონებდნენ?

რამთენიმე დღეების შემდეგ ჩვენი პოლკოვნიკიც მოვიდა პოლკში. ქალაქიდგან ბევრი სტუმრები ამოჰყვნენ. გაიმართა შექცევა, სიმხიარულე და უცხო დროს გატარება. ეს დრო იყო აღდგომისა შემდგომ და ამ სიმხიარულის ტანცაობის დროსა უეცრად კარზე გამოველ, რომელსაცა ოფლიანსა სიცივე მამხვდა, მაშინვე ვიგრძენ, შეუძლოთ შევიქნებოდი და ძალიან ავადაც გავხდი. *მართლა რომ მთელი ერთი თვე ქვეშაგებიდგან ველარ ავდექი.* ამის შემდგომ, როდისაც მცირედ და მცირედ მოველ ღონეზე, *წყეულის ციებისაგან და ჩემგნით გადიქაჯა ციება,* ამაობაში გაზაფხულის ჰაერი წინამორბედად მოსისინდა თავის ნიავითა და *სამახარაბლოდ მე დასუსტებულს* დამქროლა გულზედ: ნუღარ იშიშვი, სიკვდილისაგან გამოგიხსენო.

რას ყოფით, დასუსტებული წამოვდექი, ნელიადის ნაბიჯით ფანჯარასთან მივედი, რომ გაზაფხულის მონარნარეს ჰაერისათვის, *მზის ამოსულს დილის ბუნებისათვის* შემეხედა. მთებსა და გამზეებულს ჰაერს რომ შევხედე, ასე მესიამოვნა ნავანტყოფარს ეს დილა, რომ უკეთესი საამო არა იქნებოდა რა იმ დროს ჩემთვის. ჩაი მამიტანეს, მეტათ მიამა და მეორე სტაქანიც ზედ დავატანე, რომელიცა ნახევარ სტაქანს ძლივს დავლევდი. ჩემს საფარეზო სადილსაც კარგად შევექეცი. *რომელსაცა მადა სრულებით დაკარგული მქონდა.* ორმა თუ სამმა დღემ რომ გაიარა, კარზედაც გამოველ, *წყნარად სიარული დავიწყე და ათიოდე დღე რომ გავიდა,* ჩემ პოლკოვნიკ ლ... მივედი და ტფილისში დავეთხოვე. თუმცა

დამითხოვა, მაგრამ მაინც დამარიგა, დავით ბარათოვის ქალი არ შემერთო.

კოჯრის მთიდგან ტფილისის ქალაქს გადმოვხედე, ტფილისის გარშემო მწვანოვანს ბუნებას დავხედე და ზედ მიმობნეული საქართველოს ქალები რომ დავინახე, უნებურად დავიძახე ბესარიონ გაბაშვილის ლექსი.

„გაზაფხულის შემოსვლისა მხმობელნი,
ია-ვარდთ-ზამბახთა მახარობელნი,
სხვა ყვავილთა და სხვა ამბავთ მთხრობელნი,
შავხავერდმოსილნი, ქუფრად მბზინავნი.“[1]

დედაჩემი თეკლე ბატოიშვილი დიახ სიყვარულით მამეგება. ჩამკრთალს სახეზე რომ შემამხედა, შეწუხებით მკითხა.

– „ნეტავი მითხრა, აგრე ჩაყვითლებული და გამხდარი რათა

[1] შემდგომ ამ გაზაფხულზედ მე ეს ლექსიცა ვთქვი.
საქართუელოს გაზაფხული.
ნიმფნი რხევით სეირნობენ,
ასფოდელსა დარაზმულნი,
ყვავილთ სწყვეტენ, ნაზად სტრფობენ,
ჰყნოსვენ სუნთა სიხარულნი.
ნორჩებზედა გაზაფხული
დასწრწის სუფთად ხანდაზმული,
დააკვდება შეკონილი
მღელვართ სიოთ სიყვარულნი.
ეფირ მდელოს მოეფინვის
სიამითა შეეხვევის,
იქ ფოთლებში მოიბზინვის,
შარავანდნი მხიარულნი.
კარგნი ჩიტნი ჭიკჭიკობენ
ხმის წყაროთი მოეშხობენ,
წვრილად, წყნარად გულთ იდნობენ
სურვილითა შელაშქრულნი.
მუზნი ეთერთ ცეცხლს ისვრიან,
საწყალ ამურთ გულსა ჭრიან,
სულს შეწირვით კვლად შესტრფიან,
ტრფიალებით გაბასრულნი.
ცა, ქუეყანა, სურიელი,
გაზაფხულსა შეეხარვის,
ამ დროსაც კი კაცი ბერი
მოკვდეს, ვფიცავ, ცოდო არის.

ხარ?“

მე ჩემი ავანტყოფობის ამბავი ვუამბე. ამის შემდგომ ჩემი საქმე სხვა არა იყო რა, დილას და საღამოს ქალაქგარეთ ქვევითი დავდიოდი და ამითი ასე მოვღონიერდი, სრულებით კარგათ შევიქენ.

რასაკვირველია, კიდევ ჭორები ბევრი იყო და კიდევ უკან დამდევდენ ადრინდელი ჩემი ცოლის შემრთველები. მეც გადაწყვეტით პირობას ვაძლევდი, რომ თ˜ა თ... დისწულს შევირთამდი ცოლათ.

გაიგონე.

ნ.

ერთმა კვირამ გაიარა. *ერთს მზის დაწვერების* კვირდღეს საღამოზე ქალაქს გარეთ, ვერის მახლობლად დავდიოდი, მონასტრის ბაღს რომ ეძახიან და შინ წყნარა მოვიდოდი. იმ ბაღის ღობესთან რომ მოვედი, ერთს მშვენიერს თხუთმეტის წლის ქალსა შევხვდი მარტო უეცრათა, რომლებიცა ორივ შევკრთით და შევდექით გაცეტებულსავით და ყურება დავუწყევით ერთმანეთსა. *ხუთი–ექვსი მინუტი ასე დავრჩით ერთმანეთის მაყურებლები.* ბოლოს ქალი გატრიალდა, ეტყობა, შიში იგრძნა და მინამ ბაღის კარებში შევიდოდა, რამდენჯერმე მოტრიალდა და შემამხედა. იმ ადგილს მიწაში გავლილს ისარსავით დავრჩი. *ხიშტს დავემსგავსე.* ამ დროს მომავალმა გლეხების ლაპარაკმა *მოგზაურ მოლაპარაკე კაცებმა გამომიყვანეს შთაგონებიდგან*, გამამიყვანა გონების დაკარგულობისაგან, თორემ უფრო ბევრი ხანი დავრჩებოდი იმ ერთს ადგილს. თავი რომ ავიღე, უნებურად მძიმედ ამოვიოხრე და შინათვე წამოველ.

მინამ შორს იქით გადავეფარებოდი, რამდენჯერმე მოვტრიალდი და ბაღის კარებს შევხედე, რომ ეგება გამოსულიყო ის ქალი და კიდევ მენახა, მაგრამ ტყუილი იმედიღა იყო. არც ეს მამივიდა ფიქრში, რომ იმ ბაღში შევსულიყავ და იმ ქალის ვინაობა მებაღისთვის მეკითხა, რომელიცა იმ ქალის შვენებასა აღგიწერთ, რომ იმის სახის შვენების ცნობა გქონდეთ.

მრგვალს პატარას თავსა პტყელი თანასწორი შუბლი წინ მოევლებოდა და განგებ გაკეთებულსავით გამოყვანილი გიშერ–მოჟუჟუნარე თვალები უცხოთ გამოიღიმებოდენ. მაგრამ ეტყობოდა, რაისამე მიზეზით გამქრალს უგვანდა, იმის მშვენიერს მსხდომარესა თვალთა შეერთებულნი წვრილნი წარბნი შავმშვილდურებ ზედ

მოხროდნენ, რომლებიცა პირისახეს მეტათ კარგად მოხდომოდნენ. ლოყებთან გადმოტანილს ღაწვთა წმინდა თეთრს ვაშლს მცირედი სიწითლე რომ შეერიოს, იმის ფერისთანა თეთრსიწითლე ზედ გადასცემოდა, წმინდა ალიბასტრის ლოყანი ღაწვთა ასვენებდა და ღაწვთაგან მცირედი რამ ფერი ლოყებსა შეჰპარვოდა ქურდულათ. სწორე და ცოტათ მომრგვლო საშუალო ცხვირი ღაწვთა აშვენებდა, ლალისფერი ბალახ[შ]თ ბაგეები ვარდებრივა მღიმარებდენ და ზედ წმინდა სისველე გადაჰკროდა იმ ტუჩებსა. სწორე ყბებიდგან გამოტანილი პატარა ღაბაბიანი ნიკაპი ახალ მთვარესავით სახეს მოხვეოდა, რომელზედაც მომბზინვარე შავნი ღულანბარნი ნიავის ძალით ერხეოდა ზედა. ბადრული იმის სახე გამხდარის მინაზებით უკუ ჩათეთქოდა, მაგრამ მაინც კიდევ განსპეტაკებული სითეთრე ნათელსავით მოჰფენოდა, მხოლოდ რომ დააკვირდებოდი, ბევრი ფერმკრთალობა ეტყობოდა, ასე რომ სითეთრე და ფერმკრთალობა ერთმანეთში არეული იყო. წვლილი მომაღლო ყელი მრგვალს ბროლსავით გამოკრთოდა, სადაც მცირედი ძარღვის ზადი სულ არ ეტყობოდა. ფარგალში გამოყვანილსავით გული სავსეს მკერდებს გასწყობიყო და სოსანისფერს გულისპირში თვით ის გული გამონათდა მეტად თეთრად, *ვითარცა ღრუბელსა შინა სინათლემილეული მთვარე*, ეგრეთ და იმ გულისპირშივე ორი გულიონი შეხიზვნოდენ, რომელთაცა იმ გულიოთ ბოლოები გულსა ზედა გაეშალათ ცოტა აფუნჩული, თვითონ მკერდებს დაჰბუდებოდენ და თვითო ვაზის კვირტი პირით ეპყრათ, მაგრამ იმ გულიოთ ასე გაეკეთებინათ ბუდე, რომ ბურთებსავით ამოებურცათ კარგა მომაღლოთა, რომელსაცა იმ ქალს გრემასის ფერი კაბა იმის საროს და აღნაგულს წელსა წინ ოქროს ხრიკეის ჩარიგებით უცხოთ გასწყობოდა, რომელიცა უკარსეტოდაც დიახ წერწეტი რამ იყო. *ბაშმაკიანი მოგძელო წვლილი ფეხები ხომ რაღა უნდა ვთქო; არამცთუ ფეხები, არამედ ფეფები უნდა დავარქოთ.* აი ამ შვენებას თაყუანი ვეც და ვემონე სრულის ჩემის გულით ჭეშმარიტად.

თვითონ ჩემს თავს ვკითხამდი: არ ვიცი, ეს რა მამივიდა ან რა დამემართა. იმ ქალის მშვენიერებამ ასე ჩქარა მამინადირა, რომ იმის ნახვისთანავე, იმ წამს იმის მშვენიერების დაღი გულზე ძალიან, მართლა ძალიან დამესო! რა იყო, რა ამბავია ჩემს თავსა?– წარმოიდგინეთ, მინამ შინ მივიდოდი, სრულიად მოვიშალე. *ასე*

რომ ღელვა გვემულს დამსხვრეულს ხომალდს ვგვანდი.

შინ მივედი და დედაჩემმა სახეზე რომ შემამხედა, განკვირვებით მკითხა. *შემატყო, რომ სრულებით შეცვლილი მქონდა სახე.*

– „შვილო ალექსანდრე, რა დაგმართვია, მაგისთანა მოშლილი და აგრე გაყვითლებული სახე გაქვს?“

რასყოფით სიტყვით მოვახსენე.

– „მგონია კიდევ შემაქცია შეინჭიმე და ხელმეორეთ ავათ გავხდი.“ *ციება დამაწყებინა.*

– *„რას ამბობ? რახანია, ციებამ გაგიარა. იქნება სხვა მიზეზი იყოს რამე?“*

მინამ ვიტყოდი ქვეშაგების დაგებასა, გულსაც შემამეყარა და თვითონ დედაჩემზე გადავიქეცი. თვალები რომ ავახილე, ვნახე, ჩემი ნათესავები ერთი ყურს მიწევდა, მეორე ლავიწსა, მესამე ხახვს მასუნებინებდა, მეოთხე ძმარსა და ზოგნი ჩამძახოდენ, მოვბრუნებულიყავ. როდისაც მოვსულიერდი, მაშინვე ის ქალი მამაგონდა და გახელებულის თვალებით მიმოვიხედებოდი, ეგება ის ქალი საიდგანმე გამოსულიყო და იმის წინაშე იმის ფეხქვეშ მოვქცეულიყავ. ეგება, შევბრალებოდი. ამ დროს აქიმი ივანე კარაევი შემოვიდა, დაწვრილებით რომ გამჩხრიკა, საჩქაროთ დალაქი მოაყვანინა, მარჯვენას მკლავში სისხლი გამამაშვებინა და ამან მამაბრუნა, მაგრამ იმ ღამეს კარგი სიცხე მამცა, ასე რომ არა გამეგებოდა რა, რას ვროტავდი თურმე.

იმ ღამეს ჩემს მოსავლელად ესენი ყოფილიყვნენ ჩემთან: თვითონ ბატოიშვილი დედა, ჩემი მამიდაშვილი მაკა, რომელიცა საიდგანღაც სტუმრობიდამ მოსულიყო ჩვენთან და მე რომ ასე შეუძლოთ ვენახე, ჩემი სიყვარულისათვის იქ დარჩენილიყო იმ ღამეს და მესამე ჩემი მოხუცებული გამდელი. ვახშმის შემდგომ იმათ დასძინებოდათ და ანთებულს სანთლიანს ოთახში სიჩუმის მეტი არა იყო რა. ამ დროს ვნახე, ის ჩემი ნახული ქალი კარებში შემოვიდა და ჩემ წინ დადგა. მაშინვე წამოვხტი, მინდოდა, გადავხვეოდი, მაგრამ ვნახე, აღარ იყო. ბევრი ვათვალიერე, ვეღარსად რომ ვეღარ დავინახე, ისევ ბალიშზე მივწექ, მინდოდა, დამეძინა. იმ ქალმა ჩემს ბალიშზე ხელი გადმოაწოდა და ჩემს გულსა ხელი დაადო. კიდევ წამოვხტი, მითამ მინდოდა, დამეჭირა, მაგრამ ვეღარ დავინახე. კიდევ ბალიშზე რომ მივწექი, ამასთან იმ ქალმა ყურ-

ში ჩამძახა: „სიყვარული!“ მე გაშტერებული მიმოვიყურებოდი და ჩემთვის ვანბობდი.

„სიყვარული, სიყვარული! მშვენიერებაო, მშვენიერებაო! სად წახველ? სად მიმეფარე? ეხლა აქ ჩემთან იყავ და სიყვარული ყურში ჩამამძახე, რომელიცა გულზედ დაღსავით დამაჩნდა და საუკუნოდ აღარ ამოიხოცება ის შენი სიყვარული ჩემგნით. *მე ერთის სიყვარულისათვის ვარ დაბადებული...* მშვენიერებაო, მშვენიერებაო! ნეტავი მითხრა, ვინა ხარ, რომ ასე ჩქარა მამწყალი და ჩემს ცივსა გულსა რაღაც ცეცხლსავით დაასხი? *ასე მომინადირე* მშვენიერებაო! ერთი კიდევ გამამიჩნდი, ერთი კიდევ ჩამამძახე სიყვარული, რომ იმით ვიცხოვრო, თორემ სიყვარული იქნება სასიკვდილოდ შემექნას. არა, არ გესმის? არ გესმის მშვენიერებაო? აკი სიყვარული ჩამამძახე. – სიყვარული, მშვენიერებაო! შენ სარწმუნოდ იცოდე, ეს შენი სიყვარული მე ველარსად ველარ წამივა, რომელიცა ამ ჩემს სულის უბეში შემინახავს, ან ჩემს სასიცოცხლოდ და ან ჩემს სასიკვდინოდ.“

შენი სიყვარული ამ ჩემს საცოდავს გულზე ცეცხლის ნაღვერდლებსავით აწვა, დაეწყო და სულის საშუალობაში ჰქრება, გონებით ვხედავ, გარნა ძარღვებში ილუპება. ახლა მწყურის, თუმცა ვსვამ იმასა, მაგრამ ვერ განმძღარვარ; – მწადს და არსად არ არის; – ვეძებ და ვერსად მიპოვნია. – ნეტავ მითხრა, რა არის, რომ ასე მტანჯავს? მრავალნი რომ ამბობენ სიყვარულსა და ვერავის ვერ გამოუთქვავს. ამისთვის ეხლა რომ ჩემი გული გასჭრან, მაშინ ვგონებ იტყვიან. „აი, მართალი და ჭეშმარიტი სიყვარული“. მე მგონია, სიყვარული ასე გამჯდომია აგებულებაში, ვითარცა განხურვებულს მზესა ქვეშე კვერცხი დასდო და სიცხოველის ძრიელებით იგი შეიწოს; ეგრეთვე მე ვიყო.

ამას რომ ჩემთვის ვანბობდი, ვნახე, კარებიდგან შემოვიდა ისევ ის ქალი, ჩემ წინ გაიარა და ჩემი ტანისამოსის შკაფის უკან აეფარა. მე წამოვდექი და ნელიად მიველ იმ შკაფთან, მაგრამ რას ვნახამდი? – ამაობაში ბატოიშვილმა დედამ, ჩემმა მამიდაშვილმა მაკამ და ჩემმა გამდელმა გაიღვიძეს. შემამხედეს, შკაფს უკან რაღასაც ვეძებდი. ჩემი მამიდაშვილი საჩქაროთ წამოვარდა, ხელი დამიჭირა და მითხრა.

– „სანდრო, ნეტავი მითხრა, რას ეძებ ამ შკაფის უკან?“

მაშინ მე გონებაზე მოველ და ვუთხარ.

– „არც მე ვიცი, მაკავ.“

მოვტრიალდი, წაველ და ჩემს ქვეშაგებში დავწექი. ბატოიშვილმა დედამ შემატყო, სიცხე არ მასვენებდა, აქიმის წამალი დამალევინა და მასუკან მითხრა.

– „ალექსანდრე, არ გინდა, ზღაპარი გითხრა?“

– „თქვენი ნება არის, შეინჭიმე.“

ჩემი გონება იმ ზღაპარმა მიიზიდა და მასკვან ასე განსვენებით დამეძინა, გათენებამდისინ არ კი გადავბრუნებულვარ მეორეს მხარესა. როდისაც კარგათ გათენდა და გამეღვიძა, ვიგრძენ, უკეთ ვიყავ და აღარც სიცხე მქონდა, თვინიერ სისუსტის მეტი. მარჯვენას მხარეს თავი რომ გადავიღე, ვნახე, ჩემი აქიმი ჩემ გვერდით სკამზე იჯდა და ჩემი ავანტყოფობის ამბავი მკითხა. მეც უკეთობა ვუთხარ. ერთს კვირას უკან სრულებით კარგათაც შევიქენ, მაგრამ მაინც კიდევ რაღაც საიდუმლო მტანჯავდა, დაუწყო ჩემს გულს გემოვნება, რომელსაცა აღარაფრისთანა აღარა მიამებოდა რა, თვინიერ სულთქმის მეტი და მწვანეს ბუნებაზე ხეტების მეტი. ჩემი ნუგეში ეს უფრო იყო, რომ მას ადგილს მივიდოდი, საცა ის ქალი ვნახე და რაოდენსამე საათს იმის ნაფეხურს ადგილზე დავეგდებოდი და ამით მოვიკლამდი ჩემს ვნებასა. შემდეგ ჩემი უკეთობისა, საჩქაროდ გავსწიე, მის მებაღეს ვკითხე იმ ქალის ვინაობა, მაგრამ ჩემი ბედის გამო ის მებაღე აღარ იყო და სხვა დამდგარიყო მებაღეთ და ამისთვის ველარა შევიტყე რა იმ ქალისა. მასკვან ვიფიქრე,მოდი წავალ, იმ მებაღის მებატონეს ვკითხავ-მეთქი, მაგრამ შემრცხვა და ჩემთვის ვთქვი, სწორეთ რომ ვკითხო, ნეტავ მითხრა, რას იტყვიან? იქნება თქოს, სხვა რიგათ იფიქროს და სხვა ურიგო რამა სთქონ? ამისთვის ამ განზრახვაზე ხელი ავიღე და დავრჩი მწარედ მწუხარე.

ორი კვირა რომ განვლო იმ ქალის ნახვის შემდეგ და მე ღმერთმა ცოტა უკეთესობა მომცა, ერთს დილას გაუთენებლივ გამეღვიძა. ალიონი ჯერ მოწეული არც იყო, მაშინვე, მოსამსახურის გამოუღვეძებლივ ტანთ ჩავიცვი...

მოჰყუა. აი, ის ზღაპარი.

იყო ერთი კაცი. სახელად იმას ერქუა ხოჯანასირთუსი. ის ასეთი კაცი იყო, სადაც კი ქუეყანაზე შეწუხებულის ამბავს გაიგონებდა

რასმე, რაც უნდა შორს ყოფილიყო, ის იქ წავიდოდა, იმ ამბავსა წვრილად შეიტყობდა, იმ საქმესა შეუდგებოდა და უთუოთ კარგათაც შეასრულებდა. იმას თითქმის მთელი ქუეყანა იცნობდა.

ერთმა მოგზაურმა იმ ხოჯანასირთუსის უთხრა: ამა და ამ ქუეყანაში იმის ხელმწიფესა ჩუეულებათ დაუდვია, რომ კვირაში ერთხელ სტუმრობას გააკეთებს, თვითონ შესავალს კარებთან დადგება კისერგადაღეღილი, გვერდით ოქროს ტაშტი უდგას ცივი წყლით სამსე და სტუმრებმა, ვინც რომ უნდა შეიაროს, ჯერ იმ ტაშტის წყალში მარჯვენა ხელი უნდა დაასველონ, მასუკან ის სველი ხელის სილა კისერში შემოჰკრან და მერეთ სასახლეში შევიდნენ. როდისაც ერთიანათ შევლენ, ბოლოს ის ხელმწიფეც შევა და გადიხდის სტუმრობასა უხვად.

ხოჯანასირთუსისათვის ამ ამბისა გაგონება კარგი იყო. დაუყოვნად მიდიოდა იმის გზაზედ. იარა, ბევრი იარა, მივიდა იმ ხელმწიფის ქუეყანაში სწორეთ იმ დღეს, როდისაც სტუმრობა გაემართა და ხელმწიფის კარებთან წადგა წინა. როგორც უთხრეს, ისეც იყო. ბოლო დროს ამანაც მოინდომა შესვლა სასახლეში, მაგრამ ხელმწიფემ დააყენა ამ სიტყვითა:

– „ჯერ კისერში დამკარ შენი სველი სილა და მასუკან ისე შედი.“

– „ვერა ხელმწიფეო, მე ვერ დაგკრამ.“ ხოჯანასირთუსიმ მოახსენა კრძალულებით.

– „არა, არ შეიძლება, უნდა დამკრა.“

– „მე შორით უცხო კაცი გახლავარ, მე ვერა გცემ სილას.“

– „სადაური ვინც უნდა იყო, უთუოთ დამკარ შენი სილა და ისე შეიარე. მე ჩემს ჩუეულობას ვერ გადავალ.“

მეტი რაღა ღონე ჰქონდა. დაასველა ხელი წყალში, სცა კისერზე სილა და შევიდა სასახლეში.

სტუმრობის შემდგომ ხელმწიფემ ხოჯანასირთუსი აღარ გამოუშო და როდისაც ორნი დარჩნენ, ხელმწიფემ ჰკითხა.

– „ვიღაცა ხარ, კაცო, რატომ წეღან სილა არ შემომკარ?“

– „ხელმწიფეო, არამცთუ მე ეგ უნდა მექნა, მე შორის ქუეყნიდგან იმისთვის გხლებივარ, რომ შევიტყო, რათ ნებულობ მაგისთანა უკადრისსა საქმეს?“ გულმტკივნეულად მოახსენა.

ხელმწიფე დაფიქრდა. მასუკან თავი აიღო და შეწუხებით უთხრა.

– „ეჰ, შენ რა გითხრა, ხოჯანასირთუსი უნდა იყო, რომ იმას

ვუთხრა, თორემ შენ რასა იქ?“

– „შენიჭირიმე, თვითონ მე ის ხოჯანასირთუსი გახლავარ.“

– „რახან შენ ხოჯანასირთუსი ხარ, ამა და ამ ქალაქში ერთი ყმაწვილი კაცი არის, ის არის ხელმწიფის შვილი. იმას ძველ–ძული გლახის ტანისამოსი აცვია, უბრალო ჯოხი ხელთ უჭირამს, დილიდგან საღამჟამამდის წყალობასა ჰკრებს და საღამოზედ იმ მოკრეფილს წყალობასა სულერთიან გლახებს აძლევს. აბა, ჯერ იმის ამბავი შემიტყე, ის ხელმწიფის შვილი რათა შვება ამას? – მასუკან მოდი ჩემთან და ჩემსას გიანბობ.“

მაშინვე ხოჯანასირთუსი გზას დაადგა და მივიდა იქამდისინ. როგორც ხელმწიფემ უთხრა, სწორეთ ისე ნახა ის ყმაწვილი. იმას უკან გამოუდგა, ესეც იმას სახლში შეჰყუა, სადაც ის ყმაწვილი იდგა. იმან მოიხედა. ჰკითხა.

– „რა გინდა, ვინა ხარ შენ?“

– „მე თქუენთან გიახლები საქმეზედა.“ უთხრა ხოჯანასირთუსმა.

– „მოდი ჩემთან, შამო სახლში.“

შევიდნენ, დასხდნენ და ჰკითხა. – „აბა, რა გსურს?“

ხოჯანასირთუსმა ყოველი გარდასავალი უამბო იმ ხელმწიფისა, რომელიც წინათ ნახა და მასუკან უთხრა.

– „ან ეგ თქვენი ძუველ–ძულის ტანისამოსის ჩაცმა რა არის, ან ის წყალობის მოკრეფა და ან დარიგება გლახებზედ?“

იმ ყმაწვილმა ისე.

– „ეჰ, შენ რა გითხრა, ხოჯანასირთუსი უნდა იყო, იმას ვუთხრა, თორემ შენ რასა იქ?“

– „მე ვარ სწორეთ ისა.“ მოახსენა.

– „რადგანაც შენ ყოფილხარ ხოჯანასირთუსი და ხელმწიფესაც უთქვამს შენთვის, რომ ჩემგნით შეიტყო ჩემი ამბავი, აჰა, გაიგონე.

მე ვარ იმის ძმისწული. თვითონ იმან ინება, თავის ცოლის, დედოფალის დისწულზედ მექორწინა, მაგრამ ვეზირებს დავებეზღებინე, მითამ მე იმას სიკვდილს ვუპირებდი და ამაზედ თვითონ იმას განეძრახა ჩემი ვნება, რომლისაცა ჩემის დანიშნულის წიგნი მამივიდა ჩუმათ. მოეწერა. საყუარელო! ეხლავ, ამაღამვე წადი სადმე, თორემ სიკვდილს მოელოდე ხელმწიფისგან ამ ღამესა. მაშინვე ჩუმათ წამოვედი და იმის შემდგომ ეს ჩემი აღთქმა ასე დავდე და ასე ვასრულებ ამ უცხოს ქუეყანაში. ვიცი, სოფელი ამოა.

ბოლოს ხელმწიფესა ყველა სწორეთ შეუტყვია. გაანჩხლებულს ვეზირები გაუყრია თავის ქვეყნიდგან და ჩემთვის მოეწერა, ისევ მივსულიყავ, მაგრამ მე პასუხიც არ ვაღირსე. ამისთვის ისიც იმის შემდგომ იმ თავის აღთქმას ისე აღასრულებს, რათ შესცდა ისე ჩქარა ვეზირებისაგან, რომელთაცა ჩუენი ოჯახის დამხობა ნდომებიათ.“

რაღა უნდა გავაგძელოთ ამის ლაპარაკი. ის ყმაწვილი ხოჯანასირთუსიმ წაიყუანა, თავის ბიძას ხელმწიფეს შეარიგა და იმანაც დიდი ქორწილი გადაუხადა დედოფლის დისწულზედ. ასე ხოჯანასირთუსიმ გააბედნიერა ის ოჯახი, როგორც პირუელ ყოფილიყო.

ერთს დილაზედ ხელმწიფე და ხოჯანასირთუსი სხედან და ხელმწიფეს ჰკითხა იმან.

– „ნეტავი ვიცოდე, სად იქნება კიდევ მწუხარება, წავიდე და იქაც ნუგეში ვცე რამე? –“

ხელმწიფემ უთხრა.

– „რახან მაგ გზაზედ დამდგარხარ და შესდგომიხარ მაგ კეთილსა საქმეს, აი, გეტყვი. ამა და ამ ქალაქში ერთი პირტიტველა ლამაზი მკერვალი არის. იმას აცვია შავები თავიდგან მოკიდებული ფეხებამდისინ და თვითონ ფეხებიც შავებში აქუს. ის შაოსანი მკერვალი შავებსა სჭრის, შავებს ჰკერამს და ამასთან ტირის მწარეს ცრემლით. საღამოზედ დუქანს რომ დაჰკეტამს და თავის სახლისაკენ წამოვა, იმას უჭირამს ხელში ქინძისთავი, რომელიცა ხანდისხან ენას გამოყოფს, იმ ქინძისთავის წვერსა ზედ დაიკრამს და ამასთან იტყვის: სულ ამ ენის ბრალი არისო.

აი, ამბავი გინდოდა და მეც მითქუამს.“

იქაც ჩავიდა, ისიც ნახა, ახლა იმან უთხრა.

– „რახან შენ ხოჯანასირთუსი ყოფილხარ, ამა და ამ ქალაქში ერთი მოლა არის, ის მოლა როდისაც აზანს გასწევს მეჩეთზე, იმ ქალაქის ხალხი იღვრებიან ცრემლით, ასე მშვენიერის ხმით ამბობს აზანს. იმ დროს იმას ერთი ბაღდადის ხელსახოცი ხელში უჭირამს, იმ თავის აზანისა დროსა თუალებიდგან ღაპაღუპით გადმოდის ცრემლი. იმ ხელსახოცით იწმენდს ცრემლსა და თან ამბობს აზანსა. როდისაც რომ კარგათ დაასველებს ცრემლით იმ ხელსახოცს, აზანსაც გასწყვეტს. მასუკან ხალიჩაზე დაჯდება, უბიდგან ვერცხლის ჯამსა ამოიღებს, წინ დაიდგამს, იმ ხელსახოცის ცრემლსა შიგ ჩასწურამს, მერე აიღებს იმ ჯამსა და იმ თავის ცრემლსა

სრულად დალევს ტკბილად. შემდგომ ადგება, შუა მეჩეთის კიბეზე რომ მოვა, იქ კედელში ფანჯარასთან დაიბარბაცებს და ბარბაცით ქვევით ჩამოვა, რომელიცა ყოველს კვირაში ერთხელ ასე შვრება ის მოლა. აბა ჯერ იმ მოლის ამბავი შეიტყვე რა არის იმის მწუხარება, მასუკან მოდი და ჩემსას გიამბობ.“

მე ის ზღაპარი ასე მიამა, რომ შემდგომი ვეღარა გავიგონე რა და განსვენებით დამეძინა – ასე დამეძინა, გათენებამდისინ მეორეს მხარეს არც კი გადავბრუნებულვარ. როდისაც კარგათ გათენდა, გამეღვიძა, ვიგრძენ, უკეთ ვიყავ და აღარც სიცხე მქონდა, სისუსტის მეტი. მარჯვენა მხარეს თავი რომ გადვიღე, ჩემი აქიმი ჩემს გვერდით სკამზე იჯდა და ჩემი ავანტყოფობის ამბავი მკითხა, მეც უკეთობა ვუთხარ. ამაში ბატოიშვილი დედა თავდახურვილი და სრულიად ტანთ ჩაცმული შემობძანდა ჩემთან, ჩემი მამიდაშვილი მაკაც თან შემოჰყუა, ჩემი მოხუცებული გამდელი ხომ არ მომშორებია მე და ყუელანი სიამოვნებდნენ ჩემს უკეთობაზე. ივანე აქიმი ხომ მეტი კმაყოფილი ადგა, წავიდა შინ. ამ დროს ბატოიშვილი დედაჩემის ზღაპარი მამაგონდა, რომელმაცა მოვახსენე.

– „თქუენმა ზღაპარმა მამარჩინა ბატოიშვილო დედავ. ასე მიამა, თქუენს მზესა ვფიცავ, რომ სრულებით გული მომისვენა, მაგრამ სულ ვერ გავიგონე, მოსვენებით დამაძინა იმ ზღაპარმა.“

– „სანამდისინ გაიგონე, შვილო?“ მკითხა.

– „იქამდისინ, იმ შაოსანმა მკერუალმა რომ უთხრა: აბა, ჯერ იმ მოლის ამბავი შეიტყე, რა არის იმის მწუხარება, მასუკან მოდი და ჩემსას გიამბობ“.

– „კარგი შვილო, ამაღამ კიდევ გიამბობ.“

იმ დღეს ჩემი ფარეზის სადილი გემრიელათ ვჭამე, ვახშამიც კარგათ და წყალით ღვინოც დავლიე. ვახშმის შემდგომ ცოტათ მივიარ-მოვიარე, მასუკან ქუეშაგებში დავწექ და ბატოიშვილი დედაც მოჰყუა იმ ზღაპარსა.

„ხოჯანასირთუსი რომ მივიდა იმ ქალაქში, იყო საღამო ჟამი მოახლოებული, რომელმაცა ნახა, რომ ხალხი სადღაც მიდიოდნენ. ჰკითხა, საითკენ მიხუალთო. უთხრეს, გეტყობა, ვიღაც ახალი ხარ. ჩუენმა მოლამ აზანი უნდა გასწიოს, იქ მივალთ, იმ აზანის გასაგონათაო, რომელიცა ისიც იმათ გაჰყუა.

ხოჯანასირთუსიმ ნახა მეჩითის მეიდანზე შეყრილი ხალხი და

ყუელას თუალები მეჩითის მაღალ კოშკის კარებს შეჰყურებდნენ: როდის გამოვაო? მოუთმენლად ბევრნი ამბობდნენ ამას. ამაობაში ერთი ყმაწვილი კაცი ამოვიდა, შავი გიშრისფერი პატარა ულვაშ–წვერი ჰქონდა, სახე თეთრი მრგუალი და ბრწყინვალე შავი თუალები. ტანადობითაც უცხოთ მოყუანილი იყო, მაგრამ ჩათეთქილს და გამხდარს სახეზე კი ეტყობოდა რაღაც დიდი მწუხარება. ხოჯანასირთუსიმ თავის გულში თქუა: თითქმის მთელი ქუაეყანა დამივლია და მე ამისთანა მშვენიერი ყმაწვილი კაცი არ მინახავსო.

იმ მოლამ დასავლეთის მხარეს პირმიქცეულმა, ზეცისაკენ ხელგანპყრობით დაიჩოქა თუალებ მაღლა შეხედვითა, რომელსაცა ეტყობოდა, იმ უხილავს განგებულებასა რაღასაც ევედრებოდა თავის საწადლისათვის. ვედრება გაათავა, ზე წამოდგა, თავის ჯიბიდგან ბაღდადის ხელსახოცი ამოიღო და აზანის თქმა დაიწყო. – დაიწყო ასე რიგათ, რომ ხოჯანასირთუსაც გული ამოუჯდა. შეყრილი დედაკაცი და კაცებიც ქვითინებდნენ იმ აზანზედ. თვითონ იმას, იმ მოლას ხომ ღაპაღუპით მოსდიოდა თუალებიდგან ცრემლი, რომელიცა არცა ერთსა ცრემლსა მიწაზედ არ უშვებდა, იქვე, იმ თავის ღაწვზედ, იმ ბაღდადის ხელსახოცით იწმენდდა ხოლმე.

დაასველა, დაალორტა ხელსახოცი, ბოლოს ხალიჩაზე დაიჩოქა, ის ვერცხლის ჯამი ამოიღო უბიდგან, წინ დაიდგა. ის სველი ხელსახოცი შიგ ჩაწურა. შემდგომ აიღო, გემრიელათ სმა დაუწყო. როდისაც სულ დაწვრიტა, კიბეზედ წამოვიდა, მაგრამ იმ ფანჯარასთან რომ მოვიდა მოლა, როგორც უთხრეს, ისე დაბარბაცდა საცოდავი.

ამ დროს ხოჯანასირთუსიმ წინ მოასწრო ქუემოთ. დააყენა და უთხრა.

– „პატიოსანო მოლავ, მე შენთან საქმე მაქუს.“

– „რა გინდა, თქვი.“ მოლამ უთხრა.

– „არა, საიდუმლო საქმეა.“

– „მაშ ჩემს ოთახში შევიდეთ.“

შევიდნენ, დასხდნენ, ჰკითხა მოლამ.

– „აბა, მითხარ, რა საიდუმლო გაქუს ჩემთან? – აქ არა ვინ არის ჩუენის მეტი.“

– „მე შორის ქუეყნიდგან იმისთვის წამოვედი, რომ ეგ შენი მწუხარება შევიტყო?“

იმ მოლამაც ისე.

– „ეჰ, შენ რა გითხრა, ხოჯანასირთუსი უნდა იყოს, რომ იმას ვუთხრა, თორემ შენ რასა იქ?“

– „თვითონ მე ვარ ის ხოჯანასირთუსი, მითხარ ყუელა.“

– „ამის მეტსა ვერას გეტყვი. ამ ქალაქის გარეთ, სამ საათის სავალზედ, ერთი საკვირველი ბაღი არის ყოვლის შემკულობით გაწყობილი, იმაში ჩინებული სასახლეა და იმაში ცხოვრობს ერთი მშვენიერი ქალი, ასეთი მშვენიერი, რომ ასეთი მშვენიერი ქალი არ გინახავს. ის ეხლა დიდ სევდაშია ჩავარდნილი და სულ დაღონებით არის. აბა ჯერ იმის სევდის ამბავი შეიტყე, რა არის იმის მწუხარება? მასუკან მოდი და ჩემსას გიამბობ.“

– „სახელი იმ ქალისა?“

– „ზიახანუმ.“

იარა, იქაც ჩავიდა ხოჯანასირთუსი, ნახა ბაღი, ყოვლის შემკულობით გაწყობილი, იმას ღობეთ ჰქონდა სულერთიან ვარდის ბუჩქნი ერთი ერთმანეთში გართხმულები, ასე გართხმულები, რომ ღობემძვრალა ჩიტიც შიგ ვერ შეძვრებოდა და ასეთი მაღალი ბუჩქის ღობე იყო, ორი კაცის სიმაღლე მეტი, რაზედაც ლურჯი გაშლილი ვარდები, პირისფერი, ყვითელი, წითელი, თეთრი და რასაც კი ფერს ადამიანი იტყვის, სულ იქ იყო. ეს სხუადასხუა ფერები ასეთის შეზავებით გაკეთებული იყო კაცის ხელით, რომ მეტი უკეთესი ხელოსნობა აღარ იქნებოდა კაცისაგან. ამ ღობისა სიმგრგვლე იქნებოდა ორი საათის სავალი მეტი, კარგის ცხენიანის კაცისაგან.

ხოჯანასირთუსიმ მიიარ–მოიარა, ბოლოს კარიც იპოვა, სულერთიან ოქროთ მოჭედილი, სხუადასხუა საუკეთესოს მურდახილებით გამოჭრილი. რა მივიდა იმ კარებთან, ექვსი კარის მცველნი იდგნენ კარების წინ ოქროს ქსოვილებით ჩაცმულები და ყველას თითო ვერცხლის ჯოხი ეპყრათ ხელში. მივიდა და ჰკითხა. –„ეს ბაღი ხომ იმისია, იმ განთქმულის ზიახანუმისა?“

– „დიახ, სწორეთ ის არის.“

– „აცნობეთ იმას ჩემი მოსვლა: თქუენი ნახუა უნდა უცხოს ყარიბს, შორით ქუეყნით მოსულსათქო.“

მაგთენი ხანი არა გამოვიდა რა, შეიყუანეს ბახში, სწორეთ ედემსავით მშვენიერში და მაშინვე თორმეტმა ქალმა წარადგინეს იმ ქალის წინ, სადაც წმინდა წყალით სავსეს ბროლის აუზის პირზე,

ოქროს ტახტი ედგა ძვირფასისა თვლებით მოკაზმული და შუა აუზს სჩქეფდა წყალი შადრევანში.

დორზე წამოწოლილმა ქალმა, ხოჯანასირთუსი რომ დაინახა, წამოჯდა და უბძანა.

– „დაჯექ ემანდ სკამზე.“

ოქროს სკამზე დაჯდა თვლებით მოჭედილზე. რა შახედა იმ ქალს, თეთრ სპეტაკ პირმრგუალს, შავმშვენიერთუალებიანს, ანგელოზს რომ იტყვიან, სწორეთ ეს ის არის! თქუა თავისთვის. მაგრამ დიდი სევდა მორეოდა კარგახანი ვერა უთხრა ხოჯანასირთუსის. ბოლოს შეხედა.

– „ყარიბო, ვინა ხარ, ან საქმე ხომ არაგაქვს რა ჩემთან?“

– „მე თქუენთან გხლებივარ შორის ქვეყნიდგან, შევიტყე თქუენი დიდი სევდა, მიბძანე, რა არის ეგ?“

ამ სიტყუასთან ვეღარა გავიგონე რა, განსუენებით დამძინებოდა, ამის მეორე ღამეს კიდევ მოვაგონე დედას და ისიც მოჰყუა: იმ ქალმაც ასე უპასუხა.

– „ეჰ, ხოჯანასირთუსი უნდა იყო, თორემ შენ რა გითხრა?“

– „თვითონ მე ისა ვარ, ის ხოჯანასირთუსი.“

– „შენ ხარ, სწორეთ შენა?“

– „მე, სწორეთ მე გახლავარ.“

– „ოჰ, ხოჯანასირთუსო, მე ვარ დიდი კაცის ქალი, ობლათ დარჩენილი, მარტო მე, აუარებელი ქონების პატრონი,რომელიცა ჩემი ბედნიერება და ჩემი შექცევა იყო ეს ბაღი და სხუა არაფერი ქუეყანაზე. მინდოდა, ჩემი ცხოვრება და ჩემი სიცოცხლე ამ უმანკოებაში გამეტარებინა. ამ დროს ერთს დილაზე ჩემი საყუარელი მოახლე შემოვიდა ჩემთან და დაფიქრებული დადგა ჩემ წინ. ვკითხე, რასა ფიქრობ ანუ რა გაქვს დარდი, მითხარ.

– ვერ გავბედავ ჩემო ქალბატონო, გეწყინება. იმან მითხრა.

შევფიცე. „არა-მეთქი“.

მოჰყუა ის მოახლე.

– „გუშინ დილით თქუენ რომ ქალაქში დამითხოვეთ ჩემის დის სანახავათ, ვიყავ იქა და საღამო ჟამს მოვიდოდი იქიდგან ტახტრევანდით. ქალაქის ბოლოს რომ გიახელ, მეჩითის კოშკზე მოლა იდგა და აზანსა სწევდა. ჩემო ქალბატონო, ის მოლა ასეთი მშვენიერი ყმაწვილი კაცი არის, რომ ქუეყანაზედ იმისთანა მშვენიერი არ

იქნება.“ ესა სთქუა და გაჩუმდა.

– „კარგი, რა გინდა სთქუა მაგითი შენ?“

– „არაფერი, ისე მოგახსენეთ, როგორც მშვენიერი ყმაწვილი კაცისა.“

იმ კუდრაჭა მოახლემ მითამ ისე ამბათ მითხრა იმ მოლისა სილამაზე, მაგრამ მე კი თავში დამრჩა ის მოლა და აღარ იქნა, ვეღარ გამოვიღე ჩემის გონებიდგან ისა. ბოლოს იმ ჩემს საყუარელს მოახლეს ვკითხე.

– „სწორეთ მითხარ, იმ დღეს ის შენი აზრი რა იყო, რომ ისე აქე ის მოლა ჩემთან?“

– „თქუენი შესაფერი საქმრო არის ქალბატონო.“

– „როგორთუ შესაფერი, განა ვირთამ ქმარსა? – განა უნდა მონად გავუკეთდე ვისმე?– ეს ჩემი მშვიდობიანი უმანკი და ეს ჩემი თავისუფალი ცხოვრება რად ღირს!.., სადაც ჩემს ტოლ და ჩემს საყუარელს ქალებში ბედნიერი ვარ მე, ესენი უნდა გავცუალო მონებაზედ და ჩავვარდე უპიროს კაცის ხელში?“

– „როგორ თუ უპიროს კაცის ხელში, ქალბატონო?“

– „მაშ არ იცი, ჩემო დაო, რომ როგორი უპიროები არიან კაცნი? ამას შენ შენის თვალით ნახამ და იცოდე შენც იმას მიგატან თან. ეხლა ჩემი გული ისე აღარ არის, რომ უკანვე დავაბრუნო პირუელს მდგომარეობაში. მე ეხლა ის მოლა თავიდგან ვეღარ მოვიშორე, არა გამეწყო რა. *დღეცა და ღამეც სულ თუალწინ მიდგას.* მაშ შენ ეხლავ წადი, ეს ჩემი პატრეთი აჩვენე იმ მოლასა და პირათ უთხარ: წამო ჩემთან ტახტრევანდით, აი ჩემმა ქალბატონმა დაგიბარა შენზე ქებინი უნდა გაიჭრას-თქო. მეორე დღეს ის მოლა სწორეთ აქ მოიყუანა ჩემთან იმ მოახლემ. რა შევხედეთ მე და იმან ერთმანეთსა, მაშინათვე ერთმანეთი მოგვეწონა. ის მოლა იყო სრულიად პირტიტველა ქალსავითა, ოცის წლის მშვენიერი ბიჭი. მეც მაშინ ვიქნებოდი მეჩვიდმეტეს წელიწადში. ვუთხარ დამჯდარიყო. დაჯდა ემანდ სკამზე, შენ რომ ზიხარ, სწორეთ მაგაზედ. ვკითხე: *შენ რა გქვია სახელათ?*

– *მოლა მურად.*

– სწორეთა თქვი, ნუ დამიმალავ, ვინა ხარ შენ? შენ კარგს ვისმე გევხარ დიდი კაცის შვილსა?

იმან მითხრა.

– რახან ეგრე მკითხამთ, მართალს გეტყვით. მე ვარ ამა და ამ ქუეყნის დიდი კაცის შვილი, ობოლი, უდედმამო. მე თქუენის მშვენიერების ამბავი გავიგონე, თქუენი ყოფაცხოვრებისა და ესეც გავიგონე, რომ ქმრის შერთვა არ გწადდათ. ამის შემდგომ მე რაღა უნდა მეფიქრა თქუენზედ, მაგრამ სიყუარული თქუენი ვეღარ მოვიშორე გულიდგან, იქამდისინ, რომ ყოველი ჩემი დიდკაცობის დიდებანი დავუტევე და წამოველ ჩუმათ. მოველ აქა და შევედი მოლათ ამ განძრახვით, რომ იქნება ჩემი სახის ამბავი რამ მოსულიყო თქუენამდისინ და ჩემი ბედის შეწევნითა, თქუენი ქმრობა მღირსებოდა.

ესა სთქუა, გაჩუმდა ის ყმაწვილი და თვალები დაბლა დაიხარა. ვკითხე.

– „სახელათ რა გქვია შენ?“

– „ჯალალბეგი“. მაშინ სწორეთ შემამხედა. გადაწყვეტით ვუთხარ.

– „ყმაწვილო ჯალალბეგ, მერე შეგიძლიან, რაც მე გითხრა, ის პირობა აღასრულო?“

ზეცისკენ ხელი მიიშვირა. –„იმ მაღალსა ღმერთსა გაძლევ თავდებათ, რომ შევიძლებ.“

– „რახან აგრე. როდისაც შვილი გვეყოლოს, მინამ მე არ გითხრა, არც უალერსო და არც ხმა გასცე. შეგიძლიან ეს მოითმინო?“

– „რასაკვირველია, შემიძლიან.“ მტკიცეთ მითხრა.

რაღა გავაგძელო ლაპარაკი, ხოჯანასირთუსო. ვიქორწინეთ, ვიყავით ბედნიერი. ცხრას თუეზედ მოგვეცა შვილი, ვაჟი მშვენიერი. ექვს თუეს უკან ჩემი ქმარი ჯალალბეგი ქალაქიდგან მოდიოდა და და იმ დროს მე ერთს ჩემსა მოახლესა ის ჩემი შვილი გავაყვანინე და ტახტზე ქეჩაზე გავაგორებინე სახლში, რომელმაცა დაიწყო საცოდავათ ჩხავილი. ის მოახლეც იმ დროს აღარ იყო იქა. ამ დროს ჯალალბეგი შემოვიდა, რა ის ყმაწვილი ისე დაინახა, ჯერ აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არავინ უყურებდა, მასუკან მივიდა, აიყვანა ხელში, დაყვაება დაუწყო და თან კოცნა. ამ დროს თავი მოვიაშარე, გავვარდი გიჟსავით, ის ყმაწვილი ხელიდგან გამოვგლიჯე და შევძახე.

– „შე უპირო კაცო, შე უხასიათოვ. შენ როგორ შეგიძლიან მაგ სუსტის ხასიათებით ჩემთან იცხოვრო, მაგ ხასიათით მალე მოგ-

წყინდები და ამიტომ ეხლავ წადი, დამეკარგე, თუალით აღარ დამენახო.“

მაშინვე გატრიალდა და იქავ მივიდა მეჩითში, სადაც მოლათ იყო. იმას ხელში გაჰყუა ერთი ჩემი ვერცხლის ჯამი, რომლითაცა ჩემის ხელით მივართმევდი წმინდას წყალსა დასალევათ, როდის მოიწადინებდა და მეორე ჩემი ხელსახოცი ბაღდადისა, ჩემგნით ნაჩუქები, ჩემის ხელით მოხვეული იმის ყელზედ. მასუკან ის ჩემი საყუარელი მოახლე მოვაყვანინე, ვუთხარ. აკი გითხარ, შენც იმას მიგატან მეთქი. ეს სულ შენი ბრალი არის, ეხლავ დაიკარგე, თუალით აღარ დამენახო შენცა. გაჯავრებულმა ის ჩემი შვილიც აღარ ვნახე, სხუაგან ზდიან.“

მე ვიცი, იმ ქალაქში იმ შაოსანსა მკერუალს ნახავდი, შავს რომ სჭრის, შავსა ჰკერამს და მასუკან ქინძისთავით ენას იჩხვლეტს? – ის არის ჩემი საყუარელი მოახლე, რომელიცა ახლა სინანულში არის: რათ მოუვიდა იმისთანა შეცთომილება. ის ჯალალბეგი რომ ისევ მოლათ შევიდა, იმ ბაღდადის ხელსახოცს ცრემლით რომ ასველებს აზანის დროს და მასუკან ვერცხლის ჯამით დალევს ცრემლსა, ესენი სულ იმის მწუხარება ის არის, რომ ეგება ოდესმე შევიბრალო. იმ ფანჯარასთან რომ მივა და დაიბარბაცებს, ესეც ის არის, იმ ჩემს საყუარელს მოახლეს იმ ფანჯარასთან ჯალალბეგისათვის შეეძახა, აზანიდგან ქვემოთ რომ მოდიოდა: ჩემმა ქალბატონმა ზიახანუმმა დაგიბარა, შენზედ ქებინს იჭრისო. როდისაც აზანიდგან იქ მოვა და ის დაბარება მოაგონდება, გონება აერევა და იმისთვის დაიბარბაცებს ხოლმე. აი, ჩემი ისტორია და ანბავი, ხოჯანასირთუსო, მაგრამ მეც ადამიანი ვარ, მეც მაქვს გული. იმ ჯალალბეგის მწუხარებას ხშირათ მეუბნებიან, მე ამას არავის ვუშლი და იმისთვის მეც ვიტანჯები, მაგრამ ჩემს ხასიათს ვერ მოვრევივარ. არ იქნა, ვერ დავძალე ჩემი თავი, დამებარებინა ჯალალბეგი, რომელიცა იმის გამო სევდაში ვარ ჩავარდნილი და იმ ჩემი მოახლის მწუხარებაცა მაქვს ძალიანი.

რა ეს დაასრულა, მასუკან სევდას მისცა თავი და ძალიანს დაღონებაში შევიდა, აქ ხოჯანასირთუსი უყურებდა იმის სახეს რომ მისდიოდა და მოსდიოდა ფერი. ბოლოს თავი აიღო და ხოჯანასირთუსის უთხრა.

– „ასე ხოჯანასირთუსო. დანარჩენი ზეგ საღამოზედ მოვილაპა-

რაკოთ, ახლა დრო არა მაქუს.“

ზეგ საღამო ჟამს ძოწეულით მორთულს სახლში იჯდა ქალი და შორიახლოს უჯდა ხოჯანასირთუსი. უთხრა ქალმა.

– „ის ჩემი ამბავი ხომ გაიგონე, ახლა რა გსურს, რომელს მხარეს წახუალ?“

ამ დროს ხოჯანასირთუსიმ დაუჩოქა და ვედრებით უთხრა.

– ზიახანუმ! მოიბრუნე გული. ღმერთს მომადლე, აპატიე იმათ და ჩემს მოხუცებულობასაც დაავალე. იმ შორის ქუეყნიდგან იმისთვის წამოვსულვარ, რომ მიუტეოთ იმათ და ჩემმა ღვაწლმა უბრალოთ არ ჩაიაროს.

მაშინათვე წამოხტა; ხოჯანასირთუსს უთხრა.

– „ადეგ, ხოჯანასირთუსო. მე რა გითხრა მაგაზედ.“

– „არა, მე არ წამოვდგები, მინამ სწორეთ არ მეტყვი.“

ამ დროს დაიძახა ქალმა. „მოიყვანეთ ჩემი შვილი“.

შემოიყვანა მოახლემ სამი წლის უზომო მშვენიერი ყმაწვილი, იმ საყუარელმა მოახლემ, რომლის შაოსნობა ზევით გავიგონეთ. უთხრა იმას.

– „ხაჯანასირთუსსა მიე ეგ ყმაწვილი და შენ მოდი ჩემთან, შეგირიგო.“

მივიდა, დაემხო იმის წინა და იმანაც შეირიგა. მასუკან დაიძახა.

– „ჩემო ჯალალბეგ! გეყო შენი მაგთენი მწუხარება. მოდი, მამეხვიე.“

ამ დროს გიჟსავით შემოვარდა ჯალალბეგი, ქალმაც ყმაწვილი ხელში მისცა თავიანთი შვილი იმას და დაიწყო სიხარულის ცრემლის დენა ყუელას თუალებიდგან.

აი, ასე სცემდნენ პატივს ხოჯანასირთუსსა მთელსა ქუეყანაზედ!

ის იმისთანა სამი ღამის ისეთი კარგი ზღაპრები, ჩემი სამკურნალო იყო, ჩემი გულის მოსასვენებელი და ჩემი საიმედო რაღაც. მაგრამ ჩემთვის კი ვამბობდი: ჩემი ხომ არა იცის რა ბატოიშვილმა დედამ? – მასუკან დავფიქრდი: ვინ რა უნდა იცოდეს და ვინ რომელი რას ეტყოდა? – ეს ზღაპრები ისე შემთხვევით იყო და მიამბო როგორც კარგი არაკები.

ამის შემდგომ ერთს კვირაზედ კარგად შევიქენ, მაგრამ მაინც კიდევ ის მახსომდა, ის ქალი, რა ვიცი, ვინ? – რომელსაცა აღარა

მიამებოდა რა, მწვანე ბუნებაზე ხეტების მეტი და მეტმა სურვილმა ეს ლექსიც მათქმევინა ბაიათის ხმაზედ:

უეცარი შეხვედრა
თუალნი ველსა ვინახე?
იგი სიდგან ვინახე!
რომ რაღაც სულსა მოსცა
უკვდავებად ვინახე...
თავსა დავგმობ რიდედა,
მას მშვენს ქალს რათ რიდედა?
სიცოცხლეს მიართმევდი,
გულს საფენათ, რიდედა.
მას შეემკო ედემად,
ბუნება ის ედემად,
სიყუარულს მოიწვევდი
ცრემლით სთხოვდი ედემად.
ნუგეშათ მაქვს საამო,
ვიტყვი, სად ხარ საამო?
ცხოვრების მბკურებელი
სასურველი საამო.
საგნად თუალთ რა ისურვა?
რომ წამსვე მცა ის ურვა,
სურვილი ძალას მატანს
ჰგავს ჩემთვის ეს ისურვა.

ერთს დილაზე ადრიანათ ჩუმათ გაველ სახლიდგან, ვერა ადამიანმა ვერ შაიტყო ჩემი საკუთარის მოსამსახურის მეტმა, რომელიცა დავარიგე: თუ შინაურებს მოვეკითხე, ასე ეთქო, სასეირნოდ წავიდა თქო.

ქალაქს გარეთ *საბურთალოს მინდორზე* გაველ მტკვარის მხარესა, რომელიცა ჩემ წინ *ჩამოევლებოდა* მოდიოდა მომჩქეფარე ლამაზათა, *მდინარე და მოლამაზლამაზე.*

მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, მზის ბრწყინვალებით განათდა არე ქვეყნისა. *მე ყმაწვილმა კაცმა ის სინათლე რომ განვიცადე,* საუცხოოთ განათლებული *მშვენიერი აღნორჩებული* ბუნება რომ დავინახე, გული ამემღვრა და თავიც გამიბრუვდა. რომელიცა მაშ-

ინვე დავტრიალდი და წამოველ შინათკენ.

„აჰა, მზემან განაელვარა შარავანდედითა ცისა სამყარო, – მზემან თვისი სხივი მოჰფინა ჰაერსა შინა, – მზემან განაბრწყინვა ბუნება, – მზემან აღმოიტანა სიყვარული, და აი მზე თავის ბურჯსა ზედა ამოვიდა. – ხედავ თვალნო? მზესა გვერდით აღმოსდევს ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი. – აგე, მკრთოლვარებს, მაგრამ ჰქრება, – აი, კიდევ გამობრწყინდა, მაგრამ კიდევ განჰქრა.“

„ჩემო ბედნიერების ვარსკვლავო, რახანია გჭვრეტ და ველარა გხედავ.“

„იკმარე და გამომიცხადე ანგელოზებრივი სახე შენი და ნუ მთქავ შენსა სიყვარულსა შინა. მე ვიცი და ვგრძნობ, ვითარ მიყვარხარ და ვითარ ვაფასებ შენსა სიყვარულსა! სასუფეველსა ანგელოზნი ღაღადებენ საკურველსა სიყვარულსა ჩემსა. კიდევ გევედრები ჩემო ბედნიერების ვარსკლაო, ერთი კიდევ გამომიჩნდი და ნუ მკლავ.“

„ახლა, ამ მდინარის ჩემ პირისპირ გაღმა ნაპირიდგან გამამიჩნდა, რომელიცა წყალის ნაპირზე ზის თავშიშველი და მხრებთა ზედა დალალები გადმოშლია. – ვითარ გამხდარა? – მისთა თვალთა ცრემლი სდიან, – რას ტირის და ვის ტირის? – იქნება მე მკვდარი ვგონივარ? – ჩემო ბედნიერების ვარსკლაო, შენთა თვალთა განა ცრემლი უნდა სდინდენ? – გევედრები ეგე ცრემლი შეინახო ჩემს გულსა ზედა მიწად დასაყრელად.“

ამ ზმანებით რომ ვტკბებოდი, ამ დროს თოფის ხმა მომესმა, უკან რომ მოვიხედე, ერთი ჩინოვნიკთაგანი რუსი ტრედებს დასდევდა და მათ ნადირობდა. მე უნებურნი სულთქმანი აღმომვარდა და მასკვან ჩემთვისა ვთქვი. „ო, ზმანებაო, ზმანებაო.“ და კიდეც წამოვედი.

ამ დროს გადავიქეც და გულს შემომეყარა. როდისაც თვალები გავახილე, ერთი ღვთიანი გლეხი კაცი მადგა თავზე და იმას მოვებრუნებინე. თურმე მგზავრათ მოდიოდა და ზედ მომდგომიყო გულს შემოყრილს. მე მრავალი მადლობა ვუთხარი ჩემი მოსულიერებისათვის და ორი მანათი ფულიც ვაჩუქე და შემდეგაც ბევრი კეთილი მიმიძღვის იმ კაცზე. კარგათ რომ მოვსულიერდი, ავდექ და ჩემსა გზაზედ წამოველ.

გზაზედ ერთი ჩემი ცოლის შემრთველთაგანი შემხვდა, ფერჩამ-

კრთალი და გამხდარი რომ დამინახა, დაიძახა.

– „ალექსანდრე, ეგ რა დაგმართვია, აგრე გამხდარხარ, მაგისთანა სახე გაძევს? შენი შეუძლებლობის ამბავი გავიგონე, რამდენჯერმე მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ვიცი, ბატოიშვილს ეწყინებოდა ჩემი მოსვლა, ამისთვის ვეღარ გავბედე.“ ამასთან ჩემი ცოლის შერთვის ამბავს დაუტრიალდა და დაიწყო რაღაებიც. *ამთენი მელაპარაკა, რომ კოკურს წვიმაზე უფრო ბევრი გადმოაქცია მშვენიერი და ლამაზი სიტყვანი, მაგრამ მე არცერთი ვერ გავიგონე იმისი ჩმახვა და სულ სხვას ვფიქრობდი, რომელსაცა დიახ და არა არც კი ვუპასუხე. ამაობაში გაყრის თავი დავუკარ და ჩვენი სახლის ეზოში შევიარე, რომელსაცა არ ეამა ჩემი ცივათ გაყრა და არა ესეთის არცა პასუხის მიგება,* მაგრამ მე მაშინვე თავი დავუკარ და წამოველ ჩემს გზაზედ.

ბატოიშვილ დედასთან რომ შევედი, *ჩემი მკურნალი ივანე აქიმი იქ იყო* თვალ დაკვირვებით მითხრა ასე.

– „მიკვირს, ალექსანდრე, აგრე რად ჩამოხმი, კაცის სახე აღარ გაძევს, რომ თითქმის ჭლექსა გევხარ? *ნეტავ მითხრა, მიზეზი რა არის შენი სიგამხდრისა?* თუ გინდა, რომ თ˜ა თ... დისწული ს... შეირთო და იმისთვის იკლავ თავსა? – ოღონდ შენ ცოცხალი იყავ და შენი ნება იყოს, შვილო.“

იქიდგან ივანე აქიმმა დაიძახა. –„სწორეს მოგახსენებ, ბატოიშვილო, ამას რაღაც საიდუმლო აწევს გულზე და არავის არ ეუბნება.“

ბატოიშვილის დედის საყვედური აღარ მინდოდა გამეგონა, წამოვდექ და ჩემს საწოლის ოთახში შემოვედი. იქ ჩემი მამიდაშვილი მაკა დამხვდა, მოვიდა და სიყვარულით დამკოცნა.

ჩემ ნათესავებთაგან ეს ჩემი მამიდაშვილი მაკა უფრო მომატებულად მიყვარდა სხვებზედ იმ ყმაწვილობითვე. *იმას უფრო შევეთვისე, რომელსაც ზოგიერთს ჩემს სიყმაწვილის საიდუმლოთ არა ვუმალავდი. ქალებისაგან როგორი საყვარელი ვიყავ, რომელიცა ყოველთვის მიჯავრდებოდა ხოლმე, რომ თავისუფლათ სახლში ვყოფილიყავ.* იმ ჩემ მამიდაშვილს დიდად სწყინდა, დავით ბარათაშვილის ქალზე ხელი ავიღე და თ˜ა თ... დისწულს ვირთავდი. ამისთვის, რომ იმის ქმარი დავით ბარათაშვილის ცოლის ახლო ნათესავი იყო და იმათი მეგობარიც. ეს ამბავი ხომ ადრევაცა ვთქვი.

ჩემი მამიდაშვილისა ალერსისა შემდეგ წაველ, დორზე მივესვენე, ისიც თან მამყვა და გვერდით დამიჯდა. რამდენიმე სხვადასხვის ლაპარაკის შემდეგ მკითხა.

– „თუ გიყვარვარ, სანდრო, რაც გკითხო, ნუ დამიმალავ.“

– „არ დაგიმალავ, მერწმუნე, მაკავ.“

– „აგრე რათა ხარ გამხდარი, რომ კაცს აღარა გევხარ?“

– „თუ ბატოიშვილს დედას არ ეტყვი და არც არავის სხვასა, გეტყვი?“

პირობა რომ გამოვართვი, როგორც ის ქალი ვნახე, ან რომელს ადგილს, ან როგორი ტანადობა ჰქონდა, ან ტანისამოსი როგორი ეცუა და ან სახე, ყველა ვუთხარ.

როგორღაც მხიარულის სახით მკითხა.

– „რა დღეს ნახე ან რა დრო იყო?“

დღე და დროც რომ ვუთხარი, მერეთ აღარ დამაცალა ლაპარაკი და გაჯავრებით მითხრა.

– „კარგი, ბევრს ნუღარ ლაპარაკობ. ვიღაც გინახავს და იმისთვის იკლავ თავსა.“

– „შენ ნუ მომიკვდები, მაკავ, არ ვიცი, ჩემი საქმე როგორ იქნება.“

– „კარგია. ბევრს ნუ მელაპარაკები.“ ამ სიტყვასთან ადგა და ჩემგნით გავიდა. იმ დღეს იმ ღამეს მე ჩემი ოთახიდგან აღარსად წავსულვარ. მეორე დილის მეათე საათზე ჩარდახზე გამოველ, ვნახე, ჩემი მამიდაშვილი მაკა გარეთ დამხვდა და მე წუხანდელი სად ყოფნა ვკითხე, რომ ჩვენთან აღარ იყო.

– „წუხელის შინ ვიყავ და დღეს შენმა სიძემ დამითხოვა, სამი-ოთხი დღე აქ, შენთან უნდა ვიყო. *ამისთვის ასე ადრე მოვედი აქა, თქვენ სახლში, რომ ისევ გეძინა შენა.* აბა მხიარულად გავატაროთ ეს დღეები, ჩემო სანდრო?“

სხვა ნათესავებიც დავიბარეთ, მართლა ასე მხიარულად გავატარეთ ის დღე, რომ იმ დღეს შუაღამემდისინ სულ სიმხიარულე იყო ჩემთან. *სიცილით გავატარეთ დრო, რომ ჩვენი პირი არ დამდგარა, მაგრამ მე კი გრძნობას ვფარევდი და მეც ვითომ ვმხიარულობდი, მაგრამ როდისაც მამერეოდა ჩემი ფიქრი და როდისაც მე დავღონდებოდი ხოლმე, საჩქაროთ ჩემი მამიდაშვილი მაკა მომიხდებოდა და მხიარულის ძახილით გამამაფხიზლებდა. შუაღამემდის ეს ყოფა*

იყო ჩვენს სახლში, მაგრამ შუაღამემ გაგვყარა და სხუა ჩვენი ნათესავები თავთავისაად წავიდნენ, მაგრამ მე კი მაგდენს რიგად არ მიამებოდა იმათი სიმხიარულე. ბოლოს ყველანი დაიფანტნენ, წავიდნენ შინ ჩემი მამიდაშვილი მაკას მეტი, ის კი ჩემთან დარჩა.

მე რომ ძილი მომერია, ჩემს საწოლის ოთახში შეველ და ისე დავიძინე, როგორც ჩემს სენს შეეფერებოდა. მეორე დღესაც ისე გავატარეთ დრო და მესამე დღის დილაზე რომ გამომეღვიძა, საბანს ქვეშ რაღაც მამხვდა ხელში. ავიღე, ვნახე, ერთი დაბეჭდილი კონვერტი იყო. გავჩხრიკე, ჩემთან იყო მოწერილი სწორეთ. *მაგრამ გაკვირვებამ მომიცვა, რომ ნეტა ვინ დააგდებდა აქ-მეთქი?* გავხსენ და კითხვა დავიწყე. აი რა ეწერა.

„მოწყალეო ხელმწიფევ,“

„რა ვქნა, ძლიერი სიყვარული მაბედვინებს, სირცხვილი იქით გადმიდვია და მე ქალი ყმაწვილსა კაცსა გწერთ წიგნსა და სიყვარულს გიცხადებთ. ვფიცავ, სულ ვერა გამიგია რა, რას ვშვები. არ ვიცი, წიგნს რომ გწერ, კარგათ ვშვრები თუ ურიგოთ, სრულებით არა ვიცი რა. მხოლოდ ამას კი ვგრძნობ, რომ ამას, რასაც ვბედავ, მეტი ძლიერი სიყვარული მატანს ძალას და ამისთვის ასე თამამად გიცხადებთ ჩემს სიყვარულს. თუნდა ურიგოთ ჩამომართოთ ჩემი თქვენთან ეს თამამობა, რა ვქნა, მიყვარხარ და სიყვარული მაგდებს ასეთს სირცხვილში.“

„ღვთის წინაშე გეფიცებით, აღარაფრისთანა აღარა მიამება რა, თვინიერ ამის მეტი, მარადის თვალწინ მიდგეხართ და მარადის შემოგფიფინებთ. დაჩაგრული ვარ მწარეს სიყვარულით!“

„თუ შაიძლებოდეს, შაფათს, კარგად რომ დაღამდეს, ბაღის ღობესთან მოდით, სადაც პირველად ჩვენ ერთმანეთი ვნახევით. ორი სიტყვა გითხრათ და მასუკან თუნდა მოვკვდე, არას ვინაღვლი.“

„ერთრიგად დარწმუნებული ვარ, არც თქვენგნით იქნება უსიამოვნო, ამისთვის, რომ ვიცი, თქვენც გიყვარვართ. როდისაც ბაღის გვერდზე ერთმანეთი ვნახეთ, მაშინ შეგატყეთ სახეზე, რომ უთუოთ თქვენც უნდა გიყვარდეთ.“

თქვენი უმორჩილესი მონა...

.....

„არ ვიცი მე, სიზმარში ვარ თუ ცხდად არის ეს ანბავი?– თუ

სიზმარი და მოჩვენება არა იყოს რა, ნეტავ ვიცოდე, ეს წიგნი ვინ მოიტანა და ჩემს ქვეშაგებში ვინ ჩამოაგდო?“ წიგნს ვატრიალებდი და ჩემთვისა ვთქვი.

„არა, ეს წიგნი არც მოჩვენება არის და არც მე სიზმარში ვარ, მაგრამ არ ვიცი, რა ანბავი არის?“ ეს რომ ვთქვი, ჩემ მამიდაშვილ მაკას დავუძახე და საიდუმლოდ ვაჩვენე ის წიგნი.

ჩემმა მამიდაშვილმა მაკამაც დიდად გაიკვირვა და მასუკან მითხრა.

– „ახლა რასა იქ? თვითონ ის ქალი რომ გიწვევს, წახვალ თუ არა?“

– „დიახ დიდის სიხარულით.“

–„მაშ, სულ წვლილად შეიტყე, ის ქალი ვინ არის, ვისი ქალია და ან რა ჰქვიან და ესეც ჰკითხე, რომ ეს წიგნი ვის გამოატანა.“

– „რასაკვირველია გამოვკითხავ.“

საუცხოვო შაფათის საღამომ, *სრულმა მთვარიანმა ნათელმა* საჩქაროთ ცხენით გამიტაცა, ასე რო გაქცეულს ქურდსა ვგვანდი, *როდისაც მდევარი გამოუდგება*. იმ ადგილს მივედი, სადაც ის ქალი მეგულვებოდა, ცხენით გადავხე, ერთს ღობის მარგილზე გამოვაბი და ასე მიძგერდა გული, რომ გაგიჟებულს გვანდა. მცირე წავიარე, ვნახე, მთვარის ნათელმა არა შორს დამანახვა ის ქალი, სწრაფათ გავექანე და გადარეულსავით ცალის მუხლით იმ ქალის წინ დავიჩოქე, რომელსაცა ორივ ხელი წავსტაცე, ჩემს გულზე დავიწყე და შეფიცვით ვუთხარ.

– „ღმერთს ვფიცავ, რომ ეს ჩემი გული არავის ეკუთვნის, შენის მეტსა და საუკუნოდ შენ ჩემი ხარ.“

იმ ქალმა საცოდავათ ამოიოხრა და მასუკან მითხრა.

– „ახ, საუკუნოდ შენი უნდა ვიყო და არავისი სხვისა? ოჰ, მართლა ამბობ თუ ხუმრობ?“

– „ამ ზეცის შემოქმედს გეფიცები, ეს ჩემი სიტყვა ჭეშმარიტია და საუკუნოდ ჩემი უნდა იყო.“

– „მაშ ადექ, წავიდეთ და ამ ღობის ძირში დავსხდეთ, იქ მოვილაპარაკოთ.“

იმ მშვენიერს, დაწყნარებულს ღამეს მივედით და ღობის ძირში დავსხედით.

– „შენ რომ მე მეუბნები, იმ ქალმა მითხრა, „საუკუნოდ ჩემი უნდა იყოვო, აბა წარმოიდგინე, თ˜ა თ... დისწული უნდა გაუშო და

სხვა შეირთო? რას პასუხს გასცემ შენს პოლკოვნიკს და თვითონ თ˜ა თ...?“

– „ამას ვეტყვი, რაც იმათ მოახდინეს, არცერთი ჩემი გულის წადილი არა იყო რა.“ *მე და ჩემი გულის წინააღმდეგადა ქნეს ყოველი, ამისთვის, რომ თ˜ა თ... ჭკვიანის მოხერხებით თითქმის ძალად მათქმევინეს, რაც უნდოდათ.“*

– მასუკან თ˜ა თ... [თუმანოვის] დამოკიდებულება ხომ მტრათ გადაგეკიდებიან და ბევრსაც გავნებენ ჩემის გულისთვის?“

– „მე? მე კაცთაგან არ ვიშიშვი. კარგია, თუ ღმერთი გწამს, მეთაკილება, მაგას ნუ მეუბნები.“

– „მაშ დავით ბარათოვის ქალს რაღას ეტყვი, რომ შენი სიყვარულით ადამიანს აღარა გავს, ამისთვის ვამბობ მე ამასა, რომ მახლობლათ ვიცნობ მე იმ ქალსა. ჩემი დიახ კარგი მეგობარი არის, რომელსაცა თავის საიდუმლო არა აქვს რა ჩემთან დაფარული?– მერწმუნე, რაც შენთვის ამბავი მოუტანიათ, ყველა ტყუილია. შენ მე დამიჯერე, ისევ დავით ბარათაშვილის ქალი შეირთე, იმავ სიყრმითვე გაგიჟებით უყვარხარ იმ საწყალსა.“

ამ სიტყვაზედ ასე დამაფიქრა, *ამ ლაპარაკით ასეთს სვინდისში ჩამაგდო, რომ გაშანთული რკინა ცეცხლით რომ ამოიღო და ყინულიანს წყალში ჩააგდო, სწორეთ იმას ვგვანდი.* რომ ღრმა საგონებელში ჩამაგდო და ვფიქრობდი დაღონებით.

მასუკან მოუთმენლად დაიძახა.

– „კარგი, მოდი, გადამეხვიე. მე ვარ ის კატინა და დავით ბარათაშვილის ქალი, რომლებიცა ყმაწვილობით ერთად შევიზარდენით.“

– „ახ, კატინო, კატინო!“ ამის მეტი ველარა ვთქვი რა და იმის მუხლებს მოვეხვიე დაჩოქილი. ჩემმა კატინამ საჩქაროთ აიწია, გულზე მამეყრდნა, მასუკან ერთმანეთს ღაპაღუპის ცრემლით გადავეხვიენით და ამის მეტს ველარას ვამბობდით.

„კატინო და სანდრო.“

აბა რაღა გითხრათ ჩვენი სიხარული? თვითონ თქვენ წარმოიდგინეთ, ვითარ გვიამოდა ერთმანეთის ნახვა, ნამეტნავად ამგვარის უეცარის შემთხვევითა. როდისაც გული მოვიოხეთ, დავმშვიდდით, ვკითხე: როგორ მოხდა, ამ ბაღის ღობესთან უეცრად ერთმანეთსა შევხვდით?

დაიწყო.

„აი ასე იყო. იმ დღეს დედაჩემს სტუმრობა ჰქონდა ამ ბაღში. შენი მამიდაშვილი მაკაც ჩვენთან იყო თავის ქმრითა დაპატიჟებული. მე დიახ შეწუხებული, დაღონებული ვიყავი. სწორე გითხრა, როდისაც გავიგონე, მე მიშვებდი, სხვას ირთავდი, იმის შემდეგ მე აღარა მესიამოვნებოდა რა, ასე რომ ჩემი ტუჩები გაღიმებული ვეღარავინ ნახა და მაშინვე დავემზადე მიწაში დასამარხავათ, მაგრამ გული როგორღაც მეუბნებოდა, რომ უთუოთ შენი უნდა ვყოფილიყავ და ამისთვის იმედს არა ვკარგავდი.“

„იმ სტუმრობის დღესაც დიახ დიდად ვიყავ დაღონებული. რამთენსაც ცდილობდენ, რომ დაღონებისაგან გამოვეყვანეთ, მაგრამ ვერას ცდით ვერ შეიძლეს. იმ სტუმრებთაგანმა ერთმა ჩვენმა მახლობელმა დაიძახა. ღმერთმა გკითხოს და კიდეც დაგწყევლოს, ვიღაც ალექსანდრე ხარ, რომ ამ საწყალს ქალს უდანოთა ჰკლავ. აბა მე გაუთხოვარსა ქალსა ხმა როგორ ამამეღებოდა, პასუხი მიმეცა? მაგრამ ასე შევწუხდი იმის თქმაზე, რომ ჩემს გულში ვამბობდი: ოჰ, ღმერთო, ნუ გაუგონებ, რასაც ეს ამბობს. ღმერთო, ჩემი სანდრო ასე გააბედნიერე, როგორც იმის გული სთხოვდეს და მე რაც უნდა დამემართოს.“

ამ სიტყვაზედ არ შემეძლო, ცრემლით არ მოვხვეოდი და რაოდენჯერმე არ მეკოცნა.

„შენმა მამიდაშვილმა მაკამ რომ გაიგონა შენი წყევლა, სარჩვლა დაგიწყო და მე დიდათ მიხაროდა. იმათ წაკიდებას მე ვეღარ გავუძელ, მეტათ ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი, ავდექ და ხეივანისაკენ წავედი. შუა ხეივანს რომ მივედი, ვნახე, ერთს გაშლილს ვარდზე ერთი ასეთი მშვენიერი პეპელა იჯდა, ჩემ დღეში იმისთანა მშვენიერი პეპელა არ მინახავს, რომელმაცა მოვინდომე დამეჭირა, მაგრამ რათ მინდოდა, მეც არ ვიცი. როდისაც წავეტანე, აფრინდა და სხვას ვარდზე გადაჯდა, ახლა იქ რომ წავეტანე, მასუკან სხვას ვარდზე გადაჯდა, მერეთ იქიდგან კიდევ სხვას ვარდზე გადაჰფრინდა. აღარც მე მოვეშვი, უთუოთ მინდოდა დამეჭირა. იქამდისინ მატარა, რომ ბაღის გარეთ გამომიყვანა და ამ დროს კიდეც შემხვდი შენა. მაშინვე გიცანი და გაშტერებული დავრჩი, რომელიცა შენც ისე გაშტერდი და ისე დარჩი, როგორათაც მე. როდისაც კი გონებაზე მოველ, შემეშინდა, არავინ ხომ არ გვიყურებს-მეთქი? თუმცა ბაღში შეველ, მაგრამ მაინც მოვტრიალდი და ღობიდგან

დაგიწყე ყურება, მინამ იქით მხარეს არ გადახველ, მანამდისინ თვალი არ მამიშორებია შენთვის. გხედამდი, რომ შენც მოტრიალ-დებოდი და აქეთკენ იყურებოდი.

ვინ იცის, რავდენის სიხარულით მეშლებოდა მე გული. არ შემ-იძლიან, რომ ის სიხარული მე წარმოვთქო. როდისაც სრულებით აღარ გამოჩნდი შენა, მაშინ მწარეთ ამოვიოხრე და უნებურ ცრემ-ლის გადმოცვივნით დავიძახე.

მე მაშინ ვამბობდი. „ახ, ღმერთო, შენ გევედრები, ასე მოახდინე, რომ ჩემი სანდრო ისევ ჩემი იყოს."

ამ სიტყვასთან ცრემლით გადავეხვიენით ერთმანეთსა და კატინამ დაიძახა.

– „სანდრო! აი ღმერთმა როგორ გაიგონა ჩემი ვედრება, შენ ისევ ჩემი ხარ და ღმერთს ვფიცავ, რომ ახლა ვერა ძლიერება ვერ წამართმევს შენს თავს მე. განა სანდრო, მართალს არ ვანბობ?"

– „მართალს, მართალს ანბობ, ჩემო კატინო, რომ საუკუნოდ შენი ვარ."

თუ ღვთის განგება არ არის აქ, რომ ის ქალი ჩემი ცოლი უნდა ყოფილიყო, მაშ არ ვიცი ის პეპელა რა იყო, რომ თითქმის მოტყუ-ებით წამოიყვანა და სწორეთ იმ დროს იქ დამახვედრა, სადაც მე უნდა გამეარა? ღვთის განგებას კაცი ვერ მისწვდება!

„ჩუენ რომ ბაღიდგან შინ მივედით", დაიწყო ქალმა მბობა, „მე მწუხარებაში ჩავვარდი, ხშირად ღვთის წინაშე დაჩოქილი ვიდექი და *მოუწყვეტელის ცრემლით* ვევედრებოდი: ისევ ჩემკენ გამოგ-ტრიალებოდა გული. ერთ დღეს შენი მამიდაშვილი მაკა მოვიდა სიხარულით, მე საიდუმლოდ გამიხმო და მითხრა."

– „მამილოცავს, კატინავ, ღმერთი შენკენ არის და ჩემი ბიძაშ-ვილი ალექსანდრე შენთვის გაგიჟებულია." ყველა წვრილად რომ მიანბო, მასუკანა თქო:

– „მაგრამ არ იცის, თუ შენ ვინა ხარ." *ამბობს, ნეტავ, ვინ უნდა იყოს, რომ ასე უწყალოდ მამწყლა, რომ თითქმის გაგიჟებულსა ვგევარ? და როდესაც მე გამოვკითხე, როგორი სახის ქალი ნახა, შევატყე, რომ სწორედ შენ უნდა ყოფილიყავ, ამისთვის, რომ რო-დისაც შენი ნახვა მე ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა, სწორეთ იმ დროს შენ ბაღის გარეთ იყავ და ამისთვის უთუოთ შენ უნდა იყო?*

„ამ სიტყვასთან ისეთი სიხარული გადამეფარა გულზე, რომ

მუხლები ამიკანკალდა სიხარულით და სადაც ვიდექ, იქვე ჩავიკეცე. მერეთ აკანკალებულის სიტყვით ვუთხარ: – სწორეთ მე ვარ, ძალუა მაკავ, რომ შენმა ბიძაშვილმა მე მნახა."

„საჩქაროთ გაიქცა, ცივი წყალი მოიტანა და მომასურიელა. *როდისაც დამალევინა, რაოდენიმე ხნის შემდეგ მოვსულიერდი.* მერე მითხრა, წიგნი მამეწერა შენთვის და ამასთან დაატანა: ჩუმათ ქვეშაგებში ჩავუგდებ, ხელში მიცემა არა სჯობსო. ბოლოს ესეცა თქუა, რომ ეს შაფათი საღამო დაუნიშნე, სადაც გნახა, იქვე მოდი-თქო, *და ესეც მითხრა, რომ იმ ჩემს დაწერილს წიგნსა ქვეშაგებში ჩაგიგდებდა, როდესაც გძინებიყო. მე მაშინვე დავჯექ და როგორც იყო ჩემი გარემოება ანუ როგორც ვგრძნობდი შენს სიყვარულს, ისეთი და ან როგორც შევძელი, ისეთი წიგნი მოგწერე, რომელმაცა დაბეჭდილი გამოვატანე, რომ არ წაეკითხა და რა დღეც შენმა მამიდაშვილმა მითხრა, ის დღეც იმ წიგნში მოვიხსენიე, რომ ამ შაფათს საღამოს აქ უნდა მოსულიყავ.* რომელმაცა გავბედე და იმასვე გამოვატანე ის ჩემი მოწერილი წიგნი. მინამ დღევანდელი შაფათი საღამო მოვიდოდა, სწორე გითხრა, ეს ორი ღამეა, არა მძინავს სიხარულით. *ამ დღეებში მე გაგიჟებულ შეშლილს ვგვანდი და არ ვიცოდი, რას ვშვრებოდი და რას არა, სულ ვერა გამეგებოდა რა სიხარულით.* ჩემი მშობლები გაკვირვებული იყვნენ, რომ ატაცებულსავით ვიყავ, მაგრამ იმათ ვინ რას გაუხსენებდა ამ ამბავსა? ამის გამო დღეს საღამო ბინდზე ამომიარა მაკამ, თან წამამიყვანა ბატოიშვილის დედიშენის ეკიპაჟით, მითამ გასასეირნებლად მივიდოდით, მაგრამ ამ ბაღის ახლოს რომ მოვედით, მაკამ იცოდა, შენ ამ გზაზე მოხვიდოდი და ეკიპაჟი იქით მხარეს დააყენებინა, რომ შენ ის არ გენახა."

მე აღარ დავაცალე, კიდევ ეთქუა რამე და დავიძახე.

– „იმ ეშმაკმა მაკამ დღეს რომ ბატოიშვილს დედას ეკიპაჟი *[დროშკა]* სთხოვა, მითამ გასასეინებლად მინდა წავიდეო, თურმე იმის ეშმაკობა ეს ყოფილა." *მე სულ არა ვიცოდი, რას შევიტყობდი?*

ეს რომ ვთქვი, ჩვენზე არა მოშორებით ვიღამაც თავი აიღო ღობეს მოფარებით და დაიძახა.

– „მე ვარ განა ეშმაკი, სანდრო? კარგი, კარგი, კატინას ვეტყვი, აღარ შეგიყვაროს." სამთავ სიხარულით გაგვეცინა.

რაოდენიმე მოლაპარაკების შემდგომ ორთავ პირობა გამო-

ვართვი, რომ ეს ამბავი არავინ არ შეიტყოს. *არავის არ უთხრან იმისთვის, რომ ჩემ შეცდომილებას მიაწერდნენ და ასე იტყოდნენ, რომ მე მეჭორეებს და მიმთქმელ მომთქმელებს ავყევი და იმათ დავუჯერე და ჩემი ამაყი გული ამას არ იკადრებდა. მაგრამ ღვთის წინაშე მგონი, გასამტყუნარი არ ვიყო, ამისთვის, რომ მიზეზი ხომ თქვენც იცით, რა მიზეზითაც მოახდინეს ესა. რომელთაცა პირობა დამიმტკიცეს, რომ თავის დღეში არავისთვის არ ეთქოთ. პირობის შემდეგ ჩემ მამიდაშვილს მაკას ვკითხე, დედაჩემმა ამ ამბავისა ხომ არა იცის რა? – „არა, შენ ნუ მომიკვდები, სანდრო, რომ კილოკავ-ათაც არ იცის და არც ეჭვი აქვს.“* მასუკან მაკას ვკითხე.

– „აბა მაკავ, მითხარი, როგორ მოახდინე ეს ამბავი?“

– „ აი ასე. იმ დილაზე რომ მითხარი ვიღასაც ქალის ნახვა, მე მაშინვე გულმა რაღაც მიგრძნა და ამიტომ გკითხე, რა დღეს ნახე ან რა დრო იყო-მეთქი? როდისაც დღე და დრო გავიგონე, მაშინ მი-ვხვდი, უთუოთ ეს უნდა ყოფილიყო, ამისთვის აღარა გათქმევინე, რომ ეჭვი არ აგელო. რა ვიცი, კიდევ როგორმე არ გადატრიალებუ-ლიყო საქმე. ამისთვის ასე მოვახერხე. აბა ახლა მადლობელი ხარ ჩემი თუ არა?“

ამისთვის, რომ ვიცოდი შენი ხასიათი, რომ რასაც იტყვი, იმ სი-ტყვაზე დაფუძნდები და ვეღარა გადაგათქმევინებს რა და ამისთ-ვის მაშინვე ვიფიქრე, „იქნება, თუ რომ შეიტყოს, რომ დავით ბარათაშვილის, პირველი თავის დანიშნული უნახავს, იქნებ კიდევ უარი ჰყოს და ამისთვის სხვა რიგათ მოვიქცევი-მეთქი. რომელმა-ცა კიდეც შევძლე და ამისათვის დიდი მადლობელი უნდა იყო.“

რა ვიცი, იქნება სხვარიგათ გადატრიალებულიყო საქმე, თუ ამის სახელი გამეხსენებინა. ამისთვის ასე დაფარვით მოვახდინე, რომ ასე მოხდენილს ვეღარ წაუხვალ და საუკუნოთაც ამისი ხარ ეხლა. მაშ, მადლობელი ხარ ჩემი თუ არა?

– „დიახ, დიახ, მადლობელი ვარ, ჩემო მაკავ, ღმერთი თუ გადგ-იხდის მაგიერსა, თორემ მე არ შემიძლიან.“

„მე რომ ამას წიგნი დავაწერინე, როდესაც მე შენთან მოვიტანე, დიახ დილა იყო, მაგრამ ვიფიქრე, თუ ეხლავ ქვეშაგებში ჩაუგდო, იქნება ეჭვში შევიდეს, რომ ამას უთუოთ ჩემი მამიდაშვილი მაკა იქმოდა და ეს უთუოთ იმის საქმე იქნება, ამისთვის განგებ ჩვენი ნათესავები დაგაპატიჟებინე, რომ ჩემზე ეჭვი არა მოგეტანა რა

და ამისთვის ორი დღე გამოვუშვი, რომ სულ ჩემზე კილოკავათაც არა გეფიქრა რა და მესამეს დღეს, გარიჟრაჟის დროს ქვეშაგებში ჩამოგიგდე ამის წიგნი, რომ სულ ვერარა გაიგე რა, ასე გეძინა და თუნდა კიდეც რომ გაგეღვიძა, სულ ვეღარ მიცნობდი, ამისთვის, რომ სხვა რიგათ მეცო.“ აქ გაწყვიტა ლაპარაკი და მასკვან დაიძახა. – დანარჩენი სხვა ანბავი ხომ ამან გითხრა?

– „აბა ახლა რაღა გინდა, ძმაო? ყველა ხომ შეიტყე, როგორც იყო? ამას იქით ღმერთმა შეგაბეროსთ ერთმანეთსა შენ და ესა, ჩემო სანდრო და კატო.“

ეს რომ თქუა, მე და ჩემი კატინა ერთმანეთს შევეხვიენით. აღარ ვუშვებდით ერთმანეთსა, ტკბილის ცრემლით ვიბანებოდით და დაწებებულს ტუჩებს აღარ ვაშორვებდით ერთთმანეთსა.

ამ სიტყვასთან გადავეხვიეთ მე და ჩემი დანიშნული ერთმანეთს და ასე ტკბილცეცხლშეზავებით ვაკოცეთ ერთმანეთსა, რომ უსიამოვნესი კოცნა არ იქნებოდა... ნეტარებას ვეძლეოდით... ასე და ამ ყოფით გვინდოდა გაგვეთენა მას ადგილსა. ასე შეკონილები თითქმის ერთ საათამდის დავრჩით. მეორე მხრიდგან მაკამ ნახა, რომ აღარ ვუშვებთ ერთმანეთსა, გვითხრა.

– „კარგი, ღვთის გულისათვის, დრო არის, წავიდეთ, ბატოიშვილს არა ეგონოს რა“.

ჩვენ გადაწყვეტით ვუპასუხეთ. – „აქვე დავიხოცებით და ვეღარ მოვშორდებით ერთმანეთსა.“

მაკამ იგრძნა, ჩვენი მოშორება ძნელი იყო, თავის ძლიერის ხელებით მოგვწვდა და რას ყოფით მოგვაშორა ერთმანეთსა, რომელმაცა ხელი სტაცა კატინასა და ასე სწრაფად გააქცია, ხუთი წლის ყმაწვილსავით.

როდისაც მე ცხენზე შევჯექი, შემომესმა ეკიპაჟის თვლების ხმაურობა. ყური დავუგდე იმის თვლების ხმასა, მინამ იმის ხმაურობა მიწყდებოდა, ჩემი ცნობა იმან მოიტაცა და მისდევდა იმ ხმას თანა. *როდისაც მოწყდა მისი ხმა, მთვარეს შევხედე და მასკვან ასე მძიმეთ აღმოვისულთქმე, რომ მეგონა, გული აღმომივარდა-მეთქი.*

რაღა მეტად განვაგრძელო.

ჩემმა მამიდაშვილმა მაკამ იმ ღამესვე ასე რიგად მოახერხა, მეორე დღის დილაზე ბატოიშვილი დედაჩემი ჩემთან შემობძანდა და ალერსით დამიწყო ლაპარაკი, დავით ბარათაშვილის ქალი კა-

ტინა შემერთო. რომელიცა თანახმა გავხდი და *ორთავ ხელებზე დავკოცნე.* ადრინდელის შეცდომილებისთვის ბოდიში მოვითხოვე, მაგრამ ლაპარაკი გამაწყვეტინა ამ სიტყვითა.

– „საჭირო არ არის, ბოდიშს იხდი, იმ შემოჩენილებმა აგრე რიგად მოახდინეს, რომ იმათთვის არ დაგეჯერებინა, არ იქნებოდა.“

ერთს კვირას უკან საზოგადოთ მადლი გადიხადეს მე და ჩემი კატინოსი და ღვთის განგებით ასე მოხდა, როგორც ზევით ითქვა ყველა, მაგრამ რაც ჩუენზედ ამბები და მითქმა–მოთქმა დაიწყეს, იმისი რაღა უნდა ითქუას? მეათედი ნაწილი რომ გაიგონოთ, იმისთვისაც ყურებში თითებს დაიცუამთ. *ასე დავიწინდენით, მაგრამ აჰ, ღმერთო! რაღა უნდა ვთქო, რაც შემდეგ მოხდა, იმისი რაღა მოგახსენო. რაც ანბავი და მითქმა მოთქმა შეიქნა და ღავღავი დაიწყეს ჩვენზე. იტყვით. – „კარგი, თუ ღმერთი გწამს, დაჩუმდი და ხელმეორეთ ნუღარ გაგვაგონებ მაგ საზიზღარ რაღაებსაც.“*

არამცთუ ჩვენზე ლაპარაკით კმაყოფილნი შეიქნენ, არამედ დაუცხრომლად, უწყალოდ დაგვიწყეს მტრობა მე ცალკე და ჩემ დანიშნულს ცალკე. ნამეტნავად ჩემი პოლკოვნიკი ასე გაანჩხლებული იყო, რომ თუ შეძლებიყო, მგონია, თავფეხებიანად ჩამყლაპამდა, რომ თავის გაასპიტება ამით მოეოხებინა. ის შეჩვენებულები და დაწყევლილები მაშინ, ერთ დროს ყოფილიყვნენ ჩვენი მტრები, თითქმის შეენდობათ, მაგრამ არა, აქამდე გვდევენ და ეგრეთვე გვმტრობენ; ნამეტნავად თვალები გაკაპასებულს გოშიას რომ მიუგავს.

მადლის გადახდის შემდეგ ჩემს მამიდაშვილს მაკას ვთხოვე, ჩემი სიდედრ-სიმამრისთვის ეთხოვა, ჩემი დანიშნული ეჩვენებინათ ჩემთვის, რომელიცა ბატოიშვილის დედიჩემის ნებით მაშინვე წავიდა და სთხოვა. თუმცა ისინი უარს ამბობდნენ, მაგრამ ჩემი მამიდაშვილი არ მოშვებოდა.

– „უთუოთ კიდევ გინდათ, ერთი რამ მოიგონონ, კიდევ არეულობა მოახდინონ თქვენში? – გარდა ამისა, ახლა ხომ რუსობა არის, თქვენმა სიძემ თქვენთან რომ დაიწყოს სიარული, თავის დანიშნული ნახოს ხოლმე, უზდელობა აღარ იქნება.

იმ ღამესვე ჩემს დანიშნულს, ჩემს კატინას გვერდით ვუჯექ და დაუფასებელის ღიმილით შევღიმებდით ერთმანეთსა. რომელიცა ამის შემდგომ ყოველდღე დავდიოდი ჩემს კატინასთან.

რავდენს სასიცოცხლო ნეტარებას ვკრეფდი, როდისაც იმასთან ვიყავი ხოლმე, მაგრამ როდისაც განვშორდებოდი და შინ წამოვიდოდი, უჩემკატინოთ თითქმის მკვდარსა ვგვანდი და ჩემი კატინაცა ეგრეთვე გრძნობდა. მეორე დღე ისევ გაგვაცოცხლებდა, ერთმანეთს რომ დავინახამდით. ჩემგნით იმის მოშორება ღამით ორივესი მწუხარება იყო, შინ რომ წამოვიდოდი და მეორე დღეს სიხარული, როდისაცა მივიდოდი ჩემს კატინასთანა იქა.

[ამ სიხარულს შთავარდნილთათვის, მაგთენმა დღეებმა აღარა განვლორა, რომ პოლკში გამომიცხადეს წასვლა. როდისაც ჩემ კატინას გამოვესალმე, ამ გამოსალმებისას მე აღარას გეტყვით, ამისთვის, რომ თქვენმა გულმა იგრძნას ჩვენი გაყრა. როდისაც კოჯრის გ ზის მთა ზე ავედი...]

ამ დროს გამამიცხადეს პოლკში წასვლა. ახლა თქვენ შაიტყეთ ანუ მიხვდით, ჩუენი გაყრა როგორის გულის მწუხარებით იქნებოდა? – თუმცა მაშინდელის წესით, არ ვიმცნევდით, მაგრამ სახე ჩუენი დახავსული იყო მწუხარებით.

როდისაც კი მაღალს მთაზე ავედი მე, იყო სიცხე შუადღისა, თუმცა არა ძალიანი, მაგრამ მაინც კიდევ. მთიდგან ქვემოთ და ქალაქზედ ვიხედე, ჩემი სიმამრის სახლი დავინახე, თვალი დავაკვირვე, ერთი ქალი იდგა ბანზე. ვთქვი, „უთუოთ ჩემი კატინა იქნება-მეთქი.“ ცხენით გადავხე და იმას დავუწყე ყურება. ამ დროს სხვა მეორე ვიღაც ამოვიდა ბანზე. იმის ამოსვლაზედ გატრიალდა ის ქალი *ჩემი კატინა* და ორივ ქვევით ჩავიდნენ. *რომელიცა სრულებით მიმეფარა აქ თვალიდგან და ვეღარ დავინახე, მაგრამ მე იმ ადგილს დავრჩი. აღარ მინდოდა, რომ იქიდგან წავსულიყავ სადმე.* ბოლოს ცხენზე შევჯექ და გავმგზავრდი ჩემს გზასა დაღონებით. *ოცდაათი ნაბიჯი არ გამეარა, რომ მოვბრუნდი და მას სახლსვე გადმოვხედე. ვგონებ, ხუთჯერ თუ ექვსჯერ წავიდოდი, ისევ შემოვიქცეოდი და მას სახლსვე გადმოვხედამდი, რომელნიც მოსამსახურეები მე თან მახლდნენ. ამ დროს ერთმა მოხუცმა ჩემმა მოსამსახურემ, თევდორემ, რომელიც ჩემი დიახ საყვარელი იყო, მითხრა სიცილით.*

– „ბატონო, მაინც ხომ თქვენ წასვლა აღარ გინდა ქალაქიდგან. ღმერთი გადღეგძელებს! ბარემ ამ ზაფხულს ამ მთა ზე დავრჩეთ, აქ მოვი ზაფხულოთ? თუმცა მე შევღიმე, მაგრამ შეიწროებულის

გულით, ცხენს მათრახი ვკარი, ხმის გაუცემათ წავედი. გზაზე ჩემი მოსამსახურეები ცდილობდნენ, დაფიქრებისაგან გამოვეყვანეთ, მაგრამ იმათი ლაპარაკი მე არ მესმოდა, ჩემს ფიქრებში ვიყავ.

ორი კვირის შემდეგ პოლკოვნიკი ამოვიდა პოლკში ტფილისის ქალაქიდგან და მე ნება მამცა დედიჩემის თხოვით ტფილისში წავსულიყავ. მე დაუყოვნებლად საუცხოვოს ცხენით გამოვწიე, წამოველ რა კარგის სიხარულით. ასი ვერსი ცხრა საათზე მოვირბინე, რომლებიცა ჩემი მოსამსახურეები, ისინიც კარგსა ცხენებზე ისხდნენ. ტფილისს რომ დავუახლოვდი, ცხენი ჩამოვატრიალე ვიწრო კლდიანს გზებში და გამოველ ქვიტკირისა ხიდზედ. ეს გზა უფრო ახლოს არის ქალაქზედ, მინამ სხუები, *ადრინდელი, კოჯრის გზა, რომელმაცა ამ გზაზე წამომსვლელმა მგზავრმა ქალაქის აბანოებს წინ უნდა გამოუაროს და აქედგან ქალაქში შემოვიდეს.* აქედგან სოლოლაკის მთაზე ჩამოვედი, ამ მთის ძირში ჩვენი ბაღი იყო *რომელიცა ახლა ტფილისის ქალაქისა შენობამ დაიტანა* და მგონია, ეს ჩუენი ბაღი იქნებოდა ოცი კარგი დღიური.

ოქუანთ ხიდის გზა წავკისის გზაზე ჩამოივლის; ამ სოლოლაკის მთაზედვე დამოკიდებული და როდისაც ამ გზის ბოლო დააწყდება მთის ძირზედა, აქ ტფილელის ბაღი დაიწყება ჩვენ ბაღამდის, მაგრამ ჩვენ ბაღსა და ტფილელის ბაღს შორის კარგა ცარიელი ადგილი იყო დარჩომილი. რომელიცა სოლოლაკზე ჩამომსვლელნი მგზავრნი, ტფილელის ბაღსა და სოლოლაკის მთის ძირში არა განიერი გზა გამოივლიდა და ქალაქისკენ წავიდოდა.

თუ ამ მთასა დაწვრილებით აღვწერ, დიახ განვრცელდება წერა, ამისთვის მოკლეთ ვიტყვი. ჩვენი ბაღის მახლობლად დასავლეთის მხარეს სხვა ერთი ბაღი იყო, ტფილელის ბაღს უძახდნენ. *ჩვენი ბაღი აღმოსავლეთისკენ იყო და ტფილელის დასავლეთისკენ, რომელსაცა ტფილელის ბაღის მხრისკენ ჩვენს ბაღს ჰქონდა ძველი აუზი სოლოლაკის მთის ძირში. ეს აუზი ცოტა მომაღლოს ადგილზე შემდგარი, შეშენებული იყო. ამ გორის თავს ცოტა რამ სიგანიერე ჰქონდა ველივით გაშლილი და ეს აუზი სიგანით იქნებოდა ექვს ადლამდის; სიგძე თერთმეტ ადლამდის და სიღრმე ოთხ ადლამდის. რომელიცა ეს აუზი სოლოლაკის მთაზე ჩამოვლებულის წყალკასკადის საწისქვილოს წყლით ივსება. ამ აუზის მომაღლოს ადგილზე გაზაფხულით და ზაფხულით მრავალნი შეექცეოდნენ ხოლმე.*

ზოგი ისე სასეიროდ გამოვიდოდნენ ხოლმე, რომ გაფურჩვნილის ბუნების მშვენიერებით ესიამოვნათ და ბრილიანტის მზგავსის კასკადისთვის ეყურებინათ. მეტადრე გაზაფხულის დროს მშვენიერი რამ იყო ეს ადგილი. ნამეტნავად მაშინ, როდესაც ზოგნი სადილს შეექცეოდნენ, მიირთმევდნენ აქა და ზოგნი, უფრო ბევრნი, ჩაის მიირთმევდნენ საღამო ჟამზედ. ჩვენი ბაღის და ტფილელის ბაღის შორის ცოტა მინდორი ჰქონდა შუაზე, რომელიცა ამ მინდორზე გზა ჩამოივლიდა სოლოლაკის მთიდგან ქუემოთ. დასავლეთის მხარეს ჩვენი ბაღის ღობის შიგნით თავში, სოლოლაკის მთის ძირში, მომაღლოს გორაზედა კარგა მოდიდო აუზია ქვიტკირისა ძუელი. *ლამაზის მწვანოვანობით შემკული.* ამ აუზში მოდიოდა ერთი კარგი ნაკადული წმინდა წყალი, ზევით მთიდან კასკადათა თეთრის ქაფებით მომჩქეფარე, სადაც ამ აუზის მახლობლათა ყვავილიანს მწვანეს ბალახზედა სეირნობდნენ ქალნი, კაცნი სიამოვნით და თან ჩაის სვამდენ. *მიირთმევდნენ კარგის გემოვნებით, საუცხოოს ფაქსიმატით გემრიელად.*

სოლოლაკის მთიდგან ტფილელის ბაღის ღობის თავთან ქვეითი ჩამოველ, აქ ერთმა მოსამსახურემ ცხენზე შეჯდომა მითხრა, მეც შევჯექი და ცოტა რომ გამოვიარე, იმანვე დაიძახა.

– ბატონო, ხედავ, თქვენს ბაღის აუზის თავზე რამდენი ქალები, კაცები არიან ამ საუცხოვოს საღამოს ჟამსა? აგერ ხედავ იმათ ახლოს ძერა რომ დასტრიალებს, დაჰფრინავს? – აჰა, ეს ტყვიით გატენილი ჩემი თოფი, ეგება ის ძერა მოკლათ და იმათ წინ ჩამოაგდოთ.“

– „რომ ვერ მოვკლა, ხომ სირცხვილი იქნება?“

– „თქვენგნით იმედი მაქვს, არ დააცდენთ.“

ამ სიტყვასთან კიდეც მამცა თოფი და მეც ცხენსა ქუსლი ვკარი. ცხენი გამალებული წავიდა. იმ ძერას რომ დავუახლოვდი, აუზის თავიდგან დაიძახეს. „ალექსანდრეა, ალექსანდრე.“

თოფი რომ გაუღე, იქიდგან ჩემი მამიდაშვილის მაკას ძმამ, თადია ჩოლოყაშვილმა დამიძახა.

– „ალექსანდრე, თოფი არ დააცდინო ძერას, თორემ ეს შენი დანიშნული აღარ მოგიწონებს.“ ამ დროს კიდეც გავარდა თოფი და ძერა იმათ წინ ჩამოვარდა.

მაშინვე სიხარულით გამამეგებნენ და მეც საჩქაროთ აუზის

თავზე შევირბინე. მე და ჩემმა კატინამ ერთმანეთს რომ შევხედეთ, ფერი გვეკრთო და გულმა ძგერა დაგვიწყო. თურმე ჩემ სიმამრ-სიდედრს სტუმრობა ჰქონოდათ იქ და მისთვის ყოფილიყო ეს ყრილობა.

ლაპარაკის გაუგრძელებლობისათვის, 1823 წელსა ივლისის 8-სა დღესა საღამოზედ, მე და კატინასა ჯვარი დაგვწერა ბატოიშვილმა დედამ და ქორწილი გადგვიხადა. რაც გვინდოდა მე და ჩემს კატინას, მივხვდით იმ საწადელსა, იმ ბედნიერებას. *იმ ღამეს თვალი არ მოგვიხუჭამს.* ჯვარის დაწერის მეორე დილის სინათლის დროსა სხვასა და სხვას სატრფიალოს ლაპარაკში თავის სპეტაკი თეთრი ფეხები გამამიშალა და ღიმილით მითხრა ჩემმა კატინამ.

– „სანდრო, აბა თუ ამისთანა მშვენიერი ფეხები გინახამს?“

იცოდა, რომ ქალის ლამაზი ფეხები მიყუარდა. დავხედე, მართლა რომ გაწყობილი მშვენიერი ფეხები ჰქონდა. მაშინვე ხელი ვტაცე და ტკბილად დავუწყე კოცნა. მასუკან ჩემს რიგში ვუთხარ.

– „კატინო, მაგაზე ნაკლები ფეხები რომ არ გაჩვენო, რას იტყვი?“

– „აბა სანდრო, მითხარ, ვისა აქვს?“

–„აბა საბანი გადასწიე?“

ჩემს ფეხებს რომ დახედა, ჯერ ბევრი აკოცა და მასუკან მითხრა.

– „შენ ნუ მამიკვდები, შენც ჩემსავით მშვენიერი ფეხები გქონია.“

ჩუენ თითქმის მე და იმასაც ერთმანეთს გვიგვანდა, მხოლოდ იმას ჩემზედ ცოტათ წვრილი ჰქონდა და ტანის სიმაღლე კი ერთი ტოლი გვქონდა ორსავ. ამაში ჩემი კატინა როგორღაც დაღონდა, ვკითხე.

– „კატინო, რას დაღონდი, გეთაყუანე?“

ხმის გაუცემათ წამოდგა, ქუეშაგებზე გადიარა და თავის შკატულკიდამ ერთი პატარა შეხვეული ქაღალდი ამოიღო, მოიტანა, ხელში მამცა და კოცნით მითხრა.

– „სანდრო, იცი, ამ ქაღალდში რა არის?“

მე ჩხრეკა დავუწყე და მასუკან გადახვევის კოცნით ვკითხე.

– „რა არის, ჩემო კატინო?“

ყელზე მოხვევით მითხრა.

– „შხამი არის, ჩემო სანდრო.“

– „როგორ თუ შხამი და ან რისთვის გინდა?“

თავი გულზე გადმომიგდო ცრემლით.

– „ეს შხამი მომზადებული მქონდა და ღმერთთან აღქმა, თუ ცოლათ არ შეგერთე, ამით უნდა მომეწამლა თავი.“

ქაღალდი შორს გავტყორცნე, ჩემი კატინა ჩემკენ მოვიზიდე ქვეშაგებში და ორთავ გადახვევით ტირილი ამოვუშვით ქვითინით.

ოჰ, რა კარგი რამა ხარ ყმაწვილობავ და სიყუარულო!..

მაშინ მე ოცდამეერთეს წელიწადში ვიდექი და ჩემი კატინა მეჩვიდმეტეში და მაშინ ჩვენ ყმაწვილთ ადამიანთ ცრემლი, არ ვიცი, ვითარის ტკბილის სიტყვით გამოვთქო, ნამეტნავად ერთ ქვეშაგებში დანაცვარი.

მაგრამ ჩემი კატინას თვალტანადობის ნაკვთიერება სულ წვრილად აღმიწერია ზევით და ხელებისა არა მითქომს რა. მე სამი ქალის ხელები მინახამს, რომ აქამომდე მე მზგავსი არა მინახამს რა. პირველი თ˜ა შანშე ერისთვიშვილის ქალის მელანიასი. ერთს მხეცს რუსსა ჰყუანდა ცოლად სახელით მელნიკოვსა! როდისაც გაათხოვეს, დედა აღარ ჰყუანდა ცოცხალი მას მღვთიურს ქალსა მელანიას და მისი კეთილი მამა მოატყუა მისმა ტყუილმა მეგობარმა ფულის გულისათვის, ერთმა გორელმა სომეხმა. მე მეზობლად ვიდექი მას მელნიკოვზე; მისი ცოლი მელანია ჩემი მახლობელი ნათესავი იყო და შემდეგ ასე დამეგობრდნენ ჩემი კატინა და მელანია, რომ არაფრისთანა დამალული არა ჰქონდათ რა ერთმანეთთან და ჩემი კატინასაგან ვიცი, როგორ აწუხებდა იგი მხეცი მას მღვთიურს ქალსა და ან როგორს დიდსულოვანს მოთმინებაში იყო ისიც კარგათ ვიცი. დღე როგორ გავიდოდა, ორჯერ ან სამჯერ არ გამხეცებულიყო სახლში იგი მელნიკოვი და ქალისთვის გული არ გადმოებრუნებინა.

მეორე მშვენიერი ხელები ჰქონდა თ˜ა გიორგის ბაგრატიონ–მუხრანსკის ქალს სოფოს. ჩემი კატინას ახლო ნათესავმა შეირთო ცოლად კატინას შუამდგომლობითვე თ˜ა ალექსანდრე სუმბათოვმა და მესამე მშვენიერი ხელები ჰქონდა ჩემს ეკატერინეს. ამ სამივეს ხელები სიგრძითაც ტოლები იყო და სიწვრილითაც. მე მახსომს, ერთხელ სტუმრობა მქონდა, მელანია და სოფოც ჩვენთან იყვნენ. სადილს უკან ხელების ქება ჩამოვარდა. ზოგმა ვისი

ხელები აქო და ზოგმა ვისი. მასკვან ერთმა ნათესავმა მელანიას გამოაშლევინა ხელები და თქო.

– „აბა თუ ამისთანა მშვენიერი ხელები გენახოთ?“

მასკვან ალექსანდრე სუმბათოვმა თავის ცოლს გამოაშლევინა და შემდგომ მეც ჩემს კატინას გამოვალევინე. შორიახლოს ვისხედით და ვერ გაირჩეოდა. მერე სინათლესთან სტოლზე დავაწყობინეთ სამთავ ექვსი ხელი და ყველამ ჩხრეკა დაუწყეს. ვერცერთის ნაკლებულება ვერავინ ვერა თქო და სამივეს ხელები დიდათ აქეს ყველამ, რომ ამისთანა მშვენიერი და ნაზი ხელების მნახველნი არა ვართო. ბევრჯელ ეს სამნი ქალნი ხელების თითებს ერთმანეთში გაუყრიდნენ და ნაზნი თითები ერთმანეთის ხელებს რომ გადეხლებოდნენ, ასეთი მშვენიერი სანახავი იყო იმათი თეთრსპეტაკი, წვრილგძელი გაყრილი თითები ბუდეშურად მოყვანილის ფრჩხილებით, რომ თვალი უკეთესს ვერას ნახევდა. ეს სამნი ქალნი დიახ დიდი მეგობრები იყვნენ და პირველი შვილი გიორგი მე მოვუნათლე სოფოსა. სამივ მშვენიერი სახისანი იყვნენ ეს ქალები და ტანათაც ერთი ჰაეროვნობა ჰქონდათ. მაგრამ მელანიას კი ცოტა სუსტი სახე ჰქონდა და დიახ მინაზებული თავისის მოჰჟუჟუნეს შავის თვალებითა.

გაიგონე.

ვ.

ჩვენი ცოლქმრობის ბედნიერებისა რაღა ვთქუა. რამთენიც დროები გავიდა, უფრო და უფრო ვბედნიერდებოდით. ასე რომ ერთი საათის მოშორვება ორთავეს უბედურება იყო. ამის გამო მე სამხედრო სამსახური დავუტევე და განუშორებლად ვიყავით ერთად მე და ჩემი კატინა. ხანდისხან სოფელში რომ წავიდოდი, ბევრჯელ გზიდგან შემოვიქცეოდი, სადაც ჩემი კატინა ცრემლიანი დამხვდებოდა და დანახვისთანავე კიდევ გავბედნიერდებოდით ჩვენ.

1826-ს წელსა საქართველოზე რომ მოდიოდნენ ყიზილბაშები, დიდის სურვილით საქართველოს ჯარი გაჰყვა რუსეთის მხედრობასა პირისპირ ყიზილბაშების ჯარისა და მეც იმათში წაველ. მე და ჩემს კატინას გაყრაზე საცოდაობა იყო და ბოლოს რას ყოფით დავშორდით ერთმანეთსა. *დილის ჩვენს გაყრაზე საშინელება იყო. ჩემს კატინას რამთენჯერმე გულსა შეუწუხდა და ბოლოს რას*

ყოფით დავამშვიდე. იმ დღეს აბანოს ხიდიდგან ექვსჯერ წაველ და ექვსჯერ დავბრუნდი ქალაქის პირიდგან. ბოლოს რასყოფით საღამოჟამზედ ჩემმა სიძემ, ივანე მელიქოვმა წამიყვანა ქალაქს გარეთ, ცხენის ჯილავში ხელი მიტაცა და აღარ დამაბრუნა.

მაგრამ იპრიანა ღმერთმა და სამი თვის მეტი არ ვიყავით ჯარიანობაში, საიდგანაც დავბრუნდი კიდევ სიყუარულში.

1827-სა წელსა კიდევ წავედით ქართველები, კიდევ ჩუენი გაყრა ისე იყო, მე და ჩემი კატინასი, როგორც პირუელათა. ექვსის თვისა შემდგომ, ერევნის ციხე რომ აიღო ღენერალმა პასკევიჩმა, ქართველები დაგვითხოვა და მოვედით ქ. ტფილისში. *ქ. ტფილისში რომ მოვედით მშვიდობით, მაშინვე სიხარულით შევირბინე ჩემ კატინასთან. ჩემი კატინას შეწუხებულს გამხდარს სახეს მაშინვე მწუხარება გადეყარა და სახეც ისე დაუშვენდა, ამ დროს იუპიტერს რომ ენახა, იგიც არ მოაშორებდა თვალს. ვიყავით განუშორებლად და ბედნიერად ვცხოვრობდით ერთმანეთით.* მე და ჩემი კატინა ვიყავით ბედნიერს სიყუარულში – სიყუარულსა განუშორებელში.

იმის ხასიათი რაღა ითქუას? იყო გონიერი, ჭკვიანი, იყო კეთილი, იყო წყნარი, იყო მშვიდობიანი, იყო ღვთის მოყვარული და ჭეშმარიტი ქრისტიანი, მაგრამ საშინელი ეჭვიანი იყო. არა თავისი ახლო ნათესავი და არა ჩემი არ იამებოდა ჩემთან. *არათუ მე მაწუხებდა თავის ეჭვებითა* ერთს უბრალოს მცირეს საქმეზედა ტყუილად სტანჯავდა თავის თავსა. თავის ძლიერის ეჭვის გამო, სულ სხვაგვარად ხედავდა საგანს. მე რომ ჩემი ნათესავისათვის სწორეთ შემეხედა, ჩემი კატინა სრულებით დადნებოდა, ასე ეგონა, რომ ეს ეს არის, ქმარი წამართვესო. არავინ არ იამებოდა ჩემთან თვითონ თავის მეტი. თუ რომ ჩვენთან მოვიდოდა ვინმე ჩემი ნათესავი ქალი, ვცდილობდი, როგორმე მოშორებული ვყოფილიყავ მე იმისგან, რომ ჩემი კატინასთვის მიზეზი არა მიმეცა რა. ღვთის წინაშე უნდა ვთქვა, რომ მეც დიდი ეჭვიანი ვიყავი, იმაზე ნაკლები აღარ, რომელსაცა არც მე მიამებოდა იმის ნათესავი იმასთან არავინ. მინამ ჩუენგნით წავიდოდა, მე კი სული მიქრებოდა, ამისთვის ერთმანეთის მეტი აღარავინ აღარ გვინდოდა სხუა, აღარც ყმაწვილი ქალი და აღარც ყმაწვილი კაცი.

1823-სა წელსა დავიწერე ჯვარი ანჩისხატის ეკლესიაში პირიმღთისას წინ და 1832-ს წლამდის ასეთი ბედნიერი ვიყავით მე და ჩემი კატინა ერთმანეთით, რომ მეტი ბედნიერება აღარ იქნება!.. მაგრამ ამ უკანასკნელმა წელიწადმა ყოველი ჩვენი ესე ბედნიერება ჩაგუაშხამა.

11-ს დეკემბრის ღამეს ჩვენ დატკბობილს ძილში შუაღამის მეორე საათის შემდგომ, ორნივ რაღაც საშინელებამ გაგვაღვიძა დაბნელებულს უსანთლოს ოთახში. ჩემს ახლოს ჩემმა კატინამ ძრწოლა დაიწყო შიშით. თუმცა მეც იმას ვგრძნობდი, მაგრამ როგორც კაცი, ისე გაჩუმებული ვიყავ. ჩემმა კატინამ ბორგვა რომ შექნა, მე დაბლის ხმით, *დაწყნარებით* ვკითხე:

– „კატინო, თუ გღვიძამს, რატო არას მეუბნები?“

– „ასე მეგონა, ჩემს სანდროს სძინამს მეთქი.“ *და მოგერიდე, არ გაგაღვიძო-მეთქი.*

– „კატინო, რატომ აგრე ძრწი?“

– „საშინელი სიზმარი ვნახე.“

– „როგორ თუ საშინელი სიზმარი?“

– „მამაჩემი ვნახე საშინელის სახით შეწუხებული და ამ შეწუხებულს დროსა პირიდგან ერთი ტაშტი სისხლი ამოაღებინა. მე ვწუხდი, რა დაემართა-მეთქი. ამაში კიდეც გამეღვიძა. არ ვიცი, რას უბედურებას მოასწავებს ეს სიზმარი?“

მე იმის შეწუხებას მოვერიდე და ამისთვის გატრიზავებით ვუთხარ:

– „ჯერ სიზმარი დასაჯერებელი არ არის. ადამიანი ბევრს კარგსა და ავსა ნახამს, რომ სულ არაფრათ გაივლის. რახან დასაჯერებელი იქნება, მაშ სწორედ აგიხსნი, რასაც მოასწავებს ეგ სიზმარი“.

– „ჩემო სანდრო, აბა, რას მოასწავებს, სწორედ მითხარი!“

– „შეწუხებულის სახით რომ ყოფილა, ეგ სიმხიარულეს მოასწავებს და სისხლი რომ ამოუღებინებია, ჯავრის დაკარგვა არის.“

– „ღმერთმა ინებოს, ეგ მართალი იყოს, მაგრამ რა ვიცი...“

– „მითამ რა სიტყვაა, რა ვიცი?“

– „ეჰ, რაღა უნდა ვთქო?..“

– „თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მითხარი.“

– რახან მე ჩემ დღეში შენთვის წინააღმდეგი არ მითქვამს, არც ეხლა გეტყოდი, მაგრამ...

–„რადგან აგრე მეუბნები, აგრე იყოს, გეტყვი. ეხლანდელს ყმაწვილს კაცებს რომ განგიძრახავთ და შეთქმა გაქვთ, რუსები აქედგან გარეკოთ *როგორ იქნება? მაშინ როდესაც რომ ერთი ბენო საქართველოს ბრძოლა არ შეუძლიან რუსეთისა. ნამეტნავად ეხლანდელს დაუნდობელს ხალხს*... და ეს ამბავი ეხლანდელს დაუნდობელს ხალხში რომ მოგიფენიათ, იცით, ერთერთი მაინც არ გაგცემსთ მცირეს თავის სარგებლობისათვის?“

– „სწორედ გეტყვი, კატინო, ეს ჩვენი განძრახვა ასე რიგად დაიწყო, შეუძლებელია, არ გამოცხადდეს.“

– „მაშ რატომ ქენით და ამისთანა ძნელი საქმე დაიწყეთ?“

– „რუსეთიდან მოსული ყმაწვილი კაცები და მე ამ საქმისათვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: როგორ დავიწყოთო? აი, ჩემი პასუხი: „ეს საქმე ჩვენის მეტმა სხვამ არავინ არ უნდა შეიტყოს, ამისთვის, რომ მინამ გარემოება თავისთავად არ მოიტანს საქმეს, არასგზით არ შეიძლება, რომ აღსრულებაში მოვიყვანოთ ეს განზრახვა ეხლანდელს ქართველებში. ისევ სჯობია, მხოლოდ ჩვენ ვიცოდეთ და გარემოებას მოვუცადოთ. ვინ იცის, იქნებ ღმერთმა მოიტანოს რამე გარემოება-მეთქი. ამაში ზოგიერთნიც დამყვნენ, მაგრამ სხვებმა ეს ჩემი რჩევა ქალაჩუნობაში ჩამომართვეს. *ამაში გავიდა დღეები, გავიდა კვირები, გავიდა თვეები და ამაობაში პოლშა აიშალა. ზედ დატანებით კიდევ რუსეთიდგან მოვიდა – არ იქნა, ვერას გზით ვერ დავითანხმე მე ისინი, მეც ამხანაგთ ვერ უკუ ვუდექ. მაგრამ ეს კი უნდა ვთქვა, რომ ამაობაში ორი კარგი გარემოება მოგვცა ღმერთმა (შეგვემთხვა). ერთი პოლშის გადადგომა რუსეთიდგან. თუ ჩქარა არ დაეთრგუნა რუსეთს პოლშა, ჩვენი საქართველოც გადუდგებოდა და მეორე დაღისტანშიც ...[ვერ ამოვიკითხე – ნ. ვ.].* ამის გამო იმათ უკუ ვეღარ ვუდექ და შევუდექით საქმეს დიდის გულმოდგინებით ისე, რომ მშობლის მამულის მეტის სიყვარულით ავად ვსაქმობდით თუ კარგად, ვეღარა გავიგეთ-რა. ისე, რომ მე ჩემი თავი აღარ მოვასვენე იმ საქმეში და ისინიცვე, ჩემი ამხანაგნი, დიდი მცდელნი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნავად თ˜ა ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთვის შვილი, რომელიცა ყველას ჩვენზედ უპირველესი მცდელი ის შეიქნა.“

ამ სიტყვასთან პატარას ხანს უკან მოაჯირზე რაღაც რახარუხის ხმა შემოვიდა. მინამ ის ხმა მიწყდებოდა, სადაც ჩვენი შვილები

იწვნენ, იმ ოთახში სანთელი გაქრა, ამასთან, ჩვენს ოთახში ერთი მოახლე შემოვარდა და შეშინებულის ხმით დაიძახა:

– „ბატონებო, სალდათები მოვიდნენ და ფანჯრიდგან გვიყურებენ.“

ჩემმა კატინამ შიშით ხმა ვეღარ ამოიღო, მე საჩქაროდ წამოვდექ, მოახლეს სანთლის ანთება ვუთხარ, კატინაც თან ამყვა ამ სიტყვით:

– „ვაი, ჩემს თავსა! იქნებ შეუტყვიათ და აცხადდეს ჩემი სიზმარი!“

– „კატინო! სწორედ გეტყვი, ამის შემდეგ უბედურებაში ჩავარდები. თუ ღმრთის მადლობით მოითმენ, ღმერთი კიდევ მოგვხედავს და თუ მოთმინებით არ იქნები, იმედი ნუღარა გაქვს ჩემი *ნახვა კიდევ გეღირსოს* ამისთვის, რომ უბედურობის მომთმენს ღმერთი სწყალობს და მოუთმენელზე, *მოკლესულზე* ხელაღებულია.“

ღმრთისშობლის წინ დაიჩოქა და გულმხურვალეს ცრემლით დაიძახა:

– „ამის მადლს ვევედრები მე, სუსტს დედაკაცსა, შენი უბედურება მომათმენინოს! მაგრამ მე რომ შენ უბედურებაში მეგულებოდე, როგორ უნდა მოვითმინო?!“

– „კატინო, მაგისთვის შენ ნუ სწუხარ, მე ვიცი ჩემს თავს როგორ გამოვიხსნი უბედურობიდგან, ოღონდ შენ მოთმინებით და დიდსულოვნებით იყავ.“

მინამ ჩემი კატინა მეტყოდა რასმე, ჩემი დედიდაშვილი თ˜ა გიორგი რევაზის ძე ერისთავი ჩვენთან შემოვიდა და განსვენებულის გულით, *მკაცრის სიტყვით* მითხრა:

– „ალექსანდრე, კამენდატი და პოლიცმეისტერი ჩვენს ოთახში შემოვიდნენ, სადაც მე და შენი ძმა ვახტანგ ვდგევართ და გვითხრეს, ბარონ როზინმა[1] დაგიბარათო. ეტყობა რომ ჩვენი შეთქმა გამოცხადებულა. ახლა რა ვქნათ?“ *შემდეგ ჩემს კატინას მოხედა. ნახა, რომ საშინლად შეწუხებული იჯდა ხალათით კრაოტზე, რომელსაცა ნუგეში სცა, მაგრამ კატინამ ხმა არ გასცა. მასკვან ისევ მე მამიბრუნდა.*

– „ამის მეტი ჩვენ ვეღარ გამოგვიხსნის რა, რომ რაც უნდა გვტანჯონ, არ გავტყდეთ.“

[1] გვარათ ბარონ როზინი ერქო მაშინდელს საქართველოს მთავარმართებელსა.

გიორგის სიტყვის თქმა აღარ დასცალდა, რომ ვახტანგ შემოვიდა, პოლიცმეისტერი თან შემოჰყვა, მოვიდა და მითხრა: *მე თულუფმოსხმული წინ მივეგებე და ვკითხე, რა გნებავთ-მეთქი?*

– „ბარონ როზინმა საჭირო საქმეზე დაგიბარათ, მაგრამ რაც ქაღალდები გაქვთ, ისიც თან უნდა წავიღოთ.“

მას უკან ჩემ კატინას მიუბრუნდა და გულღრძოს ცბიერის ღიმილით უთხრა:[1]

– „თქვენ ამაზე ნუ შეწუხდებით, ამ ორს საათზე თვენი ქმარი აქვე მოგივათ.“

ჩემმა კატინამ მედიდურის სახით უპასუხა, რომელიც დაუვიწყებელი არის ჩემთვის:

– „პოლიცმეისტერო, რასაც მეუბნებით, თქვენი სიტყვა მართალი არ არის, მაგრამ მე კი სწორედ გეტყვით, სადაც ამ ჩემს ქმარს დასომთ საპყრობილეში, მეც ამასთან რომ შემიყვანოთ და განუშორებლად ამასთან მამყოფოთ, უფრო მადლობელი ვიქნები.“

ჩემი კატინაც ერია ჩუენს საქმეში, სხვანი ქართველი ქალებიც ბევრი, რომელსაცა ჩემს კატინას ვალად დასდეს, რევოლუციის ბაირახი შეეკერა.

ამ სიტყვაზე პოლიცმეისტერმა ხმა არ ამოიღო.

ჩემს დედიდაშვილს გიორგის და ჩემს ძმას ვახტანგს თვალებში ცრემლი მოერიათ, მე შემომხედეს, რომ გულხელდაკრეფილი მე და ჩემი კატინა ერთმანეთს შევცქეროდით *მწარეთ დაღონებული.* მაგრამ მე ის მაშინვე მოვიშორე და ტანსამოსი მოვითხოვე ჩასაცმელად. ამ დროს გიორგი და ვახტანგი თავის ოთახში გავიდნენ, პოლიცმეისტერი იმათ თან გაჰყვა და ჩემი საკუთარი ქაღალდებიც თან წაიღო.

მე რომ ტანისამოსი ჩავიცვი, ჩემს კატინას გამოვესალმე (მისახვედრია, როგორც), ბოლოს კიდევ ეს სიტყვა მოვაგონე:

– კარგად გახსოვდეს, კატინო, *რომ უბედურისათვის მოთმინებაზე უკეთესი არა იქნება რა.* რომელს უბედურსაც მოთმინება ექნება, ღმერთი გამოიხსნის.

ამ სიტყვაზე ჩემმა კატინომ *საზარელი* სულთქმა ამოუშო უსიტყვოდ. მეც შეწუხებული გამოველ და აქედგან *ბატოიშვილს*

[1] რადგან ჩემმა კატინამ რუსული არ იცოდა, ჩემმა ძმამ უთარგმნა და პასუხი ამისგანვე უთხრა.

დედაჩემთან შევედი. ბატოიშვილის დედიჩემისათვის ადრითვე ეცნობებინათ პოლიცმეისტერისა და კამენდანტის მოსვლა, რომელმაც არა იცოდა რა და მიზეზი მკითხა მოსვლისა უდროოთა. მე აღარა დავუმალე რა და ყველა გამოვუცხადე. ჯერ მცირედ დაფიქრდა და მასუკან შეურყეველის გულით მიბძანა. იმან ყველა იცოდა ჩვენი ამბავი, მხოლოდ ჩემგნით და ჩვენმა ამხანაგებმა კი არ იცოდნენ იმისი არაფერი. როდესაც ყველა განვუცხადე, მითხრა:

– „მაგ საქმის ამბავი ჩემი ხომ არავინ არა იცის რა, რომ მეც ვიცი ეგ საქმე?“

– „მე არავისთვის არა მითქომს-რა,“ მე მოვახსენე.

– „რადგან არავინ არა იცის-რა, უთუოდ ეგ აგრე უნდა ყოფილიყო, აი, ამიტომ, რომ მე ეხლა საჭირო ვარ თქვენ ყველასთვის. ამას თავი დავანებოთ, ეხლა ეს გაიგონე?“ – თავის შესაფერის გულით მოჰყვა ასე:

– „მაგისთანა პატიოსანს განზრახუასთან სანანურად ნუღარ მიგაჩნდებათ თავი, შენი ცოლშვილებისათვის შენ ნუღარას ინაღვლი, მე იმათი მომვლელი და პატრონი ვიქნები, ოღონდ რაც უბედურება მოგადგესთ, მოთმინებით მიიღეთ. *და ამასაც გეტყვი, რომ მეც აღარ დავსცხრები თქვენ სამთა ძმების გამოსა...* კარგით, წადით, ღმრთისათვის მიმიბარებიხართ ერთობ თქვენა.[1]

ვახტანგის და გიორგის ოთახში იყვნენ პოლიცმეისტერი და კამენდატი. მე რომ იმათთან შევედი, კამენდატმა გიორგი წაიყვანა, რადგან სამხედრო სამსახურში იყო. მე და ჩემი ძმა ვახტანგ პოლიცმეისტერმა გამოგვიყვანა. მე ერთ ჩასტნის პრისტავს გამატანა, ჩემი ძმა – მეორეს პრისტავს და ორივე ცალ-ცალკე წაგვიყვანეს მეტეხის ხიდისაკენ. *მაგრამ გაგვაცალცალკევეს. ისე წაგვიყვანეს, რომ შემდეგ ერთმანეთი ველარ ვნახეთ.*

მეტეხის ხიდს რომ გავცილდით, მე მეტეხის საპყრობილის ციხისაკენ შევბრუნდი, მაგრამ პრისტავმა ავლაბრისკენ ამატარა. წამიყვანა და აფიცრების კაზარმაში შემიყვანა, საიდგანაც ყარაულის აფიცერი გამოვიდა, მაღლა ეტაჟში ამიყვანა. ერთს გამარტოებულს ოთახში დამსვეს და შიგ ჩესავოი დააყენეს თოფისიარაღით.

მცირეს ხანს უკან ყური დავუგდე. დიდი ფეხის ხმიანობის,

[1] გიორგის და ვახტანგს უნდა ვკითხო, იმათაც ნახეს ბატოიშვილი თუ ველარ.

წასვლის-წამოსვლის ხმა იყო გარეთ კარიდორში და კარების ჯახ-აჯუხი. მივხვდი, ჩემს ამხანაგებსაც ჩემსავით სხმენ საპყრობილე-ში-მეთქი. მასკვან დავფიქრდი: ,,ნეტავ, შემატყობინა, ვინ გაგვცე-მდა-მეთქი?“ ვინც იყო, შემდგომში გამოჩნდება.

როდესაც კარგად გათენდა, რუსის კალატოზი შემოვიდა. ფან-ჯრებზე სქელი გაჯი წაუსო და სახლი ასე დააბნელა, რომ მზის შუქი ძლივს დაინახებოდა. მე იმ დღეს არა მკითხეს-რა. სადილო-ბის დროს სტოროჟი შემოვიდა, სადილი შემომიტანა და ამის მეორე დღის დილაზე ყარაულის აფიცარმა და ხუთმა შტიკიანმა სალდათ-მა ქვემოთ ატაჟაში ჩამიყვანეს და ერთს დიდს სახლში შემგზავნეს.

იმ სახლში იყვნენ ორი ღენერალი, ერთი პოლკოვნიკი და სამი – ოთხი აფიცერი. ამათგანმა პირველმა ღენერალმა ბაიკოვმა სკამზე დამსო და ზდილობიანის კითხვით მითხრა:

– „კნიაზო, თქვენ რამთენსამე საქართველოს თავდებსა შეთქმა გქონიათ წინააღმდეგ რუსეთის მთავრობისა. ახლა თქვენი საქმე წვრილად ვიცით, ამისთვის თქვენცა გკითხამთ, თქვენც აღიაროთ გულის წმინდით და არა დაჰფაროთ-რა?“

იმის კითხვაზედ მე დამბეზღებელის საბეზღარი ქაღალდი მო-ვითხოვე.

მეორე ღენერალმა[1] ერთი დასტა დაწერილი ქაღალდი გადმოიღო და წინ დამიდო. *და მკითხა. – „ამის დამწერს იცნობთ, ვინ არის?“*

რა წამს დავხედე, მაშინვე ვიცან, რომ ჩვენი ამხანაგის თ˜ა იასე იოსების ძისა ფალავანდოვის ხელი იყო. *მაგრამ უარვყავი, ვითომც ვერ ვცნობ-მეთქი.* თუმცა მოვინდომე თვით მე წამეკითხა, მაგრამ არ დამანება და თავითონ დაიწყო კითხვა, რომელმანცა, მგონია, სამ საათამდისინ იკითხა.

იმ საბეზღარის წიგნით მივხვდი, რომ ჩვენი ყოველი საქმე დღიურ ზაპისკებად ეკეთებინა. მე აღარ დავაცალე კითხვა, რომ ბოლომდისინ ჩასულიყო და დამბეზღებელი მოვითხოვე. ვინც დაგვაბეზღა, აქ შემოიყვანეთ, რომ პირში წამამიდგეს-მეთქი. არც დამბეზღებელი შემოიყვანეს და არც მისი სახელი გამოაცხადეს.[2]

---

[1] შტაბნაჩალნიკმა ვალიხოვსკიმ.

[2] თავად იასე ფალავანდოვის ჩამამავლობის ამბავი. იმათი პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვარათ ყორჩიშვილი ერქოთ. ახლანდელს დროში ამისი უფროსი ძმა ნიკოლოოზ თავის ეშმაკურის და გაიძვერის ხასიათით, ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვარად მიქაიჩი დაირქო, მასუკან თავადად იწოდა და გვარათ ფალავანდოვი

მაგრამ შემდგომ ღმერთმა მუხანათებს მოავლინა თავის რისხვა, რომ დღესაც იგინი უბედურნი შეიქნენ. იმათ გადაახდევინა და თავისი რისხვა მოავლინა მათზედა.

რვა დღემდისინ ყოველს დღეს ავად მეკიდებოდნენ, გავტეხილიყავ, მაგრამ ვერასგზით ვერ გამტეხეს. *მეგონა, ვერავის ვერ გასტეხენ-მეთქი.* იმისთვის, რომ ადრითვე პატიოსანი პირობა დაგვედო ჩვენ ამხანაგებს, „თუ გამოცხადდეს ეს ჩვენი საქმე, არ გავტყდეთო.“ *და ამასთან ბევრი თქმულობა იყო გაუტეხელობაზე.* მხოლოდ იასე ფალავანდოვის საბეზღარზე ვერასგზით ვერ გამტეხდენ, მაგრამ რადღესაც ჩვენ ერთიან დაგვიჭირეს, იმ დღეს ვისთვისაც კი ეკითხათ, მაშინვე გატეხილიყვნენ. იმათი ჩვენებაც თვითოეულად მაჩვენეს.

მესამე ღამის თერთმეტს საათზე მთავარმართებელს ღენერალ ბარონ როზინთანაც წამიყვანეს ბნელის კარეტით შტაბნაჩალნიკმა ღენერალმა, პოლკოვნიკმა ტრიტილევიჩმა და ერთმა აფიცერმა რამდენიმე ცხენიანის ყაზახების შემოხვევით, მაგრამ ვერც იმათმა ძალადატანებამ გამტეხა და ისევ ისე მომიყუანეს უკმაყოფილო სიტყვებითა ჩემს ბნელს ოთახში, სადაც ვიყავი უსინათლოს ბნელს ოთახში მხოლოდ პურსა და წყალზედ რვა დღესა. და ამ დღის საღამოს ჟამს პირველი ღენერალი ბაიკოვი ჩემთან შემოვიდა და გულმტკივნეულის სიტყვით მითხრა:

– „დღეს თვითონ თქვენ ნახეთ თქვენი ამხანაგების ჩვენება, რომ აღარავინ აღარ დარჩა გაუტეხელი. გარდა ამისა, ყველა ამას ამბობენ, ამ შეთქმის თავი და დამწყობი თქვენ იყავით. აბა, რასა იქთ, რომელს თქვენის ამხანაგის ჩუენებას უარსა ჰყოფთ? ნამეტნავად, თქვენის ძმისას და ახლო ნათესავებისას?“

– „ღენერალო, რასაც მიბძანებთ მართალია, რომ თითქმის ყველანი მე მაბეზღებენ, მაგრამ მე არა ვიცი რა.“

– „კიდევ მე არა ვიცი რა? დამიჯერეთ. აღიარეთ, თორემ ღმერთს

შეიქნა, მერე საქართველოს სამოქალაქოს ღუბერნატორობა მისცეს რუსებმა, შემდეგ პირველის ოჯახის თავადისშვილის ქალი შეირთო ცოლად, დასასრულ თავის ძმას იასეს საქართველოს ამთენი თავადები გააუბედურებინა და ბოლოს თავის მფარველი მთავარმართებელი ბარონ როზინი დააბეზღა ხემწიფესთან, მაშინ, როდისაც რომ საქართველოში მოვიდა. *დაბოლოს, ღმერთის სასწაულით, თვითონაც იგი სამსახურიდგან გამოაგდეს და საზოგადოსაგან მოძაგებული სახლში გდია და იშვიათათ გამოდის კარზე.*

ვფიცავ, მოხუცებულს დედათქვენსა დააპყრობილებენ და თქვენს ცოლსა და შვილებსაც. აბა, ღრმათ დაფიქრდით, ჩუენ ხომ ყველა ვიცით და ერთი თქუენი უარი რას შეგმატებთ თქუენ? უფრო მაგით თქუენს ქუეყანას ევნება, მე ამას გარწმუნებ თქუენ. ბარონ როზინს უნდა, რომ თქუენც გულისწმინდით აღიაროთ და ამის გამო ხელმწიფის განრისხებული გული ლმობიერად შესცვალოს თქვენს ქვეყანაზედ. ძალიან კეთილი კაცია ბარონ როზინი.

მცირე მოფიქრების შემდეგ პასუხად მივუგე:

– „ღენერალო, მაგის პასუხს მე ეხლა ვერას მოგცემთ ამისთვის, რომ მე ეხლა შეუძლოთ ვარ შფოთიანის გონებითა და თუ თქვენი ნება იქნება, პატარა ხანს უკან აქ ჩემთან ამობძანდით და სრულს პასუხს მაშინ მიიღებთ, ოღონდ ეხლა დამეხსენით პატარა ხანს.“

– „კარგი იქნება. კიდევ მოვიცდით.“

იმის გასვლის შემდგომ მე ფიქრში ჩავვარდი.

მოხუცებული ბატოიშვილი დედაჩემი... ჩემი გაუტეხელობის მიზეზით საპყრობილეში უნდა დასონ? ... თუ მე არ გავტყდე, ჩემი სასურველი და საყვარელი კატინა საპყრობილეში უნდა დაამწყვდიონ? ...

„შეჩვენებული იუდა იასე ფალავანდოვი გუშინ რომ მომადგა კამისიაში და ღენერლები დაარწმუნა, რომ ყოველი ამ საქმის მიზეზი მე ვიყო, ამისთვის ეტყობათ, ჩემგნით იმედი აქვსთ, რომ მე ბევრს რასმე გამოვუცხადებდე, მაგრამ ესეც არის, რომ დაწვრილებით გამოცხადება კამისიისათვის რაღა საჭიროა მაშინ, როდესაც რომ იასე ფალავანდოვს დაწვრილებით გამოუცხადებია და ყველა კარგად იციან? რა ვიცი, იქნება მართლა ჩემის გატეხით ჩემს ქვეყანას ერგება რამ, მეტი ღონე აღარა მაქვს, გავტყდები და მეც ყველას ვიტყვი, მაგრამ სჯობია, რომ თავი დავისუსტო, ეს უფრო გამოგვიხსნის, იტყვიან სულელები ყოფილანო და ბოლოს იქნება ამით ვარგო რამე ჩვენს ქვეყანას.“

ერთმა მცოდნე ჩინოვნიკმა პ... მითხრა წინათ, თუ ეს ჩუენი საქმე გამოცხადდა და დაგვიჭირეს, მე მხოლოდ თქუენზე დიდს ნაკლულებას ვიტყვი. იციან, მე და თქვენ დიდი მეგობრები ვართ, ამის გამო მე აღარ გავტყდები და თქვენთვისაც სასარგებლო იქნება. ისეც იყო, თავის თავსაც არგო და ჩვენცა, ისიც დაიჭირეს, მეც იმის ეს მახსოვდა და მეც იმის კვალს მივყევ. მართლაც რომ სასარგებლო იყო ეს ჩუენთვის, ამისთვის, რომ ჩუენს ყმაწვილს სულელობას

მიაჩემა მთავრობამ ჩუენი ეს საქმე.[1] იმან ფორმა და კანონი კარგა იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო.

ყოველი კამიისის ამბავი რომ დაწვრილებით აღიწეროს, მგონია, რამდენსამე ტომად გაკეთდეს. ამისთვის სჯობია შევამოკლო, რომ მოწყენილად არ ეჩვენოთ მკითხუელებსა. *შემოკლებით თქმა ვიკმაროთ და ბევრათ კი დავინახოთ. მეც მერვეს დღის დილაზე გავტყდი და ქაღალდზე აღვიარე, მაგრამ თვითწოდებული თ˜ა იასე ფალავანდოვი მოვსპე, მოვთხარე და როგორც ჩვენში იტყვიან, გავალაფიანე. აღარც მე დავზოგე და ვაება დავეცი. იმაზე უფრო დამნაშავეთ აღმოვაჩინე. მაგრამ ესეც ცოტა არევით დავწერე, როგორც სუსტის გამძრახველმა.* იმის შემდგომ მეც დავწერე, რაც ვიცოდი, ნამეტნავად იასე ფალავანდოვს მივყავი ხელი, რაღას დავზოგავდი იმ იუდას და დიდ დამნაშავედ ამოვაჩინე, თუმცა კამისიის ჩლენები ყოვლის ღონით ცდილობდნენ იმის გამართლებას და გამოხსნას, მაგრამ იპრიანა ღმერთმა; პეტერბურღიდან ღენერალი ჩევკინი მოვიდა კამისიის პრედსედატელად და იმან ძირიანად ამოიღო იასე ამისთვის, რომ იასე დიდი დამნაშავე იყო. ასე გაუჭირეს რომ კამისიაში მამადგა და აღიარა: ,,მე მთავრობისაგან შემოჩენილი შპიონი ვიყავ თქვენში, რაც თქვენში განზრახვა იყო, უნდა შემეტყო და გამამეცხადებინა. მე თქვენში რასაც ვლაპარაკობდი და ვსაქმობდი, სულ ცბიერობა იყო, რომ თქვენი განზრახვა ყველა წერილად შემეტყო. შევიტყე და წვრილადაც მამიხსენებიაო.“

ხედამთ, ჯერ პირველად იასე ფალავანოვი შპიონად და დამბეზღებლად რომ არ ჩნდებოდა? პირველი კამისიის ჩლენებიც რომ ჰფარავდნენ? მაგრამ შემდეგ ასე გაუჭირე, მეტი თავის გამოსახსნელი ვეღარა იპოვნა რა და შპიონათ იძახა თავის თავი კამისიაში. მაგრამ ვერც ამითი გამოიხსნა თავი და ლიანდაში უსუდოდ გაგზავნეს. *სალდათათ, თუ სადაც ძლივს იშოვა აფიცრობა სამხედროს სამსახურში.*

კამისიაში ბევრმა საქმემ გაიარა. ბოლოს ვაებით დაასრულეს

[1] იასე ფალავანდოვის საბეზღარი დაწერილი დასტა ქაღალდი შემდგომ ვეღარავინ ნახა კამისიაში, რადგან ყოვლის ცდით იასეს ჰფარავდნენ დამბეზღებლად და სხვას უცოდველსა აბრალებდნენ. რადგან იმის ძმა ღუბერნატორი იყო, ამისთვის რუსების მთავრობა ცდილობდა, რომ იასეზე ეჭვი არავის არ ჰქონოდა დაბეზღებისა. ამისთვის სხვას უცოდველს აბრალებდნენ. ახლა კი ვიტყვი, ხალხს თურმე ჩემზედ ალაპარაკებდნენ, მაგრამ ფალავანდოვმა და იმის ძმამ იასემ დაგვღუპა ყველანი.

ჩვენი საქმე.[1] *მაგრამ რაც მე გადამხდა, ჩემს მოსისხლეს მტერსაც ნუ მისცეს.*

თუ მე მართლა თავი არ დამესუსტებინა და ჩემს ზოგიერთ ამხანაგებამდისინაც არ მიმეხწევინებინა, რომ იმათაც ისე ეთქოთ ჩემზე, მაშინ მთავრობა ჩუენს საქმეს ისე სუბუქად აღარ მიიღებდა და საუკუნოდ დავიღუპებოდით ყველანი. მაგრამ ამ ჩვენი შეთქმის თავი პირველთაგანი მე რომ სუსტად დამინახეს, ამისთვის ყველანი იძახდნენ რუსნი თუ ქართველები: „სულელებს და ყმაწვილებს მოუხდენიათ შეთქმა და იმათგან რა შეთქმა უნდა ყოფილიყოო.“

მართალია ბევრი კარგებიც ერივნენ ჩვენს საქმეში, მაგრამ ვისი სახელი და ამბავი იასემ იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა-რა უფრო მომეტებულებისა, იმათი არა გამოჩნდა-რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე.

ბოლოს გამოძიების კამისია დასრულდა და ხელმწიფესთან წარადგინეს. ხელმწიფიდგან გადაწყვეტილება მოვიდა, ზოგის პატიება, ზოგის რუსეთში გაგზავნა და ზოგის სუდში მიცემა. სადაც ღენერალი ახლოსტიშოვი იყო პრედსედატელი და შტაბაფიცერი ჩლენებად, ამ სამართალმა თავისი გადაწყვეტილება მთავარმართებელს ბარონ როზინს გაუგზავნა. ბარონ როზინმა თავისი აზრი ხელმწიფესთან წარადგინა და ხელმწიფისგან მინამ გადაწყვეტილება მოვიდოდა, ჩვენს ცოლ-შვილებს და ნათესავებს ნება მისცეს ჩვენთან სიარულისა. ამ დროს მე და ჩემი ძმა ვახტანგ და ის ჩინოვნიკი პ... (იმისი ამბავი ადრე ითქვა) სამნი ერთს ოთახში ვიყავით დაჭერილები.

ერთს დილაზე, ის იყო ჩაი დავლიეთ და ტანისამოსი ჩავიცვით, მოვიწადინეთ სასეირნოთ გავსულიყავით კარზე, ამ დროს ჩვენი თავმდეგი, კაპიტანი იეკუბოვიჩი შემოვიდა და ჩვენ ძმებს გვახარა, – „დედათქვენი ბატოიშვილი მობძანდა და ნება აქვს მთავარმართებლისაგან, რომ თქვენი ნათესავები მოვიდნენ თქვენს სანახავათ. როგორც თქვენთანა აქვთ მოსვლის ნება, ისე სხვებთან თავის ნათესავებსა.“

ჩვენ დიდის სიხარულით მოვემზადენით. მცირე ხანს უკან კარები გააღეს და პატივსაცემელი ბატოიშვილი დედაჩვენი, მედიდურის სახის მქონე, განსვენებულის სახით შემობძანდა და ორ-

[1] მგონია, 14-ს თვეზე დასრულდა გამოძიება და სუდიც.

თავ სიამოვნით შემოგვღიმა. ჩვენ, იმისმა შვილებმა, ერთმან ერთს ხელს შევტაცეთ და მეორემ – მეორე ხელსა და კარგა ხანს ტუჩებიდგან ვეღარ მოვიშორეთ. ასე ხელზე კოცნით წამოვიყვანეთ და ჩემს კრავოტზე დავსვით. ბატოიშვილმა დედამ მაღლა რომ აიხედა, ჩვენმა ერთის ოთახის ამხანაგმა, დიახ ზდილობიანათ მდაბლათ დაუკრა თავი. ბატოიშვილმა დედაჩემაც მაგიერი გადაუხადა.

ერთ საათამდისინ დაჰყო ჩვენთან ბატოიშვილმა დედამ. ჩვენი ნუგეშინისცემა იმისგნით ამის მეტი არა იყო-რა: „ჯერ თქვენი უბედურობა არ დასრულებულა. რაც უბედურობაში კიდევ უნდა ჩაცვივდეთ, ის კიდევ სხვა იქნება. ამიტომ კიდევ გეტყვით, რომ კიდევ მოითმინოთ. ჩემი დიდი ბებია ქეთევან დედოფალი იმისთანა უბედურობაში ჰყვანდა შაბასსა საპყრობილეში დამწყვდეული, მაჰმადიანთ სარწმუნოება მიიღეო, მაგრამ არ ინება. ვერას ჩაგონებით რომ ვერ დაითანხმავეს, შააბაზ განრისხდა და საშინელი ტანჯვა დაუნიშნა. ეს ამბავი შირაზში იყო. ერთ დილაზე შირაზის ხანი მწარეს ცრემლით მივიდა საპყრობილეში და ძრწოლით გამოუცხადა, როგორი სასჯელი დაენიშნა შააბაზს იმისთვისა და ამასთან მახვილები დაუყარა წინა: აი, ამით უნდა დაიტანჯო, თუ შააბაზის სურვილს არ აღასრულებო. საკურველი დიდსულოვანი ქეთევან დედოფალი უცრემლოდ, მამაცურად, დამყუდროებულის გულით წამოდგა და მტარვალთ შესძახა – ჩემს სულთან საქმე არ გაქვთ რა, ღვთისა არის! აჰა, ხორცი ჩემი და მახვილი თქვენი, ნუღარ ჰყოვნით, მაწამეთო! ამ სიტყვაზე ხანი ვეღარ დადგა მწუხარებით, ტირილით კარზე გამოვარდა. რაღა უნდა გავაგძელო ლაპარაკი იმაზედ. *მაშინ მტარვალნი მოვიდნენ და საშინლად აწამეს ქეთევან დედოფალი, რომ ქუეყანაზედ თითქმის მაგალითი არ მომხდარა.* ისე სტანჯეს დედოფალი ქეთევან მტარვალებმა, რომ ენითაც ძნელი სათქმელია. მაგრამ ასე მოთმინებით იყო, არც კი ამოუკვნესია, აი, უბედურობაში მოთმინების მაგალითი ქეთევან დედოფალია. ნამეტნავად დედაკაცისაგან ამგვარი საქმე უფრო გასაკვირველია! თუ დედაკაცმა იმისთანა საშინელი უბედურება მოითმინა, კაცებს რაღა გმართებთ?!“

ბევრი მაგალითები გვითხრა და დასასრულზედ ესეც გვიბძანა: – „ნუ შეწუხდებით, ჩემს თავს აღარ მოვასვენებ თქვენის გამოხსნისათვის და იმედიცა მაქვს, ღვთის მოწყალებით მალე გამოგიხსნით.“

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის დედები მწუხარებით დაიხოცნენ თავიანთის შვილების დაჭერაზე, რომელთაცა ერთი და ორი შვილი იმათთან დარჩა სანუგეშოდ. მაგრამ დედაჩვენს სამი შვილის მეტი არა ჰყავდა-რა, რომლებიცა სამივ უბედურებაში ჩავცვივდით.[1] შემდგომ იმაზედაც როგორი უსამართლობა მოიღეს, იმასაც შემდგომში ვიტყვი. თუმცა დიდად გრძნობდა ჩვენს უბედურობასა, მაგრამ ძრიელის ხასიათით არ იმჩნევდა და მოთმინებით ბძანდებოდა.

ერთს საათს უკან წამოდგა, წასასვლელათ მოემზადა და მე მიბრძანა:

– „ალექსანდრე, ვიცი, გიამება, – შენს კატინას გამოგიგზავნი და ბინდამდისინ აქ იყოს შენთან.“

მე გავექანე და ორივ ხელები გადვუკოცნე. ბატოიშვილი დედა რომ წაბძანდა, მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, ჩემი კატინა ნახევარის სიხარულით და ნახევარის მწუხარებით შემოვიდა და სურვილით გადავეხვიენით ერთმანეთსა, მასუკან ჩემ ძმას მიესალმა, მერე ჩვენს ამხანაგს თავი დაუკრა, რომელსაცა ადრითვე ჩემს მეგობრად იცნობდა, ჩემთან რომ მოვიდოდა ხოლმე. შემდეგ დავსხედით, დავიწყევით ლაპარაკი. კარგა მოუბნობის მერე ჩემი ძმა და ჩვენი ამხანაგი სასეირნოდ წავიდნენ გარეთ. მე და ჩემი კატინა დავრჩით ორნი. თავი გადავუხარე და ტკბილად რომ ვაკოცეთ ერთმანეთსა, მასუკან ვკითხე:

– „მე რომ წამამიყვანეს, რა ანბავი მოხდა ჩვენ სახლში და ან როგორ იყავ შენა?“

– „ახ! სანდრო, რაღა მოხდა? მთელი ქალაქი შეძრწუნდა თქვენ დაჭერაზე და ფერი აღარავის აღარ ჰქონდა. ასე ეგონათ, ჩვენც დაგვიჭერენო, ასეთი შიშის ზარი დასცეს ხალხსა. ჩვენთან ხომ ვეღარავინ ვეღარ დადიოდა. ასე შეშინებულები იყვნენ ყველანი, შენი მეგობრის თ˜ა პავლე თუმანოვის, იმის ცოლის რიმსიმესი და შენი მამიდაშვილის მაკას[2] მეტი სხვა ვეღარავინ ვეღარ ბედავდა ჩვენთან სიარულსა. ჩვენი ნუგეშინისმცემელნი ეს სამნი იყვნენ და ღმერთმა მშვიდობა მისცეთ სამთავ. შენ რომ წამოგიყვანეს, სავა-

[1] შუათანა ჩემი ძმა დიმიტრი უსუდოთ გაგზავნილი იყო რუსეთს ქ. კალუღაში და ამ დროს საქართველოში აღარ იყო.

[2] ადრევ იყო ამის სახელი ზევით ხსენებული.

ლალო ტირილი გავმართე, მაგრამ ბატოიშვილი დედა შემობძანდა ჩემთან, ასეთი მრისხანეს სიტყვით მიბძანა დაჩუმება, რომ იმათის თავაზის გულისათვის მაშინვე დავჩუმდი, ხმა ვეღარ ამოვიღე. მერეთ გვერდით დამიჯდა, სხვადასხვის გონიერის ლაპარაკით გამამაგრა და ასეთი მოთმინება მასწავლა, რომ ღვთის მადლობით მივითვალე შენი უბედურებაში შთავარდნა. ამის შემდეგ თავის ოთახიდგან აღარ მიშორებდა, განუშორებლად გვერდით ვახლდი დღეცა და ღამეც. თუ შეწუხებულს მნახამდა, სხვადასხვა ლაპარაკს დამიწყებდა და თავის საუცხოვო ლაპარაკში გამართობდა. ოჰ! როგორ დამავიწყდება მე თეკლე ბატოიშვილი! ის ბძანდებოდა ჩემი ნუგეში და იმედი, თორემ უეჭველად მოვკვდებოდი. აი, ჩემო სანდრო, ვინც მომათმენინა შენი უბედურება.“

– „ჩემო კატინო, შენ ნუ მომიკვდები, ბატოიშვილი დედაჩვენი საკურველი დედაკაცი არის!..“

– „მართალია, მართალია, ჩემო სანდრო, შენ ნუ მომიკვდები!“

მინამ ხელმწიფიდგან ჩვენი საქმის გადაწყვეტილება მოვიდოდა, ყოველ დილაზე ჩემი კატინა მოვიდოდა ჩემთან და ბინდზე წავიდოდა. ბატოიშვილი კი კვირაში ორჯერ გვნახამდა, ხან ერთ საათს და ხან ორ საათამდისინ ბძანდებოდა ჩვენთან. ამაობაში კარგი ხანი გავიდა.

ბოლო დროს 1834 წელსა, გაზაფხულის ერთ საღამოზე, ცხრა საათი რომ შესრულდა ღამისა და ჩემი კატინაც წასული იყო შინათკენ, უნტეროფიცერი მოიჭრა და ჩვენი ოთახის კარებს კლიტე დააადო გარედამ და როგორც ჩვენს პირველ ამბებში იყო დაკეტილი, ისევ ისე დაგვირაზეს კარები. ჩვენ სამნივ გავშტერდით: რა ამბავი უნდა იყოსო. მცირედი დავაცალეთ, კაპიტანი იეკუბოვიჩი შემოვიდა სრულის ფორმით და მკაცრის სიტყვით გვითხრა. – „ქვემოთ კამისიაში ჩამობძანდითო.“ კარიდორში რომ გამოვედით, ოთხი უთოფო სალდათები შემოგვეხვივნენ, ქვემოთ ჩაგვიყვანეს და სადაც ადრე გამოძიების და სუდის კამისია იყო, იქვე შეგვიყვანეს. სულ ერთიან ჩვენი ამხანაგები იქ დაგვხვდნენ. მარჯვნივ რომ შეგვიხედეთ, სადაც ადრე სტოლი იდგა ხოლმე და ჩლენები იმ სტოლის გარშემო ისხდნენ, ისევ ისე იდგა სტოლი, ისევ იმისთანა წითელი მაუდი გადაეფინათ და სტოლის თავს შტაბსნაჩალნიკი ვალხოვსკი იჯდა სრულის ფორმით შეჭმუხვნილის სახით. წინ რაღაც დაწ-

ერილი ქაღალდი ედო და რამთენიმე აფიცრები სრულის ფორმით იდგნენ ცოტა იმის მოშორებით. ჩვენ რომ იქ შევედით, ჩვენ ამხანაგებში ჩავდექით, ნაჩალნიკშტაბმა მოახლოვოთ მიგვიხმო, ჩვენც წავდექით წინა. შემდეგ დღესასწაულის და მკაცრის სიტყვით დაიძახა:

– „თქვენი შემცოდეობა ხელმწიფე იმპერატორმა განიხილა და თავისი მოწყალე ყურადღება თქვენზე მოაქცია. აი, მისი მოწყალე გადაწყვეტილება, რომლითაცა ყველამ უნდა იგრძნოთ იმის მოწყალება.“

ჩვენ ყველამ თავი დავუკარით. კიდევ მოჰყვა:

– „არტილერიაში ნამსახურს პრაპორჩიკს, შემდეგ გადამდგარს პოდპორუჩიკსა თ˜ა ელიზბარ ერისთოვს აეყაროს ჩინი, არა თავადობის ღირსება და რედავოით გაიგზავნოს ლიფლანდიაში, მაგრამ ნამსახურობით ისევ დაუბრუნდეს ჩინი.“

რადგან ამის შემდეგ მეორე პირი ვიყავი შეთქმისა. ამისთვის ახლა მე გამიყვანეს წინა და წამიკითხა:

– „გადამდგარი პოდპორუჩიკი, თ˜ა ალექსანდრე ორბელიანი სამხედროს სამსახურში დაინიშნება ორენბურღის ღუბერნიის ერთ-ერთს ლინეინის ბატალიონში პრაპორშიკად და თორმეტის წლით გაიგზავნოს. მაგრამ შემდგომ თორმეტის წლისა უნდა საქართველოს მთავარმართებელს ეკითხოს, შეიძლება იმისი საქართველოში მოყვანა თუ არა.“

რაღა გავაგძელო, ყველას თითო ამგვარი წაუკითხეს და ჩემს ძმას ვახტანგსაც კალუღაში შეხვდა ჩვენს ძმა დიმიტრისთან.

ამის მეორე დღეს განითქვა მთელს ქალაქში ეს ამბავი, რომლებიცა ყველანი მადლობას ამბობდნენ ხელმწიფე იმპერატორისას, რომ ასე სუბუქად დააბოლოვა ჩვენი საქმე და არაფრად მიიღო. მაგრამ მესამე დილა რომ გათენდა, მეთორმეტე საათზე ბატოიშვილი დედა და ჩემი კატინა შემოვიდნენ ჩვენთან და მოგვილოცეს სუბუქად დაბოლოება საქმისა. ბატოიშვილი დედა განსვენებულის გულით ბძანდებოდა და ჩემი კატინა, თუმცა არ იმჩნევდა, მაგრამ დიდი მწუხარება ეტყობოდა სახეზე. სიყვარულიანს ლაპარაკს შემდეგ ბატოიშვილმა დედამ ბძანა:

– „ეს თქვენი საქმე დიახ კეთილათ დაბოლოვდა, მაშინ, როდისაც რომ მეგონა, უბედურებაში ჩაცვივდებოდით. გავს, ღმერთი

გწყალობსთ. მაგრამ მე ერთი რამ უნდა გამოგიცხადოთ, თუ არ შეწუხდებით?...“

მე გულმოდგინეთ ვთხოვე თქმა, მაგრამ მინამ პირობა არ გამოგვართო, არა ბძანა.

– „ჩვენი სახლიდგან თქვენს სამს ძმებსა გარდა დღეს მეც გამამიცხადეს: ხელმწიფის ნება არის, რომ თქვენც კალუღაში უნდა წაბძანდეთ თქვენს ორ შვილს დიმიტრის და ვახტანგთანაო.“

ამ სიტყვაზე მე და ჩემს ძმას ვახტანგს ფერი გვეკრთო, მაგრამ მაშინვე ბატოიშვილმა დედამ მოგვატანა:

– „ჰაა, მწუხარება არ შეიმცნიოთ!“

ჩვენ თავები ჩავღუნეთ, მწარედ დავღონდით. მეორეს მხრით ჩემი კატინა წამოდგა, ბატოიშვილს დედას უკან მოეფარა, ფანჯრისაკენ თავი მიიღო და მსხვილი ცრემლები გადმოყარა. ყოვლის ღონით ცდილობდა, არავის შეემცნია ცრემლი.

ამ დროს ბატოიშვილმა დედამ მოხედა, მოიხმო და დარიგება უბძანა, მაგრამ ჩემმა კატინამ მოუთმენელის გულით და მწარის ცრემლით მოახსენა. –„ჩემო ხელმწიფავ ბატოიშვილო! მე სუსტმა დედაკაცმა როგორ მოვითმინო? თქვენი მოშორვება მოვითმინო თუ თქვენი შვილის, ჩემი ქმრისა? ნეტავი, ჩემი ერთ-ერთი მაზლი მაინც არ გაეგ ზავნათ და სახლი არ აეოხრებინათ. ამ ჩემი საწყალი და წვრილის შვილების პატრონი ვინ იქნება?“

ბატოიშვილმა დედამ მოთმინების გულით ბძანა:

– „ასე არის დაუდგრომელი სოფელი. მინამ ადამიანი ცოცხალი არის, სოფელი არ ასვენებს. მე უბედურობისა არ მეშინია, მაგრამ უსამართლოდ რომ მსჯიან, ეს კი საგრძნობელადა მაქვს, მაგრამ ამასაც ღმრთის მადლობით მოვითმენ და ჩემს გულსა აგრე ჩქარა ვერ შემირყევენ. მე მეფის ირაკლის ქალი ვარ და იმის მაგარ გულზედ გაზდილი, რომელიცა თავისგნით არ მიშორვებდა მე. ამასაც ვიტყვი, რომ რადგან რუსების მონებაში ვიმყოფები, მეტი ღონე არა მაქვს, უნდა თავი დავიმდაბლო და ვითხოვო, უსამართლოდ ნუ მსჯიან მე და ჩემი თავისუფლება ისევ დამიბრუნონ.[1] თუ ჩემი თხ-

[1] უსამართლობას ამაზედ ამბობდა, რომ რადგან ბევრი შემცოდენი გამოუშვეს დაუსჯელი, ნამეტნავად იმ მეფის ირაკლის ქალს სულ არ უნდა შეხებოდა მთავრობა. მართალია, ჩუენი ყოველი საქმე სულ იცოდა და დაფარვით ჩუენი მონაწილეც იყო, მაგრამ დიახ გაფთხილებით.

ოვნა შეიწყნარეს, მადლობელი ვიქნები, თუ არადა, ამ ჩემს ცოცხალს თავსა რაც ნებავდეთ, ის უყონ.“

ამ უკანასკნელს სიტყვასთან გაჩუმდა და მედიდურის მამაცურის სახით კედელზე მიესვენა. მე სწრაფათ ბალიში მივართვი, ბეჭებსა და კედლის შუა ჩაიდო და გადასვენებით მიეყუდა.

ამაობაში ჩემმა კატინამ თვალები მოიმშრალა ბაღდადის მწვანეს ხელსახოცით, რომ ბატოიშვილმა დედამ ვერ შეამცნია. მასუკან მოვიდა და ცოტა მოშორებით დაჯდა ბატოიშვილს დედასთან.

სადილობამდისინ ჩვენთან ბრძანდებოდა, სხვადასხვა მაგალითებს გვიანბობდა. შემდგომ წაბრძანდა და ჩემი კატინა ჩემთან დარჩა. სადილი რომ გავათავეთ, ჩემი ძმა ვახტანგ და ჩვენი ამხანაგი სასეირნოდ გავიდნენ კარზე. იმათ გასვლასთანავე ჩემი კატინა კალთაში ჩამიჯდა, მარჯვენა ხელი ყელზე მამხვია, თავი მხარზე გადმამადო და შეწუხებულმა მითხრა:

–„სანდრო, შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, სადაც იყო, მეც შენთან მამყოფე.“

მე მშვენიერს გულზედ ვაკოცე სიტკბოებით და გადაწყვეტილის სიტყვით ვუთხარ.

– „სიხარულით წაგიყვან. შენი ყოფნა ჩემთან, ხომ იცი, ჩემი ბედნიერება არის, მაგრამ არა სჯობია.“

– „რატომ, ჩემო სიცოცხლეო სანდრო?“

– „ამიტომ, რომ მე ვხედავ, ჩვენი სახლის დამხობა უნდათ ჩვენს მტრებსა, თორემ არცერთი ჩემი ძმა არ უნდა გაეგზავნათ, მაშინ, როდესაც რომ უდიდესი შემცოდნი აქ დააგდეს და მცირედის დამნაშავის მქონებელი ჩემი ძმები უნდა რუსეთში გაიგზავნონ? ნამეტნავად მოხუცებულს ბატოიშვილს დედას და დედაკაცს რაღას ემართლებიან, თუ ჩვენი სახლის დამხობა არ უნდათ?“

– „მე რომ შენ წამიყვანო, მაგიტომ რად დაიმხობა, ჩემო სანდრო?“

– „მე რომ შენ წაგიყვან, ჩვენი წერილი შვილებიც ხომ თან უნდა წავასხათ. ჩემი ძმა დიმიტრიც ხომ თავის ცოლშვილს დაიბარებს კალუღაში და უთუოდ წაიყვანს. მაშ, ჩვენს სახლში ვიღა დარჩეს? თუ ჩვენი სახლი ჩვენით დაცარიელდება, აღარავინ აღარ დარჩება, ჩვენი მტრები უფრო განძლიერდებიან და უფრო ბევრს გვავნებენ. თუ რომ შენ შენი შვილებით აქ იქნები, ჩვენი სახლობის ფიქრი კიდევ აქეთკენ გვექნება და მაშინ ყველანი ვეცდებით, დროისათ დავბრუნდეთ.“

– „ნეტავ ვიცოდე, ჩვენი მტერი ვინ არის?“

– „ჩვენი მტერი ლუბერნატორი ნიკოლოზ ფალავანოვია.“

– „რა მიზეზი აქვს ჩვენს სახლზე იმას?“

– „როდისაც თავადობის ღირსებას ეძიებდა, მამაჩემი მაშინ უეზდის მარშალი იყო, *რადგან მამაჩემს მართალ კაცად იცნობდნენ ყველანი, ყოველი ბოროტმოქმედება საზიზღრათ მიაჩნდა, ამისთვის* ის წინ აღუდგა იმას მთავრობის წინაშე. არამცთუ თავადი იყოს, ნიკოლოზი, აზნაურიშვილიც არ არისო. შემდგომ მამაჩემისა, ნიკოლოზმა თავადობა დაიმტკიცა და გვარად ფალავანდოვი შეიქმნა. მაგრამ მაინც არ იკმარა, დრო იპოვა და რადგან ახლა მთავრობასთან ძალა და გავლენა ბევრი აქვს იმას, ამიტომ მამიჩვენის ჯავრსა ჩუენს სულერთიანს სახლზე ყრილობს. თუ ღუბერნატორი ნიკოლოზ ახლო მეგობარი არ ყოფილიყო მთავარმართებელის ბარონ როზინისა, ის ასეთი კეთილი კაცი არის, რომ ჩემს ძმებსა გასაგზავნად არ გამოიმეტებდა, თორემ ბატოიშვილს დედას როგორ შეეხებოდა, მაგრამ ღუბერნატორი მეგობრობას ვეღარ წასვლია და ამისგან იღუპება ჩვენი სახლი.“

– „ეგ, დიახ მართალია, მაგრამ თავის ძმა იასე რაღად გააგზავნინა?“

– „პირველათ იასეს ამართლებდნენ, უთუოდ კიდეც გამოუშვებდნენ, მაგრამ მე რომ ის მკლამდა, მაშინ აღარც მე დავზოგე და ასეთს დამნაშავედ აღმოვაჩინე, რომ თუ იმის ადგილას სხვა ყოფილიყო, უნდა დაეხრჩოთ. მაგრამ მხოლოდ რუსეთს გაგზავნეს სამსახურში და იმ დიდის უბედურებისაგან მოარჩინეს.“

– „რასაც ამბობ, უთუოდ აგრე უნდა იყოს. ახლა მეც ვხედავ, რომ სწორედ ნიკოლოზს დაუღუპავხართ, ამისთვის, რომ ვისაც იჭერდნენ და ან კითხუაში ჰყავდათ, ყველანი შენზე ლაპარაკობდნენ, ალექსანდრეს დაუბეზღებიაო. ან თქვენს კამისიაში თუ იმისთანა მოხდებოდა რამე, იმასაც შენ გაბრალებდნენ. დიდისა პატარამდისინ სულ შენ გწყევლიდნენ და შენზედ იყო განგაში ყველასგან. ასე გაშინჯე, ჩუენც ვჯავრობდით შენზე.“

– „ამისთვის, რომ ღუბერნატორზე ეჭვი არავის არ მიეტანა და ესეც, რომ ჩვენი სახლის საწინააღმდეგოდაც აალაპარაკა ხალხი ჩემზე.“

მე არავიზედ არა დამეწერა რა, მაგრამ იასე ფალავანდოვი

საიდუმლოთ კამისიის ორს ღენერალს ვალხოვსკის და ბაიკოვს არწმუნებდა, რომელნიცა იასეს მხარენი იყვნენ, რომ ესა და ეს ამბავი და ესა და ეს საქმე ალექსანდრემ იცისო. მინამ ღენერალი ჩევკინი მოვიდა კამისიის პრედსედატელად, მანამდისინ ნაჩალნიკშტაბი ღენერალი ვალხოვსკი სულს მართმევდა და რასაც იასე ეუბნებოდა, ძალდატანებით მაწერინებდა. მეტი ღონე არ იყო და მეც დავისუსტე და რასაც მეუბნებოდა, იმას ვწერდი. როდისაც ღენერალი ჩევკინი მოვიდა, იმასთანაც შემასმინეს, იმანაც ძალა დამატანა და რაც უნდოდათ, კიდევაც მათქმევინეს. ამაში მე ჩემთვისა ვთქვი. „მეტი ღონე არ არის, ვიტყვი, მარამ როდისაც ჩემზე ეს საშინელება დაწყნარდება, მაშინ მე ვიცი, როგორც გავამართლებ ყველას და ან როგორც გამოვიხსნი.“ რაღა უნდა ვთქო, მასკვან ჩემს მხარეს დატრიალდა ღენერალი ჩევკინი, ამისთვის, რომ ყიზილბაშის პახოტში გავიცან და მახლობლად ვიცნობდი ღვთის შეწევნით ამ საქმემ გასჭრა და შემდეგ მე ვიდღესასწაულე იასე ფალავანდოვზე და ღვთის სამართლის ვაება დასცა იასე ფალავანდოვს ღენერალმა ჩევკინმა.

ჩემმა კატინამ მე აღარ დამაცალა.

– „ღმრთისგან იმედი მაქვს, ღუბერნატორ ნიკოლოზ ფალავადოვსაც გადაახდევინებს, მაგრამ ბატოიშვილი დედა ვინ დააბეზღა?“

– „არ ვიცი, ჭეშმარიტად. თუ იასე ფალავანდოვის ბეზღით გზავნიან, არ დავიჯერებ, რომ იასეს დაბეზღებით დასჯიდნენ.“[1]

– „მაშ, რა მიზეზისათვის გზავნიან?“

– „იქნება, კიდევ ღუბერნატორის ფალავანდოვის ეშმაკობა იყოს რამე ბატოიშვილის დედას გაგზავნა, თორემ სხვა მიზეზს მე ვერასა ვხედამ.“

ამ სიტყვასთან ამოიოხრა და მას უკან დაღონებით მითხრა:

– „ჩემო სანდრო, მაშ აქ უნდა დავრჩე, წელიწადები გავიდეს, რომ ვეღარა გნახო?“

– „ჩემო სიცოცხლეო კატინო, მეტი ღონე არ არის, უნდა მოითმინო. მაგრამ შენ დედ-მამასთან უნდა გადახვიდე წვრილი შვილებითა და იმათთან იცხოვრო, მინამ ღმერთი კეთილად დააბოლოებ-

[1] მართალია, იასე კამისიაში მამადგა, ბატოიშვილი დედაშენიც გარეული იყო ჩვენშიო, მაგრამ კამისიამ ყური არ ათხოვა, არამცთუ დაეჯერათ.

დეს ჩვენს საქმესა. შენ სარწმუნოთ იცოდე, რაკი მე ამ კამისიას გადავურჩი, რუსეთიდგან მოსვლა უფრო ადვილია – ნიკოლოზ ფალავანდოვი აღარ იქნება, რომ საქმე ჩამიშალოს. სადაც უნდა ვიყო, იმედი მაქუს, ყველანი შემიყვარებენ და მოიწადინებენ, დროისათ დამაბრუნონ.“

– „ჩემო სანდრო, კიდევ მოვითმენ,“ ცრემლით მითხრა. „მაგრამ ძვირად დაუჯდება ჩემს სიმრთელეს იმთენი მოთმენა.“

მე ჩემის ხელსახოცით მშვენიერნი თვალები მოვწმინდე და ალერსიანი სიტყვით დავამშვიდე, მაგრამ გული კი მიკვდებოდა, *მებასრებოდა.*

ამ დროებში ჩემნი ამხანაგები თვითეულად წაიყვანეს თავთავის დანიშნულს ადგილს რუსეთისკენ. ივნისის გასულის რიცხვებში მე და ჩემი ძმა ვახტანგიც გამოგვიყვანეს, ქირის დროშკაში ჩაგვსხეს, მთავარმართებელ ბარონ როზინთან მიგვიყვანეს და კაბინეტში შეგვიწვიეს. ბარონ როზინმა კეთილგონიერებით დაგვარიგა და დასასრულზე გვითხრა:

– „ხელმწიფის ნება არის, ბატოიშვილი დედათქვენიც კალუღაში წავიდეს და თავის ორს შვილთან იცხოვროს.“

ჩვენ რას ვეტყოდით. თავები ჩავღუნეთ და ხმა აღარ ამოვიღეთ. შემდგომ მითხრა:

– „ეს თქვენი ძმა ვახტანგ ბატოიშვილს დედათქვენს გაჰყვება, ერთად წავლენ კალუღისკენ. რადგან თქვენ ცოლშვილიანი ხართ, ამისთვის თქვენთვის ნება მომიცია, ორი კვირა მეტი თქვენს ცოლ-შვილში დაჰყოთ და შემდეგ ჩემს დანიშნულს აფიცერს გამოგატანთ და ორენბურღისაკენ წახვალთ.“

მე მადლობის თავი დაუკარი.

მართლა რომ ორი კვირა მეტი დავყავი ჩემს სახლში და რაოდენ ჩვენს უბედურს სახლს შეეფერებოდა, ვმხიარულობდით, მაგრამ როდესაც ჩემს კატინას მოაგონდებოდა ჩემი წასვლა, სახე ზაფრანის ფერად შეეცვლებოდა. მე მაშინვე მივიდოდი და ნუგეშსა ვცემდი სიყვარულიანის ალერსით.

ღმერთს ვმადლობ, რომ ამისთანა საუცხოვოს დედაკაცსა ასე ვუყვარვარ და ღვთის წინაშე, მეც ნაკლებ არ მიყვარს იგი. მე რომ ორენბურღისკენ გამოვემგზავრე, იმ ჟამის ამბავს აღარას ვიტყვი, ჩემი კატინა ვითარ სწუხდა! ამისთვის, რომ წვრილათ რომ მოვყვე,

გულის და სულის შესახუთველი არის, მხოლოდ ეს ვიკმაროთ.

მე და ჩემი კატინას გაყრას აქ ველარას ვიტყვი, მხოლოდ ამის მეტსა, რომ ჩემი კატინადგან ბატოიშვილის დედასთან შევედი. ბატონიშვილს დედას ხატებისთვის თახჩაში წმინდა სანთლები ანთებული ჩაემწკრია ღმრთაება უცვალებელისთვის და ღმრთისმშობლის ხატებისთვის. ბატოიშვილმა დედამ მიბძანა:

– „შვილო ალექსანდრე, ქვეყანაზე ბევრი უბედურნი არიან, რა ვქნათ, იმათ შორის ჩვენი სახლიც უბედური იყოს ღმრთის მადლობით მოვითმინოთ. ამ ცოტა ხანში მეც გამამისტუმრებენ და შენს ძმას ვახტანგსაც. განსვენებული გულით მივდივარ მე. თუ შენ ჩემი შვილი ხარ, შენც ჩემსავით მაგრა იყავ და უბედურობას ნუ გაუტყდები. კარგი, წადი, ღვთისათვის მიმიბარებიხარ.“

წამოვდექ და მინდოდა, ორსავ ხელზედ მეკოცნა, მაგრამ არ მიმიშო და ამ სიტყვით მიბრძანა:

–„წადი, იმ ხატებს ემთხვიე, ეს სჯობია!“

მიველ, გულით ვემთხვიე, მას უკან კიდევ მიბძანა:

–„უწინდელს ჩვენს დროში, ვინც შორს გზაზე წავიდოდა, მხოლოდ სიტყვით გამოესალმებოდა და არა კოცნით. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ნურავის აკოცებ და სიტყვით გამოესალმე.“

მდაბლად თავი დავუკარ და მოაჯირზე გამოველ.

ამ დროს დიდი ელვა-ჭექა იყო და თქეში წვიმა მოდიოდა. ყველანი ამბობდნენ, მშვიდობიანი მგზავრობა ექნება და ღვთით ჩქარაც დაბრუნდება, ამისთვის, რომ თვით ზეცა მოასწავებსო (უწინდელს დროში ვინც შორს გზაზე წავიდოდა და თან წვიმა დაჰყვებოდა, სწორეთ ამ სიტყვას იტყოდნენ).

ამ ჰაერის არეულობასა არა დავდიე რა და მოაჯირზე გამოველ. მოაჯირზე რაოდენიმე ქალები შეკრებილიყვნენ, ჩემი ნათესავები, რომელნიცა ელოდნენ, რომ ყველას ვაკოცებდი. იმათ ყველას სიტყვით გამოვესალმე – კიბეზე ჩამოვედი და შებმულს ბრიჩკასთან მივედი. ბრიჩკასთან დამხვდა ჩემი ჭეშმარიტი მეგობარი პავლე თუმანოვი, ჩემი მამიდაშვილი თ˜ა თადია ჩოლოყაევი, რომელიცა ამ საღამოს სოფლიდგან ჩამოვიდა ჩემს გამოსასალმებლად და რომელთაცა დიდად გვიყვარდა ერთმანეთი, და ჩემი სიმამრი თ˜ა დავით ბარათოვი. ბრიჩკასთან რომ მივედი ჩასაჯდომად, ჩემი მეგობარი პავლე მოვიდა ჩემთან და შეწუხებულმა მითხრა:

– „საყვარელო მეგობარო ალექსანდრე, მე ვგრძნობ, შენ მშვიდობით დაბრუნდები, მაგრამ მე ცოცხალი აღარ დაგხვდები. გთხოვ, უკანასკნელად მაკოცნინო პირზე, რომ საუკუნო გამოსალმება იყოს.“

იმის სიტყვაზე გულმა წუხილი დაიწყო. ამ დროს ჩემი სიმამრი მოვიდა და იმანაც მამობრივი გულმტკივნეულობით კოცნა მთხოვა. და რაც პავლემა თქვა თავისთავზე, იმანაც ის მითხრა. მე სიტყვის თქმა აღარ დამცალდა, ჩემმა მამიდაშვილმა თადიამ კისერზე ხელი გადამხვია და იმანაც კოცნა მთხოვა და სწორეთ იმანაც ისა თქუა თავის თავზე, რაც იმათა თქვეს. მე მწარეთ დაღონებული დავდექი, არ ვიცი, რა უნდა მექნა, მაგრამ მე მაინც ბატოიშვილის დედაჩემის სიტყვა ვერ გავტეხე, ვერცერთს ვერ ვაკოცე, ნუგეშინის ცემით სამთავ სიტყვით გამოვესალმე. ამასთანავე ბრიჩკაზე ავედი და იქით მხარეს გადავჯექი. ჩემს გვერდით დაჯდა ნიჟეგოროდსკის დრაგუნის პოლკის პორუჩიკი მინიცკი, რომელიცა მთავარმართებლისაგან იყო დანიშნული ჩემს წასაყვანად. ჩვენს პირდაპირ დაჯდა ერთი გადამდგარი პორუჩიკი, რომელიცა ორენბურღის ქალაქში მივიდოდა თავის სახლში. ბრიჩკის კოზლაზედაც ჩემი საკუთარი მოსამსახურე დაჯდა ფოშტის იემშჩიკთან, რომელსაცა ნება მომცეს, წამეყვანა. ჩვენ რომ ბრიჩკაში გავსწორდით, ხმამაღლითა დავიძახე:

– „ყველას ერთიან მშვიდობით! გთხოვთ, ნურავინ ნუ შეწუხდებით!“

ამ სიტყვაზედ ოთხცხენიანი ბრიჩკა გაქანდა და დიშლაზე შებმულმა ზარმა წკრიალი დაიწყო. ამ დროს აღარც ელვა-ჭექა იყო, აღარც წვიმა მოდიოდა და ღამე კი ბნელი იყო.

1834-ს წლის 17-ს ივლისს ღამის მეთერთმეტესა საათზე ჩემი სახლიდგან წამიყვანეს ორენბურღის ღუბერნიისკენ და პირი აქეთ გამოვმართეთ.

ქალაქი ტფილისი სწრაფათ გამოირბინა ბრიჩკამ და ვერის ზასტავასთან დააყენეს ყარაულებმა. მინიცკიმ რომ თავის სახელი განუცხადა, მაშინვე გაგვიშვეს და ზასტავას გავცილდით, რომელსაცა თვალებში ცრემლი მომერია და დაღონებული მივწექ ბალიშზედ.

„მშვიდობით უუსაყვარლესო მშობელო დედაო ბატოიშვილო!

ჩემნო თვისტომნო, უნამეტნავესად ჩემო სიცოცხლეო კატინო! და საწყალნო ჩემნო წვრილნო შვილნო. ყველას ერთიანათ გესალმებით, მშვიდობით! ამ წუთისოფელში რომ აღარ მეღირსოს თქვენი ნახვა, იმ სოფელში მაინც გნახამთ. ახ, ნეტავ ვიცოდე, ეხლა ჩემი კატინა რას ფიქრობს?– მე ის მწარეთ მტირალი დავაგდე. იქნებ, კიდევ მწარეთ სტიროდეს და სავალალო ზარი მოემრავლებინოს? მაგრამ ბატოიშვილი დედა შინ ბძანდება. ის ნუგეშსა სცემს და აღარ ატირებს. ჩემო სიცოცხლეო კატინო, ეგ ცრემლი შეინახე და როდისაც მოვკვდე, ჩემს საფლავზე დააყარე. "

ორენბურღში რომ მოვედი, ერთს თვეს უკან, ალექსანდროვკის ციხისაკენ მივაჭენებდი ბრიჩკას, სადაც ცხრა თვე დავყავი. შემდეგ ამისა, როგორც ზევითა ვთქვი, 1-ს ივნისს ხომალდში ჩავსხედით და ზღვაში შევედით, რომელიცა ორენბურღშივე უნდა მივსულიყავ და კიდეც მოვედი, სადაც მოწყენილობის გამო ჩემი ესე ამბავი აღვწერე. სხვა პირზე გაკეთებული პირი დავნიშნე ჩემ მაგიერ და ვითომც ჩემ მაგიერ იგი ყოფილიყო. არ მგონია, უსიამოვნო იყოს, ვინც წაიკითხამს.

სხვა ჩემი ამბავი დედაჩემ ბატოიშვილთან მაქვს მიწერილი წიგნით, რომელსაცა იმედი მაქვს, არც ის იქნება უსიამოვნო.

ჩემი ბედნიერება და უბედურება ღმერთმა იცოდა და შემდგომიც იმანვე იცის და იმის ნებისამებრვე აღსრულდეს.

აი, ჩემი ბედნიერებისა და უბედურობის ამბავი ეს არის,

თ˜ ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

1835-ს წელსა.

ქ. ორენბურღს.

ახლა ზღვიდგან მშვიდობით გამოვედით პატარა ქალაქს გურიევსა, სადაც ქალაქ ორენბურღში დამიწერია ეს მე. ეს ჭეშმარიტი სიყვარული და მართალი.

თ˜ ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

1835-ს წელსა.

ორივ აქა სადაც ის ზღვის ღელვარება შეიმუსრა და ჩვენ განვერენით. 11-ს ივნისს შუადღისას გურიევის ნაპირი დავინახეთ, რომლებსაცა სიხარული შეგვიდგა ჩვენ, ამისთვის, რომ თუ კიდევ ღელვა მომხდარიყო, ადრინდელი ღელვისგან ასე შერყეული იყო სუდნა, უთუოთ წახდებოდა და ჩუენც დავიღუპებოდით, მაგრამ

საღამოჟამზე გურიევის ზღვის ნაპირზე მივიდა სუდნა, მასუკანა ურალისა მდინარეში შეაცურეს, მაგრამ აქ ავდენი კოლოები აგვეხვივნენ აშლილის ჩალებიდგან, თავსა და ბედსა ვწყევლიდით ჩუენის გაჩენისთვის, ასე შეგვაწუხეს. ისე ფეხზე დავდიოდით, ხან ვიდექით, ძილი როგორ იქნებოდა და სულ იმათ ვიგერიებდით, მაგრამ მაინც ჩუენზედ დუნდგო-დუნდგოთ დაგვფრინამდნენ და გვასწრობდნენ კბენას.. მეორე დღეს ველარც ერთმა ვერ ვიცანით ერთმანეთი, ასე რიგათ გვქონდა სახე სიმსივნითა ამომჯდარი: მფრინველი ბუ რომ არის, ისე გვქონდა ყველას სახე, სადაც კარგათ რომ გათენდა ქ. გურიევის ნაპირს მიაცურეს სუდნა და ჩვენც იქ გადავხტით.

სამი დღე და ღამე დავრჩით გურიევსა, თუმცა კოლოები ისე აღარ იყო იქ, მაგრამ მაინც მოცემულსა სახლში (კვარტირაში) არ მასვენებდნენ თავის სტვირებითა და კიდეც მკბენდნენ ხანდისხანა. *მჩხვლეტდნენ კარგად. კოლოებმა ისე შეგვაწუხეს, ვნატრობდით ზღვაშივე ვყოფილიყავით და საშინელი მღელვარება გარსა გვრტყმიყო.*

სამი დღე და ღამე დავრჩით იქა, ამიტომ, რომ ამ დროებში მდინარე ურალი მოდიდებული მოდიოდა რამდენსამე ვერსზე განიერათ, რომელსაცა შარაგზაც დაეჭირა ხელში. მინამ აფრების დიდი ნავი არ მოვიდა შიგნით ზღვიდგან, იქ ვიყავით და როდისაც მოგვივიდა, მეოთხე დღესა, ჩავსხედით და წამოვედით. ხან აფრების გაშლით, როცა მოგზაური ქარი იყო და როდისაც არა, ყაზახები ნიჩბებს მოუსომდნენ და წყნარს ურალში მოვდიოდით ასე.

ამ ყოფით ორი დღე და ღამე მოვიდოდით, სოფლებშიაც მივდგებოდით ხოლმე, მაგრამ ცოტას ხანსა და მასუკან ისევ მოვიდოდით ჩქარა. ამისთვის, რომ ყაზახები მოეშურებოდნენ, დროით დაბრუნებულიყვნენ სხვის სამსახურისათვის.

ბოლოს ერთს სოფლის პირს მივადექით, აქ ჩემს ამხანაგს გამოვეთხოვე და ჩემი ბარგით სტანციაში მიველ, თანაც ჩემი ჩასაჯდომი მივიტანე,[1] ნავით წამოვიღე გურიევიდგან, საიდგანაც გამოვსწიე. *ხმელზე პოვოსკაში ჩავჯექ და ფოშტის ცხენებით* რამთენსამე დღეზე ორენბურღში მოველ და ჩემს მეგობარს შჩერბაჩევთან გადავხტი საღამო ჟამზედ, რომელიცა სიხარულით მამეგება

[1] იქ გურიევში დაგდებული მქონდა.

და მეც სიხარულით მოვეხვიე. იმ ღამეს არავისთან არ წავედი სანახავათ. მე და სჩერბაჩევმა სიამოვნით გავატარეთ ორთავ დრო, რომელმაცა ყოველის ქვეყნის ამბები ძლივს გავიგონე იმისაგან.

მეორე დღეს, რაც ფორმის რიგი იყო, ისე წაველ, ჯერ სერგეი გაბრიილიჩს ჩილაევთან და როდისაც იმის წინა სახლში შეველ, ჩემი ხმაურობა გოსტინაში გაიგონა და ხმამაღლა დაიძახა.

– „ჩქარა, ჩქარა, ალექსანდრე ჩემთან შემო.“ შეველ ჩქარა. მამეხვია და შემდგომათ მითხრა.

– „ვმადლობ ღმერთსა, ალექსანდრე, იმ ადგილსა დაეხწიე, მოხველ ცოცხალი. მე რომ მოველ აქა, ნაჩალნიკშტაბი რაკასოვსკი ვნახე, ვუთხარი შენზედ ყველა და იმანაც შეგიბრალა, აი, მოგიყუანა კიდეც. აქედანვე ჩემგნით წახვალ რაკასოვსკისთან მადლობისთვის.“

– „დიახ, უთუოთა, მაგრამ ჯერ თქუენ უნდა განგიცხადოთ ის მადლობა.“

აღარ დამაცადა შემესრულებინა.

– „არა, არა, ნურას მეტყვი.“

მასუკან დამსვა, ყველა მკითხა იქაური, მეც ვუამბე წვრილათ, შემდგომ ავდექ და წავედი რაკასოვსკისთან. გამოსვლისა დროსა მითხრა, ხშირათ მევლო მე იმასთან. მეც აღვუთქვი, მაგრამ ამ დროს დოხტური მობიცი მომაგონდა და მეც იმას მოვაგონე. მითხრა: ისიც ჩქარა მოვა უთუოთა.

ნაჩალნიკი შტაბი რაკასოვსკი მეტათ კარგათ დამხვდა. მე მადლობა ვუთხარ ჩემი, მაგრამ მაგთენი არც იმან მათქმევინა. ბოლოს დამსუა თავის მახლობლათა პირდაპირა და ამბავი გამამკითხა იქაური, იმ ციხისა. მეც ვუამბე ყველა და ბოლოს ვთქვი.

– „თუ მთელს ქვეყანაზედ იმისთანა გაუძლები ადგილი იქნება სადმე, არ ვიცი?“

–„მართალია, ყველა აგრე ამბობს. ამას იქით ექვს თვეში ერთხელ გამოვცვლი იქაურს ატრიადს.“

როდისაც რომ ავდექ და წამოველ, გამოსვლის დროსა მთხოვა, ხშირათ მევლო იმასთან და ამასთან სადილათაც.

თუ დაწვრილებით მოვყვე ჩემი ორენბურღში ყოფნა, მეტათ გაგძელდება, ამისთვის ორიოდე სიტყვით ვიტყვი, რომ ყველასგან კარგათ ვიყავ მიღებული, სადაც დავიდოდი ყოველს სახლ-

ში. *ჩემის მშობლის ქვეყნისა და ჩემიანების მოშორვების მეტი სხვა მწუხარება მე არა მქონია რა, თვინიერ შექცევისა და სიამოვნის მეტი.* მე იმათ დიდათ დამავალეს, მაგრამ მაინც უცხოება ჩემთვის სასიკვდინო იყო და ძალიანი ავანტყოფობაებიც გამოვიარე, სხუა განსაცდელებს გარდა.

მგონია ქვეყანაზე არა იყოს რა დარჩომილი, მწუხარება თუ სიხარული, მე არ გადამხედოდეს, თვინიერ ერთის მეტი და ესეც გამოვცადე.

სიცხის დროს ზაფხულში, ვოენის ღუბერნატორის კანცელარიის სეკრეტარი, პაველ ივანიჩი გაევსკი მოვიდა ჩემთან და ურალის მდინარეზე საბანაოთ წამიყვანა.

ცურვის მცოდნემ მოვინდომე ურალში გავსულიყავ. წინ მე მივდიოდი და უკან გაევსკი მომდევდა, რომელმაცა მითხრა:

– „კნიაზო, თუ კარგათ არ იცით ცურვა, შორს ნუ წახვალთ“.

– „რას ამბობთ, ჩემი ცურვა ნაქებია საქართველოში“.

ამასთანვე ცურვა დავიწყე, მაგრამ ათი ნაბიჯი არ გამეარა, ხელები და ფეხები მომეკვეთა. მაშინვე დამძირა და შემდგომ კი აღარ ვიცი როგორ გამამიყვანეს. როდესაც მოვსურიალდი, ჩემი გამომხსნელი მხოლოდ გაევსკი იყო და არავინ სხვა, რომელმაცა ცურვა ძლივს იცოდა და ამისგან ვალდებული შევიქენ.

ჩემო ხელმწიფავ ბატოიშვილო დედავ! ნუ გეგონებათ, მე შევშინდი და ვეღარ გავბედე ბანაობა. გაჯავრებული მეორე დღეს მარტოკა ჩავედი ურალზედა, ორჯერ აქედგან გავცურდი ურალის მდინარეში და ორჯერ იქიდგან გამოვცურდი.

რაც ეხლა მოგახსენოთ, თუმცა ამ წიგნში არ უნდა დაწერილიყო და უფრო ცალკე უნდა აღმეწერა, მაგრამ არც აქ იქნება უსიამოვნო გასაგონი.

ჩემი ორენბურღის ყოფნაში საქართველოდგან ერთი ჩინოვნიკი მოვიდა და ჩვენი კარგა დამეგობრების შემდგომ, სხვათა შორის ლაპარაკში მითხრა.

– „საქართველოს ქალები მეტად გაირყვნენ“.

მე გაკვირვებულმა ვკითხე.

– „როგორ თუ გაირყვნენ?“

– „რომელმაცა რუსის ჩინოვნიკმა ოცი ოქრო გამოიმეტოს, ვინც უნდა დიდი კნეინა იყოს, ოც ოქროთ უთუოთ იშოვის. “

მე მაშინვე ფერი მეცვალა და ხმა ველარ ამოვიღე. ეს დრო იყო ზაფხულის საღამო და როდისაც იგი ჩინოვნიკი გავაცილე, გიჟსავ-ით წამოვარდი.

ეს აღწერილობა დავასრულე 1838-ს წელსა ქ. ორენბურღში. ამ წელს 2-ს ნოემბერს წამოველ იქიდგან კავკაზის ლინიაზე, 7-ს ლინეინის ბატალიონში გადამიყვანეს.

ცოტა ჩემი გამოცდილებანი

ჩემო ხელმწიფავ ბატოიშვილო დედავ! ურიგო არ იქნება რაც სიყმაწვილიდგან აქამომდე შემთხვევა (განსაცდელი) ვნახე, მოგახსენოთ. თუმცა ზოგიერთი თქვენც კარგათ იცით. მაგრამ ამას ვნაღვლობ, რომ ბევრი აღარ მახსოვს. და იქნება სხვებისთვის სასიამოვნო იყოს ვინც წაიკითხამს ამ ჩემს ამბავს.

მეფის ირაკლის მეუღლის (ესე იგი დედი თქვენის) დარეჯან დედოფლის რუსეთისკენ გამგზავრება. ბარე იქიდგან დავიწყებ, როდისაც დედი თქვენის დარეჯან დედოფლისაგან ჩემი სიყვარული აჰა მოვყევი.

თითქმის მე მაშინა ვარ დაბადებული, როდისაც საქართველო რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრემ მიიღო და თავისი სასამართლონი გახსნა საქართველოში.

რუსეთის სასამართლოები გაიხსნა 1801-სა წელსა და 1802-სა წელსა მე დავიბადე მაისის 24-სა, მაშინ როდესაც რომ ბებია ჩემი დარეჯან *სწორე სახელი დარია ერქო.* დედოფალი საქართველოშივე იყო და ჯერ რუსეთს არ წაეყვანათ. რადგან სამეფო სასახლე, აღამამადხანისაგან დამწვარი იყო ქ. ტფილისში, ამიტომ თავის აშენებულს სახლში იდგა ავლაბარში, რომელსაცა მამაჩემი და დედაჩემი იქვე უდგა თავისთან დედოფალსა, სადაც იმ სახლში ვარ დაბადებული მე, დარეჯან დედოფლისა თუალწინ, სულ უნცროსიშვილი იყო დედაჩემი, მეფის ირაკლისა და დარეჯან დედოფლისა.

როგორათაც მე დედი ჩემისაგან, ჩემი ნათესავებისაგან და ჩემის გამდლისაგან გამიგონია, მშვენიერი ყმაწვილი ვყოფილვარ და ისე ვყვარებივარ დედოფალსა, რომ რაოდენსამე ხანსა გულში ჩამიკრავდა, თავის სამსე თეთრ გულზე დამაძინებდა და თვითონაც ასე მოისვენებდა. თითქმის იმის მანუგეშებელი მე ვყოფილვარ იმის სახლის უბედურობის დროსა, იქამდისინ, რომ ჩემი დედმამისაგან მოუშორებივარ, თურმე თვითონ მპატრონობდა. *ზოგჯერ თურმე ცხელ ზაფხულის დღეში ფეხეფს გაიხდიდა, ტიტველა ფეხებს შუა ჩამისომდა. ვერცხლის ტაშტსა მოატანინებდა ცივი წყლით სამსეს და ჩემ წინ დაადგმევინებდა. მე ყმაწვილი თურმე ვაწკაპუნებდი ფეხებით წყალსა და ფეხებზე ვაწინწკლებდი. მეტი მშვენიერი ფეხ-*

ებიც ჰქონდა და სპეტაკი თეთრიც. იმ თავის მშვენიერ თეთრ სპეტაკ ფეხებს ამითი თურმე იგრილებდა. უფრო ჩემგნით ეამებოდა ესენი. ეს სულ ასე უთქუამთ ჩემთვის. თუმცა ამით გაგრილდებოდა კიდეც, მაგრამ უფრო ეს, რომ ჩემგნით იამებოდა.

მე მიკვირს ასე რომ ვყვარებივარ, როდისაც პეტერბურღისაკენ გამგზავრებულა, რატომ თან არ წაუყვანივარ? მაგრამ მგონია ციებისა გამო დავრჩენილვარ. ლომისახარს[1] ეს მიზეზი უთქუამს ჩემთვის. ეს უთუოდ ასე უნდა იყოს. სწორეთ იმ დროებში თურმე მაციებდა ერთი წელიწადი რომელსაცა მამა ჩემი და დედა ჩემი, მთიულეთის კაიშაურამდინ მიჰყოლიან დედოფალსა, მამაჩემი გაჰყოლია პეტერბურღისაკენ და დედაჩემი ისევ ჩემთან დაბრუნებულა.

დედოფლისა დარეჯანის წასვლის დროსა, მგონია მე ვიქნებოდი ორისა თუ სამის წლისა. მე იმისი წაყვანა სულ არ მახსომს, რომლისაცა ჩემი გამოცდილებანი, ამ პირველის წლისა ციებითა დაიწყება.

თქვენგნით ბევრჯელ გამიგონია, რომ მთელი ერთი წელიწადი თურმე მაციებდა ორი სამი წლის მე ყმაწვილსა და ასე თურმე მივკნავდი ერთი წლის ციებითა, რომ რას ყოფით მოურჩი სიკვდილსა და თქვენის კეთილის მზრუნველობით მომენიჭა სიცოცხლე.

მოხუცი მთიულის ტირილი. როდესაც დედათქვენი დარეჯან დედოფალი პეტერბურღისაკენ გამგ ზავრდა და მამაჩემიც ხომ თან იახლა პეტერბურღამდისინ. თქვენც ხომ მთიულეთის კაიშაურამდინ გაგეცილებინათ და იქ ერთი მოხუცი მთიული ჩამოსულიყო, დედითქვენის დედოფლის წინ რომ დაეჩოქა და ესრეთ შეეტირა.

იქ იმ კაიშაურში, საღამოჟამს ერთი ხელჯოხიანი მოხუცებული მთიული ჩამოსულა დედოფალ დარეჯანთან და როდესაც იმასთან შეუყვანიათ, იმის წინ დედამიწაზე დაეჩოქა, ტირილით ამ სიტყვებით.

„ჩვენო ათასი წლისა მეტ ბატონებო! თქვენ ხომ ჩვენი ბატონები არ იყავით ბაგრატიონები? ჩვენი მამები იყავით, ვინ იცის თქვენი მამაპაპები რამთენჯერ დაკუწულან მტრებისაგან და რამთენჯერ სისხლი დაუღვრიათ ჩვენი გულისათვის. ჩვენი პატარა მეფე ირაკლი შავარდენსავით რომ მიგვიქროდა წინა და მტრებს მალე დაგვამარცხებინებდა. ვაი ჩუენს თავს. ახლა იმის ცოლშვილსა ვხე-

[1] ლომისახარ მეტი სახელია, რქმევია: ხუარამზე.

დავთ მწარე ცრემლითა, რომ უცხოთესლთა მოუვლიათ ხელი და გაყინულს ქვეყანაში მიერეკებიან. ოჰ ღმერთო! გადმოიხედე რა ამბავი არის? ამ ათი წლის წინათ რატო არ მამკალ ღმერთო და ეს საშინელი ამბავი მაჩვენე....“

იმის ტირილზე დედოფალი ეხვეწებოდა დაჩუმებულიყო, *ამისთვის რომ რუსებისაგან* ეშინოდა: რუსებმა არ დაიჭირონო. მასუკანა იმას საიდუმლოთ *კაცნი გაეგზავნა* მოეხსენებინა დედოფლისათვის – „ჩვენ მთის ხალხნი გავიფიცენით, ეხლავ უნდა წავიდე, ჯარები მოვიყვანო; ამ რუსებს წაგართოთ და ერთიანი აღრეულობა მოვახდინოთ საქართველოში.“ მაგრამ დედოფალს არ ექნა. „რუსები დაპირებული არიან, პეტერბურღში რომ მივალ, დიდის დღესასწაულით ჩვენ სახლს მეფობას დაუმტკიცებს ხელმწიფე და საჩქაროთ დაგვაბრუნებენ. ეს უფრო კარგი იქნება, მკვიდრათ დაუმტკიცდება ჩუენს სახლს მეფობა.“ ამაზედ დედაჩემს მოგეხსენებინა.

„არა შეინჭიმე, რუსები ჩვენ სალხს ნებით აღარას მისცემენ და გევედრებით, ნება მამცეთ მე ჩემის ქმრით მთაში შევალ, ან ჩუენს თავს *მსხვერპლად* დავდებთ მე და ჩემი ქმარი, ანუ თქვენსა სახლსა, ისევ მეფეთ დავსომთ საქართველოში.“ მაინც არ ექნა, ებძანებინა. – არა შვილო თეკლე. დიდის ფიცით შემოფიცული არიან რუსები, რამწამს პეტერბურღში მივალთ, მაშინვე ჩვენ სალხს მეფობას დაუმტკიცებენ.“

გაეჩუმებინა დედაჩემი, რომელსაცა ეს აღირსეს, სადაც შეწუხებულები და სიმწარეში იყვნენ თურმე პეტერბურღში ანუ რუსეთში მთელი სახლეულობა.

ამ სიტყვით დარწმუნებულთ აღარც მეფობა მიეცათ და აღარც საქართველოს ნახვა ეღირსათ, მაგრამ როდესაც შეწუხებული თქვენ რომ ტფილისში მობრძანებულიყავით, ახალი ნაციები მე ჩემს გამდელს მივეყვანე და ხელებს თურმე მითბობდა ნახშირგაღვიებულ მაღალზე. ამ დროს გულს თურმე შემომეყარა და ორი ხელები ცეცხლში ჩავფალ და ორივ ხელები კარგათ თურმე დავიწვი, მაგრამ თქვენ, უუსაყვარლესო დედაჩემო თქვენის კეთილის ზრუნვით მალე მოგერჩინეთ.

ამის შემდგომ, დედაჩემი კაიშაურიდგან რომ დაბრუნებულა, იმისი კეთილისა ზრუნვით კარგათ შევიქენი და ერთს დღეს სი-

ცივეში, ჩემს გამდელსა მივეყვანე, ახალ ნახშირს დაღვიებულს მაღალთან რომ გამათბოს, რომელსაცა თურმე მეცა სუნი ნახშირისა და უეცრათ მაღალზედ გადვიქეცი გაღვიებულს ცეცხლზე. ამ დროს ასე დაეკივლა, მთელი სახლი სულ იქ შემოცვივნულიყვნენ, იმ წამსვე ხელში ავეყვანე, ჩემსა ახალუხსა ცოტათ ცეცხლი მოსდებოდა, მაშინათვე იმათ ის გაექროთ, მაგრამ მე შიშისგან ტირილითა ჩაბჟირული ვიყავი და თვალები დამეჭყიტა. დედა ჩემსა ხელიდგან გამოვეტაცე და რასყოფით მოვებრუნებინე, მშვიდობიანისა დაყვაებით. თუმცა იმ ღამეს სიცხე მქონოდა, მაგრამ ესეც გაეარა დედიჩემის კარგის მოვლით.

... და საშინელის ეჭვის შურით მინდორში გავედი და გიჟსავით ხეტება დავიწყე. მას ვანბობდი

ჩემო ხელმწიფავ ბატოიშვილო დედავ! ურიგო არ იქნება, რაც სიყმაწვილიდგან აქამომდე შემმთხვევია განსაცდელი, თვითეულად მოგახსენო, რომელიცა ზოგიერთი თქვენც კარგათ გეხსომებათ, იცით, მაგრამ თან ამისთვის ვწუხვარ, ვნაღვლობ, რომ ბევრი აღარ მახსოვს.

ქორწილი. *პირველი.*

თ˜ა ივანე სარდლის შვილის ლუარსაბ ორბელიანის გამოჩენილი ქორწილი იყო, თ˜აის სულხან ბეგთაბეგოვის *დიდს და ჩინებულს სახლში* დიდს დარბაზში. *მაშინ თქვენ და მამაც ხომ იქა ბრძანდებოდით, ყოველის გვამისაგან პატივცემულები, რუსებისა თუ ქართველებისაგან.* მე მაშინ ვიქნებოდი შვიდის წლისა; რასაკვირველია, მამა ჩემი და დედა ჩემიც იქ იყვნენ და მეც თანა ვყვანდით, ჩემი თეთრი მაუდის კაბით, *ხმალშემორტყმული და იმთენს საზოგადოებაში ყმაწვილი რომ დავცუცუნებდი, ის უფრო სასიხარულო იყო თქვენთვის, მინამ ის ჩინებული ქორწილი. ლამაზნი ქალნი ჩემ თეთრწითელ ლოყებს ტკბილად რომ ჰკოცნიდნენ ხოლმე.* სადაც იმ დიდს ქორწილში, მთავარ მართებელი ტორმუსოვი იქ იყო და სხუა ბევრი რუსებიც და სადაც იმ დიდ განათლებულს ქორწილში დაიძახეს. „თავს უშველეთ[1] სახლი იწვისო!“

[1] უწინ იცოდნენ სამ დღეს და ღამეს ქორწილი უნდა ყოფილიყო, თან შექცევა და ლხინი, მიწვეულნიც იქ უნდა ყოფილიყვნენ და ამ მესამე დღის ღამის ვახშმის შემდგომ,

საზოგადოობა ერთიანათ შეთქრიალდა და კარებს მიაწვნენ ყველანი. მეც გავექანე და მითამ მინდოდა კარებში გავსულიყავი, მაგრამ გამოქანებულმა ხალხმა შუაში ჩამიგდეს და ერთმანეთის მიწოლით კარებში რომ ჩქარა გასულიყვნენ, მე ძალიან შემაჭირვეს, რომელიცა ყვირილს მოვყევ რაც ძალი და ღონე მქონდა: სირცხვილია თქვენთვის ყმაწვილს მჭყლეტავთმეთქი. *ოთხსავ კუთხით მომაწვა, წამაქცია და ჩემზედ გადადიოდნენ. რაც შემეძლო, ვყვიროდი და შესაბრალისად ვიხვეწებოდი, მაგრამ ვინ გამიგონებდა. ამაში გონება და გული მიმეღებოდა* იმ დროს ერთმა ღვთიანმა კაცმა ჩამოიხედა და თეთრი კაბითა მე რომ დამინახა, ლომსავით ძლიერმა ხალხი მისწივ მოსწია, დიდის ვიწროებით ამამიყვანა *ცოცხალმკვდარი კარზე გამამიყვანა დამტვრეულ დაბეჟილი.* და უვნებელი ჩემ დედმამას მიმართო კარზე, რომლებიცა ჩემთვის დარბოდნენ და გაფაციცებული მეძებდნენ. თუ ორი ან სამი მინუტი კიდევ დამცლოდა, ახლა საიქიოს ვიქნებოდი. ჩემი გამომხსნელი სომხითის თ˜ა იოსებ მელიქიშვილი *მელიქოვი* იყო[1].

მიწისძვრა. *მეორე*

კიდევ ჩემ სიყმაწვილეში *იყო ეს და თქვენც კარგად გეხსომებათ.* შემემთხუა ეს. პირველ ღამის დაწყებაზე ჩემ გამდელ ლომისახარს ვუჯექ გვერდით თავის ოთახში და ალერსით ხილს მაჭმევდა. ამდროს რაღაც საშინელი ხმა ამოვიდა დედა–მიწიდგან. *ამასთანავე თქრიალი დაიწყო დედამიწამ ამ წუთსავე.* ამასთან შეირყა დედა მიწა და ოთახმა გრიალი დაიწყო, ამ დროსვე გაულესელის ძველის კედლიდგან გადმოვარდა აგურის მეოთხედი, ზედ კეფაზე დამეცა რომელსაცა *მაშინვე* გულს შემომეყარა. როდისაც მოვსულიერდი და თვალები ავახილე, ყველანი თავზე დამტიროდნენ, და

მეფეს დედოფალს (ახალცოლქმართ.) ერთს ქვეშაგებში ერთათ რომ დააწვენდნენ, ამის მეორეს დღეს საზოგადოება თავის სახლებისკენ წავიდოდნენ. ეს სოფლებში ასე იყო და ამ ქალაქშივე ვახშმის შემდეგ ყველანი თავის სახლში წავიდოდნენ და მეორეს დილაზედ კიდევ იქვე უნდა მისულიყვნენ, მინამ მესამის ღამის ვახშმის შემდეგ მეფე დედოფალს ერთად დააწვენდნენ. ასე რომ ამ მესამის ღამის ვახშმის შემდგომ, მეფე დედოფალს თავიდგან გვირგვინს რომ მოხსნიდნენ, ორსავ ქვეშეგებისაკენ წაიყვანდნენ, საზოგადების თვალწინ ერთათ დააწვენდნენ სიხარულით და მასუკან ერთობრივ იქიდგან გამოვიდოდნენ, კიდევ ისეთივე სიხარულით. ტორმასოვი და სხუა რუსები იმ პირველი ღამის ქორწილის შემდგომ, აღარ იყვნენ მიწვეულნი იმ უკანასკნელს ორ ღამეს.

[1] სახლის ცეცხლის მოკიდება ბოლოს ტყუილი გამომდგარიყო. ვიღასაც სულელ კაცს დაეძახა, სიბრიყვით.

საშინელების ხმა გამრავლებულიყო. უეჭველად ეგონათ მოვკვდებოდი. ბოლოს ხუთი თვე ვიწექი ძალიანის *საშინელის* თავის ტკივილითა და რას ყოფით აქიმებმა მომარჩინეს.

ტრედები. *მესამე*

ერთი წიწკა[1] გეუა იყო და საკვირველი მალაყური ტრედები ჰყვანდა. ერთს ზაფხულის დღეში, ზაქარია მეტეხის დეკანოზის ცოლს ნინოსთან[2] ბძანდებოდა დედაჩემი, სხვანიც ბევრნი, სადილათ მიწვეული; და მე *შინ დავრჩი, მაგრამ ეს კი აღარ მახსოვს* იმ დროს შინ დამაგდეს *[დამაგდეთ და აღარ წამიყვანეთ?]* არ წამიყვანეს, მიზეზი კი არ ვიცი, რათ დამაგდეს. მე რომ სადილი *გეახელი*, გავათავე, სადილს უკან ჩემი ტოლი ყმაწვილები მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს. – „ალექსანდრე, მოდი წავიდეთ; წიწკა გეუას ტრედები აუშვია და იმის ტრედების მალაყს ვუყუროთ.“

მაშინ ბაზრებს ფიცრის ყავრულები ჰქონდა დახურვილი სიცხის მოსაჩიდილებლად და ავდრისათვისაც რომ მშრალათ გაეარათ ხალხსა. წიწკა გეუას დედმამასა შუაბაზრის გვერდით ჰქონდათ სახლი და ბანზე ტრედების საბუდარი გაკეთებული. მე იმ ჩემმა ტოლმა ყმაწვილებმა ასე ჩქარა გამიტაცეს, რომ ვერც ჩემი ლალა და ვერც არავინ ვეღარ წავიყვანე, ისე საჩქაროთ გავარდი, რომელიცა ჩვენს სახლზედაც ახლოს იდგნენ ისინი, სადაც სახლის ბანზედ ავედით და აშვებულს ტრედებს დავუწყეთ ყურება, რომლებიცა გვაკვირვებდნენ, იმ ტრედების მალაყები რომ თითო და თითო ზევით ჰაერიდგან წამოვიდოდნენ მალაყის ტრიალით და ცოტას უკლდათ, დედამიწაზე არ დაეცემოდნენ.[3] ამ სასიამოვნოს საყურებელში, საიდგანაც გაუჩნდათ ქორი, სულერთიანად დედამიწაზე ჩამოყარა, *ტრედები რომ მშვიდობით გადარჩნენ,* მაგრამ ვერც ერთი ვერ წაიღო. წიწკა გეუამ მაშინვე საბუდარში შეყარა ტრედები შიშით და კარები მაგრა გადუკეტა. შემდეგ ამისა, ჩვენ ყმაწვილებმა დავიწყეთ ცელქობა, ბაზრის ყავრულზე ავირბენდით და ჩამოვირბენდით. მე მესამეთ რომ ავირბინე და შუაზე მოველ, შევხტი და მინდოდა შემერბინა იმის წვერზე; ყავრულზე რომ და-

---

1 პატარა ტანის გამო უძახოდნენ წიწკა გეუას.

2 მეტეხის დეკანოზის გვარი იყო სულხანაშვილი.

3 წიწკა გეუამ გვითხრა. – „ორი მალაყაური ტრედი გუშინწინ მაღლიდგან წამოვიდნენ ტრიალით, და დედამიწაზე დაეცნენ და მაშინვე დაიხოცნენო.“

ვეცი, ამ დროს ყავრული ჩამიტყდა და ყავრულებს შუა ჩავვარდი, ერთს ყავრულს ხელი ვტაცე და ცალის ხელით დავეკიდე. ქვემოთ ბაზრიდგან შეიქნა ყიჟინა და ძახილი ხალხისაგან, უნდოდათ მომხმარებოდნენ, მაგრამ რომელიც ყავრული ხელში *მეჭირა,* შემრჩა, ძველი ყოფილიყო, ისიც გამიტყდა და ტრიალით წაველ 11-ს ადლის სიმაღლეზე დასაცემად რომელიცა *მოკირწყლულს* ქვებზე დავეცი და მაშინვე გონება დამეკარგა. სამ დღეს უკან ძლივს გონებაზე მოვედი და ვნახე, რომ ჩემი ნათესავები ჩვენს სახლში სულერთიანათ გარსმეხვეოდნენ და გაფაციცებით *[მივლიდით]* მივლიდნენ.[1] ბოლოს მცირედ გონებაზე რომ მოველ, ღმერთს მადლობა შევწირე ჩემი სიკვდილისგან გადარჩენისათვის, მაგრამ მთელი რვა თვე ვიყავ ავათ; მარჯვენა ბარძახი და მარჯვენა მკლავი მომტეხოდა, მარჯვენა მხარეს თავიც გამტეხოდა *საფეთქელიც მაგრა დამეკრა ქვისთვის და გატეხილი მქონდა* და მარჯვენა ხელის მაჯაც მქონდა ამოგდებული. ესენი სულ *[თქვენმა კარგმა მოვლამ მომირჩინა, თორემ ეხლა აღარსად არ ვიქნებოდი]* დედიჩემის კარგის მოვლით განმერინა, საუცხოვო ჯარამ მამარჩინა, მაგრამ მარჯვენა ხელის მაჯა კი დამიშავდა, ისე რომ რასაც დავწერ ხოლმე, წყნარ წყნარ ვწერ და ძალიან მიშლის წერას, სხუა სრულებით კარგათ გამიმთელეს.

ჯოხისკრივი. *მეოთხე*

ძველადგანვე ჩვეულობა არის ქ. ტფილისში კრივი, ჯოხისა და მუშტისა: ჯოხისა და ქვის კრივი ზამთარში არის და მუშტისა გაზაფხულზე, მაგრამ ამას კი ვერ მიმხვდარვარ საიდგან მიუღიათ ესე ჩვეულობა, რომ ქალაქის ხალხი ორ ნაწილათ არის გაყოფილი, რომელსაცა ჰქვიან ზემო უბანი და ქვემო უბანი. ეს ამ ორი უბნის ხალხი შეიყრებიან ქალაქს გარეთ დანიშნულს ადგილზე, ანუ შუა ქალაქის საზღვარზედ ყოველ კვირა დღეს. აქ ერთმანეთსა აჭირვებენ და ერთმანეთსა არა ზოგვენ სავნებელად, რომ ერთი მეორემ *დასძალოს და რომელიც* გააქციოს და ერთერთს დარჩება სახელი! მაგრამ დიდი კრივი და საშინელი, ყველიერის პარასკებს დაიწყობენ და დიდ მარხვის პირველს ორშაფათს გაათავებენ, რომელსაცა ჰქვიან „ყეენობა“. ერთს რომელსამე კაცსა მორთვენ დიახ უცხოს ტანისამოსით, ჩინებულის იარაღით და ერთს სახლის ბანზე დასმენ

[1] ამ დროს მამაჩემი აღარ იყო.

სკამზე, მაგრამ მეიდანი უნდა ჰქონდეს წინა ხმალამოღებულსავე რომელსაცა მთელი უბნის მოკრიები შემოეხვევიან სალდასტებით[1] და შურდულებით,[2] სადაც იმის გვერდით სცემენ ზურნა დაბდაბას და *საშინელი* ჟრიამული არის ხალხისაგან, რომელსაცა მორჩილებენ და უწოდებენ „ყეენი!“ მაგრამ იმ ყეენსა მრჩეველი ორი სამი ვეზირიცა უნდა ყვანდეს გვერდით, *რომელთაცა რჩევას ჰკითხამს.*

დილით შუადღემდისინ გამვლელგამომვლელ კაცს დაიჭერენ, ყეენის წინ მიიყვანენ, თავს დაკვრევინებენ, შეძლებისამებრ ფული უნდა მიართოს, თორემ თუ ვერ შეიძლო მიცემა, ვინც კი უნდა იყოს, თავადიდგან მცირემდისინ, დააჭერინებს, ტუსაღანაში ჩააგდებინებინებს, საიდგანაც იქნება აშოვნინებს და როდისაც გამოართმევენ ფულსა. ხალხი *ერთიანათ* დაიძახებს. „ააშენოს! ააშენოს!“

ჩვეულებისამებრ ერთს ყველიერის *[ხუთშაფათსა]* პარასკებსა დასვეს ყეენი, ზევითისა და ქვეითის უბნისა. როდისაც სადილი ჭამეს მოკრეფილის ფულისაგან, *შუადღის შემდეგ* გამოვიდნენ ორივ უბანი სიონის ეკლესიის წინ ქუჩაში ერთმანეთისა პირისპირ და შეიქნა *საზარელი* კრივი. *ასეთი მეტისმეტი* დიდი ხმიანობა და *ზარი* ყიჟინა იყო ორისავე მხრისა. *რომ მეორეთ მოსვლას გვანდა. [სამი]* ორი ათასი მეტი მოკრიე ერთმანეთში დალეულნი; ზოგი ხელით დიდ გირას ისროდა, შურდულში ჩადებულსა რიყის პატარა ქვასა თოფსავითა გამოსტყორცნიდა, მაგრამ უნამეტნავესსა სალდასტები ეჭირათ და ერთიანი ესე მოკრიები ერთმანეთზედ მისეულიყვნენ და სალდასტების ჯახაჯუხი შორს ისმოდა. შურდულების ტკაცატკუცი თოფის სროლას ემზგავსებოდა და ხელის დიდი ქვა ხომ *ბევრსაც მოხვდებოდა და დაღსაც დაასომდა.* ბევრი გადადიოდა და გადმოდიოდა ერთმანეთზე. სწორეთ მტრების ბრძოლას გვანდა და ერთმანეთსა არა ზოგევდნენ, მაგრამ ერთმანეთის ნასროლს ქვებსა, ხელის ქვას თუ შურდულისას, ასე აიცდენდნენ, რომ ძნელად მოიხვედრებდნენ; თუ როგორმე თვალით ვეღარ უყურებდნენ და უეცრათ არ მოხვედროდათ, სულ იცდენდნენ, ასე რიგათ დახელოვნებული იყვნენ იმ საშინელს ქვის სროლა-

[1] სალდასტი ხის ჯოხია მაგრამ რკინის ხმალსავით არის გაკეთებული რომ უფრო მძიმეთ დაჰკრას.

[2] შურდული ყველამ იცის რაც არის.

ში, რომლებიცა ხან აქეთ და ხან იქით გააქცევდიან ერთმანეთსა, რომლებსაცა ყველას შავი ნაბდები ესხათ და ამითი იფარებდენ თავსა იმ ჯოხების დაკვრისაგან, *[ვინ იცის, რავდენს გადმოდიოდათ თავიდგან სისხლი, ქვისგან თუ ჯოხისგან გატეხილსა. ვინ იცის, რავდენი დაკოჭლებულიყო ქვისგანა და სხვას ადგილებში ხომ ვიღა იკითხავდა. მაგრამ მაინცა კიდევ]* ზოგიერთებს თავები უტყდებოდათ, ქვით თუ ჯოხით და თავიდგან სისხლი მოსდიოდათ. ზოგსა უეცრათ ფეხში ქვაცა მოხვედროდა და დაკოჭლებულიყო, მაგრამ მაინც სულ არაფერს არ ნაღვლობდნენ და კიდევ თამამათ კრიობდნენ. *ასე ეგონათ, ქორწილში შეექცევითო.* აქეთი მოკრიები რომ გაქცევდნენ აქეთი მაყურებელები დასცემდნენ ყიჟინასა, *ზარსა, რომელნიცა ბანებზე იდგნენ და გაფაციცებულის თვალებით უყურებდნენ.* ახლა იქითი მოკრიები რომ გამოაქცევდნენ, იქიდგან შეიქნებოდა ყიჟინა, *საშინელი ზარი და ორისავე მხრის ხმიანობა.* ორისავე მხრის ბანები გატენილი იყო ხალხისაგან რომ ნემსი არ ჩავარდებოდა ასე შავათ იდო და გაფაციცებულის თვალით უყურებდნენ. აქეთ მხარესაც და იქით მხარესაც ბევრი დიდიკაცის თ˜ა შვილები ეხმარებოდნენ და გულს უმაგრებდნენ. არ იქნა ვერა რომელმა რომ ვერ *დასძლია* და გააქცია, საღამოზე გაიყარნენ.

ამის მეორე დღეს, ესე იგი შაფათს *[პარასკევს]* კიდევ გამოვიდნენ და ეგრეთივე კრივი მოხდა, მაგრამ მაინც ვერა რომელმან ვერ აჯობა და კიდევ საღამომ გაჰყარა. კვირასაც *[შაფათს]* აგრეთივე კრივი მოახდინეს მაგრამ მაინც ერთმანეთს ვერ აჯობეს და კიდევ საღამომ გაჰყარა. რადგანც ორშაფათს ავკარგათ უნდა გადაწყვეტილიყო და ერთერთს რომელსამე უნდა ეჯობებინა, *ეძლია.* ამისთვის ორშაფათს ელჩები მოუგზავნეს ქვემო უბნელებმა ზემო უბნელებსა და შემოეთვალათ. – „ქვემო უბნის ყეენი უთვლის ზემო უბნის ყეენსა, რომ ამთენი დღეები არის რაც ომი გვაქვს და ამთენი სისხლი დავღვარეთ, (ესე იგი კაცების გატეხილი თავებიდგან.) იმ ვიწროს ქუჩაში ვერა რომელმა რომ ვერ ვის ვაჯობეთ, ამისთვის თუ კარგი ვაჟკაცები, *მამაცნი* ხართ, დღეს სადილსუკან გაშლილს ადგილზე გამოდით, თბილელის ბაღთან სოლოლაკის მთის ძირში, რომ იქ გაშლილს ადგილზე გადავწყვიტოთ ჩვენი საქმე, თორემ ვიწროს ქუჩაში *ვერ დავაჯერებთ ერთმანეთსა ამისთვის, რომ* ერთ-

მანეთს ვერ დავამარცხებთ, რადგან მოკრიები ვერ იმართებიან იმ ვიწროს ქუჩაში[1] და გაშლილი ვერ კრიობენ.

ზემო უბნის ყეენთან დიდი ხანი რჩევა იყო საიდუმლოთ ვეზირებისაგან, პირველი მოკრიებისაგან და ბოლოს გადაწყვიტეს ამ სიტყვით, რომელმაცა ერთმა ვეზირმა მაღლა დაიძახა. – „ქვემო უბნის ყეენის ელჩნო. ჩვენი ყეენი უთვლის თქვენ ყეენსა, რომ ზემო უბნის მოკრიები ყოველთვის ვაჟკაცნი, *მამაცნი* ყოფილან და ეხლაც *დაურიდებელი ვაჟკაცნი ჩვენ* მზათა ვართ, გამოდით, ჩვენც გამოვალთო.“

მაგრამ გაბრიყვდნენ, ამისთვის, რომ ადგილის მდებარეობა იმათ სასარგებლოთ იყო და ქვემო უბნის მოკრიებიც ბევრით მეტი იყვნენ ზემო უბნის მოკრიებზე.

ჯერ ეს უნდა ითქვას, როგორი მდებარეობა ჰქონდა იმ ადგილსა, ქვემო უბნელებმა რომ გამოითხოვეს ზემო უბნელები.

უკან დიდი მთა ჰქონდათ რომელზედაც ზურგი მიეყრდნათ და წინ *თბილელის ბაღი იყო და თბილელის ბაღს აქეთ* გაშლილი ადგილი ედოთ და თბილელის ბაღიც სიმაგრეთ ჰქონდათ. ამისთვის, რომ მარჯვენას მხარეს იყო იმათზე მთის ძირში და ზემო უბნის მოკრიები იმ ბაღს ვერ *მოუვლიდნენ*, მიუდგებოდნენ, ვინაიდგან ქვემოუბნელებს სულ ხელთ ეჭირათ ყოველი იგი მხარე და თავიანთ სასარგებლოდ გამაგრებული ჰქონდათ თავიანთის მოკრიებით, მაგრამ ზემო უბნელებს ყოველი სასარგებლო ადგილი დაკარგული ჰქონდათ. უკან აქეთ იქით ბაღები ედოთ და შუაში კარგა განიერი, *გაშლილი* ორღობე ჩამოივლიდა და ორღობეს აქეთ ქალაქი იყო. სადაც კრივი იყო, ზემო უბნელების მარჯვენა მხარეს, დიდი მთა მოადგებოდა მეტათ აღმართიანი, საიდგანაც ქვემო უბნელები მოუვლიდნენ, *მოადგებოდნენ* და ზევით მაღლა მთიდგან ქვებს დაუგორებდენ. ბოლოს ასეც იყო.

შუა დღის დროს სადილი რომ ჭამეს *მთელი ზემო ქალაქის ხალხი თავიანთი ყეენებით* ორივ უბანი გამოვიდნენ ზურნა და დაბდაბის ცემით და დიდის ხმაურობით, მოვიდნენ და ზემო ხსენებულს ადგილზე გამართეს საშინელი კრივი. პირველი კრივები ამასთან თამაშობა იყო, თვითონაბიჯის ადგილის დანებება ორისავე მხრისთ-

[1] ასეთი ვიწრო ქუჩა იყო, რომ სამი ურემი ერთმანეთს ლაღათ აუქცევდა და ამას ეძახდნენ ვიწროს?

ვის დიდი სათაკილო იყო და ერთს ადგილს იბრძოდნენ, რომ ერთი მეორეს ადგილს არ უთმობდა. ამასთან ასეთი მოუწყვეტელი ყიჟინა, *ზარი* იყო ორისავე მხრიდგან, *რომ მეორეთ მოსვლას გვანდა.* რომ ყურთ ლაპარაკი აღარ ისმოდა. შურდულისა და ხელის ქვა სეტყვასავით მიდიოდა [უშენდნენ] ერთმანეთზე, რომლებიცა ამათი მიზეზით ჯოხის მოკრიები ერთმანეთს ვეღარ უდგებოდნენ[1]. გონია *[ასე გეგონებოდათ]* ქალაქში აღარავინ აღარ იყო დარჩენილი, სულ აქ იყვნენ, თავადნი, აზნაურნი, მოქალაქები და მდაბალნი; თვინიერ მოხუცებულების და ქალებისა მეტი, და ორივ მხარის უბნები შავათ იყო დადებული ხალხი ორსავ მხარეს. ეს მოუწყვეტელი ქვის კრივი, ვერასფრით რომ ვეღარ გადაწყდა, ბოლოს ჯოხის მოკრიებიც ერთმანეთში დაერივნენ და ასეთი არეულობა შეიქნა, *რომ ერთი ერთმანეთს საზაროდ კმა იყო.* საშინელი! სადაც ამასთან მოუწყვეტელი ყიჟინა და ძახილი იყო დიდი ორისავე მხრისა, ასე რომ გრგვინვას გვანდა *[ემზგავსებოდა].* ბევრს გალექებულს მოკრიეს ნაბადი მოეხსნათ და უნაბდოთ ტრიალებდენ შუაგულს კრივში და რამთენიც ქვა მოხვდებოდათ, ასე ეგონათ, ბანბის ქულა მოგვხვდაო. ვინ იცის რამდენს გადმოსდიოდა გატეხილის თავიდგან სისხლი, მაგრამ ასე ეგონათ ჩირაღდანში ვართო და ხშირათ იძახდენ. „ჩირაღდანია! ჩირაღდანია!“

იმ გაშლილს ადგილზე, ქვემოუბნის მოკრიები, ზემო უბნის მოკრიებს შემოეხვივნენ ორისავე მხრიდგან და ძალას ატანდნენ, მაგრამ ზემო უბნელებს ფეხი ვერ მოაცვლევინეს *ერთის ადგილიდამ* და თავდადებული კრიობდნენ. ზემო უბნელებში სამი საკვირველი მოკრიე და ძლიერი კაცები ერია. ერთი მეჯოგე მატია[2], მეორე პეპია შოშიშვილი და მესამე დათუა უსტაბაშიშვილი. *პირველი იყო სომეხი და მეორე ქართველი* ეს სამნი რომელ მხარეზედაც ზემო უბნის მოკრიებს გაუჭირდებოდათ, ეს საკვირველი მოკრიები გავიდოდნენ და მაშინვე პირს იქით აქნევინებდნენ ქვემო უბნის მოკრიებსა. ქვემო უბანშიაც სამი უპირველესი და გამოჩენილი მოკრიები ერივნენ, ერთს ერქო გაპია (პირველი მოქალაქე იყო.) მეორეს გეუა და მესამეს ლაზარე. იმ საშინელს ქვის

[1] ვფიცავ, აღამამადხან რომ მოვიდა, თუ ასე გამოედოთ თავი, არას დროს ქალაქში არ შემოუშვებდენ.

[2] თავადი ბეგთაბეგიშვილი. მაშინ თავადები და აზნაურშვილები კრიობდნენ.

სროლაში, იგი სამი გამოჩენილი, *პირველი* მოკრიები გამოვიდნენ ქვევიდგან, ზემო უბნიდგან ჯოხის მოკრიები გამოითხოვეს. ზემო უბნიდგანაც იგი გამოჩენილი მოკრიები გავიდნენ, მაგრამ ასეთი ქვის სროლა იყო, რომ ეს ექვსი უპირველესი მოკრიები ერთმანეთს ვერ მიუდგნენ და შორიდგან ერთმანეთს ემუქრებოდნენ. უპირველესმა თავადებმა ეს ექვსი გამოჩენილი მოკრიები რომ ნახეს გამოსული, სწრაფათ გადაცვივდნენ და ორისავე მხრიდგან, დიდის ცდით ქვა დააყენებინეს და დამშვიდება მოხდა. უნდა ენახათ ეს ექვსი გამოჩენილი მოკრიე როგორ დაალბობდნენ ერთმანეთსა. ამ დამშვიდებულს დროსა, ეს გამოჩენილი მოკრიები, მგლებსავით მიესივნენ, *დაეძგერნენ* ერთმანეთსა და იმათი ჯოხის ზათხაზუთხი ერთმანეთს რომ სცემდნენ, ქალაჩუნას გულს აუთრთოლებდა, სადაც ორისავე მხრიდგან საშინელი ყიჟინა იყო და ძახილი დიდი!

რასაკვირველია ორისავე მხრის მოთამაშე ხალხსა (ანუ მაყურებლებსა) სურდათ თავიანთ მოკრიებს გაემარჯვათ. *მაგრამ პეპიამ გაპია წააქცია და თავიც დიდათ გაუტეხა. დათუამ გეუას ასეთი ჯოხი დასცა მხარში, რომ მაშინვე გატრიალდა და მხარჩამოგდებულსავით წავიდა. ქვემო უბნელებმა ეს რომ ნახეს, იჟრიალეს, ჟრიამულით გადმოცვივდნენ და საშინელი ქვა დაუშინეს. აქედანაც რასაკვირველია, ზემო უბნელები მიეშველნენ და შეიქნა საზარელი ქვის კრივი.* ამაში გაგძელდა კარგახანი, ბოლო დროს ერთიან ჯგუფმა მოკრიებმა ვეღარ მოითმინეს და ერთმანეთში დაერივნენ, სადაც იყო ძახილი და დიდი ცემა ერთმანეთზე ჯოხებისა და ამასთან ასტყდა ძალიანი ქვის სროლა, რომლებსაცა ყოვლის მხრიდგან ქვემო უბნელები შემოერტყნენ ზემოუბნელებსა და ძალა დაატანეს ზემო უბნელებსა, მაგრამ ერთი ნაბიჯი ადგილი არ დაუთმეს და ერთს ადგილსვე კრიობდნენ. ქვემო უბნელებმა ყოველი ძალა დაასრულეს, მაგრამ არ იქნა, ვერას გზით ვერ გამოაქციეს. შემდეგ მოკრიები მოუტარეს ჩუმათ და ასეთ ასეთი ქვები დაუგორეს ზევით მთიდგან ზემო უბნელებსა, რომ თითო კლდის ქვა სამი და ოთხი პუდი გამოვიდოდა. ამაზე ზემო უბნელები მოშალეს, ფეხი აგვიდგეს და ქალაქისკენ გამოგვაქციეს ყეენიც, მოკრიებიც და მაყურებლებიც, მაგრამ ქალაქთან რომ მოვედით, ქალაქის პირთან დადგა ზემო უბანი, საშინელივე კრივი გამართეს და ვეღარ იკადრეს ქალაქში შემოსვლა ქვემო უბნელებმა, სადაც

შინამდისინ ძლიერი კრივი იყო და მასუკან დაიშალა. ამ მშვიდობიანს დროსა, ერთი შურდულის ქვა მამხვდა უკან თავის კეფაში და *დიდათ გამიტეხა უკანა კეფა.* კარგა გამიტეხა. ჩემა ლალამ მე შინ რომ მომიყვანა, დედა ჩემი არ გაჯავრდა, ამისთვის რომ ამგვარს საშიშს საქმეებსა არ მარიდებდნენ: კარგი ვაჟკაცი გამოვაო. ეს მთელი ქართველების ჩვეულება ასე იყო, რომ თავის შვილებს ყოველს საშიშს განსაცდელში ზდიდნენ: უშიშარი ვაჟკაცი გამოვაო. მაგრამ მე კი მთელი ერთი თვე მალამოს მადებდნენ თავზე, ძლივს *რას ყოფით* გამიმთელეს. ახლა ხანდისხან კეფაზე ხელს რომ მოვისვამ, მაშინდელს დაღზე მომედება ხელი და იმ კრივის ამბავი უნებურათ მამაგონდება.[1]

თ~ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი 1841-ს წელს ქ. ტფილისს.

[1] ამისთანა საშინელი ბოროტი კრიები, მთავარმართებელმა ერმალოვმა მოაშლევინა, ამისთვის რომ ამისთანა ძლიერს კრივებში, ხანდისხან კაციც მოკვდებოდა იმ არეულს საშინელს ქვების კრივში, სადაც იმ დროს მოკრიე თავს აღარ უფრთხილდებოდა და თავდადებით კრიობდა, მარამ მაინც მცირე, მცირე კრივებს კიდევ არ იშლიან ჩვენი ქალაქელები.

ჩემი რუსეთიდგან მოსვლის შემდეგ[1]

იტყვიან, „შეუძლებელი არა არის რა ამ ქვეყანაზედაო“. მე ვიტყვი. თუ რომ ბედი არ შესწევს შემძლებელსა, ვერას შეიძლებს შემძლებელი. მაშასადამე, ყოვლის საქმისათვის ღმერთს უნდა ვთხოვოთ, კარგი ბედი მოქვცეს.

აქამომდე, არც საქმისათვის ვზრუნამდი შემატება მქონოდა საიდგანმე და არც კარგის ბედისათვის ვფიქრობდი, ამისთვის, რომ დედაჩემის თეკლე ბატოიშვილისათვის ვიყავ ცოცხალი, იმას ვერ ვშორდებოდი, რომ იმისი საწყენი იყო ხოლმე. ნამეტნავად ჩემი ცოლის ეკატერინეს მოშორვება დიდათ და მწარეთ შეაწუხებდა. ვინიცობა არის, თუ სოფელში წავიდოდი მე, ბევრს ხანს ვერ დავყოფდი და საჩქაროთ დავბრუნდებოდი. ვიყავით მე და ჩემი ცოლი იმასთან; თითქმის განუშორებლად, მაგრამ ის ადამიანი ასეთი რამ ბძანდებოდა, რომ მოსისხლე მტერსაც არ მოსწყინდებოდა იმასთან ყოფნა, არამცთუ ჩვენა. როგორც ის ჩვენით სიამოვნებდა, ისე იმისის კეთილის სულით კმაყოფილნი ვიყავით ჩვენა, გულით და სულითაც. თუმცა თავისის გვარათ შესაფერსა ჯამაგირსა არ იღებდა, რომ თავის ღირსებისამებრ ეცხოვრა, მაგრამ რაც კი ჰქონდა, არავისთვის არა შურდა რა. არა თავის სახლეულობისათვის და არა გარეშე საწყალთათვის. მეც ჩემი პატარას სოფლის კაზრეთიდგან მქონდა შემოსავალი, მასაც თავის ჯამაგირთან და თავის პატარა სოფლის ასანხოჯალოს შემოსავალთან ერთათ ხარჯევდა. ორნივ მხარენი ერთმანეთით ვიყავით დიდის სიამოვნით და ბედნიერად. თუმცა ჩემმა ორმა ძმებმა თავთავისთვის დაიწყეს ცხოვრება, რადგანაც ევროპიულს გვარზე არიან გაზდილნი ცოლებით, მაგრამ როდისაცკი დედასთან მოვიდოდნენ, მეტად იამებოდა იმათი ნახვა და ერთმანეთით გავბედნიერდებოდით ყველანი.

ახლა 1846-ი წელიწადი არის რომ დედა აღარა მყავს მე ორმოცდაოთხის წლისას. მაშასადამე, ახლა ჩემს მცირეს ყმასა და მამულს უნდა მივმართო, მაგრამ ღმერთსა ვთხოვ, რომ ყოველს ჩემს საქმეში კარგი ბედი მომცეს ჩემი საქმის წასამართველად, საწადელისამებრ ჩემისა.

---

[1] მე 1840-ს წელსა მარტის 6-ს დღესა, შუადღიდგან 11-ს საათზედ მოვედი რუსეთიდგან ქ. ტფილისში, და დედაჩემი თეკლე ბატოიშვილი გარდაიცვალა 1846-ს წელსა მარტის 11-სა დღესა, გათენების მეოთხის საათის ნახევარზე.

(თიბათვის) ანუ ივნისის დამდეგს ამოველ ცოლშვილით[1] კაზრეთში და შევუდექ საქმესა. ამითი უფრო კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი სახლეულობაცა დიდი კმაყოფილნი არიან აქაურის ცხოვრებითა, ამისთვის ღმერთსა ვმადლობ, რომ კარგის და კეთილის ცოლშვილებით გამაბედნიერა ღმერთმა.

თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

[1] შვილებთაგან ორი ქალის მეტი აღარა მყავს. ქ. ტფილისის პანსიონის კურსშესრულებული უფროსი გასათხოვარი ქალი დარია ჩემთან არის და მეორე უნცროსი ქალი მარიამ ქ. ტფილისის ინსტიტუტში იზდება; დღეცა და ღამეც იქ არის.

ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი

ორბელიანების ამბავი ეს არის, მაგრამ ამ საგნის შესწავლისათვის ეს ცოტაც ითქვას აქა. ყაფლანიდგან ამ დრომდისინ ორბელიანების ამბავი აღარა მომხდარა რა, რომ დასაწერი იყოს, თვინიერ ამის მეტი. ორბელიანებსა და ბარათაანთ დიდი მტრობა ჰქონიათ ერთმანეთში. აქ არა ითქმის რა იმათი მტრობის მიზეზი იმისთვის, რომ მე სხვას ვწერ და მხოლოდ ორიოდ სიტყვა საჭირო იყო, აქ მომეხსენებინა.

ერთს გათენებისას ჩრდილოეთის ბარათაანნი მოუხდენ სამხრეთის ბარათაანთ (ორბელიანებს) ფარულად ს. ტანძიას და დედაწულით ასე გაწყვიტეს ორბელიანები, რომ ერთი აღარ დაადგეს ცოცხალი (დიდი მეფის თეიმურაზის დროს ყოფილა და ამის მქნელი სახლის უფროსი ბარათა ყოფილა), მაგრამ ცამეტ-თოთხმეტი წლის ყმაწვილი ყაფლან მოუტაცია თავის ლალას და ყაფლანის მამის მეგობარ არღუთაშვილთან მიუყვანია ს. სანაინში.[1] არღუთაშვილი ყმაწვილისთვის დიდათ შეწუხებულა, „ბარათაანთ არ შეიტყონ და ესეც არ მოკლანო“. მაშინვე კაცები გაუტანებია და ყიზილბაშში გაუგზავნია ყაფლანის ბიძა ვახტანგ ორბელიანთან[2], რომელიცა სპარსეთის ყაენის[3] ყორჩიბაში ყოფილა (გამოჩენილი სახელი არის ყორჩიბაშობა ყიზილბაშში). ჯერ დიდათ ისიამოვნა ძმისწულით, თავის ბიძამდისინ რომ მიაღწია ყაფლანმა, მაგრამ შემდეგ რომ შეუტყვია თავიანთი სახლის გაწყვეტა ბარათასაგან, დაუყოვნებლივ ამხედრდა ყაენის ნებით და მძლავრის სპარსის ჯარით გამოილაშქრა საქართველოზე და ყაფლანც თან წამოიყვანა თავის ლალით. ამ ამბის გამგონენი ბარათაანნი სულერთიან, დედაწულით აყრილან და ოსმალოსკენ წასულან და თაფარავანის ტბასთან გადამხტარან.

---

[1] ყაფლანის მეორე ბიძაშვილი ბეჟან არ ვიცი როგორ და ან ვის მოურჩენია ბარათაანთგან? ბარათაანნი რომ დაესხნენ ორბელიანებს, იქნება ბეჟან სოფელში იყო სადმე და იქიდგან გადავარდა ოსმალოში? როდესაც ყაფლან დაიმკვიდრებდა მეორეთ ყმა და მამულს, რასაკვირველია ბეჟანიც მოვიდოდა, მაგრამ ჩანს, რომ ბეჟანის შვილები უძეოთ ამოწყვეტილან, ამიტომ, რომ იმათგანი აღარავინ აღარ არის.

[2] ვახტანგ ყმაწვილობით სპარსეთში წაუყვანიათ, მაგრამ მიზეზი არ ვიცი, მგონია, უფრო ტყვეთ წაეყვანოთ, რომელიცა ყმაწვილობითვე გაუთათრებიათ. არც ეს შემიტყვია, თათრობის სახელი რა რქმევია.

[3] არც ამ ყაენის სახელი ვიცი, რომელს ყაენის დროს ყოფილა ეს ამბავი, მაგრამ მგონია, რომ დიდი შააბაზის დროს ყოფილიყოს.

„– სამშვიდობოში გამოვედით და აღარავინ აღარ მოვა აქაო," მაგრამ ყიზილბაშის ჯარი საჩქაროთ მოსწევია და დიდპარასკევის დილაზე დასცემიან და ასე გაუწყვეტიათ, რომ მხოლოდ ერთი კოჭლი ბარათაშვილის მეტი არ დარჩომილა. იმასაც მკვდრებში მოურჩენია თავი, რომლებიცა ეხლანდელი ბარათაანნი იმ კოჭლისგან მოდიან.

მინამ ყაფლანისათვის[1] კარგი ბინა არ მიუცია თავის ბიძას, მანამდისინ არ დაბრუნებულა ყიზილბაშისაკენ და როდისაც კარგად დაუბინავებია, მაშინ დაბრუნებულა, მაგრამ მაინც კარგი ვექილი დაუგდია ყაფლანისათვის.[2] მის შემდეგ მშვიდობიანობა მომხდარა ორბელიანებში და ბარათაანთში და მას შემდეგ მოყვრობის და მეგობრობის მეტი აღარა არის რა ჩვენში.

ესეც არ ვიცი, რომელი სახლიდგან მოუყვანია ქალი ცოლათ ყაფლანს.[3] რომლისაგანაც ჰყოლია ძენი. პირველი პაპუნა (უშვილოდ ამოწყვეტილა). მეორე ასლან. მესამე ორბელ. მეოთხე თამაზ, მეხუთე გიორგი.

ახლა მას ყორჩიბაშსვე დაუტრიალდეთ და კიდევ ვთქოთ რამე მისი. მისდამი რომ მიახწია ყაფლანის სახლის ბედნიერება და იმთენი შვილიერება, ვახტანგმა თავის ძმისწულს, ყაფლანს მაშინვე წიგნი მისწერა და ერთ-ერთი მისი შვილი დაიბარა თავისთან გასაზდელად. ყაფლანმა თავისი მესამე შვილი, ორბელ გაუგზავნა, რომელმაცა ქართულს და სპარსულს გვარზე კარგათ გაზარდა და გამოსტუმრების დროს დიდი ფული გამოატანა ორბელს და თავის ძმისწულს ყაფლანს მოსწერა: „თუმცა მაჰმადიანი ვარ, მაგრამ მაინც გული ქრისტიანობაზე არ შემცვლია. და რაერთი ფულიც

---

[1] ყაფლანის ამბავი კიდევ სხვა რიგათ გამიგონია, ვითომც იმის ლალას ჩაეყვანოს ყიზილბაშში არლუთაშვილიდგან და ერთს დღეს ყეენის წინ მოფრინალი ძერა ჩამოეგდოს ისრით ყაფლანს, მაშინ, როდესაც რომ ჯარით მიბძანდებოდა სადღაც ყაენი. ვითომც ყაენს ებძანებინოს: „–ეხლავე აქ მომგვარეთ, ვინ მოკლა ძერაო". ყაფლან მაშინვე მიუყვანიათ.ყეენს ჯერ დიდათ მოსწონებია ყაფლან და მასკვან ვინაობა უკითხამს. ყაფლანს თავისი ყოველი გარდასავალი მოეხსენებინოს. ყეენი ჯარიდგან რომ მობრუნებულა თავისი ერთი სარდალი დიდის ჯარით გამოეგზავნოს და ყაფლანც თან ჰყოლიყოს და იმ სარდალს თაფარავანთან გაეწყვიტოს ბარათაანნი. ეს სულ ზღაპარსიტყვაობა არის. როგორც ზევით დაიწერა, სწორეთ ასე არის.

[2] რადგანაც ამ ყაფლანმა თავისი ღვაწლით იშოვა მეორეთ მამული და თავის გვარი მეორეთ იმან დაიფარა, ამიტომ ზედართულ გვარსაც გვიძახიან – ყაფლანიშვილები.

[3] მე არა მგონია, ყაფლან იყოს ნათლობის სახელი. იქნება, რაისამე მიზეზით დაარქვეს მომატებული სახელი ყაფლან?

ორბელს გამოვატანე, გთხოვ, მაგ ფულით ფიტარეთის პატარა ეკლესია გაავრცელებინო, დიდი, მაღალი და გუმბათიანი აღაშენო და ყოვლის მშვენიერებით შეამკო. ესეც რომა, მაგ ორბელს ჩემი სახელი უწოდე (ესე იგი ვახტანგ)[1]. ჩემი სახელი თქვენს სახლში დარჩეს სახსოვრად. და ამასაც გეტყვი, რომ ეგ ორბელ ყოვლისფრით კარგი არის. თქვენს სახლს როგორიც შვილი ეკადრება, სწორეთ იმისთანაა.“[2]

მართალია, ფიტარეთის ეკლესიის გავრცელებისათვის მოუვიდა ფული, მარამ ყაფლანმა ხულუტის ციხე ააშენა გაჭირებისათვის. კიდევ ეშინოდა. როდისაც ეს ამბავი შეიტყო ყიზილბაშის ხელმწიფის ყორჩიბაშმა (ვახტანგმა), მეორეთ უფრო ბევრი ფული გამოუგზავნა, რომელმაცა ამით გაავრცელა და ზედ დიდი გუმბათი დაადგა და დასდეს სახელი ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესია, სადაც ყაფლანის მომავალი შვილიშვილები იმარხებოდენ, ესე იგი ჯამბაკურიანნი ორბელიანნი სომხითის აოხრებამდისინ და შემდგომ ქ. ტფილისის სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში დაიმარხებოდენ ამ ოცი წლის წინათ...

აქედან დაიწყო ორბელიანების მეორედ გაძლიერება, თორემ ყაფლანამდისინ დამდაბლებული ყოფილან საქართველოს მეფეებისაგან. ნამეტნავად ხუთი ვაჟკაცი შვილი რომ მოსწრებია და ყიზილბაშშიაც ძლიერი ნათესავი ჰყოლია, ამას უფრო აუმაღლებია ყაფლანის სახლი.

1. მოხუცებული ყაფლანის გარდაცვალების შემდეგ პირველი შვილი პაპუნა გარდაცვლილა უძეოდ, რომელსაცა აუშენებია ს. ტანძიას კარის ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე. თუმცა უგუმბათოა, მარამ კარგი რამ არის და ლურჯი ქვით არის ნაგები. შემდეგ ყაფლანის გარდაცვალებისა? ხუთის ძმებისათვის გაუკეთებიათ სახლები და ყმა და მამულიც თავ-თავისთვის დაუჩემებიათ სწორეს გაყრამდისინ. ამათი სახლები ს. ტანძიას ასე ჰყოფდა, ოთხი ძმა

---

[1] ჩვენის ოჯახის წიგნებში ზოგში ორბელად არის წოდებული და ზოგში ვახტანგად. ამის გამო ჩვენს ოჯახში ვახტანგის სახელი ამ მიზეზით დარჩომილა.

[2] როგორათაც შააბაზს შემოუთვლია ლუარსაბ სარდლისათვის, თქვენი, ყაფლანიანთ დიდი დიდება და მრავალი ქება მესმის, ამისთვის გთხოვ მეწვივნეთ, რომ თქვენის საკადრისის დიდებით გაგისტუმროთო. ლუარსაბ სარდლის პასუხი: „ბიზი ისტიან ტანძია გელსუნ“. იცოდა, პატარა შააბაზ თუ ყაფლანიანთ ხელში ჩაიგდებდა, სულერთიან გასწყვეტდა და ამ ორის სიტყვით მოუშორებია.

ერთს მხარეს მდგარან და სალოცავათ პაპუნას ეკლესია ჰქონიათ ოთხ სახლობას. ამათზე ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთის მხარეს მეორე ძმა, ორბელ მდგარა და ეკლესიაც ცალკე ჰქონია თავისთვის.[1]

თუმცა მამა და პირველი შვილი დაჰკლებიათ ოთხსა ძმასა, მაგრამ მაინც დიდი ძალა ჰქონიათ, ასე რომ, მეფეს სარდლობაც უძლევია პირველის ძმის ასლანისათვის. რადგანაც ასლან სნეული ყოფილა, მეორეს ძმას, ორბელს იმისი სარდლობა არ უქნია. ვინაითგან ორბელი[2] სახლის უფალი ყოფილა, ამისთვის სახლის უფლებაზე ყოფილა დამოკიდებული, რომ ავკარგობა განეგოთ თავიანთ საზოგადო სახლისა. მასკვან თვით ორბელისათვის უძლევია მეფეს. ორბელს თავისიც უარი უთქომს:

„– ჩემთვის სახლის პატრონობა ანუ სახლის უფროსობა საკმაოა და სამაგიეროდ ჩვენ ორი ძმისა, ჩვენ მესამე ძმას, თამაზს უბოძეთ სარდლობაო“.

მეფე მაშინვე თანახმა შექმნილა და მესამე ძმის თამაზისათვის უბოძებია სარდლობა, რომელიცა დიახ კარგი სარდალიც ყოფილა.

ნაცვლად პირველის ძმის ასლანისა თუმცა მესამეს ძმას, თამაზს მისცემია სარდლობა, მაგრამ თამაზ სარდლის სიკვდილის შემდეგ ისევ პირველი ძმის სახლში გადასულა სარდლობა. ესე იგი ასლანის შვილს, ლუარსაბს ჰქონია სარდლობა, მასკვან ამის შვილს, ქაიხოსროს, მერე ქაიხოსროს შვილს რევაზს,[3] კიდევ რევაზის შვილს დავითს და ეგრეთვე დავითის შვილს ივანეს, მახსომს იმისი სიცოცხლე. ესენი სულ გამოჩენილი სარდლები ყოფილან. ნამეტნავად დავით (მეფის ირაკლის სარდალი და სიძეც).[4]

---

[1] ზევით დამავიწყდა, ეს ვეღარა ვთქვი, რომ ყაფლანის სახლი ასე განძლიერებულა, რომ ყაფლანის ქალი როდამ შანაოზ მეფეს შეურთამს ცოლად...

[2] აი, თვით ორბელისაგან აშენებულს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის კარიბჭეზე რა აწერია თლილ ქვაზე ს. ტანძიას: „Ⴑ. ᲑᲐᲥᲔ: ᲠᲐᲑᲠᲗ: ᲡᲔᲜᲘᲡ: ᲥᲘᲚᲠᲗᲔᲡ“. ქ. წᲜᲝ: ᲜᲙᲜᲚ: მეოხ: ექმენ: პტᲜრნს: ორბელს. ეს ეკლესია პაპუნას ეკლესიაზე ბევრით პატარა არის, თუმცა უგუმბათოა, მაგრამ დიახ ლამაზია, მოთეთრო თლილის ქვით არის აგებული, შიგადაშიგ წითელი თლილი ქვა აქვს ნარევი. დღესაც ახალსა გავს.

[3] რევაზ სარდალს გაუზდია მეფე ირაკლი; ინდოეთშიაც გაჰყოლია და მინამ რევაზ სარდალი მოკვდებოდა, მეფის ირაკლის დამრიგებელი და ყოველი საქმის მრჩეველი რევაზ სარდალი ყოფილა.

[4] ორბელიანებს ორს ადგილას ჰქონიათ სასახლე. ერთი ს. ტანძიას და მეორე დმანისში. დმანისში უფრო შიშიანობის დროს დადგებოდენ ამისთვის, რომ მაგარი ადგილია და ციხეც ევლო გარსა; და ტანძიას უფრო ყოველთვის მდგარან, ჰაერისა, წყალი-

მეორე ძმის ორბელიდგან ანუ ვახტანგ უწოდოთ ახლა, არიან ჩამომავალნი: ორბელის ანუ ვახტანგის შვილი ვახუშტი და ამის უძეო ძმანი, ვახუშტის[1] შვილი ელიზბარ და კიდევ ამის უძეო ძმანი, ელიზბარის შვილი დიმიტრი, დიმიტრის შვილი ვახტანგ და ვახტანგის შვილი ჩვენ სამნი ძმანი. *მესამისა და მეოთხის ძმის ჩამომავლობისას არას ვიტყვი ამისთვის, რომ თავიანთი გვარის, სახლის ამბავი ყველამ იცის და დიახ კარგი იქნება, აღწეროს ვინმემ იმათგანმა და იქიდგან შეიტყობა იმათი ჩამომავლობა.*[2]

პირველი ძმის წილობისას ჰქონია სარდლობა და დიახ კარგი სარდლებიც ყოფილან. მეორესა მეფის საკუთარი რჩევის დივანბეგობა და ამასთან თავიანთ სახლის პატრონობა; თუმცა ელიზბარისათვის ეშკაღაბაშობა უბოძებია მეფეს და ელიზბარს უარი უთქომს, მაგრამ მეფე მაინც არ მოშვებია ნათესაობის გამო და ძალად მიუცია, თორემ არაოდეს არ ნდომია. *ამისთვის, რომ მესამის ძმის წილობა ყოფილა ეშკაღაბაშობა და ვინც კი ყოფილან ეშკაღაბაშნი, მართლაც რომ ზედგამოჭრილი ყოფილა ამათთვის ეშკაღაბაშობა. ასე რომ ყველასთვის მოსაწონი ყოფილან ისინი.* ელიზბარ ეშკაღაბაშის შემდეგ მესამეს სახლში გადასულა ეშ-

---

სა და ადგილის მდებიარობის გამოისობით.

როდესაც მეფეს ირაკლის მეორეს მორიგის დაწყობილობით მტერი ამოეგდო საქართველოდგან და მშვიდობიანობა მომხდარიყო სრულიად საქართველოში, მაშინვე დავით სარდალს სომხითის შენებისათვის ხელი მიეყო და რამთენიმე სოფლები გაეშენებინა; თუ ის დაწყობილობა და ის მშვიდობა არ მოშლილიყო, მცირეს დრომდისინ სულერთიან სომხითს ხელახლად ააშენებდა და პირველს მდგომიარობაში მოიყვანდა, მაგრამ მიზეზის გამო მორიგე მოშლილიყო (მორიგეს მოშლილობის მიზეზი მეფის ირაკლის ამბავში დამიწერია), გარეშე მტერნი ისევ განძლიერებულიყვნენ და ისევ მოშლილიყო სომხითის ახალი ბედნიერება, მაგრამ ქალაქის პირის სოფლები მაინც შენათ შეინახა დავით სარდალმა და აქამდისინ ის სოფლები შენათ არის.

[1] გვაროვნობის სქემაში ზურაბ ჩაუწერიათ ამისთვის, რომ ზურაბის წერილი არის შეტანილი გვაროვნობის ძიებისათვის დეპუტატ სობრანიეში, თორემ სწორეთ ვახუშტის ჩამომავლობანი ვართ ჩვენი სახლი და ზურაბ კი უძეოთ მომკვდარა.

[2] თუ რომ ჩვენი ოჯახის წერილები ცალ-ცალკე დამეწერა შესატყობლად, რომ როგორი კაცნი ყოფილან ჩვენში, მეტათ ბევრი მოვიდოდა და ამისთვის დავაგდე, მაგრამ ამ მცირეს ლექსს კი დავწერ, მოსკოვიდგან მოწერილსა დიმიტრი ბაგრატიონისაგან თავის ნათესავს მამაჩემთან. ვინაიდგან ორბელის წილობისა არის ჩვენი სახლი, ამისთვის ორბელის ძეთ უწოდებს ჩვენი სახლის შვილებს:

ორბელის ძენი ყოფილან ბრძენი, გონება ვრცელნი, გულის ხმიერნი,
ერნი და ბერნი, კეთილად მწერნი, საღმთო-საეროდ კარგ-მშვენიერნი,
ენამჭევრ სრულნი, ლამაზად ქმნულნი მრავალნი გვქონან ჩვენ მათმიერნი,
გვიხამს ვმადლობდეთ, შენდობას ვძღვნობდეთ ერთქვეყნიერნი ვინც ვართ ივერნი.

კაღაბაშობა. მეფეს თეიმურაზს თავისი ქალი ანა (მეფის ირაკლის და) დიმიტრი ეშკაღაბაშისათვის შეურთავს და ეშკაღაბაშობაც უბოძებია.

მეოთხეს სახლის შვილებისათვის უწოდებია მეფეს – „ჩემი საკუთარნი ვაჟკაცნი.“ თუმცა ყველა ყაფლანიშვილებს მოსდგამთ აქამომდე ვაჟკაცობა, მაგრამ როგორათაც მეოთხე სახლის შვილები ყოფილან, ვგონებ, საქართველოშიაც იშვიათი იქნებოდა. აი, მეფის ირაკლის სიტყვა ზაალ ყაფლანიშვილზე, რომელიც მეოთხე სახლის შვილი ყოფილა: „რომელს ჯარშიაც ზაალ ყაფლანიშვილი მეგულება, თუნდ ის ჯარი ხუთი კაცი იყოს და ათასი ჯარი გვეხვიოს, შეუძლებელია, ის ათასი არ დამარცხდეს. მე ზაალ ყაფლანიშვილისთანა გამოჩენილი ვაჟკაცი არსად არ მინახავს“.

აქ უნდა კიდევ ითქვას რამე. პირველი, ზაალ ყაფლანიშვილს ჰყვანდა მეორე ძმა ზურაბი. ზაალისაგან იყო ოთხი ძენი: დიმიტრი[1]*, ბეგლარ, ყაფლან და გიორგი. ოთხივ ცოლშვილიანები, მაგრამ სულ ამოწყდნენ, მხოლოდ ყაფლანს დარჩა ქალი სოფო, რომელიცა შეირთო სახელოვანმა რუსმა ჩინოვნიკმა, გვარი მისი ბეზაკ. მეორე ძმას ზურაბს ჰყვანდა ძე ლუარსაბ, ესეც ამოწყდა და მხოლოდ დარჩა ქალი მარიამ, რომელიცა შეირთო ჩემმა მეორე ძმამ დიმიტრიმ. ამ მეოთხე სახლის წილობის ყმა და მამული ორად განიყო. ერთი წილი სოფოს ერგო გაწილვით და მეორე წილი ჩემს რძალს მარიამს.*

ახლა დავით სარდლის ამბავი ვთქვათ. დავით სარდალს ჰყვანდა მეორე ძმა ნიკოლოზ. დავით სარდლის შვილს, იოანე სარდალს ჰყვანდა ორი ძენი, ლუარსაბ და დავით. ლუარსაბს ორი ქალის მეტი არა ჰყოლია, ელენე და მარიამ. ელენე შეირთო თ˜ა ზაქარია ქსნის ერისთავის შვილმა და მარიამ შეირთო მყოფმა საქართველოს სამოქალაქოს ღუბერნატორმა თ˜ა ნიკოლოზ ფალავანდოვმა. ამ ლუარსაბის წილი ყმა და მამული თავისი ძმის დავითის გაწილვის (გაყრილობის) ნარგებიდან ორად განიყო: ერთი წილი ერგო ელენეს და მეორე წილი მარიამს. ხოლო ლუარსაბის ძმას დავითს დარჩა

[1] სომხითი რომ აოხრებული და ვერანა იყო, ახალმოსულს რუსების დროში, შენება დაუწყო იმ დიმიტრი ზაალის შვილმა თავის მამა–პაპის სოფლებს და რამთენიმე სოფლები კიდეც გააშენა და ეხლანდელის სომხითის შენობის საფუძველი იგი დიმიტრი ორბელიანია და ჩვენ, ერთობ სომხითელებს, დიდი მადლობაცა გვმართებს მისი.

ორი ძენი – ივანე და ალექსანდრე.[1] *და ამ დავითის წილობის ყმა და მამული კიდევ ოჯახში არის. ზევით რომ ვთქვი, დავით სარდლის ძმა ნიკოლოზ-მეთქი. ახლა ამისთვის ვიტყვი. ნიკოლოზს ჰყვანდა ექვსნი ძენი: გიორგი, ზურაბ, ასლან, იოსებ, იაკობ და სამარაღდო. გიორგის სამნი ძენი დარჩა, ქაიხოსრო, ალექსანდრე და ანტონი; ქაიხოსრომ და ალექსანდრემ თავიანთი ყმა და მამული დაღუპეს სახელმწიფოს აბრეშუმის ვაჭრობაში, რომელიცა სულ სახელმწიფოთ დარჩა ამათი ყმა და მამული და საცოდავი მესამე ძმა მწუხარებით შესცდა. ზურაბს დარჩა ეგრეთვე სამნი ძენი, გრიგოლ, ზაქარია და ილია. სამნივ რუსეთის სამხედროში იმსახურებიან. გრიგოლ არის პოდპოლკოპვნიკი, ზაქარია სრული პოლკოვნიკი და ილია შტაბსკაპიტანი. სამნივ ესენი ერთიმეორეზე უკეთესები არიან კაცობითაც და ჭკუითაც და თავიანთი სამსახურით და თუ რომ განაგრძეს სამსახური იმათ, დიდ ღირსებაში შევლენ სამნივ, მარამ მესამე ძმას ქაღალდის თამაშობა უყვარს დიდ ფულზე, როდისაც რომ აქვს და ეს არ მოუხდება იმის პატივისმოყვარულობას. მესამე ძმა იყო წაყვანილი ტყვეთ დაღისტანში და ვისაც სურდეს იმის ამბის შეტყობა, იმის ზაპისკა წაიკითხონ. ასლანს დარჩა ერთი ძე ყაფლან. როგორიც ჰაეროვანი და სახით მშვენიერია, ისეთი ჭკუაც რომ ჰქონდეს, საკურველი იქნება. თუმცა უჭკუო არარის, მაგრამ სახის და ჰაეროვნების ანგარიშზე ითქუა აქ. იოსებს დარჩა ორი ძენი, კონსტანტინე და ესტატე, მამის შემდეგ ესენი დიდ ვალში ჩაცვივდნენ, მარამ მიზეზი არ ვიცი, რომლებისაც ამათი თავიანთი ყმა და მამული კომისიონერმა ივან შარუევმა წაიღო თავის ვალში, მარამ არა სრულიად, არამედ კიდევ დარჩა რამდენიმე. ეს ორივ ძმებიც ქაღალდის მოთამაშენი იყვნენ და მგონია ამ მიზეზმა დაღუპა ეს ორნი. უნცროსი ამ სამის თვის წინ გარდაიცვალა და უფროსი ისევ იმყოფება კეთილს და კაიკაცობის ქცევაში. იაკობს დარჩა სამი (ოთხი) ქალი: თამარი, ბარბარე, ეკატერინე (სოფო). თამარი შეირთო პოლკოვნიკმა სანკოვსკიმ, ბარბარე შეირთო არტილერიის კაპიტანმა აპაჩინინმა, ეკატერინე შეირთო მაიორმა ივანოვმა. სამნივ დიახ უცხო კაცნი არიან. სამნივ რუსები არიან. ეს*

[1] რაც ყმაწვილკაცობას შეშვენის, მართლა რომ კარგი ყმაწვილი კაცი არის ივანე და იმედია, რომ უფრო კარგი შეიქნას და ალექსანდრესი კი ჯერ არა ითქმის რა ამისთვის, რომ პეტერბურღში იზდება ერთს რომელსამე სასწავლებელში.

რუსები დიახ პატიოსანნი და კეთილშობილნი კაცნი არიან. სოფო ჯერ გაუთხოვარია.

სამარაღდოს დარჩა მხოლოდ ქალი ბარბარე, რომელიცა შეირთო კაპიტანმა ალექსანდრე საგინაშვილმა. ნურავინ ნუ მიხედავს ქართველს აზნაურიშვილს როგორ მისცესო? ღმერთმა ინებოს, ყოველი თავადობა იმისთანა გამოვიდნენ საქართველოში, როგორიც ალექსანდრე საგინაშვილი კაცური კაცი არის. ამ პირველის სახლის წილობაში დიდი ფულის ვალი მკვიდრობს. არ ვიცი, ამათი საქმე როგორ იქნება? მაგრამ აქედან ზურაბის შვილები და ალექსანდრე საგინაშვილი უნდა გამოვრიცხოთ ამიტომ, რომ ამათ გაცემულიცა აქვთ ფული, არამცთუ ემართოთ.

ახლა მესამის წილობის სახლის ვთქოთ. ამათი სახლი ორად არიან., ერთი თამაზ ეშკაღაბაშისა[1] *და მეორე ჭაბუა დიანბეგისა, მეფის ირაკლის დროინდელია. თამაზ ეშკაღაბაშიდან სამნი ძენი არიან, პირველი ღუბერსკის მარშალი, ღენერალ-მაიორი დიმიტრი, მეორე პოდპოლკოვნიკი მამუკა და მესამე ღვარდიის კაპიტანი ივანე. ეს ოჯახი დიახ მედიდურად ცხოვრობს და კიდეც შეუძლიანთ. ჭაბუა დიანბეგს ჰყვანდა ერთი ძე დავით, რომელსაცა დარჩა ძენი. უფროსი ერთი ამ დავითის ყმა და მამული მოვალეებმა წაიღეს და დღევანდლამდისინ არ ვიცი, რისთვის დაიდო ვალი.*

ახლა აქ გადმოვიდეთ და ჩვენი სახლის ამბავი გავიგონოთ.. ჩვენი, მეორე ძმის წილობის სახლი დიახ გაძლიერებული ყოფილა ძველს დროში.

2. *თუმცა ღირსებისგვარად,* სარდლის სახლსა სარდლობა ჰქონია და ჩვენს სახლსა პირველი მეფის დიდი დიანბეგობა, მაგრამ რადგანაც ჩვენს სახლში ჭკვიანნი კაცნი გამოსულან როგორც მეფობისათვის, ისე ოთხი სარდლისათვის. ოთხს სახლში არა გარიგდებოდა რა, თუ ჩვენი სახლის დიანბეგებისათვის არ ეკითხათ. მეფე ხომ რასაკვირველია და სარდალიც ეგრეთვე. მე ამას ცარიელის სიტყვით არ ვლაპარაკობ, ამის დასამტკიცებლად ფაკტები მაქვს. *რომლებსაცა იმ ფაკტებს მოკლედ ვიტყვი. თუმცა ჩვენი ოთხი სახლის შვილები ბევრნი ყოფილან, მაგრამ ასე ჰყვარებიათ ერთმანეთი და ასეთი ერთგულნი ყოფილან ერთმანეთისა, რომ მტრის*

[1] თამაზ ეშკაღაბაშის პაპას დიმიტრის ჰყვანდა ცოლად მეფის ირაკლის და, ანა ბატოიშვილი.

მტერნი ყოფილან და მოყვრისა მოყვარენი. ვინ არა ყოფილა ამათი პატივისმცემელი? მეფე უამათოდ ვერას გაარიგებდა. სპარსეთის ხელმწიფე განაძლიერებდა! ხონთქარი ადიდებდა!. საქართველოს დიდნი კაცნი ემეგობრებოდნენ და ენათესავებოდნენ. იყვნენ და ბედნიერებდნენ!..

მინამ ამათ ერთობა ჰქონიათ, მანამდისინ ერთი ტყვე არ დაკარგულა სომხითიდგან, არამც სოფლები წახდენილიყო. მეფობასა ბაქარისასა ზაფხულის დროში მოსულიყვნენ რვა ათასი ლეკი. ბოლნისი და ქცია მოეოხრებინათ. მეფეს ბაქარს თავისი ბიძა სვიმონ ყაფლანიშვილებით და ბარათაშვილებით თავიანთის შინაურის მოსამსახურეებით გაეგზავნა საჩქაროთა. სულერთიან ესენი ყოფილიყვნენ სამასი მეომარნი. ნაზარა სოფლის ბოლოში რომ ჩასულიყვნენ, ამ დროს შეხვედროდნენ ლეკებს. პირველად ქართველებს ასე დაემარცხებინათ ლეკები, რომ ორს-სამს აღაჯზედ მიჰყოლიყვნენ ხოცით, მაგრამ ლეკების დევნაში ქართველები გაფანტულიყვნენ. ამ დროს ლეკებს შემოეხედათ, ენახათ, რომ ქართველები სულერთიან დაფანტული არიან, მაშინვე დაჰბრუნებოდნენ და ასე მოესრათ, ორი კაცი ერთმანეთს ვეღარ მოხვედროდნენ და ვისაც გამოესწრო, იმას მოერჩინა თავი, მაგრამ მაინც ვერ გაუწანანებიათ სიმხითისაკენ ლეკებს, ამთენი გაწყვეტილა იმ დღეს.

აი მაშინდელი ყაფლანიშვილების ერთმანეთის დიდი სიყვარული და ერთგულობა. მეფე ბაქარს შეეპყრა სპასპეტი ლუარსაბ ყაფლანიშვილი, მუხრანის ბატონი და კიდევ სხვანი. ჩვენი სახლის დიანბეგი ერასტი ყაფლანიშვილი თავის ბიძაშვილებით მისულა რუსუდან დედოფალთან და ნათესაობის გამო ყოვლის ღონისძიებით სიკვდილისაგან გამოუხსნია ლუარსაბ სარდალი. მაგრამ სხვები კი სულ დაუხოცვინებია მეფეს.

როდესაც ოსმალოელებს საქართველო დაუპყრიათ და საქართველო სამთავროებათ გაუყვიათ, სომხითი ერასტი ყაფლანიშვილისთვის მიუციათ. ერასტი საჭიროებას დამორჩილებია. „სომხითი მაინც არ წახდეს და ქრისტიანობა არ ამოიხოცოსო“, ვინაიდგან ყოფილა ჭეშმარიტი ქრისტიანი და ეკლესიების შემამკობელი, ამისთვის ბევრს წყენას თურმე ითმენდა ოსმალოთაგან. ერთს დღეს ოსმალოელების იასაულებს ყაფლანიშვილი მანუჩარ

დაუჭერიათ და გიორგი ქავთარიშვილი. ორივე ცხენებსავით ეჭენებინათ. აღვირი ამოედოთ და ზედ თურმე სხდებოდნენ. ეს ამბავი ერასტის მოხსენებიყო; მწუხარებით ვეღარ ეცოცხლა და ამა სოფლით გარდაცვლილიყო, რომელიცა სომხითს, დავით გარეჯის ეკლესიაში მარხია და რომელსაცა შეუმკია ეკლესია ესე ძველადგან გარყვნილი, სადაც იმის საფლავის ქვაზედ ასე სწერია: „მე ტომად ორბელიანმან ძემან ვახტანგისამან ერასტიმ ვიმდებარე საფლავსა ამასა ქრისტეს აქეთ ჩღლა. ოკტონბრის კა.“ შესავალს კარიბჭის ქვაზედაც ასე სწერია: „ჩვენ დიდმა ორბელიანის ძემან მდივანბეგმან ერასტი, თანამემცხედრემან ჩემან, ბატოიშვილმა ანახანუმ ეს მონასტერი წმინდის დავითის ჟამთა განრყვნილ იქმნა და აწ ჩვენ მეორედ აღვაშენეთ და შევამკეთ ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და საქმეთა ჩვენთა წარსამართებლად. ვინც იხილევდეთ ნაშრომსა ამას, შენდობას გვიბძანებდეთ. სრულ იქმნა ქსა ქრისტეს აქეთ ტჟზ. 397+1312=1714. მეფობასა გიორგისასა, თვესა აგვისტოსა“.

ერასტი დიანბეგს ერთი კიდევ კეთილი და სასარგებლო საქმე უქნია. ერთი არხი გაუკეთებია. იმის სათავე [აბულმაძის] სოფლის მამულიდგან დაიწყობა და იმის ბოლო სატრედოს ბოლოს მამულში მოწყდება. სიგძე უნდა იყოს იმ არხისა ვიდრე ოცდაათიდგან ორმოც ვერსამდისინ, რომლისაგანაცა მაშავრის წყალით იმ არხიდგან რამთენი მამულები ირწყვებოდა, რამთენი მამულები გაკეთდებოდა და გაკეთებულიყო. თვითონ ერასტი დიანბეგსაც ერთი კარგი მზვარი გაუკეთებია სოფელს ჯალდასთან სამხრეთის მხრითა. დღესაც არის საწნახელი და ერთს მხარეს ყორეც ეტყობა.

ერასტი დიანბეგის რამდენსა წელიწადის სიკვდილის შემდგომ, პაპიჩემის დიმიტრის მამა, ელიზბარ ეშკაღაბაში, ესე იგი ერასტი დიანბეგის ძმისწული უსამართლოდ დაუხრჩვია ნადირშას. მაშინ როდესაც რომ პაპაჩემი დიმიტრი პატარა ყმაწვილი ჰყოლია თავის დედას ელენეს. ელენეს *ამ უბედურობის გამგონეს, მაშინვე* პაპაჩემი მოუტაცნია, ესე იგი თავისი შვილი და თავის დედასთან ბატოიშვილს ხვარამზესთან გადაუყვანია იმერეთს (ხვარამზე მეფის ვახტანგის და ყოფილა და თ˜ა ჩიჯავაძეს ჰყოლია).

სამსე და მდიდარი ოჯახი ელიზბარ ეშკაღაბაშისა[1] სრულებით

[1] ვახუშტი თავის ქართლის ცხოვრებაში ელიზბარ ეშკაღაბაშის დახრჩობისას არას

აუკლიათ ყიზილბაშებს, რომ ერთი ფარისა აღარა გაუშვიათ რა სახლში (ტანძიას ყოფილა ეს ამბავი).

შემდგომ ამისა ჩვენი სამი ოჯახი დაუყოვნად აყრილან ტანძიიდ-ამ და ქ. ტფილისში ჩამოსულან. აქედგან დაიწყობა განძლიერებულის ჩვენი საკუთარი სახლის დაცემა და მთელი სომხითის წახდენა, რომელიცა ცალკე შემდგომად აღმიწერია, ელიზბარ ეშკაღაბაში რად დაარჩო ნადირშამა და ან სომხითის წახდენის მიზეზი რა იყო?

აქამდინ ყაფლანიანთში რიგიანი კაცნი გამოდიან, თავიანთი გვარის სახელს ადიდებენ და იხსენებენ ყოველთვის. კიდევ იმედია, ჩვენი გვარი არასოდეს არ დამდაბლდება და მარადის რიგიანნი კაცნი გამოვლენ და ყოველთვის წარმატებაში იქნებიან, მაგრამ ასე უნდა იყოს, რომ პირველი, ერთმანეთის თანხმობა იქონიო; მეორე, სიყვარული; მესამე, ერთმანეთის ნდობა და მეოთხე, ურთიერთის ერთგულობა.[1]

ყაფლანიშვილებო, თუ ასე იქნებით, ათასი, ორიათასი და უფრო კიდევ მეტი წელიწადები რომ გავიდეს, ჩვენი გვარი კიდევ მაღალს ხარისხში იქნება და სახელოვანნი კაცნი გამოვლენ. ყაფლანიშვილებო, ახლა ამას გეტყვით. ვინძლო, თქვენი გვარი არ დაამდაბლოთ, რომ ისტორიაში არა თქვან: „– ვაი, საწყალი ჯამბაკურიანი-ორბელიანნი. დიდს ჯამბაკურიანთ ორბელიანთ გვარში ერთი რიგიანი კაცი აღარავინ არის, რომ იმისგან იხსენებოდეს გვარი.“

ამბობს.არ ვიცი, მიზეზი რა ყოფილა? დავიწყებია თუ ორბელიანების მტრობით არას ამბობს, ვერ მიმხვდარვარ, რომელს მივაჩემო?მტერი ამაზედ ყოფილა ორბელიანების, რომ ბუშობის გამო პატივს არა სცემდნენ ვახუშტის და არც არაფრად მიაჩნდათ ორბელიანებს. ამ ორში ერთ-ერთი იქნება, ან მტრობის გამოისობით არას ანბობს და იქნება მართლა დაავიწყდა?

ელიზბარ ეშკაღაბაში ქაიხოსრო სარდლის დაბეზღებით დაუხრჩვია ნადირშას. იმისი წილი ყმა და მამული დარჩომოდა და მეორეც – ჩვენი ძლიერი ოჯახის განძლიერება დიდათ თურმე შურდა. მაგრამ ტყუილია. იმათი სიყვარულისაგან ეს არ იქნებოდა. ყიზილბაშის ქარავანი წაუხდენიათ ქართველებსა ერევნის მხარეს, ამაზედ ნადირშა გასწყრომია ელიზბარსა. რადგან ეშკაღაბაში ხარ, უთუოდ შენი ბრალი არის იმ ქარავნის წახდენაო. ამასთანავე გაუკითხავად და უსამართლოდ იქვე , თავისთან დაუხჩობინებია. ქაიხოსრო სარდალი ამ დროს იქ შესწრებია ელიზბარ ეშკაღაბაშის დახრჩობაში. ნადირშა ისე განრისხებული ყოფილა, რომ უნახამს, შუამდგომლობა ვეღარა გაუბედავს რა. ეს გარემოება ერევანში ყოფილა.

[1] ყაფლანიშვილები როგორიც ჩინებული კაცნი გამოსულან და დღევანდლამდისინაც არიან? – თითვეული იმათი გამოჩენილი საქმეები რომ აღვწერო, მეტათ ბევრი მოვა. ამისთვის მოკლედ ვიტყვი, ორიოდ სიტყვით, რომ ყაფლანის ჩამომავლობაში ბევრნი ჩინებულნი კაცნი გამოსულან და დღესაც არიან. შემდეგაც კარგნი იქნებიან.

ეს ამბავი ზოგი ისტორიული გახედვით დამიწერია, ზოგი ჩემი მამაპაპის წიგნებიდგან გამომიკრებია, ზოგი ქართლის ცხოვრებიდგან (ვახუშტისა) და ზოგი პაპიჩემის დიმიტრის ნამსახურის ძველი კაცებისაგან გამიგონია (დავითა დემურაშვილისაგან, ათაბეგა დემურაშვილისაგან და ბერელა კოპახიძისაგან) და ამათაც მომსწრეებისაგან გაეგონათ და მეც ასე აღვწერე.[1]

---

[1] ელიზბარ ეშკაღაბაშის სახლის წახდენის შემდეგ ჩვენი სახლის ხელმეორეთ გაბედნიერებისა, არსებაში მოყვანისა აღარა ვთქვი აქა, მაგრამ მინდა ცალკე მოთხრობად აღვწერო ამისთვის, რომ ღირსიც არის მოთხრობისათვის და უფრო სასიამოვნო წასაკითხიც იქნება.

ელიზბარ ეშკაღაბაშის სახლის წახდენის შემდეგ ჩვენი სახლისა აღარა ვთქვი ზევით, და აქ მაინც ვიტყვი, მაგრამ მოკლეთ, ეს მაინც შევიტყოთ, მასკვან ჩვენი სახლი როგორ გაბედნიერდა, თორემ დაწვრილებით უფრო შემდგომ აღვწერ. პაპაჩემი დიმიტრი, რაკი თავს მოსწრებია, მარადის განუშორებლად ყოფილა მეფეს ირაკლისთან. ყოველს ადგილას და ყოველს ომებში, რომელსაცა კარგათ გამოუჩენია თავი, მაგრამ რადგანაც ქარლის მეფეთ ნათესავი, ჩამომავლობის ყოფილა, ამისათვის მეფე ირაკლი თურმე არა სწყალობდა, მაგრამ ლევან ბატოიშვილის ამალაში რომ შეურიცხავს მეფეს და ლევანის წინ რომ მოუკლავთ ლეკებს ომში, ამის შემდეგ მეფე ირაკლი წყალობის თვალით მოქცეულა ჩვენს სახლზე. ამ ომის ამბავიც ვთქოთ აქა. ერთ დროს ძლიერი ლეკის ჯარი ჩამოსულა საგურამოში და ლევან ბატოიშვილი დახვედრია თავის ამალითა და მთიულეთის ჯარითა. გამაგრებული და ჩამსხდარი ლეკის ჯარი ვერას ღონით ვერ აუშლიათ, მასკვან პაპიჩემის დიმიტრისათვის უბძანებია: „– ხუთასის მთიულეთის მეომარით პირდაპირ მიდი და როგორც შენის ვაჟკაცობისაგან ვიცოდე, ზურგი არ უჩვენო და ნუ შეშინდები, მეც მალე დავიბადები შენთანაო“. ამის გამგონე დაქვეითებული მისძღოლია ხმალმოშიშვლებული და უკან მთიულეთის ჯარი მიჰყოლია და მაშინვე აუშლიათ ლეკის ჯარი და ასე დაუმარცხებიათ, რომ იმ დღეს არცერთი ქართველი მეომარი არ დარჩომილა ტყვის უშოვარი. მაგრამ ომი რომ გადაწყვეტილა და პაპაჩემი დიმიტრი ომიდგან გამობრუნებულა, ერთს დაჭრილს ლეკს წასდგომია, შეჩვენებულს მომზადებული თოფი უკრამს გულში უეცრათა და იქვე გადაქცეულა. ლევან ბატოიშვილი თურმე უგზავნის კაცებს: „– დიმიტრი ყაფლანიშვილი ჩქარა მომგვარეთ და ჩქარა მომგვარეთ“. ასე მოუთმენლათ თურმე ელოდა. ნაცვლად სიხარულისა, დაღონებული კაცი მიუვიდა: „–დიმიტრი ყაფლანიშვილი დიდის ვედრებითა გთხოვთ, მობძანდეთ და იმის უკანასკნელი სიტყვა მოიხსენოთ“. ამასთან უანბო, როგორც მომხდარიყო. ლევან ბატოიშვილი მწარის ცრემლით მიბძანებულიყო და დიდი ნუგეში ეცა, მაგრამ პაპაჩემს მოეხსენებინა: „– არა, ჩემო ხელმწიფევ, მე კაცი ვარ და სიკვდილისათვის არა ვწუხვარ და ნურც თქვენ შეიწყენთ თავსა. მე თქვენის ერთგულებისათვის თქვენის ჭირის სანაცვლო ვიყო, ოღონდ ჩემი საწყალი ცოლ-შვილი გებრალებოდესთ და თქვენის უხვის მოწყალებისაგან ნუ დააგდებთ.“. ამასთანავე მომკვდარიყო, მაგრამ ლევან ბატოიშვილი თურმე იმ გამარჯვებას გამარჯვებას არ უძახდა პაპიჩემის მოკვლისათვის (ამ ომში პაპაჩემს თან ხლებია დავითა დემურაშვილი და იმისგან ასე გამიგონია).

როდესაც მამაჩემი ვახტანგ მოსწრებია თავსა, ამასაც კარგათ გამოუჩენია თავი და მეფეს ირაკლის თავის ქალს თეკლაზედ დაუნიშნამს, მაგრამ ამის ამბავს ცალკე აღვწერ ამისთვის, რომ უფრო სასიამოვნო იქნება და ამათი ცოლქმრობით ჩვენი წახდენილი სახლი როგორ გაბედნიერდება, იმასაც ვიტყვი.

თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი, 1845-ს წელსა, ოკტონბერსა, ქ. ტფილისს.

მე თქვენი და მამულის გულისათვის თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო, ოღონდ ჩემი საწყალი ცოლშვილები გებრალებოდესთ და თქვენის მოწყალებისაგან ნუ დააგდებთ.“ ეს უკანასკნელი სიტყვა ძლივს წარმოთქო და კიდეც გარდაიცვალა. ლევან ბატოიშვილი იმ დღის გამარჯვევებას არ უძახოდა გამარჯვებათ პაპისჩემის მოკვლისათვის.

პაპიჩემის დიმიტრის მოსამსახურე დავითა დემურაშვილი თან ხლებია ამ ომში. კარგა მოხუცებული იყო, როდისაც ეს მიანბო. უფრო ბევრი იქნებოდა, რაც დავითასაგან გამიგონია, რომ დამეწერა, ამისთვის გამოკრებით ასე მოკლეთ დავწერე. გარდა დავითა დემურაშვილისა, სხვა ძველი თავადებისაგანაც ასე გამიგონია და იმათაც დამსწრე პირთაგან ასე გაეგონათ. დედაჩემსაც ბევრჯერ უცნობებია ასე.

ეს მწუხარება თუმცა სათქმელი აღარ იყო, მარამ პაპიჩემის დედის ელენეს სიყვარულისათვის მოვიხსენე, როგორც უყვარდა შვილი?

მეფე ირაკლის დიდის დიდებით მოესვენებინა აქ ქალაქში პაპიჩემის ცხედარი. სხვათა შორის, თვითონაც გაეგება. პაპიჩემის დიმიტრის დედა ელენე და პაპიჩემის ცოლი თამარი თავისი წვრილი შვილებით ხომ რასაკვირველია.[1]

და სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში დაასაფლავებინა მეფე ირაკლიმ. პაპიჩემის დედა ელენე შვილის საფლავს აღარ მოშორდა. სამრეკლოს ოთახში იდგა ეკლესიის გვერდით. დილასა და საღამოს შევიდოდა ეკლესიაში, შვილის საფლავს ცოცხით დაგვიდა წმინდათ თავის ხელით. მასკვან საფლავს დაუჩოქებდა და კარგახანი დასტიროდა მწარეთ. მინამ გულს არ მოიოხებდა, არ ადგებოდა. როდისაც მოიოხებდა, გამოვიდოდა და თავის ოთახშივე იყო მწუხარე დიდათ. ამ მწუხარებაში მოკვდა ზედ თავის შვილის საფლავზე, რომელიცა შვილის გვერდით დამარხეს ისიც.

[1] პაპიჩემის დიმიტრის ცოლი თამარი იყო თ˜ა ამირინდო ამილახვრის ქალი. პაპიჩემის სიკვდილის დროს დარჩა წვრილი შვილები: მამაჩემი ვახტანგ და ორი ქალი: ეკატერინე და გუქა.

ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან ჯამბაკურიან-ორბელიანი

ჩვენ ორბელიანნი და ბარათაანნი ერთი ჩამომავლობისანი ვართ. დიახ ძველსა დროში ჯამბაკურიანი-ორბელიანი წოდებულან ჩვენი წინაპარნი, მაგრამ შემდგომ ამათ შვილებსა შორის გამოსულა გამოჩენილი კაცი ვინმე სახელით ქაჩიბაი[1] და ბოლოს ამ ქაჩიბაის ძეთა სწოდებიათ ქაჩიბაისძენი. დასასრულ ამ ქაჩიბაის ძეთა შორის გამოსულა სახელოვანი კაცი ვინმე ბარათა[2] და ამ სახელგანთქმული კაცის სახელის მიზეზით სწოდებიათ ჩვენ წინაპართა ბარათაშვილები, რომელიცა ქრისტეს უწინარესათ მოსულა ჩვენი წინაპარი ჩინეთიდგან ივერიაში, ორბეთში დამდგარა, ამისთვის ამ დიდ დროებში იქნებ კიდევ სხვა გვარები ერქოთ ჩვენ გვარისშვილებსა გარდა ქაჩიბაისძეებისა და ბარათაშვილებისა?*კარგმა მცოდნე ორიენტალისტმა უნდა გამოარკვიოს საგანი და ჭეშმარიტი შეიტყოს.*

ვახუშტი რომ ამბობს ძველის გვარებისას ქართლის ცხოვრებაში... „ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტის ძეო“, მგონია, იმ ლიპარიდის ძენი კიდევ ჩვენ ვიყვნეთ, ამისთვის რომ სამშვილდის პატრონი ყოფილა ის ლიპარიდის ძე, მაშასადამე სამშვილდის მეპატრონენი ვინ იქნებოდნენ თუ არ ჩვენი წინაპარნი, რომელსაცა ჩვენს პირველს მამას, ჩინეთიდგან მოსულს რქმევია სახელად ლიპარიდ. ბაგრატ მეფის ძეს გიორგის მეფის აღწერაში სწერია ასე. – „არამედ კუალად განსდგა იოვანე ლიპარიდის ძე. მიუხდა მას გიორგი მეფე მორთული მესხითა და აღსართანც მოიყვანა კახეთით. ვერღარა დაუდგა, იოანე ივლტოდა სომხითს. წარუღო ლორწობანი მეფემან აღსართანს. მერმე შემოეყარა მეფე სამშვილდეს. მოიყვანა იოანე ჯავახეთს აფუცა ერთგულებასა ზედა, მისცა კუალად სამშვილდე. ქრო. ნზ. ვახუშტის აღწერაში. *ყოველი მოხსენებული საგნები თვით ლიპარიდები ბევრი ყოფილან ჩვენში.*

იქნება ზოგიერთი მოისტორიკოსები გამოძიებაში შევიდნენ „თუ ორბელიანები იყვნენ, ამთენი გვარის წოდება რა არისო?“ – აქ

---

[1] ვინაიდგან უწინდელს დროში ნათლობის სახელის გარდა, სხვას მომატებულს სახელს დარქმევდნენ ზოგიერთსა, ამისთვის ამ ქაჩიბაის ნათლობის სახელი სხვა უნდა ყოფილიყო?

[2] იქნებ ამ ბარათას ნათლობის სახელიც სხვა იყო?

მარტივად ვიტყვი, რომ სხვადასხვა ესე გვარი სწორეთ ორბელიანები ყოფილან.

პირველი. ჩვენი სახლის მოხუცებულთ შვილებისაგან გამიგონია, ჩვენი გვარი სწორეთ იმ ძველ ორბელიანთაგან მოდიან, რომლებიცა აქ ზევით ითქვა და იმათაც ასე გაუგონიათ თავიანთ მამებისაგან.

მეორე. ჩვენი წინაპარი ჩინეთიდგან რომ მოსულა, ორბელიანი არა რქმევია, მაგრამ ორბეთში რომ დამდგარა, მაშინ სწოდებია ორბელიანი, ესე იგი ორბეთელი, იმ ადგილის სახელი გვარათ გაუკეთებიათ; ორბეთელი კი აღარ უთქომთ, სიტყვა გადუცვლიათ, ჯამბაკურიანიც ზედ დაურთავთ და გვარათ დაურქმევიათ ჯამბაკურიანი-ორბელიანი.

მესამე. ვინაიდგან ის ქაჩიბაი ჩინებული კაცი გამოსულა, ამისთვის იმის ძეთა ჩვეულების მიხედვით ქაჩიბაის ძენი დაურქმევიათ, მაგრამ შემდგომად სახელგანთქმული ბარათა რომ გამოსულა, ამის გამო იმის შვილებისთვის დაურქმევიათ ბარათაშვილები; კიდევ ჩვეულებისამებრ სახელის წოდებით. და მეოთხე. როდესაც ჩვენი წინაპარი მოსულა აქ ივერიაში, იქიდგან აქამომდე, რაც მამული დაუპყრია სომხითის მხარეს, კიდევ იმ მამულსა ვფლობთ იმისი შვილები, რომ სხვა უცხო კაცი არავინ არ შემოსულა ჩვენ მამულზე სამფლობელოთ, იმ თავიდგან აქამომდე, თორემ გამოჩნდებოდა. აქ ცხადათა ჩანს, ეს გვარი სწორეთ ჩინეთიდგან არის, რომელიცა იყო მეფის ჯამბაკურიანის ჩამომავლობისა, მაგრამ ამთენ გვარის შეცვლის შემდეგ ჯამბაკურიან-ორბელიანებათ, რადაც იწოდეს ჩვენმა ერთმა სახლმა და არა ბარათაშვილადვე ამის ქვემოთ გამოცხადდება.

ერთს გათენებისას, ჩრდილოეთის ბარათანნი მიუხდნენ სამხრეთის ბარათაანთ ფარულად ს. ტანძიას იმათ სასახლეში და დედაწულით ასე გაწყვიტეს სამხრეთის ბარათაანნი, რომ ერთი აღარ დაადგეს ცოცხალი. აბაშის სახლეულობასა, ზურაბის სახლეულობასა და იარალის სახლეულობასა ვეღარა უყვეს რა,[1] ამისთვის რომ სხვა

[1] ეს გვარებიც სწორეთ ჩვენი გვარისანი არიან, თუმცა ესენიც სახელის წოდებით აბაშისშვილად, ზურაბისშვილად და იარალისშვილად იხსენებოდნენ, მაგრამ ბარათაშვილობასაც ირქმევდნენ, იწოდებდნენ.

მხარეს იდგნენ და იქამდისინ ვეღარ მიუწვდათ ხელი.[1] ეს ამბავი დიდი მეფის თეიმურაზის დროს იყო და ეს საქმე ჩრდილოეთის მხრის ბარათას[2] ექნა, რომ სამხრეთის ბარათაანთ ყმა და მამული დარჩენოდა მას.

იმ უწყალოების დროს, როდესაც სამხრეთის ბარათაანთ უმანკო სისხლი იღვრებოდა იმათ სასახლეში ს. ტანძიას ჩრდილოეთის ბარათაანთაგან, ამ დროს ორი ბიძაშვილი მოარჩინა ღმერთმა. ბეჟან და ყაფლან. მაშინ ბეჟან სადღაც იყო სოფლათ, ეს საშინელი ამბავი რომ მოხდა ტანძიაში. ამ საშინელის ამბის გამგონე მაშინვე შიგნით ოსმალოსკენ წავიდა, მაგრამ ყაფლან თავისმა ლალამ ხელდახელ გამოიტაცა იმ ჩრდილოელებთაგან თოთხმეტი წლის ყმაწვილი და სანაინში მიიყვანა ყაფლანის მამის მეგობარ არღუთაშვილთან. ამისთანას განსაცდელში რომ ნახა ყაფლან არღუთაშვილმა, ჯერ დიდათ შეწუხდა, მასკვან დაუყოვნათ და საიდუმლოთ თავისი კაცები გაატანა და სპარსეთში გაგზავნა ყაფლანის ბიძებთან.[3]

თავის ბიძებამდინ რომ მიახწია ყაფლანმა, მეტათ ისიამოვნეს ძმისწულის ნახვით, ასე რომ გვერდიდგან არ იშორებდენ და შვილსავით ეტრფიალებოდნენ, მაგრამ როდისაც შაეტყოთ და ყოველი წვრილათ მოესმინათ თავიანთი სახლის გაწყვეტა სახლისკაცებისაგან, მაშინვე იმათგანი ერთი[4] ამხედრდა ყაენის ნებით და საქართველოზე გამოილაშქრა მძლავრის სპარსელების ჯარით. ყაფლან და იმისი ლალაც თან იახლნენ.

ის მძლავრი ჯარი მოვიდა და მარაბდას ჩამოხტა. აქედგან საქართველოს მეფე დიდი თეიმურაზ, ძლიერის ქართველებით გავიდნენ და პირისპირ დაუდგნენ.

შეიქნა ბრძოლა და სისხლის ღვრა. რაისათვის? – ყაფლანს უნდოდა თავის საკუთარი მამული დაეპყრა, ბარათა ერიდებოდა მაგი-

---

[1] თ˜ა-დი სოლოღაშვილიც სწორეთ ჩვენი გვარეულობისა არის, თუმცა სოლაღაშვილები ამბობენ „ოსმალოდგან მოვსულვართო“, დიახ, ოსმალოდგან მოსულან, მაგრამ გარემოების გამო აქედგან გადასული, ისევ აქეთკენ გადმოსულა იმისი მომავალი და თავის მამა–პაპის მამულზედვე დამდგარა.)

[2] ეს ბარათა ამ მეფის თეიმურაზის დროინდელი არის და პირველი ბარათა სხვა იყო, რომლისაგანაცა გვერქო სახელის გვარი.

[3] ყაფლანის ხუთი ბიძა იყვნენ გამოჩენილი კაცნი შააბაზთან, ხოლო თათრები. ყმაწვილები ტყვეთ წაყვანილები.

[4] ნათლობის სახელი ვახტანგ რქმევია და შააბაზის ყორჩიბაში ყოფილა.

ერი არ მიეგო ყაფლანს, და საქართველოს მეფეს ეშინოდა საქართველო არ წაერთოთ ყიზილბაშებს, ამის გამო ორივ მხრის ჯარები ძლიერად და ძლიერად აჭირვებდნენ ერთმანეთსა და ჯარის კაცის სისხლი იღვრებოდა უწყალოთა.

პირველ ყიზილბაშები დამარცხდნენ და უკანმოუხედავად გაიქცნენ, მაგრამ თორმეტი ათასი დასვენებული პირველი მეომარი გამოვიდა იაღლუჯის მხრიდგან ყიზილბაში; ყორჩიბაშის ბძანებლობის ქვეშე და მიტეულს ქართველების ჯარში დაერივნენ, გაქცეული ყიზილბაშებიც დაუბრუნდნენ და უკან წამოიყვანეს ქართველები. ვინც საჩქაროთ გამობრუნდა, თავი მოირჩინა, ვინც არადა, ზოგი ყიზილბაშის ხელით მოიკლა, ზოგი დაიჭირეს და ზოგი დაჭრილები დარჩნენ ადგილობრივ. ასე გასინჯეთ, მეფემაც ძლივს მოირჩინა თავი. ადრითვე ბარათამ დაატყო, რომ ქართველების საქმე წახდა, მაშინვე თავისი სახლისშვილებით გაიქცა, თავის სახლში მიიჭრა, იქიდგან ცოლშვილები მოიტაცეს და ოსმალოსკენ გაიქცნენ. პატარა ყაფლან თავის ლალით და ყიზილბაშის ჯარით თაფარავანის ტბაზე მოეწივნენ. მხოლოდ ბარათა მოკლეს და იმისი სულერთიან სახლეულობა განათავისუფლა პატარა ყაფლანმა, რომ პატივის მეტი სხვა არარა ავნო რა.

ამ საქმის დაბოლოებასთან საქართველოს მეფე მოინდო ყორჩიბაშმა და თავის ძმისწულს ყაფლანს, მკვიდრი მამული დაუმკვიდრა, რომ ვერარაი წინააღმდეგი მიზეზი ვეღარ მოშლიდა. მერმე აილაშქრა და ყიზილბაშისაკენ წავიდა. ამ მიზეზით ყაფლან ასე განძლიერდა, რომ საქართველოს მეფესაც ეშინოდა, მაგრამ ყაფლანს როგორათაც მართებდა თავის მეფის ერთგულობა, ისე გულშეწირული იყო მისთვის. ამასთან მაგთენი დრო აღარა გამოვიდა რა, გამოჩენილის თავადის ქალი მოიყვანა ყაფლანმა და იმაზედ დაიწერა ჯვარი, რომლისაგანაცა ღმერთმა მისცა ხუთი ძენი. პირველი – პაპუნა, მაგრამ უშვილოთ ამოწყდა. მეორე – ასლან, მესამე – ორბელი, მეოთხე – თამაზ, და მეხუთე – <u>გიორგი.</u> შემდგომ ამისა, ჩვენთა წინაპართა მოინახეს ჭეშმარიტი ძველი გვარი, ისევ განიახლეს ჯამბაკურიანი-ორბელიანი; ესე იგი ყაფლანის ჩამომავალთა[5], მაგრამ სხვები ისევ ბარათაშვილად დარჩნენ. ვინაიდგან ბარათასაგან შეემთხვათ ვნება, ამისთვის იმათი სახელგვარი გან-

[5] ამის გამო ყაფლანმა თავის მესამე შვილსა დარქო სახელი ორბელი.

იშორეს ჩვენთა წინაპართა და მასაქეთ იმათი შვილიშვილები ვიწოდებით ჯამბაკურიანი-ორბელიანი.[1]

აი მიზეზი, ან ბარათაშვილად რად ვიწოდებოდით ადრითვე და ან ყაფლანის მომდევარნი რათ ვიწოდებით ახლა ჯამბაკურიანი-ორბელიანი. სულერთიან ეს მცირედი ამბავი ზოგი ჩვენ ყაფლანიანთ სახლის მოხუცებულთაგან გამიგონია, ზოგი ქართლის ცხოვრებიდგან ვიცი, ზოგი ჩვენ მამაპაპათ წიგნებიდგან, *ზოგი მოსე ხორენცის ძველი ისტორიიდგან* ზოგი სტეფანე ორბელიანის დაწერილი ისტორიით და ამათგან შევადგინე ეს პატარა თხზულება ჩვენი სახლის ისტორიისათვის.

ჩვენი წინაპრები ძველ დროში სომხები ყოფილან, მაგრამ არ ვიცი, რომელ დროში მიუღია საბერძნეთის სარწმუნოება რომელსამე ჩვენს წინაპარს? ეს კი გამიგია, რომ ჩვენს წინაპარს რომელსამე საქართველოს მეფის ქალი შეერთოს ცოლათ. იმას მიეღოს საბერძნეთის სარწმუნოება და იმისგან მოვდიოდეთ ჩვენა. მაგრამ რომლებსაც უთქომთ, არც იმ მეფის სახელი იცოდნენ, რომლის ქალი შეურთამს, არც იმ ჩვენი წინაპრის სახელი და არც დრო, რომელს დროში ყოფილა. მაგრამ დამტკიცებით უთქომთ, რომ სწორეთ ასე არის.

თ˜ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი.
10-ს იანვარს 1852-სა წელსა. ქ. ტფილისს.

[1] ჩვენი დიდი პაპის სახელის დაუვიწყებლობისათვის ყაფლანის შვილებათაც ვიხსენებით იმისი შთამომავალნი.

გიჟი აღალუა

აღამამადხანის მოსვლის წინა წელიწადებში იყო ეს აღალუა და თფილისის ბაზრებში როტავდა რაღაებსაც და ხალხსა აცინებდა. თურმე ბევრჯელ ეტყოდა ბიჭებს.

– ჰო, რას დამცინით ბიჭებო? – ასეთი დრო მოვა, კუკია ქალაქათ იყოს და ვერის ხიდი ქალაქის ალაყაფის კარათ.

კარგი გიჟი ყოფილა? – კუკია ეხლა ქალაქათ არის და ვერის ხიდთანაც ჩქარა იქნება ალაყაფის კარი, ანუ საყარაულო ზასტავა.

თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

ს. კაზრეთს – 11-ს დეკენბერს. 1854-ს წ.

ორბელიანთ ამბავი

ჩემმა მახლობელმა მცნობმა, სტეფანე მდივანოვმა მომიტანა თავისი ნათარგმნი, სომხურიდგან ქართულად, სხვადასხვა საქართველოს ძველი ანბავი. სასომხითოს ძველი უბნობა. ამას სომეხნი სომეხს სასწავლებელში ასწავლიან ისტორიად ყმაწვილებს, სადაც ორბელიანთ მცირედი ანბავიც არის დაწერილი. მე ეს დიდის კმაყოფილებით აღმოვწერე „ცისკარში“ დასაბეჭდავათ. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ყოველი ორბელიანი სიამოვნით წაიკითხავს ამას. გარდა ამისა სტეფანე მდივანოვი დაგვპირდა, ორბელიანთ ისტორიას სრულად გადმოვთარგმნიო. ჩვენც ამ შრომისათვის დიდ მადლობას განუცხადებთ, მაგრამ გთხოვთ, რაც საქართველოს შეეხებოდეს, სხვებიც გადათარგმნოს, რომლებისთვისაც უფროს მადლობელი ვიქნებით.

სასომხეთოს ძველს უბნობაში:

მასწავლებელი ჰკითხავს მოწაფეს: – საიდან მომდინარებულ იქმნენ ორბელიანნი, ანუ ვორბელიანის (სომხურად) ნათესავი?

მოწაფე – ორბელიანთ ნათესავი, (ჭინელთ) ჩინელთ ნათესავთაგან არიან, რამეთუ (ჭენბაკურ) ჯანბაკურ, ჩინელთ მეფის დროს აღრეულობისა გამო ძეთა მეფისათა იწყეს ურთიერთისადმი ბრძოლა, და მას დროს ერთ კერძოთ თვისის კერძოობითურთ საქართვე-

ლოსა შინა განივლტო და ქართველთ იხილეს, რამეთუ იგინი არიან ფრიად მამაცნი, მისცეს ორბეთის ციხე და სხვანიცა მრავალნი ადგილნი სამკვიდრებლად. ამ ციხის ორბეთის სახელწოდებისა გამო, შემდეგ ეწოდათ ორბელიანი, ანუ ორბელიანნი, ესე იგი ორბეთელნი. ეს ნათესავნი ვითარცა ქართველთათანა, ეგრეთვე სომეხთათანა აღირივნენ და ბაგრატიონთ კვერიკიანთ მეფეთათანა იმძახლეს[1]

– ორბელიანთ ვითარი პატივი და პირველობა აქვნდათ?

– ორბელიანთ საქართველოსა შინა სპასპეტობა აქვნდათ და იყვნენ ყოველნი მეფის თანამდებობის აღმასრულებელნი. მათს უფლებასა ქვეშე იყვნენ და აქვნდათ 12 საკუთარი დროშა, და თვითეულის დროშას ქვეშე 1000 მხედრობა ჰყვანდათ. რადგანც მეფეთ ნიშანი დროშისა წითელი იქნებოდა თეთრსა ზედა, ამისათვის ბრძანეს, რამეთუ განსხვაებულ იყოს, რომ თეთრი იყოს წითელსა ზედა და ოდესაც მეფის პირისპირ მივიდოდნენ, ეპყრათ ხელთა შინა არწივის თავიანი კვერთხი და მეფეთ მეჯლიშსა შინა, ყოველთ მეინახეთა ზემოთ დასხდებოდნენ და თვინიერ ამა პატივსა ქართველთ მეფეთ გვირგვინის დამდგმელნიც იყვნენ.

– ოდეს დასრულდა ნათესაობა ორბელიანთა?

– მეთორმეტეს საუკუნესა შინა, ქართველთ მეფემ დავითმა, ძე თვისი დემნა, მცირე წლოვანი მიანდო დიდებულთა თვისთა და ივანე სპასპეტსა, რომელიც იყო ორბელიანთ ნათესავი, რამეთუ ოდესაც დემნა აღიზარდოს, იგი ჰყონ მეფედ და როდესაც აღიზარდა ყრმა იგი, იოანეს სურდა გამეფება მისი, და გიორგიმ დავითის ძმამ, რომელიც ქართველთა ზედა მეფობდა, შეიპყრა ივანე და დემნა და ორნივე თვალთაგან მოაკლო და უბრძანა, რომ ორბელიანთ ნათესავი ერთობ აღხოცონ, რომელთაცა მოსვლა ჭინელს ქვეყნისაგან ათას წელიწადსა ზედა უმეტეს იყო, და ამ ნათესავის ამოწყვეტა იყო 1177-სა წელსა შინა, მხოლოდ განთავისუფლდა ივანეს ძმა ლიპარიტ, თვისსა ორის შვილით, ელიკუმის და ივანეთი, სპარსეთსა შინა წარსულნი და მათგან კიდევ იწყო გამრავლება, თამარ დედოფლის დროსა, რომელიც გიორგის მოადგილედ იქმნა,

[1] მგონია ეს კვირიკე კახეთს გამეფდა. ამან მიიღო პირველად კახეთის მეფობა. მაგრამ ეს კვირიკე ბაგრატიონი არ იყო. ეს იყო კახეთის მთავარი ანუ ქორიკოზის ფადალი, არემანელის ჩამომავლობა. – ნახე ქართლის ცხოვრება.

და ივანე განჯის ამირასთან მისულიყო, და უკუ მიაქციეს თვისსავე ორბეთის ციხისა შინა.

– ორბელიანთ ქვეყანა სად იყო?

ორბელიანნი პირველად დაემკვიდრნენ ორბეთის ციხესა შინა, რომელიც იგი არს სამშვილდესთანა. თქმულ არს, რამეთუ პირველი მათი სამკვიდრებელი იყო სომხითსა, გუგარის ტაშირის თემსა შინა, და ჰფლეს ეგრეთვე დმანისსა, ხუნას და ქალაქებს და რადგან გუგარის თემი მას დროსა მფლობელობასა ქართველთა ქვეშე იყო, და ამისთვის მუნ მრავალნი ქართველნიც იპოებოდნენ და შემდეგ 11-სა და 12-სა საუკუნესა შინა ორბელიანთ ნათესავი განფენილ იქმნა სივნელთა ქვეყანასა და მუნ მრავლის პატრონი შეიქმნენ და ვაჰიელთ ხეობის თემისა, და სხვა მრავალნი ადგილნი დაისაკუთრეს და მოყვრობით აღერივნენ და შეერთნენ სომეხთათანა. ამ ნათესავთაგან იყო სტეფანე ორბელიანი, ანუ ვორბელიან (სომხური) ტარსაიჭი, ათაბაგის შვილი, რომელიცა შემდეგ 1285-სა წელსა სივინელთ ეპისკოპოზი იქმნა, რომელმაც ორბელიანთი და სივნელთ ნათესავის მოთხრობა აღწერა.

– ორბელიანნი სად დაეფლვოდნენ?

ქართველთ ქვეყანა შინა მყოფთა, სასაფლაო იყო ბეთანიის მონასტერი[1], სივნელთ ქვეყანასა შინა მყოფთ ორბელიანთ სასაფლავო იყო ახალმონასტრად წოდებული მარტო მყოფელთა ვაჰათელთ ხევთ თემსა შინა და ცოტაოდენ დაფლულ, თატევისა მონასტერსა შინა.

– ორბელიანთ ნათესავთაგან ვითარნი გამოჩენილნი კაცნი ყოფილან.

ესე ნათესავნი ფრიად მამაცნი და მხნე გულის მექონნი იყვნენ, და დროსა და დროსა შინა ძლიერ გამოჩენილნი მხედარნი იყვნენ: რომელნიმე ქართველთა მეფეთა შორის და მასთანვე სომხეთის

[1] დიდი ხანია ბარათიანთ და ორბელიანთ, ერთ გვარის ჩამომავლობას ვეძეფ, რომელიცა ამაზე დარწმუნებული ვიყავ. ბარათიანიც ორბელიანთ გვარისანი იყვნენ, მაგრამ დაუმტკიცებლივ, რომ დამეწერა, რა იქნებოდა? – ახლა დაამტკიცებს ეს სომხური ისტორია: ძველს დროში ორბელიანნი იმარხებოდნენ ბეთანიის მონასტერში და შემდეგ ბარათიანად წოდებულთ სასაფლავო ყოფილა, ვიდრე სომხითი წახდებოდა. პირველი თქმული ესე ისტორიით დამტკიცდა და მეორე ცხადია ჩვენთვის. აქ ცხადად გამოვიდა ორბელიანთ სასაფლავო. ისევ იმას გვარისვე დარჩებოდა, სადაც სხვა გარეშე გვარი არავინ არ შემოსულა იმათ მამულზე, თორემ გამოჩნდებოდა და არცა დაგვემალებოდა ჩვენ.

სამძღვრებსა შინა 10-ის საუკუნითგან, და შემდეგ დიდის მამაცობით დაიცევდნენ, ოდეს თათარნი და სპარსნი წარმოემართებოდნენ.

– ზემოხსენებულთ უპირველესობისა, სხვა რაი უპირველესობა აქვნდათ სომხეთსაშინა.

თვინიერ ამის არიან სხვანი უპირველესობანი და ნათესაობანიცა, რომელთა დასაბამის და ქვეყნის უცნობლობისათვის ამასა რიგსა შინა არ დავსდევით და უკეთუ იხსენებიან, ისევ ჩვენის მეისტორიეთაგან, ვითარცა ბაგრატიონთ ნათესავთ მიმდინარეობა, მამიკონიანთი და არწრუნიანთი.

ესე ყოველი მოთხრობა ქართველთა და ორბელიანთა აღწერილი არს კითხვა-მიგებით, რათა ყოველთა სომეხთა გამოჩენილთა სასწავლებელთა შინა კითხვა–მიგებით ასწაონ, ვითარცა ვენეციასა შინა, ეგრეთვე ყოველს ქვეყანაში, სადაცა არიან სომეხნი.

თ. ალ. ჯ. ორბელიანი

ჩემი ქალი მარიამ
(ყმაწვილობისას მაიკო.)

მე ასე მგონია, მთელს ქვეყანაზე ერთი სახლეულობა არ იყოს, რომ თავის შინაურს სახლეულობაში ისტორია არა იყოს რა, ანუ მოთხრობა? – მცირედი ანუ დიდი? – სამწუხარო ანუ სასიხარულო? – ვინ იცის, რამთენი ამბავი იკარგება ქვეყანაზე და მხოლოდ ღმერთია იმათი მოწამე. ჯერ მოვიწადინე ჩვენი სახლეულობის ამბავი ვრცლად აღმეწერა, მაგრამ რადგან ეს საგანი სრულიად სახლეულობას არ შეეხებოდა, ამისთვის მხოლოდ ჩემს მაიკოს კეთილ ცხოვრების ამბავს აღვწერ; ისიც იმისათვის, რომ ახლად გარდაიცვალა. ნეტავი ღმერთს ენებებინა, არც იმის ცხოვრება დამეწერა, ახ! რა კარგი იქნებოდა, იმის მშობლებისათვის და იმის საყვარელის დის დარიასთვის. ჯერ რა დროს იმის ცხოვრების ამბავი იყო. ჯერ იმას უნდა ეცოცხლა და თავის კეთილ განძრახვა შეესრულებინა.

1832-სა წელსა, დეკემბრის 11-სა ანუ 12-ს შუაღამის შემდეგ, ჩემ სახლეულობას რომ გამყარა მე რუსეთის მთავრობამა, ჩემ ამხანაგებთა შორის მეც დამაპყრობილეს; დარჩა ჩემი მეუღლე ეკატირინე ორსულათ, მაშინ, როდესაც რომ ქალ-ვაჟი ჰყვანდა და მესამე ყრმისათვის ემზადებოდა.

წარსრული რაღა უნდა ვთქო? რამთენი შვილები დაგვეხოცა მე და ჩემს ეკატირინეს და ახლა იმისი უნდა ითქვას, რომელზედაც იწერება ეს ამბავი. ამის ზევით მე რაღა ვთქვი ქალ-ვაჟი ჰყვანდა მეთქი. ქალს ერქო დარია (ყმაწვილობისას დარიკო), და ვაჟსა დავით (ყმაწვილობისას დათიკო.). დარიკო იდგა მეხუთეს წელიწადში და დათიკო მეორეში. იქ იმ საპყრობილეში მამივიდა წიგნი ბატოიშვილის დედი ჩემისაგან. მოეწერა. – „ჩემი რძალი ეკატირინე დაწვა, ღვთის მოწყალებით მშვიდობით განთავისუფლდა და საუცხოვო ქალი დაგვებადა. **1833-სა წელსა ივლისის 13-სა დღესა**. ეს ცამეტ-ცამეტი დრო არ მომეწონა. ამის შემდეგ რვა თვემ განვლო. ამ დროებში ჩვენ სახლეულობას და მახლობელ ნათესავებს ჩვენთან ჰქონდათ სიარული მთავრობის ნებით. ერთს დღეს ჩემა მამიდაშვილმა მაკამ მითხრა. – „თუ გინდა შენს რვა თვის ქალს მაიკოსაც მოვიყვან შენთანაო.“ რომელსაცა ქალ-ვაჟი ხშირათ მოჰყვანდა და ამ დროსაც ჩემთან ჰყვანდა ორივ. ეს ჩემი მამიდაშვილი მაკა მეტათ საყვარელი იყო ბატოიშვილი დედიჩემისა და მთელი ჩვე-

ნი სახლეულობისა; დიდი ღვაწლიც ჰქონდა ყველაზედ და მეც განუსაზღვრელი პატივისცემა მქონდა იმისი. ჩემი მაიკოს უზომო მშვენიერება გამეგონა და სიჩუმე. ბევრჯელ ღამეს გაათენებდა, ხმას არ ამოიღებდა, არამც თუ ეტიროს. მაშინ, როდესაც რომ ეღვიძა ხოლმე და მინამ ძიძა ძუძუს არ მისცემდა, არ მოითხოვდა. იმის მშვენიერებასთან, ის საკვირველი ხასიათი მესმოდა და რასაკვრელია, დიდის სურვილით მოვიწადინე იმის ნახუა. ამის მეორე დილაზედ ჩემთან შემოსულიყო მაკა და იმის ქალი თამარი. ეს თამარიც თავის დედის მსგავსათ გვიყვარდა ყველას და ჩემს ეკატირინესთანაც დიდი მეგობრობა ჰქონდა. იმის შემოსვლაში მე თურმე ფანჯარაში ვიყურებოდი დაფიქრებული. ის ყმაწვილი მაკას მიეყვანა და ჩემ პირდაპირ დაესო ტახტზე. ამ დროს მაკას ხმა მამესმა, – „აბა შემოიხედე, ვინ მოგგვარე?" შემოვიხედე, ერთი მშვენიერი პატარა ქალი დავინახე, ტახტზე იჯდა, თეთრი შლაფორი ეცო და წითელი შალი ქონდა მოხვეული თავზე, მაშინვე გავექანე და ზევიდგან დავხედე. მინამ ხელში ავიტაცებდი, უეცრათ შემამხედა, და ასეთი კეთილის ღიმილით შემამღიმა, რომ უკეთესი საამო აღარა იქნებოდარა ჩემთვის!... იმისი თეთრ სპეტაკი მრგვალი პირისაზე და ცოტათ მოწითალო ლოყები, პატარა ლამაზი ცხვირი და პატარა ალისფერი მომრგვალო ბალახ ბაგეები, ცოტათ შავი მოჟუჟუნარი თვალები და გაყოფილი წვრილი წარბი ასე აშვენებდა იმას, რომ ანგელოზი წარმამიდგა, რომელიცა იმისთანა მშვენიერი ყმაწვილის მნახავი არა ვარ ჩემ დღეში და ვისაც კი ენახა, ისინიც ასე ამბობდნენ! ... ეს ყმაწვილი ავიტაცე, გულზე მივიკარ და მშვენიერს ლოყებზე დაუწყე კოცნა მშობლიურის სურვილითა, რომელმაცა თავისი პატარა ლამაზი ხელები პირზე დამაწყო ალერსითა და თან მეღიმებოდა უუკეთილესის ღიმილითა. ამ ალერსში მე ჩემს მამიდაშვილს მაკას უთხარი, უკმაყოფილოთ. – „მაკავ. – ეს ჩემი მაიკო თუ ამისთანა მშვენიერი იყო, აქამდისინ როგორ არ მომგვარე?" ის გაცინებით მოვიდა და ალერსით მაიკოს უთხრა. – „მაიკო, მამას უთხარი, ბატოიშვილი არ მიშვებდა, უჩემოთ სწუხსთქო."

ამის შემდეგ, კვირაში ორჯელ მოჰყვანდა ჩემს ეკატირინეს ჩვენი შვილები ჩემთან და სახლეულობის სიყვარულით ვნუგეშობდი.

იმ პატარა მაიკომ დიდათ შეაყვარა თავი ყველას. – თავის საუცხოვო ხასიათისათვის და იმის უზომო მშვენიერებისათვისა,

ბატოიშვილმა დედიდა ქეთევანმა უწოდა. – „ქალთ ხელმწიფა.“ ბოლოს 1834-სა წელსა ივლისის თვესა; საპყრობილიდგან გამოგვიყვანეს მე და ჩემი ძმა ვახტანგ და ჩვიდმეტი დღე დავრჩი ჩემ სახლეულობაში, რომლებიცა სხვები კი ადრე გამოიყვანეს და რუსეთისაკენ გაამგზავრეს. რასაკვირველია, ეს ჩვიდმეტი დღე როგორი სანუგეშო იქნებოდა ჩემთვის ჩემ სახლეულობაში. ერთს დილაზე ჩემი პატარა მაიკო მეჭირა ხელში და მოაჯირზედ დამყვანდა, ამ დროს მოსამსახურეს სუხარი მოქონდა ბაზრიდგან რომელთაცა ჯერ ჩაი არ დაგველია, ერთი სუხარი გამოვართვი და ჩემს მაიკოს მივეცი. თუმცა სიამოვნის ღიმილით გამამართო, მარამ პირზე არ მიიკარა და ისე დაიჭირა ხელში; მე სიამოვნით დავკოცნე და მასუკან უთხარ. – „შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ჩემო მაიკო, რატო მაგ სუხარს არა სჭამ?“ და მეტი სიამოვნით თვალებში ყურება დაუწყე. იმან ჩვეულებისამებრ კეთილის ღიმილით შემამღიმა და კარგა ხანი მეღიმებოდა. ამაობაში ერთი დედაკაცი შემოვიდა ალაყაფის კარიდგან ეზოში, ორკეცად ჩადრი ქონდა წამოსხმული და მოწყალება ითხოვა. რამ წამს ჩემმა მაიკომ დაინახა, მაშინვე ის სუხარი იმ დედაკაცზე მიიღო მისაცემათ. მე მაშინვე კიბეზე ჩავედი და იმ დედაკაცთან მივედი, მისვლასთანვე ის სუხარი იმ დედაკაცს მისცა, დედაკაცმა გულმხურვალე დალოცა და ბოლოს უთხრა. – „ქა გენაცვალე პატარა ქალო, რა ანგელოზი რამა ხარ.” მინამ დედაკაცი ამას იტყოდა, ჯიბიდგან ერთი აბაზი ამოვიღე და მაიკოს მივეცი, მაიკომ ისიც იმ დედაკაცს მისცა. ის დედაკაციც ბევრის ლოცვით წავიდა. და მეც ჩემი მაიკო კოცნით ამოვიყვანე მოაჯირზე. საკვირველი იყო ჭეშმარიტად, ჯერ იმისი ტირილი არ გამეგონა, მხოლოდ ლამაზი ტყიპტყიპი იცოდა და თავის დედას რომ დაინახამდა ხოლმე, მეტის სიამოვნით ჩაიკასკასებდა და ხელებს გაუშლიდა, ჩქარა აეყვანა. ყუელას ასეთი საყვარელი იყო და სატრფიალო, რომ ყველანი სულში იძვრენდნენ; ნამეტნავათ ბატოიშვილი დედიდა ქეთევან, ბატოიშვილი დედა ხომ რასაკვირელია და ერთობლივ უძახდნენ. „ქალთ ხელმწიფას.“ აქ ჩემი ეკატერინესი რაღა უნდა ვთქო, როგორის სურვილით უყვარდა და ან როგორ დალოლიებდა თავის მშვენიერს მაიკოს!... ერთხელ კიდევ ხელში მეჭირა და მოვიწადინე მაიკოს ტირილი გამეგონა, როგორის ხმით ტიროდა. ცოტად მაგრად შემოვკარ ლოყაში, მაიკომ გაკვირვებით შემამხედა

და მეორეთ უფრო მოუმატე და ცოტათაც გაუჯავრდი, ის ლამაზი ტუჩები აათრთოლა, თვალებში მარგალიტური ცრემლები მოერია, ყელზე გადამეხვია და დიახ დაბლის ხმით გულში ჩამქვითინა. სწორე უნდა ვთქო, მე უფრო ადრე ვიტირე, მინამ ჩემმა მაიკომა და საჩქაროთ გულზე მივიკარ ალერსის დაყვავებით.

შინაურებთან ჩემს გაყრას ყველანი წარმოიდგენენ, როგორც იქნებოდა, მხოლოდ ამას ვიტყვი, ასეთი წიგნი არ მომივიდოდა ჩემი ეკატერინესაგან ორენბურღში, მაიკოს ქებით სამსე არ ყოფილიყო, რომლისაცა ზოგიერთის იმ წიგნის ამბავს ვიტყვი და რაც მახსოვს, იმას დავწერ.

ვთქოთ, ვითომ პირველი წიგნი ეხლა ეს არის ჩემი ეკატერინესი ჩემთან მოწერილი. მე რომ ქ. ტფილისიდგან გამომამგ ზავრეს, იმის სამის წელიწადის შემდეგ და ამასაც მწერდა.

„საკურველათ ემსგავსება თავის ბებია ბატოიშვილს სახით და ხასიათით.“[1]

ჩემს ეკატირინეს თავის მეორე წიგნში მოეწერა.

„ჩვენი პატარა მაიკოსთვის ვიღასაც დაუსწავლებია ეს ლექსი, რომელიცა სულ ამას ამბობს და ხან სიმღერით იტყვის ხოლმე,

აბუბუდი ფუტკალო,
წადი მამას უთხალო,
შენ ლომ შვილებს მოშოლდი,
შენ ღმერთ ლაღა უთხალო.“

ამის მესამე წიგნის ბოლოზე რაღაებიც იყო დახაზული და დახაზულის დასასრულზე ჩემს ეკატირინას მოეწერა

„ამ წიგნს რომ ვწერდი, ჩვენი პატარა მაიკო მოვიდა ჩემთან, და სიამოვნით მითხრა.“

---

[1] ბატოიშვილი დედაჩემი და ჩემი ძმა ვახტანგ რომ წასულიყვნენ ქ. კალუღაში ჩემი პატარა შვილი დათიკო მომკვდარიყო, რომლის სიკვდილი დიდის მწუხარებით მოეწერა ჩემს ეკატირინეს ჩემთვის. მე რომ ქ. ტფილისიდგან წამომიყვანეს ორენბურღისაკენ, ჩემი ეკატირინე რამთენიმე თვის ორსული დარჩა და რამთენიმე თვის შემდეგ ჩემი ეკატირინეს წიგნი მამივიდა:
დავწექ; ღვთის მოწყალებით მშვიდობით განვთავისუფლდი და ქალი მოგვეცა, რომელსაცა დავარქვით ელენა. ბატოიშვილი დედა კალუღისაკენ რომ წაეყვანათ, აგვისტო თვე ყოფილიყო 1834-ი წელი, ესე იგი ერთი თვის ჩემს შემდეგ და იქიდგან რომ მოეყვანათ, ქ ტფილისშივე ივნისის თვე ყოფილიყო 1835-ი წელი. ბატოიშვილი დედას მოსვლასთან ქ ტფილისში, მაგდენი დრო აღარა გამოვიდარა, ჩემი ეკატირინეს წიგნი მამივიდა, რომელშიაც პატარა ქალის ელენეს სიკვდილს იწერებოდა და ეგრეთვე მწუხარებას.

– „დედავ ლასა სწელლ, გეთაკვანე?“

– „შენ მამასთან ვწერ, ჩემო მაიკო.“

– „მეც მივწელ, გეთაკვა, დედავ.“

– „მოდი აქ, ჩემთან დაჯექ, მე გავათავებ და მასუკან შენ დაწერე.“

„მინამ წიგნს გავათავებდი, ერთი საათი მეტი იჯდა ჩემთან, რომ ხმა არ ამოუღია და წიგნის გათავებას ელოდა. როცა გავათავე, ჯერ კალამი მარჯვენა ხელში მივეცი და მასუკან წიგნი დაუდე მუხლზე. წიგნი მარცხენა ხელით მაგრა დაიჭირა და მერე მკითხა.“

– „დედავ, სად დავწელო?”

მეც გათავებულ წიგნის ბოლოზე ვაჩვენე, დაუწერელ ქაღალდზე. „ამაზე დაწერე, ჩემო მაიკო.“

„მოჰყვა და რაღაებიც დახაზა; როცა გაათავა, მეტის სიამოვნით გაიცინა და მეც გაცინებით უთხარ.“

– „მამას რა მისწერე, ჩემო მაიკო?“

ამ სიტყვაზე მძიმეთ ამოიოხრა და მასუკან დაღონებით მითხრა.

– „წადი წიგნო, ჩემს საკვალელს მამას აკოცე.“

ამ წიგნის დასრულებასთან ორიოდ სიტყვა კიდევ მოეწერა ჩემს ეკატირინეს ჩემთან.

„მე არ შემიძლიან ამ პატარა მაიკოს ქება გამოვთქო, ყოვლისფრით საკვირველი რამ არის! ასე უყვართ ყველას, მეტი აღარ იქნება; ნამეტნავათ ბატოიშვილის ქეთევანისა რაღა გითხრა. ჭეშმარიტად ბედნიერი ქალია!“

ამასთან მეოთხე წიგნი მამივიდა ჩემი ეკატირინესივე.

„დღეს შუადღეზე ცოტა ადრე დაიძახეს, ბატოიშვილი ქეთევან მობძანდებაო. ამ დროს მაიკო, ბებია ბატოიშვილს უჯდა გვერდით, რამ წამს მაიკომ გაიგონა, მაშინვე წამოხტა, კიბეზე მიეგება და პატარა ხანს უკან პატივცემულ მოხუცს ხელში ეჭირა და თან ტკბილის კოცნით მოჰყვანდა. რაღა გითხრა, ორთავ დებმა შუაში ჩაისვეს და მშვენიერის ტიტინით შეაქცევდა ორთავ ასე, რომ გაკვირვებული იყვნენ მაიკოს გონიერებაზე და მშვენიერ ლაპარაკზე.

ბოლოს ბატოიშვილებმა დაითხოვეს, მოაჯირზე ერბინა, თუმცა წავიდა, მარამ ისევ ჩქარა შემობრუნდა და ბატოიშვილებს მოახსენა, „ბატოიშვილებო, ელთი საწალი დედაკაცი მოვიდა. წალობას ითოვს, უბოძეთ გეთაკვანეთ.“ ორთავ თითო აბაზი ქისიდგან

ამოიღეს და მაიკოს მისცეს. მეც როგორღაც გავყევ და უკან მივდევდი. დედაკაცი კიბისთავზე იდგა; მივიდა, ის ორი აბაზი მისცა და თან უთხრა.

– „აჰა დედავ, ბატოიშვილები დალოცე, იმათ გიბოძეს.“

– „ისინიც ღმერთმა დალოცოს და შენც, პატარა მშვენიერო ქალო.“

მეხუთე ეკატირინეს წიგნში.

„ხანდისხან უწყალო ვარ ჩვენს მაიკოზე და ეს უწყალოება სასიამოვნო არის ხოლმე ჩემთვის. ხანდისხან ტყუილად დავიძახებ.“

– „მაიკოჯან, გული მიწუხდება, მიშველე და ვითამც დავოსდები ხოლმე. დაოსებული ხან თავს აქეთ გადმოვაგდებ და ხან იქით. ამ მდგომარეობაში მაიკო რომ დამინახამს, გადაფითრებული მამვარდება.“

– „დედაჯან გეთაყვა, დედაჯან გეთაყვა. შენი ჭილიმე დედაჯან. დედა მე მოკდები. – დედა დედა.“ ამ ამბავში ხან გულში ჩამიყობს ორსავ ხელებს და ხან მეხვევა ხოლმე. ბევრჯელ მოხდება, რომ საცოდავათ ატირდება, მაგრამ როდისაც დავიძახებ, მაიკოჯან, ახლა კარგათა ვარ-მეთქი, მაშინ მაიკო უნდა ნახო, გულში როგორ ჩამეკვრება და ან როგორს სიხარულში არის ხოლმე!“ . . . . . .

ჩემს ეკატირინეს მეექვსე წიგნში.

„ვახშმის შემდეგ ჯერ პირველათ ჩემთან დაწვება ხოლმე მაიკო; კარგა ხანი გულში ჩამეკვრება და ლამაზის ტიტინით მიალერსებს. ბოლოს როდისაც ძილი მოერევა.“

– „ახლა წავალ, ჩემ დალიკოსთან დავიძინებ.“

ამასთან ტკბილად გულსა გადამკოცნის; წავა და დარიკოსთან ერთ ქვეშაგებში დაიძინებს გადახვეული, რომლებსაცა ერთ მხარეს გამდელი იმედისეული უწევთ და მეორე მხარეს მაიკოს ძიძა თამარა.“

ჩემ ეკატირინეს მეშვიდეს წიგნში.

„მაიკოს ძიძა თამარამ იცის უცხო ზღაპრები, ხშირათ დასვამს თავის ძიძას; ზღაპრებს აამბობინებს და ამით დიდათ შეექცევა ხოლმე, მარამ წუხელის კი ეტირებინა თამარა ძიძას მაიკო და ტირილით მოვიდა ჩემთან. მე დაუყვავე და მასუკან მიზეზი ვკითხე, რომელმაცა შეწუხებით მითხრა.“

– „თამალამ ზღაპალი მითლა; ოლი ლამაზი ციტები იკვნენ და

ოლივ დები იკვნენ. ელთმანეთი ძალიან უკვალდათო და სულ ელ-თათ იკვნენო. უნცლოსი ავათ გახდაო და უფლოსმა ბევლი მოუა-ლაო, მალამ მოკვდაო ბევლიც იტილაო. ეს უკანასკნელი სიტყვა რომ წარმოთქო, ღაპაღუპით ცრემლები გადმოყარა და საცოდავათ ატირდა. მე დიდის დარწმუნებით დაუყვავე, რომ ყოველი ზღაპარი ტყუილი არის და რასყოფით დავაჩუმე."

ჩემი ეკატირინეს მერვე წიგნი.

„მე არ ვიცი, რა უნდა იყოს ან რა არის ამისთანა ქალი? ღმერთო გვიცოცხლე ჩვენი ქალი მაიკო, მაგრამ რა ვიცი? – ყოველს დილა საღამოს როგორ დადგება მლოცავი და ამისი ლოცვა სულ გულ-მხურვალეთ არის ხოლმე, ამ უსუსურის ყმაწვილისაგან. – გუშინ დილაზე ტანისამოსი რომ ჩავაცვი, ალისფერი კაბა და მუჯასამის ქოლიხანი შემოვკარ თავზე, უთხარ."

– „მაიკოჯან, წადი მოაჯირზე ირბინე და ითამაშე."

– „ალა დედაჯან. ძელ წავალ ხატების წინ ვილოცავ. მელე გამ-ოვალ, ჩაის დავლევ და მასუკან ვითამაშებ."

მე დიახ მაგრა გულში ჩავიკონე და თან უთხარ.

– „წადი, ჩემო სიცოცხლევ მაიკო, ეგ უფრო მჯობია, შენმა გაზდამ."

სადაც ხატები ასვენია იმ ოთახში ღვთისმშობლის ხატის წინ ჯერ ილოცა, მასუკან მეტანია უყარა; შემდგომ დაიჩოქა, ხელები განუპყრო და ცრემლით ვედრება დაუწყო. ამ დროს მე ფარულათ უყურებდი ღია კარებიდგან. იმის ვედრებაში არავინ არ დარჩო-მილა, რომ არ შეევედრებინა, ბატოიშვილებიდგან მოკიდებული, ყოველი ჩუენი მახლობელი. მაგრამ როდისაც ესენი დაასრულა, შემდეგ გულმტკივნეული ქვითინი ამოუშო და ამ ქვითინში ძლივ წარმოთქო. მელთო მამა მიცოცხლე და ცქალა მოიყვანე სენ გეთა-ყვანე მელთო, ეს რომ წარმოთქო, მივედი, დაყვავებით წამოვაყენე.

– „შვილო მაიკო, მე ხომ აგრე არ გასწავლე. შენმა გაზდამ. ტი-რილი გაწყენს. ისე სიტყვით სთხოვე. შენს თხოვნას ღმერთი შეის-მენს, ჩემო მაიკო" ამასთან ხელი დაუჭირე და დაყვავებით წამოვ-იყვანე.

ყოველი ეკატირინეს მოწერილი წიგნი მაიკოზე, მეტი სასიამოვ-ნო იყო ჩემთვის, მარამ ამ უკანასკნელმა წიგნმა დამაფიქრა – „მე არ ვიცი, რა უნდა იყოს და ან რა არის ამისთანა ქალი! ღმერთო გვი-

ცოცხლე ჩვენი ქალი მაიკოვო.“ *ამ უკანასკნელს წიგნზედ უკმაყოფილება განუცახდე.*

სჯობია რომ ახლა შევამოკლოთ და აქიდგან დავიწყოთ ჩემი მაიკოს ამბავი. *სადაც დაიბადა, მისთვის, რომ რაც ყმაწვილობას შეშვენის, მგონია, ესეც საკმაოა პატარა ყმაწვილის საცნობლათ.*

პიატიგორსკს მივიღე თავისუფლება, პიატიგორსკიდამ წამოვედი 28-ს თებერვალს 1840-სა წელსა. მეორე დღეს ეკატირინოგრადში მოვედი. აქედგან ექსტრა ფოშტით წიგნი მივწერე ბატოიშვილ დედას: გიახლები მეთქი. ოთხ დღეს უკან კავკაზის მთა გადმოვლე, პატარა ქალაქი დუშეთი გამოვიარე და მინდვრის გზაზე გადმოვედი, რომელიცა პატარა ხანს უკან ღართისკარის ფოშტაში მოვედი; იქ დამხვდნენ ჩემი ორი ძმები დიმიტრი და ვახტანგ; ჩემი რძალი მარია ივანოვნა (დიმიტრის მეუღლე.) და ჩემი უფროსი ქალი დარია. აქ ჩავსხედით კალასკაში და გამოვემართენით.

6-ს მარტს შემოვედით ქ. ტფილისში მშვენიერ მთვარის ღამეს და პირველს ღამის მეთერთმეტე საათზე ბატოიშვილ დედაჩემს გადუკოცნე ხელები, შემდეგ ერთი პატარა ქალი მოიყვანა ბატოიშვილმა დედამ ამ სიტყვით.

– „ალექსანდრე, აი შენი მაიკო.“

მაიკო გულზე მივიკარ, მაიკო სულში ჩავიმტკბარუნე, მაიკო მუხლზე დავისვი და მშობლურის სურვილით შევხედე. – შევხედე, რომ ის პატარა მშვენიერი სახე აღარ ქონდა. თუმცა სილამაზე და შვენება არ აკლდა, მარამ ის იმისთანა საკურველი მშვენიერება აღარ ჰქონდა და დამკრთალი კეთილი ქცევაც მიეღო, რომელსაცა მეტათ აშვენებდა ამისთანა ქცევა ჩემს მაიკოს.

ვახშმის შემდეგ ჩემი ორი ქალი ერთათ დაწვნენ ერთ კრაოტზე, ერთს ქვეშაგებში, ბატოიშვილი დედიჩემის მოახლოვოთ და ამის მეორე დილაადრიან ბატოიშვილს დედას ვიახელ, ადრე იცოდა გაღვიძება და ქვეშაგებში მისვენებული ბძანდებოდა ისევ. რამ წამს დამინახა, მაშინვე წამოჯდა და ტოლომა მოხვეული ქვეშაგებში დაბძანდა, მეც ქვეშაგების ბოლოზე ჩამოვჯექ კრაოტზე. – სასიამოვნოს ლაპარაკის შემდეგ ჩემს ქალებს გადმოვხედე, მაიკო გულში ჩაჰკვროდა თავის დას დარიას და დარიკოსაც მარჯვენა ხელი გადაეხვია ყელზე და სიტკბოების ძილით ეძინათ ორთავე. ამათ ყურება დაუწყე მე, ბატოიშვილმა დედამ შემომცინა, რომ

ჩემს ქალებს დავყურებდი და სიამოვნის ღიმილით მიბძანა.

– „შვილო ალექსანდრე, გამცნევ როგორც გესიმოვნება მაგათი ნახვა, ნამეტნავათ ეგ სახე. ეგ შენი ქალები ასეთი ქალები არიან, რომ შენი და ჩემი რძლის ნუგეშის კვერთხნი იქნებიან თქვენს მოხუცებულობაში თქვენი.“

აბა რაღა უნდა ვთქო, რა სასიამოვნო იქნებოდა ბატოიშვილის დედიჩემის ეს სიტყვა ჩემთვის.

ამ ლაპარაკში დარიკოს გაეღვიძა თავის მშვიდობიანის ხასიათისამებრ დიახ წყნარის გაფთხილებით გამოეცალა თავის დას მაიკოს ქვეშაგებიდგან; თეთრი ხალათი ჩაიცო ტანზე და ამ სახით, ჯერ ბატოიშვილს დედასთან მივიდა, კრძალვით ყელზე აკოცა და მასუკან ჩემთან მოვიდა და ხელი მთხოვა. მე ამ ცერემონიის უყვარულმა, გადავეხვიე, გულზე მივიკარ და ბევრი დავკოცნე პირზე. ამ ალერსს რომ მოვრჩი, დარიკო ტანისამოსის ჩასაცმელათ წავიდა პანსიონში წასასვლელათ.

ამ ამბავში მაიკოს ტკბილად ეძინა და კეთილი სახე სრულად უჩნდა. ამ ლამაზს და კეთილს პირს კარგა ხანს უყურა ბატოიშვილმა დედამ და მერე მიბძანა.

– „ალექსანდრე. უცხოს ამბავს გაჩვენებ, ოღონდ ერთი რომელიმე მოახლე შემომგვარე აქა.“

მე საჩქაროთ კარზე გამოველ, უფროს მოახლე ვარდისახარს დაუძახე. ბატოიშვილმა უბძანა.

– „ვარდისახარ, იმ კარებიდგან მაიკოს თვალი ადევნე, როცა გაიღვიძოს, შემოდი და თქვი: ერთი საწყალი დედაკაცი გახლავსთ, წყალობას ითხოვს-თქო.“

ვარდისახარ გავიდა და ცოტა ღია კარებიდგან ყურება დაუწყო მაიკოს. – პატარა ხანს უკან მაიკოსაც გაეღვიძა და იქ რომ დამინახა, შერცხვა და თავზე საბანი წაიფარა. ამ დროს ვარდისახარ შემოვიდა და ბატოიშვილს მოახსენა.

– „შენიჭიმე, ერთი საწყალი დედაკაცი გახლავსთ; წყალობას ითხოვს უბოძოთო.“

ეს სიტყვა ანდამატი იყო მაიკოსი, ამ სიტყვამ მკვირცხლათ წამოახტუნა; პერანგამ თავის კაბას წამოავლო ხელი და ფეხშიშველა *თეთრ სპეტაკი, ლამაზი, პატარაფეხებიანი* სხვას ოთახში გავარდა ამ სიტყვით.

– „მოაცდევინეთ, არ წავიდეს, უჯრაში ორი აბაზი მაქვს და იმას მივცემ.“ *ამ* სიტყვასთან მაშინვე გავარდა.

ბატოიშვილს თვალებში ცრემლი მოუვიდა და ვეღარ შემამხედა.

მაიკო კარებისკენ რომ გაიქცა, ვარდისახარ უკან გაჰყვა. მაიკო თავის უჯრასთან რომ მისულიყო და მინამ თავის ორ აბაზს ამოიღებდა, ვარდისახარს ეთქო.

– „მაიკოჯან, კარგი, ეგ ორი აბაზი შეინახე, ის დედაკაცი მადრიელი გაესტუმრებინათ.“

მაიკოსაც ეს სიტყვა ეთქო.

– „მაშ თუ კიდევ მოვიდეს ვინმე საწყალი, შემატყობინე დედაშვილობას, ჩემო ვარდისახარ.“

ამ დილით მაგთენი ხანი აღარა გამოვიდა რა, ერთი ლამაზი პატარა ქალი, ჩემი მაიკოს ტოლა, შავთვალწარბიანი მოჰყვანდა ჩემს რძალს მარია ივანოვნას და *უცხოთ* ლამაზად იღიმებოდა *ის პატარა ქალი.* მოიყვანა და მითხრა.

– „წუხელის რომ იკითხეთ, ბოდიშს იხდის ძილისთვის, ეს თქვენი ძმისწული ლიზიკოა და ეხლა გიახლებათ თქვენთან.“

რასაკვირველია, ესეც გულში ჩავიმტკბარუნე და კარგა ხანი გულში მიკრული მყვანდა.

ეხლა ამ ჩემს ძმისწულს, კარგს ლიზიკოს, სულით ანგელოზს, საუცხოვო ქმარი ჰყავს: მამით რუსეთის პირველი კეთილშობილი ვლადიმირ დავიდოვი და დედით ფრანციელი ღერცოღი გრამონი, რომელსაცა ყოვლის გულით და სურვილით უყვარს ცოლი. *აბა რომელი ბიოგრაფია შეედრება ამ ბედნიერებას!..*

მცირე ხანის შემდეგ ჩემი მაიკოც გამოვიდა და კარგათ რომ მოვიალერსე ესენი, მაიკომ და ლიზიკომ ხელი ხელს დაუჭირეს და თავის გუვერნანტკასაკენ წავიდნენ ქვემოთ ატაჟაში.

საათი თუ მეტნაკლები რომ გავიდა, მოვიწადინე პატარა ქალების ნახვა. როდისაც ჩავედი და დავხედე, რუსის გაუთხოვარი ქალი გუვერნანტკა სტოლის პირდაპირ უჯდა ორსავ და ფრანციცულის წიგნის კითხვას ასწავლიდა, მაგრამ ჩემი რძალი მარია ივანოვნა უფრო უმართავდა იმათ გვერდით მჯდომიარე და ეტყობიდა, რომ დედობრივი ზრუნვა ჰქონდა ორივესი. *რომელსაც ჩემი მაიკო გრძნობდა და გულით იყო მადრიელი.*

ჩემი მაიკოს ზრუნვა ეს იყო რომ <u>პირველად</u> ღვთის სიყვარუ-

ლი ჰქონდა, მეორეთ სარწმუნოების ჭეშმარიტი მოსაობა, მესამედ სწავლის ხალისობა, მეოთხეთ ბატოიშვილის დედიჩემისა და ქეთევან ბატოიშვილის დიდი პატივისცემა, მეხუთე დედ-მამის მორჩილება, მეექვსეთ თავის დისა და ლიზიკოს სიყვარული, მეშვიდეთ ჩემი მამიდაშვილის მაკასი და იმის ქალის თამარის ეგრეთივე პატივისცემა, მერვეთ ჩემი ძმების და ჩემი ცოლის ძმის შესაბამი პატივისცემავე, მეცხრეთ ჩემი ცოლის ძმის ცოლის ანასტასიას სიყვარული, მეათედ ნათესაობის თავაზობა, მეთერთმეტედ ქვრივებისა, ობლებისა, გლახაკებისა და საწყალთა მოწყალება, რომელთაცა ყველას დიდათ გვიყვარდა ჩემი მაიკო და დავრდომილები ხომ ღმერთს ევედრებოდნენ იმის სიცოცხლეს. ქცევითაც დიახ მშვიდობიანი, დიახ გულლმობილი, დიახ კეთილი და ყველას მასიამოვნებელი იყო, შინაურებისა თუ მახლობლებისა.

მარადის შექცევით ასე იყო ჩემი მაიკო ჩვენს შინაურობაში, რომლებიც დანატრებულნი ვიყავით ჩემს მაიკოზე და ერთბამად დავტრიალებდით ყველანი.

ბოლოს რამდენიმე ხანის შემდეგ ფრანცუცმა, მოხუცებულმა სესტომამ პანსიონი გახსნა და იქ მივაბარეთ ჩუენი მაიკო, მაგრამ მაგთენი ხანი აღარც იქ გამოვიდა, რომ ყმაწვილი ქალების ინსტიტუტი გახსნეს სახელმწიფომ, სადაც ბატოიშვილი დედიჩემის თხოვით მიიბარეს სახელმწიფოს ხარჯზე და ჩვენი სახლით მოგვაშორეს ჩემი მაიკო, მხოლოდ კვირაში ერთს დანიშნულს დღეს მივიდოდით და სხვებთა შორის ჩვენც ვისიამოვნებდით მაიკოს ნახვით. უცნაური იყო; როდესაც მივიდოდით და მაიკოს ვნახამდით, ის თეთრ სპეტი და ცოტა წითელ შერეული ლამაზი მრგვალი სახე მოყვითალოთ დასევდოდა და გამხდარიც იყო.

შავს მშვენიერს თვალებსაც მწუხარება დასჩნეოდა. არ ვიცოდით, მიზეზი რა იყო და გაკვირვებულს ჩვენ კითხვაზე, რათ ხარ აგრე, პასუხს მოგვცემდა. – „არა, სრულებით კარგათა ვარო.“ ჩვენ ვერას ვაჩემებდით, მხოლოდ ამის მეტს, რომ ეტყობა სწავლას ხალისობს და ამისთვის არის ასეო, მაიკოს ტოლებიც ამას გვეუბნებოდნენ და ჩვენც გვიხაროდა, მაგრამ მოტყუებულნი დავრჩით. მაიკო იმ დამწყვდეულს ყოფნას თურმე ნაღვლიანობდა. *და არ უყვარდა. მაიკო ამისთვის სწუხდა.*

– „უთუოთ ასე დაკრძალვით უნდა გაიზარდნენ ყმაწვილები და

გაკვირვებული ვარ, რატო ჩემი გული არ ითვისებს ამასაო". მაგრამ ეს კი აღარ იცოდა, მაიკო ზეცის თავისუფალი ანგელოზი იყო ზეცაში. იქ უნდა ეფრინა და ამ სოფლისა რაღა მოეწონებოდა იმის განწმენდილს და უმანკოს გულს.

ბატოიშვილის დედიჩემის გარდაცვალებაზე მთელი ჩვენი სახლი აივსო ვალალებით და ამ საკვირველის დედაკაცის სამაგიეროდ დაგვრჩა ჩემი მაიკო: ვითარცა სახით, ეგრეთვე სიმაღლით, ხასიათით და გონებითაც რასაკვრელია. გასაშტერებელი იყო, იმათში არაფრისთანა ცვლილება არა იყო რა, რომელიცა ყმაწვილ ქალობაში ბატოიშვილი დედაჩემი ძალიან ტანწვრილი ბძანებულა.

დანიშნულს დღეს როგორ გადავაცდენდით, მაიკო არ გვენახა მე და ჩემს ეკატირინეს, რომელსაცა უარესად და უარესად ეჩნეოდა მწუხარება *იმის სახეს და უხმებოდა კიდეც.* მაგრამ ვერ დავახწიეთ იმას სწორე. დირეკტრისა და კლასნის დამებიც გვარწმუნებდნენ: სრულებით კარგათ არისო. უფრო ამისათვის გვეუბნებოდნენ, რომ რაც სენი სჭირს, გაივლის და მშობლები რათ შევაწუხოთო. ბოლოს რას ყოფით საიდუმლოდ გამოვიკითხეთ, შევიტყეთ, რითაც იყო ავათ, ამისთვის ჩემი თხოვით გამოვიყვანეთ, სადაც თავისუფლებით ისარგებლა თავის სახლში და ცოტათ მოსურიელდა, მაგრამ სასწავლებელში რომ დამართოდა, ის სენი მაინც არ მოეშორა. იმის სენი იყო მეტი დაღონება და ხანდისხან ყელში რაღაც წაუჭერდა, ძლივს მოიბრუნებდა სულს. თუმცა ბევრი სამკურნალო წამლები ასვეს მკურნალებმა, მარამ ვერა უშველეს რა. სხვა მეტი ღონე რომ აღარ იყო, გამოჩენილს დოხტერს ივან ანტონიჩს პრიბილს მივმართე და ნათლუხში ჩავიყვანე. დოხტერმა დიახ სიამოვნით მიგვიღო, ჩემს რამდენსამე სიტყვაზე, ბოლოს მაიკოს ჰკითხა, მაიკომ რაოდენ შეიძლო, უანბო თავისი ამბავი. გონიერმა და გამოჩენილმა დოხტურმა მაიკოს სახეს დააცქერდა თავის ბრწყინვალეს ბროლის თვალებით და კარგა ხანი უყურა. ამაში მაიკო ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა სირცხვილით და თავის მშვენიერი თვალები დედამიწაზე დაეშო. შემდეგ დოხტურმა ჩემკენ მოიღო თავი და დაწყნარებით მითხრა.

– „ამისთანა ერთი კიდევ მაგალითი ვიცი; ამისთანა სასწავლებელში ვერ გაუძლია და დასნეულებულა, ამისათვის, რომ სასწავლებელი იმათთვის მკვლელი ყოფილა. ყოველს ყმაწვილს ერთი ხას-

იათი არა აქვს, დამწყვდეულს სასწავლებელს გაუძლოს და იქაურს წესსა. ამ ქალს ჩვილი კეთილი გული უნდა ჰქონდეს და სევდიანი ხასიათი, რომელიცა მზათ არის ყოველს ქველის საქმეზე და გლახაკთ შეწევნაზედ. ნეტავი ამას!.. ახლა ამას ერთს აბს დაუწერ; დღეში სამჯერ მიიღოს, დილას, შუადღეს და საღამოს სამ-სამი და ერთს კვირას უკან ჩამოიყვანეთ ჩემთან.“

ერთს კვირას უკან ჩავიყვანე, მაგრამ აბებმა ვერა უშველა რა. ახლა პარაშოკები (მტვერი) დაუწერა; ამანაც ვერა უყო რა, მერე მიქსტურა დაუწერა, ვერც არა ამან არგო. ამ წამლების შემდეგ დოხტურის დარიგებით თითო კვირას გამოუშვებდი და მასუკან ჩავიყვანდი: ვერცერთმა წამალმა ვერ არგეს. ბოლოს გაიცინა და სიამოვნებით მითხრა.

– „რაც ადრე ვთქვი ამ ქალზედ, სწორედ ისეა. ახლა კი მამილოცავს, ამის სამკურნალო ვიპოვე. ამას ერთს კაპლს დაუწერ, ის კაპლი ასვით (ამთენი წვეთი) ცივს წყალში და კარგათ შეიქნება, მაგრამ სოფელში კი უნდა წაიყვანოთ და ამ გაზაფხულის ჰაერით ისარგებლოს. იმედი მაქვს, ის კაპლი და სოფლური გაზაფხულის ჰაერი სრულიად განათავისუფლებს. – კარგი ჰაერიანი და უცხო წყლიანი სოფელი ხომ გაქვთ თქვენ?“ – „ყოვლის საუცხოებით შემკული სოფელი გუაქვს, კეთილჰაერიანი, თევზით სავსე მდინარე წყალი, მწვანოვან ყვავილ მინდვრებიანი, მორთულ ველებიანი, მშვენიერ მჭალებიანი და მეტად კარგი სანადირო მთები უძევს აქეთ-იქით, შესასვლელი ხეობაებში ტყით მოცული, სადაც ტყის ნადირი ბევრი არის.“ დოხტურს მეტად მოეწონა და მითხრა.

– „ქვეყნიერი სასუფეველი ყოფილა ის თქვენი სოფელი, მაგრამ თვალთათვის როგორიღა არის?“

– „მეტად საუცხოვო.“

– „თათრები დგანან თუ ქრისტიანები?“

– „ქრისტიანები.“

– „ვენახები არა აქვთ?“

– „რაც შეიძლება კარგი.“

– „თქვენ?“

– „მეც ეგრეთვე.“

– „რა ქვიან იმ სოფელს?“

– „კაზრეთი, ჩემი ცოლის მზითევია ისა.“

– „აქედამ რამდენი ვერსია?“

– „დიდ გზაზე სამოცდაათი და მოკლეზე სამოცი.“

– „საკუთარი სახლი არა გაქვთ იქ?“

– „თუმცა კარგი არ არის, მაგრამ შეიძლება დგომა ცოლ-შვილით.“

– „მაშ ნუღარ დაიყოვნებთ და საჩქაროთ წადით, ამასაც ერიდეთ, არაფერი არ ეწყინოს ამ თქვენს ქალს, თორემ დიდათ ავნებს.” აბა რა უნდა გვეწყენინებინა მაიკოსთვის. მარადის გაფთხილებული ვიყავით და ყველანი დიდს სიამოვნებას ვცდილობდით იმისას. არამცთუ იმ გამოჩენილის დოხტურის სიტყვაზედ უფთხილდებოდით იმას, არამედ ყმაწვილობითვე როგორც ის არას გვაწყენინებდა, ისე ჩვენ იმას, მაგრამ საკვირველი იყო დოხტურის სიტყვა.

იმ ღამეს ჩვენმა ყმაწვილმა მოახლეებმა რაღაზედაც გამაჯავრეს და მოსამსახურეს დაუძახე გაჯავრებულმა. – „ეგ თამარა გოგო კარზე გააგდე.“

ეს ჩემი მაღალი ხმა მაიკოს მკვლელი სიტყვა იყო; მაშინვე გული შეუწუხდა და გულშეწუხებული კრაოტზე გადაიქცა.

მე და ჩემი ეკატირინე წამოვხტით; საჩქაროთ მივცვივდით და რას ყოფით მოვაბრუნეთ. ბოლოს ვკითხე მიზეზი. „რა დაგემართა?“ – ეს გულმტკივნეულად ამიტირდა და ხვეწნით მითხრა.

– „შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, ნუ უწყრები თამარა მოახლეს, თუ გიყვარვარ, ჩემო უძვირფასესო მამავ. თქვენ ხომ არ იცით ჯავრობა და თქვენი ხასიათის წინააღმდეგს რათა შვრებით შენი ჭირიმე?“

ამ ხმამ და ამ სიტყვამ განსწონა ჩემი გული და სულს ცეცხლი მამიდო. სირცხვილის ოფლმა დამასხა და ვეღარა უთხარი რა. ამის შემდეგ ვიღა გავბედავდით მაღალი სიტყვა და ჯავრობით გვეთქო რამ.

ამ დროებში ჩვენმა უფროსმა ქალმა დარიკომ პანსიონში კურსი დაასრულა, რომელიცა ისიც დაგვიბრუნდა და საერთოდ გავმხიარულდით, ნამეტნავად მაიკო! ... ზედ დოხტურის სამკურნალო კაპლმაც არგო და თითქმის კარგათ შეიქნა მაიკო.

ორი კვირა აღარ გამოვიდა, ავიყარენით და ჩვენი კაზრეთისაკენ გავმგზავრდით მთელი სახლობა. კაზრეთის მახლობლად რომ მივედით, სოფლის ხალხნი წინ მოგვეგებნენ; კაცნი, დედაკაცნი და ყმაწვილი ქალები, რომელთაცა დიდის სიამოვნით მიგვიღეს და

რაოდენ შეიძლებოდა, კარგათ ეცოთ ქალებს. ჩვენი ქალები მაშინვე გადმოვიდნენ ეკიპაჟით და ყმაწვილ ქალებში გაერივნენ თავიანთის მოახლეებით, ქეთუათი და თამარათი და ცელქობა შექნეს: როგორც შეშვენით ყმაწვილ ქალებს.

ის ყვავილშერეული მწვანე ხავერდული მინდორი და ის მშვენიერი საღამო ჟამი იმათთვის სასუფეველი იყო. ასე ჩქარა გაიერთეს ორთა დათა ის მარტივი სოფლის ქალები, რომ მაშინვე ცელქობას მოჰყვნენ *იმათთან და სიხარული გაიმრავლეს.* დარიკო ყოვლის ღონით ცდილობდა თავის დის მაიკოს გართვას და მხიარულებას. ის უმანკო ქალები იმ მიდამოს მწვანოვანს არეზე: ხან გაიფანტებოდნენ, ხან ისევ შეჯგუფთებოდნენ, ხან ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ და ხან ერთი მეორეს წააქცევდა რბილს მწვანეს ბალახზე, რომლებთაგან ისმოდა ხშირი უმანკო სიცილი და სასიამოვნო მაღალი ხმაურობა. მე და ჩემი ეკატირინე ეკიპაჟით გადავხდით; გლეხკაცებთან და დედაკაცებთან წამოვედით ლაპარაკით და ის ქალები მინდორში დარჩნენ, ეგრეთ მოლაღენი, სადაც უჩვენოთ მაღალი სიცილი შექნეს და ხმაურობა, ასე რომ ის მიდამო არე ხმას აძლევდა. აქ ჩვენ ხშირად ვიტყოდით ხოლმე – „კარგი არ არის ყმაწვილობა! . . . .“

პატარა ხანს უკან ჩვენი ქალები და იმათი მოახლები მოვიდნენ მხიარულის სიცილით, მეტად დაღალულ–დაქანცულები. ჩვენს მაიკოს რომ შევხედე, სრულიად გამოსცვლოდა სახე; სიწითლეს გადაევსო. სახეც კმაყოფილებით უღიმღიმებდა. იმ მშვენიერს ჩვენს სოფელში მეტად კმაყოფილობით ვატარებდით დროს სოფლის წესის რიგზე და ჩვენი ქვეყვნის ჩვეულებისამებრ, მაგრამ დილაზე რომ წამოვდგებოდით, ჯერ უნდა თავთავისად გველოცა (რომლისაცა მაიკოს ლოცვისა შემდეგ ითქმის.), მასუკან ჩაის დავლევდით გარეთ აივანში, საიდგანაც მშვენიერი ბუნება ჩანს, იმის მიდამო ადგილები, მერე ხელსაქმეზე დასხდებოდნენ ქალები, ამ დროს მეც სამუშაოდ წავიდოდი გლეხკაცებში ჩემ საქმეზე. შემდეგ ხან თავთავისათ წიგნებს ვკითხულობდით, მე რუსულს ანუ ქართულს, ჩემი ეკატირინე მხოლოდ ქართულს, რადგანაც სხვის ენაზე არას კითხულობდა, და ჩვენი ქალები ფრანციცულს ანუ ხან რუსულს. ამასთან ხან ცხენებზე შევსხდებოდით და იმის მიდამოს ადგილებში დავსეირნობდით. ხან აქ და ხან იქ გავერანებულს სოფლებში

წავიდოდით და იმის ეკლესიების თაყვანის ცემის შემდეგ, იმის მახლობლად დავსხდებოდით მწვანეს ადგილზე, მოფენილს ხალიჩებზე და სადილს შევექცეოდით. ხან წყალის პირზე ჩავიდოდით ჭალაში. თევზებს ვაჭერინებდით ჩვენს კაცებს, სადაც იქვე წყალის მახლობლად დავსხდებოდით, დიდ გაფოთლილს ხის ძირში და სხვადასხვა გვარად გაკეთებულ თევზთა შევექცეოდით სადილათ და ზედ წითელს ღვინოს ვსომდით ზომიერად. რაღა გავაგძელო, ხან წყაროს პირზე შევექცეოდით, ხან გაფურჩქვნილს ვენახებში, ხან ტყიანს მთაში, ხან ველზე, ხან სადა და ხან სადა. ასე ამ სახით ვატარებდით დროს იმ მშვენიერს ბუნებაზე, საუკეთესო ჰაერში და გვიხაროდა ერთმანეთი. ამ შექცევის გარდა სხვა შექცევაც მოიგონეს ქალებმა, უფრო ყმაწვილური, თავიანთვის. თავის ტოლებს ქალებს მოიპატიჟებდნენ სოფლიდამ, ხან ჩაიზე, ხან სადილათ და ასე შეექცეოდნენ. შემდეგ მხიარული ლეკურის თამაშობა გაიმართებოდა ქალებისაგან, დიმპლიპიტოს და დაირის დაკვრაზე, რომელზედაც დაუღალავად თამაშობდნენ. ერთხელ ერთს საღამოს ჩირაღდანიც გაუკეთეს სოფლის ბიჭებს და ქალებს. ამ სახით სხვა და სხვა ფერი წვრილი ფარნები დაჰკიდეს, შიგ პატარა წმინდა სანთლები დაანთეს, ესენი სულ გარეთ, ვენახის ღობეზე ჩაამწკრიეს კარგად წყობით და შუაშიც პატარა ანგელოზის ვენძილი ჩამოჰკიდეს. ამ საუცხოვოს სანახავს გარს შემოეხვივნენ ეს უმანკო ყმაწვილები. იმ სიხარულით, როგორც იმათ გულს შეშვენოდა...

ამ ჩვენს სოფელში მცირედი მოწყენილობა არა იყო რა, ასე კარგად ვატარებდით დროსა და ასე კარგად შევექცეოდით, რომ მართლად საუცხოვოდ. ამით მაიკო დიდი კმაყოფილი იყო, ამ სოფლის სიამოვნემ სრულიად ის სენი დაუკარგა და სამჯობინარო სახე გაუკეთდა. ჩვენც ღმერთს ვმადლობდით ამისთვის.

მოვიდა შემოდგომის პირი, *თავის მცირედის სიცივით.* ამ დროს ჩემი სუსტი ეკატირინე და თითქმის ყოველთვის ავანტყოფი, გაცივდა, შეუძლოთ შეიქნა; უდოხტურობით მეტი ღონე არ იყო, ქ. ტფილისში ჩამოვიყვანეთ და დოხტურის შემწეობით კარგა შეიქნა. *რომელმაც სამკურნალოთი რამდენსამე დღე ზე ფეხ ზე დააყენა.*

ამის მეორე წლის გაზაფხულზე კიდევ სოფელში წავედით; ეგრეთ სიამოვნით გავატარეთ ის ზაფხული, როგორც წარსრული, მარამ კიდევ მეორედ ავად გაგვიხდა ჩემი ეკატირინე, საიდგანაც

ისევ გამოვსწიეთ და ტფილისში ჩამოვედით. ამის გამო იყო, მესამედ ვეღარ გავბედეთ წასვლა სოფელში, დავრჩით ტფილისში. აღარც საჭირო იყო წასვლა, ამისთვის, რომ სრულიად კარგად შეიქნა მაიკო.

ჩვენმა მაიკომ მოინდომა ფრანციცული ენის ოსტატი და ფარტეპიანოსა, რასაკვირველია, მაშინვე დაუჭირეთ ორივ. ამ ორივეს შეუდგა გულმოდგინედ, მაგრამ ამ დროებში ჩემი ძმა ვახტანგ პახოტში მიდიოდა ჩაჩნისაკენ, რომელმანცა ჩემს ორს ქალებს სთხოვა.

– „თუ ჩემი სიყვარული გაქუსთ, ჩემს ცოლს, თქუენ რძალ კატინკასთან ხშირად იარეთ და ამითი დამავალეთო მე.“

ჩემი ორი ქალი გამზადებული მარადის კეთილისთვის, ხშირად დაიწყეს სიარული ორთავ. როდესაც რომ ფრანციცის ოსტატი არ მოუვიდოდა მაიკოს და ფორტიპიანისა. *ბოლოს რიგით დაიწყეს სიარული.* ამისთვის ხან დარიკო და ხან მაიკო წავიდოდა; მაიკო უფრო მაშინ, როდესაც ოსტატი არ მოუვიდოდა.

ბევრჯელ კი ორნივ ერთად წავიდოდნენ.

ასე შეეჩვივნენ ჩემ რძალს კატინკას, რომ საკუთარ დასავით; ის ღირსიც იყო თავის ლმობიერის გულის გამო. გარდა ამისა, განსაკუთრებით ორი მეგობარი ყვანდა ჩემს მაიკოს, ისევ ინსტიტუტში დამეგობრებული: ერთი, ამ ჩემი რძლის კატინკას და ნინა, მეორე ჩემი მეგობრის განსვენებულის თ˜ა პავლე თუმანიშვილის ქალი ბარბარე.

თავის მახლობელ ნათესავებთა შორის, ყმაწვილკაცებთან, მომატებულად უყვარდათ ჩემ ქალებს ჩემი ბიძაშვილი, ბატოიშვილის ალექსანდრეს შვილი ირაკლი და საკუთარ ძმად სახავდნენ.

ირაკლი ბატოიშვილის დედი ჩემის სიცოცხლეშივე მოვიდა ქ. ტფილისში რუსეთიდგან, მგონია 1844-სა წელსა.

ერთს დღეს შუადღის დროს, თავის მამიდის სანახავად მოვიდა, ახლად მოსული პირველად, რასაკვირველია, იმის ნახვა დედიჩემისათვის, როგორი იქნებოდა: სიხარულის ცრემლით შეეყარა და წასვლის დროს ეგრეთის ცრემლითვე გაეყარა.

იმის წასვლასთან, მე მამიბრუნდა ბატოიშვილი დედა ამ სიტყვით, გულმხურვალედ, ცრემლიანი.

– „შვილო ალექსანდრე, ეს ჩემი ძმისწული ირაკლი, ძრიელ გიყ-

ვარდეს, თუ ჩემი მშობლიური სიყვარული გაქუს.“ მე თავი დაბლა დავხარე, მორჩილებისა და შევფიცე აღსრულებაზე. *და გულკვნესით ამოიოხრა.*

ეს ყოველი ჩემმა ქალებმა იცოდნენ, რომელზედაც სასოება დასდეს, ძლიერის ერთგულებით.

დავიახლოვეთ ეს ყმაწვილი კაცი, ხშირად ვიყავით ერთი ერთმანეთთან. ხან ჩვენთან და ხან ჩემი ძმის ვახტანგისას, ზოგჯერ ირაკლისთანაც.

ბევრჯერ მახლობელი მცნობნი, მახლობელი ნათესავები რომ შევიყრებოდით ერთად, ჩვენი მაიკო ხანდისხან შუა ლაპარაკში დაღონდებოდა, მცირე ხანს უკან შეუმცნევად კარზე მოაჯირზე გავიდოდა და ზედ სიარულს დაიწყებდა წყნარის ნაბიჯით დაღონებული. რავდენჯერმე ვნახე, ჩემი ბიძაშვილი ირაკლი უკან გაყვა და შინვე შემოიყვანა, ალერსის დატუქსვით.

ეს უბედური მაიკო იყო, გულით და სულით წმინდა: ვითარცა ანგელოზი! ეს უბედური მაიკო იყო, ცოტა სევდიანი და სრული კეთილი. ეს უბედური მაიკო იყო, ქველის მოქმედი და დავრდომილთ მოწყალე. ეს უბედური მაიკო იყო, წყნარი აუჩქარებელი და ყოველთ მოთავაზე. ეს უბედური მაიკო იყო, უწმინდეს წყალსავით მოციმციმე და გვრიტებრ უმანკო.

დღე არ გავიდოდა, კეთილი და ქველის მოქმედება რომ არ ექმნა, არ იქნებოდა. იყო მარადის კეთილ ცხოვრებაში და კეთილს ზრუნვაში.

ამ ღვთიურს ქალს დიდი შეყრილობა ანუ გამოჩენილი მეჯლიში, ანუ ბრწყინვალე ბალი არ უყვარდა. – უყვარდა ამას თავისი მახლობელნი და თიატრი იტალიანური ოპერა. უყვარდა ეს უკანასკნელი ასე, რომ მგონია ჯერ არავის არ ყვარებია ისე! . . . . .

პირველად იტალიანური ოპერა რომ დააწესა კნიაზ ვარანცოვმა ქ. ტფილისში, იტალიიდგან მოიწვია ოპერის გრუპა და ვარანცოვისაგან გაკეთებულს მშვენიერს ტიატრში დაიწყეს ამ დასთ უსასიამოვნო გალობა. მაშინ ჩვენი ორივ ქალები იქ იყვნენ, ჩემი ძმის ვახტანგის ლოჟაში, ჩემს რძალს კატინკასთან, რომელსაცა შემდეგ მითხრეს ჩემი მაიკოსი. – ასე მოეწონა იტალიანური ოპერა; მაღალს აღტრფობაში აღიტაცაო!” მაიკოს ვკითხე, იმან უფრო საკურველებით მიანბო კიდევ!

ვეღარ მოვაშორეთ იტალიის ოპერას ჩვენი მაიკო, იქიდგან მოსული ყოველთვის გაკვირვებაში იყო! რადგან ყოველთვის მე კრესლაში ვიჯექი ქვემოთ, იტალიის ოპერის დროს თიატრში, ამისთვის ერთხელა ვთქვი. ასე გაკვირვებაში რო არის მაიკო იტალიის ოპერით, ერთხელ ამას უნდა გავყვე-მეთქი.“

მახსოვს ნორმა უნდა წარმოედგინათ. მე და მაიკო ერთად წავედით; ლოჟაში რომ შავედით და კრესლებზე ჩამოვსხედით, განათლებულს თიატრს შახედა მაიკომ, სახე აღეგზნა სიხარულის სიცხოვლით, იმისი თვალებიც რაღაც ნეტარებაში მიეცა, აქეთ-იქით მიტრიალ-მოტრიალებით. ვკითხე – „მაიკო, რა დაგემართა-მეთქი?“ იმან მითხრა. – „ნუ გეშინიან მამავ, არ გავგიჟდები, მე მხოლოდა ვგრძნობ ზეციურს ცხოვრებას ამ განათლებულს თიატრში და ეს ანთებული სანთლები მგონია ზეცის ვარსკვლავებად. ეს თიატრი რომ ამისთანა კარგია, ნეტა სასუფეველი რაღა იქნება ღვთის წინაშე!“

მე ესენი სულ გაუქარწყლე. ამ დროს ჩემი ეკატერინე და ერთი სხვა ქალი (აღარ მახსოვს ვინ იყო) შემოვიდნენ და წინ დასხდნენ ჩვენზე.

ფარდა აიხადა, დაიწყეს იტალიის ოპერა უუმშვენიერესის გალობით, ჩემ მაიკოს უყურებდი თვალმოუშორად, ვხედავდი იმის სახეს, რომ იმის გული და სული ტკბებოდა ნეტარებაში.

სულ ამ ნეტარებაში იყო ყოველს მოქმედებაზე; ბოლოს ლოცვას რომ მოჰყვნენ გალობით, მაიკოს თვალებიდგან რამდენიმე ცრემლი გადმოსცვივდა, მარამ მაშინვე ცრემლი უკუიბრუნა; დასასრულზე, როდესაც ქალი აღგზნებულს ცეცხლში ჩასაგდებად წაიყვანეს, მაიკო გულაღელებული წამოდგა; შეუმცნევად კარზე გავიდა და მეც იმას გავყევ. შევხედე, კედელზე მისვენებული, იმის გული ადიოდა და დადიოდა. მიველ, ხელი დაუჭირე და ვკითხე.

– „ჩემო სიცოცხლეო მაიკო, რა დაგემართა? რა მოგივიდა შვილო?“

მაიკომ ლმობიერად შემომხედა თვალცრემლიანმა ამ სიტყვით.

– „არაფერი ჩემო უსაყვარლესო მამავ, ოპერა მეტად მიყვარს, ნამეტნავად ეს ნორმა!“

მე აღარა ვათქმევინე რა, მაშინვე ისევ შემოვიყვანე და ჩვენს კრესლებზე დავსხედით. მაგთენი ხანი აღარ გამოვიდა, ოპერა

დაიშალა, ჩვენც ჩვენი სახლისაკენ წამოვედით, მარამ მაიკოსთვის ძალიან ვნაღვლობდი. თუმცა ეს ამბავი არავის არ უთხარი, მაგრამ ბოლოს შევიტყე მაიკოს ტოლი ქალებისაგან; კიდევ რავდენჯერმე მოსლოდა ამ გვარად, ძლიერი გრძნობისაგან ოპერაში.

მაიკომ დაიწყო სამღთო წიგნების კითხვა, უნდოდა ამითი გავითარებულიყო.

მაიკოს დილა საღამოს ლოცვისა, რაღა უნდა ვთქო? – ჯერ პირველად ამას ცდილობდა, იმის საიდუმლო ლოცვა არავის ენახა, მასკვან ხელგანპყრობით დაჩოქილი, ცრემლით ილოცვიდა გულმხურვალედ, თორემ თუ ოდესმე ილოცვიდა ვისთანმე, დიახ ცივად და ცდილობდა ჩქარა გათავებას. მე საიდუმლოდ ბევრჯელ მიყურებია იმისათვის, რომ თავისი ახალი კაბა, პერანგი, თუ ლეჩაქი, ანუ ფეხთსაცმელი; ძველი ყოფილიყო კიდევ არაფერი, მარამ სრულებით ახალი აუღია და საწყალისთვის მიუცია. გარდა ამისა, დიაღ ხშირად, მოვიდოდა, როდესაც კი გვეძინა, მე და ჩემს ეკატერინეს ფულს ამოგვაცლიდა ჩუმათ ჯიბიდგან და საწყალს მისცემდა.

რასაკვირველია, შავიტყობდით. ბოლოს თვითონაც გვეტყოდა; თან ბოდიშს მოიხდიდა ამით. –„ღვთის სასიამოვნო საქმე არის გლახაკთ და დავრდომილთ შემწეობა, თქუენ სასიცოცხლოდ და საბედნიეროთ, ჩემის დის დარიკოსი.“

ერთს შაბათს საღამოზე, როდისაც სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში ხალხი დაიწყებენ სიარულს სიონთა ღვთისმშობლის ხატის თაყვანის საცემლად, მეც ჩემი ჩვეულებისამებრ, სახლიდგან მოაჯირის კარებთან მოვედი იმ ეკლესიაში წასასვლელად, შევხედე, კიბის თავზე მაიკო იდგა, მარჯვენას ხელში თეთრი წმინდა სანთელი ეჭირა, მარცხენას ხელში, ახალი პირისფერი კაბა, ერთხელ ჩაცმული და მოუთმენლად აქეთ-იქით იყურებოდა, ეტყობოდა ვიღასაც ელოდა. ეს რომ ვნახე, დაფარულის ადგილიდგან უყურე და ვთქვი: ვნახოთ, რა იქნება-მეთქი? ამ დროს, მეზობლის ერთი საწყალი დედაკაცი მოვიდა, ეს კაბა იმას მისცა და უთხრა. – „აჰა შენი იყოს ეს ახალი კაბა; გაყიდე და ამის ფული მოიხმარე, მარამ როდისაც შემოგაკლდეს, კიდევ შამატყობინე, კიდევ მოგცემ რასმე, თუ ფული ვერ ვიშოვე.“

ის დედაკაცი რომ წავიდა, მე მაიკოსთან მივედი და ვკითხე. –

„ეგ წმინდა სანთელი რად გინდა-მეთქი?“

მითხრა. – ლოცვაზე ვაპირებ წასვლას, წ. გიორგის ეკლესიაში და ეს სანთელი იქ მინდა დავანთო.

– „ეგ კარგი, მარამ ის ახალი პირისფერი კაბა რაღა უყავ, ამ ერთის კვირის წინათ რომ შაგიკერეთ?“

ამ სიტყვაზე სიამოვნით გაიცინა და მასკვან მითხრა.

– „ნუ გეწყინებათ, გეთაყვა მამავ.“

– „შვილო მაიკო, საწყენი კი არ არის, მარამ ამთენი შენი გაცემულის წყალობით გავღარიბდებით.“

– „არა მამავ, ღარიბების შემწეობით სხვას მრავალს წყალობას მოგვცემს ღმერთი!“

რაღა უნდა მეთქო, პირველი არ იყო ეს იმისგან, ამგვარი საწყალთ შემწეობა. ჩემს ეკატირინეს რომ უთხარი, იმანაც ჩემი აზრი დაამტკიცა.

როგორ შეიძლება ყოველი თვითვეულად აღვწერო მაიკოს ქველის მოქმედება, ასე მრავალია; ესეც მაგალითისათვის ითქვა აქა მხოლოდ წასაკითხად.

მაიკო თავის ტანისამოსს უფროსი ერთს თვითონ იკერავდა თავისთვის, ჩაცმითაც უფროსი ერთს თვითონ იცვამდა, რომ მოახლეს არ მოიშველებდა. – *ესენი ამას ნიშნავდა,* „ჩემის გულისათვის არავინ შეწუხდესო.“

მაიკოს რამთენიც წელიწადები უსრულდებოდა, იმთენი გონება უბრძნებოდა, მარამ ეს იყო იმისი ნაკლებულება, თუ ითქმის ნაკლებულებად, რომ ეს სოფელი სრულებით არად მიაჩნდა და შემდეგ როგორც მითხრეს, როდესაც მკვდარს გატარებულს დაინახავდა, იტყოდა თურმე. – „ახ, რა ბედნიერი ხარ შენ ადამიანო, რომ ამ სოფელს მორჩომილხარ. ნეტავი შენ, ვიღაცა ხარ!“

როდისაც ჩვენ მოვინდომებდით წასვლას სადმე, ბევრჯელ მაიკო შინ დარჩებოდა, აღარ გამოგვყვებოდა რომლისაცა მიზეზი ვიცოდი, რისთვისაც დარჩებოდა ხოლმე და იმის დარჩენისა მიზეზს ერთსა აღვწერ თვითეულად, ჩემი თვალით ნანახს და ყურით გაგონილსა.

ერთს საღამოს სხვაგან ვიყავით მთელი სახლობა გარდა მაიკოსი. მე ადრითვე შინ წამოველ უფრო ამისათვის, მაიკო მარტო არისმეთქი. შინ რომ მოვედი, იმისი ტოლი მოახლე ქალი კარზე იდგა და

მაიკო ვიკითხე: სად არის-მეთქი? იმან მიპასუხა: „მაიკო ბალკონზე გახლავს, მე დამითხოვა, აქ გამოველ და თვითონ იქ დარჩა.“ წამოვედით წყნარა, ფეხაკრეფით და გაღებულსა ფანჯარის პირსა ამოვეკარ კედელთან. იყო მთვარიანი ღამე და დაწყვეტილი დიდრონი ღრუბლები სრულსა მთვარეს ზედ ეფარა, რომელსაცა შეჰყურებდა გაშტერებით.

პატარა ხანს უკან მთოვარემ გამოანათა ღრუბლებში და თავის საამო სინათლე გადმოაფინა ქვეყანასა. აქ მაიკომ დაიძახა:

„ოჰ ღმერთო! რა მშვენიერი, რა საკვირველი ღამეა! ღმერთო, ღმერთო! ეს ღამე რომ ამისთანა მშვენიერია, შენი სასუფეველი რაღა იქნება, სადაც შენი დიდება გაბრწყინებულია და ანგელოზნი შემოგწირვენ გალობასა!“ ამ სიტყვასთან ატირდა ქვითინით და ამასთანვე დაიჩოქა ხელგანპყრობით: „ღმერთო! მე ეს სოფელი არ მინდა, მე მინდა შენს სასუფეველში ყოფნა, შენს დიდებას შემოვჭვრეტდე განუშორად. მე მიყვარხარ შენ, ჩემო განმაშტერებელო ღმერთო! რად გინდა მე აქ ვიყო, ამ საწუთოს ამაოს სოფელში? ჩქარა, ჩქარა წამიყვანე, ღმერთო შენს მადლს.“

ამ სიტყვებზე აქ მე გულმა გლეჯა დამიწყო და სული ვეღარ მოვიბრუნე რიგიანათ. ეს სიტყვები სულ ქვითინით და გულამოჯდომით წარმოთქვა. მასუკან წამოდგა, სკამზე დაჯდა, თვალები მოიწმინდა და მთოვარეს შეჰყურებდა ტრფიალებით. აქ მე უსინათლოს ოთახში გავიარ–გამოვიარე და დავიძახე: ადამიანები არავინ არა ხართ, რატომ სანთელს არ აანთებთ ოთახში? ეს რომ ვთქვი, მაიკო გამოექანა: „მამავ, თქვენ ბძანდებით?“

–„მე ვარ შვილო, უსინათლოში რათა ხარ?

– „საუცხოვო ღამეა, რა საჭიროა სანთელი.“ და ამასთან ნელიად ამოიოხრა.

მე ეს ამბავი არავის უთხარი და არც მაიკოს შევამცნევინე, ვიცოდი ამ სიტყვების შემდგომ ღვთისა იყო, რომელმაცა ჩემმა მშობლიურმა გრძნობამ მაშინვე მითხრა: ამ მაიკოს საუკუნით გამოეთხოვეო. ამასთან მეორე ოთახში გამოვედით და იქ მშობლიურმა სიყვარულმა ამატირა მწარედ. განვლო ამის შემდეგ ორი თვე, თუ ორ თვე ნახევარი, რომ გაჩნდა ხოლერა და თავისებურად მოჰყვა ხალხის სრვასა. იჯდა მაშინ 1855 წელი და დრო იყო შემოდგომა.

მოვიდა ჩვენთვის უეცარი და მოულოდნელი სამწუხარო ჟამი

– 2 ოკტომბერი. ეს დღე გავატარეთ მხიარულად მთელმა სახლეულობამ, მაგრამ ჩვენი მაიკო როგორღაც დაღონებული იყო ავანტყოფსავით, ეტყობოდა, რაღასაც გრძნობდა. საღამოზე ორი დანი, დარიკო და მაიკო წაიყვანეს თავის მახლობლებმა ნათესავებმა იტალიანურს ოპერაში. მაგთენი დრო აღარ გამოვიდა, უკანვე მოვიდნენ და უფროსი და დარიკო წინ შემოვიდა, ორი ხელი ერთმანეთში გაყრილი, შეწუხებულის სახით, ამ აკანკალებული სიტყვებით:

– „იცით რა მოუვიდა მაიკოს?“

ჩვენ საჩქაროთ მივატანეთ, რა მოუვიდა?

– „გული შეუწუხდა, ავათ გახდა.“

– „რათა, რა მიზეზი იყო?“

– „არ ვიცი, რა დაემართა.“

– „თვითონ სად არის?

– „აი მოდის ეხლა.“

გვინდოდა გამოვარდნილიყავით კარზე, მაგრამ ამ დროს შემოვიდა სრულიად მკვდრის სახით და გალურჯებული ფერი დასდებოდა იმის თეთრსა პირსა. მივცვივდით და კითხვა დაუწყეთ, ამის მეტი არა თქო რა: – „თქვენი ჭირიმეთ, საჩქაროთ ქვეშაგები გამიშლევინეთ.“

გაუშლევინეთ და საჩქაროთ აქიმიც მოვაყვანინეთ, მაგრამ რაღა მოგახსენოთ, ვეღარას ვიტყვი წვრილათ იმის უკანასკნელს ჟამსა, ჩვენის გულის მოსაკლავსა. ესეც რას ყოფით დავწერე, მთელი ექვსი წელიწადი ვწერე და რას ყოფით გავათავე. გამოვიდოდა: ხან ერთი თვე, ხან ორი კვირა და ხან მეტ–ნაკლები, რომ ავიღებდი კალამს და მაიკოს ამბავის წერას მოვყვებოდი ქაღალზე: ორს თუ სამს სტრიქონს რომ დავწერდი, ამ დროს ვაების მწუხარება შემამაწვებოდა გულზე და წამსვე წერას გავათავებდი და დაწერილს ფურცლებს შკაფში შევყრიდი საჩქაროთ.

ამის მეორე დღის ღამეს, ესე იგი 3-ს ოკტომბერს გარდაიცვალა ჩვენი მაიკო, სწორეთ იმ ჟამს, როდესაც ავათ გახდა. როგორც მახსომს, მგონია მეათე საათი იყო პირველის ღამისა. იმის გარდაცვალება იყო დიდსულოვნად, სიამოვნით, გონების სიბძნით, დამშვიდებით, კეთილად და ყველას გულმოდგინედ გვთხოვდა, რომ არ შევწუხებულიყავით იმისათვის.

მაიკოს გარდაცვალების მეორე დღეს შეგვიყვანეს იმის გვამის

სანახავათ. ხომ იცით რა ამბავი იქნებოდა ჩვენს თავზე? მორთულს რომ დავხედე, წარმამიდგა იმის ყმაწვილური მშვენიერი სახე: სისხლი სრულად დასწმენდოდა, სახე დასჯდომოდა გაწყობითა და უზომო ყმაწვილური შვენება კიდევ დასდებოდა ხელმეორეთ, ასეთი შვენება, რომ მე არ მინახავს იმისთანა მშვენიერი ქალი!

აი, თუ ღმერთს ზეცისათვის არ უნდოდა მაიკო? – ნამდვილი იმისი სახე ერთი ყმაწვილობით გვაჩვენა და ერთი მკვდრისა. და ამ ორს შორის არ ვიცი, რა უნდა ყოფილიყო, რომელსაცა სურავანდით რიგიანი სახე აღარ ჰქონდა სწორე ნამდვილი?

აი იმისი ნამდვილი სახე სწორეთ ეს არის, რომლისაცა ერთი ყმაწვილობით გვაჩვენა და მეორეთ მკვდრისა. იმის ყმაწვილობის შემდგომ კი სულ სურავანდით ჰქონდა ატკრეცილი და ამიტომ რიგიანათ აღარ ჰქონდა სახე სიკვდილამდინ. მაინც ულამაზო კი არ იყო.

ავლაბრის საყდარი რომ არის, მეფის ირაკლის მეორის ცოლის დედოფლის დარიას აშენებული, სახელსა ზედა წ. დარიასი და ახლა ფერისცვალებისა, იმის კარების მახლობლად დაიმარხა გარეთ, რომელსაცა იმის ბოლოს ნახავთ იმის ქვის ფორმას ზედ დადებულს, თავის ზედ წარწერით და ერთს კიდევ ლექსსა, იმაზედ თქმულს. აქ რვეულის ბოლოს ნახამთ.

სხუათა შორის, იმის კეთილს ცხოვრების ამბავში, ამ ახლოხანებში ჩვენი სახლის მოძღვარმა, წ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა, გიორგი მელითაურმა გვითხრა: მაიკო თუ არ გარდაცვლილიყო, უთუოთ გამზადებული იყო, რომ მოლოზნად უნდა შესულიყო: ადრით ჰქონდა განზრახვაო.

მაიკო რომ გარდაიცვალა და იმის მესამეს დღეს დავასაფლავეთ, იმ ღამეს მე შესანიშნავი სიზმარი ვნახე: იყო ერთი მშვენიერი წალკოტი და ყოველის საკვირველებით გაფურჩქვნილი! მე, ჩემი მეუღლე ეკატერინე და ჩვენი ქალი დარია, რომელთაცა ამის მეტი შვილი აღარ დაგვრჩა, ვისხედით გაშლილს ვარდის ბუჩქებთან. ამ დროს ერთი საკურველი გალობა, ოპერის ხმა, თავის სამუსიკო ხმით მოგვესმა, ასეთი ხმა, რომ განსაცვიფრებელი! ჩვენ მივიხედ–მოვიხედეთ, ვერსად რომ ვერა დავინახეთ რა, მაღლა ავიხედეთ. ვნახეთ: მრავალი სხვა და სხვა ჩიტები მოფრინვიდნენ ზევითგან და ეს ხმოვანება იმათგან მოისმოდა. ჩვენ რომ ეს ვნახეთ, სამთავ

დავიჩოქეთ, დარია ჩვენ შუაში იყო დაჩოქილი. სამთავ მძიმე სამ-
გლოვიარო შავები გვეცო და გაშტერებით შევყურებდით იმ ჩიტებ-
სა. იმ ჩიტებთაგან ექვსი ჩიტები გამოერჩივნენ, მეტი საუცხოვო
მშვენიერები; ფრენით წამოვიდნენ ჩვენზე, როგორც ტოროლე-
ბი და თან უსაამოსა გალობასა მოიგალობდნენ, თავის უხილავის
სამუსიკოს ხმებით. ეს ექვსი ჩიტი ცოტა დაბლა რომ დაეშვნენ
ზევით ჩიტებიდგან, ისინი იქ ზევით სხუა ჩიტის დასები, ეგრეთ
იგალობნენ ტკბილსა ხმასა, – იმ ხმასავე საკვირველსა! ბოლოს
იგი დასებიც ჩამოფრინდნენ ჩუენს თავზედ ახლოს, რომლებსაცა
დაგვფრინამდნენ ტრიალით და ეგრეთისა გალობითა იგალობდნენ
ის ჩიტები. ამ დროს მეტი საუცხოვო ექვსი იგი ჩიტი წამოვიდნენ
ჩვენკენ: ორი მე დამასხდნენ მხრებზე აქეთ-იქით, ორი ეკატერინე-
სა და ორი ჩვენს ქალს დარიასა. აქ შეიქნა სიხარულის გალობა და
სამუსიკოს ხმა, ასეთი ხმა, რომ მართლად გასაშტერებელი! კარ-
გა ხანი ეს ხმოანება არ გაწყდებოდა. მასუკან ჩვენს ქალს დარიას
მარჯვენას მხარზე რომელიც ჩიტი უჯდა, ის ჩიტი აფრინდა,
დარიას უბეში ჩაუჯდა და თავისი სადაფის პატარა ნისკარტითა
ჩაჰგალობდა გულში მეტად საამოთა, ბოლო დროს წამოფრინდ-
ნენ ის ექვსი ჩიტები, ჩვენ პირდაპირ ვარდებზე შემოსხდნენ და
ახლა იქ შეიქნა საკურველი გალობა, მაგრამ ის ექვსი ჩიტი ჩვენ
რომ შემოგვყურებდნენ, თვალებიდგან გადმოსდიოდათ ცრემლი
ღაპაღუპით. დარიას უბეში რომ ჩიტი იჯდა, რაც ფარშავანგს მშვე-
ნიერი მხატვრობა აქვს ტანზე, ბევრით იმაზე მშვენიერი მხატრობა
ჰქონდა ტანისა და ფეხები მოწითლოთა უღელავდა იაგუნდსავითა,
რომელსაცა იმის ლამაზს თავზე ლამაზი ოქროს გვირგვინი ედგა
მოოქროვილის ფოჩებითა და ძვირფასის თვლებით შემკობილი.
ეს ჩიტები, ერთი ერთმანეთზე მშვენიერები, მწკრივათ ისხდნენ;
პირველს ჩიტსა გულზედ გამოესახა დაწერილი ოქროს ვარაყიან-
ის ასოებით სახელი ეს: ირაკლი, მეორესა – გრიგოლ, მესამესა
ნიკოლოზ, მეოთხესა – დავით, მეხუთესა – მარიამ და მეექვსესა
– ელენე. ესენი რომ ამოვიკითხეთ, ამასთან გალობა წარმოსთქვეს
თავის საამოს მუსიკითა: მშვიდობით ჩვენო საყვარელო მშობლებო
და ჩვენო სიცოცხლეო დაო დარიკო. ეს რომ გადმოგვიგალობეს,
ჩვენ წამოვხტით და დაჭერა მოვინდომეთ იმ ჩვენი მკვდრების
შვილებისა და დევნა დაუწყეთ, მაგრამ ისინი აქეთ-იქით მიმოფ-

რინდებოდნენ და ხელიდგან გვისხლტებოდნენ. ბოლოს კიდეც აფრინდნენ და ერთიანათ თავის ამხანაგის ჩიტებითურთ ზეცაში მიიფარნენ უსაამოს მუსიკის გალობითა, რომელსაცა გაშტერებით შევყურებდით. ამ ამბავში კიდეც გამეღვიძა, მწუხარების ზარმა ამიტანა და ციებასავით ვკანკალებდი.

ბოლოს შემდგომში შევიტყე, რომ ჩუენი მაიკო ორს ყმაწვილსკაცს გულით ჰყუარებიათ, არც საკვირუელია, იმისთანა ანგელოზი სულის ქალი ჰყუარებოდა ვისმე. მაიკო რომ მოკვდა და დავასაფლავეთ, ის ორი ყმაწვილი კაცი იმის საფლავზე მისულიყვნენ, ერთი იმავ ღამეს, რომელსაცა დამხობით იმის საფლავზე ბევრი ეტირა, მასუკან იმის საფლავიდგან მიწა აეღო და ძალიან შეწუხებული წამოსულიყო. მეორეც, მეორე დღეს საღამო ჟამს მისულიყო, იმასაც ისე ბევრი ეტირა, მასუკან იმასაც საფლავიდგან მიწა აეღო და ისიც მწუანე წამოსულიყო.

მე ესენი ასე მიანბეს და იმ ყმაწვილი კაცების სახელი მითხრეს. ნურავის ნუ გეგონებათ, ჩემს მაიკოს ჰყუარებოდა ვინმე, ამისთვის, რომ იმას ღვთისთვის შეწირული ჰქონდა თავი და ამის გამო უთუოთ მონაზონად ემზადებოდა. ჩუენი მოძღვრის გიორგი მელითაურის ზევით სიტყუას ვანბობ, რომ იმისთვისაც ასე გადაწყუეტით უთქუამს აღსარებაში. თუ რომ იტყვის ვინმე იმისაგან სიყუარულსა, წმინდა ცრუპოდლი იქნება ის.

თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.

ამ დამდეგს წელს ძლივს გავათავე ესა.
27-ს იანვარს 1862-სა წელსა.
ქ. ტფილისს.

უბედური მაიკო (მარიამ.)

ქალო კეთილო უცხო კარგო და მოციმციმეო,
უმანკო სძალო ზეცისა სათნოვ ღვთისაო,
დიდსულოვანო უშიშარო სიკვდილისაო,
ქალო შენიო გული-სული ანღელისაო.

შენსა სიცოცხლეს ვით კარგს ყვავილს სჭვრეტდი ხარობდი,
ხან ამ ღვთის ჯილდოს მის ბოძებულს გრძნობდი მადლობდი,
ხან ფორტუპიანს ტკბილს ხმას სცემდი და ხან გვრიტობდი,
მაგრამ უფრო შენ ეპყარ სევდას ნაღვლიანობდი.

თურმე ეს იყო სევდა შენი ესე სოფელი,
რომ არ გიყვარდა ეს საწუთო დაუნდობელი,
ამას გამცნევდნენ ტოლნი შენი ნაზნი ქალები,
სწუხდნენ გიგლოვდნენ ადრითვე შენ გულ-ლმობილები.

მართლა ეს მოხდა მიეგებე სიკვდილს სიამით,
ვისგანაც ძრწიან კაცნი გმირნი ძლიერნი ამით,
მარამ მას სტუმარს შენს სიცოცხლეს უძღვნიდი გულით,
გულით სრულითა დიდსულითა ბრძნულის გონებით.

ჰე შვილო ჩვენი სიხარულო მშობლებისაო,
ჩვენო სიცოცხლევ საყვარელო სატრფოვ დისაო,
ვარდო გაშლილო ჩვენი გულის და სულისაო,
თუმც ასე ჩვენო ბოლოს ჩვენო გამწარებელო.

ოჰ! ეს სოფელი სავანეა მწუხარებისა,
კარი განხმულა მისი სრულად ვალალებისა,
სიდგანაც ისმის საშინელი ხმა გოდებისა,
კვნესა ძახილი და კივილი შეზარებისა.

მშობელი

ვნ, ბიწე ბიწეტნდ ბიგიტრეს.

ანდერძი ესეთი, ესოდენ ფრიადი, ესოდენ ფა ფალანგი, ესოდენ ფა ფალანგი, ესოდენ ფა ფალანგ

ტრედთა და ყუავილებთა შორის, კეთილ უმანკოება გიგალობ შენ ღ˜თო!

მიწყალე მე ღ˜თო, მიწყალე მე რამეთუ შენ გესავს სული ჩემი. მიძეღუ მე ჭეშმარიტებითა შენითა და მაუწყენ მე გზანი შენნი, რამეთუ შენ ხარ ღ˜თი მაცხოვარი ჩემი. ვინაჲდგან უჟამოდ განჩინებამან მომსხლა ბუტკთა შორის ყვავილოვანი სასძლო და მივართვი სული მისი უკვდავებასა მას მღვთაებასა მე გულმყუდროებით, თ˜აის ალექსანდრე ვახტანგის ძის ჯამბაკურიანის-ორბელიანის ასულმა მარიამ, რ˜ლიცა პირველ მოველ სოფელსა შ˜ა 1833-სა წელსა ივნისის 13-ს დღესა და ბოლოს მძვინვარე სენმა ხოლერამან მოსპო დღენი იგი ჩემი ყმაწვილქალობისანი 1855-სა წელსა ოკტომბრის 3-სა დღესა. ხოლო დაუტევე მშობელნი და სატრფო დაჲ ჩემი მწუხარედ და მწარედ მფრქვეველი ცრემლთა. აჰა სოფლის მოვალეობა მემართა დღე ერთი და გადვიხადე იგი, მადლობელმან მღვთისამან. გევედრებით ყოველთა მოყვასთა ოხუას ნუ დაიშურებთ ჩემთჳს უზენაესისა მიმართ, რომელთაცა გულმდუღარედ მიქმნეს ლოდი ესე ჩემ სახსოვრად, ჩემ მშობელთა და მეც ამ სენაკში დავესახლე საუკუნოდ, ყოველთ მშვიდობით, გევედრებით ნუ შეიჭირვებთ ჩემთვის, მიწა მიწადვე მივიქეც.

<u>პირი</u>

სწორეთ ასე დახატული და ასე დაწერილია ამის ნამდვილი მარმარილო თეთრი: სიგძე აქვს <u>ერთი</u> რუსული ადლი და <u>ექვსი</u> ვერშოკი. სიგანე <u>სამი</u> ჩარექი და <u>ნახევარ</u> ვერშოკი, რომელიცა ზის თლილს რურჯს ქვაში და საცოდავს საფლავზედ აძევს, ფერისცვალების ეკლესიის კარზე ეზოში. – <u>ქ. ტფილისს ავლაბარს.</u> –

ახლა პუპლია

მე შკოლაში რომ ვსწავლობდი, ერთს დროს სწავლის შემდგომ, როდისაც ცოტას დროს დაითხოვენ სათამაშოთ ყმწვილებსა, იმ-დროს ყმაწვილები ვთამაშობდით ტაშის კრივსა ნაბდებ წამოსხ-მულნი[1], ამდროს დერაკტორი ბუკრინსკი[2] გამოვიდა კარზე და ნა-თამაშევი რომ დაგვინახა, მოვიდა და ოცდაათი ყმაწვილები შუაზე გაგვყო, ერთი მხარე ერთს ყმაწვილს ქაიხოსროს მისცა აზნაურშ-ვილსა და მეორე მე. ეს ორნი უფრო გამოჩენილები ვიყავით ყოვ-ელს თამაშობაში და სიმარდეშიაც. გვითხრა.

– „აბა ტაშის კრივი იკრიეთ, რომელი მხარე რომელს მოერევა, იმ პირველს დარჩება სახელი.“

როგორც ყმაწვილებსა ჩუენც ეს გვინდოდა. მაშინ მე ვიქნებოდი თორმეტის წლისა და სხუებშიც ეგრეთვე ჩემი ტოლები იქნებოდნენ.

ორივ მხარე ყმაწვილები დაერივნენ ერთმანეთში როგორც მოუთმენელი ყმაწვილები და შეიქნა ტყაპატყუპი ცემა, მაგრამ მე ცოტა მოშორებით უკან ხან აქეთ და ხან იქით ვაქეზებდი ჩემს ამხანაგთ და თან ვეუბნებოდი: მინამ არ გაგიჭირდებათ, არ მოგეშ-ველებით-მეთქი. ისინიც ადგილობრივ იბრძოდნენ, რაც შეეძლოთ. ბოლოს მეც მივედი და მაშინვე ქაიხოსროს (მომატებულს სახელს ქაქუცას უძახდნენ.) ზედ შევახტი და ასეთი დაკვრა მამივიდა იმის თავზედ, რომ თავის ამხანაგებზედ გადავაწვინე და მეორესაც სხ-ვასა ისე უყავ. ჩემმა ამხანაგებმა ეს რომ ნახეს, ძალზე დაერივნენ და სულერთიან გავიტანეთ თანა. ჩუენს მხარესა დარჩა გამარ-ჯვება, რომელმაცა ამისათვის დერახტორმა მიმიყუანა თავისთან, ქუდი მამხადა, თავზე მაკოცა და მითხრა.

– „ოოო, შენა ხარ რომაელი პუბლი. მაგრამ შენმა გაზდამ, რომ ისწავლო, ეს კიდევ უფრო კარგი იქნება შენთვის. ეცადე, ისწავლე ჩემო რომაელო პუბლი.“[3]

---

[1] იმდროს ზამთარი იყო და მაშინ არც შინლები იყო შემოღებული შკოლის ყმაწვილებისათვის და არც რუსული ტანისამოსები. ღამეც შინ მივიდოდით დი-ლაზედ ისევ შკოლაში. სადილათაც შინა და სადილსუკან ისევ შკოლაში.

[2] ამან ასე კარგათ ისწავლა ქართული როგორც ღრმა მსწავლულმა ქართველმა, ისე. მხოლოდ გამოთქმაკი ევროპიული ჰქონდა და ქართველი ქალიც ჰყუანდა ცოლათ ეკატირინე.

[3] მე შკოლიდგან მაგდენი სწავლა ვერა გამოვიტანერა, ჰო ცოტაკი ღრამატიკა, ცოტა

აი პუპლია საიდგან გამიკეთდა, რომელიცა ჩუენში ჩვილს ყმაწვილს ეტყვიან ალერსში: პუპლი, პუპლი. და ის ასე გამიკეთეს, სადაც დღევანდლამდისინ მომატებულს სახელს ასე მიძახიან „პუპლია“. ის უფრო ჩუენის ენის თვისებაა, მინამ პუბლია და მაშინ ყუელასაც ისე ეგონათ: პუპლი უთხრაო, ამისთვის რომ პუბლი არ ვიცოდით, ვინ იყო და ეს უფრო ახლო სიტყუა არის ჩუენზედ, პუპლი. მეც ბოლო დროს კარგა ხანი რომ გამოვიდა, თვითონ დერ-ახტორმა მითხრა, ვინც ყოფილა პუბლი.

თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

18-ს ივლისს 1867-სა წელსა. ს. კაზრეთში.

არიφმეტიკა დრობამდისინ, ცოტა ღეოღრაφიაც და მეოთხემდისინ გამიყვანეს. ჩემი ნიჭი უფრო ძველი ამბების გაგონება იყო ხოლმე ძველ კაცებში. ჩემი სწავლისათვის დიდი ოჯახის შვილი რომ ვიყავი, იმისთვის არაფერს მეუბნებოდნენ, მარტო ხომ მე არ ვიყავი ასე, სხუებშიც ბევრი მყუანდა ამხანაგნი ჩემი ტოლი შკოლელები. ბოლოს როცა გამოვედი შკოლიდგან, ერთს დილაზედ რაღაც პატარა რუსული დაბეჭდილი წიგნი ეგდო ფანჯარაში, უნებურად ხელი ვტაცე და კითხუას მოვყევ, წარმოიდგინეთ ისე მიამა იმის კითხუა რომ აღარ მოვეშვი და იმის შემდგომ ისისიყო, რომ შემიყუარდა წიგნის კითხუა და ქართული წერაც. ის წიგნიკი აღარ მახსომს რა წიგნი იყო და ესკი მახსომს, რომ რაღაც სამიჯნურო წიგნი იყო და სიყუარულით სამსე. ის წიგნი შეიქნა ჩემი პირუელი სინათლე წიგნების კითხვისა და წერისაც. აი სამიჯნურო სიყუარულის წიგნმა ეს მიყო და ბოლო დროს ჩემისა ცოლს ისე გაგიჟებითაც რომ მიყუარდა, მაშინ ხომა ვითხრიდი თუალებს წიგნების კითხუაში.

ჩვენი ძველი სახლეულობანი

რა დრო უნდა იყოს და როგორიც, – მაგალითად ვსთქვათ: თუნდ ანგელოზების დროც, – უთუოდ იმათში ნაკლოვანებაც უნდა იყოს იმათ თვისებაში, თორემ კარგი აღარ გამოჩნდება. ამაზედ ბევრი ლაპარაკი შეიძლება, მაგრამ მომატებული საჭირო არ არის, ამისთვის, რომ ეს უთუოდ ყველამ ასე იცის, რომ ეს მართალია. *ყოველი ადამიანი, იმისი ყოველი მოქმედება, სულ ერთიან კარგი რომ იყოს ქვეყანაზედ: ქცევა, ზნეობა თუ საქმეები, კარგი რაღა გამოჩნდება ანუ რა ღირსებაღა უნდა ჰქონდეს იმას? – ვინ რაღას დაინახავს, ანუ ვინ როგორ დააფასოს ისა, ვინ რაღა თქუას, ვიღა რაღას დასწერს? – სულ რომ კარგი იყოს, სულ კეთილი, სულ სიწმინდე, სულ პატიოსნება, სულ უწინააღმდეგობა? – მაშ, კაცს მოძრაობა აღარ უნდა ჰქონდეს, მუქთათ, უზრუნველათ ვიცხოვროთ, რომელიცა ადამიანი უმოქმედოდ ქვეყანაზედ არ შეიძლება, ამიტომ, რომ კაცის მნიშვნელობა უთუოთ ის არის, ადამიანი მოძრაობაში იყოს, და როდისაც კი ადამიანი მოძრაობაში იქნება ყოველს თავის აზრის მნიშვნელობაზე, იქ თავის შესაფერი წინააღმდეგობა დაუწყებს იმას დევნას, მინამ ჭეშმარიტება სიმართლესა გამოაჩენს, ამისთვის დაფარულს ხაოში უნდა იყოს ისა და იმისი მდევნელი წინააღმდეგობა დღესასწაულში. ეს აუცილებელი ასე არის, ასეც იქნება, მინამ სიმართლე თავს იპოვის და უთუოთ დღეს-ხვალობით რომ დაიფაროს, ბოლოს მაინც გამოჩნდება. საბოლოოდ დიდი ძალი აქვს სიმართლესა.* მე ეს მაგალითი იმაზე მამყავს, რომ მე როგორ ვიტყვი, რომ უწინდელს ჩვენს ძველ დროში სულ უმანკოება ყოფილიყოს, სულ სიწმინდე და სხვანი. არა იმათშიაც იყო ავკარგობა, მაგრამ რა გვარი? – კარგი, ძალიან კარგი ეს იყო, რომ სულ სიმართლეს მისდევდნენ და წმ. სახარების რიგსა. ეს დიახ კარგი და მოსაწონია კაცობრიობისათვის, მაგრამ ესეც კი არის, რომ ის სიმართლე იყო იმათ მავნებელი. ამიტომ რომ კარგისა და ავის მოძრაობა არ იყო რა იმათში: სულ სიმართლეს მისდევდნენ *ის ჩვენი ძველი დალოცვილები* და იმათი გული სიწრფელით სავსე იყო, ასე ეგონათ ჩვენსავით ყველგან და ყველანი წრფელნი არიანო, და ამიტომ გულით და სულით მინდობილნი იყვნენ ყველაზედ, მაგრამ თავიანთ გარეშემო კი გონებას ვეღარ ავლებდნენ მეტი სიმართლისა

და სიწრფელის გამო, რომ რამდენი ქვებუდანები დაძვრებოდნენ იმათში. ისინი როგორ შლიდნენ იმათს ყოველ კარგსა და ნაცვლად კარგისა საძაგლობას როგორ ასწავლიდნენ, მათ ამისი ვერა გაეგოთრა. და კიდეც ეწეოდნენ საწადელს ის ქვებუდანები. იმ ხალხში, სადაც გულშეწირული ღვთის მოსაობის მეტი სხვა არა იყო რა, სარწმუნოების განუსაზღვრელი სიყვარული, წრფელი, უმანკოების სიმართლე, მშობლის, მამულის თავდადებითი ერთგულება, თავიანთ სახლეულობაში მშვიდობის მყოფელობის სიყვარული თავის სახლის პატრონობით და დასასრულ წმიდა სახარების წესი. ჩვენი უწინდელი ზნეობა აი ამაზედ იყო შედგენილი.

ყოველი ეს დიახ, კარგი, მაგრამ, ევროპიული სწავლა-განათლება იმათ რომ არა ჰქონდათ, და იმათი წესის უცოდინარები იყვნენ, რომელიცა ეს მაშინდელის დროის მიხედვით დიდად ესაჭიროებოდათ იმათ. ამის გამო ისინი შეცდომილებაში იყვნენ. აბა იმათ ევროპიული განვითარებული გონება ჰქონდათ, მაშინ ოსმალო და სპარსეთი ნახავდა თავის ყოფას ქართველებიდგან, რომელთაგან შპიონებით სავსე იყო საქართველო...

იმ ოსმალომ და სპარსეთმა ცოტაოდენი ევროპიული რაღაებიც იცოდნენ, ამიტომ რომ იმათში ხშირად იყვნენ ევროპიელები, მაშინ როდესაც ეს ჩვენი ქვეყანა კი სრულიად დაგდებული, *დავიწყებული* იყო იმათგან. თუ ოდესმე ევროპიელი აქ შემოვიდოდა ვინმე, ისიც მოგზაური, ქვეყნის სანახავად ანუ აქაურობის ასაწერად. ამ აზრით მოვიდოდნენ და ამ აზრით წავიდოდნენ. და რაც აქაურს კათოლიკის პატრებს შეეხება, ამათზედ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ისინი იმას ცდილობდნენ, რომ ქართველები გაეფრანგებინათ და სხვა ევროპიულს კი კარგს არას უქადაგებდნენ იმათ. აი, მაშინდელი ქართველები იმ მდგომარეობაში იყვნენ, კაციც და დედა–კაციც, ესენი სულ უფრო უკანასკნელს ჩვენს ძველს დროებას შეეხება საქართველოსას.

ამ ორს პირთა კარგად მოვსწრებივარ, – კაცებსაც და დედაკაცებსაც. მაშინდელი კაცებისა ბევრი გვითქვამს, მაშ ახლა მაშინდელი სახლეულობისაც ვთქვათ რამე. იმდენ ქვებუდანებსა შორის, იმათი სახლეულობანი მაინც კიდევ როგორი იყვნენ, ამისთვის, გარდა ქართველების ვაჟკაცობისა, მგონია ესეც ურიგო არ იქნება, რომ მაშინდელი ჩვენი სახლეულობანი დავინახოთ იმათი ყო-

ფა-ქცევა-ცხოვრებანი.[1]

მე ვყოფილვარ განუყრელად ჩვენს მართებულს გვამებში კაცთ-დედაკაცებთა შორის და იმათ სახლეულობაში, მიჩხრეკია ისინი, ყოველი იმათი ქცევა, ცხოვრება და კარგად მახსოვს, როგორიც ისინი იყვნენ. ეხლა მაგალითად ავიღებ ერთს რომელსამე სახლობას, მაგრამ ვეცდებით, გამორკვევით და შემოკლებით ითქვას ყოველი ეს მართალი.

ერთმა რომელმანმე სახლეულობის ცოლ-ქმარმა გარიჟრაჟზე გაიღვიძეს, მაშინვე იმათ ღმერთი ახსენეს: ღმერთო დიდო! შენის მოწყალებით ნუ დაგვაგდებ ჩვენ. ამ სიტყვასთან ქმარი ქვეშაგებიდგან გადმოვიდა, ტანზედ და ფეხებზედ სუბუქად ჩაიცო, მერე აღმოსავლეთისკენ პირი მიმართა და თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა გულმხურვალედ ღვთის წინაშე, ხანდისხან პირჯვრის დაწერით და იშვიათად მეტაანის მოყრით.[2] ეს რომ ქვეშაგებიდგან გადმოვიდა, იქ ქვეშაგებში იმისი ცოლი წამოჯდა, ბეჭებზედ სუბუქად წამოისხა, პირი აღმოსავლეთისკენ მიიბრუნა და ისიც თავის საიდუმლო ლოცვას მოჰყვა, ხანდისხან სათხოვარის ხელების განპყრობით ღვთისადმი და თან პირჯვრის დაწერითა, რომლებმაცა ორთავ დიახ კარგად იცოდნენ ზეპირად ლოცვები. ამაებს, მე რასაც ვამბობ, მხოლოდ ერთ ოჯახში კი არ იყო ეს თვისებანი, მთელს საქართველოს ოჯახებში.

ამ ცოლ-ქმრების ლოცვაში ქმარმა უფრო ადრე გაათავა ლოცვა, შემდეგ საჯინიბოსაკენ წავიდა, თავის საჯდომების ცხენების მოსავლელად.[3] იქ მეჯინიბეთ ცხენები კარგად დააურვებინა თავის თვალწინ. ქერის მისაცემად მეჯინიბეებმა ცხენები წყალზედ წაიყვანეს და მას უკან თავის ცოლთან შემოვიდა, რომელსაცა იმის ცოლსა ლოცვა გაეთავებინა, პირიც დაებანა, თავიც დაეხურა, ტანთაც ჩაეცო, ქვეშსაგებიც სულ აელაგებინათ და ქეჩაზედ მოკე-

[1] ვიცი, ჩემს გასამტყუნად, ჩემი წინააღმდგები ჩემზედ ლაპარაკს დაიწყებენ და დუბროვინის თხზულებიდგან ისტორიიდგან („მეფე გიორგი 12“) მოიყვანენ დედოფლის დარიას ნებას და იმის გავლენილობას მეფე ირაკლიზედ... რომელმაცა ისე გაკვრით გავიგონე, მითამ მისი პასუხი ვიღაცას ჰქონდეს დაწერილი და იქნება კიდეც დააბეჭდინოს, მაგრამ აღარ მახსოვს, სად იყო ეს გაკვრითი სიტყვა.

[2] ზოგიერთი მეტი მლოცველები, თუ მეტი საჭირო საქმე არა ჰქონოდათ, ცისკარზედ წავიდოდნენ და არც წირვა–ლოცვას დააკლდებოდნენ.

[3] მაშინ კიდევ კარგად იყვნენ გაწყობილი ცხენებ-იარაღებით მებატონეები და მოსამსახურეებიც.

ცილი თავის ქმარს ელოდა შემოსულიყო.

როდესაც იმის ქმარი შემოვიდა, ცოლმა თავის შვიდი წლის ვაჟი გააღვიძა (გვერდით ცალკე ქვეშაგებში უწვა), უთხრა:

ადე, შვილო ილოცე, ჩაი დალიე და მერე შენს ოსტატთან წადი სასწავლებლად.[1]

ფხიზელი მორჩილი შვილი ჩქარა წამოდგა, გამდელმა ჯერ პირი დააბანინა, მას უკან ტანისამოსი ჩააცვა და შემდეგ ალოცეს.

მინამ ყმაწვილს ალოცებდნენ, იმისმა პაპამ პირი დაიბანა, ტანისამოსის ჩაცმაც მოასწრო, ამასთან მოსამსახურემ ფოთნოზზედ დადგმული ჩაით ფინჯნები ჩამოარიგა. დედამ ყმაწვილს პატარა მოთეთრო პატარა პურის ყუა წინ დაუდო და ფინჯნით ჩაი წინ დაუდგა, ესენი თან ჩაისა სვამდნენ, თან ცოლ-ქმარნი ერთმანეთში მშვიდობის მყოფლობით ლაპარაკობდნენ და თან თავის პატარა შვიდის წლის შვილსა ხუმრობით ესაუბრებოდნენ და თან დარიგებას აძლევდნენ ხუმრობაშივე. ის ყმაწვილიც ყურადღებით უგდებდა ყურს იმათ დარიგებას და გონივრულ პასუხს მიუგებდა თავის დედ-მამას.

ჩაი რომ გაათავეს, ყმაწვილის ლალას მოუწოდეს, ყმაწვილის მამამ უთხრა:

ეს შენი გაზრდილი(შვილზედ) ჩემს დედიდაშვილს, ამის ოსტატს ბერს იოსტ....თან მიიყვანე, ჩემ მაგიერ უთხარ, ამას პირველი კანონი დავითნი რომ გაუთავებია, დიდად ვმადლობთ და იმის შაგირდსაც ამას. ესეც მოახსენე ჩემ მაგიერ, დღეს სადილათ ჩვენთან მობრძანდეს ამ თავის შეგირდით. ამასთან იმ ყმაწვილს რამთენიმე დარიგება მისცეს, ლოყაზედ კოცნით გაისტუმრეს და ყმაწვილიც სიამოვნებით წავიდა (მაგალითად ვთქუათ, ის ბერი იოსტ... ანჩისხატის ეკლესიაში იყო მიჩენილი).

ის რომ გაისტუმრეს, იმათი სოფლის მოურავი შემოვიდა და ორთავეს მძიმედ დაუკრა თავი. ბატონმა ჰკითხა.

– მოურავო, როდის მოხველ?

– წუხელის უდროოთ სოფლიდგან გიახელ; თქვენთან დრო არ იყო გხლებოდით. ჩემს სახლში, ჩემს ხიზანთან გახლდი.

მოახსენა.

---

[1] ამას ცხრა წლის ახალრუსობის დროს ვანბობ, სადაც ჯერ კიდევ ძალიან მცირედი რამ იყო შემოსული რუსებისა.

– შენი ხიზანი ნაკლებობაში ხომ არ დაგხვდა?

– თქვენ ცოცხალი ბძანდებოდეთ, თორემ თქვენის მოწყალებით ჩვენ ნაკლებობაში ჩვენს დღეში არ ვიქნებით.

– სოფელში ჩემი ცხენები, ბარგის ჯორები და მსახურის ცხენები როგორ არიან, ან ხომ არა აკლიათ რა?

– არა აკლიათ რა და კარგადაც არიან.

– ცხუარი, საქონელი და ან ცხენის ჯოგი როგორ არის?

– დიახ კარგად გახლავან. კარგი მწყემსები, კარგი მეჯოგეები მყვანან და ძალიან კარგა უვლიან. ეს რომ მოურავმა მოახსენა, მერე იმან ჰკითხა.

– შეინჭიმე, ქერი და ბზე ხომ საკმაო იქნება ცხენებისათვის აქა?

– იმედი მაქვს, არ დააკლდესთ, უპასუხა ბატონმა.

– ვინიცობაა, თუ დააკლდათ, კიდევ ჩქარა ჩამოვატანინებ. ახლა ეს მიბრძანეთ: ყველი, ერბო, პური და ღვინო არ დაგაკლდებათ?

– წლის სამყოფზედაც ბევრია. – ცოლმა უთხრა.

– მადლობა ღმერთს! ღვთის მოწყალება არ აკლია ამ ოჯახს.[1]

– ჭეშმარიტად, მოურავო ღვთის მოწყალება არა გვაკლია რა. მაგრამ ეს ამდენი დავიდარაბა რომ შემოვიდა მებატონეებში მამულებზედ და ჩვენმა მამა–პაპის ყმებმაც რომ გაიწიეს, ჩვენ ყმები არა ვართო. ამ დავიდარაბაებმა ვალში ჩაგვაგდეს, და ბოლოს დროს იქნება ბევრიც დაიღუპნენ ჩვენი საქართველოს ოჯახები... მეც ვიცი ეხლა შენ ფულს ჩამომიტანდი სოფლიდგან... მართალია თუ არა?.

– მართალია შეინჭიმე, მოგართვით.

– რა ერთია?

---

[1] ჩემს ყმაწვილობაში ამ ქალაქს ტფილისს, ერთმა ჩვენმა დიდმა კაცმა სტუმრობა გააკეთა და წინა დღეს მეორეს დღისთვის თავის სახლში ბევრი საქართველოს თავადები დაჰპატიჟა სადილათ, რომელსაცა მაშინდელი დროის მიხედვით მდიდარი სადილი ჰქონდა და ყოვლისფრით უნაკლულო. შექცევა და სიამოვნე ხომ რასაკვირველია. ახლა რა გგონიათ, იმ მდიდარის სადილისთვის რაერთ ფულს დახარჯავდა? ორი შაურის მეტი არ დაუხარჯავს. ისიც მწვანილზედ, სადილის საჭმლებისათვის. ამ სადილის მასპინძელი იყო ეშკაღაბაში თ˜ა თამაზ ორბელიანი, დიდი მამულის და ბევრი ყმების პატრონი, რომელსაცა ბევრი ცხვარი, საქონელი და დიდი ჯოგი ჰყუანდა. სოფელში რომ გაეკეთებინა ამგვარი სადილი, ადვილი იქნებოდა, მაგრამ ამ ქალაქში ორი შაურის მეტი არ დახარჯოს, საკვირველია, მაგრამ აი, ძველები როგორი მომჭირნენი იყვნენ, რომ ყველა სახლში ჰქონდათ. ნამეტნავათ იმის ცოლი ქეთევან, თ˜ა ქობულოვის ქალი, საკვირველი მომჭირნო დედაკაცი იყო და სახლის მეურვე.

– ოცდაათი თუმანი გაახელ.

– ეხლა ეგ ფული სხვებს უნდა წაუღო. მპირდებიან: საქმეს გაგირიგებთ და შენი მამულის მოდავეს გაგიმტყუნებთო. ეს ოთხი წელიწადია სულ ამ ამბავში ვარ; წელიწადში იმათ მიაქვთ ჩემგნით ას თუმანზე მეტი, თანაც ამას მეუბნებიან: გაგირიგებთო. მაგრამ გარიგება კი არსადა ჩანს. არ ვიცი, რა ვქნა, მოურავო?

– ბატონო, რაღა რა უნდა ჰქნათ. მოურიგდით თქვენს მოდავეს, ბევრი მამულები გაქვსთ თქვენ, რად გინდათ დავა და მწუხარება. ისევ არა სჯობია რომ თქვენს მამულებში გააკეთოთ კარგა დიდრონი ვენახები, დიდი ხვნა–თესვა გააჩინოთ, კარგი წისქვილები დააბრუნოთ, ბევრი საქონელი შეჰყაროთ, ბევრი ცხვარი და ცხენის ჯოგები, მაინც ესენი თქვენს ოჯახს არ აკლია, მაგრამ უფრო და უფრო კიდევ რომ დაუმატოთ, თქვენი ოჯახი ძლიერ გამდიდრდება. ასე რომ თითით საჩვენებელი სიმდიდრის ოჯახი გექნებათ! აიღეთ ხელი, ღმერთი გადღეგრძელებს, მაგ დავიდარაბებისაგან.

– რა ვქნა მოურავო, ველარ ამიღია ხელი, ქვეყნისა მცხვენიან.

– რათა შენი ჭირიმე, ვინც რამ უნდა თქვას, ოღონდ თქვენ კი მშვიდობით იყავით.[1]

– მართალს ამბობ, მოურავო, მაგრამ ჩემი ერთი მახლობელი ამ საქმეში ძალიან ხელს მიმართავს და ჩემთვის დიდათ ცდილობს.

– რომელი თქვენი მახლობელი? –

– აგერ აის...

მოურავი დაფიქრდა და ამასთან ამოიოხრა.

– მოურავო რათ დაჰფიქრდი და ან რათ ამოიოხრე?

– ეჰ, შეინჭიმე, ეხლა დაუნდობელი დრო არის.

– ოღონდაც კი მართალია, მაგრამ ეგ სხვებზედ უნდა ითქვას და არა იმ ჩემს მახლობელზედ, ის სწორედ მართალი კაცია, მე ის არაფერში არ მამატყუებს.

მოურავმა თავი დაბლა დაღუნა და ბატონმა მიატანა.

– მოურავო, თავი დაბლა რათ ჩაღუნე?

---

[1] მე ბევრი დავიდარაბების ნამდვილი საქმეები ვიცი და იმათ შორის ორი ოჯახების დავაც ერთმანეთში; იმ თავიდგან აქამდისინ ნაღდად ნაანგარიშებია, რომ ერთი მხრის ხარჯი და მეორისაც: ოცდახუთი ათასი თუმანი მეტია, სხუა საჩუქრებს გარდა და ღვინოს და პურზედ ვიღა რაღას იტყვის, რომლებიცა იმ დავისა გამო იმათი შვილები დღესაც დიდს ვალებში არიან.

– არაფერზედ შეინჭიმე.–

– არა მაინც, თუ გიყვარვარ.

– ის სხვებიც აგრე იტყვიან თქვენზედ: იმას თავის მახლობელი ატყუებს და ჩვენი მახლობელი კი ჩვენ არაო.

ამ სიტყვებზე ბატონმა და იმისმა ცოლმა მოურავი სასაცილოდ აიგდეს და ეს სიტყვა იმას არ დაუჯერეს. მოურავიც ხელების თითების წელის სარტყელში ჩაწყობილი განკრძალული დადგა და მედიდურად ყურება დაუწყო ბატონს. ამ დროს უფროსი გამდელი შემოვიდა და ქალბატონს მოახსენა.

– მზარეული ბაზრიდან გიახლათ და სადილისათვის ნუზლი მოიტანა.[1]

– აი, ეხლავ მოვალ, – ქალბატონმა უბძანა. ამ სიტყვაზედ ბატონმა უთხრა ქალბატონსა:

– მაშ მე ეხლა დარბაისლებში წავალ; საქვეყნო საქმეს ვიტყვი რასმე. წამოდგა და წავიდა.

იმან კარები რომ გაიარა, ქალბატონიც კარზე გამოვიდა, ორი გამდლები უკან გამოჰყვნენ. ჯერ სამზარეულოში შევიდა, იქ ქვაბები გაჩხრიკა, წმინდათ იყო, ხორცი, ბრინჯი კარგი მოეტანა, მზარეულს უბძანა.

– დღეს ჩემი ქმრის დეიდაშვილი ბერი იოსტ.. მოვა ჩვენთან სადილათ, გემრიელი სადილი გააკეთე, კარგი ცხვრის გუფთის ბოზბაში. კარგი ცივათ ძროხის ხორცი, კარგი ხოხბის ფლავი და კარგი ჩახოხბილი ქათმები. ხოხობი გუშინ ერთის ადგილიდან მოგვივიდა და ქათმები კი შინ გვყავს. ამასთან სამზარეულო დაათვალიერა, ნახა სულ თავის რიგზე წმინდათ იყო, მერე გამოვიდა და საკუჭნაოში შევიდა.

იქ მეკუჭნავეს ყოველი ჰკითხა... თავის გაკეთებული სხვადასხვა მწნილები ქილებით რიგზე დადგმულები, ქილებით ყველები, ქილებით ერბო, მარილები, ტომრებით პურის ფქვილები, ტიკებით ღვინო, ცარიელი საღვინეები, გოზაურები და სხვა, რაც საკუჭნაოს ეკუთვნოდა? – მეკუჭნავემ ყველა კარგათ მოახსენა, მაინც ქალბატონმა თვითონ დაიარა, მაგრამ გამდლებს აჩხრეკინებდა და თვითონ მხოლოდ დახედავდა. ნახა, ყველა რიგზედ რომ იყო, მეკუჭნავეს ჰკითხა:

[1] ნუზლი არის სასმელ-საჭმლის სამზადისი.

– სულერთიან მოსამსახურეებმა დღეს ამ დილით ისაუზმეთ, თუ ჯერ არა?

– ბატონების თქვენის მოწყალებით ვისაუზმეთ, პურით, ყველით და ორ-ორი აზარფეშა ღვინოც გიახელით. – მეკუჭნავემ მოახსენა.

– მოსამსახურეებმა იმიტომ უნდა საუზმე ჭამონ ხოლმე, რომ, რადგან ჩვენ ბატონების სადილი კარგა ხანი გასწევს, მოსამსახურეებს მეტად არ მოჰშივდესთ და სამსახური არ დაიზარონ.[1]

ქალბატონმა ეს რომ თქუა, საკუჭნაოდგან გამოვიდა და გამდლების ოთახები დაიარა. იქ პატარა მუახლეები დაათვალიერა, ისხდნენ და ხელსაქმეს აკეთებდნენ: ქარგას, ქისას, კერვას და ამგვარებსა, ვისაც კარგათ გაეკეთებინა, მოუწონა, ვისაც კარგად არა, დაარიგა. ქალბატონი ყოველ დილაზედ ასე დაივლიდა.[2] მასუკან ქალბატონი იქიდგან თავის ოთახში შემოვიდა, საუცხოვო საფენზე დაჯდა დორზედ მისვენებული, აიღო საკერავი და მინამ არ გაათავა, არ მოეშო, მასუკან პატარა საეროს წიგნს დაუწყო კითხვა ყურადღებით შუადღემდინ, რომელიცა ამ დროს ქალბატონის ქმარიც შემოვიდა და სამი დარბაისელი თავისი ცოლის ნათესავები თან შემოჰყვნენ, უთხრა ცოლსა:

– ვიცი არ გეწყინება. ეს შენი ნათესავები დღეს სადილათ ჩვენთან ბძანდებიან.

იმის ცოლი ფეხზე წამოდგა.

– ოღონდაც კი არ მეწყინება.. მობძანდით შეინჭიმე. აი, აქ ჩემს მახლობლად დაბძანდით.

დასხდებიან და ერთმანეთს მოიკითხვენ. პატარა ხანს უკან იოსტ... ბერი შემოვა პატარა თავის შეგირდით. ყველანი ფეხზე წამოუდგებიან, მივლენ, ჯერ სახლის პატრონის ცოლი ხელზე ემთხვევა და მასუკან სხვები თითვეულად. ბერს იოსტ... ყველამ უთავაზეს და სახლის პატრონის გვერდით დაჯდა, მაგრამ ცოტა მოშორებით, და ამათ პირდაპირ სხუები დასხდნენ კედელთან. შეგირდს მამამ დაუძახა, რამთენიმე ალერსის სიტყვის შემდეგ გემრიელად აკოცა, მერე სხვებმა ჩაირიგეს და ბოლოს დედამ მეო-

[1] ბატონების სადილი ორი სათი მაინც იქნებოდა. უფრო საუბრობით შეექცეოდნენ, თან წვრილ-წვრილად საჭმელს სჭამდნენ და თან ცოცოტა ღვინოს სომდნენ.

[2] გამდლები და მოახლეები საუზმეს არა სჭამდნენ, ისინიც მებატონეების სადილის დროს სჭამდნენ სადილ-ვახშამს, რადგან იმ დროს იმათი ვალი არ იყო ამგვარი სამსახური.

რეს მხარეს გვერდით მოისო, რამდენჯერმე გულის სიყვარულის კოცნით. ამასთან ყველამ უთხრა ყმაწვილს. ყმაწვილო, თურმე კარგათ სწავლობ. ისწავლე, ისწავლე შენმა გაზდამ, ქვეყანაზედ სწავლისთანა არა იქნება რა.

მინამ სადილს მოიტანდნენ, მოჰყვნენ საუბრობას, სადაც ერთი ბეწო უზდელი სიტყვა არ გაურევიათ, არც მაღალი ძახილით ლაპარაკი, თვინიერ დამშვიდებული ზდილობიანის საუბრობისა. ამ ლაპარაკში დრო რომ გავიდა, მერე სადილიც გაშალეს ზდილობიან მოსამსახურეთა.

ეს სადილი სამ სათამდინ წავიდა, სულ სხვადასხვის სასიამოვნოს ლაპარაკითა და ერთმანეთის სადღეგრძელოს დალევითა. სადაც ბევრი ლაპარაკი იყო საქართუელოსი და ქართუელებისა.... რომელიცა ის პატარა შეგირდი იმთენი ხანი თავის დედას გვერდით უჯდა და დიდის ყურადღებით იმათ ლაპარაკს ჰკრეფდა.[1]

ის სადილი და ის შემოდგომის პატარა დღე გულახდილის კმაყოფილების ლაპარაკით გაატარეს. დაგარწმუნებთ, ამათში ერთი ბეწო ზაკვა არ იპოებოდა არც იმათ გულში და არც იმათ ლაპარაკში ხომ რასაკვირველია, რომლებისაც ის იმთენი კარგი ხასიათები ჭეშმარიტად სასწავლებელია. ეს იყო იმათი ნაკლულევანება (ეს ზემოთაც ვთქვი) რომ ევროპიული განათლებისა და პოლიტიკისა იმათ არა იცოდნენ რა, და ეს წარსულ საუკუნეში რომ არ ყოფილიყო, ეხლანდელ საუკუნეში დიდი სავნებელი იყო ჩვენის წარსულებისათვის ესა.

იმ ჩვენი ძველის სახლეულობის ყოფა-ცხოვრებანი ხომ ასე მოკლედ გავიგონეთ, ახლა მხოლოდ ჩვენი ძველი დედაკაცებისა ვთქვათ რამე, ან ისინი როგორი იყვნენ, მაგრამ იმათი კიდევ უფრო მცირედა ვთქუათ, გამორკვევით, რომ ახლანდელს დროს (ახლანდელს მედროებს კი არა) არ მოსწყინდეს ეს ამგვარი ძველი ლაპარაკი და თავი არ ასტკივდეს.

მე ძველს დედაკაცების ხელში დაბადებული ვარ, იმათ ხელში გაზდილი და მინამ ორმოცდაოთხის წლისა შევსრულდებოდი, სულ იმათთან ვიყავი, თუ ოდესმე გარემოება არ განმაშორებდა. მაშ მგონია ამთენი დრო ჩემთვის საკმაოა, რომ მე ისინი ძალიან კარგად მეცნა, მაშინ, როდესაც რომ იმათ ყოფა–ცხოვრებას ვიკვლევ-

[1] როგორც საპატიოს ოჯახებში იყო უწინ ამისთანა თვისებანი, ისე საყოველთაოდ.

დი და ვსწავლობდი. ამიტომ რომ დიდად მამწონდა.

იმ ჩვენს ძველს დედაკაცებს ჯერ ყმაწვილობაში სამღვთო წერილს ასწავლიდნენ, თავის კერვა–ხელსაქმითა და მასუკან საეროს წიგნებს, ანუ ხელწერილებს აკითხებდნენ. ამასთან კარგს ზნეობას, კარგს თვისებას ასწავლიდნენ, შემდეგ ქცევას, მიმოხრასა, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ თავის მოთმინებით იმათ ბუნებაში, და ბოლო დროს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ, რომელსაცა ეს ხასიათები განძად და საუნჯეთ გაჰყვებოდა, თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად. ამასთან იმგვარს სახლის პატრონობას ასწავლიდნენ, როგორც ზევით გავიგონეთ იმ ქმარიანის ქალსა.

მე დიახ ხშირად ვიყავი ჩვენი ძველი დედაკაცების შეყრილობაში, იმ ღვთიურს გვამებში. მე თამამად ვიტყვი, რომ ჩემი გული იმათთან ყოფნით ყოვლის კეთილის მადლით განათებული იყო ხოლმე. რა არ ჰქონდათ იმათ კარგი თვისებანი? დარბაისლური მართებული ლაპარაკი, თან ზდილობიანი გახუმრებით მხიარულება? მე ჩემს დღეში არ მახსომს, რომ იმათ ერთი ბეწვა წინააღმდეგობა და მაღალი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისთვის რამე, ისე მშვიდობიანათ და გონივრულად ლაპარაკობდნენ და მშვიდობიანათ თავის აზრებს უმტკიცებდნენ, რომლებისაც ყოველი იმათი ლაპარაკი კარგ საგნებზედ იყო: მიწის მოსავლებზედ თუ ვენახებზედ, სახლის მეურნეობაზედ თუ საქვეყნოზედ და სხუანი, ასე რომ იმათში თავის დღეში ჭორი არ ითქმოდა, თორემ ტყუილი და სიცრუე როგორ შეიძლებოდა. როგორც ეხლა ჩვენში გაადვილებულია, ნამეტნავად უმანკოთა და მართლების მოთხრა ბევრი არის ეხლა: მიუტევე, მამაო, რომლებიცა ის მართებული გვამები ქაღალდსაც[1] ითამაშებდნენ, ნარდსაც და ჭანდრაკსაც, მაგრამ ყველას თავის დროზედ, კიდეც იგალობებდნენ და სოფლურს სიმღერებსაც იმღერებდნენ, ისე რომ ზოგს თვალებში ცრემლი მოუვიდოდათ იმათ დაწყნარებულს მშვენიერსა გალობაზედ და სიმღერაზედ.

ესეც ჩვენი ძველი ამბავი და მისი თვისებანი. ყოველი იმ დროს ანბები ვინც კი იცის, უთუოდ უნდა ქაღალდზე გამოთქვას, ჯერ

[1] პირველსავე რუსობის დროს საქართველოში განჯაფის თამაშობა გადავარდა და იმის მაგიერ ქაღალდის თამაშობა შემოვიდა.

წამკითხველმა წაიკითხოს, როგორ უცხოვრია მაშინ ადამიანს ჩუენში: რა ზნეობით, რა თვისებით, რა ხასიათით და ანუ რას მდგომარეობაში ყოფილა უწინ საქართელო ქართველებით, რომ ის დრო ჩვენმა მომავლებმა გაიცნან, ესენი იმათ დარჩეთ და ბოლო დროს იმათმა მეისტორიებმა განიხილონ ის დრო თავიანთის აზრებისათვის. დიდი ხანია ჩვენ ეს განძრახვა გვაქვს და კიდეც ვცდილობთ, ეს განძრახვა როგორმე შევასრულოთ ჩვენის მომავლებისათვის, რომ ეს ფარატინები იმათ დარჩეთ.

თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
28-ს მაისს 1869-ს წელსა ქ. ტფილისს.

ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი

უკეთუ გამზადებულები ვართ, სხვის ნაკლულევანებას, ანუ სხვის ცოდვასა ადვილად აღვწერთ ანუ ვიტყვით, ჩუენი რაღა არის, რომ ჩუენის ხელით აღიწეროს ჩუენი ცოდვა? – ჩუენში ნათქვამია: ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო. სწორეთ ასეც უნდა იყოს, *ჩემის აზრით, პირველი ღირსება ის არის კაცისა,* რომ როგორც სხვისას არ დამალავს ზოგიერთი, ისე თავისი არ დამალოს, თუ არადა ბევრმა იცის *სხვისას იტყვის ბევრს ავს* თავის ეგოისტობისა გამო, სხუას უმანკოებზედ ბევრს სიცრუეს ავსა იტყვის და ყოვლის თავის ღვთის გარეგნობას კი ჰფარავს: ეგება ამით ჩემი ნაკლულევანება, *სა ზი ზღრობა* დავფაროვო. ეს ამისთანა კაცი ჩემი აზრით, სანდო სარწმუნო არ იქნება არაფერში.

მე ეს აზრი ამ მიზეზმა მამცა, როდესაც რუსეთში გაგზავნილი ვიყავ ჩუენი შეთქმის გამო რუსეთის მთავრობისაგან, მაშინ ჩემმა იქაურმა საძაგელმა ქცევამ, იმის სიმწარემ მამცა ეს აზრი და შევუთქვი ღმერთსა: თუ ვიცოცხლებ, როდისაც ხანში შევალ, ყველას ჩემს ქცევასა აღვწერ, ჩემის ყმაწვილობიდგან იქამდისმეთქი. რადგან ამ ხანამდისინ იქნება კიდევ რამე შემთხვეოდა, ამისთვის ეს აღთქმა ასე დავდე და ახლა კი დროა, აღვასრულო ის ჩემი აღთქმულება, ამ ჩემს სამოცდა მეშვიდეს წელიწადის ხანში და ავწერო ჩემი ცოდვის შეცთომილებანი, რომელსაცა კიდეც შემიბრალებთ, ავს სიტყვებსაც იტყვით ჩემზედ, არც გაუცინათ გაგიშვებსთ და ამის იმედიცა მაქვს, რომ ამ ჩემი ამბებით გაურთობელიც არ დარჩებით. *ამის წაკითხვა გაგართობთ, იმედი მაქუს.* ვინც ამას წაიკითხამთ. ამ ჩემი აღთქმის შესრულებით, ჩემის გულიდგან რაღაც მძიმეთ დაწოლილსა ვიხსნი და როგორღაც კეთილს ნუგეშს მაძლევს, ჩემის სულის მოსასვენად. ამათ შორის, თუ ჩემი კარგიც იქნება რამ, ისიც უნდა ითქვას, ისიც მოვიხსენიოთ აქა და ისიც გულისსიწრფელით აღვიაროთ.

ჩემი ყმაწვილობიდგან ვიდრე სამხედროს სამსახურში შევიდოდი, ჩემი დედმამა[1] ასე უმანკოთ და წმინდათ მზდიდნენ, რომ არც ყურით ცუდი რამ უნდა გამეგონა და არც თუალით ცუდი მენახა რამე. თვითონ ხომ რასაკვირველია ასე მიფრთხილდებოდნენ, მაგრამ მოხუცებული გამდელიც მოჩენილი იყო ამისთვისა, ხნი-

[1] მაგრამ ათის წლისას მე მამა აღარ მყუანდა.

ანი კაცი ლალათ და ერთი კიდევ პატარა მუახლე, რომელიცა თუ წავიდოდი სადმე ანუ გამგზავნიდნენ, ის ხნიანი ჩემი ლალა გამამყვებოდა და ერთი კიდევ სხუა მოსამსახურე, რომლებიცა ყოველს ცუდსა მარიდებდნენ თვალით ყურით, ასე მიფთხილდებოდნენ და შინ უფრო გამდელ მუახლე ყურს მიგდებდნენ. ეს არის ჩუენი ძველი გაზდილობა ჩუენი საუკეთესო სახლის შვილებისა.[1] არამც თუ მარტო საუკეთესო ჩუენი სახლის შვილები ასე იზდებოდნენ – გლეხი კაცებისაც *უმანკოთ და წმინდათ იზდებოდნენ* თავის სახლში უმანკოებითა. ასე რომ მთელი საქართველო შამოეარათ, ერთს „შეგარცხვინას“ ვერ გაიგონებდნენ, არამც თუ ლანძღვა ან გინება გაეგონათ ერთმანეთში. ეხლა შემოვიდა ამ რუსების დროსა რუსეთის მუჟიკების ლანძღვა და გინება, თორემ უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართუელოში, სადაც წმინდა სახარების ზნეობისა ქცევა იყო ხოლმე უწინ ჩუენში და მიზდევდნენ სამღთო წერილისა დარიგებას ყოვლის თავის სიმართლითა. ესე იყო ნაკლულევანება უწინდელსა დიდკაცებში, რომ ერთმანეთის მოშურნენი იყვნენ და ამის მიზეზს წაიკითხავთ ჩემსა აღწერილსა დუბროვინის ჩემს პასუხში მეფის გიორგის ისტორიაზედ. *ჩემს ამ ამბავში სხუას ამბავს მაგთენს არ გავურევ, ვეცდები მხოლოდ ეს ჩემი ანბავი გამოვარკვიო და მხოლოდ ესეები აღიწეროს.*

მე დავიბადე 1802-სა წელსა მაისის 24-სა დღესა და რუსეთის სამხედროში[2] შევედი მე 1817-სა წელსა დეკემბრის თვესა და ამ ზამთარშივე გამისტუმრეს პოლკში ბაშქეჩითისაკენ, სადაც მიმიყვანეს და მაიორ ელეცკისთან გადამახდინეს ცხენით, რომელსაცა იმას ადრით ჰქონდა ცნობილი ჩემი მისვლა ჩემის პოლკოვოი კამანდერის ლადინსკისაგან, იმ დროს ქ. ტფილისს იყო. იმანაც კარგის გულით მიმიღო და თავის გვერდით პატარა ოთახში დამაყენა. ის ელეცკი იყო დიახ პატიოსანი და რიგიანი კაცი, იმას ებარა ყოველი პოლკის ხელოსნობის საქმე და ლადინსკის დიდი სარწმუნო კაციც იყო, რომელმაცა მეორე დილაზედ პირველი ბატალიონის პირველი

[1] სიცელქეს და თამაშობას კი არ მიშლიდნენ ჩემს ტოლს ყმაწვილებთან და კრივშიაც წამიყუანდნენ ხოლმე, უფრო ამისთვის, რომ: ვაჟკაცობის გული მიეცესო. ცხენითაც ხშირათ მატარებდნენ; იმავ ყმაწვილობითვე ასე კარგათ ვიჯექი ცხენზე და ასე კარგათ ვხმარობდი, როგორც კარგი მხედარი და თოფის სროლასაც მასწავლიდნენ ნიშანზე და ძალიან კარგათაც ვესროდი.

[2] სედმოი კარაბინერის პოლკში.

გრენადერის როტის კამანდერი კაპიტანი *ინდეტნი* დაიბარა, იმას ჩამაბარა და იმის როტაშიაც შემრიცხეს. მე რუსული უნკრული ტანისამოსი ქ. ტფილისშივე ჩამაცვეს. იმანაც *ინდეტნიმაც* მაშინვე როტისაკენ წამიყვანა, პირველ კაზარმაში შემიყუანა და უნტერ ოფიცერს პეტროვს მიმაბარა ამ სიტყვით.

– „ამ უნკერ კნიაზ ორბელიანს კარგათ გაუფრთხილდი და კარგი ფრუნტის სამსახურიც ასწავლეო.“ ის ამასთანვე გატრიალდა და წავიდა.

დილას და შუადღის შემდგომ კაზარმაში დავიდოდი ფრუნტის სასწავლებლად. დადგომით კი იმ მაიორს ელეცკისთან ვიდექი. სადილვახშამი და ჩაიც იმისი იყო ხოლმე.

ამაში ჩვენი პოლკოვოი კამანდერი მოვიდა ქ. ტფილისიდგან, რომელთანაც სადილვახშმათ მიდიოდა ის ელეცკი, მეც თან წამიყვანდა, იმის მახლობლათაც ვიდექით და მთელი პოლკის აფიცრებიც იქვე დადიოდნენ სადილვახშმათ. მე იმ პოლკში კარგათ გავეჩვიე და ჩემი მშვიდობიანობის ხასიათის გამო ყველანი კარგის თვალით მიყურებდნენ, ნამეტნავად ფრუნტის სამსახურსა ბეჯითად, *ბევრ მცდელობით* რომ ვასრულებდი, ამან უფრო დიდი რეპუტაცია გამიკეთა მთელს პოლკში.

მოვიდა გაზაფხული და ჩემი პოლკის კამანდერმა ლადინსკიმ ქ. ტფილისში დამითხოვა დედაჩემთან ორის კვირის ვადით. ვიყავ დედა ჩემთან და ჩემს ნათესავებთან, იმ ვადამდისინ რაეთი ხანიც ვიყავი დათხოვნილი, მერეთ ერთი ჩუენი პოლკის აფიცერი პოდპორუჩიკი ზ... მე და ის ერთად წამოვედით ქალაქიდგან პოლკისაკენ და თელეთის მინდვრისაკენ რომ გადმოვედით, იქ ჯაგებში ცხენიდგან გადავხტით, ცხენები ბალახზე მივუშვით ავშრებით პალოებზე საბლებით გამობმულები და მასუკან ჩემს ლალას თევდორეს[1] ვუთხარი მე, ხურჯინები ჩამოეხსნა ცხენებიდგან, ცოტა ღვინო გვესვა და გვეჭამა რამე. იმ აფიცარს ეს რომ რუსულათ გადვუთარგმნე, იმასაც ძალიან მოეწონა და გავშალეთ ჩუენი სუფრა: მოხარშული ცივი ქათამი, ყველი, კარგი ქართული პურები და ტიკჭორა წითელის ღვინით თავის ვერცხლის აზარფეშებითა. ჩუენც აქეთ იქით მოვუსხედით, ჩემი ლალაც ზეზედგომელა ღვი-

[1] სამი ლალა მყვანდა, ჯერ პირველათ მოხუცებული ბერელა, მასუკან ოთარა და შემდგომად ეს თევდორე.

ნოს გვისხამდა. ის აფიცარი ცოტათ ზარხოშათ რომ შეიქნა, ჩვენი სუფრაც ავალაგეთ.

ჩემი ლალა და ჩვენი სოფლის ორი თათარი, რომლებიც თან მახლდნენ, იმათ ის სადილი ცალკე გაიტანეს და ერთს მიფარებულს დაბლობის ძირში დასხდნენ. მეც იდაყვზე დაბჯენილი აქეთ იქით ვიყურებოდი. ის აფიცარი წამოდგა, ერთს ჯაგის ძირში მივიდა და ჩემს პირდაპირ უსირცხვილოთ დაიჩოქა, მე ასე მეგონა: შარდი უნდა მეთქი. ის წყეული როგორღაც ცხვირის ცოდვილობას მოჰყუა, მეც გულის სიწრფელით ვუყურებდი: რას შვრება მეთქი. ამ დროს ცხვირიდგან ნუზლა მოიწმინდა, რომელსაცა გამიკვირდა: ეს რა იყო მეთქი. ბოლოს ის ჩემთან რომ მოვიდა, მარტივის გულით ვკითხე.

– „ის რა იყო მეთქი? –“

იმან გაცინებით მითხრა.

– „მაშ არ იცი? –“

– „არა, არ ვიცი.“

– „ეს ის არის, რომ რომელიც ქალი ლამაზი გინახამს, ის გონებით უნდა წარმოიდგინო, შენი ცხვირი აცოდვილო და მეტის-მეტათ გიამებაო.“

ოჰ, რა არის ცუდი მაგალითი და ან ცუდი ლაპარაკი? – ჩემს დღეში მე იმდრომდისინ ცუდი არა გამიგონია რა, არამც თუ მენახოს რამ, მაგრამ იმის შემდგომ, იმის სიტყუა თავიდამ აღარ გამამივიდა და ვფიქრობდი როგორ, მარამ მაინც ვერ გამებედა.

პოლკში, იმ მაიორის ელეცკიდგან, ჩემი პოლკოვოი კამანდერმა დოხტურს ჩურიკოვსკისთან გამიყუანა და ცალკე ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, იქ დამაყენა, მხოლოდ ამისთვის, რომ რუსული წიგნები მეკითხა იმასთან. ის დოხტური იყო ხნიანი კაცი, უცხო პატიოსანი ზნეობიანი და კარგი მსწავლულიც. იმან რუსული გაზეთი ინვალიდი[1] და მაშინდელი რუსული ჟურნალები გადმამიწყო: აი ესენი იკითხეო.

იმათ კითხვამ დიდათ გამიერთა და თავის დროზე ფრუნტის სწავლაშიაც დავიდოდი და ყოველს ჩემდამო კუთვნილს სამსახურსაც ვასრულებდი. სადილვახშმათაც პოლკოვოი კამანდერთან

[1] მაშინ ის გაზეთი ერთს ჩარექს თეთრს ქაღალდზე იბეჭდებოდა 1818-სა წელსა. მაშინდელს აქეთ გაზეთების ვნების კითხუა დამჩემდა და წიგნებისაც.

დავიდოდით ის დოხტური და მე, რომელიცა სიტყვით ჩაგონებით ბევრს მასწავლიდა და ბევრიც ვისწავლე იმისაგან. მგონია ის იყო პალიაკი, მაგრამ იმას არც ერთხელ არ უთქუამს ეს და არც მე მიკითხამს, იმისი ვინაობა.

მაგრამ რა გითხრათ? – იმ აფიცრის საძაგელი საქმე და სიტყუა თავიდამ აღარ გამამეცალა ვერ დავივიწყე. ერთს დღეს სადილს უკან, იმ დროს დოხტურიც შინ არ იყო, გულაღმა ვწევარ ჩემს ქვეშაგებზე და ბალიშზე თავი მიდევს, გულამდისინაც საბანი მაფარია, მინდა მითამ დავიძინო. ამ დროს ერთი მშვენიერი ქალი, მეტათ კარგათ მორთული პირისფერი კაბით, იმის უებრო შავნი ბრწყინვალე თუალები თავის მშვენიერის გაწყობილის თეთრ სპეტაკის სახით და მომაღლო ტანწვრილი წარმამიდგა ბალახბაგების ლამაზისა ღიმღიმითა. შემდგომად ეს იყო ჩემი ცოლი, დაიჯერეთ. პირველი ჩემი სისხლის აღელვება აი აქედგან დაიწყო, რომელსაცა იმ აფიცრის საზიზღრობა მამაგონდა და მივყავი ხელი ჩემს ცხვირს, ბოლოს ასეთმა სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა თავიდგან ფეხებამდინ, რომ მეტის გვემულობის სიამოვნით ტახტიდგან პოლზედ გადმოვვარდი, ამ დროს დოხტურმაც თავი შემოყო, ჩემკენ გამოექანა და ფერჩათეთქილი სახე რომ დამინახა, დაიძახა.

– „კნიაზო, რა დაგმართვიათ, რა ანბავიაო? –“

მე უნკრის შინელი მეცო გძელი და ძლივს წამოვდექ თრთოლით, მოვიდა, მაჯა მინახა და დაფიქრებით მითხრა.

– „დიახ აჩქარებული მაჯა გაქვთ. რათა, რა მიზეზით? –“

მე რა უნდა მეთქვა ამის მეტი.

– „უეცრათ თავბრუ დამეხვია და ძირს გადმოვვარდი.“

– „უთუოთ ზაფრა არის ეგა.“ მაშინვე გატრიალდა, შაქარზე დაწვეთებული კაპლი მამიტანა, შემაჭამა და მერეთ მითხრა.

– „ეს კაპლი დაგამშვიდებსთ. გთხოვთ წამოწვეთ.“ ამასთან თვითონ გატრიალდა და თავის საწოლში შევიდა.

ჩემი კუმირი შეიქნა ის საძაგლობა, ყოველ დღეს იმითი ვატარებდი დროსა. დღეში ერთხელ უთუოთა, ბევრჯელ ორჯელაც. რამიჭირდა, ძლიერი ყმაწვილი ბიჭი ვიყავი, იმითი ვსიამოვნებდი და არც ვიცოდი, ავი იყო ისა თუ არა.

1818-სა წელსა გაზაფხულზედ დავიწყე ეს, მე მაშინ ვიყავ 16-ის წლისა და აქ ამ დროებში ერთი ქალი ვნახე აბანოში ქ. ტფილისს,

რომლისაცა იმისი ანბავი ცალკე მაქვს აღწერილი[1] და იმის ნახვის შემდგომ უფრო გამიცხოველდა იგი საძაგლობა. ამ დროებშიაც იმერეთისაკენ გაისტუმრეს ჩვენი ბატალიონი, იმერლების არეულობის დასამშვიდებლად. მეც იმ ბატალიონს გავყევი.

იმათი დამშვიდების შემდეგ, ქ. ტფილისშივე მოვედით შემოდგომას და ის ქალი იმ დროებში მომკვდარიყო. შევწუხდი, ძალიან შევწუხდი და ამის გაზაფხულზე ციებაც დამაწყებინა. მაშინ ის თეთრი ქინაქინა არ იყო მოგონილი, წითელი ქინაქინის სმამ კი არა მიყორა, მაგრამ მაინც უკეთ შევიქენ ერთს თვეზედ, *მთელი ზამთარი მაცია და გაზაფხულზედ უკეთ შევიქენი.* უფრო მგონია ყმაწვილობის ბუნება შემეწია. ახლად მორჩენილი ცოტად *კიდევ* სუსტად ვიყავ, რომ ვერის სიახლოვეს მონასტრის ბაღთან ერთი მშვენიერი ქალი ვნახე[2] და დღეს იგი ჩემი ცოლი არის, რომლისაცა იმის სიყუარული გარდემატა ჩემს გულს, მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ რაც ავწერე აქა ჩემი შემთხვეულობა, იმის გარდა კიდევ ჩემი პოლკის სამსახურიდგან დავიწყოთ სხუა და მასუკან კიდევ სხუები.

ჩუენი პოლკის მოსაწონი ეს იყო *კარგი* რომ პოლკოვოი კამანდერიდგან მოკიდებული, ვიდრე უკანასკნელ აფიცრამდინ, ერთმანეთში დიდი თანხმობა იყო. პოლკის კამანდერს ისინი ძალიან უყვარდა და ისინიც მაგიერსა პატივს სცემდნენ, ამისთვის ისე სცემდნენ პატივს, რომ დიდათ ყურს უგდებდა იმათ და შემთხვევის დროს კიდეც ეწეოდა. პოლკოვოი კამანდერსაც იმათი სიყვარული იმიტომ ჰქონდა, რომ თავიანთ სამსახურის მოვალეობასა კარგათ ასრულებდნენ. მართლა საუცხოვო აფიცრები იყვნენ იმ პოლკში და დაწმენდილი ხასიათისანი, მაგრამ დიდი შექცევის მოყვარულები, არც პოლკის კამანდერი უშლიდა, არამც უშლიდა, იმასაც კვირაში ორჯელ ბალი ჰქონდა, კვირას და ხუთშაფათის საღამოზედ და თიატრიც ბევრჯველ კამედიებისა.

მე რომ ვთქვი: დიდი შექცევის მოყუარულობა იმათი, ამ შექცევების გარდა, ხშირად შეიყრებოდნენ ერთიერთმანეთთან და რომის[3] ფუნჯსა სომდნენ, თან წითელ ღვინოს კახურსაცა, სადაც

[1] ჩემს ჭეშმარიტს სიყვარულში. მაშინ ახალი აფიცარიც ვიყავი, პრაპორშიკი.

[2] 1821-სა წელსა კიდევ გაზაფხულზედ. ესეც იქა მაქუს აღწერილი, იმ ჩემს ჭეშმარიტს სიყუარულში.

[3] მაშინ რომი ბევრი იყო საქართუელოში და დიდათ იაფიც. ერთი ბუთლიკა კარგი რომი ხუთ შაურათ იყიდებოდა.

მომღერლები იმღეროდნენ და ბევრჯელ პოლკის მუზიკაც გრიალებდა, თან ისინიც სვამდნენ, ამასთან ზოგი ტანცაობდა, ზოგნი იმღეროდნენ, ზოგნი ისხდნენ გონივრულად ლაპარაკობდნენ და ზოგნი კი ჩიბუხსა სწევდნენ დაფიქრებულები. პოლკში თითქმის ყველანი სწევდნენ ჩიბუხს. არც იმათი ჩხუბი მინახავს მე, ასე თავაზით სომდნენ და შეექცეოდნენ ერთმანეთის ძალა დაუტანებლები. დიდი მსმელებიც იყვნენ, მაგრამ მე იმათი გონების დაკარგვა არ მინახავს. რუსებისგან დიდი საქმეა ესა.

ეს ამგვარი შექცევა, პოლკისკამანდერს ლადინსკის ესწავლებინა ქართუელების მშვიდობიანის შექცევეებიდგან, ამას ისიც იტყოდა ხოლმე, რომელსაცა თვითონვე თავის დღეში მხურვალე სასმელები არ დაელია და არც სომდა, თვინიერ წყალისა და კვასისა. დიდი ხნის ნამყოფიც იყო საქართველოში ის, მგონი პირველი რუსობის დროსვე და ქართული ლაპარაკიც კარგათ იცოდა.

მინამ მე აფიცრობა არ მამივიდა, მე იმათთან არ ვყოფილვარ არც ერთს შექცევაში, თვინიერ პოლკის კამანდრის ბალვეჩერებში, სადაც პოლკის საზოგადოებათა შორის მეც ქალებთან ვტანცაობდი: ეკოსიეს, ვალცსა, კადრილს და მაზურკას, მაგრამ იმ ლამაზის ქალების სურვილი ჩემს გულს არც ერთხელ არ დასჩნევია, ისე ცივათ ვიყავ იმათთან, მაშინ როდესაც რომ ისინი კი მაჩვენებდნენ ტრფიალების ნიშნებს, ნამეტნავად მაიორის კ. ცოლი ა... ი... ის დახატულსავით მშვენიერება, რომელზედაც ჩემი გული ძალიან შორს იყო და მგონია ამისთვის, რომ ჩემი გული სხუას უნდა მიხვედროდა: იმას, ვისთანაც დღეს შეუღლებული ვარ სამღთოს კავშირითა.

რაც რომ აფიცრობა მამივიდა, პოლკისკამანდერმა, იმ დოხტურის ჩურიკოვსკიდგან გადმამიყვანა, პოლკის ადუტანტს და ჩემის როტის კამანდერთან დამაყენა,[1] რომელსაცა მაშინ მეც იმათთან ადგილი მქონდა, რომ იმათ შექცევაში მეც მონაწილეობა მქონოდა, რომლებთანაც დავეჩვიე რომის ფუნჯის სმასა, ეგრეთ არაყს და ღვინოსაც; იმდენს კი არა, რაერთსაც ისინი სომდნენ, მაგრამ ჰო,

[1] ადუტანტი კაშჩეევი იყო მსწავლული გონიერი კაცი, ჩინებული მწერალიც და კაპიტანი დალინი საუცხოვო სამსახურის მცოდნე. ორივ მართებული კაცნი იყვნენ. ადუტანტი კარგს საუკეთესოს წიგნებს მაკითხებდა და კაპიტანი აფიცრის სამსახურს მასწავლიდა და ყოველს სამსახურშიაც მგზავნიდა ხოლმე, ასე რომ არა ძალიანსა სამსახურსა არ მარიდებდა.

მეც თანდათან ვეჩვეოდი და ჩიბუხსაც წევა დავუწყე. *ბოლოს იქამდისინ დავეჩვიე მომატებულს სმასა, მეც ძალიან ვსუამდი, მაგრამ იქამდისინ, რომ მეორე დილაზე სიფხიზლე კი არ დამიკარგავს, ასე ნასომი სამსახურშიაც წავიდოდი. არც ძალიან მეტყობოდა იმთენი დალევა და არც უძილობა.*

ყოველ დღეს ხომ არა ჰქონდათ ისეთი სმა იმათ, ორ კვირაში ერთხელ და ან როდესაც კაი გუნებაზედ იქნებოდენ ხოლმე. ჩემს გარდა ჩემსავით ახალი სხუა ქართუელი აფიცრებიც იყვნენ იმათ შექცევაში და ვატარებდით ხანდისხან ამითი დროსა.

ამ დროებში მაგთენი ხანი აღარა გამოვიდარა, ჩუენი ბატალიონი ქ. ტფილისისკენ წამოვიდა, ჩვენი პოლკისკამანდერიც ეკიპაჟით დაედევანა, მეც თან წამამიყუანა და დედა ჩემ ბატონიშვილთან წარმადგინა ახალი პრაპორშიკი. ზედატანებით ჩუენი ბატალიონიც მოვიდა იქ და სამსახურს შევუდექით. აი, ამ დროებში ვნახე ის ქალი აბანოში, რომლისაცა ზევით ითქუა, მაგრამ რადგან სმაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კიდევ უნდა ითქუას აქა, ახლა ქალაქ ტფილისისა.

ერთს დილით, იქნებოდა მეთერთმეტე საათი, მე და დავით ორბელიანი[1] შუაბაზარში მოვიდოდით ჩუენი სახლისაკენ, ამდროს ერთი ყაზახურად ჩაცმული აფიცარი, მგონია პორუჩიკი, შავშავი ყმაწვილი კაცი შემოგვხვდა წინ და დავითს სიამოვნით დაუწყო ლაპარაკი, ბოლოს ჩემი ვინაობა ჰკითხა, დავითმაც უთხრა.

– „ჩემი ბებიდაშვილი, ბატონიშვილის თეკლეს შვილი არის, ალექსანდრე ორბელიანიო.“

– „გთხოვ მიცნობდეთ, მე მირზაჯან მადათოვი გახლავართო.“ ხელი მამცა და ამასთან კიდევ. – „მე ამის ძმის ლუარსაბის ახლო მეგობარი ვარ და რადგან ამათი ახლო ნათესავი ყოფილხართ, მეც გთხოვთ მიცნობდეთ.“

---

[1] სარდლის ივანეს შვილი, ჩემი დედიდაშვილისშვილი, რომლებიცა შკოლაში ერთად ვსწავლობდით და ნათესაობის გარდა ძმასავითაც გვიყუარდა ერთმანეთი და ეს ყმანვილობის სიყუარული სიდიდეშიაც დიდი მეგობრობა გვქონდა. მხოლოდ ჩემზედ წლისნახევრით უფროსი იყო. პავლე თუმანიშვილიც (თ˜ა იოსების შვილი.) ჩუენთან ერთად შკოლაში სწავლობდა, ისიც ჩუენი ხნისა იყო და სამნი ესენი ჩუენ, ძმურად ერთად შევიზარდენით და სიდიდეშიაც ერთი განუშორებელი მეგობრობა გვქონდა, მაგრამ ცოლშვილიანი დავითი, ის გონიერი ყოვლისფრითა და სრული პატიოსანი, ყმაწვილკაცობაში ღმერთმა წაიყუანა და ორნი ესე ჩუენა ძალიან მწუხარენი დავრჩით. მე მგონი, დავითი რომ მოკვდა, 28-ს წლისა იქნებოდა.

– „დიახ რასაკვირველია, რადგან ამათი ძმის ისეთი მეგობარი ყოფილხართ და ისეთი პატივისმცემელი, მეც სიამოვნით მიმიღია თქვენი გაცნობა.“

მცირედის ლაპარაკის შემდგომ, ჩუენ-ჩუენი სახლისაკენ წამოვედით და ისიც თავის გზაზედ წავიდა. გზაზე დავითს ვკითხე.

– „ის ვინ არის მეთქი?“

– „ის არის ყარაბაღის სომეხი და ყმაწვილობითვე ჩემს ძმას ლუარსაბთან მეგობრობა აქუს. რომელიცა ალექსეი პეტროვიჩის ერმალოვის[1] შინა კაცია და იმის პერევოჩიკიც ის არის, მაგრამ მაგას გაუფრთხილდი, გარყვნილია და შპიონობს კიდეც, ამბებს უზიდავს ერმალოვსა.“ ესენი მე დავითმა მითხრა და ასე გამაფრთხილა. მერე ვუთხარი მე.

– „მე ეგ თქვენს სახლში არ მინახამს?“

– „არ შეგხვედრია და უფროსი ერთიც, ჩემი ძმა ლუარსაბ მაგასთან არის.“

– „მე მიკვირს ლუარსაბისაგან, თუ მაგისთანა კაცია, რათ მეგობრობს?

– „ყმაწვილობითვე დიახ ახლო მეგობრები არიან, გარდა მეგობრობისა დიდი ნდობაცა აქუს იმაზე და ამასთან ეშინიან კიდეც დაბეზღებისა ერმალოვთან. მეორეც ეს, რომ ჩემი ძმა ლუარსაბიც ერმალოვის სვიტაში მიღებულია და აბა, ამაების გამო ხელს როგორ აიღებს იმაზე? – მაგრამ ჩემის აზრით, ის მირზაჯანა არავის სახლში შესაშვები არა არის. ეს კარგათ იცოდე ძმაო, მაგრამ მეტი ღონე რომ არა გვაქვს, უნდა მივყვეთ-მივყვეთ მაგ წყეულსა, ერმალოვთან არ დაგვაბეზღოს.“

ამასთან მე მომატებულად დავითს აღარა გამოვეკიდერა იმისი; ბაზარიც იყო, ხალხს ესმოდა ჩუენი ლაპარაკი და წამოვედით შინა; ჩემს სახლში რომ მოვედით, მითხრა: დღეს სადილათ აქ შენთან ვიქნები, ბატოიშვილს ბებიდას ხომ არ ეწყინებაო?“

მე გაცინებით ვუთხარ.

– „ძალიან ეწყინება მეთქი.“

– „მაშ წადი ჩემაგიერათ თაყუანისცემა მოახსენე.“

წავედი მოვახსენე და სადილისაც ვუანბე, იმანაც გაცინებით.

– „ჯერ აქ ჩემთან შემოვიდეს ბებიდასთან.“ რა რომ შემოვი-

[1] მაშინდელი ჩუენი მთავარმართებელისა.

და, ფეხზე წამოუდგა, დავითიც მივიდა, ხელზედ აკოცა, დედამაც პირზედ და სიამოვნით დავიწყევით სამთავ ლაპარაკი. ბოლოს დედამ უთხრა.

– „აი ეხლა შეგიძლიან აქ იყო სადილათ, მაგრამ მოდი დამიჯერეთ, თქვენ ცალკე დასხედით, უფრო კარგათ შეექცევით.“ ჩვენც ეს გვინდოდა, გამოვედით; საჩქაროთ პავლე თუმანიშვილიც მამაყვანინა, მე და ის ერთს ბატალიონში ვემსახურებოდით, ის იყო ბატალიონის ადუტანტი[1] და მე სუბოლტერის აფიცერი. სწორეთ უნდა ითქუას; ვინც რომ ქართუელები იყვნენ ჩუენს პოლკში, სამაგალითონი იყვნენ ყველანი და თავდადებით მოსამსახურენი, ამისთვის, რომ რუსის უფროსები კარგნი ჰყუანდა პოლკსა. მხოლოდ იმათი ნაკლებულობა ის იყო, რომ ის შექცევა სმისა, დიდათ მიაჩნდათ.

იმ დღეს: მე, დავითმა და პავლემ ძმურათ გავატარეთ ჩემთან დრო, დიდათ ვისიამოვნეთ საღამოჟამამდისინ, არც მომატებული ღვინო გვისუამს რაც რიგი იყო იმაზე მეტი და საღამოჟამს ჩაის შემდგომ, დავითი თავის სახლისაკენ წავიდა, პავლე ბატალიონისაკენ და მე მითხრა.

– „ხვალ დილის რვა საათზე ბატალიონის უჩენიე გვექნება, თუ ეხლა არ წამოხვალ, ხვალ დილაზე ადრე მოდი.“ მაშინ ჩუენს მაიორთან ვიდექი კუკიაში, ბატალიონის კამანდერთან იქვე იმის სახლის გვერდით, სხუა პატარას ოთახში, სადაც დავრჩი, არ წავედი, იმიტომ, რომ აბანოში ნახულს ქალთან უნდა წავსულიყავ და წავედი კიდეც, საიდგანაც მეორე დღეს გაუთენებლივ წამოვედი, ჩვენს ბაღში აფიცრული ტანისამოსი ჩავიცვი და ბატალიონისაკენ საჩქაროთ გავწიე. (ვისაც გნებავთ ეს ამბავი ჩემს იმ აღწერაში წაიკითხეთ.) ამის მესამე დღეზედ, იმ მირზაჯან მადათოვსა სადილათ დავეპატიჟე, სადაც წაველ, რომლისაცა იმისი ამბავი ცისკარში მაქვს დაბეჭდილი და ვისაც გნებავთ ის ანბავი, იქ წაიკითხეთ. დაფარულად არის იქ აღწერილი, მხოლოდ ორი ასო ნახსნები მ... მ... ესე იგი

[1] ერთად მოგვივიდა აფიცრობა, მაგრამ მაშინვე ბატალიონის ადუტანტობა მისცეს და მართლა უცხო ადუტანტიც იყო. ამგვარების ნიჭი კარგი ჰქონდა. დავითსაც ჩუენს დროს მოუვიდა პრაპორშიკობა, მაგრამ ის ტიფლისკის პოლკში იმსახურებოდა, პოლკოვნიკის კნიაზ სავარსიმიძის პოლკში, დიდი ვაჟკაცი იყო ის ქართუელი. იმ დროს ის სავარსიმიძე ქალაქში ჩამოსულიყო და დავითიც თან ჩამოეყუანა, სადაც იმის პოლკი იდგა ყარაქლისიდგან.

მირზაჯან მადათოვი და იმის სოვდაგარი, ესე იგი მაშინდელი ჩუენი მთავარმართებელი ღენერალი ერმალოვი; ის მირზაჯანა[1] იყო იმისი შპიონი, ყოველს მხარეს იმისი აგენტი და ასაქმებდა ისე, როგორც თვითონ ერმალოვს უნდოდა თავის ინტერესებზედ, რომელიცა ერთს ჩუენ ყმაწვილკაცების შექცევასაც ავწერ, იმ მირზაჯან მადათოვის სადილის გარდა, სადაც ბევრნი იყვნენ ჩემთან, ჩუენს ბაღში.

ამ გაზაფხულზე ჩემმა ამხანაგებმა ყმაწვილკაცებმა, ვალათ დამდეს, რომ მე ისინი სადილათ დავპატიჟო ჩუენს ბაღში. რასაკვირველია მეც აღვუსრულე და ჩვენი ბაღის ღვინის ქვევრებიც დავახდევინე, სადაც იქ იყვნენ ჩემთან სტუმრად: ლუარსაბ და დავით ძმები ორბელიანები, ის მირზაჯანა, ჩემი და დავითის მეგობარი პავლე თუმანოვი, კიდევ ჩუენი პოლკის პრაპორშიკი სოლომან ონიკოვი, ქართუელი, რომელსაცა ჩუენთან ერთად მოუვიდა პროპორშიკობა[2] და ისიც კარგი მეგობარი იყო ჩვენი და კიდევ იყვნენ ჩემთან მოწვეულნი ჩვენი კარგნი მცნობნი ათიოდე ყმაწვილი კაცები, სადაც იქვე მოხდილის ქვევრების მახლობლათა, გაფოთვლილის დიდრონის კაკლების ქვეშ დავსხედით საუცხოვოს მწვანე მოფენილს საფენზედ და სადილი გაგვიფინეს, მაგრამ მინამ სადილათ დავსხდებოდით, დავითმა სოლომონ ონიკოვს უთხრა ჩემთან ჩუმათ. – „სოლომან, მაგ მირზაჯანამ და მაგისმა სახლის კაცმა ღენერალ მადათოვმა ქვემოთი ქვეყნების თათრის კარგი ოჯახები რამთენი წაახდინეს, დასცეს ძირით, ამისთანა საქმეს ჩვენც უნდა ვიშიშოდეთ მაგათგან, ამისთვის, რომ ერმალოვსა რაც პოლეტიკა აქუს აქაურს ერთიან ხალხზედ, ეგენიც ისე იქცევიან, ამიტომ ჩუენ მაგათ უნდა ვასიამოვნოთ, რომ უსამართლოთ ჩუენც არ დაგვაბეზღონ ერმალოვსა და ჩვენც ისე არ წაგვახდინონ, როგორც ქვემოთი თათრის ოჯახები.“

– „დიახ კარგი, მაგრამ რით ვასიამოვნოთ? –“

– „დღეს შენ ტოლუბაშათ ამოგარჩევთ ჩვენ სადილის თავათ, უნდა ღვინო სო და მირზაჯანას ასო მაგ ჩუენს გამრყვნელს წამხდენელსა, მაგას ამ გვარები იამება, მაგრამ არ შეგამცნიოს, რომ ჩუენ

[1] იმ მირზაჯან მადათოვმა დიახ კარგათ იცოდა რუსული, სპარსული, თათრული, ქართული და სომხური ხომ თავისი იყო. ესეები როგორც სიტყვით კარგათ იცოდა, ისე წერილით. ამაზედ მე ლექსიც დავწერე, ორენბურღში გაგზავნილი რომ ვიყავი მაშინ: არაკი ვირისა.

[2] ესეც ჩუენს პოლკში იყო.

გვინდა ის დავათროთ იქამდისინ, რომ სასაცილოთ გახდეს, იქამ-დისინ, რომ ჩვენი სადილის ამბავიც ერმალოვს ვეღარ მიუტანოს, ასე დათვრეს.“

– „მერე შენ ძმას, ლუარსაბს რომ ეწყინოს? –“

– „არა, არ ეწყინება. მაგრამ მაინც მივალ ვკითხამ.“

მივიდა ჩუმათ უთხრა და ლუარსაბმაც სიამოვნით შემოღი-მა სოლომანსა. ამ დროს დავითიც მოვიდა, უთხრა: ვინძლო ძმაო სოლომან.[1]

ის დავითი რომ არ მომკვდარიყო, ბევრი კარგი სურდა საქარ-თუელოსათვის, შეეძლო კიდეც. იყო დიდი გონიერი, კარგი ენიანი ყმაწვილი კაცი, საქართუელოს საზოგადოებაზედ დიდი გავლენა ჰქონდა და დიდრონს რუსებშიაც მახლობელი იყო. ბოლოს გრებაე-დოვიც იმის სიძე რომ შეიქნა, იმის დის წული შეირთო ცოლათ ყოვლისფრით საუცხოვო ნინო, მაშინ ხომ ფრთები ვრცელი შეისხა და მე მითხრა.[2]

– „ძმაო ალექსანდრე, კარგი ამხანაგი გეყოლები საქართუე-ლოსათვის.“ მაგრამ ჩუენი ქუეყნის საუბედუროთ, 1829-სა წელსა თუ 1830-ის წლის დამდეგს მოკვდა და იმისი გონიერი ცოლი, მეტი მშვენიერი ნარნარი მანანა, დიდი გულმტკივნეული მწუხარე დარ-ჩა სამის პატარას ობლით, ორის ვაჟით და ერთის ქალით. იმ დავი-თის მეგობრებმა, იმისი მცხედარი მივაცილეთ საფლავამდინ, იმათ სოფლის კუმისის თავს წმინდის სამების ეკლესიაში და მწარეს ტი-რილით მივეცით საფლავს. ეხლაც რომ მამაგონდება ხოლმე იმის მეგობრობა, დამაღონებს. კარგი მეგობარი ამხანაგი დავკარგე. *ოცდამერვეს წელიწადში იდგა, რომ ის . . . გარდაიცვალა.*

რავქნათ ასე იქნება, სადაც მხიარულებისას ვწერდეთ რა, იქ მწუხარებისაც რამ შემოვიდეს, ისიც უნდა გავიგონოთ გულისმ-წუხარების მყუდროებით, ნამეტნავად თუ გულსაც ეკარება კარგი რამე, ეს ამგვარი ამბავი ღვთისთვისაც სასიამოვნოა, არამც თუ მგრძნობელის ადამიანისათვის.

---

[1] დიდი ღვინის სმელი იყო სოლომან, მაგრამ ჩუენთან, ესე იგი დავითთან, ჩემთან და პავლესთან, ანუ თავის სახლში ერთი სტაქანიც არ შეუსრულდებოდა, მაგრამ ისე შეყრილობაში, დიდი ძლიერი მსმელი იყო და რაც უნდა ნასმი ყოფილიყო, არც თავ-ის საქმეს მოსცდებოდა, უთუოთ იმ საქმეზედ წავიდოდა, ისე მითამ სულ არა ესორა.

[2] გრიბაედოვმა შეირთო, თ˜ა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი ნინო. დავითის დაი იყო სალომე, ალექსანდრეს ცოლი.

აი ეხლა, ეს მგრძნობლები შემოვუსხედით გარს მირზაჯანას, იმის გვერდით მარჯვნივ მხარეს სოლომან ონიკოვი დაუჯდა, მარცხნივ პავლე, ისიც კარგათ სუამდა, ჩუენც აქეთ იქით შემოვუსხედით იმათ და ჩუენს შორიახლოს საზანდრები მხიარულებაში იყვნენ, მედაირე დაირითა, მომღერალი ალავერდა თავის თარით, მეჭიანურე ჭიანურით და მედიმპლიპიტო დიმპლიპიტოთი. კარგი ეს იყო, რომ რა დავსხედით, მირზაჯანამ უთხრა სოლომანსა.

– „დღეს მე და შენ უნდა ერთათ ვსოთ, ვნახოთ ვინ ბევრს დავლევთ.“ ისიც ძალიანა სუამდა. სოლომან ონიკოვსაც ეს უნდოდა, ეს იმისი სიტყუა, რომლებმაც ერთიანად დავიძახეთ.

– „მაშ სოლომან ონიკოვი იყოს ტოლუბაში. მირზაჯანაც დაგვყვა, სოლომანსაც ერთი თანაშემწე მივუჩინეთ და მივყავით სადილს ხელი, ისე როგორც წავიკითხამთ ჩვენს ცისკარში დაბეჭდილსა, ჩემს სტატიას ტოლუბაშსა.

მივყავით სმას, ჯერ სტაქნებითა, მასუკან აზარფეშებით, მერეთ მოდიდოს თასითა, ყველას სადღეგრძელო რიგზე. სამსე სამსე, ისე როგორც მირზაჯანამ გვასწავლა თავის სადილზე და კარგათ მივიბრუჟენით. მირზაჯანას უნდოდა, რომ როგორც თავის სადილზე გადად–გადმოდიოდა, ხან ერთს მიუჯდებოდა და ხან მეორესა, ისე იქ უნდა ექნა, მაგრამ სოლომანმა არ გაუშო, უთხრა.

– „ტოლუბაში მე ვარ, ჩემი ბძანება უნდა გაიგონო მირზაჯან. რახან სმას მოვყევით, ვინც სადა ზის, იქიდგან არ უნდა წამოდგეს, იმ ერთს ადგილს უნდა გავათაოთ ეს სადილი, ვისაც სმა შეუძლიან და ვინც ვეღარ შეიძლებს, ჩუენგნით ადგება, გავა. აი ამგვარი სადილის წესი ეს არის, შენი შემოღებულიო.“

მირზაჯანაც დამორჩილდა და დავიწყეთ ისეთი სმა, მართლა ძალზედ. ყველას სადღეგრძელო რომ გავათავეთ, ერთი სალათის დიდი ჯამი იდგა შუა სუფრაში, სოლომანმა იმას ხელი წამოავლო და დაიძახა.

– „ეჰ, ეს რა სმა არის ამისთანა კიკრიკიკო, აი ამ ჯამითა ალექსეი პეტროვიჩის ერმალოვის სადღეგრძელო უნდა დავლიო იმ ჩუენის მოწყალისა, მირზაჯან ალავერდი.“

მირზაჯანა ჩაითუთქა, მაგრამ მეტი რა ღონე ჰქონდა, უთხრა: იახშიოლო.

სოლომანმა ის დიდი ჯამი კარგათ გაარეცხინა და წმინდათაც

მოაწმენდინა, ამასთან ქვევრიდგან ამოღებული, გოზაურით წითელი ღვინო მოარბენინეს, სოლომანმაც ის ჯამი მიუშვირა, საიდგანაც გადმოარაკრაკეს ის წითელი ღვინო და სრულიად ამსებინა ის ჯამი. მასუკან ფეხზე წამოდგა, ის სამსე ჯამი ხელში დაიჭირა და მერეთ დაიძახა. მგონია სამი ჩარექი უნდა ყოფილიყო ის ღვინო, იმ ჯამში.

– „ღმერთმა ადღეგძელოს ჩუენი მოწყალე ალექსეი პეტროვიჩი ერმალოვი, იმის მოწყალება ჩუენზედ უხვი არის.“

მიჰყო ხელი იმ ღვინოსა, ორჯელ ისვენა და მერეთ მოპირქუაებული მირზაჯანას მიუტანა. მირზაჯანაც ფეხზე წამოდგა, სოლომანმა ის ჯამი როგორც თვითონ ჰქონდა სამსე, ისე იმისათვის აამსო, მიუტანა, პირზედ აკოცეს ერთმანეთსა და მასუკან გამოართო სამსე ჯამი ღვინით. მერეთ იმანაც ისე დაიძახა ალექსეი პეტროვიჩის ერმალოვისა და მიჰყო სმასა, წვრუტით წყნარაწყნარა, ეგება როგორმე ასე დაელია, მაგრამ მინამ ნახევარზედ ჩავიდა, თავი ჩამოუშო დაბლა და ამ დროს მეც წამოვხდი ხელი მივაშველე, ღვინით ჯამი გამოვართვი. მოსამსახურეს მივეცი, და ამ დროს დავითმაც თვალი მიყო ნიშნებითა: წაიყუანეო. მე და ერთმა მოსამსახურემ წავიყუანეთ მარნისაკენ, იქ საფენი გავუშლევინე, თავით მუთაქა დავუდე, ზედ მიწუა და მეც ჩემი შინელი დავხურე, რომელმაცა მაშინვე ხვრინვა ამოუშუა. მე ის ჩემი მოსამსახურე დავუყენე მოსავლელად და მასუკან წამოველ.

მე რომ ჩემს ამხანაგებთან მოველ, ბევრი სიცილი აიტეხეს, თვითონ ლუარსაბმაც. აბა ამის შემდგომ, ვიღა რაღას ღვინოს დალევდა, მაშინვე სუფრა ავალაგებინეთ, ისე აქეთ იქით გადავხსედით, საზანდრებს სიმღერა დავაწყებინეთ და ყური იმათ მღერას დავუგდევით. ასე გეგონებოდათ, რომ სოლომანს ონიკოვსა ღვინო სულ არ დაულევიაო, ისე ფხიზლად იჯდა, თავისებურათ ისე დამშვიდებით და ლაპარაკიც თავისებური მშვიდობიანი ჰქონდა. ბოლოს საზანდრებმა სიმღერა რომ გაათავეს, მე ვთქვი.

– „იმერეთიდგან ჩუენს ბაღში კარგი მებაღეები და მოჯამაგირეები გვყუანან, რომელთაცა იქაური სოფლური სიმღერები უცხოთ იციან, თუ რამ გინდათ, იმათ მოვაყვანინებ, ახლა ისინი ვამღეროთ თავიანთი სოფლის სიმღერები?“ ყველამ ერთპირათ დაიძახეს: კარგი იქნება. მაშინვე მოვაყვანინეთ, ვამღერეთ, ყველამ

დიდათ მოიწონეს, ასე რომ სულ ისინი ვამღერეთ. ამაობაში მირზაჯანა გამოფხილზდა, მოვიდა, ისიც ჩვენთან დაჯდა და იმანაც ძალიან მოიწონა იმერული სიმღერები. აბა ერმალოვის შიშით ამ მირზაჯანას სიმთვრალეს ვინ რას შეიმცნევდა?

ბინდამდისინ ასე შევექეცით და ჩაის დალევისა შემდგომ, ყველანი მოემზადნენ წასასვლელად, მე მირზაჯანამ დიდი მადლობა მითხრა ისე მოვლისათვის, მერე იმათ საზანდრებსა ლეკური დააკვრევინეს და მე მთხოვეს ლეკური მეთამაშა, მეც ჩემის სხუადასხვის რიგებით რომ ჩამოვუარე, ყველამ მოიწონეს, მასუკან ხელში ამიყვანეს სროლით, თან იძახდენ: ურა. ერთის სიტყვით, ყოვლის კმაყოფილებით ერთობრივა ჩემი დიდი მადრიელი დარჩნენ ისინი, ნამეტნავად დავითი. ბოლოს მთხოვეს მალაყებსაც გადავსულიყავ, ესეც აღვუსრულე: ჯერ ხელებზე შევდეგ, გავიარე, მასუკან უეცრათ უკუღმა ხელ დაუბჯენელი მიწაზე ჰაერში გადმოვტრიალდი მალაყზე. მერეთ გავიქეც და იმათ წინ მიწაზე ხელდაუბჯენელი ჰაერში გადავტრიალდი, რომელთაც დიდათ გაიკვირვეს და მადლობით[1] ამამსეს. ბოლოს ისინი რომ დაიფანტნენ, მეც ჩემი ქალური ტანისამოსი ჩავიცვი და იმ აბანოში ნახულ ქალთან წამოვედი პირახვეული, არც ჩუენს ბაღზედ იყო შორსა იმათი სახლი. მე იმ ამბისას ხომ ვეღარას დავწერ, რადგან აწერილი არის ის ამბავი ჩემგნით და ახლა ამისგამ სხუებს შევუდგეთ.

საკვირველი იყო, ამ ორჯლის მეტათ 1822-სა წელიწადამდისინ, მე მირზაჯან მადათოვი აღარ მინახავს; 1820-სა წელსა იმერეთიდგანაც რომ მოვედი, ვეღარ შემხვდა იმისი ნახუა, არც მიკითხამს იმისი ამბავი რამე და არც საინტერესო იყო იგი ჩემთვის. მგონიაკი, რომ აქეთ იქით ატარებდა იმას ერმალოვი საქმებისთვისა, მთელს აქაურს ქუეყნებში? არც იმის ამბავი უნდა მცოდნოდა რომ იმ დროს, რადგან სამსახურში ვიყავ, იმას ვბეჯითობდი და როდისაც მოვიცლიდი, ჩემს ძმებს ამხანაგებთან ვიყავ ხოლმე. ბოლოს ჩემს ცოლზედ რომ დავინიშნე და თუ სამსახურიდგან მოვიცლიდი, სულ იმასთან ვიყავი. ამ დროებში ჩუენს ბატალიონს, ხან ბაშქეჩითს წაიყუანდნენ და ხან ქალაქ ტფილისში მოიყუანდნენ

[1] ჩემს ყმაწვილობაში ამგვარს თამაშობას ვსწავლობდი, ჩქარაც ვისწავლიდი ხოლმე და არც ჩემი მშობლები მიშლიდნენ. საკვირველი მარდიც ვიყავ, არც ღონე მაკლდა, ვჭიდაობდი კიდეც და კარგი მოჭიდავეებიც წამიქცევია.

ყარაულათ. მეც იმასთან დავიდოდი ყველგან.

როდისაც იმერეთიდგან დაბრუნდა ჩუენი ჯარი, ტფილისის ყარაულის სასიარულოთ დააგდეს; იმ დროს ავლაბარში იდგა ჩუენი ბატალიონი, სადაც ქალაქის ყარაულობასა ვწევდით; ტუსაღების ციხეში, ქალაქის ღაობახტში, მთავარმართებლის საყარაულოში და ანუ სადაც საჭირო იყო, მაგრამ როდისაც მოცლით ვიყავით ყმაწვილკაცები, ხანდისხან მირზაჯანას ნასწავლის შექცევითა, ისე შევექცეოდით ხოლმე და ღვინოსა ბევრსა ვსუამდით. ეს კი იყო, რომ ვისაც ვეღარ შეეძლო ბევრი სმა, გავიდოდა, აღარ დალევდა და ვისაც უნდოდა, შინაც წავიდოდა.

ამდროებში ერმალოვის ბძანება მოუვიდა ჩუენს ბატალიონს, 1822-სა წელსა, მგონია იანვრის გასულს, რომ კავკაზიის ლინიაზედ წასულიყო და იქიდგან დიდ ყაბართოს, – ყაბართოელების დასამორჩილებლათ, მაგრამ ბძანება გვქონდა, რომ გაზაფხულამდისინ, ერმალოვისათვის უნდა მოგვეცადა ლინიაზედ. *რომელიცა მაშინვე აიყარა ბატალიონი და ლინიისკენ წავიდა. რასაკვირველია იმათ მეც ხომ გავყვებოდი.*

მინამ ერმალოვი მოვიდოდა, ჩუენი ბატალიონი, *მოზდოკს*, თერგის გაღმა ყაზახების სტანიცებში დაფანტული იყო, ჩუენი როტაც ერთს სტანიცაში დააყენეს, სადაც მე და ჩემს კაპიტანს ორი სახლი მოგვცეს, ერთში ის დადგა სტარშის აფიცერით და მეორეში მე. – მე ამისთვის უფრო ცალკე დავდექი, რომ მე მაინც ასე გაცალკეებული მიყუარდა და ყველანი ჩემის კარგის ქცევისათვის პატივს მცემდნენ. რასაკვირველია დედიჩემის გვარის ღირსებაც შემეწეოდა. *მაგრამ რა ვთქუა, კიდევ იმ საძაგელს ცხვირის ცოდვილობას მოვუმატე, მომატებულის ჩემის დანიშნულის სიყუარულის გამო, რომელიცა ჩემის გონებისაგან განუშორებელი იყო. ეს აქ დავუტეოთ და ახლა კიდევ მოვყვეთ. რაღა გავაგძელო,* ბოლოს გაზაფხულზედ ერმალოვიც მოვიდა და ჩუენი ბატალიონი ეკატერინეგრადის მდინარეს მალკის პირზედ მიიყუანეს, სადაც პარომები დაგვხვდა ჯარის გასაყუანი, რას ვიფიქრებდი, იმ მდინარის პირზედ მირზაჯანა[1] და ლუარსაბ დაგვხვდნენ. მაშინვე ჩუე-

[1] მირზაჯანა ხომ რასაკვირველია და რადგან ლუარსაბიც ერმალოვის სვიტაში იყო, ისიც თან წამოეყუანა ერმალოვს. ლუარსაბსა ამ ხსენებულის მამუკას და ანა ჰყუანდა ცოლათ, რომლისაცა მე იმისი მზგავსი მშვენიერი ქალი არ მინახავს და იმის

ნი ბატალიონის ქართველი აფიცრები: თამაზ ეშკაღაბაშის შვილი ლუარსაბის ცოლის ძმა თ˜ა მამუკა ორბელიანი, სოლომან ონიკოვი, თ˜ა ივანე გურამოვი, თ˜ა იოსებ ბეგთაბეგოვი და მე, სიამოვნით გარს შემოვეხვიენით. პავლე თუმანოვი კი ამ დროს იქ არ იყო, ქ. ტფილისში დააგდეს რაღაც საქმეზე. ამ მთელს ყაბართოს პახოტში, მე და მამუკა ერთს კარავში ვიდექით. იმასაც ძმასავით ვუყვარდი, მაგრამ დავითისთანა საქუეყნო გონება მამუკას არა ჰქონდა და ქარიანიც, *ბუნბულაც* იყო, ეგრეთვე აჩქარებული ხასიათისა და ღვინოში ხომ კარგი ჭირვეულიც იყო, რომელსაცა ყოველი ყმაწვილი კაცი იმას ერიდებოდნენ და იმისი ხასიათისა გამო მომატებულს სახელს: ბუილა მამუკას[1] უძახდნენ. არა პირში, უკან. პირში ვის შეეძლო, მოჰკლამდა, მაგრამ ამისთანას *ყმაწვილკაცსა,* როგორც ძმა ისე ვუყვარდი, ბევრსაც მიჯერებდა მე და ჩემი დიდი მარიდებაც ჰქონდა ხოლმე. ნათესავი ხომ ორსამ რიგათ ვიყავით, დედიჩემიდგან და მამი ჩემიდგან. მამა ჩემი და იმის მამა დიდი მეგობრებიც იყვნენ, მამაჩემსა თავის ახლო ნათესავი ქეთევან მიეცა ცოლათ მამუკას დედა, ქობულოვის ქალი.

დიდყაბართოს პახოტში ვიყავით ჩუენ სეკტენბრის გასვლამდისინ, ამ დროებში ერმალოვმა მთელი დიდყაბართო სულერთიან დაიმორჩილა, სადაც საჭირო იყო, ყველგან ციხეები გავაკეთეთ და ჯარები ჩააყენა შიგა. მე რადგან ჩემს ამბავსა ვწერ, ამისთვის იმასვე უნდა დავუტრიალდე და ისევ ის მოვყუე.

ჩემს სამსახურს გარდა, ჩემი საქმე ხომ იცით რა იქნებოდა, თუ რომ ყოველსდღე, ის არ ამესრულებინა, რაღაც დიდი რამ მაკლდა. გარდა ამისა ხანდისხან მსმელობაც გვქონა, არა ღვინო, არამედ ნახევარ შამპასკი ანუ დანსკოები ბუთლიკებისა. აბა მირზაჯანა იქ იყო ერმალოვის შინაკაცი და რასაკვირველია ეს იქნებოდა. იმ ჩემის ბაღის შექცევა ძალიან ახსოვდა და ისიც ახსომდა, ის ჩემგ-

---

დასამტკიცებლად, მთელი საზოგადოც ასე ამბობდა.

[1] ბუილა რუსული სიტყუაა: კამბეჩი. ვითამ გაგიჟებული კამბეჩი. ყმაწვილობაში ბევრჯველ მეტის სიანჩხლითა, შკოლის ყმაწვილებში დაერეოდა და გაუკითხავად იცემებოდა, რომელსაცა ამის გამო ყმაწვილებმა დაარქვეს: ბუილა მამუკა. მაგრამ ბოლოს ჟამსა რიგიანი კაცი დადგა თავის ცოლშვილიანობის დროსა და მთელი საყაფლანიშვილოს მამულები იმან შეინახა, თორემ ნახევარზედ მეტი სახელმწიფოთ წავიდოდა, ამით დიდათ დაავალა ერთობ ჩუენ ოჯახსა. ბოლო დროს ჩემი ძმა დიმიტრიც მამუკას მიუდგა და მაშინ ხომ უფრო შეინახეს. ორნივ დიდი მოყუარულნი თავის ერთობ ოჯახობის მამულისა, ამით ამ ჩემმა ძმამ დიმიტრიმაც დაგვავალა.

ნით მოვლა, რომელიც დიდ მადლობას მეტყოდა ხოლმე, მაგრამ სწორეთ უნდა ვთქუა, რომ ჩემი გული იმას არ მიუდგა და თუ პატივს ვსცემდი, ერმალოვის მორიდებით და უფრო ლუარსაბის სიყუარულის გულისათვის, ამიტომ რომ ჯერ დავითის ძმა იყო და მასუკან წრფელი მართალი სული.[1]

მე იმ ჩუენს მსმელობასა, *ცოდვათა შორის ვრაცხავ და ამისთვის ვლაპარაკობ იმაზედ* იმ ყაბართოს ჩუენს სმასა, რამდენსამე აღვწერ და სხუებში მცირედიკი არაფერი.

მდინარეს ურუხის სიახლოვეს ვდგევართ, სადაც სულერთიან ქართუელები ლუარსაბთან შევიყარენით, ჩაის შემდეგ მირზაჯანამა თქუა: მოდი ფული გამოვიღოთ, ურუხის პირზედ წავიდეთ და იმის მწვანეზედ კარგი ვახშამიო გავაკეთოთ. მაშინვე ყველანი

---

[1] ეს მირზაჯანა; ერმალოვი რომ გამოცვალა ღენერალმა პასკევიჩმა, იმის დროებში ასეთს მდგომარეობაში იყო, რომ მწარეთ ნამტირალევი მინახამს მელნიკოვის სახლში, რომელსაცა ლუარსაბის დისწული ჰყვანდა ცოლათ, ერისთვიანთ ქალი მელანია, მეტი კარგი ლამაზი ნაზი ქალი. ეს მელნიკოვი ტფილისის პოლიცმეისტარი იყო ერმალოვის დროსა და პასკევიჩმა გამოცვალა. ჩუენზედ ახლოს იდგა და იმ ქალთან ჩემი ნათესაობის გამო, მე და ჩემი ცოლი ეკატირინე ხშირათ ვიყავით ერთი ერთმანეთთან, მაგრამ ის მელნიკოვი საშინელი ანჩხლი კაცი იყო და მიკვირს იმისთანა გიჟს როგორ მისცეს იმისთანა ქალი. ესეც ერმალოვის პოლეტიკა იყო, რომ მელნიკოვს ქართველთ ძლიერი დასი ჰყოლოდა, მირზაჯანას მოახერხებინა ლუარსაბიდგან. პასკევიჩთან ის მირზაჯანა ძალიან დააბეზღეს, როგორც ქვემოთი ქვეყნების სახანოთა ამკლები, რომელმაცა ციხეში დააჭერინა და იმაზედ გამოძიება, ჩემ დედიდაშვილს თ˜ა გრიგოლ ბაგრატიონ–მუხრანსკის მიანდო. პასკევიჩმა თავის სვიტაში მიიღო გრიგოლ, მგონია მაშინ პორუჩიკი იყო რუსეთის სამხედროსი. ლუარსაბს და დავითს მირზაჯანაზე გამოძიების დანიშვნა რომ შეეტყოთ, ჩემთან მოვიდნენ და მთხოვეს, რადგან დეიდაშვილობას გარდა, მე და გრიგოლ კარგი მეგობრებიცა ვართ, მირზაჯანა გამოძიებაში კარგათ გამოეყუანა და ბოლოს ესეც: კარგათ ვიცით მირზაჯანა კარგი კაცი არარის, მაგრამ მაინც შევეწივნეთ იმ საძაგელს, რომ ბოლო დროს ასე არა თქუან, ლუარსაბ იმისი მეგობარი იყო და არა დასდიარაო. გრიგოლმაც ლუარსაბისა და დავითის გულისათვის გაამართლა. ლუარსაბ, დავითი და მირზაჯანა ხომ რასაკვირველია, როგორც ჩემი, უფრო გრიგოლის მადრიელი იყვნენ და პირათაც განუცხადეს გრიგოლს ესა. ერთს საღამოზედ მელნიკოვის ცოლთანა ვართ მე და ჩემი ცოლი ეკატირინე, სადაც ამ დროს მირზაჯანა შემოვიდა და დიდათ დაღონებული გვერდით დამიჯდა, ვკითხე იმის მწუხარების მიზეზი. იმან მეორეს ოთახში გამიყვანა – მითხრა: შეინჭიმე ალექსანდრე, მე სვინიდისი მტაჯავს ამთენი ჩემი ცუდკაცობით, ღმერთმა ჰკითხოს ერმალოვსა სულ იმისი ბრალი არის; ჩემის ხელით ეკალს ჰგლეჯდა და ჩემგნით ბევრს საქმესა არიგებდა. მერე რა საქმესა? – სულ ჩუენი ქვეყნის დაქცევასა. მე ეს მტანჯავს ახლა და სვინიდისი არ მასვენებს. აი ამიტომ ვარ ასე დაღონებული. ამასთან ერთი საიდუმლო მიანბო, თავის მეგობრის ლუარსაბის ღალატი, რომელსაცა ასე მეგონა: მეხი დამეცა თავზედ მეთქი და იმანაცკი ტირილი ამოუშო. იქნება ოდესმე დავწერო ის ანბავი.

დავყევით. ყველამ ხუთხუთი მანათი გამოვიღევით და წავედით. თან ბიჭები მოგვყვნენ ვახშმის იარაღით, *იქ ჩუენს შორი ახლოს ცეცხლი დავანთე*, მივედით, იყო მშვენიერი ვასკვლავებიანი ღამე, ერთი კარგი მწვანე ადგილი ამოვარჩიეთ, იქ ჩვენ შორიახლოს ბიჭებმა ცეცხლზე ვახშამი მოგვიმზადეს, ამასთან ბუთლიკებით ნახევარ შამპანსკები და დონსკოები მოვატანინეთ, საცა ჩუენ წინ გაიშალა ვახშამი კარგი პახოტური და სადაც ჩუენ წინ მირბიოდა ჩქეფით მდინარე ურუხი. აი აქ ქართველები რამთენი ვიყავით: თვით მირზაჯანა, ლუარსაბ, მამუკა, მე, სოლომან ონიკოვი, კიდევ ჩუენი პოლკის პრაპორშიკები თ˜ა იოსებ ბეგთაბეგოვი და პრაპორშიკი თ˜ა ივანე გურამოვი, მაგრამ ეს ივანე დაბადებიდგან ღვინოს არა სვამდა და არც სხუა ცხარე სასმელებსა, წყალის მეტსა. ის მხოლოდ მოწამესავით იყო იქა, ამასთან საჭმელს შეექცეოდა, ზედ წყალს სომდა და აქეთ იქით იყურებოდა. ჩუენს ამ ვახშამზედ მოწვეული გვყუანდა, კაბარდინსკის პოლკიდგან ორნი ძმანი პრაპორშიკები თ˜ანი ზურაბ და ლევან ჩოლაყაშვილები. ზურაბ იყო დიდი და ძლიერი ვაჟკაცი, ჩაჩანში იმას თავი დიდათ გამოეჩინა და ლევანც იმაზედ ნაკლები არ.

გაშლილს ვახშამის გარსა შემომსხდართა დავიწყევით შექცევანი, ამასთან ქართუელ]ური ქალაქური სიმღერები და თან სტაქნით იმ ღვინოებს ვსუამდით ერთმანეთის სადღეგრძელოს, ისე როგორც მირზაჯანას წესი იყო, სოლომან ონიკოვის ტოლუბაშობისა რიგით.

გაგძელდა ეს ჩუენი შექცევა და სმა. სოლომან ონიკოვის გვერდით ვიჯექი, მიჩურჩულა.

– „წადი შენი საქმე გაარიგე, მინდა ამ საქსონის ჯამით ერმალოვის სადღეგძელო დავლიო და უთუოთ შენც უნდა დაგალევინო.“

წამოვდეგ, მითამ მისადგომათ და ერთს მიფარებულს ადგილს, მარჯვენა ხელის თითი პირში ჩავიდე და ღრმათ ყელში ვიძგერე, საიდგანაც რაც მესვა და მეჭამა, სულ პირიდგან ამამივიდა, რომელიცა ასე განვთავისუფლდი, ასე მეგონა: არცარა მიჭამია რა და არცარა მისუამს მეთქი. ჩემი ესე ჩუეულობა არავინ არ იცოდა, თვინიერ დავით ორბელიანისა, პავლე თუმანოვისა და იმ სოლომანისა. მე რომ ამასა ვწერ, მცხვენიან, მაგრამ მეტს სმა ჭამას ჩემი პატარა აგებულობა რომ არ იტევდა ხოლმე, ასე უნდა მექნა. ეს რა-

საკვირველია ნაყროვნება არის და რასაკვირველია ცოდვაც. თუ რომ სმაში მე ამას არ შევიწევდი, მალე დავთვრებოდი. პატარა სმაში ამ სისუტეს არ ვიქმოდი და როდისაცკი დავატყობდი: განძლიერდა მეთქი სმა, მაშინ მეტი ღონე აღარ იყო. იმ ღამეს მე პირიდგან სამჯერ ამოუშვი, ამის შემწეობით ფხიზლათაც ვიყავი, მაგრამ ისინი კი კარგა რიგზედ მიიმთვრალნენ და ძილადაც მიწვნენ, თვინიერ სოლომანისა, რომელიცა იჯდა ფხიზლად უძრავათა.[1] მე და სოლომანმა ისინი ძილად მიწოლილი რომ ვნახევით, ჩვენც ჩუენი შინლების ქვეშ დავიძინეთ კარგათ მოსვენებით. მეორეს დილის ჩვენს გაღვივიძებასთან, ჩაიც მოგვიტანეს, ჭეშმარიტად ჩინებულიც იყო იმ დროს ჩაი ჩუენთვის, მეტადრე ცხელ–ცხელი, ნამეტნავად იმ მშვენიერს ბუნებაზედ და იმ დილის გრილს ჰაერში. ეს ერთი შექცევა ჩუენი სმისა ასე წავიდა, ახლა მეორესა მივყოთ ხელი.

ამის შემდგომ, ორი დღე არ გამოსულა, აყრილი ჩუენი ჯარი მივიდოდით გზასა დასავლეთის მხრისაკენ, მე ასიოდე სალდათით ყველას უკან მოვიდოდი არიერგარდათ, ამ დროს ატრიადის ერთი რომელიმე არტელის პოვოსკა გატეხილიყო და ზედ სიარულში იმას მივადექი ჩემის სალდათებით. მინამ იმას გააკეთებდნენ, კარგახანი გამოვიდა, მე იმ ცხელსა დღეში, იქვე გზის პირზედ პატარას ტყიანს პირში ხის ქუეშ ჩემის სალდათებით მოვიჩრდილეთ, მაგრამ ვინიცობისათვის ფთხილად ვიყავ, სულ მზათ, მტერი უეცრათ არ დაგვცემოდა. იყო შუადღე გადასული.

ამ დროს ატრიადის მხრიდგან ერთი ათიოდე კაცი დავინახეთ ცხენიანი ჩქარა მომავალი ჩუენზედ, რა რომ დაგვიახლოვდნენ, ჩვენი ქალაქური სიმღერების ხმები გავიგონე და თან ბუთლიკებსა გვაჩუენებდნენ შორიდგან. როგორ ვიფიქრებდი, ვნახე რომ მირზაჯანა იყო, ლუარსაბ, მამუკა, სოლომან ონიკოვი, იოსებ ბეგთაბეგოვი და ის ორნი ძმანი ჩოლაყაშვილები. თურმე ატრიადი მისულა, ერთს ადგილს დაბინავებულა და ბოლოს კარგახანის გამოსვლისა შემდეგ უკითხავთ ჩემი: აქამდისინ რა იქნაო? – ვიღასაც უთქუამს:

[1] რადგან ივანე გურამოვი მსმელი არ იყო, ეს თავის ბინაზედ მოადრეოთ წავიდა. მამუკაც იმ სმაში თავის ხასიათისაებრ ჭირვეულობას აპირებდა, მაგრამ ყველამ ერთპირად შევფიცეთ: თუ ერთი ბეწო გაბედე რამე, თოკით შეკრამთ და აგერ აი აქ მინდორში დაგაგდებთ და ხვალ ერმალოვსაც შევატყობინებთ შენს ჭირვეულობასა. ამაზედ გაიცინა, კიდეც შეეშინდა და სიმშვიდითაც გაატარა ის შექცევა. არამცთუ მხოლოდ იმ ერთს ღამეს, მთელს იმ პახოტში.

გატეხილს პოვოსკასთან დარჩა თავის არიერგარდითაო. მაშინვე მირზაჯანა წამომხტარა: ჩუენც იქ წავიდეთ და ერთი კარგათ შევექცეთ, იქ კარგი ადგილი არის შესაქცევიო. ამისგამო კარგის სადილითა და ბევრის ნახევარის შამპაცკებით მოვიდნენ იქ რამთენიმე მოსამსახურითა, სადაც იქვე ჩრდილოში კარგი სადილი გაიშალა. ატრიადიც ჩვენზე ახლოს იყო დაბინავებული.[1]

მინამ მზე დაბლა ორის შუბის სიმაღლეზედ დავიდოდა, სულ ვსვით, მერე კიდეც გავათავეთ, რომლებიცა დიდი მთვრალნი წამოვიდნენ ისინი, სოლომანის გარდა. მე პირიდგან იმ დროს მიფარებით, ორჯელ ამოუშვი და იმათ წამოსვლისა შემდგომ ცოტაც დავიძინე. მასუკან ჩემმა ლალამ თევდორემ გამაღვიძა, მითხრა:

– „ბატონო გაიღვიძეთ, პოვოსკა გააკეთესო.“

მე მაშინვე ზეზე ავდექ, ვნახე, ის იყო მზე ჩადიოდა, იქვე პატარა წყალი მოდიოდა, რომელმაცა ჩემი პირის დაბანისა შემდეგ ცხენზე შავჯექ. წამოვედით და კიდევ ადრე იყო, რომ ატრიადში მოვედით, სადაც იმ ჩემს ამხანაგებს კიდევ სულ ეძინათ, სოლომანის მეტსა, რომელსაცა ჩაიც მზათა ჰქონდა და დავლიეთ გემრიელათ. მერე მე სიცილით მკითხა სოლომანმა.

– „არა, ვინ გასწავლა, იმ სმის დროსა პირიდგან რომ ამოუშვებ ხოლმე? – მითხარ, არავის ვეტყვი ჭეშმარიტად, მაინც ხომ არავინ იცის, ჩუენი მეგობრების ორის მეტმა?“ –

– „არავის მერწმუნე. თვითონ ჩემმა ბუნებამ მასწავლა; გულზედ იმთენი ღვინო რომ მომაწვება ხოლმე, ამან მასწავლა, სხუამ არავინ. მერე ცუდი არის ესა?“ მე უთხარი.

– „კარგი არის, მაგრამ იმის შემდგომ როგორღა გიამება ღვინო?“

– „თუმცა არ მიამება, მაგრამ მეტი ღონე რომ არარის?“ –

– „ნუ დალევ, გადი ხოლმე, შორს დაჯექი და იქიდგან გვიყურე როგორა ვსუამთ ჩუენა?“

– „ამხანაგებში როგორ გამოვიკიდო თავი, სირცხვილია.“

– „ეგკი მართალია.“[2]

---

[1] მირზაჯანასთან ყოფნა ადამიანს არ მოსწყინდებოდა, იყო გონიერი კაცი და საუცხოვო მოლაპარაკე, მაგრამ გარყვნილი იყო, იქამდისინ, რომ ერთი ყმაწვილი ბიჭი ქალაქიდგან წამოეყუანა თხუთმეტის წლისა და ყმაწვილებმა იმას დაარქვეს: მირზაჯანას პახოტნი ჟენა, (პახოტის ცოლი.)

[2] ეს სოლომან კარგი სვინიდისიანი კაცი იყო, ის არას დროს ძალას არავის არ

მე ამ შექცევებს რომ ვანბობ, იქამდისინ ჩავალ, სადაც შფოთები და ქოთებიც იყო ხოლმე. ეს სულ ერმალოვისაგან შემოჩენილის მირზაჯანას ბრალი იყო, რომ საქართუელოს ხალხი გაირყვნას და კიდეც მიეღწია საწადელსა ერმალოვი. იმ მირზაჯანას ქ. ტფილისში ბევრი სხუა და სხუა კანპანიობა ჰქონდა, სადაც ყველგან ლუარსაბიც დაჰყვანდა ხოლმე; ლუარსაბის პატივისცემისათვის, მირზაჯანასაც პატივს ცემდნენ ყველანი და ამის გამო ამისთანა ამბები იყო მირზაჯანასაგან ქ. ტფილისში და გარეთ სოფლებშიაც. საქართუელოში ლუარსაბ და დავით დიდი პატივცემულები იყვნენ, ჯერ იმისთვის, რომ დიდი გვარიშვილობისა და მასუკან სარდლისშვილობისა.

მეორე შექცევისა რომ გიანბეთ, ახლა მესამისა გავიგონოთ.

ერთს დილა ადრიან, *ის იყო ახლად გათენდა* ჩვენს კარავში მე და მამუკას ძილის დროსა ვიღამაც გაგვაღვიძა და ხმა მაღლად დაიძახა: ადექით, რა დროს ძილი არის. მაშინვე თავთავის ქვეშაგებში წამოვჯეგით, ვნახეთ, რომ მე და მამუკას ქვეშაგების შუა მწვანეს ბალახზე, ნახევარ შამპასკის ბუთლიკები იყო მწკრივათ კარგა ბევრი და მეორეს მხრითა, მირზაჯანამ ერთი კალთა ფულები წამოყარა, ოქროვერცხლი და ასიგნაციები; აქეთიქითაც ლუარსაბ და სოლომან ონიკოვი უსხდნენ, გვითხრა ლუარსაბმა:

– „ადეგით ნუღარ წევხართ, წუხელის მირზაჯანას ბევრი ფულები მოუგია ქაღალდის თამაშობაში, ზოგიერთის ერმალოვის მდიდარის სვიტისაგან, ადექით ნუღარ წევხართ, წავიდეთ ერთს კარგს ადგილზე შევექცეთო, სადმე.“

მამუკამ საჩქაროთ ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო და მე მივატანე.

– „მინამ ჩაის არ დავლევ, ვერ წამოვალ.“

დაატანდა ღვინოში: უთუოთ უნდა დალიოვო. ვისაც არ შეეძლო, ძალათ არავის არ დაალევინებდა, ესკი იყო, რომ ჩუმათ ეტყოდა: ან მეორე ოთახში გადი და ან შინ წადიო. ესენი იყვნენ ჩემი ამხანაგი-მეგობრები ეს ყმაწვილკაცნი რომლებიცა ერთირთმანეთთან ხშირათ ვიყავით: სარდლის შვილი თ˜ა დავით ორბელიანი, თ˜ა პავლე თუმანოვი და სოლომან ონიკოვი მინამ დავით გარდაიცვლებოდა, მასუკან ჩემი დედდაშვილები თ˜ა დავით მუხრანბატონის ძე და თ˜ა ბიძინა ქსნის ერისთვისშვილი. კიდევ ჩემი მეგობარი იყო ჩემი მამიდაშვილი თ˜ა თადია ჩოლაყაშვილი და ბოლო დროს პავლე თუმანოვი რომ დაცოლშვილიანდა ქ. ტფილისში, მაშინ ხომ განუყრელად ვიყავით ერთიერთმანეთთან. აი ეს პატიოსანი ყმაწვილი კაცები იყვნენ ჩემი კარგი ამხანაგი მეგობრები, რომლებთანაც ვატარებდი მართებულად დროსა. მეორე, ჩუენს ძველს დარბაისლებში დავიდოდი ხშირად და იმათ ძველს ამბებსა ვკრეფდი, ისინიც მენდობოდნენ გულისწმინდით ყველას მიანბობდნენ.

– „ჩუენც არ დაგვილევია, ბარემ ჩვენც აქ დავლევთ და მერე წავიდეთ.“ იმათ მითხრეს.

თურმე იმ ღამეს გათენებამდისინ ქაღალდი ეთამაშა მირზაჯანას და იმთენ ფულმოგებული თავის კარავში რომ მოსულიყო, სადაც ლუარსაბ და ის ერთათ იდგნენ, ლუარსაბ გაეღვიძებინა, საჩქაროთ ტანისამოსი ჩაეცმია, იქიდგან სოლომანისათვის გამოეარათ, ისიც თან წამოეყვანათ და აქ ჩვენთან მოსულიყვნენ.

ჩაის შემდგომ, რაც ჩუენი კამპანია იყო, იქ შევიყარეთ, მასუკან ჩუენი სამზარეულოს გაწყობილობით ჩუენის მოსამსახურეებით, გავწიეთ და ატრიადის ახლოს მდინარეს ჩერექის პირზე, ერთს გაფოთვლილს დიდხეს ქვეშ დავბინავდით, სადაც იქვე ჩქარი მდინარე მორბიოდა და გაშლილს საფენზედ ზოგი დაჯდა, ზოგი მუთაქებზე წამოწვა. იქითაც ჩუენზედ ახლოს საჭმლებს მზადება დაუწყეს მოსამსახურეებმა. იყო საუცხოვო მზიანი დღე.

ამ ბუნების მშვენიერებითა, ჩუენ აქ ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით, რომ სადილით და იქაურის ადგილობის საუცხოვობითა გვესიამოვნა, კარგის *წმინდის* პატიოსნობისა შექცევითა, მაგრამ არა, უთუოთ უნდა ნახევარ შამპასკის ღვინით დავხოცილიყავით და კიდეც დავიხოცენით, თუ არა და მირზაჯანას შიშით: არა მოგვიგონოსრა და ერმალოვს არ დაგვაბეზღოს, უნდა ძალზედ გვესვა. კიდევ კარგი, სოლომან ტოლუბაში იყო ხოლმე და ის უფრო მირზაჯანას ძალას ატანდა, იქამდისინ, რომ იქვე სუფრაზე წააქცევდა და რამწამს მუთაქაზე თავს მისდებდა, ხვრინსვასაც ამოუშვებდა. ისე იქ იყო და სხვებმაც იქვე დაიძინეს. სოლომანკი იჯდა შაქზე და მე მითხრა ჩუმათ.

– „ამ სადილის დროსა, რამთენჯერ ამოუშვი პირიდგან? –“

– „აგერ ა იქ, ხედავ იმ ტყის პირის შიგნით? – იქ ვეება ერთი გუბე დგას. სამჯერ ამოვუშვი და ესეც მეოთხეთ იქნება.“ კიდეც წავედი.

საღამო ჟამზედ ყველამ გაიღვიძეს და გემრიელი ჩაიც დავლიეთ. ესეც ჩუენი მესამე შექცევა და ახლა მეოთხეზედ ვილაპარაკოთ.

ნალჩიკის შიგნით ხეობაში, ღენერალი ერმალოვი სულერთიან ატრიადითა იქ შევედით და ერთს მაღლობს სწორეს მინდორზე დადგა ჯარით, სადაც უფრო შიში იყო და იქ მოველოდით ჩერქეზების დაცემასა. იმ საღამო ჟამს, ის იყო რომ ჯარი დადგომას აპირებდა, *ჯერ ჯარი რომ არ დამდგარიყო,* ერმალოვმა ჩუენს ბატალიო-

ნის წინ გამოიარა და ჩუენს მაიორს ახტერვას უთხრა.

– „პრაპორშიკი კნიაზ ორბელიანი, ორის უნდეროფიცერით და ორმოცდა ათის სალდათითა, აგერა იმ ხეობის შემოსასვლელს პირში დადგეს და ფთხილათ იყოს. ამგვარს ღამის ყარაულობასა ჰქვიან რუსულად: სეკრეტნი. ესე იგი: დაფარული. სადაც შიში არის, ატრიადზე მოშორებით დააყენებენ საშიშს ადგილას.“

მაშინვე ახტერვამ დამიძახა.

– „პრაპორშიკი ორბელიანი გამოგზავნეთ.“

მაშინვე ბატალიონიდგან გაველ და ერმალოვის წინ დავდექი.

– „ალექსანდრ, რაც გიბძანოს მაიორმა, საჩქაროთ წადი, იქ დადექი და ფთხილაღაც იყავ.“ ამასთანვე გატრიალდა წავიდა.

წაველ ისე საჩქაროთა, რომ ველარც ნაბადი და ველარც ყაბალახი ვერ წავიღე.[1] წაველ ორის უნტეროფიცერით და ორმოცდა ათის სალდათითა, შევკარ ხეობის პირი და დავდექი ფთხილათ, მაგრამ საკვირველი იყო ერმალოვის საქმე ჩემზედ, სადაც საძნელო ადგილები იყო, ხშირათ გამგზავნიდა *ყოველთვისა*; ჩემზედ ბევრათ უკეთესი აფიცრები იყვნენ, მაგრამ არა, უთუოთ მე უნდა გავეგზავნე ხოლმე. აქამდისინ ვერ მიმხვდარვარ, რა იყო ეს იმისაგან ჩემზედ? –

მე რომ სამსახურიდგან გამოსვლის არზა მივე, მაშინ ერმალოვი დაღისტანში თუ ჩაჩანში იყო ჯარებითა, ამ დროს ღენერალ ლეიტენანტი ივან ალექსანდრიჩი ველიამინოვი აღსრულებდა ერმალოვის თანამდებობასა ქ. ტფილისში ერმალოვის მოსვლამდისინ, იმის თანამდებობის დროს მივე და კიდეც მომივიდა სამსახურიდგან გადადგომა. როდისაც რომ გადადგომა მამივიდა, ერმალოვი ტფილისში იყო მოსული და იმ ჩემი გადადგომის პრიკაზი იმას წაეკითხა. იმდროს მირზაჯანა *თურმე* იქ ყოფილიყო და იმისთვის ეკითხა.

– „ეს რომელი პრაპორშიკი ორბელიანი გადამდგარა სამსახურიდგან, მეშვიდე კარაბინერის პოლკისა?“

– „მე არ ვიცი, თქვენო მაღალაღმატებულებავ.“ მოეხსენებინა.

მასუკან გამოეკითხა, ეთქუათ ჩემი. ძალიან თურმე ეწყინა და მირზაჯანას უთხრა.

---

[1] აფიცრებს ნება ჰქონდათ, ვისაც უნდოდა, რომ შინელს გარდა, ნაბადი და ყაბალახიც ჰქონოდათ, თოფი დამბაჩა და პატრანტაშიც.

– „ჩემაგიერათ უთხარ ალექსანდრეს, რომ მე იმისთვის ბევრი კარგი მსურდა და ახლა ისინი სულ დაკარგა.“

მითხრა და მეც *ამიტომ მოვიხადე ბოდიში* ესა: რავქნა, სახლის მომვლელი არავინ არაგვყავს და ამის მიზეზით *გამოვედი*, სამსახური დაუტევე მეთქი. ამგვარებით ბოდიში მოვიხადე.

მოკლეთა ვთქუა, იმ ხეობის პირში, ფთხილად ვიყავი და ძილი ხომ როგორ იქნებოდა, მაგრამ იმ ღამესა პირველ ღამიდგან გათენებამდისინ, ისეთი კოკური წვიმა იყო და ბნელი ღამეც, რომ მგელიც ველარ მოვიდოდა იქა, არამც მტერი. უნდეროფიცრებმა და ზოგიერთმა სალდათებმა თავიანთი შინლები მაძლიეს, წამამესხა,[1] მაგრამ მე არა ვქენ, იმათაც ჩემი საქმე მოუვიდოდათ და ან რას მიშველიდა შინელი, იმისთანა კოკურს და მოუწყვეტელს წვიმაში. გათენებამდისინ ასე გვასხა მართლა კარგათ; კარგათ რომ გათენდა, ავდეგით და წამოვედით. ბძანება ასე გვქონდა. მოვიდოდით, მაგრამ ჩუენის ტანისამოსიდგან მსხვილი წუნწკლები ჩაგვდიოდა ქვემოთ და თავიდგან ფეხებამდისინ ასე დასველებული ვიყავით, რომ სრულად გაზუნზლული, მეცა და ჩემი კამანდაც.

რა რომ ატრიადს დავახლოვდით, ჩვენი ბატალიონისკენ წამოვედით, იმათ კარვებისკენ და დაწყობილობით მოვიდოდით, სადაც ერმალოვს კარავი ედგა, იმის წინ უნდა ჩამოგვეარა და ჩუენს ბატალიონში მივსულიყავით. ამდროს ერმალოვსა ჩამოხსნილს კარვის კარებიდგან დავენახე, მირზაჯანა თურმე იქ იყო იმდროს, ებძანებინა:

– „წადი, ალექსანდრე ორბელიანს აქ, ჩემთან დაუძახე და თავის კამანდაკი ბატალიონში გაისტუმროს უნდეროფიცრითა.“

გამოვიდა, ერმალოვის ბძანება მითხრა და კამანდა გავისტუმრე. მასუკან გაზუნზლული ისე ერმალოვთან შეველ, რომელსაცა ჩემის ტანისამოსიდგან წუნწკლი სწვეთდა და მშვიდობით ყოფნა მოვახსენე. იმას ერთი პატარა სტოლი ედგა, პატარა სკამით იმ სტოლს მისჯდომოდა, იმ სტოლზე ქაღალდები ეწყო, ქაღალდების გვერდით მოდიდო სტაქნით ჩაი ედგა და იმის გვერდით სკამზე თავის ადუტანტი მაიორი პავლოვი უჯდა. მშვიდობა რომ მოვახსენე, მითხრა ალერსითა.

---

[1] მე ისინი დიდს პატივს მცემდნენ, ჩემი მშვიდობის მყოფლობისა, სამსახურის ბეჯითობისა და კარგის ქცევისათვის.

– „ну Александрь. აბა ალექსანდრე, როგორ გაატარე ეს ღამე იქ სეკრეტში? –

– კარგათ თქვენო მაღალაღმატებულებამ, მშვიდობითა.“ მოვახსენე.

– „წუხანდელმა დიდმა წვიმამ შეგაწუხა? –“

– „არა თქვენო მაღალაღმ.[ატებულებავ] მაგარ ყმაწვილკაცსა წვიმა რას დააკლებს.“

სიამოვნით გაიცინა, თავის სტოლიდგან სტაქნით ჩაის წამოავლო ხელი, მამცა ამ სიტყვით.

– „მაშ ჩემო ალექსანდრე, აჰა ჩაი დალიე და მერეთ წადი, ამ ერთს საათზე ავიყრებით, დავბრუნდებით ქვევით, მინდვრად ჩავალთ მდინარეს ნალჩიკის წყალის პირთან და ამაღამ იქ დავდგებით. მაგრამ მაგ შენის კამანდით არიერგარდში რომ დაგაგდო, ხომ არ შეწუხდები? –“ მითხრა.

– „სწორე მოგახსენო თქვენო მ. ა. *[მაღალაღმატებულებავ]* მზათ გახლავარ, ყოველს გაძნელებულს საქმეებში.“

– „მაშ დალიე, წადი, უთუოთ ჩერქეზები აგვედევნებიან, შენებურათ კარგათ იყავ.“

ჩაი რომით იყო დასხმული და კარგის გემოთი დავლიე. მასუკან მითხრა.

– „შენს მაიორს უთხარ: არიერგარდში დაგნიშნოს შენ.“

ამ სიტყუასთანვე თავი დავუკარ, გამოველ; დამნიშნეს არიერგარდში. ჩემმა ამხანაგებმა ბევრი მითხრეს სველი ტანისამოსი გამამეცვალა, მაგრამ მე არა ვქენ და ისე ზედ შავიშრე. თუმცა ღრუბლიანი დღე დაგვიდგა, მაგრამ წმინდა, უწვიმო დღე იყო, ჰაერი მშვიდი.

ერმალოვმა ჯერ ორი ბატალიონი წინ გაისტუმრა, მერეთ რაც პოვოსკა იყო, იმ ბატალიონებს მიადევნა, მასუკან თვითონ ატრიადითა იმათ შეუდგა და შემდგომ შორი ახლოს ჩემის არიერგარდითა ავყევ ატრიადს. ამდროს ტყიდგან ცხენიანი ათიოდე ჩერქეზები გამოვიდნენ და თოფის ტყვია დაგვიშინეს, რომლებმაცა ჩუენის მხრითაც ბევრი თოფის ტყვია გავუგზავნეთ. ასე იმათ, პატარახანს გვდიეს და მასუკან თავი დაგვანებეს, თავის გზისაკენ წავიდნენ. ატრიადი დაბინავებული იყო და საღამოჟამს მეც მივედი ჩემის არიერგარდით. მაიორს ჩემი მშვიდობით მისვლა რომ გამოვუცხადე, მითხრა.

– „ხომ არავინ დაჭრილა თქვენი არიერგარდის სალდათი? –“

– „არა, არავინ მეთქი.“

– „მაშ წადით, ამაღამ კარგათ მოისვენეთ.“ ეს მითხრა და წამოვედი.

ჩემს კარავში რომ მოვედი, ჩემმა ლალა თევდორემ მითხრა: ლუარსაბის კაცი იყო აქა და ეთხოვნა, ალექსანდრე რომ მოვიდეს, იმას ჩაის ველით, უიმისოთ არ დავლევთო. მაშინათვე წაველ, ყველანი ჩემი ამხანაგნი იქ იყვნენ შეყრილნი და რამწამს დამინახეს, ყველამ სიხარულით მამილოცა, იმ სროლიდგან მშვიდობით გადარჩენა, მაგრამ მოლოცვათ არა ღირდა, ამიტომ, რომ უბრალო კინკლაობა იყო. იმათაც ასე ვუთხარ.

ჩაის შემდგომ კიდეც დაღამდა და ამასთან ვახშამიც თან მოადევნეს, სადაც კიდევ ისეთი სმა მოგვიხდა, როგორიც წარსულები გაიგონეთ, მეც იმ ჩემს ჩვეულებას მივყავ ხელი და ჩემი აგებულება ამით ძალიან შვებითაც იყო. იქამდისინ ვსვით, რომ სულერთიან იქვე *წაეყარნენ*, დაიძინეს ლუარსაბის და მირზაჯანას მოდიდოს კარავში. მე და სოლომანც იქვე მუთაქაზედ ჩვენს შინლების ქვეშ დავიძინეთ.

მეორე დილაზედ კიდევ ცხელმა ჩაიმ გვანუგეშა და ესესიყო, რომ კიდეც მოვწყვიტეთ იმისთანა მსმელობა იმ პახოტში, ამიტომ, რომ ლუარსაბს მე ვუთხარ და ლუარსაბს მირზაჯანასთვის ეთქუა: ამისთანა სმაზედ ხელი ავიღოთ, თორემ სულერთიან ავათ დავხდებით, დავიხოცებით უპატრონოთ. *კიდეც ავიღევით ხელი.*

ვინც ამას წაიკითხავს, იქნება თქუას: ამ ამბების დაწერასა, იმ პახოტის ამბები დაეწერა, უფრო კარგი იქნებოდა ისტორიისათვისაო? – მაგრამ რის პახოტი? – ურუხის ხეობიდგან მოვყევით სიარულსა, ისე კავკაზიის ძირებში წამოვედით და ყუბანის მდინარეს პირამდისინ მივედით, იქით გაღმაკი მაშინ ოსმალებისა იყო სულერთიან ის მამული შავზღვამდისინ, რომლებიცა იქიდგან ისევ უკან წამოვედით.

ერთი ცოტაოდენი კინკლაობა, პირველად ურუხის ხეობაში რომ შავედით, იქ მოგვიხდა, მეორე ჩერექის ხეობაში[1], მესამე ნალჩიკის

[1] აქ სროლაში ერთი ჩერქეზიც მოვკალ თოფით, მაგრამ იმის მოკვლა რომ მამაგონდება, დიდად შევწუხდები ხოლმე, ეს ჩემი ცოდვა, ყველაზედ უდიდესი ცოდვა არის ჩემი, – ჩემი სვინიდისის სატანჯველი.

ხეობაში, რომელიცა ზემოთ გაიგონეთ, სადაც ამ ხეობაებში ერთი სალდათიც არ დაგვჭრია, არამც მოეკლათ და მეოთხე ბაქსანის ხეობაში, იქ კი პატარა რიგიანი სროლა გვქონდა, ასე რომ ოცამდისინ სალდათი დაგვიჭრეს და მოგვიკლეს. როგორც სხუა ხეობაებში, ისე ბაქსანის ხეობაში, ყველგან სტრელოკში მე ვიყავი ხოლმე სალდათების კამანდითა, რომელსაცა ამ ბაქსანის სროლაში ერთი ჩემი სტრელოკი სალდათი არ მოუკლამთ და არც დაუჭრიათ, პორუჩიკის ქალანდაროვის სტრელოკის სალდათები დააკლდა ჩუენს ბატალიონს, ის უფრო სხუა მხარეს, *დიან* მეტს სროლაში იყო და მე უფრო ნაკლებში. მეორეც ეს, რომ ჩემი სალდათები, მე მოფარებულს ფერდობში ჩამსხდარი მყუანდა, აყრილს, თხელს ტყის პირში, საიდგანაც ფთხილათ ვესროდით ჩერქეზებსა, ქალანთაროვის სტრელოკები კი აქა-იქ გაფანტულები ესროდნენ და ამისთვის დააკლდა ის სალდათები; ბოლოს კიდეც გამოაქციეს დანარჩენის სალდათებითდა ჩემს მხარეს წამოიღეს. იქ სიფთხილის დრო აღარ იყო, საიდგანაც ერმალოვის სვიტა და ვერხოვსკი ქვემოთ მინდვრიდგან გვიყურებდნენ ამ ცოტაოდენის ომის სროლასა[1].

ეს ჩემი სტრელოკები წამოვშალე და საჩქაროთ წინ გადვუდექით გამოქცეულს სტრელოკებს. აქ სულერთიან ჩემი სტრელოკები ფიჭვის ხეების უკან დავსხი, მეც ერთს ფიჭვის ხეს მივუჯექი და იქიდგან დავუწყევით სროლა ჩერქეზებსა, რომლებიცა თამამად მოდიოდნენ და მაშინათვე ისინიც იქიდგან ხეებს მიუსხდნენ. *ერთი საათი მეტი სროლა გვქონდა.* კარგა ხანის სროლის შემდგომ, ჩემი კაპიტანი თავის როტით მოგვაშველეს და იქიდგან ის ჩამსხდარი ჩერქეზები ავშალეთ, მაგრამ ასეთს სიმაგრეში შევიდნენ, რომ იმა-

[1] ბაქსნის ხეობის პირში რომ მივედით, ერმალოვისათვის ეთქუათ: აქ ბაქსანის ხობაში, (იქაური ბატონი) თოუსულთანი გამაგრებული არისო. ამის გამო პოლკოვნიკი ვერხოვსკი (ღენერალნი შტაბისა.) ჩუენი ბატალიონის ორი როტით, ოცდაათის ცხენიანის კავკაზიის ლინეინის ყაზახებით და რაოდენიმე თავის სვიტით გაისტუმრა იმ სულთანზედ. ხეობაში რომ შავედით, სულერთიან განიერ მინდვრად მიდიოდა ის ხეობა და ამის ბოლო ვიწრო იყო აქეთ-იქით კლდიანის მთებით, სადაც იმათ შორის ბაქსანის მდინარე მოდიოდა და ამ ხეობის შუაში ჩრდილოეთის მხარეს ჩანჩქარითა მირბიოდა. იქ იმ ვიწროს ადგილს იყო ჩუენი სროლა, იმ თხელს გაშლილს ფიჭვის ტყეში, ზევით მთის კლდის ძირისაკენ. ქალანთაროვი თავის სტრელოკებით იქ შეგზავნეს და მე ჩემის სტრელოკებითა, იმის ტყის პირი დამაჭერინეს და აქედგან მითამ უნდა გაგველალა ჩერქეზები, რომლებსაცა ის ვიწრო შესავალი ჰქონდათ შეკრული, მაგრამ ფეხიც ვერ მოვაცვლევინეთ. შუადღიდგან საღამოჟამამდისინ სროლა გვქონდა და ბოლო დროს თითქმის დამარცხებულებიც წამოვედით ჩუენა.

თი იქიდგან გალალვა არ შეიძლებოდა, საიდგანაც დავბრუნდით და ქვემოთ ჩამოვედით, სადაც ჯარი იდგა. იქ მოკლულები მიწას მივეცით შენდობითა, მასუკან ჩუენი დაჭრილები ხელით წამოვიღეთ და დიდის ატრიადისაკენ წამოვედით დაღონებულები. ამიტომ რომ თავიანთი სურვილი ვერ აღასრულეს და ის თოუსულთანი ვერ დასაჯეს დამარცხებით.

მე, ამ ამბის შემდგომ, კარგი არ მამიხდა, იმაზედ, რომ ჩემი კაპიტანი დიდათ გამიწყრა.

– „მე იმ დროს იქ არ ვიყავ და უჩემოთ ჩემის როტიდგან სალდათები წაიყვანე და უჩემოთ წახველო სროლაში.“

– „სტარში კაპიტანი მოვიდა ხამუცკი, იმან მიბძანა და იმისთვის წავედი[1].“ მე მივუგე.

– „უჩემოთ არ შეგეძლო, უნდა მოგეცადნა.“

– „ჰკითხეთ სტარში კაპიტანსა და იმას უთხარით ეგენი.“

ჩემი სიმართლე არ გაიგონა და დიდს საყვედურს მეუბნებოდა, იქამდისინ, რომ ბოლოს ესეც მითხრა.

– „თოკით შეკრამო.“

მე ეს ველარ მოვითმინე და ხმალზედ ხელი დავიდე.

– „ვინც გაბედავს მაგას, აქვე მოვკლავ.“

– „კარგი, რახან აგრე არის.“ და ამასთან გაჩუმდა.

ამ ჩუენს ლაპარაკში, ხამუცკი და იმის როტა ჩუენზედ კარგათ წინ მიდიოდა, რომელმაცა ჩემმა კაპიტანმა იმას ჩემზედ არა ჰკითხარა და მე ხომ როგორ გავბედავდი კითხვას, უნცროსის აფიცარისა დისციპლინა არ ითხოვდა.

როდისაც ჩუენს ატრიადს დავახლოვდით, ჩემმა კაპიტანმა წინ ცხენი გააჭენა და ცოტახანს უკან ისევ მოიჭრა გაჯავრებით ჩემთან.

– „ბატალიონის კამანდერმა გიბძანა, ექვსის სალდათითა, აქ ამ ვიწროს გზაში დარჩეთ, სეკრეტის ყარაულათ. ერმალოვს ასე უბძანებია.“

დავრჩი და მშვიდობით გავატარე.

---

[1] ის ქალანთაროვი იმ ხამუცკის როტისა იყო და მე დალინის როტისა. ეს დალინი უკან დარჩა მისადგომად და იმ დროს იქ არ იყო, როდისაც ხამუცკიმ მე გამგზავნა და არც ჩუენი როტის სტარში აფიცერი იყო იქა, ის ადრითვე სადღაც იყო გაგზავნილი. ამის გამო ერთ რიგათ ჩემი კაპიტანი მართალი იყო, მაგრამ მაინც ხამუცკისათვის უნდა ეკითხა; იმან იმას არა ჰკითხა, არ იკადრა და ამისთვის მე კი გადამახდევინეს.

მეორეს დილაზედ, ჯარში რომ მოვედი, ის იყო ჯარი იყრებოდა, იმ დროს ჩემი კაპიტანი მოვიდა ამ მკაცრისა სიტყვით ჩემთან.

– „ბძანება არის, რომ დღეს ქვევითი იაროთ.“

ახლა იმ დღეს ქვევითიც ვიარე, მაგრამ საღამო ჟამზედ, ბატალიონის კამანდერს ახტერკას დავებარებინე და ბოდიშით მითხრა.

– „უკაცრავათ კნიაზო, მე სწორეთ შევიტყე, რომ თქვენ ყველაში მართალი ხართ, მაგრამ ერმალოვთანა ხართ დაბეზღებული თქუენ.“

– „რაზედ მაიორ?“ მე ვკითხე.

– „იმაზედ, რომ მითამ ის სტრელოკები თქვენი სალდათები დაეხოცოთ.“

– „ყველანი სულ უყურებდნენ ვისი დაიხოცნენ? – “

– „ვიცი, ვიცი. ეხლა სულ წვრილათ შევიტყე. ამისთვის რაც სასჯელი მოგივიდათ, ერმალოვის ბძანებითა.“

თავი დავუკარი და გამოვედი, გულისაღელებით გაჯავრებული. იმის კარვიდგან რომ გამოვედი და ჩემის კარვისაკენ მოვიდოდი, ჩემი კაპიტანი დამხვდა და იმანაც ბოდიში მოიხადა შეცთომისთვის, ბოლოს მითხრა.

– „თავის უფროსის ნაჩალნიკის წინა ამაყობა არ შეიძლება, ამას ჩუენი დისციპლინა არ ითხოვს. შენც დანაშაული გაქვს ჩემთან, ხმალი გინდა ამოგეღო ჩემზედ.“

– „მართალია კაპიტანო, *მომიტევეთ*, შევცდი და იმისთვის ბოდიშს ვიხდი. მაგრამ მართალი ვიყავ და სიმართლემ გამაბედვინა.“

– „უნდა წინ დახედვა გქონდეს. ახლა ამას თავი დავანებოთ; მე რომ შენზედ საჩივლელად მოველ მაიორთან, – მაიორმა მე აღარა მათქმევინარა და მაშინვე მითხრა: ეხლა ეს არის, ერმალოვის ადუტანტი მამივიდა, შემოეთვალა. „იმ სალდათების დახოცა პრაპორშიკის ორბელიანის მიზეზი ყოფილა და იმის სტრელოკები დაუხოციათ, ამისთვის ექვსის სალდათითა ამაღამ იქ, გზის პირში დააგდევით და ხვალაც ქვევითი ატარეთ, რომ ამას იქით გაფთხილდესო.“

მცირე მოლაპარაკების შემდგომ, მე პოლკოვნიკ კნიაზ შეკოვიჩთან წაველ[1], იმას კარგათ მახლობლათ ვიცნობდი, იმას შევჩივლე

[1] ეს კნიაზ შეკოვიჩი იყო, პატარა ყაბართოს კნიაზი, ევროპიულათ კარგათ გაზრდილი განათლებული და ერმალოვის დიახ მახლობელი, იმის შინაურს სვიტაშიაც იყო.

და ყოველი ვუთხარ ჩემი დაბეზღება ერმალოვთან, რომელიცა გაჯავრებით წამოხტა და დაიძახა.

– „ახ, პადლეცები. მე იქ ვიყავი და მე გიყურებდით; პირსათნოებით არ გეტყვიით, თუ თქვენ არ ყოფილიყავით, იმ ქალანთაროვს და იმის დანარჩენს სალდათებსაც იქვე დახოცდნენ. მე ეხლავ წავალ და ერმალოვს ჩხუბს ვუზამ, რომ ისე უსამართლოთ დაგსაჯათ. აქ ჩემს კარავში მამიცადეთ, ეხლავ მოვალ.“ ამასთანვე გასწია.

როდისაც იქიდგან მოვიდა, გაცინებით მითხრა:

– „კაპიტანი ხამუცკი მოსულა რაპორტის მისაცემათ, ატრიადი რომ დამდგარა საღამოჟამზე და იმას დაუბეზღებიხარ თავის პორუჩიკის ქალანთაროვის გულისათვის, რომ ის დაჰფაროს და ამიტომ უთქუამს თქუენზედ[1].“

– „კნიაზო, მასუკან როგორ მოხდა? – “ მე ვკითხე.

– „მე და იმის ლაპარაკის დროსა, პოლკოვნიკი ვერხოვსკი შემოვიდა და იმასაც ჰკითხა, იმან უფრო კიდევ კარგათ გაგამართლა და ძალიანაც გაქოთ.“ იმან ასე მითხრა.

– „მაშ მაგაზედ ერმალოვმა რაღა გითხრათ? – “

– „სიცილით მამიბრუნდა მითხრა: ჩემაგიერ ალექსანდრეს უთხარ, სამსახურში ბევრი ამ გვარები შეემთხუევა მოსამსახურეს და ამაზედ ნუ შეწუხდება ის, მე იმაზედ კარგს აზრს არ გამოვიცვლიო.“

– „მაშ წავიდე, კნიაზო, მოსვენებით ვიყო ახლა? – “

– „მოსვენებით კნიაზო, მოსვენებით.“ და წამოველ სიამოვნით.

ეს პახოტი ერმალოვმა პახოტათ არ შერიცხა და ამის გამო ჩვენ მოსამსახურეთა, ჯილდო არავის არ მოუტანინა, მაგრამ კი მთელი დიდყაბართო დაიჭირა, სადაც საჭირო იყო, ციხეები გაგვაკეთებინა, შიგ ჯარები ჩააყენა და ყველგან თავიანთი სასამართლოები გახსნა, რომლებიცა მანამდისინ თავისუფალი ხალხი იყო დიდი ყაბართოელები, თავიანთი საკუთარებით, *თავისუფლებით* სარგებლობდნენ ავათ თუ კარგათ; ერთი სიტყვით, თავიანთის თავისუფლებითა იყვნენ ბედნიერნი, მაგრამ იმის შემდგომ რუსეთის მონებაში თავი გაუბეს და ჩაცვივდნენ იმათ ბრჭყალებ ქვეშა. აი, მთელი ისტორია დიდი ყაბართოსი.

---

[1] ერმალოვისათვის ერთი სალდათის მოკვლა მტრის ხელითა, ბრალიანზედ თუ უბრალოზედ, დიდი საჯავრელი იყო ხოლმე და ამიტომ უნებურათ გაჯავრებით ეთქუა იმას ის სასჯელი ჩემზე.

შემოდგომამდისინ ეს ამთენი საქმეები ასე შეასრულა ერმალოვმა, შემოდგომას ჩუენი კარაბინერის ჯარი დაგვითხოვა და საქართუელოში გადმოვედით, სადაც ქ. ტფილისში იმ საღამოზედვე ჩემს დანიშნულთან მივედი სანახავათ და შუაღამე გადვიდა, რომ კიდევ იქ ვიყავ დიდის სიამოვნით, მეცა და ჩემი დანიშნულიც. ჩემი სიმამრი და სიდედრი ხომ რასაკვირველია, მაგრამ იმ ღამეს რომ შინ მოვედი, ჩემის დანიშნულის ეშხზე, ჩემი ცხვირის ჩუეულება შევასრულე ჩემი ცოდვა. შემდეგ ძილათ მივწექ და მოსვენებით დავიძინე. მე ეს მიკვირს, ზოგიერთი ქალი ცხადსა ნიშნებს მაჩვენებდნენ ერთობისას, მაგრამ მე არავის გონებას არ ვაძლევდი, მითამ იმათს წადილს მე ვერ ვხედავდი ანუ არ მესმოდა, ამიტომ რომ ჩემი საგანი, მხოლოდ ჩემი დანიშნული იყო და იმის განუსაზღვრელს სიყვარულში ვიყავ გულითსულით.

მე მაინც არასდროს მიქცეული არ ვყოფილვარ სხუა უცხოს ქალებზედ, ესკი იყო, რომ ყოველი ლამაზი ქალი დასანახათ მიამებოდა, მანამდისინ ვუყურებდი ანუ ვლაპარაკობდით, აღტაცებაში ვიყავი ხოლმე, და როდისაც თვალს მოვარიდებდი, მაშინვე დამავიწყდებოდა. ეს ამისთანა ჩემი გრძნობა, ამ ჩემს სიბერეშიაც შემყვა ყოველს ლამაზ ქალზედ. ესეც ცოდვა არის ჩემი, თუმცა დიდი არა, მაგრამ მაინც ცოდვათ ითქმის.

ამ ზამთრობით, ჩუენი ბატალიონი პოლკის შტაბკვარტერაში გაგვისტუმრეს, იქიდგანაც ორი როტა, ერთი ჩვენი და მეორე პირველი როტა სოფელს დმანისში გამოგვისტუმრეს, სადაც იმ ზამთრობით იქ ვიჯექით და გაზაფხულზედ ჩვენი ბატალიონი ისევ ქ. ტფილისში ჩამოგვიყვანეს ყარაულისათვის.

სოფელს დმანისში[1], ჩვენ სამსახურს არას ვაღსრულებდით, მხოლოდ ისე ვიდექით იქ და ჯარი ისვენებდა პახოტიდგან ახლად მოსული. აქ ჩვენ აფიცრები ხანდისხან ღვინის სმისა შექცევითა და მომღერლებით დროს ვატარებდით, არა ისე ბევრი დალევითა, როგორიც ყაბართოსი გაიგონეთ, არამედ ვისაც როგორ იამებოდა, იმთენს ვსვამდით. აქ, ამ სმაში, სულ არავინ არ დამთვრალა, ისე ფხიზლად მხიარულად ვიყავით ხოლმე[2].

---

[1] დმანისისა და ბასქეჩითსა შორის 12-ი ვერსი არის.

[2] ახლა ამ დროს ამ ორ როტაში ვიყავით ქართველები ეს ოთხნი: ორის როტის ადუტანტათ პავლე თუმანოვი, პროპორშიკი გიორგი საგინოვი, პროპორშიკი ია-

ქ. ტფილისში ჩუენი ბატალიონი რომ ჩამოვიდა ქალაქის საყარაულოთა, და თუ მე სამსახურსა არას ვაღსრულებდი, ანუ ჯარის უჩენია (განსწავლა) არ იყო, მე ჩემს დანიშნულთან ვიყავი, სადაც ძველნი თავადები მოდიოდნენ და ჰქონდათ ძველს ამბებზე ლაპარაკი. თუმცა მე იმ დროს ჩემს დანიშნულს გვერდთ ვუჯექი ხოლმე და დიდის სიამოვნით ვიყავით ერთმანეთით, მაგრამ იმ ძველების ლაპარაკსაც არ ვკარგავდი. გარდა ამისა, ჩემი ამხანაგებიც დავიწყებული არა მყვანდნენ, ხანდისხან ერთად შევიყრებოდით და ისე ცარიელის სიამოვნის ლაპარაკით ვატარებდით დროსა.

აი, ამ დროს ჩემი ამხანაგები ვინ იყვნენ? – სარდლისშვილი დავით ორბელიანი, ახალი ჯვარდაწერილი იყო მშვენიერს მანანაზე. მეორე პავლე თუმანოვი, მესამე სოლომან ონიკოვი და მეოთხე მე, საკმაოთაც ვიყვენით ესენი, რომლებშიაც ღვინის სმისა არა იყორა, თვინიერ სიამოვნის ლაპარაკისა. ხან ჩემთან იყვნენ ესინი საღამოს ჩაიზე, ხან დავითთან და ხან სოლომანთან[1]. (სოლომანს ქალაქში ჰქონდა სახლი და შემძლებელიც იყო.)

ასე, ამ სახით ვიყავი მე ქალაქს ამ დროებში, ვიდრე მომავალს 1823-ს წელსა ივლისის რვამდისინ (8-ს) და ამ დღის საღამოზედ ჯვარი დავიწერე ჩემს დანიშნულზე და საწადელს ვეწიენით. ოჰ ბედნიერება![2]

მე სამსახური რაღათ მინდოდა, როგორც დავით ორბელიანი გადადგა სამსახურიდგან, ისე მე, მაგთენი ხანი აღარა მოვიცადერა, რომ მეც გადავდექი. ეს ზევითაც ვთქვი. თუმცა დავითი და მე ერთი ერთმანეთთან დავიდოდით, მაგრამ არა ისე ხშირად, *მაგრამ* კვირაში ერთხელ მაინც, რომელსაცა შორიდგან მესმოდა მირზაჯანას ხშირი კამპანიები, ხან მოქალაქეებთან, ხან ქალაქში მცხოვრებთ თავადებთან და კეთილშობილებთან, სადაც თურმე ყველგან დაჰყვანდა ლუარსაბ და დიდი მსმელობა ყოფილიყო ხოლმე, კარგი ჩხუბებიცა.

კობ კარაევი და მე. ეს ოთხნივ ერთს დიდს სახლში ვიდექით და ერთი გამოღებული ხარჯი გვქონდა ხოლმე. რადგან ისე უძრავათ ვიდექით იქ და სამსახურს არა ვაღსრულებდით, ამიტომ მე ტყის ნადირობა შემოვიღე ნადირებზე თოფით და დიახ ხშირათ დავიდოდი. იქნება ისიც ავწერო როდისმე, ის ჩემი ნადირობანი.

[1] პავლე კი ბატალიონში იდგა ავლაბარს, რადგან ბატალიონის ადუტანტი იყო.

[2] ჯვარი რომ დავიწერე, ის იყო და ისა, რომ ცხვირის ცოდვილობა მოვწყვიტე, ასე რომ ფიქრშიაც აღარ გამივლია.

ერთს შუადღეზე ადრე დავითთან მივედი სანახავათ, ვსხედვართ მე, ის და ლუარსაბ და ვლაპარაკობთ, ამ დროს მირზაჯანა შემოვიდა, მე რომ დამინახა, ამ ხმაურობით მოვიდა ჩემთან.

– „ააა, ალექსანდრე ძლივს არა გნახე, სადა ხარ, რომ არა ჩანხარ? –“[1]

– „ქალაქს, ჩემ სახლში.“ მოკლეთ ვუთხარ.

– „ლუარსაბთან და დავითთან არ მოდიხარ ხოლმე? –“

– „როგორ არა, ხანდისხან.“

– „მაშ აქ რატომ არ შემხვედრიხარ? –“

– „ჰგავს, რომ შენს აქ ყოფნაში, არ მოვსულვარ მე.“

მასუკან ლუარსაბს და დავითს მიუბრუნდა ამ სიტყვით.

– „ლუარსაბ და დავითჯან, ფეთხაინის დეკანოზის ტერტერასშვილს ბაღდასარასთანა ვარ ხვალ სადილათ დაპატიჟებული და მთხოვა: ვინც გინდოდეს მირზაჯან, თან მოიყვანეო. თუ ღმერთი გწამთ, თქვენც წამოდით და ალექსანდრესაც ვთხოვო.“ მერე ამ სიტყვით მე მამიბრუნდა. მე ლუარსაბს და დავითს შევხედე. ლუარსაბმა ჰკითხა.

– „რაო, რა ანბავია? – ვისთვისა აქვს ის სტუმრობა?–“

– „ჩემთვის.“ მირზაჯანამ უთხრა და ამასთან ხვეწნა დაგვიწყო წავსულიყავით. დავყევით. მეორე დღეს სადილობის დროსა, ლუარსაბმა და დავითმა მე გამამიარეს; წავედით და ფეთხაინის ეკლესის გვერდით სახლი იყო ზანიშინიანი, იქ ავედით, სადაც მირზაჯანა და ათამდისინ კიდეც მისულიყვნენ იქა. დავითმა გამიყვანა, ჩუმათ მითხრა.

– „ძმაო ალექსანდრე, მე ვიცი, აქ დიდი სმა მოხდება, შენ ეხლავ ფეხის ადგილი მოიკითხე სად არის, რასაც ღვინოს დალევ, იქ გაგზავნო. სოლომანიც აქ არა გვყავს, რომ იმას ეგ მოეკლა მირზაჯანა.“

მაშინვე გამოვედი და მოსამსახურეს ვკითხე, იმანც წამიყვანა, მაჩვენა ცოტა მოშორებით, სადაც შევედი, მითამ საჭიროებისთვის[2].

რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, სადილათ დავსხედით, მე და დავითი ერთად ვისხედით. შუადღე იყო 12-ი საათი და მეშვიდე დაიწყო, რომ კიდევ ვისხედით და მოდიდრონოს სტაქნებითა ვსვამდით სულ სამ-

[1] აქ ეს უნდა ვთქუა, რომ ისე მცნობი ვიყავ მირზაჯანასი და ერთხელ ჩემს სახლში არ ყოფილა. პირდაპირ სწორეთ უნდა ვთქუა რომ მე ის არ მიყვარდა.

[2] ეს დრო გაზაფხული იყო 1824-ი წელი.

სეს-სამსეს. ამასთან საზანდრები თავის საკრავებით და სიმღერებითა მითამ შეგვაქცევდნენ და როდისაც მღერით დაიღალებოდნენ, დასასვენებლად გასწყვეტნენ, მაგრამ ჩვენ იმათ მაგთენს ყურს არ ვუგდებდით და სმაში ვიყავით. მე ამ სმაში ორჯელ ამოვიღე ღვინო და საჭმელი პირიდგან; ამ უკანასკნელის განთავისუფლებით, მე რომ შემოვედი და დავჯექი, მირზაჯანა და ივანე აქიმოვი[1], რაღაზედაც შესიტყვებულიყვნენ და ჩხუბის ლაპარაკი ჰქონდათ. ივანე აქიმოვი, როდესაც მომატებულს ღვინოს დალევდა, მოუთმენელი და ჭირვეული კაცი იყო, ფხიზელი კი უკეთესი არ უნდოდა. იმის ხასიათი იცოდნენ და ყველანი უთმენდნენ, მაგრამ ამ დროს როგორღაც მომხდარიყო, რომ მირზაჯანაც აპრუწვილიყო და არც ის უთმენდა მომატებულს სიტყვას. ამ დროს უეცრათ ივანემ დაიძახა: ჰი შენი დედა... და ყველით სავსე თეფში ესროლა, წამოცვივდნენ იმ სუფრაზე და დაიძგერნენ, ამ დროს ვიღამაც დაიძახა: ვინც ეგენი გააშველოს, იმისი ცოლდედა, ასე...[2] აბა ვიღა გააშველებდა იმათ, ასე დააოსეს ერთმანეთი ძიძგილობით, რომ თვითონვე ხელი აიღეს ერთმანეთზე. რაც ჭურჭელი იყო სუფრაზე, სულ დალეწეს ლუკმა ლუკმა. იმათ ამ ამბავში, მე, დავითი და ლუარსაბ ჩუმათ გულით ვიცინოდით. პატარახანს უკან ჩაი მოგვიტანეს, დავლიეთ და მასუკან კიდეც დავიშალენით. როგორც გავიგონე, ამის მეორე დღეს ივანე მირზაჯანასთან მისულიყო მირზაჯანას შიშით: ერმალოვთან არ დამაბეზღოსო. შერიგებოდა და სადილათაც თავის სახლში წამოეყვანა.

ამის შემდგომ, ორი თუ სამი კვირა არ გამოვიდა, რომ ლუარსაბ და დავითი სადილათ დავპატიჟე ანჩისხატის ეკლესიის მოახლოვოთ, მდინარეს მტკვარის მომაღლოს პირზედ, კარგს მშვენიერს გაშლილ ვარდებიანს და მწვანოვან პატარას ანტონას ბახჩაში, მირზაჯანა და სხუებიც ათიოდე დავუპატიჟე ლუარსაბ და დავითსა, სადაც მტკვარის მხარეს მოაჯირი იყო ვაზებით დაფარებული გრილს ჩიდილოს ქვეშა და ჩვენზედ მოახლოვოდ წმინდა წყარო ჩაწანწკარებდა თლილს ქვის აუზში.

---

[1] ეს ივანე იყო ძველის დროის თათულა ექიმის შვილი და იყო მირზაჯანას მეგობარი.

[2] ბოლოს როგორც შევიტყე თ˜ა სამარაღდო ორბელიანს დაეძახა ესა. თავის დროზედ იმან უცხო ხუმრობა იცოდა ხოლმე. ის სამარაღდო, იმ სარდლიანთ ოჯახის შვილი იყო და კარგი რიგიანი თავადიშვილიც.

იმ თალარს ქვეშ მოფენილსა მუაჯირზედ დავსხედით და კარგი ქართული სადილი გავიშალეთ. იქ, იმ ჩემს სადილზე სხუებთა შორის მოწვეულნი იყვნენ, ჩემი დედიდაშვილი, *ბატოიშვილის ქეთევანის შვილი* თეიმურაზ, უწინ მუხრან ბატონი ახლა მუხრანსკი და კიდევ სამარაღდო ორბელიანი. სამარაღდომ ცოტას სიცილით მკითხა.

– „ალექსანდრე, ივანე თათულაშვილი აქიმოვი რატომ აღარ დაგიპატიჟნია? –“

ამაზედ ყველამ გაიცინეს და მირზაჯანამ მე აღარ დამაცალა.

– „ჭირვეული ისა? – არსად არ დაიპატიჟება.“

მართლა, მე ის იმისთვის არ დავპატიჟე, რომ ვიცოდი, ღვინოში უთუოთ ჩხუბს უზამდა ვისმე.

მინამ სადილათ დავსხდებოდით, ჩემი დედიდაშვილი თეიმურაზ[1] ლუარსაბმა და დავითმა ცალკე გამოიხმეს და ჩუმად უთხრეს.

– „ძმაო თეიმურაზ, ამ გარყვნილის მირზაჯანასაგან ამთენი ღვინის სმითა ილაჯი აღარ არის და ლამის დაგვაჭლექოს; შენ დღეს ტოლუბაშათ ამოგარჩევთ, როგორც იყოს, აგვაცილე ბევრის ღვინის დალევა, ვისაც როგორც უნდოდეს, ისე ვსვათ სადღეგრძელოები.“

– „თქვე დალოცვილებო, აგრე როგორ გაბმულხართ მირზაჯანასაგან, რომ ყოველთვის მაგის ნებას შვრებით?“ თეიმურაზმა უთხრა.

– „შენმა სიცოცხლემ თეიმურაზ, გვეშინიან არა მოგვიგონოსრა, ერმალოვთან არ დაგვაბეზღოს და იმანაც ჯაჰნამაში [ჯაჰნაბაში] არ გაგვგზავნოს.“

– „ვიცი, ვიცი, – მეც კი მეშინიან. აგრე იყოს, დამაყენეთ ტოლუბაშათ.“ თეიმურაზმა უთხრა და ამასთან კიდეც დავსხედით[2].

---

[1] ივანე მუხრან ბატონის და ბატონისშვილის ქეთევანის შვილი. ესენი იყვნენ ოთხი ძმანი ერთი დედმამისშვილები: კოსტანტინე, თეიმურაზ, გრიგოლ (ამ გრიგოლის ცოტაოდენი ამბავი აქ ზევითაც ითქუა) და დავითი.

[2] ასე შეშინებული ვიყავით მირზაჯანასაგან. ეს სულ ერმალოვის ოსტატობა იყო, ჩვენი ხალხი მონებაში ჰყვანდეს; ჰყვანდა კიდეც და ამისთვის მირზაჯანა იყო იმის იარაღი, რომ ყველგან და ყველაფერში იმას ძალა ჰქონოდა; ჩუენი ხალხი გარყვნილობაშიაც ხომ რასაკვირველია შეყვანდა, რომ უფრო ხალხი ამითი დაეჭირა ამ გარემზომლობითა, თავის ხელში ერმალოვსა. ერმალოვსა სხუებიც ჰყვანდა აგენტათა და შპიონებათ, მაგრამ ეს მირზაჯანა, უფრო იმის სარწმუნო პირი იყო, რომელსაცა დიდათ ენდობოდა მირზაჯანას და ამის ახლო ნათესავსა ღენერალს

სამარაღდოს, იმ სიტყვისა და მირზაჯანას პასუხისა შემდგომ, სადილი გავიშალეთ და დავიწყეთ სანოვაგეს გემოვნება, სადაც საზანდრები საკრავებზე მოჰყვნენ მღერას და ლხინსა. როდისაც რომ თვითო ღვინო დავლიეთ, ლუარსაბმა დაიძახა.

– „საზანდრებო, მღერა და საკრავი დააყენეთ.“ დააყენეს. მასუკან სტაქანი ღვინით აამსებინა და დაიძახა.

– „მუხრანის ბატონო თეიმურაზ, ღმერთმა გადღეგძელოს და ამასთან ტოლუბაშათ ამოგვირჩევიხარ. შენ იცი ახლა როგორც გაგვატარებინებ დროსა.“

ერთიანათ: „მოგვილოცამს, მოგვილოცამს.“ და სამსე სტაქნებით ღვინო დავლიეთ ყველამ. თეიმურაზმაც სტაქანი ღვინით აამსებინა ამ სიტყვითა.

– „ძმებო, მეც მაგისთვის გმადლობთ, მაგრამ ესკი უნდა გითხრათ, რომ რამთენიც უნდა ვსვათ ჩვენ ღვინო, ჩვენ იმას ბოლოს ვერ მოვუღებთ, სულ ვერ დავლევთ და ისკი დაგვლევს ჩვენა. კარგათ იცით, მე არავიზედ ნაკლებს ღვინოს არ დავლევ; რაკი სმა იქნება, ბევრს დავლევ (სმაში ბევრსა სომდა ხოლმე.) და მისვამს კიდეც. მაგრამ მე იმისგან ვერა გამოვიტანერა, მოდით, დღეს ვისაც როგორ უნდოდეს, ისე ვსვათ ყველას სადღეგრძელო?“

ლუარსაბმა და დავითმა მიატანეს.

„ძალიან კარგი იქნება.“ ამასთან ყველამ: კარგი იქნება, კარგი. თუმცა მირზაჯანას არ იამა, მაგრამ ისიც დაჰყვა.

იმ დღეს ჩვენი სადილი კეთილი, მშვიდობიანი სადილი იყო, ისე მხიარულათ შევიქნეთ ღვინით და ჩქარაც გავათავეთ სადილი. – სადილს უკან, ყველა მუთაქაზე მიწვნენ, დაიძინეს, მეკი მოაჯირზე ზურგი მიყუდებული მქონდა მტკვრისაკენ და ბაღჩის ვარდებს ვუყურებდი გაშლილს. ამდროს, ახლოს მეზობლის სახლის ბანითგან, ერთი ლამაზი მოახლე[1] მოდგა ბანის პირზე, ტუჩებზე ხელი დაიდო, კოცნა მანიშნა, მერეთ მდაბლად თავი დამიკრა, მასუკან გასწია და წავიდა. მე ეს უცნაურათ მეჩვენა, მაგრამ ცოტა ღვინო

მადათოვსა. ეს ორნი დიდს როლს თამაშობდნენ ერმალოვთან და ამ მირზაჯანას გამცნობი ერმალოვთან, პირველათ იყო ის თავის ნათესავი ღენერალი და იმან დაახლოვა ერმალოვსა მირზაჯანა. მე და დავით ამ ამბებსა სულა ვკრეფდით, რომ ბოლო დროს მე ისინი ამეწერა. მე დავითი ძალიან და დიდათ დამაკლდა, მე და ისა ერთი აზრისანი ვიყავით საქართუელოსათვის.

[1] იმის სახელსკი არ ვიტყვი, ვისი უნდა ყოფილიყო ისა და არც სახლსა.

ნასვამს გული ამიღელდა. პატარახანს უკან კიდევ მოდგა, კიდევ ისე მანიშნა და წავიდა. ასე რამთენჯერმე მოდგა ნიშნით და მეც გავუქნევდი ხოლმე ხელსა ნიშნებისას, მითამ დავყევი იმის სურვილს. რას ვიფიქრებდი, დავითს თურმე გაღვიძებოდა და ამ ამბავს გვიყურებდა. ბოლოს წამოდგა, გაცინებით მოვიდა ჩემთან, მითხრა.

– „ძმაო ალექსანდრე, ეს რას ამბავში ხარ შენა და ან ის ლამაზი გოგო ვინ არის?–“

– „შენმა სიცოცხლემ, არ ვიცი ვისი უნდა იყოს და სახლი შენც ხომ იცი ვისი არის, თუ იქნება, იმათი მოახლე“.

ამდროს კიდევ მოდგა ის მოახლე, მე და დავით ერთათ მსხდომნი რომ დაგვინახა, მაშინვე გატრიალდა, სიჩქარით გაიქცა. დავითმა და მე ამაზედ ბევრი ვიცინეთ. მასუკან ლაპარაკს მოვყევით, როგორც სანდო მეგობრები და ძმები; მინამ ისინი გაიღვიძებდნენ, სულ გულახდილს ლაპარაკში ვიყავით. საღამო ჟამზედ ჩაი მოგვიტანეს და შემდგომ ყველანი თავ თავისად წავედით, ყუელანი კმაყოფილები, მირზაჯანას მეტი: რატომ ღვინით არ დავიხოცენით.

შინ რომ მოვედი[1], ჩემი ეკატერინე ვიკითხე, მითხრეს: ბატოიშვილი დედი თქვენის კაცი მოუვიდა, დაებარებინა და თავის დას ქეთევან ბატონიშვილთან წაიყვანაო. თეიმურაზ ხომ გახსომთ, იმის დედასთან[2].

მე მაშინვე გამოვტრიალდი, წამოველ. იყო სრული მთვარიანი საღამო და ჩქარა მოვიდოდი. სადაც იმ მოახლის ბატონის სახლი იყო, იმ პატარა ვიწროს ქუჩაში უნდა გამეარა და იქითკენ წავსულიყავ. არ ვიცი, იმ მოახლეს საიდგან შემოესწრა თუალი ჩემთვის და თავიანთ სახლის კარებშიკი გამოვიდა იმ დროს, როდისაც მეც მივედი და მითხრა.

– „ყმაწვილო, ამ მთუარიანს ღამეში სად მიბძანდები? –“

– „შენთან მოვდივარ.“ მეც ეს უნებურათ ვუთხარ.

– „კარგი წმინდა ტყუილი კი გცოდნია შენ.“

– „რათა როგორ? –“

– „მე ხომ ვიცი სად მიდიხარ.“

---

[1] ამდროს კიდევ ჩემ სიმამარ სიდედრთან ვიყავი ცოლით, იმათ სახლში.

[2] ჩვენი და ჩვენი მოყვრების სახლებს, ერთი კედელი ჰყოფდა ეზოებს შუა, ასე ახლოს ვიდექით ჩემს სიმამრ-სიდედრზე.

– „აბა სადა?“

– „წეღან ბატონიშვილი და თქვენი კნეინა მიდიოდნენ ბატოიშვილს ქეთევანთან; რათ მატყუებ. შენც იქ მიდიხარ.“

– „არა, არა. შენთან მოვდივარ.“ და ხელი წავატანე. ის მოახლე ხელში დამიდნა და კარებში ჩაჯდა. მე იმდროს და იმ წამს ასე მეგონა: თავში რაღაც კუნძი დამცეს მეთქი და ტანში რაღაც ერთმა ცივმა ჟრუანტელმა დამიარა, საიდგანაც საჩქაროთ გავტრიალდი და წავედი. თუმცა ჩემი თავის უკმაყოფილო, მაგრამ მაინც მადლობელი ღვთისა, იმან გამამიხსნა, რომელსაცა იმის შემდეგ, ის მოახლე აღარ მინახავს. აი ესეც ცოდვა არის ჩემი. მირზაჯანას მოსამადრიელებლად ბევრსა, ბევრი სადილები ჰქონდათ ხოლმე მირზაჯანასათვის და მეც მირზაჯანა ხანდისხან გამირევდა თავიანთში. ჩემი საქმე იმას გვანდა: ურიასთან ურია ვიყავ. ის მირზაჯანა ჭეშმარიტად ურია იყო, ერმალოვისაგან შემოჩენილი ჩვენს გასარყვნელად და საძაგელის აზრების ჩასანერგად. *ეწივნენ საწადელსა.*

ამ ხანებში, ერთს საღამოს ბინდზე მირზაჯანას ბარათი მამივიდა: შენი ახლო ნათესავები, შენი მეგობრები ლუარსაბ და დავით ჩემთან არიან ამ საღამოს ჩაიზედ და ვახშმათაც, და შენცა გთხოვ ამათი პატივისცემისათვის შენც მოხვიდე ჩემთან. ისინი ეხლა აქ არიან და მაგ მოსამსახურეს თან გამოჰყევ, ჩაის შენ გელითო. წაველ, მაგრამ მოსამსახურემ იმის სახლისაკენ არ წამიყვანა, სხუას ერთს ვიწროს ქუჩაში[1], სადაც ერთს დაბალს კარებში შევიდა და შევყევ, კარები საჩქაროთ მიკეტა, პატარა ეზო გავიარეთ და მოაჯირიანი პატარა სახლი იყო, იქ კიბეზე ავედით და ერთს კარგს მოდიდოს კარებლია უცხოთ მოფენილს ოთახში შემიყვანა ქონის სანთლებით განათებულში, სადაც ზევით კუთხეში დორზედ მისვენებული იჯდა ერთი მშვენიერი ქალი, რუსულათ ჩაცმული, პირისფერი კაბა ეცვა, თეთრი მრგვალი პირი სახე ჰქონდა, რომელსაცა შავი ბრწყინვალე თვალები უბრწყინავდა და შავნი თმანი ჩამოშლოდა მღელვარობით სპეტაკს ორსავ მკერდზედ. ის ბრწყინვალე შავი თვალები ჩემკენ ნაზათ გადმოიბრუნა და ნელიადის საამოს ხმით მთხოვა.

– „კნიაზო, ინებეთ მობძანება ჩემთან.“

ეს სიტყუა მე თავში ამვარდა, ვიფიქრე: ვნახოთ რა იქნება

[1] ჩვენს სახლზედ არა შორსა. ეხლა რომ ნახშირის მეიდანს უძახიან, იქ ერთს პატარას ვიწროს ქუჩაში.

მეთქი? ამასთან, მივედი და მოშორებით დავჯექი, სრულიად ცივის გულით. პირველად იმ მუახლემ ისე დამარბილა და ამ მშვენერებასთან ასე ცივათ ვიყავ, პირველშივე მე ის არ მამეწონა. მითხრა.

– „კნიაზო, აგრე მოშორებით, რათ დაჯექით ჩემზე? –“

– „მე აქ მირზაჯანა მადათოვი მინდა, დაპატიჟებული ვარ იმისი.“

– „არა, იმისი დაპატიჟებული არა ხართ, მე გთხოვეთ.“

– „მირზაჯანას კაცი და ბარათი მამივიდა.“

– „მირზაჯანას კაცი თქუენა ნახეთ? –“

– „იმან მამიყვანა.“

– „რა იქნა ის? –“

– „ამ ოთახის კარამდინ მამყუა, აღარ შემოვიდა.“

– „იცნობთ იმ კაცს თქუენა? –“

– „ორმოცი მეტი *ჩათუქესანი* მოსამსახურე ჰყავს იმას, ყველას რათ უნდა ვცნობდე. ვცნობ იმის ორს მოსამსახურეს, რომლებიც იმას ხელზედ ემსახურებიან, სხვას ვერავის.“

– „დაწერილი ბარათი იმის ხელი იყო?“

– „იმის ხელსა ჰგვანდა, მხოლოდ აჩქარებითკი იყო დაწერილი და ხელიც მოეწერა: მირზაჯანაო.“

– „ჩემი სახელიც, მირზაჯანა არის.“

– „უთუოთ მადათოვიც იქნებით და ერმალოვის შინაურიც.“

ახლა გაცინებით გამოცვალა ლაპარაკი.

– „კნიაზო, ნუ მტანჯავ, ცეცხლში ნუ მწვამ.“

– „მე? ღმერთმა დამიფაროს.“

– „რახან ღმერთმა დამიფაროს. გაგიჟებული ვარ მე თქვენთვისა.“

– „სრულიად სიგიჟე არ გეტყობათ, ძალიან გონიერულათ ლაპარაკობთ.“

– „ძალიან მიყვარხარ, ამაღამ აქ ჩემთან ბძანდებოდეთ.“

– „ვიქნები და ამ ცარიელის ლაპარაკის მეტსა, სხუას არას დავაგდებ აქ თქვენთან.“

ამ სიტყუაზედ მეორეს ოთახიდგან, მაღალი ბრავო და ტაშის კვრა მამესმა რამთენიმე ხმისა. ამასთან შევხედე, ლუარსაბ, დავითი და მირზაჯანა გამოვიდნენ, ორივ კიდევ მირზაჯანას მეგობრები და ჩემკენ სიცილით წამოვიდნენ. წამოვხტი და მივეგებე იმათ, ამ სიტყვითა.

– „თქვე წყეულებო, მე რომ ამ ქალს მოვეტყუილებინე და გუ-

ლაღელებული ამისთვის ხელი მეტაცა, მე ხომ თქვენი სასაცილო შევიქნებოდი და ქვეყნისაც.“

– „არაფერი, გავიცინებდით და ის სიცილი გაივლიდა. გარწმუნებ, არცარავის ვეტყოდით ამ ამბავსა და ეხლაც ჩვენში დარჩება ეს ამბავი.“ მირზაჯანამ მითხრა და იმასვე დაეწყო ეს ამბავი ჩემთვის, მინამ მივიდოდი: მითამ სახუმრებლად მოეგონებინა ჩემთვის ესა.

პატარახანს უკან მირზაჯანამ ალერსი დაუწყო იმ ქალს, მე დავითს კაბის კალთა გამოვწიე, ვანიშნე, მოაჯირზედ გამოსულიყო და წავედი. დავითიც თან გამამყუა, ვკითხე.

– „ის ქალი ვინ არის? –“

– „უნამუსო.“ დავითმა მითხრა.

– „აქ ამთენს კაცებში რა უნდა? –“

– „მირზაჯანას ამასთან ვახშამი გაუკეთებინებია.“

– „და ჩუენ რაო, რიღასთვისღა ვართ აქა?“

– ასე იამება, ჩუენი შააბაზის ვეზირია მირზაჯანა.“

– „მოდი, მე წავალ, არ დავდგები.“

– „ნუ, შეინჭიმე ძმაო.“

– „კარგი, შენის გულისათვის დავრჩები, მაგრამ ის ხუმრობა რათ გამიკეთეთ? –“

– „თვითონ მირზაჯანამ; ჩვენ ფიქრშიაც არ მოგვსვლია.“

– „მასუკან ღმერთი რომ გასწრყომოდა ჩემს ცოდვას?“

– „გეფიცები, დაგიძახებდი: ალექსანდრე რას შვები მეთქი და ამასთან კიდეც შემოვიდოდი.“

– „ეგ რა გამოქნილი და ჭკვიანი ქალი ყოფილა? –“

– „ძალიან. მირზაჯანასა ჰყავს ახლა, მინამ არ მოსწყენია.“

– „ვინ არის, სადაურია? –“

– „არც მე ვიცი, მირზაჯანას არ უთქუამს და არც ჩვენ გვიკითხამს? – ამით მესამეთ მოგვიყვანა მირზაჯანამ აქ და ეხლა რომ აქ მოვედით, თვითონ მირზაჯანამ გიგონა შენა: მოდით ისიც დავპატიჟოთ. და ამასთან ის ოინიც დააწყო შენზედ, მაგრამ ბარაქალა, ჩემო ძმაო ალექსანდრე, როგორიც ყოჩაღი ხარ, ისე ყოჩაღურათაც მოიქეც და შეარცხვინე მირზაჯანა.“

– „მაგ შეჩუენებულს, თუ თავისთვის ჰყავს ეგ უნამუსო ქალი, ჩემთვის როგორღა იმეტებდა? –“

– „მაგისთვის ქუეყანაზედ სიწმინდე არარის. ოღონდ მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხი გარყვნილობაში შეიყვანოს და შეიყვანა კიდეც, თორემ ვინც აქა ვართ, თვითოსათვის ეხლავ თვითოს მოაყვანინებდა; მაგას ეს ჩუენთვის ვერ გაუბედავს, გვითხრას და ვიციკი რომ დიდათ უნდა, ჩვენც თვითო უნამუსო გვიჯდეს გვერდით, მაგრამ ის საწადელსკი ვეღარ მიეღწევა. დანარჩენი ვნახოთ, რა იქნება, ამიტომ მოვიცადოთ აქა და კარგათკი აკრიფე, რაც ნახო და არც დაივიწყო.“

– „ხომ იცი, რომ ჩემი სურვილიც ეგ არის, დავრჩები აქ და თავის დროზედ ავწერ ჩემო ძმაო დავით.“

– „უთუოთ, უთუოთ.“ და შევედით სახლში.

მირზაჯანა კიდევ იმ ქალის ალერსში იყო, ხან კოცნითა და ხან ხვევნითა, ბოლოს ჩაი მოგვიტანეს, ამან მირზაჯანა გონებაზე მოიყვანა, ჩუენკენ გადმოვიდა და ჩვენ მწკრივათ დასხდომილი რომ გვნახა, ისიც ჩვენთან დაჯდა. მაშინ ალავერდას მეტი საზანდარი სხუა არავინ ჰყვანდა მირზაჯანას იქა[1], რომელმაცა უთხრა.

– „აბა ჩემო ალავერდი დაჯექ, შენი თარი გამართე და შენებურათ კარგათ იღუღუნე. ამასთან იმ ქალს დაუძახა, თავის გვერდით მოისო და იქ ჩაიც ჩამოგვირიგეს.“

მართლა, ალავერდა ასეთს ყიზილბაშურს საამოსა ხმების სიმღერებსა მოჰყვა, რომ ყველანი სასიამოვნოს ფიქრით დაგვაფიქრა, რომელმაცა ერთი საათი მეტი, ამ მშვიდობიანის საამოსა მღერით გაგვატარებინა, ისე რომ ერთი კრინტი ხმა არავის ამოუღია. სიმღერის გაწყვეტასთანვე, ვახშამიც გაგვიშალეს.

აქ ღვინის სმა მაგთენი არა იყორა, ამიტომ რომ მირზაჯანას ასე სურდა, იმის ნება ასე იყო. მხოლოდ ის იმ ქალს უალერსებდა, იმის ტრფიალებაში იყო და ჩვენ ისე შევყურებდით გაოცებით მირზაჯანას. თან ალავერდა სიმღერას ამბობდა. ბოლოს შუა ვახშამზედ, მირზაჯანამ იმ ქალს ხელი დაუჭირა, მეორეს ოთახისკენ წავიდნენ, იმ ოთახში შეიარეს და იმის კარები მაგრა რომ მოგულა, აქ ჩვენ ყველამ თავები დაბლა ჩავკიდეთ. ამ დროს ალავერდამ ეს სიმღერა

[1] ის ალავერდა ქალაქ თფლისის აბანოებისაკენ იდგა, იყო თათარი, მაგრამ ქართული ისე იცოდა, როგორც კარგმა მცოდნე ქართველმა და დიახ კარგი საზანდარიც იყო. სპარსული და თათრული ხომ რასაკვირველია კარგათ იცოდა. მეფის ირაკლის დროინდელი საზანდარი იყო, იმასთანაც ბევრჯელ ემღერა, კარგა ხნიანი კაციც იყო ამ დროს, მაგრამ მაინც კიდევ საუცხოვოთ მღერობდა.

დაიძახა უბედურის ბატოიშვილის დავითისა ეს ლექსი, რომელთაცა თავჩაღუნულებს ჩუენა, ცრემლები მოგვერია თუალში.[1]

ბოლოდროს ოთახიდგან გამოვიდნენ ისინი, გაწითლებულ გაჭარხლებულები, მოვიდნენ და თავის ადგილს დასხდნენ კმაყოფილებით. ჩვენ თუმცა ვმხიარულებდით, მაგრამ ვაი იმ მხიარულებასა. ასე ამ ყოფით ის ვახშამი გავატარეთ და ვახშამს უკან სუყველანი ერთათ გამოვედით, მირზაჯანას მეტი, ისკი ისევ იმ ქალთან დარჩა.

კარზე რომ გამოვედით, იმ მირზაჯანას ორ მეგობრებთაგანმა ერთმა უკმაყოფილოდ თქუა. ეს პირველი იყო, აკოფა ანშინაშვილი, სომეხი.

– „არა, მაგ მამაძაღლს ყარაბაღის ვირსა ჰკითხონ, ეს რა მეგობრობა არის, ამ ვახშამზე უნამუსო დედაკაცსა ჩუენს თავზედ ასე უყო...“ ახლა მეორემ, ესეც სომეხი, ბასტამ ბასტამაშვილი. – ერმალოვის მამასაც და მაგ მირზაჯანას მამასაც ძაღლმა ასე უყოს იმათ საფლავებზე.“

ესენი იყვნენ ჩვენი კარგი რიგიანი მოქალაქეები, რომლებიცა მოვიდოდით და იმათ ამგვარს ლაპარაკზე ვიცინოდით ჩვენა. ბოლოს გავიყარენით და თავთავის სახლებისკენ წავედით.

ამის შემდგომ რამდენიმე ხანი გამოვიდა, დავითს ვკითხე იმ ქალისა მირზაჯანასთან, მითხრა.

– „როგორც გითხარ, ის ქალი იმას მოსწყინდა, მასუკან აიღო და ერთს მოქალაქის შვილსა დაუსო ხასათ; ეს პირველი არარის იმისაგან და ახლა კიდევ სხუა ჰყავს იმას.“

– „ახლა რომ ჰყავს, იმასთანკი არ წაგიყვანსთ ხოლმე თქუენა? –“

– „არა. ახლა რიგიანი ვიღაცა ჰყავს და იქ დადის კლდის უბნისაკენ.“

ამგვარი მირზაჯანას ამბავი ბევრი არის; ერმალოვის შემდგომ, იმ მირზაჯანას ამბავი ხომ ზევითაც გავიგონეთ, მაშ იმისი ვითარება დანახული არის აქ ყუელა, ამისთვის იმათ შორის ამ უკანასკნელსაც ვიტყვი და ამითი გავათავებ იმის ამბებს, ამ ჩვენი ქვეყნის ხალხის გამრყვნელისას.

ერთს კვირა დილაზე ანჩისხატის ეკლესიისაკენ მივიდოდი წირვაზე, ეკლესიის მახლობლად მირზაჯანა დამხვდა, თავის დაკვრის

[1] რად ამ უბედურსა მხუედრსა შევესწარ, და სხუანი...

და ხელის მიცემისა შემდეგ ვკითხე.

– „მირზაჯან, საიდგან მოხვალ და ან საითკენ მიდიხარ?“

– „წირვაზედ, ანჩისხატში.“ იმან მითხრა.

– „რას ამბობ, ჯერ თქუენს სომხების ეკლესიაში რომ არ დადიხარ, აქ ჩუენს წირვაზე რა გინდა? –“

– „მინდა ქართველად მოვინათლო.“

– „როგორ თუ ქართველად!“

– სწორეთ ქართველად.“

– „რათა კაცო? –“

– „ჩემი ცოლი მინდა გაუშო და ის ქართველის თავადის ქვრივი შევირთო ს.....

– „კაცო, გაგიჟებულხარ.“

– „მერწმუნე, მართალს გეუბნები.“

რაღა გავაგძელო, ეს ქვრივი ქალი ამით გაებრიყვებინა და ამით შეჰპარვოდა. ამდროს ზედდატანებით ყარაბაღიდგან ანბავი და წიგნი მოუვიდა: შენი ცოლი დაწვა და ქალი ეყოლაო[1]. ამ წიგნით მისულიყო იმ ქვრივის ქალთან და მითამ დიდის მწუხარებით ეთქუა: რავქნა, ახლა აღარ შეიძლებაო. აქამდისინ ამთენი წელიწადები უშვილო იყო ჩემი ცოლი და ჩვენში ცოლის უშვილობით შემეძლო გაშვება და სხვის შერთვა, ახლაკი აღარ შეიძლებაო.

იმ ქალს ბევრი ეტირა, მაგრამ რაღას უშველიდა, მერე ჰკითხა თურმე.

– „იმის ორსულობის შემდგომ, რაღათ მომატყუე, რა გინდოდა ჩემგნით, რაზედ გამაბიაბრუე ქვეყანაში? –“

– „იმის ორსულობა მე არ ვიცოდი. ამას წინათ ყარაბაღში ვიყავი, მაშინ დაორსულებულა და იმის ორსულობა ჩემთვის არავის მოუწერია.“

დაიჯერებთ ამას იმისაგან, არა სცოდნოდეს? – ამ გვარის ლაპარაკის რწმუნებითა, კიდევ დარჩა იმ ქვრივ ქალთან რამდენიმე ხანი და მასუკან ჩუეულებისამებრ მოსწყინდა იმაზედაც ხელი აიღო.[2]

აი ჩვენი შააბაზის ვეზირი მირზაჯანა.

ამის გარდა სხვა ყმაწვილკაცებთანაც მქონდა მეგობრობით

---

[1] როგორც გამეგონა მირზაჯანას ცოლი: უცხო პატიოსანი დედაკაცი არის და მშვიდობის მყოფელიო. თვალითკი არ მინახამს მე ის.

[2] ბოლო დროს ის ქვრივი ქალი კარგმა თავადმა შეირთო.

დამოკიდებულება ჩემს მახლობელ ნათესავებთან (ამათი სახელი ზევით ითქვა,), მაგრამ იმათთან უფრო მშვიდობიანი შექცევანი იყო ხოლმე. თუმცა მართალია, ღვინოსაც კარგათ დავლევდით, მაგრამ არა ისე, როგორც მირზაჯანასთან, იმის თანა დასწრებითა გვქონდა ის უზომო ღვინის სმანი, რომელსაცა მე ამას მოკლეთ ვანბობ, რომ ჩემს მახლობელს ნათესავებთან ჩემი შეცთომილებანი, ანუ ცოდვანი არა არისრა, თვინიერ მშვიდობიანობისა და პატიოსნობისა შექცევანი, მაგრამ ამის შემდგომ აქვე გაიგონებთ, ჩემს უძლურებას, ჩემს შეცთომილს ცოდვას და ამითი მე დიდი დასჯის ღირსი ვიყავ.

ამაში გავიდა კარგახანი, ამ დროებში მე ერთი თათარი[1] მოვნათლე ჩემი ნათესავების თხოვით, ის იდგა სომხების ჯიგრაშენის ეკლესია ანუ ფრანგების ეკლესია რომ არის, იმაზედ მოახლოვოდ ერთს ქუჩაში, ერთს პატარას ოთახში, რომელთანაც ხშირათ მივიდოდი და ვაძლევდი საცხოვრებელს, რაც შემეძლო. იმას ჰყუანდა ხასათ ერთი დედაკაცი, სქელი მომაღლო ტანისა, ხორბლისფერი, მოგძელო პირი სახე ჰქონდა, თხელი მწვეტიანი ცხვირი და წყალის ფერი პატარა თუალები. მე ეს პირველათ რომ ვნახე, რიგიან დედაკაცათ მეჩვენა და ვფიქრობდი: ამ ჩემს ნათლულს ამ დედაკაცზედ ჯვარს დავწერ და ჩემს სოფელში დავაყენებ მეთქი.

მე იმათთან ერთს საღამოჟამზედ, ბინდმა რომ ჰკრა, კიდევ მივედი, იმ დროს იმ დედაკაცმაც სანთელი აანთო და ამ დროს მეც ვუთხარ.

– „მშვიდობა შენი ნახუა დედავ მ...“

– „ქა გენაცუალე, თქვენა ბძანდებით? –“ იმან მიპასუხა.

– „დიახ მე ვარ, მაგრამ ჩემი ნათლული[2] სად არის? –“

– „ეხლა ეს არის სხუაგან დაჰპატიჟეს ვახშმათ და იქ გიახლათ. დაბძანდით გენაცუალე.“

საფენს გაშლილს ტახტზე დავჯექ და იმანაც ფანჯარაში ჩადგა სანთლიანი შანდალი.

– „დედავ მ... ფული არგინდა? –“ ამასთან ჯიბიდგან ორი მანათი ამოვიღე, მივეცი.

– „ღმერთმა გადრეგძელოს, თქვენი მფარველობა ნუ მოგვაკ-

[1] ეს თათარი იყო დარბანდელი და შემთხვევისა გამო მოსულიყო აქ ქ. ტფილისში.
[2] თათრობის სახელი, აღა ერქუა და ჩვენი ქრისტიანობისა, ნიკოლოზ დაარქუეს.

ლოს. მაგრამ ერთი მოსახსენებელი მაქვს თქვენთან, თუ არ გეწყინება მოგახსენებ? –“ მითხრა დამკრთალად.

– „თქვი დედავ, რა საქმეა? –“

– „შენიჭირიმე, აქ მახლობლად ერთი ყმაწვილი ქალი გახლავს, ქმრიანი, უშვილო, მოქალაქის ცოლი, მეტი მშვენიერი. იმას მეტის-მეტათ უყვარხარ, ყოველთვის თქვენს ხსენებაშია, მეხვეწება: მაჩვენე როგორც იყოსო.“

ამაზედ ჩემი გონება აირია, ვკითხე.

– „უთუოთ უნამუსო იქნება? –“

– „არა თქვენს მზეს ვფიცავ. დიახ პატიოსანი ქალია, მაგრამ თქვენის სიყუარულით ვეღარა გაუგიარა და უშვილოც არის.“

– „დედავ, მე სად უნახივარ იმას? –“

– „აქ ჩვენთან რომ მობძანდები, აგერ აიმ ბალკონიდგან, თქვენ გიყურებთ ხოლმე[1].“ გაზაფხული იყო და გაღებულის კარებიდგან პირდაპირ ერთი ბალკონი დამანახვა. შევხედე, მართლა ერთი საგანი დავინახე, მითხრა.

– „სწორეთ აგერ ა ის არის.“

უძლურო და სუსტო ჩემო გულო.

– „შეიძლება, რომ აქ ჩამოვიდეს? –“ მე ვუთხარ იმას.

– „როგორ არა, ჩემთან გიახლება ხოლმე.“

– „იმის ქმარი შინ იქნება ეხლა.“

– „არა, ჩემი ქმარი და იმ ქალის ქმარი ერთათ გახლავან დაპატიჟებული სხუაგან.“

– „მაშ ჩამოვა ის ქალი აქ? –“

– „თუ მიბძანებ, დიახ სიამოვნით.“

ამაში და ამ გუარებში ჩემი გამოუცდელი გული, ადიოდა და დადიოდა ღელვით, გულისღელვით ვუთხარ.

– „აბა თუ ჩამოვა? –“

ამ სიტყუაზედ, კარზედ გავიდა და კარები გაიხურა. მე აქ მეგონა: ნემსზე დავჯექ-მეთქი. აღარ ვიცოდი, სად ვიყავ, სად არა. ამაში კარები გაიღო და ერთი მინაზებული მშვენიერი ქალი შემოვიდა, მწვანე ატლასის კაბიანი; მოვიდა და ჩემს პირდაპირ სკამზე დაჯდა, მაგრამ ტანი და ხელები სულ უთრთოდა. მეც იმაზედ ნაკლებათ

[1] ის სახლი იმათ ქირით ეჭირათ, მასუკან სხუა მხარეს გადვიდნენ, ამ შემთხვევის ორის წლის შემდგომ.

არ. ის დედაკაციკი აღარ შემოვიდა.

ბოლოს გონებაზედ მოველ, ვკითხე.

– „ქალო რა გქვიან შენ? –“

– „ელ... “ აკანკალებულს ნაზის სიტყვით მიპასუხა.

– „ვინახარ, ვისი ცოლი? –“

– „შენიჭირიმე ნუ მკითხავ. ისიც დავაშავე, ჩემი სახელი გითხარ.“[1]

– „მოხვალ ქალო ჩემთან? –“

– „ოჰ, რას მეუბნები? – მოვალ, მაგრამ ვკვდები სირცხვილითა.“

ათრთოლებული ხელი გავუშალე, ათრთოლებული ხელი ხელში მამცა და ჩემკენ გადმოვიყვანე ტახტზე.

თურმე რა იყო, იმ ქალისაგან თავის გაცემა? – ოთხი წელიწადი გასულიყო, შვილი არა ჰყოლოდა იმ ქალს, რომელიცა იმის ქმარი დიდათ სწუხდა, უშვილო ჰგონებოდა ის ქალი და ამის გამო გასცა თავის თავი ჩემზედ და არც შესცდა.

ბოლოს იმ ჩვენმა სურვილმა რომ გადაიარა, ორთავ ამოვუშვით ტირილი, მე ჩემს ღალატს ვტიროდი ცოლისას და ის ქმრისას. როდისაც გული დავიმშვიდეთ, მითხრა.

– „მე ისე ვგრძნობ, რომ უთუოთ დავორსულდი და ვინიცობა არის, თუ ერთმა თვემ გადაიარა უნიშნოთა, მაშინ დაძმასავით ვიყვნეთ, უმდაბლესათა გთხოვ; თუ არა და, კიდევ ღმერთი უნდა გაუწყრეს ჩემს ცოდვასა. მე ამის პირობას მაძლევთ თუ არა? –“

– „თუმცა მძიმე არის ჩემთვის ეგ სიტყუა, ამიტომ რომ მე ჩემს დღეში, ჩემის ცოლის მოღალატე არა ვყოფილვარ, მაგრამ რახან შვილიერებისათვის გინდათ, აგრე იყოს.“ – ამ ერთის ნახვით ღმერთმა შვილი მისცა იმ ქალს ვაჟი და მშვენიერიც, რომელიცა ბოლოდროს ის კარგი სასარგებლო კაცი შეიქნა თავის სახლისა. იმის შემდგომ მე ის ქალი იშვიათათ შემხვდებოდა, იმდროს ისიც და მეც პირს ვარიდებდით ერთმანეთსა.

მე რომ იქიდგან წამოვედი, სვინიდისი მტანჯავდა, აღარ ვიცოდი ზეცაში ვიყავ, თუ ქვეყანაზედ. მეტის მწუხარებით, გარეთ–უბანს გავედი და ქაშუეთის ეკლესიის მახლობლათ სიარული დავიწყე: ეგება ეს მწუხარება გულიდგან გადამეყაროს მეთქი. ბევრი ვიარე, კარგა ღამე გავიდა, შინათკენ პირი ვეღარა ვქენ სირცხვილისა გამო. ვიყავ კარგახანი ამ მდგომარეობაში.

---

[1] მე მაინც შევიტყე ვინ იყო ის და ან ვისი ცოლი.

რა უნდა მექნა, ბოლოს შინ ხომ უნდა წამოვსულიყავ და წამ-ოველ კიდეც, მაგრამ თავდახრით დაფიქრებული. ჩვენი სახლის ეზოში რომ შავედი, ასე მეგონა: რაღაც ზარი დამცესმეთქი. შემდ-გომ, შინაც რომ შევედი, ასე მეგონა ყიჟინა დამცეს: სირცხვილია, სირცხვილიო.

ბატოიშვილს დედა ჩემსა, თავის რძალი ჩემი ცოლი გვერდით უჯდა, სხუა არავინ და ორნივ სიამოვნით საუბრობდნენ. ბატოიშ-ვილმა დედამ რომ შამამხედა, მიბძანა.

– „რატომ აგრე ხარ ალექსანდრე, სახე გადაფითრებული გაქვს? –“

– „როგორღაც მოშლილი გახლავარ და თავიც მტკიცა.“ სხუა რა უნდა მეთქუა, სწორეთ ასეც ვიყავ. მასუკან ჩემი კატინა წამოდგა, მეორეს ოთახში გამიყვანა, მითხრა.

– „სანდრო, ქვეშაგებს გაგიშლევინებ, დაწვე კარგი არის, ცოტა ოფლი მოგივიდეს.“

– „სანდროს მეძახი მე? – ეშმაკი ვარ ეხლა.“ გაჯავრებით და-ვიძახე.

– „ქა გენაცვა, რა დაგმართვია? –“

– „არაფერი, გეთაყვანოს ჩემი თავი, – თავი მტკივა.“ და ცრემ-ლები გადმოვყარე.

– „შენი სულის ჭირიმე, მაგისათვის რა გატირებს, კარგათ შეიქნები.“ საჩქაროთ საწოლში შემიყვანა, თავის ხელით ქვეშაგები გამიშალა, თავის ხელით ტანისამოსი გამხადა და დავწექი.

იმ ღამეს ვახშმისათვის ვიღა იფიქრებდა, სულ ტანჯვაში ვიყავ. ჩემი კატინა ჩემთან აღარ დავაწვინე, შორი ახლოს სხუა ქვეშაგები გაუშალეს და იქ დაწვა.

ამის მეორე დილაზედ, ჩემმა კატინამ, რომ გაიღვიძა, ჩემი კარგა მყოფობისა მკითხა, მეც სიკეთე ვუთხარ ჩემი, მაგრამ რა სიკეთე? თუმცა ცოტათ მოვიქარვე ის ჩემი სვინიდისისგან ტანჯვა, მაგრამ მაინც კიდევ მქონდა და მცხვენოდა, ასე რომ ჩემი კატინასათვის ველარ შამეხედა.

როდისაც ტანისამოსი ჩავიცვი და ავდექი, აბანოში მოვინდომე წასვლა, მითამ სვინიდისის გასარეცხად; ჩემი კატინა არ მიშვებდა: გაცივდებიო. არა, მიამებამეთქი და წავედი.

ორი თვე რომ გამოვიდა, მაინც ჩემი სვინიდისი წმინდათ არ იყო, ამდროს ფიქრი მამივიდა: ეს ჩემი შეცთომილება ჩემს კატინას უნდა

ვუთხრა მეთქი. ამ ფიქრმა როგორღაც მასიამოვნა, მაგრამ ესეც ვიფიქრე: საშინელი ეჭვიანია და ამისთვის ძნელი არის, ვუთხრა. ბოლოს გადავწყვიტე: ვეტყვიმეთქი და ერთს ჩვენს კარგს მინუტში ყველა ვუთხარ. საკვირველი იყო, იმისთანა საშინელსა ეჭვიანსა არ ეწყინა და მკითხა.

– „იმ ერთის შემდეგ ხომ აღარ ყოფილხარ იმასთან? –“

ამაზედ გულის სიწმინდით დავარწმუნე და ცრემლითაც ბოდიში მოვიხადე. ჩემმა კატინამაც დიდსულოვნად მამიტევა, მაგრამ შემდგომებისათვის გამაფრთხილა. ამის შემდგომ გული მამისვენდა, თორემ მანამდისინ სვინიდისი ძალიან მკბენდა.

გულისწმინდით აღვიარე ჩემი შეცდომილებანი, ჩემი ცოდვანი. ამაზედ მეტი არა, დაიჯერეთ. მართალია, ბევრი ლაპარაკობდნენ ჩემზე რაღაც გაკეთებულს ჭორებს, მაგრამ სულ მოგონილებს და ამ მოგონილების მიზეზი ესენი იყო.

მე მიყუარდა ლამაზი ქალის ნახუა, ამასთან ლაპარაკი, რომელიცა იმ დროს აღტაცებაში ვიყავი ხოლმე (ამაზე ზევითაც ითქუა). როდისაც თვალს მოვაშორებდი, სრულიად დამავიწყდებოდა. ამისთვის, რომ ჩემი კატინა ძლიერ მიყუარდა და ეხლაც, რაც შეეფერება ჩემს მოხუცებულობას, კიდევ ძალიან მიყუარს. არამცთუ მაშინ, ეხლაც, ამ ჩემს სიბერეშიაც მაქვს ის სისუსტე ლამაზი ქალის ნახუაზე ანუ იმასთან ლაპარაკზე, რომელმა მიზეზმა მისცა ჩემზედ ლაპარაკი მაშინ ბევრსა და ეხლა ჩემი წინააღმდეგები საძაგელი ცრუ ენისანი არ მასვენებენ, უფრო ერთი ათათ დამატებით ლაპარაკობენ ჩემზე. არამცთუ მაშინ, ეხლაც, ამ სიბერეშიაც მაქვს ეს სისუსტე. აი ამ მიზეზმა მისცა ჩემზედ ლაპარაკი ბევრსა მაშინ.

ყოველი ჩემი შეცთომილება ეს, მინამ რუსეთს წამიყვანდნენ, ესენია, და ამის შემდგომ გაიგნეთ, უფრო ბევრი ჩემი ავი, ჩემი სალანძღველი[1].

მე რომ საპყრობილედგან გამამიშვეს, იმის შემდგომ ნება მამცეს რამთენიმე ხანი ჩემ სახლეულობაში ვყოფილიყავ, ვიყავ ორი კვირა

[1] თუ ესეც ითქმის ჩემს ცოდუათ, კიდევ ეს არის, რომ მე რუსები საქართუელოში არ მიყუარან, მინდა აქედგან ასე გადიკარგნენ, რომ საქართუელოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთშიკი ბედნიერათ იყვნენ. ამას ჩემი მხურუალეს გულით ვევედრები მარად ღმერთსა, რომელსაცა ეს ტანჯვა მე არ მასვენებს: არც დღე და არც ღამე. არამცთუ ეხლა, – იმავ ჩემს ყმაწვილობითვე. აი ჩემი შეცთომილებანი, ჩემი ცოდუანი კიდევ ეს არის, თუ ცოდვათ მიმეთვლება? –

მეტი და ამ დღეებში ივან ატონიჩ პრიბილს, გამოჩენილ დოხტურთან წაველ, ვნახე, ჩემი ვითარება ვუანბე და მერე ვუთხარ.

– „ივან ანტონიჩ, შეწუხებული ვარ, – ძალიან შეწუხებული. ჩემს მშობელს ქვეყანას ვშორდები, ჩემს მახლობელს ნათესავ მეგობრებსა, ჩემს ცოლს და წვრილს შვილებსა. ვინ იცის, მე კიდევ ვნახამ ამათ თუ ვეღარ და არვიცი როგორ მოვითმინო მე ესენი?“ –

ამ სიტყუასთან ტირილი მამერია და იმ კეთილს ნემეცსაც თვალებში ცრემლები მოუვიდა. შემდეგ მითხრა.

– „კნიაზო ალექსანდრე, რაც თქუენ საქმეში ყოფილხართ, მაგისთანა საქმეებსა ბევრი განსაცდელი მოაქვს, ამისთვის მოთმინება უნდა მაგას და ის მოთმინება, ბევრს კარგს გასწავლისთ. თურმე თქვენ წიგნების კითხუა გიყუარსთ, იკითხეთ ხოლმე წიგნები და ამასაც გულის წმინდით გეტყვით, რომ ხანდისხან დედაკაცი გყუანდეთ. ესენი მწუხარების სევდას დაგიკარგვენ და ესენი მოგათმენინებენ თქუენს სუეს.“

ცოტა მხიარულის გაცინებისა და მცირე ლაპარაკის შემდგომ წამოვედი, რომელმაცა გზა დამილოცა და ღმერთს სთხოვა: კიდევ მშვიდობით მენახოთო აქა.

მოკლედ მოვჭრათ 1834-ს წელსა 17-ს ივლისს მეთერთმეტის საათის ღამისას წამიყუანეს რუსეთისკენ[1] და ჩემი წამყუანი რუსეთის მთავრობისგან მოჩენილი იყო ყმაწვილი კაცი პორუჩიკი მინიცკი, რომელსაცა ღმერთმა უშველოს, ცდილობდა ჩემს სიამოვნეს. მაგრამ თურმე იმას ქალების სურვილი ჰქონოდა და სადაცკი ღამით დავდგებოდით, თავის შესაქცევათ უთუოთ ქალს მოაყვანინებდა, სადაც იქვე სახლის პერედნაში[2] გააშლევინებდა და გათენებამდისინ იქა ჰყვანდა, რომელსაცა იმათი ხმაურობა სულ მესმოდა. მართალია, უბედური ვიყავ, მაგრამ იმათ ხმაურობაზედ, როგორც კაცსა, მეც სისხლი მიხურდებოდა ხოლმე.

სარატოვს ქალაქში, რომ მოვედით, იქ სამი თუ ოთხი ღამე დარჩა მინიცკი, მიზეზი კი არ ვიცი რათა? იმ პირველ ღამეს კიდევ ქალი მოაყუანინა და კიდევ ისე შეექცა, როგორც წარსულებში.

ამის მეორე დილაზედ, ჩაის ერთად ვსუამდით და ჩვენს ლაპა-

---

[1] ის ჩემი წაყუანა მაქვს აღწერილი.

[2] პერედნა რუსულია. სახლის წინ შემოსასვლელი პატარა ოთახი. ჩუენში: დერეფანი.

რაკში სიცილით მეც მიმიპატიჟა: ქალი მოიყუანოს ჩემთვის მწუხარების გულით გადასაყრელათ.

დავფიქრდი, ძალიან დავფიქრდი: იქნება აღარ მეღირსოს ჩემი ქვეყნის და ჩემი კატინას ნახვა მეთქი. ამასთან პრიბილის სიტყუაც მამაგონდა და ჩემი საცოდავი ლმობიერი გული დაჰყუა, ვუთხარ: აგრე იყოს მეთქი.

იმ ღამეს ასეთი ორი მშვენიერი ქალი მოიყუანა მინიცკიმ, რომ მართლა კარგი. ერთი საუკეთესო მე მამცა, ცალკე ოთახში წავიყვანე და მეორე იმან დაიჩემა.

იმ ღამეს, მე იმ ქალს ვკოცნიდი, ვეხვეოდი და თან ვტიროდი. ჩემი ტირილი უკვირდა იმ ქალს და მკითხა მიზეზი. ვუთხარ ჩემი უბედურება და ჩემი ცოლის ძლიერი სიყვარული, რომელიცა ისიც ჩემთან ატირდა. ახლა ორივ ვეხვეოდით, ვკოცნიდით ერთმანეთსა და თან ორნივ ვტიროდით. მე სვინიდისი მაწუხებდა, იმას ვებრალებოდი.

ამის მეორე ღამესაც მოვიდა ის ქალი ჩემთან, ახლა შევეჩვიე, აღარ მცხუენოდა და აღარც სვინიდისმა შემაწუხა, ვგრძნობდი, რომ უნამუსო შევიქენ და როდისაც ორენბურღში მივედით, იქ ხომ ერთი გოგოც დავიკვეთე, კარგი მართებული არ გეგონოთ, უნამუსო გაქნილი, მაგრამ ლამაზიკი იყო და გულიც ძალიან კეთილი ჰქონდა.

ბოლოს აქედგან რომ წავედით კასპიის ზღვის გაღმა, სადაც ციხეს აშენებდნენ ახალ ალექსანდროვისას[1] და კასპიის ზღვის პირზე ჩავედით პატარა ქალაქს გურიევს; იქ რამთენიმე დღე დავრჩით მოგზაურის უქარობის მიზეზით. იქ ერთს საღამოზედ ჩაის შემდეგ, დედაკაცი ძალიან მოვისურვე, ასე რომ ვეღარ მოვისვენე. ერთი იქაური ყაზახი გვემსახურებოდა, დავუძახე, ვუთხარ შოვნა, ისიც საჩქაროთ სადღაც წავიდა და იქიდგან რომ მოვიდა, მითხრა: წამობძანდით ვიშოვეო.

წავედი და რა წავედი, ჩირქიან საზიზღარ მახინჯთან, ერთს პატარას შავს ქოხში, რომელმაცა ჩემი აღტკინება დამიმშვიდა ერთ მანათათ და იმისგნით რომ წამოვედი, გული მერეოდა ზიზღით, ასეთი საძაგელი იყო. იმ ღამესაც გულის რევით ვეღარ მოვის-

[1] იმისი აღწერაც მაქუს და ამდროს ნაჩალნიკათ მიდიოდა ვოენი ღუბერნატორის ადუტანტი ჩილაევი. (ქართუელი.)

ვენე, მკითხა ნაჩალნიკმა: რატომ აგრე ხარ? – ვერ დავმალე, ყველა ვუანბე და ამასთან თავბედს ვიწყევლიდი ჩემსას, რომელიცა ჩემსა ლაპარაკზედ კასკასებდა და სიცილი ძლივსღა დააყენა. მე იმ ღამეს ზიზღით ვახშამი ველარ ვჭამე და მეორეს დღესაც უსიამოვნოთ ვიყავი.

ამაობაში მოგზაურმა ქარმა დაგვბერა და გავემართენით ზღვის პატარა ხომალდით[1]. მივედით ახალ ალექსანდროვში, ნაჩალნიკმა ჩილაევმა ჩაიბარა ციხე და ყოველი იქ კუთვნილება, მე თავის გვერდით მეორეს ოთახში დამაყენა, სადაც სადილ ვახშმათ ერთათ ვისხედით ხოლმე ზალაში, იქვე ჩუენს ოთახებთან გვერდით.

იმ ციხეში იყო ატრიადი ხუთასი კაცი, ერთი ნაჩალნიკი, ერთი დოხტური, ჩემით ოთხი აფიცერი, რამთენიმე კეთილშობილი უნკრები და სამი დედაკაცი, ორი ქმრიანი და ერთი უქმრო. ეს უქმრო იყო ყმაწვილი გოგო, ჰო ცოტათაც ლამაზი, რომლებსაცა ამთენს კეთილშობილებს სულ იმაზედ ეჭირათ თუალი და ბოლოს მეც, უფრო სასაცილობისთვის, რომ გვეცინა ხოლმე და ერთმანეთისათვის ნიშნი მოგვეგო: უკაცრაოთ მე დაგასწარო. ბევრი სასაცილოები გადაგვხდა იმ გოგოსთან და იმათგანსა რამდენსამე ვიტყვი, რომ ამის წამკითხველებს გაეცინოთ.

როდისაც პირუელად ზღვის ნაპირზე გამოვედით, იქაურს ხრიაკს მწირს ადგილებს მიმოვავლე თუალი, ჯერ ამისი უსიამოვნობა დამაჩნდა გულზედ, მასუკან ციხესთან რომ ამოველ, იმის გარემო თუალუწდომს მინდორზე მიმოვიხედე, იმისმა უნაყოფო უბალახობამ, რაზედაც ავშნის მეტი სხუა ბალახი არა ჩნდარა, იმან უფრო დაუმატა ჩემს გულს მეტი უსიამოვნობა, მერეთ კიდევ იმ კირიანს წყალს რომ ვსვამდით[2], ამან დამაღონა დიდათ და ბოლოდროს ის მიუწყვეტელი ქარიშხალი რომ უბერავადა ხოლმე, ესხომ სულსა მიგუბებდა, რომელსაცა ამაებისგამო ძალიან მოვიწყინე, სადაც ჩემს სანუგეშოდ ხანდისხან ზღვის პირს დავიდოდი, იქ გულის მწუხარებას ამით ვიქარვებდი და აქ ავათაც გავხდი. (ის ამბავიც მაქუს აწერილი.)

ამჩემის ავანტყოფობის ადრე, ჩუენს დოხტურთან კარგათ დავმეგობრდი, მითხრა. ვებრალებოდი.

---

[1] ესენი სულ აღწერილი მაქვს.

[2] ესენიც ცალკე აწერილი მაქვს.

– „მაგ თქვენის მწარეს მოწყენილობით ამისთანას დახავსებულსა ადგილში, იქნება ვეღარ იცოცხლოთ და ამიტომ უნდა ეცადნეთ, გული როგორმე გაიმხიარულოთ.“

– „აკი ნაჩალნიკთან შევიყრებით ხოლმე, ვლაპარაკობთ და წიგნებსაც ვკითხულობ. თვით ნაჩალნიკიც ზრუნამს ჩემთვის და ამისგამო იმისი მოვალეც შევიქენ. სხუა ამის გარდა, რა გვაქვს აქ დროს გასატარებელი ამისთანას ღვთის რისხუას ადგილში?“ ვუპასუხე.

– „მე გატყობთ თქვენთვის ეგენი თქვენი მწუხარების განსაქარვებლად, ცოტა არის. უნდა კიდევ სხუა იფიქროთ რამე.“

– „რა ვიფიქრო, რომ არ ვიცი?“

– „დედაკაცთან დრო გაატარეთ.“

– „აქ იმისთანა კარგი რომ არავინ არის. ის ორი დედაკაცი ქმრიანი არიან და იმ გოგოსკი სხუები დასდევენ.“

– „რა ვუყოთ, რიგით შევექცეთ ხოლმე იმასთან.“ და გაიცინა.

– „როგორ, თქვენ კიდეც შეექცევით იმასთან?“

– „ხანდისხან. ამისთანა ადგილში მეტი ღონე არარის.“ სიცილს მოჰყუა და მეც იმასთან სიცილი ამიტყდა.

ამის შემდგომ დავუჯერე და იმ საღამოზედ დრო ვიპოვე, რომ იმ გოგოს გავეხმაურე. ისიც სიხარულით დამყვა. დრო რომ არ დამკარგვიყო, მაშინვე ხელი დავუჭირე და ციხეს გარეთ გავედით. იყო ვარსკვლავებიანი ნათელი ღამე, მაგრამ მაინც თავისებური ქარიშხალი გრიალებდა. იქ ერთს ფერდობზედ რომ მივწექით, ამდროს არ ვიცი საიდგან, ერთი ვეება თეთრი ქოფაკი ძაღლი წელში დამაფრინდა, კიდევ კარგი შინელი წამოსხმული მქონდა ტანზე, თორემ ხორცს ამომგლეჯდა და ის შინელი ღრენით გადამტაცა. ჯერ პირველათ შევკრთი, მაგრამ მაშინვე წამოვხტი, დიდს ქვას ხელი წამოვავლე, იმ ძაღლს შევტყორცე და ასეთი მარჯვე სროლა მამივიდა, რომ ბეჭებში ძალიან მოხვდა დაყმუილით გაიქცა. შინელი რომ ავიღე, წამოვისხი და უკან მოვიხედე, ის გოგო ციხისკენ მირბოდა, გამოვუდექ, დავიჭირე, მაგრამ შიშით აღარ მმორჩილებდა, სადაც ბღლარძუნი მოგვიხდა, ის ციხისაკენ იწევდა: იქ ვიპოვით ადგილსაო, და მე მინდვრისკენ ვეწეოდი: აქ სჯობს მეთქი. ბოლოს მე დავძლიე და კიდევ იმ ფერდობთან მივიყუანე. . .

ამის შემდგომ ციხეში შემოვედით და მე ჩუენს სახლში რომ შევედი, დოხტური ნაჩალნიკთან მისულიყო, ჩაის თურმე მე მე-

ლოდენ და უკვირდათ, სად წავედი? – ამდროს კიდეც შეველ, ჩემი დანახუა ორთავ იამათ და მკითხავდნენ: სად ვიყავ? – მე არ დავ-მალე, ყუელა ვთქვი რაც გადამხვდა, რომელთაცა ბევრი იცინეს და მეც ეგრეთვე. მართლა, იმ დროს ამან უკუმიყარა მწუხარება; ეს სასაცილო საქმე კარგახანი გვეყო სასაცილოთ და სასაცილოს სალაპარაკოთ.

ამ ამბავში დოხტურსაც წაეყუანა ის გოგო თავის სახლში, მა-გრამ კისერი მოსწყვეტოდა, ვერა გამხდარიყო რა, რომელმაცა ეს ამბავი მე და ნაჩალნიკს არ დაგვიმალა და ახლა ამაზე *ჩუენ* სიცილი შეგვექნა და კარგახანი გვქონდა სიცილის სალაპარაკოთა ისა.

ერთს საღამო ჟამზედ, ნაჩალნიკი, დოხტური და მე, ჩაის შემ-დგომ ზალაში ვისხედით და ვლაპარაკობთ სხუადასხუას ამბავს, ამდროს პერედნაში რაღაც მაღალი ხმაურობა შეიქნა, ამასთან ზა-ლის კარები გაიღო, შევხედეთ ვნახეთ რომ დეჟურნი უნდეროფი-ცერი შემოვიდა, უკან ორი პირსისხლიანი უნკრები შემოჰყვნენ და იმათ უკან თმა გაწეწილი ის გოგო *შემოვიდა.*

ნაჩალნიკი იმათ მიეგება და გაჯავრებით ჰკითხა: „რა ან-ბავიაო? –“ ბოლოს გამოვიდა, რომ იმ უნკრებს იმ გოგოზედ ჩხუბი მოსვლოდათ და ერთმანეთისათვის ეცემათ, რომლებსაცა ის გოგო იმათ შუაში ჩავარდნოდა გასაშველებლათ და ისიც ისე გაეწეწათ, როგორც ზევით დავინახეთ. იმათ ჩხუბსა დეჟურნი უნდერაფი-ცარი მისწრებოდა; თავის ვალისამებრ ისინი ნაჩალნიკს წარმოუდ-გინა და ნაჩალნიკმაც ის უნკრები ნაობახტში გაატანა იმ დეჟურს უნდეროფიცერსა, სადაც ერთი კვირა ისხდნენ, ამით დასაჯა, მა-გრამ იმ ღამეს ის გოგო, ისე გაწეწილი ასე შვენოდა, რომ ნაჩალ-ნიკმა მოუთმენად ხელი დაუჭირა, თავის სანოლში შეიყვანა და კარები შეიგულა. მე და დოხტურიც სიცილით ზალაში დავრჩით. პატარახანს უკან ნაჩალნიკი გამოვიდა, გოგო გაისტუმრა და ზედ სიცილი აგვიტყდა სამსავე. ახლა ეს შეგვექნა კარგახანი სასაცილო სალაპარაკო.

ეჰ, როგორც იყო გავაჩანჩალეთ ჩუენი ის დრო ალექსანდროვ-ში და ბოლოდროს კიდევ დავუკარით თავი ორენბურღსა.[1] იყო იმ-დროს შუა ზაფხული.

[1] იმის აღწერილობა მაქუს ერთიანი; მხოლოდ იმ აღწერილობაში, ეს ურიგოები მოხსენებული არა მაქვს გარდა ორისა, ისიც შემთხუეულობისაგამო.

ორი თუ სამი დღე რომ გამოვიდა, არვიცი სად შეეტყო იმ ადრინდელს გოგოს ჩემი ორენბურღში მოსვლა, ამის საღამოჟამს ის გოგო საუცხოვოთ მორთული, უცხოთ დაშვენებული შემოვიდა ჩემთან სიამოვნით და მოსვლა მამილოცა. მეც იმის ნახუა არ მეწყინა. ამდროს მე ერთ ყმაწვილკაცთან ვიდექ. (ეს ჩემს აღწერილობაში არის.)

იმ ყმაწვილმა კაცმა ის ქალი რომ დაინახა, იმას ერთი საყვარელი ჰყვანდა ქვრივი ყმაწვილი ქალი, წავიდა და იმ ღამესაც იქ იყო იმასთან. მაინც იმან ასე შემოიღო, როდისაც ის ჩემი გოგო ჩემთან მოვიდოდა ხოლმე, ის ყმაწვილი კაცი იმ ქვრივ ქალთან წავიდოდა და იმღამესაც იმასთან დარჩებოდა.

ის ჩემი გოგო, ხან კვირაში ორჯელ მოვიდოდა ჩემთან და ხან ერთხელ, მეც ვაძლევდი ფულებს, რა ექნა, იმ თავისის ხელობით ცხოვრებდა. მეხვეწებოდა და მემუდარებოდა, მხოლოდ იმასთან ვყოფილიყავ, სხუა ნურავინ შამამეშო სახლში და ისიც პირობას მაძლევდა, იმ თავის ხელობაზედ – ხელი აეღო. რა კარგი რამ იქნებოდა, დამეჯერებინა, მაგრამ გარყვნილობას მივეც თავი: ყველა გამოვცადე ქვეყანაზედ, ვნახო ესეც გამოვცადო, რა გემოა აქედანა მეთქი? – ის გოგო და ის ყმაწვილი კაცი, ამ ჩემს გარყვნილობაზედ თავსიკლავდნენ, იმ საძაგლობაზედ ხელი ამეღო, მაგრამ მაინც მე ჩემსას არ ვიშლიდი. იმ ზამთარს, იმ გოგოს გარდა, ოცდაათი მეტი, სულ სხუადასხუა უნამუსო დედაკაცი მყვანდა.

ერთხელ ერთი დედაკაცი იყო ჩემთან, არვიცი როგორ მოეხდინა, რომ ჩემი კატინასგან მოცემული ოქროს გრგოლის ხელთა, ჩემის მარჯვენას შუა თითიდგან გაეძრო და ისე უსვინდისოდ წაეღო. ბოლოს იმ დილაზედ დავიხედე შუა თითზე, გრგოლის ხელთა აღარ მქონდა, შევწუხდი, ძალიან შევწუხდი და ტირილი მამერია. ამდროს ის გოგო შემოვიდა, მკითხა:

– „რა დაგმართვიათო?“

ჩემი მწუხარება რომ ვუანბე, ბევრი მაყვედრა და ბოლოს იმ დედაკაცის სახელი მკითხა, მეც ვუთხარი, შეიტყო ვინც იქნებოდა. მიპასუხა.

– „იმ თქვენი საყვარელი ცოლის ოქროს ხელთას როგორ არ გაუფრთხილდით?“ გაჯავრებული და გაკაპასებული გარეთ გავარდა. მე აქ კიდევ მწუხარებაში დავრჩი და თავს ბედსა ვიწყევლიდი.

ამაში გავიდა კარგახანი, ამდროს ის გოგო შემოვიდა თმა გაწეწილი და სახეზედ წითლათ ალმური ასდიოდა. მოვიდა, ის ოქროს ხელთა მარჯვენას ხელის შუა თითზე გამიკეთა და მასუკან ალერსიანი სიტყვით მითხრა.

– „ამას იქით გაუფრთხილდით ღვთის გულისათვის.“

ჩემი სიხარული რაღა გითხრათ, ხელზედ მივწვდი, მინდოდა, მეკოცნა, მაგრამ ხელი უკან წაიღო და თეთრწითელი ლამაზი ფუნჩულა ლოყა მამიშვირა და მეც მაგრა რამთენჯერმე დავკოცნე.

თურმე ის ჩემი გოგო მისჭროდა იმ დედაკაცს სახლში, მოსვლოდათ ჩხუბი, ხელსძალიანს ჩემს გოგოსა წაედო ქვეშ ისა და დახრჩობას უპირებდა იმ დედაკაცს: ეხლავ ის კნიაზის ოქროს ხელთა მამეცი, თორემ დაგახრჩოფო, ის დედაკაცი ისე შეშინებულიყო, რომ მაშინვე პატარა უჯრიდგან ამოელო და იმ ჩემის ევგეშკასთვის მიეცა. (ევგენია ერქუა და მე ევგეშკას ვუძახოდი). ასე დამავალა იმ ევგეშკამ ამით, რომ ბევრჯელ იმას მადლობით მოვიგონებ ხოლმე, მაგრამ მაინც მე ჩემ გარყვნილობას არ მოვეშვი და ვსაქმობდი ისე, როგორც ზევით გაიგონეთ.

ამას არ მოვეშვი, მაგრამ ამაში გამხადეს ავათ, ცრემლი შემყარეს და რა ვიცოდი, რა იყო ის სნეულობა? – პირველს უმანკოებაში გამოვლილს მე, მიკვირდა რა უნდა იყოს მეთქი? – ხან რას ვფიქრობდი და ხან რასა? – ბოლოს წვამ შემაწუხა, დოხტურს ვუთხარ, იმან რომ დამჩხრიკა, მითხრა, რითაც ვიყავ ავათ, მართალია იმ სნეულობის სახელი ისე გარაწარათ გამეგონა, მაგრამ ასე მეგონა: მე როგორ გავხდები იმითი ავათმეთქი? – ბოლოს იმ დოხტურმა მითხრა.

– „კნიაზო, უნდა იწამლოთ.“

– „რა საჭიროა წამლობა, თავისთავათ გაივლის მეთქი.“

– „გეტყობათ თქვენ გამოუცდელი ხართ მაგ სენისა? –“ გაცინებით მითხრა. მე ეს სიტყვა დავუმტკიცე. რაღა მომატებით ვილაპარაკო, დამიწყო წამლობა და ოთხი თვე მასვა წამალი, მაგრამ კარგი არა მიყორა, უფრო მიძნელდებოდა და წუა უფრო მემატებოდა. ამაში ის ჩემი გოგო მიდიოდა და მოდიოდა ჩემთან, მკითხავდა ჩემს ამბავსა, მეც ვეუბნებოდი და ძალიან წუხდა. მასუკან არ ვიცი სად შეეტყო, მოვიდა მითხრა: ქალაქ გარეთ სლაბოდკაში ერთი ხნიანი დედაკაცი არის, ის დიახ ჩქარა მოგარჩენს, თუ ნებას მამცემ მოვიყვანო.

– „დოხტურს ეწყინება მეთქი.“

– „რას შეიტყობს, სულ ვერაფერსაო.“

– „მაშ კარგი იქნება მეთქი.“ და საჩქაროთ წავიდა.

ის იყო, ახალი სადილ ნაჭამი ვიყავ, მხოლოდ ცარიელი ფარეზი სუფი მეჭამა, რომ ის ჩემი კარგი გოგო შემოვიდა და თან ერთი ხნიანი დედაკაცი შემოჰყვა. მოვიდა ის დედაკაცი ჩემთან, გამამკითხა, ბოლოს მითხრა.

– „ეგრა სნეულება არის, რომ აქამდისინ ვერ მოურჩენიხართ. ამ ექვს დღეზე სრულიად კარგათ შეიქნებით, ასეთს წამალს დაგალევინებთო.“

მართლა ასეც იყო. ერთს რაღასაც მოსქელოს ბლანტს წამალს მასმევედა, *ბნელს მოყვითლოს,* დღეში სამს სტაქანსა, რომელიცა ხშირათ შარდზე მივიდოდი და მეექვსე დღეს სრულათ კარგათ ვიყავ. მაგრამ ესკი დავაშავე, რომ მე ის წამალი არ ვისწავლე. ჩემს დოხტურს ეს სულ არ შეუტყვია, იმას ეგონა: მე მოვარჩინეო.

იმ გაზაფხულს და იმ ზაფხულს სრულებით სიმრთელით ვიყავ მე; ის ჩემი გოგოც რომ დადიოდა ჩემთან მხოლოდ მარტო და მაშინ სხუას აღარავის აღარ ვუშვებდი, ამით ორნივ კმაყოფილებითაც ვიყავით. ამდროს მე სხუა სახლში ვიდექი და ჩემი ამხანაგი ის ყმაწვილი კაციც სხუაგან დადგა, რომელიც ემზადებოდა ცოლის შერთუას, ერთის მშვენიერის გაუთხოვარის ყმაწვილის ქალის ოლგასას, მზითევიკი არა ჰქონდარა. ის ქვრივი ქალი თუმცა ძალიან ჯავრობდა, მაგრამ იმ ყმაწვილმა კაცმა თავისი გაიყვანა და იმ ოლგაზედ ჯვარი დაიწერა და ორნივე ბედნიერებიც[1] იყვნენ.

ამის შემდგომად, შემოდგომაც მშვიდობით გავატარე და შუა ზამთარშიკი ავათ გავხდი, მერე ასე ავათ, რომ კინაღამ ტყავი გავჭიმე, მაგრამ ჯერ პირველად ეს გავიგონოთ და მასუკან ჩემი ავანტყოფობისა.

ამ შუა ზამთარში 1836-ს წელსა, ერთს დღეს იყო საუცხოვო დამშვიდებული ჰაერი და მზეც კარგათ ანათებდა, რაც იქაურს ზამთარს შეეფერება, რომელსაცა იმ ზამთრისთვის ერთი რიგიანი სანა ვიყიდე, ერთი ცოტათ კარგი ცხენი, ჩემა დენშიკმაც ქუჩრობა იცოდა და პატარას ასე მართებულად დავიდოდი ხოლმე, ჩემ მცნობებში.

---

[1] იმ ყმაწვილს ერქუა, ფეოდორ ნიკალაიჩ სჩერბაჩევ. ჩემს სხუა აღწერილობაში უფრო მეტათ არის აღწერილი ისა.

იმ საუცხოოს დღის სადილს უკან, სანა (ჩუენებურად მარხილი.) შევაბმევინე, აღმოსავლეთის მხრის ქალაქს გარეთ, ერთს ვერსზე სლაბოდკაში წაველ, სადაც ერთი ჩემი კარგი მცნობი, არტილერიის კაპიტანი იდგა სკლ... და იმასთან მიველ, რომელსაცა დიდათ იამა. ვიყავი იმასთან ცოტა რამ ხანი, ამიტომ რომ ბნელაში არ მინდოდა წამოვსულიყავ, მაგრამ მაინც საღამომ მოატანა.

სლაბოტკიდან[1] რომ გამოველ და მინდორზედ წამოვედი ქ. ორენბურღისაკენ, ამდროს დაიძახა ქარიშხალმა, იმ ორენბურღის ძლიერმა ქარმა და თოვლი წამოიღო ჩვენ პირდაპირ, არეულ დარეულობითა. მოქონდა, გვაყრიდა პირში თოვლსა და როგორც ძალიანსა სილას, პირში ისე იცემებდა. ჰაერი აირია; ასე რომ აღარც ზეცა ჩანდა და ქვეყანა ხომ არეულს თოვლათ გადაიქცა. დენშიკმა შეშინებით მითხრა.

– „თქვ. ბრწ. აღარაფრისთანა აღარა ჩანს რა და აღარც ვიცი საითკენ მივდივართ.“

– „ნუგეშინიან სტეფან, ცხენს ჯილავი დაანებე, ამასთან ნელანელა მათრახი დაჰკარ და თვითონ ეგ გაიგებს გზასა.“ *გულით* ვუთხარი მე.

მოვიდოდით ამისთანა ღვთის რისხვის ტაროსში, მაგრამ გულიკი თავისუფლათ არ იყო შიშისაგან. ამ ფიქრში რომ მოვიდოდი ამისთანა დროში, უეცრათ ცხენი და თვითონ სანაც სადღაც ჩავარდა, ასე რომ ცხენის ნახევარ მუცელი თოვლში იყო. დენშიკმა დაიძახა.[2]

– „თქვ. ბრწ. დავიღუპენით, თოვლი ეხლავ დაგვფარავს ჩვენ.“

– „სტეფან, ფიქრი ნუ გაქვს, მაღლა დაიძახე: გვიშველეთო.“

და მოვყევით ორთავ ღრიალს, როგორც დაჭრილი დათვი: გვიშველეთ და გვიშველეთო.

ამდროს რამთენიმე ხმა მოვიდა მაღლა ძახილით: ნუგეშინიათ, ნუგეშინიათ. ამასთან რამდენიმე სალდათები მოგვცვივდნენ და თოვლიდგან ამოგვიღეს სულერთიან, მეც, ჩემი დენშიკიც და ცხენიც, სანაც. თურმე ასე ახლოს მოვსულიყავით ყარაულის ნაობახტზე, ოცდა ათს ნაბიჯამდინ და იქ ქალაქის გალავნისა თხრილში,

[1] სლაბოტკაც სოფელია, მაგრამ ქალაქს გარეთ სლაბოტკა ჰქვიან და არა დერევნია.
[2] ეს ჩემი დენშიკი ბატალიონიდგან მამცეს ფრუნტოვი სალდათი, ცოლიანი იყო და შვილიკი არა ჰყვანდათ.

იქვე ნაპირს ცხენს ფეხები ჩაედგა და მაშინვე გაჩერებულიყო, საიდგანაც ამოგვიღეს. კიდევ კარგი, იქით ღრმას თხრილისაკენ ცხენი არ წავიდა, თორემ თოვლში დავიღუპებოდით, ასეთი ღრმა თხრილი იყო და თუ მაინც, ექვსი მინუტი თოვლში ისე დაგვცალებოდა, უთუოთ თოვლი წაგვახვევდა და იმის სიცივე გაგვაფიჩხებდა, მაგრამ ღმერთმა ამით დაგვიფარა, რომ ყარაულამდისინ მოვედით, რომლებიცა ჩუენსა ხმაურობაზედ სულერთიან გამოცვივნულიყვნენ, საიდგანაც ნაობახტში მიგვიყვანეს, სადაც ერთს საათამდისინ ვიყავით და იქ კარგათ გავთბით. ამაში ქარიც ცოტათ დაყუჩდა.

როდისაც შინ მოველ, სანიდგან გადავხტი და ჩემს ოთახში შევედი, იქ ჩემი კარგი გოგო იჯდა ჩემს ტახტზე და მოუთმენლად მელოდა, რომელმაცა ჩემს დანახვისთანავე დაიძახა.

– „მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოხვედით.“

– „დიახ ჩემო ევგეშკავ, კინაღამ დავიხრჩენით.“ და ვუანბე ყველა, მაშინვე წამოვარდა, ხატს სანთელი დაუნთო და დამხობით ღმერთს მადლობა შესწირა ჩემის მშვიდობისათვის. მასუკან საჩქაროთ სამზარეულოში შეიჭრა, ჩემს ბიჭს სარქისას, რომელიც ამ ქ. ტფილისიდგან წაყვანილი მყვანდა, იმას სამოვარი დაადგმევინა და თავის ხელით კარგი ჩაი გამიკეთა. მეც სიამოვნით კარგის სუხრით დავლიე, რომელმაცა კარგათ მომაღონიერა. იმ ჩემმა გოგომკი მგონია, ოთხი მაინც დალია და ასეთი გახდა სახეზედ, როგორც თურაშაული ვაშლი, ისე თეთრწითლათ ღვიოდა, სადაც იმ ღამესაც იქ ჩემთან დარჩა, აღარ წავიდა, მახლობლათაც იდგა რომელსაც ამ დროს, იმ ჩემი სენის შემდგომ, დადგრომილი ცხოვრება მქონდა იმ ჩემს კარგს გოგოსთან.

ამის ოთხი თუ ხუთი დღის საღამოზედ, ნაჩალნიკშტაბის რაკ[ასოვსკის] .... არდინარცი მამივიდა, შემოეთვალა: ხვალ დილის ათს საათზე ჩემთან მოდი, საქმე მაქვსო[1]. იმ ღამეს ჩემს დენშიკს ვერ ვუთხარ, ხუალ დილისთვის სანა მოემზადებინა და დავიწყებული დამრჩა. მეორე დილაზედ ის რომ მოვიკითხე, ჩემმა ბიჭმა მითხრა: სადღაც დამთვრალა, მოვიდა და მთვრალი გდიაო. რაღა

[1] ღმერთმა იმასა და იმის ცოლშვილებსა მშვიდობა და ბედნიერება მისცეთ, ამიტომ რომ ძალიან ვებრალებოდი და ამის გამო ზრუნვიდა, ჩქარა დავებრუნებინეთ ჩემს ცოლსშვილებში.

უნდა მექნა, შეწუხებული ქვევითი წავედი. თუმცა თბილი ბანბით დალიანდაგებული შინელი მესხა და თბილი კალოშებიც მეცუა ჩექმებზე, მაგრამ ყინვა დიდი იყო და ცოტა ქარიც სუსხიანი. ნაჩალნიკშტაბიც ჩემზედ ორას საჟენზე იდგებოდა. თუმცა კარგათ დაუღალავად მივედი და ჩქარაც: იმ დიდ ყინვაში არ გავცივდე მეთქი. მაგრამ ოფლი მამივიდა და ისე ოფლიანი შევედი იმის კაბინეთში, რომელიცა სიამოვნით მამეგება, ხელი მამცა და თავის პირდაპირ დამისო, თავის საწერის სტოლის იქით. მაგრამ დამემდურა.

– „ამისთანა ყინვაში რათ გამოხვედითო?“

– „როგორ შეიძლებოდა არ გამოვსულიყავი, წუხელის თქვენი არდინარცი მამივიდა.“ ვუპასუხე.

– „მე თქვენთვის ამთენი კეთილი მინდა, რომ არ მეწყინებოდა.“

მე რაღა უნდა მეთქუა ამის მეტი, დიდი მადლობა მოვახსენე და დიდ საგრძნობლად მივიღე, იმის კეთილი ზრუნვა ჩემზედ. კიდევ ცოტა ვიჯექ, მკითხა ზოგიერთი ჩემი გარემოებისა, მეც წვრილათ ვუანბე და მასუკან შინათკენ წამოველ, მაგრამ გავცივდი. იმ დიდს განსაცდელს, იმ დიდ ჰაერის არეულობას გადვურჩი და იმ დამშვიდებულს სიცივესკი ვერა.

მოველ შინა, მარჯვენა ფერდმა შემტაცა და ძალიან ტკივილი დამიწყო. მაშინვე დოხტურთან გავგზავნე, ამ დროს უფრო კარგი დოხტური მოვაყვანინე, დავიყენე, მაგრამ მარჯვენა ღვიძლი ასე დამისივდა და მაღლა ასე ამობურცდა, რომ ბურთსავით დამაჯდა. ბევრი წურბლები დამასხა, წასასმელები წამისო, სასმელი წამლები მასვა, ბოლოს რამთენიმე ვანაც ამაღებინა და ის ჩემი კარგი გოგოც კარგ მომვლელად რომ მყუანდა, რომელიც იმ ჩემს ავანტყოფობაში არ მამშორებია, ერთს თვეზე სრულათ კარგათ შევიქენ და თბილს კაი დღეშიაც დავიწყე სიარული ჩემს მცნობებში. ის ჩემი კარგი გოგო, იმ ზამთარს მე არ მამშორებია, სულ ჩემთან იყო და თუ სტუმარი მამივიდოდა, ის მაშინვე სამზარეულოში შევარდებოდა, მაგრამ გაზაფხულზედ, ის სოფლათ წაიყვანა თავის მამიდამ თუ დედიდამ. თუმცა მპირდებოდა ისევ ჩქარა მოსვლას, მაგრამ იმის შემდეგ მე ის აღარ მინახამს და ამბავიც ვერა შევიტყე რა იმისი, რომელმაცა იმის შემდგომ, მე კიდევ ბაირახები ავუშვი გარყვნილობისა და სხუადასხუა დედაკაცებმა დაიწყეს ჩემთან სიარული.

შუა ზაფხულამდინ ასე ვიყავ, ამდროს ერთს ცხელს დღეში

სადილს უკან, ერთი ჩემი მცნობი ვოენი ღუბენატორის კანცელერიის ჩინოვნიკი გაე[ვსკი] მოვიდა ჩემთან, მითხრა: წავიდეთ, ურალის წყალში ვიბანოთ, ცხელაო. დავყევ და წავედით. ტანისამოსის გახდის შემდგომ, მდინარეში რომ შავედით, მოვინდომე ურალში გავცურებულიყავ, მაგრამ იმან მითხრა.

– „კნიაზო, თუ ცურვა კარგათ არ იცით, ნუ გაბედავთ შიგნით შესვლას.“

– „როგორ არა, კარგათ ვიცი, ჩუენს მტკვარში გავალ და გამოვალ ხოლმე. ის უფრო დიდიც არის ამაზე.“

ეს ვუთხარი და ამასთან ცურვას მოვყევ. მაშინვე არ ვიცი რა იყო, ხელები და ფეხები დამეკვლანჭა, იმ ჩინოვნიკს დავუძახე.

– „პ. . . ი. . . ვიხრჩობი.“

– თქვენ ასე კარგათ ცურამთ, უკეთესი აღარ შეიძლება.“ იმან სიცილით მიპასუხა, მაგრამ ქვემოთ რომ დამძირა, ახლა თურმე დაიჯერა, ამაში მე როგორც იყო, მაღლა ამოვედი და ამდროს ისიც გადმოვარდა ჩემკენ. კიდევ კარგი, იქვე ნაპირთან შემემთხუა ეს, თორემ თუ პატარა შორს ყოფილიყო, უთუოთ დავიხრჩობოდი, ამიტომ რომ თვითონ ისა, აგრე რიგათ, მაგდენად კარგათ არა ცურავდარა, მაგრამ მე რომ იმ მდგომარეობაში დამინახა, თავის ნაკლებს ცურვას არ დასდია, თვითონაც მაღალი კაცი იყო და ისე ფეხდაფეხ გამამიტანა თავის ძლიერის ხელებითა[1]. ისე ციმციმ მიმიტანა და წყალის ნაპირთან ჩემს ტანისამოსზე დამსვა. თვითონ გაბრუნდა და წყალში ბანება დაიწყო. ამაში მეც კარგათ მოვსულიერდი, ისიც წყალიდგან გამოვიდა; გულით სულით მადლობა ვუთხარ ჩემის გამოხსნისათვის და ხშირათაც მოვიგონებ ხოლმე იმას. შემდგომ ტანისამოსი ჩავიცვით და წამოვედით. გზაზე ბევრი ვთხოვე ჩაი ჩემთან დაელია, ჩემი სახლიც იქვე ახლოს იყო, მაგრამ არა ქნა: კანცელარიაში უნდა წავიდე, საქმე მაქვსო და ამასთან კიდეც გაეშურა.

ჩემს სახლის ზალაში რომ შავედი, ჩვეულობა ჰქონდათ; ვნახე ორი დედაკაცი იჯდა სკამებზე და იმ ჩვეულობით მელოდნენ; როდის მოვა კნიაზიო? – მე იმათი ნახუა ისე რიგათ მეწყინა, რომ ორივ ჩემი სახლიდგან დავითხოვე: ჩემთან აღარ გაიაროთ მეთქი და ისინიც საჩქაროთ წავიდნენ. იმისთვის დავითხოვე ამთენი ჩე-

[1] საძაგელი გრძნობა ჰქონია იმ დროს კაცსა, მდინარეს წყალში რომ იხრჩობოდეს. ვინიცის რა არ გამამიცდია ქვეყანაზე და ჩემმა ბედმა ესეც გამამაცდევინა.

მის ცოდვისგამო, ღმერთმა ჩემზედ სასჯელი მოავლინა და იმანვე გამამიხსნა, ჩემს საგრძნობლად, რომ ამას იქით მოვერიდო უნამუსობასა მეთქი. დამიგდევით ყური, გაიგონეთ.

იმ ჩემი სახლის გვერდით სხუა მეორის მეზობლისა სახლში ერთს პატარას ოთახში, ერთი ქმრიანი გოგო იდგა მეტათ ლამაზი და იმ დროს იმის ქმარი შინ არ იყო, სავაჭროთ სადღაც წასულიყო. მე რომ იქით მხარეს გავივლიდი ჩემი მცნობებისკენ იმ ქუჩაში, ის გოგო ღია ფანჯარაში იჯდა ხოლმე, რომელიც სიამოვნით შემამცინებდა და ერთხელ ერთს საღამოზედ, იქვე ფანჯარასთან ასე ახლოს გვერდით გავიარე, რომ ესეც მითხრა, მაგრამ ძალიან დაბალის ხმით: კარგი ხარ, ერთხელ ნება მამეც შენთან მოვალო. ეს უკანასკნელი სწორეთ მაშინ იყო, როდისაც ის ორი დედაკაცები ჩემი სახლიდგან დავითხოვე, იმის ერთის კვირის შემდგომ.

მე ამ სიტყუას და იმის სილამაზეს ვეღარ გავუძელ, ჩემი გული დალბა და ასე ამიტაცა სისხლმა, რომ სულ გონებით გადვირიე. ის გოგოც წითლათ ატკრეცილი წამოხტა, წავიდა და მეც ჩემს გზასა გავეშურე.

იმ ღამეს ერთს ჩემს მცნობთან კარგა ღამე გავიდა, იქ ვიყავ, იქიდგან რომ წამოვედი, კიდევ იმ გოგოს სახლის ფანჯარასთან ახლოს გამოვუარე, ვნახე, ფანჯარა კიდევ ღია იყო; უსანთლოს სახლში იმ ფანჯარასთანვე იჯდა სკამზედ ის გოგო და იყურებოდა. ამდროს მეც მივედი. მისვლასთანვე ხელი პირზე დამაფარა და ყურში ჩურჩულით მითხრა.

– „ჩემი ქმარი აქედგან რომ მიდიოდა, ამ ჩემს სახლის პატრონებს ჩამაბარა და ესენიც ძალიან ყურს მიგდებენ. თქვენ წადით, თვითონ მე მოვალ თქვენთან.“

მეც საჩქაროთ გამოვწიე და ჩემს სახლის კარებთან სიარული დავიწყე. იყო ვარსკლავები და ნათელი ღამე. მაგთენი დრო აღარ გასულა, დავინახე, მოდიოდა, მეც მაშინვე წინ მივეგებე და ჩემს საწოლში შევიყვანე, მითხრა.

– „თუმცა ჩემმა სახლის პატრონებმა თავიანთ მეორეს ოთახში დაიძინეს, მაგრამ მაინც ჩქარა უნდა წავიდე, მეშინიან, რავიცი.“

მცირე ხნის შემდგომ ფული შევაძლიე, მაგრამ არ გამამართვა ამ სიტყვით.

– „მე თქვენით ძალიან კმაყოფილი ვარ, ფული რათ მინდა.“

ამასთანვე წამოდგა და წავიდა, მეც თან გავყევ. იქ სახლის ეზოს კარებში რომ შევიდა, სახლის პატრონი დედაკაცი დახვდა და ჯავრობა დაუწყო: სად იყაო? – მე ამ დროს მოფარებით ვიყავ და იმათი ლაპარაკი მესმოდა, გოგომ უთხრა: კარგი ღამე არის, გამოვედი გარეთაო. მაგრამ მაინც იმან ჯავრობით შეიყვანა სახლში და იმის შემდგომ იმ გოგოსაც აღარ გაუვლია ჩემთან შიშით. ზედატანებით ხუთს დღეს უკან ქმარიც მოუვიდა.

ამის ორი თუ სამი დღის შემდგომ, ერთს საღამოზე, ის იყო მზე ჩადიოდა და კარგათ ცხელოდა, მე ამდროს გაღებულს ფანჯარასთან სკამზე ვიჯექ და ქუჩაში ვიყურებოდი. შევხედე, ვნახე ერთი უცნობი ლამაზი გოგო მოდიოდა კარგათ ჩაცმული და როდისაც ჩემს მახლობლად გამამიარა, თავი დამიკრა, მეც მივატანე: დრასტი ხაროშინკაია. (გადღეგძელოს ლამაზო.) ამაზედ იმან გაიცინა. მაშინვე მეც ეს უთხარ.

– „არ შემოხვალ ჩემთან ჩაის დასალევათ? –“

– „რატომ არა.“ საამოთა მიპასუხა და კიდეც შემოვიდა ჩემთან.

ამ: რატომ არამ. მე ის საქმე მიყო, რომ კინაღამ საუკუნოთ თავი იქ დავიმარხე ორენბურღში.

ის გოგო მაგთენი ხანი არ იყო ჩემთან, *მეც ერთი მანათი მივეცი*, ჩქარაც წავიდა ჩემის ერთის მანათითა, მაგრამ იმის მეორე დღეს, ცერის თავმა ცოტაწვით ქავილი დამიწყო და ასე მეგონა: უბრალო ქავილია, ჩქარა გადავარდება მეთქი. იმ დღეს და იმის მეორე დღესაც ისე მქაოდა. მესამე დღის დილაზე დოხტური[1] სკ. . . მოვიდა ჩემთან სანახავათ, ლაპარაკში ვუთხარ, ჩემი ცერის ქავილი, მითხრა.

– „გოგო ხომ არავინ ყოფილა თქვენთან? –“

– „როგორ არა, გუშინ წინ საღამოზედ.“ ვუთხარ.

როდისაც რომ გამჩხრიკა და ზედ დავიხედე, რაღაც თეთრი პატარა ძიძიბები დამყროდა, ვკითხე.

– „რა არის მეთქი? –“

– „ეს ის არის კნიაზო, რომ თქვენთვის შეუყრიათ შ...“ მიპასუხა.

– „შ... რა არის? –“ ვუპასუხე.

– „ამ სნეულობის სახელი თქვენ არ გაგიგონიათ? –“

– „არა, არ გამიგონია. იქნება კიდეც გამეგონოს, მაგრამ მე ამ

[1] სამი ჩემი მცნობი დოხტური დადიოდნენ ჩემთან, მეც იმათთან და რომელიც პირველათ შემხვდებოდა, იმას ვაწამლინებდი, როცა შეუძლოთ შევიქნებოდი.

სენის ამბავი რომ არ მცოდნია, იქნება ამისთვის არ მეკითხოს. არ ვიცი რა სენი უნდა იყოს ესა? –“

დავსხედით და მიანბო იმ სენის ამბავი. ვკითხე.

– „მაშ ახლა რა უნდა ვქნა? –“

– „მე თქვენ ერთს პრიმოჩკას დაგიწერთ, ტილო იმაში ასველეთ და ზედ იფარეთ ხოლმე.“

ის დოხტური იყო, მე იმ სენის უცოდინარი და მაშ მეტი რა ღონე მქონდა, თუ არ დავყვებოდი.

რეცეპტი დამიწერა, გავგზავნე, თეთრწყალსავით მინით რაღაც მამიტანა ბიჭმა, იმ სისველეს ტილოთი ვიფარებდი და რამთენსამე დღეზედ მამარჩინა; მიამა, ასე მეგონა: ესესარის მოვრჩიმეთქი. ეს დრო იყო 1837-ი წელი, შუა ზაფხული, თუ ცოტა მეტ-ნაკლები[1].

მე ის მიხაროდა: მოვრჩიმეთქი. მაგრამ ის სენი ახლა ყელში დამეძგერა და აქეთ იქით წყრული გამიკეთდა. რავიცი მე რა იყო ის, რომელსაცა ყელი მტკიოდა და ყლაპას მიშლიდა, მეგონა ისე უბრალო ყელის ტკივილი. გავგზავნე დოხტურთან, მოვიდა, ვუანბე ყველა. ყელში რომ ჩამხედა, მითხრა: არაფერია, ყელის ტკივილი არისო. ამასთან ყელში სალაღლაღებელი დამიწერა. მოვატანინე: ეს ივლეთხოლმე, მორჩებითო.

ის სხუა ორი დოხტურები ხანდისხან მოდიოდნენ ჩემთან და ერთხელ ფიქრში არ მამივიდა მეთქო ჩემი სენისა, ამიტომ რომ უბრალო ყელის ტკივილი მეგონა. ამაში ხანდისხან მე იმისთანა დედაკაცსაც მოვაყვანინებდი ჩემს დროს გასატარებელსა და ამით სევდას უკუვყრიდიხოლმე, მაგრამ ის ჩემი ყელის ტკივილი კარგა ხანი გაგძელდა, ის დოხტური სხუა წამალს მე არას მაძლევდა, იმ გამოსავლების მეტსა. მეც დაბრმავებული ვენდობოდი: ამან უფრო კარგად იცის მეთქი. მაგრამ ხანდისხან ვკითხამდი გაკვირვებით.

– „აქამდისინ ეს ყელისტკივილი როგორ არ მამირჩა?“

---

[1] ამ დროებში ტფილისიდგან წაყვანილი ჩემი მოსამსახურე სარქისა (სომეხი.) გამილოთდა, რომელსაცა ჩუმათ ვიღაც რუსები შემოსჩვეოდნენ და მოტყუებით გაელოთებინათ. ჩემი დენშიკიც იმათ აჰყოლოდა. ამ ჩემს დენშიკს, თუმცა კარგი ცოლი (მარია.) ჰყვანდა და ფხიზელიც, მაგრამ ვერც ერთს ვერ უშლიდა, ამიტომ რომ ქმარი სცემდა და შიშით ხმა ვეღარ ამოეღო იმ საწყალს დედაკაცს. იმათი შექცევის დრო თურმე მაშინ იყო, როდისაც მე ღამე დავიძინებდი, ისინი იმ დროს სადღაც წავიდოდნენ და ჭიანურებით შეექცეოდნენ, მაგრამ ჩემი დილის გაღვიძებაზედ, ყოველთვის შინ იყვნენ ხოლმე. მე იმათის ეს ამბავი კარგახანი არა ვიცოდი რა და შემდგომებში აქ გამოჩნდება.

– „ეს იმგუარი ყელის ტკივილია, რომ აგრეჩქარა არ მოგირჩებათ.“ მეტყოდა და მეც ვენდობოდი იმის სიტყუას.

ჩემს ამ მდგომარეობაში თითქმის ზაფხული გავიდა[1].

იმ დამოჟნის გზიდგან ორენბურღში რომ მოვედით, იყო 20-ი თუ მეტნაკლები სეკტენბრის თვე და ამ დროს კარგი შემოდგომის ხმელი სიცივეები დაიჭირა, კარგი მზიანი დღეები. ამაში მე შუბლზედ პატარპატარა მრგვალი წითლათ რაღაცებიც დამაყარა, მეგონა: ფერიმჭამელა არის მეთქი. მე იმას არა დავდიერა, მაგრამ ყელის ტკივილი ძალიან მიცხოვლდებოდა. მე ჩემს მცნობებთან სანახავათ რომ მივიდოდი, ზოგიერთმა ქალმა კიდეც მკითხა.

– „შუბლზედ რა გაყრიათ წითლათ? –“

– „ფერიმჭამელა მეთქი.“ ვეტყოდი. (ფერიმჭამელა რუსულათ: პრისჩიბკა.)

ერთს დღეს, 1-ს თვის ოკტონბერის დილის თერთმეტ სათზე, ორს რუსის ინჟინერს აფიცრებთან წაველ სანახავათ და იქ იმათთან დავრჩი რაოდენიმე ხანი, ბოლოს იმათ მკითხეს ჩემ შუბლზედ იმ წითელების ნიშნები, იმათაც ისე ვუთხარ, როგორც იმ ქალებსა. თურმე ისინი გამოცდილი ყოფილიყვნენ იმ სენისა და ამიტომ გამამკითხეს.

– „თქვენ ხომ შა... არ გჭირვებიათ? –“

– „როგორარა, მჭირდამეთქი.“

– „მერე ვინ გწამლობდათ? –“

– „დოხტური სკა... და იმისი რჩევით პრიმოჩკას ვიფარებდი.“

– „იმ სენის ამბავი არ გიამბოთ თქვენ, რის ძალის მქონია ის? –“

– „დიახ, როგორ არა. მიანბო.“

– „არა კნიაზო. იმას იმ სენისა ვერა უანბიარა, თორემ თუ მა-

[1] ამ დროს მე ჩემს ჩრდილოეთის ორენბურღის დამოჟნის გზას არა ვწერ 1230-ი ვერსი გზა, რომ წამიყუანა ორენბურღიდგან ზვერნეგალოცკამდინ; ქ. ტფილისიდგან ახალ მოსულმა ანუ გადმოყვანილმა დამოჟნის ნაჩალნიკმა ნიკალაი პეტროვიჩ ვენერიმ, რომელსაცა ქართველი ქალი ჰყვანდა ცოლად თ˜აის სუმბათოვის სახლიდგან ქეთევან; ჩემი ცოლი და ის ქალი ახლო ნათესავები იყვნენ. მე და ის ვენერი ამ მიზეზის გამო ქ. ტფილისშივე მეგობრები ვიყავით და ორენბურღში რომ მოვიდა, უფრო ახლოს დავმეგობრდით. ამის გამო წამიყვანა იმ დამოჟნის გზის საჩვენებლად და თვითონაც მარტო მგზავრობითა მოწყენილი არ ყოფილიყო. ის ჩემი ყელისტკივილი თან გამყუა და ისევ თან გამამყუა და უფროთანდათან მიცხოვლდებოდა ტკივილი, არც წამალი რამ მქონდა თანა, მეგონა: ისე უწამლოთ გაივლისმეთქი და არც ვენერისთვის მითქუამ ჩემი ყელის ტკივილი, რადგან უბრალო ყელის ტკივილი მეგონა.

შინვე კარგი დოხტური შაგხვედროდათ, ჩქარა მოგარჩენდათ. გირჩევთ დღესვე დოხტური ბე. . მოაყვანინოთ და იწამლოთ როგორც რიგი არის, თორემ თავს დაიღუპავთ. ის კარგი დოხტურია[1].“

ასე შამაშინეს, რომ მაშინვე ავდექ და წამოველ შინა, – წამოველ იმათი დიდი მადლობითაც.

შინ რომ მოველ, იყო სადილობის დრო, მოვითხოვე და ცოტა რამ ვჭამე, ისიც არ მიამა. პატარახანს უკან, ჩემი დენშიკი გავაგზავნე და დოხტური ბე... დავიბარე, რომელიც მაშინვე მოვიდა. ჩემ საწოლში მხიარულათ შემოვიდა ჩემთან, მკითხა: რა ამბავია, რისთვის დამიბარეო კნიაზო? – მე ჩემი ამბავი წვრილათ ვუანბე. იმან უკმაყოფილოდ:

– „ისე ხშირათ შევხვდებით ხოლმე სახლებში ერთმანეთს, ერთხელ როგორ არ მითხარით, ნამეტნავად ამ ზაფხულის სითბოში რა ჩქარა მოგარჩენდით?“ (რომელმაცა იმ ჩემი ფერდის სიმაგრეც იმ ბე... მამირჩინა და იმ ცრემლშიკი კიდევ ის სკა... მწამლობდა.) მე რაღა უნდა მეთქუა, სიტყუა აღარ იყო გამართლებისა.

მირჩია: იმდღესვე იმ პატარას ჩემის საწოლიდგან[2], მეორეს ოთახებში აღარ გავსულიყავ და კარგათაც თბილი უნდა ყოფილიყო ის ოთახი. ამასთან რეცეპტი დამიწერა, მითხრა.

– „ეს წამალი დღესვე აფთიექიდგან მოატანინეთ, ხვალ დილაზე მოვალ და თვითონ მე როგორც გითხრათ, ისე იხმარეთ ის წამალი.“ ამ სიტყუასთან გასწია და სხუა პაციენტებთან წავიდა.

მეორე დილაზე მოვიდა დოხტური, მეც ქაღალდით შეკრული

---

[1] ის ბე. . . იყო პალიაკი და კარგათაც ვცნობდი იმას.

[2] იმ ჩემს საწოლს სიგრძე ჰქონდა, ექვსი ნაბიჯი, სიგანე ოთხი და ერთი ფანჯარაც ეზოსკენ, მაგრამ ძალიან კი თბილი იყო. ზევით ფანჯრისაკენ ცოტა მოშორებით გალესილი ხის კედლის ძირში ქვეშეგებგაშლილი კრაოტი მედგა, კრაოტის თავის გვერდით ფანჯრის წინ პატარა საწერი სტოლი, ზედ პატარა საწერელი (ეხლა აქ მაქვს ის საწერელი.) თავის კალმებით და დასაწერი ქაღალდები. სამი პატარა რიგიანი სკამიც იდგა იმ ოთახში, ქეჩით დაფენილიც იყო სულერთიან ის ოთახი და ერთი პატარა შკაფიც მედგა კრაოტის ბოლოში კედელთან და ფეჩიც ხომ რასაკვირველია კარგი ექნებოდა, რომელსაც ყოველს დღეს ვათბობინებდი. ის ჩემი საწოლი, რაც შეიძლებოდა, წმინდათაც ვინახამდი. ამის გარდა, სასტუმრო ოთახიც გაწყობილი მქონდა, ზალაც და ზალის გვერდზედ ერთი პატარა ოთახიც იყო ტახტგადადგმული და ხალიჩით დაფენილი. ჩემს საწოლის გვერდით სამზარეულო იყო, სადაც ჩემი დენშიკი საჭმელს მიხარშამდა და ბიჭებიც იქ იყვნენ ხოლმე. ჩემი საწოლიდგან დავურაკუნებდი, იქიდგან ერთერთი ჩემი ბიჭი პერედნაში შემოვიდოდა, პერედიდგან ზალაში, მერე გოსტინაში (სასტუმროში) და მასუკან ჩემს საწოლში.

წამალი მივაწოდე, გახსნა ერთი ქაღალდი, ამოიღო დასორსალებული, ისიც გახსნა, რაღაც მოლურჯო წასასმელი იყო, მითხრა.

– „თქვენი მარჯვენა მკლავი გამოიჩინეთ ტიტველი.“ გამოვიჩინე. მასუკან კიდევ. – „ძველი პერჩატკი არა გაქვთრა? –“ იქვე შკაფში იყო, ამოვიღე. „მარცხენა ხელზე გაიკეთეთ.“ მითხრა, გავიკეთე. „ეს წასასმელი ზედ მარჯვენა მკლავზედ წაისვით და კარგახანი უნდა ისოთ.“

იმ პერჩატკიანის ხელით წასმა დავუწყე და კარგახანი ვისვი. როდისაც იკმარა და გავათავე, *ბიჭს დამაძახებინა, თბილის წყლით და საპნით ხელები კარგათ დამაბანინა.* მერე მითხრა.

– „დღეს მარჯვენა მკლავზედ წაისვით, ხვალ მარცხენაზედ უნდა წაისოთ, ზეგ მარჯვენა ფეხის კუნთზე და მაზეგ მარცხენაზედ. ასე რომ ეს ოცდაოთხი წასასმელი (მაზები.) ყოველდღეს ამ რიგათ უნდა ისოთ თითო თითო, მინამ გაათავებთ ამ მაზებსა და მასუკან კიდევ სხუა იქნება. ეს პერჩატკებიც შეინახეთ და ამითი უნდა ისოთ ხოლმე თქვენის ხელითაო.“

– „დღეს შემიძლიან ჩემს მცნობებში წავიდე სადმე? –“ ვკითხე.

– „ღმერთმა ინებოს კნიაზო, რომ გაზაფხულზედ დაიწყოთ სიარული.“ შეწუხებით მითხრა. ამასთან კიდევ.

– „ყოველს დილას და საღამოს თითო სტაქანი თხელი ჩაი დალიეთ ცოტა მცირე ბულკით, მაგრამ ის ჩაი ნელთბილი უნდა იყოს და არა ცხელი. ამის გარდა თვითო პატარა მათლაბა ბულიონი, კიდევ ცოტა ბულკით ჭამეთ სადილ-ვახშმათ და ხორცი ძალიან ცოტა, მაგრამ ხორცი სულ რომ არა ჭამოთ, უფრო კარგი არის.“

– „რა ანბავია და ან რისთვის, მაგისთანა ფარეზი?“ უკმაყოფილოთ უთხარ.

– „თქვენ მაგ სენის არა იცითრა, რა ძალას გამოიჩენს ეხლა ის. ეხლა ეს წამლობა სულ კარზედ *გამოაჩენს*, გამორეკავს იმას და ღმერთს სთხოვეთ, სახე არა წაგიხნდინოსთრა იმის გესლებმა. თუ ეგ სენი თქვენს აგებულებაში კიდევ გაგძელებულიყო და არ გეწამლათ, ვეღარავინ ვეღარ მოგარჩენდათ დაგარწმუნებთ. გთხოვთ, რაც გირჩიოთ, ყოველი ჩემი დარიგება აღასრულოთ, თუ თქვენი თავის სიცოცხლე გინდათ.“ მეც აღვუთქვი აღსრულება. იმანაც ქუდს წამოავლო და ამ სიტყვით წავიდა.

– „ხვალამდისინ.“

ჩუენში ნათქვამია: რასაც კაცი თავის თავს უზამსო, მტერი იმას ვერ უზამსო. ეს თქმული მე მეკუთვნის, ისე მამივიდა.

განა რიგიანს ქალს ვერ ვიშოვიდი კარგის არშიყობით და ძალიან კარგს ქალსაც, რომ ჩემი დროები სიამოვნით გამეტარებინა, მაგრამ ამ ფიქრს მოვერიდე: არ გავება და ჩუენში სიყუარული არ დაიბადოს მეთქი. რომელსაცა ეს ფიქრი მე სვინიდისსა მიტანჯავდა და ჩემს მეუღლის წინაშე შემცოდეობა მეგონა. მერე მე იმისთანა ხასიათის პატრონი ვარ, თუ მე გადავეკიდებოდი ვისმე, ჩემი გული იმას ვეღარ მოშორდებოდა, ამისთვის ის უბრალო ყოფაქცევა იმიტომ ამოვირჩიე, რომ ჩემი გული არავის არ ჰკუთნოდა და თავიც გამოვიცადე გარყნილობის ქცევით, რომელიცა ზევით ითქვა.

იმ ღამეს მე ძალიან დაფიქრებით გავატარე, ვეღარცარა ვჭამერა და ძილიც ცოტა მქონდა. ამის მეორე დილაზედ, როგორც დოხტურმა მირჩია, ჩაიც ისე დავლიე და წასასმელი წამალიც ისე წავისვი. პატარახანს უკან დოხტური მოვიდა, მკითხა.

– „წუხელის როგორ გეძინათ? –“

– „თითქმის უფროსი ერთი ღამე, კარგის ფიქრით არ გამიტარებია მეთქი.“ წუხებით უთხარ.

– „ახლა ფიქრის დრო აღარ არის, უნდა ვეცადნეთ, კარგად იყოთ თქვენა.“

მასუკან გამამკითხა თავის დარიგება, მეც ვუანბე და მერეთ ვუთხარ.

– ფეოდორ ნიკალაიჩს სჩერბაჩევსა[1] სთხოვეთ, ჩემთან მოვიდეს, მნახოს.“

– „ისიც კარგათ ავათ არის, წევს.“

– „რათა? –“

– „შესცივნია და ძალიან სიცხე აქვს.“

– „ხომ არა უჭირსრა? –“

– „არა უჭირსრა, მაგრამ ამ სიცივეებში კარგახანი კარზედ ვერ გამოვა.“

– „მაშ ჩემაგიერ მოიკითხეთ, უანბეთ ჩემი ამბავი.“

– „აგრე იყოს.“ ქუდს წამოავლო, წავიდა.

მაგრამ ჩემა ბიჭმა სარქისამ და ჩემა დენშიკმა მამასწრეს ამ

[1] ადრე ერთათ რომ ვიდექით, იმას.

მდგომარეობაში, ამ დღის ბინდზედ დაიკარგნენ, თავის ამსონებში წასულიყვნენ. როდისაც კარგათ დაღამდა, კედელზედ პატარა ქვა დავარაკუნე[1], ჩემი ბიჭი, ან დენშიკი შემოსულიყო, მაგრამ რა ვიცოდი, სად იყვნენ ისინი. ჩემი დენშიკის ცოლიც სადღაც წასულიყო. პატარა ხანი გამოვუშვი, კიდევ დავარაკუნე, კიდევ არა მეშველარა.

დავიწყე ამ ბნელა ოთახში სიარული: ეგება გაჩნდნენმეთქი. კარგახანი რომ გამოვიდა, კიდევ ავიღე ის ქვა, დავარაკუნე, კიდევ არ იქნა, არა მეშველარა, მერეთ მიველ, ქვეშეგებზედ მივეგდე და კარგახანი ვიწექ. ამაში ჩემი ფიქრი ადიოდა და დადიოდა. ბოლოს ესეცა ვთქვი: ამ ჩემი ცოდვის გამო ღმერთმა დამსაჯა, არავის არ უნდა დავემდურომეთქი.

ამ ყოფით გავატარე კარგახანი, ბოლოდროს სარქისამ ანთებული ქონის სანთელი შემოიტანა და დენშიკიც თან შემოჰყუა. შევხედე, ვნახე, ორივ მთვრალები იყვნენ და სანთელი[2] სტოლზედ დადგეს. საათი ვნახე, ათი საათი სრული იყო, რომელიცა გავუჯავრდი, მაგრამ იმათ ბრიყულად მიპასუხეს.

– „სანთელი გინდა, ეს სანთელი. ჩაი გინდა, იმასაც მოგიტანთ და ვახშამი იმასაც.[3] სხუა რაღა გინდა ჩუენგნით? –“ ამ სიტყვასთან რუსული სიმღერაც შემოსძახეს ყვირილითა, როგორც რიგი არის მუჟიკური, მაგრამ მაგთენი არ იმღერეს და ჩქარა გაწყვიტეს. მე ვიფიქრე: არა, აქ სიმშვიდე უნდა, სხვა მეტი ღონე არარის. იმათ სიმღერა რომ გაათავეს, მკითხეს.

– „როგორ მოგწონთ ჩვენი სიმღერაო? –“

– „უცხო იყო უცხო, მაგრამ სარქის, ახლა შენ ჩაი მამიმზადე და სტეფან შენ ვახშამი.“ ამ ჩემს სიტყუასთან, ისინი მაშინვე გავიდნენ.

ისინი რომ გავიდნენ, მე წმინდა სანთელი ავანთე, აღმოსავლეთის მხარეს კედელში პატარა ფიცარი მქონდა დამაგრებული[4]; იმაზედ წმინდა თეთრი ხელცახოცი იყო გაშლილი, რაზედაც ჩემი

---

[1] ადრე მოვამზადე ის პატარა ქვა დასარაკუნებლად ხოლმე, ზარის მაგიერათ.

[2] მაშინ ჯერ სპიჩკა არ იყო შემოღებული და არც სტიარინის სანთელი, ისე ცეცხლზედ აანთებდნენ ხოლმე, თორემ თუ ესენი ყოფილიყო, იქვე სტოლზედ მექნებოდა ორივ, ავანთებდი. იქნება იმ დროს ევროპიაში იყო ესენი შემოღებული, მაგრამ იქკი არ იყო.

[3] კარგი ეს იყო, რომ სარქისაც რუსულათ მელაპარაკებოდა.

[4] ფანჯრის გვერდით, სადაც კარგათ შევწვდებოდი.

პატარა ღვთისმშობლის ხატი და ქართული წმინდა სახარება (წ. სახარებას ვკითხულობდი ხანდისხან.) მესვენა, რომლების წინაშე ის წმინდა სანთელი, პატარა ვერცხლის შანდალში დავანთე, მასუკან დაჩოქილმა ხელებ განპყრობითა ღმერთსა ვთხოვე გულმხურვალეთ: მოთმინება მამცეს. პატარახან ასე ვილოცე და მერე წამოვდექ. ეს გულმხურვალე ლოცვა დიდათ მიამა და კეთილი ნუგეში მისცა ჩემს სულსგულსა. მცირედი ხანის შემდგომ ჩაი მომიტანეს. დავლიე პატარა, ერთი ბეწო მოჭრილის ბულკით, მერე ცოტა თბილი ბულიონი ვჭამე, ისიც ისე როგორც დოხტურმა დამარიგა, მასუკან მივწექ და მოსვენებით დამეძინა სანთელ გაქრობილს ოთახში. ოთახში ნადგომი წყალის ნებაც მქონდა დამელია, თითქმის ისიც მოთბო იყო, ამიტომ რომ ჩემს ოთახში ძალიან თბილოდა.

ამის მეორე დილის ჩაის შემდგომ, ის წასასმელი წამალი, ახლა მარჯვენა ფეხის კუნთზე კარგახანი ვისვი და ხანი რომ გამოვიდა, დოხტურიც მოვიდა, მკითხა ჩემი ანბავი, მეც ყველა ვუანბე, მაგრამ ჩემი ბიჭების ის ანბავი არ ვუანბე, როგორღაც ვერ გავბედე და მცირედის ხანის შემდეგ ისიც გატრიალდა ამ სიტყვით წავიდა.

– „კიდევ ისე წაისვით ის მაზი, როგორც ისომთხოლმე.“

ის რომ წავიდა, ორივ ჩემი ბიჭი შემოვიყვანე, წარსული ღამის ქცევისათვის ბევრი დავარიგე, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარე, რა დადგება იმაზედაო? – ანუ მგელს თავზედ სახარებას უკითხავდნენ, ეგება მოიქცესო. მგელმა მიუგოვო: რადროს სახარება არის, გამიშვით ცხუარი მთაზედ წავიდაო. ისე ისინი, იმ მეორე ღამესაც ისე დაიკარგნენ, მესამე ღამესაც, მეოთხესაც, მეხუთესაც და მეექვსესაც. კიდევ კარგი, სწორეთ იმ დროს მოვიდოდნენ და თავის მოვალეობასა ისე აღასრულებდნენ, როგორც პირველს ღამეს, მაგრამ აღარ იმღერებდნენ ხოლმე. მე იმათი ქცევისა აღარა ვუთხარირა იმათ და აღარც შევიმცნიე: უარესი არაქნანმეთქი. დოხტურს კიდევ ვერ გავუბედე, მეთქვა და ან რას მიშველიდა, იმას თავის ბევრი პაციენტები ჰყუანდა, იმათი საქმე ჰქონდა და იმათში ხშირათ დადიოდა. ჩემმა მცნობებმაც აღარ გაიარეს ჩემთან, იმათთვის მაინც შემეტყობინებინა ჩემი ბიჭების ის ანბავი, რომ რავიცი სიმთვრალეში იმათ უარესი არა ექნათრა და ამ ფიქრში ხშირათ ვიყავი, რომელმაცა ერთხელ ალერსითა ვუთხარ მითამ ისე ლაპარაკში: კვირაში ერთი დღე მივეც შექცევისა, ოღონდ ღამე ნუ მიდიან, მაგრამ ვის რას ეტყვი,

ყურიც არ მათხოვეს, არც ვიცი ის პირველი ღამე რა უნდა ყოფილიყო იმათთვისა ისეთი კარგი, რომ იმდროს მიდიოდნენ ჩემი ბიჭები და ჩემი დენშიკის ცოლიც. ამაზედ მე ხან რას ვფიქრობდი და ხან რასა.

მეექვსე ღამესაც ისე დაიკარგნენ, წავიდნენ, სადაც კიდევ ბნელს ოთახში ვიყავ, ისე როგორც ზევით გავიგონეთ და შეწუხებული, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ამაში გავიდა კარგა ხანი, ბოლოს პერედნის კარი გაეღო და აქ მე მაღლა დავიძახე.

– „სარქის მოიგონე ღმერთი, მამხედე ამისთანა სნეულობაში ჩავარდნილსა.“

ამდროს მაღალი ხმა რუსულათ.

– „თქვენო ბრწყინვალებავ, შინა ხართ? –“

– „კავალსკი შენა? –“

– „დიახ მე ვარ.“

– „აქ შემოდი ჩემთან, თუ ღმერთი გწამს.“

თუმცა ბნელოდა, მაგრამ ჩემის ოთახის შემოსასვლელი კარგათ იცოდა და როდისაც ჩემი საწოლის კარები გააღო, დაიძახა.

– „რა ანბავია, რომ ბნელაში ხართ? –“

– „თუ ღმერთი გწამს კავალსკი, ემანდ კუხნაში, ჯერ სანთელი აანთე, შემამიტანე და მასუკან გეტყვი.“

არამც თუ კუხნა, ყოველი იმ ჩემი სახლის მიდამო ადგილები კარგათ იცოდა, ამიტომ, რომ დიახ ხშირათ იყო ხოლმე ჩემთან, სადილათ თუ ვახშმათ და ბევრჯველ ღამით წოლითაც, იმ ზალის გვერდის ოთახში.[1]

ანთებული სანთელი შემოიტანა, სტოლზედ დადგა, თვითონაც სკამზე ჩემ პირდაპირ რომ დაჯდა, მოვყევ და ჩემი მოსამსახურების

[1] იმ კავალსკისა ზევით არა ვთქვირა, დამავიწყდა. ეს კავალსკი იყო კეთილშობილი პალიაკი, რომელიც ისიც რეულა 1831-ის წლის პოლშის რევოლუციაში და მასუკან ტყვეთ ჩავარდნილი ორენბურღში გამოეგზავნათ სამხედროს სამსახურში სალდათათ. იქ რუსული კარგათ ესწავლა და ამისთვის უნდეროფიცრობაც მიეცათ და კანცელარიაში სადღაც თურმე მწერლათ იყო. შემდეგ სერგეი გავრიილიჩი კასპიის ზღვის გაღმა, ახალს ალექსანდროვში ნაჩალნიკათ რომ დაენიშნათ, ის კავალსკიც ამისთვის მწერლათ მიეცათ, სადაც მე და კავალსკი ერთს ოთახში ვიდექით ნაჩალნიკის ოთახის გვერდით, რომელსაცა ჩემს დასაწოლს კრავატს შირმა ჰქონდა შემოხვეული და პატარა საწერი სტოლიც მედგა იქვე ფანჯარასთან, ორი პატარა სკამიც და ამ შირმის გარეთ ოთახში ის კავალსკი იდგა და კანცელარიის სტოლიც იქვე თავის კრაოტთან უდგა, სადაც მე და ის კავალსკი კარგათ დავახლოვდით და ორენბურღში რომ მოვედით, უფრო კიდევ კარგათ. ამ კავალსკის ამბავი სხუა წერილშიაც მაქუს დაწერილი.

ყველა იმათი ამბავი ვუანბე, რომელმაცა ძალიან შეწუხებით მითხრა.

– „ჯერ იმათი მოსვლის დრო არარის? –“

– „ამ ერთს საათზე უნდა მოვიდნენ.“ ვუთხარ.

– „მაშ საჩქაროთ წავალ, როტიდგან ოთხს კარგს სალდათს მოვიყვან, ამაღამვე ისინი როტაში უნდა წავიყვანო.“

მე ამაზედ დავღონდი. იმან კიდევ.

– „თუ იმათ ეხლავ არ გადახდათ, უარეს იქმნენ.“

მეტი რა ღონე მქონდა, დავყევ და ისიც საჩქაროთ წავიდა. პატარა ხანს უკან ოთხი სალდათი მოიყვანა, იქ ზალის გვერდით ოთახში დამალა, თვითონ გამოვიდა და კიდევ იქვე ჩემთან სკამზე დაჯდა. მასუკან ვუთხარ მე.

– „ჩემო კავალსკი, თუ ჩემთვის კარგი გინდა, ამაღამვე შენი ბარგი მოიტანე, აქ ჩემთან დადეგ, იმ ზალის გვერდით ოთახში.“

– „ძალიან კარგი იქნება.“ მიპასუხა.

– „მაშ ეხლა სადა დგეხარ შენა? –“

– „როტის კაზარმაში ვდგევარო.“

ამასთანვე გავჩუმდით და მოველოდით იმათ.

გამოვიდა ხანი რამე, ამ დროს ჭიანურის დაკვრით თან მაღალის სიმღერითა შემოვიდნენ ზალაში და ჩემის ოთახისკენ წამოვიდნენ თამაშობით, ჩექმებიანის ფეხებისა ტყაპატყუპით, (ესე იგი ტრიპაკათი.) საჩქაროთ კავალსკიმ ანთებულს სანთელს ხელი წამოავლო და მე მითხრა: ცოტა მოითმინეთ უსანთლოში. ამასთანვე ზალაში გავიდა და მაღლა დაიძახა.

– „დაიჭირეთ ეგენიო.“

მაშინვე ის ძლიერი სალდათები გამოვიდნენ, კარგათ რიგიანათ შეუკრეს იმათ მკლავები და ისე გააკავს. მე კავალსკის დავუძახე.

– „კავალსკი, ეგ ჩემი სარქისა და დენშიკი ორივ აქ ჩემთან შემოიყვანე.“

მკლავებ გაკრულები, თვით კავალსკიმ ორივ ჩემთან შემოიყვანა, კიდევ ისე მთვრალები, როგორც წარსრულებში მენახა და ერთი სალდათიც თან შემოჰყვა ანთებული სანთლით. ვკითხე.

– „სარქის, რისთვის მოხვიდოდით ისე ჭიანურის დაკვრით ჩემთან, ან ისე მაღალი ხმის სიმღერითა და ან ფეხების ტყაპატყუპით? –“

– „ისე ვთქვით ჩუენ: წავიდეთ კნიაზი შევაქციოთო.“ შეუკდიმათ მითხრა.

– „უსვინიდისოვ, ღვთის მტერო, როგორ მეუბნები, *მიბედავ* მაგ ტყუილსა?“

იმან ხმა გაკმინდა და მასუკან დენშიკს.

– „შენ რაო, რისთვის მაწუხებდი ისე? –“

იმანაც ისე ხმა გაკმინდა, როგორც სარქისამ. მერე კავალსკის.

– „იმ გარეთ ზალაში ამათი ამხანაგები ვინ არიან და ან რამთენი იქნებიან? –“

– „ოთხნი არიან და დენშიკებს გვანან.“ მითხრა.

– „სტეფან (დენშიკს.) ვინ არიან ისინი?“

– „აქაური ჩინოვნიკების დენშიკები არიან.“

– „კავალსკი, გთხოვთ, ეხლავ ის დენშიკები გარეკოთ, ამასთან უთხარით: ნუღარ გაივლიან ამათთან, თორემ პოლიციას შევატყობინებთ თქო.“

მაშინვე გავიდა და ამ დარიგებით გარეკა. როდისაც შემოვიდა.

– „კავალსკი, გთხოვთ ყველგან სანთლები დაანთოთ და სამზარეულოშიაც. მერე ისევ ჩემთან შემოხვიდეთ.“ იმან მაშინვე საჩქაროთ ყველგან სანთლები დაანთო, შემოვიდა ჩემთან.

– „ამ სტეფანეს ცოლი, კიდევ არ მოსულა? –“ ვკითხე.

– „ეხლა ეს არის მოვიდაო.“

– „მაშ ეს ორივ ეხლავ, როტის კაზარმაში მიიყვანეთ, ამაღამ ესენი იქ იყვნენ და ამ სტეფანეს ცოლს უთხარით, ის აქ ჩემთან შემოვიდეს.“

სარქისამ და სტეფანემ, როტის კაზარმა რომ გაიგონეს, ხვეწნას მოჰყვნენ: ნუ გაგვგზავნიო, მაგრამ კავალსკიმ ორთავ ხელი წამოჰკრა და წინ გაირეკა. ჩემი დენშიკის ცოლი მარია შემოვიდა, დავუწყე მე იმას ლაპარაკი.

– „დედა მარია, შენ ხომ კეთილი დედაკაცი ხარ, რატომ აგრე უპატრონოდ დამაგდებდი ღამე და აღარ მამხედავდი, უსანთლოში ვიყავ ხოლმე? –“

– თქვენო ბრწყინვალებავ, რავქნა, თუ ვეტყოდი იმათ: კნიაზს რატომ აგრე უწყალოთ ექცევითმეთქი, ორივ დამიჭერდნენ, ჩემი ქმარი მცემდა და სარქისასკი მაგრა ვეჭირე ხელებით და ბოლოს სახლიდგანაც გამაგდებდენ.“ ამასთან მწარეთ ტირილს მოყვა.

– „მაშ ამთენი ღამე ვისთან მიხვდიდოდი? –“

– „მეზობლისას ახლოს.“ – *ისინი არ იცი სად დადიოდნენ? – არ ვიცი.*

– „შენ როგორღა შეიტყობდი იმათ მოსვლას აქ ჩუენს სახლში? –“

–„ჩამამივლიდნენ, დამიძახებდნენ: წამოდიო.“

– „რაო შენ რაღათ გზავნიდნენ სხუაგან? –“

– „ის ჩემი ქმარი ხომ ცუდი კაცია, მაგრამ ის თქვენი სარქისა საშინელი ბოროტი შეიქნა, იმას გაუფრთხილდით თქვენო ბრწყინვალებავ. კიდევ კარგი, ასე ჩქარა შეგესწრათ კავალსკი, თორემ ვნებას შეგამთხვევდნენ რასმე. მე იმისაგან ცუდი ლაპარაკი თქვენზედ ბევრჯელ გამიგონია.“

– „კეთილო მარია, დაჰფარე ეს ანბავი, შენმა ქმარმა და სარქისამ არ შეიტყონ.“

– „თუ შეიტყეს, მაშინათვე მამკვლენ.“

მარიამ მითხრა. მერე მე ვკითხე.

– „ის ჩემი სარქისა რამ წაახდინა?“

– „იმ დენშიკებმა, წეღან აქ რომ იყვნენ.“

– „შენი ქმარი? –“

– „ისიც იმათ.“

– „როგორ საიდგან?“

– ესენი ხომ ბაზარში დაიარებიან სასმლის საჭმლის სასყიდლათა, ისინი იქ გაუცვნიათ, მასუკან ერთმანეთის დაპატიჟებასა მოჰყოლიან და ამ მიზეზით წაუხდენიათ სარქისა და ჩემი ქმარი.“

– „სად როგორ, ვის სახლში დადიოდნენ?“

– „ეგკი აღარ ვიცი თქვენო ბრწყინვალებავ.“

– „კეთილო მარია, ეგ მაგათი ანბავი დიდი ხანი არის, რაც რომ მოჰყოლიან? –“

– „კარგა ხანი, რამთენიმე თვეა.“

– „აქამდინ როგორ არ მითხარი?“

– ბატონო, სიკვდილს მიქადებდნენ. მაგრამ ერთხელ მაინც თქვენ როგორ არ შეამცნიეთ მაგათ, ის თავიანთი ქცევა? –“[1]

– „რას ვიფიქრებდი და არც სახეზედ შემიხედავს მე იმათთვის, მაგრამ ფულს ვინ აძლევდა მაგათ? –“

–„მგონია თქვენს სახელზედ ბაზრიდგან ნისიათ მოქონდათ ყვე-

[1] უფროსი ერთი ყოველ ღამე კარგახანი სხუაგან ვიყავი ხოლმე ჩემს მცნობებში და იქიდგან შინ რომ მოვიდოდი, ყოველთვის ჩემი ბიჭები შინ დამხვდებოდნენ; მეორეს დღესაც კარგათ მემსახურებოდნენ და როდესაც ღამე დავრჩებოდი შინა, ჩემი ბიჭებიც ყოველთვის შინ იყვნენ. ეტყობათ, როდისაც კარგათ ვიყავ, ჩემი შინებიათ და როდისაც ისე ავათ გავხდი, მამასწრეს და აღარ მეპოებოდნენ.

ლა. ეს მე კარგად არ ვიცი, ბოლოს ყველას შეიტყობთ“.

– „მაშ ახლა ჩემო კეთილო მარია, საჩქაროთ სამოვარი დადგი, ჩაი დამალევინე და ბულიონიც გამითბე, ცოტა ვჭამო.“

პატარა ხანს უკან კავალსკიც მოვიდა, წარმოიდგინეთ ჩემი სიამოვნე, რომელიც ღმერთს ვმადლობდი: ჯერ იმიტომ, რომ ისე ავანტყოფმა, ამხანაგი ვპოვე და მასუკან იმისთანა ბოროტების განსაცდელსა მოვრჩი.

მარიამა ჩაი მოგვიტანა, მე ჩემი პატარა სთაქანი, როგორც დოხტურმა დამარიგა, იმისთანა: მხოლოდ ერთი დალიეო, და კავალსკიმ ორი მოდიდო სტაქანი კარგი ცხელცხელი კარგის პურით შეექცა. მერე მე ჩემი ვახშამი ვჭამე და კავალსკიმ ყველი პური, რომელმაცა ვახშამთ უკან მარიას ფულები მივეცი, მეორე დღეს კარგი ხორცის სჩი გაეკეთებინა კავალსკისთვის; კარგი კატლეტი და ჩემთვისკი ისეთი ბულიონი, როგორც დოხტურმა მითხრა.[1] მარია სამზარეულოში რომ გავიდა, კავალსკიმ.

– „უნდა ნება მამცეთ, ხვალ მე თქვენს ბიჭებსა გადავახ[დ]ევინო.“ გადაწყვეტით მითხრა.

– „რაც გინდა, ჰქენით კავალსკი, ნება მამიცია.“

შემდგომ კავალსკიმ, იმ პატარა ოთახში თავის ქვეშაგები გაიშალა, დაიძინა და მეც ჩემს საწოლში, ძალიან მოსვენებით მიმეძინა ჩემს კრაოტზე, ჩემს ქვეშაგებში.

ამის მეორე დილაზედ მინამ მე გავიღვიძებდი, მარიას ბაზრიდგან ნუზლიც მოეტანა, ჩაიც მზათა ჰქონდა და კავალსკიც როტის კაზარმიდგან მოსულიყო, რომელსაცა ორივ ძალიან გაეტყიპა როზგით და იქვე კაზარმაში დაეგდო პყრობილსავით, ჩემის შეთვლილობით როტის კამანდერის ბძანებითა, წყალს პურზედა, სადაც სამი დღე ასე იყვნენ, მასუკან *რამდენის მოციქულებისა შემოჩენით* შევირიგე და იქვე ჩემთან ჩვენ თვალწინა, კავალსკის მივაბარე ისინი: თვალყური იმათზე სჭეროდა და თუ ერთი ბეწო კიდევ დაეშავებინათ, მაშინვე ძალიან დაესაჯა ისინი. იმანაც ისინი ძალიან მოკუნტა და ამის შემდგომ კიდევ წესი ჩამოვარდა ჩემს სახლში.

---

[1] მარია უცხოთ აკეთებდა საჭმლებს, ხანდისხან ბაზარშიაც გავგზავნიდი ხოლმე რაც მინდოდა, ყველას სასყიდათა; უცხო დედაკაცი იყო პატიოსანი და სახეკი ლამაზი არა ჰქონდა, ყვავილისაგან დაჩნეული იყო იმის სახე ძალიან. იმ ორი ბიჭების მაგიერათ მარტო ის რომ ყოფილიყო ჩემს მოსამსახ[ურ]ედ, ბევრით კარგი იქნებოდა ჩემთვის.

მართალია, კიდევ წესი ჩამოვარდა ჩემს სახლში, მაგრამ ახლა ჩემს სენსა, იმ წასასმელებმა, ასეთი ზომა მისცა, რომ ჩემს თავში ბუბუნის ხმაურობა შეიქნა და თავი ძალიან დამიმძიმდა. თორმეტის წასმით ეს მამიხდა და თორმეტჯერ კიდევ უნდა წამესო.[1]

მეთორმეტე დღის დილაზედ, რომ წავისვი და შემდგომ დოხტური მოვიდა, ეს ჩემი ყოფა ვუანბე, მითხრა, ის ფრიქცი აღარ წამესო რამთენიმე დღე, მაგრამ ახლა მერკურის პარაშოკები დამიწერა და იმას ვსომდი ხის კოვზითა ნელთბილს წყალში გახსნილს.

ეს ჩემი უბედურობა რაღა უნდა გავაგძელო? – მოჰყვა: ჩემის თვალების კილოებიდგან, ცხვირიდგან და ყელიდგან ჩირქმა დენა დამიწყო და ღრძილებიც ძალიან დამისივდა; შევწუხდი, ძალიან შევწუხდი და თავის ბედსა ვიწყევლიდი ჩემის გაჩენისთვის, რომელსაცა თვალებიც ძალიან ამტკივდა და რიგიანათ ვეღარ ვხედავდი. ჩემმა დოხტურმა ეს რომ ნახა, მითხრა, კიდევ ის ფრიქცი წამესო, ისევ ისე, როგორც ვისომდი. ამასთან სასფარელი დამიწერა, ის პატარა ქვაბში კარგათ თავდახურვილს, კარგა ხანი ვახარშვინებდი და ნელთბილსა წყალის მაგიერათ ვსვამდი. დოხტური ჩემგნით რომ მიდიოდა, ვედრებით ვთხოვე: ვინც ჩემი მცნობები ნახოს, ჩემაგიერ სთხოვოს, ნუღარავინ ნუღა მოვა ჩემთან ამისთანა საზიზღარს კაცთან. იმან ხმა არ გამცა და შეწუხებული წავიდა. ის რომ წავიდა, შკაფიდგან ჩემი ხანჯალი გამოვიღე რომელიც საქართველოდგან მქონდა წაღებული, ამოვიღე, ზედ დავხედე და ასე დაველაპარაკე ჩემის თავდადებით.

„მე ეხლა რაღა კაცი ვარ, გარყვნილი საზიზღარი და სასჯელის ღირსიცა ვარ ჭეშმარიტად. თუ უნდა რომ ვიცოცხლო, სახე დაბღლერძი უნდა დამრჩეს და ვის რომლის სვინიდისითღა უნდა შევხედო, ნამეტნავად ჩემს კატინას? – ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია. აბა საქართუელოს გამკვეთელო ხანჯალო, კიდევ დრომდინ მოვითმენ და თუ ჩემს სახესა დავატყე, რომ წახდენაში წავიდა, პირობას გაძლევ, ეგ შენი მწვედი და გალესილობა ამ ჩემს გულში გაიაროს. ეს კარგი სამართალიც იქნება ჩემზედ.“

---

[1] ის წასასმელი (მაზი.) იყო თურმე გაკეთებული, ღორის ქონი და ვერცხლის წყალი ერთმანეთში შეზავებული რომელსაცა ლათინურად ერქვა: ფრიქცი. და რომელსაც ყოველს დილაზედ თვითოს ვისმევდი, ისე როგორც ზევით გავიგონეთ, დოხტურის დარიგებისამებრ.

ამასთანვე ჩავაგე, ისევ შკაფში შევდე და თან დავიძახე: დრომდინ მშვიდობით. მასუკან ამ თავგადადებიდგან, არ ვიცი რა იყო, უეცრათ მაშინვე გულში გამიელვა ლმობიერება, ჩემი ღვთისმშობლის ხატის წინ დავიჩოქე და შევბღავლე ასე.

„ღვთის მშობელო, ნუ გამწირავ, შემეწიე ამ საშინელს სნეულებას გადვურჩე, ეგება ჩემს მშობელს ქვეყანას გამოვადგე. გულმხურვალედ გევედრები შენი საუფლისწულოს ქვეყნის შვილი, ჩვენო დედაო.“

ამასთან იმის წინ გულმტკივნეულად დავემხე და მერე ავდექ.

კავალსკის მოვუწოდე, ვთხოვე ჩემს მცნობებში მისულიყო, წასაკითხი წიგნები და გაზეთები ჩემაგიერ ეთხოვნა, მოეტანა და თვით კავალსკის წაეკითხა ჩვთვის, რადგან მე წაკითხუა აღარ შემეძლო. მაშინვე წავიდა.

ის რომ წავიდა, მე იმ წასასმელსა მოვყევ წასმას და ვისვი კარგახანი. ამდროს ჩემი ბიჭებიც კარგათ მემსახურებოდნენ.

ჩემის მცნობებიდგან კავალსკი რომ მოვიდა, ბევრი წასაკითხი წიგნები და გაზეთები მამიტანა, რომელიცა სიამოვნით დაჯდა, კითხვას მოჰყუა და მეც ყურადღებით ყურს ვუგდებდი.

ამ ჩემს მდგომარეობაში, ის ოცდაოთხი ფრიქცი (წასასმელი.) შევასრულე; თან სასფარელსა ვსომდი და ამასთან ტანიდგან მწევდა, დღეში ოთხჯერ ანუ ხუთხუთჯერ;[1] ესენი ძალიან შვებას მაძლევდნენ, მაგრამ იმ ჩემს თავში ის ბუბუნი და თავის სიმძიმე არ დამეკარგა. ამაში ის ოცდაოთხი ფრიქცი რომ შევასრულე, ამ ჩემის თვალების კოლოებიდგან, ცხვირიდგან და ყელიდგან ჩირქი შემწყდა, მაგრამ თვალებისა და ყელის ტკივილიკი ისევ მქონდა.

როდესაც დავიდასტურე: ჩირქი *სრულიად* შემწყდამეთქი, სწორეთ ამდროს შევუთქვი: თუ კარგად ვიქნები, ჩემის ყმაწვილობიდგან ჩემს ქცევას ავწერმეთქი. და როგორც აღვუთქვი, კიდეც ვაღსრულებ ეხლა. (რას სიტყვებითაც აღვუთქვი, სულზევით თავში მოხსენებულია.)

რა ეს ჩემი ამთენი ფრიქცი დავასრულე, დოხტურს ვუთხარ.

---

[1] ამისთვისა ოთახის ცუდის ჰაერის გასაწმენდი, ფანჯრის მინაში პატარა თუნუქის მრგვალი ჩარხი გამაკეთებინა დოხტურმა თავის ხუფით და როდისაც საჭირო იყო, იმ ხუფს მოვახდევინებდი ბიჭსა, ის ჩარხი ტრიალს მოჰყვებოდი და ოთახიდგან ცუდს ჰაერსა სწმენდდა. გარდა ამისა, პივის ძმარი მამატანინა, გახურებულს აგურზედ ბიჭს ვაკმევინებდი და იმის საუცხოვო სუნი მეტათ მიამებოდა.

– „მართალია, თვალის კილოებიდგან, ცხვირიდგან და ყელიდგან ჩირქი შემწყდა, მაგრამ თვალები და ყელი კიდევ მტკივა.“[1]

– „იმედი მაქვს, ეგენიც გავაქრო. ახლა თქვენი სახისათვის აღარ ვიშიშვი.“ ამაზედ ჩემი სიხარულის ბედნიერება წარმოიდგინეთ, რას ვიგრძნობდი!

მასუკან მერკურის აბები დამიწერა და დამინიშნა, დღეში რამთენი მეყლაპა. სხვა ფარეზი ისევ ისე უნდა აღმესრულებინა, სასფარელიც ისევ ისე უნდა მესვა და მეც იმის დარიგებას კარგათ წმინდათ ვასრულებდი, რომელიც ჩემს სიმრთელისთვის ძალიან ცდილობდა დოხტური; დიდი ყურადღება ჰქონდა ჩემზედ და ბევრჯველ დღეში სამჯერაც დამხედავდა ხოლმე.

ზევით რომ გავიგონეთ, ის ჩემი მეგობარი: ავატყოფი სჩერბაჩევი, ის თურმე ძალიან სთხოვდა ჩემთვის დოხტურს;[2] იმის თხოვა ხომ რასაკვირველია, მაგრამ თვითონ დოხტურიც ჩემის სიმრთელისათვის დიდათ ცდილობდა.

ახლა მომაყოლა სულ ამგვარს მერკურის წამლობასა: ხან აბებით, ხან პარაშოკებით და ხან მეკსტურებით. ამთენს და ამისთანა წამლობაში, დოხტური დიახ იშვიათად ერთს დღე დამასვენებდა, მეორე დღეს კიდევ უნდა მოვყოლიყავ ამგვარს წამლობასა; იმ გვარს ფარეზს და სასფარელის სმას ხომ რასაკვირველია. ასე გავხმი და ასე ჩამოვხმი, სახეზე თუ ტანზე, როგორც ჩხირი; ისე რომ ჩემის თავის საცოდაობითა, ჩემს თავს ვიბრალებდი ხოლმე. თავში ბუბუნი და სიმძიმე კი აღარ მქონდა. ღმერთმა მშვიდობა მისცეს კავალსკის, თუ იმ ჩემს ავანტყოფობაში ის არ შამსწრებოდა, დღეს ჩემი სახელის ხსენება აღარ იქნებოდა. ჩემს მოვლას გარდა, ჩემს ოთახში იჯდა, წიგნებს მიკითხავდა, დილას თუ ღამე, რომელმაცა დუმონ დურვილის მოგზაურობა იმთენი ტომები წამიკითხა, სხუა რამთენი წიგნები და ყოველს გაზეთებს ხომ რასაკვირველია მიკითხავდა.[3]

---

[1] პირველათვე თვალები რომ ამტკივდა, ღამე ანთებული სანთელი მჩხვლეტდა თუალებში, ამისთვის დოხტურმა მირჩია, ანთებული სანთელის ასაფარებელი მწვანე ნარმა გამეკეთებინა ფეხებიანს ოთხს ჯოხზედ და ის თვალების მოშორებით სტოლზედ დამედგა. გავაკეთებინე, იმას სტოლზედ ვადგმევინებდი და ის ჩემს თვალებსა შვებას აძლევდა.

[2] ქ. ორენბურღის პოლიცმეისტერის ძმა იყო ის.

[3] იქამდისინ მინამ მე გაზაფხულზედ ჩემს მცნობებში დავიწყებდი სიარულსა და კარ-

ოკტომბრის თვე გავიდა, ნოემბრის თვე, დეკემბერი და იანვარი, რომ სულ ამისთანა წამლობაში ვიყავ, მერე დოხტურმა მირჩია, გოგირდის ვანები ამეღო და ამასთან, მერკურის პარაშოკები მესვა, ყოველს ცისმარეს დღესა, რომელიცა მოვყევ, დღე გამოშვებით გოგირდის ვანას ვიღებდი პირველს[1] ღამეს და მერკურის პარაშოკებს ვსვამდი. ამაში ჩემმა თუალების ტკივილმაც გაიარა, მაგრამ ყელი მაინც კიდევ მტკიოდა. დღეგამოშვებით ოცდა ათი ვანა, რომ ავიღე, შემდეგ მითხრა დოხტურმა.

– „ოცდაათი ვანა კმარა, მომატებულს ნუღარ აიღეფთო.“ მაგრამ მერკურის პარაშოკებს მაინც კიდევ კი მასმევდა. *დოხტურს ძალიან უკვირდა, რომ ღრძილები ძალიან არ დამისივდა.* თუმცა ღრძილები ძალიან დამისივდა, მაგრამ მომატებულათ კი აღარ, ისიც ბოლოს ვანების დროს დამეკარგა და მგონია იმთენი სასფარელის სმა დიდათ მეწეოდა? – *მე ამ დროს ეს არ მამაგონდა, რომ დოხტურისთვის მეკითხა.*

ამაობაში აპრილის თვე დადგა, მეც პატარა კარგათ შევიქენ, ამდროს ჩემ მცნობებმაც დაიწყეს ჩემთან სიარული[2] კაცებმა. მეც იმათ სიამოვნით დავხვდებოდი და იმათ კიდეც ვუამბობდი ჩემს საძაგლობას: ეგება პირში გამლანძღონ, რომ ამით დავისაჯო მეთქი, მაგრამ არავინ არ მლანძღამდა, უფრო მე იმათ ვებრალებოდი. *რომელიცა მე კი დიდათ ვგრძნობდი ჩემს შემცოდეობას ჩემს სვინიდისთან და დიახ ხშირათაც ჩემს სისუსტეს აუგათ ვხდიდი ხოლმე.*

ჩემ მცნობებმა ჩემთან სიარული რომ დაიწყეს, დოხტურმა ნება

გათ კითხუას შევიძლებდი, ყოველთვის მიკითხავდა უფროსი ერთს დროებს სულ ის მიკითხავდა, რომელსაცა დიდს ნუგეშსა მცემდა ხოლმე ამისაგან იმ წიგნების და გაზეთების კითხუას. ძალიან კარგათაც კითხულობდა.

[1] კავალსკის ოთხოთხი სალდათი მოჰყვანდა როტიდგან, იმათის მოხმარებით ვანებს ავიღებდი და მეც ფულებს ვაჩუქებდი იმათ.

[2] ზევით სხოლიოში გეხსომებათ, დამოჟნის ნაჩალნიკი ვენიერი: ჩემი ცოლი და იმის ცოლი ახლო ნათესავები იყვნენ მეთქი და სხუანი. ჩემს იმ ავან[ტ]ყოფობის დროებში ისიც ავათ შეიქნა, რომელიცა ხშირათ ჩემს ამბავს იკითხამდა და მეც ვუთვლიდი, რომლისაგანაც ფულს ვსესხულობდი და ისიც ყოველთვის მიგზავნიდა. ის ხმელის ბუასილით ძალიან ავათ იყო; როდისაც ჰაერში სითბილე შევიდა, ისიც კარგათ შეიქნა და მაშინვე ჩემთან მოვიდა სანახავათ. რასაკვირველია ორთავ ძალიან გვიამა ერთმანეთის ნახვა, მასუკან მოვყევ და ყველა ჩემი ა[მ]ბავი ვუანბე, რომელიც დიდათ შეწუხდა და მითხრა: ეხლახომ გამოსცადე ეგ სენი, ახლაკი ამას იქით გაფრთხილდიო.

მამცა, ზალაში გამეარა რამთენჯერმე და ისევ ჩქარა საწოლში შემოვსულიყავ, რომელიცა ექვსი თვე ვიყავი იმ ჩემს საწოლში დამწყვდეული და რომელმაც ამდროს კარგის ხორცით, სუფის ჭამის ნებაც მამცა და კარგის ჟარკოისაც, ასე ამ ქცევით ჰაერს შევეჩვიე და მაისის დამდეგს, კარგს დღეში ნებაც მამცა ცოტაოდენი ხანი კარზედაც გამევლო, მაგრამ რადგან კიდევ ცოტაოდნათ ყელი მტკიოდა, სუბუქ მერკურის პარაშოკებს *მაინც* კიდევ მასმევდა, მაგრამ მაინც ის ჩემი ცოტაოდენი ყელის ტკივილი არ დამეკარგა. *კიდევ მქონდა. თუმცა ისე ძალიან არა, სუბუქათ კი.*

თუმცა ყელი კიდევ კი მტკიოდა ცოტათ, მაგრამ სახეზედ და ტანზედ ჩემებურად ჩქარა მოვკეთდი, ისე რომ დოხტურმა ნებაც მამცა ჩემს მცნობებში მევლო და ყველაფერიც მეჭამა, თვინიერ მჟავისა და მლაშეებისა.

ყველგან წაველ, ვნახე ჩემი მცნობები, ყველას იამათ ჩემი ნახა; თუმცა ყველას შეეტყო რითაც ვიყავ ავათ, მაგრამ ზდილობის გამო ყველანი მკითხამდნენ: რით ვიყავ ავათ? – მითამ ჩვენ არავიციოთრაო. რასაკვირველია მეც მიკიბულმოკიბულს რაღაებსაც ვეტყოდი, რომელთაცა ყველამ მთხოვეს, ქალთა და კაცებმა, კიდევ კვლავინდებურათ, მე იმათში მევლო და დავიდოდი კიდეც. მაგრამ ცოტა ყელის ტკივილი მაინც კიდევ დამრჩა და მუდამ მტკიოდა.

დოხტურმა ნახა, ჩემმა ყელის ტკივილმა რომ არ გაიარა, სულემას კაპლი (წვეთი.) დამიწერა, ამასთან ერთი ბუთლიკა მადერა მამატანინა და ახლა იმ სულემას ასე მამაყოლა: პირველს დღესა ხის კოვზში მადერა დამასხმევინა, პატარას მინით ის სულემა შიგ ერთი წვეთი თვითონ ჩააწვეთა, მერე წმინდა ჩხირით მოურია, მითხრა: დალიეო. მეც დავლიე. შემდგომ დამარიგა.

– „ახლა ხვალ კიდევ ამდროს[1], ორი წვეთი დალიეთო, ზეგ სამიო, მაზეგ ოთხიო; ასე რომ თორმეტამდინ ახვიდეთ და შემდგომ კიდევ ერთზედ ჩამოხვიდეთო. მაგრამ ვინიცობა არის, თუ ძალიან გულის რევამ დაგიწყოსთ, იქ იმთენზედ გააჩერეთ, ამის მეორეს დღეს ისევ უკან ჩამოდით და თვითო წვეთი დააკელით. ასე რომ გული უნდა გერეოდეთ რამდენიმე ხანი, მაგრამ პირიდგან კი არ უნდა ამოგივიდეთო.“

რაც მირჩია, შევუდექი, მაგრამ ცხრა წვეთის ზევით ვეღარ ავე-

[1] დილის მეთერთმეტე საათი იქნებოდა.

დი, გული ძალიან მერეოდა და მასუკან უკანვე ერთამდისინ მოვიდოდი. როდისაც ერთი ასვლაჩამოსვლა გავათავე, დოხტურმა სამი დღე დამასვენა და მერე კიდევ ისე მამაყოლა, ამიტომ რომ ყელის ტკივილმა არ გამიარა, ამისთვის დოხტურმა მირჩია, სერგეევსკის გოგირდის წყალზე წავსულიყავ საბანებლათ. წამლობისთვის დროც კარგი იყო, ზაფხული.[1] მეც მაშინვე ვთხოვე მთავრობასა და საჩქაროთ წაველ, სადაც მთელი ზაფხული დავყავ 1838-ის წლისა, რომელიცა 31-ს გოგირდის წყალის სითბოს გრადუსში ვბანაობდი, ანუ ვანას ავიღებდი და თან იმ სულემას ვსომდი მადერითა. ბოლოს სეკტენბრის თვის დამდეგს, ჩემმა ყელის ტკივილმა გამიარა, მაშინ მე სრულად კარგათაც შევიქენ და გამხიარულებული წამოველ იქიდგან ორენბურღისაკენ. *ეს ხომ ასე, მაგრამ თერთმეტი თვე მერკურს და სულემას რომ ვსვამდი, ამისთვის უსიტყოდ გამიშვებთ და აუგს არას იტყვით ჩემზედ? – თქვით და ღირსიცა ვარ.*

ასე შეშინებული ვიყავ იმ სენითა ორენბურღში, რომ ის სეკტენბრის თვე კარგათ დადგრომილათ გავატარე და ოკტომბრის თვეც, სადაც ჩემს მცნობებში უცხოთ სიამოვნით ვატარებდი დროსა. ამ დროს ამ ოკტომბრის თვის გასულს, პეტერბურღიდგან პრიკაზი მოვიდა, (ბძანება.) საიდგანაც მე კავკაზიის ლინიაზედ გადვეყვანეთ ერთს ლინეინის ბატალიონში დიდს ყაბართოს.

მე ამდროს კიდევ ფული დავესესხე დამოჟნის ნაჩალნიკს ვენერის, იმან კიდევ გულუხობით ხელი გამიმართა; შემდგომ მომზადებისა, ყველას ჩემს მცნობებს გულმტკივნეულად გამოვესალმე, ამიტომ რომ იმათი კეთილი გული მე სახსომრად თან გამამყვა. ჩემს კავალსკის ხომ რასაკვირველია უფრო გულისტკივილითა, მასუკან ჩემს დენშიკს და იმის ცოლს ფულები ვაჩუქე, იმათ ის ფული ტირილით მიიღეს, ტირილით გამამეთხოვნენ და მერეთ სადილათ სჩერბაჩევთან მიველ, სადაც სამნი ვისხედით სტოლზედ, იმის მშვნიერი ცოლი, თვით სჩერბაჩევი და მე, რომლებმაცა მინამ სადილი გავათავეთ, ოთხი ცხენით შებმული ტარანტასი[2] მამიტანა ჩემმა

[1] სერგეევსკის გოგირდის წყალი ორენბურღზე არის 400-ი ვერსი; ის წყალი იყო ცივი, რომელსაცა ათბობდნენ და ვისაც რამთენი გრადუსი სითბო მოუხდებოდა, იმთენს სითბოს აიღებდა ვანნით, სადაც კარგი საზოგადოება დადიოდა და მუზიკით დროს ატარებდნენ დიდ ზალაში.

[2] კარგი ტარანტასი იყო, ჩემის იმ გზისთვის იქ ორენბურღში ვიყიდე 400-ს რუბლ ასიგნაციათ.

ბიჭმა სარქისამ ბარგ ჩაწყობილი.

სადილი და ყავა რომ გავათავეთ, სჩერბაჩევის ცოლმა პატარა ღვთისმშობლის ხატით დამლოცა, იყო ვერცხლ გადაკრული ოქროთ დაფერილი და უბეში თავის ხელით ჩამიდვა; სჩერბაჩევმაც პატარა დასაბეჭდი მამცა, რაზედაც იყო გამოსახული ანუ ამოჭრილი: სარწმუნოება ჯვარი, სიყვარული ცეცხლი და იმედი ღუზა. (ესენი ახლაცა მაქვს იმათ სახსოვრათ და მოსაგონათ.) მე ამგვარი არაფრისთანა არა მქონდარა, მხოლოდ ეს რომ რაც სახლის მებილი მქონდა, მეც ის მათ ვუთავაზე იმ რამდენი დღის წინათ; თუმცა მაგთენი კარგი არ იყო, მაგრამ მაინც ჩემს სახსოვრათ ექნებოდათ. მერეთ გამოსალმების დროს, სჩერბაჩევის ცოლის მუცელზედ ხელი შევახე ამ სიტყვით.

– „ოლგა ანტონოვნა, რომელიც ყმაწვილი ახლა აქა გყავთ თქვენ, ქალი იქნება თუ ვაჟი ჩემი ნათლულია.“ ახლათ ორსულათ იყო[1]. იმ ცოლქმართაც ასე დამიმტკიცეს. მერე მე იმათ გამოვესალმე, სამთავ ცრემლები გადმოვყარეთ და განვშორდი იმათ, სადაც ორენბურღში ორი ძალიანი ბეჭედი დამესო მე: სიმწარისა და სიამოვნისა. სიმწარისა იმით, რომ მე ისე ავათ გავხდი და სიამოვნისა იმითი, რომ ისე კარგათ სიამოვნით ვიყავ მიღებული იქაური ზოგიერთის პირველის სახლებისგან. პირველი ჩემი ბრალია, მე ჩემს თავს უნდა დავემდურო და მეორე ბევრი მადლობა იმათ, რომელთაგან ისე კარგათ შეწყნარებული ვიყავ, რომლებიცა მე ნუგეშს დიდსა მცემდნენ. აი ეს ორი რამ წამოვიღე სახსომრათ ორენბურღიდგან.

ორენბურღიდგან გამოვედი მე შუადღის შემდეგ, 2-ს ნოემბერს 1838-ს წელში. მოვიდოდი, მოერეკებოდა ცხენებს ჩქარის ჩანჩალითა იემშიკი; ორი სტანცია რომ გამომარბენინეს, იმ მეორეს სტანციაში დავდეგ იმ ღამესა, სადაც შუაღამის შემდგომ თოვლმა მოსვლა დაიწყო, თან დიდი ქარიშხალი ამოვიდა, რომელიცა გრიალებდა ძალზედ. მე იმის ხმაზედ უფრო კარგათ დამეძინა ჩემს ღარიბს ქვეშაგებში, ასე რომ მინამ კარგათ არ გათენდა, არ გამეღვიძა, ჩემს სარქისას ბიჭსა სამოვარზედ ჩაინიკი ჩაით მზათაც ქონდა ზედ დადგმული. მიამა მე იმის დანახუა და სამოვარის შიშინის ხმა. ვკითხე – „სარქის როგორი დღეა? –“

[1] ბოლოს იმის ქმრიდგან წიგნი მამივიდა, მოეწერა: ქალი ეყოლა და შენს სახელზედ მოვნათლეთო.

– „საშინელი! თოვლი მოდის და ქარიშხალი მეტათ ურევს.“ მითხრა.

– „სტაქნით ჩაი მამიტანე და მასუკან რომელმაც იემშიკმა უნდა წაგვიყვანოს, ის აქ მოიყვანე.“

ჩაი მამიტანა, თვითონ კარზედ გავიდა და საჩქაროთ მოიყვანა იემშიკი. ვკითხე.

– „როგორი დღეა ჩვენის მგზავრობისთვის? –“

– „ავი დღეა თქვენო ბრწ.[ყინვალებავ]“ მიპასუხა.

– „რომელმაც იემშიკმა მომიყვანა, უკანვე წავიდა თუ აქვე არის?“

– „მარტო როგორ წავა, დაიღუპება უამხანაგოთ, თოვლის ქარიშხალი დასძალავს.“

– „მაშ ჩუენის წასვლისას რაღას იტყვი? –“

– „თუ ორს ცხენსა და ერთს იემშიკსაც მოუმატებთ ფალეტორსა, წავალთ, შიში აღარ არის.“

მასუკან სარქისას.

– „სარქის შენ რაღას იტყვი, კოზლაზედ რომ ზიხარ, შეგიძლიან ამ თოვლიანს ცივს ქარიშხალს გაუძლო? –“

– „ჩემის სიმრთელითა? – ადვილათ. ნამეტნავად იმისთანა თბილი ტყავი ტანზედ მაცვია და ფეხებზედ ამისთანა თბილი ჩექმები.“ გაღიმებით მიპასუხა. უკეთესი მოსამსახურე არ უნდოდა რომ ის იყო; აგებულობითაც მრთელი და ღონით ძლიერი, მაგრამ რა გაეწყობა იმ წყეულებს, ვინც წაახდინა. იყო გულწრფელი ყმაწვილი კაცი და ამიტომ მოტყუებულიყო, რომელიცა ვერაფრის საშუალობითა ვეღარ გამოვიხსენ, მაგრამ იმ მგზავრობაში დიდათ ერთგულად მემსახურა.

ჩვენი ლაპარაკის შემდგომ, იემშიკს ვუთხარ.

– „მაშ ნუღარ დავიყოვნებთ, წავიდეთ და ორი ცხენიც მოუმატე თავის ფალეტორით.“ ის მაშინვე წავიდა. მე მეორე ჩაიც რომ დავლიე, ამასთანვე ტანისამოსი საჩქაროთ ჩავიცვი და სრულათ წასასვლელათ მზათაც ვიყავ. სარქისამაც ტარანტასი მამიმზადა, რომ რიგიანათ მოვთავსებულიყავ, ხან დაჯდომით და ხან წოლით[1].

---

[1] მე რომ ქ. ორენბურღს ჩემს დოხტურს ბე... გამოვესალმე, მითხრა: ახალი ნავანტყოფი ხართ, ეხლა ამ სიცივეში გზაზედ რომ მიდიხართ, დიდი გაფთხილება გინდათ, არ გაცივდეთ, ამისთვის თბილათ უნდა იყვნეთ და კარგი სათბუნელი გქონდეთო

ჩემი დიდი მგლის ტყავის თულუფი რომ წამოვისხი, თავზედ თბილი ქუდი დავიხურე, დიდრონი თბილი ჩექმები ფეხებზედ ჩავიცვი, სახლის პატრონს და იმის ცოლს უთხარ მშვიდობით, კარზედ გამოვედი, სადაც ქარიშხალი გრიალებდა თოვლის არეულ-დარეულობითა, რომელიცა ჩემი ტარანტასი ოთახსავით იყო ტყავით გაკეთებული; მივედი, შიგ ჩავჯექ, ასე მეგონა: ოთახიამეთქი და სარქისაც კოზლაზედ რომ დაჯდა, იემშიკმა დაიძახა: პაშოლ. და გავედით ქუჩაში.

სოფლის ქუჩა ცოტათ გააჩანჩალეს, მინდორში გავიდნენ, აქ ცხენები მოხსნეს და ტარანტასი გააქანეს, ტარანტასის ფანჯარაში გავიხედე, ქარიშხალი ხვეტდა თოვლსა და ჰაერში იმის კორიანტელი ადიოდა[1]. მეც კარგათ თულუფში გახვეული თბილად ვიყავ, რომელმაცა იმ ჰაერის აღრეულობის გრიალმა მოიტაცა ჩემი გონება და ბალიშზე მივესვენე, სადაც ჩემს მშობელს მამულს მიველ და სადაც კიდეც დავტკბებოდი ჩემს თავისიანებში. ბოლოს ამ ამაოების ფიქრიდგან, სხუადასხუა ფიქრები წარმამიდგენ და შემდეგ კიდეც დამეძინა.

მაგთენი ხანი არ გამოვიდა, ჩემმა ბიჭმა გამაღვიძა: სტანციაში მოვედითო. ჩემი უბის საათი ამოვიღე, ვნახე, ჯერ შუადღე არ იყო შესრულებული და არც ჩემი სადილის დრო იყო. ვუთხარ: სარქის, საჩქაროთ ტარანტასში ცხენები შეაბმევინე, წავიდეთ, მაგრამ შენ ხომ კარგათ იყავ ამ ცივს ქარიშხალში? – კარგათ, ძალიან კარგათა ვარო. მერეთ ტარანტასი შეაბეს და ისევ ისე ჩქარა გავწიეთ, ის ქარიშხალი კიდევ ისე ქროდა იმისთანა აღრეულების კორიანტელით.

ამის მეორეს სტანციაში, რომ მივედით, გადავხტი, წამოღებული ჩემი სადილი რაცა მქონდა, ვჭამე, შემდგომ გამოვწიეთ და წამოვედით კიდევ ისე ჩქარა. საღამომდინ ასე ვიარეთ და ღამე ერთს სტანციაში დავდეგით, სადაც იმ ღამეს კარგათ განვისვენე; ამასთან ქარიც ჩავარდა და ჰაერიც დაგვიმშვიდდა, მაგრამ ყინვა სიცივე კი იყო.

ასე ამ ყოფით მოვიდოდი გზასა, ღამე არ ვივლიდი, დავდგებოდი და მეორე დილაზედ ისევ შევუდგებოდი გზასა, მაგრამ ახლა უფრო

ტანზედ. რასაკვირველია კარგათ თბილათაც მივიდოდი.

[1] მთელს ორენბურღის დიდ ფოშ[ტ]ის გზებზედ, აქეთ და იქით გზის ნაპირებზედ მაღალი მარგილები იყო ჩასხმული ხეები მიწაში, ერთი ერთმანეთზედ ორმოცზე თუ მეტნკლებს ნაბიჯებზე, რომ იმისთანა არეულობაში მგზავრსა გზა არ დაეკარგა და არ დაღუპილიყო.

ზომიერი ცხენების ჩანჩალითა მოვიდოდი, სადაც ზოგიერთ სტანიცაში ორი ღამეც დავდგებოდი დასასვენად და სარატოვის ქალაქში ხომ სამი დღეც დავრჩი, ამიტომ რომ იქაური ღუბერნატორი ბიბიკოვი ადრე კალუგაში ღუბენატორათ ყოფილიყო, სადაც დედა ჩემი გაგზავნილი იყო ჩემის ორის ძმებით იმ ჩუენი საქართუელოს შეთქმის გამო, რომელიცა თურმე დიდ პატივსა სცემდა დედა ჩემსა ბიბიკოვი და იმისი ცოლი (აპოსტოლ მურავიოვი რომ დაახრჩეს იმის და იყო.) ეკატერინა ივანოვნა ხომ კიდევ უფრო მომატებით. ბოლოს ის ბიბიკოვი კალუგიდგან სარატოვში გადეყვანათ, მე ეს ადრევ ვიცოდი; წაველ და მეც ამით პატივისცემა დავანახვე იმათ, ბატოიშვილი დედი ჩემის მაგიერი; იმათ დიახ სიამოვნით მიმიღეს და მთხოვეს რამთენიმე დღე დავრჩენილიყავ იქ იმათის გულისათვის, რომლებთანაც სულ იმათთან ვიყავ ყოველს დღესა, მხოლოდ დასაძინათ გოსტინიცაში მოვიდოდი ღამე.

აი ამიტომ დავრჩი სამი დღე იქ, მაგრამ ის ქალი ხომ გახსომთ, სარატოვში ადრე ჩემთან რომ იყო? ის ბევრი ვაძებნინე, მაგრამ ველარ ვიპოვე და ამისათვის უმანკოთა წამოვედი იქიდგან ღვთის სასიამოვნოდ.

ასე, ამ ზომიერის სიარულით „8-ს“ დეკემბერს ქ. სტავროპოლს მოველ შუა დღის დროს და გოსტინიცაში გადავხტი, მაგრამ იმ დღის დილაზედ გავცივდი, სიცხე მამცა და ისე ავანტყოფი მოველ; გოსტინიცის გამგეს მაშინვე დოხტური მოვაყვანინე, იმან წამალი დამიწერა და მეორე დღეს კარგათ ვიყავ, მაგრამ ძალიანი სისუსტე შემყვა, მე ამისთვის დოხტურს ვთხოვე, ჩემი ავანტყოფობისა მთავრობისთვის ეცნობებინა, რომ მინამ მოვღონიერებულიყავ, რამდენიმე დღე ნება მოეცათ სახლში ვყოფილიყავ. გამირიგა და დავრჩი სახლში.

ბოლო დროს ერთ კვირას უკან ლინეინის ბატალიონის აფიცრის ტანისამოსი ჩავიცვი, ჯერ კამენდატთან გამოვცხადდი და შემდგომ ნაჩალნიკშტაბ ტრე... რომელთანაც ორენბურღის ნაჩალნიკშტაბის რაკ... წიგნი მქონდა ჩემი რეკომენდიისა; გამოცხადების შემდეგ, ის წიგნი რომ მივართვი, გახსნა და წაიკითხა.

– „კარგი, უთუოთ თქვენზედ ყურადღება მექნება. მითხარით, ხომ არა გნებავთრა? –“

– „შეუძლოთა ვარ, ღვიძლის ტკივილი მაქვს, დამავალებთ, თუ

ნებას მამცემთ რამთენიმე ხანი აქ ვიყო და ვიწამლო[1]?“ გულმოდგინეობით მივუგე.

– „დიახ კარგი იქნება. მე კამენდატს ვუბძანებ, რამთენი ხანიც გინდათ, აქ იყავით.“ მე მადლობით წამოვედი.

გოსტინიცაში ჩემი დგომა არ იქნებოდა მეტი სიძვირისაგამო, ამიტომ ერთი რიგიანი ხნიანი ქვრივი დედაკაცის სახლში დავდეგ ქირით და სამი თვე იმის სახლში ვიდეგ, რომლებშიაც სხუებიც იდგნენ ქირით სხუადასხუას ოთახებში. იმ ოთახებს დავხატავ ვინ სად იდგა, რომელსაცა უფრო კარგათ დავინახამთ საქმეს.

ამ სახლში, რომელს ოთახში ვიდექი მე, ანუ რომელი ვინ სადა, ცხადათა ჩანს; ახლა ამას თავი დავანებოთ და ის ავწეროთ, რაც მე შემეხება.

აქ, თუმცა დოხტური დადიოდა ჩემთან, სუბუქ სასმელ წამალსაც მაძლევდა ჩემი ღვიძლის ტკივილისა გამო, მაგრამ მაგთენი არა მიყორა, კიდევკი ცოტათ მტკიოდა და ძალიან სევდიანათ ვიყავი, ზედატანებით ჩემმა ბიჭმა სარქისამ თავისებურათ ლოთობა დაიწყო და მაგთენი ყურს აღარ მიგდებდა, რომელმაცა ამან უფრო გამიცხოველა სევდა.

ერთს საღამოზე ჩაის შემდგომ, ჩემს სახლის პატრონთან შევდი, იქ ერთი აფიცერი იჯდა ყმაწვილი კაცი. ჩვენი თავის დაკვრის შემდეგ და ჩვენი კრესლაზე დაჯდომისა, მაშინვე ჩემს სახლის პატრონს შევჩივლე.

– „არ ვიცი რა ვქნა, ის ჩემი ბიჭი სარქისა მეტათ ლოთობს და ყურს თითქმის აღარ მიგდებს.“

– „კნიაზო, გუშინ წინაც გითხარით და ეხლაც გეტყვით, ერთი საშუალობა გაქვთ, სხუა არაფერი, უნდა ქ. ტფილისში გაისტუმროთ და მაგის მაგიერი სხუა დაიბაროთ.“ მითხრა.

– „კარგი და ვის გავატანო? –“ ამ სიტყვაზე იმ აფიცარს მიუბრუნდა.

– „არ შეიძლება თქვენ წაიყვანოთ? –“

– „დიდის კმაყოფილებით.“ უპასუხა, მასუკან მე სიამოვნით მივატანე.

---

[1] იმ ჩემი ცუდი სნეულობის ადრე, ის მარჯვენა ფერდის სიმაგრე და ტკივილი რომ მქონდა, თურმე ის ჩემი ღვიძლის ტკივილი ყოფილიყო იმის შემდგომ, მაინც სუბუქათ დამრჩა ღვიძლის ტკივილი.



ოთახების გეგმა.

– „როდის აპირებთ წასვლას? –“

– „ხვალ დილით.“

– მაშ არ შეიძლება, რომ ეხლავ თან წაიყვანოთ? –“

– „ძალიან კარგი იქნებაო. მხოლოდ საგზაო ფული მამეცით იმისთვის.“

მოლაპარაკების შემდგომ, ორმოცდა ათი რუბლი ასიგნაცია მივეცი, მერე იქვე ბატოიშვილს დედას წიგნი მივწერე და სხუათა შორის სარქისას მაგიერი ბიჭი ვთხოვე გამოეგზავნათ. ის წიგნი იქვე დავბეჭდე და ჩემის ხელით მივე ადრეს წარწერილი დედა ჩემთან. ამის შემდეგ კარიდორში გამოვედი და სარქისას დავუძახე შემოსულიყო. ის რიგიანათ მთვრალი შემოვიდა, მეც მკაცრათ ვუთხარ.

– „ეხლავ შენის ბარგით, ამ მართებულს აფიცარს იახელ და ხვალ საქართველოში ერთად წახვალთ.“ ის ამაზედ ძალიან დაღონდა, მაგრამ მაშინვე ის აფიცარი ფეხზე წამოდგა, ჩვენ გამოგვესალმა და კარიდორში გაიყვანა სარქისა გაჯავრებულის სახით; მეც თან გამოვყევი. იქ მრისხანეთ უთხრა.

– „აბა შენი ბარგი? –“ იმის მაგიერათ მე ვაჩვენე. მაშინვე ააწევინა და თან გაიყოლა, ჩემკენ ამ სიტყვით: პრასჩაიტე კნიაზ. ისინი რომ წავიდნენ, მე სახლის პატრონთან შევედი, სკამზედ დავჯექ, ვუთხარ.

– „ჩემი მოსამსახურისა წასვლა დიახ კარგი, მაგრამ ამას იქით ვიღა მემსახუროს? –“

– „ჩემი მუახლეო[1]. უცხო დედაკაცი არის.“

– „თქვენ რაღასა იქთ? –“

– „ჩემი მეორე მუახლე მყავს, დომნა, ის მემსახურება, კარგი მუახლეც არის.“

– „საჭმელი მე ვიღამ გამიკეთოს? –“

– „ჩემმა პოვარმაო“ (მზარეულმა.)

გაიმართა ჩემი საქმე.

ამის მეორე დილაზე, ჩემთან მოჩენილი ის მოახლე შემოვიდა, ჩექმები შემამიტანა და მაშინვე შეუკდიმათ გულის სიწრფელით მითხრა.

– „თქვენო ბრწ.[ყინვალებავ] იქით იმ ოთახში, ერთი ლამაზი ქვრივი დედაკაცი დგას, იმან მოგიკითხათ.“

---

[1] ამის ქალბატონსა ავდოთი ფეოდოროვნა ერქუა და მუახლეს მარფა.

– „ვმადლობ. მაგრამ მე ის არ მინახამს და ან ვინ არის ის? –“

– „კარგი კაცი იყო მაგისი ქმარი.“

– „აქვს რამე საცხოვრებელი? –“

– „მაგთენი არა, მაგრამ მაინც დარჩა ქმრისა; თავის ხელსაქმეც ეწევა და ცხოვრებს უჭირველად.“

– „როგორი მქცევის დედაკაცია? –“

– „პატიოსანი.“

– „მაშ მე მოკითხუას რათ მითვლის? –“

– „თქვენ ძალიან მოსწონხართ, თქვენი გაცნობა სურს.“

– „სად ვუნახივარ მე იმას? –“

–„ბალკონზე რომ მომავალებულხართ, ფანჯრიდგან დაუნახვიხართ.“

– „მაშ შეიძლება, ვიზიტი გავუკეთო, ვნახო?“

– „წავალ, დავეკითხები, რას მეტყვის? –“

მცირე ხანი რომ გამოვიდა, მოვიდა და მითხრა: ამ ერთს საათზე მობძანდითო.

მოვემზადე და დანიშნულს დროზე შაველ.

ვნახე, რა ვნახე, ჩემი კატინა! თუ რუსულად არა სცმოდა, ანუ თავი რუსულათ გაკეთებული არა ჰქონოდა და ან რუსულად არ დამლაპარაკებოდა, უთუოთ ჩემი ეკატირინე მეგონებოდა. ბოლოს მე და ის შევეჩვიეთ ერთმანეთსა. ბევრჯელ იმ დედაკაცს თუ ქვრივს ქალსა ჩემს ოთახში შემოვიყვანდი, ჩემს კრაოტზე ჩემს მახლობლად დავსომდი, მე ბალიშზე წამოწოლილი ორი თუ სამი საათი იმას ვუყურებდი სხუადასხვის ალერსის ლაპარაკით, მითამ ჩემს ეკატერინეს ვესაუბრებოდი. ეს თვითონ იმანაც იცოდა და ეკატერინესთანა მშვიდობის მყოფელიც იყო ის ქვრივი, რომელსაცა ამ ჩემმა შექცევამ იმასთან, ჩემი სევდა გამიქარვა და კარგათაც შევიქენ, მაგრამ ახალწელიწადის წინა ღამეს, რაც მე მოუსვნებლობა გამოვიარე, *მე ის მოუსვენებლობა იშვიათად დამმართვია.* ახლა ის ანბავი გავიგონოთ.

ახალ წელიწადი მომავალი იყო 1839-ის წელიწადისა, ამის წინა დღის დილაზედ, ის ქვრივი ელი... ჩემთან შემოვიდა, ერთათ ჩემთან ჩაი დალია და ბოლოს ჩუენი საუბრობისა, მითხრა.

– „ამაღამ ორი ქალი მოვა ჩემთან, ახალ წელიწადს ერთად მივეგებებით და ამაღამაც ჩემთან იქნებიან; მე თქვენთან ამაღამ რომ

ველარ შემოვიდე, ხომ არ გეწყინებათ? –“

– „არა რათ მეწყინება, შეექეცით, მაგრამ ვინ არიან? –“

– „რიგიანი პატივცემული ქალები, რომლებსაცა ორთავ იმათ ქმრები ეხლა ვაჭრობაზედ სხუაგანა ჰყავთ.“

პატარახან კიდევ იყო ჩემთან და მასუკან გავიდა.

ახალწელიწადის წინა ღამეს დავრჩი მარტო, იმ ღამეს ვინ იყო ჩემი ნუგეში? – ღმერთი!

საღამოზედ ჩაი რომ დავლიე, დიახ კარგის პურით შევექეცი და მერე მუახლეს ვუთხარ, აეღო, გაეტანა. ამასთან ესეც: ამაღამ შენ ჩემთან ნუღარ შემოხუალ, მე ვახშამს აღარა ვჭამ, ისიც ჩაის იარაღით გავიდა.

ის რომ გავიდა, პატარახანს უკან ჩემს სახლის პატრონს სტუმრები მოუვიდა, აქ ჩემს გვერდით ორი ჩინოვნიკები რომ იდგნენ, ისინიც წვრილწვრილად შექცევასა მოჰყვნენ, რომელსაცა ასე მეგონა, შუაღამე რომ შესრულდებოდა და ახალწელიწადს ერთმანეთს მიულოცამდნენ, შემდეგ დაიშლებოდნენ, წავიდოდნენ: მეც იქამდისინ მოვითმენ, წავლენ და მაშინ დავიძინებმეთქი. მაგრამ იმ ჩემს სახლის პატრონთან და იმ ჩინოვნიკებთანაც შუაღამის ერთმანეთის მილოცვა ახალწელიწადისა, იყო ყიჟინით „ურა“ რამთენჯერმე და მასუკან სიმღერები. ვთქვი: კარიდორში გავალ და იმ ქვრივის სახლის კარებთან მივალ, ვნახამ, იქაც ეს ყოფაა თუ არა? – მივედი, ვნახე, მაგრამ ასეთი მშვიდობიანობა იყო, რომ იმ ოთახიდგან იმათი ლაპარაკი ძლივს ისმოდა, რომელიცა მაშინვე გამოვტრიალდი და ჩემს ოთახში შამოვედი.

აბა ეხლა დაიწყო იმათი შექცევა, – შექცევა თამაშობით ყიჟინითა და ფეხების ცემით ტრიპაკათი; თანაც ყიზლალურს ღვინოს სომდნენ ერთმანეთის სადღეგრძელოს, თავის ურას ძახილით.

ამ ამბავში პატარახანს უკან, სომხის სახლის ბალკონზედ გამოვიდნენ ჭიანურებით რუსულისა სიმღერით, ეტყობოდა იქაც სტუმრობა ყოფილიყო, სადაც ჭიანურების დაკვრით მაღალი ხმის სიმღერებსა მოჰყვნენ, თავის ურა ყიჟინითა, თავის სადღეგრძელოებით. იმ ღამესაც იმისთანა სიცივე არ ეტყობოდა კარზედ, იმას მარიდებოდნენ, ანუ თუ ტვინი გაცხელებული ჰქონდათ სასმელებისაგან და სიცივეს არ დასდევდნენ; მე რომ ჩემს თბილს ოთახში ვიყავ, მე არ ვიცი რომელი უნდა ყოფილიყო, კარგი ღამე

თუ ტვინის გახურება? – მგონია კი ორივ უნდა ყოფილიყო, სუბუქი სიცივე და ტვინის გახურება, ამიტომ რომ ამ დროს ერთი ხროვა ძაღლები გაჩნდა, სწორეთ ჩემს ფანჯარასთან ძირს ქუჩაში და იმათგან ასეთი ღმუილი შეიქნა, რომ იმათმა ღმუილმა ჰაერი მოიცო. ეტყობოდათ, ძუკნა ძაღლს დასდევდნენ და მგონია იმ ბალკონზედ ჭიანურების ხმაურობა რომ გაიგონეს, იმათაც ის ღმუილი დამართეს, რომელიცა ჩავვარდი ოთხსავ კუთხივ ამ მხეცურს ყიჟინაში: ერთის მხრით ქუჩაში იმ ხროვა ძაღლების ღმუილი, მეორეს მხრით სომხის ბალკონზედ ის ყოფა, მესამეს მხრით იმ ჩემი სახლის პატრონის სახლში ის ამბავი და მეოთხეს მხარეს იმ ჩინოვნიკების მაღალი ძახილი სიმღერებით.

ამას ასე ადვილის სიტყვით ვამბობ, თორემ ერთიანი ის ხმიანობა რაღაც გაგიჟებული მხეცური ხმები გამოდიოდა იმათგან. რა უნდა მექნა, ხან მწარეს სიცილით ვიცინოდი, ხან ოთახში კუთხიდგან კუთხამდისინ ჩქარა დავიდოდი, ხან ქვეშაგებზე დავეგდებოდი და ხან ღმერთს ვევედრებოდი, ჩემს ოთახში არ შამოცვივნულიყვნენ. ამ ამბავში ერთი მთელი დიდი ქონის სანთელი სულ დაიწო, რომ ისინი კიდევ ამ ყოფაში იყვნენ და ხროვა ძაღლი იმ თავის მამაპაპების სიმღერაში. ბევრჯველ იმ ჩინოვნიკებმა კაცები გაუსიეს ძაღლებს, გაარეკინეს, მაგრამ მაინც იქვე მოვიდოდნენ და იქვე ჰქონდათ ყრილობა. ბოლოს რომ არა ეშველათ რა და იმ ადგილს ვერ მოაშორეს ის ხროვა, ხელი აიღეს, აღარ გაუსიეს კაცები და ასე თქუეს: ეშმაკებმა წაიღოს, დაე იღმუონო. იმათი ლაპარაკი სულ კარგათ მესმოდა და არც იმისთანა ლაპარაკი ჰქონდათ კარგი რამე, თორემ აქ დავწერდი.

აქამდისინ კიდევ ანთებული სანთელი მქონდა და იმის სინათლეს ამხანაგათ ვუყურებდი, ისიც რომ ჩაიწვა, ახლა სრულად ბნელაში დავრჩი, სტავნებ დაკეტილს ოთახში, რომელსაცა ჩემი თავი ბუ[1] მეგონა. ჯერ ვიფიქრე: მოდი ქვეშაგებში დავწვები, ეგება დამეძინოს, მაგრამ ჩემისთანა ფხიზელს კაცსა ამ ამბავში როგორ დაეძინებამეთქი. ამისთვის დავრჩი ქვეშეგებზედ ისე ტანთ გაუხდელი, რომელიცა ხან ქვეშეგებზედ წამოვჯდებოდი სხუა და სხუა ფიქრებითა და ხან ბალიშზე მივწვებოდი. იმ ოთახშიკი სიარული აღარ შეიძლებოდა, ასე მწყვდიადად ბნელოდა.

[1] ფრინველი ღამისა.

გაგძელდა ის ამბავი, ველარც საათი ინახებოდა იმ ბნელაში, შემეტყო, რამთენი საათი იყო და ვიყავ კარგახანი იმ ამბის მოზღუდვილებაში. ბოლო დროს მამალმა დაიყივლა, მიამა და კიდევ დაიყივლა, უფრო მიამა, მაგრამ ის ამბავი, ჩემს გარეშემო რომ იყო, ეს ჩემი სიამოვნე ჩემს გულს რას შვებას მისცემდა. ასე, ამ ყოფაში გავატარე ტანჯვით ის ღამე, ბოლოს ჩემთვის ძლივს გარიჟრაჟდა; ვმადლობ ღმერთსა ის ამბებიც სულ დაწყნარდა და წავიდნენ წამოვიდნენ თავთავისათ ყველანი.

პატარახანს უკან, ის ქვრივი ელი... შემოვიდა ჩემთან, დაბლის ხმით მომილოცა ახალი წელიწადი და შემდეგ.

– „არ გეძინათ კნიაზო?“

– „არა, არა მეთქი.“

– „ის მხეცები.“ გაჯავრებითა თქუა.

– „მერე შენ და შენმა სტუმრებმა როგორღა გაატარეთ დრო?“ მე ვკითხე.

– „ამ ყვირილში, ამ ამბავში საძაგლად.“

– „შენი სტუმრები აქვე არიან, შენთან? –“

– „ეხლა ეს არის ჩაი დალიეს, წავიდნენ. კნიაზო, ჩაი მზათა მაქვს, წამოდით ჩემთან.“ წავედით.

იქ თავის ოთახში, ლამაზ ქვეშაგებზე დამსვა, პატარა სტოლი მაიტანა, წინ დამიდგა, ცხელი ჩაიც სტაქნით და სუხრები რამთენიმე. მეც კარგის გემოვნებით დავლიე იმ კარგის სუხრებითა.

ამ ყოფით მე სტავრაპოლში დავრჩი მარტის გასვლამდისინ[1]; ქ. ტფილისიდგან მოსამსახურეც რომ მამივიდა, მოვემზადე ჩემს ბატალიონში წამოვსულიყავ. იმ ქვრივმა ელი. . . ბევრი იტირა, მეხვეწებოდა, ისიც თან წამამეყვანა, მაგრამ ეს რომ შეუძლებელი იყო, ამიტომ უნდა განვშორებოდი და უთუოთ წამოვსულიყავ. მადლო-

[1] მარტის დამდეგს ორი ქართველი აფიცრები მოვიდნენ იქ სტავრაპოლში, გიორგი მეღუნეთხუცესისშვილი და მეორე დიმიტრი ბადრიძე, რომლებსაცა იქ რეკრუტები უნდა მიეღოთ და ცალცალკე საქართველოში მოეყვანათ. ჩემი იქ ყოფნა იმათ რომ შაეტყოთ, მაშინვე მნახეს და რასაკვირველია დიდათ მიამა იმათი ნახვა, იმათაც ჩემი. კარგი ჭეშმარიტი ქართველებიც იყვნენ ორნივ. ბოლოს ფული შემამაკლდა და გიორგიმ მასესხა კარგი ბაჯაღლო ოქროები. დიახ ხშირათ იყვნენ ისინი ჩემთან, რომელსაცა ჩემი ბარათი მივეც გიორგის და იმ ჩემი ვალის ბარათი აქ. ტფილისს ჩემს სახლში რომ მიეტანა, გადეხადათ. რადგან ყოველი ჩემი ამბავი დაწვრილებით არ შეიძლებოდა აღმეწერა, ამიტომ მოკლეთ გამორკვევით ვანბობ, წამკითხველსა არ მოსწყინდეს.

ბისთვის ფულიც ბევრი შევაძლიე, მაგრამ გაჯავრებით წამოავლო, გადაყარა, თან ეს სიტყვა დაატანა.

– „მე სიყვარულს ფულზედ ვერ გავცვლი.“

– „რა ვქნა, ცოლშვილებიანი კაცი ვარ, ვინ რას მეტყვის, საგინებელი შევიქნები და კარზედ ვეღარ შევიძლებ გამოსვლას. აბა რას მიზამ, ხომ ვერ მამკლავ?“ –

ამაზედ ის დაფიქრდა და მასუკან მითხრა.

– „მართალს ანბობ, მაგრამ ეს მაინცა ქენ, რომ შენ წიგნს ნუ დამაკლებ და შენს ამბავს.“ ამის პირობაკი მივეცი.

თუ გახსომთ, ზევით რომ ვთქვი: კარგს ქალს არშიყობას ვერ დავუწყებ, ჩუენში სიყვარული არ დაიბადოს მეთქი? – აი, რისაც მეშინოდა, ის გადამხდა. კიდევ კარგი, ის ქვრივი იმისთანა კეთილი ქალი იყო, ისე ჩქარა დამეთანხმა, თორემ თუ იმისთანა თავმოყვარული ქალი შემხვედროდა, ერთს ისტორიას გამიკეთებდა.

ბოლოს სულერთიან მოვემზადე წამოსასვლელათ, იმ ქვრივმა კიდევ ბევრი იტირა, მეც ძალიან შემაწუხა, მაგრამ იმის ოთახითგან ჩქარა გამოვედი და ჩემი ტარანტასით გამოვწიე. კოზლაზედაც ჩემი ახალი მოსამსახურე იჯდა თათუა. (სომეხი ეს თათუა რიგიანი და მართებული მოსამსახურე იყო, ყმაწვილობითვე ჩვენს სახლში გაზდილი.)

მდინარეს მალკის პირზედ ეკატერინეგრადში რომ მოვედი, იმ ღამეს იქ დავრჩი, იმ ღამესვე ტარანტასისათვის ცხენები თავის იზვოსჩიკით დავიჭირე და მეორეს დილა ადრიან დიდყაბართოს პატარა ციხისაკენ გავწიე მდინარე ჩერექის პირისაკენ, *იყო პატარა ციხე, ამაზე ზევით კიდეც ვილაპარაკე, ერმალოვის პახოტის დროს.* სადაც იმ საღამო ჟამზე მივედი და შემთხვევის გამო ბატალიონის დოხტურთან გადავხტი[1]. მაშინვე აფიცრის ფორმის ტანისამოსი ჩავიცვი და ბატალიონის კამანდერს კუშლიანსკისთან გამოვცხადდი, იმან *გვერდით* თავის მახლობლათ სკამზედ დამსვა და ჩემი ამბავი გამამკითხა, მეც ვუანბე. მერე მონაწილეობის სიტყვით მითხრა.

– „რაც მე შემეხება, შემიძლიან თქვენი სასარგებლო ვიყო? –“

ჯერ მე ამისთვის მადლობა განვუცხადე, მერე კიდევ.

[1] იმ ჩერექის ამბავი მოიგონეთ, ზევით რომ ვთქვი, 1822-ს წელიწადის ამბავი. მაშინ ის პატარა ციხე ჩვენ გავაკეთეთ.

– „მე ავანტყოფი კაცი ვარ, ძლიერი ბუასილით ვიტანჯები და მარჯვენა ღვიძლის ტკივილიცა მაქვს, სამსახურში სიარული მე არ შემიძლიან, ორენბურღშიაც მე არ მატარებდნენ სამსახურში.“

– „ჩვენი ბატალიონი და ჩვენ ხვალ ვიყრებით, სტავრაპოლში მივალთ ყარაულათ, რომლებმაცა პიატიგორსკში უნდა გავიაროთ და ერთი მომატებული დღე იქ დავრჩეთ, ბატალიონმა დაისვენოს. უკეთესი თქვენთვის ეს იქნება, ჩემს ავანტყოფს აფიცარს იქ დაგაგდებთ ღოშპიტალში გოგირდის წყალზედაო.“

– „მადლობელი ვიქნები, დამავალებთმეთქი.“

– „მაშ ეხლავ დოხტურს მოწმობა გამოართვით, მამიტანეთ, თქვენი ავანტყოფობისა.“

მაშინვე გამოვწიე, მოველ და ბატალიონი კამანდირის სიტყვა ვუთხარ დოხტურს, ისიც მაშინვე დაჯდა და ფორმის მოწმობა მამცა. წავუღე და მივუტანე ჩემის რაპორტითა. შემდგომ კიდევ თავის მახლობლად დამსვა, ჩაი იმასთან ერთად დავლიეთ და აღარც ვახშმათ გამამიშვა. ის კაცი და მე მახლობელი მცნობები შევიქენით, ბევრიც ვილაპარაკეთ, რიგიანი მართებული კაცი იყო.

ვახშამთ უკან წამოველ და დოხტურს სულ ვუანბე, ძალიან იამა; შემდეგ მცირე მოლაპარაკებისა, თავთავის კრაოტზე ქვეშეგებში დავწექით და დავიძინეთ, ნამეტნავად მე გულგანსვენებით[1].

ამის მეორეს დღის გარიჟრაჟზედ მოსამსახურემ სამოვარი შემოიტანა, ჩვენ მაშინვე პირი დავიბანეთ, მერე ტანისამოსს ხელი მივყავით და საჩქაროთ ჩავიცვით. ამასთან ბარაბანები დაკრეს ღენერალმარში პახოტისა, რომლებიცა ამ დროს ჩვენ ჩაისა ვსვამდით და პატარახანს უკან მზათაც ვიყავით წასასვლელად.

ჩვენ რომ კარზე გამოვედით, ბატალიონი სულ მზათ იყო წასასვლელად, ბატალიონის ადიუტანტი მოვიდა მითხრა.

– „რადგან თქვენ ავანტყოფი ხართ, ბატალიონის კამანდერმა გთხოვათ, ბატალიონს უკან მოჰყვეთ თქვენი ტარანტასით.“ მეც რასაკვირველია, ავედევნე, რომლისგანაც ჩემი ბატალიონის კამანდერის პატივისცემა მე ამ გზებში არ მკლებია.

ბოლოს ეს გზები გავიარეთ და მესამე დღეს, შუადღის შემდეგ პიატიგორსკს პირდაპირ, გამოღმა მდინარის წყალის პირზედ დავ-

[1] მე რომ დოხტურთან მოწმობისთვის მოველ და მინამ ის ჩემს მოწმობას დასწერდა, მე ჩემს მომყვანს იზვოსჩიკსა მოვურიგდი, კიდევ პიატიგორსკამდისინ წავეყვანე.

დეგით. (აქ ეს მდინარე მალკა უფრო ნაკლებ მოდის და ეკატირინეგრადში დიდი.)

ბატალიონის კამანდერმა სადილს უკან კარგათ რომ მოისვენა, თავის საკუთარის კალიასკით კამენდატთან წავიდა და იქიდგან ისევ ჩქარა მოვიდა და სიამოვნით მითხრა.

– „მამილოცავს კნიაზო, კამენდატმა ღოშპიტალში მიგიღოთ, მაგრამ ესეც მითხრა: თუ რომ სურსო ქირით სახლი დაიჭიროს და კვარტირაში იცხოვროსო.“ ეს კიდევ უფრო ძალიან მიამა.

მაშინათვე კამანდირმა თავის კალასკაში ჩამისო ამ სიტყვით.

– „ბარემ სახლსაც მე გიქირავებთ პიატიგორსკში, კარგათ რიგიანათ დაგაბინავებთ და მასუკან ისე გავიყარნეთ.“ ამთენი კარგი როგორ დამავიწყდება ჩემზედ იმათი, ვინც იმთენი კეთილი შემამძღვნეს? . . ჩემი სულის ამოსვლამდინ მეხსომება მე ისინი.

მდინარე წყალი მალკა რომ გავედით, პიატი–გორსკი შევიარეთ და ბულვართან გადავხტით. იქ მიიარმოიარა და დაუყოვნათ იქირავა ჩემთვის სახლი, ერთი გადამდგარის შტაბკაპიტანის სვინტისკისა, რომლებიცა მაშინათვე კალასკაში ჩავსხედით და ის სახლი ვნახეთ. მამეწონა, მყუდრო მოშორებული სახლი იყო.

იქიდგან საჩქაროთ ისევ ბატალიონში გამიყვანა, იქ მოწმობა დამიწერა პიატიგორსკის ღოშპიტალში: ხვალ იქ ამ ქაღალდით მიდით და ღოშპიტალში მიგიღებენო.

ბოლოს ჩუენი მცირედის მოლაპარაკებისა, მე დიდი მადლობა განვუცხადე, შემდგომ გავიყარენით და ჩემს ნაქირავებ სახლში მოველ ჩემის ტარანტასით ბარგით, სადაც ცოტათ კიდევ თვალნათელი იყო კარზე. იმ ღამეს მე და სახლის პატრონმა კარგათ გავატარეთ დრო და ვახშამათაც ჩემთან იყო; იმისვე შემწეობით ჩემი ოთახები იმის მებილითა კარგათ მოვაწყევით და დავბინავდი სრულად, შემდგომ ვახშამიც მოგვიმზადა ჩემმა მოსამსახურემ[1].

ამის მეორე დილის მეცხრე საათის დაწყებაზე წაველ ღოშპიტალში, იქიდგან არც შორს იყო, მიველ და კარების ცოტა მოშორებით კუნძი ეგდო, იმაზედ დავჯექი მზის პირდაპირ და აქეთ იქით ყურება დავიწყე, ვჩხრეკდი იმის მიდამოს ადგილებსა. (აქ უცხოს ამბავს ვიტყვი უეცარს შემთხვევასა, ნამეტნავად ამ გვარათა.)

ამ დროს ერთი ღოშპიტლის ნავანტყოფარი აფიცარი გამოვიდა

[1] იმ ჩემმა მოსამსახურემ კარგათ იცოდა საჭმლების გაკეთება.

სახლიდგან, თეთრი მაუდის ხალათით, თავზედ თეთრი კალფაკით და კანჭებ ფეხებზე ჩლუქებფოშტლებითა, რომელმაცა ჩემ წინ მზეში გაიარა და იქიდგან რომ შემოტრიალდა, იმან მე შამამხედა და მე იმას; ორნივ შევკრთით და ერთმანეთს ყურება დავუწყეთ, მაგრამ ვერც იმან მე ხმა გამცა და ვერც მე იმას. იმან თურმე ჩემზე იფიქრა: ის ორენბურღში გაგზავნილი არის, აქ რა უნდაო? და მე ვიფიქრე: იმას საქართველოდგან აქ ვინ მოიყვანდა მეთქი? – ასე ამ ყოფით, მგონია ათჯერ გამიარა და გამამიარა. ბოლოს ღოშპიტალში[1] შევიდა, პატარახანს უკან ისევ გამოვიდა და სიცილით ქართულად მითხრა.

– „კნიაზო ალექსანდრე, როგორ ვიფიქრებდი აქ გნახამდით, დაკარგულს კაცსა თავის მამულისათვის? –“

– „დავით ფურცელაძე თქვენა ხართ? –“ დავიძახე.

– „დიახ, მე ვარ.“ და ამასთან მემამულე ძეები ერთმანეთსა გადავეხვიენით. მასუკან მოვყევით და ერთმანეთის ამბავი ვუანბეთ, ის პოლკში იყო პორუჩიკათ, მერე შტაბში გადმოეყვანათ და რაღაც თანამდებობა ჩაებარებინათ, (გონიერი ყმაწვილი კაციც იყო.)

იქ თურმე ძალიან ავათ გამხდარიყო, სადაც პიატიგორსკის ღოშპიტალში გამოეგზავნათ[2] და იქაურს გოგირდის წყალს სარგებლობდა, ბოლოს მკითხა.

– „ისე ხშირათ მე თქვენში რომ ვიყავი, მიკვირს, თქვენი შეთქმისა როგორ არ მითხარით, ვიცი, მენდობოდით კიდეც? –“

– „გვინდოდა გვეთქუა, მაგრამ იმ დროებში დაგვიჭირეს.“ მივუგე·

– „რა მიშავდა, მეც მოვივლიდი, კარგათაც გამოვიცდებოდი და ისე გამოცდილი რომ მოვსულიყავ, ჩვენი მამულისათვის უფრო სასარგებლო ვიქნებოდით.“

ეს დავითი თავისი მშობლის მამულის კარგი პატრიოტი იყო, ამან თარგმნა კარგს ქართულს ენაზე: ვოლტერის ზაირა, მაგრამ საცოდავი, იმ შემოდგომაზედ საქართველოში რომ მისულა, იმის ზამთარს მომკვდარიყო, ჩუენი საქართველოს დასაკლისად.

ამ ჩუენი ლაპარაკის შემდგომ, ღოშპიტალში შემიყვანა, სადაც ავანტყოფი აფიცრები იყვნენ, მიმიყვანა, თავის კრაოტზე დამსვა

---

[1] ერთი ატაჟიანი სახლი იყო ის ღოშპიტალი.

[2] წარსულს ზაფხულს 1838-ს წელსა და ზამთარიც იქ დარჩენილიყო იმ 1839-ის წლის კურსისათვის.

და თვითონაც ჩემს მახლობლად დაჯდა. დაბლის ხმითა ვკითხე.

– „თქვენ ჩემი აქ ყოფნა როგორ შაიტყევით? –“

– „დღევანდელის კომენდატის მოწერილობით თქვენზედ: ღოშპიტალში მიიღეთო.“

პატარახანს უკან ღოშპიტლის პირველი დოხტური რებროვი მოვიდა, იმან ჩემი ღოშპიტალში შერიცხვის ქაღალდი მოიკითხა, მაშინვე მიუტანეს; იმანაც უბრძანა, რომ შემრიცხონ, მასუკან ჩემთან მოვიდა და მკითხა.

– „თქვენ ის ორბელიანი ხომ არახართ, ღოშპიტალში რომ შევრიცხეთ? –“

– „დიახ, სწორეთ ის ვარ.“ მივუგე. იმან ხელი გამამართო ამ სიტყვით.

– „რაც გნებავდეთ ხოლმე, პირდაპირ მე მითხარით, ვეცდები აღგისრულოთ.“

მე მადლობა განვუცხადე. მასუკან იმან დავითისაკე.

– „მგონია თქვენ მემამულეები იყვნეთ?“

– „დიახ, რასაკვირველია და კარგათაც ვიცნობთ ერთმანეთსა.“ დავითმა უპასუხა.

შემდეგ ორთავ ხელი გამოგვართო და თავის საქმეზედ წავიდა, იქვე ღოშპიტალში დასავლელად. მეც დავითს გამოვეთხოვე და შინათკენ გამოვწიე ამ სიტყვით.

– „დავით, არ შეიძლება სადილათ ჩემთან მოხვიდე ფარეზის სადილზედ? –“

– „რატომ არა, მაგრამ სადა დგეხარო? –“

ვანიშნე და სახლის პატრონის გვარიც ვუთხარი.

მოვედი შინ, საათნახევარის შემდეგ, ჩემს სახლის პატრონს მოსამსახურე გამოვართვი და დოხტური რებროვის სანახავათ წავედი. იმან სიამოვნით მიმიღო, დავსხედით და ჩემს ავანტყოფობაზე ველაპარაკე. ბოლოს ვთხოვე, ჩემი დოხტური ის ყოფილიყო იმ კურსის დროსა, იმან მითხრა.

– „თუმცა მე არავის არა ვწამლობ გარეშეთა, მაგრამ თქვენიკი თავს მიდვია და იმედი მაქვს გამოგადგეთ კიდეცაო.“ მე მადლობა განვუცხადე. მერეთ მე ვუთხარი.

– „მე ქალაქში ქირით სახლი დავიჭირე, იქ დავდეგი კიდეც, არ ვიცი თქვენც ნებას მამცემთ თუ არა? –“

– „რატომ არა, ყოველს ღოშპიტლის ავანტყოფ აფიცარსა ნება აქვს, თუ სურს, ქირით სახლში დადგება, მაგრამ კნიაზო, ურიგო არ იქნება, ეხლავ ვანების მიღება დაიწყოთ.“ მეც მოვყევ აპრილისთვის დამდეგ რიცხვებში გოგირდის წყალის სმას და ვანების მიღებასა წესის რიგზედ.

დოხტურ რებროვიდგან შინ რომ მოველ, დავით ფურცელაძე კიდეც მოსულიყო, იქ და დამხვდა, ჩემი ამბავი რებროვთან ვუანბე, იმას ძალიან იამა, მასუკან დავსხედით და ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს საქართველოზედ.

ამის მეორე დღეს, მე ქ. ტფილისს ჩემს სახლში, დედა ჩემთან, ჩემ ცოლთან წიგნები დავწერე და იმავ დღესვე გავგზავნე ფოშტით, საიდგანაც მოველოდი პასუხს. ამაში მე კურსს მოვყევ დოხტურის დარიგებით გოგირდის წყალის სმასა და ვანების მიღებასა; ამაობაში ქ. ტფილისიდგან ჩემი წიგნების პასუხები მამივიდა, რომელიც დედა ჩემი მწერდა: დიდათ გვიამა, დაახლოვდი ჩვენზედაო და იმედი გვაქვს, აქ ჩქარაც გნახამთო. ნამეტნავად ჩემი ეკატირინე ხომ აღტაცებულს სიხარულსა მწერდა და ამასთან: მთავარმართებელ გალავინთან ცდილობენ შენი ძმები, რომ ასტავკის ნება მოგცენ სამსახურიდგან გამოხვიდე და აქაც ნება გქონდეს მოსვლისაო.

ახ! როდის უნდა მეღირსოს კიდევ გნახო ჩემო სანდროვო. მე ამაზედ ცრემლები გადმოვყარე.

ამ ჩემი კურსის დროსა, დავით ფურცელაძე ხშირათ მოდიოდა ჩემთან და სადაც გოგირდისა წყალსა ვსომდი, ისიც იქა სომდა, იქაც ვნახამდით ერთმანეთს, მაგრამ უფრო ჩემთან დადიოდა, ამიტომ რომ ჩემთან უფრო თავისუფლათ ვლაპარაკობდით.

ბოლოს სტავროპოლში ის ქვრივი ქალი ელი. . . მომაგონდა, პირობა რომ მივეცი: წიგნს მოგწერმეთქი. აღვასრულე და მივწერე ალერსიანი წერილი, რომელიცა ამით დავასრულე: ქალაქ ტფილისიდგან წიგნი მამივიდა, ჩემს ასტავკას ძალიან ცდილობენ და ჩემი ეკატირინე მოუთმენლად მიმელისმეთქი. საიდგანაც მოეწერა, გზას მილოცავდა და ღმერთს ჩემს ბედნიერებასა სთხოვდა ჩემი ცოლშვილებითურთ, მაგრამ ამ წიგნის შემდგომ, ჩემი მეორე წიგნის პასუხი აღარ მამივიდა, ვეღარც იმისი ამბავი გავიგე რამე.

ამ დროებში მე დადგრომილი ქცევა დავიჭირე, მეგონა: ჩქარა ასტავკაში გამამიშვებენ, რომ აქედგან ჩემს ეკატირინესთან

წმინდა სვინიდისით მაინც მივიდემეთქი. მაგრამ არა მეშველარა, ამაში აპრილიც გავიდა და მაისიც, რომ კიდევ არამეშველარა. ამ დროებში ქალაქ ტფილისიდგან თ˜ა ყორხმაზ მელიქოვი და თ˜ა ყარამან არღუთოვი მოვიდნენ პიატიგორსკში, ორთავ დიახ კარგათ ვიცნობდი და ყორხმაზ ჩემი ცოლის ახლო ნათესავიც იყო, რომლებსაცა მაშინვე კაცი გამოეგზავნათ და დავებარებინეთ. რასაკვირველია მეც საჩქაროთ წაველ. ყორხმაზმა ჩემი ეკატირინეს წიგნი მამიტანა, დიდი სიყვარულიანი და ამასთან მოეწერა: შენი ასტავკისა ძნელდება, ეტყობათ შენის სამსახურიდგან გამოსვლასა არ ფიქრობენო. ყორხმაზმაც დამიმტკიცა ასე, მაგრამ რა უნდა მექნა, კიდევ მოთმინებას მივეც თავი.

ამის ოთხ დღეს უკან, დილაზედ რომ გავიღვიძე, ჩემს მოსამსახურეს *დაუძახე*, ვუხმაურე, შემოვიდა, ჩაი ვთხოვე შემოეტანა, მითხრა: მოგართმევთო, მაგრამ აქ ერთი დედაკაცი გიახლათ, *კარგი თვალტანადი დედაკაცი არის* და მოგახსენებსთ, საქმე მაქვს კნიაზთანაო.

– „რაო, რა საქმე უნდა ჰქონდეს, რატომ არა ჰკითხე? –“ გაჯავრებით ვუთხარ.

– ვკითხე, მაგრამ არ მითხრა: თვითონ კნიაზს უნდა შევატყობინოვო.“

– „კარგი შემოვიდესმეთქი.“

შემოიყვანა ერთი კარგი თვალტანადიანი თეთრმოწითლო დედაკაცი, ვკითხე.

– „დედავ, რა საქმე გაქვს ჩემთან? –“

– თქვ. ბრწ.[ყინვალებავ] გუშინ თქვენ საღამო ჟამზედ ვანაში რომ იყავით, იქ მგონია ქისით ფული დაგეკარგათ; თქვენ რომ იქიდგან გამოხვედით, იმავ ვანაში მე ვიბანე და ბანების შემდეგ კარზედ პერედნაში ტანთ ვიცომდი, ვნახე ერთი ქისით ფული ეგდო კუთხეში, ავიღე და სტოროჟს ვკითხე: ვისი არის მეთქი? – იმან თქვენი სახელი მითხრა: უთუოთ ის დაჰკარგამდაო. რომელმაცა წამოვიღე და აი თქვენთვის მამირთმევიაო.“

დავთვალე, სწორეთ იყო, ოცდა ხუთი რუბლი ასიგნაცია, ვუთხარ: მადლობელი ვარ, ჩემიამეთქი და ამასთან ხუთი რუბლი შევაძლიე, მაგრამ არ გამამართვა.

– „მაშ დაჯექი, ჩაი ჩემთან დალიე, რომ ამით მაინც გადგიხა-

დო მაგიერი.“ იქვე ჩემს კრაოტზე ჩამოჯდა. მასუკან ჩემ საათს დავხედე და მერე თათუასკენ.

– „თათო, შენს ოთახში წადი, ჯერ ჩაის დალევის დრო არარის. როცა დაგიძახო, მაშინ მოგვიტანე.“ გავიდა. მერე იმ დედაკაცს.

– „როგორ გინდა, კარები გადმოვრაზო თუ არა? –“

– „თქვენ არ გაგსჯით, თვითონ მე დავრაზამ.“ ამასთან წამოდგა და გადმორაზა. მასუკან დაჯდა და ლაპარაკი დავიწყევით, ვკითხე.

– „ვინა ხარ შენ? –“

– „ერთი მცირედის ჩინოვნიკის ცოლიო.“

– „სად იმსახურება? –“

– „აქ გოგირდის წყალის სამსახურში და კარგი ჯამაგირიც აქვს, მაგრამ ხნიანია, მოხუცებული.“

– „მერე არ გიშლის შენ აგრე სიარულსა?“

– „კნიაზო, ნუ ggონიათ მე მოტანტალე დედაკაცი ვიყო.“

– „დიახ კარგი, მაგრამ აქ ჩემთან რომ მოხვედით? –“

–„იმ ერთმა მინუტმა დამაბრმა, თქვენ რომ gნახეთ ვანაში.“

– „gეტყობათ, ამის შემდეg, ჩემთან აღარ მოხვალ? –“

– „მოვალ, მაgრამ ჩემი ქმარი უნდა gაიცნათ.“

შემdgომ თვით იმასვე კარები gავაღებინე და ამასთან თათუას dავუძახე: ჩაი მოgვიტანე მეთქი. მოgვიტანა კარgის სუხრით. dალევის შემdეg.

– „რა gქვიან შენ? –“ ვკითხე.

– „პრა... “ მითხრა.

– „სადა dgეხარ? –“

– აქ თქვენს მახლობლათა.“ და მანიშნა.

– „როdის ვნახო შენი ქმარი? –“

– „ეხლა ძალიან კარgი იქნება და მიზეზიცა gაქვთ, რომ ნახოთ, ამიტომ რომ ვანის ბილეთებს ის არიgებს ღოშპიტლის აფიცრებისას.“

– „აქამdისინ ღოშპიტლიdgან მამdიოdა?

– „რაკი თქვენ ეტყვით, აქ მოgივათ იმისgნით.“

– „კარgი. მაშ წადი და მეც ეხლა მოვdივარ.“

ადამიანს რაცა ეშმაკი თავში შეუჯdება, რამთენს ცფიერებას აქნევინებს...

რაღას მოვიცdიdი, საჩქაროთ ტანისამოსი ჩავიცვი და gავწიე.

ვნახე, რიგიანი კაცი იყო და ბოლოს ვუთხარ.

– „გავიგონე, აფიცრების ვანნის ბილეთებს თქვენ თურმე არიგებთ; სიახლოვის გამო, რომ მე ღოშპიტალში აღარ წავიდე ხოლმე, არ შეიძლება აქ თქვენგნით მივიღო? –“

– „რატომ არა, თვით მე მოგიტანთ და ან როცა გნებავთ, თვითონ თქვენ მობძანდით ჩემთან; ვინიცობა არის, თუ მე შინ არ ვიქნები, ეს ჩემი ცოლი მოგართმევსთ.“

ქურდს რა უნდოდაო? – და ბნელი ღამეო. მეც ეს მინდოდა.

მასუკან ცოლმა უთხრა თავის ქმარსა.

– „ახლა ჩქარა გაეშურე, წადი სამსახურში, არ დაგიგვიანდეს და კნიაზი აქ დარჩება ჩემთან.“ იმანაც გასწია და საჩქაროთ წავიდა. ამის შემდგომ ისე თავისუფლათ დავიდოდი, როგორათაც ჩემს საკუთარს სახლში. უშვილონიც იყვნენ.

რამთენიმე ხანი რომ გამოვიდა, ჩემი დედიდაშვილი თ˜ა გიორგი ქსნის ერისთავი და ალექსანდრე საგინოვი მოვიდნენ წყალზედ და ჩემთან ჩამოხტნენ[1]. პატარა ხანს უკან ჩემი ძმა ვახტანგიც მოვიდა და ის ხომ რასაკვირველია ჩემთან ჩამოხტებოდა, სადაც შევიყარენიც კიდეც ქართველები, ნამეტნავად ჩემს სანუგეშოთ. ჩემს დაჭერილს სახლსა, იმის სამს ოთახში კარგათ ვთავსდებოდით, სადაც სულერთიან ქართველები ხშირათ შეიყრებოდნენ ჩემთან: დავით ფურცელაძე, ყორხმაზ მელიქოვი, ყარამან არღუთოვი, ჩვენ ერთიან ოთხნი და მხიარულის ლაპარაკით შევექცევოდით. გარდა ამისა ყველანი სულერთიანათ ჩემზე ფიქრობდნენ და ხშირი რჩევა ჰქონდათ, როგორმე ასტავკაში გამიყვანონ.

ამდროებში, ნაჩალნიკ შტაბი ტრესკინი სტავროპოლიდგან მოვიდა პიატიგორსკში და გოსტინიცაში გადამხტარიყო, რომელმაცა მე ეს ადრე შევიტყე და ჩემს ამხანაგებს შევატყობინე; ამასთან ჩემს დედიდაშვილს გიორგის ვთხოვე, როგორმე გაეცნა და შემდეგ ჩემი ამბავი გაეტარებინა ასტავკისა. მითხრა.

– „დიახ უთუოთაო.“

ჩემი დედიდაშვილი გიორგი იყო: დიდი პატიოსანი, *დიახ ლბილი* და ზდილობიანი, საუცხოვო ლაპარაკის მქონე და გონიერი, გამბედავი და განათლებული, რომლებსაცა ძალიან გვიყვარდა ერთ-

[1] ორნივ ესენი სამხედროს სამსახურში იყვნენ. გიორგი ჩვენ შეთქმაში გარეული იყო და არხანღელშიაც გაგზავნეს, მგონია ორი წელიწადი იყო იქა.

მანეთი და ჩვენი მახლობელი კავშირი ისევ დედი ჩვენებიდგან იყო ჩვენის ყმაწვილობითვე[1].

ამის მეორე დილაზედ, სულერთიან ჩვენ ეს ოთხნი გოგირდის წყალის სასმელად წავედით, სადაც ნაჩალნიკშტაბი კიდეც მისულიყო და იქ დადიოდა, რომელმაცა შორიდგან მძიმეთ თავი დავუკარ, იმან მიცნა, მოვიდა და მკითხა.

– „ვიცი თქვენი აქ ყოფნა, როგორ გარგოთ ამ გოგირდის წყლებმა?“

– „როგორ არა, შემწეობას მაძლევს.“

– „კარგათ შეიქენით და მასუკან სამსახურსა შეუდექით.“ ამასთან გაბრუნდა, წავიდა და ერთს გძელს სკამზე დაჯდა. ჩემი დედიდაშვილი გიორგიც გაესწრაფა, იმის მახლობლად რომ მივიდა, ქუდი მოიხადა, მძიმეთ თავი დაუკრა (ესე იგი ზდილობით.) და იმის შორიახლოს დაჯდა; (გოგირდის წყლებზე თავისუფლათ იქცევიან აფიცრები.) იმან მაშინვე ლაპარაკი დაუწყო, გიორგიმაც მოხსნა პირი და ძალიან გაიერთა ლაპარაკში, ასე რომ ბოლოს წამოდგა ის, გიორგიც თან წაიყვანა და ერთად ლაპარაკით დაიწყეს სიარული.

ბოლოს გიორგი რომ იმას გაეყარა, მოვიდა და სიამოვნით მითხრა.

– „დღეს საღამოზე მიმიპატიჟა, ჩაი იმასთან უნდა დავლიო და იმედი მაქვს ამაღამ შენი ასტავკისა ვუთხრა.“

მე მოხვევით ვუთხარ: მიშველე რამე მეთქი.

შემდგომ ამისა, კარგა ღამის გასვლის შემდეგ, გიორგი იქიდგან რომ მოვიდა, სიცილით მითხრა.

– „შენი ასტავკა სიამოვნით მიიღო ამ სიტყვით: ჩემაგიერ უთხარით ორბელიანს, ხვალ დილის ცხრას საათზე ჩემთან მოვიდეს, მე და იმან მოვილაპარაკოთ იმის ასტავკისა. აბა ახლა დანარჩენი შენ იციო ალექსანდრე? –“

მე ამისთვის კიდევ გადავეხვიე და ცრემლები მამერია თვალებში.

მეორე დილის ცხრა საათზე იმის წინ რომ წავდექი, ცოტა მკაცრად მითხრა. *ლინეინის ერთი ბატალიონის ერთი უბრალო აფიცარი რომ ვიყავი, იმისთვის ისე მიმიღო.*

– „თქვენი ასტავკისა მელაპარაკა კნიაზ ერისთავი, დიახ თანახმა ვარ. თქვენი ასტავკის ქაღალდები სრულად დაწერილი გქონდ-

[1] ამის ძმა ბიძინა და მე ხომ ძალიან დიდი მეგობრები ვართ ამ ჩვენს მოხუცებულობაშიაც. ისინიც სამნი ძმები იყვნენ და ჩვენც. ისინი იყვნენ: შალვა, ბიძინა და გიორგი და ჩვენ, მე ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ.

ესთ; მეორეთ მე სტავროპოლიდგან მოვალ აქა და მაშინ მე პირდა-პირ მამეცით, თქვენს ბატალიონში წარდგენა საჭირო აღარარის, თვით მე პირდაპირ ქალაქს ტფილისს გავგზავნი შტაბში ჩემის შუამდგომლობით და იმედი მაქვს, რომ უთუოთ ასტავკა გამოგი-ვიდესთ.“ მე დიდის მადლობით წამოვედი[1].

მოვედი შინ, ჯერ გიორგის გადავეხვიე და მასუკან ყველა ვუთხ-არ ჩემს ამხანაგთ, იმათ ყველას სიხარული შეუდგათ, ბოლოს ყორხმაზმა უთხრა ჩემს ძმას ვახტანგს.

– „მე ამ ახლოხანებში პეტერბურღში წავალ, როდისაც ამის ას-ტავკა ტფილისიდგან იქ წამოვიდეს, ერთი პატარა წიგნი მამწერე და მასუკან მე ვიციო.“ იმას დიდი დამოკიდებულობა ჰქონდა პე-ტერბურღში, რამთენჯერმე იყო იქა.

მერე ჩემმა ძმამ ვახტანგმა.

– „ოღონდ ქ. ტფილისს მოვიდეს ის ასტავკა, თორემ იქ გარიგება ადვილია.“

შემდგომ გიორგიმ.

– „მე ხომ ჩემი ვალი აღვასრულე, ყორხმაზც ამას ამბობს და ვახტანგიც ამას, მაგრამ აბა ახლა ამის ასტავკისას, ვინ დაწერს?“

ალექსანდრემ და დავითმა.

– „აი ჩვენა. მაგაში ჩვენ კარგათა ვართ დახელოვნებული პოლკში.“

ახლა ყარამანმა.

– „იმ ასტავკის გადამწერელიც, აი მე ვიქნები თეთრათ.“

ამდროს მეც წამოვხტი და იქვე სტოლზედ მეწყო ჩემი დოკუმენ-ტები და წინ დავუწყე იმათ. ესენი სულ ასეთი *მხიარულის* სიცილით იყო, რომ მათლა *ძალიან* გულის *წმინდის* სიხარულით. ამაში მე ხან-დისხან იმ ჩინოვნიკის ცოლთან წავიდოდი ხოლმე ჩუმათ.

ისინიც დასხდნენ, შეუდგნენ წვრილ წვრილად წერას, მეც ამაში დოხტურს რებროვს, ასეთი ჩემი ავანტყოფობის მოწმობა გამო-

[1] ჩემი საქართველოში დაბრუნება რათ ეძნელებოდათ, აქვე გაიგონებთ? მე რომ ორენბურღში ვიყავ, ზოგიერთს კეთილს ადამიანებს ჩემი დაბრუნება ისევ ჩქარა უნდოდათ საქართველოში, რომლებსაცა ხელმწიფისთვის მოეხსენებინათ პეტერ-ბურღში; იმასაც ებძანებინა: ვოენი მინისტრ ჩერნეშოვს უთხარით, რომ საქართვე-ლოში მთავარ მართებელს ბარონ როზინს მისწეროს და თუ ის თანახმა იქნება, მეც სრულს ნებას ვაძლევ, დაბრუნდესო. მაგრამ ბარონ როზინს მიეწერა პეტერბურღ-ში: როგორც საშიში კაცი ჩუენის მთავრობისა, მაგის დაბრუნება საქართველოში არ იქნებაო. აი ამიტომ გამიძნელეს დაბრუნება. ეს იყო 1836-ს წელსა, მე რომ ორენ-ბურღში ვიყავ.

ვართვი, მართლა კარგი, რომ მე სამსახური არ შემიძლიან, რომელიცა ჩემი ასტავკის დაწერა *სულ ერთიან* ორ კვირაზედ გაათავეს. როგორც რიგი იყო, ხელიც მამაწერინეს და უჯრაშიაც შევინახე დიახ მაგრა დაკეტილში, ნაჩალნიკი შტაბის მამლოდინემ, მაგრამ კარგახანი გავიდა, არ ექნა, არ მოვიდა და მე ამდროს იმედი დავკარგე: აღარ მოვამეთქი. იქამდისინ, რომ სეკტემბრის თვეში ხუთნი ქალაქ ტფილისში წამოვიდნენ, ყორხმაზც პეტერბურღში წავიდა და მე დავრჩი მარტო, კიდევ ჩემს მოთმინების ქვეშე, სადაც ჩემს მცირედის სანუგეშოთ, იმ ჩინოვნიკის ცოლთან დავიდოდი და იმასთან ვატარებდი დროსა. ასე გაშინჯეთ, კიდეც დაორსულდა და იმათი სიხარული რაღა გითხრათ! მეც იქაურმა გოგირდის წყლებმა, ნაცარტუტისამ (სჩელოჩნია.) და მჟავე წყალმა დიდათ მარგეს, რომლებსაცა ვსვამდი და იმის წყლებში ვბანაობდი წესიერად[1].

ერთს დილაზედ სულერთიან ტანთ ჩაცმული ვიყავ, რომ იმ ჩინოვნიკის ცოლი შემოვიდა და სიამოვნით მითხრა.

– „კნიაზო, წუხელის ნაჩალნიკშტაბი მოსულა, ეხლავ საჩქაროთ წადით და თქვენი ასტავკა მიართვით.“

– „ვისგან გაიგონემეთქი იმის მოსვლა? –“

– „ეხლა ეს არის ჩემს ქმარს შეუტყვია, მოვიდა, მითხრა: კნიაზს შეატყობინეო. თვითონ გატრიალდა და საჩქაროთ სამსახურშივე წავიდა.“ მეც მაშინვე რიგიანათ ტანთ ჩავიცვი და ჩემი ასტავკის ქაღალდებით გავწიე, რომელმაცა დიახ კარგის გულით მიმიღო ამ სიტყვით: ახლა მოსვენებით იყავითო. მე მადლობით გამოვწიე, წამოველ. შინ რომ მოველ, დავჯექ, ყოველი ესენი დავწერე და ქ. ტფილისში ფოშტით გავისტუმრე ამ დაბოლოებით: აი ახლა გამოგიჩნდებათ, როგოც ეცდებით ჩემს ასტავკასამეთქი. ამაში სამი თუ ოთხი სახლობანი გავიცან, ნამეტნავად მოხუცი დოხტური სერედინსკი, იმის თანამიმდევნო ცოლი, იმის ორი გასათხოვარი ქალი და ერთი ათის წლის ვაჟიც ჰყუანდათ. ეს სახლეულობა მეტი კეთილი სახლეულობანი იყვნენ; ბოლოს ასე შევეჩვიე იმათ, რომ დიახ ხშირათ დავიდოდი იმათთან, ვახშმათ თუ სადილათ, ანუ ყოველს დროსა, როცა მოვინდომებდი და სხუებთან უფრო ხანდისხან, რომლებიცა მე და ის მოხუ-

[1] პიატიგორსკიდგან ნაცარტუტის წყალი არის 18-ი ვერსტი ესენთუკსა და მჟავე წყალი 40-ი ვერსტი კისლავოდსკი. ეს ესენთუკი შუაგზათ არის დადებული. კიდევ რკინის წყლები არის 18-ს ვერსზე ჩრდილოეთის მხარეს. ის ორიკი დასავლეთისაკენ.

ცი სრულად დავმეგობრდით. ჩემს დოხტურს რებროვთანაც კვირაში ხან ერთხელ მივიდოდი და ხან ორჯელ, ისიც ცოტას ხანსა, ამისთვის რომ საქმე ბევრი ჰქონდა. იმისი ცოლშვილი იმ დროს რუსეთს იყვნენ და პიატიგორსკში ჯერ არ მოეყვანა.

ვატარებდი ასე დროებს და არც იმ ჩინოვნიკის ცოლსა ვივიწყებდი, ნამეტნავად ის თავის ორსულობა ასე უხაროდა, რომ უთუოთ სულ იქ უნდოდა ვყოფილიყავ. დამპირდა: უთუოთ ტფილისში შეგატყობინებთ რაც მეყოლება და როგორიც იქნება იმასაც შეიტყოფთო[1].

ამაობაში ზამთარი მოვიდა, აღარც წიგნი მამივიდა ქალაქიდგან, რომელიცა ნაღვლიანად შევიქენ, ხან რას ვფიქრობდი და ხან რასა? –

ასე ნაღვლიანად შევიქენ, რომ ჩემი მოსამსახურე თათუ ტფილისში გავგზავნე ჩემი წერილებით[2]*, შემატყობინონ რა ანბავია წიგნებს აღარ მწერენ. ერთი კარგი მგზავრი მიდიოდა ტფილისს, იმას გავატანე და ფულებიც ვთხოვე თათუასთვის გამოეტანებინათ. დავრჩი ამის ლოდინში, იმ ჩემის ივანას ინაბარათ, რომელიც დიდათ ერთგულად მემსახურებოდა, მაგრამ ორ კვირაზე ფული სრულად შემამაკლდა და დიდი ყინვიანი ზამთარიც დაიწყო, რომელსაცა აღარც შეშა მქონდა და გახრეკილი თავადი შევიქენი. ჩემი ბედის გამო, ჩემი სახლის პატრონი და იმას ხასა ჰყავდა, ორივ ხუტორში წავიდნენ ერთის თვითა და იმათი მოსვლა კიდეც შორს იყო. სხვებსკი ვერავის ვერ გავუბედე მე თხოვნა და თვითრჯულობაში დავრჩი, გაკერპებულის გულითა.

ამ ჩემმა უქონლობამ და სიგლახაკემ ასე გამაამპარტავნა, რომ აღარავისთან აღარ დავრჩი, აღარც სადილათ და აღარც ვახშმათ. სიარულით კი ყველასთან დავიდოდი, კიდევ ისე, ვისთანაც როგორ დავიდოდი, მაგრამ როდისაც პურობის დრო მოახლოვდებოდა, უთუოთ წამოვიდოდი; სერედინსკებს უკვირდათ და მიზეზს მკითხამდნენ რატომ აღარ დავრჩებოდი, ვეტყოდი: ფარეზათ ვარ და ამიტომ ვერსად ვერ დავდგებიმეთქი. იმ ჩინოვნიკის ცოლსაც ისე და თუ ჩემთან მოვიდოდა ვინმე, დენშიკი განვაძრახე: შინ არარისო.

---

[1] ქ. ტფილისში მამივიდა იმის წიგნი დიახ საიდუმლოთ: ქალი მეყოლა და სულ შენ გგავსო.

[2] პირველათ ბატალიონში რომ მოვედი და ჩემი ბატალიონის კამანდერი კუშლიანსკი ისე კარგათ ვნახე ჩემზე, ბატალიონიდგან დენშიკი ვთხოვე მოეცა, იქვე საჩქაროთ მამიხერხა და მინამ მე შინ მოვიდოდი, იქ მზათ დამხვდა თავის ცოტა ბარგით და ძალიან კარგი რიგიანი კაციც იყო. იმასკი ივანაერქვა.

და უკანვე წავიდოდნენ. მე და ჩემი დენშიკი ორს კვირას ამ მდგომარეობაში ვიყავით, ისიც ჩემთან ამ გაჭირებას ითმენდა. კიდევ კარგი, მეპურე დედაკაცი გვენდობოდა და ნისიათ იმისაგან მოქონდა, რომლებიცა წყალსა პურზედ დავრჩით და გაყინულს ოთახებში ვიყავით. ჩემი ოთახი უფრო დიდი იყო და უფრო ჰყინავდა, ჩემი დენშიკისა პატარა და იქ უფრო ცოტათ თბილოდა, მაგრამ ამაში მე უფრო კარგათ ვიყავ, რომ თბილი დალიანდაგებული ზამთრის შინელი[1] მქონდა და ქვეშაგებიც რიგიანი. იმას ერთი სალდათური შინელი და ქვეშაგებიკი თათუას ქვეშაგები ჰქონდა. ჩაი შაქარი და ნახში[რი] ოთხ დღემდისინ გვეყო, მასუკან ისიც გამოგველია და მერეთ დავრჩით მხოლოდ წყალს პურზედა, რომელსაცა წყალსა ნახევარს ყინულიანს ვსვამდით, მაგრამ იმას უფრო ცოტას. ჩემი მოსამსახურის თათუას წასვლიდგან, იმის უკან მოსვლამდისინ სწორეთ ერთი თვე გავიდა, რომ მე იმისი ველარა შავიტყე რა და აღარც წიგნი მამდიოდა შინადგან, რომელსაცა მეგონა, ათს დღეზედ უკანვე მოვიდოდა თათუა და ფულიც მეყოფოდა მანამდისინ, მაგრამ სად იყო, ველოდი და ვითმენდი ამ ჩემს გაჭირებას და შინადგან უანბობას. ამაში ხანდისხან ასეთი ცივი ქარიშხალი ამოვარდებოდა, რომ გრიალი გაჰქონდა იქაურობასა, რომელიცა ყურს ვუგდებდი, მითამ ვატარებდი იმის გრიალით დროსა, მაგრამ ჩემი გული კი შეპყრობილი იყო ბევრის ნაღვლებითა.

როგორც მახსომს ერთს შუადღის დროს ნახევარს იანვრისას, კარზედ ეზოში გამოვედი: მზიანს დღეს შევხედომეთქი. იმედგადაწყვეტილი რას ვიფიქრებდი, ამ დროს თათუა სანით შემოვიდა გაყინულ თოვლზედ და შორი ახლოს დააყენებინა სანა, გადახტა, თავი დამიკრა და მაშინვე ვკითხე.

– „თათო ფული მამიტანე რამე?“

– „რა ანბავია შეინჭირიმე, რომ ფულს კითხულობთ? –“ შეწუხებით მითხრა.

– „რაღა რა ანბავია, ორი კვირა არის გაყინულს ოთახში ვგდივარ.“

– „ვაიმე ეგ რა გავიგონე?“ მაშინვე ივანა გაგზავნა და ერთი კარგი პოვოსკა შეშა საჩქაროთ მოატანინა.

---

[1] კარგი ბეწვიანი შუბა მქონდა, მაგრამ პირველათ იმ კუშლიანსკის ბატალიონის დოხტურმა ჩემი ავანტყოფობის მოწმობა რომ დამიწერა, ის სნეული კაცი იყო და იმას ვაჩუქე.

წიგნი მამცა. რა გავხსენი, ასიგნაციებით სამსე იყო[1]. ის შეშის პატრონი თავის პოვოსკით რომ გავისტუმრეთ, დიახ ჩქარა დასჭრეს შეშა და ფეჩიც ჩქარა აანთეს. პატარახანს უკან ფეჩი გახურდა, მეც კარგათ ბეჭები რომ გამითბა, შინელი მოვიხსენ და დენშიკს მივეცი, თავის ადგილას დაედო, რომელსაცა მანამდისინ არ მამიხსნია და სულ გაყინული მქონდა ტანი. თათუაც საჩქაროთ ბაზარში გაიქცა, არაყი და კარგი ხორცი სამწვადეები მოარბენინა, და მწვადები გამიკეთა ჩქარა. ჯერ ერთი კარგი დიდი სტაქანი არაყი ჩემს დენშიკს დავალევინე, მერე დავჯექი სტოლთან სკამზე, ერთი რუმკა არაყი დავლიე და მასუკან კარგს ცხელ–ცხელს მწვადებს შევექეც კარგი ბაზრის პურით. ახლა ასე გავთბი, რომ ცოტა ოფლიც მამივიდა და ჩემი გული ისევ სილბილეში წამოვიდა, რომელიცა მანამდისინ რაღაც მხეცურს ხასიათსა ვვგრძნობდი. შემდეგ ჩემს კრაოტზე მივწექ, ზედ საბანი წავიხურე და ტკბილის ძილით დამეძინა, რომელსაცა მანამდის ძილი რიგზედ არა მქონდა და გამოღვიძებითაც ასეთი კარგის გულით გამოვიღვიძე, რომ ვგრძნობდი სრულს სიმთელეს ჩემი აგებულობისას.

როდისაც წამოვდეგ და კარგათ გავიმართე, თათუას დავუძახე, შემოვიდა და ყველა გამოვკითხე ჩვენი სახლობისა. იმანაც სულ მიანბო, დედიჩემის მშვიდობა, ჩემი ეკატირინესი, ჩემი ძმების[2], ჩემი დედიდაშვილის გიორგისა, ჩემი მოყვრებისა და სხუანი. (ჩემი სიმამრიკი; ეს ყორხმაზმა პირველათ მამიტანა, რომ 1839-ის წლის ზაფხულს გარდაცვლილიყო.)

ეს გამოკითხვა რომ გავათავე, თათუას ვუთხარი. – „ჩაი მოამზადე თათო, სადაც არის დაღამდება და ამაღამ ვახშმათაც შინ ვიქნები. კარგი ქათმის ჩვენებური ჩიხირთმა გამიკეთე, ნახევარი ჩიხირთმათა და ნახევარი შეწვი ჩახოხბილათ. თქვენთვისაც ხორცი მოიტანეთ, რაც გინდოდეთ გაიკეთეთ. ამაღამ შინ ვიქნები, რომ უფრო კარგათ მოვსურიალდე.“

---

[1] დედი ჩემისა და ჩემი ცოლის ეკატირნეს წიგნები იყო. მწერდნენ: ხშირათ გწერთო წიგნებს, მაგრამ საკვირველია რატომ არ მოგდისო? – ამასთან მწერდნენ: შენი ასტავკა პეტერბურლში წავიდა და იმედი გვაქვს ჩქარა განგათავისუფლონო. თათუაც რომ აქამდისინ დავაგვიანეთ, გამოსაგზანი ფული ჩქარა ვერ მოვახერხეთო. ჩემი ეკატირინეს დაბოლოებულს წიგნში ხომ რა აპრიალებული სიყვარულიანი წიგნი იყო, რომ ერთმანეთს ჩქარა გადავეხვევოდით. ამაზედ ჩემმა გულმა თრთოლა დაიწყო.

[2] მეორე ჩემი ძმა დიმიტრი იმდროს ცოლშვილიანი იყო.

ჩაის დროს ჩაი კარგის სუხრით და კარგის გემოვნებით დავლიე, უცხოთ გაკეთებული მცირე ვახშამიც კარგის მადით და გემრიელად შევექეცი, შემდგომ ავდეგ, ღმერთს მადლობა შევწირე, მასუკან ცოტა მივიარმოვიარე და ამაში ვახშამი სულ აკრეფილი გაიტანეს, მერე ჩემი საიდუმლო ლოცვა ღმერთს შევწირე, ბოლოს ტანთ გავიხადე, სანთელი გავაქრე და ძილისათვის ჩავწექ ქვეშაგებში. ძალიან კარგის მოსვენებით დამეძინა, ასე რომ, როგორც ჩვენში იტყვიან: ასე მეძინა, რომ გათენებამდისინ ფეხი არ გამიქნევიაო.

მეორეს დილას, ტანისამოსის ჩაცმის შემდეგ, ჩაი რომ დავლიე, ჯერ იმ ჩინოვნიკის ცოლთან წაველ, იმის ქმარი სამსახურში წასულიყო, იქ კარგახანი დავრჩი, ჩემი ასტავკის წასვლისა ვუთხარ პეტერბურღში, ძალიან იამა, მასუკან შუადღის დროს სერედინსკებთან წავედი, იმათაც ვუთხარი, მათაც დიდათ იამათ და სადილათაც იქ ვიყავი, ახლა კი სრულის გაბედვისა გულით, მხიარულად.

ასე ამ სახით ვიყავი იქ, სადაც ჩემს მცნობებში ხანდისხან დავიდოდი, ნამეტნავად ხშირად სერედინსკებთან, კიდევ იმ ჩინოვნიკის ცოლთან და შინ როდისაც რომ დავრჩებოდი, უფროსი ერთს დროსა წიგნებს ვკითხულობდი, ახლა უფრო იმისთანა წიგნებს: საყვარელი საყვარელს რომ ელის შორის გზითა.

ამ ჩემის დროს ასე გატარებით, გავიდა იანვრის თვე და თებერვლის თვეც 1840-ის წელიწადისა რომ გადიოდა[1], ამ თვის 28-ის დილაზედ, (იქნებოდა მეათე საათი,) წაველ ერთს ჩემს მცნობთან სანახავათ და სწორეთ იქით ავიარე, სადაც კამენდატის კანცელარია იყო, ამდროს იმის კარებთან დავდეგ ამ ფიქრითა: იქნება ჩემი ასტავკის პრიკაზი (ბძანება) მოსულიყოს, შევალ, ვკითხამ მეთქი., შეველ, კამენდატის პლაცადუტანტი კანცელარში დამხვდა, ვცნობდი ხელი მამცა, მეც რომ ხელი მივაწოდე, მკითხა:

– „რისთვის გასჯილხართ კნიაზო, *რომ* ჩვენთან მოხვედითო? –“

– „კარგათ იცით ჩემის ასტავკისა, კარგა ხანი არის რაც მივეცი; იქნება ჩემზედ პრიკაზი იყოს რამე? –“ ვუპასუხე. იმან უფროს მწერალს.

– „პრიკაზები არ მოსულა ჯერა? –“

[1] ეს თვე ნაკით იყო, მაგრამ კიდევ კარგი თოვლი იდო და კიდევ ცოტათ ჰყინავდა.

– „როგორ არა, ბევრი.“ მოახსენა.

– „მაშ მოიტა აქა.“

ერთი დასტა პრიკაზები მოართო, ჯერ ერთი ჩუმათ წაიკითხა, სტოლზე დადო; მასუკან მეორე, ისიც ისე, ასე რომ ათამდისინ წაიკითხა და მერეთ სხუა რომ წაიკითხა, მე მამცა. მეც რომ წავიკითხე, სახეზედ ფერი მეცვალა, ამდროს იმან მამატანა.

– „მამილოცავს კნიაზო, საწადელსა მიეხწიეთ და სრული ასტავკა მიიღეთო.[1]“

მე სიხარულმა ამიტაცა და ხმა ვეღარ ამოვიღე, ბოლოს რას ყოფით ორის ხელებით მივწვდი მარჯვენას ხელზე ამ სიტყვით.

– „დიდათ გმადლობთ, მაგრამ უმდაბლესათა გთხოვთ, ეხლავ მოწმობა მიბოძოთ ჩემის ასტავკისა, დღესვე წავალ ჩემს ქვეყანაში ჩემს ნათესავებთან.“ იმან მაშინვე დააწერინა, კიდეც დაამოწმა ბეჭდის დასმით და თავის ხელის მოწერითაც დაამტკიცა. მერე მითხრა.

– „ეს მოწმობა კამენდატთან მიიტანეთ, იმასაც ხელი მოაწერინეთ და მასუკან მშვიდობის გზა მოგცეთ ღმერთმა.“ მე ამისთვის მადლობით გამოვეთხოვე და საჩქაროთ მოველ კამენდატთან. იმანაც მაშინვე ხელი მამიწერა, შემდეგ ჩემი მცნობნი დავიარე, რომელთაცა ყველას გამოვეთხოვე; ჩემს დოხტურს რებროვს ხომ რასაკვირველია ბევრის მადლობითა. ბოლოს სერედინსკებთან მოვედი სიხარულით და ყველა ვუანბე. ისინი თუმცა შეწუხდნენ ჩემს მოშორებას, მაგრამ ამასთანვე დიდათ იამათ, რომ ჩემს სახლეულობას ვნახამდი. მასუკან თვით დოხტურმა სერედინსკიმ კაბინეტში შემიყვანა და პატიოსანის სიტყვით მათქმევინა: ფული მაქვს თუ არა? –“

– „მაქვს მეთქი.“

– „მე მაინც ორას რუბლს ასიგნაციას გასესხებთ, ჩემის ამ პატარას ბორთვლით; ეს ბორთველი ჩემს[2] სახსომრათ გქონდეთ და ვინიცობა არის, თუ ფული დაგჭირდესთ, დახარჯამთ და თუ არ დაგჭირდათ, ისევ უკან გამამიგზავნეთ.“

არ ვართმევდი, მაგრამ ძალათ ჯიბეში ჩამიდო, ცოტა გაჯავრებულის სიტყვით.

---

[1] 21-ს იანვარს 1840-ს წელსა არის ხელმწიფე ნიკოლოზისაგან მოწერილი ხელი, ჩემი სამხედრო სამსახურიდგან გამოსვლისა და საქართველოში დაბრუნებისა.

[2] ეხლაცა მაქვს ეს ბორთველი.

– „მე შავიტყე თქვენი გაჭირვება, ვჯავრობ თქვენზედ.“

მასუკან იმის ცოლშვილებთან გოსტინაში რომ გამოვედით, მთხოვეს: სადილათ იმათთან ვიყო.

– „დიახ აგრე იყოს, მაგრამ ნება მამეცით, შინ წავიდე, ჩემს ბიჭს ვუთხრა მოამზადოს და მერე მოვალ აქა.“ დამყვნენ, წამოველ.

შინ რომ მოველ, ჩემი მოსამსახურე თათუა კარებში იდგა დაღონებული და ეზოს უყურებდა. მხიარულის ხმითა დავუძახე.

– „თათო რას დაღონებულხარ? –“

– „არაფერსაო.“ დაღონებით მითხრა.

– „მაშ თუ არაფერსა, ეხლავ სამი ცხენის სანა იქირავე, ასტავკა მივიღე დღესვე საქართველოში მივალთ.“ მერე მოვყევ და ყველა ვუანბე რაც გადამხდა. ის მაშინვე დაფაცურდა. შემდეგ დენშიკს დავუძახე, ოცი რუბლი ასიგნაცია ვაჩუქე და იმასაც ვუთხარ, რომ საქართველოში მივალ. ის კი ძალიან შეწუხდა. მასუკან ღოშპიტლიდგან უნდერაფიცარი მოვაყვანინე, ის დენშიკი იმას ჩავაბარე ამ სიტყვით: მე რომ წავალ, ეს ჩემი დენშიკი ღოშპიტალში მიიღევით და ეგება ეცადოთ, რომ ღოშპიტალში მოსამსახურეთ დააგდოთ. იმანაც პირობა მამცა: თქვენ მაგიერ რებროვს ვეტყვი და უთუოთ პატივსგცემსთო. მერეთ ჩემს სახლის პატრონს[1] გავუსწორდი სახლის ქირაში და კიდევ თათუას ვუთხარ; სულ მზათ გქონდეს, მოვალ და მაშინვე უნდა წავიდეთ.

ეს განკარგულება რომ მოვახდინე ჩემის გზისა, შემდგომ იმ ჩინოვნიკის ცოლთან მიველ და ვუთხარი ყველა. ჯერ იმის ქმარი სამსახურიდგან არ მოსულიყო. რა ეს ჩემგნით გაიგონა, ტირილი ამოუშო, მე რას ყოფით გული რომ დავუმშვიდე, გულმხურვალედ ღმერთსა სთხოვა ჩემი მშვიდობა და მეც წამოსვლა დავაპირე ამ სიტყვით: შენი ქმარი მამიკითხე, ბევრს კარგს ღმერთსა ვთხოვ თქვენთვის და თქვენს სანუგეშოთ კარგი შვილიც მოგეცეთ. გამოვწიე და საჩქაროთ წამოველ, სადაც კიდევ ჩემს სახლში გამოვიარე, ვნახე მზადებაში იყვნენ; იქიდგანაც გავწიე და სერედინსკებთან მივედი, იმათ სტოლიც სულ დაედგათ სადილისთვის, რომლებიცა მცირედ ხანის შემდეგ დავსხედით და ბოლოს სადილისა, შამპანსკი მოიტანეს და ამითი დამილოცეს გზა.

სადილს უკან ყავის შემდგომ, სერედინსკის უფროსმა ქალმა, თა-

[1] ხუტორიდგან მოსული იყვნენ ერთის კვირის წინ.

ვის ერთი პატარა რვა თვის გოშია ძაღლი აიყვანა და ხელში მამცა.

– „ეს პატარა მოყვითლო მშვენიერი ძაღლი ფლორკა, ვიცი გიყვართ და უალერსებთ ხოლმე, გთხოვთ ჩემს სახსომრათ მიიღოთ და ნუ დაგვივიწყებთ.“

მე ხელზე ვაკოცე, გამოვართვი[1] ამ სიტყვით.

– „არამც თუ დაგივიწყოთ მარია ვასილევნა[2], თქვენი პატივისცემა სიყვარული, ჩემს გულში დარჩება ყოველთვის.“

ბოლო დროს ყველას გამოვესალმე, იმათ ყველამ ტირილი დაიწყეს, გარდა ვასილი ტიმოფეიჩისა და მეც მამერია ცრემლი თვალებში (ესეც დოხტური იყო ვ. ტ.) მეტი კარგი და კეთილი სახლობანი იყვნენ ისინი. გამოსამლებისა შემდეგ გამოვწიე, წამოველ და პატარა ფლორკაც თან წამოვიყვანე ხელით შინელს ქვეშა.

შინ მოველ, თათუას სულ მზათ ჰქონდა ცხენებშებმული სანა, სულერთიან ჩემი ცოტა ოდენის ბარგით ჩაწყობილი; შეველ, სახლის პატრონს და იმის ხასას გამოვესალმე, მერეთ გამოვედი, ისინიც თან გამამყვნენ; მიველ ჩემის პატარა ფლორკათი სანაში ჩავჯექ, გავსწორდი; თათუა და იემშიკიც კოზლაზედ დამსხდარიყვნენ, იემშიკმა დაიძახა: პაშოლ და გაცურდა სანა თოვლზედ. სახლის პატრონს და იმის ხასას გამოთხოვის ქუდი რომ მოვუხადე, შემოვიხედე, ჩემი დენშიკი ივანა ასეთის დაღონებულის სახით იდგა, რომ დიდათ შემბრალდა, რომელსაცა დავუძახე: ივან ნუ სწუხარ ღმერთი არ დაგაგდებს. და სანა ქუჩაში გამოვიდა. აქ ჩემი გული სიბრალულიდგან, ახლა სიხარულში წამოვიდა.

მდინარე მალკა გაყინული იყო, იმაზედ სანა გაარბენინა; პატარა გზა რომ გავიარეთ, აღმოსავლეთისაკენ მოაბრუნა სანის ცხენები და თოვლზედ ჩქარა გააქცია, იმიტომ ისე ჩქარა გააქცია: დროით მივიდეთ სტანიცაში[3], რომ არ დაგვაღამდესო. სწორეთ იმ დროსაც მივედით. მაგრამ იმ გაჩქარებულს სირბილში, აქ მე ახლა ბედნიერებაში ვიყავ და აქეთ იქით სიამოვნით ვიყურებოდი.

ამის მეორე დილაზედ 29-ს თებერვალსა კიდევ იმ ნაქირავების

---

[1] ბოლოს ის პატარა ფლორკა ძალიან შემეჩვია, საუცხოვო ხასიათის ძაღლიც იყო და სახლში დიდი ფთხილი ღამე, რომელმაცა თოთხმეტი წელიწადი იცოცხლა და იმან ასე შემაყვარა თავი, რომ იმის შემდგომ სხუა პატარა ძაღლი აღარ მიამება.

[2] უფროს ქალსა მარია ერქვა, ამის მომდევნოს სოფია, იმათ პატარა ძმას ალექსანდრ, ამათ დედას ოლგა და ამის ქმარს ვასილი ტიმოფეიჩ.

[3] სტანიცა ყაზახების სოფელია.

სანით წამოვედით და კიდევ დღე იყო, რომ ეკატირინეგრადს მოვედით, თათუას ვუთხარ, წასულიყო, სტარშინა ეპოვა და სახლი მოეცა დასადგომი, პატარახანს უკან მოვიდა და მითხრა.

– „აქ ჩვენი ტფილისელი ჩემი მცნობნი ორნი მოვაჭრენი შამხვდნენ, მკითხეს: აქ რათა ხარო? თქვენი ანბავი რომ ვუთხარი, დიდათ გთხოვესთ იქ ჩამოხდეთ იმათთანაო.“

– „მერე იცი იმათი სახლი?“ ვკითხე.

– „დიახ ვიცი, შორიდგან დამანახვესო.“ ჯერ მე დავფიქრდი და მასუკან ვუთხარ: წავიდეთმეთქი. და წავედით. რა იქ იმათთან მივედით, ის ვაჭრები კარზედ გამოვიდნენ, შევხედე, ვიცანი[1], ამაში ისინიც მოვიდნენ, გადამახდინეს *სანიდგან* და სახლში შემიყვანეს. კარგათ დამხვდნენ, ჩაით და სამარხოს კარგის ვახშმით, მაგრამ ლობიო კი არა ჰქონდათ, ამის ნაცვლათ კარგი კახური წითელი ღვინო მასვეს. (იმდროს დიდი მარხვა იყო.)

ვახშამთ უკან, ძილს რომ ვაპირებდი, თათუა შემოვიდა, მითხრა.

– „გაბრიელა გთხოვსთ, თუ რომ შეიძლებოდეს, ხვალაც აქ ბძანდებოდეთ; ზეგ ისიც გიახლებათ: და ერთად წავიდეთ, ლადიკავკაზს საქმე მაქვსო.“

– „დიახ კარგი იქნება, ხვალ აქ დავრჩები, მაგრამ იმ ჩვენი სანის პატრონს გაუსწორდი ფულში? –“

– „გავუსწორდი და წავიდა კიდეც.“

– „მაშ სანთელი გაიტანე დავიძინო, ძალიან მეძინება.“ ხელი წამოავლო გაიტანა, ოთახის კარი რომ მოგულა და ბნელაში დავრჩი, მაშინვე მოსვენებითა დამეძინა.

ამის მეორე დილაზე რომ გამეღვიძა, 1-ს მარტსა, გაბრიელა და ივანე შემოვიდნენ, ჩემს პირდაპირ სკამებზე დასხდნენ, მკითხეს.

– „წუხელის როგორ მოისვენეთო? –“

– „დიახ კარგათ მოსვენებით მეძინა. მაგრამ ერთი ეს შემატყობინეთ, ფოშტა ტფილისს როდის მიდის აქედგან?“

– „დღესა.“

– „არ შეიძლება ტფილისს წიგნი გავუგზავნო ბატონიშვილს დედა ჩემსა? –“

– „რატომ არა, თქვენ დაწერეთ, მე გავგზავნი.“ გაბრიელამ მითხრა.

---

[1] ერთი გაბრიელა იყო, მეორე ივანე და იმათი გვარებიკი არ ვიცი.

მაშინათვე მოკლე წიგნი დავწერე რამდენიმე სიტყვა დედა ჩემთან: ხელმწიფის მოწყალებით თავის უფლება მეღირსა; აქ ეკატერინეგრადს მოველ და ხვალ დილაზედ აქედგან გამოვდივარ. დავბეჭდე, ზედ ადრესი მოვაწერე, მივეცი და მაშინვე წაიღო ჩემი ფოშტის ფულით. იქიდგან დიახ ჩქარა მოვიდა და მითხრა.

– „ეხლა ეს არის ფოშტა მოდიოდა, იმის წამღებს ფოშტალიონს კარგათ ვიცნობ, ის წიგნი იმას მივეც, ერთი აბაზიც ვაჩუქე და ვუთხარ: რა დროც იყოს, ტფილისში რომ ჩახვიდე, ეს წიგნი მაშინვე ბატოიშვილ თეკლასთან მიიტანე, *იმახარობლე* და მოახსენე, თქვენი შვილი ალექსანდრე გიახლებათთქო და ერთს მანათს გაჩუქებენმეთქი. ეს რომ ვუთხარ, იმან მიპასუხა: იმათი სახლი კარგათ ვიცი, რამწამს ჩავალ, მაშინვე მივიტანო.“

– „გაკეთდა ჩვენი საქმე.“ სიამოვნით მივუგე.

– „დიახ, დიახ გაკეთდაო.“ მასუკან თავის სკამზე დაჯდა და დავიწყეთ სამთავ ლაპარაკი.

ამაში იმ მოვაჭრეებისა, თათუასაგან გაკეთებული კარგი ჩაი მოგვიტანა და კარგი თეთრის პურით ორი სტაქანი დავლიე. ამ ჩაის სმაში ვკითხე იმათ.

– „შაიძლება კიდევ სანით წავიდეთ ლადიკავკასამდინ? –“

– „არა აღარ შეიძლება, დღევანდელი ფოშტა პოვოსკით მოდიოდა.“ გაბრიელამ მითხრა.

– „მაშ თათო, სამი ცხენიანი პოვოსკა იქირავე.“ იმდროს იქ იდგა თათუა. იქიდგან ივანემ.

– „მე უფრო იაფათ ვიქირავებ.“

– „თათო ფული მიართვი ივანეს.“ მე ვუთხარი.

იმ დღეს და იმ ღამესაც ძილის დრომდინ, ძალიან კარგათ გამატარებინეს დრო. მეორეს დილაზე 2-ს მარტს რომ გამეღვიძა, ამდროს შებმული პოვოსკა მოიტანეს და გარეთ ალიაჩოჩქოლი შეიქნა. მე თათუას დავუძახე, თათუას გაბრიელა და ივანე თან შემოჰყვნენ, მეც ჩქარა ტანისამოსი ჩავიცვი პირის დაბანითა და ამასთან ჩაიც დავლიეთ კარგის თეთრის პურით; მცირე ხანის შემდეგ ივანეს გამოვეთხოვე, კარგის დახვედრისთვის ორთავ მადლობა ვუთხარი და გზას წამოვედით.

აქ ეკატერინეგრადთან მდინარე მალკა დიდი მოდის, ეს ზევითაცა ვთქვი, რომელზედაც ფიცრის ხიდი გადებული იყო, იმაზედ გამ-

ოვედით და ლადიკავკასისაკენ პირი მივმართეთ. იემშიკსა ვკითხე.

– „ლადიკავკაზს როდის მივალთ? –“

– „იმედი მაქვს ხვალ საღამოს ადრე.“

– „თუ მიგვიყვან, ქირას გარდა კარგ ნავოტკისაც მოგცემ.“

შემოსძახა ცხენებს: გორკუ ნა გორკუ ბარინ დასტ ნავოდკუ[1]. და გასწია. საუცხოვო ცხენებიც ება და კარგი მზიანი დღეც იყო დამშვიდებული.

კავკაზიის მაღალს მთებსა შევხედე, მეტათ მიამა, მოვიდოდი, ვუახლოვდებოდი და ჩემი სული ფრიალებდა წყნარის სიხარულით, ვთქვი: ციმბირი ახლოს იყო ჩემთვის, ეხლა არის ეს მოკლე გზა ჩემთვის შორსა. აბა როდის მეღირსება იმის ნახვა, ვისაც მოუთმენლად ველი, ამთენი წლის განშორებულს ჩემს კატინას. შენ ჩემო მშობელო მამულო, შენ რისთვის გამამიმეტე, ამთენი წელიწადი გადამაგდე, დაკარგული ვიყავ, რომ ეხლა ნახევარ კაცი ძლივს მოვდივარ, მოვალ მაგ შენს ხეობაში, შენს ქვებს მოვლოკ, ჩემი ამთენი წლის დახავსებულისა გულის განსაკურნად. შენ იქნები ემანდ ხეობაში მჩქეფრო მდინარეო თერგო, ჩემი პირველი უკვდაების წყარო, ამთენი წლების დაულეველი ჩემი მამულის წყალისა, რომელსაცა შენი მადლიანი ფრთები მამაშველე ჩემო უაღრესო კავკაზო და უვნებელი გადმიყვანე, სადაც დავიბადე შენს კეკლუცს საქართველოში, რომ გაუკითხავმა თოვლის ზვაებმა არ დამიტანონ. მაშინ ზვაების დროც იყო მთებში.

ასე და ამისთანა სიხარულით მოვიდოდი.

იმ ღამეს შუა გზის სტანიცაში ვიყავ და მეორეს დღის საღამოჟამს ლადიკავკაზს დავახლოვდით, გაბრიელმა მითხრა.

– „აქ ლადიკავკაზს ერთი საქართველოს აზნაური დგას, დიდი ხანია გადმოსული არის აქა, იმას კარგათ ვიცნობ, თუ გნებავთ იმასთან ჩამოვხტეთ?–“

– „ვინ არის, რა გვარია? –“ ვკითხე.

– „დავით გვარამაძე.“

– „დიახ კარგი, მაგრამ შევაწუხებთ.“

– „არა, დიდათ იამება, უფრო მაშინ, როდისაც შეიტყობს ვინახართ თქვენ.“

– „შენ იცი გაბრიელ, მე რაღა ვქთუა.“

[1] გორაკიდგან გორაკზე ბატონი მოგვცემს არაყსა.

მცირე ხანის უკან ქ. ლადიკავკაზი შევიარეთ, ერთს სახლის კარებზე მიგვიყვანა გაბრიელმა, იქ პოვოსკა დააყენებინა, თვითონ გადახტა და სახლში შევიდა. ცოტა დრო რომ გამოვიდა, ერთი შუახნის კაი სანახავი კაცი გამოვიდა ქართულათ ჩაცმული, მოვიდა და მითხრა.

– „გთხოვთ ჩამობრძანდეთ, დიდათ სასიამოვნოთ მექნება, რომ ჩემს სახლში გნახამთ.“

მე მადლობით ჩამოვხტი, სახლში შეველ, სწორეთ ჩვენი საქართველოს მებატონის სახლი ვნახე, ტახტებით დადგმული, ჩვენებურათ საფენ დაფენილი, რომელსაც ძალიან მიამა, მიველ დავჯექ და ქართულს მუთაქაზე დავეყუდე მკლავით. ვუთხარ.

– „ღმერთმა გიშველოს, რომ ჩვენს მამაპაპის ჩვეულებას არა ჰკარგავ.“

– „რათ დავკარგამ, ღმერთმა დამიფაროს.“ სიამოვნის გაცინებით მითხრა.

პატარა მოლაპარაკების შემდეგ, სახლის პატრონი მეორეს ოთახში შევიდა, ამდროს მოსამსახურემ ფადნოზე დადგმული სტაქნებით ჩაი შემოგვიტანა და თვითონაც თან შემოჰყვა. ჩაის სმაში მკითხა.

– „ამ დიდს მარხვაში რას მიირთმევთ, სახსნილოს თუ სამარხოსა? –“

– „აქამდისინ სახსნილოსა ვჭამდი და ახლა დავიმარხვე.“ მივუგე.

– „მაშ მიბრძანეთ, რა სამარხო საჭმლები გავაკეთებინო, რომ გიამოსთ? –“

– „ლობიო გაქვსთ? –“

– „ლობიო? – ტომრებით მიწყვია.“

– „მაშ მიშველეთ, ამთენი წელიწადია მე ის აღარ მიჭამია, დამავალებთ ჭეშმარიტათ.“

– „სხუა კიდევ რაღა გავაკეთებინო? –“

– „მე ის მინდა, იმ ლობიოს შუაძვალი[1], სხუა სულ არაფერი.“

– „როგორ არაფერი, მე პურადი ქართველი კაცი ვარ და გულ გაშლილი.“ ამასთან სტაქნით ჩაი დაბლა დადგა, მეორეს ოთახში შევიდა და პატარახანის შემდეგ ისევ გამოვიდა. სწორეთ ის ზედ გამოჭრილი ქართველი კაცი იყო: გულგახსნილი, მართალი მოლაპარაკე, მართებული და სხუანი.

[1] ამას მაგალითისათვის იტყვიან ხოლმე გასაცინათ: ლობიოს შუაძვალიო.

ჩაი რომ დავლიეთ, გაბრიელს ვუთხარი.

– „გაბრიელ, შენ უფრო ლადიკავკაზისა კარგათ გეცოდინება, არ შეიძლება რომ აქ პოვოსკა მიქირაოთ სამი ცხენიანი სტეფანწმინდამდისინ და იქიდგან ფოშტით წავალმეთქი?“

– „რატომ არა.“ მითხრა. მეორეს მხრიდგან სახლის პატრონი მეხვეწა, მეორე დღესაც იქ ვყოფილიყავ, მაგრამ რაღა დამაყენებდა.

იმ ღამეს ვახშამზე სამარხო საჭმელი ბევრი მოიტანეს, ისინი რაც ქ. ტფილისში მიჭამია, რომლებიცა მე, სახლის პატრონი და გაბრიელი, ქართულათ ტახტზე ვისხედით, თათუა კი გვემსახურებოდა და სხუა და სხვის ლაპარაკით შევექცეოდით, თანაც წითელ კახურს ღვინოს ვსვამდით, მაგრამ იმთენი კარგის საჭმლისაგან ლობიოს მეტი სხუა არა მიჭამიარა, ასე მიამა. ერთი მათლაბა ლობიო რომ გავათავე, მეორეც რომ დავასხმევინე, სახლის პატრონმა მთხოვა.

– „ეს სხუა საჭმლები რომ მიირთოთ, უფრო უკეთესი არის, მინამ მაგთენი ლობიო, მეშინიან არ გაწყინოსთ?“ მაგრამ მე არა ვქენ და ის მათლაბაც დავასრულე. არ ვიცი რა პატრიოტობა იყო ჩემგნით, იმთენი ლობიოს ჭამა, მერე რითა? – კარგი მწარეს ხახვით და კარგის ქართულის პურით ჩაფაშრული, არა კოვზით, არამედ ქართველურად ხელით.

ვახშამთ უკან, იმ ღამეს ძილის დროსა, ის იმთენი პური, ლობიე და იმთენი ხახვი გულზე შემამაწვა, მაშინვე გამეღვიძა, იმ ოთახში მეორეს გძელს ტახტზე თვით სახლის პატრონი[1] და გაბრიელს ეძინათ, რომლებმაცა ჩემს კვნესაზე იმ წამს გაიღვიძეს და მკითხეს.

– „რათ კვნესითო? –“

– „ლობიომ ძალიან მაწყინა, გულზედ მაწევსმეთქი.“

ამ სიტყვაზედ წამოცვივდნენ, გაბრიელმა საჩქაროთ სანთელი აანთო და დავითმა მეორეს ოთახიდგან თუნგით ცხელი წყალი გამოარბენინა; თურმე ადრევ ცეცხლზე დაედგა ვინიცობისათვის და ასე რომ მნახა, იმიტომ გამოარბენინა, თანაც ერთი ვერცხლის ჯამი გამოიტანა; ის ცხელი წყალი იმაზედ დაასხა კარგა სამსეთ.

– „ჩქარა მიირთვითო.“ ჩემს გვერდით, ერთი თითბრის ტაშტიც დადგა.

[1] სახლის პატრონი დავით გვარამაძე განგებ აქ დაწოლილიყო: იმთენი ლობიო თუ აწყენს, ჩქარა მივეშველოვო.

მეც ის ცხელი წყალი ავწიე და სულ დავლიე. პატარა ხანს უკან ჩემმა აგებულობამ დაიძახა და ის ნაჭამი პირიდგან ამამივიდა. ცოტახანი კიდევ რომ გამოვიდა, კიდევ მეორეთ დამალევინა, ამაზედ ტანიდგანაც ერთი გამკრა, მასუკან სრულათ კარგათ ვიყავ და კარგათაც დამეძინა[1].

მეორე დილაზედ, რომ გამეღვიძა, უფრო კიდევ კარგათ შევიქენი, ამ დროს ჩაი რომ დავლიე, პირი დავიბანე, ტანისამოსი ჩავიცვი და საგზავოთ მოვემზადე; ბარგ ჩაწყობილი ნაქირავები პოვოსკა მოიტანეს, ორთავ დიდის მადლობით გავეყარე და ჩემს გზაზედ დავადექი იმ პოვოსკით. კარგი საუცხოვო მზიანი დღე იყო იმ დღესაც და კარგა ჩქარათაც მატარა იემშიკმა.

ჩვენს საქართველოს ძველს სამძღვარზედ რომ მოვედით დარიელას ხიდთან, საღამო ჟამმა მოატანა, იქ პოვოსკა დავაყენებინე, საიდგანაც გადავხტი, პოვოსკის იემშიკსა და თათუას ვუთხარ, წყნარწყნარა წასულიყვნენ. რა ისინი გაემართნენ, მე დარიელას ხიდს ქვემოთ მდინარეს თერგისპირზე ჩაველ, როგორც ზევითა ვთქვი, იქ დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი, რომელსაცა მიხაროდა და ღმერთს მადლობას შევწირავდი: კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირი და კიდევ ფეხი დამადგმევინა იმაზედ. მასუკან წყალის პირთან ჩაველ, რომლის წინაშე ჯერ გულგაშლილის სიამოვნით დავემხე და შემდგომ მუჭით წყალი დავლიე. ისემც ღმერთმა ყოველს ქართველს იმისთანა გული მისცეს, რას გულით მე, იმ წყალის პირიდგან ზევით ამოვედი. აი ჩემი უკვდავების წყარო ეს გრძნობაა! შემდგომ მაღლის ხმითა თათუას დავუძახე: პოვოსკა დააყენემეთქი. გაიგონა დააყენებინა.

ის ხეობა გასაშტერებელია! მთელს კავკაზში შავი ზღვიდგან კასპამდისინ, იმისთანა შემოსასვლელი: *სწორედ* გახსნილი კარებად მოყვანილი არსად არის, სადაც აქ ბევრი რამ მინდა ვთქუა, მაგრამ იმ ლაპარაკს ამაზედ გადმოვიყვან, რომ თექვსმეტი წლის ვახტანგ გორგასლანმა, თავის ხელგამომავალის ქართველებით, დასცა შეძრწუნების ზარი მთელს კავკაზიას შავი ზღვიდგან გასპამდის და ამიერ იმიერ ბარსა: ამიერიდგან ჩემი უნდა იყოს და ნამდვილი ძენი შენი, უნდა ამას იქით ქართველები იყვნენ, ერთიანად

[1] ჩემს ფლორკასკი ჩემს გვერდით ეძინახოლმე, თულუფში და გზაზედ ჩემს გვერდით. ჩემს შინელს ქვეშ იწვა.

შენი ქვეყანაო. მაგრამ განძრახუა ეს გადაბრუნდა და ბოლო დროს აკლებული იქმნა საქართველო უსამართლო მტერთაგან. ვაი ჩემი ბრალი. ამასთან ქვითინი ამოვუშვი და მერეთ პოვოსკასთან მოველ. ჩავჯექ დაღონებული, გავსწიე და იმ ღამეს სტეფანწმინდის ფოშტაში ვიყავ, რომელსაცა ჩემი ნუზლი თან მქონდა, ჩაი, შაქარი, სამი ბუთლიკა ღვინო, გაციებული ქათამი, მოხარშული კვერცხები და ყველი. (ესენი სულ წინა ღამეს თათუას მოვამზადებინე ლადიკავკაზს, საგზაოთა.)

ამის მეორე დილა ადრიან ფოშტის სამი ცხენიანი სანა მაიტანეს, ამიტომ რომ იქ პოვოსკა რიგიანათ ვეღარ იმუშავებდა, დიდი თოვლი იყო, მაღალი ვაკე ხეობაა, სადაც გატკეცილს თოვლის გზაზედ, სამი ცხენიანი სანა მირბიოდა და იემშიკიც დასძახებდა: პაშოლ. სხვადასხვის სიტყვებითა.

მზე ახლად იყო ამოსული, *ასე მეგონა მაღალს მთაზე ამოსულა და დგას მეთქი*, რომ კოპის ფოშტაში მოვედით, იქ მაშინვე კიდევ სამი ცხენიანი სანა შემიბეს, მაგრამ ახლა სამივ მწკრივათ, რადგან მაღლობი მთა უნდა გადაგვეარა აქით იქით ამართულის მაღალი მთების შუა და ის სამი ცხენი თოვლის ვიწრო გზაში, ერთად რომ არ გაიმართებოდა, იემშიკმა ის ცხენები ისე გძლად გამწკრიებული იმიტომ შეაბა, რომ იმ ვიწრო თოვლის გზაში გატეულიყვნენ თავისუფლათ. აი ამ გზაშია შიში თოვლის ზვავისა. ისე იგძლივ დაჩვეული ყოფილიყვნენ ის ცხენები სიარულსა იმ თოვლიანს გზებში და ასეთი ჩქარის სიარულით გაასწრაფა იემშიკმა, როგორც ხმელს სწორეს გზაზედ. ვოჟებიც (აღვირები) ისე იგძლივ ჰქონდათ თვითეულს ცხენს გაკეთებული და კოზლიდგან იემშიკსა, საითკენაც უნდოდა იქითკენ მიატრიალმოატრიალებდა ცხენებს, რომელსაცა თათუაც გვერდით უჯდა იმას.

მოვიდოდით და იემშიკიც მიეშურებოდა იმ თოვლიანს გზისა კვალობაზედ რაც შეიძლებოდა, ამიტომ რომ მარგი დღე იყო და თოვლის ზვაებისა ეშინოდა. ჰაი ტატატა; რას ყოფით დავლიეთ ის საშიში თოვლის ზვაებისა გზები და სამშვიდობოში გავედით იმ 5-ს მარტსა. რასაკვირველია მეც მადლობა შევწირე ღმერთსა, სამშვიდობოში გამოსვლისა. ვკითხე იემშიკსა.

– „ამ თბილს დროს რომ გეშინოდა ზვაებისა, მაშ ახლა დაბრუნებაზედ რასა იქ? –“

– „თუ რომ ყინვას არ დაიჭერს, საღამოჟამზე წამოვალ და მაშინ უთუოთ მოჰყინავს.“ მიპასუხა.

მერეთ გავსწიე და ფასანაურის ფოშტაში მოვედით, სადაც ვისადილე, ცოტათაც დავიძინე, მასუკან პოვოსკით წამოვედი დაბალ ხეობაში, რადგან მაგთენი თოვლი აღარ იყო და მზე კიდევ მაღლა იდგა, რომ ანანურის ფოშტაში მოვედი. ვთქვი: ამაღამ აქ ვიქნები და ხვალ დილაზედ გავწევმეთქი. ამდროს ერთი დოხტურიც მოვიდა რუსეთიდგან მომავალი, ჩვენი გაცნობისა შემდეგ, იმ ღამეს ისიც იქ დარჩა *ერთად გავატარეთ დრო, იმღამეს ერთად ვიყავით* და ჩემს ვახშამზედაც კარგათ შევაქციე, სადაც *ის დილა, მე რომ ანანურში მოველ წინა დღის საღამოზე* ამის მეორე დღეს დილაზე ვგრძნობდი სრულს ჩემი თავის ბედნიერებასა და ჩემი გული, როგორც გაზაფხული ისე გაიშლებოდა, გაზაფხულიც იყო, მზიანი დღეც და ათასსა სიხარულსა ვგრძნობდი, რომელსაცა იმთენი ხნის განშორებულს, იმ დღეს უნდა მენახა ჩემი *დედა, ჩემი ძმები* სულ ერთიან სახლეულობა, ნამეტნავად ჩემი ეკატირინე და *რასაკვირველია* ეს ამისთანა გრძნობა ჩემს გულზე დაინერგებოდა. ვიყავ ატაცებულსავით და სულ ვღიმღიმებდი.

ბოლოს პოვოსკა შემიბეს, სადაც ის დოხტური ანანურში დარჩა რაღაც საქმეზედ; მეც ჩემს პოვოსკაში ჩავჯექ და საჩქაროთ გამოვწიე, დუშეთს გადმოვედი ფოშტაში, *ჩამოვხტი, სადაც* ვისადილე იქა, მაგრამ კიდევ ისე ვიყავ ატაცებულსავით. სადილს უკან კიდევ სამი ცხენის პოვოსკა მამიტანეს; *რომლითაცა* გამოვწიე, გადმოვედი იმის *გარემო გორების გზებს* ცოტა მაღალი მთები და ქვემოთ *მინდვრის* შარა გზაზედ გამოარბენინა იემშიკმა ცხენები პოვოსკითა. მიხაროდა და ვეტრფოდი ჩემს მშვენიერს მშობელს ქვეყანასა. ცოტა გზა რომ გავირბინეთ, გზის მახლობლად ერთი ვირი ბალახს სძოვდა და როდისაც იმ ვირს დავახლოვდით, თავის მამაპაპური სიმღერა ამოუშო თავის გაძახილის ყროყინითა, რომელმაცა მაშინვე პოვოსკა დავაყენებინე და იმისი ღრიალი დიდათ მესიამოვნებოდა, იმ ჩემი მშობლის მამულის ცხოველისა, რამთენი წლის უნახავისა. ბოლოს მეტის სიამოვნით გამოვწიე და წამოველ. მე რომ ისე სიამოვნით ყურს ვუგდებდი იმ ვირის ყროყინს, ჩემი მოსამსახურე თათუა კი იცინოდა და ბოლო დროს კიდეც მითხრა სიცილით.

– „ბატონო, აგრე როგორ დაგავიწყდათ ვირის ყროყინი, რომ აგრე ყურს უგდებდით?“

– „რა ვქნა თათო, დაკარგული ვიყავ უბედური და ახლა ყოველი ჩუენი ქვეყნისას რასაც ვხედავ და ან მესმის, სულ დიდათ მიამება! –“ ამ სიტყვაზედ თათუამ მძიმეთ ამოიოხრა.

მეც გულშერყეული სიხარულით, საითკენ რომელს მხარესკი მივიხედ-მოვიხედავდი, ყოველი სატრფიალო იყო ჩემთვის და ღმერთს მადლობასა შევწირავდი: კიდევ მაღირსა ჩემს მშობელს ქვეყანაში მოსვლა.

მოვიდოდი, მიხაროდა, მოველ ფონთხელის ფოშტაში, სადაც დამხვდნენ, ჩემი ორივ ძმები დიმიტრი და ვახტანგ, დიმიტრის ცოლი მარი ივანოვნა და ჩემი ქალი დარია, მაგრამ კი ვეღარ ვიცან; გაზდილიყო, შვენება მომატებოდა, რომლებისა სიხარული ჩვენი, რაღა გითხრათ, იცით როგორიც იქნებოდა! ბოლოს ჩემმა რძალმა მარი ივანოვნამ ჩემი ქალი დარია მოიყვანა, მითხრა.

– „ჩემო მაზლო, ამ ქალს რეკამანდაციას გიზამთ, გთხოვთ იცნობდეთ.“

– „რავქნა, ცნობა რომ არა მაქვს?“ მივუგე.

– „როგორ არა, კარგათ იცნობთ.“

ამდროს დარიამც ორივ ხელი გაიშალა ცრემლით და ჩემმა რძალმაც დაიძახა.

– „შენი ქალი დარიკოა.“

გადავეხვიენით ერთმანეთსა და მშობლიურის სიყვარულით ვუთხარ.

– „დედა შენი რაღა იქნა შვილო, რატომ აქ არ არის? –“ და თვალებში ცრემლები მამივიდა. ამდროს ჩემმა რძალმა დაიძახა.

– „დედამ ბატონიშვილმა არ გამოუშო: ჩვენ შინ ვიყვნეთ, აქ დავხვდეთო.“

– „შეინჭიმე სწორეთ მითხარ, კიდევ არის თუ აღარა? –“ და გულმა თრთოლა დამიწყო.

– „ღმერთს გეფიცები, ის ცოცხალია, როგორც მე და შენ.“ ამ სიტყვაზედ დამიმშვიდა გული.

მინამ კალასკას[1] შეაბამდნენ, ვიცინოდი სიხარულით და ვან-

[1] ეკატერინეგრადიდგან მე რომ წიგნი მოვწერე ბატოიშვილს დედას: მოვდივარ-მეთქი. ის წიგნი მე რომ ფონთხელას მოველ, ამ დილით მოსვლოდათ ქ. ტფილისს

ბობდით რამთენს რაებს... რა მზე დაეწვერა, კალასკაში ჩავსხედ-ით, ჩემი რძალი მარი ივანოვნა, მე იმასთან გვერდით დავჯექ, ჩემი ქალი დარიკო ჩვენს წინ პირდაპირ დავისვით, ჩემი ძმებიც ცხენ-ებზე მოასხდნენ და გამოვწიეთ, კარგი გულის სიამოვნით, ბევრის ლაპარაკით.

მცხეთას რომ მოვედით, მცხეთის თავი გადვუარეთ, მდინარეს არაგვში გავედით, სადაც საღამოს ბინდმაცა ჰკრა, მაგრამ მშვენ-იერი მთვარე ამოვიდა და იმის ნათელში წამოვედით ქ. ტფილისის-კენ, არც ძალიან ჩქარა და არც წყნარა. რაღა რა ვთქვა, იცით ჩემი გული რას ყოფაში იქნებოდა!..

ის **1840-ი წელი მარტის 6-ის** დღის მეთერთმეტე საათი ღამე როგორ დამავიწყდება, ქ. ტფილისი რომ შემოვიარეთ და შემდეგ ჩვენს სახლების ალაყაფის კარსა მოვადეგით, სადაც ჩვენი მოსამ-სახურები მიგველოდნენ და ერთობით ერთად დაიძახეს: ციმბირში გაგზავნილი ბატონი მოგვივიდა. ამ სიტყვასთან კალასკამაც შეიარა ალაყაფის კარში და კიბესთან დადგა. ზევით ბალკონის თავს ბა-ტოიშვილი დედა ჩემი, ჩემი ცოლი ეკატირინე და ზოგიერთი ჩვენი ნათესავი ქალები დავინახე იმ მთვარიანს ღამეში, რომელიცა კა-ლასკიდგან ჩქარა გადმოვედი და კიბეზედ გულის ძგერით ავირბინე.

იქ ბატოიშვილს დედას ორივ ხელები გადვუკოცნე და შემდეგ ჩემს თვალებზე დავიწყე. მასუკან მოვბრუნდი, მე და ჩემი ეკატ-ირინე ერთმანეთსა გადავეხვიენით და იმ მოხვევნაში ორივ ვთრ-თოდით სიამოვნით, მერეთ ჩემი პატარა ქალი მაიკო მოიყვანა, რასაკვრელია ისიც სურვილით ავიყვანე ხელში, ვაკოცე რამდენ-ჯერმე ტკბილად[1] და შემდგომად ჩემს ნათესავებს მივესალმე. ოჰ! რამდენი სიხარული იყო აქა .....

ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა, შევამოკლოთ. მე და ჩემი ეკატირ-ინე იმ სიყვარულით შევიყარენით, როგორიც ახალი ჯვარ დაწერ-ილები და ისეთივე ბედნიერები ვიყავით, როგორც პირველათა, მა-გრამ ჩემს დასასჯელად, ჩემს ეკატირინეს სენი დამართოდა მინამ

რიცხვი ეანგარიშათ და ეთქოთ: უთუოთ დღეს უნდა მოვიდესო. მაშინვე კალასკა შეებმევინებინათ, ჩემი რძალი მარი ივანოვნა და ჩემი ქალი კალასკით წამოსული-ყვნენ და ჩემი ძმები ცხენებით, სადაც ფონთხელის ფოშტაში დამხვდნენ, ისე რო-გორც გავიგონეთ აქა.

[1] იმ უბედურის მაიკოს ამბავი ცალკე მაქვს დაწერილი. როგორიც ღვთიური ქალი იყო, იქ წაიკითხება.

მე რუსეთიდგან მოვიდოდი ერთი წლის წინათ: ტაბასტა[1]. მიზეზი ვკითხე: რათამეთქი? –

– „მე ვაბრალებ ორს რასმეო. პირველად ამას, რომ უფროსი ერთი სულ ბატოიშვილს დედასთან ვიყავ განუშორებლათ და ფეხებ მოკეცილი ვიჯექ, რომელიც არც წამოვწვებოდი და არც დორზე მივესვენებოდი იმასთან. თუმცა ხშირათ წამოწოლას მიბძანებდა, მაგრამ მე არა ვშვრებოდი, უზდელობა იყო მე იმასთან წამოვწოლოდი, ამის გამო ბევრჯველ ასე დავიღალებოდი ფეხებ მოკეცილი ჯდომით, რომ გული დამისუსტდებოდა; ამას ბატოიშვილი დედა შემატყობდა, უკმაყოფილოდ მეტყოდა: ადეგ, კარზე მაინც გადი და ბალკონზე მიიარ–მოიარე, სიარული გარგებსო. მეც ავდგებოდი, სიარულს დავიწყებდი და რასაკვირველია მოძრაობა ჩემთვის კარგი იყო. მეორეც ეს, რომ შენი მოშორების მწუხარება მკლავდა და ამისთვის ეკლესიებში ბევრჯველ ბეხშიშველა დავიდოდი სალოცავათ, კიდევ გვენახა ერთმანეთი.“ ესენი ასე მიპასუხა.

ამაზედ თუმცა მოვეხვიე და ერთმანეთს ტკბილად ვაკოცეთ, მაგრამ შემდეგ მე ძალიან დავღონდი, მკითხა.

– „რაო, რისთვის დაღონდიო? –“

– „მე ქვით ჩასაქოლავი ვარ.“ ვუპასუხე.

– „რათა, ღმერთმა დაგიფაროს.“

მასუკან მე ჩემი ამბავები არა დავფარერა და ყველა წვრილად ვუანბე, ის ჩემი საძაგელი ქცევა და ის ჩემი სნეულობანი ორენბურღში. ბოლოს ვუთხარ.

– „აი თუ ქვით არა ვარ ჩასაქოლი ჩემო კატო.“

– „არა არა, ნუღარ მაგონებთ მაგას, შორს გზას იყავ და იმთენი ხანიც; მოსაგონი აღარ არის ეგ ანბები. ღმერთს მადლობა შევწიროთ, კიდევ მშვიდობით მოხველ და გვეღირსა ერთმანეთის ნახვა, ეს სჯობია ჩემო სიცოცხლეო.“ და ამასთან ერთმანეთსა გადავეხვიენით სიყვარულით, მაგრამ როგორც ზევითა ვთქვი, ის ტაბასტა ხშირათ ჰქონდა, ნამეტნავად ჩემი მოსვლის შემდეგ უფრო ხშირათ, ისე, რომ ველარ მივკარებოდი, თვითო ჩემი მიკარება უთუოთ ბუნებას მოუშლიდა და სდიოდა სისხლი, ხან ორი კვირა, ხან ოცი დღე და ორკვირაზედკი ნაკლები არ, ამის გამო ცალცალკე

[1] სისხლის მდინარება ბუნებიდგან.

ქვეშეგებში დავწექით, მაგრამ ერთმანეთზე მახლობლათა, ისე რომ ბოლოდროს სრულებით ვეღარ მივეკარე, იმის სიცოცხლე სჯობდა ჩემთვის, მინამ ერთი მინუტი სიამოვნე. ვუყურებდით ერთმანეთსა ცეცხლის თვალებითა და მიკარებაკი არ შეგვეძლო.

ვიყავით ამ ტანჯვაში უერთმანეთოს მიკარებით, თვრამეტი წელიწადი, 1840-ის წლიდგან, 1858-ს წლამდინ, ყოველს თვეს: ხან ორი კვირა იყო ავათ, ხან ოცი დღე და ერთხელ ოცდა თერთმეტი დღეც იყო ავად, რომელსაცა ჩემმა მოშორებამ მაინც ვერა უშველარა; ქ. ტფილისის გამოჩენილი დოხტურები დაიღალნენ იმის წამლობაზე, მაგრამ ვერა უშველეს რა და კიდევ იმ მდგომარეობით ჰქონდა ის სენი. თუ რომ მე არ მოვსწრებოდი, უთუოთ სოფელს გამოესალმებოდა საუკუნოდ, რომელიცა როდესაცკი ავათ გახდებოდა იმ სენითა ისა, მე მაშინ ჩემს თავს აღარ ვასვენებდი იმის მოვლით, არც დღე და აღარც ღამე. ის თავის სენით იტანჯებოდა, მე მწუხარებით იმას ისე რომ ვხედავდი, თორემ იმის მოვლით ჩემს ტანჯვას როგორ შევიმცნევდი? – ჩემი მოვლის ტანჯვა იმაზედა, რაღაც გულმოდგინეობითი ნუგეში იყო ხოლმე ჩემთვის, ოღონდ კიდევ კარგათ მენახა ის. მიყურებდა ამ ყოფაში მე ის და ძლიერად სწუხდა, მაგრამ შევეხვეწებოდი და შევევედრებოდი, რომ ჩემთვის ნუ მწუხარებს, შენის სიმრთელისათვის მე დაღალვა არ მამეკიდებამეთქი. ისეც იყო, იმის სენის დროსა: რამთენი დღე და ღამე გავიდოდა, რომ გვერდით ვუჯექ ქვეშაგებთან მოუსვენათ უძილოთა, რომელსაცა თან ხანდისხან მთვლემდა, თან ხანდისხან იმისი მცირედის მოძრაობით ჩემი გული ფეთდებოდა და ხან ცრემლით ღმერთსა ვევედრებოდი, როდისაცკი ეძინებოდა: კიდევ იმის სიცოცხლე დაებრუნებინა ჩემთვის. მიკვირდა და გაოცებული ვიყავი, რომ იმთენი ტაბასტის მდინარება ჰქონდა და საიდგან როგორ? – მაგრამ დოხტურები მარწმუნებდნენ: საჭმლისა და სასმლისა არისო. ამასთან დოხტურები არც სოფლათ გვიშლიდნენ წასვლას ეკიპაჟით და წავიდოდით კიდეც ხოლმე, მაგრამ რასაკვირველია გაფთხილებით და წყნარწყნარა დაგვყვანდა, ჩემი ეკატირინე არ დაენჯღრია, ასე რომ კახეთშიაც წავედით ეკლესიების სალოცვად, თვით დედი ჩე[მით].

ჩემი მოსვლის შემდეგ, გავიდა ორი წელიწადი, მე ამ დროში მოთმინებით ვიყავ დიახ წმინდათ. ბოლოს დამძლია ბუნებამ, სისხლის ძალა მამერია, *ისე რომ სისხლი თავში ამვარდა* რუსეთშიაც

დაჩვეული ვიყავ საძაგლობას და გულმა ჩქროლა დამიწყო, ვუთხარ ჩემს მცნობს რომელსამე დოხტურს კ... მირჩია დედაკაცთან ვისთანმე მისვლა, დავყევ იმის რჩევას, მაგრამ ვიფიქრე: სად წავიდე, ვისთან მეთქი? – შემდგომ მამაგონდა.

გვყვანდა ერთი გოგო სახლში მ... არც ულამაზო და არც მომატებული ლამაზი, იმას საიდუმლოთ გავეხმაურე, რაღა გავაგძელო, დამყვა და ამით ცოტა აგებულობა დამიმშვიდდა, მაგრამ სად ჩემი ცოლი და სად ვიღაც? – ჩემს ცოლთან სიყვარულით ვთრთოდით ორნივ და იმასთან ოღონდ ჩქარა ამესრულებინა, რომ ბუნება დამმშვიდებოდა. ჩემს ცოლთან სიხარულით იყო და იმასთან იმის შემდეგ, სვინიდისით ვიტანჯებოდი, ამასთან ერთს წელიწადს უკან შემიტყვეს და ვიღამაც ჩემს ეკატირინესაც შეატყობინა, რომელიცა წყენით ავათ გახდა და ძალიანაც იყო ავათ გონების არევითა, რომელიცა მე მაშინ შეჩვენებულს ვგვანდი, ასე გაწურვილი ვიყავ და ასე მეგონა: დედამიწა ჩამექცა და შიგ ჩავიღუპემეთქი. მეტი ღონე რაღა მქონდა, მე ეს ბატოიშვილს დედა ჩემს შევატყობინე.

– „ჩემი საძაგლობით არის თქვენი რძალი ავათმეთქი.“

და ვუანბე ყველა, მიბძანა გაჯავებით.

– „თავი ვეღარ დაიჭირე ვეღარ მოითმინე განა, მოკლე სულო? – ეხლავ ის გოგო გააყვანინე ჩემი სახლიდგან, აქ აღარ იყოსო.“ და მაშინვე გავაყვანინე, მაგრამ გული და სული მიდნებოდა აგებულობაში სირცხვილითა, რომელმაცა მაშინვე გამოჩენილი დოხტური დეპნერი მოვიწვიეთ, იმის შემწეობით და კარგი ყურადღების მოვლით, მშვიდობა მოუვლინა ღმერთმა. თუმცა ჩემი ამის შემცოდებისათვის, მე ჩემი ეკატირინე არას მეუბნებოდა და მითამ არც იმცნევდა, მაგრამ მეკი რიგიანად ვეღარ შამეხედა იმისთვისა და თვალს ვარიდებდი კარგა ხანი. ის იყო და ისა, რომ მე უცხო დედაკაცს აღარ მივკარებივარ, მაგრამ როდისაცკი მეტისმეტათ ბუნება დამძლევდა და მომატებული სისხლი მამერეოდა, როგორც უცოლობის დროსა ყმაწვილკაცობაში, კიდევ ისე ხელით შევიცდებოდი.

გავიდა ამთენი დრო, ჩვენს ამისთანას უსიამოვნობაში, ბოლო დროს როგორცა ვთქვი 1858-ს წელსა ამ წლის დამდეგს, შესწყდა და სამი თვე გავიდა, აღარ გამოაჩნდა თავის რიგი, მაშინ დოხტურებმა ნებაც მამცეს იმასთან ალერსისა. იმდროს მე და ჩემი კატინას

სიხარული განუსაზღვრებელი იყო, ჯერ ამისთვის, რომ ეკატირინე კარგათ შეიქნა და მასუკან ერთი სარეცელი გვეღირსებოდა თვრამეტის წლის მოშორებულთ. მაგრამ ხვალ ღამეს რომ ერთათ უნდა შევყრილიყავით, წინადღეს ვთქვით: ხვალ დილით აბანოში წავიდეთ და ხვალ ღამესა ერთი სარეცელი ვიქონიოთო. ჩემი კატირინა წავიდა, სწორეთ საბანებლათ და მე წაველ მითამ ჩემი ცოდვის გასაბანათ, თუ ამითი გამებანებოდა? – რაღა გავაგძელო, დანარჩენი საგრძნობია! .....

აი, ყოველი ჩემი ცოდვის საქციელი ესენია, ჩემგნით აღთქმული: აღვწერმეთქი.

თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი.
3-ს სეკტენბერს 1869-სა წელსა. ქ. ტფილისს.

უთარიღოები

ჩემი მშობლები

შააბაზის ყორჩიბაშმა (ქართული სახელი ვახტანგ) რომ შეიტყო ყაფლანის ბედნიერება და იმისი ბევრი შვილიერება, წიგნი მოსწერა და ერთ-ერთი იმისი შვილი დაიბარა თავისთან გასაზდელათ. ყაფლანმა თავისი მესამე შვილი, ორბელ გაუგზავნა, რომელმაცა ქართულს და სპარსულს გვარზე კარგათ გაზარდა და გამოსტუმრების დროს დიდი ფული გამოატანა ორბელს და თავის ძმისწულს ყაფლანს მოსწერა ჯერ ორბელის დიდი ქება და მასკვან: „თუმცა მაჰმადიანი ვარ, მაგრამ მაინც ჩემი გული ქრისტიანობაზე არ შემცვლია. გარდა ამისა, რაერთი ფულიც ორბელს გამოვატანე, გთხოვ მაგ ფულით ფიტარეთის პატარა ეკლესია გაავრცელებინო და ყოვლის მშვენიერებით შეამკო. ესეც რომა, მაგ ორბელს ჩემი სახელი უწოდე (ესე იგი ვახტანგ)[1]. ჩემი სახელი თქვენს სახლში დარჩეს, რომ თქვენი სახლის მომავალნი მომიგონებდნენ და განსვენებას მეტყოდენ“.

მართალია, ფიტარეთის ეკლესიის გავრცელებისათვის მოუვიდა ფული, მარამ ყაფლანმა ხულუტის ციხე ააშენა გაჭირებისათვის. კიდევ ეშინოდა. როდისაც ეს ამბავი შეიტყო ყიზილბაშის ხელმწიფის ყორჩიბაშმა (ვახტანგმა), მეორეთ უფრო ბევრი ფული გამოუგზავნა, რომელმაცა ამით გაავრცელა და ზედ დიდი გუმბათი დაადგა და დასდეს სახელი ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესია, სადაც ყაფლანის მომავალი შვილიშვილები იმარხებოდენ, ესე იგი ჯამბაკურიანნი ორბელიანნი სომხითის აოხრებამდისინ და შემდგომ ქ. ტფილისის სიონთა ღვთისმშობლის ეკლესიაში დაიმარხებოდენ და ამ ოცის წლის წინათ და მერე რუსებმა აგვიკრძალეს. ამის გამო სხვადასხვა ადგილებში იმარხებიან და აღარა გვაქვს სასაფლაო, რომ ვითარცა ერთის თესლიდგან მოვდივართ, ისევ *ვიმიწებოდეთ და ვიკრიბებოდეთ*, ერთს ადგილას გროვდებოდეს ჩვენი ძვლები და ერთათ იმიწებოდენ, მგონია, კარგი იქნება? მაგრამ ახლა სხვა ჭკუა არის და სხვა განათლება, თორემ ჩვენი ძველი სასაფლაოს ეკლესია ისევ ისე დგას შეურყევლად და გარშემო მაღალი ტყე ახვევია და ძველადგანვე გაოხრებული ისევ ისე უწ-

[1] ჩვენის ოჯახის წიგნებში ზოგში ორბელად არის წოდებული და ზოგში ვახტანგად. მის გამო ჩვენს ოჯახში ვახტანგის სახელი ამ მიზეზით დარჩომილა.

მინდურად არის, რომ უცხო კაცმა ნახოს, ასე ეგონება, პატრონი აღარა ჰყავსო.

ახლა ყაფლანს მივხედოთ და მისი სახლისა ვთქოთ რამე. საქართველოს მეფემ ნახა, ძლიერი ნათესავები ჰყვანდა ყიზილბასში, ამისთვის დაიმეგობრა. ნამეტნავად ხუთი ვაჟკაცი შვილები რომ მოესწრა, ამან უფრო დაამეგობრა და ყაფლანის ასული როდამ ცოლათაც შეირთო შანაოზ მეფემ.

ჩემნი მშობელნი

სწორე შეტყობისათვის უფრო აქედან დავიწყობ: დიდ ყმისა და მამულის მფლობელს თავადს ყაფლანს ჯამბაკურიან ორბელიანს ჰყვანდა ხუთნი ძენი, (როგორც წარსულში ვთქვი): პაპუნა, *მაგრამ უძეოთ ამოწყდა*, ასლან, ორბელ (შემდგომ ვახტანგად წოდებული), თამაზ და გიორგი. პაპუნა უძეოდ ამოწყდა.

გარეთუბანს მტკვრის პირთან *ახლა* რომ დგანან ჯ. ორბელიანები, ასლანის ჩამომავალნი არიან. ორბელის ჩამომავალნი ვართ ჩვენ, სამნი ძმები. თამაზის ჩამომავალნი არიან: ღენერალ მაიორი თავადი დიმიტრი, იმისი ორნი ძმანი და ერთი კიდევ სხვა სახლობა და გიორგის ჩამომავლობა ორი ქალის მეტი აღარავინ აღარ არის.[1] მაგრამ ეს კი შესანიშნავია, ქრისტეს უწინარესად რომ მოსულან ჩვენი წინაპარნი კიტაიიდგან ივერიაში, იქიდგან აქამომდე ჩინებული კაცნი გამოსულან ჩვენ გვარში და ახლაც ვხედავთ, რომელთაცა თავისი სახელოვანი ძველი გვარი უდიდებიათ მარადის, ყველგან განთქმულნი ყოფილან და ახლაცა სახელოვნებენ იმათ შვილები.

რადგანაც ჩემი მშობლების ამბავსა, *მოთხრობას* ვწერ, ამისთვის იმასვე მოვყვეთ და ჩვენი გვარის ამბავი ისტორიას დავანებოთ, მხოლოდ ამას *ცოტას სასიამოვნოს ამბავსა* კი ვიტყვი კიდევ, ვიცი არავის არ ეწყინება წასაკითხავად.

ჩვენის სახლის ორბელს ჰყვანდა ძე ვახუშტი,[2] *და ამის უძეო ძმანი* და ამ ვახუშტის ჰყვანდა ძე ელიზბარ[3] (ქართლის მეფის ეშკაღაბაში). როდისაც სახელგანთქმული ნადირშა ერევანში იმყოფებოდა, ამ დროს ამბავი მოუვიდა: ოსმალოში მიმავალი ყიზილბაშის ქარავანი საქართველოს სამზღვარში რომ შემოსულა, ქართველების ჯარი დასხმია და სრულიად წაუხდენიათ.

მრისხანემ, ელიზბარ ეშკაღაბაში *ფიცხათ* მიაყვანინა ქაიხოსრო სარდლის დაბეზღებით და თავის თვალწინ გაუკითხავად მოაშთობინა. „შენ საქართველოს ეშკაღაბაში ხარ, სწორეთ შევიტყე, რომ ნამდვილად შენ წაგიხდენინებია ყიზილბაშის ქარავანიო“. ამასთა-

---

[1] ერთი ჰყავს ჩემს ძმას დიმიტრის და მეორე, – რუსის ჩინოვნიკსა ბეზაკს, რომელიც რომ არის დიდი კაცი.

[2] ამ ვახუშტის სხვა ძმებიცა ჰყვანდა.

[3] ელიზბარსაც ჰყვანდა რამთენიმე ძმა.

ნავე განრისხებულმა *ნადირშამ* ოთხი-*ხუთი* ათასი ყიზილბაში გამოუსია ტანძიაში. *სადაც იდგნენ ორბელიანები, მაგრამ მეორე სადგომი სასახლე დმანისშიაც ჰქონიათ.* ელიზბარ ეშკაღაბაშის განძლიერებული და მდიდარი სახლი სრულიად აიკლეს სპარსელებმა, რომ ერთი აბაზისა აღარა გაუშვეს რა სახლში. საწყალმა ელიზბარის ცოლმა ელენემ, *კაცს ერთი შვილის მეტი არა ჰყოლია,* თავისი ოთხი თუ ხუთი წლის შვილი დიმიტრი გამოიტაცა თავის ხელით, ეს მაინც არ მამიკლანო და ოთხი მოსამსახურითა ხრამში[1] გადავარდა და ამით მოირჩინა, *დაიფარა* თავიანთი სიცოცხლე, თორემ იმათაც სიკვდილს უპირებდნენ. ამის მნახველი ორბელიანები სრულიად აიყარნენ სომხითიდგან და *მგლოვიარენი* ქ. ტფილისში ჩამოვიდნენ, სადაც მას აქეთ დგანან, მაგრამ იმათი აყრილობით მთელი სომხითი წახდა ამისათვის, რომ ჯერ დიდი კაცნი იყვნენ და ძლიერნი საქართველოში, მასუკან ისე გულშემატკივარი აღარავინ აღარ ჰყვანდა სომხითს, ამიტომ ლეკებმა თამაშობა დაიწყეს და სომხითი ააოხრეს.[2]

---

[1] ხრამი არის ხეობა და დიახ მაგარი ადგილი, ტანძიაზედ მოახლოვოდ. ამ ხეობას სწორე სახელი ქციის ხეობა ჰქვიან და ხრამი თათრული სიტყვა არის.

[2] ზევით რომ ვთქვი ქაიხოსრო სარდალმა დააბეზღა ელიზბარ ეშკაღაბაში მეთქი, ამის ქვემოთ წავიკითხოთ:

რა გაეწყობა კაცის შურსა.

ქაიხოსრო სარდალი მეტი ხარბი ყოფილა ყოვლის შემატებისა, ამისათვის ჯერ ამას ვიტყვი, რომ თავის ცოლის ძმა თ˜ა ზურაბიშვილი დააჭერინა და ხაროში ჩააგდებინა – „სოფელი ქვეში მამყიდეო“. – იძულებულქმნილმა მიჰყიდა. მეორე, იმათი სახლის შვილის სამარაღდო ორბელიანისაგან გამიგონია: – მეტი დაუნდობელი და ფურსავანგი კაცი ყოფილა ქაიხოსრო სარდალიო. მესამე, ყარახაჩის მთაზე ყიზილბაშის ქარავანი რომ წაუხდენიათ, იმათი წამხდენი ყოფილან ყმაწვილი კაცები, ბარათაშვილები. ამ დროს ქაიხოსრო სარდალი იქ ხლებია ერევანში ნადირშასა, რომელსაცა უკითხამს: „იმ ქარავანს ვინ წაახდენდაო“. მოუხსენებია შეუკდიმად: – „ელიზბარ ეშკაღაბაშიო“. საჩქაროთ მიუყვანინებია და ქაიხოსრო სარდლის თანდასწრებით, თავის თვალწინ თოკით დაუხრჩობინებია, როდისაც ახრჩობდნენ (თავის ბიძაშვილი, ანუ ცოტა შორს ნათესავი) ზაალ ყაფლანიშვილი გვერდით დგომია ქაიხოსრო სარდალს. და ამ ყმაწვილ კაცსა ვედრებით უთქომს: „ქაიხოსრო სარდალო, ვერა ხედავ უსამართლოდ ძმას გვიხრჩობენ, თქვენი ვალია, წადეგით, მოახსენეთ ვინც არიან ქარავნის წამხდენნი და ჩვენი სახლის ძმა გამოიხსენით“. აი, ქაიხოსრო სარდლის პასუხი: „გიჟი ყოფილხარ, ეგ რომ უთხრა, მაგისთანა მრისხანე კაცი ჩვენც დაგვახრჩობს“. მეოთხე, ელიზბარ ეშკაღაბაშის დახრჩობის შემდეგ, არ ვიცი სვინდისსა შეუწუხებია ქაიხოსრო სარდალი, თუ თავის თავის გამართლება სდომია. ელიზბარ ეშკაღაბაშის დაბეზღებას თვითონ არ იბრალებს, მაგრამ ასეთი უმზგავსო სიტყვებით აღუწერია ელიზბარ ეშკაღაბაში ქაღალდზედა და ასეთი ცილის დაწამების საბუთებით დაუმტკიცებია, ვითომ ტყვის მყიდველი იყო ქართველებისა და უფრო კიდევ ამაზე მომატებულები, რომ უცხო კაცი უთუოდ დაიჯერებს, რო-

ელენე თავის პატარა შვილითა და ოთხის მოსამსახურითა *დაუყოვნად* წავიდა და *საჩქაროთ* იმერეთში გადავიდა თავის დედას ხვარამზესთან,[1] რადგანაც იმერეთში მაშინ აღრეულობა იყო ოსმალოელებისაგან, ამისათვის რუსეთში *გადასულიყო*. წავიდა და თავის ბიძას მეფე ვახტანგს შეეხიზნა, *მახლობლობის (ნათესაობის) გამო სახლეულობამ დიახ კარგად მიიღო*, რომელმაცა მეფის ვახტანგის სახლეულობაში აღზარდა თავისი პატარა შვილი, არა ევროპიულს გვარზე, არამედ ძველ ქართველურადვე.

როდესაც მეფის ირაკლის სახელოვნებამ გამოიჩინა თავი, და ელენეს[2] ყურამდისინაც მიახწია, მაშინვე თავისი შვილით გამოისწრაფა და თავის მამულს მომართა, მაგრამ ლეკებისაგან აოხრებული დახვდა. მეფე ირაკლიმ კარგათ მიიღო ელენე. იმისი შვილი

მელიცა შვილსავით უვლიდა, უფრთხილდებოდა სომხითს და რომელიცა ელიზბარ ეშკაღაბაშის შემდეგ კიდეც წამხდარა სომხითი. ასე რომ, განრისხებულს ნადირშასა პირიქით ყარახაჩისა, სრულიად ყაიყულები და პირაქეთ ტაშირზედ რამოდენიმე შენობა აუყრევინებია გაჯავრებულს: ყიზილბაშის ქარავანი რათ წაახდინესო და ყიზილბაშში გადაუსახლებია. რაც შენობა დარჩომილა სომხითში, ნეტავი იმისთვის მაინც მოევლო ქაიხოსრო სარდალს, ის დანარჩენი იმის სიცოცხლეშივე წაუხდენიათ ლეკებს და სრულიად გაუოხრებიათ. ერთხელ მე და იმათი სახლის შვილი ასლან ორბელიანი მთაზედ ვიყავით თავად ლუარსაბ სუმბათოვის დროსა; წახდენილ ყაიყულებს რომ გადახედა, უეცრათ დაიძახა: „ტაშირისა და ამ ყაიყულების წახდენა ქაიხოსრო სარდალმა შეგვმატა, ბოლოს სომხითიც ზედ დაედო“. მე მაშინვე მივხვდი, რაზედაც ამბობდა. მე აღარა ვკითხე რა და იმ პატიოსანმა და პატივცემულმა მოხუცებულმაც აღარა თქო რა, მხოლოდ რამდენჯერმე თავი გაიქნია მწუხარების სახით და მძიმე ამოოხვრით ჩვენს სომხითს თვალი გადაავლო. და მეხუთე, ქაიხოსრო სარდალს აუშენებია ქაღალდზე, ვითომ სახლის უფროსობა იმათ სახლსა ჰქონიყოთ, ამისთვის რაც შენათ დარჩომილა ყმა და მამული, იმისი შემოსავალი, ორი წილი ქაიხოსრო სარდლისა უნდა ყოფილიყო და სამი წილი შემდეგი სამი სახლისა, ამას მეფე თეიმურაზ, მეფე ირაკლი მეორე და ანტონი ქათალიკოზიც უმტკიცებენ. შიშის გამოისობით სამი სახლის კაცებიც უმტკიცებენ მეფეებისაგან იმ დამტკიცებულს წერილსა, მაშინ, როდესაც, რომ მეფე ვახტანგ გასული იყო საქართველოდან და რუსეთში იმყოფებოდა და, რასაკვირველია, ქაიხოსრო სარდალი მაშინ საჭირო იქნებოდა თეიმურაზ მეფისათვის, მაგრამ ქაიხოსრო სარდლის შემდეგ იმის შვილებს და შემდგომებსა სამსა სახლსა აღარ შეუწყნარებიათ ქაიხოსრო სარდლისაგან გაკეთებული წიგნი და ოთხ თანასწორ წილადვე დაუდვიათ ყოველი მამაპაპური მამული გასაყოფათ. მე გაკვირვებული ვარ, ამ რუსების სასამართლოში რაღათ დაუმტკიცებინებიათ ის ქაიხოსრო სარდლის გაკეთებული წერილი ახლანდელს იმათ შვილებს, რომელიცა გაბათილებული არის?

[1] ეს ხვარამზე მეფის ვახტანგის და იყო და თავადს ჩიჯავაძეს ჰყავდა ცოლად იმერეთში.

[2] ელენე და მეფე ირაკლი ახლო ნათესავები იყვნენ ერთმანეთისა. მეფის ვახტანგის ქალის (თამარის) შვილი მეფე ირაკლი იყო, მეფის ვახტანგისავე დისწული, – ელენე, რომლისაცა ზევით ითქვა იმისი სახელი.

დიმიტრი ჯერ თავის ამალაში შერიცხა და ბოლოს თავის შვილს ლევანს მისცა, რომელთანაც ჩინებულ ვაჟკაცათ გამოჩნდა ყოველს ომში და რომელსაცა დიდათაცა სწყალობდა ბატოიშვილი ლევან *პაპაჩემს დიმიტრისა.*

ერთს დროს ძლიერი ლეკის ჯარი ჩამოვიდა საგურამოში, სადაც უეცარის ელვასავით გამოუკრთა ლევან ბატოიშვილი თავისი გამოჩენილის ამალითა და მთიულეთის ჯარითა. ლეკებმა სიმაგრე მოიმზადეს და შეუპოვრად ჩაუსხდნენ შიგა. ეკვეთნენ ქართველები, მაგრამ ვერ დააგდებინეს სიმაგრე. ლევან ბატოიშვილმა ლეკების გამაგრება რომ ნახა, პაპაჩემს დიმიტრის მოუწოდა და უბძანა: – „ხუთასის მთიულეთის მეომრებით მიდი *პირდაპირ*, როგორათაც შენის ვაჟკაცობისაგან ვიცოდე. ზურგი არ უჩვენო. მოიმედეც ვიქნები, მალე გადალახავ მტერსა და ჩემთანაც მალე მოხვალ გამარჯვებული“. ამის გამგონემ სიამოვნით თავი დაუკრა. რომელიცა სიხარულით ხმალმოსმული მიუძღვა მთიულეთის ჯარსა. *ასე წამსვე* დაუყოვნათ დაამარცხეს ლეკის ჯარი. იმ დღეს არავინ არ დარჩა ტყვის უშოვარი, არა მთიული და არა ქართველი. ომი რომ გადაწყდა, პაპაჩემი დიმიტრი გამარჯვებული გამობრუნდა, ერთს დაჭრილს ლეკს წაადგა, ჯაგის ძირში მჯდომარეს, *შეჩვენებულმა* რომელმაცა მომზადებული თოფი ჰკრა გულში უეცრათა და იქვე გადააქცია სასიკვდინოთ *ყოვლისფრით კარგი ვაჟკაცი პაპაჩემი.*

ლევან ბატოიშვილმა ერთიმეორეზედ გაუგზავნა მოსამსახურეები. „დიმიტრი ყაფლანიშვილი მომგვარეთ და ჩქარა მომგვარეთ“. ასე მოუთმენლად ელოდა. ნაცვლად სიხარულისა, დაღონებული კაცი მიუვიდა. ყოველი განუცხადა და ამასთან მოახსენა: „დიმიტრი ყაფლანიშვილი[1] დიდი ვედრებითა გთხოვსთ, მობძანდეთ და მისი უკანასკნელი სიტყვა მოიხსენოთ. ასე *თურმე* შეწუხდა *ლევან ბატოიშვილი, რომ* გული ვეღარ შეიმაგრა და *მწარეს* ტირილით მიბძანდა. თუმცა ბატოიშვილმა ნუგეში სცა, მაგრამ უკანასკნელს ჟამში მყოფმა მოახსენა: – არა, ჩემო ხემწიფევ, მე კაცი ვარ, სიკვდილის მოვალე, რომელსაც ვაძლევთ თავის ვალსა. გევედრებით ნუ, *ნურც თქვენ* შეწუხდებით.

[1] ამ პაპიჩემის დიმიტრის ლექსები მაქვს თავის ხელით დაწერილი თავის საყვარლის ცოლის ეშხზედა.

მამიჩემის მოსამსახურეები

მინამ მამაჩემს მოჰკლავდნენ კახეთში (1812-ს) მანამდისინ იმას კიდევ ჰყუანდა თორმეტი მოსამსახურე: ერთი ბერელა, იმასთან თან შეზდილი დასხუანი თითქმის მამიჩემისაგან დაზდილები... ეს მოსამსახურენი იყვნენ უცხოთ ჩაცმულები უცხო ლეკურის ნაბ-დებითა, რომლებსაცა ყუელას თვითეული კარგი ცხენი ჰყუანდათ თავის კარგი შესაფერის გაწყობილობითა და თოფ იარაღი ხომ საუკეთესო ჰქონდათიმათ. ვაჟკაცობითაც მართლა კარგნი იყვნენ და არც გამოცდილება აკლდათ ჯარსა ომიანობაში, რომლებიცა შეწირულნი იყვნენ ერთგულობით ბატონისა ესე იგი მამაჩემისა და გაზდილობითაც მოთავაზენი კარგნი ზდილნიც იყვნენ.

ისინი იყვნენ კარგნი მოსამსახურენი სახლში, რაც მაშინდელს დროს შეეფერებოდა ყუელა კარგათ იცოდნენ სამსახური და იმათ-შიუფროსი ერთმა წიგნი წერაც კარგათ იცოდა. ამის გარდა, ისინი იყვნენ მაშინდელს გუარზედ კარგი მზარეულები, კარგი დალაქე-ბი, კარგი მეჯინიბენი, კარგი ნალბანდები, კარგი ბათლები და ერთი სიტყვით ყოველი სამსახური, შინ თუ გარეთ ყუელა კარგათ იცოდნენ, რომ როდისაც ვის როგორ რა დაშჭირდებოდა, სულ უნდა სცოდნოდა, მაგრამ ეს კი უნდა ვთქუათ, რომ მამაჩემსა მზა-რეულიც ცალკე ჰყუანდა, მეჯინიბეებიც ცალკე და ყოველი სამ-სახურისა მოსამსახურენი ცალკე. მხოლოდ მოვალეობას ვანბობ, ყოველი მოსამსახურე მოვალე იყო, ყოველი სამსახური სცოდნო-და ვინიცობისათვის, რომ ყოველს შემთხვევაში მოეხმარა. რადგან მაშინ სულ ჯარიანობაში იყვნენ, ამისთვის ვინ რომელი მოსამ-სახურე გაჰყვებოდა ბატონს, ეს საჩქაროთ იყო ხოლმე და ამიტომ ყოველს მოსამსახურეს ყოველი სამსახური უნდა სცოდნოდა, რომ იმითი ემსახურა ბატონისთვის ანუ თვითონ თავის თავისათვის, თუ ოდესმე მარტო შეხვდებოდა. არამცთუ სათაკილოდ მიაჩნდათ იმთენი სამსახურის ცოდნა მაშინდელსა მოსამსახურებსა – დიდ სახელათ ჰქონდათ და არაფრისთანას სამსახურსაც არასდროს არ ითაკილებდნენ რაც რომ უნდა ყოფილიყო, როგორც ეხლა ლაქიებ-სა სათაკილოთ აქუთ სხვა რამ სამსახური, თუ არ მხოლოდ თავისი მხვედრი.

ეს მოსამსახურეები სულ ცოლშვილიანები იყვნენ; ზოგიერთსა სოფლებში ჰყუანდათ ცოლები, რომლებსაცა თვეში ერთხელ თუ

ორ თვეში ერთხელ დაითხოვდა ბატონი, იქ ცოტახანს იქნებოდნენ და ისევ ბატონთან ჩამოვიდოდნენ. ზოგნი კი ქ. ტფილისში იყვნენ დასახლებულები, რომლებიცა ღამე შინ მიდიოდნენ და დილაზე ადრიან, ისევ ბატონის კარზედ იყვნენ ხოლმე. მოახლენი კი სულ შინ იყვნენ, ყველანი თავთავის სამსახურზედ იდგნენ და თუ რომელიმე მოახლე მოინდომებდა გათხოვებას, ვერ დაუჭერდნენ, კარგი მზითვით უნდა გაეთხოვებინათ და უთუოთ უნდა გასულიყო კიდეც, შინ აღარ შეინახამდნენ, მაგრამ ზოგი ერთნი ბატონის სახლში დაბერებას ირჩევდნენ, რომ იმათის ხელით დავიმარხნეთო.

ესენი სულ არამც მარტო ჩვენს სახლში იყო ხოლმე, არამედ ყოველს საქართველოს კარგ სახლებში ასე იყო და ჩვეულებად ჰქონდათ ყოველს სახლსა ესენი და იმათ კერძობასაც ასე.

თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

ჩემი სახლის წინაპარნი

უკანასკნელის ჩუენის ყაფლანიდგან მოვყუები, რადგან კიდევ იმისგან წამოვიდა ჩუენი ოთხი სახლის შვილები. ყაფლანს ჰყუანდა ხუთი ძე: პაპუნა (უშვილოთ ამოწყდა), ასლან, ორბელ, თამაზ და გიორგი. ასლანის მომავალი შვილები დღესაც არიან. მეორე ძმის ორბელისანი ანუ ვახტანგისაგანა[1] ვართ სამნი ძმანი ჩუენა: ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ. თამაზისა კიდევ სამნი ძმანი და გიორგისა ორი ქალი. ერთი ჰყავს ჩემს ძმას დიმიტრის (მარია ივანოვნა) და მეორე ამის ბიძაშვილი რუსსა, გვარად ბეზაკს. რადგან ჩემი სახლის ამბავსა ვწერ, ამისთვის სხუებისას არას ვიტყვი, იმათ შვილებსაც შეუძლიანთ ესა, თუ მოიწადინონ, იმათაც აღწერონ თავიანთი წინაპართა ამბავი. ჩუენ ყუელასათვის კარგი უნდა იყოს, სასიამოვნო.

ჩუენი სახლის წინაპარსა ორბელს ჰყუანდა ძენი რუანი. სულხან (ბოლოს საბა ორბელიანი), ვახუშტი, ერასტი და სხუანი.

ვახუშტი დიდ მეფეს გიორგისთან მოკვდა სპარსეთს ყანდაარის ქალაქში, რომელსაცა აცხადებს შანაოზ მეფის სამძიმრის ორი წიგნი, ერასტისთან მოწერილი, დიახ, გულმტკივნეული და მეორე ეგრეთივე წიგნი, ამისგან [ძაძ...] ების გამოსაცვლელს ტანისამოსს უგზავნის ერასტისა.

სახლისშვილები ჩუენი ესენი იყუნენ, ქართლის მეფის სახლის ნათესავნი, რომელთაცა დიდი ხმა ჰქონიათ მეფის სახლში და ქართლშიაც.

სპარსეთიდგან რომ მოსულა მეფე ვახტანგ ქართლში, მაშინვე ლუარსაბ სარდალი, მუხრანის ბატონი და ერისთავი დაუჭერია, რომლებისათვისაც ნდომია სამთავე თავი დააყრევინოს, მაგრამ ჩუენი სახლის შვილი ერასტი[2] თავის ძმებით მისულან რუსუდან

---

[1] ეს ორბელი სპარსეთში გაუზდია გათათრებულს ყაფლანის ბიძას, ყორი იასაულთ ბაშს, შააბაზის მხლებელს, ამას რქმევია ვახტანგ და როდისაც ეს ორბელ გამოუგზავნია თავის ძმისწულის ყაფლანისათვის, ამასთან მოუწერია: ორბელ უცხო შვილი არის, კარგათ გავზარდე და გთხოვ ჩემი ნათლობის სახელი ჩემ სახსოვრათ დაარქო – ვახტანგ. ჩვენი სახლეულობის ზოგიერთ წიგნში სწერია ორბელათ და ზოგიერთში ვახტანგათ.

[2] ეს ერასტი ყოფილა ქართლის მეფის დიდი დიანბეგი. ამის დროსა შემოსულან ოსმალონი საქართუელოში, რომლისათვის ჩაუბარებიათ სრულიად სომხითი და იქითი მხარე სულერთიან, მაგრამ ოსმალებისაგან მეტად შეიწროვებულა საქართუელო.

დედოფალთან, მუხლებზე მოხვევიან ცრემლით და იმისი შემწეობით თავიანთი ბიძაშვილი ლუარსაბ სარდალი (ასლანიშვილი) გამოუხსნიათ და განუთავისუფლებია მეფეს ვახტანგს, რომელსაცა აცხადებს ლუარსაბ სარდლის წიგნი ერასტი დიანბეგთან მოწერილი: *სადაც ბიძად უწოდებს იმ წიგნში მეტი პატივისცემის გამო, მაგრამ ბიძაშვილები კი იყვნენ.* „ბიძაჩემო ერასტი[1] დიანბეგო, ასეთი საქმე *ჰქმენით ჩემზე*, მიყავით, ღვთის მეტი მაგიერს ვერავინ გადაგიხდისთ, რომ სიკვდილისაგან გამომიხსენით“, მაგრამ მუხრანისბატონი და ერისთავი კი დაუსაჯავს. იმათთვის თავები დაუყრევინებია.

ჩუენი სახლის შვილს ვახუშტისა ჰყუანდა ძენი: ელიზბარ, ვახტანგ და სხუა. ამ ელიზბარს ჰყუანდა ცოლი, მეფის ვახტანგის დისწული, ხუარამზეს[2] ქალი ელენე, რომელიცა იყო ელიზბარი, ქართლის მეფის ეშკაღაბაში.

ერთს დღეს ოსმალოთა დაუჭერიათ ერასტი დიანბეგის ბიძაშვილი მანუჩარ, უნაგირი დაუდგამთ, ლაგამი ამოუდვიათ პირში, ზედ ოსმალო შეუსომთ და ისე ურბენინებიათ, რომელსაცა ამის მწუხარებისათვის ვეღარ გაუძლია ჯავრით დასნეულებულ ერასტი დიანბეგსა და ერთს წელიწადზე მომკვდარა *სნეულად ჩავარდნილი ჯავრისაგან.*

[1] მეტის პატივისცემით, ბიძას თურმე უძახოდა ერასტის ლუარსაბ სარდალი, თორემ ბიძაშვილები იყვნენ.

[2] ეს ხუარამზე ჰყუანდა იმერეთის პირველს თავადს ჩიჯავაძეს.

მხოლოდ ჩემი სახლის წინაპარნი

რაც შევიძელ, მოკლეთ აღვწერე ამათი ამბავი. ჩვენი დიდი პაპის ყაფლანიდგან დავიწყობ, რომლებთაცა შორის, უწინდელს ძველს კაცებში ცხადი იყო ამ ყაფლანის ამბავი: ბარათაანთ როგორ ამოწყვიტეს ამ ყაფლანის მამის სახლეულობა, ყმაწვილი ყაფლან თავისმა ლალამ როგორ მოიტაცა, ყაფლანის მამის მეგობარს არღუთაშვილთან სანაინში როგორ მიიყვანა, იმან სპარსეთში როგორ გაისტუმრა ყაფლანის ოთხ ბიძებთან, რომლებიცა დიდიკაცნი იყვნენ შააბაზის კარზე.[1] იმათის შემწეობით შააბაზმა ჯარები როგორ გამოატანა ერთერთს იმათ, რომელმაცა ყაფლანც თან წამოიყვანა, მარაბდის ომში მეფე თეიმურაზ პირველი და ქართველები როგორ დაამარცხეს სპარსელებმა,[2] ბარათა ბარათაშვილი[3] როგორ მოკლეს სპარსელებმა თაფარავანის ტბასთან, სადაც ყაფლანიც იქ ყოფილა, ყაფლანს ხელმეორეთ როგორ დაუმკვიდრა თავისი ყმა და მამული თავის ბიძამ. ესენი სულ ცხადი იყო უწინდელს კაცებში. ამ ყაფლანს ჰყვანდა ხუთი ძე: პირველი პაპუნა (ეს უშვილოთ ამოწყდა), მეორე ასლან, ამისი მომავალნი დღესაც არიან და იმათ უწოდებენ დღესაც სარდლის შვილებს, რადგან ამ ასლანის შვილსა და შვილის შვილებს სულ სარდლობა ჰქონიათ, უკანასკნელს მეფე გიორგამდინ. მესამე ორბელ ანუ ვახტანგი,[4] მეოთხე სარდალი თამაზ და ამის სახლის მომავალნი და მეხუთე გიორგი, ამის სახლის მომავალთანა ახლანდელს დროში მხოლოდ ორი ქალი დარჩათ, ერთი ჩემ ძმას

---

[1] ჩვენს ძველს წერილში ასე სწერია ამათი სახელები: ყაფლანის მამა იყო ელიზბარ, ელიზბარის უფროსი ძმა იყო ასლამაზ, იმისი ოთხი შვილი ყეენმა წაიყვანა. უფროსი ოთარხან ყანდაარის ბეგლარბეგი იყო, რომელმაცა ინდოეთის ხელმწიფე გააქცია, მასუკან შააბაზ ზილფიყარან დაარქვა. მეორე იყო ვახუშტიხან, მესამე გორჯასპი და მეოთხე ქაიხოსროვ მიმბაში იყო.

[2] ამ ომის ამბავი არჩილიანში არის აღწერილი ლექსათ.

[3] ქართლის ცხოვრებაში არის იმის სიკვდილის ამბავი.

[4] შემდგომ ყაფლანის ბიძას, მგონია მეოთხეს იმის შვილს, მოუწერია ყაფლანისთვის: შენი ერთ-ერთი შვილი გამომიგზავნე, კარგათ გაგიზდიო. იმასაც ყმაწვილი ორბელ გაუგზავნია, რომელსაცა სპარსების რიგზე კარგათ გაუზდია და ქართულათ ხომ, რასაკვირველია – შემდგომ ამისა, ისევ გამოუგზავნია და იმასთან მოუწერია: რადგან ჩემი ნათლობის სახელი ვახტანგ არის, ამისთვის ჩემ სახსომრათ მაგ ორბელს ვახტანგ *დაუძახეთ* დაარქვით და თქვენს სახლში ნუ გასწყვეტთ ამ სახელს ჩემს სახსომრათაო. ჩვენი სახლის ძველს წიგნებში, ზოგიერთში ორბელათ არის ნათქვამი ის და ზოგში ვახტანგათ. ჩვენს სახლში ეს სახელი დარჩენილა. პაპიჩემის მამის ძმასაც რქმევია, მამაჩემსაც ერქვა და ჩემს უნცროს ძმასაც ეს სახელი ჰქვიან.

დიმიტრისა ჰყავს ლუარსაბის ქალი და მარია ივანოვნას უძახიან რუსულათ და მეორე ამის ბიძაშვილი სოფიო ჰყავს რუსსა ბეზაკს. ამ ჩვენი სახლის შვილს ვახტანგსა ესე იგი ყაფლანის ძეს ორბელს, ანუ ამ ვახტანგს ჰყვანდა რვა ძე: სულხან ბოლოს საბა, ვახუშტი, ერასტი და სხვანი... გაფრანგებული სულხან-საბა ორბელიანის საქმე ცხადია და იმისი მწერლობა. ამისი ძმა ვახუშტი[1] დიდ მეფე გიორგისთან სპარსეთს, ყანდაარში მოკვდა, რომელიცა იმის სიკვდილზე სამძიმარსა სწერს იმის ძმას ერასტი დიამბეგს მეფე შანაოზ (ვახტანგი) და ის სამძიმარი დიდი გულმტკივნეული სამძიმარი არის, ასეთი რომ თითქმის იმათი მეფობის სახლის ...

[სულხან ყოფილი საბა]

სულხან ყოფილი საბა, ბოქაულთუხუცესი ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ზაალ, ნიკოლოზ, ზურაბ და დიმიტრი.

1. მეფე ვახტანგ რუსეთიდან რომ სწერს ელიზბარს *ეშკაღაბაშს* და იმის ძმას ვახტანგს, წყალობის წიგნს, იქიდგან გამოვკრიბე ეს:

მეფე ვახტანგმა ცოლ-შვილებითურთ ესე გამოსადეგი წიგნი გიბოძეთ სახლთხუცეს ელიზბარს და ძმასა შენსა ვახტანგს, ასე რომ *ძველთაგანც დიდი გასჯილნი და ნამსახურნი* იყვნენ თქვენი პაპანი ჩვენს პაპა-მამა ბიძათზედა და ახლა უფროსად განგიახლეთ თქვენი სამსახური, ბატონი ბიძა ჩვენი მეფე გიორგი ყანდაარს ყეენის ბრძანებით წავიდა და აქედგან მამაშენი ორბელის შვილი ვახუშტი თავის ერთგულებისა და ჩვენის სახლის გაძლიერებისათვის წასულა და კარგნი დიდებულნი და კაი მოლაშქრენი წაჰყვნენ თანა.

და ჩავიდა ყანდაარს და იახლა ბატონსა. მის წინ სამსახურები ქნა და მასთანვე მიიცვალა ყანდაარს. მერე ურუმი ჯარი ჩამოვიდა ქართლში და საქართველოში ვეღარსად დავდექით, წამოვედით რუსეთს ხელმწიფესთანა და თან გვიახლა ბიძაშენი, მეფის გიორგის გაზდილი სულხან, ყოფილი საბა, მისი ძმა, ბიძაშენი თბილელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ და ბიძაშენი დედოფლის სალთხუცესი დიმიტრი ცოლით და შვილით, ბიძაშენი ზაალ, ყოფილი ზოსიმე და შენი

[1] ეს ვახუშტი იყო ჩვენი სამი ძმის პაპის პაპა.

ბიძაშვილი ბენედიკტე[1] და მრავალი სასჯელი და სამსახური გამოიარეთ ჩვენის ერთგულებისათვის.

საბა რუსეთს ჩვენთან მიიცვალა და სხვანი წყალობანი... წელსა ჩღლ. თვე კი მოხეულია ბოლო. სამი ბეჭედი კი ზის.

[პაპიჩემის მამას...]

პაპიჩემის მამას ელიზბარ ეშკაღაბაშსა ერთი ძმა ჰყოლია ვახტანგ[2] და ამ ვახტანგის შვილი ნიკოლოზ და ერასტი. მარამ ვახტანგ და ამისი შვილები დახოცილან. ამ ელიზბარსვე უფროსი შვილი ჰყოლია ივანე, მარამ ესეც მოჰკვდომია და პაპაჩემი დიმიტრი ყმაწვილი დარჩომია.

[1] ეს არ ვიცი ვისი შვილი ყოფილა. იქნება დიმიტრისა იყოს?
[2] ამ ვახტანგს ქალი ჰყოლია. მეორეს მეფის ირაკლისათვის ნდომიათ, მარამ აღარ მომხთარა.

ტექსტისთვის

მეოთხე ტომში შესულია ალექსანდრე ორბელიანის მემუარები, საგვარეულო გადმოცემები, ავტობიოგრაფიული თხზულებები.

პასპორტში მითითებულია მონაცემები: ა) ტექსტის ხელნაწერის დაცულობის შესახებ [გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ქლსმ), კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც). დაცულობის ადგილი მითითებულია პირობითი ნიშნებით — ლიტერებით]; ბ) პირველნაბეჭდის შესახებ; გ) სათაურის, თარიღისა და ხელმონერის შესახებ.

თუ ტექსტი უსათაუროა, ვასათაურებთ და სათაურს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში; როცა ტექსტი უთარიღოა, დადგენილ ან სავარაუდო თარიღს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო აუცილებელ განმარტებებს ვიძლევით შენიშვნებსა და კომენტარებში. თუ ავტორი თარიღთან ერთად უთითებს დაწერის ადგილს, პასპორტში შეგვაქვს ორივე მონაცემი.

ტომში შესული თხზულებანი, რომელთა ხელნაწერებიც შემონახულია, წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ***დედნის*** მიხედვით. თუ ხელნაწერი არ გვაქვს, ვაქვეყნებთ პირველნაბეჭდის მიხედვით. IV ტომში შესულ თხზულებათა დიდი ნაწილი ქვეყნდება პირველად.

ძველი, ხმარებიდან ამოღებული (ე. წ. ფუნქციადაკარგული) ასოები შევცვალეთ და სიტყვებს მივეცით თანამედროვე დაწერილობა. ალექსანდრე ორბელიანი ხშირად იყენებს ამა თუ იმ სიტყვის პარალელურ ფორმებს (ზოგ შემთხევვაში, ამა თუ იმ პარალელურ ფორმას ერთსა და იმავე ტექსტშიც კი: უთქუამს/უთქვამს, ამბავი/ანბავი, ერთმანეთი/ერთმანერთი, მასუკან/მასკვან, უთუოდ/უთუოთ, ბრძანება/ბძანება, რასაკვირველია/რასაკვრელია, შეინჭიმე/შენიჭირიმე და სხვა); ასეთ ფორმებს, ისევე, როგორც მისი ნაწერების სხვა გრამატიკულ თუ ორთოგრაფიულ თავისებურებებს, ვთქვათ, კომპოზიტების დაწერილობას და სხვ. ვტოვებთ უცვლელად (ვასწორებთ მხოლოდ აშკარა ლაფსუს კალამს). მხოლოდ ზოგან (სადაც ორაზროვნება ან სხვა სირთულე წარმოიშვა) აღვადგინეთ პირველი სუბიექტური პირის ნიშანი *ვ-*

თავისებურია ალექსანდრე ორბელიანის მიერ პუნქტუაციის გამოყენებაც. სადაც მძიმის (,) უადგილოდ, ზედმეტად დაწერა ან დაკლება, ცვლის ან ძნელად გასაგებს ხდის აზრს, გავასწორეთ, ხოლო სადაც არ აძნელებს შინაარსის გაგებას, როგორც მწერლის სტილის მახასიათებელი, შევინარჩუნეთ. უცვლელად დავტოვეთ აგრეთვე წერტილი (.) ფრჩხილის წინ და ფრჩხილში [მაგ.: (***განსაც-***

დელი.)]. სიტყვების ***ღმერთი*** და ***ბედნიერების ვარსკვლავი*** მერე რამდენიმე ადგილას ხელნაწერში გვხვდება ძახილის ნიშანი (!). დავტოვეთ უცვლელად.

ალ. ორბელიანის წერის თავისებურება ისიც არის, რომ იგი არ ხმარობს გაორმაგებულ ასოებს (მაგალითად, წერს: ***მოქალაქები***, ნაცვლად ***მოქალაქეებისა***, ***სათი***, ნაცვლად ***საათისა***, ***მოსამსახურები*** და არა ***მოსამსახურეები***, ***ჩემა*** და არა ***ჩემმა***, ***ზალ*** და არა ***ზაალ*** და სხვა; ზოგიერთ ნაწარმოებში პარალელურად იყენებს ორივე ფორმას ან მხოლოდ გაორმაგებული ასოებით წერს სიტყვებს. შევეცადეთ, დაგვეტოვებინა ეს ვითარება უცვლელად.

ქარაგმები ყველგან გავხსენით, გამონაკლისია *თ˜ა* [თავადი], რომელიც დავტოვეთ უცვლელად. მკითხველისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მასში თავადის ამოკითხვა.

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადგილები, რომლებიც ავტორმა, სავარაუდოდ, კონიუნქტურული მოსაზრებით წაშალა, აღვადგინეთ და ძირითად ტექსტში ვბეჭდავთ დახრილი შრიფტით.

ქართულად ნაწერ რუსულ სიტყვებს შესაბამის კომენტარებსა და შენიშვნებში განვმარტავთ ცალკე.

ტომს დართული აქვს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

ტომში ჩართულია ფოტო ალექსანდრე ორბელიანისა და მისივე ხელნაწერის ასლი (?). გარდა ამისა, მარიამ (მაიკო ორბელიანის საფლავის ქვის ფერადი ფოტოასლი და ალექსანდრე ორბელიანის მიერ დახაზული გეგმა სახლში ოთახების განლაგებისა (ფოტო).

პირობითი ნიშნები

K – კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

T – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

Z – საქართველოს ეროვნული არქივი.

კომენტარების დასაწყისში ციფრი აღნიშნავს შესაბამის გვერდს ტექსტში.

შენიშვნები

კომენტარები

საძიებლები

ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა (7)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1660
თარიღი: [1834 წ. 17 ივლისი- 1834 წ.-სექტემბერი] ან [1834]
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

თხზულება წარმოადგენს, ფაქტობრივად, ალექსანდრე ორბელიანის დღიურს, რომელშიც მოთხრობილია გადასახლებამისჯილი მწერლის ოჯახთან და ახლობლებთან გამოთხოვებისა და შემდეგ თბილისიდან ორენბურგამდე მგზავრობის პერიპეტიები. თბილისიდან გაემგზავრა 1834 წლის 17 ივლისს და ორენბურგში ჩავიდა იმავე წლის 11 აგვისტოს. სექტემბერში კი ნოვო-ალექსანდროვსკის ციხისკენ გაემგზავრა სერგეი (შიოშ) გაბრიელის ძე ჭილაშვილთან ერთად, რომლის ხელქვეითად გაატარა ოთხ წელზე მეტი. თხრობა დაუსრულებელია. თუმცა გადასახლებაში გატარებულ შემდეგ პერიოდზე წარმოდგენას გვიქმნის სხვა ავტობიოგრაფიული თხზულებანი: „ჭეშმარიტი სიყვარული“, „წიგნი მშობელთან“ და „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“.

ნაწარმოები იწერებოდა, როგორც ჩანს, უშუალოდ მგზავრობის პერიოდში. ამიტომ ვათარიღებთ 1834 წლის 17 ივლის-სექტემბრით.

როგორც მწერლისთვის დამახასიათებელი იყო საერთოდ, ალექსანდრე ორბელიანი კვლავ მიბრუნებია ამ ტექსტს და მცირე ცვლილებები შეუტანია მასში. ამას გვაფიქრებინებს რამდენიმე დეტალი: 1. ნახსენებია „წიგნი მშობელთან“, რომელიც უფრო გვიან არის დაწერილი. 2. გადახაზულია რამდენიმე ადგილი, რომლებიც მოგვიანებით დაწერილ თხზულებებში გვხვდება. 3. შეუდგენია და გადაუხაზავს დასაწერი ეპიზოდების მონახაზი შენიშვნით: „უნდა ჩაიწეროს ბატოიშვილ დედაჩემთან წიგნი რომ არის ალექსანდროვკიდგან იმაში“. მე-2 და მე-3 ეპიზოდები მართლაც არის თხზულებაში „წიგნი მშობელთან,“ რომლის პირველ ნაწილსაც ავტორი 1834 წლის ნოემბრით ათარიღებს.

თხზულების ფინალურ ნაწილში დასახელებულია ის სადგურები (ფოშტები), სადაც მგზავრები შეჩერდებოდნენ ხოლმე ცხენებისა და მეეტლის გამოსაცვლელად თუ ღამის გასათევადა და დასასვენებლად. შესაძლოა ამ გეოგრაფიულ ადგილთაგან დღეს ზოგი აღარც არსებობდეს (რკინიგზის გაყვანამ შეცვალა დასახლებული პუნქტების რუკა). ბევრ რუსულ სახელწოდებას ალექსანდრე ორბელიანი თავისებური ტრანსკრიფციით წერს (ზოგის იდენტიფიცირება თანამედროვე დასახელებასთან იოლია, ზოგისა – ჭირს ან ვერ ხერხდება). ამიტომ გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში მწერლის მიერ ნახსენებ ყველა სახელწოდებას ვბეჭდავთ უცვლელად (ისე, როგორც ტექსტშია).

ყურადღებას იპყრობს დარიალის ხეობის აღწერა. თერგი და მისი შემოგარენი არაერთხელ ასახულა ქართულ თუ უცხოურ (რუსულ) ლიტერატურაში. დაუვიწყარია გრიგოლ ორბელიანის ლექსში „საღამო გამოსალმებისა“, მისსავე დღიურში „მგზავრობა ჩემი...“ თუ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ აღბეჭდილი მხატვრული სახე თერგისა. თუმცა ქრონოლოგიური უპირატესობა თერგის, ასე ვთქვათ, პერსონაჟად შემოყვანისა ქართულ მწერლობაში, ალექსანდრე ორბელიანს ეკუთვნის.

ამ თხზულებაში (და სხვაგანაც) მწერალი თავისებურად იყენებს სასვენ ნიშნებს. სადაც თანამედროვე ნორმა დარღვეულია და ეს აზრის გაგებას აძნელებს, გავასწორეთ (ჩავსვით ან ამოვიღეთ, ძირითადად, მძიმე). ხოლო სადაც არ იცვლება წინადადების შინაარსი, არ არის აზრობრივი გაუგებრობა, შევინარჩუნეთ მწერლისეული დაწერილობა სასვენი ნიშნებისა. ამასთან უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. კერძოდ, ალექსანდრე ორბელიანი სიტყვა „ღმერთის“, ხან სიტყვების-„ბედნიერების ვარსკვლავი“– შემდეგ ხშირად სვამს ძახილის ნიშანს, რაც მივიჩნიეთ სტილურ მახასიათებლად და ყველგან დავტოვეთ ისე, როგორც ხელნაწერშია.

ბრიჩკა – მსუბუქი სამგზავრო ეტლი.

7. **„მოვიდა ის დღე“**– გადასახლებაში წასვლის დღე. ალექსანდრე ორბელიანი თბილისიდან ორენბურგში 1834 წლის 17 ივლისს გაემგზავრა.
7. **ჩემო ს...** – ჩემო სანდრო (ასე ეძახდნენ შინაურობაში ალექსანდრე ორბელიანს.
7. **ჩემმა ე...** – ჩემმა ეკატერინემ (იგულისხმება ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე – ეკატერინე ბარათაშვილი).
8. **პავლე თუმანოვი** – ალექსანდრე ორბელიანის ახლო მეგობარი. მოქმედ პირადაა გამოყვანილი მწერლის სხვა ავტობიოგრაფიულ თხზულებებშიც („ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“, „ჭეშმარიტი სიყვარული“...).
8. **„პირველად ჩვენ წალკოტში მივედი“**– იგულისხმება თეკლე ბატონიშვილის (ორბელიანების) ბაღი. ეს ბაღი და მასში შექცევა სხვა ნაწარმოებებშიცაა აღწერილი. დაახლოებით დღევანდელი ბოტანიკური ბაღი.
8. **ბატოიშვილი დედა** – თეკლა ბატონიშვილი.
9. **აზარფეშა** – ტარიანი ვერცხლის სასმისი (იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, თბ., 2023).
9. **„მე და ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი“...** – ბედნიერების ვარსკვლავად აქ და შემდეგაც მეუღლეს, ეკატერინე ორბელიანს მოიხსენიებს.
10. **„სადაც სულ პირველად ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი მენახა“**– ალექსანდრე ორბელიანმა თავისი დანიშნული და მომავალი მეუღლე შემთხვევით ნახა დაახლობით დღევანდელ ვერის ბაღთან. ამ შეხვედრის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი „ჭეშმარიტ სიყვარულში“.
10. **„მივცემ ცენსურასა შინა დასაბეჭდად“** – როცა საავარაუდოდ ამას წერს ავტორი, მაშინ საქართველოში ჟურნალ-გაზეთები არ გამოდიოდა. იქნებ შემდეგ ჩამატებული ადგილია. მოზრდილი მონაკვეთები შემდეგ თვითონვე გადაუხაზავს, მაგრამ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ აღვადგინეთ და ვბეჭდავთ დახრილი ასოებით. ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე ორბელიანმა

რომ კარგად იცოდა ბეჭდური მედიის დანიშნულება, ცხადია. სოლომონ დოდაშვილის ჟურნალის– „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“– გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი ხომ, დიდი ალბათობით, თვითონაც იყო.

11. **მინიცკი ალექსანდრ ოსიფიჩ** – თბილისიდან ორენბურგამდე ალექსანდრე ორბელიანის თანმხლები ოფიცერი.
12. **„რომელს ღუბერნიას და ქალაქს თქვენა ხართ დანიშნული“** – ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებული იყო ორენბურგში.
12. **ჩემი სიმამრი** – დავით ბარათაშვილი.
12. **ჩემი სიდედრი** – ბარბარე ბარათაშვილი.
12. **ჩემი ცოლის ძმა** – ზაალ (ზაქარია) ბარათაშვილი.
12. **ჩემი უნცროსი ძმა** – ვახტანგ ორბელიანი.
12. **ქემხა** – ქევხა, სოფლის ნაცვალი, მამასახლისი.
12. **მოხუცებული ჩემი გამზდელი** – გლეხის ქალი ლომისახარ (ნათლობის სახელი ხვარამზე).
13. **თ˜ა თადია ჩოლოყოვი** – თადია ჩოლოყაშვილი, მწერლის მამიდაშვილი, ეკატერინე ორბელიანის ვაჟი. საგარეჯოს მოურავი. მონაწილეობდა 1812 წლის კახეთის აჯანყებაში და დაპატიმრება-გადასახლებას სპარსეთში გაქცევით აარიდა თავი. მართალია საქართველოში დააბრუნებდნენ, მაგრამ სასამართლომ გაათავისუფლა იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს განკარგულებით. განდობილი იყო 1832 წლის შეთქმულებაშიც. საგამოძიებო კომისიამ ცნო VII კატეგორიის დამნაშავედ და დაუწესა სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა.
15. **მაღნიზნი** – კონტექსტის მიხედვით, სიყვარული, ტრფიალება...
16. **„წადი შვილო, ღვთისთვის მიმიბარებიხარ“**– თეკლა ბატონიშვილის მიერ შვილისთვის განშორებისას მიცემული დარიგება ზუსტად ასევეა აღბეჭდილი „ჭეშმარიტ სიყვარულშიც“, მხოლოდ იქ გადახაზულია.
17. **ერთობით კერძობანი** – სახლეულობანი, ოჯახის წევრები (იგულისხმებიან მოსამსახურეებიც).
18. **ჩემი სამი პატარა შვილები** – დარია, დავითი, მარიამ (მაიკო).

19. **„ჩემი იმედი ჩვენი ხელმწიფის სამაგალითო მოწყალებანი იყო“** – როგორც ჩანს, იგულისხმება ის, რომ რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, „დამნაშავეები“ მკაცრად არ დასაჯეს. თავდაპირველი განაჩენი სიკვდილით დასჯისა გადასახლებით შეიცვალა. ასეთი მოწყალების მიზეზებზე ვრცლად იხ. ამ გამოცემის V ტომი, შენიშვნები და კომენტარები.

19. **„ჩემი რძლის მოსამსახურენი“** – იგულისხმება დიმიტრი ორბელიანის მეუღლე მარიამ ლუარსაბის (ივანეს) ასული ორბელიანი. უმცროს ძმას, ვახტანგს ჯერ ცოლი არ ჰყავდა.

20. **„ვერის ზასტავა“** – ვერის საგუშაგო. XIX საუკუნეში ქალაქმა სწრაფად დაიწყო ზრდა. XVIII საუკუნის ბოლოს გიჟად მიაჩნდათ ვინმე აღალუა, რომელიც ამბობდა, ისეთი დრო მოვა, ვერის ხიდი ქალაქის ალაყაფის კარად იქცევაო (იხ. ამავე ტომში „გიჟი აღალუა“).

22. **მინანთული** – ფულის ერთეული.

22. **„თ˜ა ალექსანდრე სუმბათოვი თავის ცოლი სოფიო“**– ეს შეხვედრა აღწერილია აგრეთვე თხზულებაში „წიგნი მშობელთან“.

23. **18-7-ს/18-ს-34-ს** – ღართისკარში მუხის ხეზე ამოჭრეს იქიდან გამგზავრების თარიღი: 1834 წლის 18 მე-7 თვე.

23. **მასკვან** – მას უკან, შემდეგ.

24. **რუბი** – მეოთხედი.

27. **„ჩემთვის სირცხვილი არის, რომ მე გამოგართო“** – ეს ეპიზოდი ოდნავ შეცვლილი ნიუანსით მოთხრობილია აგრეთვე თხზულებაში „წიგნი მშობელთან“. იქ მეთევზემ ფული არ გამოართვა მეფე ერეკლეს ქალის შვილს. აქ ეს დეტალი არ ჩანს და ზოგადადაა ნათქვამი, კარგ ვინმეს გევხართო.

39. **„უმაღლესის ბძანების ბაშფორთი მაქვსო“** – ალექსანდრე ორბელიანის გამყოლმა, მინიცკიმ, როგორც ჩანს, უმაღლესი მთავრობის მიერ გაცემული ბრძანება (ბაშფორთი- პასპორტი) უჩვენა. ხელისუფლება ჩქარობდა გადასახლების ადგილებზე დასჯილთა ჩაყვანას.

52. **„წავედი და ჩემი ჩილაევი ვნახე“** – ჩილაევი (ჭილაშვილი) სერგეი გაბრიელის ძე (1803-1864). შიოშ გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილს რუსეთის სამხედრო სამსახურში სერგეი

უწოდეს. სერგეი გაბრიილიჩი – ასე მოიხსენიებს მას ალექსანდრე ორბელიანიც. გაბრიელ ჭილაშვილის ოჯახი მეფესთან და ბატონიშვილებთან დაახლოებული იყო. მემუარისტი საგანგებოდ შენიშნავს, თეკლა ბატონიშვილის მცნობი იყოო. შიოშ (სერგეი) გახლდათ ძმა იაგორ (გიორგი) ჭილაშვილისა (შემდგომში დიმიტრი ყიფიანის სიმამრის). 1834-35 წლებში სერგეი გაბრიელის ძე ნოვო-ალექსანდროვის ციხის უფროსია ორენბურგის მხარეში (ვრცლად იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983).

წიგნი მშობელთან – საქართველოს მეფის ირაკლის ასულს თეკლას (57)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1661
თარიღი: [1834– 1838]
ხელმოწერა: თქვენი უძლური ძე ა. ორბელიანი (გვ 225), შენი ალექსანდრე (გვ. 258).
ბოლოს ხელმოწერა არა აქვს.

დაწერილია ეპისტოლეს ფორმით, თუმცა არ არის კერძო ბარათი. თხზულება ავტობიოგრაფიულია და მასში დაახლოებით იგივე პერიოდია ასახული, რომელიც „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლაში“– გადმოცემულია თბილისიდან ორენბურგამდე მგზავრობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები. აქვეა ჩართული წერილები ეკატერინე ორბელიანისადმი. ესენიც თხზულების შემადგენელი ნაწილია და ამიტომ არაა ცალკე გამოყოფილი ამ გამოცემის V ტომში, რომელშიც ალექსანდრე ორბელიანის კერძო წერილებია შესული.

საყურადღებოა, რომ ამ ტექსტში აქცენტი გადატანილია საქართველოს ისტორიაზე, როგორც ჩანს, იმ მიზნით, რათა მწერალმა ქება უძღვნას თავისუფლებას. გვხვდება საქართველოს ტოპონიმთა ეტიმოლოგიური განაზრებანი.

ცალკე ქვესათაურადაა გამოყოფილი: კასპიის ზღვიდგან გასვ-

ლა. ეს ნაწილი დაწერილი უნდა იყოს 1835 წელს. თუმცა თარიღად ერთგან აწერია: 25-სა ნოემბერსა 1834 წელსა, მაგრამ კასპიის ზღვის ამბების მოთხრობა იწყება სიტყვებით: „წარსრულს სეკტენბრის თვესა, რიცხვსა თერთმეტსა...“ ალექსანდრე ორბელიანი ახალი ალექსანდროვკის ციხისკენ 1834 წლის 11 სექტემბერს მიემგზავრება და წარსული წლის მოგონებებს, ცხადია 1835-ში წერს. თარიღის აღნიშნვის შემდეგაც გრძელდება თხზულება. პირობითად, მესამე ნაწილი უფრო გვიანაა დაწერილი, კერძოდ, 1838 წლის შემდეგ. ამას გვიდასტურებს ის გარემოება, რომ ფინალში მწერალი ახსენებს 1838 წელს დასრულებულ ნაწარმოებს „ჭეშმარიტი სიყვარული“. ამიტომ თხზულებას „წიგნი მშობელთან“ ვათარიღებთ ასე: 1834-38 წლები.

ტექსტში გამოყენებული რუსული სიტყვების უმრავლესობა თვითონვე აქვს მწერალს ახსნილი. ამიტომ მათი თარგმნა ზედმეტად მივიჩნიეთ და მხოლოდ ის რუსული სიტყვები ავხსენით, რომელთა მნიშვნელობა ნაწარმოებში მითითებული არ არის.

პალუბი – გემბანი.

64. **„ალექსანდრე სუმბათოვი და იმისი ცოლი სოფიო მოვიდნენ“** – ამ ცოლ-ქმართან ღართისკარში შეხვედრა გადმოცემულია აგრეთვე თხზულებაში „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა.“ ალექსანდრე სუმბათაშვილი ყოფილა ალექსანდრე ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე ბარათაშვილის ბებიის ძმის შვილი. მისი მეუღლე გახლდათ გიორგი მუხრანბატონის ასული სოფიო. მათი ვაჟის ნათლია იყო ალექსანდრე ორბელიანი.

66. **„თარხან დიდმოურავმან...“** – იგულისხმება გიორგი სააკაძე. არეკლილია ის ისტორიული ამბავი, როცა გათათრებული გიორგი სააკაძე მეორეჯერ შემოესია საქართველოს ყიზილბაშთა ჯარით, მაგრამ თვითონვე იხსნა ქვეყანა განადგურებისაგან.

68. **„მეფე ირაკლიმ ქართლის და სომხითის მეფობაც რომ მიიღო“**– იგულისხმება ერეკლე II-ის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება 1762 წლის ივნისიდან.

70. **„აბაიმე. შენ მეფე ერეკლეს ქალის შვილი იყო და ფული გამოგართო?“**– ალექსანდრე ორბელიანს არაერთხელ უგრძვნია სხვათაგან პატივისცემა იმის გამო, რომ იგი თეკლა ბატონიშვილის შვილი იყო. ეს იყო, ცხადია, თეკლასა და ერ-

ეკლესადმი გამოხატული სიყვარული და პატივისცემა. იგივე ეპიზოდი მოთხრობილია „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლაშიც“ და გადახაზულია ავტორის მიერ, მაგრამ ჩვენ მაინც აღვადგინეთ, რადგან ამ ორ მონათხრობს შორის არის ნიუანსობრივი სხვაობა –აქ კონკრეტულადაა ნახსენებია მეფე ერეკლეს ქალის შვილი, იქ ზოგადადაა ნათქვამი, კარგ ვინმეს გავხართო.

72. **„თქვენგნით ბძანება მაქვს: უბედურებაში არ გატყდეო“** – თეკლა ბატონიშვილი სიმხნევისა და სიმამაცის მაგალითს აძლევდა შვილებს. ციხეში ქეთევან დედოფლის მაგალითით გაამხნევა, ხოლო გადასახლებაში წასვლის წინ ალექსანდრეს კიდევ ერთხელ შეახსენა გულგაუტეხლობის აუცილებლობა.

72. **„დიდმა პეტრემ დაასვენებინაო“**– იგულისხმება რუსეთის იმპერატორი პეტრე I.

75. **„რუსთაველის თხზულება ვეფხვისტყაოსანი რა კარგი რამ არის“**– ალექსანდრე ორბელიანს აქვს ლექსი „რუსთაველ“. რუსთაველს და მის პოემას სხვაგანაც ახსენებს, როგორც ნიშანსვეტს. ამ თხზულებაში იმოწმებს ადგილებს პოემიდან ოდნავ სახეცვლილს (ისე, როგორც დამახსოვრებია ზეპირად).

80. **„ვახტანგ გორგასლანმა ომის უნახავმა გაიმარჯვა ძლიერს ბაყათარზე“** – იგულისხმება 15 წლის მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ გადახდილი პირველი ომი ოსთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მან პირისპირ გამოიწვია მტრის საუკეთესო ფალავანი – ბაყათარი და დაამარცხა იგი.

81. **„ამას იქით ქ. ორენბურღამდისინ აღარა არისრა დასაწერი“**– მწერლის განწყობა ერთგვარად გვაგონებს გრიგოლ ორბელიანის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას „მგზავრობა ჩემი...“. გრიგოლ ორბელიანიც დაწვრილებით აღწერს დარიალის ხეობას, მერე, პეტერბურგამდე თითქმის არაფერი მიაჩნია საყურადღებოდ.

82. **მომატებული სახელი რომ დაარქვეს ეხლა „ყაზიბეგის მთა“** – რუსეთმა, როგორც დამპყრობელმა, საქართველოში შემოსვლისთანავე შეცვალა ტოპონიმები. მათ შორის სახელი გადაარქვა მყინვარწვერსაც და სოფელ სტეფანწმინდასაც. შეუცვალა გვარი სტეფანწმინდის მმართველს – გაბრიელ

ჩოფიკაშვილს. სამივეს – მთას, სოფელსა და ჩოფიკაშვილს ერთი სახელი უწოდა – ყაზიბეგ – გაბრიელის მამის სახელი. ამით ორი კურდღელი მოკლა: 1. გააქრო ქართული ძირი და მრავალფეროვნება და 2. საქმე გაიადვილა – სამი მისთვის (რუსისთვის) რთულად დასამახსოვრებელი და კიდევ უფრო რთულად წარმოსათქმელი სიტყვის მაგივრად შემოიღო და დაამკვიდრა ერთი ისეთი სახელწოდება, რომელსაც ქართველი მმართველის და ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება არ უნდა გამოეწვია.

82. **„სადაც უნდა ვიყო, შენ მოგიგონებ...“** – ასე ემშვიდობებიან სამშობლოს ნამდვილი პატრიოტები:
“თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა
უცხო თემსა და მიწებსა,
შარბათიც ჰქონდეს სასმელად,
ნაღველად აღმოიწებსა,“ – გოდებდა არჩილ მეფე.
„მივალ გარნაღა სული აქ მრჩებისო,“ – ასე დაემშვიდობა მამულს გიორგი ერისთავი.
„თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად ვით ჩემი გულიო,“ – ეფიცებოდა მშობლიურ მთებს ილია ჭავჭავაძე.
„რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,
ის იცის ღმერთმა, მაღლა ერთმა, არ ითქმის ენით,“ – მწარე დარდსა და ნაღველს ასე გამოხატავდა ვახტანგ ორბელიანი.

84. **კაროვინი** – ნიკალაი ანდრეიჩი, გადამდგარი პორუჩიკი, ორენბურგელი. მინიცკი შეუთანხმდა ალექსანდრე ორბელიანს და მათი თანხმობით მათთან ერთად იმგზავრა თბილისიდან ორენბურგამდე.

84. **ალაჩუხები** – კარავი ან ხის ქოხი.

84. **ნაჩალნიკშტაბა** – იგულისხმება რაკასოვსკი პლატონ ივანიჩ.

85. **ვოენი ღუბერნატორი პეროვსკი** – ვასილი ალექსის ძე პეროვსკი, ორენბურგის სამხედრო გუბერნატორი მაშინ, როცა იქ ალექსანდრე ორბელიანი ჩავიდა. იყო ძმა იმ ალექსი ალექსის ძე პეროვსკისა, რომელსაც თავისი “ლოგიკა“ მიუძღვნა სოლომონ დოდაშვილმა.

85. **პასკევიჩი** – ივან თეოდორეს ძე. საქართველოს მთავარმართებელი 1827-31 წლებში.

85. **ჩილაევი (ჩილიაევი)** – სერგეი გაბრიილიჩ (შიოშ გაბრიელის ძე ჭილაშვილი). იხ. კომენტ. „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა“.

90. **„უეზდის კეთილშობილთ წინამძღომელი“** – თბილისის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი.

91. **„ისპოლნიტელნი ეკსპედიცია“** – სააღმსრულებლო ექსპედიცია.

96. **ს...** – სანდრო (ალექსანდრე ორბელიანი)

96. **ე...** – ეკატერინე, კატინა, კატო (ბარათაშვილი-ორბელიანისა).

100. **პატრეთი** – პორტრეტი, სურათი.

102. **კანპაზი** – კომპასი.

102. **ყოლაუზი** – მეგზური, გზის მაჩვენებელი.

104. **„ბატკნები ყარახაჩზე გავისტუმრე“**– გულისრევას ნიშნავს.

108. **„მინდა კიდევ ვიცოცხლო, ეგება ჩვენს ქვეყანას ვარგო რამე“**– ამ სიტყვებში გამჟღავნებულია ალექსანდრე ორბელიანის კრედო. იგივე აზრი აქვს გამოთქმული სხვა თხზულებებშიც.

117. **„ნუ თუ ქ...“**– ნუთუ ქალბატონო...

120. **ბელიგარიაჩქა** – თეთრი ცხელება – ავადმყოფობა, რომლის დროსაც ადამიანი მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფება.

122. **სკორბუტი** – ავადმყოფობა. იგივე სურავანდი, ცინგა.

129. **„დათიკა შეუძლებლობს და ავათ მყავს ძალიანო“**– 1832 წელს დაბადებული ვაჟი, დავითი, გარდაიცვალა 1835 წელს. ალექსანდრე ორბელიანსა და ეკატერინე ბარათაშვილს სულ შვიდი შვილი შესძენიათ. უმრავლესობა ბავშვობაშივე დაღუპულა. მხოლოდ მაიკო გარდაიცვალა 22 წლისა. საბოლოოდ მშობლებს შერჩათ ერთადერთი ქალი – დარია. „უბედურ მაიკოში“ მწერალს ექვსივე გარდაცვლილი შვილის სახელი აქვს ნახსენები.

132. **„გამოგზავნილი სალდათი პალიაკებიც ბევრი იყვნენ“** – 1831 წლის პოლონეთის აჯანყების მონაწილეებიც რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლებით დასაჯა რუსეთის მთავრობამ. არაერთ მათგანთან მეგობრობდა ალექსანდრე ორბელიანი.

ჭეშმარიტი სიყვარული (138)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1643; S:1659-ა.
თარიღი: [1835-1838].
ხელმოწერა: თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. – ორბელიანი. 1835 წელსა ქ. ორენბურღს.

მინაწერი: ეს აღწერილობა დავასრულე 1838-ს წელსა ქ. ორენ-ბურღში. ამ წელს 2-ს ნოემბერს წამოველ იქიდგან კავკაზის ლინია-ზე, 7-ს ლინეინის ბატალიონში გადამიყვანეს.

პირველი პუბლიკაცია: ნაწყვეტი ამავე სათაურით („ჭეშმარიტი სიყვარული“) დაიბეჭდა „ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეუ-ლის მე-9 ტომში 1992 წელს. გადმოწერა ეკატერინე ჩაგელიშვილმა. ტექსტი ხელნაწერს შეუდარა და გამოსაცემად გამართა მიხეილ ქავთარიამ.

სრულად იბეჭდება პირველად.

თხზულება ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. დასაწყისი (პირ-ველი 40 ფურცელი) წარმოადგენდა ცალკე სხვა ნომრით (S-1643) დაცულ ერთეულს. იგი შეუერთდა მის ნაწილს, S-1659:ა, რომელ-იც იწყება ქვესათაურით „გაიგონე ი.“ (სიტყვებით: „ივლისის 8-სა დღესა სუდნა ჩვენი სრულის აფრებით მისცურავდა..“) S-1643 მთავრდება ავტორის მიერ გადახაზული მოზრდილი მონაკვეთით, რომელშიც აღწერილია მწერლის მიერ სიცოცხლეში გადატანილი უბედური შემთხვევები. თუმცა ალექსანდრე ორბელიანს აქვს თხ-ზულება „ცოტა ჩემი გამოცდილებანი“, რომელიც ამავე ტომშია დაბეჭდილი და რომელშიც აგრეთვე გახსენებულია თავს გადახდე-ნილი ხიფათები, მაგრამ ამ ორ ტექსტს შორის დამთხვევა მცირეა, განსხვავება კი – თვალსაჩინო, ამიტომ გადაშლილი რამდენიმე გვერდი „ჭეშმარიტ სიყვარულშიც“ აღვადგინეთ და ვბეჭდავთ დახ-რილი შრიფტით.

„ჭეშმარიტი სიყვარული“ შინაარსობრივად გაგრძელებაა თხზუ-ლებისა „წიგნი მშობელთან“. თხრობა იწყება ალექსანდროვკიდან უკან, გურიევში დაბრუნებით და ბოლოს მთავრდება ორენბურგში ჩასვლის ეპიზოდით. გადმოცემულია ამბები, რომელთა მონაწილეც არის თვითონ ავტორი და ამდენად დიდი ისტორიული მნიშვნელო-

ბა აქვს. მრავლადაა ჩართული ეპიზოდები, რომლებშიც მწერლის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებია გახსენებული. შიგადაშიგ ჩართულია სიზმარი, ლიტერატურული ზღაპარი, ლექსი, ესეი... თარიღი ორჯერაა მითითებული. ჯერ – 1835, ხოლო ბოლოს – 1838. ამიტომ, ავტორის ცნობაზე დაყრდნობით, ჩვენ ვათარიღებთ ასე: 1835-38.

„ჭეშმარიტ სიყვარულს“ მეტად თავისებური კომპოზიცია აქვს. თავები ერთმანეთისგან გამოყოფილია ქვესათაურით „გაიგონე“, რომელსაც მოსდევს ქართული ანბანის რომელიმე (ერთი) ასო. ანბანის რიგი დაცული არაა, ზოგი ასო გამოტოვებულია, ზოგი მეორდება ორჯერ. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი იწყება თავით– „გაიგონე. ე“. მანამდელი ან დაკარგულია, ან დასაწყისად შეიძლება იგულისხმებოდეს სხვა ნაწერი (ვთქვათ, „წიგნი მშობელთან“), ოღონდ– არა ასე გამოყოფილი მონაკვეთებით. ვბეჭდავთ ისე, როგორც ხელნაწერშია.

გვხვდება ეპიზოდები, რომლებშიც მთხრობელი (ავტორი ე. ი. თვითონ ალექსანდრე ორბელიანი) ესაუბრება ა. ო-ს (ალექსანდრე ორბელიანს). თავდაპირველად დაუწერია: მე ვკითხე, მე არ მოვასვენე, მან მიპასუხა და სხვა. შემდეგ შეუცვლია ასე: მატროსმა ჰკითხა, ერთმა ვინმემ არ მოასვენა, მან უპასუხა და ა. შ. თავდაპირველი ვარიანტი საინტერესოდ მივიჩნიეთ, მაგრამ რადგან ორივე ვერსიის ერთად არსებობა გააძნელებს წაკითხვას, ამიტომ მწერლის მიერ დაწუნებული ვარიანტი აღვადგინეთ, დახრილი ასოებით დავბეჭდეთ და ჩავსვით კვადრატულ ფრჩხილებში.

138. **ალექსანდროვკა** – ახალი ციხე-სიმაგრე, რომელიც რუსეთის იმპერიამ ააგო კასპიის ზღვის სანაპიროზე.

138. **ლიხაშოსტოვი** – პოდპოლკოვნიკი, ალექსანდროვკის ციხის უფროსი. ამ თანამდებობაზე მან შეცვალა სერგეი (შიოშ) გაბრიელის ძე ჩილაევი (ჭილაშვილი), რომლის დაქვემდებარების ქვეშაც იყო ალექსანდრე ორბელიანი.

138. **„რადგან ჩემი წიგნებით წვლილად იცი“** – შესაძლოა ალექსანდრე ორბელიანი გულისხმობდეს დედასთან და მეუღლესთან მიწერილ კერძო ბარათებსაც ან თხზულებას „წიგნი მშობელთან“, რომელშიც მართლაც დაწვრილებითაა

აღწერილი ახალ ალექსანდროვკაში ყოფნის პერიოდი.

138. **„პოდპორუჩიკს კ... ჩააბარა“**– იგულისხმება ვინმე კილხინი, რომლის გვარიც სრულად ტექსტის მომდევნო მონაკვეთში წერია.

138. **„სუდნაშივე იმყოფებოდა ერთი ფერჩამკრთალი თ˜ა ვინმე ა... ო...“** – იგულისხმება თავადი ალექსანდრე ორბელიანი. მწერალს საკუთარი თავი გამოჰყავს პერსონაჟად და მასზე მესამე პირში გვესაუბრება, ხოლო ამბავი პირველი პირის მიერაა გადმოცემული და ეს მოქმედი პირიც თვითონ მწერალია. როგორც პოსტმოდერნისტული თხზულებებისთვისაა დამახასიათებელი, ერთი პიროვნება ორ პერსონაჟადაა დაშლილ-დაყოფილი.

138. **„გავეწყე სუდნაში ჯდომას“** – შევეჩვიე გემში ჯდომას.

139. **„ნუშასა ან დრომინში მჯდომელს**...“ – ნუშურა ფიცარი – ტივის ხიდან ჩამონახერხი გვერდის ხორკლიანი ფიცარი (იოსებ გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, თბ., 2023).

139. **ოქროს ხელთა** – ოქროს ბეჭედი.

151. **დავით გარეჯის მონასტერი** – იგულისხმება დავით გარეჯელის სახელზე აშენებული მონასტერი (მამადავითი) თბილისში, მთაწმინდაზე.

151. **„გრიბოედოვი არის მიღებული“** – პირველად მთაწმინდაზე რუსი მწერალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, ალექსანდრ გრიბოედოვი დაიკრძალა. როცა ამ თხზულებას წერს ალექსანდრე ორბელიანი, მაშინ მთაწმინდაზე ჯერ კიდევ არ იყო მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

161. **„მაგითი საქართველოს სომხები თვისებას და ხასიათს ვერ გაიკეთებთ“**– ალექსანდრე ორბელიანი მართლად, უტყუარად წარმოაჩენს საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ხასიათს – ფულის სიყვარულით გამოწვეულ მათ უზნეო საქციელს. აქვე არაორაზროვნად იკითხება სასამართლოს მოხელეთა ანგარება და მართლსაწინააღმდეგო ქცევა.

თუმცა მწერალი ისტორიულ თხზულებებში ძირითადად სომხებს (მოღალატეთა სომხების დასს) სდებს ბრალს კრწანისის ტრაგედიაში, მაგრამ არა ყველას, არამედ „ზოგიერთს“. „ჭეშმარიტ სიყვარულშიც“ ნათლად ჩანს, რომ

ავტორი საზოგადოდ სომეხი ერის მანკიერ თვისებებზე არ გვესაუბრება. მათთან (სომხებთან) ნათელმირონობაც აკავშირებდა თურმე და მამამისი, პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანიც მეგობრობდა სომხებთან. ამავე დროს მწერალი ამხელს „საქართველოს სომხების“ ნაკლოვანებას, სააშკარაოზე გამოაქვს მათი ხასიათის მანკიერებანი.

162. **ჩემი ლალა** – ალექსანდრე ორბელიანს რამდენიმე ლალა ჰყავდა. აქ იგულისხმება ბერელა, მწერლის არაერთი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პერსონაჟი.

163. **ნაისახარ, ლომისახარ** – გამდლები ორბელიანთა ოჯახში. ნაისახარ იყო დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანის გამდელი და ლომისახარ (ხვარამზე) – ალექსანდრე ვახტანგის ძისა.

164. **„დიმიტრისათვის მიმსახურია“** – იგულისხმება ალექსანდრე ორბელიანის პაპა, პოლკოვნიკ ვახტანგ ორბელიანის მამა, დიმიტრი ორბელიანი, რომელიც ლევან ბატონიშვილის რაზმის წევრი იყო და ბატონიშვილის წინამძღოლობით ლეკების წინააღმდეგ გადახდილ ერთ-ერთ ომში დაიღუპა.

164. **„მეფე ირაკლი ნადირშასთან ბძანდებოდა“** – 1837 წელს სპარსეთის მმართველმა, ნადირ-შაჰმა ინდოეთში გაილაშქრა. ამ ბრძოლაში თან ახლდა ახალგაზრდა ერეკლე თავისი ათასეულით. ერეკლემ ომებში განსაკუთრებით ისახელა თავი. საქართველოში, ნადირ-შაჰის ნებართვით, 1839 წელს დაბრუნდა.

164. **ელიზბარ ეშკაღაბაში** – ალექსანდრე ორბელიანის პაპის, დიმიტრი ორბელიანის მამა. უსამართლო ბრალდების საფუძველზე დაახრჩობინა ნადირ-შაჰმა.

166. **„დარჩა პატარა თადია ორის პატარა დითა“** – ალექსანდრე ორბელიანის მამიდაშვილები, ჩოლოყაშვილები თადია, მაკა და ანა (ახუა).

168. **ბუზით მთვრალი** – თაფლის არაყს ხან ბუზის არაყსაც ეძახიან.

173. **„აღამამადხანი მეორედ კიდევ რომ წამოვიდა საქართუელოზე და მოკლეს“** – აღა-მაჰმად-ხანი მოკლეს შუშაში, 1897 წელს, ამიერკავკასიაში მეორედ ლაშქრობისას.

175. **ვარდისახარ** – ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანის გამზრდელი.

180. **ქოლიხანაწაკრული** – თავსაფარწაკრული.

182. **„მიმზიდა სოფელმან ყარიბობასა“**– ეს ლექსი მცირე განსხვავებით დაბეჭდილია „ქართული მწერლობის“ მე-9 ტომში სათაურით „შორიდგან“.

182. **მუთანჯის ფლავი** – „ზედ მოაყრიან მოხარშულ და გამხმარ ხილს: ქიშმიშს, ნუშს, აღჯანაბადს, ალიბუხარს, ქლიავს, ჭანჭურს და სხვა (იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, თბ., 2023).

188. **ტიფონი** – იგულისხმება ტაიფუნი, ტროპიკული ციკლონი.

192. **„ლუარსაბ ორბელიანის ქორწილი იყო თ˜ა იოვანე ბეგთაბეგოვის დიდს დარბაზში“** – ამ ქორწილის შესახებ საუბარია სხვა თხზულებებშიც („რუსების დასი ქართველები ჩემზედ“, „ცოტა ჩემი გამოცდილებანი“), ხანძართან დაკავშირებული შემთხვევა კი აღწერილია „ცოტა ჩემ გამოცდილებანშიც“ ოდნავი ნიუანსობრივი სხვაობით.

194. **ᲩᲔ.** – უბედური შემთხვევების ჩამონათვალი დანომრილია ქართული ანბანის ასოებით. როგორც ჩანს, დაუმთავრებელია. ასო Ჩ წერია, მაგრამ შემდეგ ფურცელი ცარიელია.

194. **„ივლისის რვასა დღესა სუდნა ჩვენი სრულის აფრებით მისცურავდა**...“– ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ახალი ალექსანდროვკიდან გურიევისკენ მომავალი ხომალდი ზღვაში უნდა ყოფილიყო 1-11 ივნისს. აქ „ივლისი“, როგორც ჩანს, შეცდომაა და ივნისი იგულისხმება.

195. **ალთაფა** – ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ხელტაშტი, წურწუმა (ალ-ხელი, თაფა – ტაშტი) (იხ. იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, თბ., 20123).

200. **„თუ ეს აბანო ყორუღათ აქუთ..“** – კონტექსტით იგულისხმება: თუ ეს აბანო დაკავებულია. ყორუღი ასეა ახსნილი იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: დაცული საძოვრის ადგილი.

226. **სათლიჟამი** – სათლიჯამი – ანთება. იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „ავათმყოფობაა ერთგვარი გაციებისაგან მომდინარე. ანუ სათლიჯამი ნიშნავს შეცივებას (ავადმყოფობაა).

227. **თ˜ა გ... თ...**– იგულისხმება თავადი თუმანიშვილი. სახელი ვერ გამოვარკვიეთ.

227. **„პოლკოვნიკი ლ... თითქმის საქართველოში გაზრდილი იყო...“**– უნდა იგულისხმებოდეს პოლკოვნიკი ლადინსკი, რომლის შესახებაც იმავე ინფორმაციას გვაწვდის მწერალი თხზულებაში „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“.

229. **თ˜ა თ... დისწული ს...** – თავად თუმანიშვილის დისწული სოფიო.

232. **„ჩვენი სიძე თ˜ა ივანე მელიქოვი“** – ივანე მელიქიშვილი იყო ალექსანდრე ორბელიანის მამიდაშვილის, მაკას ქმარი და სიდედრის, ბარბარე ბარათაშვილის დეიდაშვილი.

237. **კარაევი ივანე** – ყარაშვილი, ექიმი.

239. **„მოჰყუა. აი ის ზღაპარი.“** – თეკლა რამდენიმე ღამის განმავლობაში უამბობდა შვილს ზღაპარს, რომელმაც მოამჯობინა ალექსანდრე. თეკლას ნაამბობი გარეგნულად აღმოსავლურ ხალხურ ზღაპარს ჰგავს, თუმცა მწერლის შეთხზული ლიტერატურული ზღაპარია. ფაქიზი ბუნებისა და შვილის სულში ჩამწვდომი დედა ხვდება, რომ სიყვარულის გამოა ალექსანდრე ავად და ამიტომ უამბობს ზღაპარს სიყვარულის უძლეველობასა და მარადიულობაზე.

243. **აზანი** – ისლამურ რელიგიაში მოწოდება, ძახილი, რომელსაც ლოცვის დროის დადგომისთანავე წარმოთქვამს მუეძინი და მოუხმობს მორწმუნეებს. დაწესებულია მუჰამედის მიერ.

247. **ქებინი** – ქორწინება, ქორწინების რეგისტრაცია აზერბაიჯანულად.

251. **„უეცარი შეხვედრა“** – „ჭეშმარიტ სიყვარულში“ ჩართული ეს ლექსი ცალკეა დაბეჭდილი „ქართული მწერლობის“ მე-9 ტომში (1992 წ.) სათაურით „ბაიათი“.

265. **ტფილელის ბაღი** – უნდა ყოფილიყო დაახლოებით ახლანდელი გიორგი ლეონიძისა და გერონტი ქიქოძის ქუჩების გადაკვეთის ადგილას.

270. **ერევნის ციხე რომ აიღო ღენერალმა პასკევიჩმა** – ივან თეოდორეს ძე პასკევიჩი საქართველოს მთავარმართებელი იყო 1827-31 წლებში. რუსეთ-ირანის ომის დროს, 1828 წელს რუსეთის ჯარმა პასკევიჩის სარდლობით აიღო ერევნის ციხესიმაგრე. ამის გამო საქართველოს მთავარმართებელს ერევნის გრაფის წოდება მიენიჭა და ეწოდა პასკევიჩ-ერევანსკი.

270. **1823-სა წელსა დავიწერე ჯვარი ანჩისხატის ეკლესიაში** – ალექსანდრე ორბელიანმა და ეკატერინე ბარათაშვილმა ჯვარი დაიწერეს 1823 წლის 8 ივლისს.
ტექსტის ეს ნაწილი – წინადადებიდან: „1823-სა წელსა დავიწერე ჯვარი...“ ბოლომდე დაბეჭდილია „ქართული მწერლობის“ მე-9 ტომში.

271. **11-ს დეკემბრის ღამეს ... რაღაც საშინელებამ გაგვაღვიძა** – შეთქმულები 1832 წლის 11-12 დეკემბერს დააპატიმრეს.

272. **„ერთი პოლშის გადადგომა რუსეთიდგან ...“** – იგულისხმება 1831 წლის პოლონეთის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამ არეულობის გამოყენებას აპირებდნენ ქართველი შეთქმულები თავიანთ სასარგებლოდ.

272. **ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთვის შვილი** – ელიზბარ ერისთავი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური.

274. **„ჩემი კატინაც ერია ჩუენს საქმეში, სხუანი ქართველი ქალებიც ბევრი...“** – ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, შეთქმულებაში მონაწილეობდა ბევრი ქალი. მათ შორის რამდენიმე დაკითხეს და დასაჯეს. სხვათა დაფარვა მოახერხეს შეთქმულებმა. მათი ვინაობა ჩვენთვის უცნობია. შეთქმულების მონაწილე ქალთა სახელები ზმებით ჩამოთვლილია სოლომონ რაზმაძის ლექსში „დიანას მეჯლიში“, რომელიც ალექსანდრე ორბელიანმა გამოაქვეყნა „ცისკარში“. ეკატერინე ბარათაშვილი, შეთქმულთა დავალებით ქართულ დროშებს კერავდა.

275. **„მეტეხის საპყრობილის ციხისაკენ შევბრუნდი“** – ალექსანდრე ორბელიანი მზად იყო ჰეროიკული აღსასრულისთვის. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ იმითაც დააკნინა შეთქმულების მნიშვნელობა, რომ „დამნაშავენი“ ავლაბრის ყაზარმებში მოათავსა.

276. **„ყოველი საქმე დღიურ ზაპისკებად ეკეთებინა“** – ალექსანდრე ორბელიანის აზრით, ყოველდღიური ჩანაწერების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ ინფორმაციის მოგროვება და დამახსოვრება, რაც იასე ფალავანდიშვილს მიუწოდებია გამოძიებისათვის.

277. **„პირველის ოჯახის თავადიშვილის ქალი შეირთო ცო-**

ლად“ – სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ ფალავანდიშვილს ცოლად ჰყავდა მარიამ ლუარსაბის ასული ორბელიანი. ეს ლუარსაბ და მისი ძმა დავითი ივანე სარდლის შვილები არიან. ორივე მონაწილეობდა შეთქმულებაში, მხოლოდ დავითი 1830 წელს გარდაიცვალა.

279. **მერვეს დღის დილაზე გავტყდი** – ამას ადასტურებს 16 დეკემბრის ჩვენება, რომელშიც ალექსანდრე ორბელიანი ჯერ კიდევ კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას და მხოლოდ 18 დეკემბრიდან იწყებს „აღიარებას“ (იხ. ჩვენებები, ხუთტომეული, ტ. V).

279. **„ლიანდაში უსუდოდ გაგზავნეს“** – ხელმწიფის გადაწყვეტილებით, იასე ფალავანდიშვილი „დაინიშნა უნტეროფიცრად ფინეთში განლაგებულ ერთ-ერთ პოლკში“. რამდენიმე წლის შემდეგ იასე გაამწესეს არხანგელსკის გუბერნიის სოფელ უსტ-ცილმაში მეტყევედ. სამუდამოდ იქ დარჩა და იქვე გარდაიცვალა (იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983; როსტომ ჩხეიძე, „იასე-იანუსი“, თბ., 2008; თამაზ ჯოლოგუა, „პეჩორის თავადი“ – მოგონება იასე ფალავანდიშვილზე, არტანუჯი, თბ., 2013).

282. **„ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის დედები მწუხარებით დაიხოცნენ თავიანთი შვილების დაჭერაზე“** – ძნელი სათქმელია, ზუსტად ვინ ჰყავს მხედველობაში ალექსანდრე ორბელიანს, მაგრამ შეუძლებელია, არ გაგვახსენდეს შვილის პატიმრობის დროს გარდაცვლილი დედა გრიგოლ ორბელიანისა – ერეკლე მეფის შვილიშვილი, ხორეშან ანდრონიკაშვილი ან თუნდაც შვილის გადასახლების დროს გარდაცვლილი დედა ალექსანდრე ჭავჭავაძისა, მარიამ ავალიშვილი. ვინ იცის, კიდევ რამდენი დედა შეიწირა მწუხარებამ და დარდმა.

290. **„შენც ჩემსავით მაგრა იყავ და უბედურებას ნუ გაუტყდები“...**– თეკლე ბატონიშვილის დარიგება, რომლითაც გამოემშვიდობა გადასახლებაში მიმავალ შვილს, წერია სხვა თხზულებაშიც– „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა“. თუმცა „ჭეშმარიტ სიყვარულში“ ავტორს თვითონვე გადაუხაზავს ეს სიტყვები, მაგრამ მივიჩნიეთ, რომ ამ

გამომშვიდობებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აღვადგინეთ და აქაც გავიმეორეთ დახრილი ასოებით.

ცოტა ჩემი გამოცდილებანი (297)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S:1659-გ
თარიღი: 1841 წელი
ხელმოწერა: თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი 1841-ს წელს ქ. ტფილისს.

იბეჭდება პირველად

თავს გადახდენილი სხვადასხვა განსაცდელის შესახებ ალექსანდრე ორბელიანს „ჭეშმარიტ სიყვარულშიც“ აქვს მოთხრობილი. თუმცა ამ ორ ტექსტში აღბეჭდილი შემთხვევები (ერთი ეპიზოდის გარდა) არ ემთხვევა ერთმანეთს. „ცოტა ჩემი გამოცდილებანი“ საყურადღებო დეტალებით ავსებს მწერლის ბიოგრაფიას და იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში დაწვრილებითაა აღწერილი მასობრივი კრივი, რომელიც ძველი თბილისისთვის დამახასითებელი მოვლენა გახლდათ.

თავიდან თხზულებას წერილის ფორმა ჰქონია. ავტორი დედას – თეკლა ბატონიშვილს მიმართავდა. შემდეგ შეუცვლია და საბოლოოდ გაბმული თხრობა დაუტოვებია. რადგან მწერლის თავდაპირველი ჩანაფიქრი საყურადღებოდ გვეჩვენა, გადახაზული ადგილებიც ძირითად ტექსტში დავბეჭდეთ, მხოლოდ – დახრილი ასოებით.

297. „საქართველოშივე იყო და ჯერ რუსეთს არ წაეყვანათ“– დარეჯან დედოფალი რუსეთში გადაასახლეს 1803 წლის ნოემბერში.

300. „ლუარსაბ ორბელიანის გამოჩენილი ქორწილი იყო“– ლუარსაბ იოანე სარდლის შვილს ცოლად ჰყავდა ანა თამაზ ეშკაღაბაშის ასული ორბელიანი.

300. „ტორმუსოვი იქ იყო“– ტორმასოვი ალექსანდრ პეტრეს ძე, საქართველოს მთავარმართებელი 1809-11 წლებში.

300. „სულხან ბეგთაბეგოვის დიდს დარბაზში“– ამ ქორწილს ახსენებს ალექსანდრე ორბელიანი თხზულებაში „რუსების დასი ქართველები ჩემზედ“ (იხ. ხუთტომეული, ტ. III).

309. „ამგვარს საშიშს საქმეებსა არ მარიდებდნენ“– „ახლა პუპლიაც“ (იხ. ამავე ტომში) ადასტურებს, რომ კრივში მონაწილეობის გამო არათუ არ სჯიდნენ, კიდეც აქებდნენ ყმაწვილებს. საერთოდ, ალექსანდრე ორბელიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვის აღზრდის საკითხებს. ამიტომაც საგანგებოდ შენიშნავს, „ეს მთელი ქართველების ჩვეულება ასე იყო, რომ თავის შვილებს ყოველს საშიშს განსაცდელში ზდიდნენ: უშიშარი ვაჟკაცი გამოვაო“.

ჩემი რუსეთიდგან მოსვლის შემდეგ (310)

ხელნაწერი: ავტოგრაფი T 16296-ხ
თარიღი: [1846 წლის ივნისი]
ხელმოწერა: თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი

იბეჭდება პირველად

ვათარიღებთ ტექსტში ნახსენები რეალიით.

თეკლე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1846 წლის 11 მარტს, თბილისში. დაკრძალულია სვეტიცხოველში, მამის, ერეკლე II-ის გვერდით, სადაც ადგილი გამზადებული იყო „საფლავად მესამისა და უკანესკნელის მეუღლისა მისისა დედოფლის დარიასათვის, რომელიც გარდაიცვალა და დაფლულ არს პეტერ-ბურხს“ (პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936წ.,).

დედასთან ალექსანდრეს განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა აკავშირებდა, რაც მკაფიოდაა აღბეჭდილი ამ პატარა ჩანაწერშიც. ექვთიმე თაყაიშვილი წერდა (თამარ გოგოლაშვილ-პაპავას მიერ 1937 წელს პარიზში გამოცემული წიგნის – „დიდი სახ-

ეები პატარა ჩარჩოებში“ – წინასიტყვაობის სქოლიოში): ვისაც ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები „გადაუკითხავს, დაინახავდა, თუ რა მოკრძალებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობა ყველაფერში დედას ალექსანდრე. თეკლა მისთვის ღმერთია; მის დაუკითხავად და რჩევის გარეშე ალექსანდრე არაფერს არ აკეთებს; ის დედასთან ყველაფერში გულახდილია“.

მოგონებაში ნახსენებია, რომ მწერალი იმავე წლის ივნისში წავიდა სოფელ კაზრეთში, რათა საქმისთვის მიეხედა. მაშასადამე, ტექსტი 1846 წლის ივნისის შემდეგაა დაწერილი.

ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი (312)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2490-ა
თარიღი: 1845-ს წელსა, ოკტონბერსა.
ხელმოწერა: თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი ქ. ტფილისს.

იბეჭდება პიველად

ალექსანდრე ორბელიანს აქვს ორი ნაწარმოები დაახლოებით ერთნაირი სათაურით. 1. ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი და 2. ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან ჯამბაკურიან-ორბელიანი. მწერალი ორივეში გვაცნობს გადმოცემებს საკუთარი გვარის წარმოშობის შესახებ. გარდა ამისა, უშუალოდ საკუთარ წინაპრებს გვაცნობს სხვა თხზულებებშიც („ჩემი მშობლები“, „ჩემნი მშობელნი“...). ზოგი რეალია თუ დეტალი ერთ მათგანშია მკაფიოდ და სრულად წარმოჩენილი და სხვაგან მხოლოდ ნახსენები, ზოგიც – პირიქით. ამ წერილებში მოთხრობილი ამბები ავსებს ერთმანეთს და მკითხველს სრულ წარმოდგენას უქმნის ორბელიანთა წინაპრებზე. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექსტში ავტორის ნებით, მოზრდილი მონაკვეთები გადაშლილია და ნაწილობრივ სხვა თხზულებებშიც მეორდება, მათი დიდი მნიშვნელობის გამო მაინც აღვადგინეთ, შევიტანეთ ძირითად ტექსტში და ვბეჭდავთ დახრილი ასოებით.

ალექსანდრე ორბელიანის თქმით, ორბელიანებსა და ბარათაშვილებს საერთო წინაპარი ჰყოლიათ. სამხრეთში, კერძოდ, ს. ტანძიაში მცხოვრები ბარათაშვილები იგივე ორბელიანები ყოფილან და ჩრდილოეთში მცხოვრებნი კი – ბარათაშვილები. თხზულებაში აღწერილია ამბავი ბარათაშვილების თავდასხმისა ორბელიანებზე. იგივე ამბავი ნახსენებია სხვა თხზულებაშიც („ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან ჯამბაკურიან-ორბელიანი“).

შემთხვევით გადარჩენილი 13-14 წლის ყმაწვილი ყაფლან ორბელიანი სათავეს უდებს შემდეგ ორბელიანთა იმ შტოს, რომლებიც ყაფლანიშვილებადაც იწოდებიან. ყაფლანია უშუალოდ ალექსანდრეს წინაპარიც. ყაფლანიშვილობა განსაკუთრებით ეამაყებოდა გრიგოლ ორბელიანს.

მწერლის ცნობებზე დაყრდნობით შევადგინეთ რამდენიმე მცირე ტაბულა ორბელიანთა გენეალოგიისა ყაფლანიდან დაწყებული.

იხ. ტაბულები: ტაბულა 1, ტაბულა 2, ტაბულა 3.

322. „ცალკე შემდგომად აღმიწერია ეშკაღაბაში რად დაარჩო ნადირშამა“ – იგულისხმება „ჩემნი მშობელნი“ (იხეჭდება ამავე ტომში), რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ როგორ ჩამოახრჩვეს ელიზბარ ეშკაღაბაში ნადირშაჰის ბრძანებით.

ტაბულა I


ყაფლან
პაპუნა
ასლან
ორბელ ანუ ვახტანგ
თამაზ (ეშკაღაბაში)
გიორგი
როდამ + შანაოზ მეფე (ვახტანგ V)
სულხან, ყოფილი საბა
ერასტი (ბოქაულთ-უხუცესი)
ვახუშტი
ყაფლან
ზაალ (ყოფილი ზოსიმე)
ნიკოლოზ (თბილელი მიტროპოლიტი)
ზურაბ
დიმიტრი დედოფლის სახლთუხუცესი
ბანგუა + გივი ამილახვარი
ვახტანგ
ანა (დანიშნული იყო ერეკლე II-ზე)
ელიზბარ ეშკაღაბაში + ელენე ჩიჯავაძე (ვახტანგ VI-ის დის, ხვარამზეს შვილი)
ზურაბ
პაპუნა
გორჯასპი
ორბელ
ქაიხოსრო
დიმიტრი
ყაფლან
ზაალ (ზაქარია)
პაპუნა
გიორგი
ბერი დიმიტრი
ზურაბ
ივანე
ვახტანგ
დიმიტრი
ვახტანგ
ეკატერინე + გიორგი ჩოლოყაშვილი
გუქა + გორჯასპ ნათალიშვილი
დიმიტრი
ბეგლარ
ყაფლან
გიორგი
ლუარსაბ (ივანე)
სოფიო + ბეზაკი (რუსი ჩინოვნიკი)
მარია ივანოვნა
ალექსანდრე + ეკატერინე ბარათაშვილი
დიმიტრი + მარია ივანოვნა
ვახტანგ + ეკატერინე ელინსკაია

ტაბულა II


ყაფლან
პაპუნა
ასლან
ორბელ ანუ ვახტანგ
თამაზ (ეშკაღაბაში)
გიორგი
როდამ
ქაიხოსრო
ქაიხოსრო
რევაზ
დავით (მეფე ირაკლის სარდალი და სიძე)
ნიკოლოზ
თინათინ + სოლომონ თარხნიშვილი (მეითარი)
ივანე (იოანე სარდალი)
ელენე + შანშე ერისთავი
ელისაბედ
ლუარსაბ + ანა ორბელიანი
დავით + მანანა ერისთავი ორბელიანი
სალომე + ალექსანდრე ჭავჭავაძე
ელიზბარ ერისთავი
მელანია+ მელნიკოვი
გიორგი
ზურაბ
ასლან
იოსებ
იაკობ
სამარაღდო
ქაიხოსრო
ალექსანდრე
ანტონი
კონსტანტინე
ესტატე
ბარბარე+ალექსანდრე საგინაშვილი
თამარი + სანკოვსკი
ბარბარე + ივანოვი
ეკატერინე (სოფო)
გრიგოლ
ზაქარია
ილია
ეფემია + მელიტონ ბარათაშვილი
ნიკოლოზ ბარათაშვილი

ტაბულა III


ყაფლან
პაპუნა
ასლან
ორბელ ანუ ვახტანგ
თამაზ (ეშკაღაბაში)
გიორგი
როდამ
მამუკა
დიმიტრი ეშკაღაბაში + ანა (ერეკლე II-ის და)
ჭაბუა (მზეჭაბუკ) ორბელიანი
(ერეკლეს მდივანბეგი)
მამუკა
დავით
თამაზ + ქეთევან ქობულაშვილი
დიმიტრი
(ღუბერსკის მარშალი,
ღენერალ-მაიორი)
მამუკა
(პოდპოლკოვნიკი)
ივანე
(ღვარდიის კაპიტანი)

ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან ჯამბაკურიან-ორბელიანი (325)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2490
თარიღი: 10-ს იანვარს 1852-სა წელსა.
ხელმოწერა: თ˜ა ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯ. ორბელიანი. ქ. ტფილისს.

თხზულებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მთელი ტექსტი შედგენილია როგორც ისტორიულ წყაროებზე, ისე ზეპირგადმოცემებზე დაყრდნობით („ზოგი ჩვენ ყაფლანიანთ სახლის მოხუცებულთაგან გამიგონია, ზოგი ქართლის ცხოვრებიდგან ვიცი, ზოგი ჩვენ მამაპაპათ წიგნებიდგან, ზოგი მოსე ხორენცის ძველი ისტორიდგან, ზოგი სტეფანე ორბელიანის დაწერილი ისტორიით და ამათგან შევადგინე ეს პატარა თხზულება ჩვენი სახლის ისტორიისათვის“, – წერს ალექსანდრე ორბელიანი). მოსე ხორენაცი თვითონვე გადაუშლია, მაგრამ ჩვენ აღვადგინეთ. ავტორს ბოლოს გადაუხაზავს აგრეთვე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელშიც მსჯელობს ორბელიანთა სარწმუნოების შესახებ. ნაბეჭდში ესეც აღდგენილია. ჩვენი წინაპრები ძველ დროში სომხები ყოფილანო,– გვეუბნება მწერალი და, ცხადია, გულისხმობს სარწმუნოებას (XIX საუკუნეში სომხებად მოიხსენიებდნენ გრიგორიანული სარწმუნოების აღმსარებლებს, ფრანგებად – კათოლიკეებს...). შემდეგ დასძენს, არ ვიცი, როდის მიუღიათ საბერძნეთის სარწმუნოებაო. ბუნებრივია, საბერძნეთის სარწმუნოებაში მართლმადიდებლობა იგულისხმება.

მთელი თხზულება უაღრესად საყურადღებოა. ალექსანდრე ორბელიანის ზოგი დაკვირვება ზუსტია და ასევეა ასახული თანამედროვე ისტორიოგრაფიაშიც. ზოგი იქნებ არც არის გაზიარებული, მაგრამ ინტერესს მოკლებული არც ამ შემთხვევაშია.

325. **„ვახუშტი რომ ამბობს“** – ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757), ვახტანგ VI-ის ძე. სწავლული, ისტორიკოსი, გეოგრაფი, პირველი ქართველი კარტოგრაფი... გარდაიცვალა მოსკოვში.

325. **სომხითი** – XVII-XVIII საუკუნეებში სომხითი ერქვა ბოლნის-შულავერის ტერიტორიას.

326. მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“ არის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ კამათობენ ბარათაშვილ-ორბელიანები, რომელ გვარს უფრო მეტი გაუკეთებია ქვეყნისთვის. ალექსანდრე ორბელიანის მიხედვით, ორივე გვარი საერთო წარმომავლობისაა: ჯერ ბარათაშვილები გაჩენილან ორბელიანების გვარში – ვინმე გამოჩენილი, ცნობილი ბარათას სახელი გვარად გახდომია შთამომავლობას. ხოლო ყაფლანს, ბარათაშვილს, რაკი სახლიკაცები დაპირისპირებიან, ძველი გვარი, ჯამბაკურიან-ორბელიანი აღუდგენია (ამიტომაც იწოდებოდნენ ზოგჯერ ყაფლანიშვილებად). ორბელიანებისგან გამოყოფილ გვარად მიაჩნია მწერალს ქაჩიბაისძეებიც. სქოლიოში ჩამოთვლის სხვა გვარებსაც, როგორც ორბელიანების განაყოფებს (აბაშისშვილებს, ზურაბისშვილებს, იარალისშვილებს, სოლოღაშვილებს).

გიჟი აღალუა (330)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ე
თარიღი: 11-ს დეკენბერს. 1854-ს წ.
ხელმოწერა: თ˜ა ალექსანდრე ჯ. ორბელიანი ს. კაზრეთს.

იბეჭდება პირველად

ამ მცირე ჩანაწერმა მკითხველს შემოუნახა XIX საუკუნის თბილისის მკვიდრის, როგორც მწერალი უწოდებს, გიჟი აღალუას სახელი და ამით გააცოცხლა, მოგვიახლოვა, ძალიან ხელშესახები გახადა მაშინდელი ყოფა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ასოციალური ადამიანები, რომელთაგან სიბრძნეს კი არა, ოდნავ ჭკვიანურსაც არავინ მოელის, ზუსტად ხვდებიან დაფარულს და მომავალსაც სწორად წინასწარმეტყველებენ ხოლმე.

ორბელიანთ ამბავი (330)

ნაბეჭდი: ჟ. „ცისკარი“, 1858 წ. # 9, გვ. 57-62
თარიღი: [1859]
ხელმოწერა: თ. ალ. ჯ. ორბელიანი

330. **„ორბელიანთ ნათესავი ჭინელთ (ჩინელთ) ნათესავთაგან არიან“**– დიდგვაროვნები საგანგებოდ თხზავდნენ ხოლმე ლეგენდებს საკუთარი გვარის უცხოური წარმომავლობის საჩვენებლად. ამით თავიანთ გამორჩეულობას აღნიშნავდნენ. ეს პუბლიკაცია ცხადყოფს, რომ ალექსანდრე ორბელიანს დამაჯერებლად მიაჩნია თქმულება ორბელიანთა წინაპრის ჩინეთიდან ჩამოსვლისა და ორბეთში დამკვიდრების შესახებ. კითხვა-პასუხის ფორმით სომხურად დაწერილი და ქართულად თარგმნილი ეს თხზულება დიდად აქებს ორბელიანების ღვაწლსა და დამსახურებას ქართული სახელმწიფოს წინაშე და უეჭველს ხდის სომეხი ორბელიანების (ვორბელიანების) ქართულ წარმოშობას.

330. **სტეფანე მდივანოვი** – სავარაუდოდ, არის მამა წიგნების ცნობილი შემდგენელ-გამომცემლის სერგეი მდივანოვისა.

ჩემი ქალი მარიამ (ყმაწვილობისას მაიკო.) (334)

ხელნაწერი: ავტორიზებული K S: 1663
თარიღი: 27-ს იანვარს 1862-სა წელსა.
ხელმოწერა: თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი ქ. თფილისს.
მინაწერი: ამ დამდეგს წელს ძლივს გავათავე ესა.

იბეჭდება პირველად.

35-ე გვერდამდე დარიას ხელითაა ნაწერი. მერე სხვისი ხელითაა დაწერილი მელნით. ნასწორებია ფანქრით თვითონ ალექსანდრე ორბელიანის მიერ. ბოლო აბზაცი ავტორის ხელია ფანქრით.

334. „რამთენი შვილები დაგვეხოცა მე და ჩემს ეკატერინეს“– ალექსანდრე ორბელიანსა და ეკატერინე ბარათაშვილს სულ შესძენიათ შვიდი შვილი. ამათგან უმრავლესობა ბავშვობაშივე გარდაიცვალა, მარიამი (მაიკო) გარდაიცვალა 22 წლისა. მშობლებს ერთადერთი ქალი, დარეჯანი (დარია) შერჩათ. გარდაცვლილი შვილების სახელები ამავე თხზულების ბოლოსა აქვს ჩამოთვლილი მწერალს: ირაკლი, გრიგოლ, ნიკოლოზ, დავით, მარიამ, ელენე.

341. მარია ივანოვნა – მარიამ ივანეს ასული ორბელიანი. ალექსანდრე ორბელიანის ძმის, დიმიტრის, ცოლი.

343. ლიზიკო – ელისაბედ ორბელიანი. ალექსანდრე ორბელიანის ძმის, დიმიტრის, ასული.

343. ვლადიმირ დავიდოვ-გრამონი – ელისაბედ (ლიზა) ორბელიანის პირველი ქმარი, საქართველოს მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტი. შემდეგ ლიზა ქმარს წაართვა და ცოლად შეირთო თვითონ ბარიატინსკიმ.

344. „ფრანცუცმა, მოხუცებულმა სესტომამ პანსიონი გახსნა“– XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ბევრი კერძო სასწავლებელი არსებობდა. მათ შორის ერთ-ერთია, როგორც ჩანს, სესტომას გახსნილი პანსიონიც.

344. „ყმაწვილი ქალების ინსტიტუტი გახსნეს სახელმწიფომ“– 1840 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი.

350. „ჩემი რძლის კატინკას და ნინა“– ალექსანდრე ორბელიანის რძალი, უმცროსი ძმის, პოეტ ვახტანგ ორბელიანის ცოლი იყო ეკატერინე ილინსკაია (დაქორწინდნენ 1842 წელს). ამ ეკატერინეს მამა, ვასილ ივანეს ძე ილინსკი, იყო ბარათაშვილის უფროსი „სუდა ი რასპრავაში“.

350. ბატოიშვილი ალექსანდრე – ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844). იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 1832 წლის შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ნავარაუდები იყო მეფედ. არის არამარტო საქართველოს, არამედ კავკასიის გმირი. ლეგენდის მიხედვით, მფრინავი ცხენი ჰყავდა და მისი წყალობით გადაურჩა რუსებისგან შეპყრობას. საქართველოდან გაქცეული ცხოვრობდა

სპარსეთში, იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია სომხური ეკლესიის გალავანში (ვრცლად იხ. როსტომ ჩხეიძე, მზის რაინდი – ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 2011).

350. „ბატოიშვილი ირაკლი დედიჩემის სიცოცხლეში მოვიდა ქ. ტფილისში“– ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (1827-1882) დაიბადა სპარსეთში. ერთხანს ერევანში იზრდებოდა დედასთან, მარიამ აღამალოვასთან. იქიდან გამოიტაცეს დედასთან ერთად და შემდეგ გაგზავნეს პეტერბურგში, სადაც სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა. 1840-იან წლებში დაბრუნდა საქართველოში. პარიზში გაიცნო და დაუმეგობრდა ბერტა ფონ ზუტნერს, რომლის მოგონებებშიც წარმოდგენილია ირაკლი ბატონიშვილის რელიეფური და კოლორიტული პორტრეტი. ცოლად შეირთო დავით ჭავჭავაძის ასული თამარი („თამარა შამილოვნა“). იყო ეროვნული სულიერების მატარებელი. ირაკლი ბატონიშვილი გარდაიცვალა 1882 წელს. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში. მისმა დაკრძალვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. საზოგადოებამ ისეთი პატივი მიაგო, როგორსაც მეფეებს მიაგებდნენ ხოლმე.

351. „იტალიანური ოპერა რომ დააწესა კნიაზ ვარანცოვმა ქ. ტფილისში“– იტალიური ოპერა თბილისში 1851 წლის ნოემბერში გაიხსნა და მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. თამამშევის ქარვასლა, რომელშიც განთავსებული იყო ოპერა, მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით აიგო. ოპერის გახსნის ნებართვაც, ცხადია, მისივე გაცემული გახლდათ.

352. „ნორმა უნდა წარმოედგინათ“– საუბარია ვინჩენცო ბელინის ორმოქმედებიან ოპერაზე „ნორმა“.

357. სურავანდი – ავადმყოფობა. იგივე სკორბუტი, სხვანაირად ცინგასაც ეძახიან.

357. მაიკო – გარდაიცვალა 1855 წელს ქოლერით, 22 წლისა. დაკრძალულია ავლაბარში, დარეჯან დედოფლის მიერ აგებულ ფერისცვალების ეკლესიის ეზოში.

ახლა პუპლია (363)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1634-14
თარიღი: 1864 წლის 18 ივლისი
ხელმოწერა: თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი, ს. კაზრეთში.

იბეჭდება პირველად

362. **„მე შკოლაში რომ ვსწავლობდი“** – იგულისხმება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც გაიხსნა 1802 წელს. ალექსანდრე ორბელიანი იქ სწავლობდა 1819 წლამდე.

362. **ბუკრინსკი – კ. ა.,** კოლეგიის ასესორი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

362. **„რომაელი პუბლი“**– იგულისხმება რომაელი პუბლიუს დეციუს მუსი, დიდი მხედართმთავარი.

ჩვენი ძველი სახლეულობანი (365)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:474
თარიღი: 28-ს მაისს 1869-ს წელსა ქ. ტფილისს.
ხელმოწერა: თ˜ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი

368. **ეშკაღაბაში თამაზ ორბელიანი** – (1769-1815) თამაზ მამუკას ძე – თამაზ ყაფლანის ძის შთამომავალი.

368. **ქეთევან ქობულოვი (ქობულაშვილი)** – დავით ქობულაშვილის ასული, თამაზ ორბელიანის მეუღლე.

369. სასამართლო დავები მე-19 საუკუნეში გროტესკულად აქვს დახატული გიორგი ერისთავს „დავასა“ და სხვა დრამატურგიულ თხზულებებში. უსამართლო სასამართლოების შესახებ წერს ალექსანდრე ორბელიანი არაერთ ნაწარმოებში. ამ თემას ეხება ალექსანდრე ჭავჭავაძეც თავისი ნარკვევის

(„საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი...“) ბოლო ნაწილშიც. რუსეთის მიერ შემოტანილი სისტემა სასამართლოებისა ეპოქის საჭირბოროტო სატკივრად წარმოგვიდგება.

370. თითქოს აქ აღწერილი საქმიანობა ძველი ქართველი ქალისა საგანგებოდ აქვს დაკნინებულ-დამცირებული, გამასხარავებული ილია ჭავჭავაძეს იმ ეპიზოდში, რომელშიც დარეჯანის „საქმიანობას“ ხატავს. ეს არის ნიმუში, დასტური იმისა, როგორ შეიცვალა რუსების ბატონობის დროს ნამდვილი ღირებულებები მოჩვენებითითა და ყალბით.

373. **განჯაფის თამაშობა** – იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით, სპარსეთიდან შემოტანილი ბანქოს მსგავსი თამაშია.

ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი (375)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K S: 1659-ბ

თარიღი: 1869 წლის 3 სექტემბერი

ხელმოწერა: თ˜ა. ა.ვახ. ძე ჯ. ორბელიანი. 3-ს სეკტენბერს 1869-სა წელსა. ქ. ტფილისს.

იბეჭდება პირველად

რუსული სიტყვების ახსნა:

სტრელოკები – მსროლელები.

სტარში კაპიტანი – უფროსი კაპიტანი.

სალდათები – ჯარისკაცები.

ატრიადი – რაზმი.

პადლეცი – ნაძირალა.

რაპორტი – ანგარიში, მოხსენება.

როტა – სამხედრო ქვეგანყოფილება, ჩვეულებრივ, ბატალიონის შემადგენლობაში.

შტაბკვარტერა – მთავარი ოფისი, სათაო ოფისი.

პახოტი – ლაშქრობა.

პერედნა – შესასვლელი, დერეფანი, ჰოლი. სქოლიოში თვითონ მწერალი ხსნის, როგორც დერეფანს.

უნკერი – იუნკერი, ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურე, ჯერაც მოსწავლე.

სანა – მარხილი.

დენშიკი – ჯარისკაცი, რომელიც ოფიცერს ემსახურებოდა.

ქუჩერი – მეეტლე (ის, ვინც ცხენებს მართავს მარხილში).

არდინარცი – მოკავშირე.

იემშიკი – მეეტლე.

375. **„ათი წლისას მე მამა აღარ მყუანდა“**– ალექსანდრე ორბელიანის მამა, პოლკოვნიკი ვახტანგ ორბელიანი 1812 წელს, კახეთის აჯანყების ჩახშობის დროს მოკლა ერთმა მეამბოხემ.

376. **„ეს არის ჩუენი ძუელი გაზდილობა“**– ალექსანდრე ორბელიანი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა ყმაწვილის აღზრდის საკითხს. საუკეთესოდ მიაჩნდა ძველ საქართველოში არსებული შინაური (საოჯახო) აღზრდა. ამ თემაზე არაერთ ნაწარმოებში საუბრობს. ცნობილია, მომავლის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში ბავშვის აღზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს სამოციანელებმა. ამ თვალსაზრისითაც ალექსანდრე ორბელიანი მათი (ქართველი სამოციანელების) წინამორბედია.

376. **„უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართუელოში“**– ალექსანდრე ორბელიანის ცნობით, ძველ საქართველოში გინება საერთოდ არ სცოდნიათ. მხოლოდ რუს „მუჟიკებს“– დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს, ძირითადად, ალბათ, სამხედროებს – დაუმკვიდრებიათ გინება საქართველოში.

376. **„გლეხი კაცებისაც... თავის სახლში უმანკოებითა“**– მწერალი სხვა თხზულებებშიც ხატავს გლეხების (მოსამსახურეთა) ზრდილობას, ერთგულებას, ვაჟკაცობას, პატიოსნებასა და სხვა საუკეთესო თვისებებს. ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება გლეხების შესახებ ძალიან ახლოსაა შემდეგ ხანებში ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის მიერ დამკვიდრებულ„ხიდჩატეხიობისა“ და „საერთო ნიადაგის“ თეორიებთან.

376. **„ჩემსა აღწერილსა დუბროვინის ჩემს პასუხში“** – იგულისხმება ალექსანდრე ორბელიანის პოლემიკური სტატია „დუბროვინის მიმართ პასუხი“ (იხ. ამ გამოცემის მე-3 ტომი).

377. **ფრუნტი** – ფრონტი, აქ: სამხედრო საქმე.

378. **ინვალიდი** – „რუსკი ინვალიდ“ იყო რუსულენოვანი სამხედრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1813-1917 წლებში.

379. **კუმირი** – კერპი.

381. **„რომის ფუნჯსა ვსომდით“** – რომი სპირტიანი სასმელია, რომლის რამდენიმე სახეობა არსებობს. ალექსანდრე ორბელიანი ცოდვად მიითვლის გადაჭარბებულ სმასაც. ალკოჰოლიანი სასმელების უზომო სმა რუსეთის იმპერიაში საერთოდ და, კერძოდ, რუსულ სამხედრო ნაწილებში ძალიან მიღებული იყო.

381. **„ეკოსიეს, ვალცსა, კადრილსა და მაზურკას“** – ევროპული ცეკვებია. XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში პოპულარული გახდა ევროპული ცეკვები. ალექსანდრე ორბელიანი მიეასალმება ევროპული კულტურის, მათ შორის, ცეკვების დამკვიდრებასაც ჩვენში (იხ. მისი „თელავი“. ამ გამოცემის, ტ. II).

381. **მაიორის კ. ცოლი ა...ი...** – არ ვიცით, ვისი ინიციალებია.

382. **დავით ორბელიანი** – სარდალ ივანე ორბელიანის ვაჟი. ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლის, სალომე ორბელიანის ძმა. ალექსანდრე ორბელიანი და დავითი ნათესავები იყვნენ დედის მხრიდანაც და უფრო შორეულად – მამის მხრიდანაც. დავითის ცოლი იყო მანანა ერისთავი(ორბელიანი), „ქართველ რეკამიედ“ წოდებული. დავითსა და მის ძმასთან – ლუარსაბთან მეგობრობდა ალექსანდრე ორბელიანი. 1832 წლის შეთქმულების მზადებისას განსაკუთრებით დავითის იმედი ჰქონია, მაგრამ დავითი ადრე, 28 წლისა გარდაიცვალა 1830 წელს.

382. **პავლე თუმანიშვილი** – იოსების ძე. მწერლის ბავშვობის მეგობარი. ალექსანდრე ორბელიანის სხვა ავტობიოგრაფიული თხზულებების პერსონაჟიც.

382. **მირზაჯან მადათოვი** – ყარაბაღელი სომეხი. განთქმული მოქეიფე და თამადა. გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზში „სუ-

ლით ერთნო...“ მოხსენიებულია, როგორც „ლხინის პაპა“. ბეგობრობდა ბევრ ქართველ მოღვაწესთან. გრიგოლ ორბელიანმა ჯერ კიდევ ცოცხალ მეგობარს ხუმრობით მიუძღვნა ლექსი „მირზაჯანას ეპიტაფია“.

384. **„იმისი ამბავი ცისკარში მაქვს დაბეჭდილი“**– ალექსანდრე ორბელიანი გულისხმობს ჟურნალ „ცისკრის“ 1868 წლის №2-ში გამოქვეყნებულ სტატიას „ტოლუბაშობა“, რომლის პერსონაჟიც არის მ. მ. ანუ მირზაჯანა მადათოვი.

386. **„გრიბაედოვიც ამისი სიძე რომ შეიქნა“**– საუბარია რუს მწერალსა და დიპლომატ ალექსანდრ გრიბოედოვზე, რომელმაც ცოლად შეირთო დავით ორბელიანის დის – სალომე ორბელიანისა და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ნინო. როგორც ჩანს შეთქმულებს სურდათ, რაც შეიძლება მეტი გავლენიანი უცხოელი გადაებირებინათ თავისკენ და ამ ქორწინების შემდეგ იმედი მიეცათ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის (თვითონ შეთქმულების აქტიური მონაწილის) სიძე, სახელოვანი რუსი, თავიანთ საქმეში გამოადგებოდათ. არადა იგი საქართველოში ჩამოსული იყო ქართველთა აყრისა და რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლების გეგმით.

387. **საზანდრები** – იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ საზანდარი ასეა ახსნილი: „ლიხსიქითა მცხოვრებნი საზანდარს მესტვირეს ეძახიან“ („გუთანი“, 1914 წ., ლექსიკ. გვ. 394).

387. **დაირა** – აღმოსავლური დასარტყმელი მუსიკალური ინსტრუმენტი. იოსებ გრიშაშვილი: „ზოგს დაირა ნაღარა ჰგონია“.

387. **თარი** – აღმოსავლური სიმებიანი მუსიკალური საკრავი.

387. **ჭიანური** – ქართული ხალხური ხემიანი საკრავი. იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“: „ს. ოჰანეზაშვილმა ჭიანურის მნიშვ. ასე ამიხსნა: ჭიანური არაბთა სასულიერო და სამოძღვრო საკრავია. შესდგება ოთხი ნაწ.-საგან. ... საქ. – ში შემოიღეს VII საუკ.“

387. **დიმპლიპიტო** – იგივეა, რაც დიპლიპიტო. იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვით, „საკრავი (ნაღარა). ტყავგადაფარებული ორი ქილა...“

387. **მომღერალი ალავერდა** – XIX საუკუნის თბილისში ცნობილი

მომღერალი და არისტოკრატიული ოჯახების ხშირი სტუმარი, ლხინის სული და გული. ალავერდას ახსენებს გრიგოლ ორბელიანიც ერთ-ერთ მუხამბაზში:

სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით,
თასით, ჯამით, ყანწით, ა ზარფეშებით!
ლხინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილებით;
ალავერდა დასვით თარით ნაქებით,
ყოჯა ბულბულტკბილის ხმით აღუღუნეთ,
დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!..

პოეტი შენიშნავს: ალავერდა „იყო გამოჩენილი მომღერალი მეფეებისვე დროს.“ ალავერდა მოხსენიებული ჰყავს იოანე ბატონიშვილსაც „კალმასობაში“.

388. **„იმერლები გვყვანან, ... რომელთაცა სოფლური სიმღერები უცხოთ იციან“**– ალექსანდრე ორბელიანი ერთ-ერთია, ვინც ყურადღება მიაქცია ქართულ სიმღერებს და მაშინ ჩვენში მოდურ აღმოსავლურ ხმებს წმინდა ქართული ამჯობინა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მოსწონდა იმერული ღიღინები. (იხ. „ივერიანელების სიმღერა, გალობა, ღიღინი“. წინამდებარე გამოცემა, ტ. II).

388. **ჩარექი** – ერთი მეოთხედი.

392. **„მელნიკოვის სახლში, რომელსაცა ლუარსაბის დისწული ჰყუანდა ცოლად“** – ანდრეი მელნიკოვი იყო თბილისის პოლიცმეისტერი. უკრაინელი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. ცოლად ჰყავდა შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის, ელიზბარ ერისთავის და, მელანია ერისთავი. ელიზბარისა და მელანიას დედა გახლდათ ლუარსაბ ორბელიანის და – ელენე.

395. **ლალა** – გამზრდელი. თევდორეს გარდა, ალექსანდრე ორბელიანი ლალად მოიხსენიებს ბერელასა და ოთარას.

396. **ჩოლოყაშვილი თადია** – იხ. „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა“, (გვ. 525).

396. **დავით მუხრანბატონი** – ქეთევან ერეკლეს ასულ ბაგრატიონისა და იოანე ბუხრანბატონის ვაჟი, მწერლის დეიდაშვილი.

396. **ბიძინა ქსნის ერისთვისშვილი** – რევაზ გიორგის ძე ქსნის

ერისთავისა და ანასტასია ერეკლე მეფის ასულ ბაგრატიონის ვაჟი, გიორგი ერისთავის (ატამანის) ძმა. ალექსანდრე ორბელიანის დეიდაშვილი.

401. **„ყველაზედ უდიდესი ცოდვა არის ჩემი...“** – ალექსანდრე ორბელიანს ბრძოლისას ერთი ჩერქეზი მოუკლავს, რაც მწერალმა კაცთმოყვარე ბუნების გამო უდიდეს დანაშაულად განიცადა და მთელი სიცოცხლე ამ ცოდვას ინანიებდა.

406. **„ჩემი დანიშნული“**– საუბარია ეკატერინე დავითის ასულ ბარათაშვილზე, რომელზედაც ალექსანდრე ორბელიანმა მალე (1823 წლის 8 ივლისს) ჯვარი დაიწერა.

406. **„ჩემი სიმამრი და სიდედრი“** – დავით და ბარბარე ბარათაშვილები.

407. **„მაგთენი ხანი აღარა მოვიცადერა, რომ მეც გადავდექი“**– ალექსანდრე ორბელიანს, როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, სამხედრო კარიერა მაინცდამაინც არ იზიდავდა. 1824 წელს მწერალმა სამხედრო სამსახურს თავი დაანება.

414. **„ჩათუქესანი მოსამსახურე“** – ჩათუქესანი მოქეიფეს, თავმომწონეს, ზრდილს, პატიოსანს ნიშნავს (იხ. იოსებ გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი“, თბ., 2023). „ორიოდე სიტყვაში“ წერდა ილია ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანის ერთი მუხამბაზის შესახებ: „თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი..“

415. **„ჩვენი შააბაზის ვეზირია მირზაჯანა“** – მირზაჯანა მადათოვს ერმოლოვის „შპიონს“ უწოდებს ალექსანდრე ორბელიანი. მაშასადამე, ერმოლოვი იგულისხმება „ჩვენს შაჰაბასში.“

417. **„უბედურის ბატოიშვილის დავითისა ეს ლექსი“**– იგულისხმება დავით გიორგის ძე ბატონიშვილის „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“.

423. **„მინამ რუსეთს წამიყვანდნენ“** – მწერალი გულისხმობს 1832 წლის შეთქმულების მეთაურობის გამო მიღებულ სასჯელს რუსეთში, კერძოდ, ორენბურგში გადასახლება.

423. **„თუ ესეც ითქმის ჩემს ცოდუათ, კიდევ ეს არის, რომ მე რუსები საქართუელოში არ მიყუარან, მინდა აქედგან**

ასე გადიკარგნენ, რომ საქართუელოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთშიკი ბედნიერათ იყვნენ.“ – ალექსანდრე ორბელიანს რუსთმოძულე შეარქვეს. თუმცა მშვიდობიანი ხასიათის გამო ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამონახვა, მათ შორის – რუსებთანაც. ზოგ მათგანს ძალიან თბილად იხსენიებს მემუარებში. ეს ამონარიდიც იმას ადასტურებს, რომ მწერალი არ იყო ქსენოფობი. მას დამპყრობელი სძულდა და არა რომელიმე ერის წარმომადგენელი.

424. **„ივან ანტონიჩ პრიბილს, გამოჩენილს დოხტურთან წაველ“** – პრიბილი XIX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ცნობილი ექიმია თბილისში. ეროვნებით გერმანელი. ალექსანდრე ორბელიანი მეგობრობდა კიდეც მასთან.

424. **„ის ჩემი წაყვანა მაქვს აღწერილი“** – იგულისხმება ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა“. იხ. ამავე ტომში.

425. **„იმის აღწერაც მაქუს“** – იგულისხმება „ჭეშმარიტი სიყვარული“. იხ. ამავე ტომში.

425. **ადუტანტი ჩილაევი** – სერგეი გაბრიელის ძე ჭილაშვილი. ფრჩხილებში საგანგებოდ შენიშნავს: ქართუელი, თუმცა თავის „რუს ნაცნობებში“ (იხ. ამ გამოცემის ტ. V) ალექსანდრე ამ ჩილაევს რუს ნაცნობთა შორის ასახელებს.

429. **ოქროს გრგოლის ხელთა** – ოქროს საქორწინო ბეჭედი.

431. **ფარეზი** – დიეტა. იოსებ გრიშაშვილი „ქალაქურ ლექსიკონში“ ალექსანდრე ორბელიანის ამ ფრაზას იმოწმებს: „ ...მხოლოდ ცარიელი ფარეზი სუფი მეჭამა“.

432. **ჯილავი** – აღვირი.

433. **სარქისა (საქუა)** – თბილისიდან წაყვანილი მოსამსახურე (სომეხი). პირად წერილებში ალექსანდრე ორბელიანი ხშირად ახსენებს სარქისას, რომლის სამსახურითაც თავდაპირველად კმაყოფილი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სარქისამ სმა დაიწყო და ბატონს წესიერად აღარ ემსახურებოდა, მწერალმა იგი გაუშვა (გააგდო) და სხვა მოსამსახურე დაიბარა (თბილისიდან).

442. **უფროსი ერთი** – უმრავლესობა, უმეტესობა, უფრო მეტი.

451. **„ეგება ჩემს მშობელს ქვეყანას გამოვადგე“** – ალექსან-

დრე ორბელიანი თავს ქვეყნის პატრონად და ჭირისუფლად გრძნობს. მძიმედ დასნეულებულსაც უპირველესად სამშობლო ახსოვს. შემდეგ საქართველოში დაბრუნებულსაც უთქვამს, ქვეყანას ჩემ გარდა პატრონი არავინ დარჩაო.

452. **„დუმონ დურვილის მოგზაურობა იმთენი ტომები წამიკითხა...“** – იგულისხმება ჟიულ დიუმონ დურვილი, XIX საუკუნის ფრანგი ბოტანიკოსი და კარტოგრაფი, საზღვაო ფლოტის ოფიცერი. მან შეისწავლა ავსტრალია, ახალი ზელანდია, ანტარქტიდა...

459. **„დედაჩემი გაგზავნილი იყო ჩემის ორის ძმებით“** – 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ალექსანდრე ორბელიანის დედა – თეკლა ბატონიშვილი და მწერლის ორი ძმა – დიმიტრი და ვახტანგი – ერთად გადაასახლეს ქ. კალუგაში.

463. **„აბა ეხლა დაიწყო იმათი შექცევა“** – ალექსანდრე ორბელიანი აღწერს უგვან, ხმაურიან, „მუჟიკურ“ ლხინს, რაც ჩვეულებრივად იყო მიღებული რუს სამხედროთა წრეში.

469. **დავით ფურცელაძე** – მთარგმნელი. თარგმნიდა რუსულიდან. ვოლტერის „ზაირაც“ რუსულიდან უთარგმნია. დავით ფურცელაძის შესახებ იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი, „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“, II, თბ., 1983. ალექსანდრე ორბელიანის ამ თხზულების მიხედვით, დავით ფურცელაძემ თუმცა გამომჟღავნებამდე შეთქმულების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ ყოფილა მამულის ნამდვილი მოყვარული და ეროვნული ცნობიერების კაცი. მასთან პიტიგორსკში ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს საქართველოზეო, საგანგებოდ აღნიშნავს მწერალი.

472. **ყორხმაზ მელიქოვი (1798-1858)** – ალექსანდრე ორბელიანის მეუღლის, ეკატერინე ბარათაშვილის ნათესავი. გიორგი გოზალიშვილის ცნობით, ყორხმაზ მელიქოვის ქარვასლაში უნდა მოწყობილიყო წვეულება, რომელზედაც დააპატიმრებდნენ და ამოხოცავდნენ საქართველოში მყოფ რუს მოხელეებს. უფრო სრულად იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი (1983 წ.).

474. **ქსნის ერისთავი გიორგი** – მწერლის დეიდაშვილი, ანასტასია ბატონიშვილის შვილი. გიორგის ორი ძმა ჰყავდა – შალ-

ვა და ბიძინა. ბიძინა ერისთავს მეორე ძმას უწოდებს ხოლმე ალექსანდრე ორბელიანი.

482. **ბორთველი** – საფულე.

494. **„ის 1840-ი წელი მარტის 6-ის დღის მეთერთმეტე საათი როგორ დამავიწყდება“** – ალექსანდრე ორბელიანი გადასახლებიდან თბილისში დაბრუნდა 1840 წლის 6 მარტს.

ჩემი მშობლები (503)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2490-ა
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

501. **შაჰ-აბაზის ყორჩიბაში** – მაღალი თანამდებობა ირანის შაჰის კარზე. საუბარია ყაფლანის ბიძაზე – გამაჰმადიანებულ ვახტანგზე. ყაფლანს გამაჰმადიანებულ ვახტანგთან სპარსეთში გასაზრდელად გაუგზავნია თავისი მესამე შვილი– ორბელი – სულხან-საბას მამა, ალექსანდრე ორბელიანის წინაპარი. ამ ორბელს გამზრდელი ბიძის პატივსაცემად ბიძისავე სურვილით ვახტანგი უწოდეს.

501. **ხულუტის ციხე** – მდინარე ხრამის (ქციის) ხეობაშია. ნაგებია ადგილობრივი კლდის ქვით. ააგო ყაფლან ორბელიანმა იმ ფულით, რომელიც მის შვილს, ორბელს სპარსეთიდან გამოატანა გამზრდელმა ბიძამ, ვახტანგმა. 2006 წელს ხულუტის ციხეს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის კატეგორია.

501. **ფიტარეთის ეკლესია** – მდებარეობს ქციის ხეობაში. აშენდა მე-13 საუკუნეში, ლაშა-გიორგის მეფობის დროს. მე-14 საუკუნეში აღუდგენია გიორგი ბრწყინვალის ამირეჯიბს ქავთარ ქაჯიფაისძეს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მონასტრის წინამძღვარი, იობ ფიტარეთელი, ვახტანგ VI-

სთან, სულხან-საბა ორბელიანთან... ძალიან დაახლოებული ყოფილა. ტაძარი განაახლა და გუმბათი დაადგა ყაფლან ორბელიანმა იმ ფულით, რომელიც სპარსეთიდან გამოუგზავნა ბიძამ, შაჰ-აბასის ყორჩიბაშმა, გამაჰმადიანებულმა ვახტანგმა. ფიტარეთი იყო ჯამბაკურ-ორბელიანების საგვარეულო საძვალე. XVIII საუკუნეში ოსმალებმა, ყიზილბაშებმა, ლეკებმა ააოხრეს მთლიანად. მონასტერს ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. იქვე არსებობდა სემინარიაც. იქ არიან დაკრძალულნი ყაფლანი და მისი უფროსი ვაჟი პაპუნა. დღეს მოქმედი ტაძარია.

ჩემნი მშობელნი (503)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2498
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

503. **„ქრისტეს უწინარესად რომ მოსულან კიტაიიდგან ევერიაში“–** ორბელიანებს ჰქონდათ საგვარეულო ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ამ გვარის წინაპარი ჩინეთიდან მოსულა საქართველოში და ორბეთში დამდგარა. ჩინეთის მეფის, ჯამბაკურის შთამომავლებად მიიჩნევდა მწერალი ორბელიანებს.

505. **ყაიყულები –** ყაიყული ადგილის სახელწოდებაა სომხითში. ყაიყულები– ამ ადგილის მკვიდრნი.

მამიჩემის მოსამსახურეები (507)

ხელნაწერი: ავტოგრაფი T 16295-ხ.
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: თ˜ა ა. ვახ. ძე ჯ. ორბელიანი
იბეჭდება პირველად

თხზულებაში არეკლილია ალექსანდრე ორბელიანის შეხედულება ბატონყმობაზე. მწერალს მიაჩნდა, რომ რუსეთის შემოსვლამდე საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური ურთიერთობა არსებობდა. ბატონები ზრუნავდნენ გლეხებზე და უმეტესად– თავიანთ მოსამსახურეებზე. კარგი მოსამსახურე და დაბალ სოციალურ ფენასთან დიდგვაროვნის ლოიალური, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება-ურთიერთობა გარკვეულად განსაზღვრავდა ბატონის ღირსებას.

ჩემი სახლის წინაპარნი (509)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ა
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

509. **ყანდაარი** – სიდიდით მეორე ქალაქი ავღანეთში. ირანის შაჰმა, ჰუსეინმა, გიორგი XI-ს დაავალა ავღანელთა დამორჩილება. აჯანყებისას განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყანდაარის ოლქში მცხოვრები ღილზაები. გიორგი XI-მ აჯანყებულები კი დაიმორჩილა, მაგრამ ავღანელებმა (კერძოდ, ღილზაების ბელადმა – მირვეისმა) 1709 წელს იგი ღალატით მოკლეს ყანდაარში.

509. **ორბელი** – იგივე ვახტანგი, სულხან-საბა ორბელიანის მამა. იყო ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის ცოლის ძმა.

509. **პაპუნა, ასლან,** ორბელ, თამაზ, გიორგი. ამათი და, როდამი,

ცოლად ჰყავდა ქართლის მეფე ვახტანგ V-ს.

509. **ყაფლანი** – ყაფლან ორბელიანი. მისი ხსენებით იწყებს ალექსანდრე ორბელიანი თავისი სახლის წინაპრების ჩამოთვლას.

509. **გიორგი XI** – ქართლის მეფე 1676-88 და 1703-09 წლებში. ვახტანგ V-ის ძე. მოკლეს აჯანყებულმა ავღანელებმა ყანდაარში. მასთან ერთად დაიღუპა მისი ბიძაშვილი (დედის ძმისშვილი) ვახუშტი. ეს ვახუშტი იყო სულხან საბა-ორბელიანის ძმა.

509. **ვახტანგ V** – იგივე შაჰნავაზი (შანაოზი), ქართლის მეფე 1658-75 წლებში. ბაგრატიონების მუხრანბატონის შტოს წარმომადგენელი. 1654 წ. ირანში მაჰმადიანობა მიიღო და შაჰნავაზი უწოდეს.

509. **რუსუდან დედოფალი (1680-1740)** – ვახტანგ VI-ის ცოლი, ჩერქეზი დიდგვაროვნის ქალიშვილი. სახელი რუსუდან უწოდეს ვახტანგთან შეუღლების შემდეგ. რუსუდანი გარდაიცვალა მოსკოვში. დაკრძალულია დონის მონასტერში.

510. **ხვარამზე** – ვახტანგ VI-ის და, იმერელ თავად ჩიჯავაძეს ჰყავდა ცოლად.

510. **ელენე** – ვახტანგ VI-ის დისშვილი, ხვარამზეს ასული, ჩიჯავაძე. გათხოვილი იყო ელიზბარ ეშკაღაბაშზე (ორბელიანი–ალექსანდრე ორბელიანის პაპის, დიმიტრის, მამა).

510. **ელიზბარი** – ვახუშტის ძე. ვახუშტი, ერასტი... სულხან-საბას ძმები (სულ რვა).

510. **ლუარსაბ ასლანის ძე ორბელიანი (1690-1728)** – სულხან, ვახუშტი, ერასტი...ორბელიანების ბიძაშვილი.

510. **ვახტანგ VI (1675-1737) –** ლევანის ძე, გიორგი XI-ის ძმიშვილი, ქართლის მეფე. მწიგნობარი. პირველი სტამბის დამაარსებელი საქართველოში. 1719 წელს სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გაუსწორდა. ცდილობდა რუსეთთან დაახლოებას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებისგან მოტყუებული დარჩა. 1724 წელს 1200-კაციანი ამალით რუსეთში წავიდა და მფარველს ეძიებდა. პეტრე პირველმა დანაპირები არ შეუსრულა. გაწბილებული ვახტანგი ასტრახანში გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული.

510. „მუხრანბატონი და ერისთავი კი დაუსაჯავს...“– როგორც ჩანს, იგულისხმებიან ერეკლე მუხრანბატონი, რომელსაც თვალები დასთხარეს, და დათუნა ქსნის ერისთავი, რომელსაც სახლთხუცესობა ჩამოართვეს და შემდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

მხოლოდ ჩემი სახლის წინაპარნი (511)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ა
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

511. „სანაინში“– სანაინი სოფელია სომხეთის ჩრდილოეთში, ლორეს პროვინციაში.

[სულხან ყოფილი საბა] (512)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ეი
თარიღი: უთარიღოა
ხელმოწერა: არა აქვს

იბეჭდება პირველად

ალექსანდრე ორბელიანი მარტო ცოცხალ ინფორმატორთა ნაამბობით კი არ სწავლობდა წარსულს, არამედ გულმოდგინედ ამუშავებდა ისტორიულ წყაროებს, რისი ნათელი დასტური ეს პატარა ჩანაწერიცაა. ტექსტი დანომრილია. მხოლოდ 1-ს (პირველს) სხვა რიცხვი არ მოსდევს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მწერალს გან-

გრძობა, სხვა საბუთების დამუშავება ან თხზულების სრულყოფა ჰქონდა ჩაფიქრებული და ვეღარ მოუხერხებია.

ჩვენ მიერ შედგენილი სქემიდან ნათლად ჩანს ალექსანდრესა და სულხან-საბა ორბელიანის საერთო წარმომავლობა.

იხ. „ყაფლანითგან ჯამბაკურინნი ორბელიანნი.“

[პაპიჩემის მამას...] (513)

ხელნაწერი: ავტოგრაფი K H:2412-ზ
თარიღი: უთარიღოა.
ხელმოწერა: არა აქვს.

იბეჭდება პირველად

ამ მცირე ნაწყვეტში ელიზბარ ეშკაღაბაშის შვილებს გვაცნობს მწერალი. თვითონ ელიზბარ ეშკაღაბაშისა და მისი შვილის (მწერლის პაპის, დიმიტრის) შესახებ დაწვრილებით მოთხრობილია სხვა თხზულებებში.

პირთა საძიებელი

ა

აბაში – 326
ადარაცკი (დოხტური) – 123
ავდოთი ფეოდოროვნა – 92, 95, 461
ალავერდა – 387, 416, 553, 554, 554
ალექსანდრე მეფე – 64
ანშინაშვილი აკოფა – 417
ანტონა – 409
ანტონი ქათალიკოზი – 63, 505
აპაჩინინაი – 318
აპოსტოლ-მურავიოვი – 459
არველაძე მაია – 4
არღუთაშვილი – 312, 313, 327, 511
არღუთოვი ყარამან – 472, 474, 476
ასლან – 313, 315, 318, 328, 503, 505, 509, 511, 560, 561
აქიმოვი ივანე – 409, 410
აღსართან – 325
ახლოსტიშოვი – 280
ახტერვა – 398
აჰმადა – 12, 13
აჰმად ბელადი – 172, 174

ბ

ბაგრატიონი დიმიტრი – 316
ბაგრატ მეფე – 325
ბაგრატიონ-მუხრანსკი გიორგი – 268, 525
ბაგრატიონ-მუხრანსკი გრიგოლ – 392, 410
ბადრიძე დიმიტრი – 465
ბაიკოვი – 276, 277, 288
ბარათა – 312, 325-328, 511, 545
ბარათაშვილი ბარბარე – 177-180, 522, 555
ბარათაშვილი (ბარათოვი) დავით – 18, 177-180, 228, 229-234, 253, 257, 261, 262, 291, 522, 555
ბარათაშვილი ეკატერინე – 64, 65, 119-121, 124, 129, 177, 232, 268,

310, 334-341, 345, 347-349, 352-354, 358, 392, 412, 462, 471, 480, 492, 494, 496-498, 521, 525, 528, 535, 547, 555, 557
ბარათაშვილი ზაალ – 522
ბარბარე – 195, 232
ბარიატინსკი ალექსანდრე – 547
ბარონ როზინი (როზენი) – 273, 274, 277, 278, 280, 287, 289, 476
ბასტამაშვილი ბასტამ – 417
ბატოიშვილი ალექსანდრე – 350, 547, 548
ბატოიშვილი ანა – 319
ბატოიშვილი ანასტასია – 230, 231, 557
ბატოიშვილი ანახანუმ – 321
ბატოიშვილი გიორგი – 166, 174
ბატოიშვილი დავით – 417, 555
ბატოიშვილი ირაკლი – 350, 548
ბატოიშვილი ლევან – 165, 323, 324, 506, 532
ბატოიშვილი ქეთევან – 336, 338, 340, 344, 410, 412, 413
ბატოიშვილი თეკლა – 8, 12, 13, 15-18, 20, 33, 53, 57, 65, 72, 83, 85, 88, 129, 135, 161, 163, 175, 178, 179, 195, 196, 216, 217, 223, 230-234, 237-239, 243, 250, 253, 254, 260, 262, 263, 267, 274, 275, 278, 280-292, 295, 297, 300, 310, 334-337, 340-345, 350, 382, 383, 412, 413, 422, 459, 461, 485, 486, 493-495, 519, 521, 522, 524-526, 536-538, 557
ბატოიშვილი ხვარამზე – 321
ბატონიშვილი ვახუშტი – 321-323, 325, 544
ბატონიშვილი იოანე – 554
ბაღდასარა – 408
ბაღუში (ბაღვაში) ლიპარიდ – 325
ბაყათარი – 80, 526
ბე... (დოხტური ორენბურგში, პოლონელი) – 440, 457
ბეგთაბეგიშვილი – 307
ბეგთაბეგიშვილი (ბეგთაბეგოვი) სულხან – 300, 538
ბეგთაბეგოვი იოსებ – 391, 393, 394, 533
ბელინი ვინჩენცო – 548
ბერელა – 163, 164, 166, 168, 172, 323, 377, 507, 532, 554
ბერუა – 26, 69
ბერძნიშვილი მაქსიმე – 524, 536, 557
ბიბიკოვა (აპოსტოლ-მურავიოვა) კატერინა ივანოვნა – 459
ბიბიკოვი – 459

ბიდარაშვილი – 75
ბუტულაშვილი – 168, 170

გ

გაბოძე ჯულიეტა – 4
გაბრიელა – 485, 486
გაევსკი პაველ ივანიჩი – 295
გალავინი (გოლოვინი) – 471
გაპია – 307, 308
გეუა – 302, 307, 308
გვარამაძე დავით – 487, 489
გიგოლი – 162
გიორგი – 22, 64, 162, 163, 269
გიორგი ბიჭი – 105, 106
გიორგი ბრწყინვალე – 558
გიორგი (დავით მეფის ძმა) – 331
გიორგი (დიდი მეფე) XI – 509, 512, 560, 561
გიორგი მეფე – 62, 165, 173, 321, 325, 366, 376, 511, 538
გოზალიშვილი გიორგი – 557
გორგასლანი (გორგასალი) ვახტანგ – 58, 61, 80, 490, 526
გრიბაედოვი (გრიბოედოვი) – 151, 386, 531, 553
გრიგორევი – 125
გრიშაშვილი იოსებ – 521, 531, 533, 550, 553, 555, 556
გურამოვი ივანე – 391, 393, 394

დ

დალინი – 381, 403
დარეჯან დედოფალი – 174, 175, 297-299, 357, 366, 537, 538, 548
დარია – 311, 334, 341, 357, 358, 493, 522, 528, 546, 547
დათიკა (დავით) – 22, 119, 129, 334, 337, 358, 522, 528, 547
დათიკას ძიძა – იხ. თინათინა ძიძა
დავით აღმაშენებელი – 58
დავით მეფე – 331
დემნა უფლისწული – 331
დემურაშვილი ათაბეგა – 323
დეპნერი (დოხტური) – 497

დიდმოურავი – 66, 67, 525
დოდაშვილი სოლომონ – 33, 522, 527
დომნა – 461

ე

ევგენია (ევგეშკა) – 430, 433
ეკატირინე – 362
ეკატერინე დიდი – 84
ელეცკი (მაიორი) – 376, 377, 378
ელენე – 317, 337, 358, 547
ელენე (ხუარამზეს ქალი) – 321, 324, 504, 505, 510, 561
ელი... (ქვრივი) – 462, 465
ელიკუმი – 331
ელიოზი – 62
ელიზბარ ეშკაღაბაში – 164, 316, 321-323, 503-505, 510, 512, 513, 532, 540, 561, 563
ერასტი დიანბეგი – 320, 321, 509, 510, 512, 513, 561
ერეკლე (ირაკლი) მეფე – 57, 59, 62, 63, 68, 70, 75, 163-166, 170, 174, 285, 297, 298, 315, 316, 317, 319, 323, 324, 357, 366, 416, 505, 513, 523-526, 532, 536, 538, 547
ერისთავი ელიზბარ (ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთვის შვილი) – 272, 273, 535, 554, 284
ერისთავი გიორგი – 527, 549
ერისთავი გიორგი რევაზის ძე – 274, 275, 474, 475, 476, 480, 555, 557
ერმალოვი (ერმოლოვი) ალექსეი პეტროვიჩი – 73, 309, 383, 385-394, 396-400, 402-406, 409-411, 414, 417, 466

ვ

ვალიხოვსკი – 276
ვარდისახარ – 175, 342, 343, 532
ვახანია ნინო – 4
ვახტანგ გორგასლანი – იხ. **გორგასლანი (გორგასალი) ვახტანგ**
ვახტანგ V – იხ. **შანაოზ მეფე**
ვახტანგ VI – 321, 505, 509, 510, 544, 558, 561
ვახუშტი – იხ. **ბატონიშვილი ვახუშტი**
ველიამინოვი ივან ალექსანდრიჩი – 398

ვენერი ნიკალაი პეტროვიჩ – 439
ვენერი (დამოჟნის ნაჩალნიკი) – 455
ვერხოვსკი – 402, 405
ვლადიმირ დავიდოვ-გრამონი – 343, 547
ვოლმერი – 136

ზ

ზარდიაშვილი ელზა – 4
ზაქარია (მეტეხის დეკანოზი) – 302
ზიახანუმი – 245, 249, 250
ზურაბი – 316-319, 326
ზურაბიშვილი – 326, 504, 545

თ

თათუა – 466, 473, 478-480, 483-486, 489, 490-493
თათულა ექიმი – 409, 410
თამაზ (ჯამბაკურ ორბელიანი) – 313, 315, 328, 503, 509, 511, 560
თამაზ ეშკაღბაში – 319, 368, 391, 537, 549
თამარა (მოახლე) – 348
თამარა ძიძა – 335, 339
თამარ მეფე – 58, 331
თევდორე (მწერლის ლალა) – 264, 377, 395, 401, 554
თეიმურაზ მეფე – 312, 317, 327, 505, 511
თეკლა ბატონიშვილი – იხ. **ბატოიშვილი თეკლა**
თინათინა (დათიკას ძიძა) – 22
თოუსულთანი – 402, 403
თუმანიშვილი ბარბარე – 350
თუმანიშვილი (თუმანოვი) პავლე – 8, 12, 17, 18, 20, 282, 290, 291, 350, 382, 384-387, 390, 393, 396, 406, 407, 521, 552
თუმანოვი დავით ეგნატეს ძე – 193

ი

იარალი – 326
ივან – 478, 479, 484
ივანე – 175, 485, 486

ივანე (ლიპარიტის ძე) – 331
ივანე (იოანე) სპასპეტი – 331
ივანოვი – 318
იეკუბოვიჩი – 280, 283
ილინსკაია ეკატერინე – 547
ილინსკი ვასილ ივანეს ძე – 547
იმედისეული – 198, 339
ირაკლი (ერეკლე) მეფე – იხ. **ერეკლე (ირაკლი) მეფე**

კ

კ... (დოხტური, კარაევი?) – 497
კ... (პოდპორუჩიკი) – 138, 531
კავალსკი (პოლონელი) – 123, 124, 125, 129, 130, 133, 134, 445-449, 451-453, 455
კარაევი იაკობ – 407
კარაევი ივანე – 237, 243, 253, 534
კარანდასოვი – 87
კაროვინი ნიკალაი ა[ნდრეიჩი – 14, 19, 25, 27, 31, 34, 37, 41, 44, 49-52, 69, 84, 86, 88, 527
კატენკას და ნინა – 350, 547
კაშჩეევი – 381
კილხინი – იხ. **კ... (პოდპორუჩიკი)**
კუშლიანსკი – 466, 478, 479

ლ

ლადინსკი – 376, 377, 381, 534
ლაზარე – 307
ლაშა-გიორგი – 558
ლიზიკო (ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი) – 343, 344, 547
ლიპარიტ – 331
ლიხაშოსტოვი – 134, 135, 138, 530
ლუარსაბ სარდალი – 314, 320, 509, 510

მ

მ... (ნიკოლოზ/აღას ცოლი) – 419

მ... (თავად თუმანიშვილის ცოლი) – 229
მ... (მოსამსახურე გოგო) – 497
მ... ბ... – 161
მადათოვი მირზაჯან (მ... მ...) – 382-385, 387-399, 401, 407-419, 552, 553, 555
მაიკო – 5, 119, 334, 335-345, 347-360, 494, 515, 522, 528, 546-548
მაიკოს ძიძა – იხ. **თამარა ძიძა**
მამიკონიანთი და არწრუნიანთი – 333
მანანა (ერსთავი-ორბელიანი) – 386, 407, 552
მანუჩარ (ყაფლანიშვილი) – 320, 510
მარფა – 461
მარია (დენშიკის ცოლი) – 447, 449
მარია (მარი) ივანოვნა – 341, 343, 493, 494, 509, 512, 547
მარია ვასილევნა (სერედინსკაია) – 484
მარიამა ძიძა – 192, 193
მარტირუზა – 157, 158
მატია (მეჯოგე) – 307
მდივანოვი სტეფანე – 330, 546
მელანია (ერისთავი მელნიკოვისა) – 268, 269, 392, 554
მელიქიშვილი ივანე (იოანე) – 176, 177, 194, 232, 270, 534
მელიქოვი ყორხმაზ – 472, 474, 476, 477, 480, 557
მელიქოვი იოსებ გიორგის ძე – 192, 301
მელითაური გიორგი – 357, 359
მელნიკოვი – 268, 392, 554
მეღვინეთხუცესისშვილი გიორგი – 465
მინიცკი ალექსანდრ ოსიფიჩ – 11, 14, 19-25, 27, 29-31, 34-41, 43-45, 49-52, 68-70, 72, 73, 79-84, 86, 291, 424, 425, 522, 523, 527
მობიცი (დოხტური) – 123, 133, 135, 136, 188, 294
მუხრანბატონი დავით – 396, 410, 554
მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) გრიგოლ – 392, 410
მუხრანბატონი ივანე – 410, 554
მუხრანბატონი კონსტანტინე – 410
მუხრანბატონი თეიმურაზ – 410, 411

ნ

ნადირშა – 164, 321, 322, 503, 504, 505, 532, 540
ნაზაროვა ავდოთი ფეოდოროვნა – 92, 95

ნაზაროვი – 92
ნაპალიონი – 171
ნიკოლოზ (აღა) – 419
ნიკოლოზ ხელმწიფე – 482
ნინია – 163, 164
ნინო (ზაქარია დეკანოზის ცოლი) – 302
ნინო (ჭავჭავაძე) – 386, 553

ო

ოთარა – 159, 377, 554
ოლგა – 431
ოლგა ანტონოვნა (სჩერბაჩევა) – 456
ოლგა (სერედინსკაია) – 484
ონიკოვი სოლომან – 385-388, 391, 393-397, 401, 407, 408
ორბელ (ვახტანგ) – 313-316, 328, 501, 509, 511, 512, 558, 560
ორბელიანები (ჯამბაკურიან-ორბელიანნი) – 5, 104, 312, 314, 315, 322, 325, 326, 329-333, 501, 503, 504, 539, 540, 544-546, 559
ორბელიანები გრიგოლ, ზაქარია და ილია – 318
ორბელიანები ირაკლი, გრიგოლ, ნიკოლოზ, დარეჯან, დავით, მარიამ, ელენე – 358, 528
ორბელიანები თამარ, ბარბარე, ეკატერინე (სოფო) – 318
ორბელიანები კონსტანტინე, ესტატე – 318
ორბელიანები ნიკოლოზ, გიორგი, ზურაბ, ასლან, იოსებ, იაკობ და სამარაღდო – 318
ორბელიანები პაპუნა, ასლან, ორბელ, თამაზ, გიორგი – 328, 503, 509, 560
ორბელიანები ქაიხოსრო, ალექსანდრე, ანტონი – 318, 503,
ორბელიანი ალექსანდრე – 2-4, 83, 90, 138, 284, 292, 309, 311, 324, 329, 330, 333, 359, 361, 363, 374, 377, 382, 398, 399, 404, 470, 475, 498, 508, 509, 514, 515, 519-540, 544-547, 549-558, 560-563
ორბელიანი ასლან – 313, 315, 318, 328, 503, 505, 509, 511, 560
ორბელიანი ბარბარე – 319
ორბელიანი ბეჟან – 312
ორბელიანი გიორგი – 503
ორბელიანი გრიგოლ – 520, 526, 536, 540, 552-555
ორბელიანი დავით (სარდალი) – 315-317, 319
ორბელიანი დავით (ივანე სარდლის შვილი) – 317, 382-386, 388,

389, 391-393, 396, 407-417, 436, 552, 553
ორბელიანი დავითი (ჭაბუას შვილი) – 319
ორბელიანი დიმიტრი – 164, 316, 319, 321, 323, 324, 503, 504, 506, 512, 513, 532, 561, 563
ორბელიანი დიმიტრი (ვახტანგის ძე) – 193, 282, 284-286, 316, 317, 341, 391, 475, 480, 493, 503, 509, 512, 523, 532, 547, 557
ორბელიანი ეკატერინე – 165-167, 173, 324, 522
ორბელიანი ელიზბარ – 316
ორბელიანი ვახტანგ (პოეტი) – 509, 522, 527, 532, 547
ორბელიანი ვახტანგ (პოლკოვნიკი) – 164, 165, 174, 177, 222, 223, 316, 532, 551
ორბელიანი ვახტანგ (ყაფლანის ბიძა) – 312, 314, 501, 558, 559
ორბელიანი ვახუშტი – 316, 503, 509, 512, 561
ორბელიანი ზაალ – 317, 504, 512
ორბელიანი ზურაბ – 316-319, 326, 512
ორბელიანი თამაზ – 315, 319, 368, 503, 537, 549
ორბელიანი ივანე – 315, 317, 551
ორბელიანი ლუარსაბ – 314, 315, 320, 509, 510, 561
ორბელიანი ლუარსაბ (ივანე სარდლის შვილი) – 192, 300, 317, 382, 383, 385, 386, 388, 390-394, 396, 397, 401, 407, 408-411, 413, 414, 533, 536, 537, 554
ორბელიანი მამუკა – 391, 393, 549
ორბელიანი ნიკოლოზ – 318
ორბელიანი პაპუნა – 313-315, 328, 503, 509, 511, 559, 560
ორბელიანი რევაზ – 315
ორბელიანი როდამ – 315, 502, 560
ორბელიანი სალომე – 552, 553
ორბელიანი სამარაღდო / სამარაგდო – 318, 319, 409-411, 504
ორბელიანი სულხან-საბა – 509, 512, 558-561, 563
ორბელიანი სტეფანე – 329, 544
ორბელიანი ქაიხოსრო – იხ. **ქაიხოსრო სარდალი**
ორბელიანი ყაფლან – 312-314, 328, 501, 558, 559, 561
ორბელიანი ჭაბუა – 319
ორუმბაი – 124, 129, 131
ოჰანეზაშვილი ს. – 553

პ

პავლოვი – 399
პაკატელოვი – 54
პასკევიჩი – 85, 270, 392, 527, 534
პეროვსკი ვასილი ალექსეიჩი – 51, 52, 84, 85, 88-91, 124, 134, 527
პეროვსკი ალექსი ალექსის ძე – 527
პეტროვი – 377
პეტრუშკა (პეტრუში) – 139, 150
პრა...[სკოვია – 473
პრიბილი ივან ანტონიჩ – 345, 424, 425, 555

ჟ

ჟემჩუჟნიკოვი – 85
ჟღენტი ნიკოლოზ – 4

რ

რაკ... [ასოვსკი – 459
რაკასოვსკი – 50, 51, 85, 88, 294, 527
რაზმაძე სოლომონ – 535
რებროვი (დოხტური) – 470, 471, 476, 478, 482, 483
რიმსიმე – 282
როზინი ბარონ (ბარონ როზენი) – 273, 274, 277, 278, 280, 287, 289, 476
რუსთაველი – 75, 87, 526

ს

საგინოვი (საგინაშვილი) ალექსანდრე – 319, 474
საგინოვი გიორგი – 406
სარქისა – 19, 433, 438, 442, 443, 445-448, 456-458, 460, 461, 556
სავარსამიძე – 384
სანკოვსკი – 318
სერედინსკი ვასილი ტიმოფეიჩ (დოხტური) – 477, 478, 481-483
სვინტისკი – 468
სკა...(დოხტური ორენბურგში) – 439, 440
სკაჩკოვი (დოხტური) – 123

სოფია (სერედინსკაია) – 483, 484
სოფიო (თუმანიშვილის დისწული) – 230, 534
სოფიო (სუმბათოვის ცოლი) – 22, 64, 65, 268, 523, 525
სოლომან – 163
სტეფან – 432, 443, 447
სტელიხი – 86
სუმბათოვი (სუმბათაშვილი) ალექსანდრე – 22, 64, 268, 269, 523, 525
სუმბათოვი (სუმბათაშვილი) ქეთევან – 439
სუმბათოვი ლუარსაბ – 505
სჩერბაჩევ ფეოდორ ნიკალაიჩ – 52, 86, 91, 294, 431, 442, 452, 455, 456
სჩერბაჩევა ოლგა ანტონოვნა – 455, 456

ტ

ტორმუსოვი (ტორმასოვი) – 300, 301, 538
ტრე... – 459
ტრესკინი – 474
ტრიტილევიჩი – 277

უ

უსლონცოვი – 189
უსტაბაშიშვილი დათუა – 307

ფ

ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) იასე იოსების ძე – 276, 278, 279, 288, 535, 536
ფალავანდოვი ნიკოლოზ – 287-289, 317, 536
ფიტარეთელი იობ – 558
ფურცელაძე დავით – 469-471, 474, 476, 557

ქ

ქავთარია მიხეილ – 529
ქავთარიშვილი გიორგი – 321
ქაიხოსრო (ქაქუცა) – 362

ქაიხოსრო სარდალი – 315, 322, 503-505
ქალანდაროვი – 402, 403, 405
ქანანოვი დავით – 73
ქაჯიფაისძე ქავთარ – 558
ქეთევან დედოფალი – 281
ქეთუა (მოახლე) – 348
ქსნის ერისთავი ბიძინა – 396, 475, 554, 558
ქსნის ერისთავი გიორგი – 474, 475, 555, 557
ქსნის ერისთავი ზაქარია – 317
ქსნის ერისთავი შალვა – 475, 557

ყ

ყაფლანიშვილი ვახტანგ – იხ. **ორბელიანი ვახტანგ**
ყაფლანიშვილი ზაალ – იხ. **ორბელიანი ზაალ**
ყიფიანი დიმიტრი – 524
ყორჩიშვილი (მიქაიჩი) ნიკოლოზ – 276
ყურბანა – 12, 13

შ

შააბაზ (შაჰაბასი) – 281, 312, 314, 327, 415, 418, 501, 509, 511, 555, 558, 559
შანაოზ მეფე (ვახტანგ V) – 315, 502, 509, 512, 560, 561
შარუევი ივან – 318
შეკოვიჩი – 404
შოშიშვილი პეპია – 307

ჩ

ჩაგელიშვილი ეკატერინე – 529
ჩევკინი – 279, 288
ჩერნეშოვი – 476
ჩილაევი (ჭილაშვილი) სერგეი გაბრიილიჩი – 51-54, 85, 88, 89, 92-94, 97, 98, 100-108, 110, 114, 122-124, 129, 131-133, 135, 294, 425, 426, 445, 523, 524, 528, 530, 556
ჩინგისხანი – 63
ჩოლოყაშვილი ანა (ახუა) – 532

ჩოლოყაშვილები ზურაბ და ლევან – 393, 394
ჩოლოყოვი (ჩოლოყაშვილი) თადია – 13, 18, 266, 290, 396, 522, 532, 554
ჩოლოყაშვილი მაკა – 175, 176, 237-239, 243, 253-256, 258-263, 266, 282, 334, 335, 344, 532, 534
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო – 165
ჩოლოყაშვილი ჯამასპი – 165
ჩურიკოვსკი (დოხტური) – 378, 381
ჩხეიძე როსტომ – 4, 536

ც

ცერცვაძე მაია – 4

ჭ

ჭავჭავაძე ილია – 520, 527, 550, 551, 555
ჭილაშვილი იაგორ (გიორგი) – 524

ხ

ხამუცკი – 403, 405
ხვარამზე – 321, 505, 522, 532, 561
ხოჯანასირთუსი – 239-246, 248-250
ხრისტი ივან ივანიჩ – 49
ხრისტი ნიკალაი ივანიჩ – 49

ჯ

ჯალალბეგი – 248-250
ჯოლოგუა თამაზ – 4, 536
ჯორჯაძე არჩილ – 551

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

ალექსანდროვის ქალაქის ფოშტა – 40
ალექსანდროვსკის ციხე – 51, 53, 88, 88, 519
ალექსიევკის ფოშტა – 47
ალხოვსკაიას ფოშტა – 45
ანანური – 24, 25, 27, 67, 68, 208, 275, 292
ანჩისხატის ეკლესია – 270
ანტონას ბახჩა – 409
ანტონოვსკის ფოშტა – 55
აქსაი (ქალაქი) – 44
არაგვი – 27, 31, 61, 67, 69, 71, 73
არახლადნის ფოშტა – 39
არდონსკის ფოშტა – 38
არლოვსკის ფოშტა – 56
არხანღელი (არხანგელსკი) – 474, 536
არხონის ფოშტა – 38
ასტრახანი – 92, 561
ავლაბარი – 199, 297, 361, 390, 407, 548
ავჭალა – 60
ახალი ალექსანდროვკა – 121, 122, 138, 140, 419, 425, 426, 445, 524, 525, 531, 533
ახალი სერგეევსკის ფოშტა – 414
ახდილატიევის ფოშტა – 45

ბ

ბალიკლის ფოშტა – 46
ბატაისკაიას ფოშტა – 44
ბაქსაევსკის ფოშტა – 56
ბაქსანი – 402
ბაშლი (ბალშოი) იკატიჩის ფოშტა – 48
ბაშქეჩითი – 376
ბეზოპასნოის ფოშტა – 42
ბეთანიის მონასტერი – 332
ბელაიგლინკას ფოშტა – 46

ბეშპაგირის ფოშტა – 41
ბიდარას ხეობა – 75, 33
ბოიხაროვსკის ფოშტა – 55
ბორსკაის ფოშტა – 49
ბუდარინსკოის ფოშტა – 54
ბუზაჩის მინდორი – 110
ბუზულუკის ქალაქი – 50

გ

გარეთ-უბანი – 213
გენვარსკოის ფოშტა – 54
გნილავსკოის ფოშტა – 54
გოლუბინსკის ფოშტა – 45
გორიაჩინსკოის ფოშტა – 55
გრაჩოვსკაიას ფოშტა – 46
გრებენსჩიკოვის ფოშტა – 55
გრეზნუხას ფოშტა – 46
გრუშოვის ბალკის ფოშტა – 45
გურიევი – 56, 92, 118, 122, 124, 129, 130, 133, 134, 137, 138, 181, 184, 194, 292-294, 425, 529, 533
გვერდძნელი – 33, 73

დ

დანეცკაიას ფოშტა – 45
დარბანდი (დარუბანდი) – 419
დარიელას ხიდი (დარიალი) – 35, 80, 490
დაღისტანი – 172, 272, 318, 398
დავითგარეჯა – 151, 321, 531
დევის ნამუხლი – 59, 61
დიდყაბართო – 391, 405, 466
დიღომი – 20, 21, 57, 58, 61
დმანისი – 315, 332, 406, 504
დონსკოის ფოშტა – 42, 44
დუბოვსკის ფოშტა – 46
დუნაი (მდინარე) – 44
დუშეთი – 23, 24, 67, 341, 392

ე

ეკატერინეგრადი – 38, 390, 386, 393
ელენეს კუნძული – 171
ემანხალინსკის ფოშტა – 56
ესენთუკი (ესენდუკი) – 477

ვ

ვალინოვსკის ფოშტა – 41
ვარაბიოვსკოი უმოდის ფოშტა – 50
ვაჰიელთ ხეობა – 332
ვენეცია – 333
ვერხნი ურალსკი – 51, 53, 85, 86, 88
ვოლგა (მდინარე) – 47, 48
ვოლსკის ქალაქის ფოშტა – 47
ვოსკრესენსკოის სოფელი – 48

ზ

ზელენოვსკოის ფოშტა – 56
ზმეიკოვკას ფოშტა – 44
ზვერნეგალოცკი – 439

თ

თატევის მონასტერი – 332
თაფარავანის ტბა – 511
თელეთი – 377
თერგი – 35, 80, 390, 487, 490, 520

ი

იაგორსკის ფოშტა – 40
იალბუზი – 69
იელიშანსკის ფოშტა – 47
ილმენსკის ფოშტა – 45
ინდერსკის გორის ფოშტა – 55

ინდოეთი – 164, 315, .511, 532
იორი – 172
იტეცკის ფოშტა – 54

კ

კაბარდო – 393
კაბილინსკის ფოშტა – 45
კაიდაკის ყურე – 110
კაიშაური – 28, 29, 30, 31, 70, 72, 76, 79, 298, 299
კალალის ფოშტა – 42
კალინოვსკოის ფოშტა – 55
კალმიკოვსკის ფოშტა – 55
კალოდიზნის ფოშტა – 42
კალუგა – 459, 557
კამენსკის ფოშტა – 46
კამიშინის ქალაქი – 46
კანდაუროვსკოის ფოშტა – 56
კაღალინცკის ფოშტა – 43
კარავანსკის ფოშტა – 46
კარმანოვსკის ფოშტა – 56
კარშინსკოის ფოშტა – 55
კასპიის ზღვა – 51, 85, 92, 122, 137-139, 149, 186, 425, 445, .524, 525, 530
კატერინოვკას სოფელი – 48
კავკაზი – 42, 82, 83, 152, 174, 296, 341, 390, 401, 402, 455, 487, 490, 529, 532, 547
კახეთი – 63, 165, 177, 325, 331, 496, 507, 522, 525, 551
კაზრეთი – 95, 310, 311, 330, 346, 347, 363, 539, 545, 549
კირსანოვსკოის ფოშტა – 54
კისლავოდსკი – 477
კლდის უბანი – 417
კლესჩოვკას ფოშტა – 47
კლიდელინსკოის ფოშტა – 54
კლუჩის ფოშტა – 47
კოპი (კობი) – 34, 73, 79, 491
კოსტანტინოვსკაიას ფოშტა – 45
კოშურალსკოის ფოშტა – 54

კოტელინკოის ფოშტა – 55
კოტლუბატსკაიას ფოშტა – 45
კრასნოიარსკოის ფოშტა – 55
კრუღლოის ფოშტა – 55
კუკია – 213, 330, 384
კულაღინოვის ფოშტა – 56
კუმისი – 386
კუმშატსკაიას ფოშტა – 45
კუღლო ოზეროტს – 54

ლ

ლადიკავკაზი (ვლადიკავკაზი) – 36, 38, 73, 81, 82, 485-489, 491
ლებიჟინსკოის ფოშტა – 55
ლიფლანდია (ფინეთი) – 284
ლიხი – 553
ლომისა – 31, 33, 74, 77
ლორწობანი – 325

მ

მალი იკასტიჩი – 48
მალკა (მდინარე) – 390, 466, 468, 484, 486
მანგიშლავი – 122, 132
მაშავერა – 321
მცხეთა – 21, 59, 60-62, 494, 548
მეჩეთინსკის ფოშტა – 43
მეტეხი – 275, 302, 535
მილნოეს სოფელი – 48
მიშკოვსკაიას ფოშტა – 45
მოჩინსკის ფოშტა – 49
მოიკანავინკას ფოშტა – 49
მოსკოვი – 316, 544, 561
მოსკოვსკაიას ფოშტა – 42
მოზდოკი – 390
მთაწმინდა – 10, 151, 531
მთიულეთი – 73, 74, 298, 323, 506
მტკვარი – 57-59, 61, 151-153, 157, 158, 176, 186, 199, 251, 409, 411,

435, 503
მუხრანი – 60, 320, 411, 509
მუხრანსკის ფოშტა – 54
მყინვარე მთა (ყაზიბეგის მთა) – იხ. **ყაზიბეგის მთა**

ნ

ნაინოვკას ფოშტა – 48
ნალჩიკი – 397, 400, 401
ნაქულბაქევი – 61
ნარეკვავი – 61
ნახშირის მედიანი – 413
ნიჟნი იაგარლიკის ფოშტა – 43
ნიჟნი ზერსკაის ფოშტა – 45
ნოვო სერგიევსკაის ფოშტა – 50
ნოვოჩერქასკის ქალაქი – 44

ო

ორენბურღი (ორენბურგი) – 19, 33, 50, 52, 81-87, 89, 92, 100, 118, 124-126, 132, 135, 136, 284, 289, 290-292, 294-296, 337, 385, 425, 428, 432, 437, 439, 445, 452, 455-459, 467, 469, 476, 495, 519, 521, 522, 524, 526, 527, 529, 555

პ

პაბოჩნი მიოდის ფოშტა – 47
პავლენსკაიას ფოშტა – 46
პავლოვსკის ფოშტა – 40
პერევალოტსკაის ფოშტა – 50
პესჩანა კოპნაიას ფოშტა – 42
პიატიგორსკი – 341, 467-469, 472, 474, 477, 478
პოლტავსკის ფოშტა – 50
პოღრომნაის ფოშტა – 50
პრალეიტსკის ფოშტა – 46
პრეგრადნის ფოშტა – 42
პრიშიბის ფოშტა – 38
პრიზაპადნოის ფოშტა – 46

რ

რაზსინაის ფოშტა – 54
რასიპნის ფოშტა – 42
რედუტსკოის ფოშტა – 56
რუსეთი – 5, 65, 81-84, 114, 128, 129, 269, 272, 276, 280, 282, 286, 287, 289, 297, 299, 310, 318, 334, 336, 343, 350, 375, 376, 392, 405, 423, 424, 478, 492, 495, 496, 505, 512, 513, 523, 526, 528, 530, 534, 535, 537, 538, 550, 552, 553, 555, 556, 560, 561

ს

საბლიის ფოშტა – 40
საგარეჯო – 165, 166-169, 173, 522
სალდათსკის ფოშტა – 40
სამარის ქალაქი – 48
სამგორი – 166, 167, 173
სამშვილდე – 325, 332
სანაინი – 312, 327, 511, 562
სარაჩინოვსკის ფოშტა – 56
სარაჩინსკაის ფოშტა – 50
სარაჩინსკოის ფოშტა – 56
სარატოვი – 47, 118, 424, 459
საქართველო – 30, 52, 57, 58, 60, 62-64, 66, 67, 71-74, 83-86, 89, 91, 100, 103, 161, 162, 172, 173, 192, 225, 227, 234, 269, 272, 273, 276, 277, 282, 284, 295-297, 299, 312, 314, 316, 317, 319, 320, 327, 328-331, 365, 366, 368, 372, 373, 376, 380, 381, 386, 396, 406, 411, 423, 450, 459, 461, 465, 469, 471, 476, 482, 483, 487, 488, 490, 491, 502, 503-505, 508, 509, 512, 515, 521, 522, 524-527, 531, 532, 534, 537, 538, 547, 548, 550, 551-553, 556, 557, 559-561
სახარნის ფოშტა – 55
სინოდსკოის ფოშტა – 47
სიონთა ღვთისმშობლის ეკლესია – 304, 314, 324, 353, 501
სივნელთა ქვეყანა – 332
სიზრანის ქალაქი – 48
სოლოლაკის მთა – 111, 265, 266, 305
სომხითი – 68, 161, 165, 301, 314, 316, 317, 320, 321, 322, 325, 326, 332, 501, 504, 505, 509, 525, 545, 559

სრედნი იაგარლიკის ფოშტა – 42
სტავროპოლი – 41, 459, 465, 467, 471, 474, 476
სტეფანწმინდა – 34, 35, 79, 489, 491, 526
სტუდენოის ფოშტა – 54

ტ

ტალოვკის ფოშტა – 46
ტანძია – 312, 314, 315, 322, 322, 326, 327, 504, 540
ტატისჩევის ფოშტა – 50, 53
ტაშირი – 332, 505
ტოპლევის ფოშტა – 56
ტფილელის ბაღი – 265, 266, 534
ტფილისი – 5, 7, 19, 23, 57, 60, 61, 63, 64, 69, 82, 83, 90, 96, 100, 124, 151, 161, 177, 186, 193, 197, 198, 226, 227, 233, 234, 265, 270, 291, 297, 299, 303, 309-311, 314, 322, 324, 329, 337, 341, 349-351, 359, 361, 368, 374, 376, 377, 379, 380, 382, 389, 391, 392, 396, 398, 406, 407, 419, 433, 438, 439, 460, 465, 471, 472, 476-478, 485, 486, 489, 493, 494, 496, 498, 501, 504, 508, 519, 522, 524-526, 528, 536, 537, 539, 544, 546, 548, 549, 550, 554, 556

უ

ურალის მდინარე – 52, 84, 92, 93, 99, 293, 295, 435
ურალსკის ქალაქი – 51, 53, 54, 85, 86, 88, 138
ურუხი (მდინარე) – 392, 393, 401
უსტზალეინაის ფოშტა – 46
უჯარმა – 61

ფ

ფასანაური – 28 30, 70, 492
ფეოდოროვკას ფოშტა – 48
ფეთხაინის ეკლესია – 408
ფიტარეთი – 314, 501, 558, 559
ფონთხელი – 493, 494
ფრანგების ეკლესია – 419

ქ

ქაშუეთის ეკლესია – 421
ქცია – 320, 504, 558
ქვეშეთი – 28, 70, 71
ქვეში – 504

ღ

ღართისკარი – 22, 24, 64-66, 341, 523, 525
ღორნის სოფელი – 48
ღუდის მთა – 32, 72

ყ

ყაიყული – 505, 559
ყარაბაღი – 383, 417, 418
ყარაბულახი – 166-169, 174, 177
ყარაიაზის მინდორი – 167, 172
ყარაქლისი – 384
ყარახაჩი (ყარაჩაი) – 104-106, 504, 505, 528
ყაზიბეგის მთა (მყინვარე მთა) – 36, 82, 83, 96, 526
ყუბანი – 401

შ

შავი ზღვა – 490
შირაზი – 281
შიროკი ბურიესაკის ფოშტა – 47
შუშა – 532

ჩ

ჩაჩანი (ჩეჩნეთი) – 393, 398
ჩერექი (მდინარე) – 397, 401, 466
ჩერნარეჩინსკაის ფოშტა – 50, 53
ჩერნეგონსკოის ფოშტა – 54
ჩერქესკი – 92

ჩინეთი (ჭინეთი) – 325, 326, 330, 331, 546, 559

ც

ციმბირი – 87, 160, 487, 494

წ

წავკისი – 265

ხ

ხარკინსკოის ფოშტა – 55
ხაშმი – 166, 172, 173
ხვოლინსკის ქალაქი – 47
ხივის ქვეყანა – 122
ხრამი – 504, 558
ხულუტის ციხე – 314, 501, 558
ხუნა – 332

ჯ

ჯალდა – 321
ჯავახეთი – 325
ჯვართა ვაკე – 31, 72-74, 76, 79
ჯიბულაის ფოშტა – 38
ჯიგრაშენის ეკლესია (სომხების) – 419

თხზულებათა ანბანური საძიებელი

[1834-1869]

ახლა პუპლია.....362-549
გიჟი აღალუა.....330-545
მამიჩემის მოსამსახურეები.....507-560
მხოლოდ ჩემი სახლის წინაპარნი.....511-562
ორბელიანთ ამბავი.....330-546
[პაპიჩემის მამას...].....513-563
[სულხან ყოფილი საბა].....512-562
ჩემიმშობლები.....501-558
ჩემი რუსეთიდგან მოსვლის შემდეგ.....310-538
ჩემი სახლის წინაპარნი.....509-560
ჩემი ტფილისის ქ[ალაქიდგან] გამოსვლა.....7-519
ჩემი ქალი მარიამ (ყმაწვილობისას მაიკო.).....334-546
ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი.....375-550
ჩემნიმშობელნი.....503-559
ჩვენი ძველი სახლეულობანი.....364-549
ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიდგან
ჯამბაკურიან-ორბელიანი.....325-544
ცოტა ჩემი გამოცდილებანი.....297-537
ყაფლანიდგან ჯამბაკურიანნი ორბელიანნი.....312-539
წიგნი მშობელთან (საქართველოს მეფის ირაკლის ასულს
თეკლას).....57-524
ჭეშმარიტისიყვარული.....138-529

ISBN 978-9941-9865-7-4